იურგენ ჰაბერმასი

მოქმედების კომუნიკატიური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები

თარგმნა
გიორგი ბარამიძემ

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2003

წიგნი გამოცემულია „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარგმნელობითი პროექტის – (CEU Translation Project)" მხარდაჭერით, ფონდის OSI – Zug. ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის გამომცემლობის განვითარების ცენტრისა (CPD) და ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო – (OSGF) „სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამისა (SSSP) და საგამომცემლო" მთარგმნელობითი პროგრამის (TP) ფინანსური ხელშეწყობით.

The edition was published with the support of the "Central European University Translation Project", sponsored by the OSI-Zug Foundation and with the contribution of the Center for Publishing Development of the Open Society Institute-Budapest and Social Sciences Support Program and Translation Program of the Open Society – Georgia Foundation.

რედაქტორი გურამ თევზაძე

ISBN 99928-46-79-8

წინასიტყვა

წინამდებარე შემავსებელი ტომი მხოლოდ მათთვის იქნება საინტერესო, ვინც თანაბრად არის დარწმუნებული „კომუნიკაციური ქმედების თეორიაში“ (1981) ჩემს მიერ გამომუშავებული საწყისის, როგორც ნაყოფიერებაში, ისე გასაცხადყოფების დაჭირვებულობაში. ეს ტომი, რა თქმა უნდა, შეიცავს როგორც იმ ანალიზებს, რომლებმაც კომუნიკაციური ქმედების თეორიამდე მიმიყვანეს, ისე -- იმ ანალიზებსაც, რომლებიც მის ფარგლებს გასცდნენ. ყოველის უწინარეს ეს ითქმის პირველ ნაწილში თავმოყრილ თხზულებებზე. ლუმანთან პოლემიკის კონტექსტში გამოქვეყნებული „მოსამზადებელი შენიშვნები“ განეკუთვნებიან იმავე პერიოდში პრინსტონის უნივერსიტეტში წაკითხულ ქრისტიან გაუსის სახელობის ლექციათა კომპლექსს. მასში განვიხილავ იმ ფილოსოფიურ მოტივებს, რამაც განაპირობა ცნობიერების ფილოსოფიის შემობრუნება ენის პრაგმატიკისკენ, რომელსაც, სხვა ხაზგასმებთან ერთად, „ფილოსოფიის ტრანსფორმაციის“ სახელწოდებითაც ესწრაფვის კარლ-ოტო აპელი. პარადიგმათა ეს ცვალება მე „ქმედების კომუნიკაციურ თეორიაში“ მხოლოდ საზოგადეობის თეორიის ისტორიის კონტექსტიდან გამომდინარე დავასაბუთე. თხზულებამ „ჭეშმარიტების თეორიები“ ცხოველი დისკუსია გააჩაღა,[1] რომელმაც მიჩვენა, რომ ჩ.ს. პირსის მიერ წამონყებული ჭეშმარიტების დისკურსული თეორია ჯერ ისევ მოითხოვს გულმოდგინე დამუშავებას. ამასობაში ჩემეული საწყისის მხოლოდლა მორალის თეორიული შედეგების კვლევა განვაგრძე.[2]

მეორე და მესამე ნაწილი მოიცავს შენიშვნებს საკვლევაძიებო ლიტერატურაზე, რომელსაც მორსამზადებელ ფაზებში ვამუშავებდი. მოგვიანებით იძულებული გავხდი, გვერდი ამექცია კლინიკური და განვითარების ფსიქოლოგიური თემებისათვის, რომელთა დამუშავება მხოლოდ ნაწილობრივ შეეძლო მოქმედებისა და მნიშვნელობის თეორიაში ჩატარებულ ერთმანეთთან კავშირის უქონელსა და ცალკეულ გამოკვლევებს. ხელნაწერები, რომლებიდანაც მე ეს შენიშვნები შევარჩიე, თ. მაკქართიმ წინასწარ საფუძ-

---

[1] შეად, R.Görtzen, J.Habermas – Eine Bibliographie, Ffm. 1982, მეორეული ლიტერატურა 165- 198- 227- 248- 250- 341- 351- 358- 359- 365- 384- 387- 403- 429- 433- 452- 463- 469- 481- 498- 579- 604- 629- 634- 652- 662- 667- 680- 718- 723- 732- 768- 799- 803- 807- 808- 809- 823- 828- lf.jkjc| G.Skirbekk, Rationaler Konses uind Ideale Sprechsituation alsGeltungsgrund?, in: W.Kuhlmann, D.Böhler (Hg.), Kommunikation und Reflexion, Ffm. 1982, 54ff.

[2] დისკუსიის ეთიკა –– შენიშენები დაფუძნების პროგრამისთვის- in: J.Habermas, Moralbewußtsein und kommunikatives Handeln, Ffm. 1983, 53ff.

ვლად გამოიყენა ჩემი კომუნიკაციის თეორიული საწყისის ბრწყინვალე გადმოცემისათვის.[1]

კომუნიკაციური რაციონალობა პირველად მხოლოდ მეოთხე ნაწილის ორივე ნაშრომში განვმარტე ისე ვრცლად, რომ ჩამოყალიბდა თეორიული პერსპექტივა, საიდანაც შესაძლებლობა მომეცა კიდევ ერთხელ ამეწონ-დამეწონა რაციონალიზების მაქს ვებერისეული თეორია. უნივერსალური პრაგმატიკის შესახებ თხზულებაში, რა თქმა უნდა, ჯერ ისევ არ არის საკ-მარისად ურთიერთგამიჯნული მეტყველება-მოქმედებანი და კომუნიკაციური მოქმედებები ე.ი. ინტერაქციები, რომლებშიც ურთიერთგაგება სხვა-დასხვა აქტორების მოქმედების გეგმათა კოორდინირების მექანიზმად გამოიყენება.

დღემდე მხოლოდ ინგლისურად გამოქვეყნებული „რეპლიკა" წარმოად-გენს ჩემს პასუხს თერთმეტ კრიტიკულ ესეზე, რომლებსაც ჯ.ბ. ტომპსონ-მა და დ.ჰელდმა მოუყარეს თავი, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.[2] ბოლო სტატია მოკლედ მიმოიხილავს კომუნიკაციური ქმედების თეორიას.

სამუშაო ქაღალდებსა და სალექციო ჩანაწერებს დავუტოვე ის ფორმა, რომელსაც ისინი მათი აღმოცენების ისტორიას უმადლიან. ამით აიხსნება ზოგიერთი დამთხვევა, რისთვისაც მკითხველს ვთხოვ, მომიტევოს. კლაუ-დია ჰორნს მადლობას ვნირავ კორექტურის კითხვაში დახმარების განევი-სათვის.

ფრანკფურტი, აპრილი, 1983. ი.ჰ.

---

[1] Th.McCarty, Kritik der Verständigungsverhältnisse, Ffm. 1979, Kap.4.

[2] J.B.Thompson, D.Held (Eds.), Habermas – Critical Debates, London 1982.

ლექციები სოციოლოგიის ენის თეორიულ დაფუძნებაში (1970/71)*

ლექცია I

სოციალურ-მეცნიერული თეორიების ობიექტივისტური და სუბიექტივისტური საწყისები

სოციალურ მეცნიერებებში ერთმანეთს კონკურენციას უწევენ სხვადასხვა თეორიული საწყისები, რომელთა შორის განსხვავება ძირეულია და იგი არ ამოიწურება მარტო პრობლემის დაყენებასა და კვლევის სტრატეგიებს შორის სხვაობით. არამედ მე ვგულისხმობ სხვაობებს კატეგორიალური ჩარჩოების არჩევანსა და საგანთა წრის კონცეპტუალიზაციაში. ცნების სტრატეგიათა შორის ამგვარ განსხვავებულობაში მყღავნდება სიღრმისეული კონფლიქტები: მოკონფლიქტე მეცნიერული თვალსაზრისები და შემეცნების ინტერესები. მაგრამ ახლა ჩემი მიზანი არ არის განსხვავებული თეორიული საწყისების კვლევა და მათი სისტემური წარმოდგენა. პირიქით, ჩემი მიზანია შევიმუშაო განსაზღვრული სოციალურ-მეცნიერული ცნებითი სტრატეგია და განვმარტო მისი წარმატებისუნარიანობა. შედარებითი მეთოდოლოგიური განაზრებები, რითაც მინდა დავიწყო და წინასწარი კლასიფიკაციები, რომლებთანაც მას მივყავართ, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების კომუნიკაციური თეორიის გამიჯვნის მიზანს ემსახურება. ეს თეორია ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებლად წარმოდგენილი; მე შემიძლია მხოლოდ რამდენიმე პრობლემა გავარჩიო, როგორც საიმისო მოტივირება, რომ ამგვარი კომუნიკაციის თეორიული საწყისი ნაყოფიერად ჩაითვალოს.

---

* ქრისტიან გაუსის სახელობის ლექციები 1971წ. თებერვალსა და მარტში პრინსტონის უნივერსიტეტში წაკითხული

პირველი ცნების სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომელსაც ძირეული მნიშვნელობა აქვს სოციალურ-მეცნიერული თეორიის პროგრამისათვის, მდგომარეობს შემდეგში: „საზრისი" (meaning) როგორც საფუძველცნება მივიღოთ თუ უკუეაგდოთ. საზრისი მესმის პარადიგმულად როგორც სიტყვის ან წინადადების მნიშვნელობა. ამრიგად, მე ექიდან ამოვდივარ, რომ არ არსებობს მოლაპარაკის ინტენციები, რომლებიც შეურევლად და წინასწარ იყოს მოცემული. საზრისს უკვე აქვს სიმბოლური გამოსახულება, ანდა თუ არ აქვს, მიწყივ იძენს ხოლმე მას. ინტენციების განსაცხადებლად ისაა საჭირო, რომ მათ სიმბოლური ფორმა შეიმოსონ და გამოითქვან.

გამოთქმა შეიძლება იყოს ან ბუნებრივი ენის ელემენტი, ანდა ენობრივი დერივატი (მაგალითად, იგი შეიძლება შედიოდეს ნიშანთა იმ სისტემაში, რომლითაც ერთმანეთს აგებინებენ ყრუ-მუნჯები და ქუჩაში მოძრაობის მონაწილენი). იგი შეიძლება იყოს ექსტრავერბარული ე.ი. ქმედების ანდა ტანთან დაკავშირებული ექსპრესიის გეშტალტი (სახის გამომეტყველება, ჟესტი), – ხელოვნებისმეიერი ანდა მუსიკალური გამოსახულება. ამასთანაეე მიმაჩნია, რომ ექსტრავერბალურად გამოხატული საზრისი შეიძლება პრინციპულად და მიახლოებით იქნეს სიტყვებით გადმოცემული: რისი გაფიქრება შესაძლებელია, მისი თქმაც შეიძლება.[1] მაგრამ რისი თქმაცაა შესაძლებელი, ყოველთვის არ ხერხდება მისი ენისგარეშე გამოხატვა.

ჩვენი ცნებითსტრატეგიული საფუძველგადაწყვეტილება უფრო ზუსტად გახდება გასაგები, თუკი „საზრისს" თავიდანვე შემოვიტანთ როგორც ენობრივ საზრისს, ე.ი. მას განვიხილავთ სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობასთან მიმართებით: ეს არის მეტათეორიული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, უნდა იქნას თუ არა მიჩნეული ენობრივი კომუნიკაცია საგანთა სფეროს კონსტიტუციურ ნიშნად. სიტყვა „კონსტიტუციური" გამოთქვამს იმას, რომ საგანთა სფერო თვითონ განისაზღვრება ენობრივი კომუნიკაციის ტერმინებში. თუ ჩვენ ენას აღვწერთ დაკვირვებადი ქცევების ანდა გადაცემადი ამბების კატეგორიებში და ენობრივ მოვლენებს, მაგალითად, სწავლის თეორიულად განვმარტავთ, მაშინ საზრისულად სტრუქტურირებული გამოსახულებანი საგნებად ჩაითვლებიან სხვა ფიზიკურ საგნებს შორის, რომლებიც ენისთვის არადამახასიათებელ ცნებით ჩარჩოებში აღიწერება და ემპირულ-თეორიულად გამოიკვლევა. კონსტიტუციურად ენა საპირისპიროა საგანთა სფეროსი, რომელიც კატეგორიულად ისეა გაგებული, რომ მასში საზრისულად სტრუქტურირებულ ნაქმი (პერსონები, გამონათქვამები, ინსტიტუტები) შემოგვეყაროს როგორც განმარტების საჭიროების მქონე ფენომენები. საზრისს აქვს სოციალურ-მეცნიერული საფუძველ-

---

[1] შეად. J.Searle, Speech Acts, Cambr. 1969, 19ff. (dtsch. Ffm. 1971, 34ff.).

ცნების სტატუსი, როცა ჩვენ მისი საშუალებით ვახასიათებთ თვით საგანთა სფეროს სტრუქტურას და არა მარტო მის შიგნით ცალკეულ ელემენტებს. ეს პირველი მეტათეორიული გადაწყვეტილება მინდა, განვმარტო სამი შედეგის საფუძველზე.

ა) *ქცევა ქმედების წინააღმდეგ.* თუკი ჩვენ ვუშვებთ „საზრისს" როგორც სოციოლოგიურ საფუძველცნებას, მაშინ ერთმანეთისგან ვანსხვავებთ მოქმედებას (action) და ქცევას (behavior). არ მინდა აქ შევეხო წინარემდებარე პრობლემას ჩვენ მიერ ქცევებად განმარტებული დაკვირვებადი მოვლენების გამიჯვნისა იმ მოვლენებისაგან, რომლებსაც ქცევებად ვერ განვმარტავთ. დამაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ არ არის გაანალიზებული ინტერპრეტაციის ის სქემა, რომელიც ნებას გვრთავს მოძრაობა გავიგოთ როგორც ორგანოების სიცოცხლის გამოვლინება; ჩვენ შეგვიძლია ასევე ვთქვათ — როგორც სხეულის მოძრაობა.[1] დაკვირვებად მოძრაობას რომ ქცევად აღვწერთ, მას ორგანიზმს მივაწერთ, რომელიც თავის სიცოცხლის რეპროდუცირებას გარემოსთან შეგუებით ახდენს. ჩვენ გვესმის იგი როგორც ორგანიზმის მიერ წარმოშობილი მოძრაობა და მიგვაჩნია, რომ არსებობს X, რომელიც რაღაც ფართო აზრით ამ მოძრაობაზე არის „პასუხისმგებელი". ამ კონტექსტში პასუხისმგებლობის კატეგორია გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ბრჭყალებში ე.ი. გარკვეული პირობით, რაკი ცხოველურ ორგანიზმს არ შეიძლება იმავე აზრით დააკისრო თავის ქცევაზე პასუხისმგებლობა, რა აზრითაც იგი ეკისრება ენისა და შემეცნების უნარმქონე სუბიექტს თავის მოქმედებებზე. მაგრამ, ეტყობა, მოძრაობების ქცევის სახეობებად განმარტების თვალსაზრისებს ჩვენივე საკუთარი სოციალური საცხოვრისის პრივატული მოდიფიკაციით ვაყალიბებთ. პრივატულს ისეთ მოდიფიკაციას ვუწოდებ, როცა უნარი შეგვწევს, ერთმანეთისგან გავარჩიოთ სხვა ხდომილებათა ქცევის რეაქციები ისე, რომ არ გამოვიყენოთ საზრისის კატეგორია. ეს ცნება პირველად განასხვავებს ერთმანეთისგან ქცევას, რომელიც მე შემიძლია გავიგო ინტენციონალურ ქმედებად, იმ ქცევისაგან, რომელიც ამ აღწერაში არ ხვდება.

ინტენციონალურს ისეთ ქცევას ვუწოდებ, რომელიც ნორმებით ხელმძღვანელობს ანდა წესებზეა ორიენტირებული. წესები და ნორმები არ ხდებიან, არამედ მნიშვნელობენ ინტერსუბიექტურად აღიარებული მნიშვნელობის ძალით. ფორმებს აქვს სემანტიკური შინაარსი, სწორედ რომ საზრისი, რომელიც ქცევის მოტივად გარდაიქმნება, როგორც კი მას საზრისის გამგები ადამიანი მისდევს; და სწორედ ამის მერე ვლაპარაკობთ ჩვენ მოქმედებაზე. წესის საზრისი მოქმედის ინტენციას შეესაბამება, რომელიც მას თავისი ქმედების ორიენტირად იღებს. ქმედე-

[1] შეად. დ.ს. შვეიდერის ცნებათა ანალიზს: Stratification of Behavior, London (1965)

ბას ჩვენ სწორედ წესზე ორიენტირებულ ქცევას ვუწოდებთ. ინტენციონალურიაო ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებებზე ვამბობთ. დაკვირვებადი ქცევა მნიშვნელად ნორმას ასრულებს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა მას ვიგებთ როგორც წარმონაშობს მოქმედი სუბიექტისა, რომელმაც გაიგო ნორმის საზრისი და მას ინტენციონალურად მიჰყვა. ქცევა, რასაც ჩვენ დროის გარკვეულ მონაკვეთში ვაკვირდებით, შეაძლებელია შეესატყვისებოდეს ფაქტიურად მოცემულ ნორმას, ისე რომ თვითონ ნორმა მას არ წარმართავდეს. აქედან გამომდინარე ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავებთ წესზომიერ ქცევასა და წესით მართულს, ანუ მოქმედებას. წესზომიერებას ჩვენ ინდუქციური გასაყოველთაებების გზით აღმოვაჩენთ. იგი არსებობს, ან არა, წესებისას კი, პირიქით, საზრისებს უნდა ვწვდეთ. ისინი მნიშვნელობას ჩემულობენ. წესების წინაშე შეიძლება შეცოდო, მაგრამ უაზრობაა იმის თქმა, კანონზომიერება შეურაცხყოო. წესები, რომლებიც საფუძვლად უდევს პრაქტიკას, შეიძლება მივიღოთ, ან უკუვაგდოთ; მაგრამ ქცევის წესზომიერება შეიძლება დასტურჰყო ანდა უარყო. რასაკვირველია, ჩვენ ძალგვიძს მათი დასტურჰყოფა როგორც ინტენციონალურ ქმედებათა კავშირმიმართებებიდან, ისე ქცევის რეაქციათა თანმიმდევრობიდან. მაგრამ ერთ შემთხვევაში შესაბამისი დასტურჰყოფა გამომაქვს იმ გარემოებიდან, რომ ნორმებს შემტყობინებელი ალბათობით უნდა მისდიონ; მაშინ როცა მეორე შემთხვევაში, მტკიცება უნდა დაემყაროს ქცევებზე დაკვირვებების გასაყოველთაოებას.

ბ) *დაკვირვება საზრისისგაგების წინაღმდეგ.* იმ განსხვავებიდან, რომელიც ჩვენ ქცევასა და ქმედებას შორის გავატარეთ, გამომდინადრეობს მომდევნო განსხვავება გამოცდილების სხვადასხვა სახეობებს შორის, რომლებშიც ხელმისაწვდომია ქცევის რეაქციები და მოქმედებები; ქცევებსა და მათს კანონზომიერებებს ვაკვირდებით მაშინ, როცა მოქმედებებს ვგებულობთ. ისევ საზრისის კატეგორიაა გამოცდილების ამ ორ მოდუსს შორის განმასხვავებელი. როცა საჭიროა, რომ მოცემული ქცევა ქმედებად აღიწეროს მათზე მარტო დაკვირვება ამიტომაც აღარ არის საკმარისი, რადგან აუცილებელია ის, რომ ქცევის ნიშნები საფუძვლად მდებარე წესებს დაუკავშირო და წესების საზრისი გავიგო. რასაკვირველია, საზრისის გამგები წვდომა მოქმედების კონტექსტებისა უნდა დაემყაროს დაკვირვებებს.

ნება მიბოძეთ ერთმანეთს შეეუდარო ორი აღქმის მსჯელობა ანდა „დაკვირვების გამონათქვამი." „მე ვხედავ, რომ ბუზი ფანჯრის მინას შეასკდა", არის წინადადება, რომლითაც მე ქცევის დაკვირვებას გადმოვცემ; „მე ვხედავ, რომ ჰანსი სამუშაოდან ბრუნდება" კი, არის წინადადება, რომლითაც მე „დაკვირვებულ" მოქმედებას აღვწერ. ორივე შემთხვევაში ერთსულოვნად ვიყენებთ გამოთქმას „ხედავ", რადგან ორივე წინადადება ისეთ მოვლენებს გადმოსცემს, რომელთა თაობაზე

მოლაპარაკე ირწმუნება, რომ ეს-ესაა ისინი აღიქვა. მაგრამ მაინც, „ხედვა“ ერთ შემთხვევაში ნიშნავს ხდომილების დაკვირვებას, მეორე შემთხვევაში კი – მოქმედების გაგებას. ეს გაგება თუმცა ისეთი მოვლენების დაკვირვებას ემყარება როგორიცაა კარის ზარის ხმა, პიროვნების შემოსვლა და ა.შ. მაგრამ დაკვირვებული ქცევის ნიშნები და ხდომილებები განიმარტება მოქმედების კონტექსტზე დამყარებით. იგი შედგება ქცევის ნორმებიდან, ჩვენ შემთხვევაში – სოციალური ნორმებიდან, რომლებიც მაგ. აწესრიგებენ სამუშაო დროსა და მუშების მიყვანას სამუშაოზე. მე უნდა ვიცოდე ეს ნორმები მათს თანმხლებ პირობებთან ერთად, რათა გავიგო თუ როდის შეიძლება მოცემული მოვლენის გამოყენების შემთხვევად ინტერპრეტირება: „მე ვხედავ, რომ ჰანსი სამუშაოდან ბრუნდება“ ნიშნავს, რომ მე დაკვირვებულ მოვლენას ვგებულობ როგორც ნორმის შესრულებას, როგორც გარკვეულ ქმედებას, ე.ი. როგორც „სამუშაოდან დაბრუნებას“. მოქმედების „ხედვა“ ან „დაკვირვება“ ანდა „აღქმა“ გულისხმობს მუდამ გაგებას ნორმისას (ე.ი. მოქმედის შესაბამისი ინტენციისას) და მოძრაობათა (ანდა მდგომარეობათა) გაგებას გაგებული მოქმედების წესის (ე.ი. ინტენციის) შუქზე.

გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაშვებული უნდა იქნას თუ არა ინტენციონალური ქმედება მეთოდოლოგიურად, შედეგი სწორედ გამოცდილების მოდუსის მხრივ მოსდევს. ეს ვლინდება ზომვის პრობლემის[1] სიბრტყეზე; გაზომვები იმას ემსახურებიან, რომ გამოცდილებანი მონაცემებად გარდაიქმნან, რომლებიც შემდგომში დააკმაყოფილებს ინტერსუბიექტური საიმედობის მოთხოვნებს და საფუძვლად შეიძლება დაედოს თეორიული დებულების ემპირულ ვარგისობაზე პრეტენზიას. შესაბამისი სისტემა საიმედოდ შესწავლილი გაზომვის ძირითადი ოპერაციებისა, როგორიც ხელთა გვაქვს მოძრავი სხეულებისთვის (ანდა მასის წერტილებისათვის), არა გვაქვს ისეთი საგნებისთვის, რომლებიც მსგავსად მოქმედებებისა ხელმისაწვდომია მხოლოდ საზრისის გამგებ გამოცდილებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაკვირვებები, რომლებიც ნივთი–ხდომილება–ენა დესკრიპტული წინადადებებით შეიძლება გამოითქვას, ექვემდებარებიან ისეთ ხერხებს, რომლებიც აღიარებულია და დაიყვანება ფიზიკურ გაზომვაზე, ხოლო ისეთი სიმბოლური წარმონაქმნების საზრისგამგები განმარტება როგორიცაა მოქმედებები, რომლებიც პერსონა-გამომთქმელი ენის დესკრიპტული წინადადებებით გამოიხატება, იმგვარადვე როდი ექვემდებარება საიმედო ოპერაციონალიზაციას. სიმბოლიზირებული საზრისის გაზომვა აქამდე ad hoc ხერხებს ევალებათ, რომლებიც საბოლოო ინსტანციით დამოკიდებულნი

[1] შეად. A.V. Cicourel, Method and Measurement, San Francisco 1965 (deutsch Ffm. 1970)

არიან წინარემეცნიერულ, ყოველ შემთხვევაში ჰერმენევტიკულად დისციპლინირებულ ენის გაგებაზე. თითოეულს, ვინც კი ფლობს ბუნებრივ ენას, შეუძლია კომუნიკაციური კომპეტენციის წყალობით, ნებისმიერი საზრისიანი გამოსახულება ძირეულად გაიგოს და სხვასაც გააგებინოს, ე.ი. ინტერპრეტაცია უყოს. რა თქმა უნდა, ზოგი სხვებზე უფრო გაწაფულია: ჰერმენევტიკა ხელოვნებაა და არა მეთოდი.[1] ჩვენ გაზომვის მეთოდების ნაცვლად ვიყენებთ ჰერმენევტიკას, ინტერპრეტაციის ხელოვნებას; მაგრამ იგი არც ერთი არ არის. სწორედ სალაპარაკო ენის კომუნიკაციური თეორია შეიძლებდა საზრისიდან გაზომვის მთავარი ოპერაციების წარმართვას, რადგან იგი ჰერმენევტიკულ ხელოვნებას დოქტრინასავით არ უძღვება და უბრალო დისციპლინირებას არ ეწევა კომუნიკაციური კომპეტენციის ბუნებრივი უნარისა, არამედ განმარტავს მას.

გ) *კონვენციონალიზმი ესენციალიზმის წინააღმდეგ* როგორაც უნდა გადაწყდეს სიმბოლურ გამოსახულებათა გაზომვის პრობლემა, ქმედების თეორიის გამოცდილების საფუძველი განსხვავებული რჩება მკაცრი ქცევის მეცნიერული თეორიიდან. საზრისულად სტრუქტურირებული გამოსახულების აღწერის, გამოთქმული წინადადებისა თუ მოქმედების შესატყვისობის შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტის ცოდნასთან მიმართებაში, რომელმაც ეს გამოთქმები შექმნა. მოქმედების უნარმქონე სუბიექტი იქნებ მრავალ შემთხვევაში ეკსპლიციტურად არ მიუთითებდეს იმ ნორმებზე, რომლებითაც თავის ქცევას წარმართავს, მაგრამ რამდენადაც იგი ნორმებს ფლობს და მათ მისდევს, მას წესების იმპლიციტური ცოდნა აქვს; ამ ნოუ ჰაუს საფუძველზე მას შეუძლია პრინციპულად გადაწყვიტოს, შესაძლებელია თუ არა მოცემული ქცევის რეაქცია საერთოდ ნაცნობი წესის ე.ი. ქმედების შუქზე გავიგოთ; იგი გარკვეულ პირობებში განსაზღვრულ ნორმას შეესატყვისება თუ მისგან უხვევს; და რა ხარისხით უხვევს იგი ამ პირობებში მთავარ ნორმას. ასევე ექცევა იგი ენობრივ გამოთქმებსაც. კომპეტენტურ მოლაპარაკეს თუკი საერთოდ აქვს ეკსპლიცირებული ბუნებრივი ენის გრამატიკული წესები, რომელთა მიხედვითაც იგი წინადადებებს ადგენს და იგებს, მაშინ საუკეთესო შემთხვევაში ძალზე არასრულია ხოლმე ამგვარი ეკსპლიცირება. მიუხედავად ამისა თითოეული საკმარისად სოციალიზირებული მოლაპარაკე ფლობს ნოუჰაუს, რომელიც საკმარისია, რათა ფონეტიკური გამოთქმები უბრალო ჩქამიდან გავარჩიოთ, სინტაქსურად სწორად ჩამოყალიბებული და სემანტიკურად საზრისიანი წინადადებები დამახინჯებული წინადადებებისგან განვასხვავოთ და ისინი მათი წესებიდან გადახვევის ხარისხთა მიხედვით შედარებითი მეთოდით დავალაგოთ. ამ ინტუიტურად მოცემული, მაგრამ მა-

[1] H.G. Gadamer, Wahrheit und Methode, 2. Aufl., Tübingen 1965.

იეტიკურად დასაზუსტებელი წესის ცოდნა კომპეტენტურად მოლაპარაკე და მოქმედ სუბიექტს აძლევს იმ საფუძველგამოცდილებას, რომელსაც უნდა დაემყარონ, მაშინ, როცა მკაცრი ქცევის მეცნიერული თეორიები მხოლოდ დაკვირვების მონაცემებიდან ღებულობენ ინსტრუქტაჟს. ამ გარემოებიდან გამომდინარეობს შედეგიანი დიფერენცი ამ თეორიების აგებისა და იმ მიმართებისთვის, რომელიც მათ თავიანთ შესატყვის ობიექტის სფეროსთან აქვს.

თეორიები, რომლებმაც ჯერარს მხოლოდ საზრისის გაგებისთვის ხელმისაწვდომი ფენომენები ე.ი. ენისა და ქმედების უნარმქონე სუბიექტის გამოთქმები განმარტონ, იმ წესის ცოდნათა სისტემურ ეკპლიკაციებს უნდა დაემყარონ, რომელთა საშუალებითაც კომპეტენტურად მოლაპარაკე და მოქმედი თვითონ ქმნის თავის გამოთქმებს.

თეორიის შექმნა წესების სისტემის ქარგაზე გამოჭრილი ის კონსტრუქციაა, რომლის კვალადაც წარმოიშობა საზრისულად კონსტრუირებული გამოსახულებები, წინადადებები და მოქმედებები. მაგრამ წარმომშობ წესებს ვერ ამოვიკითხავთ უშუალოდ გამოთქმების ზედაპირული სტრუქტურებიდან. როგორც გრამატიკის შემთხვევაში, აქაც შეიძლება ლაპარაკი იყოს იმ სიღრმისეულ სტრუქტურებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ზედაპირულ სტრუქტურებს თუმც კი იგი როგორც ნოუჰაუ იმპლიციტურად იცის კომპეტენტურმა მოლაპარაკემ. მიზანი წესების სისტემათა ჰიპოთეზური კვალადკონსტრუქციაა, რომლითაც ჩვენ ავხსნით გაგებითი ზედაპირული სტრუქტურების წესით წარმართულ წარმოშობის შინაგან ლოგიკას. თუ ახლა იქიდან ამოვალთ, რომ დაკვირვებადი ხდომილებების (ქცევის რეაქციები) წესზომიერებები გაგებითს ზედაპირულ სტრუქტურებს შეესატყვისებიან, მაშინ შესაძლებელია კვალადკონსტრუქცია, ზედაპირული სტრუქტურების საფუძვლადმდებარე აბსტრაქტულ წესების სისტემას შევუდაროთ, რომლიდანაც ემპირულ წესზომიერებათა „საფუძვლადმდებარე" ბუნების კანონები გამოგვყავს. შედარება საცნაურს ხდის ორივე კლასის თეორიას შორის სტატუსში სხვაობას. ჰიპოთეტურ კვალადკონსტრუქციას თითქმის ესენციალისტური პრეტენზია აქვს, მაშინ როცა გამოცდილების მეცნიერული თეორიების ნომოლოგიური ტიპისთვის ასეთი რამ უცხოა. ნომოლოგიური გამოთქმის სისტემის საფუძველცნებები, რამდენადაც ისინი ეხებიან ფიზიკალურად გაზომვადი ხდომილებების ობიექტთა წრეს, წინდაწინ უნდა იქნას კონვენციონალურად შემოტანილი. ისინი თეორიულ ენობრივ კონსტრუქციას ემსახურებიან, რომელმაც თავისი სისწორე უნდა დაამტკიცოს იმით, რომ დამოწმების უნარმქონე დადგენილი ჰიპოთეზებიდან ამოვიდეს. რასაკვირველია, შეიძლება ითქვას, რომ ნომოლოგიური ჰიპოთეზები, თუკი ისინი სწორია, ფიზიკალისტურად თუ ქცევის მეცნიერულად გასაგნებული სინამდვილის კონსტრუქციებს შეესატყვისებიანო (ანდა გასაგნებულ სინამდვილეში ინვარიან-

ტულობებს წვდებიანო). მაგრამ შეუძლებელია იმის თქმა, რომ იგი უბრალოდ რეკონსტრუქციას ახდენს იმ ინტუიტური ცოდნისა, რომელიც ყოველთვის უკვე აქვს ამ სინამდვილის კომპეტენტურ დამკვირვებელს; პირიქით ასეთი წარმომაელობის შემეცნებები წესში კონტრაინტუიტივურნი არიან.

ამის საპირისპიროდ ენისა და ქმედების სუბიექტის წესის ცოდნათა რაციონალური კვალადკონსტრუქცია ეგზომ ესენციალისტურ პრეტენზიას აყენებს. საფუძველცნებები, რომლებიც ოპერატიულად ქმედითი გენერაციული წესების კავშირმიმართებათა რეკონსტრუქციას უნდა მოემსახურონ, კონვენციონალურად შემოტანილნი კი არ არიან, უფრო მეტი, იმ კატეგორიებს ემყარებიან, რომლებიც თვითონ მწარმოებელი სუბიექტის მიერ მისივე თვითგაგებიდან არიან აღებულნი. ესენციალისტურ მომენტს, მე იმაში ვხედავ, რომ ჰიპოთეტური კვალადკონსტრუქციები, როცა ისინი სწორი არიან, შეესატყვისებიან არა გასაგნებული სინამდვილის სტრუქტურებს, არამედ კომპეტენტურად მსჯელი სუბიექტის იმპლიციტურ ცოდნაში არსებულ სტრუქტურებს; სწორედ ოპერატიულად ქმედითი წესებია, რომელთა ამგვარი ექსპლიცირება ჯერარს.

მას შემდგომ, რაც მეთოდოლოგიური გადაწყვეტილება საზრისის როგორც სოციალურ მეცნიერული საფუძველცნების დაშვება-არდაშვების თაობაზე, სამი მეთოდოლოგიურად შედეგიანი დასკვნით განვმარტე, შემიძლია წინასწარ გავმიჯნო ერთმანეთისაგან თეორიის ქმნის ობიექტივისტური და სუბიექტივისტური საწყისები. სუბიექტივისტური მე შემიძლია ეუწოდო თეორიის პროგრამას, რომელიც საზოგადოებას მოსახავს, როგორც საზრისულად კონსტრუირებულ ცხოვრებისეულ მიმართებებს; კერძოდ კი – როგორც სიმბოლურ გამოსახულებებსა და სტრუქტურებს, რომლებიც განუწყვეტლივ წარმოიშობიან საფუძვლად მდებარე აბსტრაქტული წესების მიხედვით; თეორია მიზნად ისახავს წარმოშობის პროცესის რეკონსტრუქციას, რომლითაც ჩნდება საზრისულად კონსტრუირებული საზოგადოებრივი სინამდვილე. ამისდა საპირისპიროდ ობიექტივისტურს ისეთი თეორიის პროგრამას ვუწოდებთ, რომელსაც საზოგადოება არ ესმის შიგნიდან როგორც მისი სიცოცხლის პროცესის კონსტრუქციის მოვლენა, ე.ი. როგორც საზრისული სტრუქტურების წარმოშობა, არამედ იგი მას განიხილავს გარედან როგორც ბუნებრივ პროცესს, რომლის დაკვირვებაც შეიძლება თავის წესზომიერებებში და რომლის განმარტებაც შესაძლოა ნომოლოგიური ჰიპოთეზების დახმარებით. ამ თვალსაზრისით ობიექტივისტურია ყველა მკაცრი ქცევის მეცნიერული თეორია, მაგალითად, კლასიკური სწავლის თეორია. მე არ მინდა ახლა არჩევანი გავაკეთო ამ ორ კონკურენტ საწყისს შორის. იმაზე მინიშნებით დავკმაყოფილდები, რომ მის ფარგლებში შემუშავებული თითოეული ნაყოფიერი ობიექტივისტური თეორიის პროგრამა დგება სიძნელეების წინაშე, რომლებიც იქიდან გა-

მომდინარეობენ, რომ იგი წინასწარ ჭვრეტს, მეთოდურად, საზოგადოებრივი სინამდვილის სიმბოლური წინარესტრუქტურიდან. ეს სიძნელენი თავს იჩენენ სიკურელისა და სხვების მიერ გაზომვის პრობლემის გარჩევის სიბრტყეზე ქმედების ქცევაზე დაყვანის მცდელობისას.[1] ეს კარგად ჩანს, ასე ვთქვათ, წარუმატებლად მიჩნეულ მცდელობაში ბიპევიორისტული ენის თეორიის შემუშავებისა. ამ დისკუსიაში შესვლა არ მინდა. ნაცვლად ამისა, მომდევნო ლექციებში შემოვიფარგლები სუბიექტივისტური თეორიის პროგრამით. საზოგადოების წარმოშობის თეორიები დამატებით სიძნელეებს უნდა ებრძოლონ. ამ ჯურის თეორიის პროგრამამ სახელდობრ სამ შეკითხვას უნდა უპასუხოს. დავუშვათ საზოგადოება გაგებულია როგორც შექმნის პროცესი საზრისულად სტრუქტურირებული სინამდვილისა, მაშინ ა) ვინ არის ამ შესაქმის სუბიექტი, ანდა საერთოდ არსებობს კი იგი? ბ) როგორ უნდა გავიაზროთ შექმნის პროცესის მოდუსი: როგორც შემმეცნებელი მოღვაწეობა (კანტი, ჰეგელი), როგორც ენობრივი გამოხატულება (ჰუმბოლდტი) თუ როგორც ლტოლვა (ფროიდი)? და ბოლოს გ) საფუძველმდებელი წესების სისტემა, რომლითაც ხდება საზოგადოებრივი სინამდვილის კონსტრუირება საზოგადოების ყოველი სისტემისთვის ინვარიანტულია, თუ ამ აბსტრაქტული წესების სისტემის ისტორიული განვითარებაც ხდება და იქნებ ამ განვითარების შინაგანი ლოგიკაც არსებობს, რომლის თვით რეკონსტრუირებაც არის შესაძლებელი?

ვიდრე ერთმანეთს შევუპირისპირებდე პასუხების ტიპოლოგიას, რომლებიც საზოგადოების შექმნის მნიშვნელოვანმა თეორიებმა ზემოთ დასმულ კითხვებზე გასცეს, მინდა ძალზე მოკლედ გავარჩიო კიდევ ორი ცნების სტრატეგიული საფუძველგადაწყვეტილება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-მეცნიერული თეორიის შექმნისთვის.

მეორე მეტათეორიული გადაწყვეტილება მდგომარეობს შემდეგში: როგორ უნდა მოხდეს ინტენციონალური ქმედების როგორც საზოგადოების თეორიის საფუძველცნების კონცეპტუალიზება, მიზანრაციონალური თუ კომუნიკაციური ქმედების ფორმით. ჯერ ნება მომეცით ქმედების ეს ორი ტიპი დავახასიათო წესების იმ სტატუსთან მიმართებაში, რომლებიც მათ თითოეულ შემთხვევაში წარმართავენ. მიზანრაციონალურ ქმედებად მესმის ინსტრუმენტული ქმედება ან რაციონალური არჩევანის მართვა, ანდა ორივეს კომბინაცია. ინსტრუმენტული ქმედება მიმართულია ტექნიკურ წესებზე, რომლებიც ემპირულ ცოდნას ეფუძნებიან. ისინი თითოეულ შემთხვევაში შეიცავენ დაკვირვებადი ხდომილებების პირობადებულ პროგნოზებს; სულ ერთია, ეს ხდომი-

[1] N. Malkolm, Intentional Activity Cannot be Explained by Contingent Causal Laws, in: L.I. Krimerman (Ed), The Nature and Scope of Social Science, N.Y. 1969, pp. 334-350; ამავედროს: Th. Mishel, Psychologische Erklärungen, Ffm. 1981.

ლებები ფიზიკურია თუ სოციალური; ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ მნიშვნელოვანნი ან უმნიშვნელონი. რაციონალური არჩევანის მართვა შეესწორება ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც ანალიტიკურ ცოდნას ეფუძნებიან.[1] ისინი შეიცავენ პრეფერენცწესებიდან (ფასეულობათა სისტემებიდან) და გადაწყვეტილებათა მაქსიმებიდან გამოყვანილ გამოთქმებს; ეს წინადადებები ან სწორნი არიან ან არასწორნი. მიზანრაციონალური ქმედება განსაზღვრულ მიზანს ახორციელებს მოცემულ პირობებში. მაგრამ მაშინ, როცა ინსტრუმენტული ქმედება ეწევა საშუალების ორგანიზებას, რომელიც პასუხობს ან არ პასუხობს სინამდვილის ქმედითი კონტროლის კრიტერიუმებს, სტრატეგიული ქმედება მხოლოდ ქცევის ალტერნატივების კორექტულ შეფასებაზეა დამოკიდებული, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დედუქციის გზით წარმოიშობა ფასეულობებისა და მაქსიმების ხელშეწყობით.

კომუნიკაციურ ქმედებად, მეორე მხრივ, მესმის სიმბოლურად გაშუალებული ინტერაქციები. ისინი შეესწორებიან მავალდებულებელ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ორმხრივი ქცევის მოლოდინებს და სულ ცოტა ორი მოქმედი სუბიექტის ურთიერთგაგება და ურთიერთაღიარებაა. საზოგადოებრივი ნორმები სანქციებითაა გამაგრებული. მათი მნიშვნელადი შინაარსი ობიექტივირდება სიმბოლურ გამოსახულებებში და ხელმისაწვდომია მხოლოდ და მხოლოდ სალაპარაკო ენის კომუნიკაციაში. მაშინ როცა ტექნიკური წესების და სტრატეგიების ქმედითობა დამოკიდებულია ემპირულად ჭეშმარიტი ანდა ანალიტიკურად სწორი წინადადებების კანონიერებაზე, საზოგადოებრივი ნორმების მნიშვნელოვნება უზრუნველყოფილია იმ ინტერსუბიექტური აღიარებით, რომელიც ეფუძნება ფასეულობითს კონსენსუსსა თუ ურთიერთგაგებებს. ორივე შემთხვევაში სხვადასხვაა წესის დარღვევის შედეგები. არაკომპეტენტური ქცევა, რომელიც არღვევს გამოცდილ ტექნიკურ წესებსა თუ სწორ სტრატეგიებს, თავისთავად უკუგდებულია მარცხის გამო; „სასჯელი," ასე ვთქვათ, თვითონ რეალობასთან განცდილ მარცხშია ჩაქსოვილი. დერივატული ქცევა კი, რომელიც არღვევს მნიშვნელად ნორმას ისეთ სანქციებს იწვევს, რომლებიც მხოლოდ ზედაპირულად, სახელდობრ კონვენციონალურ წესებთანაა დაკავშირებული. მიზანრაციონალური ქმედების განსწავლული წესები გვანიჭებს ჩვევათა დისციპლინას, პიროვნების შინაგან სტრუქტურებთან გაშინაგნებულ ნორმებს. ჩვევები უნარს გვანიჭებენ, რათა პრობლემები გადავწყვიტოთ; ხოლო მოტივაციები ნებას გვაძლევენ ნორმებთან თანხმობით ვიმოქმედოთ. ქვემორე დიაგრამა აჯამებს ამ განსაზღვრებებს; საჭიროა მათი გამოწვლილვითი ექსპლიკაცია, რასაც ახლა არ ვკიდებ ხელს.

---

[1] შეად. ჩომსკის მიერ სკინერის კრიტიკა წიგნში: J.A. Fodor, J.J. Katz (Eds.) The Structure of Language, Englewood Cliffs 1964, pp.547-578.

ცხრ. I მოქმედების წესები

	საზოგადოებრივი ნორმები	ტექნიკური და სტრატეგიული წესები
დეფინიციის ენობრივი საშუალება	ინტერსუბიექტურად განაწილებული სალაპარაკო ენა	უკონტექსტო ენა
დეფინიციის ელემენტები	ურთიერთდაკავშირებული ნორმატიული ქცევის მოლოდინები	პირობადებული პროგნოზი პირობადებული იმპერატივი
მოპოვების მექანიზმები	როლების ინტერნალიზაცია	ჩვევების შესწავლა და კვალიფიკაცია
მოქმედების ტიპის ფუნქცია	ინსტიტუტების მხარდაჭერა (ნორმებთან კონფორმულობა ურთიერთგანმტკიცების საფუძველზე)	პრობლემის გადაწყვეტა (მიზნის მიღწევა განსაზღვრული მიზან-საშუალების მიმართებად,
წესის დარღვევის სანქციები	კონვენციონალური სანქციების საფუძველზე დასჯა: საზოგადოებრივი ავტორიტეტის მარცხი	უშედეგობა: რეალობასთან წაგება

სოციალურ-მეცნიერული თეორიის შექმნის ალტერნატივაც არსებობს: ისე განსაზღვროს თავისი საგნების წრე, რომ მასში წავაწყდეთ ან მხოლოდ სტრატეგიულ ქმედებებს, ანდა – ქმედებათა როგორც კომუნიკატორულ ისე სტრატეგიულ ტიპს. სტრატეგიული ქმედება შეიძლება გავიგოთ როგორც კომუნიკაციურის საზღვრითი შემთხვევა, როცა ირღვევა პარტნიორებს შორის სალაპარაკო ენის კომუნიკაცია როგორც თანხმობის გარანტი და ისინი ერთმანეთისადმი მაობიექტივირებელ პოზიციას იჭერენ. მაგრამ სტრატეგიულ ქმედებას მიზანრაციონალური საშუალების არჩევის ისეთი წესები უდევს საფუძვლად, რომელსაც თითოეული პრინციპულად მარტოდმარტო იღებს თავის თავზე. ქცევის მაქსიმებს ინტერესები განსაზღვრავენ: შეჯიბრის ჩარჩოებში მოხდეს სარგებლის მაქსიმიზაცია, ხოლო დანაკარგები მინიმუმამდე დავიდეს. ამასთანავე, მისი საპირწონე აღარ არის alter ego, რომლის მოლოდინებს ვასრულებ (ან ვარღვევ) ინტერსუბიექტურად აღიარებული ნორმების თანახმად. პირიქით იგი არის მოწინააღმდეგე, რომელზე არაპირდაპირ ზეგავლენასაც დაშინებისა თუ დაჯილდოების გზით ვესწრაფვი. ინსტრუმენტული მოქმედებები საერთოდ არ არიან სოციალური მოქმედებები; ისინი შესაძლოა იყონ სოციალური მოქმედებების (ე.ი. როგორც როლების განსაზღვრებათა) შემადგენელი ნაწილე-

ბი. თუ მარტო სტრატეგიულ მოქმედებებს დავუშვებთ, შევიმუშავებთ მაგალითად, გაცვლის თეორიებს; თუკი მასთან ერთად კომუნიკაციურ მოქმედებებსაც დავუშვებთ, შეეძლებთ შევიმუშაოთ ვებერის ან პარსონსის ყაიდის კონვენციონალური თეორიები.

მესამე მეტათეორიული გადაწყვეტილება, რომელსაც ასევე დიდი მნიშვნელობის მქონედ მივიჩნევ, შემდეგში მდგომარეობს: როგორი საწყისის არჩევა ხამს ელემენტარისტურის თუ ე.წ. ჰოლისტურის. მე დაწვრილებით არ შევჩერდები ამ ძალზე ფართო დისკუსიაზე.[1] მიმაჩნია, რომ ორივე ცნებითი სტრატეგია განხორციელებადია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველ მოცემულ თეორიას თავისი საკუთარი გამოყენების სფერო და კაპაციტეტი აქვს. ელემენტარისტული საწყისი მოქმედების თეორიათა სიბრტყეზე მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის ფორმას იღებს. ჯ.ე. უეთკინსი (ისევე როგორც პოპერი) ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ პოსტულატს აყალიბებს: ა) სოციალური სამყაროს ელემენტური შემადგენელი ნაწილებია ინდივიდუალური ხალხი, რომელიც მეტ-ნაკლები ადეკვატურობით მოქმედებს თავიანთი ხასიათისა და სიტუაციის მათეული გაგების შუქზე (I.c. გვ. 604). ამრიგად, ყველა სოციალური ფენომენი უნდა გაანალიზდეს ცალკეული სუბიექტის მოქმედებებზე გამონათქვამების სახით. გამონათქვამები თეორიული ენის ფორმაში, რომლებშიც გვხვდება ისეთი ზეინდივიდუალური არსობრიობების შესახებ გამონათქვამები, როგორიცაა როლები, ინსტიტუტები, ფასეულობათა სისტემები და ტრადიციები, დაუშვებელია, თუკი შეუძლებელია მათი დაყვანა სხვა თეორიული ენის გამონათქვამებზე, რადგან მხოლოდ და მხოლოდ იგია მოქმედი სუბიექტის პრედიკატების, გამოხატულებებისა და მოტივაციების ადგილსამყოფელი. მეორე პოსტულატი იუწყება ბ) არ არსებობს არც ერთი სოციალური ტენდენცია, რომლის შეცვლაც არ შეიძლებოდეს თუკი ინდივიდს სურს როგორც მისი შეცვლა, ისე ადეკვატური ინფორმაციის მიღება (I.c.605). ამ დაბეჯითებით მტკიცებას იმ ფილოსოფიური ვარაუდის სტატუსი აქვს, რომელსაც მიაჩნია, რომ ენისა და მოქმედების უნარმქონე სუბიექტები ერთადერთი მამოძრავებელი ძალაა სოციალური სისტემების საზოგადოებრივი განვითარებისა. სოციალური ცვალებადობა მაშინ და მხოლოდ მაშინ აიხსნება სუბიექტივისტური ერთობის (როგორიცაა სისტე-

---

[1] შეად. კრიმერმანი, 1969წ., ნაწ. VII, გვ. 585, უოთკინის, გოლდენშტაინისა და მანდელბაუმის სტატიებს.

მები, ჯგუფები, სტრუქტურები) თვისებების საფუძველზე, თუკი ეს სუბიექტივისტური თვისებები ინდივიდუალურად ენისა და მოქმედების უნარმქონე სუბიექტების თვისებებზე დაიყვანება. მოქმედების ინდივიდუალისტური თეორიების საპირისპირო პოზიცია ყალიბდება სოციალურ-თეორიული სისტემური თეორიის (პარსონსი, ლუმანი) სახით, რომელიც ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სუბიექტურად ნაგულისხმევი საზრისის შესახებ მნიშვნელადი ნორმების კონტექსტი იმ სუბიექტებიდან გამომდინარეობს, რომლებიც ნორმის თანახმად მოქმედებენ. სისტემები შემოიტანება როგორც ისეთი ერთიანობანი, რომლებიც ობიექტურად დასმულ პრობლემებს ზესუბიექტური სწავლების პროცესიას[1] საშუალებით გადაჭრიან.

სოციალ-მეცნიერული ცნებითი სტრატეგიის ამოსარჩევად დასახელებული სამი ალტერნატივა გვთავაზობს გამოსადეგ თვალსაზრისებს უმნიშვნელოვანესი თეორიული საწყისების კლასიფიკაციისათვის (ცხრ.2).

ახლა არ მინდა შევამოწმო განსხვავებული თეორიული საწყისების შედარებითი წარმატების უნარმქონეობა. მიმოხილვის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ დავალაგო საზოგადოების შექმნის ჩემთვის საინტერესო თეორიები. ცხადია, ისინი არ განეკუთვნებიან მკაცრი ქცევის მეცნიერულ თეორიებს; ასევე არ არიან ისინი სტრატეგიული ქმედების თეორიები. ამ თეორიაში შედის რაციონალური ვარაუდები, რომლებიც მცირე გამონაკლისის გარდა, (მიახლოებით) შეესატყვისებიან საზოგადოებრივ რეალობას. ნორმატიულ-ანალიტიკური სტატუსის მქონეა როგორც რაციონალური არჩევანის თეორია, ისე სოციალურ კიბერნეტიკული მოდელები. მათი გამოყენება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, რომ მოქმედი სუბიექტები რაციონალურად იქცევიან და მათს ქმედებებს ფაქტიურად საფუძვლად უდევს ნაგულისხმევი ქცევის მაქსიმები ე.ი. - იმ პირობით, რომ თვითმოწესრიგებული სისტემები ზუსტად ასტაბილიზებენ იმ მდგომარეობას, რომელიც კონვენციონალურად შემოიტანება როგორც ჯერარსული მდგომარეობა.

---

[1] შედ. Luhmann, Zweckbegriff und Systemrationalität, Tübingen 1968.

ცხრ. 2 სოციალურ-თეორიული საწყისები

მოქმედების თეორიული ძირითადი ცნებები თეორიული საწყისი	საზრისი არ არის დაშვებული	როგორც საფუძველცნება დაშვებულია	
	ქცევა	სტრატეგიული ქმედება	კომუნიკაციური (და სტრატეგიული) ქმედებები
ელემენტარისტული	ბიქეიორისტულ- ფსიქოლოგიური (მაგ. სწავლის თეორია)	რაციონალური არჩევანის თეორიები	„გამგები" სოციოლოგიები (მაგ. ეთნომეთოდოლოგია)
ჰოლისტური	ბიოლოგიური სისტემთეორია	სოციალური კიბერნეტიკა (მაგ. ორგანიზაციის სოციოლოგია)	სტრუქტურალისტური და ფუნქციონალისტური სისტემთეორიები; სიმბოლური ინტერაქციონიზმი.

საზოგადოების შექმნის თეორიები შესაძლოა ამ ტიპს არ განეკუთვნებოდეს, ვინაიდან მათ აქვთ პრეტენზია, საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესი მთლიანად მოიცვან; სახელდობრ—თავის ფაქტიურობაში როგორც საზრისსტრუქტურების განსრულება. მათ არ აკმაყოფილებთ რეალობის ნაჭრები, რომლებიც რაციონალობის მოდელებს უნდა შეემსგავსონ. ე.ი. არ აკმაყოფილებთ ნორმატიულ-ანალიტიკური სტატუსი. ამრიგად, ისინი იმ თეორიების ტიპს უნდა განვაკუთვნოთ, რომელიც მოცემული დიაგრამის მარჯვენა სვეტში ჩანს.

ამ ჩარჩოებში საზოგადოების შექმნის თეორიების ერთმანეთისგან განსხვავება რომ შეეძლოთ, მინდა, ისევ დავსვა ის შეკითხვები, რომლებიც ადრეულ დავაყენე საზრისულად სტრუქტურირებული ცხოვრებისეული ურთიერთმიმართებების წარმოშობის ცნებებთან მიმართებაში. თუ ჩემი ხედვა მართებულია, მაშინ შეგვიძლია, შევეცადოთ საზოგადოების გაჩენის პროცესი შემდეგი მოდელების საფუძველზე ნათელვყოთ.

პირველი მოდელი შემმეცნებელი ანდა „მსჯელი" სუბიექტისაა. კანტმა ზოგადად გამოიკვლია შემეცნების გამოცდილების აუცილებელი სუბიექტური პირობები და ამასთანავე შემოიტანა გამოცდილების სა-

განთა კონსტიტუირების ცნება. ჰუსერლმა ამისდაკვალად ყოველდღიური ცხოვრების სამყაროს კონსტრუირების კონტურები მოხაზა, რომელშიც გამოცდილებებს ვიძენთ, საგნებსა და პერსონებს ვეპყრობით და მოქმედებებს ვასრულებთ. ალფრედ შიუტცმა აქედან საზოგადოების კონსტიტუირების თეორია შექმნა. შემეცნების თეორიიდან საზოგადოების ფენომენოლოგიური თეორიის წარმოშობა არის მისი მოწაფეების ბერგერისა და ლუკმანის ცნობილი გამოკვლევის სახელწოდება; ორივენი ლაპარაკობენ სინამდვილის სოციალურ კონსტრუქციაზე (social construktion of reality). საზოგადოების წარმოქმნის პროცესი მათ ესმით სინამდვილის შესახებ ხატების შექმნის პროცესად, რომლითაც ურთიერთორიენტირებენ სუბიექტები თავიანთ გარემოში. ამიტომ ბერგერისა და ლუკმანისთვის სოციოლოგია და ცოდნის სოციოლოგია არსებითად ერთი და იგივეა; საზოგადოებრივი რეალობის კონსტიტუირება ემთხვევა ქმედებაზე ორიენტირებული მსოფლხატების წარმოქმნას. კონსტიტუციური თეორიები შექმნის პროცესს მოღვაწე სუბიექტს მიაწერენ. იგია ემპირული ცალკე სუბიექტის ინტელიგიბელური ალიკვალი, როგორც ჰეგელთან და მარქსთან არის ანდა შეიძლება იგი საზოგადოებრივად თვითკონსტიტუირებადი გვარსუბიექტი იყოს, როგორც საზოგადოების დიალექტიკურ თეორიებშია. ჩვენ კვლავ ვნახავთ, რომ სწორედ ინდივიდუალური („ტრანსცენდენტალური") ცნობიერების ანდა კოლექტიური ცნობიერების ცნებაა, რაც სპეციფიკურ სიძნელეებს გვიმზადებს, როცა იგი შესაძლო გამოცდილების სამყაროს კონსტიტუციური მოდელიდან საზოგადოებაზე გადააქვთ.

მეორე და მესამე მოდელები, რომლითაც საზოგადოების წარმოქმნის პროცესის გააზრება შეგვიძლია, ზემოთ დახასიათებულის საპირისპიროდ უსუბიექტო წესების სისტემაა. ერთი მხრივ ვგულისხმობ სტრუქტურალისტურ სოციალურ ანთროპოლოგიას, მეორე მხრივ კი – სოციოლოგიურ სისტემის თეორიას. როგორც სტრუქტურალიზმს, ისე სისტემურ თეორიას, საზოგადოება ისე ესმის, რომ მას წარმოშობს მაფუძნებელი სტრუქტურები სიმბოლურ გამოსახულებებად თუ ინფორმაციის ნაკადთა კავშირმიმართებებად. სიღრმისეული სტრუქტურები ორივე შემთხვევაში უობიექტოა. ისინი წარმოადგენენ ანონიმური წესების სისტემას, რომელიც სტრუქტურალიზმში ენის გრამატიკის ქარგაზე გამოისახება, ხოლო სისტემის თეორიაში – თვითრეგულირებული სისტემისა. ერთგან სოსიურის სახელთან დაკავშირებულმა ლინგვისტურმა სტრუქტურალიზმმა იქონია ზეგავლენა, მეორეგან – მანქანურმა კიბერნეტიკამ, რომელიც ორგანიზმებზეც გაავრცელეს. საფუძვლადმდებარე სტრუქტურები ისევეა უსუბიექტო, როგორც გრამატიკა, რომელიც საფუძვლად უდევს ბუნებრივ ენასა თუ თვითმართვად ავტო-

მატს. ის, რაც თავიდან უპირატესობად გვეჩვენება, თავისებურ სისუსტედ წარმოგვიდგება; როგორც კონსტიტუციური მოდელი არ მიგვითითებს გზას, რომელიც მოღვაწე სუბიექტის მონადური ნაჭუჭიდან გაგვიყვანს, ისევე არ შედის საზოგადოების სიმბოლურ მოდელში მოლაპარაკე და მოქმედი სუბიექტი, ყოველისუწინარეს — მათ შორის არსებული ურთიერთობები. გრამატიკული წესების სისტემა საჭიროებს კომპეტენტურ მოლაპარაკეს, რომელიც შემოდის, რათა მას აქტუალიზაცია უყოს, მაშინ როცა ავტომატი თვით მართავს თავის თავს და მომსახურე სუბიექტს არ საჭიროებს. არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში ეს პარადიგმა არ გამოდგება ინტისუბიექტურად მავალდებულებელი კავშირების წარმოშობის დასაზუსტებლად.

საამისოდ ახლა მეოთხე მოდელად გვთავაზობს თავის თავს *სალაპარაკო ენის კომუნიკაციის მოდელი* (მეტყველება და ინტერაქცია). ამასთანავე ლაპარაკია ურთიერთშორის ლაპარაკისა და ურთიერთმოქმედების სიტუაციათა წარმოშობაზე ანუ შესაძლო ურთიერთგაგების ინტერსუბიექტურ ფორმაზე. საფუძვლად მდებარე აბსტრაქტული წესების სისტემა იმგვარად უნდა მოისახოს, რომ მან ისევე შეძლოს ინტერსუბიექტურად მნიშვნელადი საზრისების საზიარობის პრაგმატული წარმოშობის ახსნა, როგორც - ვიწრო მნიშვნელობით აღებული იმ წინადადებების ლინგვისტური წარმოშობისა, რომლებსაც ვიყენებთ მეტყველების აქტებში როგორც შემეცნების, ისე ქმედების მიზნით. ეს მოდელი უზრუნველყოფს ინტერსუბიექტურ მიმართებათა ჩართვას საზოგადოების წარმოშობის თეორიაში. ამის მაგალითებია ჯორჯ ჰერბერტ მედის როლთა თამაშის სოციალური ფსიქოლოგია და გვიანდელი ვიტგენშტაინის ენის თამაშის თეორია. მართალია, როლებისა და ენის თამაშების საფუძვლადმდებარე გენერაციული წესები ისევე უსუბიექტოდაა მოსახული, როგორც სალაპარაკო გრამატიკის წესების სისტემა, მაგრამ ისინი ისე არიან შექმნილნი, რომ ზედაპირული სტრუქტურებივით არა მხოლოდ ისეთი სიმბოლური სახეების წარმოდგენა შეუძლიათ, როგორიცაა ენობრივი გამოთქმები და მოქმედებები, არამედ—ყოველდღიური სალაპარაკო ენის მედიუმში მყოფი ენისა და ქმედების უნარმქონე სუბიექტებისა. მედის სოციალური ფსიქოლოგია, ამავე დროს, სოციალიზაციის თეორიაცაა. საზრისულ სტრუქტურებში, რომელთა განმარტება საზოგადოების წარმოშობის თეორიას ევალება, პერსონულობის სტრუქტურებთან ერთად ინტერსუბიექტურობის ის ფორმებიც შედიან, რომლებშიც სუბიექტები მეტყველებითა და ინტერაქციით გამოხატავენ თავიანთ თავს.

ამიერიდან მინდა, საზოგადოების *კონსტიტუციის თეორიები* ვუწოდო საზოგადოების წარმოშობის იმ თეორიებს, რომლებსაც ამა თუ იმ სახით დაწანამძღვრებული აქვთ ტრანსცედენტალური სუბიექტი, ხოლო ისეთებს, რომლებიც წარმოშობის პროცესს საფუძვლად უდებენ უსუბიექტო სტრუქტურებს, საზოგადოების *სისტემურ თეორიებს* ვუწოდებდი; და ბოლოს, იმ თეორიებს, რომლებსაც ინტერსუბიექტური მიმართების წარმომშობად წესების აბსტრაქტული სისტემა ეგულებათ, რომლებშიც თვითონ სუბიექტებიც თავიანთ თავს აყალიბებენ, საზოგადოების *კომუნიკაციურ თეორიებს* დავარქმევდი. მადიფერენცირებელ თვალსაზრისად შეიძლება, მიგვეღო ის, რომ ზოგიერთი თეორია უშვებს მოღვაწე სუბიექტის ანუ საფუძვლადმდებარე გენერაციული წესების სისტემის ისტორიულ განვითარებას, მაშინ როცა სხვები ან ტრანსცედენტალურ ნაღვაწთა და კონსტიტუირებულ მოვლენათა შორის მკაცრ დიხოტომიას ემხრობიან, ანდა ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუენტთა რეკონსტრუირებად ისტორიას გამორიცხავენ (იხილე ცხრილი 3).

ამ უხეში მიმოხილვის ინფორმაციული შინაარსი, რა თქმა უნდა, მარჯვენა ქვემოთა ცარიელ უჯრაში დევს. ცხრილი იმ თეორიული საწყისების ერთმანეთისგან გამიჯვნას ემსახურება, რომლებიც დღემდე საბოლოო სახით არ ჩამოყალიბებულან; ისე რომ შესაძლებლობა არა მაქვს გამოკვლევათა ტრადიციით გადმოცემულ კორპუსს დავემყარო. მეორე მხრივ, სულ ცოტა, შემიძლია დავეყრდნო როლთა თამაშის მედისეულსა და ენის თამაშის ვიტგენშტაინისეულ თეორიას, რაკი მათში უკვე არის წინასწარ ჩამოყალიბებული ის უნივერსალური პრაგმატიკა, რომელიც მე საზოგადოების თეორიის სათანადო საფუძვლად მიმაჩნია და რომლის ძირითადი შტრიხების ჩამოყალიბებაც მინდა. მაგრამ წინასწარ მინდა საზოგადოების კონსტიტუციის თეორიის იმ მაგალითით დავიწყო, რომელიც კანტს უკავშირდება. ამ მაგალითზე შევიძლებთ, წინასწარ ნათელვყოთ ის წანამძღვრები, რომლებთანაც მაშინვე ვიჭერთ საქმეს, როგორც კი შეეცდებით საზოგადოების შესწავლის პროცესი მისი წარმოშობის პროცესად გაიაზროთ. ამასთანავე, საზოგადოების კონსტიტუციის თეორიათა სისუსტე თავს იჩენს იმ პრობლემატიკის გარჩევისას, საიდანაც ეს თეორია ამოდის; —ტრანსცენდენტალური ცნობიერების ფილოსოფიის მონოლოგური საწყისიდან ინტერსუბიექტურ მიმართებათა გამოყვანისას.

ცხრილი 3. საზოგადოების წარმოშობის თეორიები

ტიპები / კონსტიტუენტთა ისტორიული განვითარება	კონსტიტუციის თეორიები		სისტემური თეორიები	კომუნიკაციური თეორიები
	ელემენტარისტული	პოლისტური	პოლისტური	პოლისტური
მიუღებელი	ნეოკანტიანობა (რიკერტი, ადლერი) ფენომენოლოგია (პუსერლი, შიუტცი)	რომანტიული სოციალური თეორიები (ო.შპანი)	სტრუქტურალიზმი (ლევი-სტროსი)	სიმბოლური ინტერაქციონიზმი (ჯ.ჰ.მედი) ენის თამაშის თეორია (ვიტგენშტაინი, ვინჩი)
მიღებული	მარქსისტული ფენომენოლოგია (პრაქტიკის ფილოსოფიები)	საზოგადოების დიალექტიკური თეორია (ლუკაჩი, ადორნო)	საზოგადოებრივი განვითარების სისტემური თეორია (პარსონსი, ლუმანი)	

გეორგ ზიმელმა თავისი მთავარი შრომის[1] პირველი თავის განთქმული ექსკურსი მიუძღვნა შემდეგ საკითხს: როგორ არის შესაძლებელი საზოგადოება? აშკარაა „წმინდა გონების კრიტიკის" ძირითად საკითხთან მსგავსება: როგორაა შესაძლებელი ბუნების შემეცნება? კანტი შეეცადა ამ კითხვაზე პასუხი იმ საბუთით გაეცა, რომ შემმეცნებელი სუბიექტი თავიდან თვითონვე აღაგებს ბუნებას როგორც შესაძლო გამოცდილებათა საგნების წრეს; მან გაანალიზა ჭვრეტისა და მსჯელობის მიუცილებელი სუბიექტური პირობები, რომლებიც აუცილებელია, რათა შესაძლო შეიქნას გამოცდილება, სახელდობრ — გრძნობად შეგრძნებათა მრავალფეროვნების ორგანიზება კანონზომიერ მოვლენათა კომპლექსად. ზიმელი იძლევა კლასიკური ფორმულირების მცდელობას, რომ ბუნების შემეცნების კონსტიტუციური თეორია თვით საზოგადოების კონსტიტუციის თეორიად, და არამც და არამც, საზოგადოების შემეცნების თეორიად განავრცოს: „ბუნებრივი იქნებოდა ამნაირადვე (ბუნების შემეცნების აპრიორულ პირობათა საკითხივით) გაგვერჩია იმ აპრიორული პირობების საკითხი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია საზოგადოება. რადგან აქაც მოცემულია ისეთი ინდივიდუალური ელემენტები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით გრძნობადი შეგრძნებებივით მუდამ დაცალცალებულები რჩებიან და საზოგადოების ერთიანობად მათი სინთეზი მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერების იმ პროცესის წყალობით გაიგება, რომელიც ცალ-ცალკე ელემენტების ინდივიდუალურ ყოფნას განსაზღვრული ფორმით და განსაზღვრული წესების თანახმად სხვა ამგვარივე ელემენტების ყოფნასთან აკავშირებს".[2]

ცხადია, ზიმელი მთავარ დიფერენცზეც მაშინვე მიუთითებს: კონსტიტუციის თეორიულად ბუნება და საზოგადოება ანალიზის სხვადასხვა სიბრტყეზეა. მაშინ როცა „ბუნება" შემეცნების საგნობრივ სფეროდ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ და მხოლოდ შემმეცნებელი სუბიექტის სინთეზურ ღვაწვაზე დამყარებით, საზოგადოებას თვითონ შემმეცნებელი სუბიექტი წინასწარ ნახულობს როგორც ემპირული სუბიექტების მიერ კონსტიტუირებულ ერთიანობას. ბუნების კონსტიტუციის საკითხი დაკავშირებულია *ბუნების შემეცნების* პრობლემასთან, ხოლო საზოგადოების კონსტიტუციის საკითხი შემდეგ პრობლემასთანაა კავშირში: როგორაა შესაძლებელი საზოგადოება? საზოგადოების სიცოცხლის პროცესი ხორციელდება კონსტიტუირებად ღვაწლთა

---

[1] G.Simmel, Soziologie (1908), 3. Auf. Leipzig 1923.
[2] A.a O., S.22.

სიბრტყეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი სუბიექტები თავიანთს ცნობიერების პროცესებში, რომლებიც საზოგადოებას აკონსტიტუირებენ სწორედ იმ ტრანსცენდენტალურ სიბრტყეზე მოძრაობენ, რომელზეც შემმეცნებელი სუბიექტი აკონსტიტუირებს ბუნებას როგორც შესაძლო გამოცდილებათა საგანს. ამის წყალობით საზოგადოების სფერო შემმეცნებელ გონთან მიმართებაში რაღაცნაირ ობიექტურობას იძენს, რომლის დაჩემებაც არ ძალუძს ბუნებას ბუნების შემმეცნებელი სუბიექტის პირისპირ: „ბუნების ერთიანობიდან საზოგადოების ერთიანობის მთავარი განსხვავება ისაა, რომ პირველი – აქ დაწანამძღვრებული კანტისეული თვალსაზრისისთვის – ნამდვილდება მხოლოდ და მხოლოდ მჭვრეტელ სუბიექტში, იგი წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ და გრძნობათა იმ მონაცემებიდან, რომლებიც, მართალია მისმიერია, მაგრამ მასზე არ არის მოდებული; მაშინ როცა საზოგადოებრივი ერთიანობა მისივე ცნობიერი და სინთეზურ-აქტიური ელემენტების საფუძველზე უშუალოდ რეალიზდება და მჭვრეტელს არ საჭიროებს... გაერთიანება აქ არ დაისაჭიროებს სხვა ფაქტორებს თვინიერ მისივე ელემენტებისა, რადგან თითოეული მათგანი იმ ფუნქციას ასრულებს, რომელსაც სხვა ანამდვილებს მჭვრეტელის სულიერი ენერგიის პირისპირ: ფაქტიურად, მთელი პრობლემური ერთიანობის საკითხი აქ იმ ცნობიერების შესახებ კითხვაა, რომელიც სხვასთან ერთიანობას ქმნის"[1] და ამ გარემოებებში შეკითხვას: „როგორ არის შესაძლებელი საზოგადოება?" სრულიად სხვა აზრი აქვს, ვიდრე შეკითხვას: „როგორ არის შესაძლებელი ბუნება?" რადგან, ბოლო შეკითხვაზე პასუხს სცემენ შემეცნების ფორმები, რომლითაც სუბიექტი ახორციელებს მოცემული ელემენტების სინთეზს „ბუნებად", მაშინ როცა პირველ კითხვას პასუხობენ თვითონ ელემენტებში აპრიორულად ჩადებული პირობები, რომლის მეშვეობითაც ეს ელემენტები თვით იკვრებიან „საზოგადოებად" წოდებულ რეალურ სინთეზად".[2]

სხვათა შორის, ამ მოსაზრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების წარმოშობის თეორიის ნებისმიერი საწყისისათვის, სულერთია დილთაის, რიკერტს, ჰუსერლს ანდა ვინტგენშტაინს უკავშირდება იგი თუ უშუალოდ კანტზე ან ჰეგელსა და მარქსზე დაიყვანება. სახელდობრ, იგი აფუძნებს მეცნიერების დუალისტურ თეორიას, რომელიც ერთმანეთისგან პრინციპულად მიჯნავს კულტურის, გონის, სოციალურსა თუ მოქმედების მეცნიერებებსა და ბუნების მეცნიერებებს, რა დროსაც ბუნება გაგებულია როგორც საგანთა სფერო, რომელიც შე-

---

[1] A.a O., S.22.
[2] A.a O., S.23.

საძლოა დაყვანილი იქნას შემმეცნებელი სუბიექტის კონსტიტუციურ ღვაწვებზე, მაშინ როცა საზოგადოების კონსტრუქცია გამასაზოგადოებელი სუბიექტების ღვაწლთა გზით ბუნებასთან მიმართებაში თავისებურ ობიექტურს წარმოშობს, რომელიც შეეყრება შემმეცნებელ სუბიექტს როგორც საზრისულად უკვე სტრუქტურირებული წარმონაქმნები და მას მხოლოდღა უკვე გაკეთებული კონსტრუქციის კვალად-კონსტრუქციისა თუ კვალაღქმნის შესაძლებლობასღა უტოვებს. ამ დუალიზმიდან გამომდინარეობს ისეთი თეორიის პრაგმატული შედეგები, რომელთაც ჯერ კიდევ ზიმელმა ჩაუყარა საფუძველი.

ჯერ ერთი, საზოგადოების კონსტიტუციის თეორია გადის ბუნების შემეცნების ე.ი. მეცნიერების სფეროდან; წინარე კონსტიტუირებული სამყარო, რომლის რეკონსტიტუირება სოციალურ მეცნიერებას ევალება, რათა მან საზოგადოებრივი პროცესების რეკონსტრუირება შეძლოს, წინარემეცნიერული გამოცდილებისა და ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკის სფეროა. ამიტომ ჰუსერლთან ცხოვრების სამყაროს ანალიზი ფენომენოლოგიის შუაგულში გადაინაცვლებს.

მეორეც, ტრანცედენტალური ანალიზის გამოყენებას სუბიექტურობის არაკონგიტივურ საცხოვრებოპრაქტიკულ ღვაწვათა მიმართ, რომელიც აღარ გაიგება შესაძლო შემეცნების ოდენ ობიექტად, იქამდე მიეყავართ, რომ სოციალური ცხოვრებისეული ურთიერთობა წინასწარ მოისახება „ცოდნისფაქტად" როგორც მას ზიმელი უწოდებს. პროგრამა იმისა, რომ შესაძლო გასაზოგადოების აუცილებელი სუბიექტური პირობები გამოკვლეული იქნას შემეცნების თეორიიდან აღებული საშუალებებით, სულაც არ არის თავისთავად ცხადი, რადგან გასაზოგადოების პროცესებიდან „ამოწეული", მისი ფორმებით ნორმირებული წარმონაქმნები შემეცნებანი კი არ არიან, არამედ პრაქტიკული პროცესები და საყოფაცხოვრებო მდგომარეობები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მაინც აქვს რაღაც შემეცნებისებრი, რაც როგორც გასაზოგადოების ეულების გენერალური ცნება ჯერ არს, მისი პირობით შემოწმდეს; ეს არის ცნობიერება, რომელიც თვით საზოგადოების ეულების თავს ანდა ხამს, თვითგასაზოგადოებისეულდეს. თუმც კი უმჯობესია მას შემეცნება კი არა, ცოდნა ეწოდოს, რადგან აქ სუბიექტი არ დგას ობიექტის წინაშე, რომლის თეორიულ ხატსაც იგი თანდათანობით იპოებდეს... ლაპარაკია ორმხრივი ზეგავლენის პროცესზე, რომელიც ინდივიდუმისთვის – მართალია არა აბსტრაქტულს, თუმც კი იმის უნარმქონეს, რომ აბსტრაქტულად გამოთქვას – მოასწავებს ფაქტს, რომ ხამს მისი გასაზოგა-

დოებისეულება: ხოლო იმას თუ რომელი ფორმები უნდა დაედოს ამას საფუძვლად, ანდა, თუ რა სპეციფიკური კატეგორიები უნდა ჰქონდეს, ასე ვთქვათ, ადამიანს თანდაყოლილი, რათა ასეთი ცნობიერება აღმოცენდეს და თუ რომელია ის ფორმები, რომლებმაც ეს ცნობიერება — საზოგადოება როგორც ცოდნის ფაქტი – უნდა ზიდოს, მართლაც შეიძლება ეწოდოს საზოგადოების შემეცნების თეორია (საკითხები)"[1]

ასეთი გამოყენება თავისებური იმპლიკაციის მქონეა. თუ სოციალური ცხოვრებისეული კონტექსტი ცოდნის აქტებით იგება, მაშინ იგი მნიშვნელოვნებაზე განაცხადთა იმ *ფაქტიციტეტს* ემყარება, რომელიც ცოდნის თითოეული ფორმით დგინდება. ჩვენ ასე ვამბობთ, ცნობიერება ჭეშმარიტია ანდა უჭეშმარიტოო, სწორი ან ყალბი, გონივრული ანდა არაგონივრულიო. ამიტომ საზოგადოებას, რომელიც საზრისულად სტრუქტურირდება ცნობიერების სინთეზური ღვაწვებით და კონსტრუირდება „ცოდნისფაქტად", აქვს *ჭეშმარიტებაზე იმანენტური მიმართება*, რომლის ნათელყოფაც აწი უნდა მოხდეს. ისევ და ისევ ჰუსერლია ის, ვინც ეს დაინახა და ცხოვრებისეულ პრაქტიკაში ჩაქსოვილი ჭეშმარიტების თეორია შეიმუშავა.

მესამე, ჯერ კიდევ ზიმელი აწყდება იმ სიძნელეს, რომელსაც ამაოდ ალევს ძალ-ღონეს საზოგადოების კონსტიტუციის ყველა თეორია. შემეცნების თეორიას საქმე აქვს ტრანსცედენტალურ (ანდა ცალკეულ) სუბიექტსა და მის შემეცნების საგანს შორის ძირეულად მონოლოგურ მიმართებასთან; მაშინ როცა, საზოგადოება კონსტრურირდება მრავალი სუბიექტის სინთეზური მუშაობით, რაკი ისინი ერთმანეთს სუბიექტებად ურთიერთაღიარებენ. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ინტერსუბიექტურობის ეს ნაგებობა მონოლოგურად ჩამოყალიბებული შემეცნების თეორიის საშუალებით? სხვა როგორც შესაძლო მაკონსტიტუირებელი მუშაობის ცენტრი იმავ სიბრტყეზე შეგვეყრება ხოლმე, რომელზეც შემმეცნებელი მე: „ჩემთვის სხვა სულს იგივე რეალობა აქვს, რაც ჩემ საკუთარს; –რეალობა, რომელიც მატერიალურ ნივთთა რეალობიდან ძალზე განსხვავდება... მაგრამ სხვისი თავისთვისობა ხელს არ გვიშლის, იგი ჩვენ წარმოდგენად ვაქციოთ; — რომ ის, რაღაც, რაც მთლიანად არ გაზავდება ჩვენ წარმოდგენაში და მაინც მის შინაარსად, მის

[1] A.a O., S.24.

პროდუქტადაც კი იქცევა – სწორედ ეს არის გასაზოგადოების ულრმესი, ფსიქოლოგიურ-შემეცნებისთეორიული სქემა და პრობლემა"[1] ჰუსერლმა წამოწია და (კარტეზიანულ მედიტაციებში) ძალზე დახვეწილად გაარჩია ეს პრობლემა.[2]

ლექცია II

საზოგადოების ფენომენოლოგიური კონსტიტუციის თეორია: მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიების ფუნდამენტური როლი და ინტერსუბიექტურობის მონადოლოგიური საფუძვლები

შემთხვევითი არ არის, რომ საზოგადოების კონსტიტუციის თეორია, რომელსაც თანამედროვე სოციოლოგიაში, ყოველის უწინ აშშ-ში აქვს გავლენა, ჰუსერლს ემყარება. ეგ იმიტომ, რომ ჰუსერლის ფენომოლოგია უფრო გამოდგება საიმისოდ, რათა შემეცნების კონსტიტუციის თეორია საზოგადოების თეორიად განივრცოს, ვიდრე – კანტის ტრანსცენდენტალური ფილოსოფია. ჰუსერლი თავის თავს განისხვავებს კანტიდან როგორც იმით, რომ იგი მიუბრუნდა ცხოვრების სამყაროს (ა) მაფუძნებელ ფენას, ასევე–იმით, რომ იგი ახდენს კონსტიტუციის ცნების (ბ) დესკრიპტულ შემოტრიალებას. მე ორივე ამ პუნქტის ახსნა მწა-

---

[1] A.a O., S.23.

[2] კულტურის გინა გონისმეცნიერებათა რიკერტისეულ და დილთაისეულ მონახაზებთან შედარებით ზიმელის მოკლე შენიშვნები მხოლოდღა პროგრამატული შთება. მეორე მხრივ, ეს პროგრამა უშუალოდ კანტით იფარგლება და გამიზნული არაა, რიკერტსა და დილთაისებრ, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბებულ გონისმეცნიერებათა დაფუძნებაზე, არამედ მას მიზნად აქვს მკაცრი აზრით გაგებული საზოგადების კონსტიტუციის თეორია. მხოლოდ და მხოლოდ მაქს ადლერი მისდევს მსგავს მიზანს და 1936 წ. ისიც ახორციელებს სოციალურ მეცნიერებათა (Das Rätsel der Gesellschaft, Saturn-Verlag, Wien) შემეცნების თეორიულ დაფუძნებას. ახალგაზრდობის წლებში ჰელმუტ შელსკიმ (Ortsbestimmung der deutschen Soziologie, Düsseldort 1959, S. 93 ff.) ააღორძინა „საზოგადოების ტრანსცენდენტალური თეორიის" მოთხოვნა; მაგრამ მის მატერიალურ შრომებს მნიშვნელობა, უფრორე, საზოგადოების ანთროპოლოგიური თეორიისთვის აქვს; ამიტომ თანამედროვე სოციოლოგიის სუბიექტივისტური საწყისი ყველა ერთაეად (შუცი, ბერგერი, ლუკმანი, ნათანსონი) თუ შუალობითად (გარფინკელი, სიკურელი, ზაკი) ჰუსერლიდან ამოდის და არა კანტიდან. რიკერტის ღირებულების ფილოსოფია, რა თქმა უნდა, ვებერითა და პარსონსით უახლეს სოციოლოგიაში შემოვიდა; მაგრამ ჯერ კიდევ ვებერთანვე მნიშვნელობა დაკარგა კონსტიტუციის პრობლემატიკამ, ხოლო პარსონსთან იგი გააძევა ზომიერი ემპირული მეცნიერული თეორიის საფუძველრწმენებმა.

დია, ვიდრე ორივე იმ პრობლემის გარჩევას შეეუდგებოდე, რომლებიც უნდა გადაჭრას საზოგადოების წარმოშობის თითოეულმა თეორიამ; – ისეთმაც კი, რომელმაც გადალახა ცნობიერების ფილოსოფიის საზღვრები. სახელდობრ ესაა საკითხი საზოგადოების ჭეშმარიტებასთან იმანენტური მიმართებისა და ინტერსუბიექტურობის დაფუძნებისა.

ა) კანტი, ისე როგორც ჰუსერლი, აანალიზებს შესაძლო გამოცდილებათა სამყაროს კონსტიტუციას; ოღონდ ჰუსერლისაგან განსხვავებით მას მხედველობაში ჰქონდა ობიექტურობა გინა შესაძლო ბუნების შემეცნების აუცილებელი სუბიექტური პირობები. მაგრამ კანტი ფიქრობდა, რომ კანონის უზუსტესი გამოთქმების (ასევე თანამედროვე ფიზიკის თეორიული დებულებების) მნიშვნელობასთან ერთად, საერთოდ, გამოცდილების ტრანსცენდენტალური საფუძვლებიც აიხსნება. ჰუსერლი კი ეჭვის ქვეშ აყენებს ამგვარ თავისთავადგასაგებადობას თავის განთქმულ ტრაქტატში „ევროპულ მეცნიერებათა კრიზისი“ (კრიზისი გვ28 და შემდგომ) ბუნებისმეცნიერებათა ობიექტების სფერო მას ესმის არა ზოგადად როგორც შესაძლო გამოცდილების საგანთა ინფრასტრუქტურა, არამედ როგორც გამოყვანილი ხელოვნების პროდუქტი, რომლის წარმომავლობის დამაკმაყოფილებელი ახსნა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლო, როცა გავახელვამისაწვდომებთ ყოველდღიური ცხოვრების სამყაროს დავიწყებულ საზრისფუნდამენტს. გალილეიდან მოკიდებული ბუნების მეცნიერებებს საქმე აქვთ „ბუნებასთან“, რომელიც წარმოიშობა არა ყველა ორგანიზებული გამოცდილების წინარე მოცემული გრძნობადი შეგრძნების რაღაც მასინთეზირებელი აყალიბებიდან, არამედ – წინარემეცნიერული, სახელდობრ ცხოვრების სამყაროულად უკვე ორგანიზებული ყოველდღიური გამოცდილების ტრანსფორმაციიდან. ეს ყოველდღიური გამოცდილება *იმთავითვე* მიმართებაშია ტანსა და მის ორგანოებთან. იგი პერსპექტიულად მორგებულია მე-ს, მის სუბიექტზე ორიენტირებულ სივრცესა და დროის გამოცდილებას; *და მერე,* ყოველდღიური გამოცდილება არა მარტო კოგნიტურად იქმნება, არამედ – ობიექტურ სამყაროში აფექტურ განწყობილებებთან, განზრახვებსა და პრაქტიკულ ოპერაციებთან კავშირში. მოთხოვნილებანი და გუნება-განწყობილებანი, შეფასებები და მოქმედებანი ქმნიან ბუნებრივ ინტერესთა ჰორიზონტს; მხოლოდ და მხოლოდ მის შიგნით შეიძლება გამოცდილებათა წარმოშობა და მათი შესწორება. *დაბოლოს,* ყოველდღიური გამოცდილება კერძო საქმე როდია, არამედ იგი არის ინტერსუბიექტურად დანაწევრებული სამყაროს ნაწილი, რომელშიც მე ყოველთვის სხვა სუბიექტებთან ერთად ვცხოვრობ, ვმეტყველებ და ვმოქმედობ. ინტერსუბიექტურად გათანაზიარებული გამოცდილება გამოითქმის სიმბოლური სისტემებით, ყოვლის უწინ – ბუნებრივი ენით, რომელშიც აკუმულირებული ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის სახით

წინასწარ ეძლევა ცალკეულ სუბიექტს. იმავე სიბრტყეზე შევეყრებით ხოლმე კულტურულ ობიექტებს, მოქმედებისა და ენის უნარმქონე სუბიექტების ცხოვრებისეულ გამოხატულებებს. თვითონ მეცნიერებებიც ამ კულტურულ ობიექტებს განეკუთვნებიან.

ჰუსერლი ფიქრობს, რომ კანტმა გულუბრყვილოდ დაიწყო ფიზიკის საგნის სფეროთი, იმის შეუმჩნეველად, რომ ამ სახის მეცნიერული თეორიები მკვლევართა კომუნიკაციურ თემში (პირსი) წარმოიშობა, რომლებიც თავიანთ მხრივ ყოველდღიური ცხოვრების სამყაროს როგორც თავისთავადცხადის დაწანმძღვრებიდან უნდა ამოვიდნენ; რადგან, ამასთანავე ჯერ არს, ლაპარაკი იყოს იმ ფუნქციებზე, რომლებიც მოქმედებენ თითოეულ ცდასა და აზრში, ადამიანური ამსოფლად ყოფნის ყველა და თითოეულ მოღვაწეობაში, რომელთა წყალობით ჩვენთვის საერთოდ აზრი და მნიშვნელობა აქვს გამოცდილების სამყაროს გინა არსებულ ნივთთა, ფასეულობათა, პრაქტიკულ განზრახულობათა, საქმეთა და ა.შ. მდგრად ჰორიზონტს, ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ ყველა ობიექტურ მეცნიერებას სწორედ რომ უძირითადესის ცოდნა აკლია: სახელდობრ – იმის ცოდნა, რაც ობიექტური ცოდნის თეორიულ გამოსახულებათ აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო თავად ცოდნის ღირსებას საბოლოო საფუძვლით ასაბუთებს.[1] ამიტომ ჩვენ ვერ შევეყრებოდით შესაძლო გამოცდილების სამყაროს კონსტიტუციას, თუკი პარადიგმად ავირჩევდით მეცნიერული შემეცნების ობიექტთა სფეროს და ვერ შევამჩნევდით, რომ მეცნიერება მოჭიდებულია ცხოვრების სამყაროს და სწორედ ეს ცხოვრების სამყაროა მეცნიერულად ობიექტური სინამდვილის საზრისფუნდამენტი. ამრიგად, ბუნების შემეცნების კონსტიტუციის თეორიას *წინ უნდა უსწრებდეს* ცხოვრების სამყაროს კონსტიტუციის თეორია; რომელიც თავის მხრივ შეიცავს საზოგადოების (როგორც ე.წ. ონტოლოგიური ცხოვრების სამყაროს[2] რეგიონულ ნაწილს) კონსტიტუციის თეორიას.

ბ) მარტო ამ მიზეზით არ უწყობს ფენომენოლოგია ხელს საზოგადოების კონსტიტუციის თეორიის წამოწყებას. ჰუსერლმა თვით კონსტიტუციის ცნება დესკრიპტულად შეატრიალა; ისე რომ გაგებითი სოციოლოგიაც, როგორც იგი ა.შუთცმა ჩამოაყალიბა, ძალადაუტანებლად შეიძლება ცხოვრების სამყაროს კონსტიტუციის ანალიზად შეტრიალდეს. მაშინ როცა კანტს შესაძლო გამოცდილებათა საგნების კონსტიტუცია მრავალფეროვნების სინთეზისათვის აუცილებელ სუბიექტურ პირობათა წარმომშობად ესმის და ასე იპოვებს ღვაწლთა საყოველთაო თეორიასა და ცნობიერების ძირეულ სტრუქტურებს, ჰუსერლი მედიტაციამოქმედი ფენომენოლოგების

---

[1] Krisis, §32, S.121.
[2] Krisis, §51.

მზერას იმთავითვე იმაზე მიაპყრობს, თუ როგორ „ეძლევა“ მათ გრძნობადი და კატეგორიალური საგნები. ჰუსერლს არ სურს კანტივით გასაგნობრივების ერთადერთი და საყოველთაო მოდუსის რეკონსტრუირება, რომლის წყალობითაც საერთოდ შესაძლებელი ხდება რეალობის გამოცდილება; მას, პირიქით, სურს დესკრიპტულად წვდეს საგანთა „თვითმოცემულობის“ ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის განსხვავებულ მოდუსებს. ჩვენ როგორღაც შეგვიძლია „დავინახოთ“ ჩვენ სინთეზურ ღვაწვათა მეშვეობით თავისი მოცემულობის როგორობაში როგორ იქმნება ყოველი ცალკეული საგნის საზრისი და ყოფა, რომელსაც როგორც იდენტურს ვადგენთ ცნობიერების ფორმათა ცვალებადობაში. მართალია, ჰუსერლიც გულისხმობს უნივერსალურად მოღვაწეთა სუბიექტურობას, მაგრამ იგი წარმოშობს შესაძლო საგანთა *ღია* ჰორიზონტს, რომელიც უშვებს[1] საგნობრიობის სხვადასხვა ტიპების მხოლოდ და მხოლოდ დესკრიპტულად საწვდომ მრავალფეროვნებას. ამით ჰუსერლი აღებს საზოგადოების კონსტიტუციის თეორიის სფეროს, რომელიც დეკსრიპტულ განწყობაში ცხოვრების სამყაროს საყოველთაო სტრუქტურებს იკვლევს. ფენომენოლოგიურად მოქმედ სოციოლოგიას სოციალური ცხოვრების სამყარო იმთავითვე სინთეზურ ღვაწვათა საფუძველზე კონსტიტუირებულ სამყაროდ ესმის, რომლის უზოგადეს სტრუქტურებში იგი ტიპურ საზრისკავშირებს შეიმეცნებს, რომლებსაც ისევ და ისევ წარმოშობენ ინტერსუბიექტურად გათემისმიერებული სუბიექტები, რამდენადაც ისინი ყოველდღიურ პრაქტიკაში საერთოდ არიან ორიენტირებულნი შემეცნებად საგნებზე.

სოციოლოგიურად შეტრიალებულ კონსტიტუციის თეორიას, ჰუსერლის ფენომენოლოგია, კანტის საპირისპიროდ, საბოლოოდ კიდევ ერთ უპირატესობას სთავაზობს; იმას, რომ გამოკვლევა საერთოდ ანონიმური ცნობიერების სიბრტყეზე კი არ იწყება, არამედ – ფენომენოლოგიურად (რომელიც ეპოქას ახორციელებს) ცალკეულად ტრანსცედენტალური მე-თი. ჰუსერლი ჩამოთვლის უამრავ ტრანსცედენტალურ მე-ებს, რომლებიც საკუთარი სუბიექტურობის შემეცნების უპირატესობათა მიუხედავად, თავიანთი ურთიერთკავშირებით პირველად აკონსტიტუირებენ სოციალური ცხოვრების სამყაროს. კანტისთვის, რომელიც (ყოველ შემთხვევაში თეორიულ ფილოსოფიაში) მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ემპირული მეების მრავლობითსა და საერთოდ ტრანსცედენტალური ცნობიერების მხოლობითს, პირიქით, სულაც არ აყენებს იმ სუბიექტების შესაძლო ტრანსცედენტალური გათემისმიე-

[1] ჰუსერლი კანტს საყვედურობს, „მჭვრეტელობით-დამსაბუთებელი“ მეთოდის არქონას, Krisis, გვ. 30.

რების პრობლემას, რომლებიც თავ-თავიანთს სამყაროს თავდაპირველად მონადურად ქმნიან.[1]

ახლა მინდა გამოწვლილვით გავარჩიო *ორი პრობლემა*, რომელიც წამოიჭრება საზოგადოების კონსტიტუციის თეორიის ფენომენოლოგიური დაფუძნებისას. ჩვენ ვნახავთ, რომ ეს პრობლემები თავს იჩენენ საზოგადოების ნებისმიერი მოაზრებადი წარმოშობის თეორიისთვის. სახელდობრ იმის ჩვენება მწადია, *რომ ისინი ვერ გადაიჭრებიან ცნობიერების თეორიის ჩარჩოებში და აუცილებელს ხდიან ენობრივი კომუნიკაციის თეორიაზე* გადასვლას.

ყოველ საზოგადოებას, რომელიც საზრისულად კონსტრუირებულ ცხოვრების კავშირებად გვესმის, იმანენტური მიმართება აქვს ჭეშმარიტებასთან. საზრისსტრუქტურათა სინამდვილე სწორედ რომ მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიათა თავისებურ ფაქტიციტეტს ემყარება, რომლებიც საზოგადოდ ნაივურად მიიღება ე.ი. ხდება მათი როგორც შესრულებული პრეტენზიების შემოცურება, მაგრამ შესაძლოა, ეჭვი მნიშვნელობაზე პრეტენზიებშიც იქნას შეტანილი, ისინი წესიერებას ჩემულობენ და სწორედ ეს წესზომიერებაა, რისი პრობლემატიზება, დამოწმება ანდა უარყოფაა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებაზე აქ ძალზე ფართო აზრით შეიძლება იყოს ლაპარაკი, კერძოდ–იმ აზრით, რომ პრეტენზიის წესზომიერება შეიძლება შესრულდეს ანდა გაცუდდეს. მაგალითად ეამბობთ, რომ სწორიაო არათუ შეხედულება ანდა მტკიცება, არამედ იმედი, სურვილი, შეფასება; —მართებულია, დანაპირები ანდა რჩევა; — დროული განცხადებაა; — ჯეროვანი განკარგულებაა; – აღწერა ანდა აფასება სწორადაა ჩატარებულიო; ყოველდღიურ ინტერაქციებში ჩვენ გულუბრყვილოდ მივცემივართ სისწორეზე პრეტენზიების თვალშეუდგამ სავსეობას. ამგვარი უკანაპლანოვანი კონტექსტიდან მხოლოდ ზოგიერთი პრეტენზია გამოდის წინა პლანზე როგორც იმედგაცრუებათა ცალკეული შემთხვევები და ხდება მათი თემატიზება და გადამოწმება.

ფაქტიურად ქმედითი საზრისსტრუქტურების თავისებურებას ჰუსერლი გამოთქვამს თავდაპირველად ბრენტანოს მიერ გადმოღებული ინ-

---

[1] კანტისეული ქმნილების არქიტექტონიკაში ჩადებული ეს სიძნელე როგორც სჩანს ზიმელმა ვერ შეამჩნია. მაქს ადლერმა, პირიქით, რევიზია წამოიწყო. მას შემოაქვს სოციალური აპრიორი და მხოლობით მე-თა კავშირს მრავლობით მე-თა თემთან ინდივიდუალური ცნობიერების ტრანსცედენტალურ განსაზღვრულობამდე აღამაღლებს: „ამრიგად, ტრანსცედენტალური შეშეცნების თეორია არ გვასწავლის მხოლოდ თითოეული ცალკეული ობიექტის სუბიექტისათვის კუთვნილებას, არამედ იგი გვასწავლის განუზომლად მეტს: ობიექტად ყოფნა ნიშნავს საგნის კუთვნილობას უსაზღვროდ ბევრი სუბიექტისათვის; ამასთანაეე ეს სიმრავლე უნდა გავიგოთ არა ემპირიულად, არამედ ტრანსცედენტალურად ე.ი. – თვითონ ცალკეული ცნობიერებების ბუნებად“ ადლერი (1936), გვ II.

ტენციონალობის ცნებით. ინტენციურ განცდებს აქვს ბუნება, რომ იყონ *რაღაცის* ცნობიერება; ისინი იმგვარად არიან რაღაცაზე მიმართულნი რაგვარადაც საგანზე გინა საქმის ვითარებაზე მიმართული შეხედულება, მოლოდინი, სურვილი თუ გრძნობა. ფიქრის, მოლოდინის, სურვილის, ძულვის, წყენის და ა.შ. ინტენციური გამოთქმებით შედგენილი წინადადებები, ყოველთვის საჭიროებენ შემდეგნაირ ობიექტურ დამატებას: „ვფიქრობ, რომ „P" ანდა „მძულს (მწყინს) „x". ასეთი გრამატიკული ფორმით გამოხატულია ის, რისი გამოთქმაც სურდა ჰუსერლს ინტენციონალობით, უშუალოდ ცნობიერების სტრუქტურათა სიბრტყეზე. ინტენციური განცდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმ საზრისით, რომლითაც ცნობიერების აქტები ყოველთვის შეისაკუთრებენ საგნებს. რა თქმა უნდა, შეიძლება განსხვავებული ინტენციები მიმართული იყოს ერთსა და იმავ საგანზე; მაშინ განცდებს, როგორც ჰუსერლი ამბობს (V ლოგიკური გამოკვლევა, $16), ერთი და იგივე რეალური, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა ინტენციური შინაარსი აქვთ; რასაც იგი ინტენციურ საგანსაც (ანდა ნოემას, „იდეებიდან" მოყოლებული) უწოდებს. ჰუსერლის დამსახურებაა ის, რომ მან განმარტა ჩვენი ცნობიერების უცნაური ინტენციური სტრუქტურა და დაასაბუთა ინტენციური განცდების იმანენტური მიმართება ჭეშმარიტებაზე.[1]

ჩვენ ვესწრაფვით საგანს, რომელიც თვალწინ არა გვაქვს, მაგრამ ვიცით რომ აუცილებლად მოგვეცემა. ინტენციონალობა მოითხოვს საგანთა ვირტუალური დასწრების შესაძლებლობას; – საგნებისა, რომლებიც შესაძლოა, აქტუალურადაც აწინდელი შეიქნან. *სხვანაირად* ჩვენ ვერ შევძლებდით, სრულიად სხვადასხვაგვარად – ერთსა და იმავ საგანს შევსწრებოდით; ჩვენი ცნობიერების ინტენციური სტრუქტურა მოითხოვს, რომ ერთმანეთისგან განვასხვაოთ საგნების სრულიად გაშუალებული და უშუალო მოცემულობა. ეს დიფერენცი შეგვიძლია, ნათელვყოთ ენობრივ სიბრტყეზე, სადაც თხრობითი წინადადებები იყოფიან სუბიექტგამოთქმად და პრედიკატგამოთქმად, სუბიექტგამოთქმა, სახელი ანდა აღნიშვნა, პრედიკატებზე დასტურითა ანდა მათი უარყოფის გზით იმგვარად შეისაკუთრებს, უფრორე ზუსტად განსაზღვრავს საგანს, რომ არ არის აუცილებელი აღნიშნული საგნის დასწრება; პირიქით საკმარისია, რომ საერთოდ შესაძლებელი იყოს საგნის როგორც იდენტიფიცირებადის წარმოდგენა. ამ ენის ლოგიკური გარემოების წყალობაა სიტუაციურობიდან დამოუკიდებელი სიტყვათხმარების ხმარების შესაძლებლობა; ენობრივი კომუნიკაციის ყველაზე თვალსაჩინო წარმატება სწორედ ესაა; – კერძოდ, არააწინდელი საგნებისა და საქმის ვითარების რეპრეზენტაცია.

---

[1] შეად. ე.ტუგენდჰატის ბრწყინვალე გამოკვლევა, Der Wahrheitsbegriff bei Husserl und Heidegger, Berlin 1970, Erster Teil.

ცნობიერების თეორიის ფარგლებში ჰუსერლს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია დაემყაროს სიტუაციასთან დაკავშირებული (რეფერენციელური) გამოთქმების გზით განსხვავებას სიტუაციაზე დამოკიდებულ გამოცდილებასა და სიტუაციისგან თავისუფალ გამოსახულებას შორის. პირიქით იგი შესაძლო საგანთა შუალობითს, და უშუალო მოცემულობას შორის დიფერენცს არაინტუიტურსა და მჭვრეტელობით შესრულებულ მოცემულობას შორის სხვაობად განმარტავს. ამრიგად, ინტენციური საგნის საზრისი ყოველთვის მოითხოვს საგნის ინტუიტურად უშუალო დასწრებას. შესრულების ხარისხები, იდეის თანახმად, მიუთითებენ იმ მიზანზე, რომელშიც მთელი ინტენციაა ასრულებული. საგნის სრული ინტუიტური აწინდელობა, ასე ვთქვათ, ინტენციის უნაშთო ასრულებაა. ეს კონცეფცია დაკავშირებულია ჭეშმარიტების ევიდენტობის ცნებასთან, რომლის პრობლემატიკასაც მე სულ ცოტა ხნით გვერდზე გადავდებ. ჰუსერლს შემდგომი დასაბუთების გარეშე შემოაქვს თავისი ჭეშმარიტების თეორია. მას უბრალოდ, მიაჩნია: პრინციპთა პრინციპია ის, რომ ყოველიფე ის, რაც ინტუიციაში ძირეულად, ასე ვთქვათ, ხელსახები სინამდვილით გვთავაზობს თავის თავს, ისე მივიღოთ, როგორც გვეძლევა.[1] აქედან გამომდინარე ჭეშმარიტება შეიძლება ინტენციის ცნებასთან კავშირით განისაზღვროს. ჭეშმარიტება არის ნაგულისხმების შესაბამისი, ინტუიტურად მოცემული საგნით მაიდენტიფიცირებელი გადაფარვა, რომელსაც თან სდევს ევიდენტობის განცდა. მაგრამ მაშინ — პირიქითაც, ყველა ინტენციური განცდა იმანენტურად აუცილებელ კავშირშია ჭეშმარიტებასთან.

ჩემი კონტექსტისთვის მთავარია შემდეგი განაზრება; თითოეულ ინტენციასთან მიბმულია „დადგინება", ამრიგად, ცნობიერების აქტი ნაგულისხმები საგნის საზრისის იქით წინასწარ წედება ნაგულისხმების ფაქტიურ მოცემულად ყოფნას; მდგენი ქველიტეტი ნიშნავს ინტენციის თვალსაჩინო შესრულების წინასწარ წედომას, როცა შეუსრულებელი აქტი ნაგულისხმებს მყოფად ადგენს, იგი ინტენციური საგნის თაობაზე იმ პრეტენზიით გამოდის, რომ თუკი თვითმოცემულობას მიაღწევდა, მაშინ მისი თვითჩვენება სწორედ ასეთი იქნებოდა და არა სხვაგვარი. ასეთი პრეტენზია ან გამართლებულია ანდა გაუმართლებელი. მისი დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ ინტენციის აღვსებით, რომელიც თავიდან „ცარიელი" იყო. შესაძლოა, აგრეთვე, დადგინების ქვალიტეტთა გამორიცხვა და „ნეიტრალიზება", ასეთ შემთხვევაში აღარ გამოგვაქვს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, გამართლებულია თუ არა პრეტენზია იმისა, რომ მოცემული ინტენცია ისე და სწორედ ისე შესრულდეს, როგორც იგი წინასწარ საზღვრავს. მაგრამ ინტენციებს რომლებიც არ არიან ამგვარად ნეიტრალიზებულნი თან აკ-

[1] Ideen, Husserlina, Bd. III, §24, S. 52.

რავს მნიშვნელოვნებაზე პრეტენზია, რომელიც შესაძლოა ყოველ მომენტში დაამსხვრიოს თითოეულმა წარუმატებელმა მცდელობამ, რომ ინტენდირებულ საგანს ადეკვატური თვითმოცემულობა მიენიჭოს.

ამრიგად, შესაძლებელია ცხოვრების სამყარო მთლიანობაში ამგვარ დადგინებად გავიგოთ, მაგრამ საზრისსტრუქტურები, რომლებზეც თვითშენდება ცხოვრების სამყარო, მხოლოდ და მხოლოდ მათთვის შინაგან მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიების მრავალფეროვნებაში არსებობენ. ესენი, ასე ვთქვათ, თავმოყრილნი არიან „ბუნებრივი განწყობის გენერალურ თეზისში ანდა ნაივურ–რეალისტურ ძირეულ დარწმუნებულობაში, რომ „სამყარო" რომელშიც მე წინარეაღმოვჩნდი, ყოველთვის უკვე არსებულა ჩემი გარემომცველი სინამდვილის სახით. გენერალური თეზისი მოიცავს ბუნებრივი სამყარო-ცხოვრების ერთობლიობას: „ჩვენ მუდმივად ვმოძრაობთ სულ ახალახალი გამოცდილებების, მსჯელობების, შეფასებებისა და გადაწყვეტილებების ნაკადში. თითოეული ამ აქტით მე მიემართება გარემომცველი სამყაროს საგნებს, მათთან ამათუიმგვარად საქმიანობს. სწორედ საგნები არიან ისინი, რანიც გაცნობიერებულია ამ აქტებში – ხან როგორც უბრალო სინამდვილეები, ხან კი როგორც სინამდვილის მოდალობანი (მაგ. როგორც შესაძლო, საეჭვო და ა.შ.). არც ერთი ამ აქტთაგანი და არც ერთი მასში მოქცეული მნიშვნელობა არ არის იზოლირებული; ისინი, მათს ინტენციებში აუცილებლად შეიცავენ ინაქტუალურ, მომდინარე აძრულობაში თანაფუნქციონირებადი მნიშვნელობების უსასრულო ჰორიზონტს"[2]

საინტერესოა ის, თუ როგორ განავრცობს ჰუსერლი ინტენციათა ყოველ კლასზე დადგინების იმ მახასიათებელს, რომელიც მან ინტენციათა მხოლოდ განსაზღვრულ კლასში აღმოაჩინა. თავდაპირველად დადგინებანი აკრავან მხოლოდ ე.წ. დოქსალურ აქტებს, რომლებიც ფაქტებზე არიან მისწორებულნი, ვინაიდან რწმენა იმისა, რომ ინტენდირებული საგანი სწორედ ისე არსებობს ანდა სწორედაც რომ ისე არ არსებობს როგორც არის ნაგულისხმები, თავდაპირველად მხოლოდ და მხოლოდ ისეთ ინტენციებთანაა დაკავშირებული, როგორიცაა აღქმები, წარმოდგენები, მოგონებები, მსჯელობები და ა.შ. გარდა ამისა, ეტყობა, მხოლოდ ამგვარ აქტებში იმპლიციტურად ისე არსებობენ ყოფნის მოდალობები ანდა საგნის („თაურდოქსა") ეგსისტენციის მარტივი უტყუარობის სახესხვაობანი, რომ მე შემიძლია ისინი მივიჩნიო შესაძლებლად, ალბათურად ანდა საეჭვოდ; – რომ ინტენდირებული საგანი სინამდვილეშიც სწორედ ისე წარმოგვიდგება, როგორც ინტერდირებულია. ჭეშმარიტების უნარმქონე რომ მხოლოდ დოქსალური აქტები ყოფილიყვნენ, მაშინ ჰუსერლი ვერ დაასაბუთებდა მტკიცებას —

---

[1] Ideen. §30. S. 62f.
[2] Krisis. §40. S. 152.

ყველა ინტენციას აკრავს დადგინებანიო, მაშინ მას, დიახაც უარი უნდა ეთქვა თვითონ ინტენციის ცნებაზე, რომელიც ევიდენტური თვითმოცემულობათა გზით შესაძლოსა და არსებითად იმედის გამცუდებელ აღსრულებასაც შეიცავს, რაკი იგი იმანენტურ მიმართებაშია ჭეშმარიტებასთან. ამით მნიშვნელობა დაეკარგებოდა არაჩვეულებრივად მძლავრ თეზისს, რომ თვითონ ცხოვრების სამყარო რწმენაში მოცემულ, თუმცა კი ძირეულად პრობლემატიზებად მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიებს ემყარებაო. როცა, პირიქით, ყველა ინტენცია განსაზღვრულია ინტუიტივური შესრულების (ანდა იმედგაცრუების) გზით, მაშინ როგორც ჰუსერლი ამბობს „გრძნობა-გუნებისა და ნებელობის სფეროთა აქტებიც, იმპლიციტურად უნდა შეიცავდნენ დადგინებებს. ამაზე მეტყველებს ორი არგუმენტი.

უ.ჰ. ყოველი გრძნობა-გუნებისა თუ მსჯელობის აქტი, სიფრთხილე თუ სურვილი, განზრახვა თუ გადაწყვეტილება დაშენებულია იმ აქტებზე, რომლებშიც ნაგულისხმებია საგანი ანდა საქმის ვითარება. შესაბამისი ინტენციური წინადადებანი; მაგ. ვშიშობ, მსურს ანდა მინდა რომ „ეს კაცი გაემგზავროს", შეესაკუთრებიან ისეთ საქმის ვითარებებს რომლებიც შეიმთხვევიან ან არა, ხდებიან ან არ ხდებიან, ამიტომ გრძნობა-გუნებისა და ნებელობის აქტები, როგორც ჰუსერლი ამბობს, იმპლიციტურად შეიცავენ პოტენციურ დადგინებებს და პოტენციურად თეტურნი არიან.[1] *მეორეც,* გრძნობა-გუნებისა და ნებელობის აქტები როგორც ასეთნი და არა მარტო შეძლებისამებრ შესაძლო საქმის ვითარებასთან მიმართებაში, რომელსაც შეესაკუთრებიან, შეიცავენ დადგინებებს; სახელდობრ – დადგინების ფუნდირებულ ნაირსახეობებს. ჰუსერლი გრძნობა-გუნებისა და ნებელობის გამოხატულებათათვის სპეციფიკურ დადგინებებს ვარაუდობს, რომლებსაც ექსპლიკაცია უნდა ეყოთ ისეთ ფასეულობითს მსჯელობებში, რომლებიც მაგ. ადგენენ ნაგულისხმები საგანი ფაქტიურად (ალბათ, იქნებ) მოსაწონია თუ დასაწუნი, საყვარელი თუ საზიზღარი, სანატრელი თუ საგულგრილო, მშვენიერია თუ საძაგელი, კეთილია თუ ბოროტი – თუ საერთოდ არ *არსებობს;* „შეფასებებში, სურვილებსა და ნდომებშიც კი რაღაც დადგინებულია; გარდა იმ დოქსალური დადგენილებისა, რომელიც მათში იგულისხმება."[2] და: „ერთი მხრივ არსებობენ ახალი ქარაქტერები, რომლებიც რწმენის მოდიფიკაციათა ანალოგიურნი არიან, მაგრამ ამავე დროს თვითვე თავიანთს ახალ შინაარსში დოქსალურ დადგინებადობას შეიცავენ. მეორე მხრივ, ახლებურ მომენტებს ახლებური გაგებებიც თან ახლავს; კონსტიტუირდება ახალი საზრისი... მათი მეოხებით კონსტიტუირდება არა შიშველ ნივთთა განსაზღვრულობის ახალი ნაწილე-

---

[1] Ideen, §117, S. 288f.
[2] Ideen, §117, S. 287.

ბი, არამედ – ნივთთა ფასეულობანი – კონკრეტული ფასეულობა-ობიექტურობანი: სიმშვენიერე და სისამაგლე, ვარგისობა და სიცუდე; – მოხმარების ობიექტი, ხელოვნების ნაწარმოები, მანქანა, წიგნი, საქმე და ა.შ.[1] ამისდაკვალად არადოქსალურად შესრულებული აქტცნობიერებაც იმპლიციტურად გულისხმობს მნიშვნელობაზე პრეტენზიებს, რომლებიც შეგვიძლია ნაივურად ვირწმუნოთ და პრობლემატურად ვაქციოთ, მივიღოთ ანდა უკუვაგდოთ.

ჭვრეტითად შესრულებადი ინტენციის ცნების უნივერსალური გამოყენება *ყველა* საზრისულად სტრუქტურირებულ გამოსახულებას, სულერთია ექნება მას კოგნიტივური თუ იმთავითვე ემოციონალური თუ ვოლუნტალური საზრისი უზრუნველყოფს „ჭეშმარიტებისუნარმქონეობას". ამიტომ შეუძლია ჰუსერლს დეკარტისეული გამონათქვამის გათავისება: იგი cogitata-ს უწოდებს ყველა ინტენციურ საგანს, სულერთია დაკავშირებულია თუ არა იგი დოქსალურსა თუ არადოქსალურ დადგინების ქვალიტეტთან. ამრიგად, შესაძლებელია ego-cogitatio-cogitato სახელწოდებათა მქონე ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკის გააზრება, შემეცნების კონსტიტუციის თეორიის ძირითადი პრინციპების თანახმად; მთელი ცხოვრების პროცესი უნდა დაიყვანებოდეს მოღვაწე სუბიექტურობის აქტთა შესრულებებზე, რომელიც თავის თავს განმარტავს შესაძლო ინტუიტურად წვდომადი საგნების საზრისკავშირებში.

იმ გარემოებიდან, რომ ინტენციური ცხოვრება უნივერსალურად არის გამიზნული ჭეშმარიტებაზე, ჰუსერლს გამოჰყავს გასაზოგადოებული კაცობრიობის აბსოლუტური თვითპასუხისმგებლობის საყურადღებო მოთხოვნა. ეს რადიკალური მოსაზრება გაშლილია მის ნაკლებად ყურადღებად სტატიაში: „აბსოლუტურ თვითპასუხისმგებლობაში ინდივიდუალური და თემური თანაცხოვრების იდეა"[2] „ამრიგად, აშკარად თვალშისაცემი ხდება უნივერსალობა, რითაც შემეცნების სამეფო მოიცავს გრძნობა-გუნებისა და ნებელობის სუბიექტობიდან გამომდინარე ყოველნაირ შედეგს; იგი მოიცავს იმ მომცველობასაც, რომლითაც შემფასებელი გუნება-განწყობა და ნება სწრაფვასა და მოქმედებაში მთელი სუბიექტურობისა და ყველა მისი ინტენციური ფუნქციის მიღმა გადის. მაგრამ მეცნიერებისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ მასში შემმეცნებელი გონების ობიექტივაციის სახით, აირეკლება და ობიექტივირდება ყველა შემფასებელი და პრაქტიკული გონება; ანდა – იმას, რომ თეორიული ჭეშმარიტების შემეცნების ფორმებში პრედიკატული სახით გამოითქმება, განისაზღვრება და შემეცნებისამებრი დაფუძნების ფორმები ენიჭება ყველა სხვა, ფასეულობითსა თუ პრაქტიკულ ჭეშმარიტებას"[3]

---

[1] Ideen. §116, S. 285.
[2] Husserlina, Bd. VIII, S. 194-211.
[3] A.a O., S.194.

აბსოლუტური თვითპასუხისმგებლობა არის ცხოვრების სამყაროს ინტენციური სტრუქტურის სუბიექტური ბადალი, რომელიც თავისი დადგინებებით, ამავე დროს, დადგინებათა პრეტენდირებული წესზომიერების დასაბუთების ინტერესსაც გამოთქვამს. როგორც პერსონულ ისე პოლიტიკურ სიბრტყეზე უპასუხისმგებლო ის ცხოვრებაა, რომელიც მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიების ფაქტიციტეტით კმაყოფილდება ისე, რომ არ ცდილობს, ცხოვრების სამყაროს უნივერსალურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზია ასევე მომცველი ფილოსოფიური ძალისხმევით გადაამოწმოს. ამ იდეიდან გამომდინარე თავიდანვე ლაპარაკი უნდა იყოს ცხოვრების პრაქტიკის რადიკალურ პასუხისმგებლობაზე, თუკი ყველა კონსტიტუციური ღვაწვა, რომელზეც დაეშენება ცხოვრების სამყარო, ფენომენოლოგიურ განწყობაში გადაკონსტიტუირდება, ყველა ცარიელა დადგინება აიწონ-დაიწონება და ყველა შეუსრულებადი ინტენცია უარიყოფა; თუკი დაუშვებთ, რომ ადამიანური ღვაწვის, სურვილისა და გრძნობის ყოველი ნაირსახეობა შეიძლება მეცნიერებათა საგნად იქცეს, რომლებშიც იგი თეორიულ თემად იქცევა და თუკი წარმოვიდგენთ, რომ ყოველ თეორიულ შემეცნებას შეუძლია მაშინვე განიცადოს ნორმატიული აბრუნდი, რომლის შემდეგაც იგი შესაძლო პრაქტიკისა და ა.შ. წესად იქცევა, მაშინ დავინახავთ, რომ ფილოსოფია უნივერსალურ მეცნიერებად ხმობილი, თაურწყაროდ მოცემული, საიდანაც თითოეული მეცნიერება თავის საბოლოო გამართლებას ქაჩავს, – რომ სწორედ ასეთი ფილოსოფია შეუძლებელია კვლავაც იყოს ადამიანის სანუკველი დარგი; პირიქით ფილოსოფიური ცხოვრება ისე როგორც საერთოდ ცხოვრება, გაგებული უნდა იქნას აბსოლუტური თვითპასუხისმგებლობის თანახმად".[1] ჰუსერლისათვის ეს კონტემპლაციური ცხოვრება არა მარტო ცალკეული ფილოსოფიის საქმეა, არამედ ამავე დროს, პოლიტიკური გეგმაცაა: „იდეალის მიხედვით, რომ ვილაპარაკოთ, კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებდა იმ პერსონათა მრავლობა ანდა იქნებ მათი ყოლობაც კი, რომლებიც ერთმანეთთან შესაძლო კავშირმიმართებებში არიან ანდა პერსონალური ურთიერთობებით თემს ქმნიან, იმ ცხოვრებით ცხოვრებას, რომელზეც აბსულუტურად იქნებოდნენ პასუხისმგებელიო, დაიყვანება კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა მოვიაზროთ ასეთი გათემურებული ცხოვრება თუკი არ არსებობს აბსოლუტური პასუხისმგებლობით დაფუძნებული ასეთი ცხოვრების თაობაზე გამიზნული ნება; ამრიგად, შესაძლებელია თუ არა ასეთი ცხოვრება ისე, რომ მისი იდეა მეცნიერულად, შემეცნების ზომისად არ მოისახოს ე.ი. – ისე, რომ მის შესახებ არ გვქონდეს ნორმატიული მეცნიერება"[2]

---

[1] A.a O., S.197.
[2] Ebd., S 199.

აქამდე ვცდილობდი ჰუსერლის აზრთა მსვლელობის ექსპლიცირებას (რამდენიმე ენის ანალიტიკური შენიშვნა განმარტებას ემსახურებოდა და არა კრიტიკას). ახლა მინდა ყურადღება გავამახვილო რამდენიმე სიძნელეზე, რომელებიც წამოჭრიან საკითხს იმის თაობაზე, საზრისულად სტუქტურირებული ცხოვრების სამყაროს ჭეშმარიტებასთან იმანენტური მიმართების სათანადო განხილვა ხომ არ სხლტება ცნობიერების თეორიის ჩარჩოებიდან; და ამის ნაცვლად, ხომ არ საჭიროებს იგი ენის მეცნიერულ საწყისს. მე ტუგენდჰათივით ფენომენოლოგიური მნიშვნელობის თეორიის სიძნელეებიდან არ ამოვალ, რომლის საფუძველიც ის არის, რომ ჰუსერლი ინტენციური საგნის ცნებას იმ განსაზღვრებათა რეფიციერებით ღებულობს, რომლებსაც ჩვენ იდენტიფიცირებად საგნებს პრედიკატულად მივაწერთ ანდა ჩამოვაწერთ. მე უფრორე მინდა ის სიძნელენი გავიხსენო, რომლებიც ჭეშმარიტების ევიდენტობის ცნებიდან წარმოიშობიან.

როცა ჭეშმარიტება ინტენციის ჭვრეტით ასრულებასთან მისი კავშირით განისაზღვრება, ინტენციური საგნის უშუალო აწინდელობით (და როცა მას შეესატყვისება ევიდენტობის განცდა), მაშინ საჭიროა კატეგორიალური საგნისთვის როგორც ისინი მაგ. მსჯელობის ყველა ფორმაში იჩენენ თავს, Sui generis მოთხოვნილი იქნას ჭვრეტა. ამიტომ ჰუსერლი ქმნის მოძღვრებას კატეგორიალური ჭვრეტის შესახებ, რითაც მას სურს საცნაურჰყოს არაგრძნობადი ჭვრეტა, რაიც ხამს, გრძნობადი ჭვრეტის ანალოგიით წარმოვიდგინოთ. მაგრამ რაც ასე საცნაურიყოფა სხვა არაფერია, თუ არა ის ცნების სტრატეგიული იძულება, რითაც ჰუსერლი ამ თეორიას ავითარებს. მაგრამ ჰუსერლს არ მოაქვს იმის დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომ ცნება „კატეგორიალური ჭვრეტა“ მყარად იქნას მოაზრებული და შეიძლებოდეს ამ გამოთქმის პარამეტაფორული გამოყენება. პრობლემა იწურება როგორც კი ჩვენ იმას, რასაც ჰუსერლი კატეგორიალურ საგნებს უწოდებს, მაგ. სინტაქსურ ფორმებსა და არითმეტიკულ მიმართებებს მართებულად წარმოშობილ კონსტრუქტებად გავიგებთ და უარს ვიტყვით, რომ ეს წარმონაქმნები კვაზისაგნებად შემოვაცუროთ, მაშინ შეიძლება მნიშვნელოვნებაზე პრეტენზია ცალკეულ კატეგორიას კი აღარ მიეწებოს, არამედ – მხოლოდ წესმართებულ წარმონაქმნს. მაგ. – გრამატიკულ ანდა მათემატიკურ გამოსახულებებს.

გარდა ამისა, ვეჭვობ ჰუსერლს სწორედ განესაზღვროს გრძნობადი ჭვრეტის ფუნქცია, რომელიც მოდელის სახით საფუძვლად უდევს კატეგორიალურ ჭვრეტას. საგნის „თვითმოცემულობის“ კონცეპტი იმ ვარაუდს ემყარება, რომ გრძნობად ჭვრეტაში უშუალოდ და ევიდენტუ-

რად მოცემულთან ინტუიტურ მისასვლელს ვფლობთ. ეს თეზისი არ იძლევა სათანადოდ დაცვის შესაძლებლობას და ამას, სხვათა შორის ჰუსერლის საკუთარი ანალიზებიც (მაგ. „გამოცდილებასა და მსჯელობაში") მოწმობენ. ყოველ არაამგვარად ძირეულ ჭვრეტაში შედიან კატეგორიალური განსაზღვრებანი, ყოველ წინარეპრედიკატულ აღქმაში იმალება ჰიპოთეტური ნამეტი, რომელსაც ვერ გაწვდება აქტუალურად მოცემული. არა მგონია, გრძნობადი ევიდენტობის განცდებში აღმოჩნდეს ის პარადიგმატული გამოცდილება, რომლის მოპოვება ჰუსერლს ჭეშმარიტების ევიდენტობის მისეული ცნებით ეოცნებება; იგი, ალბათ, უფრო კონსტრუქციის გამოცდილებებშია საძიებელი, როცა ჩვენ წესების მიხედვით ვქმნით სიმბოლურ საგნებს, სულერთია რისი კონსტრუქციაა ეს, რიცხვთა მწკრივებისა და გეომეტრიული ფიგურების, თუ ლაპარაკია საკლავირო ნაწარმოების პიანინოზე შესრულებასა ანდა წინადადების შედგენაზე და ა.შ., ყოველთვის ინტენცია სრულდება წარმოშობილი საგნის საშუალებით, რაც როგორც ასეთი წინასწარ იყო ინტენდირებული.[1]

ოღონდ, კონსტრუქციის წარმატებულობის (გამოსულობის) ეს ინტუიცია უტყუარობაზე თავდებობის ძალას იმ გარემოებას უმადლის, რომ თვითონ ჩვენ ვართ ის, ვინც სიმბოლურ საგანს მაფუძნებელი გენერაციული წესებით ქმნის და ვისაც იმავე საფუძველზე სრულად ესმის შესაქმის ჩვენთვის გამჭირვალე ისტორია. შესრულების ეს ინტუიცია არასგზით არ უნდა ავურიოთ უშუალოდ მოცემულის ინტუიციაში, რომელიც ჰუსერლმა პროგრამატულად შემოიტანა. როგორც ცნება, რომელიც მან გრძნობადი გამოცდილების მოდელს დაამყარა[2]. აღქმებიც ინტერპრეტაციის ჩარჩოებზეა დამოკიდებული, ისინი შეიცავენ მნიშვნელოვნებაზე ჰიპოთეზურ პრეტენზიებს, რომელთა შესრულება შეუძლებელია რაგინდ სიღრმისეულად ელემენტარულ აღქმებს დაემყარო; შესაძლებელია ნებისმიერი გრძნობადი გამოცდილების პრობლემატიზება, მაგრამ თუკი არ არსებობს თვალსაჩინო თვითმოცემულობის საბოლოო მზიდ ფუნდამენტზე საყრდენი; თუ ჩვენ, როგორც უკვე შთამბეჭდავად აჩვენა პირსმა, უნდა შეველიოთ ჭეშმარიტების ევიდენტობის ცნებას, მაშინ ინტენციურ განცდებში იმპლიცირებული მნიშვნელოვნებაზე პრე-

---

[1] ამ გამოცდილებას ემყარება ვიკოს მიერ დებულების: faktum et rerum convertuntur შემეცნების თეორიული განმარტება, რომელიც მან გეომეტრიის მაგალითზე შეიმუშავა.

[2] უშუალობის როგორც შემეცნების თეორიული გამამართლებელიც ენების კრიტიკისათვის. შეად. T.W. Adorno, Metakritik der Erkenntnis, Stuttgart 1957.

ტენზიები ამოსაგებია არა ჭვრეტით, არამედ – მხოლოდ და მხოლოდ დისკურსულად. წესზომიერებას იმისას, რომ მივიღოთ ან არ მივიღოთ პრომელამატიზირებული მნიშვნელოვნების პრეტენზიები, მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტები გვანიჭებენ და არა ჭვრეტები. ჭეშმარიტების ევიდენტობის ცნებას მთლიანად ემთხვევა ინტენციონალობის ჰუსერლისეული ცნება. ბევრი რამ მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ საჭიროა ენისთეორიულად გადაფორმულირდეს ცნობიერების თეორიულად გაგებული ეს ცნება, რომელიც მოპოვებულია ყველაფრისგან მოწყვეტილი სუბიექტის მოდელით, რომლის მნიშვნელობის მიმნიჭებელი აქტები საგანზეა მიმართული. შემდგომში ერთმანეთისგან განვასხვავებთ ინტენციებს, რომლებიც სხვას არას ნიშნავენ თუ არა იმას, რომ ჩვენ გვესმის წესმართებულად წარმოებული და მოხმარებული სიმბოლური გამოსახულებების მნიშვნელობა; – და იმ ინტენციებს, რომლებსაც აკრავს „დადგინება", ანდა მნიშვნელოვნებაზე პრეტენზია, რომლებიც გარემიანიშნებენ კეთილნაქმობასა თუ გასაგებობაზე. *ეს* ინტენციები მიკრულია მაგალითად, იმ წინადადებებზე, რომლებსაც გაგებინების მდგომარეობაში წარმოთქვამენ ენისა და მოქმედების უნარმქონე სუბიექტები. ამ ვერსიით საინტერესო აზრს იძენს ჰუსერლის თეზა საზრისულად სტრუქტურირებული ცხოვრების სამყაროს ჭეშმარიტებასთან შინაგანი მიმართების შესახებ. როგორც სჩანს საზოგადოების კომუნიკაციის თეორიას, ცხოვრების სამყარო არ დაჰყავს ინტენციურ განცდათა ნაკადზე, არამედ იგი ესმის როგორც გადაბმული კომუნიკაციური მოქმედებების აზრით გაგებული სიმბოლური გამოსახულებების ფაქტიციტეტი, რომელიც იმპლიცირებულია ამ გამოთქმებში და კონსტიტუციურია ცხოვრების სამყაროს არსებობის ფორმებისათვის. ერთსა და იმავე დროს გამოცდილებითა და ტრადიციით შენარჩუნებული და კულტურულად შეჩვეული „დადგინებანი" აღარ შეესაკუთრებიან ჭვრეტით დასაბუთებად საგნებს; მათი წესზომიერება დასაბუთებული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ დისკურსულად ე.ი. დამსაბუთებელი მეტყველებით. დოქსალურსა თუ სხვა სახის დადგინებაში წინასწარგანჭვრეტილი იქნება არა ინტენციის მჭვრეტელი შესრულების შესაძლებლობა, არამედ ყოველ მოცემულ შემთხვევაში პრეტენდირებული პრეტენზიის წესზომიერების თაობაზე ძალადაუტანებლად მიღწევადი კონსენსუსის შესაძლებლობა.

ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ მაბრუნებს აბსოლუტური თვითპასუხისმგებლობის მქონე ცხოვრების ჰუსერლისეულ იდეასთან. თუ ყოველ „დადგინებას" ინტერესიც თან აკრავს, რომ დაკმაყოფილდეს მნიშ-

ვნელოვნებაზე დადგენილი პრეტენზია, მაშინ საჭიროა აიხსნას, თუ რატომ ეფუძნება ცხოვრების სამყარო ისეთი პრეტენზიების ფართო ფუნდამენტს, რომელთა შესრულება არასგზით არ შეიძლება და არ ემყარება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტიურად აღიარებულ პრეტენზიებს. ნაივურად მიღებული, არაპრობლემატური და ამავე დროს, დაუსაბუთებელი მნიშვნელობის იმპლიკატთა გავრცელება სოციალურ სამყაროთა აქამომდელი ისტორიის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტია. აშკარაა, ჰუსერლს არ გამოუჩენია ყველა პრეტენზიის მომცველი ახსნის საკმარისად ქმედითი ინტერესი, ამიტომ მისი მცდელობა, ფენომენოლოგიის ამოცანა აბსოლუტურ თვითპასუხისმგებლობაში მყოფი ფილოსოფიური ცხოვრების საჭიროებასთან დააკავშიროს, უსუსური პოსტულატის ხასიათს იძენს.

საზოგადეობის კომუნიკაციის თეორიაც იქიდან ამოდის, რომ სიმბოლურ გამოხატულებებში იმპლიცირებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიას მხოლოდ და მხოლოდ მანამ აქვს ფაქტიური ურყეობა, სანამ ადამიანები დარწმუნებულნი არიან მნიშვნელობის იმპლიკატთა დასაბუთებადობაში. მაგრამ მაშინ ასახსნელი ფენომენია ის ფაქტი, რომ ცხოვრების სამყარო წმინდა წყლის ფაქტიური პრეტენზიების მასას ემყარება, რომლის პრობლემატიზება და დასაბუთება არასოდეს ხდება. საჭიროა განიმარტოს ის თუ დისკურსიული დასაბუთების სათანადო აქტუალური მცდელობის გარეშე როგორ შეიძლება განხორციელდეს და გაწონასწორდეს მნიშვნელოვნების პრეტენზიების შესრულებადობაში დარწმუნებულობა. მაგრამ თითოეულ ასეთ შემთხვევაში, რომლის დროსაც პრეტენზია ვერ გაუძლებდა გადამოწმებას, ყოველი ნაივური ნდობა ყალბი ცნობიერება აღმოჩნდებოდა. ამრიგად, გვესაჭიროება თეორია, რომელიც აგვიხსნის თუ როგორ არის შესაძლებელი ყალბი ცნობიერების წარმოშობა და სტაბილიზება; ყოვლის უწინარეს კი იმას განგვიმარტავდა თუ რატომ არის აუცილებელი იდეოლოგიების შექმნა. ამგვარი განმარტება, ამავე დროს, პასუხს გაგვაცემინებდა კითხვაზე არსებობს თუ არა ყალბი ცნობიერების განმარტების ინტერესი. განმარტების ასეთი ინტერესის მოძიებისა და მისი სიმბოლურად სტრუქტურირებული სინამდვილის რეპროდუქციის პირობებით დასაბუთების შესაძლებლობისათვის, რამდენადაც ამის დანახვა წინასწარაა შესაძლებელი, საჭირო იქნებოდა არა ცხოვრების სამყაროს წარმოშობის ტრანსცენდენტალური ისტორიის ფენომენოლოგიური გააზრება, არამედ მნიშვნელოვნებაზე იმ პრეტენზიების პრაქტიკულად თანმიმდევრული თემატიზება, რომლებიც არა მარტო შემთხვევით, არამედ სისტემურად უსხლტება შემოწმებას.

ამ პერსპექტივიდან თავი დავუსწარი ჩვენი განაზრებების ახლანდელ მდგომარეობას. მე გავაკრიტიკე ევიდენტობის ცნება და ვაჩვენე, რომ შესაძლებელია დასახელებული სიძნელეების აშორება, თუკი

ცნობიერების თეორიის საწყისს ენის თეორიულით შეეცვლით, მაგრამ მე არ მიჩვენებია თუ რატომ მაინცა და მაინც ამგვარი საწყისის არჩევაა საჭირო. ამას მეორე პრობლემის გარჩევისას ვაჩვენებ, რომელიც საზოგადოების წარმოშობის ყოველი თეორიის წინაშე წამოიჭრება საზრისულად სტრუქტურირებული ცხოვრების სამყაროს ჭეშმარიტებაზე იმანენტურად მოკიდების პრობლემასთან ერთად. ინტერსუბიექტურობის ფენომენოლოგიური დაფუძნების მცდელობისას აღმოჩნდება, რომ იძულებულნი ვართ, ინტენციონალობის პრიმატი ენობრივი ურთიერთგაგების უპირატესობით ჩავანაცვლოთ.

ჰუსერლი კონსტრუქციის შემდეგი ამოცანის წინაშე დგას: როგორ შემიძლია მე როგორც ტრანსცენდენტალურად მოღვაწე მე-მ, კონსტრუირება ვუყო მეორე მე-ს და ამავე დროს ჩემში კონსტრუირებული მაინც სწორედ მეორე მე-დ შევიმეცნო? ცნობიერების თეორიის წანამძღვრებიდან, რომელიც როგორც ერთმნიშვნელოვნად ამბობს ჰუსერლი, მჭვრეტელი მე-ს როგორც მონადის კონსტიტუციური ღვაწვებით იწყებს, ამოცანის ამგვარი განსაზღვრა აშკარად პარადოქსულია. ერთი მხრივ, მე ვარ, ვინც სხვას ჩემი სამყაროს ელემენტად ვაკონსტიტუირებ, მაგრამ შეუძლებელია იგი იმთავითვე სხვად მომეცეს თავის საკუთარ კონსტიტუციურ ღვაწვაში, რაც პრინციპულად იქნებოდა შესაძლებელი სხვა რომ ჩემ მიერ კონსტიტუირებული ყოფილიყო. მაგრამ ეს პარადოქსი მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაიჭრას ფენომენოლოგიის საშუალებით, თუკი დასაბუთებული იქნება ობიექტური სამყაროს საზრისი. ხოლო სამყაროს ობიექტურობა იმას ნიშნავს, რომ იგი სწორედ იმ სახით რა სახითაც ჩემ მიერაა კონსტიტუირებული ყველასათვის ერთი და იგივე სამყაროა; ჩემ მიერ კონსტიტუირებული სამყარო ყველა დანარჩენის მიერ კონსტიტუირებულის იდენტური უნდა იყოს. მხოლოდ და მხოლოდ ბუნებაა ჩემთვის ობიექტური მოცემულობა, რომელშიც მე მოცემულობის იმ ფორმებს ვაკონსტიტუირებ, რომლებიც ყველა დანარჩენის მიერ კონსტრუირებულის იდენტურია. მეორე მხრივ, ამ ობიექტურ სამყაროში თავდაპირველად კონსტრუირებული სხვები შემდგომში, შესაძლოა, ემპირულ სუბიექტებადაც შემომეყარონ: „ამრიგად, პირველი თავისთავად უცხო (პირველი არა – მე) არის სხვა მე. კონსტიტუციურად სწორედ ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ არსებობდეს უცხოთა ახალი და უსასრულო წრე, – არსებობდეს ობიექტური ბუნება, და საერთოდ, ობიექტური სამყარო, რომელშიც ყველა დანარჩენთა ერთად მეც შევდივარ"[1] ჰუსერლი ამჩნევს, რომ ჩემი სამყაროს ობიექტურობის საზრისი არ ჰკიდია მარტო უთვალავი სხვა სუბიექტის კონსტიტუირებაზე, რომელთაც ყოველთვის თავ-თავიანთი სამყარო ეძლევა, არამედ გარდა ამისა, იგი მოითხოვს ჩემი ჩათვლით

[1] Cartesianische Meditationen, §49, S137.

ყველა შესაძლო სუბიექტის კრებულის კონსტიტუირებას, რომლისთვისაც ჩემი სამყარო და მათი სამყაროები იდენტური იქნება როგორც ჩვენი სამყარო; ჰუსერლი ციტირებულ ადგილს განაგრძობს „წმინდა სხვების (რომელსაც აღარ აქვს სამყაროული აზრი) წამომაყენებელი კონსტიტუციის არსში ძევს, რომ ჩემთვის სხვები არ არიან გათითოებულნი, რომ ისინი პირიქით... აკონსტიტუირებენ მე – თემს (ერთმანეთთან და ერთმანეთისთვის არსებულ მე-თა), რომელშიც მეც შევდივარ; საბოლოო ჯამში სწორედ ასეთი მონადათა თემი... აკონსტიტუირებს ერთსა და იმავე სამყაროს. ამ სამყაროში კელავ გამოდიან ყველა მე-ები, მაგრამ ახლა მაობიექტივირებელ აპერციეფციაში მათ აქვთ „ადამიანის" ანდა „ფსიქოფიზიკური ადამიანის" როგორც სამყაროს ობიექტის მნიშვნელობა"[1] ჰუსერლი ერთმანეთისგან განასხვავებს, ერთი მხრივ, ობიექტურ სამყაროს, რომელშიც შემოგვეყრებიან ბუნების საგნები (სხვა ადამიანების ჩათვლით) როგორც შინასამყარული მყოფები; და – მეორე მხრივ, ტრანსცენდენტალურად გათემისმიერებული სუბიექტების ინტერსუბიექტურ სამყაროს, რომლებიც ერთმანეთს შეეყრებიან ხოლმე მათთვის იდენტური და ამის გამო ობიექტური სამყაროს ერთობლივი კონსტიტუირების სიბრტყეზე. ეს არის სოციალური ცხოვრების სამყარო, რომელშიც სუბიექტებს შეუძლიათ ურთიერთგაგებას მიაღწიონ შინასამყარულის თაობაზე. გათემისმიერებული სუბიექტები თავიანთ ცხოვრების „სამყაროში" ყოველთვის ინტერსუბიექტურობის ტრანსცედენტალურ სიბრტყეზე მოძრაობენ, ამიტომ იცვლიან ისინი პერსპექტივას, როგორც კი ჯერ არს, ერთმა მეორე alter ego-დ კი აღარ განიხილოს, არამედ – ობიექტური ბუნების შემადგენელ ნაწილად – დაკვირვებად საგნადაც კი.

V კარტენზიანულ მედიტაციაში ჰუსერლი შეეცადა გადაეჭრა ინტერსუბიექტურობის ფენომენოლოგიური დაფუძნების ამოცანა. მაკონსტიტუირებელ მე-ს მან ისეთი ამოსავალი მდგომარეობა განუსაზღვრა, რომელშიც მოცემულია აბსოლუტურად უსუბიექტო და ყველა ინიერსუბიექტურ მიმართებებს მოკლებული ბუნება. ეს ბუნება ჯერ კიდევ არ შეიძლება განისაზღვროს ობიექტურ ბუნებად. როცა ამგვარად ვახდენთ ყველა უცხოდან აბსტრაჰირებას, ხელთ გვრჩება „პრიმორდინალური"* სამყარო, რომელიც მხოლოდ იმას შეიცავს, რაც უშუალოდ ჩემი, განმააზრებელი სუბიექტის კუთვნილებაა და რომელიც ჩემ წინაშე წარმოდგება როგორც ჩემთან თავისებური დამოკიდებულების მქონე ტრანსცედენტი. „საკუთრივ რედუცირებული ბუნების" სხეულებს შორის მხოლოდ ერთადერთი განირჩევა ჩემ ტანად. ჩემი ტანი ის ექსტრაორდინალური სხეულია, რომელშიც მე ვარ სამყაროს კონსტიტუირების

---

[1] C.M., ebd.

* პირველდაწყებითი, პირველქმნილი – მთარგ.

ხელისუფალი; ტანის ორგანოებს მე შემიძლია მივუჩინო შეგრძნებისა და მოქმედების სფეროები; აგრეთვე – სათანადო მოძრაობები. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე ჰუსერლი ინტერსუბიექტურობის ტრანსცენდენტალურ ისტორიას ორი სააზროვნო ნაბიჯით აკონსტიტუირებს.

ა) როცა მე ჩემ ტანს ძირეულად ვეცნობი, ჩემ პრიმონდინალურ სამყაროში სხვა თავდაპირველად მხვდება სხეულის სახით. მე შემიძლია მისი აღქმა მაანალოგიზირებელი წვდომით; იმით – რომ ჩემი საკუთარი ტანსხეულის მსგავს სხეულს ვიგებ. მე მას მიმამსგავსებელი აპერცეფციით სხვა ტანად აღვიქვამ. როცა სხეულს სხვა ტანად განვმარტავ ჩემ ცნობიერებაში ჩემ ტანთან უძირეულეს გამოცდილებაში მუდამ დაკავშირებული შინაგანობის მაანალოგიზირებელ გადატანას ვახორციელებ: ვუშვებ, რომ სხვა ტანიც ჩემნაირადვეა ასოცირებული თავის თვითმყოფადობაში ჩემთვის ხელმიუწვდომელ შინაგნობასთან. იმგვარ პრეზენტაციას, რომელშიც ხდება მოუცემელის თანაგააწინდელება ჰუსერლი აპრეზენტაციას უწოდებს. სხვისი ტანი „აპრეზენტირებს" ჩემთვის თავდაპირველად ხელმიუწვდომელ უცხო აქტთა ცხოვრებას. სხვისი, ეს ტანითგადმოცემული აქტიური ცხოვრება ჩემ პრიმონდინალურ სამყაროში წარმოშობილი პირველი უცხო საგანია. მასში კონსტიტუირდება სხვა სუბიექტის საზრისი, რომელსაც ზუსტად ისე აქვს თავისი სხეული ტანად ასოცირებული, როგორც მე – ჩემი საკუთარი ტანი.

ბ) მეორე ნაბიჯით ჰუსერლი ცდილობს საცნაურჰყოს, რომ მონადების გათემისმიერება. უშუალოდ გამომდინარეობს უცხო შინაგანობის აპრეზენტაციის საზრისიდან. ამასთანავე იგი ემყარება იმ გარემოებას, რომ შესაძლებელია „აქ"-ისა და „იქ"-ის ტანზეცენტრირებული სივრცული პერსპექტივების ორმხრივი ურთიერთგაცვლა და ამ გზით – მათი ობიექტივირება. მას შემდეგ რაც სხვისი სხეული ჩემ ტანთან ანალოგიით განვმარტე თითქოსდა „აქ" იგი „იქ" იმყოფებოდეს სხვა სხეულის ადგილას, სხვის აპრეზენტირებულ შინაგანობაზე დაყრდნობით ისიც შემიძლია, რომ სხვისი სამყარო ჩემი სამყაროს ანალოგიით ავაგო. იმის საჩვენებლად, რომ სხვის კონსტიტუციასთან ერთად ის ტრანსცენდენტალური სამყაროც იქმნება, რომელსაც ერთი და იგივე და ამიტომ ობიექტური ბუნება ენიჭება, ჰუსერლი უბრუნდება სივრცული პერსპექტივების ურთიერთგაცვლადობას. როგორც ის შემიძლია, რომ ვირტუალურად სხვისი ტანის ალაგი დავიჭირო და მისი „იქ" ჩემი აქ-ით ჩავანაცვლო, ასევე ისიც ძალმიძს, რომ ტანით აპრეზენტირებული სხვისი სამყარული პრესპექტივა დავიკავო და ჩემსა და მის სამყაროულ პერსპექტივათა მეცენტრულ შეკავშირებას რელატივირება ვუყო ზიარი პერსპექტივის სასარგებლოდ: „იგი (სხვისი ტანი) უ.პ. აპრეზენტირებს მის ფლობას იქ, იმ სხეულში და მისი ფლობის სახით – *მასში* აღქმისზომისებრ გამოვლინებულ ბუნებას, იმავე ბუნებას, რაიც ჩემი პრიმონდინალური ბუნებაა. იგი იგივეობრივია მხოლოდ და მხოლოდ გამოვლენის ფორმებისა, *თითქოსდა მე იქ უცხო ტანს-სხეულის მაგივრად ვიდგე-*

სხვის აპრეზენტაციაში სინთეზური სისტემები იგივეობრივია მათი გამოვლენის ფორმებისა. ამრიგად – ყველა შესაძლო აღქმებისა და ნოემატური შინაარსებისა; ოღონდ ერთი და იგივე არ არის მხოლოდ ნამდვილი აღქმები და მათში განამდვილებული მოცემულობის ფორმები – და ნაწილობრივ, ნამდვილად აღქმული საგნებიც; ისინი ისეთნი არიან, როგორაც იქიდან (გვევლინებიან).“ პერსპექტივების ორმხრივობა აფუძნებს ჩემი მოჩვენების სისტემის იდენტურობას ტანურად აპრეზენტირებულ სხვასთან და ამავე დროს მასში კონსტიტუირდება გათემურებული მონადების ტრასცენდენტალური „ჩვენ“.

მე ისე ფართო განმარტება მივეცი ჰუსერლის კონსტრუქციას, რომ ახლა ორივე მნიშვნელოვანი საყვედურის განხილვა ძალმიძს. ორივე ერთსა და იმავეს ირწმუნება, რომ ჰუსერლმა თვალთმაქცობით მოიპოვა ის ინტერსუბიექტურობა, რომლის გამოყენა მან ვერ მოახერხა ცნობიერების თეორიული წანამძღვრებიდან.

ჯერ ერთი, (ა), ჰუსერლს უნდა დაესაბუთებინა ის, თუ რატომაა, რომ მე ჩემ პრიმონდინალურ სამყაროში, რომელშიც მხოლოდ *ერთი* სხეული განირჩევა როგორც ჩემი ძირეულად შეცნობილი *ტანი*, ყველა დანარჩენი სხეულების ერთობლიობიდან ჯერ არს, სხეულთა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა გამოვარჩიო როგორც სხვა სუბიექტების პოტენციური ტანები. ჩემი ტანის გამოცდილების უცხო სხეულზე აპერცეპციული გადატანის შესაძლებლობას ჰუსერლი ასაბუთებს ორივე საგანს შორის აღქმად მსგავსებაზე მითითებით; მაგრამ ტანსა და უცხო სხეულს შორის მსგავსების მიმართების აღქმას ჩვენ მხოლოდ მას მერე შეეძლებთ, რაც იმ მდგომარეობაში ჩავდგებით, რომ გავასაგნებთ ჩვენსავე ტანს როგორც ობიექტური ბუნების შემადგენელ ნაწილს. ცარიელა სუბიექტურად შეცნობილი ტანი კი იმზომად არა ჰგავს აღქმულ სხეულს, რომ იგი არანაირ საყრდენს არ სთავაზობს მაანალოგიზირებელ გადატანას.[1] სინამდვილეში არც ჰუსერლია ამგვარი მსგავსების რელაციის იმედად. მცდელობა, იმისა, რომ უცხო სხეული ტანად განიმარტოს იმითაც შეიძლება შემოწმდეს, რომ აპრეზენტაციის მწკრივეები შეთანაწყობილად მიედინებიან: „შეცნობილი უცხო ტანი შემდგომში ნამდვილ ტანად თავის ცვალებადს, მაგრამ ისევ და ისევ შეთანაწყობად მიხრა-მოხრაში მხოლოდ იმგვარად გვეტყობინება, რომ სწორედ მისი ფიზიკური მხარეა ის, რაც აპრეზენტირების გზით მის ფსიქიკურ მხარეს გვამცნობს... და ასეა ფაზიდან ფაზამდე მუდმივ ცვალე-

[1] Aschützi (das Problem der tranzendentalen Intersubjektivität, in: Philos. Rundschau, 5. Jrhrg. ამ კონტექსტში მიუთითებს შელერის, სარტრსა და მერლო-პონტის შესაბამის გამოკვლევებზე.

ბადობაში. თუკი ეს მდგომარეობა დარღვეულია, მაშინ ტანი ტან-მოჩვენებად შეიცნობა".[1]

რას ნიშნავს „შეთანაწყობადი მიხრა-მოხრა"? როგორც ითქვა წინასწარ მე ან სხვისი სხეულის მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვებადი მოძრაობები მეძლევა, მაშინ სხეულის მოძრაობათა თანამიმდევრობაში, სულ ცოტა, ისეთი წესზომიერება წარმოიშობა, რომელსაც ჩემი გარემოს ნებისმიერი სხეული ემორჩილება. მაგრამ იგი არ მაძლევს პოტენციური ტანის განმასხვავებელ გარანტიებს, ანდა სხვა ტანის მიხრა-მოხვრას მე ვგებულობ როგორც სიმბოლურ გამოხატულებას; მაშინ აუცილებელია ერთმანეთს მიდევნებული ჟესტების თანმიმდევრულობა იმ წესებს შეეზომოს, რომლებიც ადგენენ და განსაზღვრავენ სიმბოლოთა სისტემას, თუ რომელი ფიზიკური თვისება უნდა ჩაითვალოს ნიშნად და რა მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს მას გამოყენების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მე მხოლოდ მაშინ შევძლებ „ჟესტებად" გავიგო სხვა სხეულის ანალოგიურად წვდომილი მოძრაობანი, თუ არსებობს ნიშანთა მარაგის ინტერსუბიექტური ცოდნა და მისი ლექსიკონი. თანმიმდევრული აპრეზენტაციათა ცარიელა „შეთანწყობა" გამიჯვნის კრიტერიუმად არ გამოდგება. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ჰუსერლი გვერდს უვლის თავისი პირველი არგუმენტის მნიშვნელობას, როცა აპრეზენტაციის ცნებით წინასწარ იღებს იმას, რისი მოპოვებაც მას ამ ცნების დახმარებით უნდოდა. „კარტეზიანულ მედიტაციებში" ეს ცნება მხოლოდ აღქმადი საგნის არააღქმადთან წყვილადური ასოციაციის აზრითაა დაშვებული, მაგრამ ჰუსერლი იმპლიციტურად ამ ცნების უკვე განვითარებად მნიშვნელობასაც ეყრდნობა, რომელსაც მისი ადრეული განაზრებები („იდეებსა" და „ლოგიკურ გამოკვლევებში") იცნობს. აპრეზენტაცია ულაპარაკოდ გაიგება როგორც მნიშვნელობის რეპრეზენტაცია სიმბოლური გამოხატვის, მოცემულ შემთხვევაში – ტანთან დაკავშირებული ექსპრესიის გზით. მაგრამ როცა საჭიროა, განიმარტოს ჩემს და სხვა სუბიექტს შორის ინტერსუბიექტური მიმართება, რამაც ჯერ არს, შესაძლო ჰყოს სიმბოლოს გზით გაგებინება, ამას არ შეიძლება დაეწანამძღვროს ენის სპეციფიკური მნიშვნელობის ფუნქცია.

მეორეც (ბ). თუ მე მართებულად ვხედავ თავისი არგუმენტაციის მეორე ნაბიჯით ჰუსერლი petitio principii – თაც სცოდავს. იგი ჯეროვნად ამოდის იქიდან, რომ გათემურებული სუბიექტები წარმოიშობიან იმ პერსპექტივების ურთიერთმხრივი შეკვეცის გზით, რომელშიც ყველა მონაწილე სხვას, და ამავე დროს, ბუნებასაც წვდება როგორც საკუთარი სამზირიდან, ისე თითოეული შესაძლო სხვა სუბიექტის ვირტუალურად დაკავებული სამზირებიდან და ასე ერთობლივად აკონსტიტუი-

[1] C.M., §52, S. 144.

რებენ ობიექტურ სამყაროს. მაგრამ უცნაურია, რომ ჰუსერლი ამ კონსტრუქციას მხოლოდ იმ პუნქტებამდე ახორციელებს, სადაც მე მედიტაციის მოქმედი სხვის აპრეზენტირებულ შინაგანობას ვენაცვლები და ჩემ სამყაროს მის სამყაროსთან ვაიგივებ. ჰუსერლს აღარ ძალუძს ამ სრული ურთიერთმხრივობის კონსტრუირება, რადგან მედიტაციის მოქმედი მე-თი ფენომენოლოგიური საწყისი, რომლის სუბიექტობა ყოველთვის დასაბუთების შესაძლო ჰორიზონტი უნდა იყოს, თავს გვახვევს ასიმეტრიას ჩემსა და ნებისმიერ სხვას შორის. თვითდაკვირვების დროს ფენომენოლოგების მე ყოველთვის წინამორბედი თაურ–მე-ს ფუნქციას იძენს.

ამასთანავე „აქ"-ისა და „იქ"-ის განზომილებებს დასაბუთების მსვლელობის სტრატეგია ერთობ გავლენიანი ორმნიშვნელობით იყენებს. „იქ" და „აქ" თავდაპირველად მიმაგრებულია ტანზე ცენტრირებულ სივრცულ პერსპექტივებზე. როცა მე ვირტუალურად ვიჭერ ყველა შესაძლო ალაგს, უკვე შემიძლია, ჩემ პრიმონდინალურ სამყაროში ე.ი. სხვა მეს შემოსვლამდე, სივრცული პერსექტივები გამოვხსნა მისი ტანზეცენტრირებული ფსკვნილიდან და ისინი სივრცის კოორდინატებად გავასაგნო (აუცილებელია, სხვათა შორის, ამ პირობის დაკმაყოფილება, რათა მე სხვის სხეულს საკუთარ ტანთან „ანალოგიით" ვწვდე), მაგრამ ჰუსერლი ფიქრობს, რომ სივრცულ პერსპექტივათა თავისუფალი ვარიაცია შესაძლებლჰყოფს სოციალური სამყაროს პერსპექტივების იმ *გაცვლა-გამოცვლასაც*, რომელიც უნდა ჩავიდინოთ, თუკი ინტერსუბიექტური სამყაროს კონსტიტუირება გვინდა. იგი ვერ ამჩნევს, რომ სივრცის კოორდინატებს, რომელშიც მე აქ-ის და იქ-ის ტანზეცენტრირებული სივრცული პერსპექტივების რელიტივირებას ვეწევი, მოძრავი სხეულების მხოლოდ და მხოლოდ მონოლოგური აღქმის მიმართებათა ჩარჩოების გადმოცემა ძალუძთ, მაშინ, როცა „აქ" და „იქ" როგორც ურთიერთ გაცვლა-გამოცვლადი სამყაროული პერსპექტივები, რომლებშიც მე სხვა შემეყრება, ხოლო სხვას – მე, განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ: ისინი მხოლოდ და მხოლოდ მეტაფორულად არიან სივრცული პერსპექტივები. მათი გაცვლა-გამოცვლა და ზიარი სოციალური სამყაროს პერსპექტივებად ობიექტივირება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, რომ უკვე არის გამზადებული ყველა მონაწილე სუბიექტის სრული ურთიერთმხრივობა. *ფიზიკური* სივრცის ადგილას გამოდის *სოციალური* სივრცე. ალფრედ შუთცმა გაისიგრძეგანა ეს სისუსტე: „სხვისი კონსტიტუციის ჰუსერლისეული თეორია რომც მიგეღო, რომლის თანახმად აპრეზენტაციული გადატანის შედეგად შენ ტანს, რომელიც ჩემ პრიმონდინალურ სამყაროშია დასაბუთებული შენსავ სრულ სულიერ ცხოვრებასა, და შემდგომ შენს ტრანსცედენტალურ ეგომდე უნდა მივეყვანე; – თუნდაც ასეთი რამ დავუშვათ, მაინც ჯერ ისევ არ არის დაფუძნებული ტრანსცედენტალური

გათემურება, – ტრანსცედენტალური ჩვენ. პირიქით: თითეულ ტრანსცედენტალურ ეგოს თავისი სამყარო აქვს, რომელშიც იგი მისი ყოფნისა და საზრისისკვალად თავისთვის მაკონსტიტუირებს მე, იკონსტიტუირებს ყველა სუბიექტს და იმავდროულად არ აკონსტიტუირებს მათ ყველა დანარჩენი ტრასცედენტალური ეგოებისთვის.[1] დასახელებული წანამძღვრების დროსაც კი ტრანსცედენტალური გათემისმიერება მხოლოდ იმ აბსურდული აზრით შეიძლება წარმოიშვას, რომ მოცემულია გათემურება ჩემთვის და გათემისმიერება სხვისთვის და მათ შორის შესატყვისობა არ არის. შეუძლებელია ამ გზით საცნაურიყოს ინტერსუბიექტურად გათემისმიერებული გამოცდილების წარმოშობა, რომელიც ჩემთვისა და ყველა დანარჩენი სხვისთვის იდენტური იქნებოდა.

თავის წერილში „ევროპულ მეცნიერებათა კრიზისის" შესახებ ჰუსერლი არაორაზროვნად ლაპარაკობს „განსაკუთრებულ ფილოსოფიურ მარტოობაზე, რომელშიც ჩაძირულია ეპოხეს მოქმედი, ბუნებრივ განწყობას მიცემული ფენომენოლოგი". „ეპოხეს *მე* მაშინაც კი ვახორციელებ როცა ჩემს ირგვლივ უამრავი ადამიანია, რომლებიც უფრო მეტი, ჩემთან თანაზიარობაში ეპოხესაც კი ახორციელებენ ისე, რომ ჩემთვის ჩემი ეპოხეთი სამყაროს ფენომენშია ჩართული ყველა სხვა ადამიანი მთელი თავიანთი აქტიური ცხოვრებით; – იმ სამყაროს ფენომენში, რომელიც ეპოხეში მხოლოდ და მხოლოდ ჩემია." ცნობიერების ფილოსოფიის ეს ძირითადი მეთოდური მოთხოვნა, რომელიც ყოველთვის საკუთარი სუბიექტურობის მოღვაწეობებზე რეფლექსიით იწყებს, პრინციპულად გამორიცხავს იმას, რომ ჩემგნით და ჩემთვის კონსტიტუირებული სხვები ჩემთან ზუსტად იმავე აქტუალურ მიმართებაში შემოვიდნენ, როგორც მე მაქვს მათთან როგორც ჩემ ინტენციურ საგნებთან. პირიქით, მეთოდურად იძულებულიც კი ვარ ყველა დანარჩენი მე-ების წინაშე, რომლებიც ჩემი სამყაროს ინტერსუბიექტურობას თავდებობენ ჩემი მეს როგორც მაფუძნებელი თაურ–მე-ს უპირატესობა ვამტკიცო.[2]

მკაცრი აზრით გაგებული ინტერსუბიექტურად გათემურებული გამოცდილება შეუძლებელია მოვიაზროთ კომუნიცირებული, სხვადასხვა სუბიექტის მიერ „განაწილებული" საზრისის გარეშე. იდენტური მნიშვნელობები არ იქმნება იმ სუბიექტის ინტენციურ სტრუქტურაში, რომელიც მარტო დგას თავისი სამყაროს წინაშე. მნიშვნელობები ნებისმიერი გასაგები აზრით მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იძენენ იდენტურობას, როცა მათ სხვადასხვა სუბიექტები იდენტურად ამნიშვნელოვნებენ. მნიშვნელობის კონვენციათა ასახსნელად ვინტგენშტაინმა მოდე-

---

[1] Schütz, a.a. O., S. 100.

[2] „მე როგორც თაურ-მე აღაგებდა ტრანსცედენტალურად სხვების ჩემ ჰორიზონტს როგორც ტრანსცედენტალური ინტერსუბიექტურობის სამყაროს მაკონსტიტუირებელ თანასუბიექტებს", კრიზისი, იქვე.

ლად შემოგვთავაზა წესი, რომელსაც სულ ცოტა ორი სუბიექტი მაინც მისდევს; მედი გვირჩევდა როლების მოდელს, რომელიც, სულ ცოტა, ორი სუბიექტისთვის ადგენს ურთიერთშორის გაცვლა-გამოცვლად ქცევის მოლოდინებს. ისეთი კონცეპტები როგორიცაა „წესი“ ანდა „როლი“ იმთავითვე შემოტანილი უნდა იქნას სუბიექტთა შორის კავშირზე დაყრდნობით. ისინი გვერდს უვლიან კერძოცნობიერების ძირეულ ცნებას, რომელიც სხვა ცნობიერებასთან კონტაქტში მხოლოდ მოგვიანებით შედის. პირიქით თავიანთ ძირითად ცნებებს იმგვარად განსაზღვრავენ, რომ ინტერსუბიექტური კავშირი გააზრებული იქნას ენისა და მოქმედების უნარმქონე სუბიექტების მიერ სიმბოლური გამოხატულებების გამოყენების თანაბარძირეულად.

კომუნიკაციის თეორიებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი მაშინვე ინტერსუბიექტური მიმართებიდან ამოდიან; რის მონადური ცნობიერებების მოღვაწეობებიდან გამოყვანასაც ამაოდ ლამობენ კონსტიტუციის თეორიები. ამრიგად, ისინი დგანან შემდეგი ამოცანის წინაშე: კომუნიკაციის თეორიულად განმარტოს ის სუბიექტური განცდები, რომლებთანაც თითოეულ მეს *პრივილეგირებული მისასვლელი* აქვს. შესაძლო გამოცდილების საგნების ის კონსტიტუციაც კი, რომელთა თაობაზეც ურთიერთვიგებინებით, აუცილებელია, ყოველდღიური ენის კომუნიკაციის თეორიით განიმარტოს. მინდა, ეს პრობლემატიკა ვიტგენშტაინის ენის თამაშის თეორიის მაგალითზე გავარჩიო.

ლექცია III

საზოგადოების კონსტიტუციის თეორიიდან კომუნიკაციის თეორიისკენ (სელარსი და ვიტგენშტაინი). ენის კომუნიკაციური და კოგნიტივური სიტყვათხმარება

მინდა დავიწყო საზოგადოების კომუნიკაციის თეორიისთვის კატეგორიალური ჩარჩოების კონსტრუირებით. გზამკვლევობას გამიწევს ვიტგენშტაინის ენის თამაშის კონცეფცია, ხოლო ვილფრედ სელარსის ინტენციონალობის ტრანსცენდენტალური წარმოშობის ისტორია, პირიქით, უფრორე მკაფიოდ წარმოგვაჩენინებს ენის ლოგიკურად შემოტრიალებული ცნობიერების თეორიის საზღვრითს პრობლემას; მისი ორიგინალური განაზრებანი თავისებურ მოსაშუალე ადგილს იკავებს კონსტიტუციისა და კომუნიკაციის თეორიებს შორის.

სელარსი ერთმანეთისგან განასხვავებს ცნობიერების აქტებს, რომლებსაც გრძნობადი ანდა ცნებითი შინაარსი აქვს (აღქმები და მსჯელობანი), – თვითონ ამ შინაარსებს (აღქმებსა და მსჯელობებში ინტენდირებულ საგნებსა თუ საქმის ვითარებებს) და ექსისტირებულ საგნებს

(ანდა ნივთებს თავისთავად). ეს განსხვავებანი შემოტანილია შემეცნების რეალისტური განზრახვით და არ ემთხვევა არც კანტისა და არც ჰუსერლის ტრანსცენდენტალურ ლოგიკურ განსაზღვრებებს. მაგრამ ის, რასაც სელარსი „content"-ს* უწოდებს დაახლოებით იგივეა, რაც ჰუსერლთან ინტენციური საგანი და ინტენციურ აქტთა „წარმომადგენელი". სელარსს იმის განმარტება სურს, თუ როგორაა შესაძლებელი რომ ცნობიერების მრავალ ცალკე აქტს ერთი და იგივე შინაარსი ჰქონდეს; საგნის ინტერსუბიექტურობას ხომ ანგარიშს უწევს მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელობის იდენტურობა, რომელიც ერთსა და იმავე აზრად რჩება მაშინაც კი, როცა მას სხვადასხვა პერსონები მოიაზრებენ, ანდა ერთი და იგივე პირი მოიაზრებს სხვადასხვა დროს.[1] „რას ნიშნავს იმის თქმა, რომ შინაარსი „წარმომადგენელში" არსებობს?"[2] ამ კითხვას, რომ უპასუხოს სელარსი არა თუ ოდენ ცნობიერების თეორიული სიბრტყიდან ენის ანალიტიკურზე გადადის, არამედ გვთავაზობს, ცნობიერების აქტის მიმართება მისსავ აზრითს შინაარსთან განიმარტოს ლინგვისტური გამოთქმების მათსავ მნიშვნელობითს შინაარსთან დამოკიდებულების *ენობრივი მოდელით*. ჰუსერლისეული შეკითხვა: „როგორ გვეძლევა საგანი ინტენციურ განცდათა ნაკადში?", მაშინ შემდეგი შეკითხვით შეიცვლება: „როგორ გამოითქმება სიმბოლურად მნიშვნელობა ენობრივი ნიშნის საშუალებით?"[3] „წარმომადგენლის შინაარსებზე" თუ „წარმომადგენელში არსებულ შინაარსებსა" ანდა „მენტალური ეპიზოდების წარმომადგენელ ინტენციებზე" ლაპარაკის საზრისი ხამს, იმ აზრზე დაყრდნობით განიმარტოს, რა აზრითაც ვლაპარაკობთ „გამოთქმის საზრისებზე ანდა „გამოთქმებში არსებულ საზრისებსა" თუ „ლინგვისტურ ეპიზოდებსა ან გამოთქმულ ინტენციებზე".

---

* შინაარსი, დამტევნელობა – მთარგ. შენიშვნა

[1] ჯერ უყურადღებოდ ეტოვევ კითხვას, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ გამოთქმის ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვა ნივთებს მიესადაგოს, „თუკი ვუშვებთ ერთ შინაარსს მრავალ წარმომადგენელში, რატომ არ ვუშვებთ ერთ ატრიბუტს ბევრ ნივთში"; რატომ არ ვუშვებთ როგორც ისე აზრთა პლატონიზმს?" (W. Sellars, Science, Perception and Reality, N.Y. 1968, S62). სხვა ადგილას (გვ.92) სელარსი ლაპარაკობს ცნობიერებების აქტთა თანდაყოლილ შინაარსებსა (წარმომადგენელში ატრიბუტთა in-esse) და თვითონ ნივთებში თანდაყოლილ შინაარსებზე (ატრიბუტთა in-esse ნივთებში).

[2] A.a O., S.62.

[3] მე თვალს ვარიდებ იმას, რომ სელარსი ცნობიერების აქტებს იმთავითვე ობიექტივისტურად, სახელდობრ მენტალურ ეპიზოდებად განმარტავს: „თუ კი ყველაფერი რაც ხდება ანდა რასაც ადგილი აქვს ეპოზიდად ითვლება, მაშინ ეპოზიდია ნებისმიერი ცვალებადობა, რა დროსაც ობიექტი ერთი დისპოზიციიდან მეორეში გადადის" (უკვე ციტ., ნაშრ., გვ. 72.) სელარსის ფიზიკალისტური ცრურწმენის გამოხატულებაა ის, რომ მას ცნობიერების აქტები სამყაროს ისეთსავე პროცესებად მიაჩნია, როგორიცაა გასაგნებული ბუნების პროცესები.

ცნობიერების აქტები და მისი შინაარსები ჯერარს, განიმარტოს ენობრივი გამოთქმებისა და მათი მნიშვნელობების მოდელის საშუალებით. ინტენციური აქტები ხამს, ისე განვიხილოთ თითქოსდა მხოლოდ ისეთი ინტენციები იყოს მოცემული, რომელთა საზრისს ყოველთვის შეეძლოს სიმბოლური გამოხატულების შეძენა, როგორც ეს პირველ ლექციაში დავასაბუთეთ.

სელარსი ჭეშმარიტებაშემძლე წინადადებებიდან ამოდის და იმ საქმის ვითარებათა საზრისს იკვლევს, რომელიც თხრობითი წინადადებებით გადმოიცემა; ასეთი საქმის ვითარება შეიძლება ამგვარად იყოს ანდა ამგვარადვე არ იყოს (do or do not obtain); ამრიგად, იგი იკვლევს საყოველთაო განსაზღვრულობათა საზრისს, რომლებიც პრედიკატული გამოთქმების ფორმით გადმოდიან და ნაღდდებიან ანდა არ ნაღდდებიან ექსისტირებულ საგნებში (are or are not exemplifild); და ბოლოს – ისეთი საგნების საზრისს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ინდივიდის მუდმივებსა თუ მახასიათებლებში და რომლებიც ან არსებობენ ანდა არ არსებობენ (do or do not exist).[1] ლინგვისტურ გამოთქმასა და მასში სიმბოლიზირებულ საზრისს შორის კავშირს ჩვენ მნიშვნელობის რელაციას ვუწოდებთ, მაგრამ სელარსი მნიშვნელობის რელაციის უკეთ გასაგებად ელეგანტურ გზას გვთავაზობს. ყოველი გამოთქმა, სულერთია, რას გამოთქვამს იგი საქმის ვითარებას, საყოველთაო განსაზღვრებას თუ საგნებს შეიძლება ბრჭყალებში ჩაისვას, რათა საცნაურიყოს ის, რომ იგულისხმება არა ერთი რომელიმე მოცემული ენის გამოთქმა, არამედ – რომ ეს გამოთქმა წარმომადგენლობს ყველა მოაზრებად გამოთქმებს, რომლებიც შედარებადს ენებში ზუსტად იმავე როლს თამაშობენ, რომელსაც მოცემული გამოთქმა „ჩვენ“ ენაში თამაშობს. ჭადრაკში ჩვენ „მეფის“ შესახებ იმ აზრით ვლაპარაკობთ, რომ „მეფით“ ნებადართულია მხოლოდ ამა და ამ და არა სხვა სვლების გაკეთება, და მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელ ფიგურასა თუ ნიშანში იქნება იგი რეალიზებული თითოეულ მოცემულ შემთხვევაში. ამრიგად, წინადადებაში: „ღვინო წითელია“ მე შემიძლია პრედიკატის გამოთქმა ბრჭყალებში ჩავსვა, რათა საცნაურვჰყო, რომ „წითელს“ გერმანულში იგივე ფუნქცია აქვს რაც „red“-ს ინგლისურში, „rouge“-ს ფრანგულში, „rosso“-ს იტალიურში და ა.შ. მნიშვნელობის რელაცია გერმანულ სიტყვა „წითელსა“ და ყველა წითელი საგნის კლასს შორის კი არ არის, არამედ – ამ სიტყვასა და „წითლის“ აბსტრაქტულ საზრისს შორის, რომელიც ერთნაირად მეძლევა ყოველთვის სულერთია, გერმანულ სიტყვა: „წითელს“ წარმოვთქვამ თუ ნებისმიერ სხვა (შედარება-

[1] A.a O., S.64.

დი) ენის „წითელის“ აღმნიშვნელ ანალოგიურ თქმებს ვიყენებ. მაშასადამე, ბრჭყალები არის მეტაენობრივი მითითება გამოთქმის ნორმალური გამოყენების კონტექსტზე მისივე ენის სისტემის შიგნით; ისინი მზერას მიმართავენ იმ იდენტურ მნიშვნელობაზე, რომლისთვისაც თითოეულ შედარებადს ენასისტემაში ანალოგიური როლების მქონე გამოთქმები არსებობენ; „სოკრატე არის ბრძენი“ საქმის ვითარებაა, რომელიც გერმანულში გადმოიცემა წინადადებით: „სოკრატე ბრძენია“, LX-ში გადმოიცემა SX გამოთქმებით (იგივე მოსდით პრედიკაციურ განსაზღვრებებსა და ინდივიდის მუდმივებს. გამოთქმები როგორებიცაა „ბრძენი“ ანდა „სოკრატე შეისაკუთრებენ ფუნქციას, რომელიც ამ სიტყვებს აქვს გერმანულში, ხოლო შედარებადს ენებში – ანალოგიური როლების გამოთქმებს.

თქმა არ უნდა, რომ აბსტრაქციის ამ ნაბიჯის გადაგმისას სელარსს ჰერმენევტიკული ძირეული გამოცდილებისა ეიმედება: ბუნებრივი ენის ნებისმიერი წინადადება არსებითად შეიძლება ითარგმნოს ნებისმიერ მეორე ენაზე. მაგრამ უცნაურია, რომ ცნებებს როლი თუ ფუნქცია, რომლებიც ენასისტემაში გამოთქმებს გამოიღებენ, იგი შემდგომში გაანალიზების გარეშე იყენებს (ანდა მას ექსპლიციტური აზრითაც ხმარობს, რა აზრიც ამ ცნებაგასაღებებს ვიტგენშტაინმა მიანიჭა თავის ენის ანალიზებში). მნიშვნელობის ბადალი გამოთქმების აბსტრაქციას სელარსი ლოგიკურ ოპერაციად განიხილავს და არა — ჰერმენევტიკულ ხელოვნებაში გაწაფვად, რომელსაც ენის თეორიული განმარტება ესაჭიროება.[1] მინდა მოკლედ ვაჩვენო, რომ ამას მძიმე შედეგები მოსდევს საკუთრივ პროგრამის განხორციელებისას, რომელსაც ჯერ არს, მოემსახუროს ის შეთავაზებაც, რომ მენტალური ეპიზოდების შინაარსი მეტყველების ეპიზოდთა მნიშვნელობებს შეუდარონ.

სელარსმა ენის ლოგიკურად შემოატრიალა ინტერსუბიექტურობის სუბიექტის ფილოსოფიური დაფუძნების ჰუსერლისეული ამოცანა. მას იმის ჩვენება სურს, თუ როგორ თავისუფლდება ინტენციური გამოთქმებისაგან ის ინტენციური ენა, რომლითაც ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ სურვილებს, აზრებს, იმედებსა და გრძნობებს; ჩვენ ვიტყოდით, მას სურს იმის ჩვენება, თუ როგორ შეიძლება წარმოშობილიყო ემპირული ენა. მის კონსტრუქციას ის მთავარი აზრი წარმართავს, რომ ინტენციურ გამოთქმებს ჰიპოთეტურად შემოტანილ იმ თეორიის საფუძველცნებები წარმოადგენენ, რომლის კვალადაც მოაზროვნე, მგრძნობელი ანდა მსურველი ორგანიზმების დაკვირვებადი ქცევის რეაქციები უნდა გავიგოთ როგორც განსაზღვრული, შინაგანი ეპიზოდებიდან ანდა

[1] შეად. A.a O., S.293.

ცნობიერების აქტებიდან გამომავალი პროცესების საბოლოო მდგომარეობანი. ეს თეორია იმ ვარაუდს ეყრდნობა, რომ ენობრივი არტიკულაციის სიბრტყეზე დაკვირვებადი ეპიზოდები ზუსტად ისეთ მიმართებაშია საფუძვლადმდებარე შინაგან ეპიზოდებთან, ანუ ინტენციებთან, როგორც – ლინგვისტური გამოთქმები მათსავ მნიშვნელობებთან. მას შემდეგ რაც თეორია ერთხელაც იყო და გამოგონილ იქნა მან ისე კარგი რეპუტაცია შეიძინა, რომ სადღეისოდ იგი ადრეული ბავშვობის ხანის სოციალიზაციის რეპერტუარში შედის. ინტენციური განცდა, რომელიც ოდესღაც თეორიული კონსტრუქტი იყო, ამასობაში თავისთავად გასაგებ, ურთიერთნავარაუდებ სინამდვილედ იქცა.

არ მინდა, გამოწვლილვით შევამოწმო სელარსის კონსტრუქციის სიმტკიცის ხარისხი; ჩვენ კონტექსტში საინტერესო ის ფიქტიური ბუნებრივი მდგომარეობაა, რომელშიც სუბიექტები, ისე როგორც ჰუსერლის პრიმორდინალურ სამყაროში, მართალია, სრული ცნობიერების ცხოვრებით არიან დაჯილდოებულნი, მაგრამ ყველა ინტერსუბიექტური კავშირი შემოძარცვიათ. ისინი ფლობენ დესკრიპტულად გამოყენებად ენას, რომელიც გარდა მეტყველების ლოგიკური ნაწილაკებისა, მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვებად (ერცეულდროულად ლოკალიზებულ) ხდომილებათა გამოთქმებს ითმენს. ამ ემპირიული ენის გამოყენება შესაძლებელია კოგნიტივური მიზნებისთვის, მაგალითად – ბუნების პროცესებზე ჰიპოთეზების შესადგენად, მაგრამ იგი გამოუსადეგარია კომუნიკაციური მიზნებისთვის. სელარსი იძულებულია, განახორციელოს ეს რედუქცია, როცა, ერთი მხრივ, ამოსავალი მდგომარეობა გამორიცხავს ინტერპერსონულ კავშირებს, ხოლო მეორე მხრივ, ჯერარს დაშვებული იქნას ენის არსებობა. ეს აუცილებელი პირობაა, რადგან ხამს, უცხო ცნობიერების პოსტულირებული თეორია, ენამოდელის მიხედვით შეიქმნას ე.ი. ამაეე დროს იგი მნიშვნელობის რელაციათა ცოდნასაც მოითხოვს. მე კი ვამტკიცებ, რომ შეუძლებელია კომუნიკაციური ხმარებიდან მოწყვეტილი ე.ი. აბსოლუტურად მონოლოგური ენის თანმიმდევრული მოაზრება ენად.

სელარსის განმარტოებული სიტყვათხმომხმარებელი უნდა ფლობდეს სიტყვისა და წინადადების იდენტურ მნიშვნელობებს, მაშინ როცა მას შესაძლებლობა არა აქვს მეორე მოლაპარაკის მიმართ მეტყველების აქტი განახორციელოს. „ლინგვისტური ქცევის არაპერფორმატორული შრის"[1] ე.ი. „ენის ეპისტემური ფუნქციის როგორც ინტერპერსონულ კავშირებში მისი პერფორმატორული როლის საპირისპიროს" განსასაზღვრად სელარსი ერთმანეთისგან განასხვავებს „ქმედებებს" (action), რომელთა ისევ და ისევ გამეორება შესაძლებელია ნებისა და ცნობიე-

[1] A.a O., S156.

ოვის საფუძველზე და – ცარიელა რეაქციებს, რომლებიც არაინტენციურად შეიმეცნეოდნენ. სელარსის ენის მონოლოგურ გამომყენებელს მხოლოდ და მხოლოდ ენის ხდომილებათა წარმოების შესაძლებლება აქვს: რადგან ამ მდგომარეობაში არ გვინდა წინასწარ დავუშვათ ინტენციური ენა, რომლის წარმოშობა ჯერ ისევ ასახსნელია, ამიტომ მონოლოგიური ენისგამომყენებლის ინტენციური განცდები, აზრები, გრძნობები და სურვილები მხოლოდ და მხოლოდ „ლოკუციურ არა-აქტებად, რეაქციულ ენობრივ ქცევებად არტიკულირდებიან: „შეუძლებელია, ამ ეპიზოდთა თუ აქტთა დახასიათება ქმედებებად"[1] მეორე მხრივ, ეს ენობრივი ქცევებიც იდენტურ მნიშვნელობათა გამოთქმის საშუალებას იძლევიან; სხვაგვარად მდიდარი ფანტაზიის მქონე ამ თეორიულ რობინზონს არ ექნებოდა სათანადო მოდელი, რისი საშუალებითაც მას შეეძლებოდა განემარტა ურთიერთშესაკუთრება მეორე მეს დაკვირვებად ეპიზოდებსა და მის (თეორიულად პოსტულირებულ) შინაგან ეპიზოდებს შორის. ამ სიძნელის დასაძლევად სელარსი ერთმანეთისაგან განასხვავებს „განხორციელების წესებსა" და „კრიტიციზმის წესებს"[2]. წესები, რომლებსაც ჩვენ ქმედებებს მიუსწორებთ იმას ადგენენ თუ რის გაკეთება ჯერ არს (Ought to do); შეფასების წესები, პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ იმ გადაწყვეტილებების კრიტერიუმს იძლევიან, რაღაც ნამდვილად შეესაბამება თუ არა წესს; (Ought to be); ენის მონოლოგური გამოყენებისთვის რომ მნიშვნელობათა იდენტობა, და საერთოდ, ენის ქარაქტერი არსებობდეს, საჭირო მხოლოდ და მხოლოდ შეფასების (rules of criticism) წესებია და არა შესრულების წესები (rules of perfomance). გარდა ამისა, ამ წესებთან ერთად შემოპარებული იქნებოდა ისეთი ინტენციები, რომელთა ადგილი ჯერ ისევ არ უნდა ყოფილიყო ჩვენს ფაქტიურს ბუნებრივ მდგომარეობაში: „რადგან ხმამაღლა ფიქრი და მისით მოდელირებული მენტალური აქტები, რომლებზეც ვლაპარაკობთ, არ არიან ქმედებები. ჩვენ ერთმანეთისაგან ვანსხვავებთ შესრულების წესებსა და კრიტიციზმის წესებს. არა-ქმედებანი, ისევე როგორც ქმედებები ემორჩილებიან კრიტიციზმის წესებს და ლინგვისტური არა-ქმედებანი, რომლებიც მხედველობაში გვაქვს, გამონაკლისს არ წარმოადგენენ. ჩვენი ლინგვისტური ქარაქტერის ჩამოყალიბებაში, შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ კრიტიციზმის წესები; ე.ი. ისინი უზრუნველყოფენ სემანტიკური ერთგვაროვნების არსებობას, რაიც აზრსავსე მეტყველების დისკრიპტული ბირთვია".

---

[1] Ebd.

[2] A.a O., S.76.

გასაგებია ის ცნების სტრატეგიული ზეწოლა, რომელიც აიძულებს სელარსს ამ განსხვავებათა გატარებას, მაგრამ თვითონ განსხვავებები არასგზით არ არიან გასაგებნი. მე სადაოდ მიმაჩნია ის, რომ მნიშვნელობათა იდენტობის უზრუნველყოფა შესაძლებელი იყოს თვითშეფასების კრიტერიუმთა მხოლოდ და მხოლოდ მონოლოგური ფლობის საფუძველზე; უფრო მეტი, ეჭვის ქვეშ ვაყენებ იმას, რომ საერთოდ შესაძლებელი იყოს იმის შეფასება, შეესაბამება თუ არა მოცემული ქცევა წესწარმართული ქცევის კრიტერიუმებს, თუკი იმავდროულად კომპეტენცია არა გვაქვს, ჩვენ თვითონვე მივსდიოთ იმავე წესებს. მახსენდება ვიტგენშტაინის განთქმული არგუმენტი, რომელიც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეულ სუბიექტს მარტო თავისთვის შეეძლოს წესის მიყოლა: „რწმენა იმისა, რომ წესს მისდევ არ ნიშნავს (სინამდვილეში) მის მიყოლას. მავანს იმიტომ არ ძალუძს წესს „პრივატულად" მისდიოს, რომ მაშინ წესის შესრულების რწმენა იგივე იქნებოდა რაც წესის დაცვა."[1] ვიტგენშტაინი იმ მოსაზრებიდან ამოდის, რომ სიტყვა „წესის" გამოყენება გადაწნულია სიტყვა „იგივეს" მოხმარებასთან. თუ კი A სუბიექტი წესს მისდევს, მას უნდა შეეძლოს ეს წესი ყოველთვის ისე დაიცვას, რომ ცვალებადი, შემთხვევითი გარემოებებისდამიუხედავად იგი მაინც ერთსა და იმავე წესს ასრულებდეს. წესის საზრისში იმპლიცირებულია ის, რომ რასაც A თავის ორიენტაციას საფუძვლად უდებს, თავისი თავის იგივეობრივი რჩება. ამრიგად, სულ ცოტა მომდევნო B სუბიექტს შეუძლია შეამოწმოს A მოცემულ შემთხვევაში ნამდვილად იცავს თუ არა პრეტენდირებულ წესს. A -ს უნდა შეეძლოს წესის გადახვევა და სისტემატური შეცდომების დაშვება; ამავე დროს B-ს უნდა შეეძლოს ამ განსხვავებისა თუ სისტემური შეცდომების შეცნობა და გაკრიტიკება. მნიშვნელობა, რომელიც გამოსახულია წესით, მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ორივე სუბიექტისათვის იდენტური, როცა შესრულებულია ეს ორივე პირობა; მაშინ ეს მნიშვნელობა იდენტური იქნება არა მარტო ამ ორი, არამედ ყველა ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტისთვის, რომლებიც შესაძლოა A და B სუბიექტების როლში გამოვიდნენ.

ამ განაზრებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი დასკვნა ისაა, რომ მე მარტო შეუძლებელია, დარწმუნებული ვიყო, წესის დაცვა - არ დაცვაში, თუ კი არ არის ისეთი სიტუაცია, რომელშიც მე შემიძლია ჩემი ქცევა *სხვისი კრიტიკის საგნად* ვაქციო და მასთან *კონსენსს* (თანხმობას) მივაღწიო. მაგრამ, მეორე მხრივ, სხვისი კრიტიკაშემძლეობა წინასწარ გულისხმობს, რომ მის ხელთაც იგივე წესკომპეტენციაა, რაც მე მაქვს. ოღონდ რაში მდგომარეობს წესთა მნიშვნელობის ინტერსუბიექტუ-

[1] Philosophische Untersuchungen, §202, Schriften Bd. I, S.382.

რობა? B-ს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეუძლია A-ს წესწარმართული ქცევის დაკისრებული გადამოწმება, როცა პირველი მეორეს მოცემულ შემთხვევაში შეცდომას *უსაბუთებს* ე.ი. როცა პირველს მოთხოვნისამებრ შეუძლია მეორესთან თანხმობას მიაღწიოს წესის სწორი გამოყენების თაობაზე. მაგალითად B-ს შეუძლია A-ს როლი იკისროს და მას თვალნათლივ დაანახოს თუ რა შეცდომა ჩაიდინა. ამ შემთხვევაში A გამოდის კრიტიკოსის როლში, რომელსაც ახლა იმ გზით ძალუძს თავისი თავდაპირველი ქცევის გამართლება, რომ მას B წესის მცდარ აპლიკაციაში არწმუნებს. სრულიად შეუძლებელი იქნებოდა იმ წესის „იმავეობაზე" ლაპარაკი, რომელსაც ორივე სუბიექტი მისდევს და ამით თავიანთ ქცევებს მას მიუსწორებს, თუკი არ იარსებებდა ორმხრივი კრიტიკისა და თანხმობამდე მიმყვანი შენიშვნის შესაძლებლობა ე.ი. – შესაძლებლობა წესის ურთიერთგაგებისა. მარტომყოფ სუბიექტს არა თუ ოდენ წესების ინტერსუბიექტური მიყოლის შესაძლებლობა არ ექნებოდა, არამედ მას წარმოდგენაც კი არ ექნებოდა წესის კონცეპტზე.

„წესის მიყოლის" ცნების ანალიზით ვიტგენშტაინი იმას ასაბუთებს, რომ იდენტური მნიშვნელობის ურთიერთგაგებას კონცეპტუალურად წინ უსწრებს უნარი იმისა, რომ სულ ცოტა, მომდევნო სუბიექტთან ემონაწილეობ საჯარო პრაქტიკაში. ამასთანავე ყოველი მონაწილე უნდა ფლობდეს როგორც წესწარმართული ქცევის, ისე ამ ქცევის კრიტიკული შეფასების კომპეტენციას. განმარტოებულ სუბიექტს, თუნდაც იგი ამ ორიდან ერთ კომპეტენციას ფლობდეს, არ ძალუძს მნიშვნელობის რელაციათა მოპოვება.[1]

ენის მონოლოგურმა გამომყენებლებმა, რომლებიც სელარსის ბუნებრივ მდგომარეობაში სახლობენ, უნდა იცოდნენ, თუ რას ნიშნავს ის, რომ სიტყვას ანდა წინადადებას მნიშვნელობა აქვს. მათ უნდა შეეძლოთ შედარების გზით გამოიცნონ იდენტური როლები, რომლებსაც სხვადასხვა ენებში თამაშობენ მნიშვნელობაიგივეობრივი გამოსახულებები ე.ი. – უნდა შეეძლოთ აბსტრაქტული მნიშვნელობების გამოცნობა; ამას უნდა ახერხებდნენო: „მათ მიერ შესრულებული სამუშაოს იმ მუშაობასთან შედარების გზით, რასაც ძირ ენაში ასრულებენ გამოსახულებანი."[2] სწორედ ამ აზრით ლაპარაკობს ვიტგენშტაინი იმ როლებზე, რომლებსაც ენაში სიტყვები თამაშობენ.[3] მაგრამ ვიტგენშტაინი აჩვენებს, რომ ენათა სისტემებს, რომლებშიც სიტყვები (თუ წინადადებები) მსგავს ფუნქციებს ასრულებენ, საჯარო ქარაქტერი აქვთ და ყოველთვის მრავალი სუბიექტის ინტერაქციას მოითხოვენ. სელარსის

---

[1] შეად. P. Winch, The Idea of a Sotial Science, London 1958, S. 24-44; ferner H.J. Giegel, Die Logik der seelischen Ereignisse, Ffm. 1969, S. 99-108, S. 112, S.134.

[2] Sellars (1968), S.128.

[3] მაგალითად Phil. Unt. §182 I, S.373.

მონოლოგურმა ენის გამომყენებლებმა რომ ფაქტობრივად შეიძლონ მნიშვნელობათა იდენტიფიცირება, ისინი მანამდე უნდა მოძრაობდნენ ინტერსუბიექტური ურთიერთგაგების სიბრტყეზე ე.ი. აგრეთვე – იმ ენაში, რომელიც ხამს, მაინც ფიქტიური ბუნებრივი მდგომარეობიდან იქნას გამოყვანილი. მართალია, სელარსი გვერდს უვლის მნიშვნელობის უენო ინტენციონალობის თეორიის ჰუსერლისეულ კონცეპტს, მაგრამ ვიტგენშტაინის თვალსაზრისს, იმის შესახებ, რომ „მოლოდინი და მისი ასრულება ერთმანეთს ენაში (და მხოლოდ ენაში) ეხებიანო,"[4] მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ეთანხმება, რათა თვითონ ენა გამოაცალკევოს შესაძლო ურთიერთგაგების მისთვის შინაგანად დამახასიათებელი ინტერსუბიექტურობის ფორმიდან. ინტერსუბიექტურობის ენის მონოლოგური დაფუძნების ამ პარადოქსული ამოცანის გადაჭრისას სელარსს ზუსტად ისევე მოსდის მარცხი, როგორც იმავე მიზეზებით იგი ჰუსერლმა იწვნია. ენის მონოლოგური გამოყენება, როგორც თვითონ სიტყვა: მონოლოგური მიუთითებს, უნდა მოვიაზროთ ენის კომუნიკაციური გამოყენების საზღვრით შემთხვევად და არავითარ შემთხვევაში – მის შესაძლო ფუნდამენტად.

სელარსისაგან განსხვავებით ვიტგენშტაინი უყოყმანოდ გადადის ცნობიერების ფილოსოფიიდან ენის თეორიაზე. იგი თავდაპირველად ინტენციურ აქტებს ინტენციური განცდებისაგან დამოუკიდებლად განიხილავს. მათ თავდაპირველად ხელი არა აქვთ ცნობიერების აქტებთან გინა შინაგან ეპიზოდებთან: „სწორედ ენაში ერთმანეთს შეეხება ინტენცია და ინტენციის შესრულება". ნიმუშად ვიტგენშტაინს მოაქვს ანგარიშის ამოცანა და ის ოპერაცია, რომელიც მას წყვეტს: „მოლოდინიდან ასრულებისკენ ნაბიჯი არის გაანგარიშება".[2] ასევეა წინადადებაც. ბრძანებით წინადადებას ისეთი მოქმედება მოპყვება, რომელიც უნდა ჩაითვალოს ბრძანების შესრულებად; თხრობითი წინადადებიდან გამომდინარეობს ფაქტი, რომელიც მას აჭეშმარიტებს. ინტენცია და მისი შესრულებაც წინადადების გრამატიკის კუთვნილებაა: „რამდენადაც სიტყვების მნიშვნელობა თავის თავს ასაბუთებს ახდენილ მოლოდინში, სურვილის ასრულებაში, ბრძანების შესრულებასა და ა.შ., ამდენად იგი უკვე გვაქვს მოცემული მოლოდინისა და ა.შ. ენობრივ გამოსახულებაში."[3] წინადადების საზრისი არ არის პნევმატური; იგი არც ინტენციებთან გინა მნიშვნელობის მიმნიჭებელ აქტებთან მისი დაკავშირების გზით აიხსნება. პირიქით თვითონ ინტენციების საზრისი მხოლოდ და მხოლოდ წინადადებების მნიშვნელობაზე დაყრდნობით უნდა გადმოიცეს: „წინადადების საზრისი სული როდია."[4] წინადადება რაღაც მხო-

---

[1] Phil. Unt., §445, I, S.438.
[2] Phil.Grammatik, I, §III, Bd. 4, S. 160.
[3] Ebd. §45, Bd. 4, S.88.
[4] Ebd. §84, Bd. 4, S.131.

ლოდ ენაში არის. ამრიგად, ინტენცია გაიგო ნიშნავს, ენის სისტემაში წინადადების როლი ამოიცნო. მაგრამ რა აზრითაა შესაძლო ენის სისტემაზე ლაპარაკი?

ცნობილია, რომ ვიტგენშტაინი შემდეგ მოდელს იყენებს: ენა თამაშსა ჰგავსო.[1] სამაგალითოდ მას შემოაქვს თამაშის ცნება. მაგალითის პირველ ჯგუფებს წარმოადგენენ მარტივი კალკულაციები, რომელთა შედგენა შესაძლებელია ნიშანთა კომბინაციებისათვის ნიშნებისა და მათი გამოყენების წესთა დახმარებით. პარადიგმა რომელსაც გამუდმებით მოუხმობს ვიტგენშტაინი არის ბუნებრივ რიცხვთა მწკრივი. მაგალითების შემდგომი ჯგუფებია ბაკშვური თამაშობანი, რომლებსაც ის უპირატესობა აქვთ, რომ უამრავი მონაწილის მოღვაწეობათა ურთიერთშეთანხმება ხდება. მაგალითების მესამე ჯგუფს ქმნის საჯარო თამაშობები, როგორიცაა ჭადრაკი, ბანქო და ა.შ. გრამატიკული წესების თამაშის წესებთან შედარებისას, ყოველდღიური ლაპარაკისა და მოქმედებების ბუნდოვან ფონზე, იკვეთება სტერეოტიპულად განმეორებადი კონტექსტები: ამას ვიტგენშტაინი ენის თამაშებს უწოდებს. ახლა მინდა ვაჩვენო, თუ რა ხეირი მოაქვს თამაშის ამ მოდელის მიხედვით ბუნებრივი ენის ანალიზს. მინდა ისიც ვაჩვენო, თუ რა საზღვრებს უწესებს ეს მოდელი ენის ანალიზებს.

თამაშის მოდელი ანალიტიკოსის მზერას მიაპყრობს ძალ-რბილში გამჯდარსა და ენობრივად გაშუალებულ ინტერაქციებს. ვიტგენშტაინი უგულვებელყოფს წესების საკუთრივ ლინგვისტურ განზომილებას, რომელთა მიხედვითაც წარმოიშობა სიტყვათა მწკრივები; ეს უგულვებელყოფა ხდება წესების პრაგმატული განზომილების სასარგებლოდ, რომელთა მიხედვითაც იქმნება მოლაპარაკეთა შორის კომუნიკაციები. ამიტომ ენის თამაშის „გრამატიკა" არ უნდა ავურიოთ თვითონ ენის გრამატიკაში. პირველი მათგანი იმ წესებსაც მოიცავს, რომლითაც შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაცია იქმნება: ენის თამაშის სტრუქტურა ადგენს თუ როგორ უნდა გამოვიყენო წინადადებები თანხმობაშემძლე გამოთქმებში. ვიტგენშტაინს რომ ენის თამაშის თეორია ჩამოეყალიბებინა, იგი უნივერსალური პრაგმატიკის ფორმას მიიღებდა. რა თქმა უნდა, ვიტგენშტაინს არც კი წამოუწყია თეორიის ის პროგრამა, რო-

---

[1] „ვერაკინ უარყოფს, რომ თამაშის წესების არსის შესწავლა სასარგებლო იქნება გრამატიკული წესების შესწავლისათვისაც, რაკი რაღაცნაირი მსგავსება მათ შორის უეჭველად არსებობს – სწორი იქნებოდა გრამატიკას და თამაშს შორის ანალოგიაზე წინასწარ აკვიატებული მსჯელობა თუ წინარესჯა კი არ შეგვედგინა, არამედ მათ შორის ნათესაობის არსებობის უტყუარ ინსტინქტს მიეყოლოდით და ისე გაგვერჩია თამაშის წესები" (იქვე., §134, ტ.^V, გვ. 187)

მელსაც მე გავარჩევ და საზოგადოების კომუნიკაციის თეორიის საფუძვლად შემოგთავაზებთ; ენის თამაშობათა გრამატიკული გამოკვლევა მას არასოდეს განუხილავს თეორიულ წამოწყებად, არამედ ამას ყოველთვის მხოლოდ ad hoc ხერხად განიხილავდა, რომელიც არაპირდაპირ შეტყობინებებსა თუ საკუთრივ თეორიულად დაუშვებელ აღწერებს იყენებს, რათა მოლაპარაკეს თერაპიული თვალსაზრისით გაუცნობიეროს მისი ენის თამაშის ფუნქციონირება. ენის თამაშის გრამატიკა (ე.ი. წესთა სისტემა, რომლის მიხედვითაც შეიძლება თანხმობაშემძლე გამოსახულებები ჩამოყალიბდეს) თვითვლინდება, და შეუძლებელია მისი თეორიული გამოსახულების სახით გადმოცემა.[1] ვიდრე თეორიაზე ამ უარს მივუბრუნდებოდე, მინდა მოვიხსენიო სამი ასპექტი, რომლებითაც ვიტგენშტაინმა თამაშის მოდელი ნაყოფიერ მოდელად აქცია ბუნებრივი ენის ანალიზისათვის.

1) თამაშის მოდელში ვიტგენშტაინს უპირველესად აინტერესებს თამაშის წესების სტატუსი და მოთამაშის კომპეტენცია, რომელიც ამ წესებს მისდევს. თამაშის წესები ადგენენ ნებადართულ ნიშნებსა და ოპერაციებს, რომელთა განხორციელებაც სწორედ ამ ნიშნებითაა ნებადართული. სწორედ მათ უნდა მივმართოთ, როცა არ ვიცით თუ რას უნდა „ნიშნავდეს" ფიგურა ანდა ფიგურათა სვლა. ამ მოდელის მიხედვითაა შექმნილი მნიშვნელობის გამოყენების თეორია, რომელიც ამბობს, რომ სიტყვის ანდა წინადადების მნიშვნელობა არის ის როლი, რომელსაც იგი თამაშობს ენის კალკულაციებში. მართალია, შეიძლება აღიწეროს თამაშის წესები, მაგრამ ამგვარი აღწერა ვერ ხედება მთავარს, თუ როგორ მუშაობენ ისინი. არ არის აუცილებელი, რომ მოთამაშეს, რომელსაც ესმის წესები, ე.ი. ძალუძს თამაში, ამ წესების აღწერაც შეეძლოს. წესის სპეციფიკას აღწერაზე უფრო მისი მექონის კომპეტენცია გამოხატავს. თამაში ესმისო ნიშნავს, რომ მავანს რაღაც გაეგება, რაღაც „ძალუძს". გაგება ნიშნავს ტექნიკის ფლობას. ამ ფლობით გამოიხატება სწორედ ის სპონტანურობა, რითაც შესაძლებელი ხდება შესწავლილი წესის დამოუკიდებელი გამოყენება; და ამასთანავე – იმ ახალ-ახალი შემთხვევებისა და მაგალითების წარმოშობის შემოქმედი ძალა, რომლებიც წესის შესრულებად ჩაითვლებიან. ამით აიხსნება ვიტგენშტაინის ინტერესი იმ გარემოებისადმი, რომ მოსწავლე, რომელმაც მაგალითებზე შეისწავლა განსაზღვრული რიცხვთა მწკრივები, მხოლოდ მას მერე მიხვდა მის საფუძვლადმდებარე წესს, რაც „დამოუკიდებლად განგრძობა" შეიძლო. „და ასე შემდეგ," რომლითაც მასწავლებელი

[1] Philos. Bemerkungen,§54, Bd. 2, S. 84f.

წყვეტს წესის გამათვალსაჩინოებელ რიცხვთა მწკრივს, იმ აბსტრაქტული შესაძლებლობის მონაცვლეა, რომ წესის შესატყვისი უსასრულოდ ბევრი ოპერაციის შესრულება და უსასრულოდ ბევრი შემთხვევის შექმნა შეიძლება. კომპეტენცია, რომელსაც მე ვიღებ თამაშისა თუ გრამატიკის წესების შესწავლის გზით, გენერაციული უნარია. ვიტგენშტაინი მოუღალავად იძლევა სულ ახლ-ახალ განმარტებებს იმის თაობაზე, თუ რატომ არის, რომ წესის გაგების კოგნიტივური უნარი, ამავე დროს, მოითხოვს პრაქტიკულ სიმარჯვეს; სიმარჯვეს ამ წესის თანახმად ოპერირებისა.

წესის საზრისი არის ის საყოველთაო, რომელსაც მე მაგალითების ოდენ სასრული რაოდენობით ვათვალსაჩინოებ და მერე ისევ და ისევ ოდენ მაგალითებზე დასწავლის გზით სხვას განვუმარტავ. მაგრამ საყოველთაო, მაგალითებით განმარტო არ ნიშნავს, რომ ნებისმიერს აქვს უფლება, ინდუქციურად განაზოგადოს შემთხვევების სასრული რაოდენობა. პირიქით, მოწაფე საყოველთაოს სწორედ მაშინ წვდება, როცა იგი წარმოდგენილ ნივთებში მხოლოდ იმის ნიმუშის დანახვას ისწავლის, რაც მათში" დასანახია. ამაზე საკმარისად მეტყველებს კიდევ ერთი მაგალითი: „ამრიგად, არსებობენ მაგალითის წესები, რომლებიც მას მაგალითად აქცევენ".[1] საგნები, გინა მოქმედებები, რომლებიც ნიმუშად მოგვაქვს, თავისთავად როდი არიან მაგალითები; პირველად სწორედ წესის აპლიკაცია იძლევა განსაკუთრებულში საყოველთაოს აღმოჩენის შესაძლებლობას. ყოველ გამოყენებაში in nuce იმალება შემოქმედებითი მომენტი. მოწაფე, რომელმაც წესი დაისწავლა, იმ გენერაციული უნარის წყალობით, რომ ახლა თვითონვე შეუძლია ახალი, და ფიქტიური მაგალითების მოგონებაც კი, უკვე პოტენციურ მასწავლებლად ქცეულა.

2) გარდა ამისა, ვიტგენშტაინს თამაშის მოდელში ის კონსენსუსი აინტერესებს, რომელიც მოთამაშეებს შორის სავალდებულო წესების თაობაზე უნდა არსებობდეს. ენასა და პრაქტიკას შორის კავშირი, რომელიც ხამს, გამოითქვას სიტყვით: „ენის თამაში" არ არის ამომწურავად განმარტებული იმ ოპერაციებზე მითითებით, რომლებიც წესის თანახმად სიმბოლოთა მწკრივებს ქმნიან. როცა ვიტგენშტაინი ენისა და ღვაწვათა კონტექსტს „ენის თამაშს" უწოდებს, მაშინ იგი გულისხმობს სხვა სახის მოქმედებებს, კერძოდ – ინტერაქციებს. მაგალითად, ბრძანებები არიან ენობრივი გამოხატულებანი, რომლებიც მოქმედებებით სრულდება ანდა ირღვევა; „წარმოიდგინე, რომ მკვლევარად ჩახვედი უცხო ქვეყანაში, სადაც სრულიად უცხო ენაზე საუბრობენ. რა გარემოებებში იტყოდი იქ ხალხი ბრძანებებს გამოსცემს, მათ იგებს, აპროტესტებსო და ა.შ." ზიარი ადამიანური მოქმედების ფორმა არის მიმართებათა სისტემა, რომლის საშუალებითაც უცხო

[1] Philos. Grammatik, II, 9, Bd. 4, S. 272.

ენას ვგებულობთ“.[1] ენის თამაშის გრამატიკა აწესრიგებს საზრის კავშირ–მიმართებებს, რომელთა შემავსებელი ხორცშესხმა ხდება წინადადებებში, ტანთან დაკავშირებულ ისეთ გამომხატველობებში, როგორიცაა მიმიკები და ჟესტები, და მოქმედებები. ენობრივი გამოთქმები, რამდენადაც ისინი ენის თამაშის ელემენტებს წარმოადგენენ ინტერაქციებში არიან ჩაბმულნი.[2] მათაც მოქმედების ბუნება აქვთ, რაკი ისინიც ქმედების შემადგენელი ნაწილები არიან.

მეტყველების ისეთ აქტებს რომ ეახორციელებთ, როგორიცაა ბრძანებები, შეკითხვები, აღწერები ანდა გაფრთხილებები, არამარტო მოქმედების შემავსებელ ფორმებს შევისაკუთრებ, არამედ „ზიარი ადამიანური მოქმედების წესში“ ვმონაწილეობ. საზიარობა, რომელიც ინტერაქციის კონტექსტში ერთმანეთთან წინასწარკრავს მოლაპარაკე და მოქმედ სუბიექტებს, არის კონსენსუსი გათამაშებული წესების თაობაზე. ანთროპოლოგი, რომელიც ისეთ ქვეყანაში ჩადის, რომლის ენა მისთვის უცნობია, წინარეგაგებების საფუძველზე მისი საკუთარი ტრადიციებიდან რომ მომდინარეობენ, აკეთებს ვარაუდს, რომ დაკვირვებულ ინტერაქციებს განსაზღვრული წესი წარმართავს. მას ამ ვარაუდის შემოწმება იმ გზით შეუძლია, რომ სულ ცოტა, ვირტუალურად მაინც გამოვა დამკვირვებლის როლიდან და თვითონვე მიიღებს მონაწილეობას იმ კომუნიკაციაში, რომელსაც თავდაპირველად მხოლოდ და მხოლოდ აკვირდებოდა. მისი გაგების სისწორის ერთადერთი კრიტერიუმი არის ამგვარი მონაწილეობის წარმატებულობა. თუ ჰიპოთეზა მცდარია, მაშინ ირღვევა მოქმედების თანმდევი უსიტყვო კონსენსუსი. გამოცდილება იმისა, რომ ენის თამაში „ისე არ ფუნქციონირებს“ როგორც მე ვვარაუდობდი, სწორედ რომ დარღვეული კონსენსუსის გამოცდილებაა; „იგი შეხედულებათა ურთიერთშესატყვისობა როდია, არამედ ცხოვრების ფორმაა.“[3] დავალდებულების იმ ქარაქტერს, რომელიც ინტერსუბიექტურ გამნიშვნელოვნებაში გინა კომუნიკაციისმოქმედი ჯგუფის აღიარებაში იგულისხმება, ვიტგენშტაინი თამაშის წესების მაგალითზე განმარტავს: „წესის მიყოლა, შეტყობინება, ბრძანების გამოცემა, ჭადრაკის თამაში ჩვეულებანი (ჩვევები, ინსტიტუციები) არიან.“[4]

3) დაბოლოს, თამაშის მოდელში ვიტგენშტაინს აინტერესებს ახალი ურთიერთკავშირის კონსტიტუირების საზრისი. თამაშის წესები თვითნებურად დგინდება; ჩვენ შეგვიძლია ძველი წესები ისე შევცვალოთ, რომ გარკვეული თვალსაზრისით ითქვას, ახალი თამაში გამოუგონიათო, მაგრამ ამ დროს გარკვეული მიზნებით როდი ეხელმძღვანელობთ. პირიქით, თამა-

---

[1] Philos. Unters.,§206, Bd. 1, S. 383.
[2] შეად. J.Habermas, Erkenntnis und Interesse, Ffm. 1968, Kap. 7, S. 178 ff.
[3] Philos. Unters.,§241, Bd. 1, S. 389.
[4] Ebd., §199, Bd. 1, S. 381.

შის ცნებაში ის იგულისხმება, რომ მისი მიზანი ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ თამაშად ყოფნაა; სულერთია, იქნება ეს მოსაწყენი თუ შემეცნებითი – ერთპერსონიანი თუ მრავალპერსონიანი თამაშობა. გრამატიკული წესები ისევე როგორც – თამაშისა არ არიან ტექნიკური წესები, რომელთა დადგენა რეალიზებად მიზანზე დაყრდნობით შეიძლებოდეს. ვიტგენშტაინი ამას „კერძის მომზადების" მაგალითზე განმარტავს: „კერძის მომზადების წესებს რად არ ვუწოდებ თვითნებურს, და რატომ ვცდილობ, გრამატიკულ წესებს თვითნებური ვუწოდო? იმიტომ, რომ კერძის მომზადების ცნებას კერძის მომზადების მიზანი განსაზღვრავს, მაშინ, როცა ენის ცნებას არ განსაზღვრავს ენის მიზანი. ცუდი კერძი გამოუვა მას, ვინც კერძის მომზადებისას სხვა წესებს მისდევს და არ იცავს მართებულ წესებს. მაგრამ ის, ვინც ჭადრაკის თამაშის კი არა, სხვა წესებით ხელმძღვანელობს, უბრალოდ, სხვა თამაშს თამაშობს... კულინარიის წესები სხვანაირ ურთიერთობაშია სიტყვა „კერძის მომზადების" გრამატიკასთან, ვიდრე ჭადრაკის თამაშის წესებია – სიტყვა „ჭადრაკის თამაშის" გრამატიკასთან; ასევე განსხვავებულია იგი იმ მიმართებიდან, რაც არსებობს სიტყვა „გამრავლების"[1] გრამატიკასა და გამრავლების წესებს შორის. გრამატიკული წესები თამაშის წესებისათვის *კონსტიტუციურია,* რადგან ისინი არ ემსახურებიან მათგან დამოუკიდებლად უკვე არსებული ქცევების რეგულირებას, არამედ ქცევის ფორმათა ახალ კატეგორიას ქმნიან. მიზანი, რომელიც შეიძლება შეისაკუთროს ამგვარმა გენერაციულმა წესებმა, პირველად სწორედ იმავე წესებით კონსტიტუირდება. ამრიგად არ შეიძლება ენა გვესმოდეს იმ დაწესებულებად, რომელიც გარკვეულ მიზანს, თუნდაც ურთიერთგაგებინებას, ემსახურება; რაკი ურთიერთგაგებინების ცნებაში უკვე იგულისხმება ენის ცნებაც.

რა თქმა უნდა, სწორედ თამაშის კონვენციური ბუნება ააშკარავებს იმ მცდელობის საზღვრებსაც, რომლებშიც თამაში ენის მოდელად გაიგება. ვიტგენშტაინი ერთგან თვითონ მიანიშნებს იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს თამაშის ჩვენ მიერ წინასწარ დათქმულ სულერთიაობასა და ტრადიციულად შესისხლხორცებული იმ ენის განუხრებულობას შორის, რომლის გრამატიკასაც უნდა დავემყარო. მაგრამ ენა მაინც არ არის უბრალოდ თამაში; საჭიროა, მას სერიოზულად მოვეკიდოთ, „მნიშვნელობა განა მართლა მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის გამოყენებაა? განა იგი ის ფორმაც არ არის, რითაც ეს მნიშვნელობა *ცხოვრებაში იჭრება?* განა მისი გამოყენება თვითონ არ არის ჩვენი *ცხოვრების ნაწილი."*[2] ვიტგენშტაინი აქ აშკარად იმის წინააღმდეგ გამოდის, რომ ენის გამოყენება ცარიელა თამაში ანდა თავაზიანობის ფორმა იყოს; რამდენადაც ჯერ არს, იგი მე საერთოდ გავიგო, ამდენად

---

[1] Philos. Grammatik,§133, Bd. 4, S. 184f.

[2] Philos. Gramm., §29, Bd. 4, S. 65.

„იგი *ჩემ* ცხოვრებაში უნდა შემოიჭრას“.[1] როგორ შეიძლება ეს მოხდეს? ენის წესებს თამაშის წესებიით თვითნებურად როდი ეირჩევთ. თვით ისეთი სტრატეგიული თამაშიც კი როგორც ჭადრაკია, ამ თვალსაზრისით, არ გამოდგება ენის მოდელად. ენის ორ კონსტიტუციურ ნიშან-თვისებას არ მოეპოვება ანალოგი სტრატეგიულ თამაშში.

ა) სტრატეგიული თამაში თავიდან ბოლომდე გარეგნულია მოთამაშე სუბიექტისთვის, ენა კი მთლიანად გამსჭვალავს მოლაპარაკის პერსონულობის სტრუქტურას. რადგან თამაშები დადგენილნი არიან წმინდა წყლის კონვენციურად, ამიტომაა, რომ თამაშის განმავლობაში მის წესებზე დისკუსია გამორიცხულია; თამაშის მსვლელობისას შეუძლებელია ამავე დროს თამაშის თემა იყოს მისი წესები. ასევე არ იცვლებიან მოთამაშე სუბიექტები; იმათ, ასე ვთქვათ, თან მოაქვთ მათივე გენერალიზებული კომპეტენცია, რომ საერთოდ დათქვან თამაშის წესები და მათი მიხედვით იმოქმედონ. მართალია, მათი პერსონულობის სტრუქტურა თამაშის განაპირა პირობებში ‘ედის, მაგრამ მაინც არ არიან ის ცვლადები, თამაშის მსვლელობისას რომ თავის ფასეულობებს იცვლიან. სხვანაირად არის საქმე ენის თამაშის გრამატიკასა და მოლაპარაკის კომუნიკაციურ კომპეტენციასთან მიმართებაში. ორივე მათგანი ენობრივი კომუნიკაციის ჩამოყალიბების პროცესში გაიაზრება. ენის თამაშის გრამატიკა იცვლება კულტურული მემკვიდრეობის მსვლელობაში, ხოლო ორივე პროცესი თვითონ ენის მედიუმში ხორციელდება. გრამატიკული წესები განუწყვეტლივ შეიძლება ვაქციოთ მეტაკომუნიკაციური ურთიერთგაგების საგნად, რაკი ისინი სტრატეგიული წესების დარად კონვენციის როდი ეფუძნებიან. მაგრამ ამავე დროს მოლაპარაკე სუბიექტები განიცდიან ზეწოლას, რომ როცა გაგება სურთ იმ სიტუაციის წინარე გაგებას უნდა დაემყარონ, რომელშიც ყოველთვის უკვე იმყოფებიან; ვინაიდან მისი როგორც მოლაპარაკის კომპეტენცია ენობრივად გაშუალებულ ინტერაქციებში ყალიბდება. თამაშის მოდელს ადვილად რჩება მხედველობიდან ის გარემოება, რომ ენობრივი კომუნიკაციის სტრუქტურას განეკუთვნება მოლაპარაკის თავიდან ბოლომდე სიმბოლურად სტრუქტურირებული პერსონულობა. ენა და მოლაპარაკე შინაგანადაა ერთმანეთს შეზრდილი და ამიტომ მათი ურთიერთკავშირი სრულიად სხვანაირია, ვიდრე – მოთამაშისა და თამაშის. ამ გარემოებას სისტემურად როდი უწევს ანგარიშს ვიტგენშტაინი.

ბ) ისევე არ ითვალისწინებს იგი იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია ენის გრამატიკის მიერ მნიშვნელობათა კონსტიტუირება ზუსტად ისევე იყოს თავისუფალი გარეგანი ზეწოლისაგან, როგორც ეს ხდება თამაშის წესების კონვენციური შემოღებისას. მართალია, ენის თამაშის გრამატიკაც არ გადმოიცემა ემპირული წინადადებებით, მართალია, ისიც არ არის და-

[1] Ebd., S.66.

მოკიდებული ბუნების კანონებზე, არამედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინ უსწრებს გამოცდილებას, მაგრამ ენის გრამატიკა ზუსტად ისევე უსწრებს კი წინ გამოცდილებას, როგორც სტრატეგიული თამაშის წესები? მნიშვნელობა, რომელიც სვლას მინიჭებული აქვს თამაშში, არაფერს ნიშნავს თუკი მას თამაშის კონტექსტიდან ამოვიღებთ. მაგრამ ენა სამყაროს შიგნით რაღაცასთან არის მიმართებაში, ჩვენ ისეთ რამეზე ვლაპარაკობთ, რაც ენაში კი არაა, სამყაროში არის, ხოლო როცა ვთამაშობთ სხვას ვერაფერს ვიზამთ, რაც თამაშში არ შედის. წინადადებები რაღაცას გამოხატავენ, ხოლო თამაშები არა. ამიტომ გრამატიკული წესები თამაშის წესებიდან განსხვავებული აზრით არიან „კონსტიტუციურნი". ისინი აკონსტიტუირებენ გამოცდილების შესაძლებლობას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ისინი წინასწარ იძლევიან შესაძლო გამოცდილებას, მაინც არ არიან თავისუფალნი იმ შეზღუდვებისაგან, რომლებიც ისევე არიან დაკავშირებულნი ჩვენი ორგანიზმის მოწყობილობის ცვლადებთან, როგორც გარემომცველი ბუნების მუდმივებთან: „მხოლოდ და მხოლოდ ნორმალურ შემთხვევებში გვაქვს ჩვენ ნათლად წინასწარმოსახული თუ როგორ უნდა ვიხმაროთ სიტყვა; ჩვენ ვიცით და არ ვყოყმანობთ თუ რა უნდა ვთქვათ თითოეულ შემთხვევაში. რაც უფრო ნორმიდან გადახრილი არის შემთხვევა, მით უფრო საორჭოფო იქნება ის, თუ რისი თქმა ხამს. ტკივილის, შიშის, სიხარულის დამახასიათებელი გამოთქმები რომ არ არსებულიყვნენ, მაშინ ნივთები ერთმანეთთან სრულად სხვა ურთიერთობებში იქნებოდნენ, ვიდრე არიან; ის, რაც წესია გამონაკლისი რომ ყოფილიყო, ხოლო გამონაკლისი – წესი, ჩვენი ნორმალური ენის თამაში მახვილგონიერებას დაკარგავდა. ყველის ნაჭრის სასწორზე დადების და ისრის გადახრით მისი ფასის განსაზღვრის პროცედურა აზრს იქნებოდა მოკლებული, თუკი ყველის ნაჭერი, თვალსაჩინო მიზეზის გარეშე, ხშირად უცაბედად გაიზრდებოდა ანდა მოვაკლებდით"[1] ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ იმ წესების წინაშე დგება, რომლებიც თამაშის წესებივით შინაგანად თვითკმარ კავშირურთიერთობებს როდი აკონსტიტუირებენ, არამედ შესაძლო გამოცდილების საგნებს აგებენ. ამ დიფერენცსაც აღარ უწევს ვიტგენშტაინი ანგარიშს, მას შემდგომ რაც მან ფაქტების ამსახველი უნივერსალური ენის კონცეპტი ტრანსცედენტალურ ადგილფასეულობად გაასაღა.

მე მინდა მოკლედ გავარჩიო ორივე განზომილება, რომლებმაც ენის ანალიზი უნდა გაიყვანონ ენის თამაშის მოდელის საზღვრებიდან. ad)a *მოლაპარაკეთა შორის ინტერსუბიექტური შეკავშირებულობა* ვიტგენშტაინმა მნიშვნელობის იდენტობა წესების ინტერსუბიექტურ აღიარებაზე

[1] Philos. Unt.,§142, Bd. I, S. 352f.

დაიყვანა. მაგრამ იგი აღარ იკვლევს სუბიექტებს შორის ორმხრივ მიმართებებს, რომლებიც აღიარებენ წესს; – რომლებისთვისაც მნიშვნელობს წესი. მაგ. – მნიშვნელობის კონვენცია. არასგზით არ არის ტრივიალური ის გარემოება, რომ ორი პარტნიორი ერთმანეთის მოლოდინს მოელიან. ჯ.ჰ. მიდმა გამოწვლილვით გამოიძია ინტენციურ ქმედებათა ეს საფუძველი.[1] წესის გამნიშვნელოვნების ინტერსუბიექტურობა და მასთან ერთად მნიშვნელობის იდენტობა ემყარება წესზე ორიენტირებულ ქცევათა ურთიერთმხრივ გაკრიტიკებადობას; ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს არა ასევე ქცევის ორმხრივობას, არამედ ქცევის მოლოდინის ორმხრივობას. A-ს ისევე უნდა შეეძლოს B-ს მოლოდინის გამოცნობა და გათავისება, როგორც პირიქით, B-ს A-ს მოლოდინის გამოცნობა-გათავისება ძალუძს. მოლოდინების ორმხრივი რეფლექსურობა იმის პირობაა, რომ ორივე პარტნიორი „ერთმანეთს თანხვდება" იმაში, – რომ მათ შეუძლიათ სიმბოლური მნიშვნელობის „გაზიარება". ამ მოლოდინებს ჩვენ ინტენციებს ვუწოდებდით.

არ შეიძლება სუბიექტის უბრალო ლოდინად განისაზღვროს ინტენციები გინა საზრისულად სტრუქტურირებული მოლოდინები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან იდენტურ მნიშვნელობებზე და რომელთა შინაარსის გაგებაც შესაძლებელი არის. ინტენციები არ არიან ისეთი მოლოდინები, რომლებიც მოგვიანებით რეფლექსურნიც შეიძლება გახდნენ, როგორც კი ისინი შემდგომი მოლოდინის საგნად იქცევიან; სულერთია ეს მოლოდინი იმავე სუბიექტისა იქნება თუ სხვა სუბიექტის. სიმბოლიზებული საზრისების სიბრტყეზე საერთოდ არ არსებობენ ასეთი „მარტივი" მოლოდინები. *მოლოდინების თვითკონსტიტუირება ყოველთვის მათი ურთიერთრეფლექსურობის გზით ხდება* ამის საფუძველზე მყარავნდება ის, რომ საზრისის გამაშუალებელი (თუ საზრისის მქმნელი) კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, თუკი არსებობს იმავდროული მეტაკომუნიკაცია. კომუნიკაცია, იდენტური მნიშვნელობების საშუალებით გაგებულის ინტერსუბიექტური მნიშვნელობის იმავდროულ გაგებასთან ერთად, საჭიროებს კიდევ რაღაცის გაგებას. სიმბოლიზირებული საზრისის საშუალებით იმ ზომად ხდება აწარმყოფის გააწინდელება, რა ზომადაც ამავდროულად წარმოიშობა ამ რეპრეზენტაციის საზიაროობა, სულ ცოტა ორი, ენისა და მოქმედების შემძლე სუბიექტისათვის. ყოველ შემთხვევაში არ არის საკმარისი, რომ მნიშვნელობის იდენტურობა მოლოდინის ორმხრივ რეფლექსურობაზე დავიყვანოთ; ვინაიდან რეფლექსიის ორმხრივობას წინ უძღვის *სუბიექტების* ურთიერთაღიარება, რომლებიც მოლოდინებში რომ „ერთმანეთს თანხვდებიან" სწორედ ამიტომ შეუძლიათ ისეთი მნიშვნე-

---

[1] Mind, Self, Society; Chicago 1934, გერ. Ffm. 1968

ლობების კონსტიტუირება, რომლის „გაზიარებაც“ ძალუძთ. ამასთანავე უნდა ვივარაუდოთ, რომ სუბიექტები ენისა და მოქმედების შემძლე სუბიექტებად პირველად სწორედ, რომ ურთიერთაღიარების აქტებთან მიმართებაში ქცეულან. ვინაიდან სწორედ რომ მხოლოდ და მხოლოდ მათი კომუნიკაციური კომპეტენცია გინა მათი ენისა და (მოქმედების) შემძლეობაა ის, რაც მათ სუბიექტად ხდის. ამ თვალსაზრისით ინტერსუბიექტურობა მეჟღავნდება როგორც პარადოქსული დამოკიდებულება. სუბიექტები, რომლებიც ერთმანეთს სუბიექტებად აღიარებენ, ერთურთს იდენტურად უნდა მიიჩნევდნენ, რამდენადაც ორივე მათგანს „სუბიექტის ადგილი უპყრია; აუცილებელია, რომ სუბიექტმა თავისი თავიცა და სხვა სუბიექტების ადგილი ყოველთვის ერთი და იმავე კატეგორიის ქვეშ მოაქციოს. მაგრამ ამავე დროს, აღიარების *ორმხრივობის* მიმართება როგორც ერთის, ისე მეორის არაიდენტურობასაც მოითხოვს; ორივე მათგანმა თავიანთი აბსოლუტური განსხვავებულობაც კი უნდა ამტკიცოს, რადგან სუბიექტად ყოფნა შეიცავს ინდივიდუალობაზე პრეტენზიას. ეს დიალექტიკა გაშლილია ფიხტედან და ჰეგელიდან მოკიდებული.[1] ინტერსუბიექტურობის პარადოქსული მიმართების დასწავლა ცხადია, პირის ნაცვალსახელთა სისტემასთან ერთად ხდება –, რაზედაც განსაკუთრებით ჰუმბოლდტი მიუთითებდა. მოლოდინის ურთიერთრეფლექსურობა, რომელშიც იდენტური მნიშვნელობები კონსტიტუირდება, როგორც ამას ჰუსერლიც ხედავს, მოითხოვს, რომ სუბიექტი მოლოდინს იდენტიფიცირებას უყოფდეს და ელოდეს ერთსა და იმავდროულად როგორც საკუთარი, ისე სხვისი პოზიციიდან. თავის მხრივ ესეც საჭიროებს დიალოგის როლების ერთსა და იმავდროულად აღქმას, რომლებიც იმდენად არიან შეუთავსებელნი, რამდენადაც მოლაპარაკესა და მოქმედ მეს სხვა მეს წინაშე მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ძალუძს თვითიდენტიფიცირება, როცა ეს უკანასკნელი პირველისგან განსხვავდება. ე.ი. როცა მის იდენტურად არ განისაზღვრება. როცა კი ორი სუბიექტი ერთმანეთს ინტერსუბიექტურობის სიბრტყეზე საუბროდ, ანდა სამოქმედოდ შეეყრება, მათ შორის სწორედ ეს პარადოქსული დამოკიდებულება მყარდება. იმისთვის, რათა შესაძლო შეიქნეს ინტერსუბიექტურობის პარადოქსული მიმართების დადგომა, რაიც საფუძვლად უდევს წინააღმდეგობებისაგან თავისუფალ კომუნიკაციებს, საჭიროა მოლაპარაკის კომპეტენცია, რომ იგი წესმართებულად იყენებდეს პირის ნაცვალსახელებს: თავის თავზე მან უნდა თქვას „მე“ და უნდა შეეძლოს „შენ“ უწოდოს სხვას, რომელიც ზუსტად მისებრ თავის თავს მე-ს უწოდებს; ამასთანავე ორივე მათგანი როგორც „ჩვენ“ თვითგამიჯნულნი არიან გარემდგომთაგან, ლაპარაკის მარტოლა პოტენციური მონაწილეებისაგან („მისგან“ და „მათგან“).

---

[1] შეად. ჩემი სტატია: Arbeit und Interaction, in: Technik und Wissenschaft als Ideologoe, Ffm. 1968. S. 11ff

ეს ინტერსუბიექტური დამოკიდებულება გაშლილია მეტყველების ელემენტარული ერთიანობის, კერძოდ, მეტყველების აქტის, გრამატიკულ ფორმაში. მეტყველების აქტთა სტანდარტული მაგალითებია: მე შენ გპირდები, რომ მოვალ. მე შენ გირჩევ, რომ ეს არ ქნა. მე შენ აღგიწერ როგორ უნდა მოხვიდე და ა.შ. ყოველი ექსპლიციტური მეტყველების აქტის MP მთავარ წინადადებაში, M-ში პირველი პერსონის პირის ნაცვალსახელის პრეზენსი გამოდის როგორც გრამატიკული სუბიექტი, ხოლო მეორე პერსონის პირის ნაცვალსახელი – როგორც გრამატიკული ობიექტი; ასევეა პერფორმაციული ზმნა პრედიკატულ გამოთქმაში. ამ ყაიდის წინადადებებს ვიყენებთ ჩვენ გამოთქმებში, რათა ვაწარმოოთ და გამოვსახოთ კიდეც ურთიერთაღიარებაზე დაფუძნებული ინტერსუბიექტურობის დამოკიდებულება. მეტყველების აქტები მიესადაგება ორმხრივ მიმართებებს. შემკითხველის და მოპასუხის, მტკიცებისა და უარყოფის, ბრძანებისა და მორჩილების, როლები ურთიერთ გაცვლა-გამოცვლადია, მაგრამ ამგვარი ურთიერთშენაცვლებადობა ასევე პრინციპულად იმ შეუნაცვლებადი ინდივიდების ერთსა და იმავდროული ურთიერთ აღიარების პირობითაა ვარგისი, რომლებიც მოლაპარაკისა და ადრესატის როლებში გამოდიან. სხვათა შორის, მეტყველების აქტის გამოსულობა იმაზე ჰკიდია, რომ პირის ნაცვალსახელის გამოყენებასთან ერთად, შემოდის ინტერსუბიექტური დამოკიდებულება, რომელიც ურთიერთშორის შესაძლებელჰყოფს მესა და სხვისი იდენტურობისა და არაიდენტურობის ერთსა და იმავდროულ მტკიცებას. ინტერსუბიექტურობის ეს თავისებური ფორმა საჭიროა კვლავაც და კვლავაც განიმარტოს პირის ნაცვალსახელთა გამოყენების ლოგიკის კვლევის გზაზე.

ad b) *მეტყველების რაღაცაზე მიმართება სამყაროში.* ვიტგენშტაინმა „ტრაქტატში“ გამოიკვლია ფაქტების ამსახველი უნივერსალური ენის ფორმა. ყველა ამ ენაში სინტაქსურად აღიარებული წინადადებები და მხოლოდ ეს წინადადებები, არიან ემპირულად საზრისით სავსენი; თუკი ისინი მართებულნი არიან, მათ და მხოლოდ მათ შეესატყვისებიან ფაქტები. ამრიგად, შესაძლო ბუნებისმეცნიერულ დებულებათა საგნების სფერო სწორედ ამ უნივერსალურ ენას უნდა დაედგინა; მხოლოდ მათ ექნებოდათ უფლება პრეტენზია ჰქონოდათ ტრანსცედენტალურ ადგილფასეულობაზე.* იმ ლოგიკურ სიძნელეებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებიც აბრკოლებენ ამ პროგრამის განხორციელებას, იყო კიდევ ერთი მოტივი, რამაც აიძულა ვიტგენშტაინი, ხელი აეღო თავდაპირველ პოზიციაზე; ეს იყო ენის კომუნიკაციური გამოყენების აღმოჩენა. ამ დროს მან გააცნობიერა მეტყველების აქტის ის პრაგმატული განზომი-

---

* პერსონის ანდა ნიეთის მნიშვნელობა, რომელიც მას ენიჭება მიმართებათა სისტემაში თავისი ადგილით – მთარგმ. შენიშვნა.

ლება, რომლითაც ჩვენ შესაძლო ურთიერთგაგების პირობათა მრავალფეროვნებას ვქმნით: „ყოველივე იმის გამოყენების უთვალავი ნაირსახეობა არსებობს, რასაც ჩვენ „ნიშანს", „სიტყვებს", „წინადადებებს" ვუწოდებთ... ენის, შეგვიძლია ვთქვათ, ენის თამაშის ახალი ტიპები წარმოიშობა, სხვები კი ძველდებიან და დავიწყებას ეძლევიან"[1] მაგრამ ამის გაცნობიერების მიუხედავად ვიტგენშტაინი მაინც მცდარ გზას გაუყვა. იმ გარემოებამ, რომ ფაქტების დადგენა, აღწერა და განმარტება მეტყველების სხვა აქტებს შორის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ტიპიაო, ვიტგენშტაინს საბაბი მისცა, უარი ეთქვა არა მარტო ფაქტის დამდგენი მეტყველების მონოპოლისტურ ნიშანდობლიობაზე, არამედ ენის „ლოგიკურ ნიშანდობლიობაზეც" (აპელი). იგი დამატებითს შეცდომებში გაიხლართა და ამიერიდან უარყო ენის კოგნიციური გამოყენების პრივილეგირებული როლი. ენის თამაშთა მისეულ კატალოგებში საგნის აღწერა, მისი ფიზიკური გაზომვა, ჰიპოთეზის შემოწმება რანგირების ზუსტად იმავე სიბრტყეზეა, რომელზეც – მაგ. ბრძანებები თუ რჩევები. ვიტგენშტაინი ვერ ხედავს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ენის კოგნიციური გამოყენება ხსნის იმ განზომილებას, რომელსაც უნდა შეესაკუთროს მეტყველების ყველა აქტი. ესეც მეტყველების ელემენტური ერთიანობის გრამატიკულ ფორმაში აისახება.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყოველ ელემენტარულ გამოთქმაში „Mp" გვხვდება დამოკიდებული წინადადება „P"., რომელიც გამოხატავს იმ პროპოზიციურ შინაარსს, რომლის თაობაზე ხამს ურთიერთგაგება მიიღწეს. მეტყველების აქტის ეს ორკეცი სტრუქტურა საერთოდ მეტყველების სტრუქტურას აირეკლავს; ურთიერთგაგება არ მიიღწევა, თუ კი ორივე პარტნიორმა ერთსა და იმავდროულად ორსაე სიბრტყეზე არ შეაბიჯა – (a) ინტერსუბიექტურობის სიბრტყეზე, რომელზეც მოლაპარაკე/მსმენელი – ერთმანეთს ელაპარაკებიან და (b) საგანთა გინა საქმის ვითარების სიბრტყეზე, რომლის თაობაზე ისინი ურთიერთს აგებინებენ. მეტყველების თითოეული აქტით მოლაპარაკენი ერთმანეთს ატყობინებენ სამყაროში საგნების, ნივთებისა და მოვლენების შესახებ, – პერსონებისა და მათი გამოთქმების თაობაზე და ა.შ. პროპოზიციური შინაარსის გარეშე უ-„p"-ოდ, რაც ენის კოგნიტივური გამოყენებისას „p" ასერტოროული წინადადების სახით გამოითქმება, ენის კომუნიკაციური გამოყენებაც შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მას არ ექნებოდა შინაარსი. ენობრივი თამაშის ვიტგენშტაინისეული ანალიზი უკავშირდება საზოგადოდ ენის გამოყენების მხოლოდ და მხოლოდ იმ ასპექტს, რომელიც მნიშვნელობას აკონსტიტუირებს; იგი უგულვებელყოფს ენის გამომსახველობის იმ ასპექტებს, რომლებიც შემეცნებას აკონსტი-

[1] Philos. Unters.,§23, Bd. 1, S. 300.

ტუირებენ. გვიანდელი ვიტგენშტაინის ენის ჰოლისტური ანალიზი არ ცნობს ყველა სამეტყველო მოქმედებების ორკეც სტრუქტურას და იმ ენობრივ პირობებს, რა პირობებშიც სინამდვილე გამოცდილების ობიექტად იქცევა. მაგრამ როგორც ისაა შეუძლებელი, რომ შესაძლო გამოცდილების საგნების კონსტიტუცია გააზრებული იქნას კომუნიკაციის კავშირ-მიმართებათა წარმოების ნიმუშის თანახმად, ასევე შეუძლებელია მისი კომუნიკაციის ასპექტით დაკმაყოფილებული გააზრება.

ამ თვალსაზრისით უპრიანი იქნებოდა ენის ანალიტურ სიბრტყეზე ხელახლა დაგვეყენებინა, ერთი მხრივ, ინტენციურ საგნებსა თუ „შინაარსებს" და მეორე მხრივ, ჩვენ ინტენციებთან დაკავშირებულ „დადგინებებს" შორის განსხვავების საკითხი. მეტყველების აქტის მნიშვნელობა შედგენილია „p" პროპოზიციური შინაარსისა (რომელიც ყოველთვის სტანდარტული ფორმის დამოკიდებული წინადადებით გამოითქმება) და მიზნად დასახული ურთიერთგაგების „M" მოდუსის საზრისიდან (რაც პერფორმაციული წინადადების სტანდარტული ფორმით გამოიხატება). მტკიცების საზრისი ისაა, რომ სწორია მტკიცებული საქმის ვითარება. მის გვერდით, მნიშვნელობაზე პრეტენზიის მქონე უამრავი მტკიცება (გინა არა–დოქსური დადგინება) არსებობს. ამრიგად, შეპირების როგორც სწორედ შეპირების საზრისი ისაა, რომ მოლაპარაკე შეთანხმებულ ვალდებულებას შეასრულებს; ზუსტად ასევე, ბრძანების როგორც სწორედ ბრძანების აზრი ისაა, რომ მოლაპარაკემ მოთხოვნის ხორცშესხმა შეძლოს. მნიშვნელობაზე ეს პრეტენზიები, რომლებსაც წამოაყენებს მეტყველების აქტების შემსრულებელი მოლაპარაკე, აფუძნებენ ინტერსუბიექტურ ურთიერთობებს ანუ – სოციალური ფაქტების ფაქტიციტეტს.

მინდა, განვასხვავო მნიშვნელობებზე პრეტენზიათა ოთხი კლასი

1) გასაგებობა. მოლაპარაკე ყოველ აქტიურ გამოთქმას უკავშირებს პრეტენზიას, რომ მოცემულ სიტუაციაში შესაძლებელია გამოყენებული სიმბოლური გამოსახულების გაგება. მაგრამ თუ მოლაპარაკე და მსმენელი ერთსა და იმავე ენაზე არ ლაპარაკობენ შეუძლებელია ამ პრეტენზიის შესრულება. სემანტიკური განმარტების მისაღწევად ჰერმენევტიკული ძალისხმევაა საჭირო.

2) ჭეშმარიტება. დადგენილებანი, მტკიცებები, განმარტებანი და სხვ. გულისხმობენ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას, მაგრამ ამგვარი პრეტენზია უმართებულოა თუკი მტკიცებული საქმის ვითარება არ არსებობს. ენის ასეთ გამოყენებას მე კონგნიტივურს ვუწოდებ. ამასთანავე ჩვენ ვქმნით კომუნიკაციას, რათა გადმოვცეთ ობიექტივირებული სინამდვილე.

3) ალალმართლობა და

*4) სისწორე.** ყოველი ვიწრო აზრით გაგებული ექსპრესული გამოხატულებანი (გრძნობები, სურვილები, ნებელობანი) გულისხმობენ პრეტენზიას სიწრფელეზე. ეს პრეტენზია ყალბი აღმოჩნდება თუკი გამეღავნდება, რომ მოლაპარაკეს ინტენციები ისე არ ჰქონია ჩაფიქრებული, როგორაც გამოთქვა. ყველა ნორმატიულად ორიენტირებული გამოთქმა (ბრძანებები, ჩვევები, შეპირებანი და სხვა) შინაგანად შეიცავენ სისწორეზე პრეტენზიას. იგი უმართებულოა თუკი შესაძლებელია იმ მნიშვნელადი ნორმების გამართლება, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ გამოთქმებს. ენის ამნაირ გამოყენებას კომუნიკაციურს ეუწოდებ. ამ სახელწოდებით მოვიხსენიებთ რაღაცას სამყაროში, რათა განსაზღვრული ინტერპერსონული ურთიერთობები შევქმნათ.

ენის კომუნიკაციური გამოყენება წინასწარ გულისხმობს კოგნიციურსაც, რისი წყალობითაც ჩვენ ვფლობთ პროპოზიციურ შინაარსებს; ასევე პირიქით: ენის კოგნიტივური გამოყენება წინასწარ გულისხმობს კომუნიკაციურ გამოყენებას, მაშინ როცა ასერტორული წინადადებების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მდგენ სამეტყველო მოქმედებებში. საზოგადოების კომუნიკაციური თეორია, მიუხედავად იმისა, რომ იგი უშუალოდ ენის კომუნიკაციური გამოყენების დანალექსა და წარმონაქმნებს მიესწორება, ანგარიშს უწევს მეტყველების კოგნიტივურ, კომუნიკაციურ ორკეც სტრუქტურას; ამიტომ მეტყველება-ქმედების თეორიაზე განაზრებისას, სულ ცოტა, რამდენიმე მითითებით შევეხები კონსტიტუციის იმ პრობლემას, რომელიც ენის კოგნიტივური გამოყენების კონტექსტში წამოიჭრება.

ვიტგენშტაინი, პირიქით, ცდილობს გამოიყენოს გადამწყვეტი რეზერვები და შექმნას ენობრივი თამაშის თეორია. ენის ანალიზის როგორც ოდენ თერაპევტულად მოქმედი საქმიანობის განმარტების სისტემური საფუძველი, მდგომარეობს ენის ერთადერთი, კერძოდ კომუნიკაციური გამოყენების გააბსოლუტებაში; ხოლო ენის კოგნიტივური გამოყენება მოკლებულია საკუთრივ უფლებამოსილებას. ვიტგენშტაინი ვერ აცნობიერებს, რომ ენის თამაშების პლურალიზმი, რომლებმაც ხამს მოიცვას სიტყვებისა და წინადადებების გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტი, რომლის წარმოდგენაც კი შესაძლებელია, ენის გამოყენების უამრავი კატეგორიიდან მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთს შეესაბამება.

თუკი მე მართლად ვხედავ ვიტგენშტაინს არ დაუსაბუთებია თეორიაზე თავისი უარი. არადა მას ჯეროვანი მიზეზი ჰქონდა, მიულებლად

---

* wahrhaftigkeit-ის wahrheit-ის ძირში ძევს wahr ჭეშმარიტი, მართალი. ქართული სიტყვა „ალამართლობ"-ის ძირშიც „მართალია", რომელიც კავშირშია ჭეშმარიტებასთან; wahrhaftigkeit-ის შესატყვისად შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ გულწრფელობა; რწფელი, მართალი, ჭეშმარიტი... მთარგმ. შენიშვნა

ჩაეთვალა ენის როგორც ტრანცედენტალური, ისე ემპირული თუ კონსტრუქტივისტული თეორიისაკენ მიმავალი გზა. ენის ტრანსცედენტალიზმს, რომელსაც სურს „საერთოდ ენის" მაკონსტიტუირებელი შესაძლო გამოცდილების საგანთა რეკონსტრუირება, ხელიდან უსხლტება ენის არაკოგნიტივური გამოყენება. ენის ემპირიზმს, რომელსაც სურს გაანალიზოს დაკვირვებად მოვლენებსა თუ ეპიზოდებზე დაყვანილი ენობრივი მდგომარეობანი, არ ძალუძს (როგორც ამას სელარსის კონსტრუქციაც გვიჩვენებს) ენის ინტერსუბიექტური სტრუქტურის განმარტება. კარნაპის ყაიდის ენობრივი კონსტრუქტივიზმი კი იმთავითვე ხელს იღებს ბუნებრივი ენების ანალიზზე. ღიად რჩება კიდევ ერთი ალტერნატივა, რომელიც ამასობაში ბუნებრივი ენის თეორიული პრეტენზიების გამაწბილებელ ანალიზთან კამათში ჩამოყალიბდა. კერძოდ ესაა ენის გენერაციული თეორიის მონახაზი. თუკი გენერაციულ გრამატიკას უნივერსალური პრაგმატიკის პროტოტიპად აკიღებთ – განა მაშინ არ აღმოჩნდება და არ რეკონსტრუირდება წესების ის სისტემა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ინტერაქციურ კავშირმიმართებებს, გინა თვითონ საზოგადოების სიმბოლურ რეალობას ექმნით?

ლექცია IV

უნივერსალური პრაგმატიკა — განაზრებანი კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიაზე

ვიტგენშტაინის გამოკვლევები ენის თერაპიულად ორიენტირებული ანალიზის მოქმედებაზე რეფლექსიის წყალობით შეიქმნა. მას რომ ამის ნაცვლად ენობრივი თამაშის თეორიის ჩამოყალიბება ნდომოდა, მაშინ იგი აუცილებლად უნივერსალური პრაგმატიკის ფორმას მიიღებდა. მაგრამ ვიტგენშტაინს საქმე აქვს არა წინადადებების გრამატიკასთან, რომელიც გამოთქმებში გამოიყენება, არამედ თვითონ გამოთქმების გრამატიკასთან ე.ი. წინადადებების განთავსების წესებთან. მეორე მხრივ, ენის თამაშის გრამატიკულ სტრუქტურაზე ლაპარაკი ფსევდოლინგვისტური ფუჭსიტყვაობა როდია. ვიტგენშტაინი ამით იმას გამოხატავს, რომ მისი გამოკვლევები საზრისებს შორის კავშირ-მიმართებათა ლოგიკური თუ ცნებითი ანალიზების სიბრტყეზე მოძრაობს და არა – ემპირულად ორიენტირებული პრაგმატიკისა, რომელიც ენის გამოყენების პროცესებს ენისთვის არასპეციფიკურ ჩარჩოებში ათავსებს, რაკი მათ ნიშნებით კონტროლირებულ ქცევის ნაირსახეობად თუ ინფორმაციის ნაკადებად გაიგებს. მოქმედების თეორიული ქცევის ჩარჩოები ვერასოდეს დააკმაყოფილებს ენის თეორიულად შეტრიალებული ანალიზის მოთხოვნებს. მართალია, შეიძლება ითქვას, რომ ენის თამაშის გრამა-

ტიკა სიმბოლურ გამოსახულებათა სიტუაციაზე მორგებული გამოყენების წესებიდან შედგებაო, მაგრამ ეს წესები კონსტიტუციურნი არიან. ისინი, ამავე დროს, ქმნიან სიმბოლური გამოხატულებების შესაძლო გამოყენების სიტუაციებს. თვითონ კომუნიკაციური ცხოვრების ფორმა დამოკიდებულია ენის თამაშის გრამატიკაზე. ეს დასკვნითი ეფექტები გვიანდელი ვიტგენშტაინის ფილოსოფიაში პარტიკულარისტული ნაკადითაა წარხოცილი. როგორც კი შეკითხვას დავსვამთ შესაძლო ენის თამაშის თეორიის შესახებ, ეს ეფექტები წინა პლანზე წამოიწევენ. სახელდობრ, იგულისხმება შეკითხვა წესთა იმ სისტემაზე, რომლის წყალობით ჩვენ საგნის და საქმის ვითარების შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაციას ვაწარმოებთ. მაშინ ცხოვრების სამყაროს საყოველთაო სტრუქტურების განმარტების ფენომენოლოგიური მცდელობა კვლავ ენის თეორიული მცდელობის სახეს ღებულობს, რომ ცხოვრების კომუნიკაციური ფორმის საყოველთაო სტრუქტურები საერთოდ ენის თამაშების უნივერსალურ პრაგმატიკაში დაიძებნოსა და რეკონსტრუირდეს. მაშინ როცა ცხოვრების სამყაროს ანალიზი შემეცნების კონსტიტუციის თეორიის ნიმუშს იყენებდა, ცხოვრების კომუნიკაციური ფორმის (როგორც შესაძლო ენის თამაშის პირობა) გამოკვლევა ორიენტირებულია ენის უნივერსალისტურად განწყობილ გენერაციულ ანალიზზე. ამგვარ ნიმუშს იძლევა გრამატიკის ის თეორია, რომლის ძირებსაც ჩომსკისთან მივყავართ; მაგრამ ნიმუში ნიმუშადვე რჩება. ვიდრე უნივერსალური პრაგმატიკის ორივე უმნიშვნელოვანეს თეორიას, პირველს მოკლედ (რომელსაც ენის კოგნიტიურ გამოყენებასთან აქვს საქმე), მეორეს (რომელიც ენის კომუნიკაციურ გამოყენებას იკვლევს) კი რამდენადმე უფრო ვრცლად განვიხილავდე, მინდა ჩომსკის სკოლის თეორიული პროგრამის განსაზღვრით ის სიბრტყე დავახასიათო, რომელზეც უნივერსალური პრაგმატიკა უნდა ჩამოყალიბდეს.

გრამატიკის თეორიის საგანი არის ენა და არა ენობრივი პროცესები (langage versus parole). ლინგვისტებისთვის უშუალოდ ხელმისაწვდომი ენობრივი ფენომენები, არიან დალაგებული გამოსახულებანი, რომლებიც შეიძლება სამეტყველო სიტუაციებში იქნან გამოყენებულნი. თეორიის მიზანი არის წესების სისტემის ჯეროვანი გადმოცემა, რომლის წყალობით კომპეტენტური მოლაპარაკე (მსმენელი) ამგვარ ენობრივ გამოსახულებებს ქმნის (გინა გებულობს). ენის კომპეტენცია ესაა უნარი იმისა, რომ ფლობდე ამგვარი წესების სისტემას. იგი შეესაბამება ვიტგენშტაინის მიერ გამოკვლეულ ზოგადი წესების კომპეტენციას, მაგრამ მისგან იმით განსხვავდება, რომ მოლაპარაკეს ძალუძს ა) სპონტანურად აწარმოოს მოცემულ ენაში დასაშვები სინტაქსური, სემანტიკური და ფონეტიკური გამოსახულებების არსებითად უსასრულო ოდენობა; და შეაფასოს, შეიძლება თუ არა (და მოცემულ შემთხვევაში რამდენად – დასახელებულ სამ განზომილებაში გამოსახულება სრულ-

ქმნილად ჩაითვალოს; ყოველ კომპეტენტურ მოლაპარაკეს შეუძლია ელემენტების სასრული ოდენობით აწარმოოსა და გაიგოს უსასრულოდ ბევრი, მათ შორის აქამდე გამოუთქმელი სიმბოლური მწკრივებიც კი. უფრო მეტი, მას შეუძლია ad hoc ერთმანეთისგან განასხვაოს სწორად წარმოებული და უსწორო გამოსახულებები (და გრამატიკალურობის ხარისხთა მიხედვით დაალაგოს სინტაქსურად მუნჯი, ბუნდოვანი თუ საზრისდამახინჯებული, ასევე ფონეტიკურად გონჯი გამოსახულებანი).

ამგვარი სამეტყველო მსჯელობანი, როგორც ჩანს, ინტუიტური ე.ი. დაფარული ცოდნის (tacit Knowledge) ინდიკატორებია; ცოდნისა, რომელიც გრამატიკის თეორიამ უნდა გაშალოსა და რეკონსტრუქცია უყოს. ენათმეცნიერი ექსპლიკაციას უყოფს ხოლმე იმ know how-ს, რომელსაც ფლობს კომპეტენტური მოლაპარაკე. გრამატიკის თეორიის ამოცანა მდგომარეობს წესების იმ სისტემის რაციონალურ კვალადკონსტრუქციაში, რომელიც მართალია, პრაქტიკულად არის ათვისებული და ამდენად – ცნობილი, მაგრამ ჯერ კიდეე არ არის შეცნობილი და თეორიულად აღწერილი. კვალადკონსტრუქციამ ხამს, საშუალება მოგვცეს, რომ ენის ყოველი მნიშვნელოვანი გამოთქმა სტრუქტურულად აღიწეროს (კერძოდ, აღიწეროს მისი როგორც სინტაქსური, ისე სემანტიკური და ფონეტიკური სტრუქტურები). რადგან შეუძლებელია, ენის ყველა არსებითი გამოთქმის ჩამოთვლა, ამიტომ წამოიჭრება შემდეგი მოთხოვნა იმ სისტემაზე, რომელიც მოიცავს ფორმაციის რეკურსულად გამოყენებად წესებს. თეორიას, რომელიც ორივე ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს, შეუძლია ეკსპლიციტურად გადმოგვცეს ის ნათესაობითი კავშირები, რომლებიც შესაძლოა, გამოვლინდნენ ენის შესაძლო გამოთქმებს შორის.

ჩვენ კონტექსტში აუცილებელია თეორიის პროგრამის, სულ ცოტა, ორი მიზნის დასახელება. გენერაციული გრამატიკის განვითარება კვლევის უნივერსალისტური სტრატეგიით ხელმძღვანელობს: ცალკეული ენის წესთა სისტემის კვალადკონსტრუქციები ხამს, განზოგადების სულ უფრო და უფრო მაღალ საფეხურებზე განხორციელდეს, ვიდრე არ მივიღებთ უნივერსალიებს, რომლებიც საფუძვლად უდევთ ყველა ცალკეულ ენას. ზუსტად ასევე ორსაფეხუროვანია გენერაციული გრამატიკა. ე.ი. იგი მოაზრებულია როგორც ტრანსფორმაციის გრამატიკა. ენობრივ გამოთქმათა მწკრივები ზედაპრულ სტრუქტურებად ითვლებიან, რომლებიც ტრანსფორმაციის წესების წინადადებათა შემწეობით საფუძვლადმდებარე სიღრმისეული სტრუქტურებიდან იქმნებიან. ამრიგად, ყოველმა სიღრმისეულმა სტრუქტურამ შეიძლება დაიქვემდებაროს ზედაპირული სტრუქტურების პარაფრაზული კლასები. ეს კონსტრუქცია ემპირულად, ასე თუ ისე, ამართლებს. იგი ასევე გეხმარება, რათა გრამატიკულად ნათელიყოს ორაზროვანი მნიშვნელობები.

უნივერსალური პრაგმატიკის თეორიიდან გრამატიკის გამიჯვნის ჩვენეული მიზნისთვის მნიშვნელოვანია იმის ნათელყოფა, თუ რა აზრით იყო ჩომსკი იძულებული იდეალიზირებისთვის მიემართა ენობრივი კომპეტენციის შემოტანისას. იგი თვითონ ლაპარაკობს იდეალური მოლაპარაკის (მსმენელის) შესახებ: „ლინგვისტურ თეორიას უმთავრესად საქმე აქვს იდეალურ მოლაპარაკესთან – მსმენელთან, რომელიც იმყოფება სრულიად ჰომოგენურ სალაპარაკო თემში და მასზე ზეგავლენას ვერ ახდენენ გრამატიკულად ისეთი უმნიშვნელო გარემოებანი, როგორიცაა მეხსიერების საზღვრები, გაფანტულობა, ყურადღების გადატანა; – ვერც ინტერესი, და შეცდომები (შემთხვევითი თუ დამახასიათებელი) ენის ცოდნის გამოყენებაში მისი ფაქტიური განხორციელებისას.[1] მე მგონია, რომ იდეალური მოლაპარაკის ცნება როგორც ცნების იმპლიკატი ემსახურება გრამატიკული წესების მნიშვნელობისა და წესების კომპეტენციის დამატებითი ცნების გამართლებას. მართალია, გრამატიკული წესები არასგზით შეიცავენ ისეთ იდეალურ მოთხოვნებს, როგორიცაა მაგ. შემდეგნაირი გეომეტრიული ზომამიწერილობა: სრულყოფილად სწორი ხაზის გავლება. სრულყოფილების პოსტულატი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მიახლოებით შესრულდეს ემპირულად კიდურ პირობებში. სრულყოფილების პოსტულატთათვის, არატრივიალური აზრით, შესაძლოა დასაბუთებული იქნას შემდეგი წესის კომპეტენცია: იდეალიზირებას თვითონ მზომელი სუბიექტები სჩადიან. მაგრამ ენის შემთხვევაში იდეალიზებას ეწევა არა მოლაპარაკე, არამედ ლინგვისტი; და იგი იდეალიზებას სწორედ რომ ტრივიალური აზრით ახდენს. ნორმის ცნება იმთავითვე გულისხმობს მისგან შესაძლო გადახვევათა გასაქანს. წესების ნორმატიულ მნიშვნელობაში წინასწარ მოიაზრება, რომ არსებობს წესის დარღვევების შესაძლებლობა, მაგრამ ენობრივი წესების სისტემის ლინგვისტური კვალადკონსტრუქციისას ჩვენ არ ვითვალისწინებთ არც ერთ ემპირულ პირობას, რომლებშიც გრამატიკული წესები შეიძლება სრულად, – არასაკმარისად ანდა საერთოდ არ განხორციელდეს. ლინგვისტი უშვებს (თუმც კი პრინციპულად შესრულებადი) პოსტულატების სრულყოფილსა და მუდმივად შესრულებას. წესთა სისტემების ყოველი ცნებითი ანალიზი ამ დაშვებით უნდა მუშაობდეს.

ამ იდეალიზებიდან, რომელიც აღარ არის იდუმალი, ხამს, განგვესხვავებინა ის ემპირული ვარაუდი, რითაც ჩომსკი იდეალიზებას ლამისაა ონტოლოგიურ შინაარსს ანიჭებს; იმ ჰიპოთეზას ვგულისხმობთ, რომ ენის წესთა სისტემა (ზუსტად ისე როგორც პიაჟესთან კოგნიტიკური აპარატი) კონსტრუირდება გენეტიურ საფუძვლეზე, – მწიფობის პროცესების ორგანულად განპირობებული სტიმულის მომატების

[1] W. Chomsky, Aspects of a Theory of Syntax, Cambr., Mass., 1965, 3ſ.

სპეციფიკურ ფაზებთან თანამშრომლობის შედეგად. არ არის საეჭვებულო, რომ ბავშვმა მშობლიური ენის გრამატიკა მხოლოდ და მხოლოდ შეძლეული ენობრივი მასალის დასწავლის გზით ააგოს; უფრო მეტი, მას შეუძლია იხელმძღვანელოს საერთოდ ბუნებრივი ენების აბსტრაქტული აღნაგის აპრიორული ცოდნით და იგი, ასე ვთქვათ, ამოიკითხოს მისი გარემოს ჩანასახოვან ენობრივ მასალაში, მასში ჩაქსოვილი ჰიპოთეზური პროგრამის გადამოწმების გზით.[1] ენის თანდაყოლილი უნარის ამ ჰიპოთეზას აყრდნობს ჩომსკი შემდგომ ვარაუდს, რომ ენობრივი თემის ყველა საშუალოდ სოციალიზებული წევრი, რამდენადაც მათ საერთოდ უსწავლიათ ლაპარაკი, სრულად ფლობს ამ აბსტრაქტული ენობრივი წესების სისტემას; შეუძლებელია ენობრივი კომპეტენციის დიფერენციალური განაწილება. სწორედ ამ, და მხოლოდ ამ დაშვების წყალობით მოიპოვებს იდეალური მოლაპარაკე უცნაურ ემპირულ სტატუსს და მხოლოდ ეს აძლევს ჩომსკის საბაბს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაკვირვებადი ენობრივი შესრულება განმარტოს ენის თანდაყოლილი კომპეტენციისა და შემზღუდავი გარეგანი პირობების მიხედვით. ენობრივი აქტების ფაქტობრივი შესრულება გვიჩვენებს სრულიად არაჰომოგენური ენობრივი თემის გაფანტულ ინდივიდებსა და ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ჯგუფებს; ეს დიფერენციელური განაწილება, თუკი ენობრივი კომპეტენცია თანაბრადაა გადანაწილებული, დაყვანილი უნდა იქნას იმ შემზღუდავ პირობებზე, რომლებიც გვიხსნიან მაფუძნებელი სრულყოფილი ცოდნის არასრულყოფილ გამოვლინებას. თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენობრივი კომპეტენცია წარმოდგენილია იმის მეშვეობით, რასაც ენის პასიურ დაუფლებას (გაგებას) ვუწოდებთ, მაშინ ენის აქტიური დაუფლება (ანდა მისი განხორციელება) განიმარტება ფსიქოლოგიურ ცვლადთა (როგორიცაა მეხსიერება, ყურადღება, მოტივაციონალური დაბრკოლებანი და ა.შ.) მეშვეობით. სწორედ ეს, შერჩევით განსაზღვრავს იმას, თუ როგორ იყენებს ემპირული მოლაპარაკე იდეალური მოლაპარაკის გამგებლობაში მყოფ ცოტად თუ ბევრად ინვარიანტულად შედგენილ ენობრივ რეპერტუარს. ენობრივ კომპეტენციასა და ენობრივ განხორციელებას შორის ეს დამოკიდებულობა გამომდინარეობს არა თავისთავად ლინგვისტური იდეალიზირებებიდან, არამედ ენობრივი აპარატის თანდაყოლილობის ჰიპოთეზიდან.

ამიტომ არის, რომ ჩომსკისადმი წაყენებული სოციოლინგვისტური საყვედურები იდეალური მოლაპარაკის ცნებას კი არ ეხებიან, არამედ – ვარაუდს, რომ ენის აქტიური გამოყენება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ლინგვისტური კომპეტენციისა და შემზღუდავი ემპირული პი-

---

[1] შეად. E.H. Lenneberg, Biological Foundations of Language, N.Y. 1967 (deutsch Ffm. 1972).

რობების მიხედვით განიმარტოს. სოციოლინგვისტური მასალა, პირიქით, იმ შეხედულებას ასაბუთებს, რომ ლინგვისტური კომპეტენციის გამოყენებას კელავაც წესების სისტემა წარმართავს. აშკარაა, რომ იმ ენობრივი რეპერტუარიდან ამორჩევის სტრატეგიები, რომელსაც პასიურად ეფლობთ, თავის მხრივ დამოკიდებულია წესებზე (ანდა კოდექსზე), რომლებიც ზუსტად ასევე წარმოადგენენ წესთა სისტემას; თუმც კი იგი არის არა გრამატიკული, არამედ პრაგმატული წესების სისტემა. ეს ლინგვისტური კოდექსი (რომელსაც მე კვლავ მივუბრუნდები) განსაზღვრავს გამოთქმებში წინადადებების (თუ სხვა ექსტრავერბალურ გამოსახულებათა) სიტუაციაზე მისწორებულ გამოყენებას. ისინი არავითარ შემთხვევაში არ არიან ინვარიანტულნი, არამედ გეზი აღებული აქვთ სოციოკულტურულ ნიშან-თვისებებზე, მაგრამ ენობრივი კოდექსის ცნებითი ანალიზი იმავე ტრივიალური აზრით არის დამოკიდებული იდეალიზებაზე როგორც – გრამატიკული ანალიზი. თითოეულ კოდექსს შეესატყვისება წესის კომპეტენცია, რომელიც საჭიროა, მაინც ლინგვისტურ კომპეტენციას ემყარებოდეს (არავის ძალუძს დიალექტისა თუ ჟარგონის დაუფლება ისე, თუ წინასწარ ბუნებრივი ენა არა აქვს შესწავლილი).

პრაგმატულ კომპეტენციათა დიფერენციალური განაწილება არ უშვებს იდეალიზებაზე უარის თქმას, არამედ ამ კომპეტენციების მოპოვებასთან მიმართებაში მხოლოდ და მხოლოდ სხვა ემპირულ ვარაუდებს ესწრაფვის; პრაგმატული კომპეტენციები ისე როგორც ვიწრო აზრით გაგებული ენის კომპეტენცია (რომელსაც ამიერიდან გვინდა, გრამატიკული კომპეტენცია ვუწოდოთ), გამოიხატება იმპლიციტური ცოდნით; კერძოდ – მოლაპარაკის მსჯელობებით ენობრივ გამოსახულებათა მისაღებობის თაობაზე. უცნაურია, რომ გრამატიკალობას და მისაღებობას მაგ. შემდეგნაირად განასხვავებენ ერთმანეთისაგან: „პირველი არის სიმბოლოთა მწკრივების თვისება, რომელსაც გრამატიკა აწარმოებს წინადადებების სახით; მეორე მათგანი არის სიმბოლოთა მწკრივების თვისება, რომელიც წარმოიშობა კონტექსტებში ანდა გამოთქმის სიტუაციებში; და ამასთანავე იგი სხვადასხვა მოლაპარაკის მიერ სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს. ორივე ეს თვისება თეორიულად არის განმარტებული, პირველი – გრამატიკის თეორიაში; მეორე – ენის აღწერის პრაგმატულ ნაწილში.“

ეს კავშირ–მიმართებები იმიტომ მოვიხსენიე, რომ უფრო ახლობრივ განვსაზღვრო უნივერსალური პრაგმატიკის საქმე. ერთი მხრივ ლინგვისტიკა ენობრივი გამოსახულებებით იფარგლება და გვერდს უვლის მათი შესაძლო გამოყენების სიტუაციებს; მაგრამ მეორე მხრივ, ლინგვისტური კოდექსის თეორია, რომელსაც საქმე აქვს ენის გამოყენების დიფერენციელურ სახესხვაობებთან, ყოველთვის წინასწარ გულისხმობს იმას, რომ შექმნილია შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაციები. განუ-

მარტივი სწორედ იმ სიტუაციათა სტატუსი რჩება, რომლებშიც შესაძლო ხდება წინადადებების (და ექსტრავერბალური გამოსახულებების) გამოთქმა. ლინგვისტიკას არ სჭირდება მათი გათვალისწინება, ხოლო ლინგვისტური კოდექსის თეორიაში ისინი გარეპირობებად ითვლებიან. მაგრამ ის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც სტანდარტულ პირობებში ყოველ შესაძლო სამეტყველო სიტუაციაში მეორდებიან ხოლმე, მაინც არ არიან ენისგარეთა ელემენტები. შესაძლო მეტყველების საყოველთაო სტრუქტურები სწორედ რომ თვითონ ლინგვისტური კოდექსის ცნებაში იგულისხმებიან; ისინი საფუძვლად უდევს ყოველი ცალკეული კოდექსის დიფერენციელურ განსაზღვრულობებს. *აშკარაა, რომ მეტყველება-ქმედების განხორციელებასთან ერთად ჩვენ პერფორმაციულად ვქმნით იმ პირობებსაც, რომლებშიც შესაძლებელი ხდება წინადადებების გამოთქმა.*

რა თქმა უნდა, შესაძლო მეტყველების სიტუაციათა წარმოებას სხვა საზრისი აქვს, ვიდრე გრამატიკულად დალაგებული სიმბოლო-მწკრივების წარმოებას. მეტყველების აქტებს, რომლებიც შეიძლება მეტყველების ელემენტარულ ერთიანობებად გვესმოდეს, ერთსა და იმავე დროს აქვთ ლინგვისტური და ინსტიტუციონალური საზრისი; ლინგვისტური საზრისი აქვთ იმდენად, რამდენადაც ისინი მეტყველების შემადგენელი ნაწილებია; ინსტიტუციონალური – იმდენად, რამდენადაც ისინი შესაძლებელყოფენ ენობრივი გამოსახულებების განლაგებას. როცა ვამბობ: „გპირდები, ხვალ მოვალ"–მეთქი, მარტო შეპირებას როდი გამოვთქვამ, არამედ *ვიძლევი* შეპირებას. გამოთქმა არის შეპირება, რომელსაც იგი გამოხატავს კიდეც. ასეთი მეტყველების აქტის დახმარებით ჩვენ ვაწარმოებთ წინადადებათა ჩასმის საყოველთაო პირობებს, მაგრამ ამავე დროს ეს სტრუქტურები წარმოდგენილნი არიან თვითონ მეტყველებაში – სწორედ როგორც ის ენობრივი გამოსახულებანი, რომლებსაც ჩვენ *პრაგმატულ უნივერსალიებს* ვუწოდებთ. კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიამ უნდა განმარტოს, ის ქმედებები, რომლებსაც მოლაპარაკე ანდა მსმენელი პრაგმატული უნივერსალიების დახმარებით სჩადის, როცა იგი წინადადებებს (ანდა ექსტრავერბალურ გამოსახულებებს) გამოთქმებში იყენებს.

თავფენომენი, რომლის განმარტებაც უნივერსალურ პრაგმატიკას ევალება, არის ბუნებრივი ენების თავისებური რეფლექსურობა. ამაზე ჰკიდია კომპეტენტური მოლაპარაკის უნარი, ენის ნებისმიერ გამოსახულებას თვითონ ამ ენაში უყოს პარაფრაზირება. არ არსებობს ბუნებრივი ენის ისეთი მეტაენა, რომელიც თავის მხრივ ამ (ან სხვა) ბუნებრივ ენაზე ინტერპრეტაციისაგან არ იყოს დამოკიდებული. დ.ს.შვეიდერი ამ ფენომენს თვითეკსპლიკაციის კუთხით აღგვიწერს: „რაც ენაში ყველაზე მთავარიცაა და ყველაზე დამაბნეველიც ის არის, რომ ენა თავის თავზე ლაპარაკობს. როცა მე მხედავ, რომ რაღაცას ვა-

კეთებ, მაგ. ვისური სამიზნის ზედა კუთხეში, შენ შეიძლება არ გესმოდეს რას ეშვრები. მაგრამ თუ შენ გესმის, რომ მე რამეს ვამბობ, შენ ეს გესმის და მერე ხედები თუ რისი თქმა გინდა. სიტყვების ჩემეული ამორჩევა გათვლილია იმაზე, რისი ქმნაც მსურს ამ სიტყვებით. ისინი თვით მეტყველებენ თავიანთ თავზე... კითხვას რომ ვსვამ არ გამოვთქვამ იმას, რომ შეკითხვის დასმა მაქვს განზრახული; როცა რაღაცას გამოვთქვამ არ ვამბობ იმას, რომ გამოთქმა განმიზრახავს... ჩემი აქტი არ არის იმის თქმის აქტი, რისი ქმნაც მინდა, პირიქით... ჩემმა აქტმა ის უნდა აჩვენოს, რაც განმიზრახავს. მე ვფიქრობ ეს არის ნაწილი იმისა, რასაც ვიტგენშტაინი გულისხმობს შენიშვნაში, „რომ მტკიცება ამყლავნებს თავის საზრისს და ამბობს, რომ საქმე ასეა"[1] ოსტინის მიერ გამოკვლეული პერფორმაციული გამოთქმები[2] ენის ამ თვითეკსპლიკაციური ქმედებისთვის პარადიგმატულად მიმართებათა სისტემაში მათი ადგილით განსაზღვრული ფასეულობის მქონენი არიან. როგორც ვნახეთ, მეტყველების აქტის გრამატიკული ფორმა სარკესავით აირეკლავს თავისებურ ორკეცსტრუქტურას; ამაშია ჩაფუძნებული ბუნებრივი ენების რეფლექსურობა.

ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ მეტყველების აქტი[3] შედგება პერფორმაციული წინადადებისა და მასზე დამოკიდებული პროპოზიციური შინაარსის მქონე წინადადებისგან.[4] გამოთქმაში გამოიყენება მთავარი წინადადება, რათა ინტერსუბიექტური მიმართება დაამყაროს მოლაპარაკეებს (მსმენელებს) შორის; ხოლო დამოკიდებული წინადადება გამოთქმაში იმიტომ გამოიყენება, რომ ერთმანეთს გაუგებინოთ საგნების (საქმის ვითარების) თაობაზე. პერფორმაციული წინადადებების პროპოზიციური შინაარსის მქონე წინადადებასთან ელემენტურ შეკავშირებაში მჟღავნდება სალაპარაკო ენისეული კომუნიკაციის ორკეცი სტრუქტურა: საგანთა (საქმის ვითარების) რაობაზე კომუნიკაცია ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, რომ ამავდროულად ხდება დამოკიდებული წინადადების გამოყენების საზრისის თაობაზე მეტაკომუნიკაცია. შესაძლო გაგებინების სიტუაცია მოითხოვს, რომ სულ ცოტა ორი მოლაპარაკე (მსმენელი) ერთსადაიმავედროულად *ორივე* სიბრტყეზე

---

[1] D.S. Shwayder, The Stratification of Behaviour, London 1965, 288.

[2] ე.ი. ილოკუციური აქტები, რომლებიც ოსტინისა და სტრაოსონის კვალად გამოწვლილვით გაანალიზა ჯ.სერლმმ (Speech-Acts, Cambr. 1969).

[3] როცა ცალკეული მეტყველების აქტის ელემენტარული ერთიანობა შემოგვაქვს აბსტრაქციას მიეშართავთ; ჩვენ გვერდს ვუვლით იმას, რომ წესში მეტყველების აქტები დაწყვილებულია: როგორც კითხვა და პასუხი, მტკიცება და უარყოფა და ა.შ.

[4] პერფორმაციული შემადგენელი ნაწილები რომც არ იყენენ ცხადლივ ვერბალიზებულნი, ისინი მაინც ყოველთვის იგულისხმებიან სამეტყველო პროცესში. ამრიგად ისინი უნდა გეხვდებოდნენ *ყოველი* ენობრივი გამოსახულების სიღრმისეულ სტრუქტურაში

აწარმოებდეს კომუნიკაციას: ინტერსუბიექტურობის სიბრტყეზე, რომელზეც სუბიექტები ერთმანეთთან საუბრობენ და საგანთა (თუ საქმის ვითარებათა) სიბრტყეზე, რომლის თაობაზეც ისინი ურთიერთგებინებიან. უნივერსალური პრაგმატიკა ემსახურება წესების სისტემისკვალად კონსტრუქციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კომპეტენტური მოლაპარაკე თუ ხამს, მან შეასრულოს ეს პოსტულატი (კომუნიკაციისა და მეტაკომუნიკაციის ერთდროულობა). ამ კვალიფიკაციას მინდა გამოთქმა: „კომუნიკაციური კომპეტენცია" დავუბეკო.[1] „კომუნიკაციური კომპეტენციის" ცნება რომ უფრო ზუსტად გაგაგებინოთ მინდა, აბსტრაქციის დიდაქტიკურად ნათელი ნაბიჯები შემოგთავაზოთ. აბსტრაქციას დავიწყებ კონკრეტული გამოთქმებით. „კონკრეტულს" ისეთ გამოთქმას ვუწოდებ, რომელიც მოთავსებულია მისი მნიშვნელობის სრულად განმსაზღვრელ კონტექსტში. პირველი ნაბიჯი მდგომარეობს *სოციოლინგვისტურ აბსტრაქციაში*, რომელიც გვერდს უვლის ენობრივი წესების სისტემის ყველა იმ შემთხვევით ვარირებად გარეპირობას სპეციფიური რომაა ყოველი მოლაპარაკე (მსმენელისათვის) და „გამოთქმებს განმაზოგადებელ-სოციალურ კონტექსტებში" იტოვებს. შემდგომი ნაბიჯი არის *უნივერსალურ-პრაგმატული* აბსტრაქცია, რომელიც თვალს არიდებს ყველა დროულ-ვრცეულად და სოციალურად ზღვარდებულ კონტექსტს და ამიერიდან მხოლოდ „საზოგადოდ დალაგებულ გამოთქმებს" დაირჩომებს; ამ გზით მოვიპოვებთ მეტყველების ელემენტარულ ერთიანობებს. *ლინგვისტური აბსტრაქციის* მესამე ნაბიჯი თვალს ხუჭავს მეტყველების აქტების შესრულებაზე, მაგრამ მაინც ინარჩუნებს ამ პროცესში გამოყენებულ „ენობრივ გამოსახულებებს" გინა წინადადებებს. ამ გზით მოვიპოვებთ ენის ელემენტარულ ერთიანობებს. მისგან შეგვიძლია, განვასხვავოთ ლოგიკური აბსტრაქცია, რომელიც თავს შორს იჭერს ყველა პერფორმაციულად მნიშვნელოვანი ენობრივი გამოსახულებიდან და ინარჩუნებს ასერტორულ წინადადებებს, მოცემულობისდაკვალად ნორმალიზებული ფორმით: – რომ „p": ამ გზით მოვიპოვებთ ელემენტარულ ერთიანობებს საქმის ვითარებათა გადმოსაცემად.

გამოთქმები განმაზოგადებელ სოციალურ კონტექსტებში არის სოციოლინგვისტიკის საგანი. ამას პრაგმატულ კომპეტენციათა თეორიის ფორმა აქვს. მისი ამოცანაა იმ ენობრივი კოდექსის რეკონსტრუირება, რომლითაც კომპეტენტური მოლაპარაკე სიტუაციისდაკვალად მართებულად იყენებს სოციოკულტურული წესებით შედგენილ გამოთქმებს. საზოგადოდ სიტუაციებში გამოყენებული გამოთქმები, რომელთა სპეციფიკა კონტექსტით არაა განსაზღვრული, უნივერსალური პრაგმატიკის

---

[1] დელ ჰემესი ამ გამოთქმას იყენებს ლინგვისტური კოდექსის ფლობის გამოსახატავად, მე კი მის გამოსახატავად გთავაზობთ გამოთქმას „პრაგმატული კომპეტენცია".

საგანია. ამას კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიის ფორმა აქვს. მისი ამოცანა არის წესთა იმ სისტემის რეკონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც კომპეტენტური მოლაპარაკე ენობრივ გამოსახულებებს გამოთქმად გარდაქმნის. ენობრივი გამოსახულებანი (ანუ სიმბოლო – მწკრივები) ლინგვისტიკის საგანია. მას გრამატიკული კომპეტენციის თეორიის ფორმა აქვს. მისი ამოცანა არის წესთა იმ სისტემის რეკონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც კომპეტენტური მოლაპარაკე წინადადებებს ქმნის და მათ გარდაქმნის. დაბოლოს, გამონათქვამები ფორმალური ლოგიკის საგანია. მისი ამოცანა არის წესთა იმ სისტემის რეკონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც გამონათქვამებს ვაყალიბებთ და მათ ურყევ ჭეშმარიტ ფორმას ვანიჭებთ. ლოგიკა გვერდს უვლის იმას, რომ ასერტორული წინადადებები ჩადებულია მეტყველების აქტებში, ამავე დროს იგი მათ მეტნაკლებად ისე განიხილავს როგორც ლინგვისტიკა. ზემოთ დასახელებული განსხვავებებიდან გამომდინარეობს შემდეგი შეწყობილობანი:

ცხრ. 4. ანალიტიკური სიბრტყეები

საგნების წრე	კომპეტენცია	თეორია
გამოხატულებანი სოციალურ კონტექსტებში	პრაგმატული	სოციოლინგვისტიკა
არაკონტექსტსპეციფიკური გამოსახულებანი	კომუნიკაციური	უნივერსალური პრაგმატიკა
ენობრივი გამოსახულებანი (წინადადებები)	გრამატიკული	ლინგვისტიკა
გამონათქვამები	ლოგიკური	ფორმალური ლოგიკა

ამ მიმოხილვის დანიშნულება მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ ხელი შეუწყოს უნივერსალური პრაგმატიკის განსაზღვრას.[1] კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ მეტყველების აქტის ორკეც სტრუქტურას. მხოლოდ და მხოლოდ მდგენელ მეტყველება-მოქმედებებში შეკითხვებში, ბრძანებებში, გაფრთხილებებში, გამომჟღავნებებსა და ა.შ. დამოკიდებული წინადადებები არ გვხვდებიან ასერტორული წინადადებების ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ პროპოზიციური შინაარსი აქვთ, ისინი მაინც არ გადმოსცემენ პროპოზიციებს. – რომ „p" სახის ნომინალიზებული გამოსახულებანი ნებისმიერ მომენტში შეიძლება გარდაიქმნას პროპოზიციებად. ამით აიხსნება ის, თუ რატომ არის, რომ მეტყველების აქტების პროპოზიციურ შინაარსს იდენტურად დარჩომა შეუძლია იმ შემთხვევებშიც კი, როცა მისი მოდუსი ცვალებადია და მაგ. შეკითხვა ბრძანებად იქცევა, ბრძანება – აღიარებად, აღიარება – დადგენილებად.[2] ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია კიდევ ერთხელ ამოვწიოთ და დავაზუსტოთ ენის კოგნიტივურსა და კომუნიკაციურ გამოყენებებს შორის ჩვენეული განსხვავება. მდგენელი მეტყველების აქტის

---

[1] ჯერ კიდევ ადრეულ ლინგვისტურ დისკუსიაში უნივერსალური პრაგმატული დამოკიდებულებების გათვალისწინებამ გამოიწვია იმ სემანტიკური თეორიის რევიზია, რომელიც თავდაპირველად კატმა, ფოდორმა, პოსტალმა და სხვებმა შემოგვთავაზეს. გენერაციულ სემანტიკის უფრო ახალ კონცეფციებში, რომელთა შექმნა მაკოელის, ფილმორის და ყოელის უწინარეს, ლაკოფის შრომებს უკავშირდება, მნიშვნელობა ინვარიანტული ტრანსფორმაციებისას უარყოფილია სინტაქსურ სიღრმისეულ სტრუქტურასა და სემანტიკურ ინტერპრეტაციას შორის კატეგორიალური გათიშულობა და იგი ჩანაცვლებულია იმ სემანტიკური სიღრმისეული სტრუქტურის დაშვებით, რომელსაც თან ახლავს წინარელექსიკური და პოსტლექსიკალური ტრანსფორმაციები. ამრიგად, წინადადებათა შედგენის პროცესი იწყება სემანტიკური არსით, რომელშიც საყოველთაო მახასიათებელთან ერთად უნივერსალურ – პრაგმატული ასპექტებიც შედიან. როსი და მაკკოველი გვთავაზობენ, ყოველი უმაღლესი S განიმარტოს როგორც პერფორმაციული გამოხატულება ე.ი. – როგორც მეტყველების აქტის მთავარი წინადადება. ლაკოფს და სხვებს სემანტიკური სიღრმისეული სტრუქტურის აღწერაში პერფორმაციულ მოდუსთან ერთად (შეკითხვა, ბრძანება, მტკიცება და სხვა) შეაქვთ რეფერენციები შესაძლო სამეტყველო სიტუაციაზე, აგრეთვე – ფოკუსი, წინარე ვარაუდი და თანარეფერენცი. ფილმორის წინადადება, რომ სიღრმისეული სტრუქტურა როლების სტრუქტურის სახით გადმოიცეს, რომელშიც გაცხადებული იქნება აგენტიური, ინსტრუმენტული, დატივური, ფაკტიტივური, ობიექტივური და ა.I. ელემენტების წილი წინადადებების მნიშვნელობაში, უახლოდება სემანტიკის კოგნიტივისტურ თვალსაზრისს. მე შესაძლებლობა არა მაქვს მოვიხილო ის, თუ როგორ განვითარდება დისკუსია ლინგვისტიკაში. მაგრამ არსებობს იმის ნიშნები, რომ სემანტიკური სიღრმისეული სტრუქტურის აღწერისას ლინგვისტიკა წააწყდება ლინგვისტურად ელემენტალურ დამოკიდებულებათა სისტემას, რომელიც შეიძლება გაგებული იქნას უნივერსალურ-პრაგმატული წესთა სისტემის ანარეკლად.

[2] შეად. Searle, a.a. O., S. 29ff.

გამოყენებას, რომელშიც მიწყივ უნდა გვხვდებოდნენ გამონათქვამები, კოგნიტიურს ვუწოდებთ. მასში საგნის (საქმის ვითარების) თაობაზე ურთიერთგაგებას ემსახურება მოლაპარაკესა და მსმენელს შორის პერფორმაციულად წარმოებული ინტერპერსონული დამოკიდებულება. კომუნიკაციური კი, ენის ისეთ გამოყენებას შეგვიძლია ვუწოდოთ, რომელშიც საგნის (საქმის ვითარების) თაობაზე გაგებინება ინტერპერსონული დამოკიდებულების წარმოებას ემსახურება. კომუნიკაციის სიბრტყე, რომელიც ერთ შემთხვევაში მიზანია, მეორეში – საშუალებას წარმოადგენს. ენის კოგნიტივურ გამოყენებაში პროპოზიციური შინაარსები თემას წარმოადგენენ; ხოლო ენის კომუნიკაციური გამოყენებისას პროპოზიციური შინაარსები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოიხსენებიან, რომ პერფორმაციულად წარმოშვას მოლაპარაკეებს (მსმენელებს) შორის განსაზღვრული ინტერსუბიექტური მიმართება. ბუნებრივი ენების რეფლექსურობა იმ გზით ხორციელდება, რომ ენის გამოყენების ორივე მოდუსი იმპლიციტურად არის ურთიერთდამოკიდებული. ახლა საკმაოდ ვართ მომზადებულები პრაგმატული უნივერსალიების შემოსატანად (1) და ამისდაკვალად იმ კონსტიტუციური როლის გასაანალიზებლად, რომელსაც იგი ასრულებს ენის როგორც კოგნიტიური (2), ისე კომუნიკაციური (3) გამოყენებისათვის.

(1) თავიდან მე (ვუნდერლიხზე დაყრდნობით) ჩამოვთვალი სიტყვათა სამაგალითო კლასებს (და მათ გრამატიკალიზებებს), რომლებიც მიმართებაში არიან სამეტყველო სიტუაციათა საყოველთაო სტრუქტურებთან.

1) პირის ნაცვალსახელები (მათი პერფორმაციულ-რეფერენციელური ორკეცი სტრუქტურის გამო ისინი არ შემაქვს მარტივ სინგულარულ ტერმინებში).

2) სიტყვები და საქცევები, რომლებიც შესავალ სიტყვასა და მიმართვებში გამოიყენება (გრამატიკალიზება: მოწოდებითი, პატივდებითი);

3) ჩვენებითი გამოსახულებანი (სივრცის, დროის); ჩვენებითი ნაცვალსახელები, არტიკლი, რიცხვითი სახელები, რაოდენობითი რიცხვითი სახელები; (გრამატიკალიზება: დროის ფორმები, გრამატიკული მოდუსები);

4) პერფორმაციული ზმნები (გრამატიკალიზება: კითხვითი სიტყვები, იმპერატივი);

5) ინტენციური ზმნები და მოდულური ზმნიზედები, რომლებიც პერმაფორმაციულად არ გამოიყენებიან.

---

[1] ენის იმ მოხმარებას, რომელიც ამ რეფლექსურობას პარაფრაზირების მიზნით იყენებს, შეგვიძლია ჰერმენევტიკული ვუწოდოთ. იგი ენის კოგნიტიური და კომუნიკაციური გამოყენებისაგან განსხვავებით მოძრაობს მეტასიბრტყეზე, რომელიც მაინც ასევე ყოველდღიური კომუნიკაციის ელემენტია, თუმცა იგი უბრალოდ გამოსახავს ბუნებრივი ენისთვის შინაგანად დამახასიათებელ რეფლექსურობას.

ენობრივ გამოსახულებათა კლასებს მე პრაგმატულ უნივერსალიებს ვუწოდებ, რადგან ისინი სამეტყველო სიტუაციის საყოველთაო კლასებს შეეხებიან; – მოლაპარაკეების (მსმენელების) და საუბრის პოტენციურ თანამონაწილეთა I და II კლასებს; – ენობრივი სიტუაციის დროულ-ვრცეული და ნივთური ელემენტების III კლასს; – თავისსავე გამოსახულებასთან მოლაპარაკის დამოკიდებულებისა და მოლაპარაკესა და მსმენელს შორის რელაციის IV კლასს; – დაბოლოს მოლაპარაკის ინტენციებისა და განცდების V კლასს.

მე არ ვთელი საკმარისად, რომ პრაგმატული უნივერსალიები გაგებული იქნან მეტაენის შემადგენელ ნაწილებად, რომლითაც შეგვიძლია ერთმანეთს შევუთანხმდეთ სიტუაციის *თაობაზე* ასეთი გაგება წარმოშობს მცდარ შთაბეჭდილებას, თითქოსდა სამეტყველო სიტუაციის საყოველთაო სტრუქტურები მოწყვეტილნი იყვნენ მეტყველებას და მოცემულნი იყვნენ ლაპარაკის მიმდინარეობის ემპირული საზღვრითი პირობების სახით. სინამდვილეში კი ჩვენ გამოთქმებში წინადადებების გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ იმ გზით შეგვიძლია, რომ პრაგმატული უნივერსალიების დახმარებით თვითონვე ვქმნით შესაძლო კომუნიკაციისა და მაშასადამე, სამეტყველო სიტუაციის პირობებს. უნივერსალიებზე დაყრდნობის გარეშე ჩვენ ვერანაირად ვერ შევძლებდით შესაძლო მეტყველების სიტუაციათა განმეორებადი შემადგენელი ნაწილების განსაზღვრას; ჯერ ერთი ვერ შევძლებდით, განგვესაზღვრა თვითონ გამოსახულებანი; მეორეც – ის ინტერპერსონული ურთიერთობანი, რომლებიც გამოთქმებთან ერთად მოლაპარაკესა და მსმენელს შორის წარმოიშობა; და ბოლოს ვერ შევძლებდით დაგვედგინა ის საგნები თუ საქმის ვითარებანი, რომელთა თაობაზეც მოლაპარაკე და მსმენელი ერთმანეთთან კომუნიკაციაში შედიან.[1] მაგრამ უცვლელი რჩება ის გარემოება, რომ პრაგმატული უნივერსალიები – რაკი ჩვენ მათი დახმარებით სამეტყველო სიტუაციას ვქმნით, *ამავე დროს* იმ სამსახურსაც სწევენ, რომ *წარმოადგინონ* კიდეც სამეტყველო სიტუაცია.

ენის კოგნიტიური გამოყენებისას პრაგმატულ უნივერსალიებს იმგვარად მოვიხმართ, რომ ვაკონსტიტუირებთ კიდეც აღწერადი ობიექტების წრეს. გამოცდილების მაკონსტიტუირებელი ეს როლი რეფერენციის თეორიაში უნდა იქნას განმარტებული. ენის კომუნიკაციური გამოყენებისას პრაგმატულ უნივერსალიებს იმგვარად მოვიხმართ, რომ

---

[1] ემპირული პრაგმატიკა ქცევის მეცნიერული სემიოტიკის მნიშვნელობით (ჩ.მორისი) იმით გამოირჩევა, რომ მას დამკვირვებლის პერსპექტივიდან შემოაქვს მეტყველების საყოველთაო სტრუქტურები და არ ემყარება პრაგმატულ უნივერსალიებს. შად. K.O.Apel, Szientismus oder transzendentale Hermeneutik? Zur Frage nach dem Subjekt der Zeicheninterpretation in der Semiotik des Pragmatismus, in: Bubner et al. (Hrsg.), Hermeneutik und Dialektik, Tübingen 1970, Bd. I,S. 105-144; Ferner: Arno Müller, Probleme der behavioristischen Semiotik, Diss Phil., Ffm. 1970.

პერფორმაციულად ეაწარმოებთ კიდეც ინტერსუბიექტურ ურთიერთმიმართებებს. ეს როლი სამეტყველო მოქმედების თეორიაში უნდა განიმარტოს. ორივე შემთხვევაში ეაწყდებით სისტემას ისეთი წესებისას, რომლებიც აღარ ეწევიან შიდალინგვისტურ მიმართებათა დეტერმინირებას, როგორც ამას გრამატიკული წესები აკეთებენ; პირიქით, წესების უნივერსალურ-პრაგმატული სისტემა, ერთი მხრივ, გვიჩვენებს ენის ზღვარდებულებას ბუნებისა და საზოგადოების გარესინამდვილით; მეორე მხრივ – კი მის განსაზღვრულობას ადამიანური ორგანიზმის კოგნიტივური და მოტივაციური მოწყობილობის სინამდვილით. პრაგმატულ უნივერსალიებში ჩვენ ვხედავთ შეხების წერტილებს, სადაც ურთიერთჩაწნულია ენა და რეალობა. ენისა და საზოგადოების აღწერადი რეალობა ყალიბდება ენის, კოგნიციისა და ქმედების უნივერსალურ-პრაგმატულად მოწესრიგებული ურთიერთ თამაშით. მაშინ, როდესაც ინტერსუბიექტურად გაგებული ცხოვრების სამყაროს კომუნიკაციურ მიმართებებს უნივერსალურ-პრაგმატულად მოწესრიგებული მეტყველების აქტით ვქმნით.

2) *ენის კოგნიციური გამოყენების პრაგმატიკაზე* მინდა მხოლოდ მოკლე მითითება გავაკეთო. მარტივ პრედიკატულ წინადადებებს, რომლებსაც მდგენელ მეტყველების აქტებში გამოვთქვამთ, სულ ცოტა, ორ პრესუპოზიციას* ვუკავშირებთ ხოლმე. ჩვენ ვუშვებთ იმ საგნის არსებობას, რომლის შესახებ რაღაცას ვამბობთ; ჩვენ ასევე ვვარაუდობთ ჭეშმარიტებას წინადადებისას ე.ი. იმისას, რასაც ამ საგნის თაობაზე გამოვთქვამთ. არსებობა და ჭეშმარიტება წარმოადგენენ პირობებს, რომლებიც აუცილებელია შესრულდეს როცა ჯერ არს, გამოთქმამ ფაქტი გადმოგვცეს. პირველი დაშვება გამართლებულია მაშინ როცა მოლაპარაკესა და მსმენელს ძალუძთ, ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიკაცია უყონ ასერტორული წინადადების სუბიექტური გამოთქმით აღნიშნულ საგანს. მეორე დაშვება მაშინაა მართებული თუ მოლაპარაკესა და მსმენელს ძალუძთ, დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ გამოთქმაში გაკეთებული პრედიკაცია სწორია (რომ ე.ი. საგნისთვის მიწერილი თუ ჩამოწერილი პრედიკატი მას სინამდვილეში მიეწერება ანდა არ მიეწერება). რეფერენციელური გამოთქმა, ერთეული ტერმინი იქნება ის თუ აღწერილობა გაიგება როგორც მინიშნება იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს საგნის იდენტიფიცირება. პრედიკატული განსაზღვრების გზით მოხდება მისი განსრულება წინადადებამდე, რომელსაც ხამს, შეესატყვისებოდეს საქმის ვითარების ექსისტენცი. ამრიგად, მე ვამტკიცებ, რომ ენის კოგნიციური გამოყენებისას წარმოებული გამოთქმებსა და რეალობას შორის პრაგმატული მიმართებანი დამოკიდებულნი არიან შესაძლო გამოცდილების საგანთა წინდაწინითს კონსტიტუირებაზე. ენის კოგნიციური გამო-

---

* წინადადების ანდა გამოთქმის საფუძველადმდებარე მოცემულად მიჩნეული, მაგრამ გამოუთქმელი წანამძღვარი – მთარგმ. შენიშვნა

ენების პრაგმატიკაში ჩანს, რომ შესაბამისი საგნის წრე სტრუქტურდება ენას, კოგნიციასა და ქმედებას შორის განსაზღვრული ურთიერთობის გზით. გამოცდილება, რომელსაც გრძნობის ორგანოები გვაწვდიან, არის სენსორული ანდა კომუნიკაციური, სენსორულ გამოცდილებაზე დაშენებული. სენსორულ გამოცდილებას მივყავართ ნივთების, ხდომილებების ანდა იმ მდგომარეობათა აღქმებამდე, რომლებსაც საგნებს მივაწერთ (ჩვენ ვხედავთ, რომ რაიმე განსაზღვრულ მდგომარეობაში იმყოფება). სენსორულზე დაშენებულ კომუნიკაციურ გამოცდილებას კი აღქმათა მიღმა პერსონების, იმ გამოთქმებისა თუ მდგომარეობების გაგებამდე მივყავართ, რომლებსაც პერსონებს მივაწერთ (ჩვენ „ვხედავთ" ანდა გვესმის, რომ ვინმე ყოველთვის განსაზღვრულ მდგომარეობაში იმყოფება), ისე რომ გამოცდილებებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციული შინაარსი, ვინაიდან და რამდენადაც მათ სახტად დატოვება ძალუძთ. ე.ი. შეუძლიათ საგანთა შესახებ მტკიცე მოლოდინთა გაწბილება და მოდიფიცირება. სახტად დატოვების ეს ფონები, რომლებზეც გამოცდილებანი იკვეთებიან, იმ ობიექტების შესახებ შეხედულებებს (წინარესჯებს) წარმოადგენენ, რომელთა გამოცდილებანიც უკვე მოვიპოვეთ. ენის კოგნიციურ გამოყენებაში ჩვენს შეხედულებებს პროპოზიციის* ფორმას ვანიჭებთ. მეორე მხრივ, მათ ვაწყდებით დესკრიფციულ ენებში, რომლებიც მათი გრამატიკული ფორმის მიხედვით წარმოადგენენ ან ნივთ–ხდომილება–ენას ანდა ინტენციურ ენას (რომელიც ნივთებისა და ხდომილებათა გამოსახულებების გარდა პერსონებისა და მათი გამოხატულებების გამოთქმებსაც უშვებს). როდესაც ამ ენების გრამატიკას ვაანალიზებთ ისეთ კატეგორიებს შევეყრებით, რომლებიც წინდაწინ აკონსტრუირებენ შესაძლო გამოცდილების საგანთა წრეს. საგნების ანდა ნივთთა მდგომარეობის შესახებ შეხედულებები რომ ჩამოვაყალიბოთ, რომელთა გაწბილება გამოცდილებებს ძალუძთ, აუცილებელია ჯერ საერთოდ შესაძლო გამოცდილების საგნები დავუშვათ: ე.ი. ობიექტთა წრის საყოველთაო სტრუქტურები ვივარაუდოთ. ჩვენ სენსორულ გამოცდილებებს ვუქვემდებარებთ მოძრავი სხეულების ობიექტთა წრეს, ჩვენს კომუნიკაციურ გამოცდილებებს კი — ლაპარაკითა და ქმედებით თვითგამომხატველი სუბიექტების ობიექტთა წრეს (რომელიც, რა თქმა უნდა, კოორდინაციაში იმყოფება აღქმადი საგნების სფეროსთან). ობიექტთა წრეები წარმოადგენენ საფუძველცნებათა სისტემებს, რომლებიც ერთსა და იმავდროულად შესაძლებელყოფენ ორ რამეს: გამოცდილებათა ორგანიზებასა და შეხედულებების ჩამოყალიბებას.

საგნებზე გამოცდილებათა ორგანიზების შემთხვევაში საფუძველცნებები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კოგნიციურ სქემებად, ხოლო გამოცდილების საგნებზე შეხედულებების ჩამოყალიბებისას – ლოგიკურ-სემანტიკურ კატეგორიებად. ახლა აშკარაა, რომ ამ ორ სიბრტყეს –

* წინადადება ან წინადადების შინაარსი – მთარგმ. შენიშვნა

ერთი მხრივ გამოცდილებასა და მეორე მხრივ ენას – შორის ურთიერთობა ქმედების საშუალებითაა გაბმული; სახელდობრ – ინსტრუმენტული ანდა კომუნიკაციური ქმედებისა. ეს აშკარავდება როცა ეიკვლევთ რეფერენციელური გამოსახულებების გამოყენებას. საგნებს სახელის ანდა ნიშანდების დახმარებით აღვნიშნავთ; ამასთან, საჭიროა გეზი აღებული გვქონდეს ნიშანდობლივ ნიშან-თვისებებზე. ამიტომაა, რომ ჩვენ ყოველთვის ძალგვიძს სახელები ნიშანდებებით შევცვალოთ. მაგრამ თუკი ეს უკანასკნელნი ხამს, პრაგმატულად ფუნქციონირებდნენ, მაშინ საგნის მაიდენტიფიცირებელ აღწერილობას უნდა შეიცავდნენ; ამასთან, საზოგადოდ კონტექსტზეა დამოკიდებული ის, თუ რომელი ნიშან-თვისებაა საკმარისად დამახასიათებელი, რომ მოლაპარაკემ და მსმენელმა ყველა შესაძლო საგნიდან ზუსტად იმ ობიექტის ამორჩევა შეძლოს, რომელზეც ლაპარაკია. რაც უფრო ცოტად ძალგვიძს, წინასწარგაგებულ კონტექსტს დავემყაროთ, მით მეტად იქნება აუცილებელი ჩვენებითმა გამოთქმებმა დენოტაციის* ტვირთის ტარება. და მართლაც, ჩვენ ვიყენებთ მასპეციფიცირებელ (არტიკლს: der, die, das; ჩვენებით ნაცვალსახელებს: ეს, ის), მარაოდენობრივებელ (რიცხვით სახელებს, განუსაზღვრელ კვანტორებს: რამდენიმე, ბევრი, ყველა) გამოთქმებს და აგრეთვე ადგილისა და დროის ზმნიზედებს. ენობრივ სიბრტყეზე ეს გამოთქმები წარმოადგენენ კოგნიციურ სქემებს, კერძოდ – სუბსტანციას, კვანტიტეტს, სივრცესა და დროს. დენოტაციის ვარგისი სისტემა, რასაკვირველია, მაშინ ქმნის ასეთ გამოთქმებს, თუ ისინი *ინტერპრეტირებულნი* არიან დესკრიფციული ენის (ნივთი–ხდომილება–ენა ანდა ინტენციური ენა) ფარგლებში. ერთ შემთხვევაში იდენტიფიცირებადი საგანი კატეგორიზებული იქნება მოძრავ სხეულად (ანდა ნივთების, მდგომარეობათა ანდა ხდომილებების აგრეგატად), მეორე შემთხვევაში – პერსონად – (ანდა პერსონებს, მდგომარეობებსა თუ გამოთქმებს შორის სიმბოლურად სტრუქტურირებულ ურთიერთობად). კატეგორიათა ორივე წინადადება – რომლებითაც აღვიქვამთ ან ვგებულობთ იდენტიფიცირებულ საგნებს – მოქმედების ალტერნატიულ ნიმუშზე მიუთითებს. ნივთები და ხდომილებანი მოძრაობენ ფიზიკურად გაზომვად დროში. მოძრავი სხეულის საგნობრიობის ფორმას ევკლიდურ სივრცესთან ერთად განეკუთვნება დროის მომენტთა აბსტრაქტული კონტინუუმი როგორც დროის გაზომვის განზომილება. სენსორული გამოცდილების საგნები შესაძლოა იდენტიფიცირებულნი იქნან დროულ-ვრცეულ მომენტებად. პერსონები და გამოთქმები დროის იმ ჰორიზონტში მოძრაობენ, რომელიც ბიოგრაფიასა და ისტორიას მიეწერება. თავიანთი თავის თვითგამომთქმელი პერსონების საგნობრიობის ფორმაში, გარდა სოცია-

---

* სიტყვაში ნაგულისხმებ საგანზე მიმთითებელი მნიშვნელობა; ფორმალური მიმართება ნიშანსა და ამ ნიშნით აღნიშნულ საგანს შორის – მთარგმ. შენიშვნა

ლური სივრცისა (ყოველდღიურ სამეტყველო კომუნიკაციის სუბიექ-ტებს შორის ინტერსუბიექტური მიმართება), შედის წარსულისა და მო-მავლის აწინდელობაზე ცენტრირებული და ქმედებაშესაკუთრებული პერსპექტივები. შესაძლებელი უნდა იყოს კომუნიკაციური გამოცდი-ლების საგანთა იდენტიფიცირება პერსონის ანდა ჯგუფის იდენტობად. დროის ეს ორკეცი სქემატიზება იმასთანაა მჭიდრო კავშირში, რომ ჩვენ ერთი მხრივ ვახდენთ საგანთა გამოცდილებას, რომლებითაც ინ-სტრუმენტული ქმედების ფუნქციობის წრეში მანიპულირება ძალგვიძს; მეორე მხრივ კი, საკუთარი თავისა და სხვების შესახებ გამოცდილებას ვიძენთ როცა მოლაპარაკისა და მსმენელის სახით ერთმანეთს ვხვდებით ხოლმე ინტერსუბიექტურ სიბრტყეზე. საეჭვო შემთხვევებში ჩვენებითი გამოთქმები უნდა დავუკავშიროთ განსაზღვრულ მოქმე-დებებს, რათა მოვიპოვოთ საგნის იდენტიფიკაცია. ისეთი სინგულარუ-ლი ტერმინები, როგორიცაა „ეს“ და „ის“, „აქ“ და „იქ“, „ახლა“ და „ადრე“, „ერთი“ და „ბევრი“ ნივთებისა და პერსონებისადმი მიყენებისას სხვადასხვა მაიდენტიფიცირებელ მოქმედებებს მოითხოვენ. იმისათვის, რომ იდენტიფიკაცია ვუყო „აი, ამ ნივთს,“ საეჭვობის შემთხვევებში იგი დროულვრცეული ადგილების გაზომვისა და (სულ ცოტა) დაკვირ-ვების დამახასიათებელ პრედიკატზე უნდა დაივიყვანო. ხოლო იმის-თვის, რომ იდენტიფიკაცია ვუყო „აი, ამ პერსონას“, იგი უნდა დავ-კითხო და ჩავრთო ინტერაქციათა განსაზღვრულ სახეობაში. ნივთებს იდენტობას ისინი მიაწერენ, ვისაც მათთან საქმე აქვს. პერსონები კი თავიანთ იდენტობას თვითვე აყალიბებენ მოქმედებათა კონტექსტებში; მათ უნდა შეძლონ იმის თქმა, თუ ვინ არიან (და თუკი მათ ამის თავი არა აქვთ, მაშინ საკითხავი ის იქნება, თუ მაინც რა მნიშვნელობით არიან ისინი პერსონები). ამიტომ არის რომ პერსონათა იდენტიფიკაცი-ისას ჩვენ პირველი პერსონის პირის ნაცვალსახელის პერფორმაცი-ულ–ჩვენებითს ორკეც როლსაც ვეყრდნობით.

ენას, კოგნიციას და ქმედებას შორის მსგავსი ურთიერთობა იჩენს თავს პრედიკაციის დროსაც. როცა მინდა, დავადგინო პრედიკატი ნამ-დვილად მიეწერება თუ არა საგანს უნდა შევამოწმო, საგანი ნამდვი-ლად ახორციელებს (ათვალსაჩინოებს) თუ არა პრედიკატულად გა-მოხატულ ზოგად განსაზღვრებას. თუ გამოთქმა იმ ენაზეა ფორმული-რებული, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვების პრედიკატებს შეიცავს, მაშინ ჩვენ დაკვირვებებზე ვართ დამოკიდებულნი; თუ იგი ინ-ტენციურ-ენობრივადაა ფორმულირებული, მაშინ შემოწმების შესაფე-რის მეთოდად დაკითხვა გვეძლევა. მეორე მხრივ, ეს ურთიეთრგანსხვა-ვებული მეთოდები მიუთითებენ გარკვეულ პრაქტიკაზე: ერთ შემთხვე-ვაში ფიზიკური გაზომვის ენის თამაშზე, ხოლო მეორეში – კომუნიკა-ციურ ქმედებაზე, ინტერპერსონული ურთიერთობების წარმოებაზე. გა-მოცდილების საგნებზე (სენსორულსა თუ კომუნიკაციურზე) პრედიკა-

ტების მიყენებისას თამაშში შემოდის კიდევ ერთი კატეგორია – კაუზალობა; იგი არის საფუძველცნება, რომლითაც გამოცდილების საგნებს კანონზომიერი შეკავშირების იდეას ვუქვემდებარებთ. შესაძლებელი უნდა იყოს ყოველი ხდომილების, გამოხატულებისა და მდგომარეობის გაგება მიზეზის შედეგად. როგორც პირსმა აჩვენა საგნებისა და ხდომილებების კანონზომიერი ურთიერთშეკავშირების პრესუპოზიციას აზრი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტული ქმედების ფუნქციობის წრეში. მოქმედების მოტივებსა და მოქმედების ორიენტირებულობებს აზრი აქვთ მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციური ქმედების მიმართებათა ჩარჩოებში. მდგომარეობის პრედიკატები (როგორიცაა „ხსნადი“ და „მეგობრული“) კაუზალურ გენერალიზებათა მაგალითებია, ისინი იგულისხმებიან აღწერის ენაში და გვეჩვენებიან პრედიკატული წინადადებების გადამოწმებისას.

დენოტაციის სისტემის წესმართებული გამოყენება, ეტყობა, ერთი მხრივ, კოგნიტივურ სქემებთან ენის ინტეგრაციაზეა დამოკიდებული, ხოლო მეორე მხრივ – ქმედების ტიპებზე.

(2) მინდა ენის კომუნიკაციური მოხმარების პრაგმატიკა მეტყველებაქმედებების კლასიფიკაციის დახმარებით ავხსნა. პირის ნაცვალსახელთა გამოყენების ლოგიკა – რომელსაც ახლა არ ვეხები – და მეტყველება–ქმედების თეორია უნივერსალური პრაგმატიკის შემადგენელი ნაწილები არიან; ორივე მათგანი ძალზე მნიშვნელოვანია სოციოლოგიის ენის თეორიული დაფუძნების კუთხით. ენის მეცნიერებაში, ისე როგორც ანალიტიკურ ფილოსოფიაში დღემდე ვერ მოხერხდა მეტყველა-ქმედების *სისტემის* შემუშავება. მაგრამ რამდენადაც მეტყველება–მოქმედებების გარკვეული ასპექტები, უფლება გვაქვს, პრაგმატულ უნივერსალიებს განვაკუთვნოთ, ამდენად კერძო ენობრივად რეალიზებული მეტყველება – ქმედების ლექსიკური მრავალფეროვნება ზოგად კლასიფიკაციაზე დაიყვანება. სერლმა მეტყველება-ქმედებებში ზოგადად გამოჰყო: მოსამზადებელი წესი (preparatory rule), რომელიც განსაზღვრავს მეტყველება-ქმედების გამოყენების პირობებს; – პროპოზიციური შინაარსის წესი, რომელიც ადგენს თუ როგორი ენობრივი გამოსახულებებია დაშვებული პროპოზიციური შინაარსის იმ წინადადებებში ყოველთვის ილოკუციურ ქმედებაზე რომაა დამოკიდებული; გულწრფელობის წესი, რომელიც განსაზღვრავს იმ პირობების სერიოზულობას, რომლებშიც სრულდება მეტყველება-ქმედება; და ბოლოს, ესენციალური წესი, რომელიც მეტყველება-ქმედების მოდუსის დეტალებს აზუსტებს.[1] მე ამ უკანასკნელი თვალსაზრისით შემოვიფარგლები და მეტყველება-ქმედებების ოთხ კლასს გამოვყოფდი.

მეტყველება-ქმედების პირველი კლასი, რომელსაც მე *კომუნიკატივს* ვუწოდებდი, იმისთვის გამოიყენება, რომ ზოგადად გამოიხატოს მეტყვე-

[1] Searle, a.a. O., S. 57ff.

ლების საზრისის სხვადასხვა ასპექტები. ისინი გამოთქმების, როგორც სწორედ გამოთქმების, საზრისის ეკსპლიკაციას ეწევიან. ყოველ მიმდინარე მეტყველებას დაწანამძღვრებული აქვს ფაქტიური წინარე გაგება, რაც ნიშნავს ენაში კომუნიცირებას, გამოთქმების გაგებასა და მცდარად გაგებას, თანხმობის მიღწევას, უთანხმოების აღმოფხვრას; — ერთი სიტყვით: ენასთან ურთიერთობას.

მაგალითები: თქმა, გამოხატვა, მეტყველება, ლაპარაკი, შეკითხვა, პასუხი, შესიტყვება, უკუგდება, დათანხმება, დაპირისპირება, საყვედური, დათანხმება, მოხსენიება, გადმოცემა, ციტირება და ა.შ.

მეტყველება-ქმედებათა მეორე კლასი, რომელსაც მე *კონსტატივს* ვუწოდებდი, გამოიყენება საიმისოდ, რომ გამოხატონ წინადადებათა კოგნიტივური გამოყენების საზრისი. იგი გამოთქმების როგორც სწორედ გამოთქმების საზრისის ეკსპლიცირებას ეწევა. ასერტორული მოდუსის პროტოტიპულ სიტყვა, „მტკიცება"-ში, გაერთიანებულია ორი მომენტი, რომელიც ამ მეტყველება-ქმედების ორ ქვეკლასად დაყოფილი გვხვდება. ერთი მხრივ „მტკიცება" შედის მაგალითთა შემდეგ ჯგუფში: აღწერა, მოხსენება„ შეტყობინება, მოყოლა, განმარტება, შენიშვნა, გადმოცემა; ასსნა, წინასწარ თქმა და ა.შ. ესენი არიან გამოთქმათა ასერტორული გამოყენების ნიმუშები. მეორე მხრივ „მტკიცება" განეკუთვნება მაგალითთა ჯგუფს: დარწმუნება, დაყოლიება ინსტრუქტაჟი, უარყოფა, შედავება, დაეჭვება. ეს მაგალითები განსაკუთრებით განმარტავენ ჭეშმარიტებაზე გამოთქმათა პრეტენზიის პრაგმატულ საზრისს.

მეტყველება-ქმედებების მესამე კლასი, რომელსაც *მე რეპრეზენტატივს* (ექსპრესივს) ვუწოდებდი, გამოიყენება პუბლიკის წინაშე მოლაპარაკის თვითწარმოდგენის პრაგმატული საზრისის გამოსახატავად. იგი ეწევა მოლაპარაკის ინტენციების, განწყობილებების, განცდების გამოთქმის საზრისის ეკსპლიცირებას. პროპოზიციური შინაარსის დამოკიდებული წინადადებები არიან ისეთ ზმნებიანი ინტენციური წინადადებები როგორებიცაა, ცოდნა, აზროვნება, ფიქრი; იმედი, სიყვარული, სიძულვილი; შეძლება, სურვილი, ნდომა, გადაწყვეტილება და ა.შ. მაგალითები: ცხადყოფა, გაცხადება, დატევება, აღიარება, გამოხატვა; დაფარვა, შესუდვრა, თვალისახვევა, გაბუნდოვანება, დადუმება, გაიდუმალება, უარყოფა (ეს მეტყველება-ქმედება გვხვდება უარყოფითი ფორმით: „არ დაგიმალავ, რომ ... ")

მეტყველება-ქმედების მეოთხე კლასი, რომელსაც მე *რეგულატივს* ვუწოდებდი, იმისთვის გამოიყენება, რომ გამოხატოს წარმოებული ინტენციური მიმართებების ნორმატიული საზრისი. იგი განმარტავს იმ დამოკიდებულების საზრისს, რომელსაც მოლაპარაკე (მსმენელი) მოქმედების ნორმების მიმართ იჭერს. მაგალითები: ბრძანება, მოთხოვნა, თხოვნა, სწრაფვა, მოწოდება, აკრძალვა, ნების დართვა, სიტყვის გადაკვრა, შეწინააღმდეგება, დაპირისპირება; ვალდებულებების აღება, შეპი-

რება, შეთანხმება, პასუხისმგებლობა, გამდგრადება, გამაგრება, თავდებობა, შეტყობინება, მობოდიშება, პატიება; შეთავაზება, უარყოფა, შეძლევა, მიღება, რჩევა, გაფრთხილება, გამხნევება.

მეტყველება-ქმედების შემდგომი კლასი, რომელიც არსებითია ინსტიტუციონურად მოწესრიგებული მოქმედებებისათვის, არ განეკუთვნება უშუალოდ პრაგმატულ უნივერსალიებს, თუმცა სწორედ ამ კლასმა მისცა ოსტინს საბაბი მეტყველება-მოქმედებების ბუნება შეესწავლა.

მაგალითები: მისალმება, კეთილის სურვილი, მადლობის გადახდა, მილოცვა, თანაგრძნობა, დანაძლევება, დაქორწინება, დანიშვნა, მონათელა, დაწყევლა, შეცოდება, შეჩვენება; გაცნობა, გამოქვეყნება, ცნობება, მინიჭება, გაკიცხვა, გამართლება, დარწმუნება, კეთილგანწყობა და ა.შ. ეს მეტყველება-ქმედებანი წინასწარ გულისხმობენ ინსტიტუციებს, მაშინ როცა დიალოგის მაკონსტიტუირებელი უნივერსალიები პირველად ქმნიან სამეტყველო სიტუაციათა ზოგად სტრუქტურებს. ბევრი ინსტიტუციური მეტყველება-ქმედება არ საჭიროებს პროპოზიციური შინაარსის დამოკიდებულ წინადადებას („მადლობას გიხდი", „გნიშნავ", „გწყევლი").[2]

მეტყველება-ქმედებები გამოიყენებიან სამი ფუნდამენტური განსხვავების გასატარებლად, რომელიც ათვისებული უნდა გვქონდეს, თუკი გვინდა საერთოდ კომუნიკაციაში შესვლა. ფილოსოფიაში ამ განსხვავებებს ხანგრძლივი ტრადიცია აქვს: ყოფნა და მოჩვენება, არსება და მოვლენა, ყოფნა და ჯერარსი. კონსტატივას გამოყენება შესაძლებელყოფს ინტერსუბიექტურად აღიარებული თვალთახედვების საჯარო სამყაროს განსხვავებას ცარიელა შეხედულებათა (ყოფნა და მოჩვენება) კერძო სამყაროდან. რეპრეზენტატივას გამოყენება შესაძლებელყოფს იმას, რომ ერთმანეთისგან განირჩეს ინდივიდუალიზებული არსება – რომლის აღიარებაზეც ორმხრივ პრეტენზიას გამოთქვამენ ენისა და ქმედების უნარმქონე სუბიექტები – და ენობრივი გამოთქმები, გამოხატულებანი და მოქმედებები, რომლებშიც სუბიექტი ვლინდება (არსება და მოვლენა). რეგულატივას გამოყენება შესაძლებელყოფს განსხვავებას დაკვირვებად ემპირულ წესზომიერებებსა და იმ მნიშვნელად წე-

---

[1] ოსტინს ეს მეტყველება-ქმედებები „ქცევითისა" და „ხორცშესხმით"-ის ჯგუფებში შეაქვს.

[2] მეტყველება-ქმედებათა ბოლო კლასს, ოპერატივას, მიუხედავად მისი უნივერსალური ხასიათისა, მე შემდგომში უგულვებელვყოფ. საქმე ეხება წესების ლოგიკური, კონსტრუქციული ანდა ლინგვისტური გამოყენების გამოთქმას; ყოველ შემთხვევაში – ისეთი წესებისა, რომელთა ძირეულად მონოლოგური ე.ი. შესაძლო ლაპარაკის სტრუქტურებისაგან დამოუკიდებელი გამოყენებაა შესაძლო. მაგალითები: დეფინირება, დასკვნა, გამოყვანა, კლასიფიცირება, დათვლა, მიმატება, გამოკლება, ფესვის ამოღება, იდენტიფიცირება, მონიშნა და ა.შ.

სებს შორის, რომელსაც იცავენ ანდა არღვევენ (ყოფნა და ჯერარსი). ერთად აღებული. ეს სამი განსხვავება საშუალებას გვაძლევს გავატაროთ მთავარი განსხვავება „ჭეშმარიტ“ (ნამდვილ) და „ყალბ“ (შეცდომაში შემყვან) კონსენსუსს შორის. მეორე მხრივ, ეს განსხვავება პრაგმატული თვალსაზრისით ზოგადად მეტყველებას ეხება, რომელსაც ჩვენ კომუნიკატივას დახმარებით გამოვხატავთ. რადგან როგორც ჩანს, მეტყველება საზოგადოდ იმაში მდგომარეობს, რომ სულ ცოტა ორი მოლაპარაკე-მსმენელი ერთმანეთს რაღაცის თაობაზე აგებინებენ. ამასთან ისინი ვარაუდობენ, რომ ურთიერთგაგება – რამდენადაც მათ ასეთი რამ მიზნად აქვთ – ქმედით კონსენსუსს მოიტანს.

მეტყველება-მოქმედებათა კლასების შეწყობამ ზემოხსენებულ განსხვავებებთან, რომლებიც ისე ფუნდამენტურნი არიან, რომ შეუძლებელია უფრო ღრმად ჩაკითხვა – ხამს, შეამზადოს მცდელობა ჩვენი კლასიფიკაციის სისტემატიკის დაფუძნებისა.

ლექცია V

ჭეშმარიტება და საზოგადოება. მნიშვნელოვნებაზე ფაქტიურ პრეტენზიათა უესრულება

ენის კოგნიციური და კომუნიკაციური გამოყენების წინასწარი ანმარტების შემდგომ მინდა, გამოვიცადოო მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიები, რომლებისაც შეიცავენ მეტყველება-ქმედებები. საზოგადოების კომუნიკაციურ თეორიას, რომლის ჩამოყალიბების იდეითაც მე გამოვდივარ, საზოგადოების ცხოვრების მდინარება ესმის როგორც მეტყველება-ქმედებებით გაშუალებული წარმოშობის პროცესი. საზოგადოებრივი რეალობა, რომელიც მისგან გამომდინარეობს, ეფუძნება მნიშვნელოვნებაზე იმ პრეტენზიათა ფაქტიურობას, რომლებიც იმპლიცირებულნი არიან ისეთ სიმბოლურ გამოსახულებებში როგორიცაა წინადადებები, მოქმედებები, ჟესტები, ტრადიციები, ინსტიტუტები, მსოფლხატები და ა.შ. სტრატეგიულ ზეგავლენათა, საბოლოო ჯამში, ფიზიკური ძალაუფლება და ფუნქციური იძულებების მატერიალური ძალაუფლება, რომლებიც ისე არიან მიმალულნი მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიის მქონე საზრისთა მკვირცხლი ფაქტიურობის მიღმა, რომ მათში იჩენენ კიდეც თავს, მხოლოდ და მხოლოდ აღიარებულ ინტერპრეტაციათა მედიუმში შეიძლება ხანგრძლივად მოქმედებდნენ. ერთმანეთისგან განვასხვავებ მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიათა ოთხ კლასს, რომლებიც აღიარებას საჭიროებენ და შეუძლიათ კიდეც მისი მოპოვება; ესენია: გასაგებობა, ჭეშმარიტება, სისწორე და გულწრფელობა. ეს პრეტენზიები ერთ რამეში თანხვდებიან; ეს ერთი რაიმე არის გონებრიობა. ეს ცნებები მე უნივერსალური პრაგმატიკის სიბრტყეზე გადამაქვს და თან მკაცრად

უამტკიცებ, რომ თვითონ ენობრივ კომუნიკაციაში ჩადებული იდეალიზირებანი არასგზით არ გამოხატავენ გონების მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულად განსაზღვრულ ერთ რომელიმე სახეობას. პირიქით, გონების იდეა, რომელიც თავის თავს განიკერძოებს მნიშვნელოვნებაზე სხვადასხვა პრეტენზიიდან, ჩამოყალიბებულია მოლაპარაკე ცხოველის რეპროდუქციის ფორმით. ვიდრე საზოგადოდ მეტყველება-ქმედებებს ვასრულებთ, იმ უცნაური იმპერატივის ძალას ვემორჩილებით, რომლის დაფუძნებაც „გონების" ღირსეული სახელწოდებით, მე მინდა შესაძლო მეტყველების სტრუქტურის საფუძველზე. ამ აზრით გონივრულად მიმაჩნია, ვილაპარაკო საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესის ჭეშმარიტებასთან იმანენტურ მიმართებაზე.

მნიშვნელოვნებაზე ყველა პრეტენზიის პარადიგმა არის პროპოზიციათა *ჭეშმარიტება*. ვინაიდან მეტყველება-ქმედებათა სტანდარტული ფორმით ყოველთვის პროპოზიციური შინაარსის წინადადებები გამოდიან, ამიტომ კომუნიკაციური სიტუაციებიც მიუთითებს კოგნიციურ სიტყვათხმარებაზე, რომელიც დაკავშირებულია ჭეშმარიტებაზე პრეტენზიებთან. „ჭეშმარიტსა" თუ „ყალბს" ჩვენ ვუწოდებთ გამონათქვამებს საქმის ვითარებების ექსისტენციებთან მიმართებაში, რომლებიც ასერტორული წინადადებებით გადმოიცემა. როცა გამოთქმა ნამდვილ საქმის ვითარებას ანდა ფაქტს გადმოსცემს, მას ჩვენ ჭეშმარიტს ვუწოდებთ. მტკიცებანი ან სწორია ან არასწორი. როცა რაღაცას ვამტკიცებ, პრეტენზიას ვაცხადებ იმაზე, რომ რაც ვამტკიცებ ჭეშმარიტია. ჭეშმარიტება არ არის მტკიცებათა თვისება; პირიქით, კონსტანციური მეტყველება-ქმედებებით (როგორიცაა მტკიცებები) „ჭეშმარიტ" თუ „ყალბ" მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიას პროპოზიციისთვის ვაყენებ. მეტაენობრივი მტკიცებულება: „p მტკიცება სწორია" (რაც იმასვე ნიშნავს, რომ „p" ჭეშმარიტია), არ არის მარტივ p გამოთქმასთან ისეთ მიმართებაში, როგორიც წანამძღვარსა და დასკვნას შორისაა. მეტაენობრივი მტკიცებულება მნიშვნელოვნებაზე იმპლიკატურად წამოყენებული პრეტენზიის მხოლოდღა ეკსპლიცირებას ახდენს.[1] იგი იმას ამბობს, რასაც ჩვენ უსიტყვოდ ვფიქრობთ, როცა უშუალოდ მტკიცებებს ვაყენებთ თუ მათი წამოყენებით, გამოთქმებს ვაყალიბებთ. ჭეშმარიტების საზრისის განმარტება შესაძლებლია მეტყველება-ქმედებათა მხოლოდ და მხოლოდ ამ კლასის პრაგმატიკის საფუძველზე. მყარი მეტყველება-ქმედებების შესრულებისას გამოჩნდება თუ რას ეგულისხმობთ გამოთქმების ჭეშმარიტებასა თუ უჭეშმარიტობაში.

ამრიგად, უნივერსალური პრაგმატიკა სწორედ ის ალაგია, სადაც შესაძლოა, აიხსნას ჭეშმარიტების საზრისი. იგი შუქსა ჰფენს *ჭეშმარიტების ე.წ. შესატყვისობის* თეორიის უკმარისობას; სულერთია მას სე-

---

[1] შად. Sellars (1968), S. 100f.

მანტიკური (ტარსკი, კარნაპი) ფორმა ექნება, თუ არისტოტელედან მომდინარე ონტოლოგიური ფორმა.

ჭეშმარიტების სემანტიკური დეფინიცია თავის ეკსპლიციტურ ფორმაში იუწყება:

(1) X ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ „p" არის ჭეშმარიტი, სადაც „x" აღნიშნავს „p" მნიშვნელობის მქონე ასერტორულ წინადადებას. ეს ფორმულირება ცხადყოფს, რომ ჭეშმარიტების სემანტიკური ცნება წრებრუნვაში წინ უსწრებს გამოთქმის ჭეშმარიტების ცნებას.[1] ტარსკის მხოლოდ იმიტომ ძალუძს (1)-ის (2)-თი:

(2) x არის ჭეშმარიტი წინადადება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა „p"-თი — შეცვლა, რომ იგი უშვებს შემდეგ ეკვივალენტურობას:

(3) p=„p'' არის ჭეშმარიტი.

მაგრამ ეკვივალენტობის სიმბოლო იმარხავს პრობლემას, რომელიც უნდა აიხსნას. „p"-თი მე სწორედ მაშინ ვგულისხმობ ჭეშმარიტ გამონათქვამს, როცა შესაბამის ასერტორულ წინადადებას X მტკიცების ფორმის მეტყველება-ქმედებაში ვათავსებ. მაგრამ ვერ დაეკმაყოფილდებით ქვემორე მოყვანილი (3) ეკვივალენტობით, თუკი გვინდა მტკიცებათა მნიშვნელოვნების იმპლიკატის განმარტება. უფრო მეტი, უნდა მოვახდინოთ მნიშვნელობაზე იმ პრეტენზიის ეკსპლიკაცია, რომელსაც მდგენი მეტყველება-ქმედებებით ვაყენებთ.[2]

ამ პრობლემისათვის გვერდის ავლის კლასიკური მცდელობაა გამოთქმასა და ფაქტს შორის შესატყვისობის ონტოლოგიური განმარტება ასახვად (ჭეშმარიტების ადეკვაციის თეორია). ეს ინტერპრეტაცია განზრახ არ ეხება ჭეშმარიტების საზრისს, რაკი ხატები ცოტად თუ ბევრად მსგავსნი შეიძლება იყვნენ იმ ორიგინალისა, რომელსაც წარმოადგენენ; მაშინ როცა გამონათქვამი, რომელიც ჭეშმარიტია, შეუძლებელია ცოტად თუ ბევრად მივამსგავსოთ რეალობას: ჭეშმარიტება არ არის შედარებითი მიმართება (ამაზე უკვე ოსტინმა და სელარსმა მიუთითეს). რასაკვირველია, ჭეშმარიტების ონტოლოგიური თეორიების ძირითადი სიძნელე ისაა, რომ გამოთქმებსა და ფაქტებს (ანდა რეალობას როგორც ფაქტების ერთობლიობას) შორის შესატყვისობა, თავის მხრივ, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გამოთქმებით აიხსნას. ჯერ კიდევ პირსმა[3] აჩვენა, რომ შეუძლებელია ტერმინს „სინამდვილე" სხვა საზ-

---

[1] შეად. E.Tugendhat, in: Philos. Rundschau, Jg. 8, H. 2/3, S. 131-159.

[2] ტუგენდჰათი სამართლიანად ამტკიცებს (ციტ. ნაშრ. გვ. 138): თუ „ჭეშმარიტ"-ის საზრისი იმით ამოიწურება, რომ ჩვენ ძალგვიძს „p არის ჭეშმარიტ"-ის შეცელა „p"-თი, მაშინ ყოველი შეკითხვა მსჯელობათა ჭეშმარიტების თაობაზე უსაგნო ყოფილა.

[3] შეად. K.O. Apel, Einleitung zu Ch. S. Peirce, Schriften I, Ffm. 1968.

რისი მივანიჭოთ ვიდრე ის, რასაც გამოთქმათა ჭეშმარიტებაში ვგულისხმობთ. ცნება „ჭეშმარიტებ"-ის შემოტანა შეგვიძლია მხოლოდ „ჭეშმარიტ გამოთქმებზე" დაყრდნობით. ჭეშმარიტების ონტოლოგიური თეორიები ამაოდ ლამობენ ენის ლოგიკური სფეროდან გაჭრას, რომელშიც (და მხოლოდ მასში) არის შესაძლებელი მეტყველება-ქმედებების ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის განმარტება.

მართალია, ჭეშმარიტების საზრისი არ მდგომარეობს ჭეშმარიტების მოპოვების მეთოდში, მაგრამ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის საზრისიც არ განისაზღვრება მისი შესრულების *შესაძლებლობაზე* დამყარების გარეშე. *ჭეშმარიტების ევიდენტობის* თეორია, რომლის ჰუსერლისეულ ვერსიას ჩვენ გავეცანით, ჭეშმარიტებას განსაზღვრავს ინტენციის ჭვრეტითი შესრულების კუთხით. ჭეშმარიტების საზრისი ჰუსერლს მიუთითებს უშუალოდ მოცემულის ჭვრეტის ევიდენტურობაზე. მე არ მინდა გავიმეორო არგუმენტები, რომლებიც პოპერმა და ადორნომ წამოაყენეს ამ ყაიდის საწყისური ფილოსოფიების წინააღმდეგ. როგორც ვნახეთ ჰუსერლთან ჭეშმარიტების ევიდენტობის თეორიიის განუხორციელებადობა მაყაენდება მცდელობისას, რომ დასაბუთებული ყოფილიყო უნივერსალური გამოთქმებისათვის არაგრძნობადი (ანუ კატეგორიალური) ჭვრეტის არსებობა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საყოველთაობათა თვითმოცემულობა. მაგრამ სინგულარული გამოთქმებიც (ე.წ. აღქმის მსჯელობანი) შეიცავენ, სულ ცოტა, ერთ უნივერსალურ გამოსახულებას (კერძოდ: დაკვირვების ენებში დაშვებული დისპოზიციის, ზომვითი რელაციისა თუ შეგრძნების პრედიკატს), რომლის მნიშვნელობის შედგენილობა შეუძლებელია შეივსოს, ცალკეულ დაკვირვებათა სასრული რაოდენობის ევიდენტობებით. როგორც ვიტგენშტაინმა მნიშვნელობის კონვენციათა შემოტანის მაგალითზე ცხადყო სიტყვისა და წინადადების მნიშვნელობებს თან დაჰყვება ზოგადის კონოტაცია*, რაც ყველა შესაძლო შევსებისა თუ გათვალსაჩინოების მიღმა გადის. ამიტომ მტკიცებაში იმპლიცირებული მნიშვნელოვნებაზე პრეტენზია შეუძლებელია, დაკმაყოფილდეს გამოცდილების ევიდენტობათა გზით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ემპირულად გაშინაარსიანებული მტკიცებების მნიშვნელოვნებას, რასაკვირველია, გამოცდილებებზე ვამყარებთ; თუ რას ნიშნავს ეს, ჩვენ შეგვიძლია, ავხსნათ „გამოცდილებათა" დისონანსური ბუნებით, რომელზეც ყურადღება გაამახვილა გადამერმა (ჭეშმარიტება და მეთოდი) და ასევე – პოპერმა (კვლევის ლოგიკა).

შემეცნების თეორიული მნიშვნელობა პირველად პირსმა (და მერე პრაგმატისტებმა) მიანიჭა იმას, რასაც შეცდომებზე ვსწავლობთ. გამოცდილებებზე დაბეჯითებით მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ვლაპარა-

---

* ასოციაციური, ემოციური, სტილისტური თანამნიშვნელობა, თანმხლები წარმოდგენა; ნიშანსა და ნიშნის მომხმარებელს შორის მიმართება. მთარგმ. შენიშვნა.

კობთ, როცა ისინი ჩვენს მოლოდინებს ცვლიან და გეზის შეცვლას გვაიძულებენ. გამართლებული მოლოდინები შეუმჩნეველნი რჩებიან. ისინი წარმოადგენენ ფუნდამენტს, რომელზეც ჩვენი ცხოვრების სამყაროული პრაქტიკა დაგანებულა; ისინი უტყუარობას გვანიჭებენ. მაგრამ უტყუარობანი ყოველთვის სუბიექტურნი არიან. ყოველთვისაა შესაძლებელი, რომ ისინი დაამსხვრიონ დისონანსურმა გამოცდილებებმა. აზრის გამომთქმელი სუბიექტის მხრივ უტყუარობა, არის იმავე აზრის ფაქტობრივი მნიშვნელოვნების კორელატი. ამდენად, გამოცდილება – კერძოდ კი ისეთი, რომელიც განუწყვეტლივ ეწევა მოლოდინთა რატიფიცირებას, აფუძნებს მდგენელ მეტყველება-მოქმედებებში წამოყენებულ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიებს. „დაფუძნებას" აქვს პრეტენზიათა როგორც სწორედ პრეტენზიათა სტაბილიზების მნიშვნელობა: სანამ ჩვენთვის გამოცდილება „განსხვავებული რამ უსწავლებია", მანამ არა გვაქვს დასაბუთებული საბაბი ნამდვილად დავეჭვდეთ ჭეშმარიტებაზე მის პრეტენზიაში; თუმც კი ვიცით, რომ თუკი იგი გაჩნდა, გამოცდილებით როდი ქარწყლდება, არამედ არგუმენტით. მართალია, არგუმენტაციასთან ერთად შეიძლება გამოცდილებაზე მოვახდინოთ აპელირება, მაგრამ გამოცდილების მეთოდური აპელირება მაგ. ექსპერიმენტში, თავის მხრივ, მაინც იმ ინტერპრეტაციებზე რჩება დამოკიდებული, რომლებსაც თავიანთი მართებულების დასაბუთება მხოლოდ დისკურსით შეუძლიათ. გამოცდილებები *მხარს უჭერენ* მტკიცებათა პრეტენზიას ჭეშმარიტებაზე; და მანამ განვაგრძობთ მტკიცებას, სანამ წავაწყდებოდეთ დისონანსურ გამოცდილებებს. ოღონდ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის *დაკმაყოფილება* მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტაციის გზით შეიძლება. გამოცდილებით *დაფუძნებული* პრეტენზია მხარდაჭერით სარგებლობს მომდევნო გამოცდილებამდე; მაგრამ როგორც კი იგი პრობლემატური ხდება, აღმოჩნდება, რომ გამოცდილებით დაფუძნებულიც კი არასგზით არის უფრო *საფუძვლიანი* პრეტენზია.

მდგენ მეტყველება-ქმედებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვნებაზე პრეტენზია ანდა რაც იგივეა: ჭეშმარიტება, რომელზეც გამოთქმებში ვაცხადებთ პრეტენზიას, როცა მათ ვირწმუნებთ, დამოკიდებულია ორ პირობაზე: იგი ა) ჩაფუძნებული უნდა იყოს გამოცდილებაში, ე.ი. გამოთქმა არ უნდა აწყდებოდეს დისონანსურ გამოცდილებებს და ბ) დისკურსულად შესრულებადი უნდა იყოს; ე.ი. გამოთქმამ უნდა გაუძლოს შესაძლო კონტრარგუმენტაციას და მოიპოვოს დისკურსის ყველა პოტენციური მონაწილის თანხმობა. პრეტენზია რომ დამაჯერებელი იყოს, აუცილებელია შესრულდეს ა) პირობა და მოთხოვნისდაკვალად *შესაძლებელი* უნდა იყოს ბ) პირობის შესრულება. ჭეშმარიტების საზრისი, რომელსაც შინაგანად გულისხმობს მტკიცებათა პრაგმატიკა, ეკსპლიციტური გახდება, თუ ვაჩვენებთ, რას ეწოდება მნიშვნელოვნების პრეტენზიათა „დისკურსული შესრულება". ეს არის *ჭეშმარიტების კონსენ-*

სუსის თეორიის ამოცანა. ამ თვალსაზრისით მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მეძლევა უფლება საგნისთვის პრედიკატის მიწერისა, თუკი თითოეული სხვა, ვინც კი ჩემთან კამათში *შემოვიდოდა,* იმავე საგანს იმავე პრედიკატს *მიაწერდა.* ჭეშმარიტი გამონათქვამის ყალბისაგან გასარჩევად მსჯელობას სხვაგვარად ვუდგები — სახელდობრ, ვმსჯელობ ყველასთან, ვისთანაც კი კამათში შესვლა შემიძლია (თითქოსდა ყველა თანამოსაუბრეს მოვიცავდე; ვითომც ჩემი ცხოვრების ისტორია კაცობრიობის ისტორიის თანამომცველი იყოს). გამოთქმათა ჭეშმარიტების პირობა არის *ყველა* სხვის პოტენციური თანხმობა. ყოველი სხვა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მე R საგანს n პრედიკატი მართებულად მივაწერე და თანხმობის გამოცხადება უნდა შეეძლოს. ამრიგად, ჭეშმარიტების უნივერსალურპრაგმატული საზრისი შეეზომება მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ მიღწეული იქნას გონებრივი კონსენსუსი. მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიის დისკურსული დაკმაყოფილების ცნებას გონიერი კონსესუსის ცნებამდე მივყავართ. ვიდრე აქედან აღმოცენებულ აპორიებს ავხსნიდე, მინდა, სხვა კლასები გამოვიკვლიო, რომლებსაც ჭეშმარიტებაზე პრეტენზიების გარდა, შეიცავენ ენის ნორმალური თამაშები.

ენის მოფუნქციე თამაშს, რომელშიც ხდება მეტყველება-მოქმედებათა კოორდინირება და გაცვლა-გამოცვლა, თან ახლავს „თანხმობის ფონი". ეს კონსენსი ემყარება ჭეშმარიტებაზე, სულ ცოტა, ოთხი პრეტენზიის ურთიერთაღიარებას, რომლებსაც თავიანთი მეტყველება-ქმედებით ერთმანეთს უყენებენ კომპეტენტური მოლაპარაკეები. პრეტენზიის განცხადება ხდება გამოთქმის *გასაგებობაზე,* მისი პროპოზიციური შემადგენელი ნაწილების *ჭეშმარიტებაზე,* მისი პერფორმაციული შემადგენელი ნაწილების *სისწორესა* და მოლაპარაკის მიერ გამოთქმული ინტენციის *გულწრფელობაზე.* კომუნიკაცია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიმდინარეობს აუმღვრეველად („გათამაშებული" კონსენსუსის საფუძველზე) თუ მოლაპარაკე (მოქმედი) სუბიექტები

ა) განმარტავენ როგორც ინტერპერსონული ურთიერთობის (რომელიც შეიძლება პერფორმაციული წინადადების ფორმით გამოიხატოს) პრაგმატულ საზრისს, ისე მათი გამოთქმის პროპოზიონალური შემადგენელი ნაწილების საზრისს;

ბ) აღიარებენ მეტყველების აქტთან ერთად გაკეთებული გამონათქვამის (შესაბამისად — მასში მოხსენიებული პროპოზიციური შინაარსების ექსისტენცწანამძღვრების, — ჭეშმარიტებას;

გ) აღიარებენ იმ ნორმის სისწორეს, რომლის შესრულებადაც ყოველთვის უნდა ჩაითვალოს განხორციელებული მეტყველების აქტი;

დ)ეჭვის ქვეშ არ აყენებდნენ თანამონაწილე სუბიექტების გულწრფელობას.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნებაზე ცალკეული პრეტენზიის თემატიზება მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ დაირღვა ენის თამაშის ფუნქციონირება და მოიშალა თანხმობის ფონი. ასეთ შემთხვევაში წამოიჭრება ტიპური კითხვები და პასუხები; ისინი კომუნიკაციური პრაქტიკის ნორმალურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. როცა პრობლემატური ხდება გამოთქმის გასაგებობა, შემდეგი ტიპის კითხვები ჩნდება: რას გულისხმობ? როგორ უნდა გავიგო ეს? რას ნიშნავს ეს? ასეთ კითხვებზე პასუხებს ჩვენ *განმარტებებს* ვუწოდებთ. თუ ეჭვმიტანილი გამოთქმის ჭეშმარიტებაა, მაშინ ამ სახის კითხვები იბადება: მართლა ისეა როგორც შენ ამბობ? რატომაა ასე და არა სხვაგვარად? ამ შეკითხვებს ჩვენ მტკიცებებსა და ახსნა-განმარტებებს შევაგებებთ; როცა ეჭვის ქვეშაა მეტყველება-მოქმედების ანდა მისი ნორმატიული კონტექსტის სისწორე, ასეთ კითხვებს ვსვამთ: რად ჰქენი ეს? რატომ სხვაგვარად არ მოიქეცი? უნდა გექნა ეს? განა სხვანაირად მოქცევა არ გმართებდა? ამ კითხვებზე ჩვენ თავის მართლებებით ვპასუხობთ. და ბოლოს, თუ ინტერაქციის კონტექსტში ეჭვი გაგვიჩნდა პარტნიორის გულწრფელობის თაობაზე, ამგვარად ვკითხულობთ: ხომ არ მატყუებს? თვითონ ხომ არ ტყუვდება? მაგრამ ამ კითხვებით ნდობაშელახულ პერსონას კი არ მივმართავთ, არამედ მესამეს. ყოველ შემთხვევაში შეიძლება არაგულწრფელობაში ეჭვმიტანილი, ასე ვთქვათ, სასამართლო წესით „დაიკითხოს" ანდა ანალიტიკური ლაპარაკით „აზრზე იქნას მოყვანილი".

ოთხი დასახელებული მნიშვნელოვნების პრეტენზია ფუნდამენტურნი არიან იმ აზრით, რომ ისინი არ დაიყვანებიან საერთოზე. გასაგებობის, სისწორისა და გულწრფელობის საზრისი არ დაიყვანება ჭეშმარიტების საზრისზე. მაშინ ვგებულობთ თუ რა არის ჭეშმარიტება, როცა გათავისებული გვაქვს მდგენელ მეტყველების აქტებში შემავალი მნიშვნელოვნების პრეტენზიები. მტკიცებათა პრაგმატიკა ჭეშმარიტების ცნების გასაღებია, მაშინ როცა ისეთი მოდელების გამოყენებას, რომლებიც, მაგალითად, ისე როგორც ასახვა სხვა, კერძოდ ხატისებრი გამოსახვის სფეროშია – შეცდომაში შეეყავართ. ჭეშმარიტება არ არის მსგავსების მიმართება. ასეთივე ბუნებისანი არიან მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიათა სხვა კლასები. გამოთქმის გასაგებობა არ არის ჭეშმარიტებაზე რელაცია. გასაგებობა არის მნიშვნელოვნებაზე პრეტენზია, რომელიც ნიშნავს იმას, რომ მე ეფლობ გარკვეული წესების კომპეტენციას მაგ. ვიცი ბუნებრივი ენა. გამოთქმა გასაგებია თუ იგი გრამატიკულად და პრაგმატულად სრულქმნილია. ისე რომ იმავე გამოთქმის წარმოება შეუძლია ნებისმიერს, ვინც წესების შესაბამის სისტემას ფლობს. რასაც „ანალიტიკურ ჭეშმარიტებას" ვეძახით, ისიც შესაძლოა საცნაური გავხადოთ როგორც გასაგებობის, კერძოდ – ფორმალურ–ენობრივი გასაგებობის კერძო შემთხვევა. მაგრამ გასაგებობას „ჭეშმარიტებასთან"

არაფერი ესაქმება. ჭეშმარიტება არის რელაცია წინადადებებსა და იმ რეალობას შორის, რომელზეც გამოთქმებს ვადგენთ. გასაგებობა კი, პირიქით, არის სიმბოლურ გამოსახულებებსა და მათთვის განკუთვნილ წესების სისტემას შორის შინაგანი ურთიერთობა, რომლის მიწერილობებითაც ჩვენ შეგვიძლია გამოთქმათა შედგენა.

გასაგებადობისებრ არც გულწრფელობაა ჭეშმარიტების მიმართება. ალალმართლობა არის რეპრეზენტატივას კლასის მეტყველების აქტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომელიც აღნიშნავს იმას, რომ გამოხატული ინტენციით მართლაცდა სწორედ იმას ვგულისხმობ, რასაც გამოვთქვამ. მოლაპარაკე მაშინ არის გულწრფელი, როცა იგი არც თავისთავს ატყუებს და არც სხვას –; „ჭეშმარიტება" ეხება საზრისს, რითაც წინადადებას ვაყალიბებ, ხოლო „გულწრფელობა" ეხება იმ მნიშვნელოვნებას, რაშიც სხვის თვალთაგან ესუდრავ ანდა მის თვალწინ ვფენ უპირატეს სუბიექტურად ხელმისაწვდომ განცდას. როგორც კი გულწრფელობას განცდის გამოხატვასა და შინაგანი მდგომარეობის რაობას შორის მიმართებად გავიგებთ, იგი მაშინვე ყალბად გვესმის ჭეშმარიტება-მიმართების მოდელის კვალად; თვითგამოხატვის ქმედებებში მე არაფერს ვირწმუნები შინაგანი ეპიზოდების შესახებ, სულაც არ გამოვთქვამ რაიმეს, არამედ რაღაც სუბიექტურს გამოვხატავ. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის დამატებითი გაუგებრობა, რომელსაც ეფუძნებიან ჭეშმარიტების გამოცხადების თეორიები; მათში ჭეშმარიტება (ამის საუკეთესო მაგალითია ჰაიდეგერის თეორია) გულწრფელობის მოდელის თანახმად გაიგება გამჟღავნებად გინა განფარვად; ესაა თვალსაზრისი, რომელიც ანგარიშს არ უწევს ენის შემეცნებითი გამოყენების რეალობასთან კავშირს.

გასაგებობასა და გულწრფელობასთან შედარებით სისწორის ნორმატიულ პრეტენზიას ფილოსოფიური დისკუსიების ძალიან დიდი ყურადღება ერგო; თუმც იგი უპირატესად მორალური ჭეშმარიტების სახელით გამოდიოდა. მაგრამ სისწორე მნიშვნელოვნების ისეთი პრეტენზიაა, რომელიც დაკავშირებულია რეგულატივას კლასში შემავალ მეტყველების აქტებთან და გამოხატავს იმას, რომ მავალდებულებელი ნორმა სწორ ნორმად გამოცხადდება; – რომ „ჯერარს", მას მნიშვნელოვნება მიენიჭოს. ამ ჯერარს-მნიშვნელოვნებას ჭეშმარიტება-მნიშვნელოვნებასთან ხელი არა აქვს; ამის ინდიკატორი არის დესკრიფციული წინადადებებიდან ნორმატიულთა გამოუყვანადობა. ეთიკის სფეროში ნატურალისტური ყალბი დასკვნების მისამართით ისევ და ისევ გამოთქმული საყვედურები დაკავშირებულია სისწორესა და პროპოზიციურ ჭეშმარიტებას შორის განსხვავებასთან. როგორც კი სისწორეს შეთავაზებისა თუ გაფრთხილების და – კმაყოფილებისა და უკმაყოფილების შინაგან რაობათა შორის რელაციად გავიგებთ, იგი მაშინვე კვლავ ჭეშმარიტება-რელაციის ქარგაზე გვაქვს გამოჭრილი და კვლავაც ყალბად

გვესმის; დასაბუთებული არჩევანის ქმედებებში მე ისევე არ ვაყენებ მტკიცებებს შინაგანი ეპიზოდების შესახებ, როგორც თვითგამოხატვის ქმედებაში; – სულაც არ გამოვთქვამ რაიმეს, არამედ რაღაცას სწორს ანდა ყალბს ვაკეთებ. მაგრამ ასევე ნორმატიული მნიშვნელოვნების გარეშე რჩება დასკვნა იმის შესახებ, რომ პრაქტიკული საკითხები არ არიანო ჭეშმარიტებაშემძლენი. როცა გამოვთქვამ, რომ ერთი ნორმა ჯერ არს, სხვა ნორმას ჯობდეს, თვითნებობის მომენტი მინდა იმთავითვე გამოვრიცხო; სისწორე და ჭეშმარიტება იმაში თანხვდებიან ერთმანეთს, რომ ორივე მათგანს შეუძლია შეასრულოს თავიანთი პრეტენზიები მხოლოდ და მხოლოდ დისკურსულად, არგუმენტაციისა და გონიერი კონსენსუსის მიღწევის გზით. თუმცა ორივე ამ შემთხვევაში მოპოვებული თანხმობა ერთსა და იმავეს არ მოასწავებს. გამოთქმათა ჭეშმარიტება შეეზომება თვალსაზრისთან უნივერსალური *თანხმობის* შესაძლებლობას, ხოლო რჩევის ანდა გაფრთხილების სისწორე – თვალსაზრისში უნივერსალურ *შეთანხმებულობას.*[1]

ყველა მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომლებიც ჩვენ მეტყველების აქტთა შემოტანილ ოთხ კლასზე დაყრდნობით გავარჩიეთ, არ მიისწრაფვის იქითკენ, რომ დისკურსული დაკმაყოფილება მიიღოს. ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორია, რომელიც აუცილებელია, დისკურსულად მოპოვებულ კონსენსუსს ემყარებოდეს, მნიშვნელოვანია მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტებასა და სისწორეზე პრეტენზიებისათვის. გულწრფელობაზე პრეტენზიების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებებით. არც ექიმის მიერ პაციენტის გამოკითხვა, არც მათ შორის ანალიტიკური საუბარი არ ჩაითვლება დისკურსად იმ მნიშვნელობით, რომ ხდება ჭეშმარიტების შეერთებული ძალებით ძიება. სხვა საქმეა გასაგებობაზე პრეტენზიები. როცა ამ სიბრტყეზე ისეა მოშლილი კონსენსუსის ფონი, რომ არ გვაკმაყოფილებენ ad hoc განმარტებები, თავის სამსახურს გვთავაზობს ჰერმენევტიკული დისკურსი, რომელშიც შესაძლებელი ხდება განმარტებების გადამოწმება და სწორად მიჩნეული ინტერპრეტაციის დაფუძნება. აქაც აშკარა განსხვავებაა. ჭეშმარიტებასა და სისწორეზე პრეტენზიები ყოველდღიურ პრაქტიკაში ფუნქციონირებენ როგორც *პრეტენზიები,* რომლებიც იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით იქნებიან მიღებულნი, რომ საჭი-

---

[1] ეს განსხვავება, შესაძლოა, იმასთან იყოს კავშირში, რომ ფაქტებზე შეხედულებანი აუცილებელია, გამოცდილებას ეფუძნებოდეს, მაშინ როცა ნორმების მიღებასა თუ უგულვებელყოფას უშუალო გამოცდილებისეული მიმართება არა აქვს გარერეალობასთან. სისწორეზე ნორმის პრეტენზია ყოველ შემთხვევაში, ეყრდნობა მონაწილე სუბიექტის რეფლექსურ გამოცდილებას; ეს გამოცდილება გვიჩვენებს, მიღებული ნორმა მაკანს „ნამდვილად უნდა“ თუ არა; მასში გამოხატული მოთხოვნილებათა ინტერპრეტაცია „ნამდვილად ეხება“ თუ არა იმას, რაც მას შეუძლია „საკუთარ“ მოთხოვნილებად ესმოდეს.

როებისდა მიხედვით *შესაძლო* შეიქნას მათი დაკმაყოფილება. გასაგებობა კი, პირიქით, ფაქტიურად დაკმაყოფილებული პრეტენზიაა, ვიდრე კომუნიკაცია აუმღვრევლად მიმდინარეობს. იგი არ არის ცარიელა აღიარებული შეპირება, რომელიც ანგრევს გაუგებარ კომუნიკაციას.

ჭეშმარიტების კომუნიკაციური თეორია, რომელსაც მნიშვნელოვნების პრეტენზიათა სხვადასხვა კლასების ურთიერთგამიჯვნის მერე კვლავ ვუბრუნდები, იმ გარემოებას ემყარება, რომ ურთიერთგაგება ნორმატიული ცნებაა. ვიტგენშტაინმა შენიშნა, ურთიერთგაგების ცნება ენის ცნებაში ძევსო. აქედან გამომდინარე ჩვენ მხოლოდ თვითეკსპლიკაციური მნიშვნელობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენობრივი კომუნიკაცია ურთიერთგაგების სამსახურშია. ყოველი ურთიერთგაგების საქმეში გამოცდა ესაა გონიერი კონსენსუსის მიღწევა; თუ არა და იგი, როგორც ვამბობთ, არ არის „ნამდვილი" ურთიერთგაგება. კომპეტენტურმა მოლაპარაკეებმა იციან, რომ ნებისმიერი მოპოვებული თანხმობა შეიძლება, ცრუთანხმობა აღმოჩნდეს; მაგრამ ცრუ (ანდა ნაძალადევი) კონსენსუსის ცნებას მათ უკვე დაუსაფუძვლეს გონიერი კონსენსუსის ცნება. მათ იციან, რომ აუცილებელია, ცრუ კონსენსუსი. ნამდვილით შეიცვალოს, თუკი ხამს კომუნიკაციამ ურთიერგაგებამდე მიგვიყვანოს. როგორც კი კომუნიკაციაში შევდივარ, მაშინვე იმპლიციტურად იმის სურვილს გამოვთქვამ, რომ რაღაცის თაობაზე ურთიერთგაგებას მივაღწიო. კომუნიკაცია წყდება, როცა თუნდაც შეხედულებათა მრავალფეროვნების პირობებში – კონსენსუსის იმედი გადაწურულია. მაგრამ თუკი ურთიერთგაგება არ არის დესკრიპტული ცნება, მაშინ სასხვათაშორისო თანხმობისგან, – რომელზეც ვამბობთ „ფუყე თანხმობააო" – განსხვავებით რაღას შეეზომება გონივრული კონსენსუსი? გონივრულ კონსენსუსს დისკურსის გზით ვაღწევთ, მაგრამ რა გვესმის დისკურსად?

დისკურსები ის ღონისძიებანი არიან, რომელთა მიზანს კოგნიტიური გამოთქმების დაფუძნება წარმოადგენს. კოგნიტიური ელემენტები – განმარტებები, მტკიცებები, ახსნა-განმარტებანი და თავისმართლებები – ცხოვრების ყოველდღიური პრაქტიკის შემადგენელი ნაწილები არიან. ინფორმაციულ სიცარიელეებს ისინი ავსებენ. მაგრამ როგორც კი მათი მნიშვნელოვნების პრეტენზიები ეკსპლიციტურად ეჭვის ქვეშ მოჰყვება, ინფორმაციის შემდგომი მოწოდება მხოლოდღა გავრცელების პრობლემა კი აღარ არის, არამედ იგი შემეცნების რენტაბელობის პრობლემაა. ძირეული პრობლემატიზებების შემთხვევაში ვერაფერს გვშველის ინფორმაციულ დეფიციტთა დაფარვა. უფრო მეტი, ჩვენ ვესწრაფვით დამაჯერებელ საფუძველთა მოპოვებას, ხოლო დისკურსში ვცდილობთ, ამ საფუძვლების წყალობით საერთო მრწამსამდე მივიდეთ.

იმ დაფუძნებათა საშუალებით, რომელთაც დისკურსში ვესწრაფვით, ძირეულად იცვლებიან თავიდან გულუბრყვილოდ მიღებული, მერე კი

პრობლემატიზებული განმარტებები, მტკიცებები, ახსნა-განმარტებანი და თავისმართლებები; კაზუისტური განმარტებები მაინტერპრეტირებელ კავშირურთიერთობებში შეელენ, ცალკეული მტკიცებანი თეორიულ დებულებებს მიუერთდებიან, ახსნა-განმარტებანი დაფუძნდებიან ბუნების კანონებსა თუ ნორმებზე დაყრდნობით, მოქმედებების გამო თავის მართლებები გამოყვანილი იქნებიან უფრო გენერალური თავის მართლებებიდან, რომლებსაც საფუძვლად უდევთ მოქმედებათა მაფუძნებელი ნორმები. ჰერმენევტიკულ დისკურსს მაშინ მივმართავთ, თუ გამოთქმათა ინტერპრეტაციის მნიშვნელობა სადაოა ენის მოცემულ სისტემაში. თეორიულ-ემპირულ დისკურსს კი მაშინ, როცა აუცილებელია ემპირულად შინაარსიანი მტკიცებებისა და განმარტებების შემოწმება. პრაქტიკულ დისკურსს კი მაშინ, ვაწარმოებთ როცა საჭიროა, აიხსნას ის რეკომენდაციები (თუ გაფრთხილებები), რომლებიც სტანდარტის მიღებას (თუ უარყოფას) ემყარებიან. დისკურსის სპეციფიკურ ნაირსახეობას ვეწევით მეტასიბრტყეზე, როცა ირჩევა საკითხი, თუ რომელი ენა–სისტემის არჩევა გვმართებს, რათა სათანადოდ იქნას აღწერილი წინასწარ მონიშნული ფენომენი; შესაძლო გახდეს დასმული პრობლემის გამოკვეთა, მისი დამუშაებული ფორმით მოცემა ანდა სულაც შემეცნების წარმმართველი ინტერესის წვდომა.

სუბსტანციალურ არგუმენტებს აქვთ ძალა, გასწიონ მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიის აღიარების რაციონალური მოტივაცია, თუმცა მათ აღიარება მარტო დედუქციის გზით (ანდა მეთოდურად გამოცდილებაში აპელირებული) კი არ გამოჰყავთ, არამედ მათი ანალიტიკურად (თუ ემპირიულად) იძულებით მოპოვება ძალუძთ.[1] დისკურსის ლოგიკა მხოლოდ და მხოლოდ იმ „ლოგიკური აუცილებლობის" გაუქმებით შეიძლება აიხსნას, რაც „რაციონალურ მოტივაციას" ნიშნავს; ეს განმარტება წრებრუნვაში ჩართავს უმჯობესი ე.ი. უფრო დამაჯერებელი არგუმენტების უცნაურ უძალო იძულებას. მაგრამ მაშინ ჭეშმარიტების საზრისი – რომელიც ცარიელა უტყუარობიდან სწორედ რომ აბსოლუტურობაზე თავისი პრეტენზიით განსხვავდება – განისაზღვრება კი დისკურსულად მოპოვებადი კონსენსის მერყეევი ფუნდამენტისთვის გაღებულ ძალისხმევაზე დაყრდნობით? რა გზით შეიძლება ერთმანეთისგან განვასხვაოთ გონივრული კონსენსი და შემთხვევით ჩამოგდებული თანხმობა?

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ გამოთქმათა ჭეშმარიტებას. მდგენელი მეტყველების აქტებით ჩვენ ვაყენებთ გამოთქმების ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას. მისი დახმარებით ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავებთ ყოფნასა და მოჩვენებას. როცა ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორიას მივდევთ, *ყველა* სხვა პერსონის დათანხმება აუცილებელი პირობაა ჭეშმა-

[1] Toulmin, The Uses of Argument, Cambr. 1964, p.146ff.

რიტებაზე პრეტენზიის დაკმაყოფილებისა. მაგრამ ფაქტიურად ყოველთვის მხოლოდ რამდენიმე პერსონაა მოცემული, რომელთა თანხმობის მიხედვითაც მე შემიძლია ჩემი მტკიცების მნიშვნელობაზე პრეტენზია ვაკონტროლო. ზოგიერთ სხვათა ფაქტიურმა თანხმობამ, რომელსაც შეძლებისდაგვარად მოვიპოვებთ, მით უფრო ბევრად უნდა გაუწიოს ანგარიში შემდგომი მსჯელობის თანხმობას, რაც უფრო ცოტა საფუძველი გვექნება მე და სხვას მისი მსჯელობის კომპეტენციაში ეჭვის შეტანისა. ამიტომ ჩვენ გვინდა თავიდან შემდგომი ფაქტსაწინააღმდეგოდ შემოტანილი პირობით შემოვიფარგლოთ: მე უფლება მაქვს, ვამტკიცო ,p, თუკი ყველა სხვა კომპეტენტური მომსჯელე ამის თანხმობას მომცემდა. რას შეიძლება ამ კონტექსტში ნიშნავდეს „შეფასების კომპეტენცია"?

კამლაჰმა და ლორენცენმა შემოგვთავაზეს, რომ კომპეტენტურ შემფასებლებს უნდა შეეძლოთ *სათანადო გადამოწმების* მოწყობა. ისინი საქმეში ჩახედულნი უნდა იყვნენ. მაგრამ როგორ შეიძლება გადაეწყვიტოთ, თუ მოცემულ შემთხვევაში გადამოწმების რა სახეობა მიეიჩნიოთ სათანადოდ და ვინ შეიძლება ჩაითვალოს საქმის მცოდნედ? ესეც დისკურსით უნდა გადაწყდეს, რომლის შედეგი თანამონაწილეთა კონსენსუსზე იქნება დამოკიდებული. მართალია, საქმის ცოდნა პირობაა, რომელსაც კომპეტენტური მომსჯელე უნდა აკმაყოფილებდეს, მაგრამ არ არსებობს „საქმის ცოდნის" დამოუკიდებელი კრიტერიუმები; გადაწყვეტილება ასეთი კრიტერიუმების ამორჩევაზე ისევ დისკურსის დაგვირგვინებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ამიტომ მე მინდა მომსჯელის კომპეტენცია, ვისი თანხმობის კვალადაც ჩემი საკუთარი მსჯელობის კონტროლირება ძალმიძს – არ დავუკავშირო მის საქმეში ჩახედულობას, არამედ მინდა მხოლოდ იმაზე იყოს დამოკიდებული, რომ იგი უბრალოდ „გონიერია". ზემოხსენებულ სიძნელეს თავს ვერ ვაღწევთ მაშინაც კი, როცა ვუშვებთ, რომ დესკრიპტული ენების უნივერსალურ –პრაგმატული დადგენილებებიდან შეიძლება გამოვიყვანოთ გადამოწმების მეთოდები, რომლებიც გამოდგებოდნენ ემპირულად შინაარსიანი მტკიცებების მნიშვნელოვნების თაობაზე კონსენსუსის მისაღწევად; და ვერც მაშინ — როცა შეგვეძლო შემოგვეთავაზებინა, „გონიერი" გვეწოდებინა ყველა იმ მომსჯელისათვის, რომლებსაც მაგალითისამებრ მეთოდურად ჩატარებული დაკვირვებებისა და გამოკითხვების უნარი შესწევთ. მაგრამ შეგვიძლია კი მტკიცედ განვსაზღვროთ ასეთი კომპეტენცია? რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის ის, რომ ვინმე ისე იქცევა ეითომ აკვირდებოდეს ანდა გამოკითხვას აწარმოებდეს. ჩვენ მოველით – ბარემ ესეც ვთქვათ –, რომ მას გრძნობები მოთოკილი აქვს, რომ იგი შერაცხადია; იგი ენის თემის საჯარო სამყაროში უნდა ცხოვრობდეს და „იდიოტი" არ უნდა იყოს; ე.ი. არ უნდა იყოს უუნარო, რომ ყოფნა და მოჩვენება ერთმანეთისგან განასხვაოს. ვინმე სრულ ჭკუაზე არის თუ არა პირველად მაშინ ვამჩნევთ, როცა მასთან გამოლაპარაკების

საშუალება გვეძლევა და მოქმედების კონტექსტში მის იმედად უნდა ვიყოთ.

საეჭვო შემთხვევებში დისკურსის გზით უნდა გადაწყდეს, თუ რომელია ჭეშმარიტი კონსენსუსი და რომელი – ყალბი. მაგრამ, თავის მხრივ, დისკურსის დაგვირგვინება დამოკიდებულია გამძლე კონსენსუსის მოპოვებაზე. ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორია გვასიგრძეგანებინებს იმას, რომ შეუძლებელია გამოთქმათა ჭეშმარიტების საკითხი გადაეწყვიტოთ შესაძლო მომსჯელეთა კომპეტენციაზე დაყრდნობის გარეშე. ხოლო მათი კომპეტენციის საკითხი – მათივე გამოხატულებების გულრწფელობის და მოქმედებათა სისწორის შეფასების გარეშე. *ჭეშმარიტი კონსენსუსის* იდეა დისკურსის მონაწილეთაგან მოითხოვს იმის უნარს, რომ უტყუარად განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან ყოფნასა და მოჩვენებას, არსებასა და მოვლენას, ყოფნასა და ჯერარსს, რათა კომპეტენტურად განსაჯონ გამოთქმათა ჭეშმარიტება, *გამოხატულებათა სიწრფელე და მოქმედებათა* სისწორე. მაგრამ ამ სამი განზომილებიდან ვერც ერთში ცალკე ვერ დაეასახელებთ კრიტერიუმს, რომელიც შესაძლო შემფასებლისა თუ მრჩეველის კომპეტენციის დამოუკიდებელი შეფასების ნებას დაგვრთავდა. პირიქით, შეფასების კომპეტენციის შეფასება, თავის მხრივ, იმ სახის კონსენსუსის არსებობას ადასტურებს, რომლის შეფასების კრიტერიუმები სწორედ რომ მოსაპოვებელია.[1] ამ წრის გარღვევა ჭეშმარიტების მხოლოდ ონტოლოგიურ თეორიას შეეძლო. მაგრამ ვერც ერთი შესატყვისობისა თუ ასახვისთეორიათაგანი ამ დისკუსიას ვერ უძლებს.

თუ ეს ასეა, მაშინ გაუგებარია, თუ მაინც რატომ ამოვდივართ ყოველი საუბრისას იქიდან, რომ შეგვიძლია რაღაცის თაობაზე ურთიერთგა-

---

[1] მაგრამ ამ მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ დისკურსს ბოლომდე არ ჩავიკითხავთ ე.ი. თუ არ ძალგვიძს „მეტადისკურსის" წაკითხვა. მეტადისკურსში ისე ეიქცევით – და აქამდე ჩვენი პოზიცია ისეთი იყო, რომ ამის დაფიქსირების შესაძლებლობა მოგეცეოდა – თითქოსდა დისკურსის მონაწილენი აკმაყოფილებდნენ შესაძლო დისკურსში მონაწილეობის პირობებს. მაგრამ მკაცრად რომ ვთქვათ „მეტადისკურსი" და დისკურსი ერთ სიბრტყეზე იმყოფებიან. ყველა დისკურსი ინტერსუბიექტური ღონისძიებაა. სულაც არ უნდა წარმოიდგინოთ ისე, თითქოსდა აქ ხდებოდეს ეული სუბიექტის თეითრეფლექსიის თეითნებური გამოწვევა. (A.Kulenkampff, Antinomie und Dialektik, Stuttgart 1970). თეითრეფლექსიაც კი – რომლის დროსაც კომუნიკაციის თანამონაწილე დარწმუნებულია თითქოსდა ფაქტობრივად გასული იყოს კომუნიკაციური ქმედების კონტექსტიდან და თავი დაღწეული ჰქონდეს სარისკო გადაწყვეტილებათა რეალობის იძულებისგან – ინტერსუბიექტური ღონისძიებაა. (შეად. Erkenntnis und Interesse, Ffm. 1968, Kap. 10). დისკურსს ვერ ვაწარმოებთ თუ არ დაეუშვით, რომ მასში შესვლის პირობები უკვე შესრულებულია; მაგრამ მას მერე, რაც ეს დაშვება გაკეთებულია, დისკურსი იმის თაობაზე, ეს წანამძღვარი სწორად იქნა გაკეთებული თუ არაო, უაზროა. დისკურსის სიბრტყეზე არ არსებობს ცალკე დისკურსი და ცალკე ადგილი მის გარეთ, სადაც დისკურსის დამკვირვებელი დგას.

გებას მივაღწიოთ. ფაქტიურად ჩვენ ყოველთვის ვენდობით ხოლმე ჩვენ თავს იმაში, რომ ერთმანეთისგან ვასხვავებთ გონიერულსა და მოჩვენებით კონსენსუსს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შევძლებდით უსიტყვოდ დაგვეწანამძღვრებინა მეტყველების ის მეტაკომუნიკაციურად უკვე აკცეპტირებული საზრისი – ე.ი. ლაპარაკის გონიერი ბუნება, რომლის გარეშე უაზრო იქნებოდა ყოველდღიური ენისმიერი კომუნიკაცია. საჭიროა ამ ფენომენის გაშუქება.

მინდა ეს ფენომენი იმგვარად განვმარტო, რომ არგუმენტაციის თანამონაწილენი ერთობლივად *უშვებენ* ისეთ რაღაცას, როგორიც არის მეტყველების იდეალური სიტუაცია; იგი ხამს, იმ გზით განისაზღვროს, რომ ყოველი კონსენსუსი, რომლის მიღწევაც ამ პირობებშია შესაძლებელი, per se გონიერ კონსენსუსად უნდა ჩაითვალოს. ჩემი თეზისი ამბობს: მხოლოდ *იდეალური სიტუაციის წინასწარი დაშვება* არის იმის გარანტი, რომ ფაქტიურად მიღწეულ კონსენსუსს შეგვიძლია, გონიერი კონსენსუსის პრეტენზია მივუერთოთ; ამავე დროს ეს წინასწარი დაშვება არის მასშტაბი, რომლითაც ყოველი ფაქტიურად მიღწეული კონსენსუსის გამოკითხვა და იმ მხრივ შემოწმება შეიძლება, არის თუ არა იგი ნამდვილი ურთიერთგაგებისათვის საკმარისი ინდიკატორი. მე მგონია, რომ ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორია მის სხვა თეორიებს ჯობს; მაგრამ არგუმენტაციის წრებრუნვიდან გაჭრა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ძალუძს, თუ ანგარიშს ვუწევთ იმას, რომ ყოველ დისკურსში იძულებული ვართ ერთობლივად დავუშვათ იდეალური სამეტყველო სიტუაცია. აშკარაა, რომ ეს ანდა მსგავსი ანტიციფაცია *აუცილებელია*, რათა თავიდან ავიცილოთ ის შედეგი, რომ მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიის დისკურსული დაკმაყოფილება დამოკიდებული გავხადოთ სახელდახელოდ ჩამოგდებულ კონსენსუსზე. მაგრამ საკითხავი ისა რჩება, თუ როგორ არის შესაძლებელი იდეალური სამეტყველო სიტუაციის წინასწარმოსახვა. ჯერ ერთი, თუ ყოველი მეტყველების საზრისი ის არის, რომ სულ ცოტა, ორი სუბიექტი ესწრაფვის რაღაცის თაობაზე ურთიერთგაგებას, და საჭიროების შემთხვევაში დისკურსულად თანხმდებიან მნიშვნელოვნების სადაო პრეტენზიაზე; მეორეც, თუ ურთიერთგაგება გონივრული კონსენსუსის ჩამოგდებას ნიშნავს; მესამეც, თუ ნამდვილი კონსენსუსი მოჩვენებითისაგან მხოლოდ და მხოლოდ მეტყველების იდეალურ სიტუაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია განვასხვაოთ; ე.ი. – იმ შეთანხმებაზე დამყარების გზით, რომელიც ფაქტობრივი ვითარების საპირისპიროდ ისე მოაზრება, თითქოსდა იდეალურ პირობებში შემდგარიყოს; მაშინ ამ იდეალიზირებისას საქმე უნდა ეხებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ წინასწარდაშვებას, რომელიც *აუცილებელია* ჩაეიდინოთ ყოველთვის, როცა კი არგუმენტაციის წამოყენება *გვინდა*; ამ იდეალიზების მოწყობა *შეგვიძლია* კიდეც კონსტრუქციის იმ საშუალებათა დახმარებით, რომლებიც ხელთა გვაქვს კომუნიკაციური კომპეტენციის წყალობით.

როგორ არის შესაძლებელი იდეალური სამეტყველო სიტუაციის მოსახვა იმ მეტყველება-ქმედების დახმარებით, რომლის განხორციელება ყოველ კომპეტენტურ მოლაპარაკეს შეუძლია? ნამდვილი კონსენსუსის ყალბისაგან გამიჯვნის თვალსაზრისით იდეალურს ისეთ სამეტყველო სიტუაციას ვუწოდებთ, რომელშიც კომუნიკაციას ვერ დააბრკოლებს არათუ მარტო გარეგანი შემთხვევითი ზეგავლენები, არამედ – თვით ის იძულებებიც კი, რომლებიც თვითონ კომუნიკაციის სტრუქტურიდან მომდინარეობენ. იდეალური სამეტყველო სიტუაცია გამორიცხავს კომუნიკაციის სისტემატურ დამახინჯებას; მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მთავრობს უმჯობესი არგუმენტის პირწმინდად უცნაური უძალო იძულება, რომელიც საქმის ცოდნით აამოქმედებს მტკიცებათა მეთოდურ გადამოწმებას და რაციონალურ მოტივაციას უყოფს პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას.

კომუნიკაციის სტრუქტურიდან მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არ მომდინარეობს იძულებები, როცა ყველა თანამონაწილეზე სისტემატურადაა გადანაწილებული მეტყველება-ქმედებების ამორჩევისა და მათი შესრულების შანსები. ამრიგად, მოცემულია არამარტო დიალოგში როლების უნივერსალური გაცვლა-გამოცვლადობა, არამედ – შანსების ეფექტური თანაბრობა დიალოგის როლების აღებისას, ე.ი. მეტყველება-ქმედებების შესრულებისას. ამ საყოველთაო სიმეტრიულობის პირობებიდან გამომდინარეობენ სპეციალური წესები მეტყველება-აქტების შემოღებული ოთხი კლასისათვის. იმ პირობისას, რომ საუბრის ყველა მონაწილეს თანაბარი შანსი აქვს კომუნიკატივას გამოყენებისა ე.ი. კომუნიკაციის დამყარებისა, ისევე როგორც — იმისა, რომ ლაპარაკი და შესიტყვება, კითხვა და პასუხი განაგრძონ, კონსტანტივას თანაბარშანსოვანი გამოყენების (და აგრეთვე რეგულატივას იმ ნაწილებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია რჩევებსა თუ გაფრთხილებებისთვის) ე.ი. შანსების, განმარტებების, მტკიცებების, ახსნა-გაშუქებებისა და თავისმართლებების თანაბრად გადანაწილების გზით შესაძლებელია აზრის გამოთქმა, დასაბუთება თუ უკუგდება და საფუძველის ჩაყრა იმისთვის, რომ ვერც ერთი წინასწარი შეხედულება ვერ დაუსხლტება ხანგრძლივ თემატიზებასა და პრაქტიკას. ამ განსაზღვრებებით იდეალურადაა მოწესრიგებული ის მეტყველება-ქმედებანი, რომლებსაც დისკურსებში ვიყენებთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ჯერ კიდევ სრულად არ არის მოცემული იმ იდეალური სამეტყველო სიტუაციის პირობები, რომელიც თავის არა მხოლოდ შეუზღუდავ, არამედ უბატონო დისკუსიასაც მხოლოდ და მხოლოდ თავისი სიტუაციური ნიშან-თვისების ე.ი. თავისი სტრუქტურის საფუძველზე უზრუნველყოფს. მაგრამ აქამომდელი განსაზღვრებანი ჯერ კიდევ არ არიან იმის გარანტია, რომ საუბრის თანამონაწილენი უსაგნო ზმანებას კი არ მისცემიან, რომ დისკურსს ასრულებენ, არამედ ფაქტობრივ კომუნიკაციაში მათ მოქმედების იძულება

ადგათ. დამატებით ისიც უნდა დავუშვათ, რომ მოლაპარაკე თავისი ინტენციის თაობაზე არც თვითონ უნდა ცდებოდეს და არც სხვას ატყუებდეს. ამრიგად, საინტერესოა, რომ იდეალური სამეტყველო სიტუაცია ისეთ დადგენილებებს მოითხოვს, რომლებიც დისკურსთან მხოლოდ არაპირდაპირ კავშირში არიან, ხოლო მოქმედების კონტექსტთა ორგანიზაციას უშუალოდ უკავშირდებიან. ცხადია, რომ დისკურსის გამოხსნა მოქმედების აუცილებლობიდან, რასაც მოითხოვს წმინდა სამეტყველო სიტუაცია, მოაზრებადია მხოლოდ წმინდა კომუნიკაციური ქმედების პირობებში. ამიტომ ორი სხვა სპეციალური ჰიპოთეზა მეტყველება-ქმედებათა იმ დებულებებს ეხება, რომლებსაც ინტერაქციებში ვიყენებთ.

იდეალურ სამეტყველო სიტუაციაში ნავარუდებია მხოლოდ ისეთი მოლაპარაკენი, რომლებსაც როგორც *მოქმედთ* თანაბარი შანსები აქვთ რეპრეზენტატივას გამოყენებისა, რადგან მუდმივად ინდივიდუალური გამოთქმების სარბიელთა ორმხრივი თანდამთხვევა და სიახლოვის და სიშორის დამატებითი გასაშუალება იძლევიან იმის გარანტიას, რომ სუბიექტები გამჭირვალენი იყვნენ იმით, რასაც სინამდვილეში აკეთებენ და იმითაც, რასაც ფიქრობენ; – რომ აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლო იყოს ექსტრავერბალური გამოსახულებების ენისმიერ გამოთქმებად გარდაქმნა. ჯანსაღი თვითგამოსახვის ურთიერთშორისობა შეივსება ქცევის მოლოდინთა ორმხრივობით; რაც გამორიცხავს ქცევის ნორმათა პრივილეგირებულობებს იმ აზრით, რომ ისინი ცალმხრივ ვალდებულებებს გვაკისრებდნენ. უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს შორს ეს სიმეტრია შეიძლება, უზრუნველყოფილი იქნას რეგულატივას თანაბარშანსოვანი გამოყენების გზით; ე.ი. – იმის საშუალებით, რომ თანაბრადაა განაწილებული ბრძანებების გაცემისა და შეწინააღმდეგების, ნების დართვისა და აკრძალვის, პირობის დადებისა და მისი გაუქმების, ანგარიშგებისა და ანგარიშის მოთხოვნის და ა.შ. შანსები. კომუნიკატივას გამოყენების თანაბარ შანსებთან ერთად, იგი, ამავე დროს, უზრუნველყოფს შესაძლებლობას, რომ მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიების თემატიზებით, ყოველდროულად ხდებოდეს ინტერაქციიდან გამოსვლა და დისკურსში შესვლა.

შეიძლება, აგრეთვე, იდეალური სამეტყველო სიტუაციის ფაქტის საწინააღმდეგო პირობები სიცოცხლის ემანსიპირებული ფორმების აუცილებელ პირობებად გავიგოთ. მაგრამ მეტყველება-ქმედებების ამორჩევისა და განხორციელების შანსების თანაბარი განაწილება, რომლებიც ეხებიან ა) გამოთქმებს, როგორც სწორედ გამოთქმებს; ბ) მოლაპარაკის მიმართებას თავისივე გამოთქმებისადმი; გ) ნორმების მიყოლას, ენის თეორიული განსაზღვრებაა იმისა, რის წვდომასაც ჩვენ ჭეშმარიტების, თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეებით ელამობდით ხოლმე. ეს განსაზღვრებები ურთიერთინტერპრეტირებას განიცდიან და ერთობლიობაში განსაზღვრავენ ცხოვრების წესს, რომელშიც ყველა არსებრივი

შეკითხვა განიხილება იმ მაქსიმის მიხედვით, რომ გამართული იქნას დისკურსი; ამასთანავე საჭიროა, დავუშვათ, რომ როცა უნდა დამყარდეს და სანამ უნდა გაგრძელდეს კომუნიკაცია სულერთია, იგი უნდა დაგვირგვინდეს კონსენსუსით, რომელიც აუცილებელია მიჩნეულ იქნეს გონივრულ კონსენსუსად.

სამეტყველო სიტუაციის იდეალიზება თავისებურად იფარგლება მოქმედების სიტუაციის იდეალიზებით. „წმინდა კომუნიკაციური ქმედების" შემოტანილი ცნება განმარტებას საჭიროებს.

აქამდე ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავეთ კომუნიკაციის (ანდა „მეტყველების" ორი ფორმა: ერთი მხრივ, *კომუნიკაციური ქმედება* (ინტერაქცია), ხოლო მეორე მხრივ — *დისკურსი.* ერთგან ნაიურადა გვაქვს დაწანამძღვრებული გამოთქმათა მნიშვნელოვნება, რათა ინფორმაციები (მოქმედებასთან დაკავშირებული გამოცდილებები) გაეცვალოთ; მეორეგან თემად არიან ქცეულნი მნიშვნელოვნებაზე პრობლემატიზებული პრეტენზიები, მაგრამ არ ხდება ინფორმაციათა გაცვლა-გამოცვლა. დისკურსებში ჩვენ ვახდენთ მცდელობას, ხელახლა წამოვაყენოთ ანდა შევავსოთ ის შეთანხმება, რაც მიღწეული იქნა კომუნიკაციურ ქმედებაში. სწორედ ამ აზრით ვლაპარაკობ დისკურსულ *ურთიერთგაგებაზე.* არგუმენტაციების მიზანია, იმ სიტუაციის დაძლევა, რაც იქმნება კომუნიკაციურ ქმედებაში ნაიურად დაწანამძღვრებული მნიშვნელოვნების პრეტენზიების დაბეჯითებული პრობლემატიზების შედეგად; ამ რეფლექსურ ურთიერთგაგებას მივყავართ დისკურსულად ჩამოგდებულსა და დაფუძნებულ თანხმობამდე (რომელიც ბუნებრივია, კვლავაც შემტკიცდეს მოგვიანებით შეთვისებულ შეთანხმებად).[2]

კომუნიკაციური ქმედება ხორციელდება ძვალ-რბილში გამჯდარსა და ნორმატიულად უზრუნველყოფილ ენის თამაშებში, რომლებშიც სა-

---

[1] მე შევეცადე იდეალური სამეტყველო სიტუაცია დამეხასიათებინა არა იდეალური მოლაპარაკის პიროვნული ნიშან-თვისებებით, არამედ შესაძლო მეტყველების სტრუქტურული ნიშან-თვისებების გზით, კერძოდ – დიალოგში როლების მიღებისა და მეტყველება-ქმედებების შესრულების შანსთა სიმეტრიული განაწილების საშუალებით. ეს კონსტრუქცია ემსახურება იმის დასაბუთებას, რომ აუცილებელია წინასწარ დავუშვათ იდეალური სამეტყველო სიტუაცია და ასეთი დაშვება უნდა გააკეთოს ყოველმა კომპეტენტურმა მოლაპარაკემ, რომელსაც კი დისკურსში მონაწილეობის მიღება სურს; და მას შეუძლია კიდეც იდეალური სამეტყველო სიტუაციისკენ წინასწარი გაჭრა მეტყველება-ქმედებების მხოლოდ და მხოლოდ უკვე დასახელებული ოთხი კლასის დახმარებით. აქედან გამომდინარე რეტროსპექტივაში იმის გათვალისწინებით შეიძლება გამართლებული იქნას მეტყველება-ქმედებების სისტემატიზების ჩვენეული წინადადება, რომ მეტყველება-ქმედებებს როგორც პრაგმატისტულ უნივერსალიებს ე.ი. როგორც შესაძლო მეტყველების საყოველთაო სტრუქტურების წარმოების საშუალებებს, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ფუნქციონირება, თუ ისინი ამავე დროს, იდეალური სამეტყველო სიტუაციის მოსახვის საშუალებად გამოდგებიან.

[2] მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიაც, რომელიც დისკურსულადაა დაფუძნებული კვლავ იბრუნებს „ნაიურ" მნიშვნელოვნების მოდუსს როგორც კი დისკურსის შედეგი ისევ მოქმედების კონტექსტში შედის.

მივე კატეგორიის გამოხატულებანი (წინადადებები, ეკსპრესიები, მოქმედებები) არა მარტო წესების მიხედვით იქმნებიან, არამედ ერთმანეთსაც შეესებისა და შეცვლის წესების მიხედვით ებმებიან. დისკურსები პირველ ყოვლისა, პირიქით, *მოქმედების იძულებათა ვირტუალიზებას* ესწრაფვიან, რომელმაც ძალა უნდა დააკარგვინოს ყველა მოტივს თვინიერ ჭეშმარიტების ერთობლივი ძიებისა და ძირშივე ამოიკვეთოს მათი მნიშვნელობის თაობაზე შეკითხვები. მეორეც, დისკურსები მოითხოვენ *მნიშვნელობაზე პრეტენზიების ვირტუალიზებას*, რომელმაც ხამს, კომუნიკაციური ქმედების საგნებისათვის (ე.ი. ნივთებისა და ხდომილებების, პერსონებისა და გამოთქმებისათვის) ეგზისტენციის პირობა წაგვაყენებინოს და საქმის ვითარებისა და ნორმებისადმი ჰიპოთეტური განწყობა დაგვაკავებინოს. ჰუსერლისებურად რომ ვთქვათ, დისკურსისას ბრჭყალებში ვათავსებთ გენერალურ თეზისს. ამ გზით ფაქტები საქმის, ვითარებად იქცევიან, რომელიც შესაძლოა ნამდვილი იყოს ან არ იყოს ნამდვილი; ხოლო ნორმები გადაიქცევიან თათბირებად, რომელიც შეიძლება, სწორი იყოს და შეიძლება, არ იყოს სწორი. დაბოლოს, მინდა გავაშუქო ნორმატიული მნიშვნელობის საზრისი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების კომუნიკაციის თეორიის საფუძველცნებას.

მოქმედების ნორმათა ნაივურ მნიშვნელობაში ჩადებულია ძალზე წონადი პრეტენზია. ის არის გამუდმებული გადაცდომების წინააღმდეგ მნიშვნელადი ნორმების არაძალადობრივი იმუნიტეტის ფაქტის საწინააღმდეგო ძალის წყარო. მე მინდა ამოვიდე ერთი ფენომენიდან, რომელიც თან სდევს ყოველ მოქმედების შემძლე სუბიექტს. როცა ჩვენ მოპირდაპირეს სუბიექტად ვლებულობთ და არა პარტნიორად ან სულაც საგნად, რომლითაც მანიპულირება ძალგვიძს, მას (უცილობლად) შერაცხადობას მივაწერთ. მხოლოდ მასთან ერთად შეგვიძლია ჩვენ ინტერაქციაში შესვლა; მას ვხვდებით ხოლმე, როგორც ვთქვით, ინტერსუბიექტურობის სიბრტყეზე მას შემდეგ, რაც წინასწარ ვიგულისხმეთ, რომ მას სათანადო დაკითხვების დროს თავის ქმედებაზე პასუხისგება შეუძლია. რამდენადაც ჩვენ საერთოდ გვინდა მის მიმართ როგორც სუბიექტის მიმართ განვეწყოთ, ამდენად იქიდან *უნდა* ამოვიდეთ, რომ ჩვენ მოპირდაპირეს *შეეძლოს* ჩვენთვის იმის თქმა, თუ რატომ იქცევა იგი მოცემულ სიტუაციაში სწორედ ასე და არა სხვაგვარად. ამრიგად, ჩვენ ვახდენთ იდეალიზებას, კერძოდ კი ისეთს, რომელიც ჩვენც გვეხება, რადგან ჩვენ მეორე სუბიექტს იმავე თვალებით ვუმზერთ, რომლებითაც საკუთარ თავსაც ვუყურებთ; ჩვენ ვგულისხმობთ, რომ სხვას – იმ შემთხვევაში თუ შევეკითხებით – ზუსტად იმგვარადვე შეუძლია დაასახელოს თავისი ქმედების მიზეზები, როგორაც დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენ აგხსნიდით ჩვენსავე ქმედებას, თუკი მეორე

სუბიექტი ამის შესახებ გვკითხავდა. ეს ინტუიციური ცოდნა, რომელიც მოქმედების შესრულებაში ვარაუდის (ანდა ანტიციპაციის) სტატუსს დაიბრუნებს, ორ კონტრაფაქტურ მოლოდინად იხლიჩება ა) ჩვენ მოველით, რომ მოქმედი ინტენციურად იცავს იმ ნორმებს, რომლებსაც მიყვება. ამრიგად, ჩვენ არ ძალგვიძს ინტერაქციის უშუალო შესრულებაში მოპირდაპირეს, რომელიც გვეყრება როგორც სხვა, ისეთი უცნობი მოტივები მივაწეროთ, როგორებიც არიან საზოგადოდ მოქმედების კაუზალური დეტერმინანტები. როგორც კი ამას ჩავიდენთ მაშინვე ვეცლებით ინტერსუბიექტურობის სიბრტყეს და სხვას ობიექტად განვიხილავთ, რომელთანაც კომუნიკაციაში შესვლა მესამის საშუალებით შეგვიძლია, მაგრამ *მასთან* კომუნიკაცია შეწყვეტილია. *ინტენციონალობის მოლოდინი,* გარდა ამისა, შეიცავს ვარაუდს, რომ ყველა ექსტრავერბალურ გამოხატულებებს საჭიროებისდაკვალად ენობრივ გამოთქმებად განვრცობა შეუძლიათ. ბ) ჩვენ მოველით, რომ მოქმედი სუბიექტი მხოლოდ იმ ნორმებს იცავს, რომლებიც მას მართებულად მიაჩნია. ამრიგად, ჩვენ არ შეგვწევს უნარი ინტერაქციის უშუალო შესრულებაში მოპირდაპირის მხრიდან ისეთი ნორმის დაცვას მოველოდეთ, რომელსაც – თუკი იგი მათ შეგნებულად მისდევს – ლეგიტიმურადაც არ აღიარებდა. თვით ისეთ სუბიექტსაც, რომელსაც აშკარად თავს უდვია ფაქტიურად დაკისრებული იძულებანი, დავუსაფუძვლებთ ხოლმე პრინციპებს, რომელთა მიხედვით მას ამგვარი საქციელის გამართლება შეეძლებოდა. ეს *ლეგიტიმურობის მოლოდინი,* გარდა ამისა, შეიცავს ვარაუდს, რომ მოქმედი სუბიექტის თვალში მართებულად ითვლება ის ნორმები (ანდა საყოველთაო პრინციპები), რომელთა თაობაზეც დანამდვილებით იცის, რომ ისინი საჭიროების შემთხვევაში გაუძლებენ შეზღუდვებსა და არაძალადობრივ დისკუსიას.

ორივე დასახელებული კონტრაფაქტური მოლოდინი, რომელსაც შეიცავს მოქმედისათვის უცილობელი იდეალიზება ურთიერთ დაბრალებული შერაცხადობისა, მიუთითებენ იმ ურთიერთგაგებაზე, რომლის მიღწევა პრინციპულად შესაძლებელია პრაქტიკულ დისკურსებში. მოქმედების ნორმების მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიის საზრისი მდგომარეობს იმ პერსპექტივაშიც, რომ პრაქტიკულად შეთვისებული ნორმით წარმართული ქცევა იძლევა საშუალებას გაგებული იქნას როგორც შერაცხად სუბიექტთა პასუხისმგებლური ქმედება. ჩვენ ვუშვებთ, რომ სათანადო გარემოებებში სუბიექტებს ძალუძთ იმის თქმა, თუ რომელ ნორმას მისდევენ *და რატომ* მიაჩნიათ მათ იგი გამართლებულად; ამასთან ერთად, იმასაც ვვარაუდობთ, რომ სუბიექტები, რომლებსაც ჩვენ დავანახებთ, რომ არ ასრულებენ ორ დასახელებულ პირობას, დააგ-

---

[1] ასეა არა მარტო თერაპიული დისკურსის შემთხვევაში, რომელშიც ორივე პარტნიორი იმ მიზნით შედის, რომ ქვეშეცნეული მოტივები შეცნეულად აქციონ.

დებენ შესაბამის ნორმას და ქცევასაც შეიცვლიან. ვიცით, რომ ინსტიტუციონალიზებული მოქმედებები, როგორც წესი, არ შეესაბამებიან *წმინდა კომუნიკაციური* ქმედების მოდელს, თუმცა არ ძალგვიძს მუდამ ისევ ფაქტების საწინააღმდეგოდ არ წავიდეთ და ისე მოვიქცეთ თითქოსდა ეს მოდელი ხორციელდებოდეს. ამ უცილობელ ფუნქციას ეფუძნება ადამიანებს შორის ურთიერთობის ჰუმანურობა; – ადამიანებისა, რომლებიც სუბიექტებად თავიანთს ობიექტივაციებში ჯერ კიდევ საბოლოოდ ერთმანეთს არ გაუცხოებიან.

იდეალური სამეტყველო სიტუაციისკენ (დისკურსში) უცილობელი წინგაჭრის სტატუსი და წმინდა კომუნიკაციური ქმედების (ინტერაქციაში) მოდელი ჯერ ისევ ბუნდოვანია. დასასრულს მე მინდა თავიდან ავიშორო მხოლოდ ორი ერთმანეთის მონათესავე გაუგებრობა. ფაქტობრივად გამართული არგუმენტაციების პირობები აშკარად არ არიან იდეალური სამეტყველო სიტუაციის იდენტურნი; თუ ხშირად არა, უმეტესად ეს მაინც ასეა. მაგრამ ყოველი მეტყველების სტრუქტურაში შედის ის, რომ მეტყველება-ქმედებების (და მოქმედებების) შესრულებისას ფაქტების საწინააღმდეგოდ ისე ვიქცევით, თითქოსდა იდეალური სამეტყველო სიტუაცია (ანდა წმინდა კომუნიკაციური ქმედების მოდელი) მარტო ფიქტიური კი არ იყოს, არამედ ნამდვილი; სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ დაშვებას. ამრიგად, ენობრივი ურთიერთგაგების ნორმატიულ ფუნდამენტს ორივე წარმოადგენს; იგი წინასწარგანჭვრეტილია, მაგრამ როგორც წინასწარ განჭვრეტილი საფუძველი, ქმედითია. იდეალიზირებული საუბრის ფორმალური წინასწარჭვრეტა (როგორც სამომავლოდ რეალიზებადი ცხოვრების ფორმა?) უზრუნველყოფს ისეთი ფაქტის საწინააღმდეგო შეთანხმებას, რომელიც „საბოლოოდ" გამძლე და არა ახლაღა ჩამოსაგდები თანხმობაა, რომელმაც წინასწარ უნდა შეაკავშიროს პოტენციური მოლაპარაკე/მსმენელი და რომლის თაობაზეც ურთიერთგაგების მოთხოვნა არ იქნებოდა საფუძვლიანი საზოგადოდ რომ კომუნიკაცია არ ყოფილიყო შესაძლებელი. ამდენად, იდეალური სამეტყველო სიტუაცია არ არის მარტო რეგულაციური პრინციპი კანტისმიერი გაგებით; რადგან ჩვენი ურთიერთგაგების პირველი აქტით ეს დაშვება უკვე არის გაკეთებული. მეორე მხრივ იდეალური სამეტყველო სიტუაციის ცნებაც არ არის ექსისტირებული ცნება როგორც იგი ჰეგელს ესმის: რადგან არც ერთი ისტორიული საზოგადოება არ ემთხვევა ცხოვრების ფორმას, რომელსაც ჩვენ წინასწარ-ვჭვრეტთ იდეალური სამეტყველო სიტუაციის ცნებაში. იდეალური სამეტყველო სიტუაცია უფრორე ტრანსცედენტალური მოჩვენებისთვის შეიძლებოდა შეგვედარებინა, ეს მოჩვენება რომ ამავე დროს შესაძლო მეტყველების კონსტიტუციური პირობა არ ყოფილიყო; ნაცვლად იმისა, რომ იგი თავის არსებობას დაუშვებელ გადატანას (ისე როგორც განსჯის კატეგორიათა გამოცდილებისგან თავისუფალი გამოყენების

შემთხვევაში) უმადლოდეს. იდეალური სამეტყველო სიტუაციის წინასწარწვდომას ყოველი შესაძლო კომუნიკაციისთვის კონსტიტუციური მოჩვენების მნიშვნელობა აქვს, რომელიც აგრეთვე ცხოვრების ფორმის გამოჩვენებაა.[1] რასაკვირველია ჩვენ არ შეგვიძლია a priori ვიცოდეთ ეს გამოჩვენება ცარიელაა ისე როგორც არის ხოლმე უცილობელი წინასწარგულისხმობებიდან წარმომდგარი მისტიფიკაცია (Subreption) თუ იგი ემპირული პირობაა იმისა, რომ შესაძლო შეიქნას – თუნდაც მიახლოებითი – პრაქტიკული ხორცშესხმა იდეალური ცხოვრების ფორმისა. ამ თვალსაზრისით პრაქტიკულ ჰიპოთეზას შეიცავენ შესაძლო მეტყველების ის ფუნდამენტური ნორმები, რომლებიც უნივერსალურმა პრაგმატიკამ შეიმუშავა. მისგან იღებს სათავეს საზოგადოების კრიტიკული თეორია, რომელიც პირველად უნდა გაიშალოს და დაფუძნდეს კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიაში.

---

[1] დამატება 1983: ამასობაში მე გავაუქმე ეს ფორმულირება, შეად. J.Habermas, A reply to my Critics, in: J.B.Thompson, D.Held (Eds.), Habermas – Critical Debates, London 1982, 261f.

2. ჭეშმარიტების თეორიები (1972)*

1. სამი წინასწარი შეკითხვა

მინდა სამი წინასწარი შეკითხვა გავაშუქო ვიდრე ჭეშმარიტების თეორიათაგან ორს – კერძოდ შესატყვისობისა და კონსენსუსის თეორიებს შეეხებოდე.

ჯერ ერთი, რა არის ის, რის შესახებაც უფლება გვაქვს, ვთქვათ იგი ჭეშმარიტია ანდა ყალბიო? ამის პერსპექტიული კანდიდატები არიან წინადადებები, გამოთქმები და გამონათქვამები. სულ ცოტა, პერსპექტიულია მცდელობა წინადადებათა გარკვეული კლასი დავახასიათოთ იმ კლასად, რომელსაც რაღაც უფლებით მივაწერთ ჭეშმარიტებასა თუ მცდარობას.[1] ვინაიდან სხვადასხვა ენების წინადადებები თუ ერთი და იმავე ენის სხვადასხვა წინადადებანი ერთსა და იმავე საქმის ვითარებას გადმოცემენ, მაშინ როცა გამოთქმები – თუ ისინი მეტყველების სხვადასხვა კონტექსტებში გვხვდებიან – შესაძლოა, განსხვავებულ საქმის[2] ვითარებებს გადმოცემენ. ამიტომ ოსტინი გეთავაზობს არა წინადადებებს, არამედ გამოთქმების გარკვეულ კლასს – კერძოდ, მტკიცებებს (assertions, statements), რომლის „ჭეშმარიტად" თუ „ყალბად" მიჩნევის უფლება გვაქვს.[3] წინადადება შედგება სიტყვებიდან, მტკიცებას კი პირიქით აკეთებენ ანდა „წამოაყენებენ", სიტყვებს მოიხმარენ და წინადადებას იყენებენ. ერთი და იგივე წინადადება შეიძლება სხვადასხვა მტკიცებებში გამოიყენონ და პირიქით, სხვადასხვა წინადადებებით ერთი და იგივე მტკიცება ჩამოაყალიბონ. მაგრამ ახალი სიძნე-

---

* პირველად გამოქვეყნდა H. Fahrenbach (hg.), Wirklichkeit und Reflexion, Pfullingen 1973, 211-266.

[1] ეს რა თქმა უნდა არ არის ჭეშმარიტების სემანტიკური თეორიის საკმარისი დახასიათება. შად. A.Tarski: The Semantic Conception of Truth. In: H.Feigl u. W.Sellars (Hrsg): Readings in Philosophical Analysis. New York 1949. ე.ტუგენდჰატის კრიტიკული რეცენზია მასზე: Philosohische Rundschau 8, H. 2/3, S.131-159. რამდენადაც მე ეიი ურაფინირებულეს ინტერპრეტაციას იძლევა სელარსი: Truth and Correspondence. In: Science, Perception and Reality. London 1963. S.197-244. მაგრამ მასაც ეხება კონტრარგუმენტი, რომ მეტაენობრივი წინადადების საზრისის ლოგიკური შესატყვისობით ობიექტენობრივი წინადადების საზრისთან ვერ მიიღწევა გამონათქვამებში საქმის ვითარების „სწორი გადმოღების" პრაგმატული მნიშვნელობა. შად. C.F.v. Weizäcker: Die Einheit der Natur. München 1971. S. 336ff. დაბოლოს – E. Scheibe: Wissenschaft und Wahrheit. In:Zschrft. Gymnasium80. Jg. 1973. H. 12, S.56ff., zu Tarski S.70-72. , ტარსკის შესახებ, გვ. 70-72.

[2] P.F.Strawson: Truth. In: Analysis, Vol. IX (1949), No.6.

[3] J.L. Austin: Trith. In: Philosophical Papers. Oxford 1961. S.117-133.

ლე იქმნება იმით, რომ მტკიცებები გამოსახავენ დათარიღებად გამოთქმებსა თუ ენის ეპიზოდებს, მაშინ როცა ჭეშმარიტება აშკარად აყენებს ინვარიანტულობის პრეტენზიას და ამიტომ არაეპიზოდური ბუნება აქვს. თუ სხვადასხვა პერსონები სხვადასხვა გარემოებებში სხვადასხვა სიტყვებით ერთსა და იმავე მტკიცებას ადგენენ, მაშინ ისინი ერთსა და იმავე საქმის ვითარებას გადმოცემენ. ის, *რასაც* ისინი ამტკიცებენ არ არის დამოკიდებული მეტყველება-ქმედებებზე, *რომლებითაც* ისინი იმას ამტკიცებენ, რასაც ამტკიცებენ. სტროსონი[1] სამართლიანად ადგას იმ კონვენციას, რომ „ჭეშმარიტად" და „ყალბად" უნდა იწოდებოდნენ არა გამოხატულებები, არამედ გამოთქმები; „ჩემ მიერ რაიმეს გამოთქმა ეპიზოდია; მაგრამ რასაც გამოვთქვამ ის არ არის ეპიზოდი. ჭეშმარიტად ეს უკანასკნელი უნდა გამოცხადდეს და არა პირველი".[2] ჭეშმარიტსა და ყალბს ჩვენ ვეძახით გამოთქმებს იმ საქმის ვითარების კუთხით, რომელიც მათში გადმოიცემა და გამოიხატება.

მაგრამ უფლება არა გვაქვს გამოთქმებს ჩამოვართვათ ყოველგვარი ასერტორული ძალა. შეგვიძლია ყოველი გამოთქმა საქმის ვითარებას დავუქვემდებაროთ, მაგრამ გამოთქმა ჭეშმარიტი არის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა იგი გადმოსცემს ნამდვილ საქმის ვითარებას როგორც ფაქტს; და ასე ვთქვათ რაიმე საქმის ვითარების ფაქტად მისტიფიცირებას არ ახდენს. მართალია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროპოზიციური შინაარსის მქონენი არიან ყალბი გამოთქმებიც; მაგრამ როგორც კი გამოთქმას წარმოვთქვამ არსებულ საქმის ვითარებას ე.ი. ფაქტს ვამტკიცებ. გამოთქმა ასერტორულ ძალას იძენს მეტყველება-აქტში მოთავსების გზით. ე.ი. იმ გარემოების წყალობით, რომ ნებისმიერს შეუძლია მისი მტკიცება. სელარსმა მიუთითა იმაზე, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე პროპოზიციური შინაარსი მიმოიქცეოდეს ბრძანებებში, შეკითხვებში, შეპირებებსა და მტკიცებებში, მაგრამ პროპოზიციის *ფორმით* პროპოზიციური შინაარსი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მდგენ მეტყველება-ქმედებებში (მტკიცებებში) გამოვიდნენ.[3] ამიტომ პირველ შეკითხვას შეგვიძლია ვუპასუხოთ შემდეგნაირად: ჭეშმარიტება არის მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომელსაც მისი მტკიცებისას გამოთქმებში ვაქცევთ. მტკიცებები განეკუთვნებიან მდგენელი მეტყველება-ქმედებების კლასს. როცა რაღაცას ვამტკიცებ, პრეტენზიას ვაყენებ, რომ რასაც გამოვთქვამ ჭეშმარიტია. ამგვარი პრეტენზია შეიძლება მართებულიც იყოს და უმართებულოც. არ შეიძლება მტკიცებები ჭეშმარიტნი იყვნენ ანდა ყალბნი; ისინი მართებულნი არიან ანდა უმარ-

---

[1] P.F. Strawson: Truth. In: G.Pitcher (hg.): Truth. Englew. Cliffs 1964. S. 32-53.

[2] Strawson, a.a. O., S.33.

[3] J.R. Searle: Austin on Locutionary and Illocutionary Acts. In: The Philosophical Review. Vol. LXXVII (1968), No. 4; ders.: Speech Acts. Cambridge 1969.

თებულონი. მაკონსტანტირებელი მეტყველება-ქმედებების შესრულებიდან კარგად ჩანს, თუ რას ვგულისხმობთ გამოთქმათა ჭეშმარიტებაში; ამიტომ არ შეიძლება, რომ ეს მეტყველება-ქმედებანი თავად იყვნენ ჭეშმარიტნი. ჭეშმარიტება აქ ნიშნავს მტკიცებებში გამოთქმათა გამოყენების საზრისს. ამრიგად, ჭეშმარიტების საზრისი შეიძლება განიმარტოს მეტყველება-ქმედებების გარკვეული კლასის პრაგმატიკაზე დაყრდნობით.

რა არის მნიშვნელოვნების პრეტენზია, ეს შეგვიძლია ნათელვყოთ სისწორის პრეტენზიის მოდელზე. შეიძლება პრეტენზიის წამოყენება ე.ი. მისი გამნიშვნელოვნება; შეიძლება მისი საკამათოდ ქცევა და დაცვა, უკუგდება თუ აღიარება. აღიარებული პრეტენზიები მნიშვნელოვნებენ. იმ გარემოებას, რომ მნიშვნელობაზე პრეტენზიები ფაქტობრივ აღიარებას აღწევენ, შესაძლოა, მრავალი საფუძველი (ანდა მიზეზი) ჰქონდეს. მაგრამ რამდენადაც შეგვიძლია, მნიშვნელოვნების პრეტენზიის აღიარების საკმაო საფუძველი „თვითონ საქმიდან" გამოვიყვანოთ, ამდენად ვამბობთ, რომ მას ვაღიარებთ იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მართებულია (ანდა მართებული ჰგონიათ იმათ, ვინც მას აღიარებს). მართებული ჰქვია პრეტენზიას მაშინ და იმდენად, როცა და რამდენადაც შესაძლებელია მისი უზრუნველყოფა. პრეტენზიის მართებული მნიშვნელოვნება უზრუნველყოფს სწორედ იმ საიმედობას, რომლითაც ახდენენ ხოლმე გარკვეული პრეტენზიიდან გამომდინარე მოლოდინები.

მეორე წინასწარი შეკითხვა, რომლის გაშუქებაც მინდა, ჭეშმარიტების ზედმეტობის თეორიამ წამოაყენა. როცა მართლაც ისეა, რომ „p არის ჭეშმარიტი" სახის ყველა წინადადებაში გამოსახულება: „ჭეშმარიტია" ლოგიკურად ზედმეტი არის, მაშინ საჭირო აღარაა ჭეშმარიტების თეორია. ვფიქრობ, ოსტინი სამართლიანად უჭერს მხარს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს (ჭეშმარიტი) გამოთქმის მტკიცებასა და იმ მეტაენობრივ დადგენილებას შორის, რომ ამ გამოთქმის ჭეშმარიტების მტკიცებული პრეტენზია გამართლდება. ეს უკანასკნელი მტკიცება ისეთ გამოთქმას შეიცავს, რომელიც ფაქტს კი არ ეხება, არამედ ფაქტის შესახებ გამონათქვამს. მიუხედავად ამისა ზედმეტობის თეორია სწორ დაკვირვებას შეიძლება დაემყაროს: „რომ „p" ჭეშმარიტია", „p" მტკიცებას ვერაფერს მატებს. სწორედ თვითონ „p"-ს მტკიცებით ვაყენებ ჭეშმარიტებაზე მის პრეტენზიას; სწორედ ამაშია მტკიცებათა პრაგმატული საზრისი. ჩემ მიერ მოხსენებული და ზედმეტობის თეორიის მიერ უგულვებელყოფილი განსხვავება პირველად მაშინ წარმოდგება, როცა პრობლემური გახდება მტკიცებათა ნაიეურად წამოყენებული პრეტენზიები. მნიშვნელოვნებაზე პრეტენზია, რომლის მართებულების საწინააღმდეგოდ კონტრმტკიცებებს წამოაყენებენ, შეიძლება „თემატიზდეს" მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ტიპის მეტაენობრივ

მტკიცებულებაში, როგორიც არის „p“ ჭეშმარიტია ან არაჭეშმარიტი“. მაგრამ გამოთქმა „მეტაენობრივი მტკიცებულება“ არ უნდა მიანიშნებდეს იმ მტკიცებებს შორის ლოგიკური გამომდინარეობის თანმიმდევრულობაზე,[1] რომლებიც კომუნიკაციის სხვადასხვა დარგებს განეკუთვნებიან. დედუქციური მიმართება არსებობს ორ შემდეგ წინადადებას შორის: „მტკიცება, რომ „p“ მართებულია“ და „p“ არის ჭეშმარიტი“. იმავე სიბრტყის წინადადებებსა და უშუალოდ წამოყენებულ „p“ მტკიცებას შორის კი დედუქციური მიმართება არ არის, არამედ მათ შორის რეფლექსური მიმართება არსებობს, რაც დამყარდება როცა ცხადლივ დადასტურდება მართებულობის დამოკიდებულება. მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომელსაც იმპლიციტურად შეიცავს ნაივურად შესრულებული მტკიცებები, მეტაენობრივ მტკიცებულებებში ექსპლიციტურად გამოითქმება, მოხდება მისი დასტურყოფა ანდა უარყოფა.

ამ უცნაური დამოკიდებულებების საზრისი ზოგადად აიხსნება დისკურსებსა და მოქმედებებს შორის მიმართების მაგალითზე. „ქმედების“ რუბრიკით კომუნიკაციის ისეთი დარგი შემომაქვს, რომელშიც გამოთქმებში (ანდა მტკიცებებში) ნაგულისხმები მნიშვნელოვნების პრეტენზიები უსიტყვოდ გვაქვს დაწანმძღვრებული და აღიარებული, რათა ინფორმაციები (ე.ი. მოქმედებებთან დაკავშირებული გამოცდილებები) გავცვალოთ. „დისკურსის“ რუბრიკით შემომაქვს კომუნიკაციის კამათად დახასიათებული ფორმა, რომელშიც ხდება საორჭოფოქმნილი მნიშვნელოვნების პრეტენზიების თემად ქცევა და მართებულობის მხრივ მათი გასინჯვა. დისკურსის საწარმოებლად გარკვეულწილად უნდა გავიდეთ მოქმედებებისა და გამოცდილებების კონტექსტებიდან. დისკურსში ვცვლით არა ინფორმაციებს, არამედ არგუმენტებს, რომლებიც პრობლემატიზებული მნიშვნელოვნების პრეტენზიის დასაბუთებას (ანდა უკუგდებას) ემსახურებიან. ჯერ ერთი, დისკურსები მოქმედების დროებით შეჩერებას მოითხოვენ, რამაც ბათილად უნდა გამოგვაცხადებინოს ყველა მოტივი, იმ ერთის გარდა, რომელმაც ურთიერთგაგებისთვის ორმხრივ მზაობამდე უნდა მიგვიყვანოს, (საფუძველი ეცლება მნიშვნელოვნების თაობაზე შეკითხვებს). მეორეც, ისინი მოითხოვენ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ვირტუალიზებას, რამაც ჩვენ გამოცდილების საგნებისთვის (ნივთების, ხდომილებების, პერსონების, გამოთქმებისთვის) ექსისტენციის პირობა უნდა წაგვაყენებინოს და შეგვაძლებინოს, როგორც ფაქტები ისევე ნორმები *შესაძლო* ეგზისტენციის ე.ი. ლეგიტიმურობის თვალსაზრისით განვსაჯოთ (ანუ ჰიპოთეტურად განვიხილოთ). სხვათა შორის, მოქმედების სფეროსა და დისკურსს შორის დიფერენ-

---

[1] F.P. Ramsey: Facts and Propositions. In The Foundations of Mathematics. London u. New York 1931. ფრაგმენტი დაბეჭდილია in: Pitcher, a.a. O. (s.o. Anm. 4), S.16f შად. აგრეთვე: G. Frege: Über Sinn und Bedeuting. Kleine Schriften. Götingen.

ციაცია არის სოციოკულტურული განვითარების საფეხურისთვის დამახასიათებელი მოტივაციების კომუნიკაციის სტრუქტურებზე მიბმულობის უკუღმა პირი; დისკურსები წარმოადგენენ მათს გვიანდელსა და დროებით აშვებებს. მოქმედების იძულებისა და გამოცდილების წნეხიდან გამოხსნილი კომუნიკაციის ფორმა შესაძლებელყოფს დარღვეული ინტერაქციის სიტუაციებში ხელახლა იქნას აღდგენილი სადაოქმნილი მნიშვნელოვნების პრეტენზიების თაობაზე ურთიერთგაგება (შემდეგი სახის ალტერნატივა არსებობს: სტრატეგიული ქცევის შეცვლა ანდა კომუნიკაციის შეწყვეტა).

ამრიგად, მეორე შეკითხვაზე შეიძლება ასეთი პასუხი გაიცეს: ქმედების კონტექსტებში ზედმეტი იქნებოდა მტკიცებებით წამოყენებული მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ეკსპლიკაცია; მაგრამ ამას გვერდს ვერასგზით ავუვლით დისკურსებში, რადგან ისინი მნიშვნელობაზე პრეტენზიათა თემატიზებას ეწევიან.[1]

მესამე წინასწარი შეკითხვა, რომელიც ცალკე თემაა, ეხება ჭეშმარიტების შესაბამისობის თეორიის ძირითად დაშვებას. როგორია ჩვენ მიერ მტკიცებული ფაქტების დამოკიდებულება ჩვენი გამოცდილების საგნებთან? სტროსონმა[2] ოსტინის კრიტიკისას ისევ წამოაყენა ფაქტებსა და გამოცდილების საგნებს შორის რემსის[3] მიერ უკვე მანამდე გარჩეული განსხვავება და მოგვცა მისი შემდგომი ახსნა დესკრიპციასა და დენოტაციას (თუ რეფერენცს) შორის გატარებული სხვაობის დახმარებით. იმას, *რასაც* ჩვენ მართებულობისდაკვალად ვამტკიცებთ, ფაქტს

---

[1] ამ გარემოებას გვიხსნის ჭეშმარიტება/სიყალბესა და მტკიცება/უარყოფას შორის განსხვავებებიც. პრედიკაციულ გამოთქმებში ნეგაციას ვიყენებ, რათა გამოთქვა, რომ განსაზღვრული პრედიკატი არ მიეწერება განსაზღვრულ საგანს. ნეგაცია განსაზღვრავს საქმის ვითარებას და არა გამოთქმა, რომლითაც მე საქმის ვითარებას უარვყოფ. თავის მხრივ, გამოთქმა შესაძლოა არაჭეშმარიტი იყოს. გამოთქმის არაჭეშმარიტობა არ არის მისი უარყოფა; გამოთქმის უარყოფა კი არაა შესაძლებელი, არამედ ჭეშმარიტების მისეული ღირებულებისა. მაგრამ როცა მე უარვყოფ გამოთქმის ჭეშმარიტების ღირებულებას, დისკურსულ მტკიცებას ვაყენებ: ვამტკიცებ, რომ „p" გამოთქმა ყალბია. თავის მხრივ მისგან უნდა განვასხვაოთ ის ნეგაცია, რომელიც ეხება თვითონ მეტყველება-ქმედების შესრულებას: „მე არ ვამტკიცებ, რომ „p" აშკარად ეკვივალენტური არ არის: „მე ვამტკიცებ, რომ „p" – არ არის ჭეშმარიტი" – გამოთქმისა.

[2] In: G.Pichter, a.a. O. (s.o.Anm.4) S.35-43; შეად. A. P.F. Strawson: Individuals. London 1959. Kap.6.

[3] შესაძლოა არსებობდეს ერთი და იმავე ხდომილების სხვადასხვანაირი, მაგრამ თანაბარი მოცულობის აღწერილობანი, რომლებიც სინონიმებს არ წარმოადგენენ; მაგ.: „მკვდარი ცეზარი" და „მოკლული ცეზარი"; ოღონდ ის ფაქტი, რომ ცეზარი მოკლული იქნა შეიძლება, მხოლოდ იმავე გამოთქმებით გადმოვცე, ხოლო შეუძლებელია თანაბარი ტევადობის არაანონიმური გამოთქმებით იმავე ფაქტის გამოხატვა. P.Gochet: Esquisse d'une Théorie nominaliste de la proposition. Paris 1972. S. 92 ff.

ვუწოდებთ. ფაქტი არის ის, რასაც გამოთქმა ჭეშმარიტად აქცევს; ამიტომ ვამბობთ, გამოთქმები ფაქტებს გადმოსცემენ, აღწერენ, გამოხატავენო და ა.შ. საპირისპიროდ ამისა ნივთები და ხდომილებები, პერსონები და მათი გამოთქმები ე.ი. გამოცდილების საგნები არიან ისინი, რომელთა *თაობაზეც* მტკიცებებს ვაყენებთ და რომელთა *შესახებ* რაღაცას გამოვთქვამთ; ის, *რასაც* საგნებზე ვამტკიცებთ, წარმოადგენს ფაქტს, თუკი მტკიცება მართებულია. ამრიგად, ფაქტებს საგნებისგან განსხვავებული სტატუსი აქვთ. „ფაქტები მტკიცებებით მტკიცებულები არიან, თუკი მტკიცებები ჭეშმარიტია. ისინი არ წარმოადგენენ იმას, რის შესახებაც მტკიცებებს ვადგენთ. „ფაქტები ნივთებისა და ხდომილებათა გვარად ზედაპირზე როდი არიან, რომ მათი დაკვირვება, მოსმენა ანდა დანახვა შეიძლებოდეს...“[1] საგნებს გამოცდილებაში ვიღებ, ფაქტებს კი ვამტკიცებ; არ ძალმიძს ფაქტების გამოცდილებაში შეღება და საგნების (ანდა საგანთა გამოცდილების) მტკიცება. ფაქტებს რომ ვამტკიცებ, სწორედ ამის საშუალებით ძალმიძს გამოცდილებებს დავემყარო და საგნებთან კავშირი დავამყარო. მაგრამ თუ ჩვენ გამოცდილების საგნებზე, ასე ვთქვათ, ვამბობთ, რომ ისინი სამყაროში არიანო, ფაქტებზე არ შეიძლება ზუსტად იმგვარადვე ითქვას, რომ ისინი „სამყაროში რაღაც არსებულნი არიან.“ ჭეშმარიტების შესატყვისობის თეორიამ ზუსტად ასევე უნდა წამოაყენოს ესა თუ სხვა ეკვივალენტური მტკიცება: ჭეშმარიტი გამოთქმა ჯერარს, ფაქტებს „შეესატყვისებოდესო“; ამასთანავე, ამ გამოხატულებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს საზრისი, თუ ჩვენი გამოთქმების კორელატები რაღაც ნამდვილს წარმოადგენენ ჩვენი გამოთქმების საგანთა გვარში ანუ – „რაღაც არიან სამყაროში“. თუკი ფაქტებს, მითითებულისამებრ, განვასხვავებ გამოცდილების საგანთაგან, მაშინ უნდა დავეთანხმოთ სტროსონს: „ნივთები, პერსონები და ა.შ. რომლებთანაც მიმართებაშია მტკიცება – წარმოადგენენ მისი მიმართებითი ნაწილის კორელატს; თვისება ანდა საკუთრიობა რომელზეც ამბობენ რეფერენტი „ფლობსო“, (ე.ი. პრედიკატული განსაზღვრების ეკვივალენტი) არის *ფსევდომატერიალური*, რომელიც მისი აღწერითი ნაწილის კორელატია. თვითონ ფაქტი, რომელსაც მტკიცება „შეესატყვისება“ მტკიცების როგორც მთელის კორელატური ფსევდომატერიალურია“[2] ფაქტები მხოლოდ მოჩვენებით არიან გამოთქმათა საგნობრივი კორელატები, თუკი „საგნობრივის“ (მატერიალურის) მნიშვნელობა ხამს, გამოცდილების საგნებს სტატუსად დაუნარჩუნდეს.

ჭეშმარიტების შესატყვისობის თეორიის მიმართ ეს საყვედური დაიყვანება მისი თავისთავად წინააღმდეგობრიობის იმ ლოგიკურ საყვე-

---

[1] Pitcher, a.a.O., (s.o. Anm.4) S.38.

[2] იქვე, გვ. 37

დურზე, რომელიც უკვე პირსმა წამოაყენა.[1] თუ ჩვენ ტერმინ „სინამდვილეს“ ვერ ვანიჭებთ სხვა მნიშვნელობას, ვიდრე იმას, რაც გამოთქმებს ფაქტებთან აკავშირებს და თუ ჩვენ სამყარო ფაქტების ერთობლიობად გვესმის, მაშინ გამოთქმებსა და რეალობას შორის შესატყვისობის მიმართება მხოლოდ და მხოლოდ ისევ გამოთქმების საშუალებით განისაზღვრება. ამაოდ ცდილობს ჭეშმარიტების შესატყვისობის თეორია, გაიჭრას ენის ლოგიკური სფეროდან, – იმ ერთადერთი სფეროდან, რომელშიც შესაძლებელია მეტყველება-აქტების მნიშვნელობაზე პრეტენზიის ახსნა.

და მაინც ეს თეორია ერთ სწორ დაკვირვებას ემყარება. თუ გამოთქმები ფაქტებს „გადმოსცემენ“ და არ ეწევიან მათ მისტიცირებასა და გამოგონებას, მაშინ ეს ფაქტებიც, რაღაც აზრით, უნდა არსებობდნენ; და სწორედ ეს არის „ნამდვილი“ საგნების თვისება; – სწორედ გამოცდილების იმ საგნებისა, რომლებიც „რაღაც არიან სამყაროში“. აუცილებელია, გამოთქმები შეესატყვისებოდნენ ფაქტებს და არა ფაქტები – გამოთქმებს.

ეს სიძნელე ქრება როგორც კი გავიხსენებთ, რომ „ფაქტები“ ფაქტებად მხოლოდ და მხოლოდ დისკურსის კომუნიკაციის სფეროში გამოითქმებიან. ე.ი. – მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა თემა ხდება გამოთქმასთან დაკავშირებული მნიშვნელოვნების პრეტენზია. მოქმედების კონტექსტებში ჩვენი ინფორმირება ხდება. მართალია, ინფორმაცია ფაქტებს ეყრდნობა, მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ინფორმაციაზე ეჭვი მიაქვთ და ინფორმაციის შინაარსი სადისკურსოდ გააქვთ რაკი დაშვებულია შესაძლებლობა, რომ რაღაც შესაძლოა სწორი იყოს, რაღაც – სიმართლეს არ შეეფერებოდეს; ამ შემთხვევაში ლაპარაკია ფაქტებზე, რომელსაც (სულ ცოტა) ერთი პროპონენტი ამტკიცებს, ხოლო (სულ ცოტა) ერთი ოპონენტი უარყოფს.[2] „შუქნიშანი ყვითელს აჩვენებს“ ანდა „ვაშლი უკვე გაყვითლებულია“ ინფორმაციას (მოქმედებას შერწყმული გამოცდილების შეტყობინება) წარმოადგენს ქუჩაში მოძრაობისა თუ მწიფე ხილის ყიდვის მოქმედების კონტექსტში; *შეიძლება* ითქვას, რომ ესენი ფაქტები არიანო; მაგრამ ფაქტების შესახებ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როცა უბედური საგზაო შემთხვევის მერე *საქმის ვითარება* ირჩევა; დროის გარკვეულ მომენტში შუქნიშანი ყვითლად აჩვენებდა თუ არა; ხოლო როცა ვაშლის მოყვანის ექსპერიმენტზეა ლაპარაკი *საქმის ვითარების* გამოსარკვევად უნდა დადგინდეს ის, ვაშლი დროულად გაყვითლდა თუ არა. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი და იმავე გრამატიკული

---

[1] შეად. კ.ო.აპელის წინასიტყვაობა მის მიერვე გამოცემული წიგნიდან: Ch. S. Peirse: Schriften, Bd. 1. Frankfurt a. M. 1968.

[2] ამრიგად, ჰიპოთეტური აზროვნება შეიძლება „შინაგან დისკურსად“ გაიგოთ.

ფორმის მტკიცებებთან, მაგრამ კომუნიკაციის ერთ სფეროში იგი ერთ რამეს *ნიშნავს*, ხოლო მეორეში – სხვას. მოქმედების კონტექსტში მტკიცება საგანთა გამოცდილების თაობაზე ინფორმაციის როლს თამაშობს, ხოლო დისკურსში მას აქვს პრობლემატიზებული მნიშვნელოვნების პრეტენზიის გამოთქმის ფუნქცია. ერთგან, ერთი და იგივე მეტყველება-ქმედება გამოცდილებებს გამოხატავს, რომელიც ობიექტურნი ანდა პირწმინდად სუბიექტურნი არიან; მეორეგან – აზრს, რომელიც ჭეშმარიტია ან ყალბი. მოქმედების კონტექსტებში მე შესაძლოა, ეტყუედებოდე საგანთა გამოცდილებაში; დისკურსებში კი ჩემი გამოთქმებით მტკიცებული მნიშვნელოვნების პრეტენზიათა მართებულობა თუ არამართებულობა მეძლევა.

ფაქტები საქმის ვითარებიდან გამომდინარეობენ; საქმის ვითარებად გვესმის იმ მტკიცებათა პროპოზიციური შინაარსი, რომელთა ჭეშმარიტი შინაარსი პრობლემატიზებულია. როცა ვამბობთ ფაქტები არსებული საქმის ვითარებანი არიანო, საგანთა *არსებობას* კი არ ვგულისხმობთ, არამედ – პროპოზიციათა *ჭეშმარიტებას*, თუმცა ეუშვებთ ისეთი იდენტიფიცირებადი საგნების არსებობას, რომლებსაც პრედიკატებს მივაწერთ. არ შეიძლება „ფაქტის“ ანდა „საქმის ვითარების“ მნიშვნელობის განმარტება ისე, რომ არ დაეყრდნოთ დისკურსს, რომელშიც ჩვენ ვამოწმებთ მტკიცებათა დროებით გვერდზე გადადებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს (ფრეგეს „აზრები“). გამოცდილების საგანთა შესახებ *აზრები* არ არიან იგივენი, რაც – საგანთა *გამოცდილებები* ანდა აღქმები.

მართალია, არგუმენტაციის კონტექსტში შეიძლება გამოცდილებაზეც მოხდეს აპელირება. მაგრამ მაგ. ექსპერიმენტში გამოცდილების გამოყენება, თავის მხრივ, კვლავ იმ ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული, რომლებმაც თავიანთი მნიშვნელობა დისკურსში უნდა დაასაბუთონ. გამოცდილებები აფუძნებენ მტკიცებათა პრეტენზიას ჭეშმარიტებაზე; სანამ დისონანსურ გამოცდილებებს წავაწყდებოდეთ, ჩვენც მათ ვემყარებით ხოლმე. მაგრამ ჭეშმარიტებაზე პრეტენზია მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტის საშუალებით *დაკმაყოფილდება*. გამოცდილებაში ფესვგადგმული პრეტენზია ჯერ კიდევ არასგზით არ არის *საფუძვლიანი* პრეტენზია.

ჩვენი წინასწარი განაზრებების შედეგი შეიძლება სამ თეზისში შეჯამდეს, რომლებიც შემდგომ ეკსპლიკაციას საჭიროებენ.

თეზისი I. ჭეშმარიტებას ვუწოდებთ მნიშვნელოვნების პრეტენზიას, რომელსაც ვაკავშირებთ მდგენელ მეტყველება-ქმედებებთან. გამოთქმა ჭეშმარიტია, თუკი მართებულია მეტყველება-ქმედების ის მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომლითაც წინადადებების გამოყენების გზით, ამ გამოთქმას ვამტკიცებთ.

თეზისი II. ჭეშმარიტების საკითხები მხოლოდ და მხოლოდ მაშინ წამოიჭრება, როცა ხდება მოქმედების კონტექსტებში ნაიეურად დაშ-

ვებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა პრობლემატიზება. ამიტომ არის, რომ დისკურსებში – რომლებშიც უნდა გადამოწმდეს მნიშვნელოვნების ჰიპოთეტური პრეტენზიები – ზედმეტნი არ არიან გამონათქვამთა ჭეშმარიტების თაობაზე გამოთქმები.

თეზისი III. მოქმედებათა კონტექსტებში მტკიცებები გამოცდილების საგანთა თაობაზე ინფორმაციას იძლევიან, ხოლო დისკურსებში სადისკუსიოდაა გამოტანილი ფაქტების შესახებ გამოთქმები. ამრიგად, ჭეშმარიტების შესახებ შეკითხვები წამოიჭრებიან არა იმდენად მოქმედებას შერწყმული კოგნიციის შინასამყარული კორელატის კუთხით, რამდენადაც – ფაქტებისა, რომლებიც გამოცდილებისგან თავისუფალსა და მოქმედებისგან დაცლილ დისკურსებს მორჩილებენ. საქმის ვითარება ნამდვილად არის თუ არა ამადამგვარად, ამას გამოცდილებათა ევიდენტობა კი არ წყვეტს, არამედ – კამათის მიმდინარეობა. ჭეშმარიტების იდეა მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა დისკურსულ დაკმაყოფილებაზე დაყრდნობით გაიშლება. ამ თეზისებიდან მინდა, რამდენიმე წინასწარი დასკვნა გავაკეთო, რომლებიც ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორიაზე მიანიშნებენ.[1]

ინფორმაციებზე ვამბობთ, უტყუარი (ანდა საეჭვო) არიანო; ინფორმაციის უტყუარობა გაიზომება იმ ალბათობით, რომლითაც გამართლდება ამ ინფორმაციიდან გამომდინარე ქცევის მოლოდინები (მოქმედებათა კონტექსტებში). შესატყვისობის თეორიის დახმარებით იქნებ შევიძლოთ კიდეც კოგნიციასა და გამოცდილების საგნებს შორის პრაგმატული ურთიერთობის ცხადყოფა (მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ გამოცდილების ობიექტურობა მისიეე შესაძლებლობის საყოველთაო სუბიექტურ პირობებს ეფუძნება). ჭეშმარიტება კი, საპირისპიროდ ამისა, ინფორმაციის თვისება კი არაა, არამედ – გამოთქმისა. იგი გაიზომება არა პროგნოზის ახდენის ალბათობებით, არამედ ერთმნიშვნელოვანი ალტერნატივით: მტკიცებათა მნიშვნელოვნების პრეტენზია ან დაკმაყოფილდება დისკურსულად ანდა არა. ჭეშმარიტს ისეთ გამოთქმებს ვუწოდებთ, რომელთა დაფუძნებაც შეგვიძლია. ჭეშმარიტების საზრისი, რომელიც მტკიცებათა პრაგმატიკაში იგულისხმება მხოლოდ მაშინ იძლევა თავისი თავის დამაკმაყოფილებელი განმარტების საშუალებას, როცა გვეცოდინება თუ რას ნიშნავს გამოცდი-

---

[1] ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორიას მე განვიხილავ საზოგადოების თეორიის ნორმატიულ საფუძველსა და საზოგადოდ ეთიკის დაფუძნების პრობლემასთან კავშირში. ამ განზრახვებში იმ ფილოსოფიურ ძალისხმევათა მიმართებანი იჩენენ თავს, რაც ვალტერ შულცმა განახორციელა შრომაში: ფილოსოფია სახეცვლილ სამყაროში, ფიულინგენი, 1972წ., შად. აგრეთვე ადრეული შრომები: ახალი 17. გზები და მიზნები ფილოსოფიაში, In: Universitas 17(1962) H. 10 ders.: სინამდვილის ცნების ცვალებადობანი, In: Universitas 20 (1965), H. 6.

ლებით დაფუძნებული მნიშვნელოვნებათა პრეტენზიების „დისკურსული დაკმაყოფილება.“ სწორედ ეს არის ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორიის მიზანი.

ამ თვალსაზრისის თანახმად მევალება (პრედიკატული წინადადებების დახმარებით) საგანს მაშინ მივანიჭო პრედიკატი, თუ ყველა სხვა, ვინც კი საუბარში *ჩაერთვებოდა* იმავე საგანს იმავე პრედიკატს *მიაწერდა.* ჭეშმარიტი გამოთქმების ყალბთაგან განსასხვავებლად მსჯელობით შეედივარ კავშირში ყველასთან ვინც კი ჩემთან საუბარში ჩაერთვებოდა, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო (ამასთანავე ფაქტობრივი ვითარების საწინააღმდეგოდ მოვიცავ ყველა თანამოსაუბრეს, თითქოსდა ჩემი სიცოცხლის ისტორია ადამიანთა სამყაროს თანატოლი ყოფილიყოს). გამოთქმის ჭეშმარიტების წინაპირობა არის ყველა დანარჩენის თანხმობა. თითოეული სხვა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მე საგანს მართებულად მივაწერე პრედიკატი და ამის თანხმობას მაძლევენ. პროპოზიციის ჭეშმარიტება ნიშნავს შეპირებას იმისას, რომ ნათქვამზე გონივრული კონსენსუსი *მიიღწევა*..

II მნიშვნელოვნების პრეტენზიები და უტყუარობის განცდები

ფილოსოფიურ ტრადიციაში „ჭეშმარიტებას“ ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ის, რასაც აქამდე ეკსპლიცირებული გამოთქმის ჭეშმარიტება ფლობდა. ეს სიტყვა ხშირად „გონივრულობის“ ტოლფარდი მნიშვნელობით გამოიყენებოდა. მაგრამ *გონივრულს* მარტო მტკიცებებს კი არ ვუწოდებთ, არამედ მეტყველება-ქმედებების სხვა კლასებსაც; გარკვეულ პირობებში გონივრულიაო ნორმებზეც, მოქმედებებსა და პერსონებზეც კი ვამბობთ. მე მინდა, დავიცვა თვალსაზრისი, რომ სულ ცოტა, ოთხი კლასი არსებობს თანაბარძირეული მნიშვნელოვნების პრეტენზიებისა – სახელდობრ, გასაგებობა, ჭეშმარიტება, სისწორე და გულწრფელობა –, რომელთა ურთიერთშეკავშირებულობა წარმოადგენს იმას, რასაც შეგვიძლია გონიერება ვუწოდოთ. თავდაპირველად ამ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა დიფერენციაციას მოვახდენ და გამოვკვეთ იმ ინტენციებსა და უტყუარობის განცდებს, რომლებიც ყოველთვის მათთან შესატყვისობაში არიან, რათა ვაჩვენო, რომ ჩვენ არამარტო მტკიცებებს, არამედ ნორმებსაც ვუკავშირებთ ხოლმე დისკურსულად დასაკმაყოფილებელ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს. ერთნი თეორიულ დისკურსებში მოწმდებიან, მეორენი –პრაქტიკულში. ამიტომ ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორია არა მარტო გამოთქმათა ჭეშმარიტებაზე, არამედ აღქმებისა თუ შეფასებების სისწორეზეც გავრცელდება. სხვათა შორის, მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ტაბულა იმაში გა-

მოვეადგება, რომ განვიმარტოს პრობლემატური ჭეშმარიტების თეორიების განხორციელება (იხ. III ნაკვეთი).

ა) მოფუნქციე ენის თამაშს, რომელშიც კოორდინირებული მეტყველება-ქმედებების გაცვლა-გამოცვლა ხდება თანასდევს „კონსენსუსის ფონი". ეს კონსენსუსი მდგომარეობს, სულ ცოტა, ოთხი მნიშვნელოვნების პრეტენზიის ურთიერთაღიარებაში, რომლებსაც თავიანთი მეტყველება-ქმედებებით ერთმანეთს წაუყენებენ კომპეტენტური მოსაუბრენი; პრეტენზია გამოითქმება გამოთქმის გასაგებობაზე, პროპოზიციონალური შემადგენელი ნაწილების ჭეშმარიტებაზე, მათი პერფორმაციული შემადგენელი ნაწილების სისწორესა და მოლაპარაკის გამოხატული ზრახვების გულწრფელობაზე (არასტრატეგიული ე.ი. ურთიერთგაგებაზე გამიზნული). კომუნიკაცია შეფერხების გარეშე მიმდინარეობს მაშინ და მხოლოდ მაშინ („შეთამაშებული" კონსენსუსის საფუძველზე), როცა მოლაპარაკე (მოქმედი) სუბიექტები.

ა) გასაგებად გამოხატავენ როგორც ინტერპერსონული დამოკიდებულებების საზრისს (რომელიც პერფორმაციული წინადადების ფორმით გამოისახება), ისე მათი პროპოზიციური შედგენილობების საზრისსაც;

ბ) აღიარებენ მეტყველება-ქმედებით გაკეთებული გამოთქმის ჭეშმარიტებას (შესაბამისად–მასში მოხსენიებული პროპოზიციური შედგენილობების არსებობის წინასწარგულისხმობებს);

გ) აღიარებენ სისწორეს ნორმისას, რომლის შესრულებადაც ყოველთვის უნდა ითვლებოდეს განხორციელებული მეტყველება-ქმედება;

დ) ეჭვი არ შეაქვთ მონაწილე სუბიექტების გულწრფელობაში;

მაგრამ ამ ოთხი მნიშვნელოვნების პრეტენზიის თემატიზება მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ენის თამაშის ფუნქციონირება ფერხდება და კონსენსუსის ფონი იშლება. მერე თავს იჩენენ ტიპიური შეკითხვები და პასუხები; ისინი კომუნიკაციური პრაქტიკის ნორმალურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. თუ გამოთქმის *გასაგებობაა* პრობლემატური, ამ ტიპის შეკითხვას ვსვამთ: რას გულისხმობ? როგორ უნდა გავიგო ეს? რას ნიშნავს ეს? ამ შეკითხვებზე პასუხებს ჩვენ *განმარტებებს* ვეძახით. თუ პრობლემატურია პროპოზიციური შინაარსის *ჭეშმარიტება*, მაშინ ამ ტიპის კითხვები წამოიჭრება: მართლა ისეა როგორც შენ ამბობ? რატომაა ასე და არა სხვაგვარად? ამ კითხვებზე ჩვენ მტკიცებებითა და *ახსნა-განმარტებებით* ვპასუხობთ. თუ პრობლემატურია ნორმის სისწორე, რომელიც საფუძვლად უდევს მეტყველება-აქტს, ასეთ შეკითხვებს ვაყენებთ: რატომ ქენი ეს? რატომ სხვაგვარად არ მოიქეცი? რა უფლება გქონდა ეს გექნა? განა სხვაგვარი მოქცევა არ გმართებდა? ამ კითხვებზე *თავის მართლებებით* ვპასუხობთ. დაბოლოს, თუ ინტერაქციის კონტექსტში ეჭვი შემაქვს პარტნიორის *გულწრფელობაში*, მაშინ გვიჩნდება ამ ტიპის შეკითხვები: ხომ არ მატყუებს? ხომ არ ტყუვდება? მაგრამ ამ კითხვებით თვითონ ეჭვმიტანილს კი არ

მივმართავთ, არამედ მესამეს. საჭიროების შემთხვევაში ეჭვმიტანილი შეიძლება, ასე ვთქვათ, სასამართლო წესით „დაიკითხოს“ ანდა ანალიტური საუბრით „აზრზე იქნას მოყვანილი“.

ოთხივე მნიშვნელოვნების პრეტენზია არ არის დისკურსულ დაკმაყოფილებაზე გამიზნული. გულრწფელობის პრეტენზიების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მოქმედების კონტექსტებში. ექიმსა და პაციენტს შორის ანალიტიკური საუბარი, თუ ექიმის მიერ პაციენტის დაკითხვა არ შეიძლება ჩაითვალოს დისკურსულად იმ აზრით, რომ აქ ხდებოდეს ჭეშმარიტების ერთობლივი ძიება. ვინმე თავის ზრახვებს გულრწფელად გამოთქვამს თუ მისი გამომჟღავნებული გამოხატულებანი, უბრალოდ, ნიღბავენ მის ნამდვილ ზრახვებს (და სინამდვილეში სტრატეგიულად იქცევა), ეს მის მოქმედებებში გამოაშკარავდება. ოღონდ საჭიროა, რომ ინტერაქცია საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდეს. ამიტომ მე მინდა „გულწრფელობა“, როგორც არადისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზია განვასხვავო „ჭეშმარიტებისა“ და „სისწორის“ დისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზიებიდან. სხვანაირად არის „სისწორის“ დისკურსული მნიშვნელოვნების გასაგებობაზე პრეტენზიის საქმე. თუ ენის ფორმირების ის წესები, რომლებსაც ერთი პარტნიორი იყენებს მეორისთვის, ისე ბუნდოვანია, რომ მას არ ესმის გამოთქმული წინადადებები (სემანტიკურ, გრამატიკულსა და ფონეტიკურ სიბრტყეზეც კი), მაშინ მათ უნდა სცადონ იმ ენის თაობაზე შეთანხმება, რომლის გამოყენებაც სურთ. ამდენად გასაგებობა შეიძლებოდა დისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზიად შეგვერაცხა. მაგრამ განსხვავება ცხადზე ცხადია; ჭეშმარიტებისა და სისწორის პრეტენზიები ყოველდღიურ მეტყველებასა და ინტერაქციაში ისეთ *პრეტენზიებად* ფუნქციონირებენ, რომლებიც გაგებულნი არიან იმ შესაძლებლობის კუთხით, რომ საჭიროების შემთხვევაში *შეიძლება* მათი დისკურსული ასრულება. გასაგებობა კი პირიქით, ვიდრე კომუნიკაცია შეუფერხებლად მიმდინარეობს, იგი ფაქტობრივად უკვე შესრულებულ პრეტენზიას წარმოადგენს; იგი არ არის უბრალოდ შეპირება. ამრიგად, მინდა *გასაგებობა* კომუნიკაციის პირობებში შევიტანო და არა – კომუნიკაციაში წამოყენებულ დისკურსულსა თუ არადისკურსულ მნიშვნელოვნების პრეტენზიებში.

მინდა, მნიშვნელოვნების პრეტენზიებს მათი შესატყვისი ზრახვები და უტყუარობის განცდები შევუხამო, რათა ზუსტად განვსაზღვრო განსაკუთრებული ადგილი ორთავე მნიშვნელოვნების პრეტენზიისა, რომლებიც დისკურსულად არის შესრულებადი და ამიტომ ორივე თანაბარმნიშვნელოვანია ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორიისათვის.

2) სუბიექტი, მნიშვნელოვნების პრეტენზიას რომ აღიარებს, გარკვეული ჩანაფიქრით ხელმძღვანელობს. ბანალური „გაგებით." ჩანაფიქრი* არის წესების მიხედვით შექმნილი სიმბოლური გამოსახულება, თუკი საერთოდ შესრულებულია გასაგებობა როგორც კომუნიკაციის პირობა. ვინც მტკიცების ჭეშმარიტების პრეტენზიას აყენებს, მან რაღაც „იცის" გამოცდილების საგნის (ან ფაქტის) შესახებ. იგი „დარწმუნებულია ნორმის სისწორესა და შესაბამისად, სათანადობაში, როცა აღიარებს ნორმის ამორჩევაზე შესაბამისი რეკომენდაციების მნიშვნელოვნების პრეტენზიას. დაბოლოს, პერსონას „სჯერა" იმისი, ვისაც თავის თვითგამოხატვებში გულწრფელად მიიჩნევს. უტყუარობის განცდა, არასპეციფიკური გაგებით, ყველა ჩანაფიქრს ერწყმის. თუ მე რაღაც მესმის ანდა რაღაც ვიცი, თუ მე რაღაც მართებულად მიმაჩნია ანდა ვინმეს ვენდობი ე.ი. მე უტყუარობანი მქონია და თანაც ისეთნი, რომლებიც ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდებიან.

უტყუარობის განცდები მნიშვნელოვნების პრეტენზიებისაგან თავიანთი ინტერსუბიექტურობით განსხვავდებიან; შეუძლებელია გონივრულად ამტკიცო ის, რომ გამოთქმა მხოლოდ ერთი გარკვეული ინდივიდუმისთვის არისო ჭეშმარიტი; – რომ პერსონა თავს თვითგამოხატულებებში მხოლოდ რამდენიმე ინდივიდისთვის არისო გულწრფელი. აღქმის უტყუარობა – რომელიც საზოგადოდ უტყუარობათა პარადიგმაა —, პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ აღქმქმელი სუბიექტისთვის არსებობს და სხვა არავისთვის. თუმცა მრავალ სუბიექტს შეუძლია გაზიარება გარკვეული აღქმისა, რომელიც მათ განახორციელეს; მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, მათ ეს გამოთქვან ანუ ყველამ ერთი და იგივე მტკიცება გამოიყენოს. მნიშვნელოვნების პრეტენზიას მე ვიტყობინები, როგორც ისეთ რამეს, რისი ინტერსუბიექტური გადამოწმება შეიძლება; მაშინ, როცა უტყუარობა შემიძლია გამოვთქვა, როგორც სუბიექტური რაღაც, თუმც კი იგი შეიძლება, დისონანსური მნიშვნელოვნების პრეტენზიაში ეჭვის შეტანის საბაბი გახდეს. მნიშვნელოვნების პრეტეზიას ვაყენებ, ხოლო უტყუარობა მაქვს.

ეს განსხვავება იმ გარემოების გამოა მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ეს ორი დისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზია (ჭეშმარიტება და სისწორე) მხოლოდ გაშუალებულად არის გამოცდილებაში ფუნდირებული.

---

* ზრახვა – მთარგ. შენიშვნა

სურ 5. მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ტაბულა

კომუნიკაციის პირობა		მნიშვნელოვნების პრეტენზიები		შესატყვისი ზრახვები	უტყუარობის განცდა	გამოცდილების საფუძველი
		არადისკურსული	დისკურსული			
გასაგებობა				რაღაცის გაგება	არაგრძნობადი უტყუარობა	ნიშნის აღქმა
	გულწრფელობა			ეინმეს ნდობა	რწმენის უტყუარობა	პერსონისა და მისი გამოთქმების ინტერაქციული გამოცდილებანი
			სისწორე	რაღაცაში დარწმუნებულობა	X	არა უშუალო
			(გამოთქმის) ჭეშმარიტება	რაღაცის ცოდნა	X	არა უშუალო
			↑ X- —	რაღაცის ხედვა, აღქმა	გრძნობადი უტყუარობა	ნიეთის, ხდომილების აღქმა

მესმოდეს სიმბოლური საგანი იმას ნიშნავს, რომ მომიპოვებია წესის კომპეტენცია, რომელიც ნებას მაძლევს, საჭიროების შემთხვევაში მიბაძულობით დავადგინო, ეს გამოსახულება სწორად არის შექმნილი თუ არა. უტყუარობის განცდა, რომელიც გაგების ამგვარ აქტს თანსდევს ან იმდენადაა თავისთავად ცხადი, რომ იგი თვალში არ გვხვდება როგორც რაღაც განსაკუთრებული მომენტი (მაგ. დედაენის რუტინული გამოთქმები), ანდა მათვალსაჩინოებელი ინტუიციის (როგორც არის მაგ. მარტივი მათემატიკური დებულებების შემთხვევაში) რანგშია აყვანილი. უტყუარობის მომგვრელი ძალა გაგების ორივე შემთხვევაში იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ სიმბოლურ საგანს, რომელიც გვესმის ან ჩვენ თვითონვე ვქმნით გენერაციული წესების მიხედვით ანდა, სულ ცოტა, ორიგინალის მიხედვით ხელახლა ვაკონსტიტუირებთ და შესაქმის ამ გამჭვირვალე ისტორიის საფუძველზე ვახორციელებთ მის გაგებას.

ამ პროცესში იმდენადაა ჩაბმული გამოცდილება რამდენადაც სიმბოლოს გაგება უშუალოდ ნიშნის აღქმას ემყარება. ნიშნის აღქმაზე დამოკიდებულ გაგების აქტს თან ახლავს იმ სახის უტყუარობის განცდა, რომელსაც მინდა არაგრძნობადი უტყუარობა ვუწოდო.

სხვანაირად არის ნდობის საქმე, რითაც მე პერსონის გულწრფელობის მიმართ ვიმსჭვალები. პერსონის მწამდეს, იმას ნიშნავს, რომ გამოვრიცხავ, იგი იმასვე არ ფიქრობდეს, რასაც ამბობს. უტყუარობის განცდა, რომელიც პერსონისადმი ნდობის ამგვარი აქტის თანამდევია, იმ ინტერაქციათა ნაწყალობევია, რომელშიც მე გამოვცადე ხსენებული პერსონის გულწრფელობა. რწმენის უტყუარობა, როგორც მინდა, ვუწოდო უტყუარობის განცდის ამ ტიპს, დამოკიდებულია კომუნიკაციურ გამოცდილებებზე; ამიტომ არის, რომ გულწრფელობის პრეტენზიათა შესრულება ანდა „დასაბუთება"[1] შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ინტერაქციებში. ამასთანავე, აქ არანაირ როლს არ თამაშობს ეჭვი ტყუილის მიმართ არსებობს თუ თავის მოტყუებისა.

არაგრძნობადი უტყუარობა და რწმენის უტყუარობა ტიპიურად განსხვავდებიან იმ გრძნობადი უტყუარობიდან, რომელიც უშუალოდ ერწყმის აღქმებს. რაღაცის აღქმა ნიშნავს იმას, რომ აღქმულ ნივთებსა და ხდომილებებში ეჭვს ვერ შეიტან. ხედვის აქტი გაერთიანებულია ხედვის უტყუარობასა და იმასთან, რასაც ვხედავო, ამის თქმა უკვე რაღაც აბსურდულია. მე ბუნებრივია „ვიცი", რომ მოგვიანებით აღქმა შეიძლება ტყუილი გამოდგეს; მაგრამ აღქმის პრობლემატიზება მხოლოდ მას მერე შეიძლება, რაც იგი უკვე მოხდა. საპირისპიროდ ამისა რწმე-

---

[1] ის, ვინც მოწმის ჩვენებებს იძლევა, ირიბად გამოხატავს რწმენის უტყუარობას. ამ აზრით, კირკეგორს მიაჩნია, რომ ქრისტიანული რწმენის უტყუარობა ქრისტეს თანამედროვეთა მოწმობაზეა დაფუძნებული.

ნის უტყუარობა per se წარსულ გამოცდილებებს ეფუძნება და ამიტომ რწმენის აქტში არ გამორიცხავს ცდომილების შესაძლებლობას, ისე როგორც ის გამორიცხულია გრძნობად აღქმებში გრძნობადი უტყუარობისას. არაგრძნობადი უტყუარობა, რომელსაც გაგების აქტებს ვაბამთ ხოლმე, პირიქით, მოგვიანებით აღმოჩენილი ცდომილების მიმართ იმუნიტეტის შესაძლებლობითაც კი ხასიათდება. თუ მე მოგვიანებით ვხედები, რომ რაღაც ვერ გამიგია ანდა არასწორად გამიგია, ეს იმას ნიშნავს, რომ რაც გამიგია— თუკი საერთოდ რაიმე გამიგია– შეიძლება ისიც სიყალბე იყოს; ასეთ შემთხვევაში სრულიად სხვა რაღაც მაქვს გაგებული. შეცდომა საგნის იდენტიფიკაციის სიბრტყეზე ძევს და არა – თვითონ (თუნდაც ყალბად გაგებული) საგნის გაგებისა.

გრძნობად უტყუარობას უტყუარობის სხვა ტიპებისგან ის გარემოება გამოარჩევს, რომ განცდა, რომელსაც აქვს უტყუარობის მომგვრელი უნარი, არ შეგვიძლია შევუხამოთ არც ერთ მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიას; რი.ცა რაღაცას ვიგებ ანდა ვინმესი მჯერა, მაშინ გასაგებობაზე გამოთქმის მნიშვნელოვნების პრეტენზიას ანდა გამოთქმული პერსონის გულწრფელობას ვესატყვისები; მაგრამ როცა რაღაცას ვხედავ, რაღაც მესმის, რაღაცას ვყნოსავ, გემოს ვუსინჯავ, ამ დროს მნიშვნელობაზე არანაირ პრეტენზიას არ შეეზომები. მართალია, რაც აღმიქვამს იგი შემიძლია, ვამტკიცო კიდეც, მაგრამ მაშინ მე ვაყენებ მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიას, რომელსაც მუდამ ვურთავ ხოლმე მტკიცებებს და არა – იმას, რომ აღქმა იყოს ის, რაც ის არის; სახელდობრ – აღქმა, რომელიც მე, აღქმქმელ სუბიექტს გრძნობად უტყუარობას მანიჭებს. აღქმები, რომლებიც გრძნობადად უტყუარნი არიან, წარმოადგენენ ისეთ აქტებს, რომლებსაც „გაგების," „რწმენის", „აღიარებისა" და „ცოდნის" აქტებისგან განსხვავებით უშუალოდ არ შეესატყვისება მნიშვნელოვნების პრეტენზია.[16]

მეორე მხრივ, არსებობენ ისეთი მნიშვნელოვნების პრეტენზიები, რომელთა შესაბამის ინტენციებს თან არა სდევენ ნიშნეული უტყუარობის განცდები ისე, როგორც ისინი ახლავან გაგებისა და რწმენის აქტებს. როცა რაიმე საქმე ვიცი ანდა დარწმუნებული ვარ რაიმე დებულებაში, მაშინ იმგვარი უტყუარობა როდი მაქვს, როგორაც შესაძლოა დარწმუნებული ვიყო გამოთქმის გასაგებობასა ანდა პერსონის (თუნდაც აღქმის) სიწრფელეში. ყველაზე სარწმუნო ცოდნა და მტკიცე დაჯერებულობაც კი მხოლოდ და მხოლოდ ისეთ საფუძვლებს ემყარებიან, რომელთა დასაცავად ყოველი ღონე უნდა ვიხმარო, რათა შესიტყვებებს

---

[16]. რა თქმა უნდა, „გრძნობადი შეტყობინება" შეეხამება „გამოცდილების ობიექტურობას."; მაგრამ ამ შემთხვევაში იგი არ უნდა აგვერიოს „პროპოზიციათა ჭეშმარიტებაში" ანუ – დისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზიაში. შეად. ქვემოთ ნაკეთი V 12.

ძალა გამოვაცალო. ცოდნასა და მრწამსს ძალას ანიჭებენ დაფუძნებები, რომლებიც განვახორციელე ანდა შემიძლია განვახორციელო (ანდა სულ ცოტა, მგონია, რომ შევძლებ განვახორციელო). ეს „უტყუარობანი" უშუალოდ არგუმენტაციებს ეყრდნობიან და არა გამოცდილებას, თუმცა კამათში, როგორც წესი, ემპირული აღქმის მსჯელობები, და შესაბამისად, დაკვირვების წინადადებები ებმებიან. გრძნობად უტყუარობას, ადვილი შესაძლებელია, არაპირდაპირი ცოდნაც ემყარებოდეს და აღიარებული ჭეშმარიტების პრეტენზიაც. ზუსტად ასევეა შესაძლებელი, რომ დაჯერებულობა და სისწორის პრეტენზია რწმენის უტყუარობას ეყრდნობოდნენ (სახელდობრ – პრაქტიკული დისკურსის მონაწილის დარწმუნებულობას იმაში, რომ იგი არ ტყუვდებოდა, როცა თავისი მოთხოვნილებების განსაზღვრულ ინტერპრეტაციებს მართებულად მიიჩნევს). რწმენისა და დაჯერებულობის აქტები, რომლებიც გამოხატავენ ჭეშმარიტებისა და სისწორის პრეტენზიები, რანიც დისკურსულად შესრულებადნი არიან, როგორც ვთქვით, მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილებას ეფუძნებიან. მათ თან ახლავს „უტყუარობის განცდის" ისეთი ტიპი, რომელიც თავის არსებობას მხოლოდ და მხოლოდ უმჯობესი არგუმენტის თავისებური არაძალადობრივი იძულების გამოცდილებას უმადლის. საზოგადოდ რაც ნაკლებად მოვიხსენიებთ გამოცდილებად ამ ტიპის გამოცდილებას, მით უფრო დაშორებულია ზემოხსენებული უტყუარობა გრძნობადი უტყუარობის პარადიგმატული ფორმისაგან, რომელიც ყოველთვის რაღაცას უშუალოს გამოთქვამს.

3) თუ სისწორე ჭეშმარიტებასთან ერთად შეიძლება დახასიათდეს დისკურსული გზით შესრულებად მნიშვნელოვნების პრეტენზიად, მაშინ აქედან ის გამომდინარეობს, რომ ასეთნაირადვეა შესაძლებელი სწორი ნორმების დაფუძნება ჭეშმარიტ გამონათქვამებად. სხვათა შორის, ფილოსოფიურ ტრადიციაში ორი გაგება უპირისპირდება ერთმანეთს. ერთი მათგანი განხორციელებული იქნა კლასიკურ ბუნებრივ სამართალში და გვეუბნება, რომ ნორმატიული გამოთქმები იმავე აზრით არიან ჭეშმარიტებაშემძლენი რა აზრითაც – დესკრიპციული გამონათქვამები. მეორე მათგანი ნორმალიზმსა და ემპირიზმთან ერთად დღეისთვის გაბატონებულ თვალსაზრისს წარმოადგენს და გვიჩვენებს, რომ ნორმატიული გამოთქმები საერთოდაც არ არიან ჭეშმარიტებაუნარიანნი. მიმაჩნია, რომ ორივე ვერსია ყალბ ვარაუდებს ეფუძნება. მე მგონია, მნიშვნელობის იმ პრეტენზიის უფლებამოსილება, რომელსაც შეიცავენ მოქმედების იქნება თუ შეფასების ნორმათა რეკომენდაციები, ისევე შეიძლება დისკურსულად შემოწმდეს როგორც მტკიცებაში ნაგულისხმები უფლებამოსილება.[1] მაგრამ სწორი მოთხოვნებისა და შეფასებების დაფუძნება არგუმენტაციის ფორმით განსხვავდება ჭეშმარიტი გამოთქმ-

[1] შეად. პრაქტიკული საკითხების ჭეშმარიტების უნარიანობა. In: J.Habermas: Legitimationsprobleme im Spätkapitalismus. Frankfurt a. M.1973.

ების დაფუძნებისგან. პრაქტიკულ დისკურსში მოცემული ლოგიკური პირობები, რომელშიც შეიძლება მიიღწეს რაციონალურად მოტივირებული კონსენსუსი, განსხვავდება თეორიულ დისკურსში მოცემული ლოგიკური პირობებიდან.[1] ამ კონტექსტში მინდა, გავასაჩივრო რამდე-

---

[1] პრაქტიკული დისკურსის ლოგიკა აუცილებელია ენის უნივერსალური ეთიკის დასაფუძნებლად, რამდენადაც იგი მოსახავს გონიერი მეტყველების ძირითად ნორმებს, როგორც მათი გამართლების შესაძლებლობის უნივერსალურ პრაგმატულ პირობებს. ამით იმას როდი ვამტკიცებ, თითქოს ხსენებული ამოცანის გადასაჭრელად საკმარისი იყოს ამგვარი დისკურსის ლოგიკა. ვ.შულცი სამართლიანად მოიქცა, როცა „ეთიკის ინსტანციად" არა მარტო გონება, არამედ თანალმობა შემოიტანა (W. Schulz, Philosophie in der veränderten Welt, Pfullingen 1972.S.748ff.) თანალმობის უნივერსალურობა შეიძლება გამართლებული იქნას როგორც ეთიკური სუფემაქსიმა, თუ თანალმობას ინტერსუბიექტურობის იმ საყოველთაო სტრუქტურების დარღვევაზე რეაქციად გავიგებთ, რომლებშიც ხდება მე-ს დაცვამსაჭიროებელი იდენტობის სტაბილიზება. თანალმობა, არა როგორც ფილოსოფიური, არამედ როგორც ეთიკური კატეგორია, გამოწვეულია მე-ს ხელშეუვალობის ე.ი. ადამიანური ღირსების სიმბოლური სტრუქტურის დარღვევით; ხოლო არაპირდაპირ – სიცოცხლის ხელშეუვალობის შელახვით; ამდენად თანალმობა ზუსტად ესაბამება მორალურად ბოროტის შულცის მიერ განმარტებულ ცნებას: ფიხტეს ერთ-ერთი უღრმეს მიხვედრილობათაგანია ის, რომ აბსტრაქტულ-თეორიულად მე, როგორც თვითცნობიერ მე-ს ისევე შემიძლია სხვისი უგულვებელყოფა როგორც – ობიექტური სამყაროს; – რომ მხოლოდ და მხოლოდ მორალური ასპექტი მიშლის ხელს ასეთი განადგურების ჩადენაში, რაკი ჩემგან მოითხოვს სხვისგან განკერძოებას და მის აღიარებას. აქ ძალიან ნათლად ჩანს მე-ს, დიალექტიკური სტრუქტურა. მე, როგორც თვითცნობიერება იძლევა შესაძლებლობას, სხვისი განადგურებისა და ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ მე-ვე შეიძლება იყოს ის, ვინც როგორც მორალური ცნობიერება ხელს იღებს ამგვარ შესაძლებლობაზე. ყველა ეთიკა ეფუძნება თვითდისციპლინას, ე.ი. ეგოიზმის წინააღმდეგ ჩემს მიერვე მიღებულ კონტროლონისძიებას. სიაკის როგორც უმიზნო პირწმინდა ნეგაციის ამ სახის გათვალისწინებით არსობრივად უნდა იქნას გამაკცრებული გამოთქმა, რომ სხვასთან დამოკიდებულების რღვევის შესაძლებლობას მეობრიობა ააშკარავებს; კერძოდ კი – მე-ს დიფერენციერებული ანალიზის საშუალებით. რადგან და რამდენადაც მე **შინგანად** გადაგვარდება, მას შეუძლია შერყვნას სხვასთან დამოკიდებულება მისი წამების, აბუჩად აგდებისა და ღირსების აყრის ფორმით. კანტმა, სულ ცოტა, ამ დიალექტიკური ურთიერთმიმართების კონტურები დაინახა. რელიგიაზე თავისი ტრაქტატის სახელგანთქმულ ნაკეთში, რომელიც აბსოლუტურად ბოროტს ეხება. იგი განმარტავს, რომ ბოროტი არა თუ ლტოლვებსა და გრძნობად ობიექტში, არამედ ბოროტეულ გონებაშიც არა ძევს; ბოროტის სათავე ისაა, რომ ადამიანი თვითონვე აყრავებს თავის შინაგან წესრიგს: თავისთავზე შეყვარებულობის მამოძრავებელ ძალას იგი მორალურ კანონზე მაღლა აყენებს და მის პირობად აქცევს. მხოლოდ ჩემი ამნაირი შერყვნა შობს „გულის სიმახინჯეს", ანუ ბოროტს, რომელსაც მერე სხვაზე მივმართავ" (უკვე ციტ. ნაშრ. გვ.745) ბოროტების ამ ინტერპრეტაციის საფუძველი (რომელმაც შემდგომ დამუშავება განიცადა შელინგის გვიანდელ ფილოსოფიაში) მშვენიერი და ორიგინალური განმარტებაა ფიხტეს წერილისა „ადამიანის დანიშნულებაზე", რომელსაც თუ მართებულია ჩემი ხედვა, ცენტრალური სისტემური ადგილფასეულობა აქვს შულცის საკუთარი არგუმენტაციის მსელელობისთვისაც (ციტ. შრ. გვ. 328 და შემდგომ)

ნიმე განსხვავება, რომლებიც მომდინარეობენ კულტურასა და ბუნებას შორის ურთიერთმიმართებიდან. „კულტურას“ ჩვენ ვუწოდებთ სინამდვილის ენობრივად სტრუქტურირებულ სფეროს. მის პირისპირ ჩვენ შეგვიძლია, დავიკავოთ თანამონაწილისა და დამკვირვებლის ორკეცი პოზიცია. კულტურა შედგება გამოსახულებებისგან (გამოსახულებათა ნალექებისაგან), რომლებსაც წესების მიხედვით ქმნიან ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტები (ანდა წინა თაობების მიერ შექმნილან). რადგან ყველა ეს გამოსახულება წინასწარ გულისხმობს მნიშვნელოვნების პრეტენზიებს, ამიტომ კულტურად წოდებული სინამდვილის სფერო მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ფაქტიურობას ემყარება. ჩვენეული განმარტების მიზნიდან გამომდინარე მსურს, შემოვიფარგლო კულტურის იმ დარგით, რომელიც განსაზღვრულია მოქმედების ნორმათა მეშვეობით. საზოგადოებრივი ინსტიტუტები მოქმედ სუბიექტებს უყენებენ ნორმატიული მნიშვნელოვნების მოთხოვნას, მაგრამ ეს მნიშვნელოვნება პირველად არ იქმნება იმ სუბიექტების ცალკეული მოქმედებებით, რომლებიც ყოველ კერძო შემთხვევაში ნორმებს იცავენ.[1]

მდგენელი მეტყველებაქმედების მნიშვნელოვნების პრეტენზია შესაკუთრებულია გამოცდილების საგნებსა და ფაქტებთან, ხოლო მიღებული ნორმის მნიშვნელოვნების პრეტენზია თვითონ არის გამოცდილების საგანი ანდა ფაქტი. ამიტომ შეგვიძლია, ვილაპარაკოთ „ექსისტირებულ ნორმებზე“. ნორმატიული მნიშვნელობა ნორმათა არსებობის წესია. ისინი გამოითქმებიან უნდა წინადადებებით; მოცემულ სიტუაციებში უნდა (ანუ მოგეთხოვება) განახორციელო X მოქმედება (ან მისგან თავი უნდა შეიკავო). მოდალური ოპერატორი „ეს აკრძალულია“ სოციალური სისტემის წევრისთვის იმავე როლს თამაშობს, რასაც არსებობის კვანტორი: „მოცემულია“ – ბუნების დამკვირვებლისთვის; ორივე მათგანი გამოხატავს არსებობის წესს. უნდა წინადადებანი (ანდა მოთხოვნები) გამოხატავენ არსებული ნორმების მნიშვნელოვნების პრეტენზიას; ისინი არ განეკუთვნებიან მეტყველების აქტებს, რომელთა შესრულება შეიძლება ნორმების დაცვისას.

თითოეული მეტყველებაქმედება შეიძლება ნორმა იყოს, მაგრამ უნივერსალურ მიმართებებს გამოხატავს მეტყველების აქტების მხოლოდ ერთი განსაზღვრული კლასი, რომლებსაც შეუძლიათ ნორმების საფუძველზე ერთმანეთთან დააკავშირონ მოქმედი და მეტყველი სუბიექტები. ამგვარი მეტყველებაქმედებების მაგალითებია: ბრძანება, მოთხოვნა, თხოვნა, მოკითხვა, მოწოდება, მოწონება, დამოწმება, თავდებობა;

---

[1] დამატება 1983; მომდევნო განაზრებანი, რომლებიც შემდგომ დასაბუთებას საჭიროებენ, ამასობაში დაზუსტებულნი იქნენ ჩემს თხზულებაში დისკურსის ეთიკის შესახებ; წიგნში: in: J.Habermas, Moralbewußtsein und komunikatives Handeln. Ffm 1983, S.67-72.

მობოდიშება, პატიების თხოვნა, რჩევა, გაფრთხილება, შეთავაზება, დარიგება, უკუგდება, დათმობა, აღიარება და ა.შ. ამგვარი რეგულაციური მეტყველებაქმედებები შეგვიძლია გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, ისეთი მდგენელი მეტყველებაქმედებებისგან, როგორებიცაა მტკიცება, აღწერა, მოყოლა, წარმოდგენა, განმარტება, წინასწართქმა და ა.შ., მეორე მხრივ, რეპრეზენტაციული მეტყველებაქმედებებისგან, რომლებიც შერთულნი არიან მოლაპარაკის ინტენციების, განწყობებისა და ექსპრესიების გამოხატვასთან. მაგალითები: შესუდრვა, თვალთმაქცობა, გაბუნდოვანება, გასაიდუმლოება, ხელისაღება და ა.შ. მდგენელ მეტყველებაქმედებებს მნიშვნელოვნების პრეტენზიად შეეხამება ჭეშმარიტება, რეპრეზენტაციულ მეტყველების აქტებს კი – გულწრფელობა; რაც შეეხება რეგულაციურ მეტყველებაქმედებებს მათ არ შეგვიძლია ამგვარადვე შევუწყოთ სისწორე; ამგვარი მცდელობისას, სახელდობრ, მეღავნდება ის, რომ რეგულაციურ მეტყველებაქმედებებთან შერწყმული მნიშვნელოვნების პრეტენზია დასესხებულია ყოველთვის უკვე დაწანამძღვრებული ფაქტიური მნიშვნელოვნებიდან. როცა ვინმეს რჩევას ვაძლევ მე ან სუბიექტურ საჭიროებასა და შემთხვევის მაიძულებელ ვითარებას გამოვხატავ; და ამ შემთხვევაში განზრახვას გამოვთქვამ; ანდა ლეგიტიმურ ურთიერთდამოკიდებულებას გამოვხატავ და იმ ნორმასვე ვემყარები, რომლის მნიშვნელოვნება პირველად ჩემი მეტყველებაქმედებებით (როგორც კონსტანტაციური ანდა რეპრეზენტაციული მეტყველებაქმედების შემთხვევაში) კი არ იქმნება, არამედ წინასწარ იგულისხმება ჩემ მეტყველებაქმედებაში. ეს გარემოება იმასაც გვიხსნის, თუ რატომ არის, რომ ნორმის მნიშვნელოვნება მხოლოდ *უნდა* წინადადებათა არაპიროვნული ფორმით გამოიხატება და არა მეტყველებაქმედების ფორმით. ცალკეული მოქმედების (ანდა მეტყველებაქმედების) სისწორე გამოყვანილია დასაფუძველებულ ნორმათა ლეგიტიმურობიდან. როცა ლეგიტიმური ბრძანება ეჭვის ქვეშ დგება, მისი გამართლება ხდება მნიშვნელად ნორმაზე მითითებით, რომელსაც იძლევა შესაბამისი ბრძანების კომპეტენცია. სწორედ ფაქტიურად აღიარებული ამგვარი ნორმების სისწორეა ის, რისი დაფუძნებაც შეიძლება. არსებული ნორმების (და არა რეგულაციური მეტყველების აქტთა მნიშვნელოვნების პრეტენზიები) მნიშვნელოვნების პრეტენზიები, რომელთა ფორმულირება მოცემულია უნდა წინადადებებში, წარმოადგენენ პრაქტიკული დისკურსის საგანს. მაგრამ ქმედებიდან პრაქტიკულ დისკურსში გადასვლისას ნორმათა ფაქტობრივად აღიარებული მნიშვნელოვნების პრეტენზიები, მოქმედების კონტექსტებში მტკიცებათა ნაივურად მიღებული მნიშვნელოვნების პრეტენზიების დარად იმგვარად არიან სახეცვლილნი ჰიპოთეტური მნიშვნელოვნების პრეტენზიებად, რომ შესაბამისი ნორმები შეიძლება გაგებული იქნენ როგორც „დადგენილნი“ (და შენაცვლებადნი). დისკურსში ნორმები იმ თვალსაზრისითაა ჩვენ განკარგულებაში, რა თვალსაზრისი-

თაც მათ უნდა ჰქონდეთ ან არ უნდა ჰქონდეთ მნიშვნელობა[1] – რომელზეც ჩვენ იმ ემპირიული მდგომარეობის აღსანიშნავად, რომელზეც – მხოლოდ მაშინ ვკამათობთ როგორც საქმის ვითარებაზე, თუკი იგი აკმაყოფილებს არსებობის პირობას – შემოვიტანეთ სიტყვა „ფაქტი". მაგრამ ჩვენ არა გვაქვს ანალოგიური სიტყვა იმ ნორმებისათვის, რომლებსაც მნიშვნელობის პირობას ვუყენებთ. ტერმინოლოგიურად შეიძლება წამოვიშველიოთ „ნორმის შეძლევა". ორივე შემთხვევაში დისკურსი იხსნება ან (სადაო) მტკიცებით, რომ p (სადაც p გამოთქმაა), ანდა (სადაო) თათბირით, რომ n (სადაც n საყოველთაო მოთხოვნაა). თათბირები (ანდა გაფრთხილებანი) იმგვარადვე შეიცავენ ჰიპოთეტურ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს, როგორც მტკიცებები, რამდენადაც დისკურსებში გამოითქმებიან.

მოქმედებათა კონტექსტებში მტკიცებათა ნაიეურად მიღებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიას შეესატყვისება ნორმათა ფაქტიური მნიშვნელობა. ალბათ არსებული საქმის ვითარებების (ფაქტების) შესახებ იმ გამოთქმათა ჭეშმარიტების პრეტენზიას, რომლებიც თემატიზებულნი არიან თეორიულ დისკურსებში, შეესაბამება პრაქტიკულ დისკურსებში თემატიზებული სისწორის პრეტენზია, ჩამოაყალიბოს რჩევები საყოველთაო მოთხოვნებისთვის, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნება იქონიონ (და როგორც კი ისინი ფაქტიურ მნიშვნელობას შეიძენენ, მაშინვე ნორმებად არიან ქცეულნი). ფაქტს (სულ ცოტა) უნდა შეესაბამებოდეს მართებული მტკიცება (ანუ ჭეშმარიტი გამოთქმა); ნორმას, რომელსაც მოცემულ პირობებში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მართებული რეკომენდაცია (და მაშასადამე სწორი მოთხოვნა) უნდა შეესიტყვებოდეს; მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ფაქტიურად მნიშვნელადი ნორმა სწორი იყოს, ხოლო სწორი ნორმები არ უნდა ესწრაფვოდნენ ფაქტიურ მნიშვნელოვნებას. ამიტომ პრაქტიკული დისკურსის შედეგები – რომლებშიც დასაბუთდება, რომ არაფრით არ ხერხდება ფაქტიურად აღიარებულ ნორმათა მნიშვნელოვნების პრეტენზიის შესრულება ანდა – რომ სინამდვილეში არ არსებობენ ისეთი ნორმები, რომელთა მნიშვნელოვნების პრეტენზია შეიძლება კამათის გზით დაკმაყოფილდეს — შესაძლოა კრიტიკულად მოეკიდონ საზოგადოებას (კერძოდ – საზოგადოების სიმბოლურ რეალობას), მაშინ როცა თეორიული დისკურსები შეიძლება მიმართულნი იყვნენ არა თვითონ რეალობის (ბუნების), არამედ მხოლოდ ამ რეალობის შესახებ ყალბ მტკიცებათა წინააღმდეგ.

---

[1] აქედან გამომდინარე მორალური ცნობიერების პოსტკონვენციურ საფეხურებს (პიაჟე, კოლბერგი) დაწანამძღვრებული აქვთ უნარი პრაქტიკულ დისკურსებში მონაწილეობისა.

III შეცდომაში შემყვანი ჭეშმარიტების მოდელები

ვიდრე არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმების დახმარებით იმის გამოკვლევაზე გადავიდოდეთ, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიათა დისკურსული შესრულება, მინდა, მსჯელობაში ეკსკურსი ჩავრთო. შეცდომის ოთხ წყაროსთან მივყავართ ფილოსოფიის ისტორიაში ჩამოყალიბებულ ჭეშმარიტების თეორიათა კვლებს:

1) ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორიას ის უპირატესობა აქვს, იმგვარად უყოს იდენტიფიკაცია ჭეშმარიტებასა და სისწორეს, როგორც ისეთ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს, რომელთა დაკმაყოფილება დისკურსულად შეიძლება, რომ ამავე დროს ამით არ წაიშალოს ის ლოგიკური განსხვავებები, რომლებიც არსებობენ თეორიულსა და პრაქტიკულ დისკურსებს შორის. ჭეშმარიტების მეტაფიზიკური თეორიები კი მეტის მეტად გაბერილნი არიან[1] როცა პრაქტიკულ საკითხებს თეორიული საკითხებივით ჭეშმარიტების შემძლედ განმარტავენ; ხოლო ჭეშმარიტების პოზიტივისტური თეორიები, პირიქით, მეტისმეტ შეზღუდულობას[2] იჩენენ როცა საერთოდ უარყოფენ პრაქტიკული საკითხების ჭეშმარიტებისუნარიანობას.

2) ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორია ფლობს იმ უპირატესობას, რომ სისტემა, რომელშიც ჩვენ გამოცდილებებს ვიძენთ, ინფორმაციებს გადავცემთ და მოქმედებებს ვახორციელებთ, დისკურსებისაგან განვასხვაოთ, რომლებშიც კამათის საშუალებით განვმარტავთ პრობლემატიზებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს. საპირისპიროდ ამისა, ჭეშმარიტების ტრანსცენდენტალური თეორიები ერთმანეთში ურევენ შესაძლო გამოცდილების (და მაშასადამე, აღქმათა ურთიერთგაზიარებადობის) პირობებსა და ჭეშმარიტების პრეტენზიათა დისკურსული შესრულების პირობებს, რომლებიც უბრალოდ ეფუძნებიან გამოცდილებას. გამოცდილების კონსტიტუციის თეორიას,რომელიც აანალიზებს შესაძლო გამოცდილების საგნებს, არ შეუძლია იკისროს ჭეშმარიტების თეორიის როლი (მომდევნო სქემის პირველი სტრიქონი).

3) ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორიას ის უპირატესობა აქვს, რომ ერთმანეთისგან მიჯნავს ინტერსუბიექტურ მნიშვნელოვნების პრეტენზიებსა და პირწმინდად სუბიექტურ უტყუარობის განცდებს. ზოგიერთი ჭეშმარიტების თეორია, პირიქით, ჭეშმარიტების შეცდომაში შემყვან მოდელად ირჩევს უტყუარობის განცდებს (იხ.2-4. სტრიქონები მომდევნო სქემისა).

---

[1] ახალ მაგალითს იძლევა ლეო სტროსი: Naturrecht und Geschichte. Stuttgart 1956. (Einleitung).

[2] ცნობილ მაგალითს წარმოადგენს R.M. Hare: The Language of Morals. Oxford 1952, dtsch. Frankfurt a. M. 1970.

4) ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორიას აქვს კიდევ ერთი უპირატესობა, ერთმანეთისგან განასხვაოს დისკურსული და არადისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზიები. ზოგიერთი ჭეშმარიტების თეორია, პირიქით, ვიწროდ თუ ფართოდ გადმოცემულ ჭეშმარიტების ცნებას გასაგებობაში, სისწორესა ანდა გულწრფელობაში ურევს. (იხ. მომდევნო სქემის ქვემოთა ნახევარი)

ვინაიდან წინა ნაკვეთში (III) პირველი პუნქტი კრიტიკულად განვიხილე, 2–4 სტრიქონებში მოხსენიებული ჭეშმარიტების თეორიათა სისტემების დასახელებით შემოვიფარგლები; ამასთანავე, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ სტრატეგიულ მითითებებზე და არა სისტემურ შესიტყვებებზე. რაც შეეხება, ერთი მხრივ, ჭეშმარიტების შესაბამისობისა და ევიდენცის, მეორე მხრივ კი – ჭეშმარიტების პრაგმატულსა და ანალიტიკურ თეორიებს, ისინი ცოტად თუ ბევრად უკვე დავამუშავეთ. ხოლო ის, რასაც მე ვუწოდებ ჭეშმარიტების გამომჟღავნების თეორიასა და ჭეშმარიტების ვოლუნტარისტულ თეორიას, წარმოადგენენ ექსპონატებს, რომლებიც ჩვენი კლასიფიკაციიდან გამომდინარეობენ; საჭიროების შემთხვევაში მათ უწვნევიათ კამათის სიმწვავე, რომელსაც ტრადიციული თეორიებიც იცნობენ.

გამოსახ. 6. შეცდომაში შემყვანი ჭეშმარიტების მოდელები

გამოცდილების ობიექტურობა	ჭეშმარიტების ტრანსცენდენტალური თეორია
გრძნობადი უტყუარობა	ჭეშმარიტების ასახვის თეორია
არაგრძნობადი უტყუარობა	ჭეშმარიტების ევიდენტობის თეორია
რწმენის უტყუარობა	ჭეშმარიტების ვოლუნტარისტული თეორია
გულწრფელობა	ჭეშმარიტების გამომჟღავნების თეორია
სისწორე	ჭეშმარიტების შედეგის თეორია (პრაგმატიზმი)
გასაგებობა	ჭეშმარიტების ანალიზური თეორია

ობიექტურობისა და ჭეშმარიტების აღრევა

შესაძლებელია, რომ აღქმები, გარკვეულწილად არ ცდებოდნენ. როცა ვცდები, მაცდუნებს არა აი, ეს აღქმა, არამედ – სხვა, რომელიც ჩვენ მიერ ნაგულისხმებიდან განსხვავებულია; ანდა, თუკი მაინცა და მაინც გვგონია, რომ რაღაც აღვიქვით, ის ჰალუცინაცია და წარმოსახვა ყოფილა. ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აისახება გრძნობადი უტყუარობის სუბიექტურობის განცდაში. სულაც არ ნიშნავს ამავე უტყუა-

რობის სუბიექტურობასთან წინააღმდეგობას, როცა აღქმები ობიექტურობის პრეტენზიით გამოდიან: უტყუარობის განცდა გამოცდილების ობიექტურობის სუბიექტური თავდებია. თითოეულმა, ვისაც გრძნობის მოთოკვა ძალუძს, მსგავსი გარემოებებისას აღქმის სხვა აქტით „იგივე" უნდა აღიქვას და მასში კვლავაც სუბიექტურად დარწმუნებული დარჩეს. ამიტომ არის, რომ აღქმები ხშირად არიან მიჩნეულნი საზოგადოდ შემეცნების პარადიგმად; ჭეშმარიტების თეორიების უმეტესობა შემეცნების ამ უმარტივესი და უტყუარესი ელემენტების დახმარებით შემუშავებულან; გერმანულში ჭეშმარიტებაზე მიმართება „აღქმისთვის" ეტიმოლოგიური მახასიათებელიც კია* ჭეშმარიტების ემპირისტული თეორიები გრძნობადი უტყუარობის მომენტს ეფუძნებიან, ჭეშმარიტების ტრანსცედენტალური თეორიები კი – ობიექტურობაზე პრეტენზიას. მაგრამ ორივე მათგანი თანხვდება იმაში, რომ აღქმას გინა აღქმის მსჯელობას ანდა დაკვირვებასა და დაკვირვების გამოთქმას პარადიგმატული გამორჩეულობა ახასიათებს.

საპირისპიროდ ამისა, მინდა დავიცვა თეზა, რომ ჭეშმარიტება კატეგორიალურად აზრის (ფრეგეს მნიშვნელობით) სამყაროში შედის და არა – აღქმებისაში. რაკი აღქმები შესაძლოა, გარკვეულწილად, არ ცდებოდნენ, ამ სიბრტყეზე სრულიად შეუძლებელია ჭეშმარიტების საკითხის დასმა. შესაძლოა მე კიდეც ვცდებოდე (მოჩვენებითს) აღქმაში (მაშინ იგი არ არის აი, ეს, ანდა სულაც არ არის აღქმა); მაგრამ შესაძლებელია ამგვარ ცდომილებათა გაბათილება განმეორებითი აღქმის საშუალებით: „არა გჯერა, რომ კუთხის სახლი იწვება? მაშინ წადი და დარწმუნდი": ამ შემთხვევაში ოპონენტს ეჭვი შეაქვს აღქმაში; იგი ფიქრობს, რომ სხვა ატყუებს. მისი ეჭვი არ ეხება უშუალოდ იმის შესაბამისი გამოთქმის უჭეშმარიტობას, რომ კუთხის სახლი იწვის; მიუხედავად ამისა მაინც, ეს გამონათქვამი არ არის ჭეშმარიტი, რაკი ჩვენ წინაშეა შემთხვევა, როცა შეგრძნებები გვატყუებენ. ჭეშმარიტების საკითხები მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევიან თემად, როცა ეჭვი მიმართულია არა აღქმებზე (რომელიც შეიძლება მოიხსნას განმეორებითი აღქმით), არამედ როცა იგი უშუალოდ გამოთქმის ჭეშმარიტებას ეხება. ე.ი. როცა სადაოა მნიშვნელოვნების პრეტენზია (რომლის შესრულება მხოლოდ დასაბუთების გზით შეიძლება).

პარადიგმატული შემეცნებანი – რომელთა დახმარებით შესაძლებელია ჭეშმარიტების საზრისის გამორკვევა — არიან არა აღქმები ანდა ერთჯერადი გამოთქმები, რომლებიც აღქმებს იტყობინებიან, არამედ – ზოგადი, ნეგატიური და მოდალური გამოთქმები, რომლებიც გამოხატა-

---

* საქმე ისაა, რომ გერმანულად ჭეშმარიტება არის Wahrheit ხოლო აღქმა – Wahrnenmung სიტყვა-სიტყვით: ჭეშმარიტის, მართლის (wahr) აღება (nennmung); ანდა მართლისღება, მართლადღება – მთარგმ. შენიშვნა.

ვენ შემეცნების სპეციფიკურობას; კერძოდ – გამოცდილების მასალის ცნებითს ორგანიზაციას. შემეცნება, რომელსაც გამოცდილებები ცნებაზე დაპყავს, ისეთი წინადადებებით გამოიხატება, რომლებიც არაფრით არ გადმოსცემენ უშუალოდ აღქმებს. ამრიგად, მათი მნიშვნელოვნების პრეტენზია დამოკიდებულია არგუმენტაციაზე. გრძნობადი უტყუარობა ანდა გამოცდილების ობიექტურობა არ წარმოადგენს ჭეშმარიტების ჯეროვან მოდელს. ემპირულ გაუგებრობას შემდგომ ნაკვეთში მიეუბრუნდები. აქ კი ჭეშმარიტების ტრანსცენდენტალური თეორიების გაუგებრობით შემოვიფარგლები, რომლებიც უგულვებელყოფენ ობიექტურობასა და ჭეშმარიტებას შორის განსხვავებას.[1]

ჩემი თეზისია: გამოცდილებანი *ობიექტურობაზე* პრეტენზიით გამოდიან; მაგრამ ობიექტურობა როდია იგივე რაც შესაბამისი გამოთქმის *ჭეშმარიტება*. გამოცდილების ობიექტურობა შეიძლება გავიგოთ ტრანსცენდენტალურად შემოტრიალებული პრაგმატიზმის მნიშვნელობით. გამოცდილების ობიექტურობას შესაძლებელყოფს საგანთა კატეგორიალური სტრუქტურა.[2] განსაზღვრული გამოცდილების ობიექტურობის საქმეში გამოცდაა ის კონტროლირებადი შედეგი, რაც მოჰყვება გამოცდილებებზე დაფუძნებულ მოქმედებებს. ჭეშმარიტება ანუ მტკიცებებში იმპლიციტურად წამოყენებული მნიშვნელოვნების პრეტენზია, ვლინდება არა შედეგკონტროლირებად მოქმედებებში, არამედ იმ შედეგიან დასაბუთებაში, რომელსაც მნიშვნელობის ამ პრეტენზიის *დაკმაყოფილება* შეუძლია. ამის განმარტება შესაძლებელია კერძო გამოთქმებითაც, რომლებიც მე გადაჭრით არ მივიჩნიე შემეცნების პარადიგმად. მტკიცება („ეს ბურთი წითელია"), რომელიც მოქმედების კონტექსტში გამოითქმება, გულისხმობს მნიშვნელოვნების პრეტენზიას (ე.ი. *უშვებს* წარმოთქმული წინადადების ჭეშმარიტებას), მაგრამ იგი ეწევა იმ გამოცდილების *თემატიზებას*, რომელსაც სამყაროში საგანი აქვს: იგი ამტკიცებს გამოცდილებას და არა აზრს. ამგვარი მტკიცება შეიძლება იქცეს დისკურსის შემადგენელ ნაწილად; მაშინ მისი საზრისი იცვლება; იგი თემატიზირებას იქმს უკვე ეკსპლიციტურად გაკეთებული და ეჭვმიტანილი საქმის ვითარების გათვალიწინებით და უშვებს, რომ თუკი ეს საქმის ვითარება არსებობს, მაშინ იგი გამოცდილებებში უნდა დადასტურდეს. მაგრამ საქმის ვითარების მტკიცება *არ არის* იგივე, რაც გამოცდილების მტკიცება.

ეს განაზრება ამართლებს მომდევნო განსხვავებას გამოთქმის მნიშვნელობის კატეგორიალურ საზრისსა და შესაბამისი მტკიცების დისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზიის საზრისს შორის. გამოთქმის

---

[1] მომდევნო განაზრებანიც შეად. ი. ჰაბერმასის „Erkenntnis und Interesse"Frankfurt a. M. 1973. Besonders S. 381-401.

[2] შეად. K.O. Apel: Die Transformation der Philosophie. 2 Bde. Frankfurt a. M. 1973.

მნიშვნელობის კატეგორიალური საზრისი შეესაბამება იმ საგანთა სფეროს სტრუქტურას, რომელიც იხსნება ან პრაგმატული (ნივთები და ხდომილებანი) ანდა კომუნიკაციური (პერსონები და მისი გამოთქმები) გამოცდილების აპრიორით. დისკურსული მნიშვნელობის პრეტენზიის საზრისი კი შეეზომება იდეალური სამეტყველო სიტუაციის წინასწარ დაშვებულ იმ პირობებს, რომლებსაც დასაბუთების აპრიორი და დაფუძნების მიზნები მოითხოვენ; ესენი წარმოადგენენ იმ პირობებს, რომელთა დროსაც შესაძლებელია დისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზიის შესრულება. არ შეიძლება საგნის კონსტიტუციის შემეცნების თეორიული პრობლემები, როგორც ისინი ესმის ჭეშმარიტების ტრანსცენდენტალურ თეორიებს, მნიშვნელოვნების პრეტენზიათა დაკმაყოფილების პრობლემებში ავურიოთ.

წინასწარ მინდა ვახსენო ერთი შედეგი. თუ გვინდა მეცნიერული პროგრესი თეორიული ენების კრიტიკულ სრულყოფად გავიგოთ, რომლებიც წინარემეცნიერულად კონსტიტუირებული საგანთა სფეროების „სულ უფრო და უფრო სათანადო" შორეულ პერსპექტივაზე გათვლილ ინტერპრეტაციას ეწევიან, მაშინ ამგვარ სრულყოფას აუცილებლად სიძნელეებში ხლართავს ჭეშმარიტებისა და ობიექტურობის იდენტიფიცირება. მაგრამ ჭეშმარიტების პრეტენზიები რომ არგუმენტაციის კი არა, გამოცდილებათა მეშვეობით შესრულებულიყვნენ, მაშინ თეორიული წინსვლა დამოკიდებული იქნებოდა ახალ გამოცდილებათა წარმოებაზე და არა იმავე გამოცდილების ახლებურ ინტერპრეტაციაზე. დამაჯერებელია ის თვალსაზრისი, რომ გამოცდილების ობიექტურობა უზრუნველყოფს არა შესაბამისი მტკიცების ჭეშმარიტებას, არამედ მარტოდენ იმას, რომ გამოცდილება იდენტურია მისი შესაძლო ინტერპრეტაციების მრავალფეროვნებაში.

ენიშვნელოვნების პრეტენზიების აღრევა უტყუარობის განცდებში

ა) თეორიები, რომლებსაც უნდათ, ემპირულ მტკიცებათა მნიშვნელოვნების პრეტენზია იმ უტყუარობას დააფუძნონ, რომელიც თან ახლავს ჩვენს აღქმებს, ჭეშმარიტების რელაციას განმარტავენ ასახვის, გინა მსგავსების რელაციით, რომელსაც ხედვის მოდელი გვთავაზობს. მე გამოწველილვით არ გავარჩევ ყველა ურთიერთგანსხვავებულ ვერსიას, რომელიც არისტოტელედან მოკიდებული მოიპოვა ჭეშმარიტების შესაბამისობის თეორიამ. ისინი არ ეხებიან ჭეშმარიტების პრაგმატულ საზრისს, რაკი სურათები მეტნაკლებად მსგავსნი არიან ორიგინალისა, რომლის წარმოდგენაც

მათ მართებთ: მაშინ როცა გამოთქმა, რომელიც ჭეშმარიტია, შეუძლებელია ცოტად თუ ბევრად მიემსგავსოს რეალობას; ჭეშმარიტება არ არის შეფარდებითი მიმართება (ამაზე, სხვათა შორის, მიანიშნეს ოსტინმა და სელარსმა), ეს განსხვავება ცხადი შეიქნება, თუკი სინამდვილის ნაჭერთა ტექნიკურად რეალიზებად სიმულაციებს შევუდარებთ სინამდვილის ამ ნაკუწთა შესახებ თეორიებს. სიმულაციის მოდელები შესაძლოა ბევრად თუ ცოტად მსგავსნი იყონ სინამდვილისა და კატეგორიალურად იმავე საგანთა სფეროს განეკუთვნებიან, რომელსაც – მათი პირველსახეები; მაგრამ საგანთა სფეროს შესახებ თეორიები აფუძნებენ ჭეშმარიტ ანდა ყალბ გამოთქმებს და შეუძლებელია კატეგორიალურად თვითონაც იმავე საგანთა სფეროში შედიოდნენ.

ასახვის შესუსტებული ვარიანტიც კი – კერძოდ შესაბამისობის მიმართება, რომელიც გაგებულია როგორც არაიკონური და ცალსახად შექცევადი ურთიერთშესახამება გამოთქმის და საგანთა სფეროს ელემენტებისა, არ გამოდგება ჭეშმარიტების რელაციის განსამარტავად;[1] ვინაიდან ფაქტები არ შედიან მოქმედებაზე მოდებულ გამოცდილებათა სისტემაში, არამედ მოუცილებელნი არიან იმ გამოთქმებისაგან, მათ რომ გადმოსცემენ და შესაძლო არგუმენტაციის კონტექსტებში შედიან. quid pro quo ჭეშმარიტებისა და გრძნობადი უტყუარობისა ჩაგვაგონებს (ისევე, როგორც ხსენებული quid pro quo გამოცდილების ჭეშმარიტების და ობიექტურობისა) ფაქტებისა და გამოცდილებების საგანთა აღრევას.[2]

ბ) თეორიები – რომლებიც გამოთქმათა ჭეშმარიტებას იმ უტყუარობაზე ,ფუძნებენ, რომელიც თან დაყვება სიმბოლურ გამოსახულებათა ჩვენეულ ,აგებას – ჭეშმარიტების რელაციას განმარტავენ მოლოდინსა და მის ასრულებას შორის რელაციის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ განმარტებულია იდეალური საგნების ოპერატიული წარმოქმნის მაგალითზე. ჰუსერლმა ჭეშმარიტების ევიდენტობის თეორია დაამყარა ინტენციათა შესრულებას. ამ პროგრამის განუხორციელებადობა თავს იჩენს მცდელობაში, როცა გვინდა უნივერსალური გამოთქმების არაგრძნობადი (ანდა კატეგორიალური) ჭვრეტა გამოვააშკარაოთ, რომელშიც საყოველთაობებს თვითმოცემულობა შეეძლებოდათ. მაგრამ ერთჯერადი გამოთქმებიც (ე.წ. აღქმის მსჯელობები), სულ ცოტა, შეიცავენ უნივერსალურ გამოსახულებას (კერძოდ, დაკვირვების ენებში მიღებულ დისპოზიციის, ზომვის, რელაციის

---

[1] შეად. G. Pichler in der Einleitung zu dem ihm herausgegebenen Sammelband: Truth, s.o. Anm. 4, S. 9ff.

[2] ამ აზრით P. Gochet, a.a. O., S. 98 წერს: „ეს გამოკვლევა მართლაც გვიდასტურებს, რომ ფაქტი, ხდომილებისგან განსხვავებით, მხოლოდ და მხოლოდ ენის მეშვეობით მოიპოვება, რომელიც ლოგიკურად მოუცილებელია იმ ფრაზისაგან. მას რომ გადმოსცემს“

ანდა შეგრძნების პრედიკატებს), რომლის ინტენციური საზრისი ალბათ შეუძლებელია აღვსებული იქნას კერძო დაკვირვებათა სასრული რაოდენობის ევიდენტობების საშუალებით. სიტყვასა და წინადადების მნიშვნელობებს – როგორც ცხადყო ვიტგენშტაინმა წესების გათვალსაჩინოებული შემოტანით – ახასიათებთ საყოველთაობის ძირეული სიჭარბე ყველა შესაძლო კერძო შესრულებიდან განსხვავებით.

ამიტომ არ არის შესაძლებელი, რომ მტკიცებაში იმპლიცირებული მნიშვნელოვნების პრეტენზია გამოცდილების ევიდენტობათა მეშვეობით დაკმაყოფილდეს; და მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას ავირჩევთ პარადიგმად გრძნობად თუ არაგრძნობად უტყუარობას.

ბ) მე გვერდს ვუვლი არგუმენტაციებს, რომლებიც ანალოგიურადვე აპელირებენ ჭეშმარიტებისა და რწმენის უტყუარობის ურთიერთმიმართებით. უპირველესად ისინი გვხვდებიან რაციონალისტური თეორიების დაფუძნების კონტექსტებში, როცა საჭიროა ჭეშმარიტების იმუნიზირება აქსიომებიდან, უმაღლესი პრინციპებიდან ანუ კონვენციონალისტური ეჭვიდან, რომელიც გადაკვრით ეხება ვოლუნტარისტულად მოქმედი ღმერთის გულწრფელობას (შეად. მაგ. იმ როლს, რომელსაც თამაშობს დეკარტთან deus malagnus.).

მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ურთიერთშერევები

ოთხივე შემოტანილი მნიშვნელოვნების პრეტენზია თვითმყოფადია; შეუძლებელია მათი დაყვანა რომელიმე ერთზე, ანდა საერთო ფუნდამენტზე. განსაკუთრებით ემპირისტულ ტრადიციაში იყო მცდელობები იმისა, რომ გულწრფელობა, სისწორე და გასაგებობა როგორც ნატურალისტური ყაიდის მცდარი დასკვნები ჭეშმარიტების რელაციებზე დაეყვანათ. დამატებითი მცდარი დასკვნები უდევთ საფუძვლად თეორიებს, რომლებიც პირიქით, ერთმანეთს უიგივებენ გულწრფელობას, სისწორეს ანდა გასაგებობას.

ა) სიწრფელე არის მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომელიც აკრავს რეპრეზენტატივას კლასის მეტყველება-ქმედებებს და იმას ნიშნავს, რომ გამოხატული ინტენციები (აზრები, მოთხოვნილებები და გრძნობები) სერიოზულად და ზუსტად ისე მაქვს ჩაფიქრებული, როგორაც გამოვთქვი. მოლაპარაკე არის გულწრფელი, როცა იგი თავისი გამოთქმებით არც თავს იტყუებს და არც სხვას ატყუებს. მოტყუებასა და თავის მოტყუებას უჭეშმარიტობასთან არაფერი ესაქმება. როგორც ჭეშმარიტება ეხება საზრისს, რომლითაც წინადადებას ვამტკიცებ, „გულწრფელობაც“ იმ საზრისს განეკუთვნება, რომლითაც ინტენციას გამოვთქვამ. როგორც კი გულწრფელობას ინტენციის გამომთქმელ წი-

ნადადებასა და განცდის ანდა მდგომარეობის შინაგან რაობას შორის რელაციად გავიგებთ, იგი მაშინვე ჭეშმარიტების რელაციის ნიმუშის მიხედვით გაგვიგია და მისთვის ვერ ჩაგვივლია; თვითგამოსახვის აქტებში მე არაფერს ვირწმუნები შინაგანი ეპიზოდების თაობაზე, სრულიადაც არაფერს გამოვთქვამ, არამედ განცდებს გამოვხატავ. ჭეშმარიტების გამჟღავნების თეორიებს კი საფუძვლად უდევთ დამატებითი გაუგებრობა. ამის მაგალითები მოიპოვება მისტიკურ ტრადიციებში ჰაიდეგერის ჭეშმარიტების თეორიის ზოგიერთი ასპექტის ჩათვლით. გამოცხადებისა და დაფარვის დიალექტიკის ჭეშმარიტების ხდომილება მოხაზულია არსების მოდელის მიხედვით, რომელიც თავის მოვლენაში ერთსა და იმავდროულად მჟღავნდება და თავს იკავებს კიდეც თვით გამოვლინებიდან. ეს თვალსაზრისი ანგარიშს არ უწევს ენის კოგნიტიური გამოყენების რეალობაზე მოკიდებას.[1]

ბ) სისწორეც თვითმყოფადი მნიშვნელოვნების პრეტენზიაა, რომლის დაყვანა ჭეშმარიტებაზე არ შეიძლება. იგი, როგორც ვნახეთ, არის მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომელიც მოითხოვს, რომ აღიარებული იქნას მოქმედების (თუ შეფასების) ნორმის სისწორე; – ის რომ მას „ჯერარს" ჰქონდეს მნიშვნელოვნება. ჯერარსულ მნიშვნელოვნებას კი ხელი არა აქვს ჭეშმარიტ მნიშვნელოვნებასთან. ნატურალისტური ყალბი დასკვნების მიმართ ეთიკის დარგში ხელმეორედ წაყენებული საყვედურები ხაზგასმით აღნიშნავენ ამ განსხვავებას. როგორც კი სისწორეს თათბირის ანდა გაფრთხილებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების (ანდა ზიზღის მოზღვავების) შინაგან რაობას შორის მიმართებად გავიგებთ, იგი მაშინვე ჭეშმარიტების რელაციის მოდელის მიხედვით ყალბად გვაქვს გაგებული. ნორმების არჩევისას სწორედ ისევე არ წამოვაყენებ ხოლმე მტკიცებებს შინაგანი ეპიზოდების შესახებ როგორც – თვითგამოხატვის აქტებში; ამ დროს მე სრულიადაც არ ვქმნი გამოთქმებს, არამედ რაღაცას სწორს ან ყალბს ჩავდივარ.

ჭეშმარიტების შედეგის თეორიებს საფუძვლად უდევთ დამატებითი გაუგებრობა; რომლის მაგალითებსაც წარმოადგენენ ნიცშე, ვ.ჯემსისა და ფ.ს.შილერის ფსიქოლოგიურად ორიენტირებული პრაგმატიზმი და ლუმანის სისტემის თეორიული ჭეშმარიტების ცნება. ამ თვალსაზრისის მიხედვით ჭეშმარიტება შეეზომება სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციების შესრულებას, ამასთანავე სასიცოცხლო მნიშვნელობა განისაზღვრება ორგანიზმისა თუ გვარის ჯერარს ფასეულობებით ანდა საზოგადოების როგორც სისტემის სიმტკიცის შენარჩუნების იმპერატივებით. ჭეშმარიტების ცნებაზე ფუნქციონალისტური იერიშის მცდელობისას უნდა დავემყაროთ ჯერარსულ სიდიდეთა იმპერატივებს ისე,

[1] შეად. E. Tugendhat: Der Wahrheitsbegriff bei Husserl und Heidegger. Berlin 1967.

რომ ესენი, თავიანთ მხრივ, არ შეიძლება მოაზრებული იქნან როგორც ჭეშმარიტებაშემძლენი. მაგრამ ასეთი თვალსაზრისი ანგარიშს არ უწევს ნორმატიული მნიშვნელოვნების პრეტენზიის ცნების ფაქტსაწინააღმდეგო მომენტს.[1]

გ) როგორც ჩანს, ცხადზე უცხადესია ის, რომ გამოთქმის გასაგებობას არაფერი ესაქმება ჭეშმარიტებასთან. გასაგებობა არის მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომელიც ამბობს, რომ მე ვფლობ განსაზღვრული წესების კომპეტენციას, სახელდობრ – (სულ ცოტა) ვიცი ბუნებრივი ენა. გამოთქმა გასაგებია თუკი იგი ისეა შექმნილი, რომ ნებისმიერს – ვინც კი ფლობს შესაბამის წესების სისტემას – შეუძლია ისეთივე გამოთქმის შექმნა. ამდენად, ის, რასაც ჩვენ „ანალიტიკურ ჭეშმარიტებას" ეუწოდებთ, გასაგებობის კერძო შემთხვევაა; სახელდობრ, იგი არის ფორმალურად კონსტრუირებული წინადადებების გასაგებობა. მაგრამ მით უფრო დიდია ცდუნება იმისა, რომ ახლა, პირიქით, ჭეშმარიტება განიმარტოს გასაგებობით. დაბოლოს, ჭეშმარიტების ანალიტიკური თეორია შემოთავაზებული იქნა კუნო ლორენცის მიერ „მიღწეული წარმომავლობის" მეთოდური ფილოსოფიის საფუძველზე.[2] ლორენცი ეყრდნობა ცნობილ თეზისს, რომ გამოთქმის ჭეშმარიტების პირობები დადგენილნი არიან იმ ენობრივი გამოსახულებების გამოყენების წესებთან ერთად, რომლებიც იმავე გამოთქმაში გვხვდებიან. მოცემულ შემთხვევაში შესრულებულია თუ არა ჭეშმარიტების პირობები, ამის გადამოწმება ხამს, შესაძლებელი იყოს მეტყველების მიმდინარე გამოყენების სიტუაციის შედარების გზით შესაბამის, კერძოდ კი რაციონალურად კვალადკონსტრუირებულ მეტყველების შესავალ სიტუაციასთან. ცხადია, ეს მეთოდი უზრუნველყოფს მდგენ მეტყველების აქტთა გასაგებობას, მაგრამ არ ეხება მათს ჭეშმარიტების პრეტენზიას.[3]

---

[1] შეად. ჩემი კამათი ლუმანთან. in: J. Habermas u. N. Luhmann: Theorie der Gesellschaft oder Sotialtechnologie. Ffm. 1971. S. 221ff.

[2] K. Lorenz: Der dialogische Wahrheitsbegriff. In: Neue Hefte für Philosophie, 1972, H. 2/3, S. 111-123.

[3] ლორენცი თეითონ ამჩნევს განსხვავებას სიტყვების საზრისის გაგებასა და გამოთქმათა ჭეშმარიტების პრეტენზიის აღიარებას შორის. მაგრამ იგი ფიქრობს, რომ არგუმენტების დამაჯერებლობა, ისევე როგორც სიტყვების მნიშვნელობა, შეიძლება შემოწმდეს სწავლებისა და დასწავლის სტილიზირებულ სიტუაციებში შემოტანილ მეთოდებზე დაყვანის გზით. თუკი ჩემი ხედვა მართებულია, ლორენცს ამით დასაბუთების სიმძიმე პრედიკაციის მოძღვრებიდან გადააქვს დიალოგის თამაშის ანდა სტრატეგიული გამოთქმების დაფუძნების თეორიაზე, რომელიც პ.ლორენცენმა შეიმუშავა. ეს თეორია მართალია მოხდენილად აფუძნებს ლოგიკურ ნაწილაკს, მაგრამ თუ მე სწორად ვამჩნევ არსებითი წელილი არ შეაქვს დისკურსის ლოგიკის დაფუძნებაში, რომელსაც მოითხოვს ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორია.

IV. დისკურსის ლოგიკისათვის

ჭეშმარიტების კონსენსის თეორია ორი ძირითადი საყვედურის საშიშროების წინაშე დგას. ერთს გაკვრით შეეეხები, მეორე კი უფრო გამოწვლილვით უნდა განვიხილო.

ჭეშმარიტების პრაგმატისტული თეორიების მიმართ, რომლებიც ეხებიან ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტთა შორის ურთიერთგაგების პროცესს, მუდამ არსებობდა ხოლმე უნდობლობა იმის გამო, რომ არ შეიძლება ჭეშმარიტება აკურიოთ ჭეშმარიტი გამოთქმების მოპოვების მეთოდებში: „არ შეიძლება ჭეშმარიტება შეგვეშალოს იმ საგნებში, რომლებითაც მას მოვიპოვებთ ანდა ვაღწევთ. ჭეშმარიტების მოპოვება ერთი საქმეა, ხოლო ჭეშმარიტად ყოფნა – სრულიად სხვა."[1] მაგრამ ეს საყვედური არ ეხება იმ თეორიას, რომელსაც მე წარმოვადგენ. მტკიცება იმისა, რომ ჭეშმარიტება და სისწორე გამოთქმათა დისკურსულად დაკმაყოფილებადი მნიშვნელოვნების პრეტენზიებიაო, მართალია, ეყრდნობა საზოგადოდ არგუმენტაციის პრაქტიკას, მაგრამ არასგზით არ ემყარება ჭეშმარიტი გამოთქმებისა თუ სწორი მოთხოვნების მოპოვების განსაზღვრულ მეთოდებს. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ბუნებაში, ასე ვთქვათ, ძევს ის, რომ შესაძლებელია მათი შესრულება, ხოლო მათ საზრისს ქმნის სწორედ ის, რისი წყალობითაც მათი შესრულებაა შესაძლებელი. როცა მე იძულებული ვხდები გარკვეული უფლება მაგ. საკუთრების უფლება განვმარტო, უნდა მივუთითო გარანტიებზე, რომლებიც აუცილებელია, მქონდეს იმ შემთხვევისთვის თუ ვინმე ჩემს უფლებას გააპროტესტებს; ჩემს საკუთრებას, როგორც უფლებას, საჭიროების შემთხვევაში შემიძლია, სასამართლო პროცედურების დახმარებით საყოველთაო აღიარება მოვუპოვო. ასევეა ჭეშმარიტების როგორც მნიშვნელოვნების პრეტენზიის საქმეც. პრეტენზიათა ამ კლასის საზრისი მიგვითითებს შემოწმების გამორჩეულ მოდუსზე, რომელსაც მან უნდა გაუძლოს. ბუნებრივია, კონსენსუსის არგუმენტირებული მიღწევის „მოქმედების წესი", რომლის მეშვეობითაც სრულდება დისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზია, არ არის გარეგნული ჭეშმარიტებისა და სისწორის საზრისისათვის.

უფრო სერიოზულია მეორე საყვედური. თუ „კონსენსუსად" უნდა გვესმოდეს ყოველი შემთხვევით ჩამოგდებული შეთანხმება, მაშინ ცხადია, რომ არ შეიძლება იგი გამოდგეს ჭეშმარიტების კრიტერიუ-

---

[1] R.M. Martin: Truth and its illicit Surrogates. In: Neue Hefte für Philosophie, 1972, H.2/3, S. 101.

მად.[1] ამიტომ „დისკურსული შესრულება“ ნორმატიული ცნებაა; ურთიერთშეთანხმება, რომლის მოპოვებაც დისკურსებში შეგვიძლია, მხოლოდ და მხოლოდ დასაბუთებული კონსენსუსია.[2] იგი მიიჩნევა ჭეშმარიტების კრიტერიუმად, მაგრამ ჭეშმარიტების საზრისი არ არის ის გარემოება, რომ საზოგადოდ კონსენსუსი იქნას მიღწეული, არამედ – ის, რომ ყოველთვის და ყველგან როცა კი დისკურსში ვერთვებით, შეთანხმება შეიძლება მიიღწეს იმ პირობებში, რომლებშიც ეს შეთანხმება უზრუნველიყოფა როგორც დასაბუთებული თანხმობა. ჭეშმარიტება ნიშნავს „უზრუნველყოფილ დასაბუთებადობას“ („warrantad assertibility“).[3]

მაგრამ როგორც კი დასაბუთებული კონსენსუსი აღიარებული იქნება ჭეშმარიტების კრიტერიუმად, ჭეშმარიტების კონსენსუსის თეორია წინააღმდეგობაში იხლართება. პირობები, რომლებშიც კონსენსუსი ნამდვილ ანდა გონიერულ ან ყოველ შემთხვევაში ჭეშმარიტების უზრუნველმყოფელ კონსენსუსად შეიძლება ჩაითვალოს, არ შეიძლება კვლავ კონსენსუსზე დამოკიდებულნი გავხადოთ: „ისეთი პირი უჩანს, რომ კონსენსუსს, რომელმაც ჯერ არს, უზრუნველყოს სადაო გამოთქმების ჭეშმარიტება, კიდევ რაღაც პირობები წაეყენება, რომელთა დაკმაყოფილება შეუძლებელია, თავის მხრივ, კონსენსუსზე იყოს ორიენტირებული“.[4]

მართებული ეჭვია, თუ ჭეშმარიტების საზრისი იმის შესაძლებლობაშია, რომ დისკურსებში პრობლემატიზებული მნიშვნელობაზე პრეტენზიის გამართლების თაობაზე პოზიტიური გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტაციის გზით მიღწეული კონსენსუსის ფორმას ღებულობს, მაშინ აუცილებელია იმის ჩვენება, თუ რაში მდგომარეობს არგუმენტის შეთანხმების მომტანი უნარი; არ შეიძლება იგი მდგომარეობდეს არგუმენტაციის გზით ურთიერთთანხმობის მიღწევის ფაქტში, ვინაიდან ეს ფაქტი თავად საჭიროებს განმარტებას.

---

[1] შეად. განსხვავებანი, რომელსაც ტ.ა. მაკკართი მიმართავს აქ შემოთავაზებული ჭეშმარიტების კრიტერიუმის წინააღმდეგ: კომუნიკაციური კომპეტენციის თეორია; საზოგადოების მეცნიერებათა ფილოსოფია 3 (1979) გვ. 135-156. დამატება 1983: ჭეშმარიტების კრიტერიუმის შესახებ ლაპარაკი შეცდომაში შემყვანია. კონსენსუსის თეორია განმარტავს ჭეშმარიტების ცნებას, მაგრამ – პროცედურაზე დაყრდნობით; თუმცა იგი ჭეშმარიტების პოვნის პროცედურა კი არაა, არამედ – ჭეშმარიტების პრეტენზიათა ასრულებისა.

[2] გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად იქნებ უმჯობესი ყოფილიყო მელაპარაკა ჭეშმარიტების დისკურსულ და არა კონსენსუსის თეორიაზე. შეად. ა. ბეკერმანი: ი. ჰაბერმასის კონსენსუსის თეორიის რეალისტური წანამძღვრები; ზოგადი ჭეშმარიტების თეორიის ჟურნალი III რვ. 1. 1972წ. გვ. 63-80.

[3] რ.მ. მარტინის ფორმულირება, რომელიც დევის ემყარება იხ. ზემოთ, 31 შენიშვნა.

[4] K. Lorenz, a.a. O., S. 115.

ჭეშმარიტების კონსესუსის თეორია პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ უმჯობესი არგუმენტის არაძალადობრივ იძულებას იგი დისკურსის ფორმალური თვისებებით განმარტავს და არა ისეთი რაღაცით, რაც ან წინადადებათა ლოგიკური კონსისტენციისამებრ ესაფუძველება არგუმენტაციის კონტექსტს, ანდა გამოცდილებათა ევიდენტობასავით, ასე ვთქვათ, გარედან იჭრება არგუმენტაციაში. დისკურსის გამოსავალს ვერ წყვეტს ვერც მარტო ლოგიკური და ვერც მარტო ემპირული იძულება, არამედ იგი წყდება „უმჯობესი არგუმენტის ძალით." ამ ძალას ჩვენ *რაციონალურ მოტივაციას* ვუწოდებთ. იგი დისკურსის ლოგიკის ჩარჩოებში უნდა განიმარტოს, რისთვისაც როგორც მე ვიცი ცოტაოდენი წინასწარი სამუშაო იქნა გაწეული. რიტორიკის მხრივ უნდა დავასახელოთ ჩ.პერელმანის გამოკვლევები, ლოგიკისა კი – ი. ბარ-ჰილელის შრომები. მე დაევმყარები არგუმენტების გამოყენების სტ. ტულმინისეულ ანალიზს,[1] რადგან იგი ირჩევს გამოკვლევის ისეთ სიბრტყეს, რომელიც ზედგამოჭრილია დისკურსის ლოგიკისათვის.

იგი განსხვავდება როგორც გამოთქმათა ლოგიკისაგან, რომელიც იკვლევს მყარ ჭეშმარიტების ფასეულობათა მქონე გამოთქმების აგებულებისა და ტრანსფორმაციის წესებს, ისე – ტრანსცენდეტალური ლოგიკისაგან, რომელიც სწავლობს საფუძველ ცნებებს (კატეგორიებს), რომლებიც არსებითნი არიან შესაძლო გამოცდილების საგანთა კონსტიტუირებისათვის. დისკურსის ლოგიკა პრაგმატული ლოგიკაა. იგი არგუმენტაციის კონტექსტთა ფორმალურ თვისებებს იკვლევს.

მოლოდინი იმისა, რომ არგუმენტის დამაჯერებლობა ლოგიკურ აუცილებლობასა და (ან) გამოცდილების ევიდენტობაზე იქნება დაფუძნებულიო, მომდინარეობს მცდარი წანამძღვრიდან, რომ არგუმენტაცია, თითქოსდა, წარმოადგენდეს წინადადებათა ჯაჭვს. მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა იყოს გამართლებული ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ან ლოგიკური (გამოთქმის-ლოგიკური თუ მოდალლოგიკური) დაკავშირების ანდა (რეალისტურად განმარტებული) გამოცდილების ბაზისზე მიმართების გზით. ასეთ ალტერნატივას აღარ მივმართავთ როგორც კი გავიგებთ, რომ არგუმენტაცია წინადადებათა ჯაჭვიდან კი არა, არამედ მეტყველება-ქმედებებისგან შედგება. მეტყველების ამ ორ პრაგმატულ ერთიანობას შორის გადასასვლელი არც მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკურად შეიძლება იქნას დაფუძნებული (რადგან საქმე ეხება არა გამოთქმებს, არამედ გამოხატულებებს ე.ი. – მტკიცებებს, მოთხოვნებს ან შეფასებებსა და გამართლებებს), და – არც ემპირულად (ვინაიდან მეტყველების პრაგმატულ ერთიანობებს ყოველთვის უკვე განმარტებული აქვთ სინამდვილისადმი თავიანთი სპეციფიკური მიმართება, მაშინ როცა წინადადებები აწი უნდა შევიდნენ სინამდვილესთან კავშირში).

---

[1] St. Toulmin: The Uses of Argument. Cambridge 1964.

დისკურსის ლოგიკაში, ლოგიკური მოდალობების ნაცვლად – შეუძლებელი (წინააღმდეგობა), აუცილებელი (უარყოფის შეუძლებლობა), შესაძლებელი (შეუძლებლობის უარყოფა) – გამოდიან სხვა მოდალობები, რომლებიც ფორმალურად ახასიათებენ არგუმენტებს იმის მიხედვით, გამოდგებიან თუ არა ისინი მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიის საყრდენად ანდა მის შესასუსტებლად. ანალიზური საფუძვლებიდან თუ ამოვალთ, არგუმენტი მნიშვნელოვნების პრეტენზიის დასასაბუთებლად ან უვარგისია („შეუძლებელი") ანდა მაიძულებელი („აუცილებელი"); საინტერესოა არგუმენტები, რომლებიც დამაჯერებელნი („შესაძლონი") არიან კონსენსუსის დისკურსული მიღწევისას. ჩვენ მათ ვუწოდებთ სუბსტანციურ არგუმენტებს, რადგან ისინი ინფორმატულნი არიან და მათი საფუძვლიანობა (ან უსაფუძვლობა) არ წყდება მარტო ანალიზური სიმტკიცის (თუ უმტკიცობის) საფუძველზე.

არგუმენტი არის დასაბუთება, რომელმაც ხამს იმაში დაგვარწმუნოს, რომ ვაღიაროთ მტკიცების ანდა მოთხოვნის თუ შეფასების მნიშვნელოვნების პრეტენზია. ტულმინი არგუმენტის ფორმალურ სტრუქტურას შემდეგი (გამარტივებული) სქემით წარმოადგენს:

ცხრ. 7 არგუმენტი ტულმინის მიხედვით



მტკიცება: „ჰერი ბრიტანეთის ქვეშევრდომია" (ę დასკვნა) განიმარტება მიზეზზე მითითებით: „ჰერი ბერმუდაში დაიბადა (d-მონაცემი). ეს განმარტება შემდეგი დასკვნის წესის შემოტანით: – „ბერმუდაში დაბადებული ადამიანი საზოგადოდ ბრიტანეთის ქვეშევრდომი" იქნება

(w- გარანტი) – საბუთდება როგორც მიღებული დედუქცია: ზოგადი წანამძღვრების (ანდა დასკვნის წესის) გამართლება ხდება შემდეგზე მითითებით: „მომდევნო კანონებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე" (b-საყრდენი). მინდა, ეს სქემა მივუყენო როგორც თეორიულ დისკურსს, რომელშიც შეიძლება მნიშვნელოვნების პრეტენზიის შესრულება, ისე – პრაქტიკულ დისკურსს, რომელშიც არგუმენტაციის გზით შეიძლება მოთხოვნების და შეფასებების მნიშვნელოვნების პრეტენზიის დაკმაყოფილება. მტკიცებებში ხდება ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის მქონე საქმის ვითარების ჰო ყოფა ანდა უარყოფა. ოპონენტი უარყოფს ჭეშმარიტებას და ამტკიცებს გამოთქმის უჭეშმარიტობას. მოთხოვნებში ხდება სისწორეზე პრეტენზიის მქონე მოქმედებების მოთხოვნა ანდა აკრძალვა. ოპონენტი ჰყოფს სისწორეს და ამტკიცებს მოთხოვნილი მოქმედების უსწორობას. შეფასებებში სათანადობაზე პრეტენზიის მქონე საგნები (ხდომილებები, შესრულებები, წესები და ა.შ.) კლასიფიცირებულია როგორც კარგნი, ანდა როგორც ცუდნი. ოპონენტი უარყოფს ჯეროვანებას და ამტკიცებს განხორციელებული კლასიფიკაციის არაჯეროვნებას. ერთ შემთხვევაში ოპონენტი ესწრაფვის დასაბუთებულ განმარტებას, ხოლო დანარჩენ ორში – დასაბუთებულ გამართლებას. საჭირო არგუმენტები, ტულმინის მიერ შემოთავაზებულ სიმბოლოთა გამოყენებით, შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

ცხრ. 8 დისკურსის ტიპები

	თეორიულ-ემპირული დისკურსი	პრაქტიკული დისკურსი
c	მტკიცებები	მოთხოვნა/შესრულებანი
კონტრაფერსული მნიშვნელოვნების პრეტენზია	ჭეშმარიტება	სისწორე/სათანადობა
ოპონენტის მიერ მოითხოვება	განმარტებები	გამართლებები
D	მიზეზები (ხდომილებათა შემთხვევაში) მოტივები (მოქმედებისას)	საბუთები
W	ემპირული მსგავსებები, კანონის ჰიპოთეზები და ა.შ.	მოქმედების/შეფასების ნორმები და პრინციპები
B	დაკვირვებები, გამოკითხვის შედეგები, დადგინებები და ა.შ.	განმარტებულ საჭიროებებზე (ღირებულებებზე), შედეგებზე თანაშედეგებზე და ა.შ. მითითება

არგუმენტი არის (დისკურსული მოდალობის თვალსაზრისით) უვარგისი (შეუძლებელი), თუ w არ შეიძლება განიმარტოს დასკვნის წესად, რომელიც d-დან c-ზე ანალიტიკური გადასვლის ნებას იძლევა. არგუმენტი მაიძულებელია (აუცილებელი) თუ d გამოიყვანება b-დან. ამ შემთხვევაში ჩვენ წინაშეა არა სუბსტანციალური, არამედ ანალიტიკური არგუმენტი, რადგან w b-სთან მიმართებაში არაინფორმაციულია. ტულმინის მაგალითი: c: ენს აქვს წითელი თმა; d: ენი არის ჯეკის ერთ-ერთი და; w: ჯეკის ყველა დას წითელი თქმა აქვს; b: ჯეკის თითოეულ დას (ინდივიდუალურად შემოწმდა) აქვს წითელი თმა. დამაჯერებელს ჩვენ ვუწოდებთ მხოლოდ და მხოლოდ იმ არგუმენტს, რომელიც შესაძლებელია (დისკურსული მოდალობების აზრით). ეს ის შემთხვევაა, როცა b-სა და w-ს შორის არ არსებობს დედუქციური კავშირი და b მაინც საკმარისი მოტივაციაა იმისა, რომ w დამაჯერებლად ჩაითვალოს. სუბსტანციურს მხოლოდ ისეთ არგუმენტებს ვეძახით, რომლებიც დამაჯერებლობას ლოგიკური უწყვეტობის გზით გამოიმუშავებენ და არა b-სა და w-ს შორის ტიპთა შორისი ნახტომით.

დისკურსის ტიპების ეს მოკლე მონახაზი, რა თქმა უნდა, დაზუსტებას საჭიროებს. მაგრამ იგი საკმარისია, რათა გვიჩვენოს ის პრობლემური მდგომარეობა, რომელთანაც საქმე გვაქვს, როცა გვინდა განვმარტოთ არგუმენტების კონსენსუსის მიმაღწეველი ძალა ე.ი. ის, რაც „რაციონალურად მოტივირებულ", დასაბუთებულ კონსენსუსამდე მიგვიყვანდა. რა პირობებში ვგრძნობთ თავს უფლებამოსილად b-დან w გადავიდეთ?

1) (c):

წყალი ამ ქოთანში ფართოვდება

ახსნა (d):

ეს წყალი ცხელდება

დაფუძნება კანონის ჰიპოთეზით (w):

თერმოდინამიკის შესაბამისი კანონი)

ჰიპოთეზის კაზუისტური ევიდენტობა (b):

(რამდენიმე განსაზღვრება ისეთი სიდიდეების განმეორებით დაკვირვებადი კონვარიანტობის თაობაზე, როგორებიცაა სხეულთა მოცულობა, წონა, ტემპერატურა).

2) რჩევა, რომელიც გამართლებას საჭიროებს (c):

კვირის ბოლომდე a-ს 50 გერმანული მარკა უნდა დაუბრუნო.

გამართლება (d):

a-მ ფული ოთხი კვირით გასესხა.

დასაბუთება მოქმედების ნორმით (w):

(შესაბამისი ნორმის მაგალითი): სესხს დათქმულ დროზე უნდა დაფარვა.

კაზუისტური ევიდენტობა ნორმის დასაბუთებისთვის (b):

(აღიარებული მოთხოვნილებების შესასრულებლად გამოყენებულ ნორმის შედეგებსა და გვერდით შედეგებზე მითითებათა მწკრივის მაგალითი:) სესხი შესაძლებელყოფს მწირი რესურსების მოქნილ გამოყენებას.

მე მგონია, რომ არგუმენტის კონსენსმომტანი უნარი დაკავშირებულია არგუმენტაციის მიზნით გამოყენებული ენის სათანადობასა და შესაბამის ცნებითს სისტემასთან. დამაკმაყოფილებელი არგუმენტი მაშინაა ჩვენ წინაშე, როცა არგუმენტის ყველა ნაწილი ერთსა და იმავე ენას განეკუთვნება. ვინაიდან ენის სისტემა ადგენს საფუძველცნებებს, რომელთა მეოხებით ისე აღიწერება ფენომენი, რომელსაც ახსნა და გამართლება ესაჭიროება, რომ ერთი მხრივ, ეგზისტენციის გამოთქმა, რომელიც ამ აღწერაში გვხვდება, შეიძლება გამოყვანილი იქნას d-სა და w-ში შემხვედრი გამოთქმებიდან და, რომ მეორე მხრივ, b დისკურსის თითოეული მონაწილისათვის საკმარისი მოტივი იყოს. დასაბუთების ენათა ამორჩევის როლი განიმარტება ფენომენის აღწერისა და მონაცემთა ამორჩევის ორივე ასპექტის გათვალისწინებით.

ენის სისტემის არჩევით ფენომენს, რომლის ახსნა ანდა გამართლებაა საჭირო, ვუქვემდებარებთ საგანთა განსაზღვრულ სფეროს. ენის სისტემის ძირითადი პრედიკატები განსაზღვრავენ თუ რა სახის მიზეზებთან, მოტივებსა და საბუთებთან, სავარაუდო კანონებისა თუ ნორმების რომელ კლასთან უნდა იქნას დაკავშირებული აღწერილი ფენომენი. არგუმენტაცია ემსახურება იმპლიკაციათა გაშლას, რომლებსაც შეიცავს ფენომენის აღწერა ენისა და ცნების სისტემისადმი მისი კუთვნილების წყალობით. მტკიცებები და რჩევები იმდენად არიან დასაბუთებულნი, რამდენადაც ისინი თავიანთი ენის სისტემის ელემენტებს წარმოადგენენ. დასაბუთებებს არაფერი ესაქმებათ ცალკეულ წინადადებებსა და რეალობას შორის რელაციასთან, არამედ მათ უპირველესად საქმე აქვთ მხოლოდ ენის სისტემის შიგნით წინადადებათა გადაბმულობასთან.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მეორე ასპექტი. ამორჩეული ენის სისტემა იმასაც განსაზღვრავს, თუ ევიდენტობის სახით გამოცდილებათა რომელი კლასები უნდა შეეიდნენ არგუმენტაციის კონტექსტში; ანუ – იმას თუ რა სახის საყრდენია დაშვებული. დაკვირვების და გამოკითხვის მონაცემები ისევე როგორც მოთხოვნილების ინტერპრეტაციები (ე.ი. გარეგან და შინაგან ბუნებასთან ურთიერთობაში შეძენილი გამოცდილებანი), რომლებსაც არგუმენტებად გამოვიყენებ-

დით, ბუნებრივია, ინტერპრეტირებულ გამოცდილებებს წარმოადგენენ და ამიტომ დამოკიდებულნი არიან ენის ამორჩეული სისტემის კატეგორიალურ ჩარჩოებზე.[1] მიუხედავად იმისა, რომ warrant-სა (გარანტი) და backing-ს (საყრდენი) შორის რა არსებობენ დედუქციური მიმართებანი, არგუმენტი B-დან W-ზე გადასვლის უფლებამოსილებიდან ქაჩავს კონსენსუსის მომტან ძალას. ცდილობენ, ეს უფლებამოსილება ახსნან ინდუქციის პრინციპის (მონოლოგური ჰიპოთეზების დასასაბუთებლად) და უნივერსალიზების პრინციპის მეშვეობით (მოქმედების ნორმათა დასასაბუთებლად).[2] ინდუქცია გამოიყენება, როგორც ხიდი-პრინციპი, რომელმაც უნდა გაამართლოს ლოგიკურად წყვეტილი გადასვლა ერთჯერადი გამოთქმების (მონაცემების) სასრული ოდენობიდან უნივერსალურ გამოთქმაზე (ჰიპოთეზა); უნივერსალიზება გამოიყენება, როგორც დამაკავშირებელი პრინციპი, რათა გამართლებულ იქნას დესკრიპტული მითითებიდან (საყოველთაოდ აღიარებული მოთხოვნების შესრულებისთვის ნორმათა გამოყენების შედეგებსა და გვერდით შედეგებზე) ნორმაზე გადასვლა. დამაკავშირებელი პრინციპების როლი მჭიდროდ არის დაკავშირებული დასაბუთების ენის ფუნქციასთან. თუ არგუმენტაციისთვის გამოყენებულ ენის სისტემას, დასაბუთების ენას, რომლიც გარკვეული აზრით წინ უსწრებს გამოცდილებას, ამავე დროს ჩამოყალიბების გამოცდილებაზე დამოკიდებული პროცესების რეზულტატად გავიგებთ, სწორედ მაშინ გვეძლევა საშუალება აიხსნას, თუ რატომ არის შესაძლებელი მტკიცებათა დასაბუთებისას ინდუქცია, ხოლო მოთხოვნათა გინა შეფასებათა დასაბუთებისას რატომ ჩნდება უნივერსალიზების აუცილებლობა.

დასაბუთების საიმედო ენათა ძირითადი პრედიკატები გამოხატავენ კოგნიტივურ სქემებს. მე გთავაზობთ, ეს სქემები ისე გავიგოთ, როგორც პიაჟეს (და შემეცნების მატერიალისტურ თეორიას, რომლისთვისაც საზოგადოებრივი მუშაობა სინთეზს წარმოადგენს) ესმის.[3] კოგნიტივური სქემები წარმოადგენენ პიროვნულობისა და საზოგადოებრივი სისტემების ბუნებასთან შეჯახების შედეგებს; ისინი ყალიბდებიან ასიმილაციის და ამავე დროს აკომოდაციის პროცესში. ამ სქემების ფუნდამენტური ფენა პერსონულობის სტრუქტურაში შედის და ქმნის კოგნიტივურ აპარატს. უფრო ცოტად ფუნდამენტური და სახეცვლილი სქემებიც კი, რომლებიც თეორიებსა და განმარტების სხვა სისტემებში

---

[1] მეცნიერულ დისკურსებში საზოგადოდ სასურველია „გაზომილი" მონაცემები; ამასთანავე „გაზომვა" გულისხმობს მოქმედებაზე მოდებული გამოცდილებების სისტემატურ ტრანსფორმაციას დისკურსში ხმარებად მონაცემებად. შად. V. Cicourel: Messung und Methode in den Sotialwissenschaften, Frankfurt a. M. 1969.

[2] შად. M. G. Singer: Generalization in Ethics. London 1963.

[3] H.G. Furth: Piaget and Knowledge. Englewood Cliffs 1969.

საფუძველცნებებად გეევლინებიან, კონსტიტუციურ როლს თამაშობენ როგორც საგანთა სფეროების, ისე ინტერსუბიექტური სტრუქტურების მშენებლობაში. ერთი მხრივ იგი თვითონ არის გამოცდილებაზე დამოკიდებული ჩამოყალიბების პროცესთა რეზულტატი, მაგრამ მეორე მხრივ მათ, ასე ვთქვათ, აპრიორული მნიშვნელობა აქვთ გამოცდილებებისთვის; *გამოცდილებად* მათი ორგანიზება სწორედ ამ სქემებით ხდება.

მაგრამ თუ დასაბუთების ენათა ძირითადი პრედიკატები იმგვარ კოგნიტივურ ცნებებს გამოხატავენ, როგორც ისინი ჩვენ განვმარტეთ, მაშინ ინდუქცია საკმაოდ ტრივიალურ რამეს ნიშნავს, კერძოდ – გამოცდილების იმ ტიპის სამაგალითოდ ზუსტ გამეორებას, რომელშიც წინასწარ არის ჩამოყალიბებული ის კოგნიტივური სქემები, რომლებიც ყოველთვის შედიან დასაბუთების ენის ძირითად პრედიკატებში. უნივერსალური გამოთქმის ჭეშმარიტების კაზუისტური ევიდენტობით ინდუქციური დარწმუნების უფლება თავს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ უნდა მივცეთ, როცა ამორჩეული ენისა და ცნების სისტემა კოგნიტივური განვითარების შედეგებს აითვისებს; ამას უზრუნველყოფს ის, რასაც ჩვენ გვინდა ვუწოდოთ დაფუძნების ენის „მისადაგებულობა“ განსაზღვრულსა და გარკვეულ წილად მნიშვნელოვნად ქცეულ საგანთა სფეროსადმი. ამრიგად, კოგნიტივური განვითარება არაპირდაპირ იმ გამოთქმათა მნიშვნელობაზე თავდებობასაც კისრულობს, რომლებიც *შესაძლონი არიან* მასზე დამოკიდებულ აღწერის სისტემებში. თუ ასე შევხედავთ, ინდუქცია კარგავს თავის იდუმალ ხასიათს; მაგრამ მაშინ თვალშისაცემი გახდება ინდუქციური ხერხის წარმატების უნარიანობის საზღვრებიც. ინდუქციურ დამოწმებასა ანდა უკუგდებაზე დაშვებული მონაცემები ამორჩეული ენის სისტემის საშუალებით ისე ფართოდ არიან შერჩეულნი, რომ „გამოცდილება“ აღარ შეიძლება წარმოადგენდეს უპირობოდ დამოუკიდებულ ინსტანციას. ინდუქცია უზრუნველყოფს არგუმენტში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოვლინებული უნივერსალური გამოთქმების გადაბმულობას სხვა უნივერსალურ გამოთქმებთან, რომელთა გაკეთება შესაძლებელია იმავე ენის სისტემის შიგნით. ეს ხერხი ცალკეულ წინადადებას კი არ აპირისპირებს რეალობასთან, არამედ – მთელს ენის სისტემას. დაფუძნების ენის მიმართება რეალობასთან წინასწარ არის მოწესრიგებული სწავლისა და განვითარების პროცესის მეშვეობით. ე.ი. – კოგნიტივური განვითარებით, რომელიც – რაკი ამორჩეული ენის სისტემის ძირითად პრედიკატებს განსაზღვრავს – წინ უსწრებს თითოეულ, იმავე ენაში შესაძლებელ არგუმენტაციას. მაგრამ მაშინ რაღას ეფუძნება არგუმენტის კონსენსუსის მომტანი უნარი თუ არა ცალკეული წინადადებების კონფრონტაციას ინტერპრეტირებულ გამოცდილებებთან?

ყველაზე მარტივი პასუხი იქნება მითითება უკვე ენის სისტემის ხსენებულ „მისადაგებულობაზე“ თავისსავე საგანთა სფეროსადმი. ს.ფ. ფონ ვაიცზეკერმა მიანიშნა ჭეშმარიტების კიბერნეტიკულ თეორიაზე, რომელიც ცდილობს „ჭეშმარიტება“ გაიგოს როგორც სისტემა–გარემო–მიმართება, რომელსაც განვითარების სოციოკულტურულ საფეხურზე შეესატყვისება ორგანიზმის მისსავე გარემოსადმი მისწორებულობის მიმართება. „ცხოველი სწორად ან არასწორად იქცევა... მაშასადამე, ჩვენ მიახლოებით ასე ვამბობთ: „სისწორე არის გარემოებებისადმი მისწორებულობის მიმართება“.. ქცევა არასგზით არ არის გარემოებების „ასახვა“. იგი ობიექტს არ მიესწორება ფოტოგრაფიულად, არამედ ისე როგორც გასაღები – კლიტეს“[1]

„ქცევის ჭეშმარიტების“ კონცეფციაზე დაყრდნობით ვაიცზეკერს შემოაქვს ჭეშმარიტების ცნება, რომელიც ემთხვევა კოგნიტივური სქემების „მისადაგებულობის“ პიაჟეს მიერ გამოცოცხლებულ ცნებას; სქემებიც „ესატყვისებიან“ სინამდვილეს, რომელიც ჩამოყალიბების პროცესებში კონსტიტუირდება როგორც სინამდვილე *ჩვენთვის*, რომც გვქონდეს უფლება, რომ ჭეშმარიტება მისადაგებულობასთან გავაიგივოთ, ამ გზით მაინც არ მოხერხდებოდა ჭეშმარიტების შესაბამისობის თეორიის რეაბილიტირება.

მაგრამ კოგნიტივური სქემების და შესაბამისი ენის სისტემების მისადაგებულობა ობიექტთა სფეროსადმი (ანდა კონსტიტუირებული სინამდვილის ნაჭრებისადმი) არ შეიძლება გაგებული იქნას ჭეშმარიტებად, თუ ჭეშმარიტება სრულად არ მოწყდება გამოთქმებთან შერწყმულ მნიშვნელოვნების პრეტენზიას, ე.ი. თუ მოხდება მისი სხვა ცნებით შეცვლა. ჭეშმარიტნი ან ყალბნი შეიძლება იყვნენ არა კოგნიტივური სქემები და ცნებები, არამედ–პრედიკატები. გამოთქმები, რომლებსაც ამგვარი ცნებებისა და პრედიკატების გამოყენებით ვქმნით. „მისადაგებულობა“ არის კატეგორია, რომელიც განეკუთვნება კოგნიციის ე.ი. გამოცდილების საგნებზე ინფორმაციის მოპოვების სფეროს. მოქმედებაზემოდებული გამოცდილების ამ სფეროში, როგორც იქნა ნაჩვენები, სრულიადაც არ არიან თემატიზებულნი ჭეშმარიტებაზე პრეტენზიები. პირიქით იქ, სადაც როგორც დისკუსიებში, კამათის საგანს საქმის ვითარებანი წარმოადგენენ, საქმე ეხება გამოთქმათა მნიშვნელობას და არა ინფორმაციათა საიმედობასა თუ კოგნიტივური აქტების დამაჯერებლობას. გამოცდილების (საგნები სამყაროში) კორელატების და არგუმენტაციის კორელატთა (ფაქტების) აღრევა შეესატყვისება ცალკეული წინადადების ჭეშმარიტებასთან ენისა და ცნების სისტემის მისადაგებულობას.

---

[1] C. F.v. Weizsäcker: Die Einheit der natur. München 1971. S. 338f.

ენის სისტემები წარმოადგენენ გამოთქმების შესაძლებლობის პირობებს (და გამოთქმები ენის სისტემის შესახებ, თავის მხრივ, უფრო მომცველ ენის სისტემაში შედიან, რომელიც იმავე პირობებს ემორჩილება, რასაც ობიექტენა). ამ პირობებში შედის – რამდენადაც ამის მტკიცება ამგვარ ენებში არის შესაძლებელი – კოგნიტივური სქემების საგანთა სფეროსთან წინასწარი მისადაგებულობა; მაგრამ ის, რასაც ჩვენ გამოვხატავთ კოგნიტივური და ენობრივი საშუალების გამოყენებით, ყოველთვის არიან ის განსაზღვრული საქმის ვითარებანი, რომლებიც ან არსებობენ ანდა არ არსებობენ. საქმის ვითარებათა არსებობა განსაზღვრავს იმ გამოთქმათა ჭეშმარიტებას, რომლებიც მას გადმოსცემენ, მაგრამ იგი ვერ განსაზღვრავს იმ ენის სისტემის მისადაგებულობას, რომლიდანაც აღებულია გამოთქმებში გამოყენებული ცნებები და პრედიკატები. თუ ენის სისტემა მიუსადაგებელია, მაშინ შესრულებული არ არის გამოთქმათა ჭეშმარიტების მხოლოდ ერთი პირობა, რომელსაც ჩვენ ამ ენის კატეგორიებში განვსაზღვრავთ. ენის სისტემა მიესადაგება თუ არა, ამის შემოწმება არაპირდაპირ შეგვიძლია იმ ჭეშმარიტ გამოთქმათა მაგალითებზე, რომლებსაც მასში ვაყალიბებთ. მაგრამ ენისა და ცნებათა სისტემების მისადაგებულობა მხოლოდ მაშინ შეიძლება უშუალოდ დავუკავშიროთ მათში ჩამოყალიბებული გამოთქმების ჭეშმარიტებას, თუ ყოველთვის „მისადაგებულობის" (ჩვენი ჰიპოთეზით) საფუძვლადმდებარე კოგნიტივური განვითარებანი გაცნობიერებულნი იქნებოდა დისკურსული სწავლის პროცესის ფორმით, ე.ი. თუკი ისინი შესრულებულნი იქნებოდნენ არგუმენტაციის მედიუმში. ეს მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, თუ არადისკურსული მოქმედებისა და გამოცდილების წნეხის ქვეშ მიმდინარე განვითარებანი მართვის ემპირულ მექანიზმებს მოწყდებოდნენ და სტრუქტურულად დისკურსებს მიებმებოდნენ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ სინამდვილეში (მეცნიერების სისტემაში მიახლოებით შესრულებული?) ჩვენ ეს მოთხოვნა ყოველთვის უკვე შესრულებულად უნდა ვიგულისხმოთ, როცა არგუმენტის დამაჯერებლობის ძალას ვემორჩილებით, ე.ი. რაციონალურად მოტივირებულნი ვხდებით.

მინდა, ჩვენი განაზრება შევაჯამო. ამორჩეული ენისა და ცნების სისტემაში ახსნადასაჭიროებული მტკიცებისა თუ რჩევის დედუქციური ურთიერთდაკავშირება ხდება, სულ ცოტა, ორ მომდევნო წინადადებასთან; შემდეგ კაზუისტური ევიდენტობით დასაბუთდება წინამძღვრებად მოფუნქციე საყოველთაო გამოთქმების (კანონის ვარაუდი, მოქმედების და შეფასების ნორმა) მისაღებობა. არგუმენტის კონსესის მიმაღწეველი ძალა ეფუძნება ინდუქციით ანდა უნივერსალიზებით გამართლებულ გადასვლას B-დან W-ზე. თავდაპირველად ჩვენ გავარჩიეთ მხოლოდ კანონის დაშვებათა ინდუქციური დამოწმების შემთხვევა და გამოვთქვით ვარაუდი, რომ ინდუქცია შეიძლება განიმარტოს შესაბამის ობიექტთა სფეროსთან დასაბუთების ენის მისადაგებულობის გზით. მაგრამ მაშინ არგუმენტის კონსენსის მომპოვებელი ძალა ეფუძნება აღწერის სისტე-

მის მისადაგებულობის უზრუნველმყოფელ კოგნიტივურ განვითარებას, რომელიც წინ უსწრებს თითოეულ ცალკეულ არგუმენტაციას. მაშინ სრულიად გასაგები მცდელობა, რომ ჭეშმარიტება თვითონ არგუმენტაციის ხერხით კი არ დაფუძნდეს, არამედ – სწორედ მისადაგებულობით, მარცხს განიცდის იმ გარემოების გამო, რომ არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს არც პრედიკატი და ცნება და არც ენისა და ცნების ის სისტემები, რომლებშიც ისინი გამოდიან. ჭეშმარიტნი და ყალბნი შეიძლება მხოლოდ გამოთქმები იყონ. ამრიგად, ჭეშმარიტება არგუმენტაციაზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს. ამის პრეტენზია შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტაციის კონსენსმომპოვებელ ძალას პქონდეს, თუკი უზრუნველყოფილია ის, რომ იგი ემყარება არა მარტო ენის სისტემასა და სინამდვილეს შორის კოგნიტური განვითარების გზით წინდაწინითს ბუნებრივად მოწესრიგებულ გინა „მისადაგებულ" მიმართებას, არამედ თვითონ წარმოადგენს მედიუმს, რომელშიც შესაძლებელია კოგნიტივური განვითარების, როგორც სწავლის პროცესის განგრძობა. მიესადაგება თუ არა ენა ობიექტსფეროს, ზუსტად უნდა დაექვემდებაროს თუ არა განმარტებადასაჭიროებული ფენომენი საგანთა სფეროს, რომელიც მისადაგებულია არჩეულ ენასთან; ეს საკითხი თავად არგუმენტაციის საგანს წარმოადგენს. ამასთან, საქმე ეხება საკითხს, რომლის პირდაპირი გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ ცნებასა და საგანს შორის მიმოქცევით შეიძლება – ამგვარი პირდაპირი წვდომა შეეძლებოდა მხოლოდ მეტაფიზიკურ გონს, რომელიც არ არის ჩვენი გონთა გონი. ჩვენ დამოკიდებულნი ვართ არგუმენტაციის მსვლელობაზე, რომელიც საბედნიეროდ უშვებს არგუმენტაციის სიბრტყეთა გამოცვლას. ამიტომ დისკურსის ფორმალური მახასიათებლები ისე უნდა იყონ ჩამოყალიბებულნი, რომ ყოველ მომენტში შეიძლებოდეს დისკურსის სიბრტყის გამოცვლა და თაეიდანვე ამორჩეული ენის სისტემის საჭიროებისდა მიხედვით არაშესაფერისად ცნობა და მისი კონტროლირება; შემეცნებითი წინსვლა ენის სუბსტანციური კრიტიკის ფორმით ხორციელდება, მაგრამ არგუმენტირებულად მოპოვებული კონსენსუსი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჭეშმარიტების კრიტერიუმად, როცა არსებობს სტრუქტურული შესაძლებლობა იმისა, რომ ჩაკითხულ, მოდიფიცირებულ და შეცვლილ იქნას დასაბუთების ის ენა, რომელშიც ხდება გამოცდილებათა ინტერპრეტირება. ჩვენი გამოცდილებების ინტერპრეტაციათა მიუსადაგებლობის რეფლექსური გამოცდილება საჭიროა, არგუმენტაციაში მოექცეს. ვიდრე გამოვიკვლევდეთ, თუ რას ნიშნავს თეორიულ დისკურსში წამოყენებული ეს მოთხოვნა და როგორ უნდა შესრულდეს ის, მინდა ვცადო პრაქტიკული დისკურსის კონტექსტებში უნივერსალიზების როლის გაშუქება.[1]

---

[1] შეად. თაეი პრაქტიკულ საკითხთა ჭეშმარიტების უნარმქონეობის შესახებ; In: Legitimatinsprobleme im Spätkapitalismus. Frankfurt a. M. 1973.

მაგრამ რადგან პრაქტიკულ დისკურსებში, როგორც ამას ვაკეთებთ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიების გადამოწმებისას, შეუძლებელია დავემყაროთ გარეგანი, ობიექტივირებული სინამდვილის გამოცდილებებს და სულაც არ ძალგვიძს მცდელობა იმისა, რომ მოთხოვნებზე მიერთებული მნიშვნელოვნების პრეტენზია ენასა და გარეგან ბუნებას შორის რელაციად გავიგოთ, ამიტომ სისწორის კონსენსის თეორია არ აწყდება იმავე შესიტყვებებს, რასაც – ჭეშმარიტების კონსენსთეორია. ალბათ ცხადი უნდა იყოს, რომ პრაქტიკული საკითხები, რომლებიც წამოიჭრებიან ნორმების არჩევანთან მიმართებაში, შეიძლება გადაიჭრან მხოლოდ და მხოლოდ კონსენსუსის გზით, რომელიც მიღწეული იქნება ყველა მონაწილესა და ყველა პოტენციურად ჩარეულს შორის. ნორმები აწესრიგებენ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ლეგიტიმურ შანსებს; ხოლო ინტერპრეტირებული მოთხოვნილებები წარმოადგენენ შინაგანი ბუნების ნაკუწს, რომელთანაც გამორჩეული მიდგომილობა აქვს თითოეულ სუბიექტს, რამდენადაც იგი თავისთავს გულწრფელად ეკიდება. სისწორის კონსესთეორიას უფრორე ის ეჭვი ემუქრება, რომ იქნებ მოთხოვნათა თუ აკრძალვათა სისწორე საერთოდ არ იყოს დისკურსულად შესრულებადი მნიშვნელოვნების პრეტენზია და იქნებ პირიქით, პირწმინდად სუბიექტური რამ იყოს.

ასეთი დარწმუნებულობა საფუძვლად უდევთ არაკოგნიტივისტურ ეთიკებს. ამ კონტექსტში ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება უნივერსალიზების პრინციპებს, რომლის მიხედვით დასაშვებია მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომელსაც შეიძლება საყოველთაო თანხმობა ერგოს. უნივერსალიზების პრინციპი კი იმას ემსახურება, რომ გამორიცხოს ყველა კონსესუუნარო ნორმა, რომლებიც ახორციელებენ კერძოსა და განზოგადოების უუნარო ინტერესებს. მაგრამ რამდენადაც გარკვეულ გარემოებებში კონსენსუსის მიღწევა თვით ასეთ განზოგადებისუუნარო ნორმათა თაობაზეც კია შესაძლებელი, ამდენად საქმე ეხება კერძო ინტერესებს შორის კომპრომისს და არა არგუმენტირებულად მოპოვებულ კონსენსუსს. კომპრომისები ჭკვიანური ქმედებისა და მოლაპარაკების შედეგებს წარმოადგენენ და არა – დისკურსებისა. ინდუქციასავით უნივერსალიზებაც თამაშობს მაკავშირებელი პრინციპის როლს, რომელმაც ხამს, აგვიხსნას თუ რატომ არის, რომ ჩვენ ძალგვიძს ქმედების შემოთავაზებული ნორმა დამაჯერებელი გავხადოთ აღიარებული მოთხოვნილებების მიმართ ნორმის გამოყენების შედეგებსა და გვერდით შედეგებზე მითითების გზით. ეს გადასვლა არის ცხადი როცა კაზუისტური ევიდენტობა ეყრდნობა *საყოველთაოდ* აღიარებულ მოთხოვნილებებს. ამასთანავე, არგუმენტის კონსესმომტანი უნარი ემყარება ვარაუდს, რომ სათანადოა ენის სისტემა, რომლის ჩარჩოებში განიმარტება როგორც გამართლებადასაჭიროებული რჩევა, ისე ნორმა და საყრდენად შემოტანილი საყოველთაოდ მიღებული მოთხოვნები.

მეორე მხრივ, ეთიკური ენის საფუძველცნებები შეიძლება გავიგოთ კოგნიტივურ სქემებად, რომლებიც გვარის ისტორიულად მსოფლხატებისა და მორალური სისტემების ევოლუციასთან ერთად, ხოლო ონტოგენეზის სიბრტყეზე მორალური ცნობიერების განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდნენ. მისადაგებულს ჩვენ ისეთ მორალურ ენას ვუწოდებთ, რომელიც გარკვეულ პირებსა და ჯგუფებს გარკვეულ პირობებში თავიანთი როგორც კერძო ისე საზიარო და კონსესისუნარმქონე მოთხოვნილებების გულწრფელი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ამორჩეულმა ენის სისტემამ მოთხოვნილებათა ისეთი ინტერპრეტაციები უნდა შეგვაძლებინოს, რომლებშიც დისკურსის მონაწილეს შეეძლება თავისი შინაგანი ბუნების საჯაჯარაოზე გამოტანა და ჩვენთვის იმის გაგებინება, რაც მას სინამდვილეში სურს. რა თქმა უნდა, მოთხოვნების სისწორე ისევე არ შეიძლება დაყვანილ იქნას ცნებათა მისადაგებულობაზე, როგორც – გამოთქმათა ჭეშმარიტება. ამიტომ არგუმენტაციას აქაც მხოლოდ იმდენად შეუძლია დაიჩემოს კონსესისმომტანი უნარი, რამდენადაც უზრუნველყოფილია, რომ მონაწილეებს შეუძლიათ დასაბუთების იმ ენის ჩაკითხვა და გადასინჯვა, რომლითაც ისინი თავიანთ მოთხოვნილებათა ინტერპრეტირებას ეწევიან. პრაქტიკულმა დისკურსმა თავისი ფორმალური თვისებების საფუძველზე უნდა მოგვცეს გარანტია, რომ მონაწილეს ყოველ მომენტში შეუძლია გამოცვალოს დისკურსის სიბრტყე და გამოიცნოს მოთხოვნილებების ტრადიციით გადმოცემულ ინტერპრეტაციათა არასათანადობა. მათ უნდა შექმნან ენის ისეთი სისტემა, რომელიც იმის გამოთქმის საშუალებას მისცემს, რისი თქმაც მათ სურთ მოცემულსა და განხორციელებადს გარემოებებში.

V. იდეალური სამეტყველო სიტუაცია

(ტულმინის კვალად) წარმოდგენილი არგუმენტაციის სტრუქტურა საკმარისი რომ იყოს იმისთვის, რათა როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ მნიშვნელოვნების პრეტენზიაზე გამოტანილი იქნას რაციონალურად მოტივირებული გადაწყვეტილებანი, საჭიროა, დისკურსს ჰქონდეს ისეთი ფორმა, რომელიც თავდაპირველად ამორჩეული ენის სისტემის რეკვიზიის უფლებას მოგვცემს. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ჩაერთვება დასაბუთებაში ენის სისტემათა მიუსადაგებადობის გამოცდილება. რას ნიშნავს ეს მოთხოვნა დისკურსების ფორმალურ თვისებათათვის? მინდა ეს საკითხი გავარჩიო ჯერ თეორიული, მერე პრაქტიკული დისკურსისათვის.

თეორიული დისკურსის ფორმამ შესაძლებელ უნდა ჰყოს თანდათანობითი რადიკალიზება ე.ი. – შემმეცნებელი სუბიექტის თვითრეფლექ-

სია. პირველი ნაბიჯი არის პრობლემატიზებული მტკიცებებიდან, რომლებიც თვითონ წარმოადგენენ მოქმედებებს, ისეთ მტკიცებებზე გადასვლა, რომელთა კონტროვერსული მნიშვნელოვნების პრეტენზია დისკურსის საგნად იქცევა (დისკურსში შესვლა). მეორე ნაბიჯი მდგომარეობს პრობლემატიზებული მტკიცების თეორიულ განმარტებაში ე.ი. – იმაში, რომ ერთი არჩეული ენის სისტემის (თეორიული დისკურსი) შიგნით, სულ ცოტა, ერთი არგუმენტის მოტანა შეიძლება.[1] მესამე ნაბიჯი წარმოადგენს თავდაპირველად ამორჩეული ენის სისტემის მოდიფიკაციაზე ანდა ენის ალტერნატიული სისტემების (მეტათეორიული დისკურსი) მისადაგებულობის შემოვლით გზაზე გადასვლას. მეოთხე ნაბიჯი და შემდგომი რადიკალიზება მდგომარეობს დასაბუთების ენათა სისტემური ცვლილებების რეფლექსიაზე გადასვლაში. შემეცნებითი წინსელის კვალადკონსტრუქცია, რომელიც ხორციელდება სუბსტანციალური ენის კრიტიკის ფორმაში, უფრო ზუსტად – არასათანადო ენის და ცნებითი სისტემების თანდათანობითს დაძლევაში, მივყავართ საზოგადოდ შემეცნების ნორმატიულ ცნებამდე (შემეცნების კრიტიკა).[2] ეს უკანასკნელი ნაბიჯი საინტერესოდ არღვევს თეორიული დისკურსის საზღვრებს. მას დისკურსის იმ სიბრტყეზე გაყავართ, რომელზეც ჩვენ რაციონალური კვალადკონსტრუქციების თავისებური წრიული მოძრაობის დახმარებით ვრწმუნდებით იმის თაობაზე, რაც *ჯერ არს* შემეცნებად ჩაითვალოს: როგორი ბუნებისანი უნდა იყვნენ კოგნიტივური ღვაწვანი, რომ მათ უფლება ჰქონდეთ, პრეტენზია განაცხადონ შემეცნების სახელზე? შემეცნებითი წინსვლის რეკონსტრუქციისას თეორიული ძირითადი ნორმები კარგავენ თავიანთს პრაქტიკულ ბირთვს. შემეცნება ერთნაირად შეეზომება საგანსაც და ინტერესსაც, რომელსაც მუდამ უნდა მოიცავდეს საგნის ცნება.

პრაქტიკული დისკურსის ფორმაც ანალოგიურადვე თანდათანობით უნდა შესაძლებელყოფდეს რადიკალიზებას ე.ი. მოქმედი სუბიექტის თვითრეფლექსიას. პირველი ნაბიჯი არის პრობლემატიზებული მოთხოვნებიდან (აკრძალვებიდან) – რომლებიც თვითონ წარმოადგენენ მოქმედებებს – რჩევებზე ანდა გაფრთხილებებზე გადასვლა, რომელთა კონ-

---

[1] გამოთქმას „თეორიული დისკურსი" ფართო აზრით ვიყენებ; მან ისევე უნდა მოიცვას დაკვირვებულ წესზომიერებათა, ცალკეული ჰიპოთეზებისა თუ ჩაკეტილი თეორიების მეშვეობით ფენომენთა განმარტება, როგორც–თეორიული წინადადებებისა და თეორიების განმარტება სხვა თეორიების დახმარებით, რამდენადაც საქმე ეხება არგუმენტს მოცემული ენის სისტემის შიგნით.

[2] მეცნიერებათა თეორიასა და თეორიულ მეცნიერების ისტორიას შორის სისტემური კავშირი სულ უფრო ცხადი ხდება კუნს, პოპერსა და სხვა მონაწილეებს (ყოველის უწინ ლაკატოსსა და ტულმინს) შორის დისკუსიაში. შად. საინტერესო შენიშვნები ხ.ბუბნერისა, კვლევის ლოგიკის დიალექტიკური ელემენტები; in: Dialektik und Wissenschaft, Frankfurt a. M. 1972, S. 129ff.

ტროვერსული მნიშვნელოვნების პრეტენზია დისკურსის საგნად იქცევა (დისკურსში შესვლა), მეორე ნაბიჯი მდგომარეობს პრობლემატიზებული მოთხოვნის (აკრძალვის თეორიულ გამართლებაში. ე.ი. ამორჩეული ენის სისტემის (პრაქტიკული დისკურსის) შიგნით სულ ცოტა ერთი არგუმენტის წამოყენებაში. მესამე ნაბიჯი წარმოადგენს თავდაპირველად ამორჩეული ენის სისტემის მოდიფიკაციაზე ანდა – ალტერნატიული ენის სისტემის შემოვლით გზაზე (მეტაეთიკური ანდა მეტაპოლიტიკური დისკურსი) გადასვლას.[1]

უკანასკნელი ნაბიჯი და შემდგომი რადიკალიზება მდგომარეობს იმაში, რომ გადავიდეთ რეფლექსიაზე იმისა, თუ რა დამოკიდებულებაშია ჩვენი მოთხოვნილების სტრუქტურები ჩვენივე ცოდნისა და შეძლების მდგომარეობასთან. ჩვენ ვერთიანდებით ჩვენივე მოთხოვნილებების ინტერპრეტაციებში, რომლებსაც ვახდენთ ქმნადისა და მიღწევადის სარბიელთა შესახებ არსებული ინფორმაციების შუქზე. მომავალში ინფორმაციათა რომელ კლასებს მივანიჭებთ უპირატესობას, ეს ისევ პრაქტიკული საკითხია, რომელიც შეეხება, მაგალითად, მეცნიერების ხელშემწყობ პრიორიტეტებს (შემეცნების პოლიტიკური ნებისქმნადობა). დისკურსის ამ სიბრტყეზე წამოიჭრება შემდეგი შეკითხვა: რისი შემეცნება ჯერ არს, შეგვეძლოსა და გვსურდეს?

ამით პრაქტიკული დისკურსი, თავის მხრივ, ვრცელდება კოგნიტიურ განვითარებაზე, რომელიც არგუმენტაციასთან უკუკავშირში იმყოფება. ამავე დროს, ეს უკანასკნელი ნაბიჯი არღვევს პრაქტიკული დისკურსის საზღვრებს, რადგან – მას შემდეგ რაც ვიცით, თუ რა ხამს, ჩათვალოს შემეცნებად – პრაქტიკული საკითხი თუ რისი შემეცნება *ჯერ არს, გვსურდეს,* აშკარად დამოკიდებულია თეორიულ საკითხზე თუ რისი შემეცნება *შეგვიძლია.*

ცხ. 9: დისკურსის სიბრტყეები

რადიკალიზების საფეხურები	თეორიული დისკურსი	
ქმედებები	მტკიცებები	
დასაბუთებანი	თეორიული განმარტე-ბანი	
ენის სუბსტანციალური კრიტიკა	მეტათეორიული შეცვლა ენისა და შემეცნების კრიტიკა	მეტაეთიკური (მეტაპოლიტიკური) ცნების სისტემისა
თეითრეფლექსია		შემეცნების პოლიტიკური ნებისქმნადობა

[1] შედ. O. Schwemmer, Philosophie der Praxis, Frankfurt a. M. 1971.

სქემაზე წარმოდგენილია რადიკალიზების საფეხურთა მოკლე მიმოხილვა, რომლებიც დისკურსებში უნდა მოვაწყოთ, როცა საჭიროა, რომ თეორიულმა განმარტებამ ანდა თეორიულმა გამართლებამ რაციონალური მოტივირება უყოს კონტრავერსული მნიშვნელოვნების პრეტენზიის დაშვებას. რადგან არგუმენტის თანხმობაჩამომგდები უნარი იმას ეფუძნება, რომ ჩვენ შეგვიძლია მიმოვიქცეთ დისკურსის სხვადასხვა სიბრტყეებს შორის, ვიდრე შეთანხმება არ მიიღწევა. არგუმენტირებულად მოპოვებული კონსენსუსი მაშინ და მხოლოდ მაშინ არის დისკურსული მნიშვნელოვნების პრეტენზიების ასრულების კრიტერიუმი, როცა დისკურსის ფორმალური მახასიათებლების საფუძველზე უზრუნველყოფილია მის სხვადასხვა სიბრტყეებს შორის თავისუფალი მიმოსვლის უფლება. რომელია ის ფორმალური თვისებები, რომლებიც ამ პირობას აკმაყოფილებენ? ჩემი თეზისი ამბობს: ესენი არიან იდეალური სამეტყველო სიტუაციის მახასიათებლები.

იდეალურს მე ისეთ სამეტყველო სიტუაციას ვუწოდებ, რომელშიც კომუნიკაციებს ვერ აბრკოლებენ არათუ მარტო შემთხვევითი გარეგანი ზემოქმედებანი, არამედ ის იძულებებიც კი, რომლებიც თვითონ კომუნიკაციის შინაგანი სტრუქტურიდან მომდინარეობენ. იდეალური სამეტყველო სიტუაციიდან გამორიცხულია კომუნიკაციის სისტემური დამახინჯებანი. კომუნიკაციის სტრუქტურიდან მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არ მომდინარეობენ იძულებები, როცა დისკურსის ყველა მონაწილეს მეტყველება-ქმედებების ამორჩევისა და განხორციელების თანაბარი შანსები ეძლევა. სიმეტრიის ამ საყოველთაო მოთხოვნიდან შეიძლება გამოყვანილ იქნენ მეტყველება-ქმედებების ამორჩევისა და განხორციელების შანსთა თანაბარი გადანაწილების მოთხოვნები, რომლებიც მეტყველება-ქმედებების თითოეული კლასისთვის განსხვავებულია.

იდეალური სამეტყველო სიტუაცია, ყოვლის უწინარეს, უნდა აკმაყოფილებდეს ორ ტრივიალურ პირობას:

1) დისკურსის თითოეულ პოტენციურ მონაწილეს უნდა ჰქონდეს კომუნიკაციური მეტყველება-ქმედებების გამოყენების თანაბარი შანსი. ისე, რომ მათ დროის ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ როგორც მეტყველებისა და შესიტყვების წამოწყება, ისე შეკითხვისა და პასუხის უსასრულოდ განგრძობა.

2) დისკურსის თითოეულ მონაწილეს უნდა ჰქონდეს განმარტებათა, რჩევათა, ახსნა-განმარტებათა და გამართლებების წამოყენებისა და მათი პრობლემატიზების თანაბარი შანსები, ისე რომ გამძლეობაზე ვერც ერთი წინასწარი შეხედულება ვერ უსხლტება თემატიზებასა და კრიტიკას.

არატრივიალურია შემდეგი ორი პირობა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ იდეალური სამეტყველო სიტუაციები, რათა არსებობდეს იმის გარანტია, რომ საუბრის თანამონაწილეებს კი არ ეჩვენებათ, არა-

მედ ისინი ნამდვილად მართავენ დისკურსს და არ იმყოფებიან ისეთ კომუნიკაციაში, რომელიც მოქმედების აუცილებლობიდან გამომდინარეობს. გასაოცარია, რომ იდეალური სამეტყველო სიტუაცია ისეთ განსაზღვრებებს ესწრაფვის, რომლებიც მხოლოდ არაპირდაპირ უკავშირდებიან დისკურსებს, ხოლო პირდაპირ კავშირში მოქმედების კონტექსტთა ორგანიზაციასთან იმყოფებიან. მოქმედების აუცილებლობათაგან დისკურსის გამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ წმინდა კომუნიკაციური ქმედების კონტექსტში.

3) დისკურსში მხოლოდ ისეთი მოლაპარაკენი დაიშვებიან, რომლებსაც აქვთ თანაბარი შანსები გამოიყენონ რეპრეზენტაციული მეტყველება-ქმედებანი, ე.ი. გამოხატონ თავიანთი განწყობილებანი, გრძნობები და სურვილები; რადგან მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური გამოთქმების სარბიელთა ურთიერთდამთხვევა და მოქმედების კონტექსტებში სიახლოვისა და სიშორის გასაშუალება იძლევა იმის გარანტიას, რომ მოქმედი როგორც დისკურსის თანამონაწილე თავისი თავის წინაშეც გულწრფელი იყოს და რომ მან თავისი შინაგანი ბუნება გამჭვირვალე გახადოს.

4) დისკურსში დაიშვებიან მხოლოდ ის მოლაპარაკენი, რომლებსაც როგორც მოქმედებს, აქვთ თანაბარი შანსები რეგულაციური მეტყველება-ქმედებების გამოყენებისა ე.ი. იმისა, რომ უბრძანოს და ბრძანებას არ დაემორჩილოს, ნება დართოს და აკრძალოს, შეპირდეს და პირი შეუშალოს, ანგარიში ჩააბაროს და იგი მოითხოვოს და ა.შ. რადგან ქცევის მოლოდინთა სრული ურთიერთმხრივობა, რომელიც გამორიცხავს პრივილეგირებულობებს ცალმხრივად დაკისრებული მოქმედებისა და შეფასების ნორმათა აზრით, იძლევა გარანტიას იმისას, რომ ლაპარაკის წამოწყებისა და მისი განგრძობის შანსების ფორმალურად თანაბარი გადანაწილება ფაქტიურად იმისთვის გამოვიყენოთ, რომ დროებით შევაჩეროთ რეალობის დაწოლვები და შევაბიჯოთ დისკურსის გამოცდილებისგან თავისუფალსა და მოქმედებისგან განტვირთულ კომუნიკაციაში.

1-თა და 4-ით აღნიშნული პირობები ქმნიან იდეალური სამეტყველო სიტუაციის წანამძღვრებს, რომელთა შესრულება აუცილებელია იმისთვის, რომ დისკურსი საერთოდ განხორციელდეს. მეტყველების მეორე პირობად დასახელებული პოსტულატი ისეთ ფორმალურ მახასიათებელს წარმოადგენს, რომელსაც უნდა ამჟღავნებდეს ნებისმიერი დისკურსი, რათა მან შეძლოს ჯეროვნად გაშალოს რაციონალური მოტივაციის უნარი. მესამე პირობად დასახელებული გულწრფელობის პოსტულატი გამოხატავს წმინდა კომუნიკაციური ქმედების ფორმალურ მახასიათებელს, რომლის ქონა მოეთხოვება პრაქტიკული დისკურსის მონაწილეს, რამდენადაც მას მართებს რაციონალური მოტივაციის უნარის გაშლა (მაგრამ რადგან იმ სიბრტყეზე, რომელზეც შესაძლებელია თეორიული დისკურსის რადიკალიზება შემეცნების კრიტიკად, არ ხერხდება თეორიული და პრაქტიკული დისკურსების გამიჯვნის უზრუნველყოფა, ამიტომ გულწრფელობის პოსტულატიც არაპირდაპირ უნდა იყოს ძალაში *ყველა* დისკურსისათვის).

კომუნიკაციის სტრუქტურა, რომლითაც გამორჩევა იდეალური სამეტყველო სიტუაცია, გამორიცხავს სისტემურ დამახინჯებებს და უზრუნველყოფს მოქმედებასა და დისკურსს, და დისკურსების შიგნით – მის სხვადასხვა სიბრტყეებს შორის თავისუფალ მიმოსვლას. ამიტომ უფლება გვაქვს, თითოეული კონსენსუსი, რომელიც მოპოვებულია არგუმენტაციის გზით იდეალური სამეტყველო სიტუაციის პირობებში, თითოეულ შემთხვევაში თემატიზებული მნიშვნელოვნების პრეტენზიის დაკმაყოფილების კრიტერიუმად განვიხილოთ. საბოლოო ჯამში გონივრული კონსენსუსი მოჩვენებითისაგან შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იდეალურ სიტუაციაზე დაყრდნობით განვასხვაოთ. მაგრამ რა სტატუსი შეიძლება ჰქონდეს იდეალურ სამეტყველო სიტუაციაზე ყოველთვის უცილობელ დაყრდნობას? თავდაპირველად შეიძლება, ეჭვი შეგვეპაროს, საერთოდ არის თუ არა შესაძლებელი იდეალური სამეტყველო სიტუაციის განხორციელება და ხომ არ არის იგი ცარიელა კონსტრუქცია. თითოეული ემპირული მეტყველება ძირეულ შეზღუდვებს განიცდის როგორც იმით, რომ კომუნიკაციის პროცესი დროულვრცეულად არის შემოფარგლული, ასევე იმით, რომ დისკურსის თითოეულ მონაწილეს აქვს ფიზიკური დაძაბულობის ზღვარი; ეს გამორიცხავს იდეალური პირობების სრულ შესრულებას. მაგრამ მაინც არ მინდა a priori შეუძლებლად მივიჩნიო იმ მოთხოვნების საკმარისი რეალიზება, რომლებიც დისკურსებს უნდა წაეუყენოთ, რადგან ზემოთხსენებული შეზღუდვების კომპენსირება ან ინსტიტუციონალური ღონისძიებებით ხდება, ანდა შესაძლებელია მეტყველება-ქმედებების გამოყენების თანაბარი შანსების დეკლარირებულ მიზანზე მათი ზეგავლენების ნეიტრალიზება. უფრო მიშვნელოვანი სხვა გუმანია იმის თაობაზე, თუ შეიძლება და როგორ შეიძლება ემპირულად იმის დადგენა, თუ როდის არის შესრულებული იდეალური მეტყველების პირობები. ემპირული მეტყველების პირობები ხშირად მაშინაც კი არ არის იდეალური სამეტყველო სიტუაციის იდენტური, როცა აშკარად გვაქვს განზრახული დისკურსის გაჩაღება. რეტროსპექტივაში ხშირად საკმარისად შეგვიძლია იმის დადგენა, თუ როდის შევაცილეთ ხელი იდეალურ სამეტყველო სიტუაციას. მაგრამ გვაკლია შეფასების *გარეგანი* კრიტერიუმი, ისე რომ მოცემულ სიტუაციაში ვერასოდეს ვიქნებით დარწმუნებულნი, დისკურსს ვატარებთ, თუ პირიქით, სამოქმედებო იძულებათა გამო ვქმედობთ და ვითომ დისკურსებს ვასრულებთ. ამ გარემოებიდან, დასაწყისში დასმულ კითხვაზე საინტერესო პასუხი გამომდინარეობს.

თუ სწორია ის, რომ გონივრული ე.ი. არგუმენტირებულად მოპოვებული, და ამავე დროს, ჭეშმარიტების უზრუნველმყოფელი კონსენსუსი ბოლოს და ბოლოს მხოლოდ იმით შეგვიძლია განვასხვავოთ მხოლოდღა ნაძალადევი თუ მოჩვენებითი კონსენსუსიდან, რომ იდეალურ სამეტყველო სიტუაციას ვიმოწმებთ; თუ ამიერიდან უფლება გვაქვს

იქიდან ამოვიდეთ, რომ ჩვენ ფაქტიურად ყოველთვის ვენდობით ჩვენ თავს და უნდა ვენდობოდეთ კიდეც იმაში, რომ გონივრული კონსენსუსი მოჩვენებითისგან განვასხვაოთ თუ არადა, წაგვეგვრებოდა მეტყველების გონივრული ხასიათი; და თუ მიუხედავად ამისა, მაინც არც ერთ ემპირულ შემთხვევაში არ შეგვიძლია, დავადგინოთ მოცემულია თუ არა იდეალური სამეტყველო სიტუაცია, მაშინ შემდეგი განმარტებაღა დაგვრჩენია: იდეალური სამეტყველო სიტუაცია არც ემპირული ფენომენია და არც ცარიელა კონსტრუქტი, არამედ ორმხრივ წინასწარ განხორციელებული დაშვებაა, რომელიც გარდაუვალია დისკურსებში. ასეთ დაშვებას ძალუძს ის, რომ არ იყოს ფაქტსაწინააღმდეგო; მაგრამ მაშინაც კი როცა იგი ფაქტის საწინააღმდეგოდ კეთდება, კომუნიკაციის პროცესში ოპერატიულად ქმედითი ფიქციაა. ამიტომ მე უფრორე ვლაპარაკობ ანტიციპაციაზე, იდეალური სამეტყველო სიტუაციისაკენ წინასწარგაჭრაზე. ასეთი წინასწარი გაჭრა არის სწორედ გარანტი იმისა, რომ უფლება გვაქვს ფაქტიურად მიღწეულ კონსენსუსს გონივრული კონსენსუსის პრეტენზია დავუკავშიროთ; ამავე დროს იგი არის კრიტიკული მასშტაბი, რომლითაც შესაძლებელია თითოეულ ფაქტიურად მიღწეულ კონსენსუსში ეჭვის შეტანა და გადამოწმება იმ მხრივ, არის თუ არა იგი დასაბუთებული კონსენსუსის საკმარისი ინდიკატორი.[1]

არგუმენტაციის წანამძღვრებში შედის ის, რომ მეტყველებითი აქტის შესრულებისას ფაქტსაწინააღმდეგოდ ისე ვიქცევით, თითქოსდა იდეალური სამეტყველო სიტუაცია მხოლოდღა ფიქტიური კი არ იყოს, არამედ ნამდვილი; სწორედ ამას ვეძახით დაშვებას. ამრიგად, ენობრივი ურთიერთგაგების ნორმატიული ფუნდამენტი წინასწარგანჭვრეტილია და როგორც წინასწარგანჭვრეტილი საფუძველი ქმედითიც არის. იდეა-

---

[1] ვ.შულიი ემყარება (ფილოსოფია სახეცვლილ სამყაროში ციტ. ნაშრ. გვ. 173 და შემდგომ) იდეალური სამეტყველო სიტუაციის (ანდა წმინდა კომუნიკაციური ქმედების) დაშვებათა „შიშისმომგვრელი რეალობის" მიმართ გუმანს. თუ ეს საყვედური პრინციპულადაა გააზრებული, მაშინ იგი გამოხატავს ეჭვს იმის თაობაზე, იქნებ მე ვერ შევძლო იმ კეაზიტრანსცედენტალური ხასიათის დასაბუთების ტვირთის ტარება, რომელსაც მიეაწერ უნივერსალურ პრაგმატულ წესების სისტემას. იმის საჩვენებლად, რომ როცა დისკურსში შევდივარ ამავე დროს ეახორციელებთ *უცილობელსა* და *საყოველთაო წინასწარდაშვებებს*, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ იდეალურმა სამეტყველო სიტუაციებმა, წინამდებარე თხზულებაში მე ვირჩევ ჭეშმარიტების კონსესუსთეორიის დაცვის გზას. სხვათა შორის, გარკვეული პარალელები ჩნდება იდეალურ სამეტყველო სიტუაციას და იმ „ძირეული პოზიციის" სტრუქტურას შორის, რომელსაც ჯონ როლსი (A Theory of Justice, Oxford 1972, S. 118ff) იყენებს ეთიკის ხელშეკრულების თეორიული დაფუძნებისათვის, მაგრამ თუ ეს საყვედური პრაგმატულად არის მოაზრებული, მაშინ მე, ჩემი მხრივ. შეწინააღმდეგების საფუძველს ვერ ვხედავ: დისკურსების ინსტიტუციონალიზება აშკარად განეკუთვნება კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ძნელსა და ყველაზე სახიფათო ინოვაციებს. შად. „თეორია და პრაქტიკა"-ს ახალი გამოცემის ჩემეულ შესავალს, მაინის ფრანკფურტი 1971 წ. გვ.31 და ჩემ რეპლიკას რ.სპემანისადმი აწ უკვე თხზულებათა კრებულში „კრიტიკა და კულტურა", მაინის ფრანკფურტი 1973 წ., გვ. 378.

ლიზირებული საუბრის ფორმალური წინასწარჭვრეტა (როგორც სამომავლოდ რეალიზებადი ცხოვრების ფორმისა) უზრუნველყოფს „საბოლოო" მთავარ შეთანხმებას და არასგზით – ფაქტსაწინააღმდეგოდ შემდგარ მორიგებას, რომელიც პოტენციურ მოლაპარაკე (მსმენელს) წინასწარ აკავშირებს და რომლის თაობაზე ურთიერთგაგება არ არის აუცილებელი, რამდენადაც არგუმენტებს საერთოდ შეიძლება მიეწეროს თანხმობამიმღწევი ძალა. ამდენად იდეალური სამეტყველო სიტუაციის ცნება არ არის ცარიელა რეგულაციური პრინციპი, როგორც იგი კანტს ესმის; რადგან ეს დაშვება ჩვენ ფაქტიურად ყოველთვის უნდა მოვახდინოთ ურთიერთგაგების პირველივე აქტით. მეორე მხრივ, იდეალური სამეტყველო სიტუაციის ცნება არ არის ექსისტირებული ცნება მისი ჰეგელური გაგებით, რადგანაც არც ერთი ისტორიული საზოგადოება არ ემთხვევა ცხოვრების ფორმას, რომელიც შეგვიძლია ძირეულად დავახასიათოთ იდეალური სამეტყველო სიტუაციის მოხმობით. იდეალური სამეტყველო სიტუაცია უფრორე შეედრებოდა ტრანსცენდენტალურ მოჩვენებას, თუკი ეს მოჩვენება ნაცვლად იმისა, რომ დაუშვებელი გადატანის (როგორც განსჯის კატეგორიების გამოცდილებისგან თავისუფალი გამოყენებისას) წყალობა იყოს, ამავე დროს გონიერული მეტყველების კონსტიტუციური პირობაც იქნებოდა. იდეალური სამეტყველო სიტუაციის წინასწარ წვდომას თითოეული შესაძლო კომუნიკაციისთვის აქვს კონსტიტუციური მოჩვენების მნიშვნელობა, რაც ამავე დროს ცხოვრების ფორმის გამოკლინებაც არის. A priori ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ვიცოდეთ ამგვარი წინასწარი გამოვლინება ცარიელა მისტიფიკაციაა, რომელიც ყოველთვის მომდინარეობს უცილობელი წინასწარი დაშვებიდან; – თუ ის ემპირული პირობაა, რომელშიც შესაძლებელია წინასწარნაგულისხმები ცხოვრების ფორმის, თუნდაც მიახლოებითი, პრაქტიკული ხორცშესხმა. გონივრული მეტყველების ძირითადი ნორმები, რომლებიც ჩაშენებულია უნივერსალურ პრაგმატიკაში, ამ თვალსაზრისით, პრაქტიკულ ჰიპოთეზას შეიცავენ.

ის გარემოება, რომ ჩვენ არასოდეს ძალგვიძს საბოლოო უტყუარობით ვიცოდეთ, ეტყუვდებით თუ არა, როცა ვფიქრობთ, დისკურსში ვიმყოფებითო, სულ ცოტა, ერთი გზამკვლევის აუცილებლობას გვიმყარებს, რომლის დახმარებით შეეძლებთ, მეთოდურად დაეძლიოთ ყველა დაბრკოლება, რომელსაც კი სისტემურად გამრუდებული კომუნიკაცია გვიქმნის. როცა გვინდა დისკურსთა ამგვარი შებრკოლებანი კვლავაც დისკურსების ძალით დაეძლიოთ, შეგვიძლია კომუნიკაციის ისეთი ფორმა ამოვირჩიოთ, რომელიც თავისებური სტრუქტურის მქონეა და რაღაც გამორჩეულს სჩადის. იგი შეიძლება აიხსნას ექიმსა და პაცი-

---

[1] კერძოდ, კომუნიკაციური ცხოვრების ფორმა, რომელიც იმით ხასიათდება, რომ შეუძლია ყველა პოლიტიკურად შედეგიანი მოქმედების ნორმა დისკურსული ნების ქმნადობის პროცესზე დამოკიდებული გახადოს. დამატება 1983 წ. შეად. ზემოთ გვ. 126, შენიშვნა 94.

ენტს შორის ანალიტიკური საუბრის მაგალითზე. ვინაიდან ანალიტიკური საუბარი ჩემულობს, რომ აკმაყოფილებს კომუნიკაციის ფორმას, რომელიც საშუალებას იძლევა, დისკურსულად *ერთდროულად დაკმაყოფილდეს როგორც ჭეშმარიტებაზე პრეტენზია, ისე გულწრფელობის პრეტენზია.*

ანალიტიკური საუბარი უფრო ცოტას და უფრო ბევრს აღწევს, ვიდრე ჩვეულებრივი დისკურსი. უფრო ცოტას აღწევს იგი – ახლა ასე ვიტყოდი – როგორც თერაპიული კრიტიკა, რადგან პაციენტი ექიმის წინაშე, თავიდანვე არასგზით არ იკავებს სიმეტრიულ მდგომარეობას; ამრიგად, პაციენტი ვერ აკმაყოფილებს დისკურსის მონაწილის პირობებს. დაგვირგვინებულ თერაპიულ „დისკურსს" მხოლოდ შედეგად მოსდევს ის, რაც ჩვეულებრივ დისკურსს თავიდანვე მოეთხოვება. მოსაუბრე პარტნიორები თავიდანვე არათანაბრად არიან აღჭურვილები, მათ აწი უნდა მიეცეთ დიალოგში როლების მიღების და საერთოდ, მეტყველება-ქმედებების ამორჩევისა და შესრულების თანაბარი შანსები. მეორე მხრივ, თერაპიული დისკურსი უფრო შედეგიანია, ვიდრე ჩვეულებრივი; რადგან იგი უცნაურად იფარგლება ქმედება-გამოცდილების სისტემით, და ამრიგად, არ არის მოქმედებისგან დახსნილი და გამოცდილებისგან თავისუფალი დისკურსი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელობის საკითხებს ათემატიზებს და რომელსაც გარედან უნდა მიეწოდოს შინაარსები ანდა ინფორმაციები. ისე რომ, დაგვირგვინებული თვითრეფლექსია ისეთი შედეგით ბოლოვდება, რომელიც საკმარისია არა მხოლოდ ჭეშმარიტების (თუ სისწორის) პრეტენზიათა, არამედ დამატებით – გულწრფელობის პრეტენზიის პირობის (ჩვეულებრივ იგი დისკურსულად მიღწევადი არ არის) შესასრულებლადაც. იმის წყალობით, რომ პაციენტი იღებს და როგორც სათანადოს კვერს უკრავს ექიმის მიერ „დამუშავებულ" ინტერპრეტაციებს, იგი ამავე დროს იმას ამოწმებს, თავს იტყუებს თუ არა. ჭეშმარიტი ინტერპრეტაცია იმავდროულად იმასაც შესაძლებელყოფს, რომ სუბიექტი გულწრფელი იყოს თავის იმ გამოხატულებებში, რომლებშიც იგი აქამდე (შეძლებისდაგვარად სხვას ატყუებდა, მაგრამ სულ ცოტა) თავს იტყუებდა. გულწრფელობის პრეტენზიათა გადამოწმება, როგორც წესი, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მოქმედების კონტექსტებში. გამორჩეული კომუნიკაცია, რომელსაც თვითონ ძალუძს, დასძლიოს კომუნიკაციის სტრუქტურის გამრუდებანი, ერთადერთია, რომელშიც შესაძლებელია ჭეშმარიტების პრეტენზიასთან ერთად და მის თანადროულად განხორციელდეს გულწრფელობის პრეტენზიის „დისკურსული" გადამოწმებაც (და უკუგდებულ იქნას როგორც გაუმართლებელი).[1]

---

[1] შეად. „შემეცნება და ინტერესი" თავი 10 და 11 და „თეორიისა და პრაქტიკის", მაინის ფრაკფუტი 1971წ. ახალი გამოცემის წინასიტყვაობას

3. შენიშვნები ინტერაქციის კომპეტენციის შემუშავებისთვის (1974)

1. საკითხის დაყენებისთვის

1. გამოთქმა „ინტერაქციის კომპეტენციის" გამოყენება მიანიშნებს იმ ძირეულ ვარაუდზე, რომ სოციალურად მოქმედი სუბიექტის უნარების კვლევა ისევეა შესაძლებელი განსაზღვრული კულტურებისაგან დამოუკიდებელი კომპეტენციით როგორც – ნორმალურად ჩამოყალიბებული მეტყველებისა და შემეცნების უნარებისა. ჩვენ ამოვდივართ იქიდან, რომ ინტერაქციის სისტემებში მონაწილეობის ძირითადი მახასიათებლები, ინტერპერსონული და კომუნიკაციური სფეროს შესწავლა სიმბოლურად წინასწარსტრუქტურირებულ სინამდვილეს მოწმობენ და საყოველთაო სტრუქტურებზე დაიყვანებიან. რამდენადაც ლინგვისტიკა და ფსიქოლოგია კომპეტენციის თეორიის მნიშვნელობით მუშაობენ, ამდენად ისინი მეტყველების გინა კომუნიკაციური ქმედების საყოველთაო სტრუქტურებს ნარჩენ პრობლემად განიხილავენ. ჩომსკიდან მომდინარე კვლევის ტრადიციით ხდება უნივერსალური პრაგმატიკის საკითხების უგულვებელყოფა სინტაქსისა და სემანტიკის თეორიის სასარგებლოდ; საყრდენ წერტილებს, რა თქმა უნდა, გვთავაზობენ წინასწარ გულისხმობების, მეტყველება–მოქმედებათა და ტექსტების გამოკვლევები. პიაჟედან გამომავალ ფსიქოლოგიაში კოგნიტივური განვითარება ითვლება განვითარების სხვა განზომილებებში სტრუქტურათა ქმნადობის პირველსახედ; საყრდენ წერტილებს აქ უპირველესად გვთავაზობენ მორალური ცნობიერების განვითარების გამოკვლევები. როლთა თამაშის პარადიგმა, რომელიც საფუძვლად უდევს მოქმედების თეორიას, ინტერაქციის კომპეტენციის გამოკვლევის ბიძგს მოგვცემდა. ამას ხელს უშლის, სულ ცოტა, სამი შებრკოლება, როგორც ეს გვემხილება როლთა კონვენციურ თეორიაში, რომელიც პარსონსმა შეიმუშავა 30-იან წლებში; (ა) მეთოდოლოგიური სტატუსის გაუგებრობა; (ბ) საკითხის ონტოგენეზური დაყენების უგულვებელყოფა; (გ) კომპეტენციისა და განვითარების სხვადასხვა განზომილებებად დიფერენციაციაზე უარის თქმა.

ა) სახელწოდება როლთა *თეორია* მიანიშნებს, რომ ნორმირებული ქცევის მოლოდინი, აქტიორი, მოქმედება, ორიენტირების ნიმუში, სიტუაცია და ა.შ. უშუალოდ გაგებულნი იყვნენ ემპირული თეორიის საფუძველცნებებად, რომლებსაც ხამს, საშუალება მოეცათ, შეგვედგინა ჰიპოთეზები სისტემის სხვადასხვა სიბრტყეებსა და სხვადასხვა კულტურებში ინტერაქციის კონტექსტთა მრავალფეროვნების თაობაზე (ფოტოგრაფიული: სარბინი). ამ მეთოდოლოგიურმა თავისთავად გასაგებობამ სოციოლოგიას თავდაპირველად იმაში შეუშალა ხელი, რომ მოქმედების თეორიის საფუძველცნებითი სის-

ტემა იმ მიზნით გაეშალა, რომ მოეხდინა საყოველთაო სტრუქტურების გადაკონსტრუირება, რომლებიც მოსახავენ როგორც გასაზოგადოებული სუბიექტების მოქმედების უნარს, ისე თვითონ მოქმედების სისტემას. მოქმედების თეორიაში ძირეული სააზროვნო ცვლილება პირველად გამოიწვია ეს ტრანსფორმაციის გრამატიკაში ლინგვისტურმა ძირეულმა ვარაუდებმა. სიღრმისეულსა და ზედაპირულ სტრუქტურებს შორის განსხვავება იმას ემსახურება, რომ კონკრეტული, დროსა და სივრცეში ვარირებადი ენის კოდექსები და ღირებულებათა სისტემები თეორიულ საწყისშივე მოწყდეს შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაციათა და შესაძლო მოქმედების სტრუქტურათა უნივერსალურ ბირთვს.

ბ) ირონიის მომგვრელია ის, რომ როლთა თეორია უფრო მეტად ფლობს სოციალიზაციის კვლევის ცნებისქმნადობებსა და საკითხის დაყენებათ, ვიდრე სოციოლოგიური კვლევის სხვა რომელიმე სფეროს, ისე რომ არასოდეს აღძვრია როლების კომპეტენციის მოპოვების სერიოზული სურვილი. ხშირად იმეორებენ გართობას (play) და თამაშს (game) შორის მიდის მიერ განვითარების ლოგიკურად გატარებულ განსხვავებას, მაგრამ სტრუქტურული ანალიზის სისტემატურ ამოსავალ წერტილად არასოდეს ქცეულა მოქმედების უნართა და ინტერაქციის სისტემათა განვითარების დონეები. მეორე მხრივ, საჭირო შეიქნა გარეგანი ბიძგი განვითარების კოგნიტივისტური ფსიქოლოგიის სახით, რომელიც ასპარეზზე მოგვიანებით გამოიჭრა, რათა კარგა ხანია უკვე გადაუდებელი საკითხის დაყენების აქტუალიზება მომხდარიყო[1]. ამიტომ შესაძლოა, გულდნერის, რონისა და სხვათა მიერ გამოთქმული ეჭვი — როლთა თეორიის კონვენციურმა ვარიანტებმა ტოტალური ინსტიტუტების საზღვრით შემთხვევას თითქმის ფარულად უყვეს ნორმალურ შემთხვევად სტილიზებაო — დაზუსტდეს განვითარების ლოგიკური თვალსაზრისებით. ვიდრე როლთა თეორია ონტოგენეზის საკითხებს მხოლოდ და მხოლოდ კულტურული *შინაარსების* მოპოვების და არა *სტრუქტურათა* განვითარების ტერმინებში განიხილავს, მანამ იგი უკრიტიკოდ უნდა მოეკიდოს საკუთარ თავს. მას არ ძალუძს, აკონტროლოს ის, თუ განვითარების რომელ, ცხოვრების ისტორიულსა თუ სოციალური ევოლუციის — დონეზე დევს ის ნიშან-თვისებანი, რომლებსაც იგი თავისი კატეგორიალური ჩარჩოებით მონიშნავს.

გ) და ბოლოს, როლთა თეორია კმაყოფილდება ძალზე გამარტივებული საფუძველვარაუდით, რომ პერსონულობის სტრუქტურები — განსაკუთრებით ღირებულებითი ორიენტირებულობანი და მოთხოვნილებრივი დისპოზიციები — ინსტიტუციონალიზებულ ღირებულებათა ანარეკლებს წარმოადგენენ. აქედან შეიქმნა მოქმედების სუბიექტის ობიექტივისტური სურათი,

---

[1] J.H. Flavell, The Development of Role-Taking and Communication Skills in Children, N.Y. 1968; R.L. Selman, D.F. Bryne, A Structural-developmental Analysis of Levels of Role-Taking, Child Development 1974, 803ff.

მოქმედების სისტემის სტატიკური და საზოგადოების სტრუქტურის ჰარმონისტული სურათები (დ.რონი). მაგრამ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ამ კუთხით განხორციელდა როლთა თეორიის კრიტიკა. მიდის მიერ განსაზღვრული, ფენომენოლოგიური ხერხით მოქმედი ინტერაქციონალიზმი (ბლუმერი, გოფმანი, ა.სტროსი, ტერნერი) და ფენომენოლოგიური მოქმედების თეორია, რომელიც ა.შიუთცს ემყარება (ბერგერი, ლუკმანი, ნათენსონი) ამუშავებენ ინტერპრეტაციის შემძლე და მოწესრიგებადასაჭიროებულ მოქმედების სიტუაციაში აქტორის კონსტრუქციულ ღვაწვებს.

თემად მაინც იქცა კომუნიკაციისა და მოქმედების საყოველთაო უნარები, რომელთა დამაკმაყოფილებელი განმარტება არ ხერხდება განსაკუთრებული ნორმებისა და ღირებულების ნიმუშთა გადატანით მოქმედების პარტიკულარულ პოზიციებში.

ეთნომეთოდოლოგიამ (სირკულერი, გარფინკელი, საკსი) და ცხოვრების ფორმათა ანალიზმა, რომელიც გვიანდელ ვიტგენშტაინს ემყარება (ა.ფ.ბლუმი, პ.მაკბიუი, პ.ვინჩი), ისევე როგორც თეორიულად ორიენტირებულმა ეთნოლინგვისტიკამ (დ.ჰიმესი, გუმპერზი) გაშალეს ენასა და ინტერაქციას შორის სისტემატური კავშირი. ამით ხაზი გაუსვეს დინამიურ ასპექტს: ინტერაქციათა თანმიმდევრულობა წარმოგვიდგება როგორც ინტერპრეტაციული პროცესის ნაჭერი, რომელშიც ახლაღა იქმნებიან ქცევის მოლოდინთა ფარდობითი ინვარიანტები. როლების ინფრასტრუქტურად ახლა მიჩნეულია ენის თამაშის ანდა ენის გამოყენების კოდექსი (უ.ოევერმანი).

დაბოლოს, როლთა თეორიის კრიტიკული რეცეპციიდან (გულდნერი, რონი), ფილოსოფიური *ანთროპოლოგიიდან* (კლაასენსი, დრეითზელი, ლეპენიესი) და *საზოგადოების კრიტიკული თეორიის* წრიდან (უ.გერპარდტი, ჰაბერმასი, კრაპმანი, ოევერმანი) გამომდინარეობენ არგუმენტები, რომლებიც გამიზნულნი არიან იმ ძალის გინა სტრუქტურული ძალადობის[1] იდენტიფიცირებაზე, რომელიც შეუმჩნევლად არის ხორცშესხმული მოქმედების სისტემაში. მოთხოვნილებათა ინტერპრეტაციების გინა მოქმედების მოტივაციების აშკარა და ფარულ ნაირსახეობათა განსხვავებით შესაძლებელია ენის და მოქმედების თეორიული გამოკვლევისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ინტრაფსიქიკური და ინტერპერსონული ჩახშობილი კონფლიქტები. გარდა ამისა, რამდენადაც გამოვა, ერთი მხრივ, მოტივისა და აფექტის ქმნადობას, მეორე მხრივ, ინტერაქციის მოპოვებას შორის სისტემატური კავშირის დასაბუთება, ამდენადვე შესაძლებელია საგანთა სფეროს განვითარების ლოგიკური თვალსაზრისით განხილვა, რომელიც მანამდე ამგვარი ანალიზისთვის ჩაკეტილი იყო.

---

[1] H.Joass, Die gegenwärtige Lage der soziologischen Rollentheorie, Ffm. 1973.

არგუმენტაციის ზემოთხსენებულ სამ მწკრივს (გ), რა თქმა უნდა, მივყავართ როლთა თეორიული საფუძველცნებების დიფერენცირებამდე. მაგრამ მოქმედების უნარის უნივერსალური სტრუქტურების გაგება შესაძლებელია მხოლოდ განვითარების ლოგიკურად მოწყობილი კომპეტენციის თვალსაწიერში, თუკი გამოვა ის, რომ შერჩევით განვსაზღვროთ ცალკეული კომპეტენცია და მისი შესატყვისი განვითარების განზომილებანი და – იდენტობის განვითარებას მის კავშირ-მიმართებებში ერთიანობის მაფუძნებელი თვალსაზრისით ვწვდეთ.

2. დღესდღეისობით პერსპექტიულ, კვლევის სოციალურ-მეცნიერული და ფსიქოლოგიური მიმართულებების ჩარჩოებში ყოველთვის მოიძებნება თეორიული საწყისები შემეცნების, ენისა და მოქმედებების უნარმქონე სუბიექტის კოგნიტივური, ენობრივი და მოტივაციონალური განვითარებისათვის. ინტელექტის განვითარებისთვის პიაჟემ და მისმა მოწაფეებმა შეიმუშავეს კომპეტენციის თეორია. მასთან ერთად გამოიცადა განვითარების ლოგიკის კონცეპტი. ენის ონტოგენეზის გათვალისწინებით ტრანსფორმაციის გრამატიკამ ბიძგი მისცა კომპეტენციის თეორიას; ის გარემოება, რომ მოწიფული მოლაპარაკის ენის ინტუიციები, რომლებიც განსაზღვრავენ მონაცემთა ამორჩევას გარამატიკული მოდელების შესამოწმებლად, გვაიძულებენ განვითარების ლოგიკური თვალსაზრისებით ორიენტაციის ძირეული ცვლილება მოვახდინოთ ჩომსკის მიერ აღორძინებულ ფსიქოლინგვისტიკაში. ფსიქოსექსუალური განვითარების საფეხურებრიობის თეორიით ფსიქოანალიზი ცდილობს, ახსნას მოტივაციის ნორმალურ-ტიპიური და გადახრილი სტრუქტურების წარმოშობა; რა თქმა უნდა, დღემდე არ არსებობს სისტემატური ძალისხმევა საიმისოდ, რათა ფსიქოსექსუალური განვითარების საფეხური სტრუქტურალური თვალსაზრისით რეკონსტრუირდეს, მიუხედავად იმისა, რომ მორალური ცნობიერების საფეხურთა კოგნიტივისტური ანალიზი შეიძლებოდა გამოგვდგომოდა ხიდად ზე – მე – ფორმაციებიდან ნორმალურ ტიპური განვითარების რეკონსტრუქციისკენ. დაბოლოს, ანალიტიკური მე-ს ფსიქოლოგიის (ერიკსონი, ლოკვინგერი) მხრივ, ასევე მიდის მიმდევართა მხრივაც ე.ი. სიმბოლური ინტერაქციონიზმის საშუალებებით განხორციელებულია მე-ს ანდა იდენტობის განვითარების თეორიის სფეროში შეჭრა. ამ საწყისთა ნაკლი ისაა, რომ მათ არ ძალუძთ დამაჯერებლად გამიჯნონ ერთმანეთისგან განვითარების ცალკეული განზომილებანი, რადგან მას აკლია სისტემატური თვალსაზრისი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ჯერ თუნდაც ჰიპოთეტურად მოგვეხაზა იმ კომპეტენციათა ურთიერთკავშირი, რომლებიც ერთმანეთზე დამოკიდებულად ვითარებიდან. ამის ამოკითხვა შესაძლებელია ლოევინგერის ემპირულად გვარიანად დაფუძნებული მცდელობიდან, რომელიც ეწევა მე – განვითარების კონცეპტუალიზებას კოგნიტივური და ფსიქოსექსუალური განვითარებისგან დამოუკიდებლად.

ასეთი სიძნელეების თავიდან ასაშორებლად მე გთავაზობთ კოგნიტიური, ენობრივი და ინტერაქციური განვითარების სისტემურად დაფუძნებულ დანაწევრებას; ამ განზომილებათა შესაბამისად მე ერთმანეთისაგან განვასხვავებ კოგნიტიურ, ენობრივსა და ინტერაქტივურ კომპეტენციებს. ეს შემოთავაზება იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ამ განზომილებათაგანისთვის გვეძლეება სტრუქტურათა განვითარების თეორიულად დალაგებული, უნივერსალური მწკრივი. პიაჟზე დაყრდნობით მე წარმომიდგენია, რომ შემეცნების, ენისა და მოქმედების უნარის ეს საყოველთაო სტრუქტურები ავითარებენ სუბიექტის მიერ თავისივე გარემოს ერთსა და იმავდროულად კონსტრუქციულსა და ადაპტაციურ კრიტიკულ გარჩევას; ამასთანავე გარემო შინაგანად არის გამიჯნული გარეგან ბუნებად, ენად და საზოგადოებად. სტრუქტურებმქმნელი განსწავლის პროცესი იმდენად არის, აგრეთვე, თვითწარმოქმნის პროცესი, რამდენადაც მასში სუბიექტი ყალიბდება შემეცნება, ენა და მოქმედება შემძლე სუბიექტად. სუბიექტსა და გარემოს შორის სინქრონული ურთიერთობის ხედვის კუთხით აშკარავდება უნივერსალურ სტრუქტურათა კვაზი ტრანსცედენტალურად ორკეცი პოზიცია: ისინი ისევე არიან საგანთა სფეროს სტრუქტურები როგორც – პერსონულობის სისტემისა. ისინი ისევე განსაზღვრავენ შემეცნების, მეტყველებისა და მოქმედების კომპეტენციებს, როგორც შინაგანად დიფერენცირებული გარემოს ორგანიზაციას, რომელთან მიმართებაშიც იმყოფება სუბიექტი და რომლის გვერდის ავლით იგი საკუთარ თავს მიემართება.

თუმცა არ ხერხდება მე-ს ანდა იდენტობის განვითარების კონცეპტუალიზება განვითარების ანალიტიკურად დამოუკიდებელი განზომილების სახით, რომელიც თავის ადგილს დაიკავებდა სამი ზემოთხსენებული განზომილების გვერდით. მე-ს სუბიექტურობაში აირეკლება შინაგანი ბუნება ე.ი. ახალშობილის ორგანიზმის ამნაირადვე გაშინაგნებული „ბუნება", რომელმაც შეიძინა შემეცნების, ენისა და მოქმედების უნარი და შეისისხლხორცა უნივერსალური სტრუქტურები. სტრუქტურების უნივერსალობა მე-ს უზრუნველყოფს საზოგადოდ მე-ს საყოველთაობას, რომელმაც იცის, რომ გაერთებულია თითოეულ სხვა სუბიექტთან, რომელსაც თავის თავზე შეუძლია, თქვას მე. ჩამოყალიბების პროცესის დასაწყისში ორგანული სუბსტრატის შემთხვევითობა თავისივე ტანში განსხეულებულ მე-ს უზრუნველყოფს თავისსავე აბსტრაქტულ განსაკუთრებულობას, რომელიც მას ფიზიკურად გამოყოფს ყველა დანარჩენი სუბიექტისგან; დაბოლოს, ის გარემოება, რომ მე-ს კონსტიტუირება კონკრეტულ ცხოვრებისეულ გარემოებებში, კერძოდ იმ პირობებში, რომლებშიც ხორციელდება ცხოვრების სამყაროს ინტერსუბიექტურობის მაფუძნებელი ენის სოციალიზაციის მედიუმი, მე-ს უზრუნველყოფს ინდივიდუალობით. მაგრამ მე-ს ინდივიდუალურად თვითგაგების შესაძლებლობა იმას ნიშნავს, რომ მას ხელეწიფება, განსაკუთ-

რებულობის ცნობიერება (როგორც შემთხვევითი ბუნების ნაკუწისა) შეურწყას განუმეორებადობის (ცხოვრების ბიოგრაფიული ორგანიზაცია) ცნობიერებას. მაგრამ ეს არის ისეთი წინასწარწვდომა, რომელსაც ეკსპლიკაცია ესაჭიროება.

პირველ ყოვლისა, საკმარისია იმის წარმოდგენა, რომ მე თავის იდენტობას აყალიბებს იმის წყალობით, რომ მისი შინაგანი ბუნება გარემოსთან კოგნიტივური, ენობრივი და ინტერაქციური გაცვლის საფეხურებრივად განვითარებულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზით თვითრეფლექსიას სწავლობს. იგი ამავე დროს თავისი ერთიანობის შენახვასაც სწავლობს. ე.ი. იმას ეჩვევა, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილოს სივრცული და დროითი კონსტინტენციის მოთხოვნები. აფექტისა და მოტივაციის ჩამოყალიბებას მე განვიხილავ მე-ს განვითარების შემადგენელ ნაწილად, მაშინ როცა თვითონ მე-ს განვითარება კოგნიტივური, ენობრივი და ინტერაქციური განვითარების შემავსებლად მიმდინარეობს. მე მინდა ჯერ შემავსებლობა ავხსნა და მერე ამისდაკვალად მეს განვითარების საფეხურები დავახასიათო.

3. მე ყალიბდება საფეხურებრივად „გაშინაგნებული", თავის თავში რეფლექსირებული ბუნების გარემოსთან კამათში, რომელიც მოწიფულ მე-ს დიფერენცირებულად წარმოუდგება. გარემო სულ ცოტა, სამ რეგიონად წარმოგვიდგება: გარეგან ბუნებად, ენად და საზოგადოებად. არ შეიძლება ამ ცნების კონკრეტისტული განმარტება. *„გარეგანი ბუნება"* ხამს, რეალობის ობიექტივისტურ ნაჭერს ნიშნავდეს, რომლის აღქმა და მანიპულაციური განხილვა (თუნდაც გაშუალებულად) ხელეწიფება მოწიფულ სუბიექტს. რა თქმა უნდა, მას ობიექტივირებული პოზიციის დაჭერა არა მარტო არა ცოცხალი ბუნების, არამედ ყველა იმ ელემენტის მიმართაც შეუძლია, რომელზეც გამოცდილებას ხელი მიუწვდება. „საზოგადოება" კი ხამს, ნიშნავდეს სიმბოლურად წინასწარ სტრუქტურირებულ სინამდვილის ნაჭერს, რომლის გაგებაც მოწიფულ სუბიექტს ძალუძს არაობიექტივირებულ განწყობაში ე.ი. – როგორც კომუნიკაციურად მოქმედს (როგორც კომუნიკაციის სისტემის მონაწილეს); მასში შედიან წინადადებები და მოქმედებანი, დაწესებულებები, ტრადიციები, კულტურული ღირებულებანი, საზოგადოდ – სემანტიკურად შინაარსიანი ობიექტივაციები, ასევე – თვითონ ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტები. ბუნებრივია, ძალგვიძს პერფორმაციული ორიენტაციის ობიექტივირებული შეცვლა.

დაბოლოს, მესამე რეგიონად შემომაქვს „ენა", თუმცა მოწიფული სუბიექტები ენის (წინარემეცნიერულად) კონსტიტუირებას შესაძლო გამოცდილების საგანთა სფეროდ იმგვარადვე არ ეწევიან როგორც – „გარე ბუნებისა" და „საზოგადოების". ენას, როგორც ჩვენი გამოთქმების მედიუმს, თავისებური გამჭირვალება და გამტარობა ახასიათებს. მაგრამ, თავის მხრივ, ეს არ გამორიცხავს, რომ ენობრივი გამოთქმების

ანდა სიმბოლური სისტემების მიმართ ჩვენ შეგვიძლია მატერიალურ სუბსუბსტრატზე მიმართული ობიექტივირებული თუ სემანტიკურ შინაარსზე ორიენტირებული პოზიცია დავიჭიროთ.

კოგნიტივური კომპეტენცია ყალიბდება გარებუნების ობიექტებთან მანიპულაციურ ურთიერთობაში, ინტერაქტიური და ენობრივი კომპეტენცია კი ფორმდება კომუნიკაციურად გასაზოგადოებულ სუბიექტსა და მათ გამოთქმებთან კავშირში. ამ კომპეტენციათა მოპოვება იმას ნიშნავს, რომ შექმნილია გარებუნების ობიექტურობად, საზოგადოების ნორმატიულობად და ენობრივი მედიუმის ინტერსუბიექტურობად მე-ს სუბიექტურობის შემავსებელი მიმართებანი. ეს გამოთქმები აღნიშნავენ იმ ხერხს, რითაც სუბიექტს გარემოს რეგიონული ნაჭერი წარმოუდგება ხოლმე; ამავე დროს ისინი გამოხატავენ მოცემულობისა და გამოცდილების მოდუსს. გარებუნება გვხვდება როგორც ობიექტური, აღქმებს აქვთ *ობიექტურობის* პრეტენზია. არაობიექტივირებული საზოგადოება გამოიცდება იმაში, აქვს თუ არა მას ნორმატიული მნიშვნელობის უნარი; დაწესებულებებსა და ღირებულებებს აქვთ *ნორმატიულობის* პრეტენზია. ურთიერთგაგების სიმბოლურ მედიებს ვერსად გადავეყრებით, რამდენადაც ისინი ობიექტივირებულ ანდა პერფორმაციულ პოზიციად არ გაუცხოებულან, არამედ in actu აწინდელნი არიან; მაგრამ ისინი გვატყობინებენ გაგების *ინტერსუბიექტურობას*. დაბოლოს, სუბიექტი თავის თავს თავისსავე სუბიექტურობაში გამოცდის იმისგან გამიჯვნის გზით, რასაც უფლება აქვს პრეტენზია იქონიოს ობიექტურობაზე, ნორმატიულობასა და ინტერსუბიექტურობაზე; ე.ი. – აღქმებისაგან გამიჯვნით, რომლებიც არიან ობიექტურნი, რადგან ნებისმიერი სხვა „ჩემ ადგილზე" იმასვე აღიქვამდა; – ნორმატიული სტრუქტურებისაგან, რომლის მნიშვნელობას ასევე აღიარებდა ანდა უარყოფდა ნებისმიერი სხვა „ჩემ ადგილზე მყოფი" და – გაგებითი გამოსახულებებისგან, რომლებიც ინტერსუბიექტურნი არიან, რაკი მათ გაიგებდა ყველა, ვინაც ჩემს ენაზე მეტყველებს. *სუბიექტურობა* არის ხერხი, რითაც სუბიექტი თავის საკუთარ ბუნებას შეეყრება.

ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე თავისი თავის კონსტიტუირებას ახდენს *გამიჯვნათა სისტემაში*, რომელშიც შინაგანი ბუნების სუბიექტურობა ემიჯნება აღქმადი გარებუნების ობიექტურობას, საზოგადოების ნორმატიულობასა და ენის ინტერსუბიექტურობას. ამასთან, მე-მ თავისი თავი მარტო სუბიექტურობად კი არ იცის, არამედ – ინსტანციად, რომელსაც სუბიექტურობის საზღვრები ერთსადაიმავდროულად კოგნიციაში, ენასა და ინტერაქციაში „მუდამ უკვე" გადაულახავს. მე-ს შეუძლია თვითიდენტიფიკაცია მოახდინოს სწორედ იმით, რომ პირწმინდად სუბიექტური არასუბიექტურისგან განასხვაოს. ჰეგელიდან ფროიდის გაულით, ვიდრე პიაჟემდე განვითარება ჰპოვა აზრმა იმის შესახებ, რომ სუბიექტი და ობიექტი ერომანეთს აკონსტიტუირებენ, რომ სუბიექტი

თავის თავში დარწმუნებული შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ გარესამყაროსთან მიმართებაში და გზად მისი აგებისაკენ. მაგრამ ეს არასუბიექტური არ არის ის, რაც – ობიექტურია პიაჟეს გაგებით: კოგნიტივურად გასაგნებული და მანიპულაციურად დაუფლებადი რეალობა; იგი არც ფროიდისეული „ობიექტია“: კომუნიკაციურად დახშული და იდენტიფიკაციებით უზრუნველყოფილი ინტერაქციის ოლქი. გარემომცველი სამყარო, პირიქით, დიფერენცირებულია ორივე რეგიონად (გარეგან ბუნებად და საზოგადოებად) და იგი შეივსება რეალობის ორივეულ ოლქის ერთმანეთში ურთიერთ ასახვებისა (მაგ. საზოგადოება როგორც სტრატეგიული თამაში ან სისტემა ანდა საზოგადოების ანალოგიურად ნალოლიავები „ძმური“ ბუნება) და ასევე ენის სისტემის წყალობით (რომელიც საგანთა სფეროებიდან თვითმყოფად რეგიონადაა გამოყოფილი).

4. სუბიექტურობა თავს ინახავს იმით, რომ ემიჯნება ობიექტურად გაგებულ გარებუნებას, – ნორმატიულობაზე პრეტენზიის მქონე საზოგადოებრივ ცხოვრების კავშირებს და – ინტერსუბიექტურობის მაფუძებელ ენას. გამიჯვნათა ამ სისტემის განსამარტავად მინდა, „განცდებისა“ და „გამოხატულებათა“ განსხვავებიდან ამოვიდე. მართალია, გამოხატულებანი სუბიექტს მიეწერება, მაგრამ გარკვეული აზრით ისინი მას სწყდებიან და გარესამყაროს შემადგენელ ნაწილად იქცევიან; „სუბიექტურნი“, საპირისპიროდ ამისა, განცდები არიან, რომლებიც, ასე ვთქვათ, სუბიექტში რჩებიან, არ გამოდიან მისგან, თუმცა შესაძლოა, „გამოითქვან“. რამდენადაც განცდები გამოიხატებიან, ისინი გარესამყაროს ელემენტებად იქცევიან და ამდენად საჭიროებენ სიმბოლურ ხორცშესხმას გამოთქმულ წინადადებებში, მოქმედებებსა ანდა სხვა კულტურულ ობიექტივაციებში. მაგრამ ყველა განცდა ძალადაუტანებლად და სათანადოდ როდი გამოიხატება. ნათელი ინტენციური შინაარსის განცდები უფრო ადვილს და უფრო ერთმნიშვნელოვან გამოხატულებას პოულობენ, ვიდრე დიფუზური შინაარსის მქონენი. ამგვარმა განცდებმა შესაძლოა, საზღვრითს შემთხვევაში დაჰკარგონ ინტენციური ე.ი. „რაღაცაზე მიმართული“ ხასიათი; მაგ. – შეგრძნებებმა და ბუნდოვანმა განწყობილებებმა. ჩვენ შეგვიძლია კოგნიციური და ემოციური განცდები გამოხატვის უნარიანობის ხარისხის მიხედვით დავალაგოთ: დიფუზური შეგრძნებებიდან და მოგონების ხატებიდან კოგნიციური განზომილების არტიკულირებულ აღქმებამდე, წარმოდგენებსა და მსჯელობებამდე; დიფუზური ლტოლვებიდან და სწრაფვებიდან მოტივაციონური განზომილების არტიკულირებულ სურვილებსა და ნებით ნაკისრ ვალდებულებებამდე; დიფუზური განწყობილებებიდან აფექტური განზომილების არტიკულირებად გრძნობებსა და გემოვნების რეაქციებამდე. უფრო ძლიერ არტიკულირებული განცდები შესაძლოა, პირდაპირ გამოიხატონ: დესკრიპციულად – მტკიცებებში; ნორმატიულად – მოთხოვნებში; ევალუაციურად – შეფასებებში. მართალია, შეიძლება დიფუზური

და ასე ვთქვათ, მინიმალურად ინტენციური განცდების გამოხატვაც, მაგრამ – მხოლოდ არაპირდაპირ, არაპროპოზიციონური გამოხატვის ფორმებში, რომლებიც ტანზემიბმული ეკსპრესიებიდან ვიდრე ხელოვნებისა და მუსიკის სიმბოლოთა სისტემებამდე უწევენ. „სუბიექტურს" ჩვენ ვუწოდებთ მხოლოდ იმ განცდებს, რომლებსაც აქვთ არაპირდაპირ გამოხატვის უნარი; მაგრამ, ბუნებრივია, მარტო მათ არ ეწოდებათ ეს სახელი.

პირდაპირ გამოხატვის უნარმქონე განცდებიდან შეგვიძლია ისეთები შევარჩიოთ, რომლებსაც უაღრესად „სუბიექტურად" მივიჩნევთ; მაგალითად, მქრქალი მოგონებები, ბუნდოვანი აღქმები, არაუზრუნველყოფილი ვარაუდები – კოგნიტიურ განზომილებაში; ლტოლვები, ვნებები, სურვილები, აღტკინებანი და ა.შ. – მოტივაციონალურ განზომილებაში; მერყევი განწყობილებანი, ცვალებადი გემოვნების მიდრეკილებანი – აფექციურ განზომილებაში. ყველა ესენი წარმოადგენენ განცდებს; შესაძლებელია მათი არტიკულაცია. – ვერბალური თუ არაენობრივი გამოხატვა, ისე რომ არ შევურწყათ სხვა, ასე ვთქვათ, „პირწმინდად სუბიექტური" პრეტენზიები. ე.ი. არ მოგვესურვოს თქმა იმისა, რომ ისინი დროის ამ მომენტში ჩვენი განცდები არიან. როცა *პირად შეხედულებებს* გამოვთქვამთ, არ ვაყენებთ მტკიცებებს და უარს ვამბობთ პრეტენზიაზე, რომ ისინი ყველა მოწიფულმა სუბიექტმა უნდა გაიაზროსო; *სწრაფვებსა* და *სურვილებს* რომ გამოვხატავთ, ნაცვლად რაიმეს *მოთხოვნისა*, უარს ვაცხადებთ პრეტენზიაზე, რომ ის, ვისგანაც რაიმეს მოვითხოვთ ჯერ არს, სწორედ ასე მოიქცესო; როცა *გრძნობებს* გამოვხატავთ, შეფასებას კი არ ვეწევით, არამედ ხელს ვიღებთ პრეტენზიაზე, რომ *შესაძლოა* სხვებიც შემოუერთდნენ ჩვენ შეფასებასო. ამრიგად, შეხედულებები, სწრაფვები და გრძნობები იმას ეფუძნებიან, რომ ჩვენ შეხედულებებისთვის არ ვაყენებთ *ჭეშმარიტების პრეტენზიას*. ჩვენი სწრაფვები არ იჩემებენ *სისწორის პრეტენზიას* და ჩვენ გრძნობებს არა აქვთ *მისადაგებულობის* პრეტენზია.

გამოხატულებანი, რომლებიც ამგვარად არიან სუბიექტურნი, მხოლოდ შეზღუდული ოდენობით გადავლენ ტრადიციაში. ენობრივი გამოსახულებანი შესაძლოა, საზოგადოების ობიექტურ გონში განსხეულდნენ, თუ ისინი მიერთებულნი არიან უკვე დასახელებული (დისკურსულად შესრულებადი) მნიშვნელოვნების პრეტენზიიდან ერთ-ერთთან და თუ ეს პრეტენზიები ფაქტიურად აღიარებულნი და სოციალურად მნიშვნელადნი არიან. რამდენადაც შესრულებულია ორივე ეს პირობა, ამდენად ხდება მოქმედების შედეგთა დალექვა. ე.ი. ისინი ღებულობენ ტექნოლოგიების, სტრატეგიებისა და დაწესებულებების სახეს. მაგრამ თვით ეფემერულსა და პირწმინდად სუბიექტურ განცდასაც კი, როცა მას გამოვხატავთ, ვუკავშირებთ პრეტენზიას (თუმცა არადისკურსულს); ჩვენ გვაქვს მათი – ისე როგორც ყველა ექსპრესიული გამოხატულების – გულწრფელობის პრეტენზია.

ის განცდები, რომლითაც მხოლოდ არაპირდაპირ გამოხატვის უნარი შესწევთ, რაკი უსხლტებიან პროპოზიციურად გათვითმყოფებულ მეტყველებას, არასოდეს არიან ამგვარ გულწრფელობის პრეტენზიასთან დაკავშირებულნი; ესაა სწორედ მათი, ასე ვთქვათ, გაძლიერებული სუბიექტურობის საფუძველი. ტანს მიტმასნილი ექსპრესიები არც წრფელნი შეიძლება იყვნენ და არც არაწრფელნი: რადგან არ ხდება მათი ინტენციური გამოხატვა. გარკვეულწილად იგივე ითქმის ხელოვნებისმიერი ექსპრესიებისთვისაც, რადგან მის ობიექტურ მნიშვნელობასთან ხელი არ აქვს ხელოვანის ინტენციებს. თუ ხელოვნების ქმნილებანი მისი გამოხატვის ფორმის სუბიექტურობის და მიუხედავად სოციალურად აღიარებულნი ხდებიან და ტრადიციის ნაწილად იქცევიან, თუ მათ, უფრო მეტი, თავი საინტერესოდ დაუღწევიათ პირწმინდად სუბიექტურ გამოხატულებათა ეფემერულობისთვის, მაშინ ისინი ამას თავიანთ გასაოცარ ღვაწვას უმადლიან; რაც იმაში მდგომარეობს, რომ სემანტიკური პოტენციალი იმ სიმბოლური სტრუქტურებიდან ამოგლიჯოს, რომლებიც წინ უსწრებენ ენას და იგი ინტერსუბიექტურად ხელმისაწვდომი გახადოს.

თუკი წარმოვიდგენთ, რომ სუბიექტი სუბიექტად მხოლოდ და მხოლოდ გარემოსთან მის დაპირისპირებაში იქმნება, ცხადი გახდება, რომ მე და გამიჯვნათა ის სისტემა, რომელშიც იგი თავის თავს აკონსტიტუირებს, წარმოადგენს ერთი თანაბარძირეული განვითარების პროცესის ნაყოფს. მხოლოდ ზრდასრულ სუბიექტზე გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ მე თვითონ მიჯნავს და ინარჩუნებს თავის სუბიექტურობას. სწორედ ამ ინტეგრალურ კომპეტენციას ეგულისხმობთ როცა ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტზე ვამბობთ, *შერაცხადიან*. მე – იდენტობის ფორმირება ნიშნავს *შერაცხადობის* ონტოგენეზს. მაგრამ კოგნიტივისტურმა და ფსიქოანალიტიკურმა განვითარების ფსიქოლოგიამ იმ ვარაუდის საბუთები შეაგროვეს, რომ მეს განვითარება ხორციელდება ოთხ საფეხურად, რომლებიც თავიანთ მხრივ შეიძლება დახასიათდნენ დეცენტრაციისა და მესგამიჯვნის ცნებებში. მე მინდა ერთმანეთისაგან განვასხვავო განვითარების შემდეგი უნივერსალიტური საფეხურები: ა) სიმბოლიტისტური, ბ) ეგოცენტრისტული, გ) სოციოცენტრისტული; რა თქმა უნდა, ეს განსხვავება ძალზე არაზუსტია.

ა) ცხოვრების პირველ ფაზებში არ მოიპოვება სუბიექტსა და ობიექტს შორის აშკარად სუბიექტური გათიშვის ერთმნიშვნელოვანი ინდიკატორები. როგორც ჩანს, ამ ფაზაში ბავშვი თავის სხეულს ჯერ კიდევ არაორაზროვნად არ აღიქვამს ტანად; – თავისი საზღვრების დამცველ სისტემად. ბავშვის, მიმართების პერსონასა* და ფიზიკურ გარემოს შორის კავშირი ჯერ

* პერსონა, რომელისკენაც პიროვნული ურთიერთობის საფუძველზე მიმართულია ვინმეს აზრი ან ქცევა – მთარგ. შენიშვნა

ისევ ისე მჭიდროა, რომ სუბიექტურობის გამიჯვნაზე ლაპარაკი აქ მხოლოდ პირობითად შეიძლება. ბ) ცხოვრების მომდევნო მონაკვეთში, რომელიც პიაჟეთი ემთხვევა განვითარების სენსუმოტორულსა და პრეოპერაციულ, ხოლო ფროიდით – ანალურსა და ოიდიპალურ ფაზებს, ბავშვი ერთმანეთისგან განასხვავებს მე-სა და გარემო სამყაროს; იგი სწავლობს გარემოში პერმანენტული ობიექტების აღქმას ისე, რომ ჯერ არა აქვს გარემომცველი სამყარო ფიზიკურ და სოციალურ სფეროებად ცხადლივ დიფერენცირებული. გარემომცველი სამყაროდან გამიჯვნაც ჯერ კიდევ არ არის სტაბილური.

ეს აშკარად ელინდება კოგნიტივური და მორალური ეგოცენტრიზმის მოვლენებში. ბავშვს არ ძალუძს სიტუაციები დამოუკიდებლად, თავისი თვალსაზრისით აღიქვას, გაიგოსა და შეაფასოს; იგი აზროვნებსა და ქმედობს ტანს მიტმასნილი პერსპექტივებიდან.

გ) კონკრეტული ოპერაციებისა და პოსტოიდიპალური ლატენტობის საფეხურის დადგომით ბავშვი გადამწყეტ ნაბიჯს დგამს მე– გამიჯვნების სისტემის აგებისაკენ; იგი ახლა ერთმანეთისგან განასხვავებს, ერთი მხრივ, აღქმადსა და მანიპულირებად ნივთებსა და ხდომილებებს; მეორე მხრივ – გაგებადს მოქმედების სუბიექტებსა და მათს გამოხატულებებს; და იგი ერთმანეთში აღარ ურევს ენობრივ ნიშნებს, რეფერენტებსა და სიმბოლოს მნიშვნელობას. ბავშვი თავისი თვალსაზრისის პერსპექტიულობის შეცნობით სწავლობს საკუთარი სუბიექტურობის გამიჯვნას გარე ბუნებისა და საზოგადოებისაგან. ამ დროისთვის წყდება ფსევდო ტყუილები რაც იმის ნიშანია, რომ ერთმანეთისგან არიან გამიჯნულნი ფანტაზიები და აღქმები, იმპულსები და ვალდებულებანი. ამ ფაზის დასასრულს კოგნიტივური განვითარება უკვე მისულია გარე ბუნების ობიექტივირებამდე, ენობრივ განვითარებას უკვე დამორჩილებული აქვს მოდალურად გათვითმყოფებული მეტ-ყველებითი აქტები, ხოლო ინტერაქციული განვითარება იქამდეა მისული, რომ განხორციელებული არის ქცევის გენერალიზებულ მოლოდინთა დამატებითი შეკავშირება. დ) მხოლოდ სიყმაწვილის ასაკში ახერხებს ახალგაზრდა განვითარებას და წინამორბედი ფაზის დოგმატიზმიდან განთავისუფლებას. დისკურსების წაყვანისა და ჰიპოთეტური აზროვნების უნარით, მე – გამიჯვნათა სისტემა რეფლექსური ხდება. აქამდე კონკრეტულ ოპერაციებზე გამობმული კოგნიტივური მე უპირისპირდებოდა ობიექტურ ბუნებას; ჯგუფურ პერსპექტივებში ჩაჭერილი კომუნიკაციური მე გათქვეფილი იყო თვითმყოფად ნორმათა სისტემებში. მაგრამ როგორც კი ყმაწვილი ნაივურად აღარ იღებს მნიშვნელოვნების პრეტენზიებს, რომლებსაც შეიცავენ მტკიცებები და ნორმები, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლობს როგორც მოცემული ბუნების ობიექტივიზმის ტრანსცენდირებასა და მოცემულის განმარტებას შემთხვევითი კიდური პირობებიდან გამომდინარე ჰიპოთეზების შუქზე, ასევე – იმას, რომ დაარღვიოს ტრადიციით გადმოცემული წესრიგის სოციოცენტრიზმი და მიღებული ნორმები პრინციპების შუქზე გან-

ჭვრიტოს (და საჭიროების და მიხედვით გააკრიტიკოს) როგორც ცარიელა კონვენციები. რამდენადაც დაიმსხვრევა მოცემულისა და მიღებულის დოგმატიზმი, შესაძლებელი გახდება წინარემეცნიერულად კონსტიტუირებული საგანთა სფეროების მე– გამიჯვნათა სისტემასთან დამოკიდებულებაში შეყვანა.

სიმბიოზის, ეგოცენტრიზმის, სოციოცენტრიზმის-ობექტივიზმისა და დაბოლოს უნივერსალიზმის მოკლედ დახასიათებული საფეხურები გვიბიძგებს მე-ს განვითარება გავიგოთ მე – გამიჯვნათა სისტემის ჩამოყალიბების იდეით.

II მე — გამიჯვნათა სისტემაზე უნივერსალურ-პრაგმატისტული მინიშნება

I. თავდაპირველად ინტუიციურად შემოვიტანე სუბიექტურობად გაგებული მე-ს გარეგანი ბუნებისგან გამიჯვნათა სისტემა, საზოგადოების ნორმატიულობა და ენის ინტერსუბიექტურობა. თუკი ხამს, ამ შემოთავაზებამ დაკმაყოფილოს სისტემური პრეტენზია, მაშინ აუცილებელია შესაბამისი სტრუქტურები იმ მოდუსში იქნან დამოწმებულნი, რომლის მეშვეობითაც სუბიექტი გამიჯვნის მოღვაწეობებს ახორციელებს. ამისთვის ვიყენებ უნიეერსალურ პრაგმატიკას. ამ პერსპექტივაში, ასე ვთქვათ, თვალხილული გახდებიან ის აპკები, რომლებითაც ენობრივი მედიუმი გამიჯნულია გარეგანი თუ ობიექტივირებული ბუნებიდან, – საზოგადოების ნორმატიული რეალობიდან და შინაგანი, სუბიექტური ბუნებიდან; და ამავე დროს, ეს ენობრივი მედიუმი მათთან მიმართებაში ოსმოტიკურად იხსნება. ჩვენს კონტექსტში მე შემიძლია ჩავეჭიდო მარტო რამდენიმე სხვაგან განხორციელებული გამოკვლევების შედეგს

ა) *მეტყველების აქტი* ენის ელემენტარულ ერთეულად ჩვენ განვიხილავთ მეტყველების აქტს; ამრიგად, ეს არის მოლაპარაკის ვერბალური გამოხატულების უმცირესი მიმდევრობა, რომელიც გასაგები და მისაღები არის კომუნიკაციის კონტექსტში, სულ ცოტა, ერთი სხვა, ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტისათვის. უნივერსალური პრაგმატიკა გამიზნულია წესთა იმ სისტემის რეკონსტრუქციაზე, რომელსაც უნდა ფლობდეს ზრდასრული მოლაპარაკე, რათა გამოთქმებში წინადადებები გამოიყენოს; სულერთია, რომელ ენას განეკუთვნებიან ისინი და რომელ შემთხვევითს კონტექსტებში იქნებიან გახვეულნი. როცა შემდგომში მოკლედ არის ლაპარაკი მეტყველების აქტზე, ყოველთვის ნაგულვებია *აბსტრაქტული გამოხატულებანი*, რომლებიც კონკრეტული გამოხატულებებივით ექვემდებარებიან არა შემთხვევით კონტექსტებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გენერალიზირებულსა და მეტყველება-მოქმედების ტიპის მიხედვით შემოფა-

რგლულ კონტექსტს; მაგალითად, ისინი ექვემდებარებიან კონტექსტის ისეთ პირობებს, რომელთა შესრულება საზოგადოდ აუცილებელია, რათა წარმატებით განვახორციელოთ მეტყველების აქტი როგორიცაა მაგ. მტკიცება; მაგრამ – არა ისეთი აქტები როგორებიცაა შეპირება, რჩევა, გამოწვევა და სხვ. მეტყველებითი მოქმედებების ანალიზის ემპირული მიმართების უზრუნველყოფა ხდება იმით, რომ ნებისმიერი კონტექსტზე დამოკიდებული, ვერბალური ანდა არა-ენობრივი გამოხატულება შეიძლება შეიცვალოს ეკსპლიციტურად პერფორმაციული გამოთქმის ეკვივალენტური მნიშვნელობის მქონე ფორმით. ამას ითვალისწინებს სერლის „გამომხატველობის პრინციპი"; პრინციპში შესაძლებელია, რომ მეტყველების თითოეული აქტი, რომელიც ხორციელდება ანდა შესაძლოა ხორციელდებოდეს, არაერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს წინადადებით (ანდა მრავალი წინადადებით) ოღონდ უნდა იგულისხმებოდეს, რომ მოლაპარაკე თავის ინტენციას გამოხატავს ზუსტად, ეკსპლიციტურად და სიტყვასიტყვით. უნივერსალური პრაგმატიკა იფარგლება *სტანდარტული* ფორმის მეტყველება-მოქმედებებით.

ბ) *ილოკუციური უნარი.* წარმატებით განხორციელებული მეტყველებითი აქტით ერთსადაიმავდროულად იქმნება და გამოიხატება კიდეც ინტერპერსონული მიმართება, სულ ცოტა, ორ ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტს შორის. „რაღაცის თქმით რაიმეს კეთება" – ამაში ხედავს ოსტინი მეტყველებითი აქტის ილოკუციურ უნარს. იგი განსაზღვრავს გამოხატული შინაარსის კომუნიკაციურ ფუნქციას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეტყველებითი აქტი დაგვირგვინებულია, თუკი მოლაპარაკესა და მსმენელს შორის ხორციელდება სწორედ რომ ჩაფიქრებული ურთიერთობა და როცა HS-ის მიერ გამოხატულ შინაარსს გამოყენების დადგენილი მნიშვნელობით გებულობს და *ღებულობს* როგორც მაგ. შეპირებას, მტკიცებას ანდა ბრძანებას. გამოხატვის გასაგებობა და მისაღებობა დამოკიდებულია იმაზე, რომ შესრულებული იყოს კონტექსტის ის პირობები, რომლებმაც მოითხოვეს მეტყველებითი მოქმედების ტიპი და რომ მოლაპარაკე მზად იყოს, რათა მან ამ აქტით განსაზღვრული ვალდებულება იკისროს. ამგვარი ვალდებულება ნიშნავს გარანტიას იმისას, რომ იგი შეასრულებს გარკვეულ პირობებს, რომლებიც მისეული გამოთქმიდან გამომდინარეობენ; მაგ. იგი საკითხს ამოწურულად ჩათვლის, როცა მასზე გაცემული იქნება დამაკმაყოფილებელი პასუხი; მტკიცებას უკუაგდებს, თუკი გამოაშკარავდება მისი უჭეშმარიტობა; დაბეჯითებით მოითხოვს მოთსოვნის შესრულებას, თუკი იგი არ სრულდება და ა.შ. ამრიგად, მეტყველებითი აქტის ილოკუციური უნარი იმაში მდგომარეობს, რომ მას ხელეწიფება მსმენელს უბიძგოს, რათა მან თავის ქმედებას დაუსაფუძვლოს ვარაუდი იმისა, რომ მოლაპარაკის მოთხოვნა სერიოზულია.

გ) *გამოთქმის შინაარსთა მეტყველებამოქმედებითი ინვარიანტობა.* სტანდარტულ ფორმაში მჟღავნდება თითოეული მეტყველება-მოქმედების და-

მახასიათებელი *ორკეცი სტრუქტურა*: პირველ პირში მდგომი პერფორმაციული ზმნით შედგენილი წინადადება და პროპოზიციური შინაარსის მქონე დამოკიდებული წინადადება. *ილოკუციური* შემადგენელი ნაწილის შევსება ხდება პროპოზიციურით. ეს პროპოზიციური შემადგენელი ნაწილი ყოველთვის თხრობითი წინადადების ფორმას იღებს, როცა იგი გამოიყენება დადგენითს მეტყველების აქტებში. არამდგენელ მეტყველების აქტებში პროპოზიციური შინაარსი არ *გამოითქმება*, არამედ იგი მხოლოდ *მოხსენიებულია* („პროპოზიციური შინაარსი ემთხვევა შეკითხვის აზრს" ანდა „არამტკიცებელ წინადადებას"). მტკიცებული" გამოთქმის გამოთქმული შინაარსის აბსტრაქციაში მეღავნდება ენის ფუნდამენტური ღვაწვა. ჩვენ შეგვიძლია მეტყველება-მოქმედებათა სხვადასხვა ტიპებთან მიმართებაში უცვლელად შევინარჩუნოთ ერთი და იგივე პროპოზიციური შინაარსი.

დ) *კომუნიკაციის ორი სიბრტყე*. ილოკუციური და პროპოზიციური შემადგენელი ნაწილების დაცალკევება აღზრდის პროცესში და მეტყველებითი აქტების ტრანსფორმაცია კომუნიკაციის ორი სიბრტყის გამიჯვნის აუცილებელი პირობაა: ა) *ინტერსუბიექტურობის სიბრტყე*, რომელზეც მოლაპარაკე და მსმენელი ილოკუციური აქტების მეშვეობით ქმნიან ურთიერთმიმართებებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს ერთმანეთს გააგებინონ; და ბ) *სამყაროში* მყოფთა სიბრტყე, რომელთა თაობაზე მათ ა) დადგენილი კომუნიკაციური ფუნქციის საშუალებით შეთანხმების მიღწევა სურთ. მეტყველებითი აქტი წარმატებულია მხოლოდ მაშინ, თუ მონაწილენი ასრულებენ მეტყველების ორკეც სტრუქტურას და თუ მათი კომუნიკაცია *ორივე სიბრტყეზე ერთდროულად* მიმდინარეობს: აუცილებელია, რომ მათ შინაარსის კომუნიკაცია ურთიერთგაზიარებული შინაარსის გამოყენების მნიშვნელობის თაობაზე მეტაკომუნიკაციას *გაუერთიანონ*. რა თქმა უნდა, მოლაპარაკეს შეუძლია ან ინტერსუბიექტურობის სიბრტყის თემატიზება, რომელზეც ისინი ინტერპერსონულ ურთიერთობებს ანახლებენ; ანდა – ურთიერთგაზიარებული შინაარსის სიბრტყისა. სწორედ ამით განსხვავდება ენის *კომუნიკაციური გამოყენება* მისი *კოგნიციური* გამოყენებისაგან. ენის კომუნიკაციური გამოყენებისას ჩვენ ვახდენთ მოლაპარაკესა და მსმენელს შორის ურთიერთობების – როგორიცაა გაფრთხილება, შეპირება, გამოწვევა – თემატიზებას, მაშინ როცა გამოთქმათა პროპოზიციურ შინაარსებს მხოლოდღა გაკვრით *მოვიხსენიებთ*. ენის კოგნიციური გამოყენებისას ჩვენ ვეწევით შინაარსის გამოხატვის როგორც რაღაცის გამოთქმის თემატიზებას, ე.ი. იმის თემატიზებას, რაც ხდება სამყაროში (ანდა შესაძლოა, მოხდეს), მაშინ როცა ინტერპერსონულ მიმართებას სხვათა შორის გამოვხატავთ.

ე) *მნიშვნელოვნების პრეტენზიები*. მეტყველების აქტებს, რომლებიც მიღებულნი არიან ენის კოგნიტივურ გამოყენებაში, ოსტინთან ერთად, ჩვენც მდგენელ მეტყველების აქტებს ეუწოდებთ. მეტყველებითი მოქმედებების სხვა ტიპებიდან მათ ის განასხვავებს, რომ მნიშვნელოვნების ცხადზეცხად პრეტენზიას შეიცავენ. რა თქმა უნდა, მეტყველება-მოქმედებათა სხვა ტი-

პებიც უდაოდ გულისხმობენ *რაღაც* მნიშვნელოვნების პრეტენზიას; მაგრამ როცა გვმართებს იმის დასახელება, თუ ზუსტად რომელ მნიშვნელოვნების პრეტენზიას შეიცავენ ისინი, ძალზე იშვიათად ვაწყდებით ეგზომ ცხადად გამოკვეთილ პრეტენზიას, როგორიც არის „ჭეშმარიტება" (პროპოზიციური ჭეშმარიტების აზრით), რომლის მნიშვნელოვნების პრეტენზია უნივერსალურად არის აღიარებული. ამას სრულიად გასაგები მიზეზი აქვს: მდგენელი მეტყველებითი აქტის მნიშვნელოვნების პრეტენზია გარკვეულწილად დაწანამძღვრებული აქვს მეტყველება-მოქმედებათა *ყოველ* ტიპს. არამდგენელ მეტყველების აქტებში გაკვრით მოხსენიებული პროპოზიციური შინაარსის მნიშვნელობა შეიძლება ცხადვყოთ პროპოზიციური შინაარსის მქონე წინადადების თხრობით წინადადებად გადაქცევის გზით; და რა თქმა უნდა, მასში გამოთქმული პროპოზიციის საზრისში არსობრივად შედის ჭეშმარიტებაზე პრეტენზია. ამრიგად, ჭეშმარიტებაზე პრეტენზიები იმ ტიპისანი არიან, როგორც ისინი საზოგადოდ ჩასმულნი არიან შესაძლო მეტყველების სტრუქტურებში. ჭეშმარიტება არის უნივერსალური მნიშვნელოვნების პრეტენზია. მისი უნივერსალურობა აისახება მეტყველების ორკეც სტრუქტურაში.

მაგრამ ჭეშმარიტება ერთადერთი კი არა, უბრალოდ, ყველაზე თვალშისაცემი მნიშვნელოვნების პრეტენზიაა, რომელსაც ფესვი თვითონ მეტყველების ფორმალურ სტრუქტურებში აქვს გადგმული. მეტყველებითი აქტი ილოკუციური უნარი, რომელიც მონაწილეებს შორის ინტერპერსონულ ურთიერთობას ქმნის, ქმედების (ანდა შეფასების) აღიარებული ნორმების ვალდებულებით შემკვრელი ძალიდან მომდინარეობს; რამდენადაც მეტყველების აქტის მოქმედებაა, ამდენად იგი ეწევა უკვე შემოღებული ურთიერთობის ნიმუშის აქტუალიზებას. დაწესებულებათა, როლთა, ცხოვრების სოციოკულტურულად შესისხლხორცებულ ფორმათა ნორმატიული ფონის მნიშვნელობა ყოველთვის უკვე იგულისხმება. მაგრამ ეს არასგზით არ ეხება მარტო ინსტიტუციონალურ მეტყველებამოქმედებებს, რომლებიც ისე როგორც „სანაძლეოს დადება", „მისალმება", „ნათლობა", „ხელდასხმა" და ა.შ., მოქმედების უშუალო ნორმებს ასრულებენ. შეპირებებში, რეკომენდაციებში, აკრძალვებსა და მიწერილობებშიც კი, რომლებსაც იმთავითვე ინსტიტუტები არ აწესრიგებენ, მოლაპარაკე დებს მნიშვნელოვნების პრეტენზიას, რომელიც მეტყველების აქტის დაგვირგვინების შემთხვევაში, უნდა დაკმაყოფილდეს არსებული ნორმების მეშვეობით; და ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შესრულდეს, სულ ცოტა, იმ პრეტენზიის ფაქტიური *აღიარების გზით, რომ ეს ნორმები მართებულნი არიან.* მეტყველება-მოქმედებაში იმპლიციტურად წამოყენებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს შორის შინაგანი მიმართება და მისი ნორმატიული ფონის მნიშვნელობა განსაკუთრებით აღინიშნება ენის ინტერაქციურ გამოყენებაში. ე.ი. რეგულაციური მეტყველების აქტების განხორციელებისას; ზუსტად ისე როგორც

ჭეშმარიტების პრეტენზია – ენის კოგნიციურ გამოყენებასა და მდგენელი მეტყველების აქტების შესრულებისას. მაგრამ მტკიცებებსაც, ანგარიშსაც, განმარტებებსაც და ა.შ. მართებთ ინტერპერსონულ მიმართებათა წარმოება, ოღონდ იმისთვის, რომ ისინი განხორციელდნენ საჭიროა, ურთიერთობის შემოღებულ ნიმუშებს მოერგონ ე.ი. მათ უნდა წაეშველოს ნორმატიული ფონი. მეტყველება-მოქმედებათა ილოკუციური უნარით ნორმატიული მნიშვნელოვნების პრეტენზია – სისწორე გინა თანაშეზომილობა – ისევე უნივერსალურად არის მეტყველების სტრუქტურებში ჩაშენებული, როგორც ჭეშმარიტების პრეტენზია.

იგივე ითქმის მოლაპარაკის სიწრფელეზეც. როგორც კი მოლაპარაკე უარს აცხადებს ამ პრეტენზიაზე ანდა ამასთანავე კარგავს თავის მისანდობლობას, შეუძლებელი ხდება კომუნიკაციის განგრძობა; თანამონაწილენი ან სტრატეგიულ ქმედებაზე გადაერთვებიან ანდა წყვეტენ კომუნიკაციას. სიწრფელე უზრუნველყოფს იმ სუბიექტურობის გამჭირვალებას, რომელიც ენობრივ თვითგამოხატვას ეწევა. იგი განსაკუთრებით არის ხაზგასმული ენის ექსპრესიული გამოყენებისას, რომლის დროსაც ხდება არა ინტერპერსონული მიმართების ანდა პროპოზიციური შინაარსის, არამედ თვითონ მოლაპარაკის ინტენციათა თემატიზება. ამრიგად, სიწრფელე იმგვარადვე უერთდება ენის ექსპრესიულ გამოყენებაში მიღებულ მეტყველების რეპრეზენტაციულ აქტებს, როგორც ჭეშმარიტება – მდგენელი მეტყველების აქტების აქტთა სისწორეს, გინა რეგულაციური მეტყველების აქტების თანაშეზომილებას. მაგრამ მოლაპარაკე მტკიცებებსა თუ შეპირებებშიც გამოხატავს ინტენციებს იმ პრეტენზიით, რომ დარწმუნებულია გამოხატული ინტენციების სერიოზულობაში. სიწრფელის პრეტენზიაც ყოველი შესაძლო მეტყველების უნივერსალური იმპლიკატია, რამდენადაც საერთოდ დროებით გაუქმებული არ არის ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების წანამძღვრები. ასევე ტრიეიალურადვე იგივე ითქმის გამოხატვის *გასაგებობის* პრეტენზიაზეც. ამგვარი პრეტენზიის შესრულებას წინასწარ გულისხმობს ყოველი კომუნიკაცია.

2. მას შემდგომ, რაც რამდენიმე უნივერსალურ-პრაგმატისტული საფუძველცნება და ჰიპოთეზა შემოვიტანე მინდა, ამოსავალი თეზა სამი მინიშნებით დავასაბუთო.

ა) რეგიონული გამიჯვნები. თუკი არ არის იმის საჭიროება, რომ შეწყდეს კომუნიკაცია ანდა უცებ აღებული იქნას სტრატეგიული ქმედების კურსი, მაშინ შეიძლება მეტყველების აქტი მხოლოდ ერთი წანამძღვრით გამოვიდეს, რომ მოლაპარაკე ერთდროულად წამოაყენებს ოთხ სანდო მნიშვნელოვნების პრეტენზიას: იგი პრეტენზიას აცხადებს გამოთქმულის გინა მოხსენიებული პროპოზიციური შინაარსის ეგზისტენციის წინასწარგულისხმობათა ჭეშმარიტებაზე; მერე იგი აყენებს პრეტენზიას იმ ნორმის სისწორეზე (გინა თანაშეზომილობაზე), რომელიც მოცემულ კონტექსტში

პრეფორმაციულად საწარმოებელი ინტერპერსონული მიმართების ლეგიტიმაციას ეწევა; შემდგომად ამისა, პრეტენზია ეხება თავის ინტენციებში თავისი თავის გამომხატველი მოლაპარაკის თვითგამოსახვის სიწრფელეს; დაბოლოს, პრეტენზია წამოყენებულია გამოთქმაში გამოყენებული წინადადების გასაგებობაზე. მართალია, შეიძლება მნიშვნელოვნების ცალკეული პრეტენზიის თემატური ხაზგასმა; ამასთან ენის კოგნიტივურ გამოყენებაში წინა პლანზე დგას გამოთქმული შინაარსის ჭეშმარიტება, ინტერაქციული ენის გამოყენებისას – ინტერპერსონალური მიმართების სისწორე (ანდა თანაშეზომილობა); ხოლო ენის ექსპრესიული გამოყენების შემთხვევაში – მოლაპარაკის სიწრფელე; მაგრამ თითოეულ გამოთქმაში მოქმედებს მნიშვნელოვნების ოთხი პრეტენზიის სისტემა – ისინი არიან უნივერსალურნი; მათი წამოყენება ყოველთვის ერთდროულად უნდა მოხდეს, მაშინაც კი, როცა შეუძლებელია მათი ერთდროული თემატური ყოფნა.

მეტყველების სტრუქტურის უნივერსალობაში ჩადებული მნიშვნელოვნების პრეტენზიები აიხსნება ენის სისტემატური ალაგის განმარტებით: მეტყველებით ყოველთვის გამოიხატება ოთხიე რეგიონი – გარეგანი ბუნება, საზოგადოება, შინაგანი ბუნება და თვით ენა. ობიექტურობას ისეთ გამოცდილებებს მივაწერთ, რომელთა გამოთქმა შეიძლება ექსპლიციტურად გამოთქმის შინაარსის სახით. ამასთანავე, ობიექტურობა აღნიშნავს იმ ხერხს, რომლითაც გასაგნებული რეალობა მეტყველებაში ვლინდება. „ჭეშმარიტება" არის პრეტენზია, რომელსაც ვაცხადებთ გამოცდილებათა ობიექტურობის გათვალისწინებით. ღირებულებათა და ნორმათა საზოგადოებრივი რეალობა მეტყველება-მოქმედებათა ილოკუციური შემადგენელი ნაწილებისა, და ასე ვთქვათ, მოლაპარაკის პერფორმაციული პოზიციის გზით, მეტყველებაში შედის, მაშინ როცა მოლაპარაკის შინაგანი ბუნება მეტყველებაში მისი ინტენციების მეშვეობით აშკარავდება. ნორმატიულობა და სუბიექტურობა შემოვიტანეთ იმ ხერხის აღმნიშვნელ გამოთქმებად, რომლითაც გვეელინებიან არაობიექტივირებული საზოგადოება და არაობიექტივირებული შინაგანი ბუნება. სისწორე გინა თანაშეზომილობა და სიწრფელე შესაბამისი მნიშვნელოვნების პრეტენზიები არიან. ამრიგად, მეტყველების საყოველთაო სტრუქტურები უზრუნველყოფენ არა მხოლოდ ობიექტურ სინამდვილესთან კავშირს, არამედ ისინი გასაქანს აძლევენ როგორც გამოხატვათა ნორმატიულობას, ისე გამოხატული ინტენციების სუბიექტურობას. დაბოლოს, მე ვიყენებ „ინტერსუბიექტურობას" როგორც ტერმინს ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტებს შორის იმ თანაზიარობის გამოსახატავად, რომელიც იქმნება იდენტური მნიშვნელობების გაგებისა და უნივერსალურ პრეტენზიათა აღიარების გზით. პრეტენზია, რომლის გამოცხადება შეიძლება ინტერსუბიექტურობის კუთხით, გასაგებობაა; იგი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მეტყველებისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვნების პრეტენზიას. ჩვენ შეგვიძლია თითო-

ეული ცალკე გამოთქმა იმ მხრივ შევამოწმოთ, თუ როგორია იგი, ჭეშმარიტი თუ არაჭეშმარიტი, მართებული თუ უმართებულო, წრფელი თუ არაწრფელი, გასაგები თუ გაუგებარი; ეგ იმიტომ, რომ სულერთია რა აქცენტით, მაგრამ გარეგანი ბუნების, საზოგადოების, შინაგანი ბუნებისა და ენის მონაკვეთები ამავე დროს თვითონ ესწრაფვიან თვითგამოხატვას. ასევეა თვითონ ენაც, რაკი იგი თავისებური მედიუმია, რომელშიც თვითრეფლექსია ხდება იმ ენობრივი საშუალებისა, რაც ინსტრუმენტულად გამოიყენება; ირიბი მეტყველების, ციტატის, მითითებისა და ა.შ. რეფლექსური ენის გამოყენება მხოლოდღა ექსპლიკაციას ეწევა იმისას, რაც იმპლიციტურად ყოველ მეტყველებას ეხება: მეტყველებაში გარეგანი ბუნების, საზოგადოებისა და შინაგანი ბუნების რეგიონთა შესახებ თვითონ ლაპარაკი გამოიყოფა როგორც სინამდვილე sui generis, როგორც კი შესაძლებელი ხდება ენობრივ გამოთქმაში ნიშნის სუბსტრატის, მნიშვნელობისა და რეფერენტის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ბ) ***ენობრივი უნივერსალიები.*** **ის თვალსაზრისი, რომ მეტყველებაში ერთდროულად გამოიხატება ოთხი რეგიონი, ენის სისტემათა უმნიშვნელოვანესი უნივერსალური ნიშანთვისებების დალაგების საშუალებასაც იძლევა.**

სინამდვილის ობიექტივირებისთვის თითოეული კერძო ენა გვთავაზობს *რეფერენცსისტემას**, რომელიც საშუალებას იძლევა იმისას, რომ მოვახდინოთ სამყაროში იმ რაღაცის საკმაოდ საიმედო იდენტიფიკაცია, რაც ჯერარს, გამოითქვას. ამასთანავე საქმე ეხება იმ ერთადერთი ელემენტარული სტრუქტურის სხვადასხვაგვარ კერძო ენისეულ რეალიზაციებს, რომელიც საზოგადოდ ადგენს საგანთა ძირეულ კატეგორიზებას. თითოეულ ენაში მოიპოვება საშუალება, რომლითაც ძალგვიძს, გამოვხატოთ შესაძლო გამოცდილების საგანთა კლასიფიკაცია, ურთიერთრელაცია, ლოკალიზაცია და დათარიღება. მიმართებათა სისტემის უნივერსალურობა, რომელშიც სინამდვილის ობიექტივაციას ვახდენთ თავისი არსებობით დავალებულია მოძრავ სხეულებთან (ნივთებთან და ხდომილებებთან) მანიპულაციური ურთიერთობის გამოცდილებების სფეროში ძირეული კოგნიტივური ოპერაციების ენამდელი გამოყენების განვითარებისაგან.

საზოგადოების ნორმატივულ რეალობაში შესაჭრელად ყოველი ენა გვთავაზობს *პირის ნაცვალსახელთა სისტემასა* და ილოკაციონურ აქტთა სისტემას, რომელთა დახმარებით ინტერპერსონალურ მიმართებათა წარმოება ხელგვეწიფება. მეორე მხრივ, საქმე ეხება ერთადერთი ელემენტარული სტრუქტურის სხვადასხვაგვარ რეალიზაციებს ყოველ კერძო ენაში, რომელიც საშუალებას გვაძლევს, კომუნიკაციური გამოც-

---

* ენობრივ ნიშნებსა და მათ რეფერენტებს გინა ცნებითს შინაარსებს შორის მიმართებათა სისტემა – მთარგმ. შენიშვნა

დილებები მოვახდინოთ (და მერე ისინი გავასაგნოთ) პერფორმაციულ პოზიციაში. სულერთია, რომელი პერფორმაციული ზმნები და ფუნქციურად ეკვივალენტური ფორმები არიან გათვითმყოფებულნი კერძო ენაში, ყოველ ცალკე შემთხვევაში ენის კოგნიტივური, ინტერაქციული და ექსპრესიული გამოყენების ათვისების თვალსაზრისით მეტყველება-მოქმედებათა სხვადასხვა ტიპები ყალიბდებიან.

სუბიექტურობის თვითგამოსახვისთვის ყოველი კერძო ენა გვთავაზობს *ინტენციურ გამოსახულებათა სისტემას,* რომელიც მიუხედავად თითოეულ ენაში გამომსახველობათა ვარიაციების ფართო გასაქანისა, გადმოგვცემს მე– გამიჯვნათა სისტემას.

ვიწრო აზრით გაგებულ უნივერსალიებს ისეთი ნიშან-თვისებებიც მიეთვლება, რომლებიც გამომდინარეობენ მნიშვნელობის ფუნქციიდან, ნიშანთა სინტაქსური ორგანიზაციიდან და ფონეტიკური წესების სისტემიდან. ფონეტიკის თეორია ისე ფართოდ არის დამუშავებული, რომ არსებითად შეუძლია წესების მოცემა, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ბგერითი ელემენტების უმცირესი რაოდენობის კომბინაციების ნებისმიერი ენობრივი ბგერითი გამოსახულების წარმოება. გრამატიკის თეორია განმარტავს გრამატიკული წესის წარმოქმნის ბუნებასა და ტრანფორმაციის გრამატიკის საყოველთაო სტრუქტურას. მაგრამ ჯერ ისევ ბუნდოვანია უნივერსალური გრამატიკის წარმატების პერსპექტივები, რომლიდანაც გამოვლენ ცალკეულ ენათა გრამატიკები. ენისთვის კონსტიტუციურია ენობრივი ნიშნების მნიშვნელობის ფუნქცია. მათ შეუძლიათ ისეთი მნიშვნელობების განსხეულება, რომლებსაც კონვენციური მიმართება აქვთ თავიანთს ნიშნის სუბსტრატებთან და იდენტურნი არიან მრავალი მოლაპარაკისთვის. *მნიშვნელობის ფუნქცია* უზრუნველყოფს გამოთქმათა გასაგებობას და შესაძლებელყოფს *ინტერსუბიექტური სამყაროს* ენობრივ აგებას.

გ) დაბოლოს შესაძლებელია, რომ ჩვენი კონცეპტი ენის განვითარების თვალსაზრისითაც შემოწმდეს. მეტყველებასა და ქმედებას შორის როგორც დიფერენციაციის, ისე მეტყველებისა და შემეცნების ინტეგრაციის ხარისხთა მიხედვით ერთმანეთისგან განირჩევა ენის განვითარების სამი დასახვეწი საფეხური. პირველ საფეხურზე ბავშვი ფლობს *სიმბოლურად გაშუალებულ ინტერაქციებს* (და ინტერაქციებთან სისტმატურად დაუკავშირებელ, ენის პროპოზიციური გამოყენების წინარეფორმებს; რასაც მოგვიანებით მივუბრუნდები). *პროპოზიციურად გათავისთავადებული მეტყველების* მეორე საფეხურზე მოზარდს მეტყველების აქტთა ჩამოყალიბებული სისტემის საფუძველზე ხელეწიფება არა მხოლოდ გლობალურად იმოქმედოს კომუნიკაციურად, არამედ ერთმანეთისგან გაარჩიოს ენის ინტერაქციული, კოგნიციური და ექსპრესიული გამოყენება. *არგუმენტაციული მეტყველების* მესამე საფეხურზე ყმაწვილი იძენს კომუნიკაციური ქმედებიდან *დისკურსზე* გადასვლის უნარს.

სიმბოლურად გაშუალებული ინტერაქციების საფეხურზე მეტყველება და ქმედება არ არის ერთმანეთისაგან ნათლად გამიჯნული: გამოთქმის სემანტიკური შინაარსი უშუალოდ აკრავს მოქმედებას. დამკვირვებლის ობიექტივირებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის ინტერაქციის თანამონაწილის პერფორმაციულ პოზიციას იმზომად მოწყვეტილი, რომ მას შეეძლოს თვითონ კომუნიკაციისთვის სისტემატური მნიშვნელობის მოპოვება. კომუნიკაციის ეს საფეხური ფორმალურად შეგვიძლია მიდის მიერ შემოტანილი (და ურთიერთდეფინირებული) საფუძველცნებების – „რეფლექსური ქცევის მოლოდინი" და „იდენტური მნიშვნელობის" დახმარებით დავახასიათოთ.

პროპოზიციონალურად გათვითმყოფებული მეტყველების საფეხურზე ყალიბდება მეტყველების ორკეცი სტრუქტურა. მოლაპარაკესა და მსმენელს შორის გაბმულ ინტერპერსონულ ურთიერთობასა და იმ პროპოზიციურ შინაარსს შორის განსხვავება, რომლის თაობაზეც ისინი ერთმანეთს უთანხმდებიან, იმას ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, იბმება სისტემატური კავშირი კომუნიკაციურ ქმედებასა და კოგნიციას შორის, და მეორე მხრივ, – იმას, რომ ენა როგორც თავისებური მედიუმები თავის თავს ითვითმყოფადებს ღირებულებისა და ნორმების საზოგადოებრივი რეალობის პირისპირ. გამოთქმის შინაარსთა მეტყველების აქტებში ინვარიანტობას შედეგად მოსდევს:

– ენის კოგნიციური, გამოთქმის შინაარსზე კონცენტრირებული გამოყენების გათვითმყოფადება;

– გამოცდილების, მთლიანად კოგნიციის ენობრივი ორგანიზაცია, რომელიც შესაძლებელყოფს, რომ სიტუაციაზე მიუყენებელი ენის გამოყენებით განვახორციელოთ რეფერენსისტემის სიტუაციაზე მიბმული გამოთქმები.

მეტყველება-მოქმედებათა გამოხსნა ინტერაქციების იმპერატიული ქსელიდან გამოიხატება მეტყველებასა და ნორმატიულ ფონს შორის განსხვავებაში. ამის შედეგია:

– მეტყველება-მოქმედებათა ტიპების მოდალური გათვითმყოფადება;

– გამოთქმის გაგებასა და მოლაპარაკის მიერ წამოყენებული მნიშვნელობების პრეტენზიის მიღებას შორის განსხვავება;

– შემეცნების ენობრივი ინტეგრაციისა და მოქმედების კონტესტთა პირისპირ ენობრივი მედიუმის გათვითმყოფადებიდან გამომდინარეობს:

– თავის მხრივ, პერფორმაციულად შესრულებული მეტყველება-მოქმედების გასაგნების შესაძლებლობა;

– ორ რეფერენსისტემის გათვითმყოფადება, რომლებიც შეკუმშული სახით შეიცავენ ინსტრუმენტულ ქმედებაში ხელმისაწვდომი, ობიექტივირებული სინამდვილისა და კომუნიკაციურ ქმედებაში გაგებადი არაობიექტივირებული საზოგადოების, ასე ვთქვათ, წინარემეცნიერულ ონტოლოგიებს; – სახელდობრ ისე, რომ მოლაპარაკე დისტანციას იჭერს როგორც გარეგანი ბუნების, ისე შინაგანი ბუნების იმ ნორმატიული რეალობის მიმართ დისტანცირებებისადმი, რომელიც მეტყველების ინტენციებით გამოიხატება.

არგუმენტაციული მეტყველების ანუ დისკურსის საფეხურზე მეტყველებისა და კოგნიციის ინტეგრაციისა და ინტერაქციიდან მეტყველების გათიშვის ორივე ეს პროცესი ერთიანდება. სხვა ადგილას მე დისკურსი შემოვიტანე როგორც მოქმედებისგან განტვირთული და გამოცდილებისგან თავისუფალი კომუნიკაციის ფორმა, რომელიც ვირტუალიზებული მნიშვნელოვნების პრეტენზიების თემატიზებისა და დასაბუთების საშუალებას იძლევა (ამასთან ჭეშმარიტება სისწორე/თანაშეზომილება ითვლებიან მნიშვნელოვნების პრეტენზიებად, რომელთა შესრულება დისკურსულად შეიძლება, მაშინ როცა სიწრფელე სიმტკიცეზე შემოწმებას მხოლოდ ინტერაქციათა მსვლელობაში გადის).

მეტყველება-მოქმედებათა ჩამოყალიბებულ სისტემაზე გადასვლასთან ერთად შესაძლებელი ხდება გამოხატვის მიმართებითი ასპექტიდან პროპოზიციური შინაარსის გამოყოფა და ენის კოგნიციურ გამოყენებაში მისი როგორც გამოთქმის თემად ქცევა; მაგრამ ამ საფეხურზე გამოთქმის შინაარსი კომუნიკაციურ ქმედებაში ჯერ ისევ იმზომად არის ჩაჭედილი, რომ შესაძლებელია მისი გულისთვის წამოყენებული მნიშვნელოვნების პრეტენზიის გულუბრყვილოდ მიღება ან უკუგდება, მაგრამ შეუძლებელია მისი როგორც ასეთის დამუშავება ჰიპოთეტურ განწყობაში. მტკიცების მნიშვნელოვნების პრეტენზია გინა მოთხოვნის სისწორის პრეტენზია (ანდა შეფასების თანაშეზომილობის პრეტენზია) მხოლოდ დისკურსზე გადასვლით შეიძლება გამოეყოს პროპოზიციურ შინაარსს, ექსპლიციტურ პრობლემათა და თემად იქცეს. დისკურსში მტკიცების გამოთქმის შინაარსი განიძარცვება ასერტორიული უნარიდან და იგი განიხილება იმ საქმის ვითარებად, რომელიც შეიძლება შეიმთხვევა და შეიძლება არც შეიმთხვევა (იგივე ითქმის მოთხოვნის ანდა შეფასების შინაარსზე, რომელთა მნიშვნელობას ჰიპოთეტურად ვამყოფებთ). მეორე საფეხურზე პროპოზიციური შინაარსის გათვითმყოფადება ემთხვევა მესამე საფეხურზე დისკურსულად შესრულებადი მნიშვნელოვნების პრეტენზიის გათავისთავადებას.

ენისა და კოგნიციის საფეხურებრივი ინტეგრაცია მეტყველებისა და ინტერაქციის განზომილების შემავსებელ განვითარებად ივარაუდება. მეტყველება-მოქმედებათა ჩამოყალიბებულ სისტემაზე გადასვლით ცალკეული გამოთქმა იმზომად წყდება, ერთი მხრივ, დაწესებულებათა, ცხოვრების ფორმათა და კულტურულ ღირებულებათა ნორმატიულ ფონს, ხოლო მეორე მხრივ — მოლაპარაკის ინტენციებს, რომ შესაძლებელი ხდება ინტერპერსონალური ურთიერთობისა და გამოხატვის ექსპრესიული შინაარსის გამორჩევა; ისინი აღარ არიან გამოთქმის პროპოზიციურ შინაარსთან მნიშვნელობის შენადნობად შეთქვეფილნი, ისე როგორც ეს არის სიგნალური ენის შეძახილში: „ცეცხლი". მაგრამ ენის კოგნიციური, ინტერაქციური და ექსპრესიული გამოყენებების გათვითმყოფადება არ ნიშნავს მოლაპარაკის ჩამოცილებას კომუნიკაცი-

ური ქმედების კონტექსტებიდან; ვიდრე მათი მნიშვნელობა გულუბრყვილოდ ივარაუდება, მტკიცებებიც კი ინტერაქციის უშუალო შემადგენელ ნაწილად რჩებიან. მოქმედებისა და გამოცდილებების კონტექსტის კომუნიკაციისაგან განაპირება პირველად მხოლოდ დისკურსზე გადასვლით ხდება. არგუმენტაციული მეტყველება შეიძლება განხილული იქნეს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების განგრძობად.

3. კომუნიკაციის განვითარების სამი უხეშად ესკიზირებული საფეხური გვიჩვენებს, რომ მოზარდი, მეტყველება-ქმედებათა სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, სწავლობს თავისი განცდების სუბიექტურობის გამიჯვნას გასაგნობრივებული სინამდვილის ობიექტურობისგან, საზოგადოების ნორმატიულობისა და ენის ინტერსუბიექტურობისაგან. ყოფნის მოდალობათა დაუფლების შესწავლა ე.ი. ყოფნისა და მოჩვენების, ყოფნისა და ჯერარსის, არსებისა და მოვლენის, ნიშნისა და მნიშვნელობის ერთმანეთისგან გამიჯვნა კი მხოლოდ ახალგაზრდას ძალუძს, რომელსაც უნარი შესწევს დროებით გავიდეს კომუნიკაციური ქმედების კონტექსტებიდან.

აქამდე ჩვენ მე–გამიჯვნების სისტემას ესაზღვრავთ რეგიონთა (გარე ბუნება, საზოგადოება, შინაგანი ბუნება, ენა) მეშვეობით, რომლებიც გარკვეულგვარად გაგებულნი ანდა „მოცემულნი" არიან (ობიექტურობა, ნორმატიულობა, სუბიექტურობა, ინტერსუბიექტურობა); ამასთანავე ენის შესაბამისი გამოყენება თემატურად წამოჭრის ხოლმე განსაზღვრულ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს (ჭეშმარიტება, სისწორე) თანაშეზომილობა, სიწრფელე, გასაგებობა). როგორც კი შესაძლო ხდება მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ჰიპოთეტური წვდომა და უარყოფა, იმ მომენტიდან უკვე აღარ ხდება ცალკეული რეგიონის ულაპარაკო გაგება და ათვისება თავიანთი ობიექტურობით, ნორმატიულობით, სუბიექტურობითა თუ ინტერსუბიექტურობით, არამედ ხორციელდება მათი მოდალიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონები გაიგებიან გინა გამოიხატებიან იმის ნეგაციის შესაძლებლობის თვალსაზრისით, რასაც ისინი წარმოადგენენ. ობიექტივირებულ სინამდვილეს „ყოფნას" იმ შესაძლებლობის გათვალისწინებით მივაწერთ, რომ ჩვენი გამოცდილების „მოჩვენება" (გინა შესაბამისი მტკიცებების არაჭეშმარიტობა) საბუთდება. „ყოფნასა" და „მოჩვენებას" შორის ამ განსხვავებას, ერთი მხრივ, შეესატყვისება „ყოფნასა" და „მოვლენას" შორის განსხვავება. მოთხოვნას მე ვღებულობ როგორც ისეთ რაღაცას, რისი გაკეთებაც „ჯერარს" იმ შესაძლებლობის გაცნობიერებით, რომ ნორმის საფუძვლადმდებარე ჯერარსული მნიშვნელობა სურვილის ფანტაზიებს ანდა უბრალოდ ფაქტიურ აღიარებას, მაგრამ ორივე შემთხვევაში „ყოფნას" ემყარება. (ისე, რომ დისკურსში უნდა გამომჟღავნებულიყო შესატყვისი რეკომენდაციის უსწორობა). დაბოლოს, ჩვენ მხოლოდ შესაძლო არაგულწრფელობის ფონზე ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ მოლაპარაკე თავის გა-

მოხატულებებში „არსებითად ავლენს“ თავის ინტენციებს და მათში არ მალავს თავის არსებას, (ისე, რომ თუ ჩვენ მასთან ინტერაქციებს კარგა ხნით განვაგრძობდით, გამომჟღავნდებოდა არაგულწრფელობის უმდგრადობა). ობიექტური სინამდვილის „ყოფნის“, ნორმატიულად მნიშვნელადი რეალობის „ჯერარსის“, სუბიექტური განცდების „არსობრივი გამოვლენის“ აფირმაციული მოდუსები განისაზღვრებიან როგორც შესაძლო ცდომილებათა ნეგაცია; ისინი არ წარმოადგენენ ცარიელა მოჩვენებას, მოჩვენებითს ღირებულებას და არც მაცდუნებელ მოვლენას. მეორე მხრივ, ასეთი ცდომილებები ჩნდებიან ყოფნისა და მოჩვენების აღრევის შედეგად (როგორც ხდება ჰალუცინაციებსა და სიზმრებში; – ყოფნისა და ჯერარსის შერევით, როცა სურვილის ფანტაზიები ამახინჯებენ საზოგადოებრივ რეალობას ანდა როცა არსებული წესრიგის ლეგიტიმურობა მხოლოდღა ფასადია); დაბოლოს – არსებისა და მოვლენის ურთიერთშერევით (როგორც ხდება თავის მოტყუებებსა და თვალაბმულობის დროს). ამგვარადვე შეგვიძლია არატრივიალური გაუგებრობანი ყოფნის მოდუსთა აღრევაზე დავიყვანოთ. „ნიშანსა“ და „მნიშვნელობას“ შორის განსხვავების გატარების უნარი, იმ თვალსაზრისით, რომ შეიძლება სემანტიკური შინაარსის მოწყვეტა მისი განსაზღვრული მატერიალური ხორცშესხმისაგან, საშუალებას გვაძლევს, გამოთქმის საზრისი იმის გაცნობიერებით გავიგოთ, რომ შესაძლებელი იქნებოდა იგივე საზრისი სხვანაირად (სხვა მედიუმში, სხვა ენაზე, სხვაგავარი ფორმულირებით) ან უფრო ზუსტად (უფრო საფუძვლიანი ფორმულირებით) ანდა უფრო წარმატებულად (უფრო შესაფერისი ფორმულირებით) გამოხატულიყო. გამოთქმებს, რომლებშიც მოლაპარაკე ტყუვდება გამოყენებული სიმბოლოების საჯარო ხასიათის თაობაზე, გაუგებრობამდე მივყავართ, რადგან სემანტიკური შინაარსი ჰკარგავს მოქნილობას კერძო ენაში ანდა რადგან ნიშანი და სიმბოლო აქ არ არიან ერთმანეთთან კონვენციურ მიმართებაში, არამედ სინდრომად ურთიერთშერწყმულან.

რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვაოთ ყოფნა და მოჩვენება, ყოფნა და ჯერარსი, არსება და მოვლენა, ნიშანი და მნიშვნელობა; — თავიდან ავიშოროთ ანდა შევამჩნიოთ და აღმოვფხვრათ ცარიელა მოჩვენების, მოჩვენებითი მნიშვნელობის, მაცდუნებელი მოლანდება და გაუგებრობანი, ამდენად შეძლება გვაქვს, განზრახ გამოვიწვიოთ მოდალური შერევები. ფიქტიურ წარმოდგენებსა და იმიტაციურ თამაშებში წინასწარ ვგულისხმობთ, რომ წარმოსახული სინამდვილე მოჩვენებად იქნება იდენტიფიცირებული; ამავე დროს, ყოფნისა და მოჩვენების არევ-დარევასაც განზრახ ვიყენებთ, რადგან ლიტერატურის, დიდაქტიკური სიმბოლოს, თეატრალური სპექტაკლის, ლეგენდის და ა.შ. წარმოსახული სინამდვილე ემსახურება გამოცდილების არაპირდაპირ შეტყობინებას, რომელსაც ხამს, სერიოზულად მოვეკიდოთ. ყოველდღი-

ურ გამოცდილებათა ტიპიზაციისას, მოქმედებებისა და სიტუაციების იდეალიზებებისას წინასწარ ვგულისხმობთ, რომ წინასწარ განჭვრეტილი ტიპიზაციების სუბიექტური და გარკვეულწილად მოჩვენებითი ბუნება გამჭვირვალე გახდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ განზრახ ვიყენებთ ყოფნისა და ჯერარსის კონფუზიას, რადგან სინამდვილის ტიპიზაციები, რომლებსაც მივმართავთ ხოლმე ფიზიკალური გაზომვებისას, არგუმენტაციულ მეტყველებაში ჩაბმისას და ა.შ. სერიოზულ კოგნიციურ მიზანს ემსახურებიან. სიმბოლურ ანდა ალეგორიული გამოსახულებისას, ენის ირონიული ანდა მეტაფორული გამოყენებისას წინასწარ ვგულისხმობთ, რომ ჰიპოზსტაზირებული მოვლენა, რომელიც სუბსტანციონალური შინაარსის მხოლოდღა სიმულირებაა, თვალთმაქცობად იქნება ინდენტიფიცირებული; მაგრამ ამავე დროს არსებისა და მოვლენის ამ კონფუზიასაც განზრახ ვიყენებთ, რადგან სწორედ მოჩვენებითი არსების ირეალობა იძლევა უკუმგდებელ მინიშნებას იმაზე, რომ ირონიული საქცევის ანდა მეტაფორის ზედმიწევნითი მნიშვნელობა არ უნდა გავიგოთ სიტყვა-სიტყვით ისე, რომ თითქოსდა ალეგორიული სურათი უშუალოდ წვდებოდეს იმას, რისი განჭვრეტაც უნდა მოხდეს. ანალოგიურად შეიძლება დახასიათდეს ნიშნისა და მნიშვნელობის კონფუზია, რომელიც – თუკი წინასწარგანუზრახველია – გამოხატავს კონკრეტისტულ აზროვნებას და იმ ინტენციური მიზნის ფორმალიზაციის ანუ ალგორითმის შემოტანის გულისთვის ხორციელდება, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მხედველობაში არ მივიღოთ ოპერაციათა შესაბამისი შინაარსი; ამრიგად, მნიშვნელობა ნიშნის გამოყენების ფორმალური შესაძლებლობებით იზღუდება და კალკულაციის ჩარჩოებში ექცევა.

წინასწარგანზრახულ მოდალურ შერევებს ერთი რამ აქვთ საერთო: ისინი სუბიექტივისტურ ხასიათს აცლიან ცდომილების იმ ფენომენებს, რომლებიც თავდაპირველად წარმოგვიდგნენ სუბიექტურობის არადამაკმაყოფილებელ გამიჯვნებს ობიექტურობის, ნორმატიულობისა და ინტერსუბიექტურობის სფეროებიდან და მათ ურთიერთგაგებისა და შემეცნების ხელოვნურ საშუალებად იყენებენ. რადგან ცდომილების ფენომენთა ამ ინტენდირებულ გამოყენებას წინ უსწრებს ცდომილების მექანიზმის დაუფლება, ამიტომ პირიქით, უფლება გვაქვს თამაშის, იდეალური კონსტრუქციის, ხატოვანი გამოსახულების, ირონიის, მინიშნების, ფორმალიზმის და ა.შ. გამოყვანილ მოდალობათა გაგება, მე – გამიჯვნათა სტაბილურობის შემოწმებად მივიჩნიოთ. შემოწმების განსაკუთრებით კარგი შემთხვევაა ხუმრობა, რადგან მისი კომიკური ეფექტი იმ შეებიდან მომდინარეობს, რომ მოდალური აღრევების ცდუნებას არ ავყოლილვარ.

ინტერმოდალურ შერევებს, რომლებზეც აქამდე იყო ლაპარაკი, უკვე აქვთ დაწანამძღვრებული ყოფნის რეგიონულ მოდალობებს შორის

განსხვავება. მაგრამ მითიური მსოფლხატები და რიტუალური მოქმედებები გამოხატავენ ცნობიერების მდგომარეობას, რომლისთვისაც გარებუნების, საზოგადოების, შინაბუნებისა და ენის რეგიონები ჯერ ისევ ტოტალობას წარმოადგენენ. მსოფლხატთა სტრუქტურებს განსაზღვრავს *ინტერმოდალური* არეკვლა ობიექტური ბუნების ყოფნისა ნორმატიული სტრუქტურების ჯერარსში, სუბიექტური განცდების გამოვლინებებსა და სიმბოლური მნიშვნელობების ხორცშესხმაში. მითიურ მსოფლხატებთან დაკავშირებულ პრაქტიკებს პირველად მხოლოდ ნიშნის, მნიშვნელობისა და ნიშნეულის შენადნობი შესაძლებელყოფს. ფილოსოფიური აზროვნება ემყარება მითოსში შექმნილ ინტერმოდალურ ნაერთებს, რაკი აქ ყოველთვის ხდება ცალკეულ რეგიონთა განმარტება სხვა რეგიონის ყოფნის მოდალობის დახმარებით. აზროვნების ონტოლოგიურ ტრადიციაში ასე ხდება ბუნების ყოფნის განმარტება არსებისა და მოვლენის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით; აზროვნების ნორმალისტურ ტრადიციაში კი პირიქით, ასე ხდება ყოფნისა და მოჩვენების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით როგორც ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტის მოვლენილი არსების, ისე ნორმების ჯერარსული მნიშვნელობის ინტერპრეტირება. ენის ფილოსოფიები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ როგორ ესმით მათ მნიშვნელობის ფუნქციები; როგორ ესმით ნიშან-მნიშვნელობის რელაცია, ყოფნისა და მოჩვენების, მოვლენისა და არსების, ყოფნისა და ჯერარსის ურთიერთმიმართებათა თვალსაზრისით.

III განვითარების თეორიათა სტრუქტურისათვის (დამუშავების პროცესში მყოფი)

ამ თავში შემდეგ პუნქტებს განვიხილავთ:

1) განვითარების კოგნიტივისტური ფსიქოლოგიის, ანალიტიკური მე – ფსიქოლოგიისა და სიმბოლური ინტერაქციონიზმის (პიაჟე, ფროიდი, მიდი) *საერთო* ძირეული ჰიპოთეზები;

2) განვითარების ლოგიკის კონცეპტი: ფუნქციური შინაარსობრივი აპრიორის საპირისპიროდ; სტრუქტურათა იერარქია; ემპირული ინდიკატორები (შექცევადობა, რეგრესია, კრიზისი და ა.შ.).

3) კაუზალური მექანიზმებისა და რეკონსტრუირებული კომპეტენციების (კაუზალობა იმპლიკაციის საპირისპიროდ) ურთიერთმომართება; სწავლების მექანიზმები, წონასწორობის ტენდენცია; უნივერსალური მოქმედების პრობლემები (კერძოდ, ტექნიკური და მორალური) როგორც ოპერაციათა

მიმართების პუნქტები; 4) ლოგიკისა და მორალის ურთიერთმიმართება: პიაჟე ოვერმანის წინააღმდეგ; 5) სწავლების სპეციალური მექანიზმები: აკომოდაცია/ასიმილაცია იდენტიფიკაცია/პროექციის წინააღმდეგ; თავდაცვის მექანიზმები დამორჩილების მექანიზმთა წინააღმდეგ; სწავლების მექანიზმთა დიფერენცირება განვითარების საფეხურთა მიხედვით.

IV. კოგნიციური და ინტერაქციური განვითარების მიმოხილვა

პიაჟე უშვებს, რომ მე-ს თვითგამიჯვნათა სისტემა, ბავშვის თავისსაკუთარ ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან სიმბოლური ერთიანობიდან გამომდინარე სამ საფეხურად ხორციელდება, რომლებსაც ახასიათებს სამყაროს წვდომის საყოველთაო სტრუქტურები: მჭვრეტელობითი აზროვნებისა და მორალური რეალიზმის ეგოცენტრული სამყარო; კონკრეტულად ოპერაციონული აზროვნებისა და კონვენციური მორალის ობიექტივისტური და ამავე დროს სოციოცენტრისტული სამყარო; ფორმალურ-ოპერაციონალური აზროვნებისა და პოსტკონვენციური მორალის უნივერსალისტური თვალსაზრისებით კონსტრუირებული სამყარო. მე-ს გამიჯვნა ობიექტივირებული ბუნებისა და საზოგადოების ნორმატიული რეალობისაგან მიიღწევა ეგოცენტრიზმის დაძლევით. ამავე საფეხურზე გარეგანი ბუნებისა და საზოგადოებისგან გამოიყოფა ენა როგორც განსაკუთრებული რეალობა (ხდება სიმბოლური ნიშნების გამორჩევა მნიშვნელობებისა და მათი რეფერენტებისაგან). მე-ს რეფლექსირებული გამიჯვნა საკუთარ სუბიექტურობასთან მიმართებაში, მიიღწევა ობიექტივისტური გინა სოციოცენტრისტული განწყობის დაძლევით. ჰიპოთეტური აზროვნებისა და პრინციპებით წარმართული ინტერაქციების ამ საფეხურზე შეიძლება ენის გამოყენება ირეალურის სისტემატური გამოხატვისთვის. მე-ს თვითგამიჯვნათა სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს ავტონომიისკენ წინსვლას, ამასთან გვიჩნდება სურვილი წინასწარ განვასხვაოთ ერთმანეთისგან ძალაუფლება და თავისუფლება, გარეგანი ბუნების კონტროლი და შინაგანი ბუნების ძალდატანებათაგან ემანსიპაცია.

ა) კოგნიციური განვითარების საფეხურები ზოგადად შეიძლება იმით დავახასიათოთ, რომ განვითარების პირველი, სენსომოტორული ფაზის პრიმიტიული მოქმედებები და მოქმედების ფაზები შინაგან და გარეგან კოორდინაციებად იყოფიან და – რომ შინაგანი კოორდინირებულობის განვითარების ხაზი გარედან შიგნით გადატანასა და ამრიგად, ხელმეორე ინტერიორიზებას მიუყვება.

მოქმედების კოორდინირებულობის პროგრესული ინტერიორიზება შეიძლება გავიგოთ როგორც სულ უფრო მეტად ობიექტივირებულ სინამდვილესთან მანიპულირებული ურთიერთობის რეფლექსურად ქცევა: ოპერაციები შესაძლებელყოფენ კოორდინირებულ მოქმედებათა განხილვას, ხოლო ოპერაციათა განხილვა შესაძლებელყოფს ფორმალურ ოპერაციებს. გარეგან მოქმედებათა და კოორდინირებულობათა საფეხურები მანიპულაციის მოქმედი სუბიექტების მოქმედებებსა და პროგრესულად ობიექტივირებულ სინამდვილეს შორის განსხვავების საშუალებას იძლევიან: თავდაპირველად კონკრეტული მოქმედება არის ყოვლისმომცველი, მერე ბავშვს მის მოქმედებაში დიფერენციაცია შეაქვს და განისხვავებს თავის თავს როგორც მოქმედი სუბიექტი ნამოქმედარი ობიექტიდან; კონკრეტულ მოქმედებებსა და ოპერაციებს შორის შემდგომი განსხვავებით ხდება სინამდვილის ჩასმა გაზომვის ოპერაციათა ობიექტური მიმართებების სისტემაში; თეორიების, გაზომილი მონაცემებისა და სინამდვილის განსხვავებით კი ბოლოს და ბოლოს ობიექტივირებული სინამდვილე კიდევ ერთ განზომილებას იძენს; კერძოდ, მას ემატება კანონზომიერებათა სიღრმისეული სტრუქტურა (შემეცნებადი, მაგრამ არა აღქმადი).

მოქმედების კოორდინაციათა ინტერიორიზაცია აზროვნებას სულ უფრო და უფრო ათავისუფლებს რეალური პროცესების *დროითი* შეზღუდულობებისგან. სქემატიზირებული მოქმედებები უკვე იძლევიან იმის უფლებას, რომ მსგავსის რეკოგნაციის გზით მოხდეს მოქმედებაზემიბმული გამოცდილების სტრუქტურირება. მაგრამ დისტანცირების საშუალებას იძლევა მხოლოდ მჭვრეტელობითი აზროვნება, რომელიც მოქმედების მიმდინარეობის მეხსიერებითს ანდა ანტიციპაციურ წარმოდგენას ეწევა. ე.ი. მას შეუძლია დროში დისკრეტული ნივთები და ხდომილებები uno acto *გადაანაწილოს* როგორც კი მოქმედებათა ჯაჭვის ანდა ხდომილებათა თანმიმდევრობის წარმომდგენელი მოხილვის ოპერაცია შექცევადი ხდება, მაშინვე შესაძლებელია *ერთდროულობისა* და დროის ობიექტური მწკრივის ცნების კონსტრუირება. კონკრეტულად ოპერატიული აზროვნება არა მარტო დროში დისკრეტულ პროცესთა წარმოდგენის ერთდროულ ხატებს ფლობს, არამედ მას შეუძლია წინასწარ გამოიცნოს საპირისპირო მოძრაობათა უკუზემოქმედებანი და ისინი, სისტემურად დააკავშიროს ერთმანეთთან. ფორმალურ ოპერაციონალური აზროვნების საფეხურზე, ბოლოს და ბოლოს, ხდება სინამდვილის მოდალიზება შესაძლო საქმის ვითარებათა გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა შეიმთხვევნ ან – არც შეიმთხვევნ და აგრეთვე მისი განმარტება ზედროულად მნიშვნელადი ნომოლოგიურ კავშირ-მიმართებათა მიხედვით.

სივრცული შეზღუდულობებიდან ანალოგიური გათავისუფლება მოჰყვება შინაგან და გარეგან კოორდინირებულობებს შორის განსხვავების საფეხურს. თავდაპირველად, მოქმედი ბავშვი განზავდება მოქმედების შესრულებაში; პირველად მხოლოდ ჭვრეტითი აზროვნება იძლევა საშუა-

ლებას მოხდეს სივრცული მიმართებების დაწყებითი რეპრეზენტაცია, რომელიც ჯერ ისევ საკუთარ ტანზე დამოკიდებული რჩება. ამის შემდეგ, გაზომვის ოპერაციებთან ერთად, იქმნება ობიექტური სივრცის (ევკლიდური გეომეტრიის) ცნება; რეალური პროცესების სივრცულობისგან მიუხედავად ამ მზარდი დისტანცირებისა მოქმედ სუბიექტს მხოლოდ და მხოლოდ იქამდე შეუძლია კონტროლირება, სანამდე მისი ჯერ ისევ ობექტებს აკრული ოპერაციები წვდებიან. პირველად მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეტური აზროვნების საფეხურზე შეიძლება იმ კანონების ფორმულირება, რომლებიც არიან მკაცრად უნივერსალურნი და ხამს, არა მარტო „ყოველთვის", არამედ „ყველგან" მნიშვნელოვნებდნენ. მართალია, ეს კანონები ევკლიდურ სივრცეში წინარემეცნიერულად ობიექტივირებული სინამდვილის განმარტებას ემსახურებიან; მაგრამ თვით კანონებსაც რაგინდ ცოტად იყვნენ ისინი ლოკალიზებულნი როგორც სივრცეში, ისე დროში, მაინც გარკვეულწილად უტოპიური ალაგი აქვთ მიჩენილი.

„ყველგან" და „ყოველთვის" მნიშვნელობის ცნება, რომელიც ტრანსცენდირებს დროსა და სივრცეს და (ბუნების მეცნიერულად დასაბუთებული) კაუზალობის (შესაძლო ინსტრუმენტულ ქმედებაზე ანალიტიკურად მიბმული) ცნებასთან ერთად კანონმდებლურად აკონსტიტუირებს, გამოხატავს მთელი ობიექტივირებადი სინამდვილის ფლობის იდეას. ძალაუფლების (შემეცნებით გაშუალებული) ეს იდეა თვითონ კოგნიტიური კომპეტენციის ლოგიკაშია მოსახული.

ბ) ინტერაქციული განვითარების საფეხური შესაძლოა, ზოგადად, იმით დახასიათდეს, რომ სიმბოლურად გაშუალებული ინტერაქციის შერჩევითი იდენტიფიკაციის გზით მოპოვებული ნიმუში კელავ იქნას დაყოფილი მოქმედების შინაგან და გარეგან კოორდინირებულობებად და რომ შინაგანი კოორდინირებულობის ხაზი გარედან შიგნით გადაადგილებას მისდევს. რა თქმა უნდა, ინტერაქციის ნიმუში სხვა რამეს ნიშნავს და არა – მოქმედების კოგნიტიურ სქემას. სოციალურ გარემოსთან ინტერაქციული ურთიერთობა ორ ისეთ პირობას ასრულებს, რომლებსაც ანგარიში არ ეწევა ფიზიკურ გარემოსთან მანიპულაციური ურთიერთობისას: ინტერაქციული ქმედება მოტივირებულია ე.ი. ორიენტირებულია სიმბოლურად განზოგადებელი მოლოდინის დაჯილდოებაზე (Cratification) გინა დაუჯილდოებლობის თავიდან აშორებაზე; ეს *დამოკიდებულია სხვის ინტენციებზე.* ამ პირობათა შესრულება შეუძლებელია განვითარების სენსომოტორული ფაზის დასრულებამდე; ეს იმიტომ რომ, პირველად ამ დროისთვის ხდება შესაძლებელი, სიმბოლურად დასაბუთებული წარმოდგენები მოქმედების ფაქტიურ შესრულებას დაეწინდაწინოს; მხოლოდ მაშინ სწავლობს ბავშვი, ფიზიკური საგნების შემტკიცებასთან ერთად, თავი სოციალური ობიექტებისგანაც განისხვაოს და საკუთარი ქმედებები მათგან გამოარჩიოს.

ამგვარად განსხვავდებან ერთმანეთისგან საფუძველცნებითი სისტემებიც. ობიექტივირებული სინამდვილე კონსტიტუირდება კლასიფიკაციათა და რელაციონირებით; – რიცხვის ცნების (რომელიც ორივე ამ ოპერაციას აკავშირებს) საშუალებით; სივრცისა და დროის სუბსტანციის, დაბოლოს – კაუზალობის კატეგორიებით. მართალია, ეს საფუძველცნებები – რომლებიც განვითარების წინარეოპერაციულ ფაზაზე გადასვლით in nuce ჩამოყალიბდნენ – სოციალურ გარემოსთან არამანიპულაციური ურთიერთობის სტრუქტურირებასაც ემსახურებიან; მაგრამ ამასთანავე ხდება მათი ინტეგრაცია იმ მოქმედების *კონცეპტთან,* რომელიც *ჩემ-სა* და *სხვას* შორის ინტერპერსონულ მიმართებას აწარმოებს. ამ კონცეპტში შედის იმ ინტენციის ცნება, რომელსაც მე გამოვხატავ და სხვას ესმის; ასევე – იმ ინტენციისა, რომელსაც სხვა გამოხატავს და მე ვგებულობ; *ინტენციების გამოხატვა,* ამავე დროს, ნიშნავს სხვის ქცევაზე *ზეგავლენას* და იმას, რომ ინტენციების გაგებაზე ზემოქმედებას იქონიებს სხვა. სიმბოლურად გაშუალებული ინტერაქციის პრიმიტიული მაგალითია ის, რომ მე-სა და სხვისი – მოტივით რეგულირებული, და ამრიგად, მასზე დამოკიდებული — მოთხოვნილებები, მოსალოდნელი მოქმედებების გათვალისწინებით, კომუნიკაციურ საშუალებებს შევუერთოთ.

მოქმედების ორივე ტიპის (რომლებიც კონკრეტულად ოპერაციონალური ფაზის დასასრულს გათვითმყოფებულნი არიან ინსტრუმენტულსა და კომუნიკაციურ ქმედებებად) შინაგანი და გარეგანი კოორდინირებულობებიც ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც – ინტერაქციის ნიმუში და მოქმედების სქემა. ინტერაქციის ნიმუშთა შინაგან კოორდინირებულობებს აქვთ ქცევის კონტროლთა ფორმა, რომლებიც პერსონულობის სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ; გარეგანი კოორდინირებულობანი ემსახურებიან მოქმედების ნორმებისა და ღირებულობების სიმბოლურად სტრუქტურირებული სამყაროს აგებას გინა – მის რეკონსტრუქციულ კვალადშესრულებას. შესაბამისად იცვლება ინტერიორიზების საზრისი. მართალია, მოქმედების კოორდინირებულობანი სიმბოლურ გენერალიზებათა გზით ორივეჯერ გარედან შიგნით მიმართულ გადაადგილების ორ ბიძგს განიცდის, მაგრამ ქცევის კონტროლთა სტრუქტურა, რომელსაც პრინციპები უდევს საფუძვლად, აზროვნების ფორმალური ოპერაციების გაშლისგან განსხვავებით ნიშნავს შინაგანი ბუნების მამოძრავებელი ბაზისის სიღრმისეულ სტრუქტურირებას (ისე რომ მე-ს სუბიექტურობის გამიჯვნა ობიექტივირებული სინამდვილიდან, რომელიც კოგნიტივურ სტილში გამოიხატება, დამოკიდებულია საზოგადოების ნორმატიული რეალობიდან აფექტურ გამიჯვნაზე; საზოგადოებისა და თავდაცვის მექანიზმები წარმოადგენენ ლტოლვათა კონტროლის ერთიდაიმავე სისტემის ნაწილებს) ამ სასინჯი განსაზღვრებებიდან ინტერაქციული განვითარებისათვის შემდეგი უხეში დანაწევრება გამომდინარეობს:

ცხრ. 10 ინტერაქციის უნართა განვითარება

განვითარების საფეხურები	კოორდინირებულობანი	
	შინაგანი	გარეგანი
0 პირველადი ნარცისული	თაეისთაეისა და სხეისი სიმბიოზური აღრეეა, მიტაცებისა და გაძეეების ორალური ფანტაზიები	
I წინარეოიდიპალური	ა) მიმართებების პერსონებთან შერჩეეითი იდენტიფიკაციები ბ) სადამსჯელო სანქციები გ) თაედაცეის პრიმიტიული მექანიზმები	ა) ინტერაქციის პრიმიტიული სიმეში ბ) სიმბოლურად გენერალიზებული კმაყოფილე-ბა/უკმაყოფილობა გ) მოქმედთა ბუნებრიეი იდენტობა
II კონვენციონელური	ა) ინტერნალიზებული მოქმედების ნორმები და როლებზე მიბმული მე– იდეალები ბ) სანქციები შერცხვენისა და ბრალის გზით გ) დაუფლებისა და თაედაცეის მექანიზმთა სისტემა (არაცნობიერის კონსტიტუირება)	ა) სისტემურად შეკაეში-რებული ქცეეის ორმხრიეი მოლოდინები ბ) კულტურულად ინტერ-პრეტირებული მოთხოვნილებანი გ) მოქმედთა როლების იდენტობა
III პოსტკონვენციური	ა) მოქმედების ინტერნალი-ზებული პრინციპები და ინდივიდუალიზირებული მე–იდეალები ბ) სანქცია ბრალისა და მოქმედების რეალურ შედეგთა ბრალად შერაცხვის გზით გ) ლტოლეებზე რაციონალური კონტროლის შესაძლებლობა	ა) მოქმედების პრინციპები ბ) მოტიეაციური თაეისმართლებანი გ) მოქმედთა მე–იდენტობა

მოქმედების გარეგანი კოორდინირებანი აქ გაგებულია როგორც ინტერაქციის პრიმიტიული ნიმუშის რეფლექსიის საგნად ქცევა: ქცევის მოლოდინების მოსალოდნელობას ქმნის სოციალური როლი გინა მოქმედების ნორმა, ხოლო პრინციპები მოქმედების ნორმათა ნორმობას ქმნიან. რეფლექსიის ყოველ საფეხურთან ერთად სიმბოლური რეალობის შემდგომი საფეხური წარმოიშობა. მაშინ, როცა წინარე კონვენციონელური განვითარების დასაწყისში მოქმედებები, მოტივები და მოქმედების სუბიექტები ჯერ ისევ რეალობის ერთადერთ სიბრტყეზე (მორალური რეალიზმის) აღიქმებოდა, კონვენციურ საფეხურზე, როგორც მოტივები ისე აქტორები და თვით ნორმებიც გადადიან სიბრტყეზე, რომელიც ასე ვთქვათ, კონკრეტული მოქმედებების მიღმა ძევს. პოსტკონვენციურ სიბრტყეზე, სუბიექტი მოტივებსა და მალეგიტიმირებელ პრინციპებთან ერთად კიდევ უფრო ჩაინაცვლებს ნორმებისა და საზოგადოდ, – მოქმედების არსებული სოციალური სისტემის იქით.

მეორე მხრივ, პროგრესირებადი ინტერიორიზება მოქმედების კოორდინირებულობათა სულ უფრო აბსტრაქტულსა და ზოგად სტრუქტურებს ქმნის. მიმართების პირველ პერსონასთან* შერჩევითს იდენტიფიკაციას უკვე მივყავართ რეალისტური და სურვილით განსაზღვრული თვითხატების** განსხვავებასა და ზე-მე-ცენზურისა და მე-იდეალის გათიშვამდე; მაგრამ ორივე მათგანი ინარჩუნებს იდენტიფიკაციის სუბიექტის ქცევისა და მოლოდინთა კონკრეტისტულ შტრიხებს. მშობელთა ფიგურების ინტერნალიზებით შინაგან სამყაროში მყარდება ქცევისკონტროლი, რომელიც აბსტრაჰირებულია მიმართების პერსონის კონკრეტული თვისებებიდან, განზოგადებულია და მდგრადი; იგი ამავედროს შესაძლებელყოფს სოციალური გარემოსგან უფრო მეტ დამოკიდებულობას. ქცევას აღარ აკონტროლებს დასჯის ანდა გაწყრომის წინაშე ძრწოლა, არამედ მას აკონტროლებს ძრწოლა იმის წინაშე, რომ ჩამოგვერთმევა სოციალური აღიარება ანდა გაგეტანჯავს სინდისის ქენჯნა; ე.ი. ქცევის კონტროლის ფუნქციას იძენს სირცხვილი და ბრალი. ამ საფეხურზე ერთმანეთისგან სხვავდება ზე–მე–ს საყოველთაო ცენზურები და როლთა განსაკუთრებული კონფიგურაციები, სულერთია, ვის ეკუთვნიან ისინი, მე–იდეალს თუ რეალისტურ თვითხატებს (სხვათა შორის, იგი შეესატყვისება განსხვავებას როლთა მატარებლად გაგებულ პერსონებსა და ინდივიდირებულ სუბიექტებს შორის). როგორც შერჩევითი იდენტიფიცირებების გაუფასურება ხდება ზე–მე–ინსტანციის მოწყობით ქცევის კონტროლად, მაგრამ ამავე დროს ისინი შენარჩუ-

---

* Bezugsperson – პერსონა, რომელზეც ორიენტირებულია აზროვნება და ქცევა, მასთან პიროვნული ურთიერთობის საფუძველზე – მთარგმ. შენიშვნა

** Imago –ქვეცნობიერში მოცემული სოციალური გარემოს სხვა პერსონის იდეალური ხატი; Selbstimago მრავ. imagines თვითხატი, თავისთავისხატი–მთარგმ. შენიშვნა

ნებულნი არიან პერსონალიზებულ მიმართებათა სახით, ასევე ზე–მე–ს სტრუქტურა აბსტრაქტულ, ქცევის პრინციპებით განსაზღვრულ გაკონტროლებაზე გადასვლით ჰკარგავს მმართველობას, მაგრამ იგი კვლავაც აყალიბებს ხასიათს. როლებისა და ნორმებთან იდენტიფიკაციას (როგორც ადრე მიმართების პერსონებთან იდენტიფიკაციას) ჩაენაცვლება მეს თვითიდენტიფიკაცია ერთადერთ ინსტანციად, რომელიც მიუხედავად ცხოვრების ისტორიისა და სოციალური ინტერესების წინააღმდეგობებისა, უზრუნველყოფს თავის იდენტიფიკაციას. მე–იდენტობას დაწანამძღვრებული აქვს ტრადიციით გადმოცემული ნორმებისა და ღირებულებების თვითმყოფადი მნიშვნელობისგან რადიკალური დისტანცირება; იგი ყალიბდება ტრადიციით გადმოცემული ნორმებისა და ღირებულებების მარეკონსტრუირებული ათვისების გზით, რომელიც უნივერსალისტური თვალსაზრისებით ხორციელდება სწორედ ზე–მე–ს ერთსა და იმავედროულად გაგამჭირვალებულსა და გააბსტრაქტურებულ ხასიათთან ერთად ჩნდება სრულად ინდივიდივირებული ცხოვრების ისტორიის პერსპექტივა, რომელშიც შეიძლება ერთმანეთს დაუახლოვდნენ თვითხატი და მე–იდეალი. ქცევის კონტროლი, რომელსაც პრინციპები მართავენ, იმდენად შეიძლება განხორციელდეს ცნობიერად, მოქმედების დისკურსულად გაშუალებული ორიენტაციის სახით, რამდენადაც გამოვა ის, რომ მოირყევა თავდაპირველად საზოგადოების ნორმატიულობის პირისპირ შინაგანი ბუნების სუბიექტურობის არაცნობიერი გამიჯვნის უზრუნველმყოფელი სისტემა და იგი ლტოლვათა რაციონალური კონტროლის ფორმებით შეიცვლება.

კომუნიკაციური ქმედების სფეროსათვის, მსგავსად მოქმედებაზე მიბმული კოგნიციისა, აღმოჩნდება, რომ მოქმედების კოორდინირებულობათა საფეხურები მოქმედ სუბიექტს *დროითი* და *სივრცული* შეზღუდულობებისგან ათავისუფლებს.

საზოგადოებრივი რეალობის სხვადასხვა სიბრტყეებს შორის პროგრესირებადი დიფერენცირება ნაბიჯ-ნაბიჯ აფართოებს *სოციალურ სფეროს*, რომლის დაუფლებასაც სწავლობს მოქმედი სუბიექტი. მოქმედებისა და აქტორების გამიჯვნა მიმართების პირველადი პერსონებისადმი კონკრეტულ მიმართებებს ხსნის. განსხვავებანი როგორც მოქმედებებსა და ნორმებს, ისე როლების მატარებლებსა და ინდივიდებს შორის აღებს მისასველს ოჯახის სოციალურ გარემოსთან, – დაწყებული პერებით ვიდრე პოლიტიკურ გაერთიანებამდე. დაბოლოს, ერთი მხრივ, მოქმედებებს, ნორმებსა და მალეგიტიმირებელ პრინციპებს, მეორე მხრივ კი, საზოგადოდ, შეურევად ინდივიდუალობასა და მე-ს გინა პერსონას შორის განსხვავება ყველა უბრალოდ შესისხლხორცებული ტრადიციის და ცხოვრების წესრიგის რელატივირების საშუალებას იძლევა ყველა სამართალმოზიარის ყველა მორალურად შერაცხადი კერძო პირის ანდა სავარაუდო მსოფლიო საზოგადოების ყველა მოქალაქის უნივერსალური ერთობის სასარგებლოდ.

მეორე მხრივ მოქმედების კოორდინირებულობათა ინტერიორიზება ნაბიჯ-ნაბიჯ აფართოებს ქცევის კონტროლის *დროითს განზომილებასაც.* თავდაპირველად, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ანუ საკუთარი თუ სხვისი სურვილების შესრულების პროცესიდან გამოიყოფა მოქმედი სუბიექტის დასაჩუქრების ბალანსზე წარმოდგენა. პირველად ქცევის მოლოდინთა ორმხრივი მოსალოდნელობა ქმნის *იმავდროული* მოვალეობების სისტემას, რაც საზიარო ანტიციპაციებზე ორიენტაციის საშუალებას იძლევა, რადგან მოვალეობებს მიდრეკილებებისგან მხოლოდ სოციალური ჯგუფის წევრები განასხვავებენ. დაბოლოს, მიღებული ნორმების რელატივირება, რომელიც პრინციპული თვალსაზრისით ხორციელდება, ტრანსცენდირებს საზიარო ანტიციპაციების იმავდროულობას; რამდენადაც ყველა მოქმედი სუბიექტი ერთმანეთისაგან განასხვავებს არა მარტო მოვალეობითსა და მიდრეკილებითს მოტივაციას, არამედ – ჰეტერონომულსა და ავტონომიურ ვალდებულებებს, იქმნება *ზედროითი* პერსპექტივა, რომლიდანაც თითოეულ ინდივიდს შეუძლია მეორის შესახებ იმის შეტყობინება, თუ როგორ ცდილობს იგი ისე გამოიაროს მიმართებათა ცვალებადი სისტემა და ტოტალობის არასაიმედო მონახაზები, რომ შეინარჩუნოს თავისი შეურეველი ბიოგრაფიის ერთიანობა.

სრულად ინდივიდივირებული მე-ს იდენტობა ამკვიდრებს დროისმძლეველ კონტინუიტეტს, მაშინ როცა პრაქტიკული პრინციპების (ანდა პრაქტიკულ პრინციპთა შეფასების პროცედურები) უზრუნველყოფენ ყველა ლოკალური შეთანხმების გადამლახავ მნიშვნელობის სფეროს. ორივე ცნება მოქმედების კონფლიქტთა არასტრატეგიული გადაწყვეტის იდეას გამოხატავს. იმ პროცესის მიმართულება, რომელიც იმით იწყება, რომ ბავშვი კეთილი და ბოროტი დედის ხატებს ხან კეთილი, ხან კი ბოროტი დედის ერთ ხატად შეადნობს, იმ მდგომარეობაზე მიუთითებს, რომელშიც მოქმედი სუბიექტის პროგრესირებად ინდივიდივირებას არათუ ეწინააღმდეგება კონფლიქტთა მოწესრიგების კონსესშემძლე თვალსაზრისების სტრუქტურული შესაძლებლობების წარმოშობა, არამედ ამგვარი ინდივიდივირება, სულ ცოტა იმდენად იზრდება, რამდენადაც მატულობს თვითონ კონფლიქტთა რიცხვი და მნიშვნელობა.

4. კოგნიციურ და ინეტრაქციურ კომპეტენციათა განვითარების ამ ძალზე დაუხვეწელმა მონახაზმმა ხამს, ნათელყოს შემდეგი დაშვებები:

– ორივე განვითარება შესაბამისად გაიგება როგორც მოქმედების საფუძველმდებარე ევოლუცია;

– ამასთან ხდება მოქმედების შინაგანი და გარეგანი კოორდინირებულობების გათვითმყოფადება;

– მოქმედების კოორდინირებულობათა საფეხურებრივი ინტერიორიზება აზროვნებას, შესაბამისად, ქმედებასაც ათავისუფლებს დროითი შეზღუდვებისაგან;

– მოქმედების გარეგანი კოორდინირებულობების განვითარება, როგორც გარეგან ბუნებაში, ისე საზოგადოებაში მიჯნავს რეალობის სხვადასხვა სიბრტყეებს და აზროვნებას გინა ქმედებას სივრცითი შეზღუდულობებისგან ათავისუფლებს;

– ორივე განვითარება ხორციელდება განვითარების სტრუქტურულად ანალოგიურ საფეხურებზე;

– მიუხედავად ფორმალური მსგავსებებისა, შესაბამისად განვითარებულ სტრუქტურათა ორივე განზომილება არ დაიყვანება კოგნიციური ძირეული სტრუქტურების ერთადერთ თეზისზე (ე.ი. ლოგიკასა და მორალს როგორც მანიპულაციურსა და ინტერაქციურ მოქმედების სქემას – რაშიც მათი განვითარება გაიშლება – სხვადასხვა ანთროპოლოგიური ფესვები აქვთ).

– ერთმანეთისგან სტრუქტურულად განსხვავებულ, მოქმედების ორივე სქემასა და მოქმედების ზოგად პრობლემათა ორივე კლასს შეესაბამება „ავტონომიის“ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა;

V. მორალური ცნობიერების საფეხურები

დამუშავების პროცესში მყოფი:

ამ თავში მინდა, დავამუშავო ის, თუ ინტერაქციის კომპეტენციის საფეხურებიდან როგორ გამომდინარეობენ მორალური ცნობიერების საფეხურები.

ამ ბოლო თავში მინდოდა, მეცადა ინტერაქციურ კომპეტენციათა მოკლებულობის თვალსაზრისით აღმეწერა ის დეფიციენცები, რომლებსაც სოციალიზაციის პროცესის დარღვევები იწვევენ. მე მინდა, სხვათა შორის, ოჯახის პათოლოგიურ სისტემათა შესახებ ჰიპოთეზები იმ თვალსაზრისით განვიხილო, რომ სოციალური და ინდივიდუალური პათოლოგიები ერთობლივად შეიძლება აიხსნან ინტერაქციის დარღვეულ კომპეტენციათა თეორიის ჩარჩოებში.

4. განაზრებანი კომუნიკაციის პათოლოგიაზე (1974)*

ამოვდივარ იმ ვარაუდიდან, რომ ინტერაქციური კომპეტენციის განვითარება წარმართავს ქცევის შინაგან კონტროლთა მოწყობას. მაგრამ როგორც მორალურ მსჯელობასა და კონფლიქტის გადაწყვეტის ფაქტიურ ვითარებებს შორის სისტემატური განსხვავებებიდან ჩანს, ეს ორი განვითარება ერთმანეთს არ ემთხვევა. ენობრივი კომუნიკაცია ორკეცი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი მოტივაციონური განვითარებისათვის. კომუნიკაციური ქმედება არის სოციალიზაციის ის მედიუმი, რომელშიც ხდება ოჯახური გარემოს გავლენათა დაწმენდა და პერსონულობის სისტემაზე მათი გადატანა. მეორე მხრივ, ენა გვთავაზობს ინტერპრეტაციის უნარმქონე მოთხოვნილებათა ორგანიზაციის ფორმას; მოთხოვნილების ბუნება მთლიანად კომუნიკაციურად სტრუქტურირდება. მორალური მსჯელობის საფეხურებსა და მორალური ქმედების ხარისხთა შორის სხვაობები შეიძლება, სოციალიზაციის პროცესის დარღვევებით აიხსნას. ამგვარი „დარღვევების" ანალიზი შესაძლებელი ხდება ორივე სიბრტყეზე: ენობრივი გარემოს სოციალიზაციისთვის წონადი პათოგენური ნიმუშისა და მოთხოვნილებების სტრუქტურათა და ქცევის კონტროლთა სიბრტყეებზე, რომლებიც გარკვეულ პირობებში სისტემურად გაუკუღმართებულ კომუნიკაციას აყალიბებენ. ფროიდს ენობრივი პათოგენეზის მექანიზმად შემოაქვს მე-ს არაცნობიერი ფუნქცია. იმ კონფლიქტების თავიდან აცილება, რომელთა გადაწყვეტა ცნობიერად კი არა, კონსენსუალური ქმედების საფუძველზე ხდება, ტოვებს კვლებს, რომლებსაც კომუნიკაციის დარღვევათა ფორმა აქვს. ოჯახური კომუნიკაციის დარღვევებს შეესატყვისება პერსონულობის სისტემის ნაწილებს შორის კომუნიკაციაში ინტრაფსიქიკური მოშლილობანი. რა თქმა უნდა, ამგვარი გადახრების ანალიზი წინასწარ გულისხმობს „ნორმალურად" ნიშანდებული კომუნიკაციის ცოდნას. მაგრამ როდის ძალგვიძს, კომუნიკაციას უშფოთველი, სისტემურად გაუმრუდებელი ანდა ნორმალური ვუწოდოთ?

---

*. ზემოხსენებული ხელნაწერის ნაწილობრივ დამუშავებული IV ნაკეთი

(I) თავდაპირველად საჭიროა ავხსნათ, თუ რა აზრით გვინდა, ვილაპარაკოთ ენობრივი კომუნიკაციის ნორმალურობის პირობებზე. ცხადია, არ გამოგვადგება ნორმალურობის *სტატისტიკური ცნება* კომუნიკაციური ნიშან-თვისებების გადანაწილების საშუალო მაჩვენებელი მანამ არაფერს გვეუბნება სოციალიზაციისთვის ქმედითი ინტერაქციების ნორმა-

ლურობის პირობებზე, ვიდრე გამოკვლეულ მოსახლეობას არ დავახარისხებთ კლინიკური თვალსაზრისით. ე.ი. ვიდრე ნორმალურობის პოზიციიდან არ შევაფასებთ. მეორე მხრივ, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ უამრავი იმ ინდივიდისა თუ ენობრივი ერთეულის „ანომალური" კომპოზიცია, რომლითაც გადახრის სულერთია საშუალოზე მაღალი თუ დაბალი მაჩვენებელი აქვთ. ნორმალურობის *კლინიკური ცნება* სომატურ ავადმყოფობათა სფეროდან მომდინარეობს. ამ სფეროში ორგანიზმის ჯერარს მდგომარეობა, რომლიდან გადახრასაც წარმოადგენს ავადმყოფობის მდგომარეობა, საკმარისად, ე.ი. ან ემპირულ-ანალიტიკური ანდა ინტუიტურად განმარტებული ემპირული ინდიკატორების საშუალებითაა ცნობილი. ძნელია ნორმალურობის ამ ცნების გადატანა სულიერი ანდა კომუნიკაციური მოშლილობის სფეროში, რადგან დღემდე ჩვენ განკარგულებაში მყოფ თეორიებში ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული ფსიქიკური ორგანიზაციის ჯერარსული ღირებულებანი. ყველა შემოთავაზებაზე, რომლებიც ინტიუციურ ევიდენტობას იმოწმებენ, ეჭვი მიაქვთ, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან არაექსპლიციტურად ნაწარმოებ კულტურულ ტრადიციებზე. ამიტომ არის, რომ ნორმალურობის *კულტურალისტური ცნება* დღეისდღეისობით გავრცელებული უკანდახევითი პოზიციაა. ამ ცნებისდაკვალად უნდა შემოვიფარგლოთ იმის დესკრიპციული განსაზღვრებით, რასაც მოცემული კულტურა ცხოვრების განსაზღვრული სფეროსთვის „ნორმალურად" მიიჩნევს. ამრიგად, ნორმალურობის კულტურულრელატიური ცნების გასაღებს გვაძლევს არა დაკვირვებაში მოცემული ქცევის ნიშან-თვისებათა განაწილების მაჩვენებელი, არამედ ნორმალურობის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოკითხული დეფინიციები.

მაგრამ კულტურანთროპოლოგიაში გავრცელებული ამ რელატივიზმის წინააღმდეგ დიდი ეჭვებია გამოთქმული ეთნოფსიქიატრიაში. ჟ. დევერი[1] გვთავაზობს განსხვავებებს, რომლებიც ცხადყოფენ კულტურრელატივისტური არგუმენტის საზღვრებს. ინდივიდუალურ პათოლოგიებს იგი უპირისპირებს ისეთ აშლილობებს, რომლებიც კულტურულად სტანდარტიზებულნი არიან და აჩვენებს, რომ ეს, გარკვეულწილად ნორმალიზებული აშლილობანიც კი, ნორმალურობიდან გადახრილნი არიან კლინიკური თვალსაზრისით. კულტურული ნორმალიზება ეხება „აშლილობის"[2] სამივე ელემენტს.

– დამთრგუნველი ანდა მაშოკირებელი ხდომილების ინტერპრეტაციას, რომელიც ტრაგმად განიცდება და შიდაფსიქიკურ კონფლიქტს იწვევს (სპარტაში დედის გლოვა ომში დაცემულ შვილზე „ეთნიკური აშლილობაა", რადგან იგი არის კულტურულად აღიარებული და კონვენციურად მოწყობილი ტრამვის შემთხვევა; მაშინ როცა ათენში მსგავსი გლოვა ინდივიდუალური გრძნობის გამოვლინებად რჩება).

---

[1] Normal und Anormal, Ffm. 1974.
[2] A.a. O., S.28ff.

– თავდაცვის სტრატეგიებს, რომლებიც კონფლიქტს ცნობიერებას არიდებენ და ასატანად ხდიან (ე.ი. არათერაპევტულად „წყვეტენ"); ყოველი კულტურა თავდაცვის საშუალებად გვთავაზობს პრეფერენცსისტემას, რომელიც თვით ექსტრემალური აშლილობებისასაც კი (როგორც გვიჩვენებს შამანების გამოწვლილვით გაანალიზებული მაგალითი) შინაგანი კონფლიქტის ზედაპირული ნორმალიზების ე.ი. კონვენციონალურად აღიარებული რესტრუქტურირების საშუალებას იძლევა;

– დაბოლოს, სიმპტომებს, რომლებითაც გამოიხატება არაცნობიერად თავიდან აცილებული კონფლიქტი (ამ თვალსაზრისით იკვლევს დევერო სოციალურ როლებს, რომლებიც ეწევიან კულტურულად აღიარებულ გადახრილ ქცევათა ინსტიტუციონალიზებას; იქნება ეს შამანთა, შმაგთა, „ცოფმორეულთა", ტრანსვესტიტთა,* სტოელ წმინდანთა თუ – სხვათა ქცევები; იქაც კი, სადაც ასეთი როლები არ გათვითმყოფებულან, არსებობს მისი დეფინიციები „შეშლილივით იქცევა"-ო)

– ინდივიდუალურ აშლილობებს იმდენად ვაწყდები, რამდენადაც კულტურის ნორმალიზებისთვის ღვაწვა უშედეგოა; ისე რომ თვითონ შეღონებული პერსონა არის იძულებული, გამოიგონოს თავდაცვის საშუალებაცა და სიმპტომების სახეობა. ცნების დიხოტომიურ ფორმირებას, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს ეთნიკურსა და ინდივიდუალურ აშლილობებს და უშვებს „ეთნიკურ არაცნობიერს" ალბათ, უნდა ვამჯობინოთ ცნების კომპარატიული ორგანიზაცია. მაგრამ გაანალიზებულ საზღვრითს შემთხვევებს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ნორმალურობის კულტურალისტური ცნებისთვის მაშინაც კი, როცა დევეროს თეზისს ამგვარად შევასუსტებთ და მას მისი კულტურული *სტერეოტიპიზირების ხარისხთა* მიხედვით დავსახსრავთ.

– ეთნოფსიქიატრიული ფენომენების ინტერკულტურული შედარება სწორედ იმას გვიჩვენებს, რომ თავდაცვის სიმპტომთა კონვენციონელური რესტრუქტურირების საფუძვლადმდებარე ანომალია მძიმე სულიერი კონფლიქტის ანდა სნეულებისა, მართალია, სოციალურად აღებული როლების აზრით ნორმალიზაციას განიცდის, მაგრამ ანომალია ანომალიადვე აღიქმება; შამანი კლინიკური გაგებით ფსიქიკურად სნეულია, მაგრამ იგი თამაშობს სოციალურად მიღებულ როლს: „პრიმიტივი, მას შემდგომ რაც ფსიქიკური აშლილობა დაემართა, შამანთან მკურნალობს, რომელიც მას „კურნავს" და შამანად აქცევს; რითაც პრიმიტივი სინამდვილეში თავისი კონფლიქტებისა და სიმპტომების მხოლოდღა კონვენციურ რესტრუქტურირებას განიცდის და ამას არაფრით არ მოჰყვება მისი კონფლიქტების ბუნების ნამდვილი შემეცნება" (გვ.44) „მკურნალობის ეს კურსები ისე მიმდინარეობენ, თითქოსდა წამლობა მდგომარეობდეს კონფლიქტებისა და იდეოსინკრატისტული თავდაცვის ჩანაცვლებაში კულტურულ კონვენციონელუ-

---

* ტრანსვესტიზმი – ნორმალური სექსუალური ქცევიდან გადახრა; ლტოლვა საპირისპირო სქესის წარმომადგენლის ტიპიური სამოსელისადმი – მთარგმ, შენიშვნა;

რი კონფლიქტებითა და რიტუალიზებული სიმპტომებით, რასაც არასოდეს მოჰყვება შედეგი, რომელიც ნამდვილ განკურნებას გამოიწვევდა" (გვ.46) დავერო მოგვითხრობს ორ სიკვდილმისჯილ ინდიელზე, რომლებიც ციხის ფსიქიატრის შეფასებით „იურიდიული თვალსაზრისით სულიერად ჯანმრთელნი" იყვნენ, რადგან ისინი თავიანთს მანიაკალურ წარმოდგენებს თავიანთი ტომის რელიგიური წარმოდგენების კულტურული მასალიდან ირჩევდნენ; მხოლოდ უფრო გამოწვლილვითმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ისინი ამ კულტურალურ შინაარსებს ობიექტურად აღარ ცხოვრობდნენ, არამედ მხოლოდ ფანტასმაგორიებად იყენებდნენ (გვ.122 და შემდეგ). ფსიქიატრმა თავისი პაციენტების მანიაკალური წარმოდგენები აურია ინდივიდთა იმ ტომის რელიგიურ წარმოდგენებში, რომელსაც ისინი განეკუთვნებოდნენ. ასევე შეიძლება თეთრ ციებასა და რწმენას შორის განსხვავება კულტურულად შეუმჩნეველი გახდეს, თუ შეუძლოდ მყოფი თავის კლინიკურ ვითარებას სოციალურ, ვთქვათ, შამანის როლში შეიტანს და ნორმალიზებას უყოფს. ამიტომ არის, რომ ფსიქიატრს, რომელიც აშლილობებს კულტურალისტური ნორმალურობის ცნების მიხედვით ახარისხებს, „უნარი არ შესწევს" ფსიქიატრიული დახმარება აღმოუჩინოს ინდიელს, რომელიც გამოვიდა პირველი ფსიქოტური შეტევისა თუ შოკის მდგომარეობიდან და თავს შამანად განსაზღვრავს. „რელატივისტური" ნორმების თანახმად, რომლებიც განაგებენ იმ შეზღუდულ დიაგნოსტიკურ ტექნიკას, რომელზეც მე ვლაპარაკობ შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ ეს ინდიელი შამანი, რაკი იგი შესაძლოა კულტურელურად ნორმალურად" ჩათვლილიყო, არ საჭიროებდეს ფსიქიატრიულ მკურნალობას. მაშინ როცა მე დავასაბუთე, რომ შამანი ან მძიმე ნევროტიკოსია ანდა იგი არის რემისიის სტადიაში მყოფი სულიერად ავადმყოფი და რომ იგი ასევე საჭიროებს გადაუდებელ ფსიქიატრიულ დახმარებას. სინამდვილეში ასეთი ინდივიდი მომჯობინებას *მხოლოდ* სოციალურად დეტერმინებული *გარემოს* ე.ი. თავისი ტომის გათვალისწინებით განიცდის. იგი ბევრად თუ ცოტად თავს კარგად გრძნობს ამ გარემოში და შეგუებული *მხოლოდ* ამ გარემოსთანაა. მას არა აქვს შეგუების უნარი, და ყოვლისუწინ, *მას არა აქვს ხელახლა – შეგუების უნარი.* ნორმალური ინდიელი, რომელიც არ არის შამანი, კარგად ეგუება თავის კულტურას და შეუძლია შეინარჩუნოს იმის უნარი, რომ განსხვავებულ სიტუაციებსაც ადვილად აუღოს ალღო. ჩემი აზრით, სულიერი სიჯანსაღის სიმძიმის ცენტრი შეგუება კი არ არის, არამედ – სუბიექტის უნარი, თანამიმდევრულ *ახალ-ახალ* შეგუებათა გზით *განაგრძოს* განვითარება ისე, რომ არ დაკარგოს თავისი დროითი უწყვეტობის გრძნობა (გვ.119).

– დეკერო ოდნავ უფრო შორს მიუყვება ნორმალიზების კულტურელურ ღვაწვებს, ვიდრე ამას კულტურელური რელატივიზმის მომხრეები სჩადიან; იგი აჩვენებს, რომ ნორმალურობის დეფინიციები აშლილობებსა და გადახრებზეც კი ერცელდება, მაგრამ – ისე, რომ ნორმალურ და გადახრილ ქცევებს შორის შეუმჩნეველი კი არ ხდება, არამედ მთლიანად იშლება.

აქ მოხსენიებული განსხვავება მოითხოვს ნორმალურობის ისეთ ცნებას, რომელიც ძალაშია კულტურინვარიანტულად, აუცილებელია მან გაიაროს კლინიკური შემოწმება, მაგრამ მისი ექსპლიცირება ამ შემოწმებისაგან დამოუკიდებლად უნდა მოხდეს. იმ ადგილას, რომელსაც ბოლოს მოვუხმეთ, დეევრო ძირითად კრიტერიუმად ასახელებს საკუთარი იდენტობის სიტუაციის შესატყვისი გადასტრუქტურირების უნარს; სხვა ადგილას იგი ფიქრობს, რომ თითოეულ ფსიქიკურ აშლილობას შედეგად მოსდევს განდიფერენცირება და განინდივიდუალიზება (გვ.86) მაგრამ „ინდივიდუირება" მხოლოდ მაშინ არის წინასწარგულისხმობებით აღსავსე ცნება და დიფერენცირების დონის ცნება მხოლოდ მაშინ არის გამოსადეგი, როცა შეგვიძლია სწორედ რომ პროგრესირებადი ინდივიდუირების დინამიკის საშუალებით საკმარისად დავახასიათოთ შესაბამისი სისტემა.

ნორმალურობის კულტრალისტური ცნება უსაფუძვლო აღმოჩნდა; მაგრამ ნორმატიული შინაარსის მქონეა ნორმალურობის კულტურინვარიანტული ცნება, რომელიც არ იმოწმებს არც ფიზიკური ჯანმრთელობის ნიშან-თვისებებს და არც სტატისტიკურ საშუალო მაჩვენებელს. როგორ ხდება მისი ლეგიტიმაცია ემპირიულ-დესკრიპტულად მოქმედ მეცნიერებაში?

პიაჟე იყენებს განვითარების ლოგიკის კონცეპტს, რომელიც საშუალებას იძლევა, ემპირული ანალიზის მიზნით შემოვიტანოთ ნორმატიული ცნებები. მაგრამ კონცეპტმა მხოლოდ *კოგნიტიური განვითარების სფეროში გაამართლა.* აქ არავითარ ეჭვს არ იწვევენ ღირებულებითი წანამძღვრები, რადგან მაობიექტივირებელი აზროვნების გაშლა შეეზომება ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი ე.ი. ისეთი პრობლემების დონეს, რომელთა ჭეშმარიტი გადაწყვეტები არსებობენ. პროპოზიციური ჭეშმარიტება არის ის მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომელიც დაწანამძღვრებული აქვს თითოეულ არგუმენტაციას. ქმედების ნორმათა და შეფასების სისწორე ის მნიშვნელოვნების პრეტენზიაა, რომელიც უკვე რახანია სადაოა, მაგრამ ჯერ ისევ ვერ ხერხდება მისი ცხადყოფა. *მორალური მსჯელობის უნარის* განვითარების ლოგიკური გამოკვლევა ემყარება სწორედ ამ ღირებულებითს წანამძღვრებს. მათი ონტოგენეზიც პრობლემის გადაწყვეტის დონეს შეეზომება; მაგრამ ამ შემთხვევაში სწორი გადაწყვეტების კანონიერების დასასაბუთებლად არ შეგვიძლია მივმართოთ ლოგიკის, მათემატიკისა და ფიზიკის ელემენტარულ ცოდნას; აუცილებელია შევაბიჯოთ ფილოსოფიური ეთიკის ფხვიერ ნიადაგზე, რათა დავასაბუთოთ თეზა, რომ მორალური ცნობიერების ონტოგენეტურად უფრო გვიანდელ საფეხურებზე შესაძლებელი ხდება სულ უფრო სათანადოდ გადაიჭრას მოქმედების სულ უფრო და უფრო რთული კონფლიქტები. მორალური მსჯელობის უნარის კონცეპტის განვრცობა ინტერაქციული კომპეტენციის ცნებამდე კიდევ ერთხელ უც-

ვლის სახეს ღირებულებითს წანამძღვრებს. რადგან ინტერაქციებში მონაწილეობისა და კონფლიქტების მიუხედავად, კომუნიკაციური ქმედების კონსენსუელური საფუძველის შენარჩუნების უნარი, მართალია, შეიცავს მორალური მსჯელობის მიხედვით მოქმედების კომპეტენციას, მაგრამ გარდა ამისა, წინასწარ გულისხმობს *მთელი თავისი მოცულობით აღებული* ენობრივი კომუნიკაციის მნიშვნელობის ბაზისს. ინტერაქციული კომპეტენცია არ იზომება იმით, რომ შემეცნებისა და მორალური კეთილგონიერების პრობლემები შესაფერის დონეზე გადაწყდეს, არამედ – იმით, რომ ურთიერთგაგების პროცესები შენარჩუნებული იქნას თვით კონფლიქტური მდგომარეობისას ნაცვლად იმისა, რომ კომუნიკაცია შეწყდეს ანდა მოჩვენებითად იქნას განგრძობილი.

არაცნობიერი თავდაცვის ფსიქოანალიტიკური ცნება, როგორც მოგვიანებით ვნახავთ, შუქსა ჰფენს ურთიერთგაგების პროცესთა ვითომ-კონსენსუელური განგრძობის ტექნიკას. არაცნობიერად თავიდან აცილებული კონფლიქტები კვლავ იჩენენ თავს, იქნება ეს ინტრაფსიქიკურად თავისთავის შიგნით კომუნიკაციის გაწყვეტის გზით თუ ოჯახში ინდივიდთა შორის კომუნიკაციის დროებითი ჩაკეტვით; მაგრამ ეს ხდება იმ პირობებში, რომლებიც განზრახ გამორიცხავენ ურთიერთგაგების პროცესებსა და მათთან ერთად განკურნებასაც (კონფლიქტის გადაჭრას); მე-ს სიძლიერის ნორმალურობის კონცეპტი, რომელსაც ამ კონტექსტში ავითარებს ფსიქოანალიზი, განიზომება არაცნობიერი თავდაცვის სტრატეგიებისაგან დამოკიდებულებით. მე–ს სიძლიერე მატულობს იმ ზომით, რა ზომითაც მე-ს შეუძლია უარი თქვას ამგვარ სტრატეგიაზე და კონფლიქტები ცნობიერად დაამუშაოს; აქ ღირებულებითი წანამძღვრები მოთავსებულია *ცნობიერების* ცნებაში, ხოლო *კეთილგონიერების* კუთხით – ინტერპერსონულად გამოწვეულ სულიერ კონფლიქტში. ძირითადი ფსიქოანალიტიკური ჰიპოთეზების[1] ჩემი კომუნიკაციის თეორიული განმარტების შესაბამისად, კონფლიქტის ცნობიერი დამუშავების ტიპოლოგიურად გაგებულ პირობებს მე ვაკავშირებ ენობრივი კომუნიკაციის ნორმალურობის პირობებთან: კონფლიქტის ცნობიერი დამუშავება ნიშნავს მის დამუშავებას გაუმრუდებელი კომუნიკაციის პირობებში.

ამით ჩვენ განაზრების ამოსავალ პუნქტს იმ რეზულტატით ვუბრუნდებით, რომ არ შეგვიძლია ვისარგებლოთ ნორმალურობის ჩვენს განკარგულებაში მყოფი სტატისტიკური, კლინიკური ანდა კულტურალისტური ცნებებით; – რომ პირიქით, აუცილებელია იმ ნორმატიული შინაარსის ცხადყოფა, რომელიც ჩადებულია თვითონ ენობრივი კომუნი-

---

[1] J.Habermas, Erkenntnis und Interesse, Ffm. 1968, Kap. 10, 11; ders., Der Universalitätsanspruch der Hermeneutik, abgedr. In: Zur Logik der Sotialwissenschaften, Ffm. 1982, 331ff.

კაციის ცნებაში. გამოთქმა „გაუმრუდებელი კომუნიკაცია" არაფერს მატებს ენობრივ ურთიერთგაგებას, რადგან ურთიერთგაგება იგივეა, რაც ენობრივი კომუნიკაციის შინაგანი ტელოსი. მე მინდა, ენობრივი კომუნიკაციის ნორმალურობის პირობები „ურთიერთგაგების" საზრისის ცნებითი ანალიზის გზით მოვიპოვოთ, რადგან მე თითოეული მეტყველება-მოქმედებისთვის არ ვვარაუდობ მიღმურსა და, ასე ვთქვათ, ტრანსცენდენტალურად მაიძულებელ მნიშვნელობის ბაზისს; მე მინდა განვავითარო თეზისი, რომ თითოეული ის, ვინც კომუნიკაციურად მოქმედებს უნდა მიეცეს მნიშვნელობის უნივერსალური პრეტენზიების შესრულება. რამდენადაც იგი საერთოდ კომუნიკაციასა და per se იგულისხმება, ურთიერთგაგების პროცესში მონაწილეობს, არ შეუძლია არ წამოაყენოს შემდეგი პრეტენზიები:

- თავის თავის გასაგებად გამოხატვისა;
- რაღაცის გაგებინებისა;
- თავის თავის გასაგებად ქცევისა;
- და ურთიერთგაგებისა.

მაგრამ სრული თანხმობა, რომელიც ოთხივე დასახელებულ კომპონენტს შეიცავს, ენობრივი კომუნიკაციის ნორმალური მდგომარეობა რომ ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა აუცილებელი ურთიერთგაგების პროცესი თანხმობის *ჩამოგდების* დინამიური ასპექტით გაგვეანალიზებინა. ტიპიურია გარდამავალი ზონები მიუხვდომლობასა და გაუგებრობას, წინასწარ განზრახულსა და უნებლიე არაგულწრფელობას, ფარულსა და ღია უთანხმოებას, ხოლო მეორე მხრივ – წინასწარ ურთიერთგაგებულად ყოფნისა და ურთიერთგაგების მდგომარეობებს შორის; საჭიროა ამ ზონებში აქტიურად იქნას მიღწეული შეთანხმება. ამრიგად, ურთიერთგაგება არის პროცესი, რომელიც ცდილობს ურთიერთაღიარებაში ჩადებული მნიშვნელოვნების პრეტენზიათა საზიარო საფუძველზე გადალახოს მიუხვდომლობა და გაუგებრობა, არაგულწრფელობა საკუთარი თავისა და სხვის წინაშე; დაბოლოს –უთანხმოებანი;

თავდაპირველად მინდა გავიაზრო მნიშვნელობის ამ ბაზისის ონტოგენეზი (2), რათა მისდაკვალად დავასაბუთო მნიშვნელობის მაფუძნებელ მოთხოვნათა ტრანსცენდენტალური ადგილღირებულება, რომელიც წინ უსწრებს ყოველ შესაძლო კომუნიკაციას (3). მერე მინდა ენობრივი კომუნიკაციის მნიშვნელობის ბაზისიდან და საყოველთაო სტრუქტურებიდან გამომდინარე გავარჩიო სისტემურად გამრუდებული კომუნიკაციის ფორმალური პირობები (4) და განვიხილო სისტემურად გაუკულმართებული კომუნიკაციის ზოგიერთი მაგალითი (3).

(2) რ. შპიტცი[1] იკვლევს ბავშვის ენამდელ განვითარებას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სიცოცხლის მესამე თვის სწავლის პროცესებს, რომელთა საშუალებით გადაილახება პირველადი ნარცი-

[1] R.A. Spitz, Vom Säugling zum Kleinkind. Stuttg. 1967.

სიზმი და დგება პირველი „ობიექტის წინამორბედთა“ სტადია. ეტყობა ეს სამი თვე მნიშვნელოვანია ენობრივი კომუნიკაციის კონსტიტუენტთა (ენობრივი ერთეული, ერთიანობა, რომელიც უფრო მომცველ ერთიანობაში შედის – მთარგმ. შენიშვნა) თვალსაზრისით: ა) ბავშვი სწავლობს, ერთმანეთისგან განასხვაოს ხმა, რომელიც მისგან გამოდის და გარედან მომდინარე აკუსტიკური გაღიზიანებანი (მონოლოგი ლუღლუღით) და იგი იწყებს გაგებითს რეაგირებას დედის სახის ფიზიოგნომურ სქემაზე (მზერაზე შეგებებული სიცილი); ბ) ბავშვი მოქმედების სენსუმოტორული სქემების საფუძველზე სწავლობს მიზანმიმართულ მოქმედებას; მოქმედების ინიციატივათა ამ საწყისებთან ერთად ჩვენ ვამჩნევთ ქცევის გაღიზიანებით სტიმულირებული რეაქციებიდან აღქმით წარმართული ინტენციური ქმედების წინარე ფორმებისადმი მიტრიალებას. მოქმედებები იმთავითვე ემსახურებიან გარემოს კონტროლისა და საფრთხეების თავიდან აცილების ორკეც ამოცანას; ამასთანავე, ისინი არეგულირებენ იმპულსებსა და აფექტებს. მესამე ასპექტი შუქსა ჰფენს შინაგანი ბუნების კომუნიკაციური ჩასტრუქტურირებულობის ასპექტებს, მაშინ როცა პირველი ორი ასპექტი ეხება კომუნიკაციური ურთიერთობების განვითარებასა და ინტერაქციებში აქტიური და პასიური მონაწილეობის შესაბამის უნარებს.

სიცოცხლის პირველი წლის მეორე ნახევარში ბავშვისთვის სიყვარულის ობიექტი „დედა“, კონსტიტუირდება როგორც იდენტიფიცირებადი საგანი. თავდაპირველად ბავშვი სწავლობს ობიექტის ორივე წინამორბედის, „კეთილი“, მფარველი და „ბოროტი“, გამაწბილებელი (უმყოფო) დედის ერთ ხატად ინტეგრირებას. ეს სინთეზი ისევე მონიშნავს კოგნიტივურ განვითარებას (ობიექტთა მდგრადობის საწყისებს), როგორც აფექტებისა და იმპულსების მზარდ რეგულირებას (ამბივალენტობის ტოლერანტობას). შემდგომი (და შპიტცის მიერ გამოწვლილვით გაანალიზებული) *რვა თვის ასაკი* მიანიშნებს იმაზე, რომ ბავშვი სწავლობს მშობლიური და საყვარელი ობიექტის, დედის გამორჩევას უცხო პირებიდან. ბავშვი მარტოდენ გაგებითად აღარ რეაგირებს ფიზიოგნომურ სქემაზე (იქნება ეს დედა, ნიღაბი თუ უცხო პირები); უფრო მეტი, იგი ახლა ჟესტებით პასუხობს მიმართების ინდივიდუალურ პერსონას. ამით იცვლება კომუნიკაციის პარტნიორთა შორის ურთიერთობების დონე. ბავშვი იდენტიფიკაციას ახდენს დედასთან, ბაძავს მის გამომეტყველებას; ეს არის ჟესტებით გაშუალებული გაცვლის მნიშვნელოვანი წანამძღვარი, რომლის დროსაც ბავშვი სწავლობს საკუთარი აქტიურობის რეგულირებას დედის აქტიურობასთან ე.ი. მოცემასა და გამორთმევასთან, კეთებასა და განცდასთან მიმართებაში. მოქმედების ინიციატივათა თვითრეგულაციისთვის თვალსაჩინო როლს თამაშობს *უარმყოფელი თავის გაქნევა*.

თავდაპირველად ბავშვი თავის გაქნევის ჟესტს თავის გაქნევით გამაწბილებელ დედასთან იდენტიფიკაციის გზით სწავლობს; მოგვიანებით

იგი გამაწბილებელ თავის გაქნევას იმ სიტუაციებში იყენებს, რომელ სიტუაციებშიც იგი *თვითონ უარყოფს* მოთხოვნას ანდა შეძლევას. მას შემდგომ რაც დაიწყო ჰოლოფრაზებით (ერთსიტყვიანი წინადადებებით) ენის განვითარება, დაახლოებით ცხოვრების მე-15 თვიდან ბავშვი უარმყოფელი ჟესტის ნაცვლად იყენებს სიტყვას „არა". ამ ნაბიჯით იწყება სპეციფიკური აზრით ენობრივი კომუნიკაცია: „უარყოფის ჟესტის მოპოვებასთან ერთად ქმედება სიტყვით იცვლება და კომუნიკაცია დისტანციაზე წარიმართება. ეს არის შემობრუნების წერტილი ინდივიდუმისა და გვარის განვითარებაში; აქ იწყება გვარის ჰუმანიზაცია, აქ იწყება ძოონ პოლიტიკონ, აქ იწყება საზოგადოება" (გვ. 204)

ემფაზა, რომლითაც ვფიქრობ, შპიტცი ჯერ ისევ ვერ მოლაპარაკე ბავშვის უარყოფის ჟესტს და ესესაა ალაპარაკებული ბავშვის არასთქმას სამართლიანად მიაწერს ადგილს ცენტრალურ ღირებულებას *სიმბოლურად გაშუალებული* კომუნიკაციიდან საკუთრივ ენობრივ კომუნიკაციაზე გადასვლისას, ანალიტიკურად გაგებულ ამ ფენომენთან გარკვეულწილად შეუსაბამო მიმართებაშია. შპიტცი ლაპარაკობს უარყოფითს ცნებითს ბუნებაზე; იგი ფიქრობს, რომ ნეგაცია შესაძლებელყოფს მსჯელობის უნარს. მაგრამ პირველი „არას" თქმისას საქმე არ ეხება არც პრედიკატული განსაზღვრულობების უარყოფას („ეს ბურთი არ არის წითელი") და არც – საქმის ვითარებათა ნეგაციას („არ არის ჭეშმარიტი, რომ ეს ბურთი წითელი არის"); თუ არადა ბავშვს უკვე უნდა შეძლებოდა ერთმანეთისგან განესხვავებინა მეტყველება-მოქმედებათა გინა ინტერპერსონალურ ურთიერთობათა სხვადასხვა ტიპები. პირველი „არა" არის საზოგადოდ კონსტიტუციური სიმბოლურად გაშუალებული ინტერპერსონალური ურთიერთობების საწარმოებლად. იგი შესაძლებელჰყოფს ადრეულსა და გარკვეულწილად იმპერატიულად განსაზღვრულ მოდუსს პირველი ენობრივი კომუნიკაციისა.

ბავშვი ენამდელ ინტერაქციებში მიმართების პერსონასთან განიცდის როგორც კმაყოფილებას, ისე გაწბილებას, მაგრამ იმპულსების გაწბილება უირველესად გარეგნულად იმპონირებული ხდომილებებია, ისინი ჯერ კიდევ არ არიან მიღებულნი *აკრძალვათა* სახით. მხოლოდ მას შემდგომ, რაც ბავშვმა იდენტიფიკაციის პროცესის საშუალებით, დედის მიერ დადებული აღკვეთები ინტენციურ მოქმედებად გაიგო და თვითონ ისწავლა არასთქმა, იგი ასრულებს კომუნიკაციური მიმართების წანამძღვრებს, რომლისთვისაც კონსტიტუციურია შესრულების გინა მიღებისა და უარყოფის ალტერნატივა. გამოწვევა მანამ არ ითვლება გამოწვევად, მოთხოვნა – მოთხოვნად, ვიდრე ადრესატს არა აქვს არას თქმის ცნობიერება. ე.ი. არ შეუძლია მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილება, მიჰყვეს თუ არა გამოწვევას, მიიღოს თუ არა მოთხოვნა. პირველი არა აწბილებს ქცევის მოლოდინს; არას თქმა ნიშნავს უარყოფას. მოლაპარაკეებს შორის ინტერპერსონული მიმართებისთვის ამ პირველი არას თქმის ფსიქოდინამიკას შპიტცი შემდეგნაირად აღწერს:

„თავის გაქნევის გამაწბილებელი ჟესტი და ობიექტის ნათქვამი „არა“ ჩვილი ბავშვის მე-ს მოგონებას ნაკვალევებად აღებეჭდება; ამ წარმოდგენას ჩამოცილებული აქვს უკმაყოფილების აფექტური დაუფლება; ეს ჩამოცილება იწვევს აგრესიის მოწოლას, რომელიც მერე ასოციაციის გზით მე-ში მოგონების ნაკვალევს უერთდება. როცა ბავშვი თავისი თავის ობიექტთან იდენტიფიცირებას ახდენს, აგრესორთან ამ იდენტიფიცირებას ან ფროიდის მიხედვით მოპყვება გარესამყაროზე შეტევა. 15 თვის ბავშვში ეს ცნება იღებს „არას“ ფორმას (ბოლოს ჩნდება ჟესტი, მერე სიტყვა), რომელიც ბავშვმა გადმოიღო თავისი სიყვარულის ობიექტიდან. ზიზღის უთვალავი განცდის საფუძველზე „არა“ აგრესიული დაუფლებითაა უზრუნველყოფილი. ამის გამო „არა“ ზედგამოჭრილია აგრესიის გამოსახატავად და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ „არას“ იდენტიფიცირების თავდაცვით მექანიზმს აგრესორი იყენებს და მას ობიექტის წინააღმდეგ მიმართავს. როგორც კი ეს საფეხური მიიღწევა, იწყება საპირისპირო ფაზა (რაც ჩვენთვის ეგზომ კარგადაა ცნობილი ცხოვრების მეორე წლიდან). (გვ.201)

არას თქმა ენის განვითარებისთვის არა იმიტომ არის, ასე ვთქვათ, მნიშვნელოვანი, რომ ბავშვი თავისი პირველი იტენციონალური „არა“-თი პირველ მეტყველება-მოქმედებას ახორციელებდეს; უფრო მეტი, არასთქმა ენის განვითარების მთავარი ინდიკატორია, რადგან ბავშვს მას მერე ძალუძს მეტყველებითი მოქმედების შესრულება. ე.ი. ენობრივად გაშუალებული ინტერპერსონული მიმართების მიღება, რაც მან თხოვნები, აკრძალვები თუ მოთხოვნები უარის თქმად გამოწვევებად სახელდობრ, გაწბილებად ქცევის მოლოდინად გაიგო. *ენობრივი კომუნიკაციის ამ პირველ საფეხურზე* ხდება წინარეენობრივად ჩამოყალიბებული იმ კონცეპტების ხელახალი სტრუქტურირება, რომლებიც მანამდე ინტერაქციულ სფეროს აკონსტიტუირებდნენ:

– შემოდის დიფერენცირება პრიმიტიულ ენობრივ გამოხატულებათა გინა არა-ენობრივ ჟესტებსა და მოქმედებებს შორის; *კომუნიკაციური სიმბოლოები* გამოხატავენ ქცევის მოლოდინებს, მაგრამ ისინი კვლავაც მოქმედების კონტექსტებზე არიან აკრულნი, მაშინ როცა არა-ენობრივი მოქმედებანი, როგორც ქცევის მოლოდინთა ასრულება ან არასრულება, ენობრივად წარმოებულ *ინტერპერსონულ* მიმართებებს მიუერთდებიან.

– *სემანტიკური შინაარსი*, რომლის კომუნიცირება ხდება სიმბოლოთა და მოქმედებათა საშუალებით, გამოხატავს სიმბოლოს, რომელშიც ერთმანეთს ერწყმიან კომუნიკაციის იმპერატიული მოდუსის (გამოწვევები, მოთხოვნები) პროპოზიციური შინაარსის მქონე მნიშვნელობები (სამყაროს საგანთა გათვალისწინებით) და მოლაპარაკის განსაზღვრული ინტენციები (ყურადღების მიქცევა, არად ჩაგდება, ხალისი, უხალისობა და ა.შ.)

– *აქტორისა* და *მოქმედების ინიციატივის* (მოქმედების) ცნებები განისაზღვრება დამატებითი მიმართებით ქცევის იმ მოლოდინისა – რომელსაც მშობელი გამოხატავს კომუნიკაციური სიმბოლოთი – და იმ მოქმედებას შორის ქცევის მოლოდინით, რომლითაც ეგო ასრულებს ანდა აწბილებს ამ მოლოდინს; ენითი კომუნიკაციის მონაწილენი ყოველთვის *ორმხრივი პერსპექტივიდან* მოქმედებენ – ორკეცი კონტიგენციის პირობებში: ორივეს აქვს პრინციპული შესაძლებლობა მოპირისპირის მოლოდინის გაწბილებისა.

– დაბოლოს, კომუნიკაციის იმპერატივისტული მოდუსი, რომელიც უშვებს ენის ალტერნატიულ გამოყენებებს, აწარმოებს კომუნიკაციასა და ქცევის მართვას შორის უშუალო კავშირს: მეტყველებითი მოქმედების შესრულებით ერთი მოტივი ზემოქმედებს მეორეზე. რადგან ენობრივად წარმოებული ინტერპერსონული მიმართებანი პრინციპულად წინასწარ გულისხმობენ უარყოფის შესაძლებლობას, ამიტომ თავისუფლების ახალი ხარისხი მოითხოვს *მოქმედების მოტივთა* მაკომპენსირებელ შეკავშირებას.

– რამდენადაც ინტერაქციები ძალაუფლებრივ მიმართებებში გადაიტანება, შესაძლებელი ხდება ქცევის მოლოდინთა სანქციონირება სიმბოლურად გენერალიზებული კმაყოფილება/უკმაყოფილების საფუძველზე ე.ი. – მათი განხორციელება დაჯილდოებათა და დასჯის მუქარის გათვალისწინებით; ამ მექანიზმის წყალობით ხდება იმპულსებისა და აფექტების გადამუშავება მოქმედების მოტივებად. იმით რომ შინაგანი ბუნების წინარე ენობრივი რეაქციის პოტენციალი კომუნიკაციური ქმედების გზით ინტერსუბიექტურად განაწილებულ უნივერსუმებში ჩაექსოვება, წარმოიშობა კულტურულად ინტერპრეტირებული მოთხოვნილებანი.

კომუნიკაციის მეორე საფეხურზე გადასვლას შეიძლება თვალი მივადევნოთ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ხდება ენის გათვითმყოფადება რეალობის განსაკუთრებულ სფეროდ. ენითი გამოხატულება გამიჯნულია (ა) სხვა, სემანტიკურად შინაარსიანი, მაგრამ არავერბალური გამოხატვებისაგან (ჟესტები); (ბ) – მოქმედების იმ კონტექსტიდან, რომელშიც იგი არის ჩადებული; – (გ) საზოგადოების ნორმატიული რეალობიდან (მოქმედების ნორმები და ღირებულებანი); (დ) – მოლაპარაკის სუბიექტურობიდან; – (ე) კომუნიკაციის მონაწილეთა ერთობიდან. ყველა ეს მიმართება ილექება (ვ) ენის შინაგან ორგანიზაციაში; ისინი განსაზღვრავენ ენითი კომუნიკაციის მნიშვნელობის ბაზისს. ქვემოთ ძალზე ზოგად შტრიხებში მოსახული განვითარებების ორიენტაციის წერტილი არის ინტერაქციის საფეხური, რომელიც გულისხმობს პროპოზიციურად გათვითმყოფებულ მეტყველებას.

ა) გრამატიკული მეტყველებითი მოქმედება, ერთი მხრივ, გამიჯნულია ვერბალური მოქმედებებისა და ჟესტებისაგან ე.ი. ტანსმოჭიდებული ექსპრესიული გამოხატვებიდან, მეორე მხრივ კი – სიმბოლური თუმც კი

პროპოზიციურად არადიფერენცირებული გამოსახვის ისეთი ფორმებიდან როგორებიცაა მუსიკა, ცეკვა, მხატვრობა და ა.შ.

მეტყველების აქტები და არავერბალური გამოხატვები ერთმანეთისთვის აყალიბებენ ფუნქციურ ეკვივალენტებს. ტაქსისთვის არავერბალური ხელის დაქნევა შეიძლება შეიცვალოს ვერბალური დაძახილით. ჩალაგებაში უსიტყვო მოხმარება, შესაფერის კონტექსტში იმასვე *ნიშნავს*, რასაც გამამხნევებელი: „გეხმარები"

სხვა შემთხვევებში გამოხატვათა ორივე კატეგორიას შორის შემავსებელი მიმართება არსებობს. ვერბალურად მოცემული შეპირება შესაძლოა არავერბალური მოქმედებებით შესრულდეს; ამ შემთხვევაში მოქმედებების მნიშვნელობა ისაა, რომ მოლაპარაკე „თავის სიტყვას ასრულებს". ენითმა და არაენითმა გამოხატვებმა შეიძლება, მოლაპარაკის ერთი და იგივე ინტენციები გამოხატონ და გამოთქმათა ორივე ტიპის სემანტიკური შინაარსი შესაძლოა, გაანალიზებულ იქნას ინტერპერსონული ურთიერთობისა და პროპოზიციური შინაარსის ორკეცი თვალსაზრისით. მაგრამ განსხვავება იმ კუთხით არსებობს, რომ მეტყველება–მოქმედებანი შეიძლება, რეფლექსურნი გახდნენ ე.ი. – სხვა მეტყველება–მოქმედებათა ორიენტაციის წერტილად გინა მათს შინაარსად იქცნენ.

ენითი და არაენითი საშუალება, რომლითაც შესაძლებელია კომუნიკაციური აქტების განხორციელება, ასე ვთქვათ, ორგანიზაციის ერთსა და იმავე საფეხურზე დგანან; ხოლო მეტყველება-მოქმედებებსა და ჟესტებზე ამასვე ვერ ვიტყვით. კერძოდ, ტანს მიტმასნილი ექსპრესიები არ არიან მათ მიერ გამოხატულ ფსიქიკურ პროცესთან იმავე მიმართებაში, როგორშიც წინადადების ნიშანი – სემანტიკურ შინაარსთან; ხშირად ისინი, ისევე როგორც იკონური გამოსახულება, მაჩვენებელებს (ინდექსებს) წარმოადგენენ იმისას, რასაც აღნიშნავენ. ბიულერი ცდილობს მნიშვნელობის ჟესტისმიერსა და ენისმიერ ფუნქციათა განსხვავებას იმით წვდეს, რომ შემოაქვს გამოხატვის ფუნქცია გამოსახვის ფუნქციის საპირისპიროდ; ბატესონი იმავეს ცდილობს კომპიუტერული ტექნოლოგიიდან მომდინარე განსხვავებით ანალოგიურსა და დიგიტალურ გადმოტანას შორის; არიეტი – პროტო-ენასა და ნორმალენის ფსიქოპათოლოგიურ მოვლენებზე ორიენტირებული დაპირისპირებით. ამ კონცეპტუალიზებებში ძირითადი ის თვალთახედვაა, რომ პროპოზიციები შეიცავენ ზოგად პრედიკატულ განსაზღვრებებს, რომლებიც იდენტიფიკაციის აქტთა წყალობით დაკავშირებული უნდა იქნენ ინდივიდუალურ საგნებთან, მაშინ როცა ჟესტის მნიშვნელობა თავის თავს თვითონ აცხადებს თავისი კონკრეტული, ხატოვანი ბუნების წყალობით და იმთავითვე ისე არის აკრული გამოხატვის სიტუაციას, რომ თვალსაჩინო რეფერენცს აღარ საჭიროებს.

ტანს მიტმასნილი ექსპრესიული გამოხატვა დაცლილია იმ რეფერენსპრობლემებისა და გადაწყვეტებისაგან, რომლებიც დაკავშირებული არიან *საყოველთაო გამოთქმების* სიტუაციის სპეციფიკურ გამოყენებასა და კონკრეტიზირებასთან, რადგან მას არა აქვს პროპოზიციურად დანაწევრებული სტრუქტურა;

ბ) ამ განვითარების მეორე ასპექტია სიმბოლურად გაშუალებულ ინტერაქციათა სიტუაციაზე დამოკიდებული ენის გამოყენებიდან პროპოზიციურად გათვითმყოფებული მეტყველების *სიტუაციისგან დამოუკიდებელ ენის გამოყენებაზე* გადასვლა. ვიდრე გაბატონებულია იმპერატიულად ერთიანი კომუნიკაციის მოდუსი და დაშვებული არ არის ენის დიფერენცირებული მოხმარება, მანამ მეტყველება-მოქმედებანი ისე მჭიდროდ აკრავან მოქმედების კონტექსტებს, რომ სიტუაცია, *რომელშიც* გამოთქმა კეთდება, იმ სიტუაციას ემთხვევა, *რომელზეც* შინაარსი არის მიმართული. მაგრამ როგორც კი გამოთქმის შინაარსი სხვადასხვა ილოკუციურ აქტსა და შესაბამისად ცვალებად ინტერპერსონულ ურთიერთობებეთან მიმართებაში ინვარიანტულად ჩაითვლება, აუცილებელია წინადადების მნიშვნელობა სიტუაციაზე *მიმართული* გამოსახულებების (ახლა ჩამოყალიბებული რეფერენსისტემის) მეშვეობით უკუმივუერთოთ მეტყველების სიტუაციებს. ინტერაქციათა იმ იმპერატიული ქსელიდან პროპოზიციური შინაარსის გამოხსნის მეორე მხარე, რომელსაც თვითონ გამოთქმაც განეკუთვნება, არის ზემოთხსენებული რეფერენცისა და აპლიკაციის პრობლემატიკა. სახელები ანდა ნიშანდობლიობანი მოლაპარაკემ ისე უნდა შეარჩიოს, რომ მოცემულ სიტუაციაში მსმენელმა შეძლოს საკმარისად სანდო იდენტიფიცირება ანუ შესაძლო საგანთაგან იმ საგნის გამორჩევა, რომელსაც გამოთქმა ეხება.

ა) და ბ) განმარტებანი ქმნიან ენობრივი დიფერენცირების ახალ დონეს. რამდენადაც მოლაპარაკე ამ დონეს ჩამორჩება, იმდენადვე მისი გამოთქმები *იდიოსინკრატულ შტრიხებს* იძენენ. ვერბალიზებულსა და არავერბალურ ანდა ჟესტებში გამოხატულ მნიშვნელობის შინაარსს შორის მერყეობანი ისევე ააშკარავებენ *კერძომნიშვნელობებით* განხორციელებულსა და დეფორმირებულ ენის ხმარებას, როგორც ეს სამზეოზე გამოაქვს საჯარო ენის თვითნებურსა და თავის კავშირ–მიმართებაში არაერთმნიშვნელოვან აპლიკაციას.

გ) და დ) ენის გათვითმყოფადების შემდგომი ტენდენცია ხორციელდება ლაპარაკისა და მეტყველება-მოქმედებათა ფონის გათიშვით. ერთგან ვაჩვენე, რომ მონაწილეთა პერსპექტივების სისტემატური შეკავშირება დამკვირვებლის პერსპექტივებთან აკონსტიტუირებს როლებს გინა ნორმატიულ ქცევის ურთიერთდაკავშირებულ მოლოდინებს. ამით რეალობის სფერო სიმბოლურად გაშუალებულ ინტერაქციებად იხლიჩება: მოქმედების ნორმები და ღირებულებები ქმნიან რელატიურად ინვარიანტულ ფონს, რომელზეც ინტერაქციის ხდომილებანი მეტყველების აქტთა, არავერბალურ მოქმედებათა და ჟესტების თანმიმდევრობაში მიმდინარეობენ. მეტყველებასა და

საზოგადოების ნორმატიულ რეალობას შორის სხვაობას შეესატყვისება მეტყველებასა და მოლაპარაკის სუბიექტურობას შორის განსხვავება. მეტყველების ამ ორმხრივ განსხვავებას, მოქმედების ნორმათა რეალობისა და ღირებულებებისგან და – მოქმედის სიმბოლურად ორგანიზებული იმ მესგან, რომელიც როლების სისტემაში თავის ადგილს იკავებს, შედეგად მოსდევს ურთიერთგაგების პროცესის დიდი კომპლექსურობა. სიმბოლურად გაშუალებული ინტერაქციების საფეხურზე ურთიერთგაგება კომუნიკაციის იმპერატიული მოდუსის შიგნით ნიშნავს როგორც იმას, რომ სხვას გააგებინო ქცევის მოლოდინი, ასევე – იმასაც, რომ იგი შეასრულებინო. „ურთიერთგაგება“ დღესაც გაგებისა და შეთანხმების ზემოთხსენებული ორკეცი კონოტაციის მქონეა. როგორც კი მეტყველება წყდება ნორმატიულ ფონსა და მოლაპარაკის იდენტობას, გამოთქმის საზრისის ზიარი გაგება აღარ წარმოადგენს eo ipso გამოთქმის სისწორესა და მისაღებობაზე შეთანხმების გარანტს. ამასთან, თავისი მნიშვნელობის შინაარსით გასაგები გამოთქმის სისწორის თაობაზე უთანხმოება იმას ემყარება, რომ გამოთქმა

- არ შეეფერება ერთობლივად აღიარებულ ნორმას ანდა
- ისეთ ნორმას შეესატყვისება, რომელიც თავი მხრივ სადაო არის. უთანხმოება შეიძლება ეხებოდეს მოლაპარაკის თვითგამოსახვას ანუ
- იმას, რომ გამოთქმა
- არ არის აღიარებული იდენტობის გინა მე–იდეალის შესატყვისი ანდა
- ისეთი იდენტობის შესატყვისია, რომელიც თავის მხრივ საკამათოა.

ე) გამოხატვის სხვა ფორმებიდან, მოქმედების კონტექსტიდან, საზოგადოების ნორმატიული რეალობიდან და მოლაპარაკის სუბიექტურობიდან მეტყველების გათვითმყოფადების რეზულტატი იმაში მდგომარეობს, რომ მეტყველება დაექვემდებარება *გარეგან ორგანიზაციას*, რომელიც აწესრიგებს მართვის დამატებით წარმოშობილ პრობლემებს;

მაგ. – სოციალურ პრობლემას: ვინ რა სიტუაციაში უნდა მიიღოს (აქტიური თუ პასიური) მონაწილეობა ლაპარაკის პროცესში; როგორი ფორმალობითა თუ როგორი დიფუზურობით განისაზღვრება ურთიერთობანი; – დროითს პრობლემას: ვინ უნდა დაიწყოს ანდა დაამთავროს ლაპარაკი, ვინ რა სიხშირითა და თანმიმდევრულობით უნდა გამოთქვას აზრი და განაგრძოს საუბარი; საგნობრივად – როგორ უნდა დალაგდნენ შინაარსები თემებისა და წილების მიხედვით; რა სიმწვავით უნდა დაისვას თემები, რა ინტენსივობით უნდა გაირჩეს ისინი, რა მოცულობის უნდა იყოს ლაპარაკში წილების სპექტრი და ა.შ. ბუნებრივია, რომ მეტყველების გარეგნულ ორგანიზაციაში ის ნორმატიული კონტექსტიც აისახება, რომელიც ინტერაქციის ნიმუშს ადგენს. მაგრამ მეტყველება, გარდა ამისა, ორგანიზაციის მის საკუთარ იმპერატივებსაც ემორჩილება; ამასთანავე, იგი გამოიყენება იმ სცენად, რომელზეც მოლაპარაკე ითავსებს სხვადასხვა ინსტიტუციონალურ კონტექ-

სტს და კოორდინაციას უწევს თავის ურთიერთგანსხვავებულ მოქმედების გეგმებსა და მოთხოვნილებებს. ამრიგად, თითოეულ მონაწილეს შეუძლია შეეცადოს, იმ მიზნით მოახდინოს სტრატეგიული გავლენა მეტყველების გარეგან ორგანიზაციაზე, რომ ნორმატიული კონტექსტი თავის სასარგებლოდ შეცვალოს. მეტყველების გათვითმყოფადება ხსნის შესაძლებლობას, *კომუნიკაციური ქმედების საშუალება სტრატეგიულად* აამოქმედოს კონსენსუსის ვალდებულებათა აშკარა დაზიანების გარეშე. ამის საუკეთესო მაგალითია როგორც საქმიანი დებატები გაერთიანებებსა და პარლამენტებში, ისე – საუბრები არაფორმალურ ჯგუფებში, და განსაკურთებით, – ოჯახებში გათამაშებული მეტყველების სტრატეგიები, რომლებიც კონსენსუელური ქმედების (და კონფლიქტების კონსენსუელური მოწესრიგების) პირობით არათავსებადი ინტერესების არადეკლარირებულ ხორცშესხმას ემსახურებიან. ეგოცენტრული ინტერესები ბევრად თუ ოდნავ თვალშისაცემად შეიძლება იყონ ჩაშენებულნი მეტყველების ორგანიზაციის ასიმეტრიებში.

ვ) მეტყველების გათვითმყოფადება, რომელიც (ა) და (ბ) პუნქტებში გავარჩიეთ, აისახება *მეტყველების შინაგან ორგანიზაციაში.* მეტყველების გარეგანი ორგანიზაცია ნორმატიულად ე.ი. ინსტიტუციონელური ბუნების დებულებების გზით განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა გადაიჭრან ენობრივი კომუნიკაციის სისტემის მართვის ზოგადი პრობლემები; მეტყველების შინაგანი ორგანიზაცია მდგომარეობს მეტყველება-მოქმედებების თანმიმდევრობათა უნივერსალურ-პრაგმატიკულ მოწესრიგებაში, რომელიც თავისი ტრანსცენდენტალურად მაიძულებელი ბუნების გამო, სოციალური ნორმებით ზურგის გამაგრებას არ საჭიროებს.

წესმართებულად (თუ უწესმართებულოდ) შედგენილი, გრამატიკულად ჩამოყალიბებული გამოსახულებების ა) პუნქტში დახასიათებული სფეროს გათვითმყოფადებით ჩნდება აუცილებლობა, გამოთქმა შევაფასოთ როგორც ენის ელემენტი: გამოთქმა *გაუგებარია* თუ იგი არ განეკუთვნება სრულქმნილ გამოთქმათა რიცხვს, რომელთა წარმოება შესაძლებელია შესაბამისი გრამატიკული წესთა სისტემის დახმარებით. ბ) პუნქტში დახასიათებული გამოთქმის შინაარსთა გათვითმყოფადებასთან ერთად, ჩნდება აუცილებლობა იმისა, რომ შევაფასოთ, პროპოზიცია ჭეშმარიტია თუ *ყალბი;* და – შეიძლება თუ არა იმ საგნის იდენტიფიცირება, რომელზეც რაღაც გამოითქმება; ეს ნიშნავს: წინადადებას შეუძლია, იყოს ჭეშმარიტი, თუ იგი *უაზრო. გ)* პუნქტში მოხსენიებული გათიშვით მეტყველების და ნორმატიული ფონისა, ჩნდება აუცილებლობა, მოცემული გამოთქმა განხილული იქნას იმ თვალსაზრისით, ასრულებს თუ არა იგი მავალდებულებელ ღირებულებას ანდა მიღებულ ნორმას და *სწორი* არის თუ არა ამ აზრით; თუ იგი *სცოდავს* მოლოდინის შემოღებული სტრუქტურების წინაშე; ასევე მოლაპარაკის მეტყველებისა და სუბიექტურობის გათიშულობასთან ერთად ჩნდება

აუცილებლობა, მოლაპარაკის გამოხატული ინტენცია იმის მიხედვით განისაჯოს, გამოხატავს თუ არა მას იგი *გულწრფელად;* თუ იგი *არა-გულწრფელია* თავის გამოხატვაში.

მნიშვნელობის მაფუძნებელ უნივერსალურ მოთხოვნებში, რომლებსაც აუცილებელია, ვიცავდეთ მეტყველების აქტთა განხორციელებისას, აისახება ის დამოკიდებულებანი, რომლებითაც მეტყველების აქტები მიმართებაში არიან თავიანთს ენობრივ მედიუმთან, გარეგან, ობიექტივირებულ სინამდვილესთან, საზოგადოების ნორმატიულ რეალობასთან და მოლაპარაკის შინაგან, სუბიექტურ ბუნებასთან. როგორც კი აშენებულია მეტყველების მნიშვნელობის ბაზისი, შესაძლებელია ენის ხმარების მოდუსთა დიფერენცირება: – კერძოდ იმის თანახმად, თუ რომელი მნიშვნელოვნების პრეტენზია იქნება თემატურად გამოყოფილი – ენის კოგნიციურ, ინტერაქციურ და ექსპრესიულ გამოყენებად. კომუნიკაციის სხვადასხვა მოდუსთა გაჩენა აუცილებელი პირობაა პერფორმაციული უარყოფისა, ე.ი. – იმისა, რომ წინადადებათა ნეგაცია მეტყველება–მოქმედებებზე გავრცელდეს. კომუნიკაციის პირველ საფეხურზე უარყოფადია მხოლოდ და მხოლოდ სხვისი ქცევის მოლოდინი; მეორეზე – კი მოლაპარაკეს ხელეწიფება ერთმანეთისგან განასხვაოს მეტყველების აქტით შემოთავაზებულის უარყოფა (მე არ მაკმაყოფილებს შენი შეპირება), უარყოფილი მეტყველების აქტი (არ გპირდები, რომ მოვალ) და უკუგდებული გამონათქვამი (მე გპირდები, რომ არ მოვალ).

(3) როცა მნიშვნელოვნების ბაზისის „ტრანსცენდენტალურ" ადგილის ღირებულებაზე ვლაპარაკობთ, ძალიან ადვილი შესაძლებელია, წარმოიშვას გაუგებრობა, თითქოსდა შესაძლებელი არ იყოს მნიშვნელობის მაფუძნებელი უნივერსალური მოთხოვნებიდან გადახვევა, თითქოსდა მოუწყვლადი იყოს მეტყველების შინაგანი ორგანიზაცია. ამ შემთხვევაში არაფრად დაგვჭირდებოდა მეტყველების ნორმატიული საფუძვლის ექსპლიცირება, რადგან კომუნიკაციის გამრუდებული ნიმუშისთვის უინტერესო იქნებოდა კომუნიკაციის ნორმალურობის ის პირობები, რომელთაგან გადასვლა მოლაპარაკეს არ შეეძლებოდა. მეორე მხრივ, ეტყობა ნორმალურობის პირობები მეტყველების გარეგანი ორგანიზაციისთვის სხვა აზრით არიან მოცემულნი, კიდრე – მეტყველების შინაგანი ორგანიზაციისთვის. დროითი, სივრცითი და საქმიანი დისპოზიციების პრობლემები ნორმირებათა ვრცელ ასპარეზს იძლევიან, რომლის გამოყენება შესაძლებელი ხდება კომუნიკაციის ფუნქციური კონტექსტების მიხედვით. მაგრამ ენითი კომუნიკაციის პათოგენეზის გასაღებს მე ვსვდავ *ენის გარეგანი ორგანიზაციის გადატვირთულობაში,* რომელიც აწვება *ენის შინაგან ორგანიზაციას.* მე ვიყენებ გამოთქმას „გამრუდება," რადგან იმის დაფიქსირება მინდა, რომ ენის შინაგანი ორგანიზაცია გამოთქვამს ენითი კომუნიკაციის უნივერსალურსა და მიუცილებელ წი-

ნასწარგულისხმობებს; ის ტრანსცენდენტალური აუცილებლობა, რომელიც მოქცეულია მიუცილებლობისა თუ უალტერნატივობის ბუნებაში, მოუწყვლადობას კი არ ნიშნავს, არამედ: მეტყველების შინაგანი სტრუქტურის დაზიანების შემთხვევაში თავს იჩენენ კომუნიკაციის ნიშუშის პათოლოგიური დეფორმაციები. პათოგენეზი პრობლემის იმ დაწოლვაზე დაიყვანება, რომელსაც მეტყველების გარეგანი ორგანიზაცია გამრუდების ეფექტის გზით გადასცემს შინაგან ორგანიზაციას. თავდაპირველად მინდა, გავაანალიზო *მეტყველების მნიშვნელობის ბაზისში ჩანერგილი* გამრუდება.

სისტემურად გაუკუღმართებული კომუნიკაციის მოშლა უფრო სიღრმისეულ სიბრტყეზე ძევს, ვიდრე ანომიური* ქცევის მოშლა, რომელიც გამოხატავს სოციალურად მავალდებულებელი ნორმისაგან გადახვევას. გაუკუღმართებული კომუნიკაციები არ არღვევენ მოქმედების ნორმებს, რომლებსაც შემთხვევით მოუპოვებიათ სოციალური მნიშვნელობა, არამედ ისინი არღვევენ კომუნიკაციის საყოველთაო წანამძღვრებს, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ იცვლებიან შემთხვევითს ნორმატიულ კონტექსტებთან ერთად. რა თქმა უნდა, მოშლილი კომუნიკაცია კომუნიკაციადვე რჩება, რომელიც უმრავლეს შემთხვევებში ისევ ნორმალურ მეტყველებად ითვლება; – „ნორმალურის" იმ გაგებით, რომელიც ნორმალურობის კულტურალისტური ცნებიდან გამომდინარეობს და მოიცავს ყველაფერს, რაც არ გადის სოციალურად აღიარებულის ჩარჩოებიდან.

კომუნიკაციური ქმედების საყოველთაო წანამძღვრებად ვრაცხთ: – რომ მონაწილენი ერთმანეთის მიმართ *ურთიერთშერაცხადნი* არიან. ე.ი. უშვებენ, რომ გადალახული აქვთ ბავშვური ეგოცენტრიზმი და ძალუძთ ერთმანეთისგან განასხვაონ ენის ინტერსუბიექტურობა, გარეგანი ბუნების ობიექტურობა, შინაგანი ბუნების სუბიექტურობა და საზოგადოების ნორმატიულობა, და – რომ ისინი ერთმანეთის მიმართ *გაგებისმზაობაში* იმყოფებიან. ე.ი. უშვებენ ორმხრივ დისპოზიციას, რომ იმოქმედონ კონსენსის საფუძველზე. მეტყველების ოთხი შინაგანად დამახასიათებელი პრეტენზიის (გამოხატვის გასაგებობა, მტკიცებული ანდა მოხსენიებული პროპოზიციური შინაარსის ჭეშმარიტება, გამოთქმის სისწორე აღიარებული ნორმატიული ფონის დამოწმებით და მოლაპარაკის გულწრფელობა გამოხატული ინტენციების გათვალისწინებით) საშუალებით კონსენსს მიაღწიონ, ე.ი. *ურთიერთგაგება* ეძიონ. ურთიერთგაგების ურთიერთნაგულისხმები მზაობის კომუნიკაციის საყოველთაო წინამძღვარი, ბუნებრივია, ძალაშია არა სტრატეგიული ქმედებისთვის, არამედ – მხოლოდ კომუნიკაციური მოქმედებისთვის. ამრიგად, მოლაპარაკე, რომელიც მზად არის ურთიერთგაგებისთვის.

---

* მანკიერი საზოგადოებრივი ინტეგრაციის მდგომარეობა სოციალური წარმონაქმნის შიგნით, რომელიც ხასიათდება დეეიდენტობითა და ქცევის აქამდე აღიარებული წესების უგულვებელყოფით – მთარგმ. შენიშვნა.

– ისე შეარჩევს ენითს გამოთქმას, რომ მსმენელი მას სწორედ ისე გაიგებს როგორც მოლაპარაკეს სურდა, რომ მსმენელს იგი გაეგო;

– ისე ჩამოაყალიბებს გამოთქმის შინაარსს, რომ იგი გამოცდილებას ანდა ფაქტს გადმოსცემს (და მსმენელს შეეძლება მოლაპარაკის ცოდნის გაზიარება);

– ისე გამოხატოს თავისი ინტენცია, რომ ენობრივი გამოთქმა გულისნადებს გადმოსცემს (და მსმენელს შესაძლებლობა აქვს, ენდოს მოლაპარაკეს);

– ისე წარმართოს მეტყველება-მოქმედება, რომ იგი ასრულებდეს აღიარებულ ნორმას გინა მიღებულ თვითხატებს ემთხვეოდეს (და მსმენელს შეეძლოს მოლაპარაკისადმი დათანხმება).

გამოყენებული *წინადადების* ვარგისობა იმაზე კიდია, არის თუ არა იგი გრამატიკული წესების მიხედვით მთელი სისრულით *ჩამოსხმული, გამონათქვამის* ვარგისობა (გინა პროპოზიციური შინაარსის ეგზისტენციის წანამძღვრები) კი იმაზე – *შეესატყვისება* თუ არა იგი რეალობას; გამოხატული *ინტენციის* ვარგისობა დამოკიდებულია იმაზე, *ემთხვევა* თუ არა იგი იმას, რასაც მოლაპარაკე ფიქრობს; მეტყველება-მოქმედების ვარგისობა კი იმაზე – *აკმაყოფილებს* თუ არა იგი აღიარებულ ნორმატიულ ფონს.

როცა რომელიმე კომუნიკაციის *გასაგებობა ირღვევა*, კომუნიკაციის მოშლა შეიძლება თემად იქცეს ჰერმენევტიკული დისკურსის სიბრტყეზე; კერძოდ – ენის შესაბამის სისტემასთან კავშირში ენის კოგნიციური გამოყენებისას ჩვენ მეტყველების აქტისთვის შინაგანად დამახასიათებელ დასაბუთების ვალდებულებას ვეძლევით. მდგენელი მეტყველების აქტები შეიცავენ შეთავაზებას, საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრებული იქნას *გამოცდილების ის წყარო*, საიდანაც მოლაპარაკე ქაჩავს უტყუარობას იმისას, რომ მისი გამონათქვამი ჭეშმარიტია. თუ ეს უშუალო დასაბუთება ვერ აუქმებს ad hoc წამოჭრილ ეჭვს, მაშინ პრობლემატიზებული ჭეშმარიტების პრეტენზია შეიძლება თეორიული დისკურსის საგნად იქცეს. მაგრამ რეგულაციური მეტყველების აქტები მოლაპარაკის მხოლოდ და მხოლოდ იმ შეთავაზებას შეიცავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში დაემყაროს *ნორმატიულ კონტექსტს*, რომელიც მოლაპარაკეს ანიჭებს *დაჯერებულობას* იმაში, რომ მისი გამოთქმა სწორია. მეორე მხრივ, თუ ეს უშუალო გამართლება ვერ უკუაგდებს ad hoc გაჩენილ ეჭვს, მაშინ ხდება დისკურსის – კერძოდ პრაქტიკული დისკურსის სიბრტყეზე გადასვლა. მაგრამ მასში დისკურსული შემოწმების საგნად იქცევა არა მეტყველების აქტთან პირდაპირ შეერთებული სისწორის პრეტენზია, არამედ – *მნიშვნელოვნების პრეტენზიის საფუძველმდებარე ნორმა*. დაბოლოს, მოლაპარაკე ენის ექსპრესიული გამოყენებისასაც ეძლევა მეტყველების აქტისთვის იმანენტურ მოვალეობას, კერძოდ – დასაბუთების მოვალეობას, თავისი ქმედების შედეგებით აჩ-

ვენოს, რომ სწორედ ის ინტენცია გამოხატა, რაც მას ფაქტიურად წარმართავს. იმ შემთხვევაში თუ უშუალო *დარწმუნებულობას,* რომელიც იმას გამოხატავს, რაც მოლაპარაკისთვის ევიდენტურია, არ ძალუძს ad hoc წამოჭრილი ეჭვის დამსხვრევა, მაშინ გამოთქმის სიწრფელე მოწმდება მხოლოდ და მხოლოდ მოქმედების შედეგთა მდგრადობით.

მაგრამ რას ნიშნავს კომუნიკაციის საყოველთაო წანამძღვრების წინაშე შეცოდება?

გამოთქმა უნდა იყოს სრულყოფილი, რომ შეიძლებოდეს მისი გაგება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ გამოდგება ურთიერთგაგების მიზნისთვის. შეუძლებელია ვინმეს კომუნიკაციის დამყარებაც უნდოდეს და ამავე დროს გაუგებრად ანდა დამახინჯებულად ლაპარაკი სურდეს; ამაშია იძულების მომენტი, რომელიც მოგვაგონებს ტრანსცენდენტალურ აუცილებლობას. მაგრამ გასაგებობა ისეთი პრეტენზიაა, რომლის დაკმაყოფილება ნაბიჯ-ნაბიჯ შეიძლება; გამოთქმა შეიძლება ცოტად ან ბევრად გასაგები იყოს, მაგრამ აუცილებელია იგი საერთოდ, ე.ი. საკმარისად გასაგები იყოს, თუკი ხამს, მან თავისი კომუნიკაციური მიზანი შეასრულოს. არსებობს შესაძლებლობა, რომ შესაბამისი ფუნქციური კონტექსტის გათვალისწინებით სხვადასხვანაირად იქნას ნორმირებული გამოთქმათა გასაგებობა. ამის მაგალითია დაზუსტების მიწერილობანი და ექსპლიკაციის მოთხოვნები მეცნიერების სისტემაში. მე მინდა გასაგებობის პრეტენზიის წინაშე შეცოდებათა მთელი მწკრივი შევადარო, რათა იდენტიფიკაცია ვუყო იმ პირობებს, რა პირობებშიც ხდება კომუნიკაციის სისტემატური გამრუდება.

ა) მოლაპარაკეს, რომელიც უცხო ენაში მოიკოჭლებს და უნდა ამ ენაზე გასაგებად გამოხატოს აზრი, მაგრამ მარცხს განიცდის. მისი გამონათქვამები გაუგებარნი რჩებიან. მოლაპარაკეს იმის გამოხატვა, რასაც ფიქრობს, სრულყოფილად შეუძლია თავის დედაენაზე. ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ არა სისტემურად გამრუდებულ კომუნიკაციაზე, არამედ არაკომპეტენტურობაზე, გულისხმადებს რეალიზაცია უყო უცხო ენის კონვენციებში.

ბ) მეცნიერი არცთუ საკმაოდ გასაგებად ლაპარაკობს, იგი არ იცავს მაგ. ექსპლიკაციის მოთხოვნებს და დარგობრივად დალაგებული დისკურსის ტერმინოლოგიას. მისი კოლეგები არაგასაგებობაზე წუწუნებენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ფაქტიური გამოთქმები გაუგებარნი არიან, არამედ — მარტოდენ იმას, რომ ისინი სცოდავენ გასაგებობის დონის ნორმების წინაშე, რასაც უნდა მოველოდეთ დარგობრივი საჯაროობის კონტექსტში. ამ შემთხვევაშიც კი კომუნიკაცია გამრუდებული არ არის.

გ) უსიამო სიტუაციაში ერთი თანამონაწილეთაგანი ისე ცდილობს აზრის გამოთქმას, რომ შესაძლებელი იყოს შემსუბუქებული გაუგებრობის შენარჩუნება, სულერთია, იგი განზრახ გაჩნდა თუ შემთხვევით. ანდა მოლაპარაკე ცდილობს კომუნიკაციურად მოქმედ სიტუაციაში, რომელშიც შე-

ხაძლო რეაქციები ამგვარადვე უსიამონი შეიძლება იყენენ, აზრი გაუგებრად გამოთქვას – იგი ირჩევს კომუნიკაციის შეწყვეტის ანდა გაბუნდოვნების ლმობიერ ფორმას, რათა გადაილახოს ის კონფლიქტი, რომლის შეჩერება აწი აღარ არის შესაძლებელი. ორივე შემთხვევაში საქმე არ ეხება სისტემურად გამრუდებულ კომუნიკაციას, პირიქით კონსენსუელური ქმედების ნაცვლად გამოდის სტრატეგიული ქცევა. მიზანმიმართული მრუდედგაგება და მიზანმიმართული გაუგებრობა სტრატეგიის ნაწილია, რომელშიც მოლაპარაკე უსიტყვოდ შეაჩერებს ხოლმე კომუნიკაციის წანამძღვრებს (გულწრფელობას, სისწორეს).

დ) მოლაპარაკე გაუგებრად, ანდა ბუნდოვნად გამოთქვამს (დედაენაზე) თავის აზრს, მაგრამ ვერც კი ამჩნევს ამას ანდა ეს ჩაფიქრებული არა აქვს. გამოთქმის ფორმის ანომალია შესაძლოა განხორციელდეს ენის ულოგიკო ანდა სულაც პარადოქსული გამოყენების გზით. ე.ი. იმის წყალობით, რომ ერთმანეთს უპირისპირდებიან ვერბალური და გარეენობრივი შეტყობინებანი; მაგრამ გამოთქმის უცნაური ფორმა შეიძლება წარმოიშვას სემანტიკის იდიოსინკრატული გამოყენების ანდა ენის სინტაქსის წინაშე შეცოდების გზით. მე მინდა სისტემურად გამრუდებულ კომუნიკაციაზე ვილაპარაკო, როცა გასაგებობის კომუნიკაციის წანამძღვარსა, და მაშასადამე, მეტყველების შინაგან ორგანიზაციას აზიანებს კერძოენობრივი ჩარევა, თუმცა მოლაპარაკე წინასწარგანზრახულად არ ტოვებს კონსესუელური ქმედების საფუძველს.

ასევეა ორი მომდევნო მნიშვნელოვნების პრეტენზიის – გულწრფელობისა და სისწორის – საქმეც. ინტენცია უნდა გამოითქვას გულწრფელად თორემ მეტყველების ინტენცია არ ივარგებს ურთიერთგაგების მიზნისთვის. მეორე მხრივ, ტრანსცენდენტალური იძულება შეიმჩნევა იმ მდგომარეობაში, რომ შეუძლებელია ორივე მათგანი ვინმეს ერთდროულად სურდეს: გაუგონ და თავისი გულისნადები კი არაგულწრფელად გამოთქვას. კოგნიციურ ენის გამოყენებაში (ვამტკიცებ, რომ p) იმპლიცირებული მეტყველების ინტენცია (რომ მოლაპარაკემ რაღაც *იცის*) არ ხდება თემატური. ასევე, ინტერაქციურ ენის გამოყენებაში (ვიბრძანებ, რომ p) ჩადებული მოლაპარაკის ინტენციური განცდები (რომ ის ბრძანებას იძლევა გაუბედავად, მუქარით, გულგრილად, უსიამოდ და ა.შ.) მხოლოდ სხვათა შორის გამოიხატება. მხოლოდ და მხოლოდ ენის ექსპრესიულ გამოყენებაში (ვვარაუდობ, რომ p; ვიმედოვნებ, რომ p; არ ვმალავ, რომ მენატრები... ვერ გიტან... მიყვარხარ და ა.შ.) ინტენციური განცდები კარგავენ თავიანთს მხოლოდღა თანმხლებლობის ქარაქტერს. მართალია, არსებობს ალტერნატივა, რომ მოლაპარაკემ თავისი ინეტენცია გულწრფელად ანდა არაგულწრფელად გამოთქვას; მაგრამ გულწრფელობაზე პრეტენზიის *თანდათანობითი* შესრულება მაინც შესაძლებელი ხდება; კონტექსტზე ჰკიდია ის, თუ *რამდენ*

რას მალავს მოლაპარაკე ექსპლიციტურად წრფელ გამონათქვამთა მიღმა. ეს გარემოება, სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტებში, არის საბაბი გულწრფელ გამოხატვათა მოცულობის ნორმირებისა. ამის მაგალითებია სისხლის სამართლის პროცესზე ანდა ქორწინების ცერემონიალზე დაფიცებითი გამონათქვამები, რომლებიც „სრულ ჭეშმარიტებაზე" ცალმხრივი თუ ორმხრივი პრეტენზიის ინსტიტუციონალიზებას ეწევიან. ე.ი. გამორიცხავენ სტრატეგიულ დათქმებს. შევადაროთ შემდეგი შემთხვევები:

ა) მოწმეზე მიაქვთ ეჭვი, რომ მან ყალბი გამონათქვამი გააკეთა; იგი იმეორებს თავის გამონათქვამს ფიცის ქვეშ. მოგვიანებით მჟღავნდება, რომ მან განზრახ დამალა მნიშვნელოვანი ფაქტი ისე, რომ აშკარა ტყუილი არ უთქვამს. მოწმე ამ შემთხვევაში სცოდავს სისხლის სამართლებრივი პროცესის ფუნქციის მნიშვნელოვანი ნორმის წინაშე: ჭეშმარიტება ითქვას სრული მოცულობით; იგი სტრატეგიულად იქცევა მოქმედების იმ სფეროში, რომელშიც მნიშვნელადი ნორმა კონსენსუელურ საფუძველზე ქმედებას გვავალდებულებს.

ბ) წყვილის თანაცხოვრებაში ერთ-ერთი მეუღლე თვალთმაქცურად ამჟღავნებს ისეთ გრძნობებს, რომლებსაც მეორე მეუღლე მოელის. დავუშვათ, რომ საქმე ეხება ქალს, რომელსაც არ უნდა საფრთხე შეუქმნას ქორწინების ნორმატიულ კონტექსტსა და ოჯახის სიმტკიცეს; ამ სტრატეგიული მიზნის გულისთვის იგი თავს ისე აჩვენებს თითქოსდა სიყვარულითვე პასუხობდეს თავისი ქმრის მოსიყვარულე გრძნობას, რომელიც მან რახანია შეიძულა. მოლაპარაკემ იცის, რომ იგი სტრატეგიულად იქცევა, მაგრამ ამას სხვებს უმალავს, რათა გარეგნულად შეინარჩუნოს კონსენსუელური ქმედების საფუძველი. ამრიგად, წარმოიშობა კომუნიკაციის ორი სიბრტყე: გააშკარავებული ქცევის სიბრტყეზე სრულდება კონსენსუელური ქმედების კომუნიკაციის წანამძღვრები; ფარული ქცევის სიბრტყეზე კი ერთ-ერთი თანამონაწილე სტრატეგიულად იქცევა და შეგნებულად არღვევს გულწრფელობის წინასწარგულისხმობას. ერთი მხარე გამიზნულად შლის მეტყველების შინაგან ორგანიზაციას.

გ) შეგვიძლია მოტანილი მაგალითის ვარირება მოვახდინოთ: ქალი არა მარტო ქმარს ატყუებს თავისი გრძნობების თაობაზე, არამედ, — თავის თავსაც; იგი იხშობს თავის ზიზღს (ყურადღებას არ ვამახვილებ ანალოგიური სტრუქტურის მქონე შემთხვევაზე, როცა ორივე პარტნიორი ერთმანეთთან ურთიერთობაშიც ტყუიან და — საკუთარ თავთანაც; ეს შემთხვევა ჩვენ მიერ განხილული მარტივი შემთხვევიდან მხოლოდ და მხოლოდ კომპლექსურობის ხარისხით განსხვავდება). მეორე მხრივ, კომუნიკაცია გახლეჩილია და იგი გააშკარავებულ სიბრტყეზე ისე მიმდინარეობს, რომ შესრულებულია კომუნიკაციური ქმედების პირობები, მაშინ როცა ფარულ სიბრტყეზე ერთი თანამონაწილეთაგანი სტრატეგიულად იქცევა იმით, რომ გადაავადებს გულწრფელობის პრეტენზიის შეჩერებას. მაგრამ ამ შემთხვე-

ვაში მოლაპარაკე წინასწარი განზრახვის გარეშე არღვევს კომუნიკაციის წანამძღვარს და — ისე, რომ მეტყველების შინაგანი ორგანიზაცია *ორივე მხარის მიერ შეუმჩნეველად* იშლება. (ბ) და (გ) შემთხვევებში თანამონაწილეებს შორის კომუნიკაცია სისტემურად მრუდდება, მაგრამ მხოლოდ ბოლო შემთხვევაში დაიყვანება ეს მოშლა თანამონაწილის ფსიქიკის შიგნით კომუნიკაციის შეწყვეტაზე.

მსგავსი შედეგები მოსდევს სისწორის პრეტენზიის გადავადებასაც. გამოთქმა უნდა პასუხობდეს ნორმატიულ კონტექსტს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იქნება მიღებული და არ მოემსახურება ურთიერთგაგების მიზანს. ტრანსცენდენტალური იძულება იმის საშუალებით ტარდება, რომ შეუძლებელია ვინმეს სურდეს ურთიერთგაგების მიღწევა და ამავე დროს ისეთ გამოხატვებს გამოსცემდეს, რომლებიც სცოდავენ სოციალურად აღიარებული ნორმებისა და ღირებულებების წინაშე. ამასთანავე ხელუხლებლად ვტოვებ საკითხს იმის თაობაზე, ნორმატიული ფონი ერთნაირად კრავს თუ არა ყველა თანამონაწილეს; ანდა ეს ფონი ნორმატიული თვითხატის გზით გაშუალებულად ხომ არ ადგენს, როგორი მოქცევა მართებს *განსაზღვრულ* პერსონას მოცემულ სიტუაციებში. მე ერთმანეთისგან განვასხვავებ *ფორმალიზების იმ ხარისხს*, რომლითაც ხდება ქცევის ნორმირება და განსაზღვრული ქცევის გზით შემოღებული ნორმის *შესრულების ხარისხს*. ჩვენ კონტექსტში საინტერესოა ნორმებიდან მხოლოდ ის გადახრა, რომლის შემდგომი ნორმირება შეუძლებელია. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

ა) მოლაპარაკე იქცევა ძალზე თვითნებურად იმით, რომ უგულვებელყოფს სოციალურ დისტანციებს და ისეთი ინტიმურობის დამყარებას ცდილობს, რაც არ შეესაბამება მოცემულ სიტუაციას. ნორმების ამგვარ დარღვევას არაფერი ესაქმება გამრუდებულ კომუნიკაციასთან.

ბ) მოლაპარაკე შესაძლოა, უხერხულად იქცეოდეს ისეთ ძალზე ფორმალიზებულ სიტუაციებში, როგორიცაა წვეულება, გამოცდა და სხვ. იგი ვერ მოერგო სიტუაციას და უხერხულობა ეუფლება, ანდა იგი „არაადეკვატურად იქცევა", რადგან ნორმატიულ კონტექსტს არ იცნობს. აქ საქმე ეხება ნორმისაგან გადახვეულ ქცევას, რომელიც გამოწვეულია არაკომპეტენტურობით, რასაც ასევე არაფერი ესაქმება გამრუდებულ კომუნიკაციასთან.

გ) მინდა მისგან განვასხვავო ტლანქი ქცევა, რომელიც სტერეოტიპურად მეორდება, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ მას თვითონ მოქმედი განიცდიდეს როგორც ანომალიურს. ნევროტიკული ქცევის ნიმუში სწორედ ამ ტიპს განეკუთვნება; ესაა გამოხატვები, რომლებიც იძულებით არიან სტანდარტიზირებულნი და დანარჩენი მონაწილეები მათ გამომწვევ და უადგილო საქციელად განიცდიან. მეორე მხრივ, ჩვენ ვართ კომუნიკაციის გახლეჩის მოწმენი: ამჯერზე მხოლოდ მოლაპარაკე მიიჩნევს კომუნიკაციის წანამძღვრებს შესრულებულად, მაშინ როცა დანარჩენი მონაწილეები კო-

მუნიკაციას მოშლილად თვლიან. მეტყველების შინაგანი ორგანიზაცია ირღვევა გაცხადებულ სიბრტყეზე; მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკეს ეჩვენება, რომ კომუნიკაცია აუმღვრეველად მიმდინარეობს.

დ) თუ თანამონაწილენი ვერ თანხმდებიან ნორმატიული ფონის თაობაზე, თუ სხვას (alter) მოქმედების ნორმა სწორად მიაჩნია, ეგო კი ამას უარყოფს, ანდა თუ სხვა (alter) არ ეთანხმება ეგო-ს თვითხატს, მაშინ აღარ შეგვიძლია კვლავ გადახრილ ქცევაზე ვილაპარაკოთ; უფრო მეტი, ეს უკვე კონფლიქტია. ამას მხოლოდ მაშინ შეიძლება მოჰყვეს მეტყველების შინაგანი ორგანიზაციის გამრუდებელი შედეგები, თუ კონფლიქტს ჩქმალავენ და აჩუმათებენ; იგი კი ვითომდა კონსენსუელური ქმედების საფარველს ქვეშ კიდევ უფრო და უფრო მწვავდება. აქაც თავს იჩენს კომუნიკაციის გახლეჩა, რასაც გამოწვლილვით გავარჩევთ.

მე არ განმიხილავს ჭეშმარიტების პრეტენზიის გაუკუღმართებანი. ამ პრეტენზიის შესრულების სოციალური ნორმირება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მეტყველების აქტისთვის იმანენტურ დასაბუთების ვალდებულებაზე გავრცელდეს. ლაყბობისას წამოყენებულ მტკიცებაზე, ბუნებრივია არ შემიძლია იგივე ვალდებულება ვაკისრო, რასაც სამეცნიერო დისკუსიაზე მეცნიერული მოხსენებისთვის ვღებულობ. საინტერესოა, რომ არ არსებობს ჭეშმარიტების ისეთი დამახინჯება, რომელიც სიმპტომატური იქნებოდა სისტემურად გაუკუღმართებული კომუნიკაციისთვის.

ა) ადამიანი შეიძლება ცდებოდეს და მას შეცდომის უფლებაც აქვს. უნებლიედ ყალბი გამოთქმა არ შედის ყალბად შესარაცხი ქმედებების სფეროში. ის სიბეჯითე, რომლითაც მოლაპარაკე ასრულებს მდგენი მეტყველების აქტით ნაკისრ ვალდებულებას, შეიძლება ტყუილად ჩაითვალოს, მაგრამ იგი არ შეიძლება შეცდომად იქნას მიჩნეული. გამოაშკარავებული შეცდომა სწავლის პირობაც კია. შეცდომები არ ეხებიან მეტყველების შინაგან ორგანიზაციას.

ბ) ოდნავ სხვაგვარად არის „ნაუცბათევი მტკიცებების“ საქმე. თუ ამაში იგულისხმებიან ისეთი გამონათქვამები, რომლებითაც მოლაპარაკე მდგენელი მეტყველების აქტის მინიმალურ ვალდებულებას უშფოთველად ანდა შეგნებულად უგულვებელყოფს, მაშინ სულაც საქმე არ ეხება მტკიცებებს, ყოველ შემთხვევაში ისინი არ არიან სწორად შექმნილი და მისაღები მეტყველების აქტები. გარკვეულ კონტექსტებში შესაძლოა საქმე ეხებოდეს მტკიცებებს, რომლებსაც მოლაპარაკე ზერელედ ეკიდება და რომელთა დასაბუთების ტვირთი „მეტისმეტად ემჩატება“ და ა.შ. აქ მოლაპარაკე სცოდავს არა კომუნიკაციის წანამძღვრების, არამედ სოციალური ნორმების წინაშე.

გ) ტყუილებიც არ არიან ზიანის მომტანნი მეტყველების შინაგანი ორგანიზაციისთვის, როცა ისინი სტრატეგიული ქმედების დეკლარირებულ და ნებადართულ შემადგენელ ნაწილად გვეელინებიან. ისინი მხოლოდ იმ

შემთხვევაში აუკულმართებენ კომუნიკაციას, როცა კონფლიქტების მიჩუმათებას ემსახურებიან. მაგრამ ამ დროს შერყვნილია არა ჭეშმარიტების წანამძღვარი, არამედ – გულწრფელობის კომუნიკაციისმიერი წანამძღვარი: მოლაპარაკე გულწრფელად არ გამოხატავს თავის გულისნადებს; მან *იცის*, რომ მისი გამონათქვამი ყალბია და ამას სხვას უმალავს.

ამ მაგალითთა შედარებით ირკვევა, რომ სისტემურად გაუკულმართებული კომუნიკაცია მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ჩვენს წინაშე, როცა დარღვეულია მეტყველების შინაგანი ორგანიზაცია. ეს კი მაშინ ხდება, როცა ენობრივი კომუნიკაციის მნიშვნელობის ბაზისი *შეუმჩნეველად* – ე.ი. ისე, რომ ამას შედეგად არ მოსდევს კომუნიკაციის შეწყვეტა ანდა დეკლარირებულსა და ნებადართულ სტრატეგიულ ქმედებაზე გადაუსვლელად – იზღუდება. მეტყველების მნიშვნელობის ბაზისი შეუმჩნეველად იზღუდება, როცა ხდება, სულ ცოტა, სამი უნივერსალური მნიშვნელოვნების პრეტენზიის – გასაგებობის (გამოთქმის), გულწრფელობისა (მეტყველებით გამოხატული ინტენციის) და სისწორის (გამოთქმისა ნორმატიულ ფონთან მიმართებაში) – გაუკულმართება და მიუხედავად ამისა კომუნიკაციის განგრძობა ქმედების ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ (არასტრატეგიულ) საკარაუდო საფუძველზე. ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციის გახლეჩით – მისი გაორებით საჯაროთა და კერძოდ მიმდინარე პროცესად; თუ როგორ ხდება ეს, გვინდა თვალი გავადევნოთ თავდაცვის მექანიზმების შემდგომი შესწავლისას. რადგან სისტემურად გაუკულმართებული კომუნიკაცია მაინც ახერხებს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების გამართვას, შესაძლებელია ამგვარი დარღვევის კულტურელური ნორმალიზება. „სისტემატური გაუკულმართების“ დახლართულობა იმაშია, რომ იგივე მნიშვნელოვნების პრეტენზიები რომელთა გამრუდება ხდება (და რომელთა გამრუდებას პათოგენური ზეგავლენები აქვს) ამავე დროს იმას ემსახურებიან, რომ შენარჩუნებული იქნას კონსენსუელური ქმედების მოჩვენებითობა. *კოგნიციის* ტრანსცენდენტალურ წინამძღვართა დაზიანებას, როგორც კატეგორიათა შეცდომების მაგალითზე ვნახეთ, სისულელის ეფექტები მოსდევს. *კომუნიკაციის* ტრანსცენდენტალურ წანამძღვართა გამრუდებამ შეიძლება გამოიწვიოს უაზრობის ეფექტები – კერძოდ, მაშინ როცა (როგორც მეტყველების შიზოფრენული მოშლისას) მოლაპარაკე კომუნიკაციის მეორე საფეხურის დიფერენცირების დონეზე დაბლა იმყოფება. მაგრამ ესენი ექსტრემალური შემთხვევები არიან. კომუნიკაციის პათოლოგიები უპირატესად იწვევენ არა სისულელის, არამედ გამრუდების ეფექტებს, რადგან კომუნიკაციის პროცესები გაგრძობენ განვითარებას, ვიდრე მისი ზოგიერთი ტრანსცენდენტალური წანამძღვრის გაუკულმართება არ გახდება ცხადი, ე.ი. არ იქნება მონაწილეთა მიერ აღიარებული და შეგნებული.

(4) სისტემურად გამრუდებული კომუნიკაციები არიან კონფლიქტის პოტენციალთა გამოხატულებანი, რომელთა სრული ჩახშობა ვერ ხერხდება, მაგრამ მათი არც გააშკარავება ხამს. ერთი მხრივ, კონფლიქტების სიმძიმით, ასე ვთქვათ, დეფორმაციას განიცდის კომუნიკაციის სტრუქტურა, რაკი დამახინჯებულია მეტყველების მნიშვნელობის ბაზისი; მეორე მხრივ, ეს დეფორმირებული სტრუქტურა, ამავე დროს, მოქმედების კონტექსტის სტაბილიზაციის ფორმაა, რომელიც მართალია დამუხტულია კონფლიქტის პოტენციალით, მაგრამ იგივე პოტენციალი კრავს, და გარკვეულწილად, აცხრობს კიდეც მას. ამრიგად, საქმე ეხება კონფლიქტებს, რომელთა არც ღია გადაწყვეტა ხერხდება და არც კონსენსუალური გადაჭრა, არამედ კომუნიკაციური გაუკულმართების ეფექტით უფრო და უფრო მწვავდებიან.

ამ აღწერაში იდენტობის ის კონფლიქტები მოპყვებიან, რომლებიც მაშინ წარმოჩინდებიან, როცა ჯგუფი ანდა მე საფრთხეებისგან არაცნობიერად იცავს თავის იდენტობას. იდენტობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ინტერპერსონული ურთიერთობებით, იგი მთლიანად შეესატყვისება იმ „აღიარებას", რომელიც მას ერგება მაგ. ინტერკულტურელურ ანდა საერთაშორისო სამართლებრივ სიბრტყეზე ანდა მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და ა.შ. –შორის არსებული ინტერპერსონული ურთიერთობების სიბრტყეზე. როცა იდენტობას აღიარების წარმოქმნის საფრთხე ემუქრება, იგი თავს ხშირად პარადოქსულად იცავს. ერთი მხრივ, ყოველი თავდაცვა არის სტრატეგიული ქცევა; მისი ოპტიმალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მიზანრაციონალური ქმედების მაქსიმათა პირობებში. მეორე მხრივ, აქ თავდაცვის მიზანი ვერ მიიღწევა სტრატეგიულად ე.ი. იმით, რომ მოწინააღმდეგის დამარცხებით მოგებული იქნას ბრძოლა ანდა თამაში; ბოლოს და ბოლოს შეუძლებელია აღიარების ძალით მოპოვება. ძალით მოპოვებული აღიარება შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. ძალით მხოლოდ რიოში ანდა მოჩვენებითი აღიარების მოპოვება შეიძლება; იგი ან გადაიქცევა ნამდვილ აღიარებად ანდა მყიფე ხდება. ე.ი. აღმოჩნდება, რომ აღიარების ძალით შეძენილი ნიშნები არ შეიძლება სერიოზულად აღნიშნავდნენ აღიარებას.

ქვემოთ მე მინდა ყურადღება არ გავამახვილო კოლექტიური იდენტობის პრობლემაზე და მხოლოდ და მხოლოდ პერსონული იდენტობის დაცვის სტრატეგიები განვიხილო. ამასთან, შესაძლოა ლაინგის (Laing) დაკვირვებები მოვიშველიოთ: ადამიანის „საკუთარი" იდენტობა შეუძლებელია სრულიად მოვწყვიტოთ მის სხვისთვის – იდენტობას. მისი იდენტობა–თავის–თვის; იდენტობა, რომელსაც მას სხვა მიაწერს, იდენტობები, რომლებსაც იგი სხვებს მიაწერს; იდენტობა ანდა იდენტობანი რომლებსაც, როგორც მას სჯერა, სხვები მიაწერენ; რაც მას სჯერა; რაც მათ სჯერათ; რაც მას ეჯერებოდა; რაც მათ ეჯერებოდათ... „იდენ-

ტობა“ არის ის, რაც უშვებს ასეთ რწმენას, რომ მავანი ამ ადგილასა და დროის ამ პუნქტში იგივე იქნება, რაც იმ ადგილასა და დროის იმ პუნქტში იყო; სულერთია, წარსულსა თუ მომავალში. ყველაფერი ეს არის, რითაც მავანის იდენტიფიცირება ხდება. „მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ხალხის უმეტესობას ურჩევნია იმის ფიქრი, რომ დროის მიმდინარეობაში ერთსა და იმავე უწყვეტ არსებად რჩებიან დედის ტანიდან ვიდრე საგვარეულო სასაფლაომდე და რომ ამ „იდენტობას“ მით უფრო მედგრად დაიცავენ, რაც უფრო მეტად განეკუთვნება იგი ფანტაზიას“.[1] ზემოხსენებული პარადოქსული ხასიათის კარგი საბუთია მე–იდენტობის დაცვის სტრატეგიები. მას, ვის იდენტობასაც საფრთხე შექმნია და თავს იცავს მხოლოდ განმეორებითი დამოწმების გზით შეუძლია თავისი იდენტობის სტაბილიზება; იგი იძულებულია, ერთი მხრივ, კონფლიქტში მოახდინოს თვითდამტკიცება; მეორე მხრივ, კი მანაც უნდა ჩაახშოს ეს კონფლიქტი, რათა არ მოიშალოს იმ ურთიერთაღიარების კონსენსუალური საფუძველი, რომელსაც ვესწრაფვით და არ იქნას გაწეული კომუნიკაციური ურთიერთობების შეწყვეტის რისკი. აქვე მინდა მაგალითით გავათვალსაჩინოვო ამგვარ იდენტობის კონფლიქტთა დინამიკა, რომელსაც ლაინგი და მისი თანამშრომლები შემდეგნაირად აკონსტიტუირებენ:

„კარუსელი დაახლოებით ასე იწყებს ტრიალს:

პეტერი	პაული
1) აღელვებული ვარ	1) პეტერი აღელვებულია
2) პაულს ძმაკაცად და გულგრილად უჭირავს თავი	2) შეეცდები პეტერს მიეშველო იმით, რომ სიმშვიდე შეინარჩუნო და მხოლოდ მიეყურადო
3) პაული რომ ჩემზე ნაღელობდეს, იგი ამას გულთან უფრო ახლო მიიტანდა და გრძნობებითაც გამოხატავდა	3) იგი უფრო და უფრო აღელდება. მეკი მით უფრო უნდა შეინარჩუნო სიმშვიდე
4) პაულმა იცის, რომ მე ეს მაბრაზებს	4) იგი მაბრალებს, რომ მე მას ეაბრაზებ
5) თუ პაულმა იცის, რომ ასეთი საქციელი მე მაბრაზებს, მაშინ იგი განზრახ უნდა მაბრაზებდეს	5) მე ხომ ნამდვილად ვცდილობ, მას მიეხმარო
6) რა ულმობელი, რა სადისტი ყოფილა! ალბათ უხარია კიდეც და ა.შ.	6) უნდა, რომ მე გადმომაბრალოს

ამგვარი ვარაუდები, რომლებიც კეთდება გაწბილებული მოლოდინების, უთავბოლო ფანტაზიებისა და გამრუდებული აღქმების არეულ-დარეული ნაზავის საფუძველზე, წარმოადგენს იმ მასალას, რისგანაც

[1] R.D. Laing, Das Selbst und die Anderen. Köln 1973. 89.

დამზადებულია ადამიანთაშორისი სინამდვილე. საჭიროა ამ სამყაროში შეჭრა, თუკი გვინდა გაეიგოთ რამდენად აღმაშფოთებელი და საკამათო შეიძლება იყოს სხვისთვის ის, რასაც მოცემული პერსონა მას შეცდომით მიაწერს; დაბოლოს მას იმზომად უხდება მიწერილის განმეორებითი უარყოფები, რომ ახლა ახალ რამეს მიაწერენ: „გაურეკიაო."[1]

პირველი წინამძღვარი იმისა, რომ ინტერპერსონულ ურთიერთობებში მოქმედებას იწყებს ამგვარი სპირალი არის უნდობლობა, რომელიც ჩნდება ერთ მხარეს და საკუთარი იდენტობის განუსაფრთხოებაზე დაიყვანება. მე ვლაპარაკობ არა ნებისმიერ აფექტზე, არამედ უნდობლობის იმ ტიპზე, რომლის გაგება შესაძლებელია კომუნიკაციის თეორიულად; ესაა უნდობლობა ინტერაქციის კონსესუელური საფუძვლის გამძლეობისა; ანუ იგი არის შიში იმისა, რომ ვაითუ სხვამ დააგდოს ქმედების ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული საფუძველი და ცოტად თუ ბევრად შეუმჩნევლად სტრატეგიულ ქცევაში „გადაუხვიოს". კომუნიკაციის სპირალის მეორე წანამძღვარი არის ფარული უ-თანხმობა ორიდან (სულ ცოტა) ერთი თვითხატის შეფასებაში, რომელიც წარმართავს თანამონაწილის თვითრეპრეზენტაციას. ჩვენს მაგალითში კომუნიკაციის მოშლისათვის მნიშვნელოვანია გულწრფელობისა და სისწორის პრეტენზიის გამრუდება.

პირველი „გაუგებრობა" მეორე მწკრივიდან გეხვდება თვალში: პეტერი ვერ ხვდება, რომ პაულს მისი დახმარება სურს, რადგან პეტერი მოელის, რომ პაული სხვაგვარად უნდა იქცეოდეს თუ მართლა უნდა მისი შველა. მეორე გაუგებრობა ჩნდება მესამე მწკრივში: პაული ვერ ხვდება, რომ პეტერი მას ვერ უგებს, რადგან იგი მოელის, რომ პეტერი მის ქცევას დახმარებისთვის მზაობად გაიგებს. მეოთხე მწკრივში ინტერაქციის კონსესუალური საფუძველი ირღვევა ისე, რომ არც ერთ თანამონაწილეს შეგნებულად არ დაურღვევია კომუნიკაციური ქმედება: პეტერი ფიქრობს, რომ პაული მას შეგნებულად შეურაცხყოფს, მაშინ როცა პაული ამჯერზე ხვდება, რას ფიქრობს პეტერი. მე-5 და და მე-6 მწკრივში ორივე მხარე მიდის დასკვნამდე, რომ თვითონ კი არა, მეორეა ის, ვინც ყოველთვის აუკუღმართებს გულწრფელობის პრეტენზიებს: პეტერი ფიქრობს, რომ პაული ერთობა მისი შეურაცხყოფით, მაგრამ ამაში არ ტყდება; პაული ფიქრობს, რომ პეტერს მასზე შეცდომით გადმოაქვს ის მტრული გრძნობები, რომელსაც თვითონ განიცდის პაულის მიმართ. ამრიგად, პეტერი პაულს მიაწერს გულწრფელობის პრეტენზიის შეგნებულ შერყვნას, მაშინ როცა პაული პეტერს იმავე პრეტენზიის შეუგნებელ გაუკუღმართებაში სდებს ბრალს. კომუნიკაციის სპირალი სულ უფრო ახალ წრეებს კრავს ოღონდ იმ პირობით, – და ეს არის მესამე წანამძღვარი – რომ არც ერთს ამ ორი პარტნიორიდან არ ძალუძს მეტაკომუნიკაციურ სიბრტყეზე განაგრძოს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედება.

---

[1] R.D.Laing, H. Philipson, A. R. Lee, Interpersonelle Wahrnehmung. Ffm. 1971, 35.

დავუშვათ, რომ ამოსავალი წერტილი, პეტერის აღელვება, განსაზღვრულ კონტექსტში წარმოადგენს პეტერის მცდელობას, დაიცვას თავისი იდენტობა. მაშინ სისტემურად წარმოშობილსა და გამყარებულ გაუგებრობას პარადოქსული შედეგი მოსდევს, პეტერის იდენტობა უფრო და უფრო ჰკარგავს უსაფრთხოებას, ამიტომ პეტერი ვერ აღწევს მიზანს, აღიარება მოუპოვოს აღშფოთების რეაქციით გამოხატულ იდენტობას. აღიარება მაშინ იარსებებდა პეტერსა და პაულს ერთმანეთისთვის რომ გაეგოთ; – პეტერს *გრძნობა,* ისე რომ გამოეხატა, რომელსაც პაული *გაიგებდა.* გაგება, გაგიგონ და განიცდიდე, რომ გიგებენ ურთიერთგაგების პროცესის ფუნქციები არიან, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ ხორციელდება მარტო (ა) თხრობითი წინადადების ჭეშმარიტების (არავერბალური გამოხატვის ეკვივალენტი) გზით, არამედ – პაულის (გ) რეაქციის (მშვიდი მიყურადება) ნორმატიული კონტექსტის თვალსაზრისით (პეტერისა და პაულის თვითხატები) სისწორისა და (დ) ამის შესახებ პეტერისა და პაულის გამოხატულ ინტენციათა გულწრფელობის საშუალებით. ჩვენი მაგალითის ინტერაქციის მწკრივებში არ არის შესრულებული (გ) და (დ) მოთხოვნები, რის გარეშეც კომუნიკაცია შეწყდებოდა ან პოზიციის გამოცვლითა და სტრატეგიულ ქმედებაზე გადასვლით ანდა იმით, რომ იგი გაგრძელდებოდა ახსნა-განმარტებელი დისკურსის მეტაკომუნიკაციურ სიბრტყეზე. ამის გამო გამოხატვათა ეს სეკვენცია სისტემურად წარმოშობილი გაუგებრობის ნიმუშია.

სისტემურად გაუკუღმართებული კომუნიკაცია, რომელიც წარმოიშობა მე–იდენტობის უზრუნველყოფის პრობლემებიდან, მხოლოდ და მხოლოდ თუ არა, განსაკუთრებით ხშირად მაინც ოჯახური ურთიერთობების შიგნით გვხვდება. ოჯახი იდენტობის მენეჯმენტის გამორჩეული ალაგია; ეს ასეა არა მარტო ბავშვებისათვის, რომლებიც ეს-ესაა აგებენ თავიანთ იდენტობას, არამედ – ოჯახის ზრდასრული წევრებისთვისაც. ამასთანავე, ეს გარემო ოჯახის წევრებს თავიდან ბოლომდე ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ ქმედებას ავალდებულებს; ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ტიპის საზოგადოებებში სტრატეგიული ქმედება ოჯახის შიგნით შეუთავსებელია მნიშვნელადი კონსენსის ვალდებულებებთან. ოჯახი დიფუზიური როლების სტრუქტურის ჩარჩოებში არეგულირებს არაფორმალურ კავშირებს, და ერთი – ერთზე ინტიმურ ურთიერთობებს. მე-ს ფსიქოლოგიის უახლეს ლიტერატურაში ამოდიან იმ დაშვებიდან, რომ ამ სახის ინტერპერსონულ მიმართებებს ყოველთვის *ორკეცი ბუნება* აქვთ: „ობიექტის შესაკუთრება“ ისევე ემსახურება იდენტობის მონახაზის ჩამოსხმასა და განმტკიცებას, როგორც – ლტოლვისაგან გათავისუფლება. ინტერსპერსონული ურთიერთობები ოჯახში წარმოადგენენ აფექტური და კოგნიტივური გაცვლა-გამოცვლის გზებს, რომელსაც განსაზღვრავს როგორც ლტოლვათა *დაკმაყოფილებან* ფსი-

ქოდინამიკა ისე *იდენტობის უზრუნველყოფა* ამ ასპექტთა ერთმანეთისგან მოწყვეტა დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ ანალიტიკურ სიბრტყეზე. მცირერიცხოვანი ოჯახების როლების დიფუზური სტრუქტურა წინააღმდეგობაშია მასში დაშვებული ინტერპერსონული ურთიერთობების ორკეცებუნებასთან. წევრთა პერსონულობის სისტემის თვალსაზრისით ოჯახი არ არის ფუნქციურად ძალზე ძლიერ სპეციფიცირებული; იგი საშუალებას იძლევა, დაკმაყოფილებული იქნას მოთხოვნილებათა ფართო სპექტრი. ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობათა განსაზღვრებები არ არიან ძალზე ძლიერ სტანდარტებულნი; ინდივიდუალური თვითრეპრეზენტაციის ასპარეზი შედარებით დიდია, ისე რომ საზოგადოდ, ყოველთვის შეიძლება ურთიერთობის ასპექტების თემატიზება. როცა ოჯახის წევრები ერთსადაიმავდროულად ლტოლვათა დასაკმაყოფილებლად და იდენტობის უზრუნველსაყოფად იყენებენ როლების კონფლიქტმგრძნობიარე სტრუქტურას, მაშინ რა თქმა უნდა, საჭირო ხდება რეგულირების განსაკუთრებული უნარები, რათა სისტემის გამოვლენილი პრობლემები მართებულად ე.ი. ისე გადაიჭრას, რომ დამხმარე საშუალებად არ იქნას გამოყენებული გვერდითი შედეგებით დამუხტული თავდაცვითი სტრატეგიები.

იმ ამოცანის გათვალისწინებით, რომელიც უნდა შეასრულოს ოჯახის სისტემამ ცალკეული წევრისათვის წამოიჭრება ორი *სისტემური პრობლემა:* მოთხოვნილების ოპტიმალური დაკმაყოფილება და იდენტობის უზრუნველყოფა; შემდგომი სისტემური პრობლემა წამოიჭრება დამატებითი თვალსაზრისით, თუ რა შედეგი უნდა მოუტანონ წევრთა ინტერაქციებმა ოჯახის სისტემას: თავის გარემოსთან (თავის „გარესამყაროებთან") ოჯახის გაცვლა-გამოცვლის თვითრეგულირებაში ავტონომიის უზრუნველყოფა. მოგვიანებით ჩვენ იქიდან ამოვალთ, რომ მეოთხე სისტემური პრობლემა – რომელიც აფიქსირებს ოჯახის ფუნქციურ მიმართებას საერთო-საზოგადოებრივ სისტემასთან, კერძოდ – ბავშვის სოციალიზაციის პრობლემა – იმდენად გადაიჭრება, რამდენადაც მოხვრხდება სამი დანარჩენი სისტემური პრობლემის დამაკმაყოფილებელი დამუშავება.

თავდაპირველად მინდა სისტემური პრობლემები იმ განზომილებაში მოვაქციო, რომელშიც შესაბამისად შესაძლებელი ხდება ხოლმე პრობლემათა გადაწყვეტის გაანალიზება. მაშინ გამომჟღავნდება ის, თუ ამ განზომილებათაგან რომელია მნიშვნელოვანი მეტყველების გარეგანი ორგანიზაციისთვის და გადაუჭრელი პრობლემების ზეწოლა (კონფლიქტის არაცნობიერი თავიდან აცილების გზით) გაუკუღმართების ეფექტით როგორ აისახება მეტყველების შინაგან ორგანიზაციაზე.

ოჯახის თითოეული წევრის მოთხოვნილების დაკმაყოფილების სისტემური პრობლემა შეიძლება გამოკვლეული იქნას *ურთიერთ გაღების და ურთიერთ აღების* განზომილებაში. თავის მხრივ, პროცესები,

შეიძლება, ამ განზომილებაში განხილული იქნან სამი თვალსაზრისით: (ა) თუ როგორ გამოიყურება ცალკეული წევრისთვის ლტოლვების დაკმაყოფილებასა და სურვილებზე უარის თქმას შორის შეფარდება და როგორ არის ოჯახის წევრებს შორის გადანაწილებული გრატიფიკაციის ბალანსი; (ბ) თუ როგორ მიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან ოჯახის წევრთა წილები გადაუდებლად მოხმარებულ დაკმაყოფილებასა და დახანებულ გინა ვადაგადაწეულ დაკმაყოფილებას შორის; და (გ) თუ როგორ შეეთანაწყობიან ერთმანეთს მასტიმულირებელი გაღიზიანების ვარიაცია და მასტაბილიზებელი გაღიზიანების უწყვეტობა. ჰ.სტირლინმა აჩვენა, რომ ეს სამი განზომილება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვარირებს.[1] მეორე მხრივ, იდენტობის უზრუნველყოფის პრობლემაც შეიძლება სამ განზომილებად დაიყოს: (ა) მონაწილეთა შორის ინტერაქციაში მოქცეულ სიახლოვეთა და სიშორეთა რეგულირება; (ბ) ოჯახის წევრთა შორის იმ შანსების განაწილება, რომლებიც დაკავშირებულია ინიციატივის აღების დასწრებასთან ე.ი. დანარჩენი წევრების აქტივობათა დაზარალებასთან; და (გ) ნორმატიულ ორიენტირებულობებს, განსაკუთრებით კი, ინტერსუბიექტურად აღიარებულ თვითხატებს შორის დამთხვევათა და დაცილებათა ხარისხი. დაბოლოს, თავიანთ გარესამყაროთაგან *ოჯახთა სისტემების დამოუკიდებლობის* პრობლემა წარმოადგენს საზღვრების საკითხს: ჩაკეტილობისა თუ ღიაობის რა ხარისხით ხასიათდება ოჯახი, რამდენად ძლიერ კრავს მას ერთიანობად ოჯახური თემები და მითები ანდა რა ზომად არის შიგაოჯახურ კომუნიკაციათა ქსელი ოჯახსგარე ინსტანციებზე დამოკიდებული.

როგორც ემპირული გამოკვლევები გვიჩვენებენ, ეტყობა, ოჯახის უნარი, დასახელებული პრობლემის გადაწყვეტისა, უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია კონფლიქტის შინაგან პოტენციალთან. მეორე მხრივ, ეს არის ძალაუფლების განაწილების ფუნქცია. რაც უფრო არათანაბრადაა ოჯახში ძალაუფლება მის (ზრდასრულ) წევრებს შორის გადანაწილებული, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ასიმეტრიულად გადანაწილდეს თითოეულის შანსები გრატიფიკაციის დამაკმაყოფილებელი ბალანსის შექმნისა.[2] მაგრამ აქედან წარმოშობილი კონფლიქტების აშკარა სტრატეგიული გადაჭრა იმიტომ არის შეუძლებელი ოჯახის ფარგლებში, რადგან ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებულნი მონაწილეთა იდენტობის მართვასთან. ოჯახები ძალაუფლების ისეთი კონსტელაციით,* რომელიც არ იძლევა მის წევრთა შორის პრობლემის

---

[1] H. Stierlin, Das Tun des Einen ist das Tun des Anderen, Ffm. 1971.

[2] W.D. Winter, A.J. Ferreira (Eds.), Research in Family Interaction, Palo Alto 1969.

* საერთო მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა განსაკუთრებული გარემოებებისა და მიმართებების ურთიერთშეყრისა და ურთიეთრგადაკვეთის შედეგად — მთარგმ., შენიშვნა.

მოთხოვნილებათა ბალანსირებული დაკმაყოფილების გზით გადაწყვეტის საშუალებას, კვეცს იდენტობის შედეგიანი მენეჯმენტის ასპარეზს. ფერეირამ იმ ოჯახების პრობლემის გადაწყვეტის ქცევები, რომლებიც კლინიკური დაყოფით მესამე და მეოთხე ჯგუფებში შედიან, შეუდარა კონტროლჯგუფთა შესაბამის ქცევებს. როგორც მოსალოდნელი იყო, სიმპტომურმა ოჯახებმა გამოამჟღავნეს კონფლიქტის უფრო დიდი პოტენციალი (ე.ი. – უფრო ცოტა დამთხვევა განწყობებისა, ვიდრე მათ შორის იყო ოჯახურ დისკუსიამდე); მათ სჭირდებოდათ უფრო მეტი დრო ოჯახურ დისკუსიაში თანხმობის მისაღწევად; და ლტოლვათა დაკმაყოფილებაც – ოჯახის სხვა წევრის სურვილებისადმი ურთიერთმგრძნობელობასთან შეფარდებით – უფრო მცირე იყო ვიდრე კონტროლოჯახებში.[1]

ამ ბოლო ერთი, ორი ათწლეულის განმავლობაში სხვადასხვა თეორიული საწყისების საფუძველზე შეიქმნა კონფლიქტებით დამუხტულ ოჯახთა შესახებ ემპირული გამოკვლევები. ადვილი არ არის მათი შედეგების ერთ მნიშვნელზე დაყვანა.[2] მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც, ისინი იძლევიან საშუალებას, სისტემურად გაუკულმართებული კომუნიკაციის მიზეზების თაობაზე გამოვიტანოთ მთელი რიგი სასინჯი დასკვნებისა. კომუნიკაციის დარღვევები განმეორებადი, სტრუქტურელურად წარმოშობილი ბუნდოვანობებისა და გაუგებრობების აზრით უფრო ხშირად იჩენენ თავს იმ ოჯახებში, რომლებიც ფართო გაგებით „კლინიკურ პოტენციალს" იმარხავენ ე.ი. ატარებენ ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც რაგინდ ბუნდოვანი წინასწარი გაგებით, „სიმპტომებად" მიიჩნევიან.

ამ სახის სიმპტომური ოჯახები ხასიათდებიან ასიმეტრიული გადანაწილებით, რომელსაც თან ახლავს ბატონობის მიმართებები და კოალიციური ორგანიზაციები; ასევე გამოირჩევიან ისინი შესაბამისი კონფლიქტური დაძაბულობებით, ურთიერთდაპირისპირებული მოლოდინებით, ორმხრივი არადმიჩნევითა და ა.შ. ამასთანავე, საქმე ეხება უფრორე გაფუყულსა და სანახევროდ მიჩქმალულ კონფლიქტებს, რომელთა საჯარო გადაჭრა შეუძლებელია, რადგან არ არსებობენ მეტაკომუნიკაციური ურთიერთგაგების ფსიქოდინამიკური წანამძღვრები და არ ხდება კონფლიქტების დისკურსული გარჩევა. ამიტომ არის რომ ამგვარ ოჯახებში არცთუ ხშირად ვაწყდებით დისტანციის შემამსუბუქებელსა და დისკურსის შემამზადებელი კომუნიკაციის ისეთ სტილს როგორიცაა ხუმრობა, ირონია, ტრივიალიზებისა და ნეიტრალიზების ფორმები. კონფლიქტის პოტენციალი ისე მოქმედებს მეტყველე-

---

[1] შეად, ლ.კაუფმანის მიერ ლიტერატურის მიმოხილვას, ოპახი, კომუნიკაცია- ფსიქოზი- ბერნი 1972წ, itcfdfkb

[2] G. Handel, (Ed.) The Psychosocial Interior of the Family, Chicago 1967.

ბის გარეგან ორგანიზაციაზე, რომ ჩნდება ზემოთდასახელებულ განზომილებებში უკიდურესი გამოვლინებების ალბათობა. თუმცა ჩვენი განზომილებებისთვის არ შევარჩევთ შიზოფრენიის კვლევაში ჩამოყალიბებული კონცეპტების – ფსევდო ურთიერთმხრივობა, განდგომა, გადახრა, განცალკევებულობა და ერთადყოფნისკენ მიდრეკილება – უმრავლესობას. ისინი შერჩეულნი არიან როგორც როლების გაწონასწორებული განაწილების სისტემის (როლთა საზიარობა, მოლოდინის დამატებითობა, გაგების ორმხრივობა და სხვა) სიმეტრიათა საპირისპირო ცნებები და ისეთ ასპექტებს წვდებიან, რომლებსაც ჩვენ შემდგომში გავარჩევთ.

სიახლოვე/სიშორე. ცნობილი გამოკვლევებით, რომლებიც აწარმოეს კვლევის ჯგუფებმა[1] ლიდსის (Lidz) და უაინის (Wynne) ხელმძღვანელობით დასტურდება, რომ პათოგენურ ოჯახებში შეუძლებელია ოჯახის ცალკეულ წევრებს შორის გაუცხოების სიტუაციაზე შეზომილი დარეგულირება. ოჯახის ბაზისური როლები (სქესი/თაობა) ან მყიფედ არიან ურთიერთგამიჯნულნი ანდა ძალზე დიფუზურნი რჩებიან, ისე რომ თაობათა და სქესთა შორის საზღვრები ან მკაცრად არიან დადგენილნი ანდა არ არიან საკმარისად გათვითმყოფებულნი. ეს ნიმუში გამსჭვალავს ყველა ინტერაქციას. ამრიგად, შეუძლებელია მოქნილი სოციალური დისტანციების დადგენა, რადგან ან ჯგუფის დეზინტეგრაცია იწვევს გახლეჩვებსა და გაუცხოებებს ანდა ნაძალადევსა და ნადავიდარბევ ზეინტეგრაციას ძალისმიერად უზრუნველყოფილ სოლიდარობამდე მივყავართ. ამ კონტექსტში შედის ვითომდა უზრუნველყოფილი ურთიერთმხრივობა (pseudomutuality).[2]

მსგავსება/განსხვავება. ჰესმა და ჰენდელმა აჩვენეს თუ რა მნიშვნელოვანია ოჯახთა სისტემებისათვის, უზრუნველყოს ცალკეული წევრის ინდივიდუალური თვითპრეზენტაციის სათანადო ასპარეზი პათოგენურ ოჯახებში ანუ ისე დიდია ურთიერთდასაბუთებული თვითხატების, ე.ი. ოჯახის წევრის მიერ გამოხატული და აღიარებული იდენტობის თანადამთხვევა, რომ ზემძლავრი ოჯახური სტერეოტიპები ხელს უშლიან ინდივიდუალების უეცარ გამოვლინებას, ანდა – ისე უნიშვნელოა, რომ კოლექტიურ ერთიანობას საფრთხეს უქმნის ნორმატიული შეთანხმების უქონლობა. ამასთანავე გადამწყვეტი თავისთავად სტერეოტიპიზაციის ხარისხი და ურთიერთდაპირისპირების სიმწვავე კი არ არის, არამედ უუნარობა იმისა, რომ სინთეზირება ეყოთ მსგავსებისა და განსხვავების ასპექტებს. სწორედ ასე წარმოიშობა აუცილებლობა იმისა, რომ შეინიღბოს შეწყნარებულ თვითხატებსა და ფაქტობრივ ქცევებს შორის არსებული კონტრასტი.[3]

---

[1] C. Kulenkampff (Hg.), Schizophrenie und Familie, Ffm. 1969.
[1] E.G. Mishler, N.E. Waxler, Interaction in Families, N.Y. 1968.
[3] R.D. Hess, G. Handel, The Family as a Psychosocial Organization, in: Handel (1967), 10ff.

აქტიურობა/პასიურობა ძალაუფლების არათანაბარი განაწილება იმას ნიშნავს, რომ ინტერაქციის ერთი პარტნიორის მოქმედების სარბიელი შეკეცილია არა მხოლოდ ოჯახის სხვა წევრის მოქმედების სარბიელით, არამედ მას განსაზღვრავენ და აკონტროლებენ სწორედ რომ სხვისი ინიციატივები. სიმპტომურ ოჯახებში ხშირად შეიმჩნევა ალიანსები, რომლებსაც შეიძლება თვალი გავადევნოთ ერთი მეუღლის მეორისგან დამოკიდებულებასა და იმ კოალიციაში, რომელიც ჩამოყალიბებულია სულ ცოტა ერთ მშობელსა და ერთ ბავშვს ანდა ერთ მშობელსა და ერთზე მეტ ბავშვს შორის.[1] ამასვე უკავშირდება უ. ოევერმანის მიერ შემუშავებული მშობლებს შორის არსებული აფექტური სოლიდარობის კონცეპტი, რომელიც დარღვეულია გამოკვლეულ ოჯახებში. მეორე მხრივ, არა იმდენად ის არის პრობლემა, რომ ოჯახის წევრთა შორის არათანაბრადაა გადანაწილებული აქტიურობანი, არამედ პრობლემატურნი არიან ბატონობის ის ურთიერთობანი, რომლებიც ცოტად თუ ბევრად შეუმჩნეველი სახით ჩვევაში არიან გადასულნი და არ იძლევიან იმის საშუალებას, რომ გაგებით მოეკიდონ ოჯახის მარგინალიზებულ წევრთა სურვილებს: ხელში აიღონ ინიციატივები. ეს არის სწორედ წანამძღვარი იმისათვის, რომ ოჯახის შიგნით განხორციელდეს ჩაგვრის ის სტრატეგიები, რომლებსაც ისევ მივუბრუნდებით.

ოჯახური სისტემის გამოჯანმრთელება. დაკვირვებათა ძალიან დიდი ოდენობა ასაბუთებს იმ ვარაუდს, რომ სიმპტომურ ოჯახებს არა აქვთ გამომუშავებული თვითმართვის საკმარისი კაპაციტეტი, რათა ავტონომიურად მოაწესრიგოს გარესამყაროსთან გაცვლა. ძალიან აშლილი ოჯახები, ერთი მხრივ, უფრო იზოლირებულნი არიან, გარემოსთან მათ უფრო ცუდად ორგანიზებული კონტაქტები აქვთ, ვიდრე შეუმჩნეველ ოჯახებს. მეორე მხრივ, ისინი დაუცველნი არიან იმ გარეგანი ზეგავლენებისაგან, რომლებსაც მათზე როგორც წესი, ახდენენ მშობელთა ძირი ოჯახები. ეკერმანმა და ბერენსმა კლინიკური შთაბეჭდილებების დახმარებით შემდეგი ტიპოლოგია შეიმუშავეს: სხვათა შორის ისინი ერთმანეთისგან განასხვავებენ გარედან იზოლირებულ ოჯახს; მხოლოდ გარედან ინტეგრირებულ, მაგრამ თავის თავში უერთიანო ოჯახს, რომელიც შინაგანად არ არის ინტეგრირებული; დაბოლოს, დეზინტეგრირებულ და რეგრესიულ ოჯახთა ჯგუფს. ამასვე განეკუთვნება უაინის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეზინის ღობის (rubber fence) კონცეპტი[2]; ეს ნიშნავს პათოგენური ოჯახის დიფუზიურ გამოყოფას, რომელიც არ იძლევა გარეგან-შინაგანად დიფერენცირებისა და განსაკუთრებით-პარტიკულარისტურ და ძალზე უნივერსალისტურ მიმართებებს შორის განსხვავების საშუალებას და შედეგად ის მოსდევს, რომ ოჯახის წევრები ფაქტობრივად გარემოდან იზოლირებულნი არიან.

---

[1] M.T. Siegert, Strukturbedingungen von Familienkonflikten, Ffm. 1977.

[2] N.W. Ackerman, M.L. Behrens, A study of Family Diagnosis; Am. J. Orthopsychiatry (1956), 66ff.

სიმპტომური ოჯახები დასახელებულ ოთხ განზომილებაში უფრო ხშირად ამჟღავნებენ უკიდურეს ღირებულებებს; ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერაქციათა და როლთა ის სტრუქტურები, რომლებიც განსაზღვრავენ მეტყველების გარეგან ორგანიზაციას, ძალზე ხისტნი არიან საიმისოდ, რომ მოქნილი მიმართებები ჩამოაყალიბონ სიახლოვეებსა და სიშორეებს, მსგავებებსა და განსხვავებებს, მოქმედების ინიციატივებსა და ქცევის რეაქციებს, შინაგანსა და გარეგანს შორის, რაც აუცილებელია ოჯახის წევრებისა და ოჯახური ჯგუფების კონფლიქტური ერთიანობის მე–იდენტობის მოსახვისა და შენარჩუნების ემპირული საყრდენი წერტილებისათვის. ცალკეული წევრების იდენტობის მართვა შეზღუდული იქნება ამგვარ ოჯახებში. ეს იწვევს კომუნიკაციური ქმედების გადატვირთვას იმ სახის კონფლიქტებით, რომლებიც აისახებიან კომუნიკაციის სისტემატურ გაუკულმართებაში. *იდენტობის კონფლიქტთა ზეწოლა გადაეცემა მეტყველების შინაგან ორგანიზაციას და იქ მოხდება მათი სტაბილიზაცია მათი გადაჭრის გარეშე.* ამით აიხსნება სიმპტომურ ოჯახებში კომუნიკაციის დარღვეეათა ხშირი გამოვლინებანი.

ეს აშლილობანი თავს იჩენენ კომუნიკაციური საშუალების ლამის არის ფარულ სტრატეგიულ გამოყენებაში იმ სიტუაციებისას, რომელთა დროსაც მაინც არა გვაქვს უფლება დავაგდოთ კომუნიკაციური ქმედების კონსენსუალური საფუძველი. სისტემტურად წარმოშობილი ბუნდოვანებანი და გაუგებრობანი მე დამყავს პარადოქსულ მოქმედებაზე: საფრთხეშექმნილი ფონისკონსენსუსი, რომელიც ემყარება მეტყველებაქმედებებით წამოყენებული ორმხრივი პრეტენზიების აღიარებას სწორედ იმით იქნას დაცული, რომ უნივერსალურ პრეტენზიათაგან ერთი ან რამდენიმე მათგანი უსიტყვოდ დაირღვევა.

(5) დაბოლოს, მე მინდა მოვიყვანო სისტემურად დამახინჯებული კომუნიკაციის მაგალითები. ამასთან მე ვემყარები ლუკ კაუფმანისა და უ. ოევერმანტსა და შიუთცეს გამოკვლევის შედეგებს. კაუფმანი[1] აფასებს ინტერვიუს პირველ 15 წუთს, რომელშიც მონაწილეობენ პაციენტი, მისი ოჯახი და ორი ექიმი. საქმე ეხება ნევროზისა და დეპრესიის, საზღვრითი შემთხვეეებისა და შიზოფრენიის შვიდ-შვიდ შემთხვეევას. გამოკვლეევა მიპყვება კოდურ გეგმას, რომელიც ემყარება, ერთი მხრივ უაინისა და ზინგერის, მეორე მხრივ კი – ბატესონის ჯგუფის კრიტერიუმებს. ოევერმანი და შიუთცე ემყარებიან ორი ოჯახის ავადმყოფის სანახავად ხუთჯერ მოსვლის მაგნიტოფონის ფირზე საოქმო ჩანაწერს. ორივე შემთხვეევაში მშობლებმა იმ გართულებების გამო, რომლებიც დაემართა მათ ეს-ესაა სასკოლო ასაკშესრულებულ შვილებს, დისპანსერში მიუჩინეს ადგილი. შეფასებისთვის დასაფუძლებული სცენები ნაწილობრივ ალალბედზე შეირჩა, ნაწილობრივ კი – ოჯახური კონფლიქ-

[1] Kaufmann (1972), 73ff.

ტისათვის მათი საკარაუდო მნიშვნელობის მიხედვით. მასალის გაანალიზება ხდება პროპოზიციური შინაარსის, მოლაპარაკის ინტენციისა და ინტერპერსონალური ურთიერთობის მეტყველებითი აქტის სამ სიბრტყეზე და მისი კონსტრუირება მიმდინარეობს იმის გათვალისწინებით, თუ ერთსა და იმავდროულად როგორ გამოიხატება და იჩქმალება კიდეც ოჯახური კონფლიქტის საფუძველმდებარე ენობრივი მედიუმი. მე არ მინდა ორივე კვლევის შედეგი ცალ-ცალკე წარმოვადგინო, არამედ მინდა მხოლოდ, ენობრივ აშლილობათა ჩემეული განმარტების საილუსტრაციოდ მოვიტანო.

მე ერთხელ კიდევ შეგახსენებთ ჩემ საფუძველმდებლურ ჰიპოთეზას. ოჯახს, რომელშიც ძალაუფლების ირიბი კონსტელაცია, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების არათანაბრად განაწილებული შანსები და კონფლიქტები მის სიმტკიცეს საფრთხეს უქმნიან, მიდრეკილება აქვს, მოახდინოს ინტერქციებისა და როლების სტუქტურათა განდიფერენცირება ანდა გახისტება. ეს მოასწავებს მოუქნელ გარეგან ორგანიზაციას, რომელიც ოჯახის ცალკეული წევრისთვის ზღუდავს ინდივიდუალური დაგეგმვისა და მე – იდენტობის უნდობლობისგან თავისუფალი შენარჩუნების შესაძლებლობებს. მაგრამ იდენტობის კონფლიქტები კომუნიკაციური ქმედების (რომლისგანაც მოუწყვეტელია) კონსესუელური საფუძველის ამკარა მოშლის გარეშე მხოლოდღა იწყებიან იმით, რომ ხდება პრობლემის დაწოლვის გადატანა მეტყველების გარეგანი ორგანიზაციიდან შინაგან ორგანიზაციაზე. მოშლილი კომუნიკაციის გაუკულმართების ეფექტი იმაში გამოიხატება, რომ მოხდება ოჯახური კონსენსის *მოჩვენებითი* შენარჩუნება. ეს *ფსევდო კონსენსი* მიიღწევა გასაგებობის, გულწრფელობისა და სისწორის იმ პრეტენზიათა შესრულების ხარჯზე, რომელთა აღიარებას (და მხოლოდ და მხოლოდ) მას ემყარება, მეორე მხრივ, წარმატებით დაგვირვინებული ენის თამაშის ფონისკონსენსუსი. კომუნიკაციის მოშლილობანი მით უფრო თვალშისაცემნი არიან, რაც უფრო ძნელად ხერხდება მნიშვნელობის პრეტენზიათა დარღვევის შენიღბვა. შესაბამისად, მე მინდა ერთმანეთისგან განვასხვავო შემდეგი სიბრტყეები, რომლებზეც შეიძლება ფსევდოკონსენსის წარმოება: (ა) პირველ სიბრტყეზე მოთავსებული სტრატეგიები ისე აფერხებენ და აბრკოლებენ საფრთხეშექმნილ კონსენსს, რომ შეუძლებელიც კია საკმარისად ზუსტი იდენტიფიცირება მნიშვნელობის იმ ბაზისისა, რომლის კონსენსუნარიანობა გადამოწმების შედეგად მეჭაგნდება. ამგვარი იდენტიფიცირების მიღწევა შესაძლებელია ულმობელი ტექნიკით, რომელიც მდგომარეობს დაწყებული სიტყვის შეწყვეტაში ანდა სხვისთვის მის შეწყვეტინებაში. ოდნავ უფრო ცოტად თვალშისაცემია სხვისი გამოთქმის იგნორირება ანდა თემის ფორსირებული შეცვლა. კაუფმანი ერთმანეთისგან განასხვავებს პასუხისმგებლობის შემდეგ ვარიანტებს:

ა) პასუხზე უბრალოდ უარის თქმას; ეს იმას ნიშნავს, რომ დადუმდე; ამრიგად, განირჩევა პასუხის-მონაცელის რამდენიმე ვარიანტი;

ბ) პასუხის მიცემა, რომელიც მიმართულია არა შემკითხველ, არამედ სხვა პერსონაზე;

გ) კომენტარი პასუხის მომლოდინე პერსონაზე (მესამე პერსონისა);

დ) მოადგილე პასუხი: A-ს შეკითხვასა თუ შენიშვნაზე B-ს ნაცვლად C პასუხობს;

ე) პასუხი ანდა ინტერვენცია, რომელიც შინაარსობრივად არ არის ადრე ნათქვამთან დაკავშირებული;[1]

ამავე კონტექსტს განეკუთვნება „ირიბი პასუხი" („tangential res ponse") პასუხისგაცემიდან გადახვევის სტრატეგია, რომლის დროსაც ხდება ნათქვამის მნიშვნელობის ოდენ პერიფერიული ელემენტების მიღება, ხოლო შეუმჩნეველად სხვა თემა შემოცურდება ხოლმე. ყველაზე უფრო თვალშისაცემია გაბუნდოვანების სტრატეგიები: უთავბოლოდ მიდებ-მოდება, წყლის ნაყვა; ესენი არიან მწკრივები, რომელთა კოდირებასაც ახდენს კაუფმანი „ცუდ-უბრალო კომუნიკაციის" სახელწოდებით. (გვ.84) და შიუთცე მას განმარტავს ზედმეტსიტყვაობის რუბრიკის ქვეშ. იმდენჯერ ხდება ერთი და იმავეს გამეორება და წერილმანების დაზუსტება, რომ იკარგება ძაფი და აღარც კი იციან, რაზე იყო ლაპარაკი. ასე წარმოიშობიან ფუნქციური უზუსტობანი და გაურკვევლობები, რომლებიც არ გამომდინარეობენ მნიშვნელობის სპეციალური პრეტენზიის დარღვევიდან, არამედ პირიქით ეწინააღმდეგებიან ყველა მცდელობას, შეთანხმების სტატუსის ჩაკირკიტებისა და ფსევდოკონსენსზე ეჭვის გამოწვლილვით ჩაძიებისა. საამისოდ ტიპურია კაუფმანისმიერვე შემჩნეული „ტანდემის ფენომენი", „რომელსაც ასე დაერქვა ორსაჯდომიანი ველოსიპედის მიხედვით; მასზე ადამიანი ვერც ხედავს თუ ვინ „მუშაობს" სინამდვილეში. ეს მანვერი აჩენს ცალკეულის დაურწმუნებლობას როლების განაწილების, ინიციატივის, ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობის თაობაზე: ორი პერსონის ქცევა მაგ. ვერ წყვეტს A ნამდვილად იზიარებსა და აქტიურად იცავს თუ არა B-ს მოსაზრებას თუ იგი გინდა-არგინდა პასიურად „მიუყვება" იმავე მიმართულებას (გვ.105).

გ) მეორე სიბრტყეზე ისეთი სტრატეგიებია, რომლებიც ემსახურებიან ფსევდოკონსენსის მიღწევას; კაუფმანი შეეცადა უაინზე დაყრდნობით ეკვლია ეს ფსევდომოწმობები: „აზრთასხვადასხვაობა პასუხსა ანდა სხვა მსგავს რეაქციებში თანხმობად განისაზღვრება და პირიქით: თანხმობას საკამათოს ხდიან როგორც უთანხმოებას. ჩვენ განვასხვავებთ ფსევდოდამოწმებათა სხვადასხვა ხარისხებსა და ვარიანტებს: პასუხებს, რომლებიც ეჭვს

[1] Kaufmann (1972), 106.

ბადებენ ყოყმანის, განსაკურთბეული სიტყვების შერჩევის თუ ტონალობის გამო; მოლაპარაკე ითვალისწინებს თუ არა სხვის შეტყობინებას როგორც ასეთს თუ მას უკვე უწყობს დისკვალიფიკაციას (მსუბუქ, ხშირ დისკვალიფიკაციას); გამგზავნის შეტყობინების „კორექტურას", სიტყვების ანდა ტონალობის წამატება, რომელიც კითხვის ქვეშ აყენებს გამგზავნის კომუნიკაციის ღირებულებასა თუ მნიშვნელობას ანდა საერთოდ, აუქმებს მას. ყალბი კვერის დაკვრა, ხშირი ფენომენია, რომლის დროსაც პასუხი რიოშ მონეტასავით არის შემოძლეული და შემოსაღებული; მოპასუხე არ ხედება თანამოსაუბრეს იმავე (ლოგიკურ) სიბრტყეზე ე.ი. არ იძლევა იმავე კონტექსტთან დაკავშირებულ პასუხს. რიოში კვერის დაკვრა პრაქტიკულად ყოველთვის გამოხატავს „ინტერპერსონული ლოგიკის" მოშლას და შეიძლება ჰკვეთდეს პარადოქსული კომუნიკაციის ფენომენს. დაბოლოს, ფსევდო-კონფორმაციები სხვის არსებით ნაწილს გამოტოვებენ („ივიწყებენ") ხოლმე და ოპერირებენ ნარჩენით თითქოსდა იგი მთელი კომუნიკაცია იყოს; გარდა ამისა ზემოთხსენებული გაირიბება შეიძლება ფსევდო-ინფორმაციის სახით ფუნქციონირებდეს." (გვ. 92). კაუფმანის მიერ შემდგომში გაანალიზებული მაგალითები ნათლად აჩვენებენ, რომ ფსევდოდასტური ახდენს დამატებითი მეტყველებამოქმედების გასაგებობაზე, გულწრფელობასა ანდა სისწორეზე პრეტენზიების დისკვალიფიცირებას და ამავე დროს მათ მაგივრად შთამაგონებლად შემოაცურებს ხოლმე *სხვა* მნიშვნელოვნების პერეტენზიებს, რომლებიც მოლაპარაკეს სულაც არ წამოუყენებია. ამრიგად, ბევრად თუ ცოტად თვალშისაცემი მანევრი იმაში მდგომაროებს, რომ მოლაპარაკის ინტენციებისა ანდა ნორმატიული კონტექსტის თაობაზე შეიქმნას კონსენსი, რომელიც ჩქმალავს უთანხმოებას ფაქტობრივად გამოთქმულის თაობაზე.

დ) მესამე სიბრტყეზე მოთავსებულია მერყეობანი, რომლებშიც სააშკარაოზე გამოდიან კონსენსმატარებელ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა აულიარებელი გაუკულმართებანი. ყველა მერყეობა აზარალებს გამოთქმათა გასაგებობას; მაგრამ განსაზღვრულ პირობებში იმაზე დაიყვანებიან, რომ მოლაპარაკე ან თვითონ ტყუვდება ანდა სხვას ატყუებს თავისი ინტენციების თაობაზე ანდა მას დაწანამძღვრებული აქვს ფაქტობრივად სადაო ნორმატიული კონტექსტების ინტერსუბიექტური აღიარება. მე არ მინდა გავითვალისწინო ისეთი უკიდურესი ენობრივი შეცდომები როგორიცაა წინადადების უცნაური და თავისებური კონსტრუქციები, აშკარად არაკორექტული საუბარი, კატეგორიალური შეცდომები, ტელეგრამის სტილი, რომელიც გაჯიდუმლოებულ ინფორმაციას შეიცავს, ხმის ასოციაციები, არასტანდარტიზებული სიტყვის თამაშები, მანერიზმები და სხვ. რანიც იმას მოასწავებენ, რომ მოლაპარაკე ნორმალენობრივი დიფერენცირების დონის ქვემოთ მოძრაობს. ჩვენ შემთხვევაში საინტერესოა უფრო ცოტათი თვალშისაცემი გადახრები, რომლებიც ხორცს ისხამენ განსაკუთრებით ლოგიკური, სემანტიკური და პრაგმატული წესების წინაშე შეცოდების გზით და უცნაური გაუგებრობის წყალობით იმთავითვე ფსევდოკონსენსის ხიფათს შეიცავენ.

ლოგიკურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი საუბრის სეკვენციები უპირატესად წარმოადგენენ თვითუარყოფათა შედეგს, „სახელდობრ – შემდეგ ფორმაში:

– კომუნიკაციის ნაწილებისა ანდა დამატებებისა, რომლებიც ამცრობენ შეტყობინების მთელს, ეწევიან მის გაუფასურებას, პრობლემიზირებას;

– იმის „დავიწყებისა", რაც იმავე პერსონამ იმავე კომუნიკაციაში თქვა ანდა უთქმელად იგულისხმა;

– ყველა იმგვარი ინდივიდუალური კომუნიკაციისა, რომელიც მკვლევარის ყურისთვის ნათქვამის ნაწილობრივ უარყოფას შეიცავენ" (კაუფმანი, გვ.81).

ლოგიკური არათანმიმდევრულობა შეიძლება იყოს თავისებური სტრატეგიის გამოხატულება, რასაც შიუთცე შემდეგნაირად აღწერს: „ერთმანეთთან აკავშირებენ იმ არგუმენტთა მოშვებულ მწკრივს, რომლებიც ურთიერთშეუთავსებელნი არიან. ე.ი. იყენებენ არგუმენტს, არგუმენტაციის შემდგომი ნაბიჯით გამოთქმის უნარს ახმარენ მისგან გასხლტომას და მოიხმარენ სხვა კონტექსტში, სადაც იგი ახალ მნიშვნელობას იძენს, რაც მის პირველ გამოყენებას ეწინააღმდეგება".[1] არათანმიმდევრულობა მომდინარეობს არა ლოგიკური არაკომპეტენტურობიდან, მცდარი დასკვნებიდან ანდა დეფინიციებიდან, არამედ თავდაპირველად წამოყენებული მნიშვნელოვნების პრეტენზიათა დამატებითი დისკვალიფიკაციისთვის მზაობიდან. იგივე ითქმის განპირობებული თვითუარყოფის თავისთავთან წინააღმდეგობრივი სტრატეგიისთვისაც: „დამბობები თვითუარყოფამდე კეთდება. როცა სხვა დარწმუნებულია, რომ მოიგო თანამოსაუბრე მას უცებ უგანებს და იწყებს შეპასუხებასა თუ დამბობათა რელატივიზირებას" (შიუთცე, იქვე).

განსაკუთრებით თაეგზაამბნევია ორი დაპირისპირებული მოლოდინის ერთდროული გამოხატვა. ეს პარადოქსული კომუნიკაცია, როგორც ცნობილია ორკეცი კავშირის სახით გამოიკვლია პალო-ალტო-ჯგუფმა. მაგრამ ბატესონსა და მის თანამშრომლებს ერთმანეთისგან საკმარისად არ განუსხვავებიათ წინასწარგანზრახული პარადოქსები, რომლებიც ემსახურებიან არაპირდაპირ შეტყობინებებს და წარმოადგენენ ნორმალური პრაქტიკული კომუნიკაციის შემადგენელ ნაწილს და ის არანებაყოფლობითი პარადოქსები, რომლებიც ფსევდოკონსენსს ასტაბილიზებენ, როცა ადრესატი გახვეულია მოლაპარაკესთან ემოციონალურად დამოკიდებულ ურთიერთობაში და არ ძალუძს წინააღმდეგობის ვერბალიზება ე.ი. იდენტიფიცირება და ამით მისი (თავისთვის) შეწყვეტა. ასევე, ლოგიკურ სიბრტყეზე მოთავსებულია გაუგებარი რეფერენციის ფენომენები, ისე რომ საუბრის მსვლელობიდან არ გამომდინარეობს ის, რომ გამოხატული ინტენციები მონაწილე პერსონებს მიეწერება. სემანტიკური და პრაგმატისტული წესების წინააღმდეგ შეცოდებანი მაგ.

---

[1] Y. Schutze, Innerfamiliale Komunikation und kindliche Psyche, MPI für bildungsforschung, Berlin 1977.

იდიოსინკრატისტული მნიშვნელობის მქონე სიტყვათა გამოყენება ანდა კონტექსტისთვის შეუსაბამო სიტყვათხმარება, წინასწარგულისხმობათა უგულვებელყოფა და ა.შ. განეკუთვნება პირად ენობრივი გამოთქმების სფეროს. ლორენცერმა პირადენობრივი შემადგენელი ნაწილი ენის საჯარო გამოყენების ტრავმატულად განაწილებულ სცენურ მნიშვნელობათა ჩამოცილების მექანიზმით, ე.ი. დესიმბოლიზირების პროცესით ახსნა.[1] ეს კონცეპტი ჯდება ჩვენს მოდელში; რადგან პირადენობრივი მნიშვნელობანი მოლაპარაკის არასანქცირებული ინტენციების შედეგად ისე გამოხატავს ამ ინტერპრეტაციას, რომ მას თავისი გაუგებრობის გამოისობით არ შეეძლოს არსებული ზედაპირული კონსენსუსისთვის საფრთხის შექმნა.

სისტემურად გაუკუღმართებული კომუნიკაციის ტიპური ნიმუშის მიმოხილვა იმაში უნდა წაგვადგეს, რომ პირველივე ცდაზე გაათვალსაჩინოოს კომუნიკაციის მოშლის შემოთავაზებული ცნება, რომელიც მიმართულია მეტყველების მნიშვნელობის ბაზისზე. მე შევეცადე მეტყველების შინაგანი ორგანიზაციის გადატვირთვა ამეხსნა იმ პრობლემის დაწოლვით, რომელიც იდენტობის კონფლიქტებიდან გამომდინარეობს და თავდაპირველად მეტყველების გარეგან ორგანიზაციას წაუყენებს გადამეტებულ მოთხოვნებს. რა თქმა უნდა ბევრს ვერაფერს გვიხსნის ის, რომ პრობლემის ეს დაწოლვა მეტყველების შინაგან ორგანიზაციას გადაეცემა და იქ „ჩაიჭირება"; ამ პროცესს ჩვენ მხოლოდ მაშინ მივხვდებით, როცა ინტრაფსიქიკურ ნაკვალევს გავყვებით და გავიცხადყოფებთ იმას, თუ როგორ მუშაობენ კონფლიქტის არიდების არაცნობიერი მექანიზმები და როგორ იჭრებიან ისინი კომუნიკაციურ ქმედებაში. ამრიგად, ერთი მხრივ იდენტობის კონფლიქტები და მეორე მხრივ გაუკუღმართებული კომუნიკაციის სტრუქტურები, რომლებშიც ფუვდებიან ეს კონფლიქტები, წრიულ პროცესში არიან ჩართულნი. გარკვეულწილად ეს კონფლიქტები იწვევენ გაუკულმართებას, მაგრამ ისინი მე–ორგანიზაციის (მშობლების თაობაში) დეფინიციებზე დაიყვანებიან, რომლებიც თავის მხრივ ჩნდებიან გამრუდებული აღზრდის პროცესებში, ე.ი. ისეთ ოჯახებში, რომლებსაც ახასიათებთ გაუკულმართებული კომუნიკაციის სტრუქტურები. კომუნიკაციის დარღვევათა და იდენტობის მოშლილობათა თაობიდან თაობაზე გადატანის გასაგებად არა კმარან დიფუზიისა და ტრანსმისიის მარტივი ჰიპოთეზები. საამისოდ საჭიროა, სულ ცოტა, *ჰიპოთეზათა სამი სფეროს განმარტება* ჯგულისხმობ აღზრდის ორფაზიანი პროცესის სპეციფიკურ საფეხურებიან განვითარების პრობლემას; იმ პათოლოგიათა განვითარების ლოგიკურ დალაგებას, რომლებსაც იწვევენ (ანდა თან იწვევენ) სოციალიზაციის არახელსაყრელი პირობები. დაბოლოს, ეტიოლოგია, რომელიც ოჯახში კომუნიკაციის მოშლილობასა და ბავშვურ პათოლოგიებს შორის კავშირს იკვლევს.

---

[1] A.Lorenzer, Sprachzerstörung und Rekonstruktion, Ffm. 1970.

5. მოქმედებანი, ოპერაციები, სხეულებრივი მოძრაობანი (1975)

ქცევის ცნებითი სტრატიფიკაციის ექსკურსს, უპირველეს ყოვლისა, შემდეგ შედეგებამდე მიეყავართ:

– მოქმედების ცნების ანალიზისთვის ფუნდამენტურია წესის მიყოლის კონცეპტი, მაშინ როცა განზრახქმედებისა თუ მიზანმიღწევის ასპექტი მნიშვნელოვანი პირველად მხოლოდ საკითხის კაუზალურ დაყენებათა პირობებში ხდება.

– წესის დაცვის კონცეპტიდან წარმოიშობა მოქმედების უნარის ცნება, რომლის მიხედვითაც მოქმედმა სუბიექტმა ა) იცის, რომ იგი მიჰყვება წესს და ბ) სათანადო გარემოებებში მას ძალუძს თქვას, თუ რომელ წესს იცავს იგი, ანუ – გადმოსცეს პროპოზიციული შინაარსი.

– ამ ყოველდღიური წინარეგაგების კერძო მოდიფიკაციის გზაზე ჩვენ შეგვიძლია მიზანმიმართული ცხოველური ქცევა განვმარტოთ წესის ცნობიერი მიყოლის *მოდელის მიხედვით*, რომლის დროსაც ჩვენ ცხოველს მივაწერთ წესის ცნობიერებას, რომელიც ექვემდებარება ექსპლიცირებას, მაგრამ თვითონ ცხოველის მხრივ არაექსპლიცირებადია.

– „ცარიელა" ქცევაზე ჩვენ ვლაპარაკობთ, მაშინ როცა არ არსებობს წესის იმპლიციტური ცნობიერება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მოქმედების მინიმალური უნარი შესაძლოა ვივარაუდოთ იმ აზრით, რომ შესაბამისი ორგანიზმი *რაღაც აზრით* ერთმანეთისგან ასხვავებს ერთი მხრივ საქმესა და უსაქმობას, მეორე მხრივ – საქმესა და წვალებას.

ჩვენ არ გვაინტერესებს ის, თუ რას უშვრებიან ქცევის ობიექტივისტური ხერხით მოქმედი თეორიები იმ ნარჩენ სუბიექტურობას, რომელიც „ცარიელა" ქცევის ცნებაშიც კი თანამოიაზრება. მაგრამ მნიშვნელოვანი არის ის მეთოდოლოგიური განსხვავება, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ გადაწყვეტილებასთან, თუ რომელი უნდა აირჩეს როგორც საგნის კონსტიტუციური საფუძველცნება, „ქცევა" თუ „ქმედება". ქცევის მეცნიერებანი იმგვარად განმარტავენ თავიანთ საგანთა წრეს, რომ ამ კავშირ-მიმართებათა განმარტებისათვის დაშვებული არის მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვებად წესშეზომილებათა აღწერები და ნომოლოგიური ვარაუდები, მაშინ როცა მოქმედების მეცნიერებანი დგანან იმ ამოცანის წინაშე, რომ აღწერონ მნიშვნელობის ობიექტივაციები და ის წესები, რომელთა მიხედვითაც ისინი წარმოიშობიან, შინაგანი *ნიშან-თვისებების* მიხედვით გაანალიზონ.

1. მოქმედების წესთა სამი ტიპი

ცნება „წესს“ ჩვენ აქამდე არასპეციფიკური გაგებით ვიყენებთ. ვლაპარაკობთ ლოგიკური, მათემატიკური, გრამატიკული წესების, ასევე – ექსპერიმენტირების, გაზომვის, არგუმენტაციის და ა.შ. წესების შესახებ. მაგრამ რაც შეეხება წესის მიყოლის ცნებას – რომელსაც ისე განეკუთვნება ცოდნა წესის დაცვისა, რომ მოქმედ სუბიექტს თავად შეუძლია თქვას თუ რაში მდგომარეობს ეს ცოდნა – იგი თავდაპირველად მიმართებაშია მხოლოდ ვიწრო აზრით გაგებულ მოქმედებებზე, სახელდობრ – ისეთებზე, რომლებიც რაღაცას ცვლიან სამყაროში. კონკრეტულ მოქმედებათა მაგალითებია: ნადირობა, თევზაობა, ხვნა, ჭედება, ქანჩის მოჭერა, მანქანის ტარება, საქონლის გაყიდვა, ფულის მიცემა, სიმართლის თქმა, ცურვა, მთაზე ასვლა, თხილამურებით სრიალი, არჩევნებში მონაწილეობა, ვიმეს წყენინება, შეფიქრიანება, განმარტება, გაცურება, განკურნება და ა.შ. დაბოლოს, ისეთი მეტყველებაქმედებანი როგორიცაა ბრძანება, რჩევა, დასწავლა, განფარვა, მოყოლა და ა.შ. ამ მოქმედებებს საერთო აქვთ ერთი რამ: ისინი გამიზნულნი არიან ზემოქმედებაზე (საგნის წარმოშობაზე, მდგომარეობის შეცვლაზე, წარმატების მოპოვებასა და ა.შ.) კონკრეტული მოქმედებებისთვის არსებითია მათში ინტენდირებული ზემოქმედება. *მოქმედებები ენერგიულად ებმებიან სამყაროში.* ისინი თავიანთ თავს განისხვავებენ როგორც უნებლიე მოძრაობათაგან (როგორიცაა ძილი, ხვრინვა, მონელება, სუნთქვა, გაფითრება), ისე იმ მოძრაობათაგან, რომლებიც არ არიან მოქმედი სუბიექტის მიერ წამოწყებულნი, არამედ გვიჩვენებენ, რომ მას რაღაც მოსდის (ფეხის დასხლეტა, წაბორძიკება, კრამიტის დაცემა, ცხენიდან გადმოვარდნა, მოთმინებიდან გამოსვლა და ა.შ.)

უფრო ცოტათი ტრივიალურია სხეულებრივი მოძრაობანი, რომელთა საშუალებითაც S ასრულებს კონკრეტულ მოქმედებებს; თითის მოხრა, რომლითაც კარაბინს უნდა გამოკრას, რათა გაისროლოს; ხელის მოძრაობა, რომლითაც ქუდს იხდის მისალმების დროს; სხეულის წამოწევა, რითაც S იტყობინება, რომ გამომშვიდობება სურს; ხმის გამოცემა, რითაც S წინადადებას გამოთქვამს, რათა ილაპარაკოს და ა.შ. ამ მოძრაობებით მოქმედი სუბიექტი ერევა სამყაროში ამ სიტყვის *სიტყვასიტყვითი* მნიშვნელობით. ოდნავ უფრო რთულად არის საქმე ოპერაციებთან მიმართებაში, რომლებიც მოქმედებათა უნარს გვანიჭებენ: ისეთი აზროვნებისმიერი ოპერაციები როგორიცაა განსხვავებათა გატარება, რაღაცის ცნებისადმი დაქვემდებარება, თვლა, დიფერენციალურ განტოლებათა გადაწყვეტა, დასკვნა, რაღაცის აღქმა, რაღაცის იდენტიფიცირება, შესწავლა, დახარისხება, ელემენტთა დალაგება წინასწარამონიშ-

ნული კონფიგურაციით და ა.შ.; ასევე ისეთი გრამატიკული ოპერაციები როგორიცაა წინადადების შემადგენელ ნაწილთა განსხვავება, ტრანსფორმაციათა განხორციელება, სიტყვათა თანმიმდევრობის დაცვა, ლექსიკური გამოთქმების შერჩევა, გრამატიკულად სწორად შედგენილი წინადადებების გარჩევა დარღვევით შედგენილთაგან და ა.შ. ეს ოპერაციებიც სხეულის მოძრაობებთან ერთად, მოქმედებებში შედიან და ხდება მათი *თანაშესრულება* კონკრეტულ ქმედებებში.

ამრიგად, კონკრეტულ მოქმედებებს, ერთი მხრივ, განვასხვავებთ სხეულთა კოორდინირებული მოძრაობებისაგან, რომელთა საშუალებითაც S ასრულებს თავის მოქმედებებს, და მეორე მხრივ იმ ოპერაციებისაგან, რომლებიც S-ს მოქმედბათა უნარს ანიჭებენ. ქვემოთ მე მხოლოდ კონკრეტული მოქმედებების შემთხვევაში ვილაპარაკებ მოქმედების წესების შესახებ. წესები (ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ფესვგადგმულნი), რომელთა მიხედვითაც ახდენს სუბიექტი თავისი სხეულის მ ,ძრაობათა კოორდინირებას და (კომპეტენციისმდგენი წესები), რომელთა მიხედვით იგი მოქმედებისას ოპერაციებს ასრულებს, არ წარმოადგენენ მოქმედების წესებს. ისინი აყალიბებენ ისეთ რაღაცას როგორიცაა ქმედების ინფრასტრუქტურა, რაკი ორგანიზაციას უწევენ: ა) სუბსტრატს, რომელშიც ხორციელდება მოქმედება და ბ) უფართოესი აზრით გაგებულ კოგნიტივურ კომპეტენციებს, რომლებსაც ქმედებანი ემყარებიან.

ვიდრე ქმედების ამ ინფრასტრუქტურას გამოწვლილვით გავარჩევდე, მინდა, გავაანალიზო მოქმედების წესთა სხვადასხვა ტიპები. თავდაპირველად ერთმანეთს შევუდარებ ინსტრუმენტულ და სოციალურ ქმედების წესებს. მოქმედების ყველა წესი წინასწარგულისხმობს კონტექსტს ე.ი. პირობებს, რომლებშიც შესაძლებელია მათი გამოყენება. ინსტრუმენტული ქმედების წესები ეყრდნობიან ემპირულ განზოგადოებებს და *მაგენერალიზებელი* ფორმით მიმართებაში არიან თავიანთ კონტექსტთან; სოციალური ქმედების წესების როგორც კონვენციების ამოცანაა, იმ კონტექსტის *დარეგულირება*, რომელიც მათ წინასწარ ხვდებათ. ორივე გამოთქმას მე ვესესხები თ. ოლშევსკის, რომელიც წესთა ტიპებს ერთმანეთისგან განასხვავებს მათს მაგენერალიზებელ გინა წესების რეგულატორულ „როლთა" მიხედვით: „მაგენერალიზებელი როლი ის არის, რომელშიც წესი კონტექსტის რეგულატორთა ფორმულირების სამსახურს გვიწევს; ე.ი. – აფორმულირებს უხიფათო ტარებისა თუ სწორი დიეტის წესებს; რეგულატორული როლი არის ის, რომელშიც წესები, კონტექსტში ოპერაციების დამარეგულირებელ სამსახურს გვიწევენ ანდა მასში წესრიგი შეაქვთ, ანუ ესენია ქუჩაში მოძრაობის წესებისა თუ სუფრის ეტიკეტის წესები". პირველ შემთხვევაში წინასწარ გვეძლევა სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქცია, მისი გამოყენების გარემო; მაგრამ ავტომობილის სამაველბო მახასიათე-

ბლები გარემოში შეირჩევა მოძრაობის უსაფრთხოების კრიტერიუმით, ხდება მათი განზოგადება, განიმარტება უსაფრთხო ავტომოძრაობის მიზანზე დაყრდნობით და ხდება მათი ფორმულირება წესებად მძღოლისათვის (და თანამგზავრისათვის). სხვა შემთხვევაში მოცემული ინტერაქციები, მაგალითად ავტომოძრაობის არსებული პრაქტიკა, წესრიგდება მოძრაობის წესების საშუალებით.

ინსტრუმენტული ქმედების წესები გამოიყენებიან ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად. ისინი მოითხოვენ ისეთ ენერგიულ ჩარევებს, რომლებიც საბოლოო ჯამში დაიყვანებიან მოძრავი სხეულების მიზანმიმართულ მანიპულაციაზე. მოძრავი სხეულების მანიპულაცია ნიშნავს ხდომილებებისა და მდგომარეობების ინტენციურ ცვალებადობას, რომელთა შესახებ წინასწარ ვვარაუდობთ, რომ ისინი ერთმანეთთან კაუზალურად დაკავშირებულნი არიან კანონების მიხედვით. ინსტრუმენტული ქმედების წესებში გამოხატული ცოდნა შეიძლება ექსპლიციტური ფორმით ტექნოლოგიად გამოისახოს. ტექნოლოგია შედგება პირობადებული იმპერატივებისგან, რომელიც მოცემული მიზნების პირობებში წინასწარ გვიწესებს საშუალებათა მიზანრაციონალურ ორგანიზაციას. განპირობებულ იმპერატივებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეუძლიათ შედეგის გამოღება, როცა ისინი ემპირულად შინაარსიანნი არიან. სხვათა შორის, ტექნოლოგიათა ქმედითობა დამოკიდებულია ნომოლოგიური გამოთქმების (ვინა ემპირულ წესშეზომილებათა შესახებ გამოთქმების) ჭეშმარიტებაზე. ამ კონტექსტს ეფუძნება მოქმედების ტექნიკურ წესთა მაგენერალიზებელი როლი: მათი ეფექტურობის აუცილებელი პირობა არის იმ ზოგადი გამოთქმების ჭეშმარიტება, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან. ტექნიკური წესები მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყონ ეფექტურნი, როცა ისინი ბუნების კანონთა შესახებ ერთხელ და სამუდამოდ იმპლიციტურ ცოდნას გამოხატავენ. S შეიძლება არღვევდეს ქმედითს ტექნიკურ წესებს, მაშინ იგი აგებს რეალობასთან. წესის დარღვევით საბოლოო ჯამში მოქმედება მარცხდება იმით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავარღვიოთ ბუნების კანონი.

ტექნიკური წესების გამოყენება მოითხოვს სამყაროსადმი მაობიექტივირებელ განწყობას. ინსტრუმენტულ ქმედებაში სუბიექტს საგანთან კომუნიკაციური, ე.ი. ორმხრივი მიმართება კი არ აქვს, არამედ – მიზანმიმართული და ცალმხრივი – მაობიექტივირებელ განწყობაში მყოფი, რომელიც მანიპულაციურად ერევა ხდომილებათა და მდგომარეობათა კაუზალურ კავშირ-მიმართებად მოსახულ სამყაროში, მიიგავს იმ დამკვირვებლის განწყობას, რომელიც რაღაცას აღიქვამს სამყაროში და მასზე გამოთქმას ადგენს. სხვათა შორის, ჩვენ შეგვიძლია მის განწყობას მონოლოგური ვუწოდოთ: მოქმედი სუბიექტი, როცა იგი მიმართებას ამყარებს ობიექტთან, ისე იქცევა, თითქოსდა მარტო იყოს. სხვა სუბიექტები მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევით შემოგვეყრებიან, ე.ი.

ინსტრუმენტულად მოქმედი სუბიექტის სამყაროსადმი შედეგზე ორიენტირებული მიმართებისთვის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს სხვა სუბიექტებისადმი ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული მიმართება.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ შეუძლებელია სოციალური მოქმედებათა per se დაკავშირება მონოლოგურ განწყობასთან; მაგრამ ეს არ არის სწორი. სტრატეგიული ქმედებისას ჩვენ ზუსტად ისევე ვართ ორიენტირებულნი შედეგზე, როგორც ინსტრუმენტული ქმედებისას. ამასთანავე, რა თქმა უნდა, შედეგი არ შეეზომება სამყაროში რაიმეს მიზანმიმართულ მანიპულაციას, არამედ – კონკურენციის გამწვევი მოწინააღმდეგის გადაწყვეტილებებზე არაპირდაპრი ზეგავლენის მოხდენას. მე მინდა, ერთმანეთისგან განვასხვავო გადაწყვეტილების კონცეპტი და რეფლექსური ე.ი. გადაწყვეტილებებზე მიმართული გადაწყვეტილების კონცეპტი.

იმით, რომ S ტექნიკურ წესებს იცავს და ინსტრუმენტულ ქმედებას ასრულებს, იგი ორგანიზაციას უწევს დასახული მიზნის რეალიზაციის საშუალებებს. მიზანრაციონალურად მოქმედებს იგი, თუ განსაზღვრული კრიტერიუმების (მაგ. ხარჯვა–შემოსავლის ხელსაყრელი რელაცია) მიხედვით ირჩევს ალტერანტიული საშუალებებიდან. მაგრამ ვიდრე S საქმის პრაქტიკირებას შეუდგებოდეს, მან უნდა მიიღოს ის წესი, რომელსაც მისი პრაქტიკა მიჰყვება. მაშინაც კი როცა ერთ რომელიმე სიტუაციაში მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი წესის გამოყენებაა შესაძლებელი, აუცილებელია გადაწყვეტილების გამოტანა ორ ალტერნატივას შორის, ჩვენ განკარგულებაში მყოფი წესი გამოვიყენოთ და გამოვიჩინოთ სამყაროში ენერგიული ჩარევის ინიციატივა, თუ სამყაროს თავის გზით სიარული დავანებოთ. მოხდომის მინებება (forbearance) მხოლოდ ფენომენოლოგიურად არის უმოქმედობა, მაგრამ როგორც შესაძლო მოქმედების ინტენციური შეუსრულებლობა მანამ არის მოქმედების ეკვივალენტი, ვიდრე S-ს სჯერა, რომ მიშვებული ხდომილებანი ასრულებენ (და უკეთ ასრულებენ, როცა იგი მის ხელთ არსებულ საშუალებას აამოქმედებს) დასახული მიზნის რეალიზაციის წარმატებულობის პირობებს. საზოგადოდ, რა თქმა უნდა, მიზნის მისაღწევად ჩვენ განკარგულებაში მრავალი საშუალებაა; ამ შემთხვევაში ერთი განსაზღვრული საშუალების მიღება eo ipso ნიშნავს გადაწყვეტილების გაკეთებას მრავალ ალტერნატიულ საშუალებას შორის. მაგრამ გადაწყვეტილებაზე მე მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით შემიძლია ლაპარაკი, რომ არჩევანი შემთხვევით ანდა თვითნებურად კი არ ხორციელდება, არამედ – დასაბუთებულად. ამრიგად, გადაწყვეტილება შესაძლებელია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ალტერნატიევები იმ მოქმედებებზე დაყრდნობით განისაზღვრებიან, რომელთა საბუთების მოტანაც შეიძლება.

ეს შეესატყვისება ინსტრუმენტულ ქმედებებს; რადგან ინსტრუმენული წესები შეიძლება მოქმედებათა საბუთებად მოვიტანოთ. S-ს ძალუძს — როცა მას უნდა ინსტრუმენტული მოქმედების დაფუძნება – შეადგინოს დასკვნა, რომელშიც საფუძველმდებარე ტექნიკური წესი შემდეგნაირად შედის:

– S-ს უნდა Z მდგომარეობის მიღწევა;

– S, რომელმაც იცის r, იმ აზრის არის, რომ Z ვერ მოხდება მოცემულ სიტუაციაში თუ h არ შესრულდა;

– t დროის მონაკვეთში არსებობს s სიტუაცია;

– S t დროის მონაკვეთში იცავს r წესს და ასრულებს h მოქმედებას.

ამ დასკვნის დანასკვი არ არის ჩვეულებისამებრ წინადადება, არამედ მოქმედებაა. როგორც კი მრავალი ტექნიკური წესიდან $r_1, r_2, r_3 \ldots r_n$ ერთის არჩევა გვმართებს აუცილებელია, რომ S-მა შესაბამისი დასაბუთებანი წარმატების დამატებითი კრიტერიუმებით აწონ-დაწონოს.

ამგვარი მიზანმიმართული მოქმედებები იძენენ სტრატეგიულ ასპექტს, როგორც კი რაციონალური არჩევანის ორიენტაციის წერტილად აღარ გვადგება ტექნიკური ამოცანების ეკონომიკური დაძლევა, არამედ საამისო სამსახურს სწევს პარტნიორებთან შედეგიანი კონკურენციის წარმოება; პარტნიორი არის მიზანრაციონალურად მოქმედი სუბიექტი S_2, რომლის გადაწყვეტილებანი (თუ გადაწყვეტილების შესაძლებლობანი) სტრატეგიულად მოქმედმა სუბიექტმა S_1-მა უნდა ჩართოს თავის გადაწყვეტილებებში, თუკი მას თავისი მიზნის მიღწევა სურს. მიზანი კი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტაა. იგი იმაში მდგომარეობს, რომ შესუსტებული იქნას პარტნიორთა პოზიცია, როცა იგი შენი საკუთარი მოქმედების გეგმებს პკვეთს; S_1 ისახავს სტრატეგიულ ამოცანას, თუკი მას მოცემული შეღავათების პირობებში, უნდა მასსა და სულ ცოტა ერთ პარტნიორს შორის არსებული კონკურენციული მდგომარეობა თავის სასარგებლოდ შეცვალოს. S_1 მოქმედებს S_2-ის გადაწყვეტილებებზე. ამ ზეგავლენებს მე არაპირდაპირს ვუწოდებ იმიტომ, რომ თავდაპირველად სუბიექტები ორიენტირებულნი არიან საკუთარ წარმატებაზე და არა – სხვასთან ურთიერთგაგებაზე; ისინი იზიარებენ ინსტრუმენტული ქმედებისთვის აუცილებელ მონოლოგურ განწყობას. ამდენად, სტრატეგიული მოქმედებანი არიან ინტერაქციები, რომლებიც მონოლოგურ განწყობაში ხორციელდებიან. ინსტრუმენტელური მოქმედებით S აღწევს შედეგს საგნებით მანიპულაციის გზით; სტრატეგიული მოქმედებით S აღწევს მიზანს იმის საშუალებით, რომ იგი სხვა სუბიექტს სასურველი გადაწყვეტილებებისკენ უბიძგებს.

სტრატეგიულ ხერხებში საკუთარი მჯობინებებისა და გადაწყვეტილების მაქსიმათა საფუძველზე ყოველთვის არის იმპლიცირებული გა-

მოთქმები ღირებულებებს, მიზნებსა და საშუალებებს შორის კავშირების თაობაზე. სტრატეგიული წესების გამოყენება ისევე მოითხოვს მოწინააღმდეგე მხარის გადაწყვეტილების საფუძველთა და შესაძლებლობათა ემპირულ ცოდნას, როგორც აუცილებელია მოქმედების მოცემულ სიტუაციაში საკუთარი ალტერნატიული ასპარეზის ცოდნა. სტრატეგიათა ქმედითობის აუცილებელი პირობაა გამოთქმათა ჭეშმარიტება (მდგრადობა), რომლებიც მათ ფარულად შეიცავენ გინა წინასწარ გულისხმობენ. სხვათა შორის, სტრატეგიული წესებიც შეიძლება მოქმედებათა დასაფუძნებლად გამოგვადგნენ.

ყველა სოციალურ ინტერაქციაში როდი არიან მონაწილენი მონოლოგურად განწყობილნი და წარმატებაზე ორიენტირებულნი. სტრატეგიული მოქმედებიდან მე განვასხვავებ ნორმებით რეგულირებულ მოქმედებებს, რომლებიც კონსენსუელური ქმედების სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენენ. მოქმედი სუბიექტები ნორმებს რომ იცავენ პერფორმაციულად არიან განწყობილნი და ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულნი. სტრატეგიული მოქმედებისას S_1 აუცილებელია ინფორმირებული იყოს S_2-ის ქცევებსა და გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ იგი ამ ცოდნას სხვა სუბიექტებს უზიარებდეს. საჭიროების შემთხვევაში S_1 შეუძლია რაღაც იცოდეს და ისიც იცის, რომ ეს შესაძლოა S_2-ც იცოდეს და, გარდა ამისა, მან იცის, რომ S_2 თავის მხრივ იცის, რომ S_1 საქმის კურსშია პარტნიორის ცოდნის თაობაზე. მაგრამ ამასთანავე პარტნიორები ინარჩუნებენ მაობიექტივირებელ განწყობას, რაკი ისინი ერთმანეთის თაობაზე ინფორმაციებით კმაყოფილდებიან და არ სჭირდებათ ერთმანეთთან ურთიერთგაგება. მაგრამ გაგების პროცესები აუცილებლად უნდა დაბოლოვდნენ ისეთი ცოდნით, რომელსაც მონაწილენი ერთმანეთს კომუნიკაციურად გაუზიარებენ; ამრიგად, ისინი წარმოადგენენ საზიარო საკუთრებას. S_1 აგებინებს S_2 რაღაც საქმის თაობაზე, როცა ისინი ერთობლივად აღიარებენ წამოყენებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიას. S_1-სა და S_2-ს შორის კონსენსი არ მდგომარეობს იმაში, რომ ორივენი ერთსადაიმავე ინფორმაციას ფლობენ, არამედ – მხოლოდ იმაში, რომ ისინი ინტერსუბიექტურად აღიარებენ იმ მნიშვნელოვნების პრეტენზიას, რომლის ურთიერთმხრივი წამოყენება ძალუძთ მათ გამოთქმისთვის, ექსპრესიული გამოხატულებისა თუ მოქმედებისათვის (შესაბამისად – საფუძველმდებარე ნორმისთვის). კონსენსუსის ეს სახეობა საჭიროა მაგ. ნორმების დაცვის და არა სტრატეგიათა გამოყენების დროს.

ნორმები გამოხატავენ ცოდნას, რომლის გაშუქება შესაძლებელია ქცევების ურთიერთ მოლოდინთა ფორმაში. იმით რომ S_1 x ნორმას იცავს, იგი ასრულებს იმ მოლოდინებს, რომლებსაც s მოცემულ სიტუაციაში თავიანთი ქცევების მხრივ $S_1, S_2, S_3, \ldots S_n$-ში ყველა შემავალი უნ-

და განიცდიდეს, ვისთვისაც „x“ მნიშვნელობს. „შემავალს“ მე სიმარტივის გულისთვის ვუწოდებ ჯგუფის თითოეულ წევრს, რომლისთვისაც ნორმა მნიშვნელობის მქონეა. ნორმის მნიშვნელობა შემავალს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ იგი ადრესატების მხრივ განსაზღვრულ სიტუაციაში განსაზღვრული სახით მოქცევას მოელოდეს. ნორმა მნიშვნელობს, როცა მასზე მიბმული პრეტენზიის ინტერსუბიექტური აღიარება მოხდება. ნორმატიული მნიშვნელოვნების პრეტენზიის, ისე როგორც ჭეშმარიტების პრეტენზიის დისკურსული შესრულება უნდა შეიძლებოდეს; მაგრამ ნორმა სოციალური მნიშვნელობითაც უკვე სარგებლობს, როგორც კი მოხდება მნიშვნელოვნების პრეტენზიის de facto აღიარება სულერთია, გაუძლებს თუ არა იგი დისკურსულ გადამოწმებას. ამ აზრით ელაპარაკობთ ჩვენ ნორმის შემოღებასა ანდა მის „სოციალურ მნიშვნელობაზე“

ნორმებით რეგულირებულს ჩვენ ისეთ მოქმედებას ვუწოდებთ, როცა S მოლოდინის შესატყვისი განწყობილებით შემოღებულ ნორმაზეა ორიენტირებული. არ არის აუცილებელი, რომ ნორმებით რეგულირებული მოქმედებები ნორმის შესატყვისნი იყონ, ისინი შესაძლოა შემოღებულ ნორმებს არღვევდნენ; ნორმის დარღვევაც წინასწარ გულისხმობს მნიშვნელად ნორმაზე ორიენტირებულობას.

ნორმით რეგულირებულ ქმედებაში წარმატებაზე ორიენტირებულობის ნაცვლად გამოდის ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულობა. რა თქმა უნდა, ჩვენ შეიძლება მარცხი ვიწვნიოთ უმართებულო ნორმებითაც, მაგრამ ეს არ არის იგივე რაც ინსტრუმენტული ანდა სტრატეგიული წესით განცდილი ფიასკო. ტექნოლოგიები და სტრატეგიები ეფექტურობას მოკლებულნი არიან, როცა არასწორია ის გამონათქვამები, რომლებსაც ისინი შეიცავენ ანდა წინასწარ გულისხმობენ. ხოლო ნორმები არ არიან „სათანადონი“, თუკი ყალბია ვარაუდი იმისა, რომ ჯგუფში შემავალნი, სულ ცოტა, ფაქტობრივად აღიარებენ მნიშვნელოვნების პრეტენზიას. ნორმით არ შეიძლება S-მა რეალობაში მარცხი განიცადოს – ისე როგორც ამას ტექნიკური ანდა სტრატეგიული წესით განიცდის – თუ იგი ბუნების კანონებს ანდა ამორჩევის მოქმედებათა ლოგიკას ემორჩილება; სუბიექტს მაშინ მოუვა ამ ნორმით მარცხი, თუკი იგი ტყუვდება მის ფაქტობრივ მნიშვნელობაში. თუკი არ არსებობს კონსენსი, რომელიც დაწანამძღვრებული აქვს S-ს სხვა შემავალებთან, მაშინ მისი ვითომდა ნორმის შესატყვისი მოქმედება არ შეესაბამება მოლოდინთა ფაქტობრივად დამკვიდრებულ სტრუქტურებს.

ამრიგად, ერთი მხრივ, არაჯეროვან, ხოლო მეორე მხრივ, არაქმედით ტექნოლოგიებსა და სტრატეგიებს შორის განსხვავება, როგორც სჩანს იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში გამრუდებულია ნორმატიულ სისწორეზე პრეტენზიები, ხოლო მეორეში – ჭეშმარიტების პრეტენზიები. მაგრამ ნორმის ჯეროვნებისთვის საკმარისია მისი მნიშვნელოვნების

პრეტენზიის de facto აღიარება, მაშინ როცა ტექნიკური ანდა სტრატეგიული წესის ეფექტურობას გამოთქმათა ჭეშმარიტება (და არა ჭეშმარიტ-ად მიჩნევა) განსაზღვრავს. მაშინ როცა ნორმის ჯეროვანება *იმაში მდგომარეობს* რომ იგი (სულ ცოტა) ფაქტობრივად მნიშვნელობს; ტექნოლოგიებისა და სტრატეგიების ეფექტურობა ეყრდნობა გამონათქვამთა ჭეშმარიტებას. ტექნიკური და სტრატეგიული წესების ეფექტურობა *ეშყრება* შესაბამისი პროპოზიციების ჭეშმარიეტებას. ამის ნაცვლად ნორმა უფრორე ჰგავს გამოთქმას, ვიდრე ტექნიკურსა თუ სტრატეგიულ წესს.

ეს გარემოება გვიხსნის იმ ადგილღირებულებასაც, რომელიც შეიძლება პრაქტიკული დასკვნის ჩარჩოებში ნორმებს ეჭიროთ. ინსტრუმენტული მოქმედებების დასაბუთებისას შესაბამისი ტექნიკური წესი შესაძლოა, არ შევიდეს პრაქტიკულ დასკვნაში, ვიდრე იგი პირობადებულ პროგნოზად არ გარდასახულა. ნორმებით რეგულირებული მოქმედებების დასაბუთების დროს კი თვით შესაბამისმა ნორმამ შესაძლოა წანამძღვრის ადგილი დაიკავოს:

– მნიშვნელობის ნორმა X: ყველასთვის ვინც g ჯგუფში შედის შემოღებულია ბრძანება, რომ s ტიპის სიტუაციებში შეასრულონ h მოქმედება;

– S არის g ჯგუფში შემავალი;

– S-თვის t დროის მომენტში დადგა s ტიპის სიტუაცია;

– t დროის მომენტში S x ნორმის დაცვით s ასრულებს h მოქმედებას.

– არ არის საჭირო ნორმათა გადაკეთება არგუმენტებში მათს გამოსაყენებლად, რაკი ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებულნი მნიშვნელოვნების პრეტენზიასთან.

მოქმედების წესთა ის სამი ტიპი, რომლებიც მე ერთმანეთისგან განვასხვავე, იმ კონტექსტთა დახმარებითაც განირჩევიან, რომლებსაც ისინი აწესრიგებენ. მაშინ როცა ინსტრუმენტელური წესები მანიპულირებად საგნებში მოქმედებენ, სტრატეგიული წესები კი – მიზანრაციონალურად მოქმედი პარტნიორის მონოლოგურ გადაწყვეტილებებში, ნორმებს წესრიგი ინტერაქციებში შეაქვთ. ტექნოლოგიები და სტრატეგიები ისეთ მყოფზე* არიან მიმართულნი სამყაროში, რომლებზეც შესაძლებელია ჭეშმარიტი გამოთქმები; მაგრამ ერთი მხრივ, მხოლოდ და მხოლოდ ისეთი მყოფებია დაშვებული, როგორცაა ნივთები და ხდომილებანი, რომლებშიც შესაძლოა განხორციელდეს ენერგიული ტექნიკური ჩარევა, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში აუცილებელია აქტორთა არსებობაც, რომლებიც ისე როგორც თვითონ სტრატეგიულად მოქმედი

---

* Entität—მყოფი; იგულისხმება ნივთის ემპირულად ხორცშესხმული ყოფნა მისი არსებისაგან განსხვავებით – მთარგმ. შენიშვნა.

სუბიექტები აღჭურვილნი არიან კომპეტენციით, ალტერნატივებს შორის დასაბუთებული არჩევანის გადაწყვეტილება მიიღონ. ნორმები კი, პირიქით, მიმართებაში არიან სოციალური სამყაროს შემადგენელ ნაწილზე, რომელშიც შედიან ინტერაქციის თანამონაწილე და მისი გამოთქმები.

ქვემოთ მე მინდა თავდაპირველად გამოვიკვლიო მოქმედების სქემები, რომელთა მიხედვით ვამოძრავებთ ჩვენს სხეულს სულერთია, ინსტრუმენტულად, სტრატეგიულად თუ ნორმებით რეგულირებულად ვმოქმედებთ. როგორც მოქმედებებს „შეუმოსავთ" სხეულის მოძრაობანი, ისე „შინაგანად გასჯდომიათ" მოქმედებებს აზროვნებისა და მეტყველების პროცესები.

2. მოქმედებით კოორდინირებული მოძრაობანი

დაკვირვებადი მოვლენების ასპექტით სამყაროში გვევლინებიან ისეთი მოქმედებები, როგორიცაა მოქმედი სუბიექტის სხეულებრივი მოძრაობანი. ეს სხეულებრივი მოძრაობები, რომლებიც იმართებიან ცენტრალური ნერვული სისტემიდან, წარმოადგენენ სუბსტრატს, რომელშიც სრულდებიან მოქმედებანი. თავისი მოძრაობებით მოქმედი სუბიექტი რაღაცას ცვლის სამყაროში. მაგრამ თავდაპირველად ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ის მოძრაობები, რომლებითაც სუბიექტი ენერგიულად ერევა სამყაროში (ინსტრუმენტელური ქმედება) და ის მოძრაობები, რომლებითაც სუბიექტი ხორცს ასხამს მნიშვნელობას (მაგ. ფონეტიკურად გამოხატავს). ეს სხეულებრივი მოძრაობები სამყაროში ფიზიკურ ცვლილებებს იწვევენ, მაგრამ ერთ შემთხვევაში ისინი კაუზალურად არიან მნიშვნელოვანნი, მეორეში — სემანტიკურად. მოქმედი სუბიექტის კაუზალურად მნიშვნელოვანი სხეულებრივი მოძრაობების მაგალითებია სხეულის აღმართვა, მკლავის გაშლა, ხელის აწევა, ფეხის მოხრა და ა.შ. სემანტიკურად მნიშვნელოვან სხეულებრივ მოძრაობათა მაგალითებია: ხორხის, ენის, ტუჩების და ა.შ. მოძრაობები ფონეტიკური ბგერების გამოცემისას; თავის დაქნევა, მხრების აჩეჩვა, თითების მოძრაობა კლავიერზე დაკვრისას, წერისას, ხატვისას და ა.შ.

ა.ს. დანტო ამ მოძრაობებს განიხილავს *ბაზისურ ქმედებებად*. ამის შესახებ გაიშალა ფართო დისკუსია, რომელსაც მცდარად ჰქონდა დაწანამძღვრებული წარმოდგენა, რომ სხეულებრივი მოძრაობანი არ წარმოადგენენ სუბსტრატს, რომლითაც სამყაროში მოქმედებები გამოდიან,

არამედ თვითონ არიან პრიმიტიული მოქმედებები.[1] ამ წარმოდგენის კვალად, კომპლექსური მოქმედება იმით ხასიათდება, რომ იგი სრულდება სხვა მოქმედების, სახელდობრ სხეულის მოძრაობის „საშუალებით". ჩამრთველის გადატრიალების „საშუალებით" ვანთებ სინათლეს; მარჯვენა ხელის აწევის „საშუალებით" სალამს ვიძლევი; ბურთის ძლიერი დარტყმის „საშუალებით" კარს ვიღებ. ესენი წარმოადგენენ ისეთი მოქმედებების მაგალითებს, რომლებიც ბაზისური მოქმედების გზით სრულდებიან. ბაზისური მოქმედება, თავის მხრივ, იმით ხასიათდება, რომ მხოლოდ და მხოლოდ per se სრულდება და არა – *შემდგომი* მოქმედების საშუალებით. ჩამრთველის გადატრიალება თითის შესაბამისი მოძრაობის „საშუალებით" კი არ ხორციელდება, არამედ პირიქით, თითის ეს მოძრაობა იმას ნიშნავს, რომ S ჩამრთველს ატრიალებს. ამგვარი მოძრაობანი, რა თქმა უნდა, შეიძლება აღიწეროს ნეეროფიზიოლოგიური, ანატომიური თუ მექანიკური თვალსაზრისებით, მაგრამ ყოველთვის საქმე ეხება იდენტურ მოძრაობებს, რომლებიც უშუალოდ მოქმედი სუბიექტის პერსპექტივიდან ხორციელდებიან და არა შემდგომი მოძრაობის „საშუალებით".

ბაზისური მოქმედების მიმართება მისი დახმარებით შესრულებულ მოქმედებასთან დანტოს მიერ თავიდან გაგებულია როგორც კაუზალური მიმართება: S აღებს ფანჯარას სახელურის გამოყენებით. ფანჯრის სახელურის გამოყენება არის ბაზისური მოქმედება; იგი მდგომარეობს განსაზღვრულ მოძრაობაში, რომელსაც S ასრულებს მაგ. მკლავგაშლილი მარჯვენა ხელით მოძრაობა და ფანჯრის გაღების მოქმედება, რომელსაც S ხელის მოძრაობის საშუალებით ასრულებს, ორი სხვადასხვა აქტია, რომელთაგან ერთი მეორეს *იწვევს*. კაუზალობის ამ თეზისის წინააღმდეგ გოლდმანმა წამოაყენა შესიტყვება, რომ ხელის მოძრაობა ფანჯრის გაღებას, ე.ი. მოქმედებას კი არ იწვევს, არამედ – ფანჯრის გაღებულობას ე.ი. მდგომარეობას.[2] ჩამრთველის გადატრიალება ნიშნავს იმას, რომ S ახორციელებს თითის მოძრაობას და ამით იწვევს ხდომილებას სახელდობრ – იმას, რომ შუქი (რომელიც ჩამრთველს გამოურთავს) ინთება. მაგრამ ხელის მოძრაობა არ იწვევს მოქმედებას: იმას, რომ S სინათლეს ჩართავს. ბაზისური მოქმედება და მისით გაშუალებული ინტენციური მოქმედება საერთოდაც არ არიან იმგვარად ურთიერთგანსხვავებული მოქმედებები, რომ ისინი ერთმანეთთან კაზუალურ მიმართებაში იდგნენ; პირველ ყოვლისა, ეს ითქმის ისეთ ბაზისურ მოქმედებებზე, რომლებიც ხორცს ასხამენ კონვენციურ მნიშვნელობებს მაგ.

---

[1] A.C. Danto, Basic Actions, Am. Philos. Quart. 2, 1965, 141-148; ders., Analytical Philosophy of Action, Cambr., Mass. 1973.

[2] A.I.Goldman, A Theory Of Human Action, Englewood Cliffs 1970.

ხელის მოძრაობა, რომლითაც S ჭადრაკის თამაშში მოწინააღმდეგის სპილოს იყვანს. მაგრამ თუ მოქმედებაზე შეწყობილი მოძრაობა და ინტენციონური მოქმედება არ იმყოფებიან კაუზალურ ურთიერთმიმართებაში, მაშინ რა სახის რელაციაა მათ შორის?

დ. დევიდსონი აყენებს თეზისს, რომ ყოველთვის არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი მოქმედება – კერძოდ ეს არის ბაზისური მოქმედება – რომელიც, რა თქმა უნდა, შეიძლება აღიწეროს მრავალი ასპექტით: „ჩვენ არასოდეს მეტს არაფერს ვაკეთებთ, თვინიერ ჩვენი სხეულის ამოძრავებისა: დანარჩენი ბუნებრივად ხდება... ამიტომ გაგვიცუდდა მცდელობა მოქმედების ბაზისური კონცეპტის დაშვებისა, რომელიც მიეყენება პრიმიტიულ ქმედებებს და შემდგომ განიერცობა პრიმიტიული ქმედებების შედეგთა თვალსაზრისით განსაზღვრულ მოქმედებებზე: მცდელობა იმიტომ სრულდება მარცხით, რომ არ არსებობენ შემდეგი მოქმედებები, არამედ არსებობენ მხოლოდ შემდგომი აღწერები“.[1] განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: S იყენებს კარაბინის საბალეტს ე.ი. იგი კაკვავს საჩვენებელ თითს; თითის ამ მოძრაობით იგი კარაბინს ცლის ე.ი. ისვრის; რომ ისვრის, კლავს ფანჯარაში ბნელ გამოსახულებას, რომელიც მას ქურდად მიუჩნევია; სინამდვილეში კი ქურდად მიჩნეული თავისი ღვიძლი ძმაა; ძმას რომ კლავს, იგი (ისე რომ ამის შესახებ არ უწყის) უზარმაზარი ქონების ერთადერთი მემკვიდრე ხდება; უზარმაზარი ქონების ერთადერთი მემკვიდრე რომ ხდება, S წყდება ფინანსური ინსპექტორის ვიწრო სამყაროს, იგი ცვლის უზარმაზარი კონცერნის მართვის პირობებს, იუმჯობესებს შანსებს მეგობრების შეძენისა, ცვლის თავის დამოკიდებულებას ვაჟისადმი და ა.შ. აღწერათა ამ იერარქიას რამხელაზეც გინდა იმხელაზე განავრცობ, რადგან მოქმედება შეიძლება აღიწეროს არა მარტო მოქმედი სუბიექტისა და მისი ინტენციების პერსპექტივიდან, არამედ – მოქმედების არაინტენდირებული შედეგების ასპექტითაც. თითოეული შედეგი რამდენიც გინდა იმდენი მიმართულებით განიტოტვება. S რომ ფანჯარაში ბნელ გამოსახულებას ესვრის, ამით მეზობლები დაშინებულან; მეზობლებს რომ ძილს უფრთხობს, S აფერხებს მოხუცი კაცის გაუარესებულ სისხლის მოძრაობას და აღვიძებს დამფრთხალ ქალიშვილს, რომელიც მოხუცი მამის ჯანმრთელობაზე ზრუნავს; S რომ ქალიშვილის აღელვებას იწვევს, მას წინასამშობიარო ტკივილები ნაადრევად ეწყება და ა.შ. ყველა ეს ინტერპრეტაცია ძალიან მჭიდროდ ნაქსოვ ბადესავით გადაცმია ერთადერთ ბაზისურ მოძრაობას, რასაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს თითის მოხრა. „მოხდომა“ სხვა არაფერია თუ არა მოძრაობა; სხვა დანარ-

[1] D.Davidson, Agency, in: R. Burkley (Ed.), Agent, Action and Reason, Oxford 1971, 3-25.

ჩენი მისი აღწერილობანია. ინტერპრეტაციები გვეუბნებიან იმას, თუ როგორ ენერგიულად ერევა თითის მოძრაობა სამყაროში და როგორ იწვევს იგი მოვლენათა კაუზალურ მდინარეობას და ეს ბუნებრივია.

თავის მხრივ ა. ი. გოლდმანი უარყოფს იდენტობის ამ თეზისს. იგი აჩვენებს, რომ ბაზისურ მოქმედებას სხვა თვისებები აქვს, ვიდრე იმ მოქმედებებს, რომლებიც აუცილებელია მისი იდენტურნი იყონ, თუკი ისინი სხვადასხვა ასპექტით ერთსადაიმავე ბაზისურ მოქმედებას გამოხატავდნენ. თითის მოძრაობა გასროლის მიზეზია. თითის ამ მოძრაობით S ძმას ხვრეტს. იდენტობის ამ თეზისის თანახმად A თითის მოძრაობას და A' ძმის მოკვლას ჩვენ ერთი და იგივე თვისებები უნდა მივაწეროთ. მაგრამ ცხადია, რომ A' ე.ი. S-ის მოქმედება, რომელიც ძმას ხვრეტს, არ არის მიზეზი გასროლის მოხდენისა იმ აზრით, რა აზრითაც ამის მიზეზი არის თითის მოძრაობა A. ჩვენ არ შეგვიძლია ორივე აქტს მივაწეროთ ერთი და იგივე თვისება, როგორც ამას მოითხოვს იდენტობის თეზა. ამასთანავე A და A' ერთმანეთის მიმართ ისევე ასიმეტრიულნი არიან, როგორც არარეფლექსურნი: A ძმას ხვრეტს თითის მოძრაობის შესრულებით, მაგრამ თითის მოძრაობას იგი არ ასრულებს იმით, რომ თავის ძმას ხვრეტს. და ჩვენ არ შეგვიძლია, რომ თითის მოძრაობა თითის მოძრაობით ავხსნათ, ძმის დახვრეტა კი – ძმის დახვრეტის საშუალებით. A და A' რომ ერთმანეთის იდენტურნი ყოფილიყვნენ, როგორც ამას მოითხოვს იდენტობის თეზა, მაშინ ნებისმიერი R მიმართება რაც არსებობს A და A' შორის უნდა არსებულიყო A' და A, აგრეთვე – A და A და A' და A' შორის. დაბოლოს სიძნელეში გვხვევს ინტენციონალობის თეზისიც, რომელიც ნიშნავს იმას, რომ სხეულებრივი მოძრაობანი და მოქმედებები ორ სხვადასხვა უნივერსუმში შედიან. ამ თეზისის მიხედვით ისეთივე უაზრობაა კაუზალური მიმართება ვივარაუდოთ დაკვირვებადს მოძრაობასა და გაგებადს მოქმედებას შორის, როგორი უაზროც არის მათი იდენტობის მტკიცება; მაგრამ სხეულებრივი მოძრაობანი დასაფუძვლებული აქვთ ხდომილებათა და მდგომარეობათა ურთიერთკავშირს, მაშინ როცა მოქმედებებს წესების მიხედვით თვითონ სუბიექტები ქმნიან. მოძრაობები და მოქმედებები მოითხოვენ კატეგორიალურად განსხვავებულ საფუძველცნებებს. მაგრამ ეს დიხოტომიური ცნებათაქმნადობაც, თავის მხრივ, ვერ იხელთებს იმ სხეულებრივ მოძრაობათა სტატუსს, რომელთა საშუალებით ჩვენ მოქმედებებს ვასრულებთ. მართალია, ეს მოძრაობანი საზოგადოდ იმ ზომად არიან ჩვეულებაში გამჯდარნი, რომ ისინი თანასრულდებიან არაინტენციურად; მაგრამ ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ თითოეული ამ მოძრაობათაგანის ინტენდირება და მოქმედებად *გათვითმყოფადება* მოხდეს: ხელის მოძრაობა, რომლითაც მე. ავტომატურად ვიხდი ქუდს სალმის ნიშნად, თავის დაქნევა, რითაც მე ჩემს ავტომატურ

თანხმობას გამოვხატავ, თითის მოხრა, რომლითაც მე კარაბინს ვცლი – ყველა ეს მოძრაობა შეიძლება მოვწყვიტოთ მოქმედების კონტექსტებს და ე.ი. მათ წავართვათ მხოლოდღა ინსტრუმენტული როლი და ისინი ინტენციურად მაგ. სამკურნალო გიმნასტიკის სავარჯიშოების სახით შეეასრულოთ. ე.ი. მათი სტატუსი მოქმედებათა სტატუსამდე ავწიოთ. მაშინ მათ სრულიად აღარ შეეწონება ის ცნებობრიობა, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ ფიზიკალისტური სხეულებისა და მათი კაუზალური განმარტებებისათვის; ანდა თუ შეეწონება, მაშინ იგი მოქმედი სუბიექტის სხეულებრივ მოძრაობებს სხვანაირად არ უნდა შეეწონებოდეს, ვიდრე მის მოქმედებებს.

გოლდმანს უნდა გვერდი აუაროს კაუზალობის, იდენტობისა და ინტენციურობის თეზისთა სიძნელეებს. მისი საკუთარი შემოთავაზება გამიზნულია მოქმედების საფეხურთა კონცეპტზე. უფრო მაღალი საფეხურის მოქმედებები, განსაზღვრულ მოდალობათა თანახმად, წარმოიშობა შესაბამისი დაბალი საფეხურის მოქმედებებიდან. ამ შემთხვევაში ბაზისური მოქმედებები ეწოდება ისეთ მოქმედებებს, რომლებიც, თავის მხრივ, აღარ გამოიყენებიან A. A', A'' ... A^n მოქმედებათა იერარქიაზე, როცა შესაძლებელია სხვადასხვა საფეხურის მოქმედებათა გავლით მათი ბაზისურ მოქმედებებზე დაყვანა. n მოქმედებათა იერარქია ნიშნავს, რომ დროის ერთსა და იმავე მომენტში ერთსა და იმავე ბაზისზე ხდება n სხვადასხვა მოქმედება. საფეხურებრივად წარმოშობილი მოქმედებათა ყოველი წყვილი ერთმანეთთან ასიმეტრიულ, არარეფლექსურსა და ტრანზიტულ მიმართებაშია, მაგრამ ისინი არასოდეს იმყოფებიან დროში თანამიმდევრობისა თუ კაუზალური დამოკიდებულებების რელაციაში. მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში, როცა ბაზისური მოქმედება „წარმოშობს" უფრო მაღალი საფეხურის ქმედებას, ეს ძალიან წააგავს კაუზალურ მნიშვნელობას. ასეთ შემთხვევაში გოლდმანი ლაპარაკობს „კაუზალური გენერაციის" განსხვავებით კაუზალობისაგან (causality). მაგ. „კაუზალური წარმოშობის" მიმართებაში იმყოფებიან: ხელის მოძრაობა (A), რომელიც მოასწავებს ჩამრთველის გადატრიალებას, იმ მოქმედებისთვის (A'), რომ S შუქს რთავს; თითის მოძრაობა (A), რომელიც ნიშნავს სასხლეტის გამოყენებას, იმ მოქმედებისთვის (A'), რომ S კარაბინი დაცალოს; ხელის მოძრაობა (A), რომელიც ნიშნავს სახლის კარის დახურვას იმ მოქმედებისთვის (A'), რომ S სახლის კარს ხურავს; *კაუზალური* მიმართება არსებობს მოცემულ სხეულებრივ მოძრაობასა და მის მიერ გამოწვეულ ხდომილებას E(A) შორის: რომ შუქი ინთება, რომ გასროლა ხდება, რომ სახლის კარი ირაზება; მაგრამ ამგვარი მიმართება არ არის სხეულის მოძრაობასა და მის მიერ „კაუზალურად წარმოშობილ" მოქმედებას გინა A და A' შორის. როცა S საძილე აბს იღებს და თხუთმეტიოდე წუთის მერე მას ძილი ეუფ-

ლება, მაშინ კაუზალური მიმართება არსებობს აბის მიღებასა (A) და ჩაძინებას E(A) შორის, მაგრამ სხეულის მოძრაობებსა – რომლებიც მოასწავებენ საძილე აბის მიღებას (A) და მოქმედებას (A') შორის, რომ S აბის მიღების საშუალებით იძინებს — არ არსებობს „კაუზალური წარმოშობის" მიმართება.

მაინც ბუნდოვანი რჩება, თუ რას უნდა ნიშნავდეს „კაუზალური გენერირება." ერთი მხრივ, გოლდმანს უნდა „მიზეზისა" და „მიზეზით გამოწვეულის" სემანტიკური ბირთვის შენარჩუნება, მაგრამ მეორე მხრივ, გვერდს უვლის ყველა იმ პირობას, რომელთა შესრულება აუცილებელია ხოლმე, რათა ადგილი ჰქონდეს კაუზალურ მიმართებას. სიტყვა „გენერირებას" (სულ გვიან ჩომსკიდან მაინც) სიმბოლური გამოხატულებების წარმოქმნას ეუკავშირებთ; იქაც კი მას კაუზალობის ელფერი დაკრავს. წინადადებებისა და საგნების წარმოქმნისას, ისე როგორც მოქმედებათა გენერირებისას იგი იმაში მდგომარეობს, რომ მოვლენა აგენტებს მიეწერება. მაგრამ ამ ასპექტით უნდა თქმულიყო, რომ S, იმით რომ სინათლეს რთავს, კარაბინს ცლის, სახლის კარს ხურავს და ა.შ. კაუზალურად წარმოქმნის შესაბამის სხეულებრივ მოძრაობებს და არ არის ისე, რომ A იწვევს უფრო მაღალი საფეხურის მოქმედებას A'. კაუზალური გენერირების საზრისს უფრო მივუახლოვდებით, თუკი სიმბოლოსა და მნიშვნელობას შორის მიმართების მიხედვით ვიაზროვნებთ: ნიშნის სუბსტრატი იმის მსგავსად ატარებს ანდა წარმოადგენს თუ ახორციელებს სემანტიკურ შინაარსს, როგორც სხეულის მოძრაობა – ინტენციურ მოქმედებას. გოლდმანს უნდა ერთმანეთისგან განასხვაოს, ერთი მხრივ, *კონვენციური გენერირება,* როცა A (მაგ. შეტყობინებას, რომ მძღოლი აპირებს მანქანის მარცხნივ შეხვევას) წარმოქმნის A (შესაბამისი სიგნალი მაგ. გაშლილი მკლავის გამოწვდენა ღია ფანჯრიდან), და მეორე მხრივ – კაუზალურ გენერირებისეული მოქმედებათა დახარისხების სხვა ტიპი. *კონვენციური* გენერირების შემთხვევაში მოცემულია (სულ ცოტა) ერთი წესი (აქ – ქუჩაში მოძრაობის წესი), რომლის მიხედვით ხდება კონვენციონელური მნიშვნელობების განხორციელება. წესის დაცვის კონცეპტის დახმარებით შესაძლებელი რომ შეიქნეს იმის ცხადყოფა, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „კონვენციური გენერირება", ამით შუქი მაინც არ მოეფინებოდა გამოთქმას „კაუზალური გენერირება", ვინაიდან კაუზალურად გენერირებულ მოქმედებებში არაეითარ როლს არ თამაშობს მნიშვნელობის კონვენციები.

მართალია, ორივე შემთხვევაში იგულისხმება წესები, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანნი არიან ყოველთვის მხოლოდ უფრო მაღალი საფეხურის A' მოქმედებსთვის და არა A ბაზისური მოქმედებისთვის. როცა ზაფხულის ცხელ დღეს გაოფლილ მძღოლს – რომელიც უკაცრიელ გზატკეცილზე მიაქროლებს მანქანას – მკლავი გაღებულ ფანჯარაში

გამოუწვდია, რათა გაგრილდეს, იგი ასრულებს – გარკვეული სტილიზირებით თუ ვიტყვით – ინსტრუმენტული ქმედების წესს, მაშინ როცა, თუ იგი იმავე მოძრაობას სიგნალის მისაცემად ახორციელებს, მაშინ ქუჩაში მოძრაობის ნორმას იცავს (რომელიც ასევე წინასწარგულისხმობს მნიშვნელობის კონვენციას). ორივე შემთხვევაში ხელის მოძრაობა ერთი და იმავე წესებით იმართება ცენტრალური ნერვული სისტემიდან; სხვა ტიპებს მხოლოდ და მხოლოდ ის წესები განეკუთვნებიან, რომელთა მიხედვით (უფრო მაღალი საფეხურის) მოქმედებათა წარმოქმნა ხდება. ბუნდოვანი ის კი არ არის, თუ რას უნდა ვუწოდოთ კაუზალური კონვენციონელურ გენერირებასთან შედარებით, არამედ ბუნდოვანი ორივე შემთხვევაში თვითონ „გენერირების" ცნებაა. შეიძლება ითქვას, რომ მოქმედება წარმოქმნილია, სწორედ რომ გენერირებულია წესის მიხედვით; სულერთია, ეს იქნება ტექნიკური ან სტრატეგიული წესი თუ ნორმა. S, ამგვარი წესს რომ იცავს, განსაზღვრული მოძრაობების დახმარებით, რომელსაც ახორციელებს, ახდენს მოქმედების გენერირებას. მაგრამ უაზრობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ეს მოძრაობები ახდენენ მოქმედების გენერირებასო, ვიდრე გამოთქმა „გენერირება" მხოლოდ და მხოლოდ მოქმედების წესის მიყოლასთან მიმართებაში განიმარტება. ვინაიდან წარმოქმნის აქტი მიანიშნებს სუბიექტზე, რომელსაც მოქმედება მიეწერება.

როცა ვამბობთ S A' მოქმედებას წესის მიყოლით წარმოქმნისო და ამასთანავე A მოქმედებას „იშველიებსო", მაშინ ინსტრუმენტულ მიმართებას ვირწმუნებით. თითის მოძრაობა, რომელიც ნიშნავს შუქის ჩამრთველის გადატრიალებას, S-თვის შუქის ჩართვის საკმარისი საშუალებაა. მაგრამ ასეთი წარმოდგენა სრულიად არ მიესადაგება ბაზისურ მოქმედებებს; ვინაიდან ყველა მოქმედება არ დაიყვანება ინსტრუმენტულ მოქმედებებზე. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეს მოდელი შეუთავსებადია თვითონ ბაზისური მოქმედების ცნებასთან, სახელდობრ, თუ A-სა A'-ს შორის კონიუნქცია მოქმედების ინსტრუმენტული აღწერის ეკვივალენტურია, მაშინ სხეულებრივი მოძრაობა ინსტრუმენტული მოქმედების ნაწილია და არა მისი განსხვავებული საფუძველი; მაშასადამე იგი არის ბაზისური მოქმედება.

თუკი გვინდა ავხსნათ – ინსტრუმენტული, სტრატეგიული თუ ნორმებით რეგულირებული მოქმედებისას – რა აზრით „მოიშველიებს" S სხეულის მოძრაობას, მაშინ შეუმოწმებლად არ უნდა გადმოვიღოთ ბაზისური მოქმედების ის ცნება, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა მოქმედების თეორიაში. იგივე ცნება ამოსავალი პუნქტია გოლდმანის მოქმედებათა საფეხურების კონცეპტისთვის. ვინაიდან გოლდმანი იქიდან ამოდის, რომ ბაზისსა და მოქმედების პირველ საფეხურს ე.ი. A-სა და A'-ს შორის მიმართება, წარმოადგენს მოქმედების დანარჩენ საფე-

ხურთა შორის ურთიერთმიმართების მოდელს. ის ფიქრობს, რომ ფანჯრის სახელურზე მოძრაობა არ არის ფანჯრის გაღების მოქმედებასთან სხვანაირ მიმართებაში, ვიდრე ეს მოქმედება – უფრო მაღალი საფეხურის მოქმედებებთან და მოქმედების შედეგებთან, რომელსაც S ფანჯარას რომ აღებს, ან სჩადის ანდა იწვევს. მაგრამ როგორ არის საქმე სინამდვილეში?

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. S-მა ფანჯრის გაღებით სიკვდილისგან იხსნა გაზის გაჟონვის შედეგად გონმიხდილი ქალი. მაგრამ ამ ქალის გადარჩენით, რომელიც ცნობილი მსახიობია, S ამსხვრევს მისი კოლეგის იმედებს ახალ სპექტაკლში მთავარი როლის მიღებისა. S *მხოლოდ* ის ჰქონდა თუ არა განზრახული, რომ თვითმკვლელი ეხსნა, რომლიდანაც იშვა კოლეგა მსახიობის იმედგაცრუება როგორც მოქმედების წინასწარგანუზრახველი შედეგი; S მსახიობი ქალი თვითმკვლელობისაგან *მხოლოდ* იმ განზრახვით იხსნა თუ არა, რომ ამით მისი კოლეგის იმედები დაემსხვრია; თუ ეს მისთვის *მხოლოდ* სასურველი გვერდითი შედეგი იყო და არა მისი მოქმედების მიზეზი – ყველაფერი ეს იმაზე ჰკიდია თუ მოქმედების რა გეგმას ახორციელებს S. ზემოხსენებული სამი ვარიანტი სამ განსხვავებულ მოქმედებას აღნიშნავს, რომელთა შესრულება შეიძლება ერთი და იმავე სხეულებრივი მოძრაობით. სხეულის ერთი და იგივე მოძრაობა იმიტომ შეიძლება იყოს სხვადასხვა მოქმედებათა რეფერენტუნქტი, რადგან მოქმედებისთვის კონსტიტუციურია *მოქმედი სუბიექტის გეგმა*. აქედან გამომდინარე აუცილებლად განსხვავებული იქნება ის მნიშვნელობა, რომელიც შეაძლოა მოქმედებამ სხვა ინტერპრეტატორისთვის შეიძინოს. მაგალითად, S-ს თავისი მხსნელი ქმედების მომენტისათვის შეუძლებელია სცოდნოდა, თუ რას გაუსვამდა ხაზს რეცენზენტი ჩვენი პრიმადონას ოცი წლის მოგვიანებით ბუნებრივი სიკვდილის შემდეგ: რომ იქიდან მოკიდებული, რაც საბედნიეროდ ჩაიშალა თვითმკვლელობის მცდელობა დიდი ტრაგიკოსი კომედიური როლების თამაშს ამჯობინებდა. მეორე მხრივ, ამ რეცენზიამ არაპროფესიონალ ფსიქოლოგს, რომელიც დეპრესიისკენ მიდრეკილების მქონე ხელოვანის თვითმკვლელობის ქცევას სწავლობს, საბაბი მისცა, ეს მოვლენა თავისი სანუკვარი ჰიპოთეზის დადასტურებად მიეჩნია. ამ ჰიპოთეზის შუქზე იგი ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით S მოქმედებას განიხილავს დრამატულად გადატანილ სასიყვარულო თავგანწირვად, რომელსაც მსახიობის ცხოვრებაში გარდატეხა უნდა შეეტანა. რეცენზენტი და ფსიქოლოგი, ორივენი ისე აღწერენ S-ის საქციელს, რომლითაც მან ხაზი გადაუსვა თვითმკვლელობის გეგმას, რომ S ვერ შეძლებდა ამ მოქმედების შესრულებას; თუკი წინასწარ დავუშვებდით, რომ მაშინ, იმ მომენტში, როცა იგი ხდებოდა, არ არსებობდა არც სხვა რომელიმე ჰიპოთეზა, რომლის მიხედ-

ვითაც შესაძლებელი იქნებოდა სიცოცხლის ხსნის შესაბამისად ტრაგიკულად განცდილი აქტიდან გაკეთებულიყო დასკვნა მის კომენდიანტურ შემოტრიალებაზე.

მოქმედების საფეხურთა იერარქია, რომელიც ჩვენ მაგალითზე გავათვალსაჩინოეთ, მდგომარეობს ბაზისური მოქმედების, ჩვენ შემთხვევაში –ინსტრუმენტული მოქმედებას (S აღებს ფანჯარას) განმარტებათა იერარქიაში. გეგმა, რომლითაც მოქმედებს S, აკონსტიტუირებს მოქმედებას, რომელსაც S მიიწერს. თითოეული შემდგომი აღწერა, რომელიც ამ მოქმედების შედეგის ასპექტით განიხილავს, რომელსაც შესაძლოა S გულისხმობდეს, შესაბამისად აკონსტიტუირებს ახალ მოქმედებას, რომელიც სხვა S მიეწერება. მაგრამ თუ ეს მოქმედება, რომელიც ისეთი შედეგების ასპექტით აღიწერება, რომლებიც S-ს არ განუზრახავს, მაშინ ეს აღწერა აკონსტიტუირებს მომდევნო მოქმედებას; პირიქით, იგი არის მოქმედების დამატებითი ინტერპრეტაცია. ეს ითქმის იმ ინტერპრეტაციებზე, რომლებიც რეცენზენტმა და ფსიქოლოგმა გადარჩენის აქტს მისცეს ოცი წლის გასვლის შემდეგ. ამრიგად, მოქმედების კონსტიტუციურნი მხოლოდ და მხოლოდ ისეთი აღწერები არიან, რომლებსაც S სულ ცოტა გეგმად უსაფუძვლებს ხოლმე თავის მოქმედებას.

მე მინდა ამიერიდან, გოლდმანთან ერთად, ვილაპარაკო ისეთი მოქმედებების იერარქიაზე, რომლებიც ერთსა და იმავე მოქმედების ბაზისზე ერთდროულად შესრულებულ, მაგრამ მაინც ერთმანეთისგან განსხვავებულ აქტებს წარმოადგენენ. მაგრამ ის პრიმიტიული მოქმედებები, რომლებიც ამ ბაზისს ქმნიან, არ არიან მოქმედებაზე შეწყობილი სხეულებრივი მოძრაობები, არამედ – მოქმედებები, რომლებიც კონსტიტუირდებიან პრიმიტიული მოქმედების გეგმის საშუალებით: S ტექნიკური თუ სტრატეგიული წესის ანდა ნორმის დაცვით სწორედ მაშინ ასრულებს პრიმიტიულ მოქმედებას, როცა არ ხერხდება მოქმედების მისეული გეგმის დაყვანა უფრო ელემენტარულ გეგმებზე. თუ ინსტრუმენტულ მოქმედებად განვიხილავთ, მაშინ მოქმედება, რომ S ფანჯარას აღებს, პრიმიტიულია; თუ ინსტრუმენტულ მოქმედებად განვიხილავთ, მაშინ მოქმედება, რომ S სიცოცხლეს უნარჩუნებს იატაკზე უგონოდ მწოლიარე ქალს, პრიმიტიულია (ფანჯრის გაღება ნორმატიულად მოთხოვნილი მოქმედების განხორციელების ამოცანის ასპექტს წარმოადგენს); თუ სტრატეგიულ მოქმედებად განვიხილავთ, მაშინ ის მოქმედება, რომ S ხელს უშლის X-ს თვითმკვლელობის მცდელობაში, რათა ჩაფუშოს X-ის კოლეგის მოლოდინები მისი როლის მიღებისა, ეტყობა, პრიმიტიულია. ამ შემთხვევაში S-ის მოქმედება კონსტიტუირდება იმ ინტერპრეტაციების საფუძველზე, რომლებსაც იგი თვითონ იცავს. უფრო მაღალი საფეხურის მოქმედებები უფრო კომპლექსური მოქმედებების

გეგმათა საშუალებით წარმოიშობა; ხოლო უფრო კომპლექსური გეგმები იმით ხორციელდება, რომ პრიმიტიული მოქმედება სულ უფრო მომცველი კონტექსტის ურთიერთკავშირებში ერთვება: მაგ. S მსახიობს სიცოცხლეს უნარჩუნებს ზემოთხსენებული სტრატეგიული გვერდითი ასპექტის გათვალისწინებით. უფრო მაღალი საფეხურის მოქმედებები კონსტიტუირდებიან არა ოდენ უფრო კომპლექსური მოქმედების გეგმათა საფუძველზე, არამედ – იმ ინტერპრეტაციათა გზითაც, რომლებსაც იძლევა მესამე და რომელთა საშუალებითაც S-ს შეეძლო თავისი მოქმედება შეესრულებინა. ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავებთ S-ის მოქმედებასა (მოქმედებას, რომელსაც S ასრულებს) და იმ მოქმედებას, რომელსაც S-ს მიაწერენ (მოქმედებას, რომელიც შეიძლებოდა S-ს ინტენდირებული ჰქონოდა ფაქტობრივად შესრულებული მოქმედებისას). ასეთი მიწერა სინამდვილეს შეესაბამება თუ არა, ეს ემპირიული საკითხია.

ალბათ, შეუძლებელია იმის ახსნა, S-მა მოჩვენებითი ქურდი დახვრიტა, თუ როცა ფანჯარაში ღამეულ გამოსახულებას ხვრეტდა მან ძალიან კარგად უწყოდა, რომ მის ძმას ესროდა, რათა უნდოდა უზარმაზარი ქონების ერთადერთი მემკვიდრე გამხდარიყო. (მაშინ როცა არავინ ეჭვობს, რომ მოხუცი მეზობლის სასიკვდილო შეშინება, რომლის არსებობის შესახებაც S-მა არაფერი იცოდა და მისი შეშფოთებული ქალიშვილის ნაადრევი მშობიარობა S-ის მოქმედების წინასწარგანუზრახველი შედეგებია). დაბოლოს, მოქმედებათა იერარქია შეიძლება გაგრძელდეს განმარტებათა იერარქიით, რომლებიც, თავიანთ მხრივ, არ აკონსტიტუირებენ ახალ მოქმედებებს, რადგან S ამ აღწერათა გზით ვერ შეასრულებდა მოქმედებებს. ისე რომ ისტორიული ხდომილების ისტორია საზოგადოდ მდგომარეობს იმ ინტერპრეტაციათა საფეხურებრივ თანმიმდევრობაში, რომლებიც ერთსა და იმავე მოქმედებას ეხებიან.

მოქმედების ახალ საფეხურთა წარმოშობის მოდუსი ახალი ინტერპრეტაციის შემოტანის იდენტურია. ორიენტაციის პუნქტი არის პრიმიტიული მოქმედების მნიშვნელობა, რომელსაც განსაზღვრავს მოქმედების შესაბამისი წესი და კონტექსტის განსაკუთრებული პირობები. ახალი ინტერპრეტაციები (რომლებიც შეძლებისდაგვარად კონსტიტუციური არიან ახალ მოქმედებებისათვის) ჩნდებიან იმით, რომ ხდება ბაზისური მოქმედების განმარტება შეცვლილი ასპექტების პირობებში გაფართოებული კონტექსტის გათვალისწინებით. მაგრამ მოქმედების საფეხურთა ჩვენეული კონცეპტი უკვე *სხვა ბაზისს* იწანამძღვრებს და არა სხეულის მოძრაობებს, რომლებისგანაც გოლდმანის მიხედვით, ჯერარს კაუზალური ანდა კონვენციური გენერაციის გზით პირველად აღმოცენდნენ მარტივი ინსტრუმენტული ანდა სოციალური მოქმედებები.

სხეულებრივი მოძრაობანი, რომელთა დახმარებით S ასრულებს ისეთ ინსტრუმენტალურ მოქმედებას, როგორიცაა „ფანჯრის გაღება“ ანდა ისეთ სოციალურ მოქმედებას, როგორიცაა „მოძრაობის სიგნალის მიცემა“ მოკლებულნი არიან ნიშან-თვისებას, რომლის გარეშეც მათ ჩვენი შემოთავაზებისამებრ არ შეუძლიათ მოქმედების საფეხურებად ფუნქციონირება; ისინი *არათვითმყოფადნი* არიან. მოქმედებათა რეალიზება გარკვეული აზრით, ხდება სხეულის მოძრაობათა საშუალებით, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ ისე მიმდინარეობს, რომ S ამ მოძრაობებს *თანასრულებს*, როცა იგი მიჰყვება ტექნიკურ ანდა სოციალურ წესს. თანაშესრულება იმას ნიშნავს, რომ S ახორციელებს მოქმედების გეგმას, მაგრამ ამასთანავე მას არასგზით არ აქვს ინტენდირებული სხეულის მოძრაობა, რომლითაც იგი მოქმედების გეგმის რეალიზებას ეწევა. სხეულის მოძრაობა მოქმედების ელემენტია, მაგრამ იგი არ არის თვითონ მოქმედება და მით უმეტეს – ბაზისური მოქმედება. პირიქით S ბაზისურ მოქმედებას ყოველთვის მისი სხეულის მოძრაობის „დახმარებით“ ასრულებს – იქნება ეს კიდურების მოძრაობა ინსტრუმენტული მოქმედებების შესრულებისას თუ ბგერითი აპარატი მეტყველების აქტთა განხორციელებისას.

ყალბი შთაბეჭდილება, რომ მოქმედებაზე შეწყობილი სხეულებრივი მოძრაობანი თითქოსდა თვითონ წარმოადგენენ ბაზისურ მოქმედებებს, შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში დასაბუთებულნი იქნენ განსაზღვრული სავარჯიშოების დამოწმებით, რომელთა დროსაც განვიზრახავთ ხოლმე არათვითმყოფად მოქმედებებს *როგორც ასეთებს* თერაპევტიკული ღონისძიებებისა თუ სპორტული ვარჯიშებისას, ანატომიური თვალსაჩინოების მიზნით; სიმღერისა თუ უცხო ენის გაკვეთილზე ანდა მოქმედების თეორიულ მტკიცებათა გათვალსაჩინოებისათვის. რა თქმა უნდა, თითოეულ ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტს შეუძლია მოთხოვნისამებრ ასწიოს მარცხენა ხელი, მოხაროს მარჯვენა საჩვენებელი თითი, გაშალოს მკლავი, გაიმეოროს ხმოვნები გარკვეული რიტმულობით, წარმოთქვას სისინა ბგერები, სახატავი ფანქრით მოხაზოს წრიული ანდა სპირალისებრი მოძრაობა, გაავლოს მეანდრის ფორმის ხაზი, წარმოთქვას ინგლისური „th“, გაიმართოს, თვალები გადმოკარკლოს, წინადადება განსაზღვრულ ზომებში ჩასვას, ხმას აუწიოს ან დაუწიოს, ფეხები გაშალოს და ა.შ. მაგრამ ის ფაქტი, რომ შესაძლებელია ამგვარი სხეულებრივი მოძრაობების განზრახ შესრულება, არ ეწინააღმდეგება იმ თეზისს, რომ ისინი გაუთვითმყოფადებულ მოქმედებებს წარმოადგენენ. ეს იმაში მყღავნდება, რომ ინტენციურად შესრულებული სხეულებრივი მოქმედებისას ინგრევა (I)-ით აღნიშნული ქმედების *შეტყობინების სტრუქტურა*.

(1) S აღებს ფანჯარას, იმით რომ იგი ხელით ტრიალის მოძრაობას ასრულებს.

(2) S (განზრახ) წევს მარჯვენა ხელს, იმით რომ იგი თავის მარჯვენა ხელს წევს.

მაგრამ შესაძლებელია ინტენციურად შესრულებული სხეულებრივი მოძრაობა პრაქტიკის ნაწილად გავიგოთ: (2') გიმნასტიკის გაკვეთილის დროს S მარჯვენა ხელის აწევით ასრულებს ფიზკულტურის მასწავლებლის მოთხოვნას: ასწიოს მარჯვენა ხელი.

არათვითმყოფადი მოქმედებები, როგორც წესი, უნდა ჩაიდონ დემონსტრირების ანდა ვარჯიშის პრაქტიკაში თუკი ხამს, ისინი მოქმედებებად მოგვეელინონ. ზემოთხსენებული სახის გამოწვევებს ვაწყდებით ხოლმე პრაქტიკაში, რომელიც წარმოადგენს მოქმედებების როგორც მოქმედებების არათვითმყოფადი ელემენტების დემონსტრირებასა და მათში გაწვრთნას. ვარჯიში შესაძლოა განეკუთვნებოდეს მოზარდის ნორმალური მომზადების სფეროს, ანდა იგი შეიძლება იყოს ტრენინგის პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სპეციალური მოქმედებების ანუ *გაწაფულობათათვის* მომზადდება.

გაწაფულობებს ჩვენ ისეთ მოქმედებებს ვუწოდებთ, რომლებიც შეიძლება შეფასდნენ მოქმედების არათვითმყოფად ელემენტთა დამორჩილების სტანდარტის მიხედვით: ფიგურული სრიალი, ტენისის თამაში და საზოგადოდ, ყველა სპორტული მოღვაწეობა. სხვა მაგალითებია კლავირზე დაკვრა, ფოკუსების ჩვენება, ცხოველთა ხმის მიბაძვა, სახიობა, მღერა, ხატვა, ცეკვა და ა.შ. სპორტში ვარჯიში პარადიგმატურია ყველა სხეულებრივი გაწაფულობისათვის. ე.ი. იმ მოქმედებებისათვის, რომლებიც ეფუძნებიან სხეულის მოძრაობათა გაწვრთვნას; მოძრაობებისათვის, რომლებიც ელემენტებად შედიან მოქმედებებში, მაგრამ თვითონ არ არიან მოქმედებები.

ვარჯიშის პრაქტიკის ჩარჩოებში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ სხეულებრივი მოძრაობანი მოქმედებებად *გათვითმყოფადნენ*. მაგრამ სწორედ გათვითმყოფებულ მოქმედებათა სტატუსი მოწმობს სხეულებრივ მოძრაობათა პრინციპიალურ არათვითმყოფადობას, რომელთა დახმარებითაც სუბიექტები სხვა მოქმედებებს ასრულებენ. სხვათა შორის, გაწაფულობათა სახით სტილიზებულად გვევლინება ადამიანური ქმედების ძირითადი შტრიხი. ყველა მოქმედება, როგორც კი მათ პრაქტიკის ჩარჩოებში განმეორებად მოქმედებებად ვაქცევთ, შეიძლება სრულყოფილად ჩამოვაყალიბოდ. ამასთანავე გასრულყოფილება ემყარება არა მოქმედების წესთა შეთვისებას, არამედ თანაგანხორციელებულ სხეულებრივ მოძრაობათა და ოპერაციათა კოორდინირებულობას.

3. ოპერაციები

ჩვენი განაზრებების რეზულტატი არსებითად ნეგატიურია: მოქმედებებში კოორდინირებული სხეულებრივი მოძრაობანი არ წარმოადგენენ ბაზისურ მოქმედებებს, რომლებიდანაც წარმოიშობა უფრო მაღალი საფეხურის მოქმედებები. პირიქით, პრიმიტიული მოქმედებები წინასწარ გულისხმობენ სხეულებრივ მოძრაობათა არაინტენდირებულ თანაგანხორციელებას. მოქმედებებზე შეწყობილი სხეულებრივი მოძრაობანი არიან არათვითმყოფადი მოქმედებები, რომელთა გათვითმყოფადება შესაძლებელია სპეციალურ კონტექსტებში. განსაკუთრებით ეს ითქმის სხეულებრივ გაწაფულობათა თაობაზე. მაგრამ ამ გაწაფულობათა ანალიზი აღარ გადადის ცენტრალურ საკითხზე, თუ რა აზრით ხდება სხეულებრივ მოძრაობათა „თანაგანხორციელება", თუ როგორ არიან პრიმიტიული მოქმედებები სხეულებრივ მოძრაობებზე „მომჯდარნი" როგორც ახლა ირკვევა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ მოქმედების წესების მიყოლისას როგორ „მოიშველიებს" სუბიექტი სხეულებრივ მოძრაობებს, შეუძლებელია პასუხგაცემული იქნეს ცნებითი ანალიზის გზაზე. ვინაიდან წესცნობიერება, რომელიც თანასდევს გაწაფულობებს ე.ი. დისციპლინის ჩარჩოებში *გათვითმყოფებულ* მოქმედებებს, განსაკუთრებულ შეუვალობას იჩენს რეკონსტრუქციის მცდელობებისადმი. გაწაფულობებში პრაქტიკული დახელოვნება ხდება და არა – მათი თეორიული დასწავლა. მართალია, შესაძლებელია მოქმედების სქემათა და იმ წესების ანალიზირება, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ მოქმედებების კოორდინირება, მაგრამ საბოლოოდ ამგვარი ანალიზი დაიყვანება ცენტრალურ-ნერვული მართვის პროცესების ნეეროფიზიოლოგიურ განმარტებაზე, რომლის მიხედვით, არც ერთ სუბიექტს არ ძალუძს სხეულებრივ მოძრაობათა დასწავლა. მე შემოგთავაზეთ, რომ მოქმედი სუბიექტის სხეულებრივი მოძრაობები გაგვეგო როგორც არათვითმყოფადი მოქმედებები და რომ მოგვეხდინა შესაბამისი წესცნობიერების პოსტულირება. ამით ჩვენ დაახლოებით იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რომელშიც იმყოფება ეთოლოგი, რომელსაც ცხოველის ქცევა ქმედებად ესმის. ჩვენ არ შეგვიძლია ცხოველს *გკითხოთ* პოსტულირებული წესცნობიერების მიხედვით; ხოლო არ არსებობს არავითარი აუცილებლობა იმისა, რომ გაწვრთნილ ფიგურულ მოსრიალეს, ხმის იმიტატორს, მოცეკვავეს, ანდა კლავირზე დამკვრელს დავუსვათ შეკითხვა იმ ცნობიერების თაობაზე, რომლითაც ისინი თავიანთ გაწაფულობებს ასრულებენ: მათ შეუძლიათ როგორც მასწავლებლებმა მოაწყონ თავიანთი ჩვევების სანიმუშო დემონსტრირება, ე.ი. აჩვენონ, თუ

როგორ უნდა ამის გაკეთება; მაგრამ მათ არ ძალუძთ ექსპლიციტურად გადმოგვცენ ინტუიტურად წარმმართველი წესცნობიერების შინაარსი.

მაგრამ სხვანაირად არის „ოპერაციათა" საქმე. ლოგიკური წესები, რომელთა მიხედვით ჩვენ წინადადებებს მაგ. ჭეშმარიტების უცვლელი ღირებულების მქონედ გარდავქმნით, ისევე როგორც არითმეტიკული წესები, რომელთა მიხედვით გამოთვლის ოპერაციებს ვასრულებთ, ანდა გრამატიკული წესები, რომელთა მიხედვით ბუნებრივი ენის წინადადებებს ვიყალიბებთ, ტიპიურნი არიან ოპერაციათა წესებისათვის, რომლებიც კოგნიტივურსა თუ ენობრივ კომპეტენციას შემოწერენ. კომპეტენტური სუბიექტები ამ წესებს, საზოგადოდ ინტუიტურად ასრულებენ, მაგრამ ძალიან ადვილი შესაძლებელია ამ წესების რეკონსტრუირება, იმით რომ იმპლიციტური წესცნობიერების პროპოზიციურ შინაარსს ექსპლიციტურად გამოვხატავთ. სათანადო გარემოებებისას შეიძლება თითოეული შემეცნება და ენაშემძლე სუბიექტის იმ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ მან ექსპლიცირება უყოს თავის წინარეთეორიულ ცოდნას; როცა ეს სისტემატური სახით ხდება, ამგვარი მცდელობები შეცნიერების ხასიათს იძენენ: ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვეწევით ლოგიკას ან მათემატიკას ანდა გრამატიკას; ეამოწმებთ საფუძველმდებლური know-how-ს რაციონალურ კვალადკონსტრუქციებს.

მართლაც, ჩვენ შეგვიძლია იმ გარემოებით, რომ შესაძლებელია ოპერაციის წესების ამგვარი ექსპლიცირება იმ შეკითხვის განმარტებისას ვისარგებლოთ, თუ რა აზრით ხდება ოპერაციებისა და სხეულებრივი მოძრაობების თანაგანხორციელება კონკრეტულ მოქმედებებში. თუ ჩვენ განვიხილავთ ოპერაციებსა და მოქმედებებს შორის მიმართებას, ოპერაციათა არათვითმყოფადობა ისე მკვეთრად არ გვეცემა თვალში როგორც სხეულებრივ მოძრაობათა მოქმედებებით კოორდინირებულობა. რა თქმა უნდა, მოქმედებით გვარში შედგენილი წინადადებების გადაყვანა პასივში, რომელსაც ლათინურის მასწავლებელი წარმოგვიდგენს, გარკვეული ასპექტით ძალიანაც წააგავს, ფიზკულტურის გაკვეთილზე დემონსტრირებულ მოძრაობის ფიგურას: ორივენი არათვითმყოფადი მოქმედებები არიან, რომელთა გათვითმყოფადება ხდება პრაქტიკული მეცადინეობების გზით. მსგავსება უფრო ცოტათია თვალშისაცემი, როცა გამოთვლის ოპერაციებს ვაწარმოებთ, ანდა როცა წანამძღვრებიდან დასკვნას ვაკეთებთ. არსებითი განსხვავება არ არის იმაში, თუ სად ვასრულებთ ჩვენ ამ ოპერაციებს, სერიოზულ სიტუაციებში გინა – სანიმუშოდ მეცადინეობის მიზნით თუ მაგალითად – დახლს უკან ანდა სასამართლო დარბაზში. მართლაც, კონკრეტული მოქმედებანი ოპერაციების თანაგანხორციელებას მოითხოვენ. თუ ოპერაციები არ წარმოადგენენ per se გათვითმყოფებულ მოქმედებებს, მაშინაც კი არის შესაძლებელი კონკრეტულ მოქმედებებში მათი „თანაშესრულება". ამ აზრით ისინი სხეულებრივ მოძრაობებს ჰგვანან. ამის საპირისპიროდ პრიმიტიული

მოქმედებები ისეთი თვისების არიან, რომ შეუძლებელია მათი სხვა მოქმედებებთან ერთად თანაშესრულება; პირიქით, ისინი უფრო მაღალი საფეხურის მოქმედებათა ბაზის ფუნქციას ასრულებენ, რომელსაც შესაბამისი ინტერპრეტაციები ემყარებიან.

გარდა ამისა, მოქმედებათა წესები ოპერაციათა წესებისაგან ორი თვალსაზრისით განსხვავდებიან: (ა) მოქმედების წესები სისტემატურ კავშირში იმყოფებიან პროპოზიციათა ჭეშმარიტებასთან გინა ნორმების სისწორესთან; ამიტომ მათ შეიძლება მოვუხმოთ მოქმედებათა განსამარტავად; მაშინ როცა ოპერაციის წესები ოპერაციებს მხოლოდ და მხოლოდ გვაგებინებენ; (ბ) მოქმედების წესებს დაწანამძღვრებული აქვთ სამყაროში რაღაც კონტექსტი, რომელზე მანიპულირება ანდა ზემოქმედებაა შესაძლებელი, მაშინ როცა ოპერაციის წესები აგებენ კიდეც იმ პრაქტიკას, რომელსაც არეგულირებენ.

ad a) ჩვენ ვნახეთ, რომ ტექნიკური წესების ქმედითობა წინასწარგულისხმობს ემპირული წესზომიერებების გინა ბუნების კანონთა შესახებ გამოთქმების ჭეშმარიტებას; და – რომ სტრატეგიულ წესთა ქმედითობას დაწანამძღვრებული აქვს სხვა სუბიექტების მიზანრაციონალური ქცევების შესახებ გამოთქმათა ჭეშმარიტება, მაშინ როცა ნორმების სათანადობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მნიშვნელოვნების პრეტენზია, სულ ცოტა, ფაქტობრივად იქნება აღიარებული მათ მიერ, ვისაც იგი ეხება. ამიტომ არის აუცილებელი, რომ მოქმედი სუბიექტები, რომლებიც მოქმედების წესებს მისდევენ, სულ ცოტა, მნიშვნელოვნების პრეტენზიებზე იყვნენ ორიენტირებულნი. გამოცდილებისეული სინთეზური წინადადებების ჭეშმარიტების მნიშვნელობა და ინტერაქციის ნორმათა ჯერარს მნიშვნელობა უზრუნველყოფენ ქმედებაში რეალობასთან მიმართებას, სულერთია, მოქმედი სუბიექტები სამყაროში რაღაცის მიმართ შედეგზე ორიენტირებულ განწყობაში იმყოფებიან, თუ ერთობლივ სოციალურ სამყაროში რაღაცის მიმართ ურთიერთგაგებინების განწყობაში არიან. ამიტომ არის, რომ შეგვიძლია მოქმედების წესები მოქმედების საფუძვლად გამოვიყენოთ. ტექნიკურ წესს *ძალუძს,* დასახული მიზნისას ქმედება განგვიმარტოს, რადგან მასში იმპლიცირებული გამოთქმების ჭეშმარიტებაზე ორიენტირებულობა გარკვეულ პირობებში საკმაო მოტივი არის, რომ სწორედ ამგვარად მოვიქცეთ და არა სხვაგვარად. მაგალითად იმაზე მითითებას, რომ შესრულებულია ნორმის გამოყენების პირობები, *შეუძლია* განგვიმარტოს შესაბამისი მოქმედება, რადგან ნორმის მნიშვნელობაზე ორიენტირებულობა განსაზღვრულ პირობებში საკმარისი მოტივია იმისათვის, რომ მას არ გადავუხვიოთ. საპირისპიროდ ამისა, ოპერაციის წესები არც პროპოზიციურ და არც ნორმატიული მნიშვნელოვნების პრეტენზიათა კუთხით არ არის რეალობასთან დაკავშირებული. მართალია, წე-

სები რომელთა მიხედვით ჩვენ აზროვნებისა და მეტყველების ოპერაციებს ვახორციელებთ, რაღაცნაირ სისტემურ მიმართებაში უნდა იმყოფებოდნენ რეალობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ ექნებოდათ დასაჭიროებული კონკრეტულ მოქმედებებში თანაგანხორციელება; მაგრამ ეს მიმართება არ იწარმოება მნიშვნელოვნების პრეტენზიებზე ორიენტირებულობის გზით; იგი ასე ვთქვათ, მოქმედი სუბიექტის ზურგს უკან მდებარეობს. ამიტომ არის, რომ ოპერაციის წესებს არ ვაწყდებით პრაქტიკულ დასკვნებში. ე.ი. მათ ვერ მოვიტან ოპერაციათა საფუძვლების სახით იმგვარად, რაგვარადაც მოქმედების წესები წარმოადგენენ კონკრეტულ მოქმედებათა საფუძვლებს.

ინსტრუმენტულ, სტრატეგიულსა და ნორმებით რეგულირებულ მოქმედებებში ერთმანეთისგან განირჩევა რა კითხვა და რატომ კითხვა. მოქმედების წესს შეგვიძლია მოვუხმოთ, რათა აუხსნათ ქცევა (ანდა დოკუმენტი) როგორც განსაზღვრული მოქმედება (ანდა როგორც რეზულტატი); მაგალითად მოგზაურობას იდენტიფიკაცია ვუყოთ როგორც ტურისტულ მოგზაურობას; გაურკვეველი მოძრაობები იქ სადღაც მე-16 სართულის სიმაღლეზე მინის უძრავად დამონტაჟებულ ვიტრინად ანდა უცნაურად მოკაზმულ კვერთხად შევიცნოთ, რომელსაც წვიმის გამომწვევი როკვებისას რიტუალურ ხელსაწყოდ იყენებენ. მაგრამ მოქმედების იმავე წესებს შეგვიძლია, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში მოვუხმოთ, რათა დავასაბუთოთ, თუ რატომ არ ამოირჩია S-მა პირდაპირი გზა მიუნხენიდან რომამდე, არამედ ვერონის, პარმისა და პიზის გავლით გაემგზავრა; რატომ მოაწყვეს ფიცარნაგი მე-16 სართულის გარეკედელზე; ანდა რატომ გვაფიქრებინებს მოკაზმული ჯოხის კვერთხი ლოკალურ წვიმის ღვთაებასთან კავშირს. თუ დამკვირვებელი ბარათზე ჩაწერილ გაანგარიშებას დიფერენციალური განტოლების ამოხსნად უყურებს იდენტიფიკაციას, იგი იმავე წესებს მოუხმობს, რომელთა მიხედვითაც S-მა გამოთვლის ოპერაციები აწარმოვა – ოპერაციის ეს წესები *განგვიმარტავენ* ჩანაწერებს; მაგრამ ისინი ვერ *გვიხსნიან* თუ რატომ შეადგინა S-მა ეს ჩანაწერი. იგივე ითქმის გაუგებარ ბანტუ დიალექტზე შედგენილი წერილის გაშიფვრაზეც, მოულოდნელი ფიზიკალისტური პროგნოზის დადასტურებაზე, ვითომდა უმყარი აზრთამსვლელობის რეკონსტრუქციაზე, იშვიათად ხმარებული პრედიკატის მნიშვნელობის ექსპლიკაციასა და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ ვამოწმებთ, არის თუ არა ოპერაცია მართებულად ჩატარებული, ოპერაციის შედეგი *სწორად არის თუ არა შედგენილი* დიალექტიკის გრამატიკული წესების მიხედვით, – ჭადრაკის თამაშის წესების, ფიზიკალისტურიs გაზომვის, ფორმალური ლოგიკისა თუ განსაზღვრული პრედიკატორული წესის თვალსაზრისით.

გასაგებიაო, ვამბობთ სწორად შედგენილ გრამატიკულ წინადადებაზე. მე გთავაზობთ, გასაგებობის ეს ცნება გავავრცელოთ ყველა იმ გამოსახულებაზე, რომელიც შეიძლება კონკრეტულად წარმოიქმნას ოპერაციის წესის მიხედვით. მაშინ ანალიტიკურად ჭეშმარიტი წინადადებებიც უნდა ჩაითვალოს სწორადშედგენილობის პირობათა შესრულების კერძო შემთხვევებად. ანალიტიკური წინადადებების მნიშვნელოვნების პრეტენზია ოდნავ უფრო გრამატიკულ წინადადებათა გასაგებობას წააგავს, ვიდრე ემპირულ გამოთქმათა ჭეშმარიტებას, ვინაიდან შესაბამისი წესების კორექტული გამოყენება ამ მნიშვნელოვნების პრეტენზიის შესრულების არა თუ მარტოდენ აუცილებელ, არამედ საკმარის პირობასაც წარმოადგენს. კონკრეტული მოქმედება კი, პირიქით, მოქმედების წესის კორექტული გამოყენებისასაც კი შეიძლება არაეფექტური ანდა უმართებულო იყოს. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, თუ რატომ არის, რომ მართალია ოპერაციის წესები გვადგებიან, რათა ოპერაციულად წარმოქმნილ გამოსახულებებს როგორებიცაა გამოთვლები თუ ტექსტები, გაზომვები, დედუქციები თუ პრედიკატები იდენტიფიკაცია ვუყოთ გინა გავაგასაგებოდ როგორც სწორად შედგენილნი (ანდა გამრუდებულნი); მაგრამ ეს წესები იმასაც გვაგებინებენ, თუ რატომ არის, რომ შესაბამისი ოპერაციები არ შეიძლება *აიხსნან* პროცესებად. სიტყვა „ახსნას" ვიყენებ არა მნიშვნელობის ექსპლიკაციის, არამედ კაუზალური ახსნის აზრით. ოპერაციის წესები შესაძლებლობას გვაძლევენ პასუხი გაეცეს კითხვას, ეხება თუ არა დაჯღაბნილი სიმბოლოები გამოთვლას და საჭიროების შემთხვევაში იმასაც გვიხსნიან, თუ კონკრეტულად რა გამოთვლაზეა ლაპარაკი. მაგრამ იმის ჩვენება, რომ S-მა გამოთვალა და სწორადაც გამოთვალა, ვერ გვიხსნის თუ რატომ შეასრულა მან ეს (კორექტული) გამოთვლა. თუკი გვინდა ამ კითხვაზე პასუხი მივიღოთ, უნდა დავეყრდნოთ მოქმედების წესს. მაგ. იმ გარემოებას, რომ S-მა ეს ფურცელი გამოიყენა მათემატიკაში საშინაო დავალებისთვის, კონსტრუქციული წესის დახმარებით S-ს შეუძლია დაასაბუთოს, თუ რიცხვთა მწკრივი 1,3,6,10,15... რატომ გრძელდება ასე: 21,28,36 და ა.შ.; მაგრამ ასეთი დაყრდნობა მნიშვნელობის ექსპლიკაციაა და არა – განმარტება; იგი მართალია გვაგებინებს თუ თვლის *რომელ* ოპერაციას ასრულებს S, მაგრამ ვერ გვიხსნის იმას თუ *რატომ* არის, რომ S ამ ოპერაციას აქ და ამჟამად ასრულებს. ოპერაციის ეს გასაგებობა არ არის მნიშვნელოვნების პრეტენზია, რომელზეც S-ს შეეძლოს თავის ქმედების ისე ორიენტირება, რომ ოპერაციის წესზე დაყრდნობას მაინტერპრეტირებელი ძალა ჰქონოდა. მოქმედების წესთა მიყოლისაგან განსხვავებით ოპერაციის წესთა შესრულება არ ნიშნავს მნიშვნელოვნების პრეტენზიებზე ორიენტირებულობას; ამიტომ არ შეიძლება ოპერაციის წესები იმის ასახსნელად მოვიხმოთ, თუ რატომ ასრულებს S შესაბამის ოპერაციას.

ad b) გარდა ამისა მოქმედების წესები ოპერაციის წესებიდან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი წინასწარგულისხმობენ კონტექსტს, რომელსაც ემყარებიან. ვიდრე მარტოდენ სოციალურ მოქმედებებს ეითვალისწინებთ, ეს განსხვავება ისეც შეიძლება გამოიხატოს, რომ მოქმედების წესები არეგულირებენ ისეთ ქცევებს, რომლებსაც ამ წესებისგან დამოუკიდებლად არსებობა ძალუძთ, მაშინ როცა ოპერაციის წესები ქცევათა ახალ ფორმებს აკონსტიტუირებენ. ამასთან დაკავშირებით შვეიდერი ლაპარაკობს „შემაძლებინებელ წესებზე". ეს გამოთქმა ეხება ამ წესთა კომპეტენციის ასპექტს. კოგნიციური და ენობრივი კომპეტენციები შეიძლება გაანალიზდნენ როგორც უნარი შესაბამისი ლოგიკური, მათემატიკური თუ გრამატიკული წესთა სისტემის დაუფლებისა: „შემაძლებინებელ წესებთან შესაბამისობა გვანიჭებს უნარს, წამოვიწყოთ ახალი ყაიდის ქცევები; და ამავე წესების შესწავლის გზით ვაღწევთ ქცევის რამდენადმე უფრო მაღალ საფეხურს, ვიდრე წინანდელ ქცევას ეჭირა".[1] სერლს წესების ამ კლასისთვის შემოაქვს გამოთქმა „კონსტიტუციური" და მას განმარტავს ისეთ თამაშთა მაგალითზე როგორიცაა ჭადრაკი და ფეხბურთი. ვიტგენშტაინივით ისიც იყენებს თამაშის მოდელს, რათა მისი მიხედვით ახსნას ენის წესთა ბუნება: „წესებს, რომლებიც ამ აზრით ქცევის ახალი შექმნის შესაძლებლობას გვაძლევენ, „კონსტიტუციური წესები" ეწოდებათ იმ რეგულაციური წესებისაგან განსხვავებით, რომლებიც მათგან დამოუკიდებლად არსებულ ქცევებს არეგულირებენ. აქტიობის კონსტიტუციური წესები იმ ბუნებისანი არიან, რომ ამ მოღვაწეობის შესრულების კონსტიტუირება ხდება წესების – ანდა ყოველშემთხვევაში მათი საკმარისად დიდი ქვეჯგუფის – ამოქმედებით. ამრიგად, წესებსა და აქტიობას შორის ანალიტიკური მიმართება არსებობს. მაგ. ფეხბურთი განისაზღვრება როგორც თამაში, რომელიც წარიმართება მრავალი წესის მიხედვით; მასში გამოიყენება ისეთი იმავე წესებით დადგენილი გამოთქმები როგორიცაა „კარები" და „აფსაითი", რომლებიც ეხებიან *გოლსა* და *საჯარიმო ქულას* კონსტიტუციური წესები საზოგადოდ გვხვდებიან სისტემათა ჩარჩოებში და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ცალკეული წესები სისტემის შიგნით რეგულატივურნი იყვნენ, სისტემა როგორც მთელი მაინც კონსტიტუციურია... ინგლისური სინტაქსის წესები ადგენენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „წინადადება ინგლისურში", იმგვარად რომ ისინი გვაძლევენ ისე მოწყობილ სისტემას, რომელთან შესაბამისობაში მოქმედება ინგლისური წინადადებების გამოთქმას ნიშნავს. ზუსტად ამგვარადვე კონსტიტუციურია სემანტიკის წესები, რაკი მათს შესაბამისად მოქმედება ნიშნავს ისეთი ილოკუციონალური აქტების შესრულებას როგორიცაა მაგ. შეპირება, მტკიცება, ბრძანება და ა.შ."[2]

---

[1] Shwayder (1965), 265.

[2] J.R. Searle, Sprechakte, Ffm. 1971, 54ff.

მაგრამ ოპერაციული უნარების კვლევისთვის თამაშის მოდელის ღირებულება ერთობ შეზღუდულია. მართალია, ჩვენ შეგვიძლია, გამოთვლა ანდა მეტყველება პრაქტიკად გავიგოთ, რომლის კონსტიტუირება არითმეტიკისა თუ გრამატიკის წესებით ზუსტად ისევე ხდება, როგორც თამაშის წესებით – ჭადრაკის თამაშის პრაქტიკისა; მაგრამ საქმე ისაა, რომ გამოთვლისა თუ მეტყველების ოპერაციები საზოგადოდ მოქმედებათა ინფრასტრუქტურისათვის არიან არსებითნი, მაშინ როცა ადვილი წარმოსადგენია ისეთი საზოგადოებები, რომელთაც წარმოდგენაც არა აქვთ ჭადრაკის თამაშზე და რომლებშიც სხვა სახის საჯარო თამაშობებია გავრცელებული ანდა ისეთ თამაშებს სულაც არ თამაშობენ. კონვენციორობის თვალსაზრისი არ არის საკმარისი, რათა ზედმიწევნით განისაზღვროს ეს ინტუიტურად ცხადი განსხვავება; კერძო ენის გრამატიკული წესებიც კი კონვენციურია. როგორც სხვა საჯარო თამაშობანი წარმოადგენენ ჭადრაკის თამაშის ალტერნატივებს, ასევე არის გერმანულის ალტერანტივა ინგლისური თუ იაპონური. რა თქმა უნდა, S ვერ შეასრულებდა ნორმებით რეგულირებულ მოქმედებებს იგი რომ *რომელიმე* ენას არ ეყრდნობოდეს, მაშინ როცა ჭადრაკის თამაშის წესები სულაც არ არსებობენ იმისათვის, რომ მათი დახმარებით *სხვა* მოქმედებები შესრულდნენ.

წესთა სისტემა, რომელიც აკონსტიტუირებს გამოთვლის პრაქტიკას, საყოველთაო და აუცილებელია. წესთა სისტემა კი, რომლის მიხედვითაც ჩვენ გერმანულ წინადადებებს ვადგენთ, უნივერსალური ბირთვის მქონეა, მაგრამ იგი როგორც *კერძო ენის* გრამატიკა *კონვენციურია* ე.ი. არც საყოველთაოა და არც აუცილებელი. მაგრამ ორივე შემთხვევაში ჩვენ წინაშეა მოქმედების პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია *მხოლოდ და მხოლოდ* გამოთვლის ოპერაციათა ანდა მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე ენის წინადადებათა დახმარებით; ეს მოქმედების პრობლემები კი საყოველთაო ხასიათისანი არიან. ისინი ქცევის ცალკეულ ტიპებზე მიანიშნებენ: ინსტრუმენტული ქმედებისას საქმე ეხება სამყაროში საგნებით მანიპულირებას, სტრატეგიული ქმედებისას – მიზანრაციონალურად მოქმედი სუბიექტების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენას, ნორმებით რეგულირებული ქმედებისას კი საქმე ეხება იმ სუბიექტებს შორის ურთიერთგაგებას, რომლებიც ერთსა და იმავე სოციალურ სამყაროს განეკუთვნებიან. არ არსებობს მოქმედების მსგავსი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც თამაშის ოპერაციებს შეეძლოთ. აზროვნებისა და მეტყველების ოპერაციები, თავის მხრივ, მხოლოდ მაშინ დაესაფუძვლებიან თამაშის კონვენციონელურ წესებს, თუ ისინი მოწყდებიან თავიანთი მოქმედების უნივერსალურ კავშირმიმართებებს და მოხდება მათი გონითს გაწაფულობებად გათვითმყოფადება. ამიტომ უფლება არა გვაქვს თამაშის მოქმედებათა კონსტიტუირებაზე ავიღოთ ორიენტაცია, თუკი გვინდა გამოვარკვიოთ, თუ ოპერაციის რომელი წესები არიან კონსტიტუციურნი და რატომ არის აუცილებელი

მათი (ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი მათგანის) კონკრეტულ მოქმედებებში თანაშესრულება.

მე მინდა წამოვაყენო თეზა, რომ კონკრეტულ მოქმედებებს ყოველთვის შესაძლებელყოფენ ოპერაციის წესთა შესახებ ის განსაზღვრული წინადადებები, რომლებიც საყოველთაო კომუნიკაციებს გამოხატავენ.

მომდევნო დიაგრამა ანაწილებს იმ კომპეტენციებს, რომლებსაც წინასწარგულისხმობს მოქმედების ორი მთავარი ტიპი: ინტსრუმენტელური და ნორმებით წარმართული ქმედება (იხილეთ ცხრილი II).

ცხრილი II თანაშესრულებული ოპერაციები

	წესთა სისტემები	კატეგორიები	კონსტიტუირებული საგნები	ოპერაციები
1)	ლოგიკა		გამოთქმის ფორმები	ლოგიკური ოპერაციები
2)	არითმეტიკა	ქვანტიტეტი	რიცხვები	გამოთვლები
3)	გეომეტრია	სივრცე	სივრცეები	სივრცის გაზომვები
4)	კინეტიკა	დრო	დროები	დროის გამოთვლები
5)	მექანიკა	სუბსტანცია	სხეულები	ფიზიკური გაზომვები
	ტექნოლოგიები	კაუზალობა	კანონზომიერი კავშირ-ურთიერთობანი ნივთებისა და ხდომილებების საპირისპიროდ	ინსტრუმენტული ქმედებები
6)	ლოგიკა		გამოთქმის ფორმები	ლოგიკური ოპერაციები
7)	გრამატიკა		წინადადებები	წინადადებათა წარმოება
8)	უნივერსალური პრაგმატიკა	ქვანტიტეტი დრო სივრცე სუბსტანცია	მეტყველების აქტები	წინადადებათა გამოთქმა
9)	ინტერაქციის ნორმები	კაუზალობა	სოციალური სამყარო	კომუნიკაციური ქმედება

მარცხენა გვერდითს სვეტში წარმოდგენილია წესთა სპეციალური სისტემები იმ დისციპლინათა სახელწოდების ქვეშ, რომლებიც მათს რეკონსტრუქციას ეწევიან ხოლმე. მარჯვენა გვერდითს სვეტში ჩამოთვლილია ოპერაციები, რომელთა როგორც გათვითმყოფებულ ოპერაციათა შესრულება S-ს შეუძლია, თუკი იგი ფლობს წესების შესაბამის სისტემას. მარჯვენა შუა სვეტი შეიცავს იმ აბსტრაქტულ საგნებსა თუ კრიტიკის სახეობას, რომლებსაც შესაბამისი წესების დახმარებით ვაკონსტიტუირებთ; ხოლო შუა მარცხენა სვეტში დასახელებულია ის კატეგორიები თუ კოგნიციური სქემები, რომლებიც უნდა დაისწავლოს S-მა თავისი კოგნიციური განვითარების მსვლელობაში (სულ ცოტა, კონკრეტულ-ოპერაციონალურ საფეხურზე მაინც), რათა შეძლოს წესთა შესაბამისი სისტემის გამოყენება. დიაგრამა გვიჩვენებს, რომ რეალური

საგნის, ფიზიკალისტური სხეულისა თუ მოქმედებაშემძლე სუბიექტთა ინტერპერსონული მიმართების განსასაზღვრად კმარან ქვანტიტეტის, სივრცის, დროისა და სუბსტანციის კატეგორიები. ეს კატეგორიები შემოწერენ იმ სფეროს, რომლის შიგნითაც ჩვენ შეგვიძლია *აბსტრაქტული საგნების ოპერაციული* წარმოება. ხოლო მხოლოდ და მხოლოდ მას მერე, რაც ამ კატეგორიებს კაუზალობის კატეგორიაც დაემატა შეგვიძლია ოპერაციები იმ სფეროზეც გავავრცელოთ, რასაც „რეალობას" ეუწოდებთ ხოლმე ე.ი. – შესაძლო სენსორულისა ანდა კომუნიკაციურ გამოცდილებაზე გინა – რაღაცაზე ობიექტურ სამყაროში ანდა სოციალური სამყაროს მიმართებებზე. მხოლოდ მაშინ გამოდიან კონკრეტული მოქმედებები ოპერაციათა ადგილზე; მხოლოდ ახლა გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ მოქმედების წესებზე ე.ი. იმ ტექნიკურ წესებზე, რომლებსაც S იყენებს და იმ სოციალურ წესებზე, რომლის მიხედვითაც ერთმანეთთან მიმართებაში იმყოფებიან S_1 და S_2 და მათი გამონათქვამები. კაუზალობა რომ მხოლოდ მოქმედების წესთა სიბრტყეზე შემოდის, ეს იმასაც გვიხსნის, ჯერ ისევ რატომ არ შეიძლება ოპერაციის წესებს ოპერაციის შესრულების საფუძვლად მოვუხმოთ.

წესთა წარმოდგენილი სისტემის ანალიზი, ბუნებრივია, არ განხორციელდება მოქმედების თეორიის ჩარჩოებში, მიმოხილვას მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებათათვის ოპერაციების ადგილღირებულების ილუსტრირება შეუძლია. იერარქიულად დალაგებულ ოპერაციათა დახმარებით ჩვენ, ერთი მხრივ, შეგვიძლია ვაწარმოოთ საგნობრიობის ფორმა, რომლის საშუალებითაც რაღაც შეიძლება ინსტრუმენტული ქმედების საგნად იქცეს; მეორე მხრივ – კომუნიკაციური გამოთქმები, რომლებიც შესაძლებელყოფენ მოქმედებაშემძლე სუბიექტებს შორის ინტერაქციებს. მოქმედების ორივე ამ მიმართებათა უნივერსურობა განმტკიცდება კატეგორიებში, რომლებიც შეიძლება წესთა სპეციალურ სისტემებს განვაკუთვნოთ: სწორედ ამ საფუძველცნებებით არის ნაგები რეფერენცსისტემები*, რომელთა მეოხებით კომპეტენტურ მოლაპარკეს საზოგადოდ ძალუძს სამყაროსთან კავშირის დამყარება. ჩამოთვლილი ოპერაციები, აუცილებელია, მოქმედებებში იქნენ თანაშესრულებულნი, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ ობიექტური სამყაროს სტრუქტურას, რომელშიც მოქმედი სუბიექტი ენერგიულად ერევა; ისინი ადგენენ, აგრეთვე, სოციალური სამყაროს სტრუქტურას, რომელშიც სუბიექტები ურთიერთქმედობენ. მოქმედ სუბიექტებს არ შეუძლიათ ამ სტრუქტურათა თვითნებური დაუფლება; მათ არ შეუძლიათ იმ წესთა სისტემების *არჩევა*, რომელთა მიხედვით სრულდება აზროვნებისა და მეტყველების

---

* ენობრივ ნიშნისა და ამ ნიშნით აღნიშნულ საგანს ანდა საქმის ვითარებას შორის არსებულ მიმართებათა სისტემა -- მთარგმ. შენიშვნა

ოპერაციები. კონვენციურნი მოქმედების კომპეტენციები კი არ არიან, არამედ – თვითონ მოქმედებები.

თანაშესრულებულ ოპერაციათა ეს განმარტება შუქსა ჰფენს მოქმედებებში კოორდინირებულ სხეულებრივ მოძრაობებს. უნარი მოქმედებათა იმგვარად კოორდინირებისა, რომ ისინი შესაძლებელყოფენ ან საგნებით მანიპულირებას ანდა სემანტიკურ შინაარსთა ხორცშესხმას, შესაძლებელია გამოთვლის და მეტყველების ნიჭის დარად მოქმედების კომპეტენციის შემადგენელ ნაწილად გავიგოთ; განვითარების კოგნიტივისტური ფსიქოლოგია გვიჩვენებს, რომ მოზარდი აზროვნების ოპერაციებს რეფლექსირებული აბსტრაქციის გზით, ასე ვთქვათ, იმ წესებში ამოიცნობს ხოლმე, რომელთა მიხედვით ჩვენ მოქმედებათა სქემებს ვადგენთ და კოორდინირებას ვახდენთ ხოლმე. მიზანმიმართული სხეულებრივი მოძრაობის ორგანიზაციისა და კოგნიციურ ღვაწვებს შორის ისეთივე მჭიდრო კავშირია როგორც ბგერათქმნადობასა და წინადადებათა წარმოშობას შორის. ცხადია, რომ ჩვენი მოძრაობები, რომელთა საშუალებით კონკრეტულ მოქმედებებს ვასრულებთ ხოლმე, კოორდინირდებიან იმ წესების მიხედვით, რომლებიც ოპერაციის წესებთან ერთად კონტინუუმს ქმნიან. ისინი ასე ვთქვათ, მოქმედების კომპეტენციაში რაღაც ბირთვის მაგვარს წარმოადგენენ. რომელიც, რა თქმა უნდა, ისე ღრმად არის მასში ჩამჯდარი, რომ იგი უფრორე ქცევისმეცნიერებათა და ნევროპათოლოგიის მაობიექტივირებელი ხერხისთვისაა ხელმისაწვდომი, ვიდრე მარეკონსტრუირებელი ანალიზისთვის.

ქმედების ცნებითი სტრატიფიკაციის დასაგნობრიევების მცდელობისას ვაწყდებით იმას, რომ მოქმედების წესები ამჟღავნებენ მდიდარ სტრუქუტურას, რომლის რეკონსტრუირება არ ხერხდება მარტო წესის ცნების დახმარებით;

– ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავეთ მოქმედების სამი ტიპი და შესაბამისად წესთა სამი ტიპი (ტექნოლოგიები, სტრატეგიები, ნორმები);

– ჩვენ მოქმედების ტიპები გავაანალიზეთ წარმატების გინა მოქმედ სუბიექტთა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული განწყობის თვალსაზრისით და ვაჩვენეთ, თუ როგორ არიან მოქმედების წესები უნივერსურ მნიშვნელობის პრეტენზიებთან დაკავშირებულნი;

– ჩვენ გამოვიკვლიეთ ოპერაციები, რომელთა კონკრეტულ მოქმედებებში თანაშესრულება აუცილებელია თუკი ჯერარს, განხორციელდეს მოქმედ სუბიექტთა ენერგიული ჩარევა სამყაროში ანდა – მათ შორის კომუნიკაციური ქმედებები;

– ანალოგიურადვე მოქმედების კომპეტენტიციის შემდაგენელ ნაწილად გავიგეთ ის წესები, რომელთა მიხედვით მოქმედების შესრულებისას მოძრაობის სქემათა კოორდინირება ხდება.

6. ინტენცია, კონვენცია და ენობრივი ინტერაქცია (1976)

1. მნიშვნელობის კონვენციები და საზოგადოებრივი კონვენციები

ინტენციურ და ნორმებით რეგულირებულ ქმედებათა ცნებები წესით წარმართული ქცევის კონცეპტს ორი სხვადასხვა მიმართულებებით განავრცობენ, მაშინ როცა ინტერპრეტაციის გამაშუალებელი ინტერაქციის ცნება თავისთავში შეიცავს დამატებით შემუშავებულ ორივე ამ ცნებას. ამ თავში მე გავარჩევ ორ ცნებითს სიბრტყეს, რომელიც გადის წესთწარმართული ქცევის ფარგლებიდან, და ამ აზრით, ახალ სიბრტყეებს წარმოადგენენ და აგრეთვე განვიხილავ გაგების ორ შესაბამისად განსხვავებულ ცნებას. ამით კონკრეტულ მოქმედებას, რომლისგანაც მხოლოდ და მხოლოდ წინასწარ გაეშიჯნეთ წესით წარმართული ცნება, სისტემურად ამოვიგებ.

მაგრამ შესაძლებელია შემოგვესიტყვონ, რომ წესის მიყოლის კონცეპტში უკვე შედისო ინტენციისა და კონვენციის საფუძველცნებები და მით უმეტეს – ინტერპრეტაციის ცნება. ვიტგენშტაინს შემოაქვს წესის ცნება, რათა ინტენციათა გამოხატვა კონვენციების შესრულებად გაიგოს. ინტენციურ გამოთქმებს როგორიცაა „ფიქრი" და „გაგება", „სურვილი" და „ნატვრა", „იმედი" და „შიში" ჩვენ არ ვიყენებთ ისე, თითქოსდა პირად მდგომარეობასა თუ შინაგან ეპიზოდებს გადმოვცემდეთ და უფრო ცოტათი ვხმარობთ მათ იმგვარად თითქოსდა ჩვენს სუბიექტურობას გამოვთქვამდეთ ანდა სულიერ სამყაროს ვამჟღავნებდეთ. პირიქით ამგვარი გამოთქმების გამოყენებისას ვეყრდნობით ინტერსუბიექტური მნიშვნელობის კონვენციებს, რომლებიც ინტერაქციის სხვა თანამონაწილეებს შესაძლებლობას აძლევენ, შეამოწმონ, ვიცავთ თუ არა ჩვენ მოცემულ სიტუაციაში დამკვიდრებული ენის თამაშის წესებს. ვიტგენშტაინს უნდა ინტენციები ძირეულად დაიყვანოს წესების გაგებაზე, იმ ცოდნაზე, რომლითაც წესებს ვიყენებთ; სახელდობრ იგი წესის გაგებას გაარჩევს გამოთვლის მარტივი კონსტრუქციებისა ანდა ცალკეულ პრედიკატთა გამოყენების მაგალითზე. S ინტენციურად იქცევა, რამდენადაც მან იცის კონსტრუქციული წესები ანდა მნიშვნელობის კონვენციები.

ამ გზით მოიპოვება მოქმედებათა ინტენციონალობის სემანტიკურად შეცვლილი ცნება. მაგრამ მოქმედებათა ინტენციონალობის სემანტიკური ცნება თავის საბოლოო ეფექტს იმით იძენს, რომ ვიტგენშტაინი

მნიშვნელობის კონვენციებსა და საზოგადოებრივ კონვენციებს ჩუმად აიგივებს ერთმანეთთან. არითმეტიკული წესისა თუ პრედიკაციის მნიშვნელობას ვიტგენშტაინი არ განმარტავს აბსტრაქტული წესის სისტემაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვახორციელებთ გამოთვლისა თუ მეტყველების ოპერაციებს, არამედ იგი მას განმარტავს ამგვარი ოპერაციების გამოყენების ტიპური კონტექსტების თვალსაზრისით. იგი ერთმანეთისგან არ განასხვავებს ენის გრამატიკასა და ენის თამაშთა გრამატიკას. მ. როხემ შეიმუშავა თეზისი, რომ ვიტგენშტაინსა და მის მიმდევრებს მხოლოდ იმიტომ შეუძლიათ ინტენცია, წესი და კონვენცია ურთიერთმაინტერპრეტირებელ საფუძველცნებებად განიხილონ, რადგან ისინი მნიშვნელობის კონვენციებს საზოგადოებრივ კონვენციებში ურევენ: „დამახასიათებელია, რომ ცნების ანალიტიკური სკოლა ვერ ხედავს განსხვავებას ინტენციასა და კონვენციას შორის; მათი წარმოდგენის მიხედვით უკანასკნელი პირველს შეიცავს და პირიქით; ჰამპშირიც იზიარებს ამ თვალთახედვას, როცა წერს: „თითოეული კონვენცია თუ წესი, რომელსაც ვღებულობ, არის ინტენცია, რომელსაც მე ვიძლევი"; და „სადაც ენის გამოყენება გვაქვს, იქვე უნდა იყოს მოცემული ინტენციაც კონვენციისა თუ წესის შესრულებისა". მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ არსებობს შესაძლებლობა, რომ ინტენციონალური ქმედება, გარკვეული აზრით, იმის საპირისპირო იყოს, რაც არის კონვენციური ქმედება. ეს შესაძლებლობა ჩვენ გავარჩიეთ იმ იდეასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოება ქმედებებს „იწვევს" კონვენციათა განხორციელების გზით. ამასთანავე საქმე ეხება შესაძლებლობას, რომ როცა ჩვენს საკუთარ ანდა უცხო მოქმედებებს კონვენციის აზრით განემარტავთ, ხშირად ვამჟღავნებთ მიდრეკილებას, რომ მათზე პასუხისმგებლობა ავიცილოთ და ზოგჯერ ისინი გავკიცხოთ კიდეც; მაშინ როცა პასუხისმგებლობას ვკისრულობთ და ხანდახან მოქმედებას ვიწონებთ კიდეც, თუ ჩვენ მათ შესრულებული ინტენციების აზრით განემარტავთ... ამით, სულ ცოტა, ისაა ნათქვამი, რომ ინტენციისა და კონვენციის ცნებებს შორის კონფლიქტი არსებობს, რამდენადაც ერთი იმას ეხება, რისი ქმნაც გვინდა, მეორე კი — იმას, რისი ქმნაც არ გვსურს"[1]

მ. როხე ამ არევ-დარევას იმით ხსნის, რომ ენის ანალიტიკოსი წინდაუხედავად აიგივებს ერთმანეთთან ენასა და საზოგადოებას. ცნების ანალიზი საზოგადოდ სამართლიანად მიიჩნევს, რომ ცნებათა ანალიზი მოითხოვს „ენის თამაშთა" და საზოგადოებრივ „ცხოვრებისეულ ფორმათა" (ვიტგენშტაინი) ანალიზს, ანდა — იმას, რომ მეტყველების აქტთა ანალიზი სოციალური აქტების ანალიზს საჭიროებს (ოსტინი), მაგრამ აქედან მას შეცდომით გამოჰყავს, რომ კომუნიკაციის კონვენ-

---

[1] M. Roche, Die philosophische Schule der Sprachanalyse. in: R. Wiggershaus (Hrsg.), Sprachanalyse und Soziologie, Fim,1975, 187.

ციები წარმოადგენენ მათი გარემომცველი საზოგადოებრივი კონვენციების პარადიგმებს და რომ სიტყვათხმარება ზუსტად ისეთსავე დამოკიდებულებაშია კომუნიკაციის კონვენციასთან, როგორშიც საზოგადოებრივი მოქმედება – საზოგადოებრივ კონვენციასთან"[1]

ეს არგუმენტი მოვიტანე, რაკი იგი გვისვენებს, რომ მოქმედების თეორია წესის მიყოლის კონცეპტის წვდომის უნარს გადამეტებულ მოთხოვნას უყენებს. შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ის, რომ ვიტგენშტაინს მხედველობაში ჰქონდა არა ქმედების თეორია, არამედ მნიშვნელობის თეორია; მაგრამ ენის ანალიტიკოსებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ვინჩიეთ და ჰამპშირიეთ მნიშვნელობის გამოყენების ეს თეორია მოქმედების თეორიის საწყისად აქციეს, არა აქვთ ნათლად შეგნებული, რომ წესის ცნება, რომელიც მოპოვებული და გაანალიზებულია გრამატიკული ანდა მათემატიკური წესების მაგალითზე, მართალია, შეესატყვისება კონკრეტულ მოქმედებაში *თანაშესრულებულ* ოპერაციებს, მაგრამ ერთობ უბადრუკი არის თვითონ მოქმედებათა კონცეპტუალიზების საქმეში. ვინჩს წესის მიყოლის ცნება რიცხვთა მწკრივის კონსტრუქციისა და პრედიკატის გამოყენებიდან წინადუხედავად გადააქვს მოქმედების ინტენციათა განხორციელებასა და საზოგადოებრივ კონვენციათა შესრულებაზე. იგი არ განასხვავებს ერთმანეთისაგან გრამატიკულ გინა მათემატიკურ წესებს, რომლებიც გასაგები გაპოთქმის მნიშვნელობას ადგენენ და წესებს, რომელთა მიხედვით კონკრეტული მოქმედებები წარმოიშობიან.

სხვათა შორის, მოქმედების ყველა წესი არ წარმოადგენს კონვენციებს მნიშვნელადი ე.ი. ინტერსუბიექტურად აღიარებული ნორმების აზრით. ინსტრუმენტული ქმედების წესები არ არიან ამ გაგებით კონვენციურნი; per se არც სტრატეგიული ქმედების წესები სარგებლობენ მნიშვნელოვნებით ინტერსუბიექტურად აღიარებული ნორმატიული მნიშვნელოვნების პრეტენზიის აზრით. გარდა ამისა, წესების ორივე ტიპი მოითხოვს არა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ, არამედ შედეგზე ორიენტირებულ განწყობას. ხოლო ტექნოლოგიებისა და სტრატეგიების მონოლოგური გამოყენება, პირიქით, ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ ისეთი ანალიზი იყოს, რომელიც ამოდის ცალკეული მოქმედი სუბიექტიდან გინა მათი ინტენციებიდან. ნორმებს მოლოდინის შესატყვისი განწყობით მივდევთ ხოლმე; ამიტომ ისინი ისეთ ანალიზს ენათესავებიან, რომელიც მოქმედების წესებით იწყებს და მოქმედი სუბიექტის ინტენციები გამოჰყავს იქიდან, რომ ნორმები მოქმედების მოტივებად იქცევიან ხოლმე. ენობრივი კომუნიკაციის მედიუმი შეიძლება განხილული იქნეს ორივე ამ ანალიტიკური თვალსაზრისით; საქმე არ არის ისე, როგორც ამას მ. როხეს მოსაზრება ჩაგვაგონებს, თით-

[1] A.a. O., 188f.

ქოსდა ენა მიწყივ შინაგანი ინტენციების თავისუფალი გამოხატვის მუდმივ მედიუმს, ხოლო საზოგადოება გარედან დაკისრებული ნორმების სფეროს წარმოადგენდეს. მეტყველებაქმედება ისევე შეიძლება მოემსახუროს ნორმის მიყოლას, როგორც პრივატული ინტერესის მიდევნებას. მაგრამ ინტენციური ქმედებისა და ნორმებით წარმართული ქმედების საფუძველცნებებს ენობრივად გაშუალებული ინტერაქციის ერთმანეთისგან განსხვავებულ, სახელდობრ ყოველთვის ცალმხრივ კონცეპტუალიზებამდე მივყავართ, ოღონდ ამგვარ მოქმედების თეორიულ საწყისებს ის უპირატესობა აქვთ იმ თეორიასთან შედარებით, რომელიც ქცევის წესებს მნიშვნელობის კონვენციათა მიხედვით წარმოიდგენს, რომ მას შემოაქვს მოქმედების ისეთი ცნებები, რომლებიც მოქმედებებს არათუ მარტოდენ გვაგებინებენ, არამედ გვიხსნიან კიდეც მათ იქნება ეს მოქმედი სუბიექტის ინტენციებისა თუ ნორმის მნიშვნელოვნების გათვალისწინებით. ოპერაციის წესები, რომლებიც სიმბოლოთა მნიშვნ„ლობას ადგენენ, მართალია, ახდენენ მოქმედებათა სტრუქტურირებას, მაგრამ მათ არ ძალუძთ, იქცნენ მოქმედი სუბიექტის მოტივებად. მათ აქვთ მნიშვნელობის კონვენციათა, მაგრამ არა საზოგადოებრივ კონვენციათა ბუნება, რომლებიც როგორც ვალდებულებანი მოტივებს ქმნიან. მართალია ამ წესებსაც (ცოტად თუ ბევრად) ინტენციურად მივყვებით, მაგრამ ინტენციებს, რომლებითაც ჩვენ, მაგალითად გრამატიკულ წინადადებებსა თუ მათემატიკურ გამოხატულებებს ვქმნით, შეუძლია ჰქონდეთ ისეთი *მამოტივირებელი* ძალი, როგორიც აქვთ შეხედულებებსა და განზრახვებს, ნატვრებსა და მიდრეკილებებს, გრძნობებსა და განწყობილებებს.

2. ინტენციური ქმედება

როგორც ცნობილია, ცნება „ინტენციონალობა" ბრენტანომ შემოიტანა გვიან სქოლასტიკურ დისკუსიებზე დაყრდნობით, რათა ფსიქიკური თუ სულიერი ფენომენები დაკვირვებადი ფიზიკური მოვლენებისგან გაემიჯნა. აზრები და განცდები იმ გაგებით არიან ინტენციურნი, რომ გარკვეულნაირად მიმართულნი არიან ობიექტებსა თუ შინაარსებზე. სახელდობრ – იმნაირად, რომ მსჯელობის ანდა აღქმის აქტებში მიპყრობილნი ვართ ისეთ რაღაცაზე, რასაც ეფიქრობთ ანდა ეხედავთ და არა ისე, როგორც ჯოხს მივუშვერთ ხოლმე საგანს, რომლის გზიდან ჩამოცილებაც გვინდა. აზრებისა და განცდების მიმართება თავიანთი საგნებისადმი იმით ხასიათდება, რომ ის, რაზეც ისინი მიპყრობილან, გარკვეულწილად ამ საგანთა წიაღში ზის, მათში ექსისტირებს. ჰუსერლმა უფრო მეტი სიმკვეთრე შეიტანა ინტენციის ცნებაში იმით, რომ

შიგ ექსისტირებული საგნები ნოემატურ შემცველობებად განსაზღვრა: – როგორც რაღაც ცნებობრივნი, რომელთა გამოხატვა შესაძლებელია ენობრივი მნიშვნელობებით. ეს გარემოება არსებითია იმ ენის ანალიტიკური შემოტრიალებისთვის, რომელიც „ინტენციონალობის" ცნებამ განიცადა.

ინტენცია ვიწრო, ტექნოლოგიური აზრით გაიგება როგორც სუბიექტის განზრახვა, რომელსაც უნდა მიზნის ანდა განზრახულობის ხორცშესხმა: S მიპყრობილია, ინტენდირებულია იმ მდგომარეობაზე, რომლის მიღწევაც მას სურს; ამ დროს მისი მოქმედება მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაცია უყოს იმ საშუალებებს, რომლებიც აუცილებელნი არიან ინტენდირებული მდგომარეობის მისაღწევად. მოქმედების ამ ტექნოლოგიური სქემისას ინტენციას ჩვენ ვუწოდებთ აქტორის განზრახვას ანდა ნებას გინა ჩანაფიქრს, რომ რეალიზაცია უყოს თავის განზრახულობას. *ფართო* აზრით, მოქმედი სუბიექტის ინტენციებში არათუ მისი იმედები, შეკრთომები და მოლოდინები შედიან, არამედ – მისი ნატვრები და სწრაფვანი; ეს კი არადა მისი ისეთი გრძნობებიც კი ინტენციურნი არიან როგორებიცაა: სიყვარული და სიძულვილი, რისხვა და რიდი, ზიზღი, სევდა და სხვა. ამ ინტენციებს საერთო აქვთ ის, რომ ისინი, თუმც სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც ყველანი მიმართებაში არიან ობიექტსა თუ საქმის ვითარებასთან. რაზედაც ისინი მიწყივ მიპყრობილნი არიან, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც ისეთი რაღაც, რაც სამყაროში ხდება ანდა რასაც მასში ადგილი აქვს. ინტენციები სამყაროში რაღაცაზე არიან მიმართულნი, ეს რაღაც შეიძლება იყოს იგივე პროპოზიციური შემცველობა; მაგ.–ის პროპოზიციური შემცველობა, რომ S-მა როგორც იქნა მოუსწრო ახალი შენობის გახსნასო, ჩვენ იმისდა მიხედვით ვიტყვით, თუკი ეს გვსურს, ამას ვგეგმავთ, ვესწრაფვით, ვუფრთხით, ამის გვეიმედება, მოუთმენლად ველით მას თუ ზიზღს გვგვრის იგი. ენობრივსა თუ ექსტრავერბალურ გამოთქმებში ხორცშესხმული ინტენციები განწყობებს პროპოზიციურ შინაარსებთან ახამებენ. ამრიგად, გარკვეულწილად პროპოზიციური შინაარსები ჩვენს განკარგულებაში უნდა იყვნენ მანამდე, ვიდრე რაღაც გვსურს, ვიდრე რაღაცას მოუთმენლად ველით ანდა რაღაც ზიზღს გვგვრის, აუცილებელია ეს „რაღაც" წინდაწინ იყოს ჩვენს კოგნიტივურ მფლობელობაში. ჩვენი პოზიციის გამომხატველი ინტენციების გამოთქმა წინასწარ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ძალგვიძს, ურთიერთობა ვიქონიოთ ობიექტივირებული სამყაროს საგნებთან გინა საქმის ვითარებებთან. სამყაროში რაღაცასთან ეს კოგნიტივური მიმართება იძლევა იმ პროპოზიციურ შინაარსთა დაუფლების შესაძლებლობას, რომლებზეც მიმართულია ჩვენი განზრახვები, სურვილები და გრძნობები იმით, რომ ჩვენ ჩვენსავ სუბიექტურობას გამოვხატავთ.

ამრიგად, მოლაპარაკისა და მოქმედი სუბიექტის სუბიექტურობის გამომთქმელ ინტენციებსა და აღქმისა და აზროვნების კოგნიციურ აქტებს შორის გარკვეული ნათესაობა არსებობს. ჰამპშირი აფიქსირებს ინტენციებსა და შეხედულებებს შორის მსგავსებას: „ინტენციის გამოხატვა ანდა რაღაცის კეთების ინტენციის მიწერა ბევრი რამით წააგავს მრწამსის გამოხატვასა თუ მიწერას... თითოეული ადამიანური გონი არის უთუოდ და უჩუმრად ჩამოყალიბებულ ინტენციათა და ასევე უთუოდ და უჩუმრად ჩამოყალიბებულ მრწამსთა ადგილსამყოფელი". მაგრამ ამ მსგავსებამ მათი აღრევისკენ არ უნდა გვიბიძგოს. ჰუსერლის ფენომენოლოგიურ გამოკვლევებში აღქმებსა და მსჯელობებს პარადიგმატული ადგილღირებულება აქვთ საზოგადოდ ინტენციური აქტებისათვის. კარნაპის, ჩიშოლმის, სელარსის, პინთიკას და სხვათა ენის ანალიტიკურ გამოკვლევებში ცოდნისა და შეხედულების გამოთქმები წარმოადგენენ მოდელებს, რომელთა დახმარებით განიმარტება ინტენციურ გამოთქმათა როლი. იმავე როლს განუკუთვნებს ჩიშოლმი მრწამსის წინადადებებს თავის კლასიკად ქცეულ გამოკვლევაში ინტენციური სიტყვათხმარების შესახებ.

მაგრამ არსებითი განსხვავებაა S-ის მიერ გამოთქმაშედგენილ საგანზე რეფერენციალურ დაყრდნობას და იმ პროპოზიციურ შინაარსზე ექსპრესივულ დაყრდნობას შორის, რომლითაც S რაღაცის მიმართ განეწყობა. ინტენციონალობას ის განსაზღვრავს, რომ S კოგნიციურ მიმართებას ამყარებს ობიექტივირებულ სინამდვილესთან და ამასთანავე ორიენტირებულია ჭეშმარიტების მნიშვნელოვნების პრეტენზიაზე. ინტენციონალობისათვის კი, პირიქით, დამახასიათებელია S-ის მიერ პროპოზიციური შინაარსისადმი ისეთი პოზიციის დაჭერა, რომ იგი ამასთანავე თავის სუბიექტურობას გამოხატავს: იგი არაკოგნიციურ მიმართებაში შედის ობიექტურად მარტოდენ წინასწარნაგულევებ სამყაროსთან, ჭეშმარიტების პრეტენზიაზე ორენტაციის გარეშე. მაგრამ პროპოზიციური შინაარსისადმი თვითექსპრესიული პოზიცია გულისხმობს იმას, რომ S-ს შეუძლია სამყაროში რაღაცის თაობაზე პროპოზიციის წამოყენება და რომ მას ძალუძს, მიმართებაში იყოს ამ პროპოზიციის შინაარსთან ისე, რომ ორიენტაცია არ აიღოს მისი ჭეშმარიტების პრეტენზიაზე. მაგრამ „p" წინადადების ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის ნეიტრალიზებისათვის და შესაბამისი გამოთქმის ასერტორული უნარიდან „რომ p" პროპოზიციური შინაარსის გამოსაყოფად ყურადსაღებნი არიან მრწამსის წინადადებანი. თუ წინადადებები:

(3) (მე ამით ვამტკიცებ:) გაწვიმდება.

(3) მე ვიცი (ვხედავ, ვფიქრობ, მჯერა), რომ იწვიმებს.

ერთსადაიმავე სიტუაციაში ერთიდაიმავე მოლაპარაკის მიერ არის გამოთქმული, მაშინ შეგვიძლია ისინი მნიშვნელობაეკვივალენტურად მივიჩნიოთ.

მაგრამ არაეკვივალენტურნი არიან:

(3') მე ვიცი, რომ იწვიმებს.

(3'') მან იცის, რომ იწვიმებს.

რამდენადაც ჩვენ უფლება გვაქვს, ცოდნისა თუ აღქმის კოგნიციურ აქტში, რომელსაც გამოთქვამს პირველი პერსონა შესაბამისი მდგენელი მეტყველების აქტის ეკვივალენტი დავინახოთ, ამდენად იგი გამოხატავს ჭეშმარიტების პრეტენზიაზე ორიენტირებულობას, რომელსაც მოლაპარაკე თავისი წინადადებისთვის აყენებს. ინტენციონალობა, სამყაროში რაღაცის მიმართ ჭეშმარიტებაზე ორიენტირებული განწყობით იქცევა უფრო ფართო პროპოზიციის შემადგენელ ნაწილად, როგორც კი პირველი პერსონის ინტენციური წინადადება მესამე პერსონის შესაბამის წინადადებად გარდაიქმნება. (3'') წინადადებით ხდება (3') წინადადებაში გამოხატული შინაარსის ნეიტრალიზება ჭეშმარიტების პრეტენზიასთან მიმართებაში. (3'') წინადადებით მოლაპარაკე ჭეშმარიტების პრეტენზიას მხოლოდ იმ წინადადებისათვის წამოაყენებს, რომ S-ს დაუსაბუთებელი ცოდნა აქვს იმის შესახებ, რომ გაწვიმდება, და – არა წინადადებისთვის (როგორც (3')-ში), რომ იწვიმებს. (3) წინადადების გამოთქმა „გაწვიმდება" (3)-ში გარდაქმნილია გამოთქმის ნორმალიზებულ შინაარსად: „იწვიმებს"

მესამე პერსონის მრწამსის წინადადებაში შეგვიძლია ამოვიკითხოთ ის, თუ როგორ პოზიციას იჭერს S პროპოზიციური შინაარსისადმი ანუ როგორ ასრულებს იგი აუცილებელ წანამძღვარს იმისთვის, რომ მან შეძლოს თავისი სუბიექტურობის დაკავშირება პროპოზიციური შინაარსებისადმი. სწორედ ამგვარ მიმართებას ვუწოდებთ ჩვენ ინტენციურს ვიწრო აზრით. ეს ინტენციონალობა კი ამოიკითხება იმ თვითექსპრესიულ განწყობებში, რომლებითაც S პროპოზიციურ შინაარსებზე დაყრდნობით გამოხატავს განზრახვებს, ნატვრებს, სწრაფვებს, გრძნობებსა და სხვა. ე.ი. პროპოზიციური შინაარსებისადმი თავის *პოზიციაში* თავისივე სუბიექტურობის განმარტებას ეწევა. ამასთანავე S ორიენტირებულია არა უშუალოდ ჭეშმარიტების, არამედ გულწრფელობის პრეტენზიებზე: „ინტენციები ისეთ რამეს წარმოადგენს, რომლის გამყღავნებაც შეიძლება და შენიღბვაც."

ინტენციონალობის ცნების წინასწარი განმარტების მერე მინდა, მივუბრუნდე ტელეოლოგიური მოქმედების სქემებს. ინტენციურს ისეთ მიზანმიმართულ ქცევას ეუწოდებთ, რომლითაც აქტორს უნდა სამყაროში განსაზღვრული მდგომარეობის მოპოვება. მაგრამ ფართო აზრით მოქმედი სუბიექტის ინტენციებში მარტო განზრახვები კი არ შედიან, არამედ – სურვილებიცა და ემოციებიც. ქცევას ინტენციურ ქცევად რომ აღვწერთ ჩვენ შევდივართ მოქმედი სუბიექტის ინტენციურ განცდებთან მიმართებაში. ინტენციური განცდა არის სიტყვებსა ანდა მოქმედებებში გამოხატული სუბიექტური პოზიცია „რომ p" პროპოზიციუ-

რი შინაარსისადმი. როცა მოქმედ სუბიექტს ინტენციებს ვაწერთ, წინასწარ ვგულისხმობთ:

– დაუფლებადს პროპოზიციურ შემცველობებს, ე.ი. მოქმედი სუბიექტისათვის ობიექტურად მოცემული სინამდვილის განსაზღვრულ კოგნიციურ რეპრეზენტაციებს.

– პროპოზიციური შინაარსებისადმი პოზიციას, რომლითაც მოქმედ სუბიექტს თავისი სუბიექტურობა სინამდვილეში განსაზღვრულ არაკოგნიციურ მიმართებაში გადაჰყავს.

იმით რომ ქცევას ინტენციურ ქმედებად აღვწერთ, ჩვენ თვითონ ვიკავებთ მოქმედი სუბიექტის პერსპექტივას. მაგრამ მოქმედის ეს თვალსაზრისი (egent's points of view) სამყაროში რაღაცაზე ორსაფეხურებრივ დაყრდნობას ნიშნავს; სახელდობრ – სინამდვილის იმ კოგნიციურ რეპრეზენტაციაზე დაყრდნობას, რომელიც მოქმედი სუბიექტისათვის მნიშვნელობს და იმ სუბიექტური განწყობის დამოწმებას, რომელსაც მოქმედი პირი სინამდვილის ამ რეპრეზენტაციის მიმართ იკავებს.

სამყაროში რაღაცაზე დამყარების ორსაფეხურებრივობა არის ენის იმპლიკატი, რომელსაც ვიყენებთ, როცა ქცევას ინტენციურ ქმედებად აღვწერთ. სხვათა შორის, მას არა აქვს რაიმე ონტოლოგიური მნიშვნელობა. ინტენციონალობის ცნების დახმარებით ბრენტანოს უნდა ერთმანეთისაგან გამიჯნოს ყოფნის ფსიქიკური და ფიზიკური სფეროები. მაგრამ მოქმედების თეორიული საფუძველცნებების ამორჩევას საგნობრივ სფეროთა გამიჯვნის მხოლოდღა მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

შეხედულება იმის შესახებ, რომ ინტენციურ განცდებს სიმბოლური გამოხატულების უნარი უნდა შესწევდეთო, ინტენციონალობის დისკუსიაში ენის ანალიტიკურ შემოტრიალებას მოასწავებს. ეს იმას ნიშნავს, რომ S არ ძალუძს ინტენციურად იმოქმედოს ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, თუ მას უნარი არ შესწევს, სათანადო გარემოებებში გამოხატოს თავისი ინტენცია; იგი უნდა ფლობდეს ინტენციურ ენას, რითაც მას შეეძლება თავისი სიტუაცია თავისივე მოქმედების პერსპექტივიდან აღწეროს.

ეს თეზა გამომდინარეობს იმ განმარტების ლოგიკიდან, რომელსაც სულ ცოტა, იმლიციტურად ვეძლევით ხოლმე, როცა ქცევას ინტენციურ მოქმედებად აღვწერთ. ინტენციურ მოქმედებას ჩვენ განვმარტავთ იმით, რომ მოტივად მივიჩნევთ მოქმედი სუბიექტის ინტენციონალურ განცდას: განზრახვას გინა ინტენციას, მიდრეკილებას გინა დისპოზიციას, განსაზღვრულ აფექტიურ აღქმას, განწყობილებას, გრძნობად გაღიზიანებას და ა.შ. მაგრამ ინტენციური განცდების (ზრახვების, მოთხოვნილებების, გრძნობების) იდენტიფიცირება შეუძლებელია პროპოზიციური შინაარსებისაგან დამოუკიდებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ინტენციური განცდები არ შეესიტყვებიან ხდომილებათა ლოგიკურ ტიპს, რომელთა დახასიათება შეიძლება მათ მიერ გამოწვეული მოქმედებისაგან დამოუკიდებლად.

ინტენციასა და მოქმედებას შორის არაკოგნიციური მიმართება, რომლითაც იგი გამოიხატება, იწარმოება ინტერპრეტაციის მეშვეობით, რომელსაც მოქმედი სუბიექტი თავის სიტუაციას აძლევს. იმით რომ ჩვენ მოქმედი სუბიექტის ინტენციას შესაბამისი მოქმედების მოტივად ანდა მიზეზად ვიგებთ, მოქმედი სუბიექტის სიტუაციის მნიშვნელობას ინტენციურად აღწერილი ქცევისათვის კონსტიტუციურად მივიჩნევთ. ამით ვგულისხმობთ, რომ მოქმედი სუბიექტი ფლობს ინტენციურ ენას; რომლითაც მას შეუძლია სიტუაციის აღწერა და თავისი ინტენციის გარკვეულად გამოხატვა. ვიდრე ინტენციური ქმედების განმარტების ლოგიკას მივყვებით წინასწარ ვგულისხმობთ, რომ მოქმედი სუბიექტი ფლობს ინტენციურ ენას. ინტენციონალობისა და ენის ამ კავშირმიმართებას მე კვლავაც მივუბრუნდები.

თავიდან მინდა, გამოწვლილვით გავარჩიო საკითხი, თუ ვვაქვს უფლება და რა აზრით გვაქვს უფლება ინტენციები მოქმედებათა მიზეზებად გავიგოთ. გვიანი ვიტგენშტაინის მიმდევრებმა როგორებიც არიან პეტერსი, მელდენი და ვინჩი იმ ფაქტიდან, რომ მოქმედებებსა და მათში გამოხატულ ინტენციებს შორის აუცილებელი ე.ი. ენისათვის შინაგანი მიმართება არსებობს, გამოიყვანეს დუალიზმი, რომლის მიხედვითაც ინტენციური მოქმედებები კაუზალური ახსნისათვის მიუწვდომელნი არიან. ჩ. ტეილორმა ეს თეზისი საფუძვლიანად გააკრიტიკა. იგი ამოდის მოქმედების ტელეოლოგიური სქემიდან:

მიზანი:	S შეუძლია მიაღწიოს Z მდგომარეობას;
საშუალება:	S-მა იცის, რომ Z მოცემულ სიტუაციაში არ მოხდება, თუ არ შესრულა h მოქმედება.
საშუალებათა არჩევა:	არსებობს სიტუაცია X, მაშასადამე S ახორციელებს h მოქმედებას.

S-ს უნდა გახდეს მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის მემკვიდრე; მან იცის, რომ კლასიკური სამინისტრო ყველაზე ხელსაყრელ საწყის პოზიციას წარმოადგენს სხვა კონკურენტებთან საკონკურენციოდ; ამიტომ იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მთავრობის მომდევნო ჩამოყალიბებისას კლასიკური მინისტრის პოსტი მიიღოს. ამგვარი პრაქტიკული ხასიათის დასკვნა უნდა იქცეს იმის საფუძვლად, რომ S h მოქმედებას მიზანრაციონალურ საშუალებად ირჩევს. მაგრამ ეს *საფუძველი* მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით შეასრულებს *მიზეზის* როლს თუ იგი S-თვის ქმედების მოტივს წარმოადგენს.

S-ს უნდა ჰქონდეს Z-ის მიღწევის ჩანაფიქრი, განზრახვა ანდა ნება. თუ S განსაზღვრულ მიზანს ისახავს, მაშინ ამ მიზნის რეალიზების ინ-

ტენცია, კაუზალურად გვიხსნის შესაბამის მოქმედებას. ინტენციაზე მითითება სახელდობრ იმას გვიჩვენებს, თუ რატომ მოქმედებს S ამგვარად და რატომ არ ქმედობს იგი სხვაგვარად. მიზნის დასახვა იმავე მეთოდოლოგიურ როლს ასრულებს ინტენციური მოქმედებისათვის როგორსაც ფიზიკალისტური მიზეზი – შესაბამისი ხდომილებისათვის. ამგვარად, შესაძლებელია S-ს იმით გაუღვიეო მოქმედების სურვილი, რომ შესაბამისი ინტენცია გაუჩინო; ეს შეიძლება მოხდეს არგუმენტაციის, დარწმუნების ანდა სიტუაციის შეცვლის გზით. ამასთანავე, ინტენციის ცოდნა მომავალი მოქმედებების თვალსაზრისით ისეთივე წინასწარმეტყველური უნარის მქონეა როგორც ფიზიკალისტური მიზეზის ცოდნა – სამომავლო ხდომილებათათვის.

მოქმედების ტელეოლოგიური სქემით ნებადართულია მიზანთა განხილვა მოქმედების მიზეზებად, თუკი გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ S მიზნად ისახავს, შესაბამისი მდგომარეობის მიღწევას. მიზნის დასახვა წარმოადგენს ინტენციას, რითაც S განსაზღვრულად განეწყობა პროპოზიციური შინაარსისადმი; სახელდობრ – ისე, რომ პროპოზიციური შინაარსით გამოხატული მდგომარეობა სამყაროში შესაძლო მდგომარეობად ითვლება, რომელიც შეიძლება დადგეს განსაკუთრებულ პირობებში და რომელიც ხამს, ამ პირობებზე ზეგავლენის გზით მიიღწეს, მაგრამ განზრახვის, ნების, ჩანაფიქრისნაირი ინტენციები თავად არიან ისეთი ფენომენები, რომლებიც განმარტებას საჭიროებენ. ტელეოლოგიური განმარტება, რომელიც მიმართებას მიზანზე იღებს და შესაბამის განზრახვებს უშვებს, მხოლოდ ერთი ნაბიჯია მოტივაციონალური განმარტებისა. ტეილორი აანალიზებს ორ მომდევნო ნაბიჯს: განმარტება სურვილებისა და სწრაფვათა, ე.ი. დისპოზიციათა დამოწმებით; და განმარტება ემოციებზე ე.ი. გრძნობებსა და განწყობილებებზე მითითებით.[1]

S-ის ჩანაფიქრის განმარტება, რომ სურს გახდეს მთავრობის მეთაური, შეიძლება მოძიებული იქნას ზოგად დისპოზიციაში აღიარების ძიებისა ანდა კონკრეტულ სურვილში, რომ ბოლოს და ბოლოს ჩრდილში მოაქციოს თავისი მეგობარი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ჯობნიდა, ე.ი. შეიძლება პატივმოყვარეობა და შური იყოს ამის ამხსნელი. ის ფაქტი, რომ ეს განზრახვა S-ს მაშინ გაუჩნდა როცა ამას არავინ მოელოდა, შესაძლოა ახსნილი იქნას მძლავრი ემოციონალური მოტივებით: იმ შეურაცხყოფის გამო განრისხებით, რომელიც S-ს მეტოქემ მიაყენა, განსაკუთრებული ეიფორიული განწყობილებით, რომელსაც S განიცდის წარმატებით გადატანილი ოპერაციის შემდგომ და ა.შ. ორივე შემთხვევაში ჩვენ ვემყარებით ისეთ მოთხოვნილებებს გინა მო-

[1] Ch. Taylor, Explaining Action, Inquiry, 13, 1970, 54-89. Deutsch in: Ch. Taylor, Erklärung und Interpretation in den Wissenschaften vom Menschen, Ffm. 1975, 65-117.

ტივებს, რომლებიც უფრო ღრმად მდებარეობენ, ვიდრე ზრახვები და გადაწყვეტილებანი. მოთხოვნილებები ორსახოვანნი არიან: ერთი მხრივ, სურვილისმიერი კუთხით ისინი სწრაფვებად და გულისწადილებად განისაზღვრებიან, ხოლო თავიანთი პერცეფციული მხარის მიხედვით – გრძნობებად და განწყობილებებად. სწრაფვები და გულისწადილები მიმართულნი არიან მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციებზე; ხოლო გრძნობები და განწყობილებანი საგნებს აღიქვამენ ჩვენი მოთხოვნილებების შუქზე. მოთხოვნილების ბუნება არის ძლიერი მიდრეკილების ფონი, რომელიც მართავს სინამდვილისა და კოგნიციურად დაუფლებადქმნილი პროპოზიციური შინაარსებისადმი სუბიექტის პოზიციებს. ეს ძლიერი მიდრეკილება წარმართავს როგორც ჩვენს აქტიურ ზემოქმედებებს, ისე იმ სიტუაციათა აფექტურ აღქმას, რომლებიც თემატიზებულნი არიან არა როგორც სამყაროში ობიექტური რაღაც, არამედ როგორც ჩვენი ცხოვრების სამყაროს შემადგენელი ნაწილი. გულისწადილნი და სწრაფვები განწყობილნი არიან მოქმედების მიზნებზე; გრძნობები და განწყობილებანი ეწევიან სიტუაციათა შეფასებას და აღებენ მოქმედების მიზანთა პერსპექტივებს. გულისწადილთ და სწრაფვებს დაწანამძღვრებული აქვთ სასურველი თუ მიუღებელი მდგომარეობების შეფასება, მაშინ როცა გრძნობები და განწყობილებები, პირიქით, დისპოზიციონალურ ბირთვს ფლობენ.

დისპოზიციებსა და გრძნობებს შორის მიმართება უფრო ნათელი შეიქნება თუ ორივე მათგანს საფუძველმდებლური მოთხოვნილებების ინტერპრეტაციებად გავიგებთ. მოთხოვნილების ინტერპრეტაციები ერთმანეთთან აკავშირებენ გულისწადილებსა და გრძნობებს; მაგრამ მოთხოვნილებები განიმარტებიან არაპირდაპირ, ერთი მხრივ მოქმედების - დამჯობინებათა გინა მიზნების გზით; მეორე მხრივ კი – აფექტურად მოპოვებული კლასებისა და სიტუაციების გინა ღირებულებათა გზით. ამასთანავე მიზნები და ღირებულებანი ერთმანეთს ურთიერთგანმარტავენ. გამოწვლილვით რომ გავიგოთ, თუ რას ნიშნავს განსაზღვრულ კონტექსტში ისეთი გამოთქმები, როგორიცაა მშვენიერი, საშინელი, ბედნიერი, საზარელი და სხვა, შეგვიძლია დავიმოწმოთ ცალკეული საგნები და სიტუაციები, რომლებიც საფუძვლიანნი არიან როგორც შესაძლო მოქმედების მიზნები; მოქმედების განსაზღვრული მიზნის ცხადსაყოფად, პირიქით, შეიძლება მიღებულ ღირებულებებს დავემყაროთ. ის ურთიერთინტერპრეტაციები, რომლებსაც ეწევიან მიზნები ღირებულებათა ფონზე, ხოლო ღირებულებები – მიზანთა დახმარებით, მრავლისმეტყველნი არიან, რადგან მიზნები უფრორე კერძო მდგომარეობებს გამოხატავენ, მაშინ როცა კულტურალური ღირებულებები უფრორე რაღაც საყოველთაოს გამოთქვამენ; ამასთანავე მიზნებში უფრო მკვეთრადაა აღბეჭდილი დესკრიპციული კომპონენტი, მაშინ როცა ღირებულებაში უფრო მკაფიოდაა გამოკვეთილი ეკალუაციური კომპონენტი. მოთხოვნილების მაინტერპრეტირებელ გამოთქმათა დესკრიპციულ-ეკალუციონურ ორკეც შინაარსს ისევ მივუბრუნდებით.

თავდაპირველად ჩემთვის მთავარია ვაჩვენო, თუ მოტივს „საბოლოო“ მიზეზად როგორ ახასიათებს ინტენციონალური ქმედების კონცეპტი. ამ ჩარჩოებში ჯერ კიდევ არ არის შესაძლებელი თვითონ მოტივები, და მაშასადამე, სურვილები და გრძნობები ანდა მათი მეშვეობით ინტერპრეტირებული მოთხოვნილებები განხილული იქნან როგორც ისეთი ფენომენები, რომლებიც განმარტებას საჭიროებენ. ინტენციური ქმედების განმარტება შეიძლება მიზნებისა და განზრახვების გზით დაყვანილი იქნას სურვილებსა და სწარფვებზე; დაბოლოს – გრძნობებსა და განწყობილებებზე, მაგრამ განმარტების ძაფი წყდება მოტივთან რაგინდ „ღრმად“ იყოს იგი ჩადებული; ვიდრე ქცევას ინტენციურ ქმედებად აღვწერთ, მოტივები საბოლოო ინსტანციას წარმოადგენენ. როგორც კი მოთხოვნილებებს, თავიანთ მხრივ, ინტერპრეტაციის პროცესის შედეგად გავიგებთ, ვარღვევთ ინტენციური განცდების გამომხატველი სუბიექტის მონოლოგური მოქმედების მოდელს. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ მოთხოვნილების ინტერპრეტაციები კულტურულ ღირებულებებსა და ღირებულებათა ხორცშემსხმელ ნორმებზეა დამოკიდებულიო. მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს მოქმედი სუბიექტის ინტენციები მოტივთქმნადობის პროცესის გზით ღირებულებებისა და ნორმების საზოგადოებრივ რეალობაზე დავიყვანოთ ვიდრე თავს არ გავანებებთ ინტენციონალური ქმედების კონცეპტს. მონოლოგურად განწყობილი ინტენციურად მოქმედი სუბიექტის გამოთქმათა ნაცვლად მაშინ გამოვლენ ერთმანეთის მიმართ ურთიერთკონფორმული მოლოდინებით განწყობილ სუბიექტთა ინტერაქციები, რომლებსაც წარმართავენ ინტერსუბიექტურად აღიარებული ნორმები და ღირებულებები; ამასთანავე ივარაუდება კულტურულ ტრადიციებსა და მოთხოვნილებებს, ინსტიტუციონალიზებულ ღირებულებებსა და დისპოზიციებს შორის კაუზალური კავშირ-მიმართება, მაგრამ ემპირულ კავშირ-მიმართებათა ქვეშ მიმალულია საფუძვლებსა და მოტივებს შორის კავშირ-მიმართებანი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ინტენციური ქმედების ვიწროდგაგებული კონცეპტით არიან ხელმისაწვდომნი.

3. ნორმების შესრულება

ნორმებით რეგულირებული ანდა ღირებულებებზე ორიენტირებული ქმედების კონცეპტი, რომელიც განსაკუთრებით პარსონსმა შეიმუშავა და თავიდანვე საკალდებულოდ აქცია სოციოლოგიისათვის, განმცდელი სუბიექტის სუბიექტურობის ნაცვლად ანგარიშს უწევს ენობრივი ინტერსუბიექტურობის თვითმყოფად სფეროს, რომელშიც ხდება არა მარტო თეორიული ცოდნის შედგენილობათა „გაზიარება“, არამედ – ღირებუ-

ლებებისა და ნორმებისაც. ამგვარ გაზიარებებს ანდა ერთობლივ ფლობას შესაძლებელყოფს კომუნიკაცია გინა აღიარებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა საფუძველზე ურთიერთგაგება ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტთა შორის. მაგრამ უკვე ინტენციური ქმედების კონცეპტი წინასწარ გულისხმობს იმას, რომ კოგნიციური აქტები მიმართულნი არიან ჭეშმარიტებაზე; მოქმედების ტელეოლოგიური სქემა კი ანგარიშს უწევს მოქმედების სუბიექტს, რომლის მოტივირება ხდება საფუძველთა გინა პრაქტიკულ დასკვნათა გზით. მაგრამ ინტენციონალობის კონცეპტის ჩარჩოებში ჭეშმარიტება არ გაიგება როგორც ინტერსუბიექტურობის მაფუძნებელი მნიშვნელოვნების პრეტენზია. ჭეშმარიტების პრეტენზიას მონოლოგურად შეიძლება იმდენად მიეცეს სხვანაირი განმარტება, რამდენადაც იგი არ დაარღვევს სუბიექტური გონის კონცეპტუალურ ჩარჩოებს. საპირისპიროდ ამისა ღირებულებაზე ორიენტირებული ქმედების კონცეპტი მნიშვნელოვნების მეორე პრეტენზიას რთავს თამაშში; იგი წინასწარ გულისხმობს ღირებულებათა და მოქმედების წესთა ნორმატიულ მნიშვნელოვნებას. ამ მნიშვნელოვნების პრეტენზიის განმარტება კი შეუძლებელია ინტერსუბიექტური აღიარების დამოწმების გარეშე; ამ შემთხვევაში მონოლოგურის სხვაგვარად განმარტება თითქმის შეუძლებელია.

ვინაიდან აქ ჯერ ისევ არ არის ადგილი სისტემურად ვწვდეთ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა საზრისის ექსპლიკაციის ამოცანას, ამიტომ ემპირისტული ეთიკის პრინციპთა კრიტიკის გზას ვირჩევთ. ეთიკა მოქმედებათა ლეგიტიმაციის ნორმატიული პერსპექტივიდან იმავე საკითხებს განიხილავს, რომლებსაც მოქმედების თეორია – განმარტების პერსპექტივიდან. შეკითხვა იმის შესახებ, თუ „რატომ მართებს S-ს x სიტუაციაში უფრორე h მოქმედების შესრულება", ვიდრე – ალტერნატიული h_2, h_3 ... h_n მოქმედებებისა, საჭიროებს (სულ ცოტა) ერთ საფუძველზე მითითებას. ასევე შეკითხვაზე, თუ „რატომ მართებს S-ს x სიტუაციაში (ნაცვლად ალტერნატიული h_2, h_3 ... h_n) h მოქმედების შესრულება, პასუხი გაიცემა მოტივაციონალური განმარტებით, რომელიც ერთ საფუძველს მოტივად ასახელებს. ეთიკას საქმე აქვს მოქმედებათა განსაზღვრულ კლასთან, კერძოდ – ისეთ მოქმედებებთან, რომელთა არჩევა შეიძლება შეფასდეს მორალურად სწორ ან არასწორ არჩევანად. ამიტომ მორალურად მნიშვნელოვანი მოქმედებების საფუძველთა ექსპლიკაციამ აუცილებელია, ანგარიში გაუწიოს „ჯერარს"-ის საზრისს, რომელსაც კითხვის დაყენება შეიცავს. თითოეული ეთიკა დგას იმ ამოცანის წინაშე, რომ რეკონსტრუირება უყოს ღირებულების ცნებისა და ნორმის ცნების არადესკრიპტულ შინაარსს. ემპირისტული ეთიკა, რომელიც ტელეოლოგიური მოქმედების სქემასა და ამის მეშვეობით ინტენციური ქმედების სუბიექტივისტურ წარმოდგენაზეა მიბმული, განსა-

კუთრებულ სიძნელეს აწყდება, როცა შეფასებები, რომლებიც თავიანთი საკუთარი პრეტენზიის მიხედვით არ არიან ცარიელა სუბიექტურნი, საბოლოოდ პირად მოთხოვნილებებზე დაჰყავს. ემპირიზმი მორალურად მნიშვნელოვან მოქმედებათა გამართლებას აქტორის მოთხოვნილებებზე აყრდნობს, რომელიც თვითონ წარმოადგენს თავისივე მოთხოვნილებების შეფასების საბოლოო ინსტანციას: „ემპირისტულ პოზიციად მე მესმის იდეა, რომლის მიხედვითაც გარე სამყაროზე მავანის მრწამსთა საბოლოო საფუძვლები არიან წინადადებანი იმის თაობაზე, რასაც იგი უშუალოდ აღიქვამს. ამგვარ პოზიციასა და მოქმედების მიზეზთა შორის შემდეგი პარალელები არსებობს: ჯერ ერთი, ეს არის იდეა იმის შესახებ, რომ მიზეზთა ჯაჭვში ყოველთვის უნდა იყოს მოცემული წერტილი, სადაც მავანი ვალდებულია შეჩერდეს ე.ი. ყოველთვის არსებობენ საბოლოო მიზეზები; მეორე ესაა იდეა იმის თაობაზე, რომ ამ საბოლოო მიზეზებს უნდა ჰქონდეთ საზიარო მახასიათებელ(ბ)ი; მესამე ესაა იდეა იმის თაობაზე, რომ მახასიათებლები, რომლებსაც ფლობენ საბოლოო მიზეზები აუცილებლად იმგვარნი უნდა იყვნენ, რომ აღარ შეიძლებოდეს მათი შემდგომი გამოკითხვა და აქედან გამომდინარე აღარ უნდა იყოს საჭირო შემდგომი მიზეზები ე.ი. საბოლოო მიზეზებს ძალუძთ „საფუძველთა“ კონსტიტუირება; და მეოთხე ესაა იდეა იმის შესახებ, რომ ამგვარი მიზეზები უზრუნველყოფილია პირველი პირის ფსიქოლოგიური გამონათქვამებით, რაკი შეძლებულია მათი შემდგომი გამოკითხვა და მათში ეჭვის შეტანა“.[1]

შემდგომად ამისა რ. ნორმანი აჩვენებს, რომ მორალურად მნიშვნელოვანი მოქმედების ლეგიტიმაციისათვის საკმარისი არ არის არც ცარიელა განწყობილებებზე, გულისწადილებსა და გრძნობებზე ემოციისტური რეკურსი და არც – საბოლოო გადაწყვეტილებებზე დეციზიონისტური რეკურსი. ამ მიზნისთვის მისაღები არის მხოლოდ და მხოლოდ ისეთი საფუძვლები, რომლებიც გააცხადებენ იმას, თუ განსაზღვრულ სიტუაციაში რატომ აქვს მოქმედ სუბიექტს მაინცადამაინც ეს გრძნობა, ანდა ეს დისპოზიცია, ან ეს ჩანაფიქრი, რომ მაინცადამაინც ეს მიზანი განახორციელოს. მარტივ მტკიცებას, რომ S-ს მოცემულ სიტუაციაში ინტენციური განცდები აქვსო, მანამ არა აქვს პრაქტიკულად გამამართლებელი უნარი, ვიდრე არ გაცხადებულა ის, რომ სხვა პერსონებს როგორც S-ებს ამგვარ სიტუაციებში ამ სახის მოქმედების მამოტივირებელი განცდები აქვს. გასაგები *მოტივი* მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის მოთხოვნილება, როცა იგი იმგვარად განიმარტება, რომ სხვებისთვისაც ცხადი შეიქნება: „*უბრალოდ* გინდოდეს ერთი პეშვი ტალახი ირაციონალური სურვილია, რადგან საჭირო არის რამდენიმე მომდევნო მიზეზი ასეთი სურვილისა. მაგრამ რაციონალურია ერთი პე-

[1] R. Norman, Reasons for Actions, Oxford 1971, 24.

შვი ტალახის ნდომა იმისთვის, რომ განიცადო მდინარის სავსე სურნელი. მდინარის სავსე სურნელის განცდის სურვილისათვის აღარ არის საჭირო მომდევნო მიზეზი, ვინაიდან „მდინარის სავსე სურნელის განცდის“ ნდომა თვითონვე იძლევა მისი მოსურვების მისაღებ მიზეზს და აქედან გამომდინარე ეს სურვილი რაციონალურია“ (გვ. 72). „მდინარის“ „სავსე“, „მტკბარ სურნელზე“ მითითება განმარტავს რაღაც თავისებურ მოთხოვნილებას. თუ ამ ინტერპრეტაციის გზით არ იქნა ცხადყოფილი ერთი პეშვი ტალახის სურვილი და იგი მოგვევლინება აბსოლუტურად პირად, აუხსნელ და იდიოსინკრეტისტულ სურვილად, მაშინ იმ მოქმედებებსა და ფანტაზიებს, რომლებიც მოტივირებულნი არიან ამ სურვილით, ანომალურად მივიჩნევთ და იქნებ მის კლინიკურ განმარტებებსაც კი შევეცადოთ. ამ მაგალითის ფონზე იკვეთება ევალუაციისტურ გამოთქმათა სპეციფიკური ღვაწვა, რომელთა დახმარებითაც ჩვენ მოთხოვნილებათა ინტერპრეტაციას ვეწევით. იმით რომ ჩვენ საგანს ანდა სიტუაციას ვახასიათებთ როგორც სავსეს, მტკბარს, მიმზიდველს, დიდებულს, ამაღლებულს, გამოსულს, ბედნიერს, სახიფათოს, შემაშფოთებელს, საზარელს, საზიზღარს და ა.შ., ვცდილობთ განსაზღვრული განწყობა ამ საგნისა თუ სიტუაციისადმი იმის საშუალებით გავხადოთ ცხადი თუ გასაგები, რომ ვიყენებთ შეფასების საყოველთაო სტანდარტებს. რამდენადაც შეფასების სტანდარტები ანდა მოკლედ ღირებულებანი, აღიარებულნი იქნებიან სხვების მიერ და რამდენადაც მოთხოვნილების ინტერპრეტაციებს სხვებიც გაიზიარებენ, ამდენადვე შეგვეძლება მოთხოვნილების ამგვარი ინტერპრეტაციებით დავაფუძნოთ შესაბამისი გულისწადილები ანდა გრძნობები და მათ მიერ მოტივირებული მოქმედებები. ევალუაციურ გამოთქმებს გამამართლებელი უნარი მაშინ აქვთ და იმდენად აქვთ, როცა და რამდენადაც მათ ხელეწიფებათ ისე დაახასიათონ მოთხოვნილება, რომ სხვებმა ამ ინტერპრეტაციებში საკუთარი მოთხოვნილებები ამოიცნონ. მოთხოვნილება შეიძლება იმ ზომად მივიღოთ მოქმედების საფუძვლად, რაზომაც აღიარებულნი არიან ის კულტურელური ღირებულებანი, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ მოთხოვნილებათა ინტერპრეტაციისთვის.

ნორმანი იძლევა შემდეგ მაგალითს: „ქუჩის შემოთავაზებულმა გეგმამ შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს, რომ ამან თვითონ კერძო ინდივიდი დააზარალოს რაკი მას მოჰყვება მთელი წინა ბაღის გაჩანაგება და ინდივიდს წაერთმევა თავისი საყვარელი პობის, ბაღში ფუსფუსის შესაძლებლობა; განადგურდება მშვენიერი ვარდის კვლები, მოიშლება სახლის მთელი წინახედი და ტრანსპორტის მოძრაობის ხმაური და ავტომობილების გამონაბოლქვი ზედ წინაკარის ზღურბლს მოადგება. მაგრამ თუ პროექტის ღირსებათა შემფასებელს ჰკითხავთ მან, მიუხედავად ყველაფრისა, შეიძლება გიპასუხოს, რომ მისი აზრით მოცემულ პირობებში ეს პროექტი შესაძლო პროექ-

ტთა შორის ყველაზე საუკეთესოა, რადგან იგი საშუალებას მისცემს ხალხს უფრო იოლად და უფრო კომფორტულად იმგზავროს, შეამცირებს საგზაო შემთხვევათა რიცხვს და უმცირეს უხერხულობებს ქმნის. მაგრამ ეს არ არის ის, რასაც მე ვგულისხმობ, როცა ხაზს ვუსვამ სტანდარტთა აუცილებელ საჯაროობას. ჩემი აზრით, ადამიანი ზუსტად იმდენად იყენებს საჯარო სტანდარტებს, რამდენადაც ორი თვალსაზრისიდან ერთს იღებს. ეს შეიძლება გამოჩნდეს იმ ლექსიკონის ნაირსახეობიდან, რომელსაც იგი იყენებს. რამდენადაც იგი მიმართავს „სიმშვიდისა და სიმყუდროვის“ ცნებებს, ხმაურით გამოწვეულ სიმშვიდის დარღვევას, ავტომობილთა გამონაბოლქვის სულისშემხუთავ სიმყრალეს, ჰობით ტკბობას, ყვავილთა სიმშვენიერეს და ა.შ. ამდენად იგი გამოიხმობს საჯაროდ გაზიარებულ კონცეპტებსა და შეფასების საჯარო სტანდარტებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენ შეგვიძლია მისი კერძო სურვილებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე „რაციონალურად“ აღვწეროთ ქუჩის პროექტის მიმართ ინდივიდის შესაძლო საყვედურები“.

მაგალითმა, ხამს დაასაბუთოს თეზა, რომ მოქმედების მოტივებს მხოლოდ და მხოლოდ იმდენად შეუძლიათ მორალურ-პრაქტიკულ საფუძველთა როლის აღება, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ არა მოქმედ სუბიექტთა კერძო თვისებებს, არამედ – *საჯაროდ ინტერპრეტირებულ მოთხოვნილებებს.* რაც სურს განსაზღვრულ ინდივიდუმს, რაც მას სწადია, ანდა რასაც იგი გრძნობს, ლოგიკურად ის დამოკიდებულია საფუძველმდებლურ მოთხოვნილებათა ინტერპრეტაციაზე, რომელიც შესაბამისი ენის თემში ინტერსუბიექტურად მნიშვნელობს.

მაგრამ ნორმანი ერთმნიშვნელოვნად არ განასხვავებს ერთმანეთისგან ევალუაციური გამონათქვამის გასაგებობასა და შესაბამისი ღირებულებითი სტანდარტის *ნორმატიულ* მავალდებულობლობას. როცა ქუჩისპირა ნაკვეთის მესაკუთრე თავისი წინაბაღის დაგეგმილი გაჩანაგების გვერდით შედეგებს ევალუაციური გამოთქმების დახმარებით აფასებს, როგორიცაა ვარდის კვლების მშვენიერება, ბაღში მუშაობით თავის შექცევა, სახლის შთამბეჭდავი ფასადი, ტრანსპორტის მოძრაობის აუტანელი ხმაური და გამონაბოლქვის სიმყრალე, იგი ცხადად გადმოგვცემს თავის ინტერესებს, რომლებსაც შელახავს კომუნალური სატრანსპორტო პროექტის განხორციელება. იგი ირჩევს ისეთ ინტერპრეტაციებს, რომლებშიც *სხვა* შეძლებდა თავისივე მოთხოვნილებების ამოცნობას, იგი რომ ქუჩისპირა ნაკვეთის მესაკუთრის მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. მოთხოვნილების მისეული ინტერპრეტაციები საცნაურს ხდიან, თუ რატომ გამოდის მავანი ამგვარ სიტუაციაში ამგვარი პროექტის წინააღმდეგ. მაგრამ გაცხადებული მოთხოვნილება ჯერ ისევ ვერ ამართლებს ამ მოტივით წარმართულ მოქმედებას. მაგ. – ქალაქის მთავრობის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას, დაზარალებულს — როგორც

ჩვენი მაგალითიდან ჩანს – შეუძლია ნათლად წარმოადგინოს თავისი პერსონული ინტერესები და მიუხედავად ამისა მაინც – უკან დაიხიოს მეზობლობის ანდა მოძრაობის მონაწილეთა მრავალრიცხოვანი კრებულის ინტერსთა წინაშე და უარი თქვას მუნიციპალური გეგმის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანაზე. ევალუაციური გამონათქვამები, რომლებსაც მოთხოვნილების ინტერპრეტაციებში ვაწყდებით, საცნაურჰყოფენ განზრახვას, გულისწადილსა თუ გრძნობას, რადგან ისინი ამ მოტივებს ენის თემში გაზიარებულ კულტურულ ღირებულებებს უკავშირებენ; მაგრამ მკაფიო მოტივი ჯერ ისევ არ ნიშნავს შესაბამისად მოტივირებული მოქმედების გამართლებას. მოქმედების გამართლება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ნორმებზე დამყარებით, რომლებიც ადგენენ, რომ ჯერარს, განსაზღვრულ სიტუაციებში უპირატეს პატივს მივაგებდეთ განსაზღვრულ ღირებულებებს.

ღირებულებები მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იძენენ მკაცრად ნორმატიულ მნიშვნელოვნებას, თუ მათ ძალუძთ მოქმედების მოტივთა შეკვრა, როცა ხდება მათი ნორმებში განსხეულება. ხოლო ღირებულებათა განსხეულება ნორმებში იმას ნიშნავს, რომ *ნებისმიერს* ვისაც კი ეხება ამგვარი მიწერილობა, უფლება აქვს, ორიენტაცია აიღოს განსაზღვრულ ღირებულებებზე და თავის ქმედებას დაუსაფუძვლოს ამ ღირებულებებში ინტერპრეტირებული მოთხოვნილებები. ნორმა მნიშვნელობსო იმას ნიშნავს, რომ მას პრეტენზია აქვს, გამოხატოს გასაყოველთაოების უნარმქონე ინტერესები და დაიმსახუროს ყველა ჩარეული პირის დასაბუთებული თანხმობა. კულტურელურ ღირებულებებს არ ძალუძთ per se მნიშვნელოვნების პრეტენზიის წამოყენება, მაგრამ ისინი ნორმებში განსხეულების კანდიდატები არიან. ე.ი. მათ შეუძლიათ განსაზღვრულ სიტუაციებში საყოველთაო სავალდებულობა მოიპოვონ. კულტურელურ ღირებულებათა შუქზე ერთი ინდივიდუმის მოთხოვნილებები ცხადი ხდება სხვა ინდივიდებისათვის, რომლებიც იმავე მემკვიდრეობას განეკუთვნებიან. მაგრამ ცხადად ინტერპრეტირებული მოთხოვნილებები მხოლოდ და მხოლოდ იმის საშუალებით გარდაისახებიან ლეგიტიმური მოქმედების მოტივებად, რომ შესაბამისი ღირებულებები განსაზღვრულ სიტუაციებში განსაზღვრული ჯგუფებისათვის ნორმატიულად სავალდებულო ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფის წევრებს, რომელთათვისაც მნიშვნელობს ამგვარი ნორმა, უფლება აქვთ ერთმანეთის მხრივ მოელოდნენ, რომ თითოეული მათგანი ერთნაირ სიტუაციებში თავიანთი ქმედებისას ერთნაირ ღირებულებებზე იქნება ორიენტირებული.

ისეთი მორალურ-პრაქტიკული ძირეული პრედიკატები როგორიცაა „სწორი“ გინა „მართებული“ და „კარგი“ ამ აზრით დაკავშირებულნი არიან ინტერსუბიექტურად მავალდებულებელი მოქმედების ნორმის ჯერარსულ მნიშვნელოვნებასთან. ნორმის „მნიშვნელოვნება“ ნიშნავს მისი მნიშვნელოვნების პრეტენზიის ძალადაუტანებელ აღიარებას, ეს

კი, თავის მხრივ, მდგომარეობს პრეტენზიაში, რომ ყველას ვისაც ეს ეხება შეუძლია სრული უფლებით დაეთანხმოს ნორმას, რადგან იგი მათს თანაზიარ ინტერესს გამოხატავს: „მორალური“ ჰქვია იმ უსაყოველთაოს ნორმებს, რომლებიც ყველა ადამიანის თანაზიარ ინტერესებს გამოთქვამენ. ამრიგად, მოქმედების რეალურ-პრაქტიკული გამართლების იდეა საბოლოოდ მიუთითებს საყოველთაო თანხმობის იდეაზე, რომელიც მოტივირებულია საბუთებით და მხოლოდ და მხოლოდ საბუთებით: „საქციელთა მწკრივის გამართლებას რომ მოჰყვე ... ეს იმას ნიშნავს, რომ მავანის პუბლიკის წევრებს აქვთ გარკვეული მახასიათებლები, რომლებიც მათს მოსაზრებებს გათვალისწინების ღირსად ხდიან. განსაკუთრებით იგულისხმება, რომ მათ ესმით მავანის წარმოდგენა და უნარი შესწევთ, მას გონიერი კრიტიციზმით უპასუხონ. მაგრამ თავისთავად ეს იმას ნიშნავს, რომ მავანი, თავის მხრივ, ფლობს პრაქტიკული არგუმენტაციის პოტენციალს (სულ მცირეს მაინც). ამის შუქზე რომ შევხედოთ, თუ „რატომ ყალთაბანდობს გონება საყოველთაო ინტერესის სასარგებლოდ“, მაშინ მივხვდებოდით, რომ აბსურდი (ე.ი. უაზრობა) იქნებოდა შეკითხვათა წამოყენება და სხვა ხალხის თვალში ვინმეს საქციელთა დაცვა, თუკი იგი თავის მხრივ მზად არ იქნებოდა მსგავსი პრეტენზიების მსგავსი წონა ეღიარებინა... აზრი არა აქვს მზადყოფნაზე მსჯელობას თუ მავანი არ ითვალისწინებს შეთანხმების ყველა შესაძლო მუხლს და შეუძლებელია ვიქონიოთ შეთანხმების იმედი, თუკი „არგუმენტაცია“ ვინმესკენ თვითნებურად იხრება. საზოგადო მორალურობა ამტკიცო ნიშნავს, იქონიო რაციონალურ არსებათა თანხმობის პრეტენზია. მაგრამ ყველა რაციონალური არსებისათვის ურთიერთმისაღები მხოლოდ ის პრინციპია, რომელსაც მიაჩნია, რომ თავიანთი ინტერესები თანაბრად ღირსია დაკმაყოფილებისა (ამრიგად, უფრო ცოტათი დასაკმაყოფილებლად თვლის ისეთ ინტერესებს, რომლებიც სხვებთან შეუთავსებელია). ამას ყველა დაეთანხმება იმიტომ ყველას ინტერესია დაფასებული“ (ნარვესონი, ციტირებულია ნორმანის მიხედვით, გვ. 48).

ეს მოსაზრებები ნორმებით რეგულირებული ქმედების კონცეპტზე გადასასვლელ ხიდობას სწევენ. ჩვენ შეგვიძლია იგი თანდათანობითი რევიზიის გზით შევიმუშაოთ. თავდაპირველად სუბიექტურობა წაერთმევა მოთხოვნილების იმ ბუნებას, რომელშიც ფესვგადგმულია განწყობილი სუბიექტის ინტენციები: მოთხოვნილებები მუდამ ინტერპრეტაციების ფორმაში გვხვდებიან, რომელთაც დაუწანამძღვრებიათ ა) ენის თემი, ბ) ეკალუაციური გამოთქმების მქონე მემკვიდრეობა. შემდგომში ნაჩვენები იქნება, რომ ეს ღირებულებები წარმოადგენენ ისეთ რაღაცას, რასაც ნორმებში განსხვეულების კანდიდატებს ვუწოდებ. ღირებულებები მხოლოდ მაშინ იძენენ ნორმატიულ სავალდებულობას, როცა ჯგუფის წევრთა შორის არსებობს კონსენსუსი შესაბამის სიტუაციებზე მორ-

გებულ ღირებულებითს ორიენტირებულობათა თაობაზე. მოქმედების ამ მოდელს შეესატყვისება განმარტების ის სტრატეგია, რომელიც მოქმედების საფუძვლებს ქმედების მოტივებად მხოლოდ და მხოლოდ იმდენად დაიმნიშვნელოვნებს, რამდენადაც ისინი მოთხოვნილებების ინტერპრეტაციათა გზით კულტურულ ღირებულებებთან არიან დაკავშირებულნი, ხოლო კულტურელურ ღირებულებათა გზით – ინტერსუბიექტურად აღიარებულ ნორმებთან. განმარტების როლს პირად მოთხოვნილებათა ნაცვლად საჯარო ნორმები ასრულებენ. ამ ნორმებში ინსტიტუციონალიზებულია ღირებულებანი, რომლებზეც ორიენტაციას იღებენ მოქმედი სუბიექტები; სახელდობრ, მნიშვნელად ნორმებს მოქმედების მამოტივირებელი უნარი აქვთ, რადგან მათში განსხვეულებული და ამ გზით კონსენსის უნარმქონე ღირებულებები წარმოადგენენ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც ხდება მოთხოვნილებათა ინტერპრეტირება და ენით გაშუალებულ სწავლების პროცესში – მათი ჩამოყალიბება მოთხოვნილებათა დისპოზიციებად. ასეთია პარსონსის მიერ შემუშავებული მოდელის ძირითადი შტრიხები, რომელიც კონსტრუირებულია ნორმის საფუძველცნებისა და ნორმებთან თანხმობის ირგვლივ.

როგორც თეორიებს ვუკავშირებთ ხოლმე ჭეშმარიტების პრეტენზიას, ასევე ნორმებს სისწორის პრეტენზიას ვურწყამთ. მაგრამ მაშინ როცა თეორიული ჭეშმარიტებანი წინასწარ გულისხმობენ მკვლევართა კომუნიკაციის თემს, ნორმატიულ სისწორეებს უშუალოდ დაწანამძღვრებული აქვთ სოციალური ცხოვრების საშყაროს რეზონანსის მომნიჭებელი ძირი. ნორმები რეგულაციურად ერევიან ენისა და მოქმედების უნარმქონე სუბიექტთა თანაცხოვრებაში; და ნორმატიული მნიშვნელოვნება მოასწავებს, რომ მოქმედების წესები სოციალური ჯგუფის წევრთა მიერ აღიარებული იქნება ინტერსუბიექტურად.

ჯ. ჰ. მიდმა ნორმები მოლოდინთა ტერმინებში გაანალიზა, რომლებიც სხვებს ყოველთვის ეუფლებათ ხოლმე საქციელთა მიმართ. გენერალიზებულს იგი ქცევის ისეთ მოლოდინს უწოდებს, რომლის დროსაც სოციალური ჯგუფის წევრი ყველა დანარჩენისგან მოცემულ სიტუაციებში ერთ გარკვეულ საქციელს მოელის. S იქცევა ნორმის შესატყვისად ანდა S, რაკი იგი მოქმედებს, მნიშვნელად ნორმას ასრულებს, როცა თავის ქმედებას სიტუაციისთვის სპეციფიკურ მოლოდინებზე მიმართავს, რომლებზეც მისი სოციალური ჯგუფის სხვა წევრებიც უფლებამოსილნი არიან „...იმისათვის, რომ მავანი მოიქცეს „როგორც თემის წევრი" შესრულებული უნდა იქნეს შემდეგი პირობები: *ჯერ ერთ*, მას უნდა ჰქონდეს პრაქტიკული ცოდნა იმ ხერხისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს; ამრიგად, მას უნდა ჰქონდეს უნარი იმის გაგებისა, შესატყვისია თუ არა მისი საქციელი. *მეორე*, მოქმედ პირს გათავისებული უნდა ჰქონდეს და მან უნდა იცოდეს, რომ თემის სხვა წევრებსაც აქვთ პრაქტიკული ცოდნა იმ მანერის თაობაზე როგორაც ისინი უნდა მოიქცნენ.

მესამე, მოქმედმა პირმა იცის, რომ თემის სხვა წევრებიც მისებრ ირწმუნებენ, რომ თითოეულს, ვისაც კი ისინი თავიანთი თემის წევრად ღებულობენ, მსგავსი ცოდნა ექნება. მოკლედ, ჩვენ გვაქვს თემი, რომლის თითოეული წევრი მიიჩნევს, რომ იცის თუ როგორ უნდა მოიქცეს და სჯერა, რომ ყველა დანარჩენ წევრს ამნაირი ცოდნა აქვს"[1].

ამ ფორმულირებაში გამოთქმა „ჯერარსი"-ს გამოყენების გზით გაუქმებულია ის ორმნიშვნელოვნება, რომელიც ჯერ ისევ აკრავს გამოთქმას „ქცევის მოლოდინი" მიდისეულ ფორმულირებებში. თუ ჩვენ „ქცევის მოლოდინს" სრულიად კოგნიტივისტური მნიშვნელობით იმ პროგნოზად გავიგებთ, რომელსაც S_2 ადგენს S_1-ის ქცევაზე, მაშინ ნორმა არ წარმოდგება ჯგუფში შემავალთა შორის ცარიელა გენერალიზების გზით. ამ აზრით გაგებული ქცევის გენერალიზებიდან მაგალითად ის გამოვიდოდა, რომ S_1 იცის S_2 მოცემულ სიტუაციაში მოელის, რომ S_1 განსაზღვრულად იქცევა და როცა ჯგუფში რომელიმე სხვა შემავალმა S_n-მა იც ,ს, რომ S_1-მა ეს იცის, მაშინ ისიც მოელის, რომ S_1 S_2-ის მოლოდინს აასრულებს. მაგრამ მაშინ „გენერალიზებული ქცევის მოლოდინი" „აქცეპტირებული ყოველდღიურობის თეორიის" (იარვის მიერ ნათელყოფილი აზრით) სხვა სახელწოდება იქნებოდა და მეტი არაფერი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქცევის მოლოდინში არ არის ჩადებული მარტო მაპროგნოზირებელი საზრისი, არამედ მასში დევს ნორმატიული საზრისიც, რომ სოციალურ ჯგუფში შემავალნი განსაზღვრულ ქცევის მოლოდინებზე ურთიერთმხრივ *უფლებამოსილნი* არიან.

მაგრამ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ განსაზღვრულ მოლოდინებზე უფლებამოსილებას თეორიებიც გვანიჭებენ, როცა ისინი ჭეშმარიტნი არიან და როცა განსაზღვრულ პროგნოზზე უფლებამოსილება ეყრდნობა ემპირული გამონათქვამების ჭეშმარიტებას, მაშინ როცა მოლოდინი იმისა, რომ S ნორმას იცავსო მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა S შედის იმ სოციალურ ჯგუფში, რომელშიც ეს ნორმაა (როგორც საყოველთაო ინტერესის გამოხატვა) აღიარებული. უფლებამოსილების სახეობა სხვადასხვაა იმისდა მიხედვით თუ მნიშვნელოვნების პრეტენზიის რომელ კატეგორიასთან გვაქვს საქმე, რომელიც შეიძლება წამოყენებული იქნას გენერალიზებული ქცევის მოლოდინისათვის. ნორმათა შემადგენელ ნაწილად როცა იქცევიან ღირებულებები ისევე კარგავენ თავიანთს პარტიკულარულ ხასიათს, როგორც შეხედულებები — როცა მათი თეორიული გამონათქვამების რანგში აყვანა ხდება. მაგრამ ნორმათა საყოველთაობა ემყარება მათში გამოხატულ ინტერესთა გასაზოგადოების უნარმქონეობას. ნორმის ჯერარსულ ღირებულებაში წინა პლანზე გამოდის მისი მოთხოვნილების ბუნებასთან მიმართება, მაშინ როცა ამგვარი რამ არ აქვს თეორიის ჭეშმარიტების მნიშვნელოვნებას. თეორია გვანიჭებს იმ მოლოდინის უფლებამოსილებას, რომ თუ განსაზ-

[1] Shwayder (1965),254ſ.

ღვრული გვერდითი პირობები შესრულდება, მაშინ მოხდება განსაზღვრული ხდომილება; ნორმა კი ისეთი მოლოდინის უფლებამოსილებას გვანიჭებს, რომ S განსაზღვრულ სიტუაციებში განსაზღვრულნაირად მოიქცევა, თუ გამართლებულია დაშვება იმისა, რომ S აღიარებს ამ ნორმას და თავის ქმედებისას მასში განსხეულებულ ღირებულებებს შეესწორება.

4. ენა

ინტენციური და ნორმებით რეგულირებული ქმედების ორივე მოდელის სოციოლოგიური გამოყენებისას ჩვენ არაპრობლემატიკურად წინასწარ გვაქვს დაშვებული ენის კომუნიკაციის მედიუმი, რომელიც მოქმედების სუბიექტებს ერთმანეთთან აკავშირებს. თუ წესები მნიშვნელობის კონვენციებადაა გაგებული, მაშინ შესაძლებელია ენობრივ სიმბოლოთა გამოყენება წესისმიყოლის შემოტანილი კონცეპტის დახმარებით განიმარტოს. მაგრამ სიტყვათხმარების წესის ეს მოდელი ურთიერთდაპირისპირებული პერსპექტივებიდან აღიქმება იმისდა მიხედვით, კომუნიკაციაში მონაწილეობა უფრორე ინტენციურ მოქმედებად წარმოუდგენიათ თუ ნორმის შესრულებად. ერთ შემთხვევაში ენა გაგებული იქნება იმ მედიუმად, რომელშიც აქტორი თავის შეხედულებებსა და განწყობებს გამოხატავს და რომლის საშუალებითაც იგი თავის ინტენციათა ინფორმაციულ შინაარსს გადმოსცემს, რაკი ენობრივი საშუალებებით ამეცნებინებს სხვა აქტორს, თუ რას გულისხმობს თუ ესწრაფვის. ენა არსებითად წარმოიდგინება *როგორც ინტენციურ განცდათა გადაცემის მედიუმი.*[1] მეორე შემთხვევაში ენა გაგებულია იმ მედიუმად, რომლითაც სოციალურ ჯგუფში შემავალთა შორის თანაზიარი კულტურელური ღირებულებებისა და ნორმების შუქზე უზრუნველყოფა კონსენსუსი საყოველთაო სიტუაციურ მნიშვნელობათა თაობაზე. სიმბოლური სისტემის ერთობლივი ფლობა ნიშნავს იმას, რომ მოქმედი სუბიექტები განეკუთვნებიან ინტერსუბიექტურად მავალდებულებელ ცხოვრების წესს. ამ შემთხვევაში ენა არსობრივად წარმოდგენილია როგორც *ერთსადაიმავ კულტურაში მონაწილეობის მედიუმი.* ამასთანავე, თანაზიარობა უზრუნველყოფილია არა მხოლოდ და მხოლოდ ერთი და იმავე სიტყვათხმარების, არამედ ყოელის უწინარეს, ერთი და იმავე ღირებულებების აღიარების გზით.

ერთ შემთხვევაში ინტენციურად მოქმედი სუბიექტები მოგვიანებით ამყარებენ ერთმანეთთან კომუნიკაციურ მიმართებას; ენის ამ მოდელში ურთიერთგაგების პროცესის ნორმატიულ შინაარსთან ერთად უჩინარ-

---

[1] იხ. ქვემოთ შენიშვნები ინტენციონალისტური სემანტიკის კრიტიკისათვის.

დება ის რეალობა, რომელიც აკონსტიტუირებს ურთიერთმხრივ წამოყენებულ უნივერსალურ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ინტერსუბიექტურ აღიარებას. მეორე შემთხვევაში თანამონაწილეთა სუბიექტურობა ობიექტურად წინასწარმოცემული კულტურის ენობრივი მსოფლხატის თაობაზე ნორმატიულ კონსენსში ინთქმება; ენის ამ მოდელში ადგილი აღარ რჩება თავისი ცხოვრების სამყაროს ღირებულებებსა და ნორმებთან მიმართებაში ცალკეული ინდივიდის ინტერაქციის კომპეტენციისათვის. ამ პუნქტიდან იწყება კრიტიკა.

მოქმედების ნორმატივისტული მოდელი ენას იმ მედიუმად განსაზღვრავს, რომელშიც ღირებულებათა კონსენსის გათამაშება და კვლავწარმოება ხდება. ამ ვარაუდს ემყარება კონვენციური როლთა თეორია, რომელსაც აწი განვიხილავ. ამ ჯერზე მხოლოდ იმის მოხსენიება მინდა, რომ თეორიის კრიტიკამ ყოვლის უწინარეს შეიმუშავა აქტორის კონსტრუქციული ღვაწვანი. ჩვენ არც იმის უფლება გვაქვს იქიდან ამოვიდეთ, რომ მოქმედების მოტივები უბრალოდ შესატყვისობაში არიან როლებში ინსტიტუციონალიზებულ ღირებულებებთან და არც – იმის დაშვებისა, რომ მონაწილეების სიტუაციათა განმარტებანი და მოქმედების ორიენტირებულობანი მხოლოდ ნორმატიულად წარიმართება და ჰარმონიულად დაექვემდებარება როლებს. პირიქით, ცალკეულ ინტერაქციათა მწკრივებში შესაბამისად გამიზნული ურთიერთგაგება ურთიერთგაგების პროცესის რეზულტატია, რომელსაც თანამონაწილე სუბიექტები ერთი კონტექსტის შიგნით ესწრაფვიან, რომლის დაუფლება ცალ-ცალკე მათს ძალებს აღემატება, მაგრამ იმავე რეზულტატის მიღწევა იმავე კონტექსტში საერთო ძალისხმევით მათ ძალუძთ. თანამონაწილენი ერთმანეთის მოლოდინებს ურთიერთშორის კოორდინაციას უწევენ იმით, რომ გეზს ინსტიტუციონალიზებულ ღირებულებებზე იღებენ; მაგრამ სოციალური როლები წარმოადგენენ იდეალიზირებებს, რომლებიც სიტუაციების საერთო დეფინიციათა გზამკვლევად გამოდგებიან. როლის აღების პროცესი წარმოადგენს ინტერპრეტაციის პროცესს, რომელიც დამოკიდებულია კონტექსტზე, იგი ორმხრივი პროცესია და გამიზნულია ურთიერთგაგებაზე; ეს პროცესი, ერთი მხრივ, გამოყენებისა და ჩამოყალიბების მისეულ გზაზე, თვითონ ავითარებს ღირებულებათა და ნორმების ყოველთვის უკვე არსებულ ტრადიციას, მეორე მხრივ კი თავად მას ეს ტრადიცია განსაზღვრავს.

ინტენცია არის *კომუნიკაციური ქმედების* მოდელის საფუძველცნება, რომელსაც ინეტენციონალური და ნორმებით რეგულირებული ქმედების დამატებით სისუსტეთა გამოსწორება და ენობრივი კომუნიკაციის კონსტიტუციური მნიშვნელობისათვის ანგარიშის გაწევა მართებს. ინტერპრეტაციის საფუძველცნება ცხადყოფს იმას, რომ კომუნიკაციური ქმედების მოდელი, მართალია, ხაზს უსვამს ინტერაქციის მონაწილის კონ-

სტრუქციულ ღვაწვებს, მაგრამ იგი არ დაიყვანება სუბიექტივისტურ პოზიციაზე: ინტენციურად მოქმედი მოგვიანებით როდი აბამს კომუნიკაციურ ურთიერთობებს, რათა თავისი თავიდან ამოქსელოს ინტერსუბიექტური სამყარო. კომუნიკაციური ქმედება, პირიქით, წინასწარგულისხმობს როგორც საზოგადოების ნორმატიულ რაობას, ისე – თვითონ მოქმედის ობიექტივირებად სინამდვილესა და სუბიექტურობას. რადგან ინტერპრეტაცია მოდებულია კონტექსტზე, რომელშიც ურთიერთჩაქსოვილია შემდეგი სამი ელემენტი: ნორმები და ღირებულებანი, ობიექტები, საქმის ვითარებანი და ინტენციური განცდები.

მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ინტერპრეტაციის ცნებამ გაუგებრობა გამოიწვიოს, აქაოდა კომუნიკაციურად მოქმედის ღვაწვა თავდაპირველად შემმეცნებელი სუბიექტისა არისო, რომელიც ჯერ სიტუაციას განმარტავს და მერეღა ეწევა ამ ინტერპრეტაციის სოციალურ ხორცშესხმასო. შესაძლებელია ამ გაუგებრობის თავიდან აცილება, თუ ჩვენ ა) კომუნიკაციური ქმედების ცნებას იმ პირობასთან დავაკავშირებთ, რომ თანამონაწილე სუბიექტები შედეგზე კი არ განეწყობიან, არამედ – ურთიერთგაგებაზე და თუ ჩვენ ბ) ურთიერთგაგებას არა მხოლოდ ჭეშმარიტების პრეტენზიის საშუალებით მივუერთებთ კონსენსს, არამედ – გულწრფელობისა და სისწორის პრეტენზიათა საშუალებითაც. მაგრამ სწორედ ამ შემთხვევაში ურთიერთშორის დაკავშირებული ინტერპრეტაციების პროცესი შესაბამისად მოცემული ცალკე კონტექსტის გვერდით პირობებს კი არ ექვემდებარება, არამედ – ექვემდებარება ერთობ პრეტენზიულ წინასწარდაშვებას, რომ *კონსენსის მიღწევა* შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ *უნივერსალურ პრეტენზიათა ერთობლივი აღიარების გზით.* და რადგან მნიშვნელოვნების პრეტენზიებში ისევე შედიან ნორმატიული სისწორე და გულწრფელობა, როგორც პროპოზიციური ჭეშმარიტება, ამიტომ ინტერპრეტაცია (მასში როგორც ურთიერთგაგების პროცესში განმარტებული კომუნიკაციური ქმედება) ნიშნავს სიტუაციის განსაზღვრების თაობაზე შეთანხმების ძიებას, რომელიც მიმართებაშია როგორც იმასთან, რაც ერთობლივადაა შერაცხული საზოგადოების ნორმატიულ რეალობად; ხოლო თანამონაწილის გამომჟღავნებულ სუბიექტურობად ურთიერთმხრივაა აღიარებული; იგი ასევე მიმართებაშია ობიექტივირებული რეალობის თაობაზე მიღებულ შეხედულებებთან.

7. ინტენციონალისტური სემანტიკა (1975/76)

ენობრივი კომუნიკაცია მიმდინარეობს იდენტურ მნიშვნელობებში, მნიშვნელობის იდენტობა მნიშვნელობის განსჯილი მუდმივაა და არა აღქმული: არა მარტო ის არის აუცილებელი, რომ სხვადასხვა მოსარგებლე ობიექტურად ეთანხმებოდეს ერთმანეთს ერთი და იმავე სიმბოლოს ერთნაირი გამოყენების თაობაზე, არამედ ისიც აუცილებელია, რომ მათ უწყოდნენ ამ ურთიერთთანხმობის შესახებ. მნიშვნელობის იდენტობა უზრუნველიყოფა მნიშვნელობის შესაბამისი კონვენციის ინტერსუბიექტურობის მეშვეობით. ინტერსუბიექტური მნიშვნელობების საზრისს ჩვენ თავიდან ინტერაქციით გაშუალებული სიმბოლოს მაგალითზე ვიკვლევთ და რეფლექსურ მოლოდინთა ურთიერთმხრიობის ტერმინებში ვაანალიზებთ. მნიშვნელობაიდენტურ ნიშანთა გამოყენების რაციონალურ კვალადკონსტრუქციას, რომელსაც კომუნიკაციის განზრახვით ვაკეთებთ, მივყავართ სიმბოლოთა ინტერსუბიექურობის საფუძველცნებამდე; მაგრამ ჯერ ისევ ვერ გაგვირკვეია, რომელია „უფრო ადრეული" კომუნიკაციურად გამოყენებულ სიმბოლოთა მნიშვნელობა თუ კომუნიკაციის თანამონაწილის მოლოდინები. ინტენცია და მნიშვნელობა თანაბარძირეულნი არიან. გენეტიკურად მიმართული ანალიზისათვის არ არის პერსპექტიული იმისთვის შემოიტანონ პრიმიტიულ ცნებად ინტენცია იქნება თუ მნიშვნელობა, რათა მერე მათგან გამოიყვანონ სხვა ცნება, მნიშვნელობა გინა ინტენცია. ამის ნაცვლად გვეძლევა სტრატეგია, რეფლექსირებული მოლაპარაკის ინტენციებისა და ინტერაქციის გაშუალებულ სიმბოლოთა გაანალიზებული კავშირ-მიმართება დავახასიათოთ როგორც შედარებით მარტივი სიგნალენობრივი კომუნიკაციის საფეხური და იგი *კომუნიკაციის საფეხურთა ევოლუციონერულ თანამიმდევრობაში* ჩავრთოთ. ამასთანავე ჩვენ წინაშე დადგებოდა ამოცანა, რომ ერთი მხრივ, სიმბოლურად გაშუალებული ინტერაქციის საფეხური კოორდინირებული, გაღიზიანებით სტიმულირებული ნიმუშის კვალად ინტერაქციის უფრო მარტივი საფეხურით შეგვევსო, ხოლო მეორე მხრივ, ენობრივი კომუნიკაციის უფრო დიფერენცირებული საფეხურით განგვესრულებინა. ინტენცია და მნიშვნელობა თითოეულ ამ საფეხურზე კოვარიანტულად იცვლის სტრუქტურას. მაგრამ საკმარისი არ არის კომუნიკაციის თითოეული საფეხურის ფორმალური დახასიათება; გარდა ამისა, აუცილებელია დაშვებები ემპირული მექანიზმის გათვალისწინებით, რომელთა დახმარებით შევძლებდით ერთი საფეხურიდან შემდგომზე ევოლუციონერული გადასვლის განმარტებას. ამ გზას ადგას მიდი. მაგრამ ვიდრე მის გარჩევას შეუდგებოდე მინდა

გრაისის ალტერნატიული შემოთავაზება განვიხილო, რომელსაც უნდოდა სიმბოლურ გამოსახულებათა მნიშვნელობა მოლაპარაკის ინტენციებით აეხსნა.

სტატიაში,[1] რომელიც ჯერ კიდევ 1957 წელს გამოაქვეყნა და რომელიც იმ დისკუსიის საგნად იქცა, დღესაც რომ განაგრძობენ[2], გრაისმა შეიმუშავა „ნორმალისტური მნიშვნელობის თეორიის" მიზანი და ძირითადი ვარაუდები.[3] გრაისი თავდაპირველად ერთმანეთისგან განარჩევს „ბუნებრივსა" („natural") და არაბუნებრივ მნიშვნელობას" („nonnatural meaning"); ბუნებრივი მნიშვნელობის მქონეა ის, რაც შეიძლება, რაღაცის „ძომასწავლებლად" მივიღოთ (მაგ. კანზე წითელი მუწუკი – წითელას სიმპტომად); სიმბოლურ გამოხატულებებს, პირიქით, არაბუნებრივი მნიშვნელობა აქვთ. მნიშვნელობის თეორიის ამოცანაა სწორედ ამგვარი არაბუნებრივი სიმბოლური მნიშვნელობის განმარტება. და მერე ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ „x" სიმბოლური გამოსახულების მნიშვნელობა და იმ ინტენციის მნიშვნელობა, რომელიც აქვს სუბიექტს როცა „x" სიმბოლურ გამოსახულებას გამოთქვამს. ამ აზრით შიფერი ერთმანეთისგან მიჯნავს „x-მნიშვნელობასა" და „S-მნიშვნელობას". მაშასადამე მნიშვნელობის თეორია ორ საკითხს ეხება: რა არის „x" სიმბოლური გამოსახულების მნიშვნელობა, რომელსაც A,B,C,... იყენებენ თავიანთს გამოთქმებში? და მეორე: რას გულისხმობენ A,B,C,... როცა „x"-ს იყენებენ თავიანთს n,r,q... გამოთქმებში? შემდეგ გრაისი ეხება მუდმივ მნიშვნელობასა („timeless meaning") და „შემთხვევითს მნიშვნელობას" („occasional meaning"). გამოსახულების მნიშვნელობა შეიძლება იმგვარად იქნას კონვენციონალურად დადგენილი, რომ იგი – იმ შემთხვევაში თუ დაცული იქნება მისი გამოყენების წესები ნებისმიერი თანამონაწილისათვის ნებისმიერ კონტექსტში ერთსადაიმავე მნიშვნელობას შეინარჩუნებს; სხვა გამოსახულებებმა განსაზღვრულ კონტექსტებში განსაზღვრული თანამონაწილისთვის შეიძლება განსაკურთებული მნიშვნელობა შეიძინოს. ამრიგად. გრაისს იმის დასაბუთება უნდა, რომ სიმბოლური გამოსახულების კონვენციური მნიშვნელობა (მუდმივი x-მნიშვნელობა) დაიყვანება მოლაპარაკის ინტენციაზე მოდებული „x"-ის გამოთქმის (შემთხვევითი S- მნიშვნელობა) არაკონვენციონელურ მნიშვნელობაზე.

---

[1] H.P. Grice, Meaning, Philos. Rev. 66, 1957, 377-388.

[2] შეადარ. ამავე დროს: G. Meggle (hs.), Handlung, Kommunikation, Bedeutung, Ffm. 1979.

[3] Bennett, The Meaning Nominalist Strategy, Foundations of Language, 10, 1973, 141-168.

ეს არის იმ თეზის დაზუსტებული გაგება, რომ მნიშვნელობის კონვენცია მოლაპარაკის ინტენციაზე დაიყვანება; ამასთანავე „დაყვანა" თავდაპირველად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კონვენციური ანალიზის თვალსაზრისით მოლაპარაკის ინტენცია უფრო საფუძველმდებლურია, ვიდრე სუბიექტის მიერ გამოყენებული სიმბოლური გამოსახულების მნიშვნელობა; ზოგჯერ ამას უკავშირდება ხოლმე განუწყვეტელი პრეტენზია, რომ გენეტიკური ანალიზის თვალსაზრისით ენობრივ კომუნიკაციას დაწანამძღვრებული უნდა ჰქონდეს ინტენციათა ქონის უნარი, რათა შესაძლებელი გახდეს წესის დაცვის, განსაკუთრებით კი ენობრივ კონვენციათა დაცვის კომპეტენციის მოპოვება. მაშინ უნდა დაეუშვათ, რომ (ა) იმ „პრიორიტეტის" შესახებ მტკიცებებიდან, რომელიც აქვს რაციონალურ" კვალადკონსტრუქციის აზრით გაგებულ მოქმედების ხერხს, გამომდინარეობს (ბ) პრიორიტეტი გაგებული განვითარების ემპირულ თეორიათა აზრით. თავდაპირველად მე მინდა ჩამოვთვალო ის წანამძღვრები, რომლებსაც გულისხმობს პრიორიტეტთა (ა) დაშვება.

გრაისს შემოაქვს ისეთი ინტენციური ცნებები როგორიცაა „წინასწარ დაუშვათ, რომ ... ", „ვირწმუნოთ, რომ ... " სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი უშვებს ინტენციებს და აკეთებს საინტერესო ვარაუდს, რომ პოტენციელური მოლაპარაკე, ვიდრე იგი სხვა სუბიექტთან რომელიმე სიმბოლურად გაშუალებულ ინტერაქციაში შეეიდოდეს

– ფლობს ინტენციებს, რომელთა შინაარსი შეიძლება ინვარიანტულად ჩაითვალოს მიუხედავად ცოდნის, რწმენის, მოლოდინის, წადილის, სურვილის და ა.შ. ცვალებადი აქტებისა,

– დასკვნა გამოტანით აზროვნებს და ფიქრისა თუ მოქმედების ბიძგს ხაამისო მიზეზებიდან იღებს,

– მხოლოდ თავისთვის იყენებს x -ს მუდმივ მნიშვნელოვნად.

ამ წანამძღვრებიდან გამომდინარე ძალუძს გრაისს გამოწელილვით გაარჩიოს ინტენციის მნიშვნელობის ის პრობლემები, რომელსაც მოლაპარაკე „x" გამოთქმას უკავშირებს: „S „x"-ში (დაახლოებით) რაღაცას გულისხმობდაო არის ეკვივალენტი შემდეგი ვითარებისა: S-ს განზრახული ჰქონდა „x"-ის გამოთქმა, რათა ზეგავლენა მოეხდინა პუბლიკაზე ამ ინტენციაში გამოტყდომის გზით". მოლაპარაკის ინტენციის გრაისისეული მოდელის მახვილგონიერება იმაშია, რომ ის რაც „ჩაფიქრებულია" იმით კი არ განისაზღვრება, რაც ითქმება, არამედ -- „x"-ის ღირებულებით. გამოთქმის მნიშვნელობის შინაარსი, რისთვისაც S მოლაპარაკე „x" გამოსახულებას იყენებს, ერთთავად განსაზღვრულია იმ ინტენციებით, რითაც S „x" გამოსახულებას გამოხატავს; მაგრამ ამასთანავე S-სთვის თითოეული ის ღირებულება, რომლითც შეიძლება „x"-მა მიიღოს, ერთნაირად სათანადო არ იქნება, რათა მან თავისი ინტენციები გამოხატოს. შიფერი გრაისისეულ მოდელს თავდაპირველად შემდეგნაირად წარმოადგენს:

„x-ის გამოთქმისას (ანდა გამოთქმაში) S რაღაცას გულისხმობდა თუ S x-ს გამოთქვამდა იმ განზრახვით

(1) რომ x-ის გამონათქვამმა გამოიწვიოს გარკვეული r პასუხი A გარკვეულ სიტუაციაში;

(2) რომ A აღიარებს S-ის ინტენციას (1);

(3) რომ A-ს მიერ S-ის ინტენციის (1) გამოცნობამ უნდა იფუნქციოს, სულ ცოტა, როგორც ნაწილმა A-ს მიზეზისა, რამაც A-ს r პასუხი გამოიწვია".[1]

მოლაპარაკის მიერ წინასწარგანზრახული ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ x მსმენელს საშუალებას მისცემს, გამოიცნოს მოლაპარაკის ინტენცია და (სულ ცოტა ნაწილობრივ მაინც) იგი მიიღოს საფუძვლად, რათა მან

– იფიქროს, რომ S განსაზღვრულ რაღაცას გულისხმობს, ანდა

– იმით, რომ განსაზღვრულ რაღაცას გულისხმობს, განსაზღვრული რაღაცის ქნა განუზრახავს.

ამრიგად „r" ეფექტი, რომელსაც H-ში იწვევს არის განსაზღვრული ფიქრი გინა განზრახვა განსაზღვრული მოქმედების შესრულებისა.

თუ ერთმანეთს შევუდარებთ მნიშვნელობის გრაისისეულ მოდელსა[2] და ჩემს მოდელს, რომელიც მე ვიტგენშტაინსა და მიდზე დაყრდნობით შევიმუშავე, მაშინ ცხადი შეიქნება შემდეგი განსხვავებანი:

(ა) ინტენციური მოდელი ემყარება ენობრივი ურთიერთგაგების საწყისს, ინტერაქციონისტური კი – სიმბოლურად გაშუალებული ინტერაქციისას. გრაისი იმთავითვე ითვალისწინებს პროპოზიციურ შინაარსსა და (სულ ცოტა ორი კლასის) მეტყველებამოქმედებას (კერძოდ შეტყობინებებსა და გამოწვევებს) შორის დიფერენცირებას, მაშინ როცა მიდი ქცევის ორმხრივი მოლოდინებისათვის ჯერ კიდევ არ იღებს მხედველობაში შინაარსსა და მიმართების ასპექტს შორის დიფერენცირებას.

(ბ) ინტენციონალისტური მოდელი ანგარიშს უწევს მარტივსა და წინარეენობრივ ინტენციებს, მაშინ როცა მიდი უკვე პროპოზიციურად გათვითმყოფებული მეტყველების სიბრტყის ქვედა დონეზე კომუნიკაციისათვის უშვებს, რომ თითეული ინტენცია ყოველთვის მიმართული გინა რეფლექსირებული უნდა იყოს, სულ ცოტა, ორი მომდევნო სუბიექტის ინტენციებზე; კერძოდ ისე, რომ რეფლექსური ქცევის მოლოდინი კომუნიკაციურად გამოყენებულ სიმბოლოში გამოიხატოს.

---

[1] St. R. Schiffer, Meaning, Oxfod 1972, 11.

[2] იხ. ამაევ დროს: J. Habermas, Theorie des kommunikativen Handelns, Ffm. 1981, Bd. II, 11-68.

(გ) ინტენციონალისტური მოდელი უშვებს, რომ პროპოზიციურად გათვითმყოფებული (ა) და წინარეენობრივი (ბ) ინტენციების განკარგულებაში ქონა საკმარისია, რათა სუბიექტმა სხვა რომელიმე სუბიექტთან შეხების გარეშე. ე.ი. მარტო თავისთვის შეიძლოს სიმბოლოს მნიშვნელობაუცვლელი გამოყენება, მაშინ როცა ჩვენ ვიტგენშტაინს მივყვებით და მნიშვნელობის მუდმივა ინტერსუბიექტურად შესრულებული წესების ინტერსუბიექტურ მნიშვნელოვნებაზე დაგვყავს.

(დ) ინტენციონალისტური მოდელი მოითხოვს რეკონსტრუქციულ განმარტებას იმისას, თუ როგორ არის შესაძლებელი, რომ ორი განსაზღვრული სუბიექტის შემთხვევით კონტექსტში ანდეზე განხორციელებული მნიშვნელობის წესმნიშვნელობად კონვენციონალიზება მოხდეს. გრაისისეულ მოდელში როდია თავისთავად ცხადი ის, თუ როგორ ხდება გადასვლა მნიშვნელობიდან, რომელიც თავდაპირველად ანდეზე მნიშვნელობს მხოლოდ ორი მონაწილისათვის, ისეთ მნიშვნელობაზე, რომლით სარგებლობა ინტერსუბიექტურად მნიშვნელადი წესის მიხედვით შეეძლება ერთი ენითი თემის თითოეულ წევრს. ინტრაქციონისტური მოდელი, პირიქით, ამოდის A და B სუბიექტისთვის ინტერსუბიექტურად მნიშვნელადი ქცევის მოლოდინიდან, MW_{A+B} -დან, ისე რომ შესაბამისი წესის მნიშვნელობის სფეროს განვრცობა $O_{(A+B)}$ ენითი თემის წევრებზე, ე.ი. ქცევის მოლოდინის გენერალიზება შეიძლება მოხდეს *ერთსა და იმავე* პირობებში, რომელ პირობებშიც უკვე წარმოქმნილია ის კერძო ქცევის მოლოდინი.

ამავე დროს (დ) პუნქტში ჩამოყალიბებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ბენეტისა და შიფერის მიერ. ორივენი ღებულობენ ლევისის შემოთავაზებას[1] *მოქმედების* კონვენციათა შესაძლო განხორციელების თამაშის თეორიული რეკონსტრუქციის თაობაზე და გადააქვთ იგი ინტენციურ მოქმედებათა სფეროდან კომუნიკაციურ გამოთქმათა წრეზე. მაგრამ რადგან თამაშის თეორიის კატეგორიალური ჩარჩოები თითოეული მონაწილისათვის წინასწარ გულისხმობს სტრატეგიულად მოქმედების უნარს, ამიტომ ბენეტი და შიფერი ურიგდებიან იმას, რომ მათ პოტენციალური მოლაპარაკე *ყოველი კომუნიკაციის უწინ* შესაბამისი კომპეტენციებით უნდა აღჭურვონ.

(ა) და (ბ) პუნქტებში დასახელებული ალტერნატივები გვიჩვენებს, რომ ინტენციური მოდელი ისეთ წანამძღვრებებს უშვებს, რომლებიც ხელსაყრელნი არიან გენეტიკური თვალსაზრისებით. სადღეისოდ ჩვენ ხელთ არსებული ემპირული ევიდენტობიდან წარმოუდგენელია, რომ ფილოგენეზში ისეთი რამ მოხდეს, რის შესახებ ოდნავ მინიშნებასაც კი არ იძლევა ონტოგენეზი: სახელდობრ, ჩამოყალიბდეს ფორმალურ-ოპერაციონალური ინტელექტი, რომელიც სრულიად დამოუკიდებული იქნებოდა დაუფლებისაგან.

---

[1] D. Lewis, Convention, Cambr., Mass. 1969.

მაგრამ ახლა მე არ მინდა გამოწვლილვით განვიხილო იმ მტკიცების ემპირული იმპლიკატი, რომ ინტენცია მნიშვნელობის წინაშე პრიორიტეტით სარგებლობს. ამის ნაცვლად მე ორ შესიტყვებას იმ მიზნით გავარჩევ, რათა დავასაბუთო, რომ გრაისისეული რეკონსტრუქცია არ არის დამაჯერებელი.

პირველი შესიტყვება დაიყვანება იმაზე, რომ გრაისი *რამდენადმე სხვაგვარ* რეკონსტრუირებას ეწევა, ვიდრე როგორ რეკონსტრუირებასაც იგი ესწრაფვის: იგი გამოთქმის მნიშვნელობის რეკონსტრუირებას კი არ ახდენს, რომლითაც ნორმალურ შემთხვევაში მოლაპარაკე და მსმენელი რაღაცის თაობაზე პირდაპირ უთანხმდებიან ერთმანეთს, არამედ იგი ეწევა იმ გამოთქმის რეკონსტრუირებას, რომელიც ურთიერთგაგების შეუძლებლობის უკიდურეს პირობებში საიმისოდ გამოდგება, რომ H-ს საშუალება მისცეს, გარკვეული რაღაც იფიქროს ანდა განიზრახოს ე.ი. დასკვნის საშუალებით რაღაც არაპირდაპირი გზით გაიგოს. გრაისი ეწევა იმ არაჩვეულებრივი შემთხვევის რეკონსტრუირებას, რომელშიც სტრატეგიული ქცევა აუცილებელია ენობრივი კომუნიკაციის ფუნქციურ ეკვივალენტად გამოდგეს.

მინდა განვიხილო (გამოყენებული, აგრეთვე, სერლის მიერ) მისალმებისა და სალამმიცემულობის მაგალითი. ავიღოთ შემთხვევა, S-ს უნდა A-ს აგრძნობინოს, რომ სურს მასთან ურთიერთობის გაწყვეტა ისე, რომ S არ ირჩევს (გარკვეულწილად თავისთავში წინააღმდეგობრივ) გზას, A-სთან ინტერპერსონული მიმართების დამყარებისა იმის *სათქმელად*, რომ მასთან ურთიერთობის გაწყვეტა სურს. მაგრამ S-ს, სხვათა შორის, ეძლევა შესაძლებლობა სიტუაცია, რომელშიც A მოელის, რომ მას S გამარჯობას ეტყვის საიმისოდ გამოიყენოს, რათა მას *გადაკვრით აგრძნობინოს*, რომ სურს A-სთან ურთიერობის გაწყვეტა. მაშინ S-მა A-ს უბრალოდ კი არ უნდა დაუკავოს სალამი, რომელსაც A მოელის, არამედ მან ამგვარ დაკავებას უნდა მიუერთოს ინტენცია, რომ A-მ ეს დაკავება გაიგოს როგორც S-ის მიერ წინასწარგანზრახული და უნდა შეეძლოს ეს ინტენციის გაგება მიიღოს როგორც საიმისო საფუძველი, რათა მომავალში აღარ ჩათვალოს, რომ S და A სალმით ნაცნობები არიან (რომ ერთმანეთთან აუმღვრეველ ურთიერთობებს ინარჩუნებენ). ამ შემთხვევაში S-მა უნდა შექმნას „x" გამოთქმა, რომელიც იმ თვისებისაა, რომ A მას ვერ შეიტანს ნორმალურ ნიშანთვისებად ქცევის ისეთი მწკრივის სახეობაში როგორიცაა „S-ს დაავიწყდა სალმის მიცემა", არამედ, პირიქით, აქედან უნდა გააკეთოს დასკვნა, რომ „S მას განზრახ არ მიესალმა." ამით S შეასრულებდა გრაისისეულ მოდელს: იგი გამოთქვამს „x"-სს იმ განზრახვით, (1) რომ A-მ შეიძლოს S-სა და

A-ს შორის ურთიერთობის გაწყვეტილად მიჩნევა, (2) რომ A-მ გამოიცნოს მისი განზრახვა (1) და (3) რომ ეს გარემოება A-ს მიერ მიღებული იქნას საფუძვლად, რათა მან S-სსა და A-ს შორის ურთიერთობა შეწყვეტილად ჩაითვალოს. S-სს რომ პირდაპირი გზა აერჩია და უახლოესი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე A-სთვის ეუწყებინა „ალბათ უმჯობესი იქნებოდა ჩვენ ურთიერთობები შეგვეწყვიტაო", და A რომ ჩაწედომოდა ამ (თითქმის შეფარულ) გამოწვევას, მაშინ ამგვარი „Q" გამოწვევა არასგზით (როგორც იყო განზრახ არმისალმებად ინტერაპრეტირებადი ქცევა) არ იქნებოდა A-cთვის *საბაბი* რათა S-ის ინტენცია *ამოეხსნა*. სახელდობრ, „რაღაცის თქმა" არ არის იგივე რაც: რაღაცის (გადაკვრით) გაგებინება და „გაგება" სხვა რამაა: ვიდრე გარკვეული წინასწარი ნიშნებიდან სხვა სუბიექტის ინტენციის შესახებ დასკვნის გაკეთება.

ასეთი რამ თავს იჩენს მაშინაც, როცა გვინდა, გავიაზროთ ჩვეული მოქმედება „S სალამს აძლევს A-ს და A-ს S-ის მიერ სალამი მიეცემა" ისევე სათანადოდ რეკონსტრუირდება თუ არა გრაისისეული მოდელის მიხედვით, როგორც „ინტენდირებული არ მისალმების" არაჩვეული მოქმედება. მეორე შემთხვევაში A მხოლოდ იმიტომ არის იძულებული, აირჩიოს დასკვნის შემოვლითი გზა, რადგან S მას პირველი შემთხვევისგან განსხვავებით პირდაპირ ე.ი. „რომ p შინაარსის მოთხოვნის" საშუალებით კი არ აგებინებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მიანიშნებს, რაც „p" გამოთქმის შინაარსის თაობაზე დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, *რისი გაკეთების შესაძლებლობა მას პირდაპირი გაგებინების შემთხვევაში ექნებოდა*. პირდაპირ გაგებინებასა და შემოვლითი გზით მიხვედრინებას შორის განსხვავება არ დაიყვანება კონვენციონელურსა და არაკონვენციონელურ მნიშვნელობებს შორის სხვაობაზე. მაგრამ იმ სიტუაციაში, რომლებიც, როგორც ვთქვით, „დიპლომატიურ ქცევას" მოითხოვენ, ერთმანეთთან შემოვლითი ურთიერთობა უაღრესად დიფერენცირებულ ენას საჭიროებს.

გრაისი ეწევა კომუნიკაციის წარმოებული ფორმის რეკონსტრუირებას, რომლებსაც უკვე დაუწანამძღვრებია ის, რისი რეკონსტრუირებაც მას წინასწარ განუზრახავს: მნიშვნელობაიგივეობრივი სიმბოლოს დახმარებით გაგებინება. მე მინდა ეს თეზა დავასაბუთო (სტროვსონის მიერ შემოტანილი და) შიფერის მიერ გარჩეული კონტრმაგალითის მოშველიებით.

მაგალითი: S-სს ხმა ჩახრენწილი აქვს და მან იცის, რომ „კარგად სიმღერას ვერ შეძლებს". A მუსიკალურად ძლიერ მგრძნობიარეა და S-მა ეს იცის. მაგრამ S-სს განსაზღვრულ სიტუაციაში უნდა, რომ თავისი მეგობარი გაუშვას. S-სს უნდა იგი შემოვლითი გზით მიახვედროს

და იწყებს მოდურ სიმღერას სწორედ ისეთი ჩხავილით, რომ ასე ვთქვათ, A-ს „ტერორიზება“ ხდება. მოდურ სიმღერას მოცემულ სიტუაციაში S განსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებს, იმით რომ „x“ გამოხატულება იმ განსაზღვრასთან აკავშირებს:

(2) რომ მისი x გამოხატულება A-ს მხრივ განსაზღვრულ რეაქციას იწვევს (S-ის ჩხავილს გაურბის);

(2) რომ A-მ S-ის (1) სწორედ ეს განზრახვა გამოიცნო.

ამბავი კონტრმაგალითად ვითარდება მომდევნო (3) განზრახვის მეშვეობით:

(1) რომ A შეეზომება არა S-ის განზრახვას (1) და გაურბის არა თავის მეგობარი S-ის ჩხავილს, არამედ A მტკივნეულად განიცდის იმ ფაქტს, რომ S-სს საერთოდ აქვს ასეთი განზრახვა და უნდა A-ს საბაბი მისცეს, რათა S-ი დატოვოს.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში განხეთქილება არის ორ რამეს შორის, ერთი მხრივ ეს არის საფუძველი (ა), რომელიც *ჯერ არს, ჰქონდეს* A-ს S-ის წინასწარგანზრახვის მიხედვით, რათა იგი მისგან წაიღეს: S-ის იმ წინასწარგანზრახვის გამო A-ს ნაწყენობა, რომ S-მა A თაიდან მოიშოროს (S_1), და მეორე მხრივ, ეს არის საფუძველი (ბ), რომელიც ჯერ არს, A-მ იმ საფუძვლად *მიიჩნიოს*, რომელიც A-ს S-ის ჩანაფიქრით უნდა ჰქონდეს (S_1): გაექცეს ჩხავილს. ამ შემთხვევაში S A-ს არაპირდაპირ ახვევდრებს რაღაცას, რაკი ცდილობს A შეცდომაში შეიყვანოს თავის სრულ განზრახვათა S(1+3) თაობაზე. ცდომილების ეს ელემენტი ამ ამბის როგორც ნორმალური ურთიერთგაგების მაგალითის დისკვალიფიცირებას ახდენს. ურთიერთგაგება ნორმალური გაგებით, ცხადია, მაშინ არის მიღწეული, როცა A S-ის ორივე განზრახვას ჩაწვდება და წასვლის საფუძველს ირჩევს, რასაც ფაქტობრივად გულისხმობს S. მოთხოვნილი უნდა იქნეს:

(2) რომ A-მ შეიცნოს S-ის (3) განზრახვა; და

(3) რომ (4) A-სთვის წამოსვლის მიზეზია.

მაგრამ შიფერი სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს შევსება არასგზით არ გამორიცხავს კონტრმაგალითს რეფლექსიის მომდევნო უფრო მაღალ საფეხურზე. ამრიგად, S-სს ძალიან კარგად შეუძლია იმის წინასწარგამოცნობა, რომ A ჩაწვდა მის პირველ თვალისამხვევ მანევრს; S წინასწარ გეგმავს, რომ A გამოიცონობს, თუ რა სურს მას A-მ დაიჯეროს; S-ს ხომ უნდა თავის ჩხავილით გააძევოს A, მაშინ როცა A S-ის განზრახვითაა შეურაცხყოფილი და იმიტომ მიდის. მაშინ როცა პირველ შემთხვევაში S-ის ჩანაფიქრით ჯერარს, განხეთქილება არსებობდეს ორ საფუძველს შორის, რომელთაგან ერთი A-ს ჰქონდა, მეორე კი A-ს ფიქრით ხამს, მას ჰქონოდა. თვალისახვევის მომდევნო

უფრო მაღალ საფეხურზე A-ს მართებს ყალბად იფიქროს, რომ ამგვარი განხეთქილება არსებობს (მაგალითად, რადგან S-ს არა მარტო ის უნდა, რომ A-ს მოცემულ სიტუაციაში წასვლა აიძულოს, არამედ, საერთოდ, მისი თავიდან მოშორება სწადია). მეორე მხრივ ამ მაგალითის იმგვარად შეკეთება შეიძლება მომდევნო პირობათა მეშვეობით, რომ მოტყუება თავიდან იქნება აცილებული. მაგრამ რეფლექსიის თითოეულ ახალ საფეხურზე არსებობს მომდევნო მოტყუების პრინციპული შესაძლებლობა, რადგან ინტენციური მოდელი საზოგადოდ შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაციებიდან კი არ ამოდის, არამედ -- იმ სიტუაციიდან, რომელშიც პირდაპირი ურთიერთგაგების შეუძლებლობის გამოისობით *კომუნიკაციური ქმედება აუცილებლად სტრატეგიულმა ქცევამ უნდა ჩანაცვლოს.* მაგრამ როგორც კი აუცილებელი შეიქმნება კომუნიკაციის მოპოვება სტრატეგიული საშუალებებით, ხდება კომუნიკაციური ქმედების წანამძღვართა შეჩერება, სხვათა შორის --- იმ წანამძღვრისაც, რომ მოლაპარაკე თავის ინტენციას *წრფელად* გამოხატავს. შიფერი ხედავს ამ პრობლემას: ...„ არ უნდა არსებობდეს „ძალულ" ინტენციათა შესაძლებლობა, რომლებიც კონსტიტუციურნი არიან რაღაცის განზრახვის აქტისათვის." (გვ. 39) იგი არც იმ დასკვნის გაკეთებას უფრთხის, რომელიც მოითხოვს, რომ S-სს, რაკი იგი „x"-ს (1)-(5) განზრახვებით გამოხატავს, მხოლოდ მაშინ ძალუძს A-სთან ურთიერგაგების მოპოვება, როცა წინასწარ არის ნაგულისხმები შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაცია. შიფერს „ინტერსუბიექტური ცოდნის" („mutual knowledge") ცნების დახმარებით შემდეგნაირად შემოაქვს ეს მოთხოვნა:

„x-ს გამოთქმით (ანდა ამ გამოთქმაში) S რაღაცას გულისხმობდა; თუ S x-ს იმ განზრახვით გამოთქვამდა, რომ შეესრულებინა გარკვეული E საქმის ვითარება, რომელიც იმგვარია (S-ს ჩანაფიქრით უნდა იყოს), რომ E-ს მოპოვება საკმარისია S-სთვის და გარკვეული A აუდიტორიისთვის, რომელმაც *ინტერსუბიექტურად იცის* (ანდა სჯერა) E მოაქვს და რომ E არის გადამწყვეტი (კარგი თუ ცუდი) საბუთი იმისა, რომ S x-ს გამოთქვამს განზრახვით

(1) **რათა A-ში გამოიწვიოს გარკვეული r პასუხი;**

(2) **A-ს მიერ S-ის ინტენციის (1) გამოცნობა, სულ ცოტა, ფუნქციონირებს როგორც ნაწილი A-ს მიზეზისა, რომელიც A-ში r პასუხს იწვევს;**

(1) **რათა განახორციელოს E**" (გვ. 39).

მთავარი სიახლე არის E სიტუაციის ცნება, რომელშიც ორივე A და B სუბიექტს განსაზღვრული ინტენციების გაზიარება შეუძლიათ. ორივემ იცის, რომ თუ დადგება შესაძლო ურთიერთგაგების E სიტუაცია, „x" გამოსახულება უშუალოდ *გასაგებ* ინტენციას გამოხატავს ე.ი. ორი-

ვე მხარისათვის იდენტური მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, შიფერის ფორმულირებას ჯერ ისევ აქვს სუსტი მხარე; არ არის საკმარისი იმის მოთხოვნა, რომ მხოლოდ და მხოლოდ S მოლაპარაკეს ჰქონდეს წინასწარგანზრახული, შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაცია იმგვარად მოიპოვოს, რომ S-მა A-მ ურთიერთმხრივ ერთმანეთისგან უწყიან, რომ ამ სიტუაციაში x გამოსახულება უშუალოდ გასაგებ ინტენციას გამოხატავს. ურთიერთგაგება რომ ფაქტობრივად განხორციელდეს, აუცილებელია S-მა ეს განზრახვა შეასრულოს კიდეც A-ს თანხმობითა და დახმარებით.

მე მაინტერესებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ შიფერმა გრაისისეული მოდელის გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ „ინტერსუბიექტური ცოდნის" ცნების დახმარებით შეძლო. „ინტერსუბიექტური ცოდნა არ ნიშნავს იმგვარ კონიუნქციას, რომ S-მა იცის „რომ p" და A-მ იცის, „რომ p", არამედ იგი იმას ნიშნავს, რომ S-მა და A-მ *ერთმანეთისგან იციან*, რომ მათ იციან „რომ p" -- სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ისინი *თანხვდებიან* ცოდნაში „რომ p". მაგრამ ეს თანაზიარობა უკვე წინასწარ გულისხმობს მნიშვნელობათა იდენტობასა და მონაწილეთათვის მათს ინეტრსუბიექტურ მნიშვნელოვნებას. ამრიგად მოდელი, რომელსაც გამოთქმის მნიშვნელობა მოლაპარაკის ინტენციაზე დაჰყავს, შეუძლებელია „გადარჩეს" ინტერსუბიექტური ცოდნის ცნების შემოტანის გზით. როცა შიფერი უჩვენებს, რომ ინტერსუბიექტური ცოდნის წანამძღვრის გარეშე ინტერნაციონალისტურ მოდელს იმ მოვლენის რეკონსტრუირება არ ძალუძს, რომლის რეკონსტრუირებაც მართებსო, იგი უნებლიედ გათქვამს, რომ გრაისისეული მოდელი უმართებულოა.

მე ვამტკიცებ, რომ S-სა და A-ს მიერ ინტერსუბიექტურად გაზიარებული „p" ცოდნა შეუძლებელია დამაკმაყოფილებლად იქნას გაანალიზებული როგორც S-სა და A-ს შესაბამისი ცოდნათა კონიუნქცია, არამედ იგი მოითხოვს მნიშვნელობაიდენტურად გამოყენებულ სიმბოლოზე დამყარებას, რომლის დახმარებითაც S და A ურთიერთსაზიარო ცოდნას გამოხატავენ. მე აქ ვიფარგლები მცდელობით, რომ გავაუქმო შიფერის საპირისპირო მტკიცება. შიფერს შემდეგი პირობები შემოაქვს, რომელთა დროსაც შესაძლებელია „p" შინაარსი კონიუნქციური ცოდნა, რომელსაც S და A ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მაგრამ ერთსადამავდროულად ფლობენ, გადავიდეს S-სა და A-ს მიერ ინეტრსუბიექტურად გაზიარებულ ცოდნაში:

(1) S არის f;

(2) A არის g;

(3) f და g თვისებები საკმარისია იმის საცოდნელად,

რომ p;

რომ S არის f;

რომ A არის g;

ამასთანავე „f“ და „g“ აღნიშნავენ თვისებას, რომ პერსონა აშკარად „ნორმალურია“, რომელიც კარგად ხედავს და რომელსაც ცნობიერებაც ნათელი აქვს. მაგრამ თუ S და A იმყოფებიან სიტუაციაში, რომელშიც ისინი p,q,r,... შინაარსის „ერთსა და იმავე აღქმებს“ აკეთებენ და თუკი გარდა ამისა შესრულებულია დასახელებული პირობები (1)-(3), მაშინ თითოეული მათგანისათვის ძალაში უნდა იყოს

(1) რომ S(A)-მა იცის რომ p,q,r...;

(2) რომ S(A)-მა იცის, რომ S(a)-ს იგივე მსჯელობისა და აღქმის უნარი აქვს, რაც თვით მას აქვს და რომ იგი მსგავს პირობებში ისეთნაირადვე აღიქვამს როგორც თვითონ აღიქვამს;

(3) რომ S(A)-მ იცის, რომ სხვამაც იცის, რომ p,q,r...

ამრიგად, შიფერს ინტერსუბიექტური ცოდნა გამოჰყავს S-სა და A-ს *შესაბამისი* ცოდნიდან, რომ ყოველი სხვა ასევე არის მსჯელობისა და აღქმის უნარმქონე პერსონა; რომ ისიც მოცემულ პირობებში აღქმის ურთიერთპერსპექტივიდან ერთსა და იმავე გამოცდილებას იძენს; რომ მას შეუძლია ერთი და იმავე გამოცდილებების გამოყენება ერთი და იმავე p,q,r...გამოთქმებით. მაგრამ აუცილებელია შიფერს უკვე ჰქონდეს წინასწარდაშვებული, რომ S-სა და A-ს, თითოეულ მათგანს თავთავისთვის, ხელეწიფებოდა f, g სახის პრედიკატთა მოპოვება და ამ პრედიკატებისაგან წინადადებათა შედგენის კერძო წესით დასწავლა. ამ წანამძღვარს იგი ცოდნის ინტერსუბიექტურობას დაცანცლავს. მაგრამ როგორ უნდა იცოდეს S-მა, რომ A არის g და როგორ უნდა იცოდეს A-მ, რომ S არის f, თუკი თითოეულ მათგანს წინდაწინვე არ ეცოდინებათ, თუ *რას ნიშნავს* სხვისი როლის აღება? სწორედ ეს უნარი (სხვისი როლის აღებისა) არის კონსტიტუციური მიმართების წარმოებისათვის, რომელიც თავის მხრივ ინეტრსუბიექტურ ცოდნას (სულ ცოტა რეფლექსურ ქცევის მოლოდინთა ფორმით) მოითხოვს.

მეორე შესიტყვება გრაისისეული მოდელისადმი მჭიდროდაა დაკავშირებული იმასთან, რომ ურთიერთგაგების ის შემოვლითი ფორმა, რომლის შესაბამის რეკონსტრუქციასაც ეს მოდელი გვთავაზობს, უკვე გულისხმობს წანამძღვრად პირდაპირი ურთიერთგაგების შესაძლებლობას. არაპირდაპირი გამოხატვის ის მნიშვნელობა, რომელიც ინდიკატორებიდანაა გამოტანილი იმ სიმბოლური გამოთქმის ეკვივალენტურია, რომელსაც მოლაპარაკე გააკეთებდა, მას რომ შეძლებოდა მსმენელთან პირდაპირი გამოლაპარაკება. p „x“ არაპირდაპირი გამოხატვა ყოველთვის პარაზიტულია: იგი წინასწარ გულისხმობს (სულ ცოტა) „A“ გა-

მოთქმის (ინტერსუბიექტური მნიშვნელობის) გასაგებობას, რომელთანაც ულაპარაკოდ არის მიმართებაში S, როცა იგი „x"-ს გამოხატავს, რათა A-ს საშუალება მიეცეს „x"-დან S-ის ინტენციის თაობაზე დაასკვნას. ამ თეზის დასასაბუთებლად მე კიდევ ერთხელ ვემყარები შიფერს, რომელიც ამტკიცებს, რომ გრაისისეული მოდელის ძირეული წვდომა ორი ნაბიჯით უნდა განივრცოს. *პირველი* გამავრცობელი ნაბიჯი აუცილებელია, რათა შემოტანილი იქნას „x"-ის სიმბოლური სტატუსი, მეორე კი აუცილებელია რათა გამოცხადდეს, რომ „x" მნიშვნელობის უკვე ინტერსუბიექტურად გაზიარებულ ჰორიზონტზე მიუთითებს.

S-ს მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს იმედი „x"-ით გამოხატოს რაგინდარა ინტენცია. თუკი A „x'' გამოსახულებას ნებისმიერი სხვა საგანივით კი არ აღიქვამს, არამედ აღიქვამს როგორც ისეთ რაღაცას, რაც სხვისი მონაცვლეა ე.ი. — ისეთ რაღაცას, რასაც მნიშვნელობის ფუნქცია აქვს. S x-სს იყენებს სიმბოლოდ; ამრიგად, „x" იგი იყენებს იმ განზრახვით, რომ A-მ გაიგოს, რომ „x" მიანიშნებს განსაზღვრულ შტრიხებზე ანდა რომ „x" იმგვარად წარმომადგენლობს განსაზღვრულ „p" გამონათქვამს, რომ მისგან (სულ ცოტა ნაწილობრივ მაინც) A-ს შეუძლია დასკვნა გააკეთოს S-ის მიერ „x"-ის გამოხატულ ინტენციაზე. ამრიგად, შიფერმა გრაისის ზემოთ გადმოცემული რეფორმულირება შემდეგნაირად, განავრცო: „S რაღაცას გულისხმობდა x-ის გამოთქმით (ან ამ გამოთქმაში) თუ x-სს განზრახული ჰქონდა

(1) რომ x-სს აქვს f გარკვეული თვისება;

(2) რომ გარკვეული აუდიტორია აღიარებს, (ფიქრობს) რომ x არის f;

(3) რომ A იმ ფაქტიდან, რომ x არის f სულ ცოტა ნაწილობრივ ახკვნის, რომ S გამოთქვამს x-ს იმ განზრახვით (4)

(4) რომ S-ის მიერ x-ის გამოთქმა A-ში გარკვეულ r პასუხს იწვევს

(5) რომ A-ს მიერ S-ის ინტენციის (4) გამოცნობამ უნდა იფუნქციოს როგორც, სულ ცოტა, მიზეზმა რამაც A-ში r პასუხი გამოიწვია" (გვ. 12).

ეს პირველი ნაბიჯი, რასაკვირველია, არ არის საკმარისი, რადგან S-ს მარტო ის კი არ უნდა, რომ A-ს ბიძგი მისცეს, რათა მან „x" *რაღაც* სიმბოლურად კი არ აღიქვას, არამედ: „x"-დან სრულიად განსაზღვრული დასკვნები გამოიტანოს. ამიტომ S-მა ნიშანი ისე უნდა შეარჩიოს, რომ განსაზღვრული შტრიხებით, რომელზეც „x" მიუთითებს ანდა განსაზღვრული „p" გამონათქვამით, რომელიც მართებულია x-ის შესახებ, A-ს ბუნებრივად აღეძრას სურვილი S-ის ინტენციის შესახებ დასკვნის გაკეთებისა. ზემოთხსენებულ შიფერისეულ მაგალითს რომ მივუბრუნდეთ S-ს ასევე შეუძლია *ღრენა* დაიწყოს, რათა A-ს შეატყობინოს, რომ *გაბრაზებულია* (და რომ A-ს შესაბამის რეაქციას ელის),

თუკი წინასწარ დავუშვებთ, რომ S-სს აქვს მიზეზები შემდეგ განაზრებათა წამოყენებისა: S-მა იცის, რომ A იცის, რომ ძაღლი იღრინება, როცა იგი გაბრაზებულია; A-ს შეუძლია S-ის მიერ გამოცემული ღრენის ხმა ბუნებრივად მიიჩნიოს ძაღლის ღრენის მიბაძვად. მაგრამ A-მ იცის, რომ S-ის ღრენის ხმა სიმბოლოა (რომ S მასში რაღაცას გულისხმობს); და ამასთანავე მან იცის, რომ ძაღლები მაშინ იღრინებიან, როცა ბრაზობენ; თუ S-ს აქვს უფლება მისეულ „x" გამოსახულებას ინტენცია დაუკავშიროს

(1) „x" ბაძავს ძაღლის ღრენას და ეს შეიძლება სიბრაზეს ნიშნავდეს, თუკი ინტენციურადაა გამოხატული;

(2) მაშინ A ხვდება, რომ „x" ძაღლის ღრენის მიბაძვაა, რომ იგი ინტენციონალურად გამოიხატება და რომ იგი შეიძლება ბრაზს ნიშნავდეს;

(3) A ამ გარემოებიდან ასკვნის, რომ S-მა იმ განზრახვით უნდა გამოხატოს „x", რომ A-მ ჯერარს, მისი განზრახვა (1) გაიგოს.

ამრიგად, S-მა რომ „x" გამოხატულება განსაზღვრულ ინტენციასთან დააკავშიროს, რათა გამომაჟღავნოს თავისი წყრომა (და გამოიწვიოს A-ს მხრივ შესაბამისი რეაქცია), აუცილებელია წინასწარ იყოს ნაგულისხმები S-სა და A-ს შორის ინტერსუბიექტურად გაზიარებული ცოდნა, კერძოდ – იმ შინაარსისა, რომ „x" არის ძაღლის ღრენის მიბაძვა, რომ ძაღლები იღრინებიან, როცა ისინი ბრაზობენ და რომ აქედან გამომდინარე ბუნებრივია „x" წყრომას ნიშნავდეს: „გრაისისეული კომუნიკაციის სტანდარტულსა თუ პარადიგმულ შემთხვევაში S-ს და A-ს ინტერსუბიექტური ცოდნა ის არის, რომ x გამოთქმას აქვს გარკვეული f ნიშანი და ორმხრივი ცოდნა ფაქტისა, რომ S-ის გამოთქმა f (სხვა ფაქტებთან ერთად) არის გადამწყვეტი საბუთი იმისა, რომ როცა x-ს გამოთქვამდა S-ის განზრახვა იყო A-ში r პასუხის გამოწვევა ამ განზრახვის გამოცნობის საშუალებით..." (5.37). მაგრამ ეს ფორმულირება ეწინააღმდეგება მთელი მოდელის წანამძღვარს, რომლის მიხედვითაც „რაც იგულისხმება" ის არაფრით არ შეიძლება განისაზღვროს იმით „რაც გამოითქმება, არამედ იგი განსაზღვრული უნდა იქნეს „x"-ის ღირებულებებით. იმავე შედეგამდე მივყავართ გრაისისეული მოდელის დასადასტურებლად ბენეტის მიერ მოტანილ მაგალითსაც.

აფრიკული ტომის ორ წარმომადგენელს შორის თამაშდება შემდეგი სცენა, რომელიც ბენეტს მაგალითის სახით მოჰყავს: S ხელებით ისეთ ჟესტიკულაციებს აკეთებს, თითქოსდა თავზე მძიმე საგანი ეცემოდეს; A ხედავს ამას და ერთ ნაბიჯს განზე დგამს იმ ადგილიდან, სადაც იგი პალმის ქვეშ დგას ზუსტად იმ მომენტში, როცა ქოქოსის კაკალი ეცემა სწორედ იმ ადგილას, სადაც წამის წინ A იდგა. ბენეტი აანალი-

ზებს ამ შემთხვევას იმით, რომ დგამს იმ სააზროვნო ნაბიჯებს, რაც A-ს საშუალებას აძლევს გამოიცნოს, თუ რას გულისხმობს S „x" გამოხატულებით. როცა S „x" გამოსახულებას ქმნის მას აქვს (შემეცნებადი) განზრახვა:

(a) მიაღწიოს რაღაცას;

(b) შეცვალოს თავის გარემო;

(c) შეცვალოს აუდიტორია;

(d) აუდიტორია შეცვალოს ან ვიზუალურად ანდა გარკვეულწილად იგი იყოს ვიზუალური ცვლილების შედეგი;

(e) დააჯეროს აუდიტორია რაღაცაში;

(f) დააჯეროს აუდიტორია რაღაცაში მავანის თავზე რაღაცის მოხვედრილად ყოფნის თაობაზე;

(g) დააჯეროს აუდიტორია, რომ იგი დგას ქოქოსის კაკლის თავზე დაცემის საფრთხის წინაშე; (და ჩვენ შეგვიძლია წავუმატოთ):

(h) ამის მიღება, ნაწილობრივ მაინც, გვერდზე გადგომის მიზეზად.[1]

ეს რეკონსტრუქცია ასრულებს შიფერის მიერ გადასინჯულ გრასისეული მოდელის პირობებს. S-ს წინასწარ აქვს განზრახული A-ში რეაქციის გამოწვევა, რაკი იგი „x" გამოხატულებით მას უბიძგებს იმის მისახვედრად, რომ „x" სიმბოლური გამოსახულებაა, რომელსაც S კომუნიკაციური განზრახვით ასრულებს (a)-(e), რომ A-მ „x"-ით ძირს წამოსული საგნის შესახებ გაფრთხილება მიიღოს (f), რომ განსაზღვრულ პირობებში ეს გაფრთხილება მნიშვნელობს მხოლოდ A-სთვის და უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ ვარდნილ ქოქოსის თხილს (g), და რომ A-ს აქედან მართებს მიიღოს გადაწყვეტილება გვერდზე გახტომის (h) შესახებ. (a)-(h) ნაბიჯებმა უნდა გვაფიქრებინოს, რომ A-ს აღძრავს S „x"-ის მეშვეობით, რათა მან შეიცნოს S-ის g და h ინტენციები, ოღონდ ისე, რომ S რასაც ფიქრობს არ არის დამოკიდებული იმაზე, რასაც „x" (იმთავითვე) ნიშნავს. და მაინც ბენეტი უნდა დაგვეთანხმოს „რომ (e)-დან (f)-კენ გადანაცვლება, ცხადია, დამოკიდებულია იმ ფაქტზე, რომ გამომთქმელის მოქმედების ხერხი გამოდგება იმ იდეის ბუნებრივ შეხსენებათა თუ მითითებად (აუდიტორიისთვის), რომ მავანს შესაძლოა თავზე რაღაც დაეცეს". წინასწარგაზრახული კომუნიკაცია გრაისისეულ წანამძღვართა საპირისპიროდ არ განხორციელდება თუ S-

[1] შეად. Benett, The Meaning-Nominalist Strategy, Foundations of Language, 10, 1973-141ff.

ის ტკივილის გამომხატველი ჟესტი S-სა და A-სთვის *ერთნაირად* არ გამოთქვამს იმ *ბუნებრივ* საქმის ვითარებას, რომ ვიღაცას რაღაც საგანი თაში მტკივნეულად მოხვდება. მაგრამ „x"-ს რომ შეუძლია „ბუნებრივად", სახელდობრ – განსაზღვრული რამე გამოთქვას, რაც საგანგებოდ--, სახელდობრ, კომუნიკაციური განზრახვით გამოიხატება, ეს იმ ფაქტობრივ ვითარებას აღგვიწერს, რომ S და A იმთავითვე *იზიარებენ ინტერსუბიექტურ ცოდნას,* რაც საკმარისია, რათა „x" გამოხატულებას განსაზღვრულ კონტექსტში *ერთიდა იგივე* მნიშვნელობა მიეწეროს, მაშინაც კი თუ ბენეტთან ერთად წინასწარ დაეუშვებდით ტკივილის მასტიმულირებელი ჟესტი მოხსენიებულ სცენაში პირველად *იძენსო* აღნიშნულ მნიშვნელობას, შეუძლებელია ამგვარი მნიშვნელობის გამოყვანა მხოლოდ და მხოლოდ S-ის ინტენციიდან. S-ს მხოლოდ მაშინ შეუძლია „x"-ს A-თვის გასაგები გამოსახულება მიუერთოს, თუ მას უფლება აქვს იქიდან ამოვიდეს, რომ S და A მოძრაობენ ერთობლივ მნიშვნელობათა და ინტერსუბიექტურ ცოდნათა ჰორიზონტში. აუცილებელია, S-მა და A-მ ინტერსუბიექტურად იცოდნენ (ე.ი. ერთმანეთის შესახებ იცოდნენ, რომ მათ იციან), რომ S-ის ჟესტიკულაციები შესაძლოა იყოს (ნაცნობი) ტკივილის ჟესტის მიბაძვა, რომ მოცემული კონტექსტი განსაზღვრული სიტუაციის აზრით უნდა განიმარტოს და რომ აქიდან გამომდინარე ამ სიტუაციაში ტკივილის მიბაძვის ჟესტი შეიძლება ნიშნავდეს ბუნებრივ გაფრთხილებას ვარდნილ ქოქოსის კაკალთა შესახებ.

მაგრამ გრაისს შეუძლია ამ შესატყვისებას მიაგებოს იმაზე მითითება, რომ მისი მოდელი არასგზით არ კრძალავს, რომ S A წინასწარგულისხმობენ ძაღლის ღრენის ანდა ტკივილის გამოხატვის ბუნებრივ მნიშვნელობებს გინა -- ჟესტურ მნიშვნელობას (gestural meaning). S-ის განზრახვა ხომ სწორედ ის იყო, რომ A-ს გამოეცნო, რომ „x"-ს აქვს გარკვეული შტრიხები, რომლიდანაც მას შეუძლია „x"-ის ბუნებრივი მნიშვნელობა გამოიყვანოს. S-ის ჩანაფიქრით A-მ შემდეგნაირად იაზროვნოს: ფაქტი იმისა, რომ S ძაღლივით იღრინება ნიშნავს იმას, რომ S-ს უნდა ძაღლის ღრენას მიბაძოს; ფაქტი იმისა, რომ ძაღლი იღრინება ნიშნავს იმას, რომ ის ბრაზობს; ფაქტი იმისა რომ S ძაღლის ღრენას ბაძავს, ნიშნავს იმას, რომ S წყრება და სურს იმის თქმა, რომ გამწყრალია. მაგრამ შესიტყვება ამას არ გულისხმობს, რადგან გრაისი უარყოფს იმ პირობებს, რომელშიც შეიძლება ბუნებრივ მნიშვნელობებს არაბუნებრივ მნიშვნელობათა *ფუნქციით* ვიყენებდეთ. S არ არის ძაღლი, რომლის ღრენასაც იგი ბაძავს და A-მ ეს იცის. უფრო მეტი, S ძაღლი*ვით* იღრინება, რადგან იგი მუქარის ამ ჟესტს მოსაკლისებული

სიმბოლოს *ერზაცად* იყენებს (რომლითაც ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია დაუფლებოდეს გრაისის მიერ დაშვებულ სიტუაციებს). S რომ (ნაცნობ) ჟესტს სიმბოლურ *გამოსახულებასავით* იყენებს, იგი იმ კომუნიკაციის საფეხურზე მოძრაობს, რომელიც აღარ შეესაბამება „ჟესტებით საუბარს" („conversation of gestures").

ინტენციონალისტური მოდელის წინააღმდეგ ჩვენს მეორე შესიტყვებას მივყავართ შედეგამდე, რომ გრაისი კომუნიკაციური გამოთქმის მნიშვნელობის მოლაპარაკის ინტენციაზე დაყვანის მცდელობისას, სულ ცოტა, იმპლიციტურად მაინც უნდა დაეყრდნოს ბუნებრივ მნიშვნელობათა გაგებას. აუცილებელია, მონაწილეებმა ისარგებლონ ჟესტების, ხატების, გამოვლინებების, ქცევის ექსპრესიული ნიშანთვისებების და ა.შ. ბუნებრივი მნიშვნელობით, რათა ინტერსუბიექტურად უკვე გაზიარებული კონტექსტუალური ცოდნის შუქზე ისინი სიმბოლურ მნიშვნელობათა *ადგილმონაცვლეებად* გამოიყენონ. ბუნებრივ მნიშვნელობებზე ეს რეკურსი გენეტიკური თვალსაზრისით მიგვითითებს განვითარების ძაფზე, რომელიც ბუნებრივი მნიშვნელობით გაშუალებული კომუნიკაციებიდან სიმბოლურად გაშუალებული ინტერაქციების გავლით ენობრივად გათვითმყოფებული მეტყველებისკენ მიემართება.

მე არ მინდა ვამტკიცო ის, რომ მიდმა აჩვენა, თუ როგორ წყდება კომუნიკაციის საფეხურთა რაციონალური განმარტების ამოცანა. მაგრამ მე არ ვიცნობ უფრო პერსპექტიულ მიდგომას, ვიდრე არის ის, რომელიც მიდმა 30-იანი წლების დასაწყისში შემოგვთავაზა. მიდი ერთმანეთისაგან განასხვავებს ჟესტებით გაშუალებულსა და სიმბოლურად გაშუალებულ ინტერაქციებს იმ ორ ორგანიზმს შორის, რომლებსაც ახასიათებს ქცევის დისპოზიციები. საფუძველცნებათა ის სისტემა, რომელიც ნებას გვრთავს, რათა „ქცევა" გავმიჯნოთ დაკვირვებადი ხდომილებებიდან გინა მდგომარეობებიდან და ისეთ ცნებას შეიცავს როგორიცაა ქცევის დისპოზიცია, ქცევის რეაქცია, ქცევის გამომწვევი სტიმული, მიდის კვალად მორისმა აქცია ნაყოფიერ სისტემად ზოგადი სემიოტიკისათვის; მოგვიანებით კი მისი ნაყოფიერება საცნაური გახდა სწავლის თეორიის ჩარჩოებში. მორისმა ბიჰევიორისტული საფუძველცნებების დახმარებით იმგვარად შემოიტანა ნიშნის, ნიშნის ინტერპრეტატორის, ნიშნის მნიშვნელობის და ა.შ. სემიოტიკური საფუძველცნებანი, რომ კომუნიკაციის ამ საფეხურზე კომუნიკაციის უფრო მაღალორგანიზებული ფორმებისკენ წინგაჭრის გარეშე არის შესაძლებელი აღიწეროს სტრუქტურალური მიმართება ინტენციასა და მნიშვნელობას შორის. უკვე მიდმა შეიმუშავა *ობიექტური მნიშვნელობის ცნება* ისე, რომ მას არ დასჭირვებია წესებსა თუ სულაც ენობრივ კონვენციებზე დაყრდნობა: „ამრიგად, მნიშვნელობა არის რაღაც ობიექტურის განვითა-

რება როგორიცაა მაგ. სოციალური აქტის გარკვეულ ფაზებს შორის მიმართება; მნიშვნელობა არ არის ამ აქტის ფსიქიკური დანამატი; იგი არც ტრადიციულად გაგებული „იდეაა". ერთი ორგანიზმის ჟესტი, რომელიც გამომდინარეობს სოციალური აქტიდან, რომლის ადრეულ ფაზასაც იგი წარმოადგენს და სხვა ორგანიზმის პასუხი ამ ჟესტზე არიან რელაციები სამკეცი ანდა სამჯერი მიმართებით ჟესტისა პირველი ორგანიზმისადმი, – ჟესტისა მეორე ორგანიზმისადმი და ჟესტისა მოცემული სოციალური აქტის მომდევნო ფაზებისადმი; და ეს სამკეცი მიმართება აკონსტიტუირებს მატრიცას, რომლის შიგნითაც აღმოცენდება მნიშვნელობა ანდა რომელიც იქცევა მნიშვნელობის ველად. ჟესტი განასახიერებს სოციალური აქტის განსაზღვრულ გამოწვეულობას, რომელზეც აქტში ჩართული ინდივიდის მხრივ არსებობს განსაზღვრული პასუხი; ისე რომ მნიშვნელობა მოცემული ანდა ფორმულირებულია პასუხის თვალსაზრისით..."[1] ბუნებრივი მნიშვნელობების სტრუქტურელურ საფუძველს გვთავაზობს ცხოველურ ქცევათა ფუნქციების წრე – საკვების ძიება, შეწყვილება, თავდასხმა, თავდაცვა, ნაშიერზე ზრუნვა და ა.შ.: „ამრიგად, მნიშვნელობის საფუძველი ობიექტურია სოციალურ ქცევაში ანდა ბუნებაში ამგვარი ქცევისადმი მისი მიმართებისას." მიდი არ იღლება იმის აღნიშვნით, რომ მნიშვნელობები ინტერაქციათა შინაგანი მახასიათებელია, „და იგი ხდება მანამ, ვიდრე გაჩნდებოდეს მნიშვნელობის ცნობიერება ანდა მისი შეცნევა". მნიშვნელობა სისტემის თვისებაა. უძველესი ეთოლოგიის ენით რომ გამოვთქვათ: მნიშვნელობები თავიანთს თავს იკონსტიტუირებენ გვარის სპეციფიკურ გარემოებაში (უქსკიული, Uxküll), ისე რომ ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ ორგანიზმების მიერ მნიშვნელობათა *სახით* დაუფლებადნი. სწორედ ეს არის ის პირობა, რაც შესრულდება სიმბოლური მნიშვნელობებით გაშუალებული კომუნიკაციის საფეხურზე.

ორგანიზმის ინოვატორული მონაპოვარი მდგომარეობს იმაში, რომ S-ს ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ქცევის ის რეაქცია, რომელსაც იგი თავისი ჟესტით A-ს მხრივ იწვევს; რომ მან გარდა ამისა იცის, რომ A შეიძლებდა ქცევის იმ რეაქციის წინასწარგანჭვრეტას, რომელსაც იგი შესაბამისი ჟესტით თავის მხრივ S-ში გამოიწვევდა; ისე რომ S-ს ამ ცნობიერებით აქვს არა მხოლოდ A-ს ქცევის რეაქციის მოლო-

---

[1] G.H. Mead, Mind, Self, Society, Chicago 1934, 76; მიდის მიხედვით მნიშვნელობაიდენტური ენობრივი სიმბოლო წარმოიშობა ობიექტური საზრისსტურქტურების თანმიმდევრული გაშინაგნების გზით. გენეტიკური თვალსაზრისითაც კი არ არის შემთხვევითი ის, რომ შიფერი და ბენეტი საბოლოოდ იძულებულნი არიან საყრდენად „ბუნებრივ მნიშვნელობებს"მიუბრუნდნენ.

დინი, არამედ – A-ს სიმბოლური გამოსახულებისაც. მიდს წარმოუდგენია, რომ ჟესტებით გაშუალებული ინტერაქციიდან სიმბოლურად გაშუალებულზე გადასვლის ახსნა შეიძლება იმ მექანიზმის დახმარებით, რასაც თვითონ „ინტერნალიზებას" უწოდებს. იმიტაციის სწავლის დაშვებას იგი სუსტ ვარაუდად მიიჩნევს და მის ნაცვლად მოიპოვებს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც S ორგანიზმი, რომელიც თავის A,B,C,D,E,... თანამოძმეებს ჟესტებით ესაუბრება, მაშინვე შეიძენს თვისობრივად სხვა ფორმის კომუნიკაციის უნარს როგორც კი სამუალება ეძლევა, თავათ მასა და მის პარტნიორებს შორის გაცვლის სისტემა ისე გაითვალისწინოს, რომ მან შეძლოს ჟესტებით გაშუალებული კომუნიკაციის ყველა ფაზის მოხილვა და ფანტაზიით *წინასწარგანჭვრეტოს* დაწყებული კომუნიკაციის პროცესის განვითარება.

8. რას ეწოდება უნივერსალური პრაგმატიკა? (1976) *

უნივერსალური პრაგმატიკის ამოცანაა შესაძლო ურთიერთგაგების უნივერსალური პირობების იდენტიფიცირება და მათი კვალადკონსტრუირება; სხვა კონტექსტებში „კომუნიკაციის საყოველთაო წანამძღვრების" შესახებაც ლაპარაკობენ; მე ვამჯობინებდი კომუნიკაციური ქმედების საყოველთაო წანამძღვართა შესახებ მელაპარაკა, რადგან ურთიერთგაგებაზე გამიზნული ქმედების ტიპი მე მის ფუნდამენტურ ტიპად მიმაჩნია. ამრიგად, მე ამოვდივარ (ისე რომ აქ ამის დასაბუთებას არ შევუდგები) იქიდან, რომ სოციალური ქმედების სხვა ფორმები როგორიცაა მაგ. ბრძოლა, შეჯიბრი, საზოგადოდ, წარმოადგენენ სტრატეგიულ ქცევებს გინა – ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ ქმედებათა დერივატებს. მაგრამ მე მინდა ერთი ნაბიჯით კვლავ წინ წავიწიო სოციოკულტურელური განვითარების იმ საფეხურზე, რომელზეც ენა ურთიერთგაგების სპეციფიკური მედიუმია და კომუნიკაციურ მოქმედებათა შორის გამოვარჩიო ექსპლიციტური მეტყველებამოქმედებები; ხოლო უგულვებელვყოფ არავერბილიზებულ მოქმედებებსა და ტანზემიტძასნილ ექსპრესივულ გამოხატულებებს.

1. მეტყველების მნიშვნელოვნებითი ბაზისი

აპელთან კონსენსუელური მეტყველებამოქმედებების საყოველთაო წანამძღვართა ფორმულირების შემდგომ შემოთავაზებას ვპოულობთ: ამგვარ წანამძღვართა იდენტიფიცირებისთვისო, იგი ფიქრობს, უნდა მივატოვოთ ქცევის ფაქტთა დაკვირვების პერსპექტივა და იმას უნდა ჩავუფიქრდეთ, „რაც ჩვენ აუცილებლობისამებრ ჩვენთვის და სხვისთვისაც უკვე ყოველთვის წინასწარ გვაქვს დაშვებული როგორც ურთიერთგაგების შესაძლებლობის ნორმატიული პირობები და ამ აზრით ისინი ჩვენს მიერ ყოველთვის უკვე მიღებულნი არიანო."[1] აპელი აქ იყენებს აპრიორულ პერფექტს („ყოველთვის უკვე") და მას აუცილებლობის მო-

---

* პირველად გამოქვეყნდა კ.ო. აპელის (გამოც.) წიგნში: ენის პრაგმატიკა და ფილოსოფია, მაინის ფრანკფურტი, 1976, 174-272.
წინამდებარე ნაშრომის პირველი ვარიანტის კეთილგანწყობილი კრიტიკისათვის მადლობას მოვახსენებ ე.ტუგენდჰათს და გ.გრეევენდორფს, რომლებიც მთლიანად არც გაუმჯობესებულ ვარიანტს ეთანხმებიან.

1. K.O.Apel, „Sprechakttheorie und transzendentale Sprachpragmatik zur Frage ethischer Normen", in: ders. (Hrsg.), Sprachpragmatik und Philosophie, Frankfurt 1976 und 1982, s. 10-173.

დუსსაც დაურთავს, რათა გამოიხატოს ის ტრანსცენდენტალური იძულება, რომელსაც ჩვენ მოლაპარაკენი ვემორჩილებით, როგორც კი მეტყველების აქტს ვასრულებთ, მას ვგებულობთ თუ მასზე პასუხს ვიძლევით; და ჩვენ აქტის შესრულებისას ანდა მისი დასრულების შემდეგ ვხედებით, რომ უნებლიედ გაგვიკეთებია განსაზღვრული წანამძღვრები, რასაც აპელი აქ „ურთიერთგაგების შესაძლებლობის ნორმატიულ პირობებს უწოდებს". დამატებამ „ნორმატიული" შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს. მაგრამ, რა თქმა უნდა, შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ საყოველთაოსა და უცილობელ, და ამ აზრით, ტრანსცენდენტალურ პირობებს შესაძლო ურთიერთგაგებისა ნორმატიული შინაარსი აქვსო, თუკი მასში არ იგულისხმება მარტო მოქმედების ანდა შეფასების ნორმათა მნიშვნელობის მახასიათებელი, და მით უფრო – საზოგადოდ მოწესრიგებათა მნიშვნელობის მახასიათებელი, არამედ იგულისხმება მეტყველების მნიშვნელოვნების ბაზისი მთელი თავისი მოცულობით. მე მინდა წინასწარ მოკლედ განვმარტო ის, თუ რას ვგულისხმობ „მეტყველების მნიშვნელოვნებითს ბაზისში".

მე განვავითარებ თეზისს იმის შესახებ, რომ თითოეული კომუნიკაციურად მოქმედი სუბიექტი ნებისმიერი მეტყველებამოქმედების შესრულებისას წამოაყენებს მნიშვნელოვნების პრეტენზიებს და უშვებს მათს ასრულებადობას. რამდენადაც მას საერთოდ სურს ურთიერთგაგების პროცესში მონაწილეობის მიღება, ამდენად მას არ შეუძლია არ წამოაყენოს ქვემოთ მოცემული სწორედ ეს უნივერსალური პრეტენზიები:

– *გასაგებად გამოხატოს* თავისი აზრი,
– *რაღაც* გააგებინოს,
– ამასთანავე *თავის თავი* გააცხადოს,
– და *ერთმანეთთან* შეთანხმებას მიაღწიონ.

მოლაპარაკემ უნდა აირჩიოს *გასაგები* გამოსახულება, რათა მოლაპარაკემ და მსმენელმა *ერთმანეთის გაგება* შეიძლონ; მოლაპარაკეს უნდა ჰქონდეს განზრახვა ჭეშმარიტი პროპოზიციური შინაარსის გაზიარებისა, რათა მსმენელმა მოლაპარაკის ცოდნის *გაზიარება შეძლოს*.

მოლაპარაკემ თავისი ინტენციები გულწრფელად უნდა გამოთქვას, რათა მსმენელმა ირწმუნოს (ენდოს) მოლაპარაკის გამოთქმა; დაბოლოს აუცილებელია, რომ მოლაპარაკემ შემოღებული ნორმებისა და ღირებულებების თვალსაზრისით სწორი გამოთქმა აირჩიოს, რათა მსმენელმა შეძლოს მისი მიღება ისე, რომ ორივემ როგორც მსმენელმა, ისე მოლაპარაკემ გამოთქმაში ერთმანეთთან თანხმობის მოპოვება შეძლონ მისი აღიარებული ნორმატიული ფონის თაობაზე. გარდა ამისა, საჭიროა, რომ კომუნიკაციური ქმედება აუმღვრეველად გრძელდებოდეს მხოლოდ იმდენ ხანს, ვიდრე ყველა თანამონაწილე არ ჩათვლის, რომ ორმხრივად წამოყენებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს სამართლიანად აყენებენ.

ურთიერთგაგების მიზანი არის თანხმობის მიღწევა, რომელიც ბოლოვდება ურთიერთმხრივი გაგების, გაზიარებული ცოდნის, ურთიერთნდობისა და ურთიერთთანხმობის ინტერსუბიექტური საზიარობით. თანხმობა ემყარება ოთხი შესაბამისი მნიშვნელოვნების პრეტენზიის აღიარებას: გასაგებობას, ჭეშმარიტებას, გულწრფელობას და სისწორეს. ვხედავთ, რომ გერმანულში გამოთქმა „ურთიერთგაგება" მრავალმნიშვნელოვანია. მას აქვს მინიმალური მნიშვნელობა, რომ ორ სუბიექტს იდენტურად ესმის ენობრივი გამოთქმა და მაქსიმალური მნიშვნელობა, რომ ორივე მათგანს შორის სუფევს თანხმობა გამოთქმის თაობაზე ერთობლივად აღიარებულ მის ნორმატიულ ფონთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კომუნიკაციის თანამონაწილეებს ძალუძთ სამყაროში რაღაცის თაობაზე მოლაპარაკება და – თავიანთი ინტენციების ურთიერთგაგებინება. სრული თანხმობა, რომელიც ოთხივე ზემოთდასახელებულ კომპონენტს შეიცავს ენობრივი კომუნიკაციის ნორმალური მდგომარეობა რომ ყოფილიყო, მაშინ აუცილებელი არ იქნებოდა, ურთიერთგაგებინების პროცესი შეთანხმების მიღწევის დინამიური ასპექტის მიხედვით გაგვეანალიზებინა. გარდამავალ ზონებში ტიპიურია, ერთი მხრივ, გაუგებრობისა და მრუდედგაგების, წინასწარგანზრახული და უნებლიე არაგულწრფელობის, მეორე მხრივ კი – წინასწარმოლაპარაკებულად ყოფნისა და გამიზნული ურთიერგაგების მდგომარეობანი. ურთიერგაგებინება არის თანხმობის მიღწევა ერთობლივად აღიარებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა წინასწარდაშვებულ ბაზისზე დაყრდნობით. როგორც კი ეს ფონისკონსენსუსი მოიშლება და როგორც კი, სულ ცოტა, მნიშვნელოვნების თუნდაც ერთი პრეტენზიისთვის შეჩერდება შესრულების განგრძობა, ამ დროს არსებობს პრინციპული ალტერნატივა სტრატეგიულ ქმედებაზე გადართვის ან კომუნიკაციის საერთოდ შეწყვეტის ანდა — ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების გადატანისა და განახლებისა არგუმენტაციული მეტყველების სიბრტყეზე (იმ მიზნით, რომ დისკურსულად შემოწმდეს ჰიპოთეტურად უზურნველყოფილი მნიშვნელოვნების პრეტენზია). შემდგომში მე ანგარიშს არ გაეუწევ როგორც დისკურსს, ისე სტრატეგიულ ქმედებას და მხედველობაში მივიღებ მხოლოდ და მხოლოდ კონსენსუელურ მეტყველებამოქმედებას.

ამასთანავე, ფონისკონსენსი, სახელდობრ ორმხრივ წამოყენებული მნიშვნელოვნების პრეტენზიათა „ერთობლივი აღიარება" ხამს, სულ ცოტა, შემდეგს ნიშნავდეს:

– მოლაპარაკემ და მსმენელმა იმპლიციტურად იციან, რომ თითოეულმა მათგანმა უნდა წამოაყენოს ზემოთდასახელებული მნიშვნელოვნების პრეტენზიები, თუ საერთოდ ჯერ არს, განხორციელდეს კომუნიკაცია ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების აზრით;

– ორივე მათგანი ურთიერთმხრივ უშვებს, რომ ისინი კომუნიკაციის ამ წანამძღვრებს სინამდვილეშიც ასრულებენ ე.ი. მათი მნიშვნელოვნების პრეტენზიები სამართლიანადაა წამოყენებული;

– ეს ნიშნავს ურთიერთზიარ დაჯერებულობას იმაში, რომ შესაბამისად წამოყენებული მნიშვნელოვნების პრეტენზიები ან (გამოთქმულ წინადადებათა გასაგებობის შემთხვევაში) უკვე არის შესრულებული ანდა (როგორც ჭეშმარიტების, გულწრფელობისა და სისწორის შემთხვევაში) მათი დაკმაყოფილება შესაძლებელია, რადგან წინადადებები, პროპოზიციები, გამოხატული ინტენციები და გამოთქმები აკმაყოფილებენ ადეკვატურობის შესაბამის პირობებს.

– ამრიგად, გრამატიკული წინადადების, ჭეშმარიტი პროპოზიციის, გულწრფელი ინტენციური გამოთქმის, კონტექსტმართებული, ნორმატიულად სწორი გამოსახულების *პირობებს* მე განვასხვავებ როგორც იმ *პრეტენზიებიდან*, რომლებსაც მოლაპარაკე ესწრაფვის წინადადების სრულყოფილებისათვის, პროპოზიციის ჭეშმარიტებისათვის, ინტენციური გამოხატულების გულწრფელობისა და მეტყველების აქტის სისწორისათვის, მეორე მხრივ ასევე განვასხვავებ მე მათ სამართლიანად წამოყენებული მნიშვნელოვნების პრეტენზიების შესრულებისაგან. შესრულება იმას ერქმეოდა, რომ პროპონენტს გამოცდილებებსა და ინტენციებზე დამყარებითა თუ არგუმენტებისა და მოქმედების შედეგთა მეშვეობით აღიარების ღირსობა დაესაბუთებინა და ვარგისობის ინტერსუბიექტური აღიარებისთვის მიეღწია. მსმენელი რომ მოლაპარაკის მიერ წამოყენებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიას ღებულობს, იგი აღიარებს სიმბოლურ გამოხატულებათა ვარგისობას ე.ი. იგი აღიარებს, რომ წინადადება გრამატიკულია, გამოთქმა ჭეშმარიტია, მოლაპარაკის ინტენცია წრფელია, ხოლო გამოხატულება – კორექტული. ამ სიმბოლურ გამოსახულებათა ვარგისობა *დასაბუთებულია* იმით, რომ ისინი აკმაყოფილებენ ადეკვატურობის განსაზღვრულ პირობებს; მაგრამ ვარგისობის საზრისი მდგომარეობს აღიარების ღირსობაში ე.ი. იმ გარანტიაში, რომ სათანადო პირობებში *შესაძლებელია* ინტერსუბიექტური აღიარების მიღწევა.[1]

---

[1] სამხრეთ-დასავლურ გერმანული ნეოკანტიზმის ჩარჩოებში ჯერ კიდევ ემილ ლასკმა მოახდინა „ტრანსსუბიექტური მნიშვნელოვნების" ცნების როგორც აღიარების ღირსობის რეკონსტრუირება ენობრივი გამოთქმების საზრისთან, გამოთქმათა ჭეშმარიტებასა და ხელოვნების ქმნილების მნიშვნელობასთან მიმართებაში. ლასკის მნიშვნელოვნების ფილოსოფია აერთიანებს ლოტცეს, ბოლცანოს, ჰუსერლისა და ბუნბრივია რიკერტის მოტივებს: „მნიშვნელადი ღირებულება არის აღიარების ღირსი, აღიარების ღირებულება, რაც თავდადებას იმსახურებს, იგი მას შეჰფერის, მოითხოვს გინა ესწრაფვის. მნიშვნელოვნება არის ღირებულება, მოთხოვნა, ნორმა. თითოეული ტერმინი როგორიცაა „ღირსება", „დამსახურება", „შეჰფერის", „მოითხოვს" კორელაციური ცნებაა და მიუთითებს მნიშვნელადობის შესაბამის სუბიექტურ ქცევაზე: ღირსეულად, როგორღაც განიხილო ანდა მიიჩნიო მოითხოვს გარკვეულ ქცევას... (E.Lask, „Zum System der Logik", in: Ges.Schriften, III, Tübingen 1924, S. 57-170, Hier S.92).

მე შემოგთავაზეთ „უნივერსალური პრაგმატიკა" როგორც კვლევის პროგრამის სახელწოდება, რომელიც ორიენტირებულია იმაზე, რომ მოახდინოს მეტყველების მნიშვნელოვნების ბაზისის რეკონსტრუირება.[1] ვიდრე (მეორე ნაწილში) მეტყველების აქტის თეორიას გამოწვლილვით გავარჩევდე, მინდა მას რამდენიმე წარმმართველი შენიშვნა წარვუმძღვრო. ამასთანავე საქმე ეხება მოთხოვნილი უნივერსალური პრაგმატიკის საგნისსფეროს გამიჯვნას, რათა განიმარტოს (2), ვიწრო აზრით გაგებული ემპირულ-ანალიტიკური მოქმედების მანერიდან განსხვავებული რაციონალური კვალადკონსტრუქციის ხერხი (3); საქმე ეხება, აგრეთვე, რამდენიმე მეთოდოლოგიურ სიძნელეს, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, რომ ლინგვისტიკა პრეტენზიას აცხადებს რეკონსტრუქციული მეცნიერების სტატუსზე (4); დაბოლოს (5) საქმე ეხება საკითხს იმის შესახებ, იქნებ მოთხოვნილი უნივერსალური პრაგმატიკა უფრორე ტრანსცედენტალური რეფლექსიის თეორიის ანდა ემპირულად დაშინაარსებული რეკონსტრუქციული მეცნიერების ადგილს იჭერს.

2. საგანთა სფეროს წინასწარი გამიჯვნა

კ.ო. აპელმა ძალიან ბევრ ნაშრომში მიუთითა იმ *აბსტრაქციულ მცდარ დასკვნაზე,* რომელიც საფუძვლად უდევს ენის ანალიტიკური მეცნიერული ლოგიკის ამოსავალს.[2] ენის ლოგიკური ანალიზი, რომელიც კარნაპიდან მომდინარეობს უპირატეს მიმართულია ენობრივი გამოხატულების სინტაქსურსა და სემანტიკურ ნიშან-თვისებებეზე. იგი თავისი საგნის სფეროს სტრუქტურალისტური ლინგვისტიკისებრ მიჯნავს, რაკი თავიდან აბსტრაჰირებას ახდენს ენის პრაგმატული ნიშან-თვისებებიდან და მოგვიანებით იმგვარად შემოაქვს პრაგმატული განზომილება, რომ შეუძლებელია დავინახოთ კონსტიტუციური კავშირ-მიმარ-

---

[1] ეს ვერ გაუგია იბარ-პილელს თავის კრიტიკაში: „On Habermas' Hermeneutic Philosophy of Language", in: Syntese 26, 1973, S.1-12. კრიტიკა ეხება წინდაწინ მოსახულ სასემინარო მონახაზს: „მოსამზადებელი შენიშვნები კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიისათვის", in: J.Habermas/N.Luhmann, Theorie der Gesellschaft oder Sotialtechnologie, Frankfurt 1971, S. 101-141.

მე ვგრძნობ, ბარ-პილელის მიერ ისე ბევრ პუნქტში ვარ ვერგაგებული, რომ არა მგონია გონივრული იყოს ცალკე რეპლიკის გაკეთება. იმედი მაქვს, ჩემი მიდგომის წინამდებარე (ჯერ ისევ ძალზე პროგრამატულ) მონახაზში საკმაოდ ნათლად გაერკვევა აგრესიულად განწყობილი და ჰერმენევტიკულად არც თუ განსაკუთრებულად გათვითცნობიერებული მკითხველიც.

[2] Z.B. K.-O. Apel, Transformatin der Philosophie, Bd. II Frankfurt 1971, S. 406ff.; ders., „Programmatische Bemerkungen zur Idee einer Transzensentalen Sprachgrammatik", in: Annales Universitat Turkuensis Saria, Series B Osa Tom 126, Turku, 1973, S. 11-35.

თებანი, ერთი მხრივ, ენისა და მოქმედების უნარმქონე სუბიექტის გენერაციულ ღვაწვებს შორის, ხოლო მეორე მხრივ – ასეთივე კავშირ-მიმართებანი მეტყველების საყოველთაო სტრუქტურებს შორის. რა თქმა უნდა, ლეგიტიმურია ის, რომ ენას როგორც სტრუქტურასა და მეტყველებას როგორც პროცესს შორის აბსტრაქციის კვეთი ჩაიდოს. მაშინ ენა გაგებული იქნება როგორც გამოთქმათა წარმოების წესთა სისტემა; ისე რომ უფლებამოსილნი ვართ სრულყოფილი გამოსახულება (მაგ. წინადადებები) ამ ენის ელემენტებად ჩავთვალოთ. მეორე მხრივ, ენაშემძლე სუბიექტებს როგორც კომუნიკაციის პროცესის მონაწილეებს შეუძლიათ გამოიყენონ ამგვარი გამოსახულებანი; მაგ წარმოთქვან წინადადებები, გაიგონ ისინი და მათზე პასუხი გასცენ. „ენის ეს აბსტრაქცია „მეტყველებაში" მისი გამოყენებიდან (langue vs. parole, language vs speech), რომელსაც სჩადის როგორც ფილოსოფია, ისე სტრუქტურალისტური ენის ანალიზი, ძალიან რაციონალური მეთოდია. მაგრამ ეს ანალიტიკური კვეთი არ შეიძლება გახდეს იმ შეხედულების მოტივი, რომ ენის პრაგმატული განზომილება, რომლის აბსტრაჰირება ხდება ფორმალურ (გინა ლინგვისტურ) ანალიზს უსხლტებაო. აბსტრაქციულ მცდარ დასკვანს მე იმაში ვხედავ, რომ ენობრივი წესების სისტემის რეკონსტრუქცია შედეგიანია თუ არა, სულ ცოტა იმ პერსპექტიულ გარემოებად მაინც მიიჩნევა, რომელიც ამართლებს ფორმალური ანალიზის შემოფარგვლას საგანთა ამ სფეროთი. ამ ორი ანალიტიკური სიბრტყის, „ენისა" და „მეტყველების" გათიშვა ისე არ უნდა ჩატარდეს, რომ ენის პრაგმატული განზომილება მხოლოდ და მხოლოდ ემპირული ანალიზის ე.ი. ისეთი ემპირული მეცნიერებების ანაბრად დარჩეს როგორიცაა მაგალითად ფსიქო და სოციოლინგვისტიკა.

მე მინდა წამოვაყენო თეზა, რომ არა მარტო ენაა ფორმალური ანალიზისთვის ხელმისაწვდომი, არამედ – მეტყველებაც ე.ი. გამოთქმებში წინადადებების გამოყენება. როგორც ენის ელემენტარული ერთეულები (წინადადებანი), ისე მეტყველების ელემენტარული ერთეულები (გამოთქმები) ვერ გაანალიზდებიან რეკონსტრუქციული მეცნიერების მეთოდურ განწყობაში.

მაგრამ ჩარლ მორისის[1] სემიოტიკაზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა კომუნიკაციის ზოგადი თეორიის საწყისები. იგი თავის საფუძველცნებითს ჩარჩოებში ახდენს ენისბიჰევიორიზმის (გაღიზიანებით სტიმულრებული ცალკე ორგანიზმის ნიშნებით გაშუალებული ქცევის რეაქცია) მოდელის ინტეგრირებას ცნობათაგადაცემის მოდელთან (მოცემულ არხში და (სულ ცოტა ნაწილობრივ მაინც) ნიშანთა საერთო მარაგში გამგზავნსა და მიმღებს შორის სიგნალების გაკოდირება და დეკოდი-

[1] Ch. Morris, „Foundations of the Theory of Signs", in: Encycl. Of Univ. Sciences I, No.2, Chicago 1938; ders., Signs, Language, Behavior, New York 1955, deutsch Düsseldorf 1974 (mit einer Einleitung von K.-O.Apel).

რება). თუ ვინმე მეტყველების პროცესის კონცეპტუალიზებას ამ საშუალებით ეწევა, მაშინ შეუძლებელია სათანადოდ დაისვას უნივერსალური პრაგმატიკის ძირითადი საკითხი შესაძლო ურთიერთგაგების საყოველთაო პირობათა შესახებ. ასე მაგალითად იმ მნიშვნელობათა ინტერსუბიექტურობა, რომლებიც სულ ცოტა ორი მოლაპარაკისთვის არიან იდენტურნი, სულაც არ იქნება პრობლემა, თუ (ა) როგორც ენის ბიჰევიორიზმის შემთხვევაში მნიშვნელობათა იდენტობა *რედუცირებული* იქნება[1] იმავე მოცულობის კლასებზე რა მოცულობისაც ქცევის ნიშანთვისებათა კლასები არიან ანდა როგორც ინფორმაციის თეორიაშია თუ (ბ) ანალიტიკურ სიბრტყეზე იქნება დადგენილი, რომ არსებობს გამგზავნისა და მიმღების საერთო კოდი და ნიშანთა მარაგი.

ემპირისტული საწყისების გვერდით, რომლებიც ამა თუ იმგვარად მორისის სემიოტიკას ეყრდნობიან, მოიპოვება აგრეთვე საინტერესო საწყისები მეტყველებისა და ქმედების ზოგადი სტრუქტურების ლოგიკური ანალიზისათვის. ქვემოთ ჩამოთვლილი ანალიზები უნდა გავიგოთ როგორც უნივერსალური პრაგმატიკის ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილები. ბარ-ჰილელმა ადრევე მიუთითა იმაზე, რომ აუცილებელია ლოგიკური სემანტიკის პრაგმატისტული. განვრცობა.[2] აღსანიშნავია, გარდა ამისა, *დეონტიკური ლოგიკის* მონახაზები (ჰარე, ჰ.რაითი, ნ.რეშერი)[3] და – შესაბამისი მცდელობანი ისეთი მეტყველების აქტების ფორმალიზებისა როგორიცაა მტკიცებები და შეკითხვები (აპოსტელი).[4] აქვე შემოდის არადედუქციური არგუმენტაციის ლოგიკის საწყისები (ტულმინი).[5] *ლინგვისტური მხრიდან* წინასწარგულისხმობათა (კიფერი, პეტიო-

---

[1] შდ. ჩემი შენიშვნები მორისის შეხედულებებზე წიგნში: Logik der Sozialwissenschaften, Frankfurt 1970, S. 150ff.

[2] Bar-hiller, „Indexical Exprwssions", in: Aspects of Language, Jerusalem 1970, S. 69-88; ders., „Semantics and Comunication", in: H.Heidrich, Semantics and Communication, Amsterdam 1974, S. 1-36. ბარ-ჰილელზე დაყრდნობით ა.კაშრმა შემოგვთავაზა ფორმალური რეპრეზენტაცია ენობრივი გამოთქმების ჩადებისათვის ენისგარეთაკონტექსტებში: „A step forward to a Theory of linguistic Performance", in: Y.Bar-Hillel (Ed.), Pragmatics of Natural Languages, Dordrecht 1971, S. 84-93. Ferner: R.C. Stalnaker, „Pragmatics", in: Davodson, Harman, Semantics of natural Language, Dordrecht 1972, S. 380-397.

[3] R.M. Hare, die Sprache der Moral, Frankfurt 1972; H.v. Wright, Norm and action, London 1963; N. Rescher, Topics in Philosophical Logic, Dordrecht 1968.

[4] L.Apostel, „ A Proposal on the Analysis of Questions", in: Logique et Analyse, 12,1969, S. 376-381; W. Kuhlmann, Reflexion Zwischen Theorie und Kritik, Frankfurt 1975.

[5] St. Toulmin, The Uses of Argument, Cambridge 1964; W.C. Salmon, The Foundation of Scientific Inference, Pittsburgh 1967; vgl. Das zusammenfassende Kapitel über „non-demonstrative inference", in: R.P. Botha, The Justification of Linguistic Hypotheses, den Haag 1973, S. 25-72.

ფი)[1], საუბრის პოსტულატთა (გრაისი, ლაკოფი)[2] მეტყველების აქტთა (როსი, მაკეველი, ვუნდერლიხი),[3] დიალოგებისა და ტექსტების (ფილმორი, პოსნერი)[4] გამოკვლევებს მივყავართ ენის პრაგმატული განზომილების გათვალისწინებამდე; იმავე მიმართულებაზე მიუთითებენ სემანტიკის თეორიის სიძნელეები (კატცი, ლიონსი).[5] ანალიტიკური ფილოსოფიის მხრივ უნივერსალური პრაგმატიკისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფრეგესა და რასელის მიერ დაწყებული დისკუსია *დენოტაციური გამოთქმების* (სტროსონი)[6] გამოყენების ლოგიკის თაობაზე; იგივე ითქმის *მოქმედების ანალიტიკური თეორიისათვის* (დანტო, პამპშირი, შვედეირი)[7] აგრეთვე – იმ დისკუსიაზე, რომელიც წამოიჭრება ინტენციური ქმედების განმარტების ლოგიკასთან მიმართებაში (ვინჩი, ტეილორი, რაითი).[8] – უნივერსალურპრაგმატიკული ასპექტის მქონეა ვიტგენშტაინის მიერ შემოტანილი მნიშვნელობის (ალსტონი)[9] მოხმარების თეორია და გრაისის მიერ განხორციელებული მცდელობა, წინადადების მნიშვნელობათა დაყვანისა მოლაპარაკის ინტენციებზე (ბენეტი,

---

[1] F. Kiefer, „On Presuppositions", in: F. Kiefer, N. Ruwet (Eds.), Generative Grammar in Europe, Dordrecht 1973, S. 218-242; K.H. Ebert, „Präsuppositionen im Sprechakt", in: Cate, Jordens (Hrsg.), Linguistische Perspektiven, Tbg. 1974, S. 45-60; F.Petöfi, Präsuppositionen in Linguistik und Philosophie, Ffm. 1974.

[2] H.P.Grice, „The Logic of Conversation" MS 1968; D.Gordon, G. Lakoff, „Convensational Postulates" MS 1973.

[3] J.R. Ross, „On Declarative Sentences", in: Jacob Rosenbaum (Eds.), Readings in English Transformational Grammar, Waltham, Mass. 1970, S. 222-277; J.D. MacCawley, „The Role of Semantics in a Grammar", in: Bach, Harms, Universals of Language, New York 1968, S. 125-170; D. Wunderlich, „Sprechakte", in: Maas, Wunderlich, Pragmatik und Sprachliches Handeln, Frankfurt 1972, S. 69-188; Ders., „Zur Konventionalität von Sprechhandlungen", in: D.Wunderlich (Hrsg.), Linguistische Pragmatik, Frankfurt 1972, D. 11-58.

[4] C.J.Fillmore, „Pragmatics and the Description of Discourse", MS 1973; G. Posner, Textgrammatik, Frankfurt 1973.

[5] J. Lyons, Einführung in die moderne Linguistik, München 1971, S. 409-492; J.J. Katz, Semantic Theiry, New York 1972.

[6] P.F. Strawson, Logico-Linguistic Papers, London 1971.

[7] A.C. Danto, Analytical Philosophy of Action, Cambridge 1973; St. Hampshire, Thougt and Action, London 1960; D.S. Shwayder, The Stratification of Behavior, London 1965; Care, Landesmsn (Eds.), Readings in the Theory of Action, London 1968.

[8] P.Winch, Die Idee einer Sozialwissenschaft, Frankfurt 1969; Ch Taylor, „Explaining Action", Inquiry 13, 1973, S. 54-89 (dt. In: ders., Erklärung und Interpretation in den Wissenschaften vom Menschen, Frankfurt 1975); H.v. Wright, Explantation and Understanding. London 1971; ders.: „On the Logic and Epistemology of the Causal Relation", in: P.Seppers (Ed.), Logic Methodology and Philos. Of Science, Vol. IV 1973, S. 293-312.

[9] W.P.Alston, Philosophy of Language, Englewood Cliffs 1964.

შიფერი).[1] როგორც უნივერსალური პრაგმატიკის იმედისმომცემ ამოსავალ წერტილს, ყოველისუწინარეს, მე ოსტინის მიერ სტიმულირებულ მეტყველებითი აქტის თეორიას (სერლი, ვუნდერლიხი)[2] ვემყარები.

ლოგიკიდან, ენისმეცნიერებიდან და ენის ანალიტიკური ფილოსოფიიდან შემუშავებული ეს საწყისები თანხვდებიან ერთ მიზანში, რომ სიტყვათხმარების პროცესები ფორმალური თვალსაზრისებით განიმარტოს. თუ ჯერარს, რომ ეს საწყისები იმ წელილის მხრივ შეფასდნენ, რომელიც მათ შეაქვთ უნივერსალურ პრაგმატიკაში, მაშინ რა თქმა უნდა, თავს იჩენს მისი სისუსტეები. მრავალ შემთხვევაში მე ვხედავ საფრთხეს, რომ შეიკვეცება შესაძლო ურთიერთგაგების პირობათა ანალიზი, სულ ერთია იქნება ეს იმის გამო

– რომ ეს საწყისები არ ეწევიან საკმარისად რადიკალურ განზოგადებას და ისე როგორც მაგალითად სემანტიკურ და პრაგმატიკულ წინასწარგულისხმობათა ლინგვისტური გამოკვლევების უმეტესობა ისინიც ვერ ახერხებენ შემთხვევით კონტექსტთა ფენის გარღვევასა და საყოველთაო და უცილობელი წინასწარგულისხმობებისკენ გაჭრას; ანდა

– რომ ეს საწყისები მაშინაც კი იფარგლებიან ლოგიკასა და გრამატიკაში შემუშავებული ინსტრუმენტებით, როცა ისინი (როგორც მაგ. მეტყველებამოქმედებათა პერფორმაციული ხასიათის სინტაქტიკური განმარტებებისას)[3] არაკმარან პრაგმატულ მიმართებათა საწვდომად; ანდა

– რომ ისინი არადამაკმაყოფილებლად გაანალიზებული საფუძველცნებების ფორმალიზებას გვაცდუნებენ, რაც ჩემი აზრით ჩანს ნორმათა ლოგიკის მაგალითზე, რომლებსაც მოქმედების ნორმები ბრძანებებზე დაჰყავს; ანდა დაბოლოს

– რომ ისინი ამოდიან ეული, მიზანრაციონალური აქტორის მოდელიდან და ამიტომ ისე როგორც მაგ. გრაისი ან ლევისი[4] არასათანადოდ არეკონსტრუირებენ იდენტურ მნიშვნელობათა თუ ინტერსუბიექტურ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა გაგებაში თანაზიარობის სპეციფიკურ მომენტს.

ჩემი შთაბეჭდილებით მეტყველების აქტის თეორია მნიშვნელოვნად თავისუფალია ამ და მსგავსი სისუსტეებიდან.

---

[1] J. Bennett, „The Meaning-Nominalist Strategy", Foundations of Language, 10/1973, S.141-168; S.R. Schiffer, Meaning, Oxford 1972; siche auch oben S.332ff.

[2] შეად. die von Savigny (in: J.L.Austin, Zur Theorie der Sprechakte, Stuttgart 1972) zusammengestelte Literatur S. 203ff.

[3] G.Grewendorf, „Sprache ohne Kontext", in: D. Wunderlich (Hrsg.), Linguistische Pragmatik, a.a. O., S. 144-182.

[4] H.P.Grice,, „Meaning" Phil. Rev., 66, 1957, S. 377-388; ders., „Utterer's Meaning, Sentence-Meaning, and Word-Meaning", Foundations of Language 4, 1968, S. 225-242; D.K.Lewis, Convention,Cambridge 1969.

3. შენიშვნები რაციონალური კვალადკონსტრუქციის ხერხისთვის

გამოთქმას „ფორმალური ანალიზი" აქამდე გამოწვლილვითი გარჩევის გარეშე ვუპირისპირებდი მოქმედების ვიწროდ გაგებულ ემპირიულ-ანალიტიკურ წესს. ასეთი რამ, სულ ცოტა, გაუგებრობაა. მაგრამ მე არ მინდა ფორმალური ანალიზი სტანდარტულ პრედიკატთა ლოგიკის ანდა სხვა რომელიმე განსაზღვრული ლოგიკის საშუალებით განვმარტო. ფორმალური ანალიზის ტოლერანტული მნიშვნელობა, რომლითაც მე იგი მესმის, შეიძლება ყველაზე საუკეთესოდ დახასიათდეს იმ მეთოდოლოგიური განწყობის მეშვეობით, რომელსაც ვიკავებთ ხოლმე ცნებების, კრიტერიუმების, წესებისა და სქემების რაციონალური კვალადკონსტრუქციებისას. ასე ვლაპარაკობთ ჩვენ მნიშვნელობებისა და ცნების ექსპლიკაციაზე, წანამძღვართა, წესების სისტემათა და ა.შ. ანალიზზე. ბუნებრივია, რომ რეკონსტრუქციული ხერხი ემპირულ-ანალიტიკური კვლევებისათვისაც მნიშვნელოვანია, მაგალითად – საფუძველცნებითი ჩარჩოების ექსპლიკაციისას, თავდაპირველად საყოველდღეო ენობრივად ფორმულირებული დაშვებების ფორმალიზებისას, ცალკეულ ჰიპოთეზებს შორის თანმიმდევრობის მიმართებათა განმარტებისას, გაზომვის შედეგთა ინტერპრეტაციისას და ა.შ. მაგრამ მიუხედავად ამისა რეკონსტრუქციული ხერხი არ არის დამახასიათებელი იმ მეცნიერებებისათვის, რომლებიც დაკვირვებადი საგნებისა და ხდომილებების სფეროთა შესახებ ნომოლოგურ ჰიპოთეზებს ამუშავებენ; პირიქით ეს ხერხები დამახასიათებელია იმ მეცნიერებათათვის, რომლებიც წინარეთეორიული *ცოდნის კვალადკონსტრუირებას ეწევიან*

(ა) მე მინდა ამოვიდე სენსორული ცდის ანდა *დაკვირვებისა* და კომუნიკაციური გამოცდილების ანდა *გაგების* განსხვავებიდან. დაკვირვება მიმართულია აღქმად ნივთებსა და ხდომილებებზე (გინა მდგომარეობებზე), ხოლო გაგება – გამოთქმათა საზრისზე.[1] დამკვირვებელი გამოცდილებას პრინციპულად მარტო აკეთებს, თუნდაც იმთავითვე მრავალი (ან სულაც ყველა) ინდივიდი ინაწილებდეს იმ კატეგორიალურ ბადეს, რომელშიც გამოცდილებანი ორგანიზდებიან როგორც ობიექტურობაზე პრეტენზიების მქონე გამოცდილებანი. საზრისისგამგები ინტერპრეტატორი კი, პირიქით, გამოცდილებას პრინციპულად იძენს როგორც კომუნიკაციის თანამონაწილე სხვა ინდივიდებთან სიმბოლოებით წარმოებული ინტერსუბიექტური მიმართების საფუძველზე, თუნდაც ეს სუბიექტები მარტოოდენ წიგნში, დოკუმენტსა ანდა ხელოვნების ქმნილებაში იმყოფებოდნენ: მე არ მინდა გაანალიზება აქვე განვაგრძო, არამედ მინდა, მხოლოდ ერთ ასპექტზე გავა-

[1] J. Habermas, Zur Logik der Sozialwissenschaften, a.a.O., S. 184ff.

მახვილო ყურადღება: აღქმად რეალობასა და სიმბოლური გამოსახულების გაგებად საზრისს შორის სიბრტყეთა სხვადასხვაობაზე. სენსორული გამოცდილება უშუალოდაა მიმართული რეალობის ნაკეთზე, ხოლო კომუნიკაციური გამოცდილება მასზე გაშუალებულადაა ორიენტირებული:

ცხრ. 2. სენსორული გამოცდილება კომუნიკაციურის საპირისპიროდ



სქემა გადმოსცემს სამ სხვადასხვა რელაციას:

– ემპირულ რელაციებს, გამოცდილების აქტებსა და მის საგნებს შორის; ამ აზრით გაგების აქტი ისე შეისაკუთრებს სიმბოლურ გამოსახულებას (აქ დაკვირვების წინადადებას) როგორც დაკვირვების აქტი – რეალობას (ისარი);

– გამოსახულებაში სინამდვილის ასპექტთა გამოსახვის რელაციებს; ამ აზრით განმარტება ისე გადმოსცემს სემანტიკურ შინაარსს (აქ დაკვირვების წინადადებას) როგორც დაკვირვების წინადადება – რეალობის ნაკეთს (დაშტრიხული ისარი);

– ინტენციურ აქტთა გამოხატვის რელაციები; ამ აზრით გაგება (აქ დაკვირვების წინადადებისა) განმარტების წინადადებაში ისევეა გამოხატული როგორც დაკვირვება დაკვირვების წინადადების პროპოზიციურ შინაარსში (ხაზები).

იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, მიმართებათა ეს სამი ტიპი რომ მხოლოდ მიანიშნებენ ფუნდამენტურ პრობლემებზე, დამატებით სიძნელეს იმის ზუსტი მითითებაც ქმნის თუ რაში მდგომარეობს დამკვირვებლისა და ინტერპრეტატორის ეპისტემური მიმართებანი მათი შესაბამისი საგნებისადმი და რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, დაკვირვების წინადადებასა და რეალობას შორის გამოსახვის რელაცია, ხოლო მეორე მხრივ, გამოხატვის რელაცია განმარტების წინადადებასა და (სიმბოლურად წინასწარსტრუქტურირებულ) სინამდვილეს შორის. ამ კითხვაზე პასუხი მოითხოვდა დაკვირვებისა და ინტერპრეტაციის, აღწერისა და ექსპლიკაციის ერთმანეთთან შედარებას.

უპირველეს ყოვლისა ხამს, სქემამ გაათვალსაჩინოოს რეალობის ორივე სიბრტყე, რომლებზეც არიან მიმართულნი შესაბამისად სენსორული და კომუნიკაციური გამოცდილება. აღქმად სინამდვილესა და სიმბოლურად წინასწარსტრუქტურირებულ სინამდვილეს შორის სიბრტყეთა სხვაობა აისახება რეალობასთან დაკვირვების გზით *პირდაპირ* მისასველესა და რეალობის *შესახებ* გამოთქმის გაგების გზით კომუნიკაციურად გაშუალებულ მისასველეს შორის განსხვავებაში.

(ბ) ცნებათა ორივე წყვილი „აღქმადი რეალობა" „სიმბოლურად წინარესტრუქტურირებული სინამდვილის" საპირისპიროდ და „დაკვირვება" „გაგების" საპირისპირო ექვემდებარება ცნებათა წყვილს „აღწერა" „ექსპლიცირების" საპირისპიროდ. დაკვირვების გადმომცემი წინადადების დახმარებით მე შემიძლია, *აღვწერო* სინამდვილის დაკვირვებაქმნილი ასპექტი; იმ წინადადების დახმარებით კი, რომელიც გადმოსცემს სიმბოლური გამოსახულების საზრისის განმარტებას, მე შემიძლია ამგვარი გამოხატვის *განმარტება*. მაგრამ ექსპლიკაცია როგორც დამოუკიდებელი ანალიტიკური ნაბიჯი მხოლოდ მაშინ გამოირჩევა, როცა ბუნდოვანია სიმბოლური გამოსახულების საზრისი. რამდენადაც საქმე ისეთ წინადადებებს ეხება, რომელთა დახმარებით მე რეალობას აღვწერ, ამდენად შესაძლებელია ბუნდოვანება სხვადასხვა სიბრტყეზე იდოს. სწორედ ამის მიხედვით მოვითხოვთ ჩვენ სხვადასხვა სახის ექსპლიკაციებს. თუ აღწერილი ფენომენი *განმარტებადაჭირვებულია*, ჩვენ მოვითხოვთ ექსპლიკაციას, რომელიც ცხადყოფს, თუ როგორ მუშაობს რეალობა და როგორ ხორციელდება განმარტებადაჭირვებული ფენომენი; თუ პირიქით თვითონ აღწერაა *გაუგებარი*, მაშინ მოვითხოვთ ისეთ ექსპლიკაციას, რომელიც ცხადყოფს იმას, თუ რას გულისხმობს დამკვირვებელი თავისი გამოთქმით და როგორ ხორციელდება ახსნა-განმარტებადაჭირვებული სიმბოლური გამოსახულება. ერთ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელ ექსპლიკაციას ექნება ისეთი განმარტების ფორმა, რომელსაც ვაწარმოებთ კაუზალური ჰიპოთეზის დახმარებით; მეორე შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ მნიშვნელობის ექსპლიკაციის შესახებ (ბუნებრივია, როგორც ჩვენს მაგალითში, მნიშვნელობის ექსპლიკაციები არ უნდა შემოიფარგლონ დესკრიპციული წინადადებებით; ყველა საზრისულად სტრუქტურირებული გამოსახულება შეიძლება დაემორჩილოს მნიშვნელობის ექსპლიკაციის ოპერაციას).

მაგრამ აღწერები და ექსპლიკაციები მოქმედების სხვადასხვა რადიუსის მქონენი არიან; მათ შეიძლება ზეპირიდან დაიწყონ და თვით საფუძვლადმდებარე სტრუქტურებს ჩასწვდნენ. ეს ჩვენთვის ბუნებრივ ფენომენთა განმარტებიდანაა ცნობილი: რაც უფრო ზოგადნი არიან თეორიები, რომელთა დახმარებითაც ჩვენ ფენომენებს განვმარტავთ, მით უფრო ღრმად წვდებიან თეორიული აღწერები. იგივე ითქმის მნიშვნელობის ექსპლიკაციათა გამოც. მაგრამ ამ შემთხვევაში ექსპლიკაციის

მოქმედების რადიუსი დამოკიდებულია არა დაკვირვებაში ხელმისაწვდომი სტრუქტურების შესახებ თეორიული ცოდნის ზოგადობის საფეხურზე, არამედ იგი დამოკიდებულია წესისამებრ წარმოებული სიმბოლური გამოსახულების სიღრმისეული სტრუქტურების ცოდნაზე. განმარტებადაჭირვებული ფენომენების ექსპლიკაცია *სხვა მიმართულებით* გაიჭრება წინ ვიდრე გამოთქმათა მნიშვნელობის ექსპლიკაცია.

(ვ) მე მინდა შემდგომ ერთმანეთისაგან განვასხვავო *მნიშვნელობის ექსპლიკაციის ორი საფეხური.* თუ ბუნდოვანია წერილობით დაფიქსირებული წინადადების, მოქმედების, ჟესტის, ხელოვნების ქმნილების, ხელსაწყოს, თეორიის, მოხმარების საგნის, ტრადიციით გადმოცემული დოკუმენტისა და ა.შ. საზრისი, მაშინ თავდაპირველი მნიშვნელობის ექსპლიკაცია მიემართება სიმბოლური გამოსახულების სემანტიკურ შინაარსს. როცა ჩვენ ვცდილობთ, გავიგოთ მისი შინაარსი, მის მიმართ იმავე პოზიციას ვიჭერთ, რაც მის ავტორს ეკავა, როცა იგი წინადადებას წერდა, ჟესტს ასახიერებდა, ხელსაწყოს ხმარობდა, თეორიას იყენებდა და ა.შ. ხშირად ჩვენ უნდა გავიდეთ კიდეც ავტორის მიერ ნაგულისხმებისა და წინასწრაგანზრახულის გარეთ და ისეთი კონტექსტი გავითვალისწინოთ, რომელსაც იგი არ იცნობდა.[1] *შინაარსის გაგება* ისეთ კავშირებს ეძიებს ხოლმე, რომლებიც გაუგებარ გამოსახულებათა ზედაპირულ სტრუქტურებს სხვა ცნობილ გამოსახულებათა ზედაპირულ სტრუქტურებთან აერთებს. ამრიგად, ენობრივი გამოთქმის ექსპლიკაცირება შესაძლებელი ხდება იმავე ენაზე პარაფრაზირების ანდა სხვა ენაზე გადმოღების გზით – ორივე შემთხვევაში კომპეტენტური მოლაპარაკენი სარგებლობენ ინტუიტურად შეცნობილი საზრისული მიმართებებით, რომლებიც გაბმულია ერთი რომელიმე ენის ლექსიკონის შიგნით ანდა ორ სხვადასხვა ენის ლექსიკათა შორის.

თუ მიზანი ამ გზით არ მიიღწევა მაშინ ინტერპრეტატორი თავს მოვალედ თვლის, შეიცვალოს განწყობა. ამრიგად, შინაარსის გაგების იმ განწყობას, რომელიც მიმართულია ზედაპირულ სტრუქტურებზე და რომელშიც, იგი ასე ეთქვათ, სიმბოლური გამოსახულებების საშუალებით იმ სამყაროს ჭვრეტს, რომელზეც რაღაც გამოითქმება, ინტერპრეტატორი ცვლის იმ განწყობაზე, რომელშიც იგი თვითონ წარმოქმნის სტრუქტურებზეა ორიენტირებული. მერე ინტერპრეტატორი ცდილობს სიმბოლურ გამოსახულებებს იმ წესების დახმარებით უყოს ექსპლიცირება, რომელთა მიხედვითაც იგი ავტორს უნდა შეექმნა. ჩვეულებრივი პარაფრაზებისა და თარგმნისას ინტერპრეტატორი, ასე ეთქვათ, ad hoc სარგებლობს სემანტიკური შინაარსის მქონე საზრისული მიმართებებით (მაგალითად ენის სხვადასხვა სიტყვებს შორის), როცა იგი უბრალოდ იყენებს ამ ენის კომპეტენტურ მოლაპარაკეთა მიერ გაზიარებულ ცოდ-

[1] ამას აღნიშნავს H.G. Gadamer, Wahrheit und Methode, Tübingen 1960.

ნას; ამიტომ თვითონ ავტორსაც სავარაუდოდ (სათანადო გარემოებებში) ინტერპრეტატორის როლი მიეწერება. მაგრამ განწყობა იცვლება მაშინვე როგორც კი ინტერპრეტატორი ცდილობს, არა მარტო *გამოიყენოს* მოლაპარაკის ეს ინტუიტური ცოდნა, არამედ მას *რეკონსტრუირება* უყოს. ამრიგად, ინტერპრეტატორი მზერას არიდებს სიმბოლურ გამოსახულებათა ზედაპირს, იგი აღარ უყურებს სამყაროს intentione recta პრიზმაში, არამედ ცდილობს, მათი ზედაპირის გზით სიმბოლური გამოსახულებების სიღრმეში ჩაიჭვრიტოს, რათა აღმოაჩინოს წესები, რომელთა მიხედვითაც ეს გამოსახულებები შეიქმნა (ჩვენეული მაგალითის შემთხვევაში ესენია წესები, რომელთა მიხედვითაც აგებულია ენის ლექსიკონი ანდა – სიტყვის ველი). გაგების საგანი აღარ არის სიმბოლური გამოსახულების *შინაარსი*, ანდა ის, რაც მასთან ერთად მოიაზრება განსაზღვრულ სიტუაციებში განსაზღვრულ ავტორთა მიერ, არამედ ასეთი საგანია ის ინტუიტური *წესცნობიერება*, რაც აქვს კომპეტენტურ მოლაპარაკეს თავისი ენის შესახებ.

(დ) ჩვენ შეგვიძლია (რაილის მიერ გატარებულ განსხვავებაზე დაჯრდნობით)[1], ერთმანეთისაგან განვასხვაოთ know how* ანდა კომპეტენტური სუბიექტის შეძლება, რომელსაც ესმის თუ როგორ უნდა წარმოქმნას რაიმე ანდა როგორ უნდა მიიღწიოს გარკვეული წარმატებას, და – მეორე მხრივ, know that* ანუ ექსპლიციტური ცოდნა იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება, რომ მას ასეთი რამ ესმის. ჩვენ შემთხვევაში ის, რასაც ავტორი გამოთქმაში გულისხმობს და ის, რაც ინტერპრეტატორს მასში შინაარსობრივად ესმის, არის *პირველი საფეხურის know that.* ავტორმა თავის გამოხატულება, რამდენადაც იგი საზოგადოდ არის წესმართებულად შექმნილი და აქედან გამომდინარე გასაგები გამოხატულება, განსაზღვრული წესების მიხედვით ანდა განსაზღვრული სტრუქტურების საფუძველზე აწარმოვა. იგი ერკვევა თავისი ენის წესთა სისტემასა და მის კონტექსტთა თავისებურებების გათვალისწინებით გამოყენებაში; მას აქვს წესთა ამ სისტემის წინარეთეორიული ცოდნა, რომელიც ყოველშემთხვევაში იმისთვის არის საკმარისი, რომ შესაბამისი გამოთქმა შეადგინოს. ეს იმპლიციტური წესცნობიერება არის *know how.* თავის მხრივ ინტერპრეტატორმა, რომელიც არა თუ ოდენ იზიარებს კომპეტენტური მოლაპარაკის ამ იმპლიციტურ ცოდნას, არამედ მისი გაგება სწადია, know how აუცილებლად უნდა გადაიყვანოს ექსპლიციტურ ცოდნაში ე.ი. *მეორე საფეხურის know that-ში.* ეს არის *რეკონსტრუქციული გაგების* და მაშასადამე წარმოქმნის სტრუქტურათა რაციონალური კვალადკონსტრუქციის აზრით

---

[1] G.Ryle, The Concept of Mind, dt. Stuttgart 1969; zur Interpretation vgl. E.v. Savigny, Die Philosophie der normalen Sprache, Frankfurt 1974, S. 91- 126.

* როგორ ცოდნა – მთარგმ. შენიშვნა

* რომ ცოდნა – მთარგმ. შენიშვნა

გაგებული მნიშვნელობის ექსპლიკაციის ამოცანა, რომელიც საფუძვლად უდევს სიმბოლურ გამოსახულებათა წარმოქმნას. რადგან მარეკონსტრუირებელი წესცნობიერება კატეგორიალური ცოდნაა, რეკონსტრუციის დროს ჩვენ თავდაპირველად დამოკიდებულნი ვართ ცნებითი ექსპლიკაციის ოპერაციაზე.

კარნაპმა წამოაყენა ოთხი მოთხოვნა, რომლებიც აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს ცნების ექსპლიკაციამ თუკი ხამს, იგი ადეკვატური იყოს:

„1. ექსპლიკატი* ხამს, ექსპლიკანდუმის* მსგავსი იყოს ე.ი. თითოეულ მნიშვნელოვან შემთხვევაში ამიერიდან ჯერ არს, ექსპლიკანდუმის ნაცვლად გამოყენებული იქნას ექსპლიკატი. 2. ჯერ არს, მოცემული იყოს წესები, რომლებიც *უფრო აზუსტებენ* ექსპლიკატის (სხვა მეცნიერულ ცნებებთან კავშირში) გამოყენების გვარეობას. 3.ექსპლიკატმა უნდა დაასაბუთოს ნაყოფიერება უფრო ზოგადი გამონათქვამების ფორმულირების თვალსაზრისით. 4.ექსპლიკატი ხამს, (იმ პირობით, რომ შესრულებული მოთხოვნები 1-დან მე-3; მოთხოვნის ჩათვლით) რაც შეიძლება *მარტივი* იყოს."[1]

მნიშვნელობის ექსპლიკაციის თაობაზე თავის განაზრებებს ვუნდერლიხი ასე აჯამებს.

„1. ექსპლიკაცია კარნაპის მიხედვით მე-2-დან მე-4 მოთხოვნის ჩათვლით ყოველთვის წარმოებს *თეორიების გათვალისწინებით;* ან ხდება ცენტრალური ცნებების (როგორიცაა „მნიშვნელობა") იმგვარად ექსპლიცირება, რომ მათ ექსპლიკატად შეესაბამებიან მთელი თეორიები ანდა ხდება სხვადასხვა ცნებების ექსპლიცირება მათს კავშირ-მიმართებებში. 2.ჩვენ ექსპლიცირებას ყოველთვის ვეწევით *ცხად შემთხვევათა დამოწმებით,* რათა მათზე დამყარებით ჩვენი ინტუიციების ზუსტი არგუმენტების საშუალებით ჩანაცვლება შევიძლოთ. მაგრამ მაშინ თეორია პასუხს იძლევა თითოეულ საზღვრით შემთხვევაზე; ანდა ჩვენ ცალ-ცალკე ცხადეყოფთ, თუ რა არის ცხადი საზღვრითი შემთხვევა. 3.ექსპლიკაციის ენა და ექსპლიკანდუმის ენა *ერთი და იმავე საფეხურისანი* არიან (მაგ. სალაპარაკო ენა ანდა მისგან წარმოშობილი სტანდარტიზებული ვერსია); ამრიგად, აქ საქმე არ ეხება აღწერის ენას ანდა მეტა-ენას ექსპლიკანდუმის ენასთან მიმართებაში (ექსპლიკატი არ აღწერს ექსპლიკანდუმს)."[2]

---

* რითაც განმარტება ხდება, განმმარტავი –მთარგმნ. შენიშვნა
* რისი განმარტებაც ხდება, განსამარტავი –მთარგ. შენიშვნა
[1] R. Carnap, W. Stegmüller, Induktive Logik und Wahrscheinlichkeit, Wien 1959, S. 15.
[2] D.Wunderlich, Grundlagen der Linguistik, Hamburg 1974, S. 209.

(ე) მე მგონია, რომ ერთი პუნქტი არ არის საკმარისად დამუშავებული ცნების ექსპლიკაციის ამ განაზრებებისას: მე ვგულისხმობ *წესცნობიერების ევალუაციურ მოღვაწეობას.* რეკონსტრუქციის შემოთავაზებანი მიმართულია წინარეთეორიული *ცოდნის* სფეროზე, ე.ი. არა *რომელიმე* იმპლიციტურ შეხედულებაზე, არამედ *შემოწმებულ* ინტუიციურ წინარეცოდნაზე. კომპეტენტური მოლაპარაკის წესცნობიერება მაგ. წინადადებათა გრამატიკალობის გათვალისწინებით, ფუნქციონირებს როგორც შეფასების ინსტანცია. მაშინ როცა შინაარსის გაგება მიმართულია ნებისმიერ გამოთქმაზე, რეკონსტრუქციული გაგება ორიენტირებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ სიმბოლურ საგნებზე, რომლებიც კომპეტენტური სუბიექტების მიერ არიან „შეცნობილად" ნიშანდებულნი. ასე მაგალითად, სინტაქსის თეორია, გამოთქმათა ლოგიკა, მეცნიერების თეორია, ეთიკა ამოდიან სინტაქსურად *სრულყოფილ* წინადადებათაგან, *სწორად* შედგენილ გამოთქმათაგან, *ვარგებულობა* დასაბუთებული თეორიებიდან, კონფლიქტთა მორალურად *უზადო* გადაწყვეტილებიდან, რათა მოახდინონ იმ წესების რეკონსტრუირება, რომელთა მიხედვითაც ეს გამოსახულებანი წარმოიქმნებიან. რამდენადაც ისე როგორც აქ მოტანილ მაგალითებში ინტუიტივურ შეფასებებს საფუძვლად უდევთ უნივერსალური მნიშვნელოვნების პრეტენზიები (წინადადებათა გრამატიკალობა, გამონათქვამთა მდგრადობა, ჰიპოთეზათა ჭეშმარიტება, მოქმედების ნორმათა სისწორე), ამდენად რეკონსტრუქციები მიმართულნი არიან ზოგადი გვარის წინარე თეორიულ ცოდნაზე, *უნივერსალურ შეძლებაზე,* და არ არიან ორიენტირებულნი მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული ჯგუფების კომპეტენციებზე (მაგალითად, იმის უნარზე, რომ წინადადებები ჩრდილო გერმანულ დიალექტზე გამოთქვა ანდა მძიმე იონთა ფიზიკის პრობლემები გადაწყვიტო), ანდა სულაც – განსაზღვრული ინდივიდების უნარზე (მაგ. XX-ის შუაში ისევ სანიმუშო ჩამოყალიბებითი რომანი წეროს). თუ სარეკონსტრუქციო წინარეთეორიული ცოდნა გამოხატავს უნივერსალურ შეძლებას, საყოველთა კოგნიტივურ, ენობრივ ანდა ინტერაქციურ კომპეტენციას (გინა ნაწილობრივ კომპეტენციას), მაშინ ის, რაც დაწყებულია როგორც მნიშვნელობის ექსპლიკაცია, გამიზნულია გვარის კომპეტენციათა რეკონსტრუქციაზე. ეს რეკონსტრუქციები თავიანთი მოქმედების რადიუსითა და სტატუსით ზოგად თეორიებს შეედრება.

ჩომსკის დიდი დამსახურებაა ის, რომ ეს იდეა დაამუშავა გრამატიკის თეორიის ნიმუშით (პირველად 1957წ. მაისში „სინტაქსურ სტრუქტურებში"). გრამატიკის თეორიის ამოცანა ძალიან ზოგადად რომ ვთქვათ არის, ისე უყოს რეკონსტრუირება იმ ინტუიტურ წესცნობიერებას, რაც საზიარაოა თითოეული კომპეტენტური მოლაპარაკისათვის, რომ რეკონსტრუქციის შემოთავაზებამ იგივე წესთა სისტემა წარმოადგინოს, რომელიც პოტენციურ მოლაპარაკეებს საშუალებას აძლევს, L

ენაში მოიპოვონ კომპეტენცია, სულ ცოტა ნებისმიერი წინადადებების შედგენისა, რომლებიც L ენაში გრამატიკულად ჩაითვლებიან და იმის გაგებისა, თუ L-თან მიმართებაში როგორ უნდა იქნან ერთმანეთისგან განსხვავებულნი სრულყოფილად შედგენილი და არაგრამატიკული წინადადებები.[1]

4. რეკონსტრუქციული ენათმეცნიერება ემპირისტული ენათმეცნიერების საპირისპიროდ

ვიმედოვნებ, რომ მეცნიერებათა რეკონსტრუქციული ხერხი, რომელსაც კომპეტენტურ სუბიექტთა მიერ პრაქტიკულად დაუფლებული წინარეთეორიული ცოდნა (know how) საგნობრივსა და ექსპლიციტურ (know that) ცოდნაში გადააქვს, იმ ზომად დავახასიათე, რომ ცხადი შეიქნა, თუ რა აზრით მინდა, გამოვიყენო გამოთქმა „ფორმალური ანალიზი". ვიდრე დავასახელებდე რეკონსტრუქციის ხერხით მოქმედი ლინგვისტიკის სიძნელეებს, მინდა ძალიან ტლანქ შტრიხებში ერთმანეთს შევუპირისპირო ენათმეცნიერებათა ორი ვერსია, სახელდობრ – ემპირულ-ანალიტიკური და რეკონსტრუქციული ენისმეცნიერებანი (ვუნდერლიხი ლაპარაკობს ემპირულ-დესკრიპციული და ემპირულ-ექსპლიკაციური ენათმეცნიერებების შესახებ).[2] ამ საწყისებს მე ოთხი თვალსაზრისით ვუდარებ ერთმანეთს.

მონაცემები: რამდენადაც გამოცდილების ბაზისი ხამს, მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვებებით უზრუნველყოს, ამდენად ენათმეცნიერული მონაცემები შედგება ენობრივ ქცევათა გარკვეული ცვლადებისაგან; რამდენადაც, ნაცვლად ამისა დაშვებულია კონსტრუქციული ხერხი, ამდენად მონაცემებს გვაწვდის კომპეტენტური მოლაპარაკის მაიევტიკურად (ე.ი. სისტემურად დალაგებული მაგალითების დახმარებით სათანადო გამოკითხვის გზით) მაძიებელი წესცნობიერება. ამრიგად, თუ უნდათ მონაცემებს განასხვავებენ მათი ონტოლოგიური საფეხურის მიხედვით: აქტუალური ენობრივი ქცევა აღქმადი რეალობის ნაწილია; წესცნობიერება მიუთითებს სიმბოლურ გამოსახულებათა წარმოქმნაზე, რომლებშიც რეალობის შესახებ რაღაც გამოითქმება.[3]

---

[1] N. Chomsky, Aspekte der Syntaxtheorie, Frankfurt 1969.

[2] D. Wunderlich, Grundlagen, a.a. O., S. 210-218.

[3] R.P.Botha, Justification, a.a.O., S. 75ff. Spricht in diesem Zusammenhang von external vs. internal linguistic evidence.

გარდა ამისა, დაკვირვებები ყოველთვის აღნიშნავენ რაღაც ცალკეულის შესახებ ცოდნას, მაშინ როცა წესცნობიერება შეიცავს კატეგორიალურ ცოდნას. დაბოლოს დაკვირვების მონაცემები ამორჩეულია ლინგვისტების ანალიტიკური თვალსაზრისებით, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში შესაძლო მონაცემებს თვითონ კომპეტენტური მოლაპარაკე აფასებს და წინასწარ არჩევს მათი გრამატიკული სრულყოფის თვალსაზრისით.

თეორია და საგანთა სფერო: რამდენადაც ბუნებრივი ენები მიჩნეულნი არიან ლინგვისტურ აღწერათა საგნად და არა რეკონსტრუირებადი წინარეთეორიული ცოდნის რეპრეზენტაციის ფორმად, ამდენად ლინგვისტური თეორია თავის საგანთა სფეროსთან ისეთ მიმართებაშია როგორშიც – კაუზალურ-ანალიტიკური თეორია, რომელიც ენობრივი რეალობის აღწერებს კანონის ჰიპოთეზათა დახმარებით განმარტავს. თუ ამიხ საპირისპიროდ, ლინგვისტური თეორია ხამს, წინარეთეორიული ცოდნის რეკონსტრუქციას ემსახურებოდეს, მაშინ თეორია თავის საგანთა სფეროსთან ისეთივე მიმართებაშია როგორშიც – მნიშვნელობის ექსპლიკაცია თავის ექსპლიკანდუმთან. მაშინ როცა ემპირისტულ ვერსიაში ლინგვისტური თეორიის ენისადმი მიმართება, რომლის განმარტებაც ჯერ არს, ძირეულად არ განსხვავდება თეორიასა და სინამდვილეს შორის იმ მიმართებიდან, რომელიც არსებობს სხვა ნომოლოგიურ მეცნიერებებში; მეორე ვერსიაში საგნის ენობრივი ქარაქტერი ისეთი ურთიერთობის ფორსირებას ახდენს, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰონდეს მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა ენობრივ გამოსახულებებს შორის; სახელდობრ, ეს არის ურთიერთმიმართება ექსპლიკაციასა და ექსპლიკანდუმს შორის, რომლის დროსაც ექსპლიკაციის ენა, მაშასადამე ენათმეცნიერული კონსტრუქტენა, რომელიც სალაპარაკო ენის სტანდარტიზირებულ ვერსიას წარმოადგენს, პრინციპულად იმავე საფეხურს განეკუთვნება, რასაც ბუნებრივი ენა, რომლის ექსპლიცირებაც ხამს (თეორიის ქმნადობის არც ემპირისტულ და არც ექსპლიკაციურ შემთხვევაში არ არის შესაძლებელი ლინგვისტური თეორიის მიმართება თავის საგანთა სფეროსადმი გაგებული იქნას როგორც მიმართება მეტაენასა და ობიექტენას შორის).[1]

თეორია და ყოველდღიური ცოდნა სხვადასხვანაირად დაწყებული კონცეპტუალიზირებებიდან შემდგომი თავისებურებაც გამომდინარეობს. ვიწრო აზრით გაგებულ ემპირულ-ანალიტიკურ თეორიას შეუძლია

[1] D.Wuderlich, Grundlagen, a.a.O., გვ. 216. თუკი მე მართებულად ვხედავ შნელე თავის, ენის ფილოსოფია და ლინგვისტიკა-ში, ჰამბურგი 1973, გვ. 82-114. იძლევა ენისმეცნიერებათა მოდელთეორიული ვერსიის ემპირისტულ გაგებას.

(როგორც წესი ასეც ხდება) ყოველდღიური ცოდნა, რასაც ჩვენ თავდაპირველად წინარემეცნიერულად ვფლობდით საგანთა სფეროს თაობაზე, უარყოს და შეცვალოს იგი სწორი ცოდნით, რომელიც წინასწარ მიჩნეული არის ჭეშმარიტ თეორიულ ცოდნად. რეკონსტრუქციის შეთავაზებას, პირიქით შეუძლია, წინარეთეორიული ცოდნა ბევრად თუ ცოტად ექსპლიციტურად და სათანადოდ წარმოადგინოს, მაგრამ იგი არასოდეს ეწევა ცოდნის ფალსიფიცირებას. უკიდურეს შემთხვევაში ყალბი შეიძლება აღმოჩნდეს მოლაპარაკის ინტუიციის გადმოცემა და – არა თვითონ ეს ინტუიცია;[1] იგი მონაცემში შედის, ხოლო მონაცემის განმარტება შეიძლება და არა კრიტიზირება. მონაცემებში დიდი-დიდი იმის კრიტიზირება მოხდეს, რომ ისინი არ არიან სათანადო მონაცემები, ე.ი. ან შეცდომით არიან მოძიებულნი ანდა ყალბად არიან ამორჩეულნი განსაზღვრული თეორიული მიზნისთვის.

რეკონსტრუქციები გარკვეულწილად *ესენციალისტურ პრეტენზიას* ადგენენ. მართალია, შეიძლება ითქვას, რომ თეორიული აღწერები, თუ ისინი ჭეშმარიტნი არიან ისევე „შეესაბამებიან" სინამდვილის განსაზღვრულ სტრუქტურებს როგორც რეკონსტრუქციები, როცა ისინი სინამდვილეს შეეფარდებიან. ე.ი. ექსპლიცირებული სიღრმისეული სტრუქტურების „მსგავსნი" არიან. მეორე მხრივ, დესკრიპციულ თეორიასა და მის საგანს შორის მტკიცებული შესატყვისობა, რეალისტური განმარტების გარდა, კიდევ მრავალ ეპისტემოლოგიურ განმარტებას უშვებს. რაციონალურ კვალადკონსტრუქციებს, პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ ესენციალისტური აზრით შეუძლიათ იმ წინარეთეორიული ცოდნის გადმოცემა, რომლის ექსპლიცირებასაც ეწევიან; თუკი ისინი ჭეშმარიტნი არიან, აუცილებელია ზუსტად შეესატყვისებოდნენ იმ წესებს, რომლებიც ოპერატიულად ქმედითნი არიან საგანთა სფეროში. ე.ი. ფაქტობრივად განსაზღვრავენ ზედაპირული სტრუქტურების წარ-

---

[1] ბოთა, გამართლება, ზემოთ ციტირებული, გვ. 224, ფიქრობს, რომ მოლაპარაკე არათუ სწორ ლინგვისტურ ინტუიციებს გადმოსცემს ყალბად, არამედ თვითონ შეიძლება პქონდეს ყალბი ინტუიციები; მაგრამ წინარეთეორიული ცოდნის კონსტრუქტი არ უშვებს ამ შესაძლებლობას. მე სავსებით გონივრულად მიმაჩნია იქიდან აპოსვლა, რომ ლინგვისტური ინტუიციები „ყალბი" შეიძლება იყონ, თუკი ისინი არაკომპეტენტური მოლაპარაკიდან მომდინარეობენ. სხვა პრობლემაა წინადადებათა მისაღებობის თაობაზე დიფუზურ მსჯელობათა განხორციელებისას გრამატიკულ (მაგ. პერცეფციულ) ცოდნის სისტემებს შორის ურთიერთმოქმედება; ე.ი. სხვა არის გრამატიკული წესცნობიერების გინა ძირეული ენობრივი ინტუიციების შესახებ გამოთქმათა იზოლირების საკითხი: Th. G. Bever, „The Ascent of the Specious", in: D.Cohen (Ed.), Explaining Linguistie Phenomena, New York 1974, S. 173-200.

მოქმნას.[1] აქედან გამომდინარე კორელაციის ჩომსკისეული დაშვება, რომლის მიხედვითაც ლინგვისტური გრამატიკა მოლაპარაკის მხრივ წარმოდგენილია ზუსტად შესატყვისი მენტალური გრამატიკის საშუალებით, თავდაპირველად თანამიმდევრულიც კია.

მეთოდოლოგიური სიძნელეები: მაგრამ ზოგადი ენათმეცნიერების, როგორც ენობრივი კომპეტენციის რაციონალური კვალადკონსტრუქციის ჩომსკისეულ პროგრამასთან დაკავშირებით, თავს იჩენენ მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური სიძნელეები. სხვათა შორის ჩამოყალიბდა დისკუსიის ორი კონტექსტი, რომლებიც მე მინდა მოვიხსენიო მეთოდოლოგიურ ასპექტებად. ერთი ეხება კომპეტენტურ მოლაპარაკეთა (ა) სტატუსსა და საიმედობას, მეორე კი – ახლახანს მოხსენიებულ მიმართებას ლინგვისტურსა და მენტალურ გრამატიკას შორის (ბ).

(ა) რეკონსტრუქციული ხერხით მოქმედი თეორიის ქმნადობის ამოსავალ პუნქტად მოლაპარაკის ინტუიციათა ამორჩევის წინააღმდეგ, ყოვლის უწინარეს, წამოყენებული იქნა *ორი შესიტყვება*[2] თავდაპირველად ეჭვის ქვეშ დგება ის, შეუძლია თუ არა საერთოდ რეკონსტრუქციული ხერხით მოქმედ ლინგვისტიკას, რომ მან მიაღწიოს ენობრივი კომუნიკაციის თეორიამდე, მის მიერვე შერჩეულ მონაცემთა ბაზისზე; საუკეთესო შემთხვევაში, იგი ხომ არ განვითარდება თეორიად იმ ინტუიციური გაგებისა, რაც კომპეტენტურ მოლაპარაკეს საკუთარი ენის შესახებ აქვს. რადგან საკუთარი სალაპარაკო სიტყვის მეტაენობრივი ხმარება, რომელსაც უნდა დაემყაროს მოლაპარაკის მსჯელობათა გამომყენებელი მეცნიერება, სხვა რაღაცას წარმოადგენს (და როგორც ჩანს სხვა კანონებს ემორჩილება) ვიდრე პირდაპირი სიტყვათხმარება, ამიტომ ჩომსკისეული ტიპის გრამატიკის თეორიას ენის კომპეტენციის დიდი-დიდი იმ სპეციალური ნაწილის რეკონსტრუირება ძალუძს, რომელიც მეტაენობრივ გამოყენებას აწესრიგებს და – არა იმ კომპეტენციისა, რომელიც საფუძველად უდევს მეტყველებასა და ენის გაგებას:

„ემპირიულ საკითხს წარმოადგენს ის, არის თუ არა სრული ლინგვისტური თეორია ადამიანური ლინგვისტური კომპეტენციის სრული თეორიის იდენტური... ჩომსკის ეჭვი არ შეაქვს ამგვარ იდენტობაში– მაშინ ლინგვისტური ქცევის ერთი ნაირსახეობის შესახებ თეორია,

---

[1] ამასთან დაკავშირებით უ.ოეევერმანი მიუთითებს საინტერესო პარალელზე პიაჟესეულ „მარეფლექტირებელი აბსტრაქციის" ცნებასთან. J.Piaget, Abriß der genetischen Epistemologie, Olter 1974. რაციონალური კვალადკონსტრუქციის ხერხი მხოლოდ და მხოლოდ სტაბილიზებული, და ასე ვთქვათ, კონტროლს დაქვემდებარებული ფორმა მარეფლექტირებელი აბსტრაქციისა, რომელსაც ასრულებს ბავშვი, როცა იგი მაგალითად ინსტრუმენტელურ მოქმედებაში საფუძველადმდებარე სქემას „ამოიკითხავს".

[2] W.J.M. Levelt, Formal Grammars inLinguistics and Psychologuistics, I-III, Amsterdam 1974.

კერძოდ კი ესაა ისეთ საგნებზე მეტალინგვისტური მსჯელობის თეორია როგორიც არის გრამატიკალობა და პარაფრაზი, როგორც მთელი ჩაშენებული იქნება ლინგვისტური ქცევის სხვა ფორმათა თეორიებში, როგორიც არის ლაპარაკი და გაგება... თუ ჩვენ გვინდა ვიაზროვნოთ ვერბალური ქცევის პირველადი და წარმოებული ფორმების თვალსაზრისიდან, მაშინ ენის ლაპარაკი და მისი გაგება ზუსტად პირველადი ფორმების კატეგორიაში შედის, იმ დროს როცა მეტალინგვისტური მსჯელობანი განიხილებიან ლინგვისტური ქცევის უაღრესად წარმოებულსა და ხელოვნურ ფორმებად, რომლებიც უფრორე მეტი მოგვიანებით საჭიროებდნენ განვითარებას... თავის მხრივ ემპირული პრობლემა ენის ფსიქოლოგიაში განიყოფება ორად: პირველადს სიტყვათხმარებაში ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოკვლევად და ლინგვისტური ინტუიციების ფსიქოლოგიურ კვლევად".[1]

ვფიქრობ, რომ ამ შესიტყვებას საფუძვლად უდევს კვლევის იმ ორი პარადიგმის ურთიერთშერევა, რომლებიც ახლახანს განვმარტეთ ემპირულ-ანალიტიკურ და რეკონსტრუქციულ პარადიგმებად. გთავაზობთ სამ შენიშვნას ამის თაობაზე:

– რეკონსტრუქცია ემყარება წინარეთეორიული ცოდნის კომპეტენციის მქონე მოლაპარაკეს; ეს ცოდნა კი, ერთი მხრივ, გამოიხატება ბუნებრივ წინადადებათა წარმოებაში და მეორე მხრივ, ენობრივ გამოსახულებათა გრამატიკალობის შეფასებაში. რეკონსტრუქციის საგანი არის იმ წინადადებათა წარმოქმნის პროცესი, რომლებსაც კომპეტენტური მოლაპარაკე ყოველთვის გრამატიკულ წინადადებათა მასას მიათვლის ხოლმე. მეტაენობრივი გამოხატულებანი კი, რომლებშიც კომპეტენტური მოლაპარაკე, პირიქით, წინდებული წინადადებების შეფასებას ეწევა, რეკონსტრუქციის საგანს კი არ წარმოადგენენ, არამედ – მონაცემთა მოძიების შემადგენელ ნაწილს.

– ბუნებრივი ენის რეფლექსურ მახასიათებელთა გამოისობით ნათქვამის შესახებ ლაპარაკი, მეტყველების შემადგენელ ნაწილთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოხსენიება, განეკუთვნება ნორმალური ენობრივი ურთიერთგაგების პროცესს. გამონათქვამი „მეტაენობრივი მსჯელობანი" ბუნებრივ ენაში ამავე ენის წინადადებათა შესახებ ჩაგვაგონებს სიბრტყეთა ისეთ დიფერენცს, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს: ბუნებრივ ენათა ერთობ საინტერესო ნიშან-თვისებებს განეკუთვნება ის, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება მათივე ექსპლიკაციის ენად. (ამ საკითხს ისევ მივუბრუნდები).

– გაუგებრობა მგონი იმაშია, რომ ლეველთი მოლაპარაკის ინტუიციებზე დაყრდნობას კვლევის პარადიგმისგან მოწყვეტილად განიხილავს. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როცა ბუნებრივი ენის რეალობასთან და გამონათ-

---

[1] Levelt, Formal Grammars, a.a. O., Bd. III, S. 5-7.

ქვამებთან ვიწრო აზრით გაგებული ემპირულ-ანალიტიკური მისასვლელია დანაწანამძღვრებული, შესაძლო ხდება, ერთი მხრივ, მეტყველებისა და ენისგაგების, ხოლო მეორე მხრივ, ენაში ენის შესახებ მსჯელობათა საგნების ორ სხვა და სხვა სფეროდ გაგება. მაგრამ თუ რეკონსტრუქციულ მიდგომას ირჩევენ, მაშინ ხდება საგანთა სფეროს კონცეპტუალიზება, რომლის მიხედვითაც კომპეტენტური მოლაპარაკის know -how იმ წინადადებებს ესაფუძველება, რომლებსაც იგი ამ know-how-ს დახმარებით (და მხოლოდ და მხოლოდ მისი დახმარებით) აწარმოებს. შესაძლებელია, რომ კვლევის ეს პარადიგმა უნაყოფო აღმოჩნდეს. მაგრამ ეს არ წყდება კრიტიკის იმ სიბრტყეზე, რომელსაც უკვე აქვს დაწანამძღვრებული კვლევის მოკონკურენტე პარადიგმა, არამედ წყდება მხოლოდ იმ თეორიებისა და განმარტებების წარმატებითა თუ წარუმატებლობით, რომელსაც კვლევის მოკონკურენტე პარადიგმები შესაძლებელყოფენ.

მეორე შესიტყვება მიმართულია მოლაპარაკის ინტუიტურად ფუნდირებულ მსჯელობათა არასაიმედობის წინააღმდეგ, რისი შთამბეჭდავი ემპირული საბუთებიც არსებობს.[1] მეორე მხრივ, ამავე დროს მგონია, რომ მოლაპარაკის მსჯელობათა ემპირული განმარტება ყალბ მოლოდინთა სტიმულს იძლევა და თავს გვახვევს ყალბ დამხმარე საშუალებას. არა გვაქვს უფლება გამოთქმა „ინტუიტური ცოდნა" ისე გაიგოთ, თითქოსდა წინადადების (დედუქციის დამაჯერებლობის შესახებ, თეორიის მართებულობის თაობაზე და ა.შ.) გრამატიკალობის თაობაზე მოლაპარაკის წინარეთეორიული ცოდნა პირდაპირ გამოკითხვად ინტუიციათა ჯურისა იყოს, რომელთაც არ შესწევთ დისკურსული ლეგიტიმაციის უნარი. საპირისპიროდ ამისა, იმპლიციტური ცოდნა უნდა გაცნობიერდეს სათანადო მაგალითებისა და კონტრმაგალითების, კონტრასტისა და მსგავსების რელაციათა, თარგმანთა, პარაფრაზებისა და ა.შ. მეშვეობით ე.ი. – კარგად გააზრებული, მაიევტიკური მეთოდის გზით. მოლაპარაკის ე.წ. ინტუიციების გამორკვევა უკვე მათი ექსპლიკაციის დასაწყისია. აქედან გამომდინარე მე მგონია, რომ ჩომსკისა და სხვა მრავალთა მიერ პრაქტიკაში გამოყენებული ხერხი გონივრული და დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს: ამოდიან თვალნათლივი შემთხვევებიდან, რომელთა დროს კითხულის რეაქციები არ არის გაფანტული, რათა ამ საფუძველზე განავითარონ სტუქტურათა აღწერები და მერე მოპოვებულ ჰიპოთეზათა შუქზე იმგვარად დააზუსტონ უფრო ბუნდოვანი შემთხვევები, რომ გამოკითხვის პროცესმა ამ შემთხვევების საკმარისი განათლებაც გამოიწვიოს. მე ვერაფერ სიყალბეს ვერ ვხედავ მოქმედების ამ წრიულ წესში; თითოეული კვლევის პროცესი სწორედ საგანთა

[1] Levelt, Formal Grammars, a.a. O., Bd. III, S. 14.ff.

სფეროს დაზუსტებასა და თეორიის ქმნადობას შორის ამგვარ წრეში ტრიალებს.[1]

(ბ) უფრო რთულია მეორე მეთოდოლოგიური საკითხი, რომელიც ბოლო ათწლეულის ფსიქოლინგვისტიკაში ემპირულ საკითხად იქცა განხილული და სული შთაბერა უამრავ გამოკვლევას; სახელდობრ ლაპარაკია საკითხზე იმის შესახებ, არსებობს თუ არა, ასე ვთქვათ, მოლაპარაკის „თავში" პირდაპირი შესატყვისობა ლინგვისტურ გრამატიკულ თეორიასა და

---

[1] იმ ეჭვის საპირისპიროდ, რომელსაც ბოთა (გამართლება, ზემოთ ციტ. გვ. 224) წამოქრის „ნათელი შემთხვევების პრინციპის" წინააღმდეგ მე მინდა მოვიტანო ციტატი ჯ.ჯ.კატცისა და ბ.ჯ.ბეევერისა ემპირიზმის კრიტიკული ნაშრომიდან,(„The Fall and Rise of Empiricism", MS Febr. 1974, S38f.),სადაც ისინი მსგავსი ეჭვის წინააღმდეგ ენერგიულად ილაშქრებენ: „ამგვარი თეორია.. ცდილობს, ინტუიციები ფონოლოგურ თვისებათა ურთიერთდაკავშირებულობის თაობაზე ახსნას ფონოლოგიური კომპონენტის თეორიის თვალსაზრისით; ინტუიციები სინტაქსური თვისებათა ურთიერთდაკავშირებულობის თაობაზე – განმარტოს სინტაქსური კომპონენტის თეორიის თვალსაზრისით, ხოლო ინტუიციები სემანტიკურ თვისებათა ურთიერთდაკავშირებულობის თაობაზე სემანტიკური კომპონენტის თეორიის თვალსაზრისით ახსნას. დაბოლოს, გრამატიკის თეორია ცდილობს სხვადასხვა სახეობათა შორის მიმართების თაობაზე ინტუიციები ახსნას იმ სემანტიკურ კავშირთა თვალსაზრისით, რომლებიც გამოხატულია გრამატიკის იმ მოდელში, რომელიც თავის კომპონენტებს თავს უყრის ერთადერთი თეორიის სახით, ენაში ბგერა–მნიშვნელობას შორის კორელაციის თაობაზე.

რა თქმა უნდა, ეს შენიშვნები თეორიული იდეალის აღწერის მაგივრია. მაგრამ როგორც კი გრამატიკის თეორია წინ მიდის ამ იდეალისკენ, იგი არა მარტო გრამატიკათა კონსტრუქციებს უწესებს მიჯნებს და იძლევა გრამატიკულ სტრუქტურათა უფრო მდიდარ ინტერპრეტაციას, არამედ განსაზღვრავს სულ უფრო და უფრო ფართო ნიშან-თვისებათა და მიმართებათა კლასს. ასე რომ იქცევა იგი უფრო ნათლად და გამორჩეულად და საიმედოდ გამოყოფს გრამატიკულ სფეროს, ვიდრე ამის გაკეთება თავდაპირველი ინტუიციების ბაზისზეა შესაძლებელი. როგორც ფოდორმა შენიშნა მახვილგონიერულად, ამგვარი თეორია პედანტურად განსაზღვრავს თავის თემას თავისივე წინსვლის მსვლელობაში: „ეარდა ამისა არსებობს ერთი მნიშვნელოვანი გრძნობა, რითაც მეცნიერება აღმოაჩენს, თუ რის შესახებ არსებობს თეთონ: ასეთი გრძნობა მას ეუფლება როცა ხვდება, რომ მის მიერ აღმოჩენილი კანონები და ცნებები, რომელთა მიზანია ფენომენთა ერთი ტენდენციის ახსნა, შეიძლება ნაყოფიერად იქნას გამოყენებული სხვა ყაიდის ფენომენთა მიმართ. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ და მხოლოდ რეტროსპექტივაში ვთქვათ ყველა იმ ფენომენის შესახებ, რომელსაც ერთადერთი თეორიული ჩარჩო მოიცავს, რომ ისინი სწორედ ისეთნი არიან, რასაც ჩვენ ეგულისხმობთ მაგ. პრესისტემატიკური ტერმინით „ფიზიკური მოვლენა", „ქიმიური ინტერაქცია", ანდა „ქცევა". რამდენადაც ამგვარი ტერმინები ან მათი გამოყენებანი ნეოლოგისტურნი არიან, ამდენად ნეოლოგიზმი გამოწვეულია წვდომებით, რომლებსაც ახორციელებენ წარმატებული თეორიები იმ სიღრმისეულ მსგავსებათა საწვდომად, რომლებიც საფუძველად უდევს ერთი შეხედვით ჰეტეროგენულ მოვლენებს". (Fodor, J.A. Psychological Explanation, Random House, New York, 1968, pp10-11).

მენტალურ გრამატიკას შორის.[1] კორელაციის ჰიპოთეზის მიხედვით ლინგვისტური კვალადკონსტრუქციები არ არიან ლინგვისტურ მონაცემთა თვალნათლივი და ეკონომიური გამოსახულებანი; პირიქით ტრანსფორმაციონალური კომპლექსურობა, რომლებიც ამოკითხული უნდა იქნას ენობრივ გამოსახულებათა სტრუქტურის აღწერაში ხამს, შეესატყვისებოდეს წარმოქმნის ფაქტობრივი პროცესის ფსიქოლოგიურ კომპლექსურობას. აქ დაწვრილებით არ გავარჩევ ცალკეულ გამოკვლევებსა და სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. ფსიქოლინგვისტიკაში აშკარად ძლიერდება ტენდენცია ძირეული კორელაციის ჰიპოთეზებზე უარის თქმისა. მენტალური გრამატიკა, რომელიც ფსიქოლოგიურად უდაო ენობრივ პროდუქციასა და გაგების შესაბამის პროცესებს უდევს საფუძვლად, ბეევრის, ვატისა და სხვათა აზრით ვერ განიმარტება კომპეტენციის თეორიის ე.ი. კონსტრუქციულად განსაზღვრული ლინგვისტიკის ფარგლებში. ამ უთანხმოებათა შეფასებაში თავს ვერ ვგრძნობ ძალიან დარწმუნებულად, მაგრამ მაინც მინდა დაკასახელო ორი თვალსაზრისი, რომლებსაც რამდენადაც მე ვიცი, საკმარისად არ ითვალისწინებენ დისკუსიაში:

– როგორი ინტენსივობის უნდა იყოს რეკონსტრუქციული ლინგვისტიკის ესენციალისტური მტკიცებები წესების კვალადკონსტრუირებული სისტემის ფსიქოლოგიური რეალობის გათვალისწინებით? მე ზედმეტად ძლიერი მგონია ჩომსკის მატურაციონალისტური* ვარაუდი, რომ გრამატიკის თეორია სწორედ თანდაყოლილ დისპოზიციებს წარმოადგენს, რომელიც ბავშვს ანიჭებს უნარს, რომ მან ჩამოაყალიბოს ენის დაუფლების წარმმართველი, გარემოს ენობრივ მონაცემთა დამმუშავებელი ჰიპოთეზები.[2] პირიქით, რეკონსტრუქციული ცნებითი სტრატეგიის შიგნით საკმარისია დამაჯერებელი ვარაუდი იმისა, რომ გრამატიკული თეორია მოზრდილი მოლაპარაკის ენობრივ კომპეტენციას წარმოადგენს. თავის მხრივ, ეს არის სწავლის პროცესის რეზულტატი, რომელიც ალბათ მაინც ისე მიხდევს რაციონალურად კვალადკონსტრუირებად ნიმუშს როგორც კოგნიტიური განვითარება ანდა მორალური ცნობიერების ჩამოყალიბება.[3] კომპეტენციის თეორიის ჩარჩოთა დატოვების გარეშე, როგორც ბევრი გვთავაზობს, ეს თეზა იმდენად დაკარგავს ძალას, რომ არაენობრივი აღქმითი მექანიზმები ანდა საზოგადოდ არაენობრივი ცოდნის სისტემა შეავიწროვებენ გრამატიკული წესების ცოდნასა და გამოყენებას.

---

[1] H.Leuninger, M.H. Miller, Psycholinguistik, Frankfurt 1973; dies. (Hrsg.), Linguistik and Psychologie, Frankfurt 1974; H.Leuninger, „Linguistik und psychologie", in: R.Bartsch, Vennemenn (Hrsg.), Linguistik und Nachbarwissenschaten, Knorberg 1973, S.225-241.

* სიმწიფის მდგომარეობასთან დაკავშირებული –მთარგმ. შენიშვნა

[2] E.H.Lenneberg, Biologische Grundlagen der Sprache, Frankfurt 1972; ders., „Ein Wort unter uns", in: Leuniger et al.,linguistik und Psychologie, a.a.O., S.53-72.

[3] L.Kohlberg, Die Entwicklung des Kindes, Frankfurt 1974.

– მე ზუსტად არ ვიცი, თუ ჩომსკისეული კომპეტენციის თეორიის აღიარებულ ესენციალისტურ იმპლიკაციათა ფსიქოლინგვისტური კრიტიკა, თავის მხრივ, რამდენად დაიჯანება კვლევის პარადიგმათა სიმრავლის მატებაზე. ამის დამაკმაყოფილებელი განბჭობა მხოლოდ მაშინ მოხდებოდა გარკვეულობა რომ არსებულიყო იმის თაობაზე, თუ რა გზით შეიძლება გადამწყდესა და საჭიროების შემთხვევაში გაყალბდეს კიდეც კომპეტენციის თეორიები. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფსიქოლინგვისტური გამოკვლევები ემპირიულ-ანალიტიკური წესით მოქმედებენ და a limine უგულებელყოფენ კომპეტენცია/პერფორმაციას* შორის განსხვავებას.[1]

5. უნივერსალური პრაგმატიკა ტრანსცენდენტალური ჰერმენევტიკის საპირისპიროდ

მას შემდეგ რაც რეკონსტრუქციული მეცნიერების იდეა წარმოვადგინე და რეკონსტრუქციული წესით მოქმედი ლინგვისტიკა (ასევე მისი ორი მეთოდოლოგიური სიძნელე) მოკლედ გავარჩიე, მინდა წინასწარ შევეხო კიდევ ერთ შემდგომ საკითხს. შესაძლო ურთიერთგაგების პროცესის საყოველთაო და უცილობელი წინასწარგულისხმობანი როგორ მიმართებაშია გამოკვლევის იმ ტიპთან, რომელსაც კანტიდან მოკიდებული ტრანსცენდენტალურ ანალიზს უწოდებენ? კანტი ტრანსცენდეტალურს უწოდებს ისეთ გამოკვლევას, რომელიც a priori იძლევა და აანალიზებს გამოცდილების შესაძლებლობის პირობებს. ნათელია საფუძვლადმდებარე იდეა, რომ ემპირიული შემეცნების გვერდით, რომელიც დამოკიდებულებაშია გამოცდილების საგნებთან, ჯერ არს, არსებობდეს ტრანსცენდენტალური შემეცნება, რომელსაც გამოცდილების საგნებთან ერთად საქმე აქვს საზოგადოდ საგანთა დაწინდაწინებულ ცნებებთან. უფრო ცოტათი თვალნათლივია მეთოდი, რომლითაც ჩვენ ვასაბუთებთ საგანთა a priori ცნებებს როგორც შესაძლო გამოცდილებათა დავარგებულ პირობებს. თეზისის თვითონ საზრისია სადაო: „საზოგადოდ შესაძლო გამოცდილების a priori პირობები, ამავე დროს, გამოცდილების საგანთა შესაძლებლობის პირობებიცაა“.[2]

---

* სიტყვათხმარება კონკრეტულ სიტუაციაში – მთარგმ. შენიშვნა

[1] იხ. ამასთან დაკავშირებით, U.Oevermann, „Kompetenz und Performanz" MS MPI Bildungsforschung 1974.

[2] Kant, Kritik der reinen Vernunf, A III.

კანტისეული პროგრამის ანალიტიკურ რეცეფციას, რომლის მაგალითსაც სტოვსონი იძლევა,[1] ტრანსცენდენტალურის მინიმალისტურ განმარტებამდე მივყავართ. თითოეული კოჰერენტული გამოცდილება ორგანიზებულია კატეგორიალურ ქსელად; რამდენადაც ნებისმიერ კოჰერენტულ გამოცდილებაში ერთსა და იმავე იმპლიციტურ ცნებითს სტრუქტურას აღმოვაჩენთ, ამდენად უფლება გვაქვს შესაძლო გამოცდილების ამ ძირეულებითს სისტემას „ტრანსცენდენტალური" ეუწოდოთ. ეს კონვენცია უარს ამბობს პრეტენზიაზე, რომლის შესრულება კანტს სურდა ტრანსცენდენტალური დედუქციის საშუალებით; – პრეტენზიაზე საზოგადოდ შესაძლო გამოცდილების საგანთა შესახებ ჩვენი ცნებების ობიექტური ღირებულებების დასაბუთებისა.[2] კანტისეული ფილოსოფიის მკაცრი აპრიორიზმი უთმობს უფრო სუსტ ვერსიას. ტრანსცედენტალური გამოკვლევა აწ უკვე მინდობილია შემმეცნებელი სუბიექტების კომპეტენციას, რომლებიც სჯიან იმას, თუ რომელ გამოცდილებებს შეიძლება ეწოდოთ „კოჰერენტული", რათა ეს მასალა შემდეგ გაანალიზებული იქნას საყოველთაო და აუცილებელი კატეგორიალური წანამძღვრების მიხედვით. შესაძლო გამოცდილების საფუძველცნებითი სისტემის თითოეული რეკონსტრუქცია განხილული უნდა იქნეს როგორც ჰიპოთეტური შეთავაზება, რომლის გადამოწმება შეიძლება ახალ გამოცდილებათა დახმარებით. „ტრანსცენდენტალურს" ჩვენ ეუწოდებთ ყველა კოჰერენტულ გამოცდილებაში კვლავდაბრუნებად ცნებითს სტრუქტურას, ვიდრე არ უკუგდებულა მისი აუცილებლობისა და უნივერსალურობის მტკიცება. ამ შესუსტებულ ვერსიაში უკუგდებულია პრეტენზია იმისა, რომ თითქოსდა შეიძლებოდეს საამისო a priori საბუთის წამოყენება.

აქედან გამომდინარეობენ ისეთი შედეგები, რომელთა დაკავშირება თავდაპირველ პროგრამასთან ვეჭვობ ისევ შეიძლებოდეს. სახელდობრ ჩვენ აღარ შეგვეძლება იმის გამორიცხვა, რომ შესაძლო გამოცდილების საგანთა შესახებ ჩვენი ცნებების პერსპექტიული გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითს გვერდით პირობებში, რომლებიც აქამდე წესზომიერად არის დაცული ბუნების მუდმივათა გზით.

---

[1] B. Stroud, „Transcendental Arguments", Journ. Philos. 9, 1968, S. 241-254; M.S. Gram, „Transcendental Arguments", Nous 6, 1972, S. 174-181; M.S. Gram, „Categories and Transcendental Arguments", Man and World, 6,1973, S.252-269.

[2] R.Bittner, „Transcendental ", Handbuch Philos. Grundbegriffe, Bd. 5, S. 1524-1539(1974).

გარდა ამისა ჩვენ აღარ შეგვიძლია იმის გამორიცხვა, რომ შესაძლო გამოცდილების საფუძველცნებითი სტრუქტურა[1] ფილოგენეტურად დამუშავდა და რომ იგი თითოეულ ნორმალურად მიმდინარე ონტოგენეზში ხელახლა წარმოდგება ხოლმე იმ პროცესით, რომელიც ხელმისაწვდომია ემპირული ანალიზისათვის.[2] ჩვენ არც იმის გამორიცხვა შეგვიძლია, რომ ამ აზრით გარელატივირებული გამოცდილების აპრიორი მნიშვნელობს მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული, მაგრამ ანთროპოლოგიურად ღრმად გამჯდარი ქმედების ფუნქციობის წრისთვის, რომელიც შესაბამისად შესაძლებელყოფს სინამდვილის ობიექტივირების განსაზღვრულ სტრატეგიას. ჩ.ს. პირსის მიერ დაფუძნებული ტრანსცენდენტალურად მიმართული პრაგმატიზმი ცდილობს, დაასაბუთოს ამგვარი სტრუქტურელური კავშირი გამოცდილებასა და ინსტრუმენტულ ქმედებას შორის;[3] ხოლო დილთაის მიერ შექმნილი ჰერმენევტიკა ცდილობს, ნაცვლად გამოცდილების ამ აპრიორისა საქმეში გამოიყენოს გაგების გინა კომუნიკაციური გამოცდილების სხვა აპრიორი.[4]

ტრანსფორმირებული (აპელისეული აზრით) ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის პერსპექტივაში ნაუცბათევად გამოიყურება ორი მომდევნო უართქმა, რომელსაც კანტის ანალიტიკური რეცეფცია სჩადის: უარი გამოცდილების კონსტიტუციის ცნებასა და მნიშვნელოვნების პრობლემის ექსპლიციტურ დამუშავებაზე. ეფიქრობ, მკაცრი აპრიორიზმის ათვალწუნება არასგზით არ მოითხოვს იმას, რომ შესაძლო გამოცდილებათა პირობების *ლოგიკურ-სემანტიკური* ანალიზით შემოვიზღუდოთ. თუ ჩამოვიშორებთ ტრანსცენდენტალური სუბიექტის ცნებას – იმ სუბიექტისა, რომელიც სინთეზებს ახორციელებს და თავის შემეცნების შესაძლებელმყოფელი სტრუქტურებიანად ყველა გამოცდილებისაგან დახსნილია —, მაშინ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ საგანთა შესახებ ჩვენს ცნებათა გამოყენების უნივერსალურ პრაგმატიკულ ანალიზზე ანუ – გამოცდილების კონსტიტუციის გამოკვლევაზე. ასევე ტრანცენდენტალური დედუქციის მცდელობაზე ხელის აღებიდან არ გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ მნიშვნელოვნე-

---

[1] ახე მაგალითად კანტის ერლანგერისეული რეცეფცია, რომელიც პროტოფიზიკის საფუძველცნებისათვის მხოლოდ და მხოლოდ შეზღუდული აზრით ეარაუდობს ტრანსცენდენტალურ სტატუსს; შეად. ახლა გ.ბიომეს (გამომც.) დისკუსიათა ტომს, პროტოფიზიკა, ფრანკფურტი 1975.

[2] ამის ნიშანდობლივი მაგალითია ჟან პიაჟესეული კანტიანიზმი.

[3] შეად. კ.ო.აპელის შესავლები Ch. S. Peirce, Schriften I und II, Frankfurt 1967 und 1970.

[4] შეად. ჩემი ბოლოსიტყვაობა, შემეცნება და ინტერესის, მცირეფორმატიანი გამოცემის ბოლოსიტყვაობა, ფრანკფურტი 1973; შეად. აგრეთვე R.Bubner, Transcendentale Hermeneutik", in: SimonSchäfter, Zimmerli (Hrsg.), Wissenschaftstheorie der Geschichtswissenschaften, Hamburg 1975, S. 57-70.

ბის პრობლემა დაეთმოს სხვა, მაგალითად მეცნიერებისთეორიულ ან ჭეშმარიტებისთეორიულ გამოკვლევის სფეროს. მაგრამ შესაძლო გამოცდილების ობიექტურობასა და პროპოზიციათა ჭეშმარიტებას შორის მიმართება სხვაგვარად წარმოდგება და არა ისე როგორც კანტისეული წანამძღვრების პირობებში, a priori დასაბუთების ადგილას გამოდის მნიშვნელოვნების პრეტენზიათა არგუმენტაციული შესრულების პირობათა ტრანსცენდენტალური გამოკვლევა;[1] – პრეტენზიებისა, რომლებიც დისკურსული შესრულების მიხედვით არიან ინტერპრეტირებულნი.[2]

მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც არა მგონია მარტო ტერმინოლოგიურად იყოს საინტერესო საკითხი იმის თაობაზე, ხომ არ გვმართებს, კომუნიკაციის საყოველთაო და უცილობელ წანამძღვართა (ამ შემთხვევაში არგუმენტაციული მეტყველების წანამძღვართა) ამგვარ გამოკვლევებს კვლავაც „ტრანსცენდენტალური" ვუწოდოთ. თუ ჩვენ გვსურს, ურთიერთგაგების პროცესები ზუსტად შემეცნების პროცესებივით ხელმისაწვდომი გავხადოთ საყოველთაო და უცილობელ წინასწარგულისხმობებზე[3] ორიენტირებული რეკონსტრუქციული ანალიზისთვის, მაშინ მე არ შემიძლია იმის აღიარება, რომ საამისო პროტოტიპს ტრანსცენდენტალური ფილოსოფია იძლევა; მეტადრე, რომ მას კანტისთვის არ მიუცია ამგვარი პროტოტიპი მისი ენისა (მიუხედავად კანტის ჰამანისეული კრიტიკისა და ენის ჰუმბოლდტისეული თეორიისა) და მოქმედების თეორიისათვის. ეს რეკურსი, რა თქმა უნდა, მაშინ არის გასაგები, თუ როგორც მე მოვიხსენიე, მხედველობაში გვაქვს ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის უფრო შესუსტებული ვერსიები. ამ აზრით ლაპარაკობს აპელი – რათა საკითხის მისეული დაყენება პროგრამატულად დაახასიათოს – ტრანსცენდენტალური ჰერმენევტიკის ანდა ტრანსცენდენტალური პრაგმატიკის შესახებ. მე მინდა დავასახელო ორი მიზეზი, რის გამოც ვერ გადამიწყვეტია, გადმოვიღო თუ არა ამგვარი სიტყვათხმარება.

(ა) მე მანამ მეჩვენება დამაჯერებლად ისეთი რამ როგორიც არის ურთიერთგაგების პროცესთა ტრანსცენდენტალური გამოკვლევა, ვიდრე ჩვენ მას გამოცდილების პროცესთა ასპექტით განვიხილავთ. იმით რომ მსმენელი როგორც კომუნიკაციის პროცესის თანამონაწილე სხვა მოლაპარაკის გამოთქმას იგებს, ისიც გამოცდილებას იძენს იმ დამკვირვებლივით, რომელიც რეალობის ამონარიდს აღიქვამს. შედარების ამ პერსპექტივაში კონკრეტული გამონათქვამები შესატყვისობაში იქნებოდნენ ემპირიულ საგნებ-

---

[1] F. Kambartel, Erfahrung und Struktur, Frankfurt 1968.

[2] J.Habermas, „Wahrheitstheotien" in diesem Band oben S. 127ff.

[3] W.Sellars, „Presupposing" Phil. Rev. 63, 1954, S. 197-215; P.F. Strawson, „A Reply to Mr. Sellars", Phil. Rev. 63, 1954, S. 216-231.

თან, ხოლო გამოთქმები საზოგადოდ — საგნებთან საზოგადოდ (შესაძლო გამოცდილების ობიექტთა მნიშვნელობით). როგორც ის შეგვიძლია, რომ a priori ცნებები საზოგადოდ საგნების გინა ნებისმიერ კოპერენტულ გამოცდილებათა ცნებითი სტრუქტურის მიხედვით გავაანალიზოთ, ასევე ძალგვიძს ჩვენ a priori ცნებებს ანალიზი ვუყოთ გამოთქმების მიხედვით: — შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაციათა საფუძველცნებებს, იმ ცნებითს სტრუქტურას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, წინადადებები გამოვიყენოთ კონკრეტულ გამოთქმებში. ამავე კატეგორიალურ ჩარჩოებში ეცდება ისეთი ცნებები როგორიცაა მნიშვნელობა და ინტენციონალობა, ენისა და მოქმედებისუნარმქონეობა (agency), ინტერპერსონული ურთიერთობა და ა.შ.

გამოთქმა „შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაცია", რომელიც ამ თვალსაზრისით შესაბამისობაში იქნებოდა გამოთქმასთან „შესაძლო გამოცდილების ობიექტი", ამავე დროს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ გამოცდილებათა შეძენა, რასაც ჩვენ კომუნიკაციის პროცესებში ვიქმთ, მეორეულია გაგებინების იმ მიზანთან შედარებით, რომელსაც ეს პროცესები ემსახურებიან. ამიტომ უპრიანია, მეტყველების საყოველთაო სტრუქტურები თავდაპირველად მხოლოდ ურთიერთგაგების ასპექტით ვიკვლიოთ და არა — გამოცდილების ასპექტით. მაგრამ როგორც კი ამას ვაღიარებთ, მაშინვე ფონზე იკვეთება ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიასთან (როგორაც უნდა იყოს იგი გაგებული) პარალელები. ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის საფუძველმდებლური იდეა (გარკვეულად გადამეტებული გამარტივებით) ისაა, რომ ჩვენ ვაკონსტიტუირებთ გამოცდილებებს, რაკი ინვარიანტული თვალსაზრისებით სინამდვილის ობიექტივიზაციას ვეწევით; ეს ობიექტივირება თავს იჩენს იმ საგნებში საზოგადოდ, რომლებიც აუცილებლად იგულისხმებიან თითოეულ კოპერენტულ გამოცდილებაში; თავის მხრივ ეს საფუძველცნებათა სისტემად ანალიზირების საშუალებას იძლევა. მაგრამ მე ვერ ვპოულობ ამ იდეის შესატყვისს, რომელსაც დაემორჩილებოდა კომუნიკაციის საყოველთაო წანამძღვართა ანალიზი: თუკი კანტისეულ საფუძველიდეას მივყვებით, მაშინ ხდება გამოცდილებათა კონსტიტუირება, ხოლო გამოთქმათა — უკიდურეს შემთხვევაში — გენერირება. ამრიგად, ურთიერთგაგების პროცესებზე გადმოტანილი ტრანსცენდენტალური გამოკვლევა ორიენტირებული იქნებოდა სხვა მოდელზე; იგი წარიმართებოდა არა გამოცდილების კონსტიტუციის შემეცნებისთეორიული მოდელით, არამედ — ალბათ, სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურის მოდელით.

(ბ) გარდა ამისა, თუკი მივიღებდით გამოთქმას „ტრანსცენდენტალური" მას შეეძლო შეენიღბა აპრიორიზმთან ამასობაში განხორციელებული კავშირის გაწყვეტა. კანტი მკვეთრად თიშავს ერთმანეთისგან ემპირიულსა და

ტრანსცენდენტალურ ანალიზს. მაგრამ თუ ჩვენ ტრანსცენდენტალურ გამოკვლევას გავიგებთ იმ გამოცდილებათა საყოველთაო და უცილობელი წინასწარგულისხმობების რეკონსტრუქციად, რომლებსაც უფლება აქვთ ობიექტურობის პრეტენზიის წამოყენებისა, მაშინ უეჭველია ის, რომ არსებობს განსხვავება რეკონსტრუქციულსა და ემპირულ-ანალიტიკურ ხერხს შორის. მაგრამ ბუნდოვანია ის, თუ რა განსხვავებაა ცოდნის აპრიორულსა და აპოსტერიორულ გაგებებს შორის. ერთი მხრივ, კომპეტენტური მოლაპარაკის წესცნობიერება თვით მისთვის a priori ცოდნაა; მეორე მხრივ, ამ ცოდნის რეკონსტრუქცია მოითხოვს გამორკვევებს, რომლებსაც განახორციელებენ ემპირული მოლაპარაკეები; ლინგვისტი კი ცოდნას a priori იძენს. მაგრამ კომპეტენტური მოლაპარაკის იმპლიციტური ცოდნა ისე ძლიერ განსხვავდება ლინგვისტური აღწერის ექსპლიციტური ფორმიდან, რომ ცალკეული ლინგვისტი მთლიანად ვერ მიეცემა თავის საკუთარ ენობრივ ინტუიციათა რეფლექსიას. ხერხები, რომლებიც მიეყენება ჰიპოთეზათა კონსტრუქციასა და გადამოწმებას, რეკონსტრუქციის ურთიერთმოცილე შემოთავაზებათა შეეფასებას, მონაცემთა მოპოვებასა და ამორჩევას, მრავალი ასპექტით ჰგვანან ნომოლოგიურ მეცნიერებებში გავრცელებულ ხერხებს. მეთოდოლოგიური განსხვავებანი, რომლებიც შეიძლება დაყვანილ იქნენ მონაცემთა სტრუქტურის შიგნით (დაკვირვებადი ხდომილებანი გასაგები ნიშნების ნაცვლად) სხვაობებსა და კანონისა და წესის სტრუქტურას შორის განსხვავებაზე, არა კმარან, რათა ლინგვისტიკა გაძევებული იქნას ემპირულ მეცნიერებათა წრიდან.

(გ) ეს მით უფრო ითქმის ონტოგენეზის თეორიებზე, რომლებიც პიაჟისეული კოგნიტივისტური განვითარების ფსიქოლოგიისამებრ, კომპეტენციათა აღწერას (ისე როგორც ამ კომპეტენციათა განვითარების კვალადკონსტრუირებულ ნიმუშებისა) მჭიდროდ უკავშირებენ ვარაუდებს კაუზალური მექანიზმების შესახებ.[1] ჩომსიკსა და პიაჟეს მიერ შემოტანილმა პარადიგმებმა ბიძგი მისცეს გამოკვლევათა ერთ ტიპს, რომლებსაც უფრორე ფორმალურ და ემპირულ ანალიზთა თავისებური შეკავშირება განსაზღვრავს, ვიდრე – მათი კლასიკური გათიშვა, აქედან გამომდინარე გამოთქმა „ტრანსცენდენტალური", რომელიც ჩვენში ემპირიული მეცნიერებისადმი საპირიპიროს ასოციაციას აღძრავს ხოლმე, არ არის შესაფერისი, რათა არაორაზროვნად იქნეს დახასიათებული კვლევის ისეთი მიმართულება როგორიცაა უნივერსალური პრაგმატიკა. ტერმინოლოგიური საკითხის უკან იმალება სისტემატური საკითხი, რომელიც ეხება რეკონსტრუქციული ტიპის არანომოლოგური გამოცდილების მეცნიერებათა სტატუსს, რომელიც აქამდე არასაკმარისად იყო ნათელყოფილი. ეს საკითხი ხელუხლებლად უნდა დავტოვო, ყოველ შემთხვევაში უფრო ცოტად პერსპექტიული ჩანს

[1] U.Oevermann, „Theorie der individuellen Bildungsprozesse" MS MPI Bildungsforschung (1974).

მცდელობა იმისა, რომ ის საინტერესო მეთოდოლოგიური განსხვავებანი, რომლებიც აქ მივიღეთ, უთავბოლოდ გავათამაშოთა და ერთიანი მეცნიერების პროგრამად მათი გაგებით ინტერპრეტაციის გზიდან გადავახვევინოთ.[1]

II

მეტყველების აქტთა[2] თაობაზე დისკუსიაში ჩამოყალიბდა შეხედულებები, რომლებსაც შეიძლება დაემყარონ უნივერსალური პრაგმატიკის საფუძველვარაუდები. მაგრამ იმ უნივერსალურპრაგმატულ თვალთახედვას, რომლის მიხედვითაც შევარჩიე და გადმოვეცი ეს შეხედულებანი,

---

[1] შად. ქვინისა და ჩომსკის შორის კონტროვერსიები: N.Chomsky, „Quine's Empirical Assumtions"; W.V.O. Quine, „Replies", beide in: Davidson, Hintikka (Eds.), Words and Obections, Dordrecht 1969, S. 53-68 und S. 292-352; W.V.O.Quine „Methodological Reflection on Current Linguistic Theory", in: Davidson, Harman (Eds.), Semantics of Natural Language, Dordrecht 1972. Charakteristisch für den methodischen Behaviorismus in der Linguistik auch: H. Schnelle, Sprachphilosophie und Linguistik, Hamburg 1973. Zusatzt 1983: vgl.inzwischen J.Habermas, Rekonstruktive vs. verstehende Sotialwissenschaften, in: ders., Moralbewußtsein und komunikatives Handeln, Frankfurt 1983, 29-52.

[2] J.L. Austin, How to do Things with Words (1955), Oxford 1962, (dt. Stutgart 1972; darin Literatur zur Theirie Der Sprechakte, zusammengestellt von E.v. Savigny S. 204- 209); ders , „ Performative Utterances", in: Philosophical Papers, Oxford 1970, S. 233- 252; ders. „Performative und konstantierende Äußerungen", in: R.Bubner, Sprache und Analysis, Stuttgart 1968, S. 140-153; weitere Literatur angaben zu Austin in: E.v. Savigny, Die Philosophie der normalen Sprache, Frankfurt 1974, S. 162-166.

J.R.Searle, „What a Speech Act?" , in: M.Black (Ed.), Philosophy in America, Ithaca 1965, S. 221-239, abgerd. In: Rosenberg, Travis (Eds.), Reading in the Philosophy of Language, Englewood Cliffs 1971, S.614-628; ders., „Austin on Locutionary and Illocitionary Acts" Phil.Rev. 77, 1968, S. 405-424, abgedr. In: Rosenberg, Travis, a.a.O., S. 262-275; ders. Spech Acts, London 1969 (dt.Frankfurt 1971); ders., „Linguistik und Sprachphilosophie" in: Bartsch, Vennemann, Linguistik und Nachbarwissenschaften, Kronberg 1973, S. 113-126.

W.P. Alston, Philosophy of Language, Englewood Cliffs, 1964, 1; ders., „Linguistic Acts" Am. Phil. Quart. 1, 1964, S.138-146.

L.J. Cohen, „Do Illocutionarty Forces exit?" Phil. Quart. 14, 1964, S.118-137, abgedr. In: Rosenberg. Travis, a.a.O., S. 580-598; ders., „Speech Acts" Current Trends in Linguistics, 12, 1970.

R.M. Hare, „Meaning and Speech Acts" Phil. Rev. 79, 1970, S.3-24; ders. Austins Distinction between Locutionary and Illocutionary Acts", in: Hare, Practical Inferences, London 1972.

D. Holdcroft, „ Performatives and Statements", Mind 83, 1974, S. 1-19.

P.F. Strawson, „Intention and Convention in Speech Acts", Phil. Rev. 73, 1964, S. 439-460, abgwdr. In: Rosenberg, Travis, a.a.O., S. 599-613.

S.Thau, „The Distinction between Rhetic and Illocutionary Act" Analysis 32, 1971/72, S. 177-183.

Ch. Travis, „Agenerative Theory of Speech Acts", in: Rosenberg, Travis, a.a.O., S.629-644.

G.J.Warnick, „Hare on Meaning and Speech Acts", Phil.Rev. 80, 1971, S.80-84.

D.Wunderlich, Grunlagen der Linguistik, Hamburg 1974, S. 309-352 (Sprechhandlungssemantik).

მივაკვართ ისეთ ინტერპერტაციამდე, რომელიც მნიშვნელოვან პუნქტებში დიდად შორდება მეტყველებითი აქტის თეორიის ოსტინისეულსა და სერლისეულ (ისევ და ისევ სემანტიკურად განსაზღვრულ) გაგებას.

I. უნივერსალური პრაგმატიკის საერთო ასპექტი

მეტყველებითი აქტის თეორიის უნივერსალურპრაგმატიკული საფუძველ-ინტენდენცია გამოიხატება იმაში, რომ იგი მეტყველების ელემენტარული ურთიერთობის (გამოთქმები) თემატიზებას იმავე განწყობით ეწევა, როგორითაც ლინგვისტიკა – ენის ერთეულთა (წინადადების) თემატიზებას. რეკონსტრუქციული სიტყვათხმარების მიზანი არის იმ წესების ექსპლიციტური აღწერა, რომლებსაც უნდა ფლობდეს კომპეტენტური მოლაპარაკე, რათა მან წინადადებები შეადგინოს და ისინი მისაღებად გამოთქვას. ეს არის მეტყველების აქტის თეორიისა და ლინგვისტიკის საზიარო ამოცანა. მაშინ როცა ლინგვისტიკა იქიდან ამოდის, რომ თითოეული მოზრდილი მოლაპარაკე ფლობს რეკონსტრუირების უნარმქონე იმპლიციტურ ცოდნას, რომელშიც გამოიხატება მისი კომპეტენტურობა ლინგვისტურ წესებში (წინადადებათა შექმნა); მეტყველების აქტის თეორია შესაბამისი კომუნიკაციური წესების კომპეტენციის პოსტულირებას ეწევა; სახელდობრ, საქმე ეხება კომპეტენტურობას მეტყველებამოქმედებების დროს წინადადების გამოყენებაში. შემდგომში იმასაც დავუშვებთ, რომ კომუნიკაციური კომპეტენცია იმავე უნივერსალური ბირთვის მქონეა როგორიც ლინგვისტურ კომპეტენციას აქვს. ამრიგად მეტყველება-მოქმედებათა ზოგადი თეორია სწორედ იმ ფუნდამენტალურ წესთა სისტემას აღგვიწერდა, რასაც ფლობს მოზრდილი მოლაპარაკე, რათა მან შეძლოს *გამოთქმებში წინადადებათა წარმატებული გამოყენების პირობების შესრულება;* სულერთია, რომელ კერძო ენას განეკუთვნება ეს წინადადებანი და შესაბამისად – რომელ შემთხვევითს კონტექსტებშია ჩასმული გამოთქმები.

შემოთავაზება იმისა, რომ სიტყვათხმარება კომპეტენციისთეორიულად ვიკვლიოთ, მოითხოვს კომპეტენციისა და პერფორმაციის ცნებათა რევიზიას. ჩომსკის ეს ცნებები თავდაპირველად იმგვარად ესმის,[1] რომ გონივრულია მოთხოვნა წინადადებათა ფონეტიკური, სინტაქსური და სემანტიკური ნიშან-თვისებების ენისკომპეტენციის რეკონსტრუქციის ჩარჩოებში ლინგვისტურად კვლევისა და — იმისა, რომ გამოთქმათა პრაგმატული ნიშან-თვისებების კვლევა გადაეცეს ენის კომპეტენციის თეორიას. ამგვარი კონცეპტუალიზირება ბუნებრივად ბადებს კითხვას

[1] N. Chomsky, Aspecte der Syntaxtheorie, Frankfurt 1969, S. 13-28.

იმის თაობაზე, „კომუნიკაციური კომპეტენცია“ ხომ არ არის ჰიბრიდული ცნება. ლინგვისტიკისა და უნივერსალური პრაგმატიკის გამიჯვნას მე თავიდანვე დავუსაფუძვლე წინადადებებსა და გამოთქმებს შორის წინადაწინითი განსხვავება. რა თქმა უნდა, წინადადებათა შექმნა გრამატიკის წესების მიხედვით სხვა რამაა, ვიდრე წინადადების გამოყენება პრაგმატული წესების მიხედვით, რომლებიც საზოგადოდ მეტყველების სიტუაციათა ინფრასტრუქტურას აყალიბებენ. მაგრამ ამ შემთხვევაში წამოიჭრება შემდეგი შეკითხვები:

(1) შეიძლება თუ არა საკმარისად იქნას უნივერსალურ სტრუქტურათა მეშვეობით განსაზღვრული მეტყველების საყოველთაო სტრუქტურები ე.ი. ის, რაც საერთო აქვს ყველა გამოთქმას, მიუხედავად ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი განსაკუთრებული კონტექსტებისა? ამ შემთხვევაში მოლაპარაკე თავის ლინგვისტურად კვალიფიკაციურ ენის კომპეტენციით აღჭურვილი იქნებოდა შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაციათა დასაუფლებლად და უფლებამოსილი არ იქნებოდა პოსტულატი საყოველთაო კომუნიკაციური კომპეტენციისა, რომელსაც ლინგვისტური კომპეტენციისგან განვასხვავებდით. გარდა ამისა

(2) წამოიჭრება შეკითხვა იმის თაობაზე, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ წინადადების (ვინა სიტყვების) სემანტიკური ნიშან-თვისებანი როგორც იგი ესმის მნიშვნელობის გამოყენების თეორიას უამთეორიოდ, ცხადყოფილ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ შესაძლო ტიპურ სიტუაციებზე დაყრდნობით. მაშინ, სულ ცოტა, სემანტიკის თეორიისათვის მაინც, არ იქნებოდა არსებითი წინადადებებისა და გამოთქმების განსხვავება (ყოველ შემთხვევაში მანამ არ იქნებოდა – , ვიდრე მოხდებოდა გამოთქმის ტიპურ კონტექსტთა გათვალისწინება). მაგრამ როგორც კი წინადადებათა ლინგვისტურ ანალიზსა და გმოთქმების პრაგმატულ ანალიზს შორის განსხვავება ბუნდოვანდება, მაშინვე უნივერსალური პრაგმატიკის საგანთა სფეროს კონტურებს გაფლაბვნის საფრთხე ემუქრება.

ad a) გარკვეული შეზღუდვებით[1] მე დავეთანხმებოდი მტკიცებას იმის შესახებ, რომ მოლაპარაკე მხოლოდღა აქტუალიზებას ახდენს იმისას, რაც ჩადებულია წინადადების სტრუქტურებში, როცა მას სრულყოფილი წინადადება ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების აქტში გადააქვს. მაგრამ ჯერ ისევ არ უარიყოფა ის დიფერენცი, რაც არსებობს გრამატიკული წინადადების შექმნასა და შესაძლო ურთიერთგაგების სიტუაციაში იმავე წინადადების გამოყენებას შორის; ასევე არ ხდება იმ დიფერენციის უგულვებელყოფა, რაც არსებობს იმ უნიეერსალურ წანამძღვრებს შორის, რომლებიც ორივე შემთხვევაში უნდა შეასრულოს კომპეტენტურმა მოლაპარაკემ. წინადადება რომ გამოთქვას საჭიროა, მოლაპარაკემ შეასრულოს კომუნიკაციის საყოველ-

[1] რომლებიც მომყავს ქვემოთ სერლის გამოხატვადობის პრინციპზე დაყრდნობით.

თაო წანამძღვრები. საკმარისია მან ეს წანამძღვრები შეასრულოს იმ სტრუქტურებთან შეზომილად, რომლებიც უკვე არიან გამოყენებულნი წინადადებასთან ერთად, რომ მან წინადადება სრულყოფილად ჩამოაყალიბოს იმავდროულად მეტყველების სპეციფიკურ წანამძღვართა შეუსრულებრივ. ამის ნათელყოფა შესაძლებელია რეალობის კავშირმიმართებათა დახმარებით, რომლებშიც წინადადების ჩასმა პირველად მხოლოდ გამოთქმის აქტით ხდება. იმით რომ წინადადება თავსდება (ა) აღქმად გარეგან რეალობასთან მიმართებაში, (ბ) იმის შინაგანი რეალობისადმი მიმართებაში, რისი გამოხატვაც უნდა მოლაპარაკეს ინტენციათა სახით, დაბოლოს – (გ) საზოგადოებრივად და კულტურელურად აღიარებულის ნორმატიული სინამდვილისადმი მიმართებაში, გამოთქმულ წინადადებას წაეყენება მნიშვნელოვნების ისეთი პრეტენზიები, რომელთა შესრულება არ მოეთხოვება და არც შეუძლია მას როგორც არაგანთავსებულ წინადადებას, როგორც წმინდა გრამატიკულ გამოსახულებას. სიმბოლოთა ჯაჭვი „ითვლება“ L ბუნებრივი ენის წინადადებად, თუ იგი სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული G_L წესების სისტემის შესაბამისად. წინადადების გრამატიკალობა (პრაგმატული ასპექტით) იმას ნიშნავს, რომ წინადადება, როცა მას გამოთქვამს მოლაპარაკე, *გასაგები* ყველა მსმენელისათვის, რომელიც კი G_L- ფლობს. გასაგებობა არის ერთადერთი აუცილებლად შესასრულებელი ენის იმანენტური უნივერსალური პრეტენზია, რომელსაც კომუნიკაციის თანამონაწილენი წინადადებას უყენებენ. საპირისპიროდ ამისა გაკეთებული გამოთქმის ვარგისობა იმაზე ჰკიდია, იგი გამოცდილებას გადმოსცემს თუ ფაქტს; გამოხატული ინტენციის ვარგისობა დამოკიდებულია იმაზე, ემთხვევა თუ არა იგი მოლაპარაკის მიერ ნაგულისხმებ ინტენციას; ხოლო შესრულებული მეტყველების აქტის ვარგისობა იმაზე ჰკიდია, შეესატყვისება თუ არა ეს მოქმედება აღიარებულ ნორმატიულ ფონს. მაშინ როცა გრამატიკული *წინადადება* გასაგებობის პრეტენზიას ასრულებს, წარმატებულმა *გამოთქმამ* მომდევნო სამი მნიშვნელოვნების პრეტენზია უნდა დააკმაყოფილოს; აუცილებელია იგი მონაწილეთათვის მნიშვნელობდეს როგორც ჭეშმარიტი, რამდენადაც სამყაროში რაღაცას წარმოადგენს; იგი უნდა მნიშვნელობდეს როგორც გულწრფელი გამოთქმა, რამდენადაც მოლაპარაკის მიერ ჩაფიქრებულ რაღაცას გამოხატავს; იგი უნდა მნიშვნელობდეს როგორც სწორი გამოთქმა, რამდენადაც იგი ეხება საზოგადოებრივად აღიარებულ მოლოდინებს.

ბუნებრივია, წინადადებათა ზედაპირულ სტრუქტურებში შესაძლებელია ისეთ ნიშანთა იდენტიფიცირება, რომლებსაც სპეციალური მნიშვნელობა აქვთ გამოთქმის სამი საყოველთაო პრაგმატული ფუნქციისათვის რაღაცის გამოსახვისა, ინტენციის გამოთქმისა და ინტერპერსონული მიმართების წარმოებისა; პროპოზიციური შინაარსის მქონე წინადადებები გამოიყენება გამოცდილების ანდა საქმისვითარების გამოსახატავად (ანდა მათზე პირდაპირი მიმართებისათვის); ინტენციური გამოთ-

ქმები, მოდალური ფორმები და ა.შ. იმისთვის გამოიყენება, რათა აწარმოოს ინტერპერსონული ურთიერთობანი მოლაპარაკესა და მსმენელს შორის. მეტყველების საყოველთაო სტრუქტურები წინადადების სტრუქტურათა სიბრტყეზეც აირეკლება. მაგრამ ვიდრე ჩვენ წინადადებას განვიხილავთ როგორც გრამატიკულ გამოსახულებას ე.ი. მეტყველების იმ სიტუაციებისგან დამოუკიდებლად, რომლებითაც იგი გამოიხატება, მანამ ჯერ ისევ ვერ „დაეუფლებიეართ" საყოველთაო პრაგმატულ ფუნქციებს. გრამატიკული წინადადების შესაქმნელად, მაგალითად იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს ლინგვისტისთვის სანიმუშო წინადადება, კომპეტენტურ მოლაპარაკეს მხოლოდ და მხოლოდ გასაგებობის პრეტენზიის დაკმაყოფილება მოეთხოვება. იგი უნდა ფლობდეს შესაბამისი გრამატიკული წესების სისტემას; სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ მის ლინგვისტურად ანალიზებად ენისუნარს. სხვა რამაა კომუნიკაციის უნარი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პრაგმატული ანალიზისთვისაა ხელმისაწვდომი. კომპეტენციის უნარად მესმის ურთიერთგაგებისთვის მზადმყოფი მოლაპარაკის უნარი, სრულყოფილი წინადადება რეალობასთან მიმართებებში ჩადოს, ანუ:

– ისე ამოარჩიოს გამოთქმის შინაარსი, რომ იგი გამოცდილებას ან ფაქტს გადმოგვცემდეს ანდა (ჭეშმარიტების განსაზღვრულ წანამძღვართა შესრულების პირობებში) მას მოიხსენიებს (ისე რომ მსმენელს ძალუძს მოლაპარაკის ცოდნის გაზიარება);

– თავისი ინტენციები ისე გამოხატოს, რომ ენობრივი გამოსახულება ჩაფიქრებულს გადმოსცემს (ისე რომ მსმენელმა მოლაპარაკეს ნდობა გამოუცხადოს);

– მეტყველების მოქმედება ისე შეასრულოს, რომ იგი ასრულებდეს აღიარებულ ნორმებს ანდა შეესაბამებოდეს მიღებულ თვითხატებს (ისე რომ მსმენელს შეუძლია ღირებულებათა თაობაზე მოლაპარაკესთან თანხმობა). რამდენადაც ეს გადაწყვეტილებანი არ არიან დამოკიდებულნი ცალკეულ ცოდნათა წანამძღვრებსა და ცალად კონტექსტებზე, არამედ ხელს უწყობენ, რომ წინადადებები საზოგადოდ ჩაჯდნენ გამოსახვის, თვითგამოსახვისა და ინტერპერსონულ ურთიერთობათა წარმოების საყოველთაო პრაგმატულ ფუნქციებში, ამდენად მათში ზუსტად ის კომუნიკაციური კომპეტენცია გამოიხატება, რისთვისაც მე უნივერსალურ პრაგმატულ გამოკვლევას გთავაზობთ.

ძალიან ფართოდ არის დამუშავებული უნივერსალური პრაგმატიკის ის ნაწილი, რომელიც ეხება გამოთქმათა გამოსახვის ფუნქციას – მაგ. მარტივ პრედიკატულ წინადადებათა გამოყენებას. კვლევის ეს კლასიკური სფერო ლოგიკურ– სემანტიკური ანალიზის ფორმით განგრძობილ იქნას ანალიტიკური ფილოსოფიის მიერ.[1]

---

[1] P.F.Stravson, Individuals, London 1959; M.Dummet, Frege. Philosophy of Language, London 1973; E.Tugendhat, „Vorlesungen zur Analytischen Bedeutungstheorie", Frankfurt 1976.

ამასთანავე რომ საქმე უნივერსალურ პრაგმატულ გამოკვლევას ეხება, ეს აშკარავდება გამონათქვამთა ჭეშმარიტების ღირებულების სემანტიკურ გათვალისწინებაშიც. ფორმალური სემანტიკა, ლინგვისტიკისგან განსხვავებით, არ იკვლევს საზოგადოდ წინადადებებს, არამედ იგი იკვლევს წინადადებებს მათს ფუნქციაში გამოცდილებათა ანდა ფაქტების გადმოცემისა: ანალიზი, ყოვლის უწინარეს, მიმართულია იმ პრედიკატებისა და გამოთქმების გამოყენების ლოგიკაზე, რომლებიც საგანთა იდენტიფიკაციის უფლებას იძლევიან. მაგრამ უნივერსალური პრაგმატიკის ამ ნაწილს უფრო ცოტა მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციის თეორიისათვის. უნივერსალური პრაგმატიკის იმ ნაწილისათვის, რომელიც გამოთქმათა შეტყობინების ფუნქციას ეხება, მეტყველებითი აქტის თეორია კარგ საწყის წერტილს გვთავაზობს, მაშინ როცა ინტენციონალობის ანალიზი, რომელიც გზას უკაფავს გამოთქმის ფუნქციის უნივერსალურ პრაგმატიკას, დღესდღეისობით თეორიულად ჯერ ისევ ოდნავ არის მომწიფებული.[1]

ad b) უნივერსალური პრაგმატიკისთვის ჩემეული შემოთავაზების შემდგომი სიძნელე შესაძლოა იმაში იქნეს დანახული, რომ სემანტიკის თეორია კარგად ვერ შეეჩვია განსხვავებას ორი სახის ანალიზს შორის; ერთი არის ლინგვისტური ანალიზი, რომელსაც საქმე აქვს წინადადებებთან და მეორეა პრაგმატული ანალიზი, რომელიც გამოთქმებითაა დაკავებული. სხვადასხვა სემანტიკისთეორიული საწყისები ფართო გაფანტულობას ამჟღავნებენ. ლინგვისტურად ორიენტირებული მნიშვნელობის თეორიები[2] კი ცდილობენ, სისტემურად წვდნენ გამოთქმათა სემანტიკურ შინაარსს. ზედაპირულ სტრუქტურათა *ტრანსფორმაციის გრამატიკული განმარტება* ან სემანტიკური სიღრმისეული სტრუქტურებიდან ამოდის ანდა ანგარიშს უწევს სინტაქსურ სტრუქტურებში სემანტიკურ ჩასმებს. ამ საწყისს, როგორც წესი, მივყავართ საყოველთაო ნიშანთვისებათა ელემენტარისტულად ნაგებ კომბინატორიკამდე. მსგავსი ხერხით მოქმედებს *შინაარსისსემანტიკა*, რომელიც საზრისრელაციათა ფორმალური ანალიზის გზაზე განმარტავს მოცემული ლექსიკონის მნიშვნელობის სტრუქტურებს. ამ ლინგვისტურ საწყისთა სისუსტე იმა-

---

[1] ინტენციონალობისა და ინტენციათა გამოთქმის თაობაზე W.Sellers, „Empiricism and the Philosophy of Mind", in: Methaphisics, London 1968; ders., R.M.Chisholm, „Intentionality and the Mental", in: Minnesota Studies, Vol. I, 1963, S. 507-539; ders., Science and Metaphxisics, London 1968; E. Tugendhat, „Phänomenologie und Sprachanalyse", in: Festschrift f. Gadamer, II, Tübingen 1970, S. 3-24; J.Hintikka, Knowledge and Belief, Ithaca 1962; Ch. Taylor, „Explaining Action" Inquiry 13, 1970, S. 54-89 (dt. In: ders., Erklärung und Interpretation in den Wissenschaften vom Menschen, Frankfurt 1975).

[2] შეადარე მაგ. Steinberg, Jakobovits (Eds)., Semantics, Camridge 1971, S. 157-484, Ferner: H.E.Boekle, Semantik, München 1972.

შია, რომ ისინი წინადადებების გამოყენების პრაგმატულ განზომილებას მხოლოდ და მხოლოდ ad hoc ეზიარებიან, თუმცა ისინი ვიტგენშტაინზე დაყრდნობით დამუშავებულ მნიშვნელობის გამოყენების თეორიაში სრული უფლებით სარგებლობენ იმით, რომ ენობრივ გამოსახულებათა მნიშვნელობის *დასაბუთება* შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ შესაძლო გამოყენების სიტუაციებზე დამყარებით.

თავიანთ მხრივ, *პრაგმატიკული სემანტიკის თეორიები*[1] დგანან სიძნელის წინაშე, რომ ენობრივი გამოსახულების გამოყენების ტიპური სიტუაციები გამიჯნონ იმგვარი კონტექსტებისაგან, რომლებიც შემთხვევისამებრ დამატებით ფლობენ მნიშვნელობის მანგეგირებელ უნარს, მაგრამ არ ეხებიან ენობრივი გამოსახულების სემანტიკურ ბირთვს. რომელი კრიტერიუმების მიხედვით უნდა ამოვირჩიოთ აქტუალური ენობრივი ქცევებიდან ტიპური ქცევა? რეფერენცსემანტიკა[2] – სულერთია იგი მოსახული იქნება ექსტენსიონალური თუ ინტენსიონალური მიმართების თეორიად – გამოსახულების მნიშვნელობას განსაზღვრავს იმ საგანთა კლასის მეშვეობით, რომლებსაც შეიძლება იგი მიეყენოს ჭეშმარიტ წინადადებებში. ამ წანამძღვართა პირობებში შეიძლება იმ გამოსახულებათა მნიშვნელობის ექსპლიცირება, რომლებიც წინადადებაში წარმოდგენის ფუნქციით გამოდიან. მაგრამ მაინც გაუგებარია, თუ რატომ გამოარჩევს სემანტიკის თეორია ენის წარმოდგენითს ფუნციას მონოპოლისტურ ფუნქციად და რატომ უნდა უგულვებელყოს მან ყველა დანარჩენი მნიშვნელობა, რომლებსაც ენა მის სხვა ფუნქციებში გაშლის ხოლმე.

ამ წინდაწინითმა განაზრებებმა ხამს, მხოლოდ და მხოლოდ ის ვარაუდი განამტკიცოს, რომ უპერსპექტიეოა მცდელობა სემანტიკის თეორიის ქცევისა ერთიან თეორიად. მაგრამ თუ იგი ჰეტეროგენულადაა შეკრული, მაშინ სემანტიკისა და პრაგმატიკის ერთმანეთისგან გამიჯვნის სიძნელეებიდან (რომლებიც, სხვათა შორის, სემანტიკასა და სინტაქსს შორისაც არსებობენ) არ გამოიყვანება საყოველური წინადადების სტრუქტურებისა და გამოთქმის სტრუქტურების ანალიზთა ურთიერთისაგან გათიშულობის თაობაზე, რაც უნივერსალური პრაგმატიკისათვის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ გათიშულობას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მეტყველების საყოველთაო სტრუქტურების ანალიზიდან შესაძლებელია წინადადების საყოველთაო სტრუქტურების გამოყვანა. მაგრამ იგი წინადადებათა ფორმალურ ნიშან-თვისებებზეა მიმართული მხოლოდ და მხოლოდ იმ შესაძლებლობების ასპექტით, რომ წინადადე-

---

[1] მაგალითად ჯ.ე. ოლსტონის შრომები.

[2] F.v.Kutschera, Sprachphilosohie, München 1971, S. 117-161; H. Schnelle, Sprachphilosohie und Linguistik, Hamburg 1973, S. 190-240; D.Wunderlich, Grundlagen der Linguistik, Hamburg 1974, S. 238-273.

ბანი *გამოყენებული იქნან* მეტყველების ელემენტად ე.ი. გამოსახვის, გამოთქმისა და შეტყობინების ფუნქციისათვის. უნივერსალური პრაგმატიკაც შესაძლებელია სემანტიკურ ანალიზად გავიგოთ. მაგრამ მნიშვნელობის ლინგვისტური თეორიებიდან იგი იმით განსხვავდება, რომ ენობრივ გამოთქმათა მნიშვნელობები მხოლოდ და მხოლოდ იმდენად არიან მნიშვნელოვანნი, რამდენადაც ეს გამოთქმები გამოიყენებიან მეტყველება-ქმედებებში, რომლებიც აკმაყოფილებენ ჭეშმარიტების, გულწრფელობისა და სისწორის პრეტენზიებს. მეორე მხრივ, მნიშვნელობით სარგებლობის ფილოსოფიური თეორიებიდან უნივერსალური პრაგმატიკა იმით განსხვავდება, რომ მასში მხოლოდ იმდენად ხდება ენობრივ გამოთქმათა მნიშვნელობის გათვალისწინება, რამდენადაც იგი განსაზვრულია *საზოგადოდ* მეტყველების სიტუაციათა *ფორმალური* ნიშან-თვისებებით და არაგამოყენების ტიპური ანდა სულაც შემთხვევითი სიტუაციებით.

ახლა მე მინდა, შევაჯამო ანალიტიკური თვალთახედვები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან სემიოტიკის ჩარჩოებში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ანალიზის სხვადასხვა სიბრტყეები და ობიექტთა შესაბამისი სფეროები.

(ა) *წინადადებები გამოთქმათა საპირისპიროდ* თუ ჩვენ ამოვალთ კონკრეტული, განსაზღვრულ კონტექსტებში ჩასმული მეტყველებაქმედებებიდან, მაშინ მზერას ვარიდებთ ყველა ასპექტს, რომლებსაც ეს გამოხატულებანი თავიანთს პრაგმატულ ფუნქციებს უმაღლიან და მხოლოდ ენობრივ გამოთქმებს ვიტოვებთ. მაშინ როცა მეტყველების ელემენტალური ერთეული მეტყველება-ქმედებაა, ენის ელემენტალურ ერთეულს წინადადება წარმოადგენს. მათ შორის გამიჯვნა ხდება ვარგისობის პირობათა ასპექტით. გრამატიკულად სრულყოფილი წინადადება აკმაყოფილებს გასაგებობაზე პრეტენზიას, კომუნიკაციურად წარმატებული მეტყველება-მოქმედება, გარდა ენობრივი გამოთქმის გასაგებობისა, მოითხოვს, რომ კომუნიკაციის მონაწილენი ურთიერთგაგებისთვის მზად იყონ, შესაბამისად წამოაყენონ პრეტენზიები ჭეშმარიტებაზე, გულწრფელობასა და სისწორეზე და ურთიერთშორის დაუშვან, რომ ეს პრეტენზიები შესრულებულია. წინადადებები წარმოადგენენ ლინგვისტური ანალიზის საგანს, მეტყველება-მოქმედებანი კი – პრაგმატული ანალიზისა.

(ბ) *კერძო ენა საზოგადოდ ენის საპირისპიროდ* ლინგვისტიკის ამოცანა უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული კერძო ენისთვის იმგვარად დაამუშაოს გრამატიკა, რომ ამ ენის ცალკე აღებული ნებისმიერი წინადადების სტრუქტურის აღწერა შეეხამოს. გრამატიკის ზოგად თეორიას, პირიქით, საქმე აქვს წესთა იმ სისტემის რეკონსტრუქციასთან, რომელიც საფუძვლად უდევს სუბიექტის უნარს, წარმოქნას *რომელიმე* ენის სრულყოფილი წინადადებები. ამრიგად, გრამატიკის თეორია აყენებს პრეტენზიას, რეკონსტრუირება უყოს მოზრდილი მოლაპარაკის უნი-

ვერსალურ ენისუნარიანობას (ამასთან ერთად, ენის კომპეტენციის მკაცრი ვერსიიდან გამომდინარე, უნარი ნიშნავს, თანდაყოლილი დისპოზიციის საფუძველზე შეიმუშაოს ენის დაუფლების წარმმართველი ჰიპოთეზები, მაშინ როცა შესუსტებული ვერსიის ენობრივი კომპეტენციის მიხედვით იგი წარმოადგენს კონსტრუქციისტულად განმარტებულ სწავლის პროცესთა შედეგს).

(გ) *ლინგვისტური ანალიზის ასპექტები.* თითოეული ენობრივი გამოთქმა შეიძლება, სულ ცოტა, სამი ანალიტიკური თვალსაზრისით იქნეს განხილული: ფონეტიკა იკვლევს ენობრივ გამოთქმას როგორც ჩანაწერს საფუძველმდებარე მედიუმში ე.ი. იკვლევს როგორც ხმოვან გამოსახულებებს, წერილობით გამოსახულებებსა და ა.შ. სინტაქსის თეორია ენობრივ გამოსახულებას იკვლევს მნიშვნელობითსავსე უმცირესი ერთეულების ფორმალურშეკავშირებულობათა გათვალისწინებით; სემანტიკის თეორია იკვლევს ენობრივ გამოსახულებათა მნიშვნელობის შინაარსს. ცხადია, რომ მხოლოდ ფონეტიკისა და სინტაქსის თეორია წარმოადგენს თვითკმარ ლინგვისტურ თეორიებს, მაშინ როცა სემანტიკის თეორია არ შეიძლება სრულყოფილად განხორციელდეს ლინგვისტის განწყობაში. ე.ი. პრაგმატული ასპექტების არგათვალისწინების გზით.

(დ) *კონკრეტული მეტყველებამქმედანი წინადადებათა ნებისმიერ მეტყველებამოქმედებებში მოთავსების საპირისპიროდ.* ემპირული პრაგმატიკის ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ დესკრიციულად გაიგოს განსაზღვრული გარემოს სიტუაციებისთვის ტიპური მეტყველებამოქმედებანი; — იმ გარემოსი, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება გაანალიზებული იქნეს სოციოლოგიური, ეთნოლოგიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. ზოგადი პრაგმატიკის თეორიას, პირიქით, საქმე აქვს წესთა სისტემასთან, რომელიც საფუძვლად უდევს სუბიექტის უნარს, *რომელიმე* სიტუაციაში წინადადებების გამოთქმისა. ამრიგად, უნივერსალური პრაგმატიკა აყენებს პრეტენზიას, რეკონსტრუირება უყოს მოზრდილი მოლაპარაკის უნარს, წინადადებები ისე ჩააჯინოს რეალობისმიმართებებში, რომ მათ შეძლონ გამოკითხვის, თვითგამოსახვისა და ინტერპერსონულ ურთიერთობათა წარმოების პრაგმატულ ფუნქციათა აღება. სხვათა შორის, ეს კომუნიკაციური კომპეტენცია გამოიხატება იმ მოღვაწეობებში, რომლებიც ჰერმენევტიკის ხელოვნებისდაუფლების სახით სტილიზებას ახდენენ; სახელდობრ — იმაში, რომ ერთი და იმავე ენის შიგნით გამოთქმათა პარაფრაზირება კონტექსტებში იდენტურ გამოთქმათა საშუალებით მოხდეს ანდა უცხოენობრივი გამოთქმები მსგავს კონტექსებში ითარგმნოს.

(ე) *უნივერსალურპრაგმატული ასპექტები.* ეს სამი საყოველთაო პრაგმატული ფუნქცია: რაღაც წინადადების საშუალებით გამოისახოს, მოლაპარაკის ინტენცია გამოიხატოს და მოლაპარაკესა და მსმენელს შორის ინტერპერსონული მიმართება აწარმოოს, საფუძვლად უდევს ყველა იმ ფუნციას, რომელიც შესაძლოა, გამოთქმამ განსაკუთრებულ კონტექსტებში შე-

ასრულოს. ამ ფუნქციათა შესრულება შეეზომება ჭეშმარიტების, გულწრფელობისა და სისწორის უნივერსალური მნიშვნელოვნების პირობებს. ისე რომ შეიძლება თითოეული მეტყველება-მოქმედების განხილვა შესაბამისი ანალიტიკური თვალსაზრისით. მარტივი წინადადებების თეორია პროპოზიციურ შინაარსს გამონათქვამის ფორმალურ-სემანტიკური თვალსაზრისებით იკვლევს; ინტენციური გამოსახულების ოდნავ დამუშავებული თეორია მოლაპარაკეზე დამოკიდებულ ინტენციურ შინაარსს იკვლევს სუბიექტურობასა და ენობრივ ინტერსუბიექტურობას შორის მიმართების თვალსაზრისით; დაბოლოს მეტყველებითი აქტის თეორია ილოკუციურ ძალას იკვლევს ინტერპერსონალურ ურთიერთობათა წარმოების ინტერაქციონალისტური ანალიზის თვალსაზრისით. ქვემორე დიაგრამა გადმოსცემს ზემოთდასახელებულ სემიოტიკურ განსხვავებულობებს;

ცხრ. 13. ანალიტიკური სიბრტყეები

ლინგვისტიკა	წინადადებები
გრამატიკა	კერძო ენის წინადადებები
გრამატიკული თეორია	ნებისმიერ ენაში წინადადებათა წარმოქმნის წესები
ლინგვისტური ანალიზის ასპექტები	
ფონეტიკის თეორია	(ხმოვანი) ჩანაწერები
სინტაქსის თეორია	სინტაქსური წესები
სემანტიკის თეორია	ლექსიკალური ერთეულები
პრაგმატიკა	მეტყველება-მოქმედებანი
ემპირული პრაგმატიკა	სიტუაციებისთვის ტიპიური მეტყველებაქმედებანი
უნივერსალური პრაგმატიკა	ნებისმიერ მეტყველება-მოქმედებებში წინადადებათა ჩასმის წესები.
უნივერსალურ პრაგმატული ანალიზის ასპექტი	
მარტივი წინადადების თეორია	იდენტიფიკაციისა და პრედიკაციის აქტები
ინტენციური გამოსახულების თეორია	ინტენციათა ენობრივი გამოხატვა
ილოკუციურ აქტთა თეორია	ინტერპერსონალურ ურთიერთმიმართებათა წარმოება.

კომუნიკაციური ქმედების თეორიისათვის ცენტრალურია მესამე ასპექტი; სახელდობრ – ინტერპერსონალურ ურთიერთობათა წარმოება. ამიტომ მე თავდაპირველად დავემყარები მეტყველების აქტის თეორიას.

2. მეტყველების აქტის სტანდარტული ფორმა — გამოხატვადობის სერლისეული პრინციპი

მეტყველებითი აქტის თეორიის ბირთვი არის ენობრივ გამოთქმათა პერფორმაციული სტატუსის განმარტება. საზრისი, რომლითაც მე შემიძლია მეტყველების აქტებში წინადადებათა გამოთქმა, ოსტინმა გაანალიზა როგორც მეტყველება-მოქმედებათა *ილოკუციური ძალა*. შეპირების ანდა მტკიცების გინა გაფრთხილების გამოთქმით, შესაბამის წინადადებებთან ერთად მე ამავე დროს მოქმედებას ვასრულებ. მე ვცდილობ, შეპირება *მივცე*, მტკიცება *წამოვაყენო*, გაფრთხილება *შევთავაზო*; რაღაცის თქმით რაღაცას ვაკეთებ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სიტყვათხმარების სხვა მოდუსები – ოსტინი სხვათა შორის ახსენებს „ლექსების წერასა" და „ანეგდოტების მოყოლას" –, მაინც რეკომენდირებულია მარტივი შემთხვევებიდან ამოსვლა. თითოეული გამოთქმა – მოცემულ სიტუაციაში რომ გასაგები იყოს –, სულ ცოტა, იმპლიციტურად მაინც უნდა აწარმოებდეს მოლაპარაკესა და მის პარტნიორს შორის განსაზღვრულ *მიმართებას* და მას უნდა გამოხატავდეს. ჩვენ ასევე შეგვიძლია ვთქვათ, მეტყველებამოქმედების ილოკუციური ძალა იმაში მდგომარეობს, რომ დაადგინოს გამოხატული შინაარსის საზრისი.

მაგრამ გამოთქმის[1] შინაარსსა და მიმართებითს ასპექტს შორის წინადწინითს განსხვავებას, უწინარეს ყოვლისა, ტრივიალური მნიშვნელობა აქვს. იგი ნიშნავს, რომ გამოთქმასთან ერთად მოხმარებული წინადადება კონტექსტში ჩაისმება და განსაზღვრულ ინტერაქციულ მიმართებაში მოთავსდება. თითოეული ექსპლიციტურად პერფორმაციული გამოთქმა გარკვეულწილად ერთსა და იმავ დროს *აწარმოებს* და *გამოხატავს* კიდეც, სულ ცოტა, ორ ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტს შორის ინტერაქციის მიმართებას. ეს მდგომარეობა მანამაა ტრივიალური, ვიდრე ჩვენ მიმართებითი ასპექტით ერთმანეთისგან მხოლოდ და მხოლოდ მეტყველების გამოთქმითს მახასიათებელსა და მეტყველების შინაარსს ვმიჯნავთ. მეტყველებითი აქტის ილოკუციურ ძალაში რომ სხვა არაფერი იგულისხმებოდეს, მაშინ ცნება „ილოკუციური" უკიდურეს შემთხვევაში იმ ფაქტის განმარტებას შეგვაძლებინებდა, რომ ენობრივ გამოთქმებს მოქმედებათა ქარაქტერი აქვთ, გინა ისინი მეტყველება-მოქმედებებს წარმოადგენენ. მაგრამ ამაში არ შეიძლება იყოს ცნების არსი. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ეს არსი მეტყველების აქტთა თავისებურ გენერაციულ ძალაში ძევს. ამ გენერაციული უნარით ვხსნი მე

[1] P.Watzlawick, J.H.Beavin, D.D.Jackson, Pragmantics of Human Bommunication, New York 1967 (dt. München 1970).

იმას, რომ მეტყველების აქტი შეიძლება გამოგვიყიდეს (და არ გამოგვიყიდეს). ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ მეტყველების აქტი გამოვიდაო, თუ მოლაპარაკესა და მსმენელს შორის სწორედ რომ ლაპარაკის მიერ ინტენდირებული მიმართება ხორციელდება და თუ მსმენელს ძალუძს მოლაპარაკის მიერ გამოთქმული შინაარსის გამოყენების მინიშნებული მნიშვნელობით – მაგალითად შეპირებად, მტკიცებად, რჩევად და ა.შ. – გაიგოსა და მიიღოს. ამრიგად, გენერაციული ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მოლაპარაკე მეტყველების აქტის შესრულებებისას იმგვარად ზეგავლენას ახდენს მსმენელზე, რომ მასთან ინტერპერსონალურ ურთიერთობას აბამს.[1] მაგრამ ინტერპერსონალურ ურთიერთობას აწარმოებსო ამის თქმა მაინც *თითოეული* ინტერაქციისთვის შეგვიძლია და არა მეტყველება-მოქმედებისთვის. კომუნიკაციური მოქმედებანი – სულერთია ისინი იმოსავენ თუ არა ექსპლიციტურად ენობრივ ფორმას – დამოკიდებულნი არიან მოქმედებათა ნორმებისა და ღირებულებების კონტექსტზე. ჩვევების, როლების, სოციოკულტურულად შეთვისებულ ცხოვრების ფორმათა ნორმატიული ფონის – მოკლედ რომ ვთქვათ – კონვენციათა გარეშე, ცალკეული მოქმედება ბუნდოვანი დარჩებოდა. ყველა კომუნიკაციური მოქმედება ასრულებს ანდა არღვევს ნორმატიულად ხელშეკრულებით დადგენილ სოციალურ მოლოდინებსა თუ კონვენციებს. მოქმედებით კონვენციის შესრულება იმას ნიშნავს, რომ ენად მოქმედება-შემძლე სუბიექტი, სულ ცოტა, მეორე სუბიექტთან ინტერპერსონალურ ურთიერთობას აბამს. ამიტომ ინტერპერსონალური ურთიერთობა ის კრიტერიუმია, რომლის შერჩევა არ არის საკმარისი ჩვენი მიზნისთვის. მე ჯერ ისევ დასაწყისში აღვნიშნე, რომ მსურდა ენობრივად ექსპლიციტური ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების პარადიგმატულ შემთხვევათა ანალიზით შემოვფარგლულიყავი. ახლა საჭიროა უფრო გამოწვლილვით შევეხო ამ გამიჯვნას. ამასთანავე, ჩვენ შეგვიძლია ამოვიღეთ სტანდარტული მაგალითებიდან, რომლებზე დაყრდნობითაც იქნა დამუშავებული მეტყველების აქტის თეორია. მეტყველების აქტებს გერმანულში შემდეგი ტიპიური ფორმა აქვს:[2]

---

[1] *კომუნიკაციის თეორია*, რომელმაც ხამს რეკონსტრუქცია უყოს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ ქმედებას, ანალიზის ბაზისურ ერთეულად მოითხოვს არა უპირობოდ მეტყველებამოქმედებათა დამატებითს წყვილს ე.ი. – ურთიერთშორის შესრულებულსა და მიღებულ მეტყველებამოქმედებებს, არამედ, უკიდურეს შემთხვევაში, მოითხოვს მოლაპარაკის გამოთქმას, რომელიც, სულ ცოტა, მეორე ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტისთვის არათუ *გასაგები*, არამედ *მისაღები* იქნება.

[2] დ. ეუნდერლიხი, „მეტყველება-მოქმედებათა კონვენციურობისათვის" წიგნში: ეუნდერლიხი (გამომც.), ლინგვისტური პრაგმატიკა, ზემოთ ციტირებული, გვ. 16; იქვე იხილეთ სტანდარტული ფორმის ლინგვისტურ დახასიათებას, რომელსაც მე გამოწვლილვით არ ვეხები. შეად. აგრეთვე, ეუნდერლიხის მიერ რჩევის ანალიზს; წიგნში: ეუნდერლიხი, საფუძვლები, ზემოთ ციტირებული, გვ. 349 და შემდგომ.

„მე. . . შენ, რომ . . .“
ზმნა წინადადება
მაგ. „მე შენ გპირდები (ამით), რომ ხვალ მოვალ“

ტერმინოლოგიურად მე შემდეგ დებულებებს დავემყარები; *ექსპლიციტური მეტყველება-მოქმედება* თავისი ზედაპირული სტრუქტურით აკმაყოფილებს *სტანდარტულ ფორმას* თუ იგი შედგენილია *ილოკუციური და პროპოზიციონალური* შემადგენელი ნაწილებიდან. ილოკუციური შემადგენელი ნაწილი მდგომარეობს ილოკუციურ აქტში, რომელიც სრულდება პერფორმაციული წინადადების დახმარებით. ეს წინადადება შედგენილია პოზიტიური ფორმის აწმყო თხრობითში და ლოგიკურ სუბიექტად შეიცავს 1. პერსონას და ლოგიკურ (პირდაპირ) დამატებად – 2. პერსონას; პერფორმაციული გამოთქმის დახმარებით შექმნილი პრედიკატი, საზოგადოდ, უშვებს ნაწილაკს „ამით.“[1] ეს პერფორმაციული შემადგენელი ნაწილი საჭიროებს პროპოზიციური შემადგენელი ნაწილით შევსებას, რომელიც შექმნილია პროპოზიციური *შემცველობის მქონე* წინადადების დახმარებით. პროპოზიციური შემცველობის წინადადება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იძენს *თხრობითი წინადადების* ფორმას, როცა იგი მდგენელ მეტყველების აქტებში გამოიყენება. მარტივი პრედიკატული თხრობითი წინადადება შეიცავს (ა) *სახელს ანდა აღმნიშვნელ გამოსახულებას* რომლის დახმარებითაც მოლაპარაკე აღნიშნავს საგანს, რომლის შესახებ მას რაღაცის გამოთქმა უნდა და – (ბ) პრედიკატულ გამოსახულებას იმ ზოგადი განსაზღვრებისთვის, რომელიც მსმენელს სურს მიაწეროს ანდა ჩამოაწეროს საგანს. არამდგენ მეტყველების აქტებში პროპოზიციური შემცველობა კი არ გამოითქმება, არამედ მხოლოდ *გაკვრით მოიხსენიება* და ამასთანავე „პროპოზიციური შემცველობა“ ემთხვევა იმას, რაც „unasserted proposition“-ად* იწოდება. (ამრიგად, მე ერთმანეთისგან ვანსხვავებ ნორმალიზირებულ წინადადებას „რომ p“, რომელიც გამოხატავს საქმის ვითარებას და „p“ თხრობითს წინადადებას, რომელიც გადმოსცემს ფაქტს და თავის ასერტორულ უნარს იმ გარემოებას უმადლის, რომ იგი ყოველთვის მტკიცების ტიპის მეტყველება-მოქმედებაშია ჩასმული ე.ი. დაკავშირებულია მტკიცების ილოკუციონალურ აქტთან. მაგრამ ფორმალურ ლოგიკაში ჩვენ თხრობითს წინადადებებს ავტონომიურ ერთეულებად განვიხილავთ; მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ჩვენ აქ „p“-ს „რომ p“-დან განსხვავებით ჭეშმარიტების ღირებულებას ვუხამებთ, შეგვახსე-

[1] გამონაკლისს წარმოადგენენ რეპრეზენტაციული მეტყველების აქტები, რომლებიც — როცა ისინი ექსპლიციტურნი არიან – ნეგატიურ ფორმასაც ღებულობენ ხოლმე: „მე არ მინდა შენ (ამით) დაგიმალო, რომ ... “

* „არამტკიცებითი წინადადება“ – მთარგმ. შენიშვნა

ნებს მდგენელ მეტყველების აქტში გამოთქმის ჩასმულობას, რომელსაც ფორმალური ლოგიკა უგულვებელყოფს).[1]

მეტყველება-მოქმედებებს, რომელთაც აქვთ ზემოთ ხსენებული სტრუქტურა, მე პროპოზიციურად გათვითმყოფებულ მეტყველება-მოქმედებებს ეუწოდებ. ისინი განსხვავდებიან სიმბოლურად გაშუალებული ინტერაქციებისაგან, მაგ. იმ დამატებითი მოქმედებებიდან, რომლებიც როგორც სამაშველო აქციები ანდა თავის შველის რეაქციები მოსდევს შეძახილს: „ხანძარია", პროპოზიციურად გათვითმყოფებული *მეტყველება-მოქმედებები* იმით განსხვავდებიან, რომ მეტყველების პროპოზიციური შემადგენელი ნაწილი გათიშულია ილოკუციური აქტისაგან, ისე რომ ა) ცვლადი ილოკუციური პოტენციალისას ხდება გამონათქვამის შინაარსის უცვლელად შენარჩუნება და ენის ჰოლისტური მოდუსი, რომელშიც ჯერ ისევ ერთიანობაშია ქცევის მოლოდინი, გამოსახულება და გამოთქმა, შეიძლება მოწყვეტილი იქნას ენის დიფერენციალური მოდუსებისაგან ამას მომდევნო ნაკვეთში მივუბრუნდები. აქ მხოლოდ იმის დადგენაა საკმარისი, რომ მეტყველების დიფერენცირების ეს დონე იმის პირობას წარმოადგენს, რომ მოქმედებამ შეასრულოს გამოსახვის ფუნქციები. ე.ი. რაღაც გამოთქვას სამყაროს შესახებ, იქნება ეს პირდაპირ, გამონათქვამის სახით, თუ – გადაკვრით პროპოზიციური შემცველობის მხოლოდღა მოხსენიების საშუალებით.

ექსპლიციტურ მეტყველება-მოქმედებებს ყოველთვის აქვთ პროპოზიციური შემადგენელი ნაწილი, რომელშიც გამოიხატება გამოცდილება ანდა საქმის ვითარება, ამიტომ მათ არ ძალუძთ გამოსახვის ფუნქციათა შესრულება. მე რომ სათანადო ჟესტით ტაქსს ვიძახებ, რათა დი-

---

[1] მე ეუხეევ ფართოდ გავრცელებულ ჩვეულებას და არ მივიჩნევ გონიერულად იმგვარად განვასხვაო ერთმანეთისაგან მტკიცებათა შესახებ გამონათქვამები, რომ გამონათქვამი სწორედ მისი მტკიცებით ისმება განსაზღვრულ მეტყველებითს სიტუაციაში, მაგრამ ისე რომ ამით იგი არ იძენს თავის ასერტორულ უნარს. პირიქით, მე მიმაჩნია, რომ გამონათქვამის ასერტორული უნარის რეკონსტრუირება არ შეიძლება სხვანაირად თუ არა მნიშვნელოვნების იმ პრეტენზიაზე დაყრდნობით, რომელსაც რომელიმე კომპეტენტური მოლაპარაკე თავისი იმ გამონათქვამისთვის წამოაყენებს ხოლმე, რომელსაც ამტკიცებს. შესაძლებელია თუ არა საჭიროების შემთხვევაში ამ პრეტენზიის დისკურსული შესრულება ე.ი. იმის დადგენა, ეარგებულია (ჭეშმარიტი) თუ არა იგი, დამოკიდებულია იმაზე, აკმაყოფილებს თუ არა იგი ადეკვატურობის განსაზღვრულ პირობებს. მართალია, ჩვენ შეგვიძლია გამონათქვამები მონოლოგურად ე.ი. მოლაპარაკეზე მიმართების უქონელ, ჭეშმარიტების აბსტრაქტული ღირებულების მქონე სიმბოლურ გამოსახულებად განვიხილოთ; მაგრამ ასეთს შემთხვევაში ჩვენ აბსტრაპირებას ვეწევით სწორედ იმ მეტყველების სიტუაციიდან, რომელშიც გამონათქვამის შინაარსი – იმ გარემოების წყალობით, რომ იგი მტკიცებული იქნება გამონათქვამად – რეალობაზე მიმართულობას იძენს. ე.ი. ასრულებს ჭეშმარიტად ანდა ყალბად ყოფნის წანამძღვარს. მაგრამ ეს აბსტრაქცია თავისთავად იმდება (ხოლო ლოგიკისათვის ხშირად იგი ფარული რჩება), რადგან მოლაპარაკის მიერ წამოყენებული პრეტენზია უნივერსალისტურია ე.ი. სწორედ იმაზე დაიყვანება, რომ – მიუხედავად მისი მხოლოდ განსაზღვრულ სიტუაციაში წამოყენებისა – დროის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი იყოს მისი დაცვა ვინმეს მხრივ მასში ეჭვის შეტანიდან.

ლის რვა საათზე ბიუროში მუშაობას შეეუდგე; ცუდ სასკოლო ნიშნებზე რომ მამის იჭვნეული მზერით ვრეაგირებ, დემონსტრანტთა ნაკადს რომ ვუერთდები, არ მისელით რომ მიპატიჟების ჩემთვის მიულებლობას გამოვხატავ, გამოცდა-ჩაბარებულ კანდიდატს რომ მაგრად ვართმევ ხელს და ა.შ., მე ვიცავ ან ვარღვევ კონვენციებს. რა თქმა უნდა, ნორმატიული მოლოდინები პროპოზიციური შინაარსის მქონენი არიან, მაგრამ პროპოზიციური შინაარსი მონაწილესათვის უკვე უნდა იყოს ცნობილი როცა ხამს, გამოხატული ქცევები გაგებული იქნას როგორც სამსახურის დაწყება, როგორც მამის რეაქცია, როგორც დემონსტრაციაში მონაწილეობა, ერთი სიტყვით – როგორც მოქმედება. თვითონ არავერბალურ გამოხატვას არ ძალუძს დაწანამძღვრებული ნორმის პროპოზიციური შედგენილობის გამოთქმა, რადგან მას არ შეუძლია გამოსახვის ფუნქციათა შესრულება; მაგრამ შეიძლება იგი გაგებული იქნას ინდიკატორად, რომელიც გვახსენებს დაწანამძღვრებული ნორმის პროპოზიციურ შემცველობას.

პროპოზიციურად გათვითმყოფებული მეტყველე-მოქმედებანი თავიანთი გამომსახველობითი ფუნქციის გამოისობით ნორმათა მიყოლისას ფორმათქმნადობის ძალიან დიდ თავისებურებას იძლევიან. სამსახურის დაწყება დილის რვა საათზე მხოლოდ ერთი არჩევანის საშუალებას უშვებს, – გამოცხადებისა თუ არ გამოცხადების; გამოცხადების შემთხვევაში: – ზუსტად დროზე მისელისა თუ დაგვიანებისა; გამოუცხადებლობის შემთხვევაში: საპატიოდ თუ არასაპატიოდ არ მისელა და ა.შ. არავერბალური მოქმედებანი ხშირად ამგვარად განტოტვილ ჰო–არა — გადაწყვეტილებების რეზულტატებს წარმოადგენენ. მაგრამ როცა მოლაპარაკე სათქმელს ვერბალურად გამოხატავს, იგი ალტერნატიულებით დახუნძლულ სიტუაციაში იმყოფება. მას შეუძლია ერთი და იგივე მეტყველებითი აქტი მაგ. ბრძანება, ძალზე ურთიერთგანსხვავებულად გამოთქვას; მას ძალუძს როლის ერთი და იგივე სეგმენტი, მაგ. – ინგლისურის მასწავლებლისა, რომელიც კლასში დიქტანტს ატარებს, ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული მეტყველებითი აქტებით შეასრულოს. ერთი სიტყვით, პროპოზიციურად გათვითმყოფებული მეტყველება მოქმედ სუბიექტს აღიარებულ ნორმატიულ ფონთან მიმართებაში თავისუფლების უფრო დიდ ხარისხს ანიჭებს ვიდრე არაენობრივი ინტერაქცია.

მაგრამ პროპოზიციურად გათვითმყოფებულ გამოთქმებს არასგზით არა აქვს ყოველთვის ენობრივი ფორმა, როგორც გვიჩვენებს გრამატიკალიზებული ნიშანთა ენა – მაგ. სტანდარტიზირებული ყრუმუნჯთა ენა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამომხატველი ჟესტების მოხსენიებაც, რომლებიც წარმოადგენენ რეფერენციალური გამოყენების ეკვივალენტს, რანიც განასრულებენ პროპოზიციურ მეტყველებას. მეორე მხრივ, არსებობენ ისეთი მეტყველება-მოქმედებანი, რომლებიც არ არიან

პროპოზიციურად გათვითმყოფებულნი, სახელდობრ ისეთი ილოკუციურად შემოკლებული მეტყველება-მოქმედება როგორიცაა „ჰელოუ" როგორც მისალმების ფორმულა ანდა „შახი" და „მატი" როგორც თამაშის სვლათა და მათი შედეგების პერფორმაციული გამოსახულებანი. ის გარემოება, რომ მათ აკლიათ პროპოზიციური კომპონენტი, ამ ვერბალურ გამოთქმებს იმავე საფეხურზე ათავსებს, რომელზეც ნორმალური არაენობრივი მოქმედებები იმყოფებიან, რომლებიც მართალია, ეხებიან დაწანამძღვრებულ პროპოზიციურ შინაარსს, მაგრამ მას არ გადმოსცემენ.

ანალიზის ერთეულთა გამიჯვნისკენ პირველ ნაბიჯად იმ კომუნიკაციურ მოქმედებათა სიმრავლიდან, რომლებიც ეფუძნებიან ურთიერთშორის წამოყენებულ და აღიარებულ მნიშვნელოვნებათა პრეტენზიების კონსენსუელურ საფუძველს, შეგვიძლია განვსაზღვროთ *პროპოზიციურად გათვითმყოფებულ მეტყველება-მოქმედებათა* გარკვეული სიმრავლე. მაგრამ ეს განსაზღვრებაც სელექციურად საკმარისი არ არის. ვინაიდან ამგვარ გამოთქმათა შემადგენლობაში შედიან ისეთი მეტყველების აქტები როგორიცაა „დანაძლევება", „ნათლობა", „ხელდასხმა" და ა.შ. მიუხედავად მათი პროპოზიციურად გათვითმყოფებული შედგენილობისა (დანაძლევება ...თვის, მონათვლა ...ად, ხელდასხმა ....ად) ეს გამოთქმები მხოლოდ ერთ ინსტიტუტთან (ანდა ინსტიტუციათა მჭიდროდ შემოწერილ კლასთან) არიან დაკავშირებულნი და ამიტომ შეიძლება იმ მოქმედებათა ეკვივალენტებად ჩაითვალონ, რომლებიც შემოკლებით ახრულებენ დაწანამძღვრებულ ნორმებს სულერთია. ამ შესრულებას არაენობრივი სახე ექნება თუ ილოკუციური. ამ მეტყველების აქტთა *ინსტიტუციონალური* დაკავშირებულობა, სხვათა შორის, იმაშიც იჩენს თავს, რომ ნებადართული პროპოზიციური შინაარსები მჭიდროდ არის ზღვარდადებული ნიძლავის, ნათლობის, დანიშვნის, ჯვრის წერის და ა.შ. ნორმატიული საზრისით: ენიძლავებიან ჯილდოს გულისთვის, ანათლებენ სახელს, ნიშნავენ თანამდებობაზე, ჯვარს წერენ წყვილებს და ა.შ. ინსტიტუციონალურად დაკავშირებული მეტყველება-მოქმედებისთვის ყოველთვის განსაზღვრული ინსტიტუტებია მოცემული; ხოლო ინსტიტუციონალურად დაუკავშირებელი მეტყველება-მოქმედებისთვის მოცემულია მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტთა საყოველთაო პირობები, რომლებიც აუცილებელია ტიპიურად შესრულდნენ, რათა შესაბამისი აქტი გამოვიდეს. ინსტიტუციონალურად დაკავშირებული მეტყველება-მოქმედებანი ისევე უშუალოდ გამოხატავენ განსაზღვრულ ინსტიტუციას როგორც პროპოზიციურად გაუთვითმყოფადებელი არავერბალური მოქმედებები – წინასწარ ნაგულისხმებ ნორმას. იმის განსამარტავად, თუ რას გულისხმობენ ნიძლავის ანდა ნათლობის აქტები, უნდა შევეხო ნიძლავის ანდა ნათლობის ინსტიტუციას. საპირისპიროდ ამისა, ბრძანება ანდა რჩევა ან შეკითხვა არ წარმოადგენს ინსტიტუციებს, არამედ

ისინი არიან მეტყველება-მოქმედების ისეთი ტიპები, რომლებიც ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავებულ ინსტიტუტებს ეხამებიან. „ინსტიტუციონალური დაკავშირებულობა" დასტურ არის ისეთი კრიტერიუმი, რომელიც თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში არ იძლევა არაორაზროვანი კლასიფიკაციის ნებას: ბრძანებები ყველგან შეიძლება არსებობდნენ, სადაც კი ინსტიტუციონალიზებულია აუტორიტეტული მიმართულებანი. დანიშნები წინასწარ გულისხმობენ სპეციალურ, სახელდობრ – ბიუროკრატულად ფორმირებულ თანამდებობრივ ორგანიზაციებს; ქორწინებაც კი ერთადერთ ინსტიტუციას მოითხოვს (რომელიც, თავის მხრივ, უნივერსალურადაა გავრცელებული). მაგრამ ეს ვითარება ვერ აუფასურებს ანალიტიკური თვალთახედვის გამოსადეგობას. ინსტიტუციონალურად დაუკავშირებელი მეტყველება-მოქმედებანი (რამდენადაც მათ საზოგადოდ აქვთ რეგულაციური საზრისი) ემყარებიან მოქმედების ნორმათა ზოგად ასპექტებს; მაგრამ ისინი არ არიან განსაზღვრული გარკვეული ინსტიტუტებით.

ჩვენ შეგვიძლია სასურველ ანალიტიკური ერთეულებად ახლა *პროპოზიციურად გათვითმყოფებული და ინსტიტუციონალურად დაუკავშირებელი მეტყველება-მოქმედებები განვსაზღვროთ.* მაგრამ ანალიზისთვის მხოლოდ ის მეტყველება-მოქმედებები გამოდგებიან, რომლებიც *ექსპლიციტურად ენობრივ* ფორმას იმოსავენ. მაგრამ ხშირად კონტექსტი, რომელშიც მოთავსებულია მეტყველება-მოქმედება ზედმეტს ხდის ენობრივ სტანდარტულ ფორმებს მაგ.;

– როცა პერფორმაციული საზრისი მხოლოდ და მხოლოდ გამოთქმის კონტექსტითაა განსაზღვრული;

– როცა პერფორმაციული საზრისი მხოლოდ მინიშნებულია ე.ი. გამოთქმულია ინტონაციით ანდა პუნქტუაციით, სიტყვათა წყობით ან ისეთი ნაწილაკებით როგორიცაა: განა არა? – ანდა? – აბა – აკი – ნათელია - მაინც და ა.შ.

– დაბოლოს, სტანდარტული ექსპლიციტური მეტყველება-მოქმედებიდან გამორიცხული უნდა იქნენ ისეთი მეტყველების აქტები, როლმებიც სხვადასხვა მნიშვნელობის კონტექსტებში გვხვდება. ამგვარი რამ ყოველთვის მხოლოდ მაშინ ხდება, როცა კონტექსტზე დამოკიდებული პრაგმატული მნიშვნელობა უხვევს მეტყველების აქტში გამოყენებულ წინადადებათა მნიშვნელობიდან (და კონტექსტის მითითებული საყოველთაო პირობებიდან, რომელთა შესრულება აუცილებელია მეტყველება-მოქმედების შესაბამისი ტიპისათვის): ეს მოთხოვნა ითვალისწინებს სერლის „გამოხატვადობის პრინციპს". პრინციპში შესაძლებელია, რომ თითოეული მეტყველების აქტი, რომელსაც ახორციელებენ ანდა რომლის შესრულება შეიძლება, ცალსახად განისაზღვროს კომპლექსური წინადადების საშუალებით, საკმარისია ოდენ

იმის დაშვება, რომ მოლაპარაკე ზუსტად, ექსპლიციტურად და ზედმიწევნით გამოხატავს თავის ინტენციას.

კანგისერმა ეს პრინციპი შემდეგი ფორმით ჩამოაყალიბა: „თითოეული x მნიშვნელობისთვის ძალაშია: თუ S მოლაპარაკისთვის არსებობს p ენობრივი თემი, რომელიც x-ს გულისხმობს, მაშინ შესაძლებელია რომ იმ ენაზე, რომელზეც p-ში მეტყველებენ, არსებობდეს გამოთქმა, რომელიც არის ზუსტი გამოხატულება x –ისა."[1] ჩვენს კონტექსტში ეს პოსტულატი შეიძლება ასეთი შესუსტებული სახით გამოიხატოს, რომ მოცემულ ენაში თითოეული ინტერპერსონული მიმართებისთვის, რომელსაც მოლაპარაკე ექსპლიციტურად დაამყარებდა მისივე ენობრივი თემის სხვა შედეგრებთან, ან მზამზარეულად არის მოცემული შესაბამისი პერფორმაციული გამოსახულება ანდა საჭიროების შემთხვევაში არსებულ გამოსახულებთა სპეციფიკაციის გზით მოიპოვება ან ახალი გამოსახულების შემოტანა ხდება. ამ მოდიფიკაციებით გათვალისწინებულია ის ეჭვი, რომელიც სერლის პრინციპის წინააღმდეგ გამოითქვა.[2] ეერისტიკული საზრისი ისედაც ცხადია: თუკი მართებულია გამოხატვადობის პოსტულატი, მაშინ ანალიზი შეიძლება შემოიფარგლოს სტანდარტული ფორმის ინსტიტუციონალურად დაუკავშირებელი ექსპლიციტური მეტყველება-მოქმედებებით.

ქვემორე დიაგრამა აჯამებს იმ თვალსაზრისებს, რომელთა მიხედვითაც მე ანალიზთა საფუძველმდებარე მეტყველების აქტთა კლასები გავმიჯნე:

მე არ განმიმარტავს კომუნიკაციურ („ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ") ქმედებათა ჩადება მოქმედების სხვა ტიპებში. მე მგონია, რომ სტრატეგიული ქმედება (მაგ. სატურნირო ქცევები, სამხედრო თამაშობანი და საზოგადოდ, მოქმედების ყველა ის სახეობა, რომლებიც შეესაბამებიან მიზანრაციონალური ქმედების უტილიტარისტულ ნიმუშს) ისევე როგორც (ჯერ ისევ საკმარისად გაუანალიზებელი) სიმბოლური ქმედება (მაგ. კონცერტის, ცეკვისა და საზოგადოდ მოქმედების ისეთი სახეობანი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სიმბოლური გამოსახულების არაპროპოზიციურ სისტემასთან) კომუნიკაციური ქმედებიდან იმით განსხვავდება, რომ შეჩერებულია მნიშვნელოვნების ცალკეული პრეტენზიები (გულწრფელობისა სტრატეგიული ქმედებისას; ჭეშმარიტებისა – სიმბოლური ქმედებისას).

---

[1] S. Kanngisser, „Aspekte zur Semantik und Pragmatik", in: Linguistische Berichte, H. 24, 1973, S. 1-28, hier S.5.

[2] Wünderlich, Grunlagen, a.a.O., S.337ff.

ცხრ. 14. მეტყველების აქტთა თეორიის ანალიტიკურ ერთეულთა დედუქცია



3. მეტყველების ორკეცი სტრუქტურისათვის

ახლა მე მინდა მივუბრუნდე იმ ნიშანდობლივ ორკეცსტრუქტურას, რომლის ამოკითხვაც შეიძლება მეტყველება-მოქმედებათა სტანდარტულ ფორმაში. ცხადია, რომ ორივე კომპონენტს როგორც ილოკუციურს, ისე პროპოზიციურს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვარირება ძალუძს. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, მეტყველების აქტთა სხვადასხვა ტიპებთან მიმართებაში, უცვლელად შევინარჩუნოთ ის პროპოზიციური შემცველობა, რომელიც მათში გვხვდება.

მტკიცებული გამონათქვამიდან გამოთქმის შინაარსის ამ აბსტრაქციაში გამოიხატება ჩვენი ენის ფუნდამენტური მოღვაწეობა. პროპოზიციურად გათვითმყოფებული მეტყველება ამით განსხვავდება სიმბოლურად გაშუალებული იმ ინტერაქციებისგან, რომლებიც უკვე პრიმატებში შეიმჩნევა.[1] ცვალებადი მოდუსებისას გამოთქმის შინაარსთა ინვარიანტულობის საილუსტრაციოდ შეიძლება ნებისმიერი მაგალითი მოვიყვანოთ; მაგალითად პროპოზიციური გამოთქმის „პეტერი ყალიონს ეწევა" ინვარიანტობა შემდეგი სახისაა:

„მე ვამტკიცებ, რომ პეტერი ყალიონს ეწევა."
„მე გთხოვ შენ (პეტერ), ყალიონი მოწიო!"
მე გეკითხები შენ (პეტერ), ეწევი ყალიონს?"
„მე გაფრთხილებ შენ (პეტერ), ყალიონი მოწიო" და ა.შ.

გენეტიკური პერსპექტივით გამონათქვამის შინაარსთა ინვარიანტობა მეტყველება-მოქმედებათა ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციისას წარმოგვიდგება როგორც *ილოკუციურ და პროპოზიციონალურ კომპონენტთა ერთმანეთისგან* განცალკავება. ეს ურთიერთგანცალკავება არის ენის ორკეცი სტრუქტურის გათვითმყოფადების ე.ი. კომუნიკაციის იმ ორი სიბრტყის ერთმანეთისაგან გათიშვის პირობა, რომლებზეც უნდა ურთიერთშეთანხმდენენ მოლაპარაკე და მსმენელი, თუკი მათ სურთ თავიანთ ინტენციათა ურთიერთგაზიარება. მე მინდა ერთმანეთისგან განვასხვავო ა) ინტერსუბიექტურობის სიბრტყე, რომელზეც მოლაპარაკე და მსმენელი ერთმანეთთან ურთიერთობას ილოკუციურ აქტთა მეშვეობით აბამენ, რაც მათ ნებას აძლევს, *ურთიერთშორის* თანხმობა ჩამოაგდონ; და ბ) *გამოცდილებათა* და *საქმის ვითარებათა* სიბრტყე, რომლის *თაობაზეც* მათ

---

[1] I.Dornbach, Primatenkommunikation, MS 1975. ხოლო ბავშვის ენობივ განვითარებაში მეტყველება-მოქმედების სხვადასხვა ტიპის შედარებით ადრეული დიფერენცირებისათვის. შეად. მ. მილერის ნოვატორული დისერტაცია: „ადრეული ენობრივი განვითარების ლოგიკა", დისერტაცია, ფრანკფურტი, 1975.

შეთანხმება (ა)-თი დადგენილი ფუნქციის საშუალებით უნდათ. მიმართების ასპექტსა და შინაარსობრივ ასპექტს, რომლითაც ხდება თითოეული გამოთქმის გაანალიზება, სტანდარტულ ფორმაში შეესატყვისება მეტყველების აქტის ილოკუციური და პროპოზიციური კომპონენტი. ილოკუციური აქტი განსაზღვრავს პროპოზიცონალური შემცველობის გამოყენების საზრისს და აქტის შემავსებელი ადგენს იმ შინაარსს, რაც განსაზღვრული კომუნიკაციური ფუნქციით გაიგება „როგორც რაღაც"...

პერმენევტიკული „როგორც"-ის დიფერენცირება ორივე კომუნიკაციური სიბრტყის მიხედვით შეიძლება. პროპოზიციის საშუალებით შესაძლებელია, იდენტიფიცირებადი საგანი, რომლის ეგზისტენციით დაშვებულია, პრედიკატულად განისაზღვროს „როგორც რაღაც" (მაგალითად როგორც „წითელი", „რბილი", „იდეალური" საგანი); თავის მხრივ, ეს პროპოზიციური შემცველობა შეიძლება ილოკუციურ აქტთან კავშირის გზით (გინა მეტყველების აქტში ჩასმით) გამოიხატოს „როგორც რაღაც". მართალია, ამ შემთხვევაში ჩვენ ისე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ილოკუციური „განსაზღვრების" შესახებ, როგორც წინა შემთხვევაში ვილაპარაკეთ პრედიკატულ განსაზღვრებაზე, მაგრამ მაშინ განსაზღვრება ეხება არა საგანს სამყაროში, არამედ მოდუსს, რომლითაც სამყაროში რაღაცის თაობაზე კომუნიკაცია მიიღწევა. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ილოკუციური გაგება პრედიკაციულიდან გავმიჯნოთ. ილოკუციურად ჩვენ გვესმის (დასაშვები) მცდელობა, წარმოებული იქნას ინტერპერსონული ურთიერთობა; ჩვენ იმდენად გვესმის სამყაროსადმი სპეციფიცირებული მიმართება, *რომელშიც* შეედივართ, რამდენადაც ძალგვიძს *იმაზე* დათანხმება, რომ ეს უნდა მივიღოთ როგორც მსმენელის მიერ სერიოზულად ნაგულისხმევი შემოთავაზება. პრედიკატულად, პირიქით, გვესმის გამოთქმის პროპოზიციური შინაარსი; ჩვენ გვესმის თუ რა ემართება საგანს მოლაპარაკისა და მსმენელის მიერ ერთობლივად კონსტიტუირებული სამყაროს ფარგლებში. შეიძლება ორივე შემთხვევაში ითქვას, რომ მსმენელი *რაღაცის გაგებას აღწევს*. მაგრამ პრედიკატულ გაგებას *რაღაცის თაობაზე* ურთიერთგაგებამდე (სამყაროში) მივყავართ, მაშინ როცა ილოკუციური გაგება სხვა სახის ურთიერთგაგებას აღწევს; იგი აღწევს *რაღაცისთვის* ურთიერთგაგებას; კერძოდ – ინტერპერსონალური ურთიერთობის (რომელიც სამყაროული მიმართება *არის*) მისაღებად.

მეტყველების ორკეც სტრუქტურასთან მჭიდრო კავშირშია ენის მთავარი ნიშანი; სახელდობრ – მისთვის შინაგანად დამახასიათებელი რეფლექსურობა. პირდაპირი და ირიბი მეტყველებით მოხსენიების

სტანდარტიზირებული შესაძლებლობანი მხოლოდ და მხოლოდ თავისთავთან თვითმიმართებითობის ექსპლიცირებას ეწევიან, რომელსაც იმთავითვე შეიცავს თითოეული მეტყველების აქტი. საუბრის თანამონაწილეებმა რომ მეტყველების ორკეცი სტრუქტურა დააკმაყოფილონ, მათ ორივე სიბრტყეზე ერთსადაიმავედროულად უნდა დაამყარონ კომუნიკაცია; მათ შინაარსის კომუნიკაცია კომუნიკაციური შინაარსის თაობაზე მეტაკომუნიკაციას უნდა გაუერთიანონ. მაგრამ გამოთქმამ „მეტაკომუნიკაცია" შესაძლოა თავგზა აგვიბნიოს, რადგან იგი ასოცირდება „მეტა-ენასთან" და გადაკვრით მიანიშნებს ენის საფეხურთა იდეალზე, რომლის მიხედვითაც თითოეულ, უფრო მაღალ საფეხურზე უნდა გაკეთდეს გამონათქვამები შესაბამისი უფრო დაბალი საფეხურის ობიექტთა ენის თაობაზე. ოღონდ ენათა იერარქიის კონცეპტი შემოტანილი იქნა ფორმალური ენებისათვის, რომლებსაც სწორედ რომ სალაპარაკო ენის რეფლექსურობა აკლია. გარდა ამისა, მეტაენაში ობიექტენას ყოველთვის მაობიექტივირებელი განწყობით მიემართებიან; იქმნება მეტაენობრივი გამოთქმები. საპირისპიროდ ამისა, მეტყველების მეტაკომუნიკაციურ სიბრტყეზე გამოთქმები აღარაა შესაძლებელი; აქ, პირიქით ხდება ილოკუციონერულ როლთა არჩევა, რომლებშიც ხამს გამოთქმის შინაარსის გამოყენება. პროპოზიციური შემცველობის მქონე წინადადების გამოყენების თაობაზე მეტაკომუნიკაცია მოითხოვს კომუნიკაციის თანამონაწილეთა პერფორმაციულ განწყობას. ამგვარად, ბუნებრივი ენის თავისებური რეფლექსურობა, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ორი რამის გაერთიანებას; ერთი ეს არის შინაარსის კომუნიკაცია, რომელიც მაობიექტივირებელ განწყობაში სრულდება და მეორე – მიმართების *იმ* ასპექტის თაობაზე მეტაკომუნიკაცია, რომელიც პრეფორმაციულ განწყობაში სრულდება და რომლითაც ხამს შინაარსის გაგება.

მაგრამ საუბრის თანამონაწილეებს ჩვეულებრივ ეძლევათ ხოლმე არჩევანი, თითოეული შესრულებული ილოკუციური აქტი უფრო მომცველი (მდგენელი) მეტყველებითი აქტის შინაარსად *გააგნობრივოს* მათ შეუძლიათ შესრულებულ მეტყველება-მოქმედების ილოკუციური კომპონენტისადმი მიმართებაში მაობიექტივირებელი პოზიცია დაიჭირონ და იგი პროპოზიციური შემცველობის სიბრტყეზე გადაიტანონ; მაგრამ ეს მოხდება ახალი მეტყველებითი აქტის შესრულებაში, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს არაგასაგნობრივებულ ილოკუციურ კომპონენტს. პირდაპირი და ირიბი მეტყველებითი მოხსენიებანი ეწევიან ექსპლიციტურად მოწყობილი რეფლექსურობის შესაძლებლობის სტანდარტიზებას. მეტაკომუნიკაცია, რომელიც t_n მეტყველების აქტში ინტერსუბიექტურობის სიბრტყეზე ხდება, აისახება t_{n+1} (მდგენელ) მეტყველების აქტში, რომელიც ხდება პროპოზიციური შედგენილობის სიბრ-

ტყეზე. მაგრამ შეუძლებელია, ილოკუციური აქტი *ერთსადაიმავდროულად* შესრულდეს და გასაგნობრივდეს კიდეც.[1]

ეს არჩევანი, სხვათა შორის, ზოგჯერ დესკრიპტივისტული ყალბი დასკვნის საბაბი ხდება, რომელსაც მსხვერპლად პრაგმატული თეორიებიც კი ეწირებიან ხოლმე. ენის სტრუქტურის გაანალიზება – ისე როგორც თითოეული საგნის სტრუქტურისა – ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მაობიექტივირებელი განწყობით ძალგვიძს. ამასთანავე, როგორც ვაჩვენეთ, არ შეიძლება ილოკუციური კომპონენტი, რომელსაც ყოველთვის შეიცავს იგი uno acto საგნად იქცეს. ეს გარემოება ენის ზოგიერთ თეორეტიკოსს აცდუნებს, გამოთქვას შეხედულება, რომ კომუნიკაციური პროცესები მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ სიბრტყეზე – კერძოდ კი შინაარსთა (ინფორმაციათა) გადატანის სიბრტყეზე მიმდინარეობენო. ამ თვალსაზრისით მიმართების ასპექტი შინაარსობრივ ასპექტთან მიმართებაში თვითმყოფადობას კარგავს. გამოთქმის კომუნიკაციურ როლს ერთმევა კონსტიტუციური მნიშვნელობა და იგი თავს მოეხვევა ინფორმაციის შემცველობას. გამოთქმის პრაგმატული ოპერატორი, რომელიც ფორმალიზირებულ გამოსახულებებში (მაგ. დეონტიურ ლოგიკაში) გამოსახულების ილოკუციურ კომპონენტს წარმოადგენს, აღარ განიმარტება პროპოზიციურ შემცველობათა *თაობაზე* ურთიერთგაგების განსაზღვრულ მოდუსად, არამედ იგი ინტერპრეტირდება გავრცელებადი ინფორმაციის ნაწილად.

მე არ მინდა აქ ყალბი დასკვნის გაანალიზება, არამედ მინდა მხოლოდ შედეგზე მივუთითო: რომ თეორეტიკულ საწყისში უგულვებელყოფილია მეტყველების ორკეცი სრტუქტურის კონსტიტუციური მნიშვნელობა. ნაცვლად ამისა, უნივერსალური პრაგმატიკის ამოცანას მე იმაში ვხედავ, რომ იგი ეწევა მეტყველების ამ ორკეცი სტრუქტურის რაციონალურ კვალადკონსტრუირებას. მეტყველებითი აქტის ოსტინისეულ თეორიაზე დაყრდნობით მე მინდა ეს ამოცანა, ზუსტად განვსაზღვრო მნიშვნელობისა(bedeutung) (4) და მნიშვნელოვნების (Geltung) (5) პრობლემად.

---

[1] გ. გრეენდორფი კონტრმაგალითად ასახელებს (წერილობით): ხელშეკრულების, შუამდგომლობის და ა.შ. ხელის მოწერისას ხდება შესაბამისი ილოკუციური აქტის იმავდროული გასაგნობრივება. მაგრამ ეტყობა, მხოლოდ შემდეგი ალტერნატივაა შესაძლებელი: ხელშეკრულების ხელის მოწერა ან სამართლებრივად სრულდება პერფორმაციული გამოთქმის დახმარებით – მაშინ ჩვენს წინაშე არ არის არანაირი გასაგნობრივება; ანდა ხელშეკრულების არავერბალურ ხელმოწერას თან ახლავს კონსტანტაცია იმისა, რომ „S ხელს აწერს x ხელშეკრულებას" – მაშინ საქმე ეხება ორ, პარალელურად შესრულებულსა და ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ილოკუციურ აქტს (ისე რომ საზოგადოდ როლების განაწილება ხდება ხოლმე: სახელმწიფო მოხელე ხელს აწერს, ხოლო რეპორტიორი გვატყობინებს ხელშეკრულების ხელის მოწერას).

4. მნიშვნელობის უნივერსალურ-პრაგმატული კატეგორიები

ოსტინის მიერ ლოკუციონური და ილოკუციონური აქტების დაპირისპირებით დაიწყო ფართო დისკუსია, რომლის დროსაც ახსნა-განმარტებანი გაკეთდა მნიშვნელობის თეორიის თაობაზეც. ოსტინმა ცნება „meaning" პროპოზიციური შემცველობის წინადადებათა მნიშვნელობას დაუნარჩუნა, მაშინ როცა ცნება „force"* მას სურდა მხოლოდ და მხოლოდ პროპოზიციური შემცველობის წინადადებათა გამოხატვის ილოკუციური აქტისთვის გამოეყენებინა. აქედან გამომდინარეობს შემდეგი შეხამებანი:

მნიშვნელობა – აზრი და აღნიშნული – ლოკუციონალური აქტი; ძალა – მცდელობა გაგების მიღწევისა – ილოკუციონური აქტი; ოსტინს უნდოდა იმაზე მიეთითებინა, რომ იდენტური პროპოზიციური შემცველობის წინადადებები სხვადასხვა ტიპის მეტყველების აქტებში ყოველთვის განსხვავებული ილოკუციური ძალითა თუ სხვადასხვა მოდუსით გამოიხატებიან, მაგრამ შემოთავაზებული განსხვავება მაინც არადამაკმაყოფილებელია. როცა „მნიშვნელობა" მხოლოდ და მხოლოდ წინადადების ლინგვისტურ მნიშვნელობად შემოაქვთ (ამასთანავე წინადადების მნიშვნელობა ესმით როგორც მისი სიტყვების მნიშვნელობათა ფუნქცია ანდა ფრეგითი სიტყვების მნიშვნელობანი გაგებულია როგორც წინადადების შესაძლო მნიშვნელობათა ფუნქციები), მაშინ მართებულად არ არის გაგებული, თუ რას ნიშნავს მეტყველების აქტთა პროპოზიციური კომპონენტით შემოფარგვლა. ცხადია მათს ილოკუციურ კომპონენტსაც აქვს ლინგვისტურად გაგებული მნიშვნელობა. ექსპლიციტურად პერფორმაციული გამოთქმის შემთხვევაში გამოყენებულ პერფორმაციულ ზმნას ლექსიკალური მნიშვნელობა აქვს, მისი დახმარებით შედგენილ პერფორმაციულ წინადადებას ისევე აქვს მნიშვნელობა, როგორც – მასზე დამოკიდებული პროპოზიციური შედგენილობის წინადადებას: რასაც ოსტინი გამოთქმის ილოკუციურ ძალას უწოდებს, მისი მნიშვნელობის ის ასპექტია, რომელსაც თან ახლავს მისი ექსპლიციტურად პერფორმაციული პრეფიქსი, თუკი მას ასეთი რამ აქვს, ანდა შესაძლოა თან ახლდეს ამგვარი ექსპრესიის გამოყენება."[1]

მაგრამ ამ დამაჯერებელ არგუმენტს მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ „ძალა" ისეთი რამაა, რაც სპეციფიკურად მხოლოდ და

---

* უნარი, ძალა – მთარგ. შენიშვნა

[1] L.J. Cohen, „Do Illocutionary Forses exist?" in: Rosenberg, Travis (Eds.), Readings, a.a.O., S.580-598, hier S.587.

მხოლოდ გამოთქმას მიეწერება. ისე რომ შესაძლოა ადამიანს, უწინარეს ყოველისა, აზრად მოუვიდეს ის, რომ „ძალა" მნიშვნელობის შედგენილობას შემოუნახოს, რომელიც წინადადებას იმ გარემოების გამოისობით წაეზრდება, რომ იგი გამოითქმება ე.ი. მეტყველების სტრუქტურაში ჩაისმება. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვავოთ მნიშვნელობის ის ფენომენი, რომელიც წინადადების გამოყენების გზით გამოთქმაში ხორციელდება და წინადადების მნიშვნელობის ფენომენი. ჩვენ შეგვიძლია პრაგმატული გაგებით ისევე ვილაპარაკოთ *გამოთქმის მნიშვნელობაზე*, როგორც ლინგვისტური გაგებით ვლაპარაკობთ *წინადადების მნიშვნელობაზე*. ასე რომ ალტსონმა ის ფაქტი, რომ იდენტური მეტყველების აქტები ძალზე ურთიერთგანსხვავებული წინადადებების დახმარებით შეიძლება გამოითქვას, საბაბად გაიხადა, რათა პრაგმატული მნიშვნელობისთვის გარკვეულწილად უპირატესობა მიენიჭებინა ლინგვისტური მნიშვნელობის წინაშე. მნიშვნელობის მოხმარების თანამიმდევრული თეორიის გაგებით იგი გვთავაზობს, რომ წინადადება – (სიტყვა) — მნიშვნელობები მეტყველების აქტთა მნიშვნელობის ფუნქციაა, რადაც ისინი „უმთავრესად" გამოიყენებიან.[1] მაგრამ ამ შემოთავაზებაში საჩოთიროა ის, რომ იგი საკმარისად არ ითვალისწინებს წინადადების მნიშვნელობათა შეფარდებით თვითმყოფადობას მნიშვნელობის შემთხვევაზე დამოკიდებულ ცვლილებებთან მიმართებაში, რომლებიც შესაძლოა წინადადებამ სხვადასხვა კონტექსტებში განიცადოს. გარდა ამისა, ცხადია, რომ წინადადების მნიშვნელობა უფრო ცოტათია დამოკიდებული მოლაპარაკის ინტენციებზე, ვიდრე — გამოთქმის მნიშვნელობა.

წინადადების ლინგვისტური შინაარსი არ უნდა შეიცვალოს მაშინაც კი, როცა ძალზე ხშირია ხოლმე მისი გამოყენება პრაგმატულად სხვადასხვა მნიშვნელობათა მქონე კონტექსტებში; და როცა ასევე ურთიერთგანსხვავებულია ხოლმე ის ჩანაფიქრები, რომლებითაც ეს წინადადება გამოიყენება: ასე მაგალითად, როცა განსაზღვრული სოციალური როლები მიგვიწერენ ხოლმე ბრძანებების გამოხატვას თხოვნათა სახით. გამოთქმის (როგორც ბრძანების) პრაგმატული მნიშვნელობა ვერაფერს ცვლის გამოყენებული წინადადების (როგორც თხოვნის) ლინგვისტურ მნიშვნელობაში. ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ გამოირჩეს ის სტანდარტული პირობები, რომელთა დროსაც ექსპლიციტური მეტყველება-მოქმედების პრაგმატული მნიშვნელობა მათში გამოყენებული წინადადებების ლინგვისტურ მნიშვნელობას ემთხვევა. მაგრამ თავის მხრივ, სტანდარტული ფორმის ექსპლიციტური მეტყველება-მოქმედე-

---

[1] W.P. Alston, „Meaning and Use", in: Rosenberg, Travis (Eds.), Readings, a.a.O., S. 403-419, Hier S. 412: „I can find no cases in which sameness of meaning does not hang on sameness of ilocutionary act."

ბის შემთხვევაში გამოდის ხოლმე წინა პლანზე განსხვავება ერთი მხრივ, ძირეულად პროპოზიციურად გამოყენებული გამოსახულებების მნიშვნელობასა და მეორე მხრივ, ილოკუციური ძალების (ისევე როგორც გამოხატული ინტენციების) მნიშვნელობას შორის. აქედან აშკარად ჩანს, რომ არ არის გონივრული, ცნებათა წყვილის: „მნიშვნელობა“ „ძალის“ საპირისპიროდ, გაცხადყოფება წინადადების ლინგვისტურ მნიშვნელობასა და გამოთქმის პრაგმატულ მნიშვნელობას შორის განსხვავებაზე დამყარებით.

წინადადების მნიშვნელობის ლინგვისტური ანალიზი აბსტრაჰირებას ეწევა ერთი მხრივ, რეალობისადმი იმ მიმართებიდან, რომლებშიც მაშინვე ერთვება წინადადება როგორც კი იგი გამოითქმება ხოლმე და მეორე მხრივ – მნიშვნელოვნებათა იმ პრეტენზიებიდან, რომლებითაც იგი ამ მიმართებებში ებმება. სხვა მხრივ უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა მნიშვნელობის თანმიმდევრული ანალიზი შესაძლო გამოყენების რომელიმე სიტუაციაზე დაყრდნობის გარეშე. მაგრამ თითოეული ენობრივი გამოსახულება შეიძლება გამოყენებული იქნას გამოთქმათა შესადგენად. მეტყველების ილოკუციურ კომპონენტთა (და ძირეულად ინტენციურ გამოთქმათა) გასაგნობრივებაც კია შესაძლებელი უფრო მომცველ გამოთქმათა დახმარებით, ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ენობრივ გამოსახულებათა მნიშვნელობების ლინგვისტური ანალიზი იმის წყალობით უზრუნველყოფს გარკვეულ მთლიანობას, რომ მათ ყველა შემთხვევისათვის პროპოზიციებში გამოსახულებათა გამოყენების შესაძლობებთან აკავშირებენ ხოლმე. მაგრამ ასეთი რამ გონივრულია მხოლოდ და მხოლოდ იმ გამოსახულებათათვის, რომლებიც შეიძლება *მხოლოდღა* მეტყველების პროპოზიციურ კომპონენტებში შემოგვეყარონ. პერფორმაციულ გამოსახულებათა მნიშვნელობა, პირიქით, ჯერარს, განიმარტოს ილოკუციურ აქტებში გამოყენების შესაძლებლობათა გათვალისწინებით (ძირეულად ინტენციურ გამოსახულებათა მნიშვნელობა კი – ინტენციათა პირდაპირი გამოთქმის შესაძლებლობებზე დაყრდნობით). „შეპირების“ მნიშვნელობის ლინგვისტური ექსპლიკაცია ხამს, ორიენტირებული იყოს შემდეგი წინადადების გამოყენების შესაძლებლობაბზე:

(1) ამით მე შენ გპირდები, რომ...

და – არა გამოყენების შესაძლებლობებზე წინადადებისა:

(2)–ის მას პირდება, რომ...

(შესაბამისად, „სიძულვილის“ მნიშვნელობის ექსპლიკაცია დაემყარებოდა წინადადებას:

(1') მე შენ მძულხარ

ნაცვლად წინადადებისა:

(2') მას ის სძულს)

მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ და მანამ ჩნდება აუცილებლობა ენობრივი გამოსახულების მნიშვნელობის განსრულებისა გამოთქმის ილოკუციური ძალის მნიშვნელობით (და მოლაპარაკის ინტენციით), რადგანაც და ვიდრე-მდე მნიშვნელობის ლინგვისტური ანალიზი ათვალისწუნებულია მის პროპოზიციონალიზებულ ფორმათა 2 (ანდა 2') გამოისობათ. ეს გარემოება ოსტინისთვისაც იქცა იმის მოტივად, რომ მას ერთმანეთისგან განესხვავებინა „მნიშვნელობა" და „ძალა". მე კი მგონია, რომ უბრალოდ აუცილებელია გამოსახულების ლინგვისტური მნიშვნელოვნების (და არა მხოლოდ გამოთქმის პრაგმატული მნიშვნელობისა) დიფერენცირება მისი გამოყენების იმ უნივერსალურ შესაძლებლობათა (და მათი შესატყვისი მნიშვნელობის პრეტენზიების) მიხედვით, რომლებშიც (ანდა რომელთა პირობებშიც) ისინი ძირეულად გვეელინებიან. მაგრამ ამ კონტექსტში რას ნიშნავს „ძირეულად"?

(3) მე შენ გეუბნები, რომ მამაჩემის ახალი ავტომობილი ყვითელი ფერისაა.

(4) მე შენ გეკითხები, ყვითელი ფერისაა მამის ახალი ავტომობილი?

ორივე (ერთმანეთისგან განსხვავებული) ილოკუციური აქტის გაგება სხვა წანამძღვრებთანაა დაკავშირებული, ვიდრე მათი (შესაბამისი) პროპოზიციური შემცველობების გაგებათა წანამძღვრებია. ეს დიფერენცი ცხადი შეიქნება როგორც კი იმ პირობებს მივადევნებთ თვალს, რომელთა შესრულებაც აუცილებელია იმ სიტუაციათა მხრივ, რომლებშიც თითოეულმა – ვინც ვერ ფლობს გერმანულს – შეუძლია დაისწავლოს გინა ძირეულად გაიგოს მნიშვნელობები.

პროპოზიციური შემცველობის წინადადების — „მამის ახალი ავტომობილის ყვითლობა" – მნიშვნელობა მსმენელს შეუძლია იმ პირობით გაიგოს, რომ მან იცის თხრობითი წინადადების: (5) მამის ახალი ავტომობილი არის ყვითელი.

სათანადო გამოყენება, რათა მაგალითად გამოხატოს შესაბამისი გამოცდილება; ამ კერძო შემთხვევაში – ის, რომ მამის ახალი ავტომობილი ყვითელი ფერისაა. მაგრამ ამ ანდა მსგავსი დაკვირვების მოხდენის უნარი, აუცილებელია, დაწანამძღვრებული გექონდეს, რადგან თხრობითი წინადადების (3) სათანადო გამოყენება მოლაპარაკისგან, სულ ცოტა, შემდეგ რამეთა გაკეთებას მოითხოვს:

ა) ეგზისტენციის წინასწარგულისხმობისა: იმგვარად არსებობს ერთი და მხოლოდ ერთი საგანი, რომ მას ეხება აღნიშნულობა: „მამის ახალი ავტომობილი".

ბ) იდენტიფიცირებადობის წინასწარ გულისხმობა: მაგრამ „მამის ახალი ავტომობილის" აღნიშნულობაში შემავალი (დენოტაციურად გამოყენებული) შემცველობა მოცემულ კონტექსტში კმარა მითითებად, რათა ამორჩეული

იქნას მხოლოდ და მხოლოდ ის საგანი, რომელსაც ეს აღნიშნულობა ეხება;

გ) პრედიკაციის აქტი: აღნიშნულ საგანს უნდა მიეწეროს „ყვითლის“ პრედიკატი;

(5)-ში შემავალი თხრობითი წინადადება მსმენელისგან შესაბამისად მოითხოვს, რომ იგი

ა) ინაწილებდეს მოლაპარაკის წინასწარ გულისხმობას;

ბ) ასრულებდეს მოლაპარაკის წინასწარ გულისხმობას ე.ი. აღნიშნული საგნის ფაქტობრივ იდენტიფიცირებას ეწეოდეს;

გ) თავის მხრივ შეისმენოს პრედიკაციის აქტი.

სხვანაირად არის გამოთქმების (3) და (4) ილოკუციურ კომპონენტთა საქმე. „შეტყობინების“ ანდა „შეკითხვის“ მნიშვნელობა მხოლოდ იმ პირობით ესმის მსმენელს, რომ მას ხელეწიფება შემდეგი ტიპის წარმატებულ მეტყველება-ქმედებებში: 6) მე შენ (ამით) გატყობინებ, რომ _ 7) მე შენ (ამით) გეკითხები, თუ ...

მონაწილეობა ე.ი. იგი ღებულობს როგორც (მოქმედი) მოლაპარაკის ისე (კოორდინირებული) მსმენელის როლს. ილოკუციური აქტის შესრულება თხრობითი წინადადებების გამოყენებისაგან განსხვავებით არ ემსახურება დაკვირვების გამოხატვას. აქ ასევე არ არის საჭირო არსობრივად დაწანამძღვრებული იყოს აღქმათა გაკეთების უნარი. პირიქით, მეტყველება-მოქმედების შესრულება იმის პირობაა, რომ გაკეთდეს *გამოცდილება*, სახელდობრ ლაპარაკია კომუნიკაციურ გამოცდილებაზე, რომელსაც აწარმოებს მსმენელი, როცა იგი ღებულობს ნაცად მეტყველება-მოქმედებაში შესულ შეთავაზებას და მოლაპარაკესთან ერთად აბამს ინტერპერსონალურ მიმართებას ორ რამეს შორის, ერთი ეს არის ის, ვინც ცნობას ანდა შეტყობინებას იძლევა და მეორე ის, ვინც მას ღებულობს; ამრიგად ლაპარაკი არის შემკითხველ და მოპასუხე პერსონებს შორის ურთიერთმიმართების დამყარებაზე.

მაშინ, როცა (3) გაგება *წინასწარ გულისხმობს* სენსორულ გამოცდილებათა შესაძლებლობას (დაკვირვების ტიპის გამოცდილებანი) (6)-ის და (7)-ის გაგებაზე ითქმის, რომ ის თავად *წარმოადგენს* კომუნიკაციურ გამოცდილებას (თანაზიარი დაკვირვების“ ტიპის გამოცდილება): ილოკუციური გაგება არის კომუნიკაციურად შესაძლებელყოფილი გამოცდილება.

ძირეულად ილოკუციურსა და ძირეულად პროპოზიციურ მნიშვნელობებს (ოსტინის აზრით გაგებული force და meaning) შორის განსხვავება დაიყვანება სწავლის შესაძლო სიტუაციათა განსხვავებაზე. ილოკუციურ აქტთა მნიშვნელობას ჩვენ ვსწავლობთ მხოლოდ და მხოლოდ მეტყველება-მოქმედებებში თანამონაწილეთა პერფორმაციული განწყობიდან; პროპოზიციური შემცველობის წინადადებათა მნიშვნელობას, პი-

რიქით, ჩვენ ვსწავლობთ იმ დამკვირვებელთა არაპერფორმაციული განწყობიდან, რომლებიც თავიანთ გამოცდილებებს სწორად გადმოსცემენ თხრობითი წინადადებებით.[1] ძირეულად ილოკუციურ მნიშვნელობებს ჩვენ ვეცნობით კომუნიკაციურ გამოცდილებებზე დაყრდნობით, რომლებსაც ვახდენთ, რაკი ინტერსუბიექტურობის სიბრტყეზე შევაბიჯებთ და ინტერპერსონალურ ურთიერთობას ვაწარმოებთ; ძირეულად პროპოზიციურ მნიშვნელობებს იმის მეოხებით ვსწავლობთ, რომ ჩვენ საგნებთან ჩვენეულ გამოცდილებებს გადმოვცემთ. მაგრამ მიუხედავად ამ ძირეული დიფერენციისა, პერფორმაციულ განწყობაში შეცნობილ მნიშვნელობებს შესაძლოა, პროპოზიციური შემცველობის წინადადებებშიც გადავეყაროთ:

(8) მე შენ გარწმუნებ, რომ მან მე გუშინ მაცნობა რომ...

(9) მე შენ გაცნობებ, რომ მან მე გუშინ მკითხა, თუ...

ეს გარემოება ცხადლივ გვიჩვენებს, იმას, თუ რატომ არის, რომ ხშირად შეუმჩნეველი რჩება მნიშვნელობის ამ ორ თეორიას შორის ანალიტიკური განსხვავება. მაგრამ პროპოზიციური შემცველობის წინადადებებში გამოსახულებათა ის მნიშვნელობები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია პერფორმაციულ განწყობაში, განსხვავდება სიტყვის იმ მნიშვნელობათაგან, რომლებიც (როგორ (5)-ში ნორმალური და პრედიკაციული გამოთქმები) პროპოზიციურ შემცველობის წინადადებებში დაშვებულია, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელობის კომპონენტები. ისეთ გამოთქმებში, როგორიც არის (8) და (9) „ცნობება“ და „შეკითხვა“ ატარებენ მნიშვნელობის ტონალობას, რომელსაც ისინი იმ ძალიდან *დებულობენ*, რომელიც მათ მხოლოდღა ილოკუციურ როლებში აქვთ (როგორც (6)-ში და (7)-ში).

ორივე ამ კატეგორიის აზრით ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ ძალასა (force) და მნიშვნელობას (meaning) შორის ოსტინისეული განსხვავება; ამრიგად, „ძალა“ გამოხატავს იმ გამოსახულებათა *მნიშვნელობას*, რომლებიც ძირეულად გამოიყენებიან ილოკუციურ აქტთა კონტექსტში, ხოლო „მნიშვნელობა“ ცელის იმ გამოსახულებათა საზრისს, რომელთა მოხმარება ძირეულად ხდება პროპოზიციების კონტექსტში. მაშასადამე, ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავებთ „ძალასა“ და „მნიშვნელობას“ როგორც ორ კატეგორიას, რომლებიც ერთი მხრივ, წარმოიშობა შეტყობინების საყოველთაო პრაგმატულ ფუნქციათა (ინტერპერსონალურ ურთი-

---

[1] მე მგონია, რომ ონტოგენეზისთვის პერსპექტიული უნდა იყოს მანიპულირებული საგნების კოგნიციური სქემების პიაჟესეული მნიშვნელობის თეორიისა (შეად. H.G. Furth, Intelligenz und Erkennen, Frankfurt 1972, bes. Kap. III und IV) და ინტერაქციებში ჩამოყალიბებულ ცნებათა მიდისეული მნიშვნელობის თეორიის კომბინაცია (შეად. ბილეფელდერის სოციოლოგია (გამომც.) სამუშაო ჯგუფი, ყოველდღიური ცოდნა, ინტერაქცია და საზოგადოებრივი სინამდვილე, ტ.2, ჰამბურგი, 1973.

ერთობათა წარმოება), მეორე მხრივ კი – გამოხატვის თვალსაზრისით (საქმის ვითარების გადმოცემა). (მნიშვნელობის მესამე კატეგორიას, რომელიც შეესიტყვება გამოსახვის გინა განცდათა გამოხატვის ფუნქციას, მე აქ არ ვითვალისწინებ, თუმც კი ინტენციური წინადადებებისთვის იგივე განაზრებებია ძალაში, რანიც ილოკუციური აქტებისათვის წამოვაყენეთ).

მე მინდა შედეგის სახით დავადგინო, რომ

– არ არის გონივრული ცნება „მნიშვნელობა" მეტყველება-მოქმედების პროპოზიციურ კომპონენტს შემოვუნახოთ და ილოკუციური კომპონენტის მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ პრაგმატული ოპერატორის (რომელიც განსაზღვრულ ილოკუციურ ძალას აღნიშნავს) მეშვეობით დავახასიათოთ.

– მეორე მხრივ, არც ის არის საკმარისი, რომ პერფორმაციული წინადადების მნიშვნელობას ზუსტად ისევე ვუყოთ რეკონსტრუირება როგორც — წინადადების პროპოზიციური შემცველობის მნიშვნელობას: მეტყველების აქტის ილოკუციური შემადგენელი ნაწილი არც პროპოზიციას გამოხატავს და არც პროპოზიციურ შემცველობას მოიხსენიებს.[1]

– ასევე არასაკმარისია მცდელობა იმისა, რომ ილოკუციური ძალა მნიშვნელობის იმ კომპონენტთან გავაიგივოთ, რომელიც წინადადების მნიშვნელობას მოცემულ კონტექსტში მისი გამოყენების აქტით წაემატება ხოლმე.

– უნივერსალურ-პრაგმატული თვალსაზრისით, პირიქით, ენობრივ გამოსახულებათა მნიშვნელობა კატეგორიალურად იმის მიხედვით იმიჯნება, მათ მხოლოდ იმის უფლება ენიჭებათ, რომ ისეთ წინადადებებში მოგვეგ-

---

[1] ამის საწინააღმდეგოდ იხ. ბ. რიჩარდსი, „სერლი მნიშვნელობისა და მეტყველების აქტების შესახებ", ენის საფუძვლები 7, 1971, გვ. 519-538, აქ. გვ.536: „ოსტინი ამტკიცებდა, რომ ისეთი წინადადებები როგორიცაა Ra (მე გპირდები, რომ ერთ წელში გადაგიხდი) არასოდეს ამტკიცებს ისეთ რამეს რაც ან ჭეშმარიტი იქნება ან ყალბი ე.ი. – არასოდეს ამტკიცებს პროპოზიციებს; ამაში ჩვენ მას ვეთანხმებით; მაგრამ ეს არასგზით არ არღვევს იმ მოთხოვნას, რომ Ra მიუხედავად ამისა მაინც გამოხატავს პროპოზიციას... კერძოდ, პროპოზიციას, რომ Ra ". რიჩარდსი ერთმანეთს არ უიგივებს Ra მეტყველება-მოქმედების პროპოზიციურ შემცველობასა და დამოკიდებული წინადადების: – „მე გადაეიხდი ერთ წელში" – პროპოზიციურ შემცველობას, არამედ იგი მას აიგივებს Ra გასაგნობრივებული მეტყველება-მოქმედების შემცველობასთან, რომელიც შემდგომში აუცილებელია, ჩაისვას უფრო მომცველ Rv მეტყველება-მოქმედებაში, მაგ.: „მე შენ გეუბნები, მე მას შევპირდი, რომ ერთ წელში გადაეუხდი." პერფორმაციულ წინადადებათა აღრევას მათი შინაარსების ასერტორულ გადმოლებაში მე კატეგორიალურ შეცდომად მიეიჩნევ, რომელიც, სხვათა შორის, აუფასურებს რიჩარდსის არგუმენტს სერლის გამომხატველობის პრინციპის წინააღმდეგ; განსაკუთრებით ითქმის ეს სერლისეულ შემოთავაზებაზე, რომ სტანდარტული ფორმის მეტყველება-მოქმედებათა მნიშვნელობა გაანალიზებული იქნას მეტყველების აქტებში გამოყენებული წინადადებების მნიშვნელობის თვალსაზრისით.

ლინონ, რომლებსაც გამოსახვის ფუნქცია აქვთ, თუ მათ მხოლოდ და მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ სპეციფიკურად ინტერპერსონული ურთიერთობანი გვაწარმოებინოს გინა მოლაპარაკის ინტენციები გამოგვახატვინოს.[1]

5. მნიშვნელოვნების პრეტენზიათა და კომუნიკაციის მოდუსთა თემატიზირება

ლოკუციონურ და ილოკუციონურ აქტებს შორის ოსტინისეული დაპირისპირება არა მარტო მნიშვნელობის თეორიისთვის იქცა არსებით რამედ; არამედ ცნებათა ამ წყვილით დაიწყო დისკუსია მეტყველებამოქმედებათა ძირითადი ტიპებისა და სიტყვათხმარების ძირითად მოდუსთა თაობაზე. თავდაპირველად ოსტინს ისეთნაირად უნდა საზღვრების გაკეთება, რომ

– პერფორმაციულს უნდა გაეკეთებინა რამე ეს-ესაა რაღაცის გამოთქმის საპირისპიროდ;

– პერფორმაციული არის წარმატებული ანდა წარუმატებელი ჭეშმარიტისა და ყალბისგან განსხვავებით.[2]

ამით შემდეგი შეწყვილებანი წარმოიშობა:

ლოკუციონური აქტები — მდგენელები — ჭეშმარიტი/უჭეშმარიტო ილოკუციონური აქტები – პერფორმაციულნი — წარმატებული/წარუმატებელი.

მაგრამ ლოკუციური და ილოკუციური აქტების გამიჯვნის შენარჩუნება ვერ ხერხდება მას შემდგომ, რაც აღმოჩნდა, რომ ყველა მეტყველება-მოქმედება – მდგენელიც კი — შეიცავს ლოკუციურ კომპონენტს (პროპოზიციური კომპონენტის სახით) და ილოკუციურ კომპონენტს (პერფორმაციული წინადადების სახით)[3]. ის, რაც ოსტინმა თავდაპირველად ლოკუციონურ კომპონენტად შემოიტანა, ახლა პროპოზიციური

---

[1] ამ შემოთავაზების შედეგი ის არის, რომ თითოეულ შემადგენელ უნივერსალურ–პრაგმატულ თეორიას ანუ როგორც ილოკუციურ აქტთა თეორიას ისე მარტივ წინადადების თეორიას (და ინტენციური გამოსახულების), მნიშვნელობის თეორიაში თავიანთი წელილის შეტანა შეუძლია; თუ უკვე ჰუმბოლდტთან და გეანდელ ვიტგენშტაინთან არა, ოსტინის მიერ „მნიშვნელობისა" და „ძალის" ტერმინთა ამორჩევისას მაინც იგრძნობა ის ყალგასული დესკრიპციული ცრურწმენა, რომ მარტივი წინადადების თეორიას, რომლის ამოცანაა საზრისის და რეფერენციის განმარტება, მნიშვნელობის თეორიაში გაბატონებული მდგომარეობის დაკავების უფლება აქვს. (რა თქმა უნდა, რეფერენცსემანტიკასაც ეს ცრურწმენა ასულდგმულებს).

[2] Austin, How to do, a.a.O., S.132.

[3] Ebd. S. 147.f.; Searle, Speech Acts, a.a.O., S.64ff.

კომპონენტით (ა) შეცვალა, რომელსაც შეიცავს თითოეული ექსპლიციტური მეტყველება-მოქმედება; ხოლო ჭეშმარიტების როგორც მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიის მაიმპლიცირებელი ილოკუციური აქტები (ბ) მდგენელმა მეტყველების აქტებმა შეცვალეს. მაგრამ მდგენელ მეტყველების აქტებს მოგვიანებით ოსტინიც კი უფრო მეტ რამედ განიხილავდა, ვიდრე მეტყველება-მოქმედების ტიპთა ერთ-ერთ განსხვავებულ კლასს. ორივე წინადადება

(1) მე ვამტკიცებ, რომ...

(2) მე შენ გაფრთხილებ, რომ ...

ერთნაირად გამოხატავს ილოკუციურ აქტებს.[1] მაგრამ მაშინ აქიდან ის საინტერესო შედეგი გამომდინარეობს, რომ მდგენელ მეტყველების აქტებში შემავალი *მნიშვნელოვნების* პრეტენზია (ჭეშმარიტება, სიყალბე) მნიშვნელოვნების პრეტენზიათა მხოლოდ და მხოლოდ კერძო შემთხვევას წარმოადგენს, რომლებსაც მოლაპარაკე მსმენელს წაუყენებს და შესრულებას ითხოვს: „საზოგადოდ შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: ორივეთი, მტკიცებითა (და, მაგალითად, აღწერებით) და გაფრთხილებით და ა.შ. მოგვეცა იმის შემთხვევა, რომ გააფრთხილო თუ უფლება მოგენიჭა გაფრთხილებისა თუ რჩევის, უკვე ამტკიცე თუ რჩევა უკვე მიეცი, გქონდა თუ არა უფლება გაგეფრთხილებინა ანდა რჩევა მიგეცა, ასეთი შეკითხვები შეიძლება წამოიჭრას; მაგრამ ამათი საზრისი ის არ იქნება, არიან თუ არა ისინი ხელსაყრელნი ანდა შესაბამისნი, არამედ – ის, ზუსტად ეს უნდა გეთქვა თუ არა ფაქტებსა და ფაქტების შესახებ შენს ცოდნაზე და იმ განზრახვაზე, რა განზრახვითაც ლაპარაკობ."[2]

იმავე ადგილას ოსტინი ხაზს უსვამს უფლების ანდა მნიშვნელობის იმ პრეტენზიას, რომელსაც ჩვენ მეტყველების ნებისმიერი აქტით (და არა მარტო მდგენელით) წამოვაყენებთ ხოლმე. მაგრამ იგი მას მხოლოდ და მხოლოდ წინდაწინ განასხვავებს კონტექსტის საყოველთაო პირობათაგან, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მეტყველება-მოქმედების ტიპთა მიერაა პირობადებულნი; ამ პირობათა შესრულება ასევე აუცილებელია, რათა მეტყველების აქტი გამოვიდეს; ე.ი. ლაპარაკია საზოგადოდ ვარგებული/უვარგისი პირობების შესრულებაზე. მტკიცებებზე ზუსტად იმავენაირად ითქმის რანაირადაც – გაფრთხილებებზე, რჩევებზე, შეპირებებსა და ა.შ. რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იქნებიან წარმატებულნი თუ შესრულებულია *ორივე* წანამძღვარი: (ა) იყოს მოწესრიგებული და (ბ) იყოს სწორი:

„მაგრამ რეალური შედეგი უთუოდ ის იქნება, რაც გვჭირდება– დადგინდება თითოეული ილოკუციონური აქტის – გაფრთხილებათა ვერდიქტთა, მტკიცებათა და აღწერათა – მოფიქრების სპეციფიკური

---

[1] Austin, „Performative Utterances", IN: Phil. Papers, a.a.O. S.248.

[2] Austin, How to do, a.a.O., S.144.

ხერხი თუ იგი იყოს სათანადო, ხოლო მეორეც, რათა იგი იყოს „სწორი“ ანდა მცდარი; დადგინდება ის ტერმინები და მათი მნიშვნელობანი, რომლებსაც იყენებს თითოეული მათგანი შეფასებისა და დაწუნებისას. ეს ძალიან ფართო სფეროა, და რა თქმა უნდა, იგი არ დაიყვანება „ჭეშმარიტისა“ და „ყალბის“ უბრალო სხვაობაზე; იგი არც მაკონსტანტირებელ აქტთა დანარჩენი აქტებისაგან განსხვავებაზე დაიყვანება, რადგან მაკონსტანტირებელი ილოკუციონური კლასის მეტყველების უთვალავ აქტს შორის მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენს“.[1]

მეტყველება-მოქმედებანი, შეიძლება, „მოწესრიგებულნი“ იყვნენ ტიპურად შეზღუდული კონტექსტების თვალსაზრისით (ა), მაგრამ ისინი „ვარგებულნი“ არიან მხოლოდ და მხოლოდ იმ ფუნდამენტური პრეტენზიის თვალსაზრისით, რომელსაც მრლაპარაკე შესაბამისი ილოკუციური აქტით წამოაყენებს ხოლმე (ბ). მე კვლავ მიუბრუნდები იმ პირობების ორივე კლასს, რომელთა შესრულება აუცილებელია, რათა მეტყველება-მოქმედებანი წარმატებული იყვნენ. მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ ის გარემოება მაინტერესებს, რომ მდგენელსა და არამდგენელ აქტებს შორის განსხვავება შუქსა ჰფენს მნიშვნელოვნების ბაზისს, რომელიც აშკარად ესაფუძვლება ყველა მეტყველების აქტს.

ამასთანავე, რა თქმა უნდა, ჯერ უნდა გაცხადდეს მდგენელ მეტყველების აქტთა განსაკუთრებული ადგილი. მტკიცებები მეტყველება-მოქმედების სხვა ტიპისგან არ განსხვავდებიან თავიანთი პერფორმაციულ /პროპოზიციონალური ორკეცი სტრუქტურით; ასევე არ განსხვავდებიან ისინი მათგან კონტექსტის იმ საყოველთაო პირობებით, რომლებიც ტი-

---

[1] იქვე, გვ. 145. შეად. აგრეთვე ოსტინი, „პერფორმაციული და მაკონსტანტირებელი გამოთქმები“, ბუბნერის წიგნში: ენა და ანალიზი, ზემოთ ციტირებული გვ. 150: „პირველ ყოვლისა, ცხადია, რომ ამგვარი გამოთქმა თითოეულ შემდგომ კრიტიკას როდი აღწევს თავს, როცა უბრალოდ აღენიშნავთ, რომ იგი წარუმატებელი არ არის, ე.ი. მოლაპარაკემ თაეისი აქტი რიგიანად და მართებულად შეასრულაო. ყოველთვის შესაძლებელია მისი გაკრიტიკება სხვა რომელიმე განზომილებით. აეიღოთ შემთხვევა, როცა მე ვინმეს ვეუბნები: „გირჩევ, ეს ჰქენი“; ისიც დაეუშვათ, რომ ყველა გარემოება სათანადოა, წარმატების ყველა პირობა მოცემულია ასე რომ ეამბობ, მე მას სინამდვილეში ეურჩევ, ეს ქნას და არ გამოვთქვამ ჭეშმარიტსა თუ ყალბ გამოთქმას იმის შესახებ, რომ მე მას ვურჩევ. ამრიგად, საქმე ეხება პერფორმაციულ გამოთქმას. მიუხედავად ამისა მაინც, წამოიჭრება ერთი მცირე შეკითხვა: რჩევა კარგი იყო თუ ცუდი? მართალია, მე გულწრფელად ელაპარაკობდი; მე მჯეროდა, რომ მის ინტერესებში შედიოდა ისე მოქმედება, როგორც მე ეურჩევდი; მაგრამ მქონდა კი ამის უფლება? მოცემულ გარემოებებში დასაშვები იყო კი ჩემი რწმენა? და ამეღავნებს კი — თუმც ეს უფრო მცირე მნიშვნელობის მქონე პუნქტია — მოვლენების ფაქტობრივი განვითარება იმას, რომ ჩემმა რჩევამ მას სარგებლობა მოუტანა? ჩემი გამონათქეამი უპირისპირდება იმ სიტუაციას, რომელშიც და რომლის თაობაზე იგი გამოითქვა. მე მართალია, მართებულად ეიქცეეი, მაგრამ მაქეს კი ამის უფლება?“

პიურად ვარირებენ თითოეულ მეტყველება-მოქმედებაში; არამედ ისინი მეტყველება-მოქმედების (თითქმის) ყველა დანარჩენი ტიპისაგან იმით განსხვავდება, რომ prima facie ააშკარავებენ მნიშვნელოვნების შეუმცდარ პრეტენზიას: სახელდობრ — ჭეშმარიტების პრეტენზიას. თუმცა ვეჭვობ მეტყველება-მოქმედების რომელიმე ტიპისათვის სადაო იყოს ის, რომ იგი აშკარად გამოხატავს ამათუიმ მნიშვნელოვნების პრეტენზიას; მაგრამ როცა ჯერარს, ზუსტად მივუთითოთ თუ მნიშვნელოვნების რომელ პრეტენზიას ააშკარავებს იგი, იშვიათად ვაწყდებით ხოლმე ეგზომ მკვეთრად გამოხატულ პრეტენზიას, როგორიც არის „ჭეშმარიტების" მნიშვნელოვნების საყოველთაოდ აღიარებული პრეტენზია. (პროპოზიციური ჭეშმარიტების თვალსაზრისით) ამის მიზეზი თავისთავად ცხადია: მდგენელ მეტყველების აქტთა მნიშვნელოვნების პრეტენზია გარკვეულწილად დაწანამძღვრებული აქვს მეტყველება-მოქმედებათა თითოეულ ტიპს. არამდგენელ მეტყველების აქტებში გაკერით მოხსენიებული პროპოზიციური შემცველობის მნიშვნელობას წინადადების ტრანსფორმაციის გზით — „რომ p" გაცხადყოფდება p თხრობით წინადადებაში – და მასში გამოხატული პროპოზიციის საზრისს არსებითად განეკუთვნება ჭეშმარიტების პრეტენზია. ამრიგად, ჭეშმარიტების პრეტენზიები მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ისეთი ტიპია, რომელიც საზოგადოდ შესაძლო მეტყველების სტრუქტურებშია ჩაშენებული. ჭეშმარიტება არის უნივერსალური მნიშვნელოვნების პრეტენზია: მისი უნივერსალურობა აირეკლება მეტყველების ორკეც სტრუქტურაში.

რეტროსპექტივაში ოსტინი სარწმუნოდ იხდის იმას, რასაც იგი ძირეულად გულისხმობდა მდგენელი და არამდგენელი მეტყველება-მოქმედების დაპირისპირებაში (მდგენელები პრეფორმაციულთა საპირისპიროდ):

„მდგენელი გამოთქმებით ჩვენ განვეყენებით მეტყველების აქტის ილოკუციონურ ასპექტებს და ეკონცენტრირდებით ლოკუციონურ ასპექტებზე; უფრო მეტი, ჩვენ ვიყენებთ ფაქტებთან შესატყვისობის ძალზე გამარტივებულ ცნებას ... ჩვენ ვესწრაფვით იდეალს, რისი თქმაც მართებული იქნებოდა ყოველ გარემოებაში, თითოეული მიზნისთვის, ნებისმიერი აუდიტორიისთვის და ა.შ. შესაძლოა ეს ზოგჯერ ხორციელდება კიდეც. პერფორმაციული გამოთქმისას ჩვენ რამდენადაც შესაძლებელია მის ილოკუციონურ ძალას მივყვებით და განვეყენებით ფაქტებისადმი შესატყვისობის განზომილებას" [1]

მას შემდგომ რაც ოსტინი მიხვდა, რომ მდგენელი მეტყველების აქტები მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენს მეტყველება-მოქმედებათა უამრავ ტიპს შორის, მან უარი თქვა ზემოთხსენებულ და-

[1] Austin, How to do, a.a.O., S.144f.

პირისპირებაზე მეტყველება-მოქმედებათა მოუწესრიგებელ ოჯახთა მასის გულისთვის. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია ამის სათანადო რეკონსტრუირება, რაც იგულისხმება „მდგენელი" „არამდგენელის საპირისპიროდ" დაპირისპირებაში. ჩვენ ვნახეთ, რომ ენობრივი კომუნიკაცია შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, თუ თანამონაწილენი – როცა მათ რაღაცის თაობაზე კომუნიკაციის მიღწევა სურთ — ერთსადაიმავდროულად შეაბიჯებენ ორ კომუნიკაციურ სიბრტყეზე: ინტერსუბიექტურობის სიბრტყეზე, რომელზეც ისინი ინტერპერსონულ ურთიერთობებს იწყებენ და გამოცდილებათა და საქმის ვითარებათა სიბრტყეზე, რანიც კომუნიკაციის შინაარსს ქმნიან. მაგრამ მეტყველებაში შეიძლება თემად უფრო ინტერპერსონული ურთიერთობა იქცეს ანდა უფრო პროპოზიციური შედგენილობის თემატიზება მოხდეს; შესაბამისად ამისა, ენასაც ჩვენ ან უფრო ინტერაქციულად ვიყენებთ ანდა უფრო კოგნიტივურად.

ინტერაქციულ სიტყვათხმარებაში ჩვენ იმ ურთიერთობების გაფრთხილებად, შეპირებად გამოწვევად თემატიზირებას ვეწევით, რომლებიც იბმება მოლაპარაკესა და მსმენელს შორის, მაშინ როცა ჩვენ ამ დროს მხოლოდღა გაკვრით მოვიხსენიებთ ხოლმე გამოთქმათა პროპოზიურ შედგენილობას. *კოგნიტივურ სიტყვათხმარებაში* პირიქით, ჩვენ ვეწევით ისეთი რაღაცის შესახებ გამოთქმის შინაარსის გამონათქვამად თემატიზებას, რასაც ადგილი აქვს სამყაროში (ან შეიძლება მოხდეს), მაშინ როცა ამ დროს ჩვენ სასხვათაშორისოდ გამოვხატავთ ინტერპერსონულ ურთიერთობას. ეს სასხვათაშორისობა გერმანულში, მაგალითად, იმაში იჩენს თავს, რომ მტკიცების ცხადლივი ფორმა „მე ვამტკიცებ (შენს საპირისპიროდ), რომ ... ", რომელიც მეტყველების სხვა მდგენელ აქტებში ნორმალური ფორმაა (მე გაცნობებ შენ, რომ...; მე გიხსნი შენ, რომ...), გრამატიკულად, მართალია, სწორია, მაგრამ შეკვეცილ ფორმებთან შედარებით – რომელიც არ ითვალისწინებს ინტერპერსონულ ურთიერთობას — სრულიად უვარგისია.

რაკი კოგნიტივურ სიტყვათხმარებაში შინაარსის თემატიზირება ხდება, ამიტომ იქ დაშვებულია მხოლოდ და მხოლოდ ისეთი მეტყველების აქტები, რომლებშიც პროპოზიციურ შედგენილობებს თხრობითს წინადადებათა ცხადლივი ფორმის მიღება ძალუძთ. ამგვარი მდგენელი მეტყველების აქტებით ჩვენ ყოველთვის წამოვაყენებთ ხოლმე მტკიცებული პროპოზიციის ჭეშმარიტების პრეტენზიას. ინტერაქტივურ სიტყვათხმარებაში კი, სადაც ინტერსუბიექტური ურთიერთობის თემატური წარმოჩენა ხდება, სხვადასხვნაირ მიმართებას ვამყარებთ ხოლმე მეტყველება-მოქმედების ნორმატიული ფონის მნიშვნელობასთან.

ინტერაქტიური სიტყვათხმარებისთვის ისეთივე სანიმუშო მნიშვნელობა აქვს (უფლებამოსილ) ბრძანებას, როგორი მნიშვნელობის მქონეცაა მტკიცება კოგნიტივური სიტყვათხმარებისთვის. ჭეშმარიტება მეტ-

ყველების ფორმალურ სტრუქტურებში არეკლილი ერთადერთი მნიშვნელოვნების პრეტენზია კი არ არის, არამედ იგი უბრალოდ ყველაზე თვალშისაცემი პრეტენზიაა. მეტყველების აქტის ილოკუციური ძალა, რომელიც თანამონაწილეთა შორის ინტერპერსონულ ურთიერთობას აწარმოებს, აღებულია ქმედების (ანდა შეფასების) აღიარებულ ნორმათა მავალდებულებელი ძალიდან; რამდენადაც მეტყველების აქტი მოქმედებაა ამდენად იგი ეწევა ურთიერთობის უკვე შემოღებული ნიმუშის აქტუალიზებას. ყოველთვის უკვე არის წინასწარნაგულისხმები ინსტიტუტთა, როლთა ცხოვრების სოციოკულტურელურად შეთვისებული ფორმების ე.ი. კონვენციათა ნორმატიული ფონი. ეს არასგზით არ ითქმის მხოლოდ და მხოლოდ ინსტიტუციონალურად დაკავშირებულ ისეთ მეტყველება-მოქმედებებზე, როგორებიცაა „დანაძლევება", „მისალმება", „ნათლობა", „დანიშვნა" და ა.შ., რომლებიც ყოველთვის მოქმედების განსაზღვრულ ნორმას (ანდა ნორმების მჭიდროდ შემოწერილ კლასს) ასრულებენ. შეპირებებში, თათბირში, აკრძალვებსა და მიწერილობებშიც კი — რომლებიც არ არიან იმთავითვე ინსტიტუტთა საშუალებით მოწესრიგებულნი – მოლაპარაკე აშკარად გამოხატავს მნიშვნელოვნების პრეტენზიას, რომელიც იმ შემთხვევაში თუ მეტყველების აქტი წარმატებული იქნება აუცილებლად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული შემოღებული ნორმებით და ეს ნიშნავს შემდეგს: იგი დაკმაყოფილებული უნდა იქნეს (სულ ცოტა) იმ პრეტენზიის აღიარების გზით, რომ ეს ნორმები მართებულნი არიან მეტყველება-მოქმედებაში. მნიშვნელოვნების აშკარად წამოყენებულ პრეტენზიებს შორის ეს შინაგანი ურთიერთობა და მისი ნორმატიული ფონის მნიშვნელოვნება ზუსტად ისევე არის ხაზგასმული ინტერაქციურ სიტყვათხმარებაში როგორც ჭეშმარიტების პრეტენზია – კოგნიტივურ სიტყვათხმარებაში.

როგორც კოგნიტივური სიტყვათხმარებისათვის იყო დაშვებული მხოლოდ და მხოლოდ მდგენელი მეტყველების აქტები, ასევე ინტერაქტიური მეტყველება-მოქმედებებისთვის დაშვებულია მხოლოდ და მხოლოდ ისეთი მეტყველების აქტები, რომლებიც ახასიათებენ განსაზღვრულ მიმართებას, რომლის დაკავებაც შეუძლიათ მოლაპარაკესა და მსმენელს თავიანთი ქმედების ნორმატიული კონტექსტისადმი. ამათ მე რეგულატივურ მეტყველება-მოქმედებებს ვუწოდებ.[1] მეტყველება-მოქმედებათა ილოკუციურ ძალას უნივერსალურად ჩაშენებია ნორმატიული მნიშვნელოვნების პრეტენზია — სისწორე გინა თანაშეზომილობა – როგორც მეტყველების სტრუქტურებს — ჭეშმარიტების პრეტენზია.

---

[1] J.Habermas, „Vorbereitende Bemerkungen", in: Habermas, Luhmann, Gesellschaftstheorie, a.a.O., S.11ff.

მაგრამ ნორმატიული ფონის მნიშვნელოვნების პრეტენზიის აშკარა მოხმობა მხოლოდ და მხოლოდ რეგულატიურ მეტყველების აქტებში ხდება (ბრძანებებსა და დარიგებებში, აკრძალვებსა და უარყოფებში, შეპირებებსა და შეთანხმებებში, შეტყობინებებში, გადაწყვეტილებებში, თათბირებში, გამხელებში და ა.შ.) ჭეშმრიტებაზე მიმართულობა იმ პროპოზიციური შემცველობისა, რომელიც ყოველთვის გაკვრით მოიხსენიება ხოლმე, საპირისპიროდ ამისა, სრულიად ფარული რჩება. მდგენელ მეტყველების აქტებში, რომლებიც აშკარად აყენებენ ჭეშმარიტების პრეტენზიას, პირიქით, ფარული რჩება ნორმატიული მნიშვნელოვნების პრეტენზია, თუმცა ესენიც (მაგალითად მოხსენებები, განმარტებები, შეტყობინებები, ახსნა-განმარტებანი, მოთხრობები და ა.შ.) ურთიერთობათა დადგენილ ნიმუშს შეესატყვისებიან, ე.ი. აუცილებელია ისინი დაკმაყოფილებულნი იქნენ აღიარებული ნორმატიული ფონის მიერ, თუკი ჯერარს, განხორციელებული იქნას მათში ჩაფიქრებული ინტერპერსონული ურთიერთობები.

მე მგონია, ის, რაც ოსტინს ჰქონდა მხედველობაში (და მოგვიანებით უარყო) როცა ერთმანეთს უპირისპირებდა მდგენელსა და პერფორმაციულ გამოთქმებს, კარგად გამოიხატა კოგნიციური და ინტერაქციური სიტყვათხმარების განსხვავების გზით: კოგნიტივურ სიტყვათხმარებაში მდგენელი მეტყველება-მოქმედებების დახმარებით ჩვენ ვეწევით გამოთქმის პროპოზიციური შემცველობის თემატიზებას; ინტერაქციურ სიტყვათხმარებაში კი რეგულატივური მეტყველების აქტის დახმარებით ვახდენთ წარმოებული ინტერპერსონული ურთიერთობის გვარის თემატიზებას. განსხვავებული თემატიზირება მიიღება თითოეულ მეტყველებაში უნივერსალურად ჩადებული მნიშვნელოვნების პრეტენზიების ამორჩევის გზით ანუ იმით, რომ კოგნიტივურ სიტყვათხმარებაში პროპოზიციებისთვის ვაყენებთ ჭეშმრიტების პრეტენზიებს, ინტერაქტივურ სიტყვათხმარებაში კი ინტერპერსონული ურთიერთობისათვის ვითხოვთ (ანდა საკამათოს ვხდით) ნორმატიული ფონის მნიშვნელოვნებას. თავად ოსტინს ეს შედეგი არ გამოუყვანია, რადგან მას, ერთი მხრივ, მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ერთი უნივერსალური მნიშვნელოვნების პრეტენზია, სახელდობრ — შესაბამისობის (თეორიულად განმარტებული პროპოზიციური ჭეშმარიტება, მაგრამ მეორე მხრივ, სურდა, ეს ერთადერთი მნიშვნელოვნების პრეტენზია მეტყველება-მოქმედებათა (ანუ არა მხოლოდ მდგენელი მეტყველება-მოქმედებებისათვის) მრავალი ტიპისთვის შეეხამებინა: „თუ მერე ჩვენ შევასუსტებთ ჭეშმარიტებისა და სიყალბის შესახებ ჩვენს იდეებს, დავინახავთ, რომ ჩვენი მტკიცებები — თუ მათ ფაქტებისადმი მიმართებაში შევაფასებთ — არც თუ ისე

განსხვავდებიან, ყოველის უწინარეს, რჩევის, გაფრთხილების, აკრძალვებისა და და ა.შ. ნიმუშებისაგან"[1]. ჭეშმარიტების ცნების შესუსტებას შეფასების იმ ფართო განზომილების გულისთვის, რომელშიც მტკიცება ისევე შეიძლება ან გადამეტებით ან ზუსტად ანდა არასათანადოდ დავახასიათოთ, როგორც შეგვიძლია იგი ჭეშმარიტად და ყალბად მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ამას შედეგად მოსდევს მნიშვნელოვნების ყველა პრეტენზიის ასიმილაცია პროპოზიციური ჭეშმარიტების მნიშვნელოვნების უნივერსალურ პრეტენზიასთან: „ჩვენ ვხედავთ, რომ როცა საქმე გვაქვს ბრძანებასთან, გაფრთხილებასა ან რჩევასთან, წამოიჭრება კითხვა იმის თაობაზე, თუ რა მიმართებაში არიან ისინი ფაქტისადმი; ეს შეკითხვა კი არცთუ დიდად განსხვავდება იმგვარი შეკითხვიდან, რომელითაც განვიხილავთ იმას, თუ როგორ შესაბამისობაშია მტკიცება ფაქტისადმი"[2]. მე მგონია, რომ ოსტინი პროპოზიციური ჭეშმარიტების მნიშვნელოვნების თეორიას, რომელიც თავდაპირველად გამონათქვამების ფაქტისადმი შესაბამისობის აზრით გაიგება, ურევს ნორმატიული სისწორის მნიშვნელოვნების პრეტენზიაში, რომელიც ვერასგზით ვერ განიმარტება შესატყვისობის თეორიულად.

რამდენადაც გაფრთხილებები გინა რჩევები წინასწარმეტყველებებს ემყარებიან, ამდენად ისინი კოგნიტივური სიტყვათხმარების ნაწილს წარმოადგენენ. იყვნენ თუ არა თანამონაწილეები მართლები, რომ მოცემულ სიტუაციაში განსაზღვრული გაფრთხილებები თუ რჩევები გამოეთქვათ, ეს დამოკიდებულია შესაბამის წინასწარმეტყველებათა ჭეშმარიტებაზე. რაკი ინტერაქტივური სიტყვათხმარების ნაწილს წარმოადგენს შეიძლება, გაფრთხილებებსა და რჩევებს ნორმატიული საზრისიც ჰქონდეთ; მაშინ, მეორე მხრივ, გაფრთხილებათა და რჩევათა გამართლებულობა იმაზე ჰკიდია, დაწანამძღვრებული ნორმა, რომლისადმიც ისინი მიმართებაში იმყოფებიან მნიშვნელობს (ინტერსუბიექტურად არის აღიარებული) თუ არ მნიშვნელობს (და შემდგომ საფეხურზე ხამს, მოხდეს მისი გამნიშვნელოვნება ე.ი. ინტერსუბიექტურად აღიარება ან არ აღიარება).

მაგრამ მეტყველება-მოქმედებათა უმრავლესი ტიპი სიტყვათხმარების ერთადერთ მოდუსს შეეხამება. შეფასება ცუდია თუ კარგი, ეს უეჭველად შესაბამისი გამოთქმის ჭეშმარიტებაზე ჰკიდია; შეფასებები მხოლოდ და მხოლოდ კოგნიტივურ სიტყვათხმარებაში გვხვდებიან; სასამართლოს განაჩენი, პერსონის გაკიცხვა თუ ხელქვეითისადმი უფროსის გამოთქმული ბრძანება განსაზღვრული ქცევის გულისთვის „მართებუ-

---

[1] Austin, „Performative Utterances"a.a.O., S.250f.
[2] Ebd., S.251.

ლად" არის გამოთქმული, „დამსახურებულად" არის გამოტანილი, სამართლიანია თუ არა იგი, ასევე უეჭველად ჰკიდია იმაზე, აღიარებული ნორმა სწორად არის თუ არა გამოყენებული მოცემული შემთხვევის მიმართ (ანდა – სწორი ნორმა არის თუ არა მიყენებული ამ შემთხვევისადმი); სასამართლო განაჩენი, გაკიცხვა, ბრძანებები მხოლოდ და მხოლოდ ინტერაქტიური სიტყვათხმარების ნაწილები შეიძლება იყენენ. თვითონ ოსტინმაც ერთხელ საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ ამ შემთხვევებში მნიშვნელოვნების სხვადასხვა პრეტენზიები მოქმედებენ:

„ბრალდებულის გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოტანილი იქნას კორექტულად და კეთილდარწმუნებულობით; მაგრამ მაინც ღიად რჩება საკითხი იმის თაობაზე, განაჩენი იყო თუ არა მართებული გინა სათანადო. შეიძლება მავანს გაკიცხვის უფლებაც ჰქონდეს და ეს უბოროტოდაც გამოთქვას, მაგრამ ყოველთვის შეიძლება კელავ და კვლავ ვიკითხოთ, იყო თუ არა გაკიცხვა დამსახურებული... მაგრამ ზოგიერთმა შეიძლება შემდეგი საყვედური გამოთქვას იმ შედარების თაობაზე, რომელსაც ვავლებთ ამ განბჭობასა და გამონათქვამების კუთვნილ განბჭობას შორის: კეთილის, სამართლიანისა, თუ დამსახურების თაობაზე ეს შეკითხვები ხომ სრულიად განსხვავებული არიან ჭეშმარიტებისა და სიყალბის თაობაზე შეკითხვებიდან! ეს უკანასკნელი ისე მარტივი ამბავია როგორც შავისა და თეთრის გარჩევა; გამოთქმა ან შეესაბამება ფაქტებს, ან – არა, მორჩა და გათავდა".[1]

ოსტინმა წარხორცა პროპოზიციური ჭეშმარიტებისა და ნორმატიული სისწორის უნივერსალურ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა შორის გამოკვეთილი განსხვავებანი, რაკი მან ჭეშმარიტების უნიეერსალურობის მნიშვნელოვნების პრეტენზიას შეფასების პარტიკულარული კრიტერიუმების საკუთრებასთან ერთად ერთ კლასში მოუყარა თავი. ასეთი რამ რომ სრულიად ზედმეტია სჩანს იქიდან, რომ მოცემულ მეტყველებამოქმედებაში ერთმანეთისაგან განირჩევა:

ა) კონტექსტის ფარულად დაწანამძვრებული საყოველთაო პირობები;

ბ) საწარმოებელი ინტერპერსონული ურთიერთობის სპეციფიკური საზრისი;

გ) მნიშვნელოვნების ფარულად წამოყენებული საყოველთაო პრეტენზია, მაშინ როცა (ა) და (ბ) განსაზღვრავენ (კერძოენობრივად განსხვავებულ) სტანდარტიზებულ მეტყველება-მოქმედებათა ჩამოყალიბებულ კლასებს, (ბ) ადგენს კომუნიკაციის იმ მოდუსებს, რომლებიც უნივერსალურნი არიან ე.ი. საზოგადოდ მეტყველებაში არიან ჩადებულნი.

---

[1] Austin, „Performative und konstantierende Äußerungen"a.a.O., S.151f.

ვიდრე (ა)-სა და (ბ)-ს გამოწვლილვით განვიხილავდე, მე მინდა, სულ ცოტა, შევნიშნო, რომ პერფორმაციულ და მაკონსტანტირებელ გამონათქვამებს შორის განსხვავების ოსტინისეული ამოსავალი წერტილი ძალიან ზღუდავს ხედვას. ვინაიდან კომუნიკაციის ის ორი მოდუსი, რომელიც მე განსხვავების მაგალითზე შევიმუშავე, ჯერ კიდევ არ ამოიწურება მეტყველების მნიშვნელოვნების სპექტრი. მართალია, შეუძლებელია არსებობდეს კომუნიკაციის ისეთი მოდუსი, რომელშიც გამორჩეული იქნებოდა გამოთქმის გასაგებობა: ვინაიდან აუცილებელია ის, რომ მეტყველების თითოეულმა აქტმა ერთნაირად შეასრულოს გასაგებობის წანამძღვარი. თუ რომელიმე კომუნიკაციის გასაგებობა ირღვევა, მაშინ გასაგებობის მოთხოვნა თემად შეიძლება იქცეს მხოლოდ და მხოლოდ ჰერმენევტიკულ დისკურსზე გადასვლით (და მისთვის კუთვნილ ენის სისტემასთან კავშირში). მაგრამ, რაც კომუნიკაციური ქმედების სიბრტყეზე ზუსტად იმნაირადვე შეიძლება გამოირჩეს, როგორც გამოირჩევა პროპოზიციის ჭეშმარიტება და ინტერპერსონული ურთიერთობის სისწორე (ანდა მისადაგებულობა), ის გულწრფელობაა, რითაც მოლაპარაკე თავის ინტენციებს გამოთქვამს. გულწრფელობა უზრუნველყოფს თავის ენობრივად თვითგამომხატველი სუბიექტურობის გამჭვირვალებას, მისი განსაკუთრებული ხაზგასმა ხდება *ექსპრესივულ სიტყვათხმარებაში*. სანიმუშონი არიან ის წინადადებანი, რომლებშიც მოლაპარაკის სწორედ ის ინტენციები იქცევიან თემად, რომლებიც მეტყველების თითოეულ აქტში სხვათა შორის გამოითქმებიან ხოლმე; ე.ი. ესენი არიან განცდის გამომთქმელი წინადადებანი:

(1) მე შენ მენატრები

(2) ვისურვებდი, რომ...

რომელთა შემთხვევაში ჩვეულებრივ არ გამოიყენება ხოლმე ილოკუციურ აქტში ჩასმა:

(3') ამით შენს მიმართ იმას გამოვხატავ, რომ მე შენ მენატრები.

ექსპრესივულ სიტყვათხმარებაში თემას არ წარმოადგენს ის ინტერპერსონული ურთიერთობა, რომელსაც თვითგამოხატვის ფუნქციის აღება ძალუძს; და მისი მოხსენიება მხოლოდ და მხოლოდ იმ სიტუაციებშია საჭირო, რომლებშიც თავისთავად ცხადი არ არის მოლაპარაკის გულწრფელობის წინასწარგულისხმობა:

(1) **უნდა გამოგიტყდე, რომ ...**

(2) **არ მინდა დაგიმალო, რომ...**

ამრიგად, ამგვარი რეპრეზენტაციული მეტყველების აქტები (როგორიცაა: გამოხატვა, გამხელა, მიჩუმათება, უარისთქმა და ა.შ.) იმგვარადვე არ შეეხამებიან ექსპრესივულ სიტყვათხმარებას (რომლებსაც გარკვეულწილად არ ესაჭიროებათ ილოკუციონური აქტები), როგორც ჰდგენელი მეტყველება-მოქმედებები შეეხამებიან კოგნიტივურს, ხოლო რეგულატივური მეტყველება-მოქმედებანი – ინტერაქტივურ სიტყვათ-

ხმარებას. მაგრამ გულწრფელობის პრეტენზიაც მეტყველების უნივერსალური იმპლიკატია*, ვიდრე გადადებული არ არის საზოგადოდ კომუნიკაციური ქმედების წანამძღვრები. მდგენელ სიტყვათხმარებაში მოლაპარაკემ აუცილებელია, თავისი აზრები, შეხედულებები, ვარაუდები და ა.შ. უბრალოდ გულწრფელად გამოთქვას. მაგრამ როცა პროპოზიციას ამტკიცებს, მას საქმე აქვს არა ინტენციის სიწრფელესთან, არამედ – პროპოზიციის ჭეშმარიტებასთან. ინტერაქტივურ სიტყვათხმარებაში მოლაპარაკე ამგვარადვე გამოხატავს შეპირების, გაკიცხვის, უკუგდების და ა.შ. განზრახვას; მაგრამ როცა იგი მსმენელთან ინტერპერსონულ ურთიერთობას ახორციელებს, მაშინ მისი ინტენციის გულწრფელობა მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი პირობაა, რა დროსაც საქმე იმას ეხება, რომ მოქმედება შეესატყვისებოდეს აღიარებულ ნორმატიულ ფონს. ამრიგად, ვღებულობთ შემდეგ შეხამებებს:

ცხრ. 15. კომუნიკაციის მოდუსები

კომუნიკაციის მოდუსი	მეტყველება-მოქმედების ტიპი	თემა	თემათა განმსაზღვრელი მნიშვნელოვნების პრეტენზია
კოგნიტიური	მდგენელი	პროპოზიციური შედგენილობა	ჭეშმარიტება
ინტერაქტიური	რეგულატიური	ინტერპერსონული ურთიერთობა	სისწორე მისადაგებულობა
ექსპერსიული	(რეპრეზენტატიული)	მოლაპარაკის ინენაცია	გულწრფელობა

P.S. სიტყვათხმარების მოდუსები ერთმანეთისგან მხოლოდ და მხოლოდ სანიმუშოობის გამო იმიჯნებიან. მე არ ვამტკიცებ, რომ მეტყველება-მოქმედებათა ნებისმიერი მწკრივები ამ თვალსაზრისებით *ერთმნიშვნელოვან* კლასიფიკაციას ემორჩილებიან; მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ თითოეულ კომპეტენტურ მოლაპარაკეს აქვს ძირეული შესაძლებლობა, ერთმნიშვნელოვნად აირჩიოს ერთი მოდუსი, მაშინ როცა თითოეული მეტყველების აქტით მან *უნდა* წამოაყენოს მნიშვნელოვნების ოთხი უნივერსალური პრეტენზია, ისე, რომ მას შეუძლია მნიშვნელოვნების სამი უნივერსალური პრეტენზიიდან მხოლოდ ერთი კომპონენტი გამოარჩიოს.

*ისეთი რაღაც, რაც სხვა რაღაცაშია ჩართული; აქიდან ენის ფილოსოფიურად – იმპლიკაცია: ლოგიკური მიმართება: „თუ ... მაშინ“ ... მთარგმ. შენიშვნა.

6. ილოკუციურ ძალთა რაციონალური საფუძველი

მას შემდგომ, რაც მე გავარჩიე მეტყველება-მოქმედების მნიშვნელობის სტრუქტურა და მისი მნიშვნელოვნების ბაზისი, მინდა, მივუბრუნდე საკითხს იმის თაობაზე, თუ რაში მდგომარეობს გამოთქმის ილოკუციური ძალა. აქამდე ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ის ვიცით, თუ რა შედეგი მოსდევს ილოკუციურ ძალას იმ შემთხვევაში, როცა მეტყველება-მოქმედება წარმატებულია; ეს შედეგი არის ინტერპერსონული ურთიერთობის ხორცშესხმა. ოსტინი და სერლი იმგვარად აანალიზებდნენ ილოკუციურ ძალას, რომ ეძებდნენ მეტყველების აქტთა წარმატებისა თუ წარუმატებლობის პირობებს. გამოხატული შინაარსი იმის წყალობით იძენს განსაზღვრულ კომუნიკაციურ ფუნქციას, რომ შესრულებულია შესაბამისი ინტერპერსონული ურთიერთობის ხორცშესხმის სტანდარტული პირობები. ილოკუციური აქტით მოლაპარაკე გვთავაზობს რაღაცას, რაც შეიძლება მივიღოთ ან შეიძლება უკუაგდოთ. მოლაპარაკის მიერ ილოკუციური აქტით წამოწყებულმა მცდელობამ შესაძლოა, მარცხი იწვნიოს იმის გამო, რომ ადრესატმა შემთხვევითი საბაბით უარი განაცხადოს შეთავაზებული ურთიერთობის გაბმაზე. მაგრამ ეს შემთხვევა არ არის საინტერესო ჩვენი კონტექსტისთვის. ჩვენ გვაინტერესებს სხვა შემთხვევა, რა დროსაც მოლაპარაკე არის ბრალეული მეტყველების აქტის წარუმატებლობაში, რადგან გამოთქმა ილოკუციურად გაუგებარია. ე.ი. მიუღებელი არის (ამასთანავე საქმე არ ეხება გამოთქმაში გამოყენებული წინადადებების მნიშვნელობის გაუგებრობას. ილოკუციურად გაუგებარი, პირიქით, მაშინ არის მეტყველების აქტი, როცა ილოკუციური აქტი *მიუღებელია*). თუ მოლაპარაკე ისეთ გამოთქმას გამოთქვამს, რომელიც განზრახ არ შეიცავს სერიოზულ შეთავაზებას, მაშინ არ შეიძლება მან იმის იმედი იქონიოს, რომ მის მიერ გამიზნული ურთიერთობა ხორცს შეისხამს.

მეტყველების აქტის „წარმატების" შესახებ მე მხოლოდ მაშინ ვლაპარაკობ, როცა მსმენელს არა მხოლოდ გამოთქმული წინადადების მნიშვნელობა ესმის, არამედ ფაქტობრივად თანხმდება მოლაპარაკის მიერ გამიზნულ ურთიერთობას. ამრიგად, მე მეტყველების აქტთა წარმატებულობის პირობებს მათი „მისაღებობის" თვალსაზრისით ვაანალიზებ. რადგან მე იმთავითვე ვიფარგლები კომუნიკაციური ე.ი. ურთიერთგაგებაზე კოორდინირებული ქმედების გამოკვლევით, ამიტომ მეტყველების აქტი მხოლოდ მაშინ ითვლება მისაღებად, როცა მოლაპარაკე

შეთავაზებას მოჩვენებითი სერიოზულობით კი არ აკეთებს, არამედ წრფელად გვთავაზობს.[1]

„სერიოზული შეთავაზება“ მოლაპარაკის განსაზღვრულ ანგაჟირებას მოითხოვს. ვიდრე გამოწვლილვით განვიხილავდე მოლაპარაკის ამ ანგაჟირებულობას, მინდა, მოვიხსენიო ილოკუციურ აქტთა არამისაღებადობის შემდგომი მიზეზები.

„შეცოდებათა“ („infelicities“) შესახებ თავის მოძღვრებას ოსტინი უპირატესად ინსტიტუციურად დაკავშირებული მეტყველების აქტების მიხედვით ამუშავებს; აქიდან გამომდინარე „მტყუნებათა“ („misfires“) მაგალითები (სახელდობრ: ცრუშელოცვათა, ცრუდასჯათა, ცრუგამოყენებათა) ტიპიურია წესდარღვევათა ყველა შესაძლო შემთხვევისათვის. ამრიგად, მეტყველების აქტთა არამისაღებადობა შეიძლება დაყვანილი იქნეს მოქმედების მაფუძნებელი ნორმების წინაშე შეცოდებებზე. როცა მღვდელი საქორწინო ცერემონიის დროს შეცდომით წარმოთქვამს ან სულაც არ წარმოთქვამს ჯვრისწერის საკალდებულო ფორმულას, მაშინ ეს იმავე სიბრტყეზე მდებარე გადაცდომაა, რომელზეც ძევს, ვთქვათ დოცენტის ბრძანება თავისი მსმენელისადმი, რომელიც მას (როგორც ჩვენ ვფიქრობთ — სამართლიანდაც) ესიტყვება: „თქვენ დიაღაც შეგიძლიათ ჩემგან თავაზიანობა მოითხოვოთ, მაგრამ ბრძანების უფლება არა გაქვთ“. მისაღებობის პირობები არაა შესრულებული; მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს პირობები განსაზღვრულია ქმედების *წინასწარნაგულისხმები* ნორმების მეშვეობით. ნაცვლად ამისა, ჩვენ ვეძიებთ მისაღებობის იმ პირობებს, რომლებიც თვით ინსტიტუციურად დაკავშირებულ მეტყველების აქტში ძევს.

სერლმა გაანალიზა მეტყველება-მოქმედებათა სხვადასხვა ტიპების კონვენციური წანამძღვრები, რომელთა შესრულება არის აუცილებელი, თუკი ჯერარს, ილოკუციური აქტი გასაგები და მისაღები იყოს. მოსამზადებელი წესების სახელწოდების ქვეშ იგი განსაზღვრავს შესაძლო მეტყველება-მოქმედების ტიპთა *გენერალიზებულსა* ანდა შეზღუდულ კონტექსტებს: მაგალითად, შეპირება არ არის მისაღები, თუ სხვათა შორის შესრულებული არ არის პირობები, რომ (ა) H S-ის A განსაზღვრულ მოქმედებას ამჯობინებს A-ს ჩაუდენლობას და ამასთანავე S ფიქრობს, რომ საქმე სწორედ ასეა და როცა (ბ) როგორც S ისე H არ

---

[1] დამატება 1983წ.: თავის დროზე მე არ მქონდა შეცნობილი ამ სხვათაშორის მოხსენებული შეზღუდვის პრობლემატიკა. ჩემს მიერ იმ დროს ტრიეიალურად დაწანამძღვრებული რამ გულმოდგინე დასაბუთებას საჭიროებს. კერძოდ, ეს არის თეზა იმის შესახებ, რომ ენის ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული გამოყენება წარმოადგენს სიტყვათსმარების ორიგინალურ მოდუსს. შეად. ჩემი კომუნიკაციური ქმედების თეორია, მაინის ფრანკფურტი 1981, ტ.1, 385-397; იხ. აგრეთვე ამაეე ტომში ქვემოთ გვ. 595.

ამოდიან იქიდან, რომ S ნორმალურ გარემოებებში ისედაც A-ს მოიმოქმედებდა.[1]

როცა შესრულებული არ არის ამ სახის წანამძღვრები, მაშინ შეპირების აქტი „აზრს მოკლებულია“, ანუ: მოლაპარაკის მცდელობას, მიუხედავად ამისა მაინც შეასრულოს ილოკუციური აქტი, აზრი არა აქვს და იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული. ინსტიტუციურად დაუკავშირებელი მეტყველება-მოქმედებების კონტექსტის საყოველთაო პირობები უნდა განვასხვავოთ მოქმედების დაწესებულ ნორმათა გამოყენების პირობებისაგან.[2] მეტყველება-მოქმედების ტიპთა და მოქმედების ნორმათა გამოყენების პირობების შესახებ დებულებები, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად (მნიშვნელოვნად) უნდა ვარირებდნენ, თუ ხამს, რომ (ინსტიტუციურად დაუკავშირებელი) მეტყველება-მოქმედებანი იმ ინსტრუმენტულ რეპერტუარს წარმოადგენდეს, რომლიდანაც მოქმედ სუბიექტს ტიპთა სასრული ოდენობის დახმარებით შეუძლია, შეადგინოს ნორმების შესატყვისი მოქმედებათა ნებისმიერი ოდენობა.

ილოკუციურის თავისებური ძალა, რომელიც ინსტიტუციონალურად დაუკავშირებელ მეტყველება-მოქმედებათა შემთხვევაში *უშუალოდ* დაწესებული ნორმების მნიშვნელოვნებიდან არ გამოიყვანება, არც მეტყველება-მოქმედების ტიპთა მიხედვით შემოზღუდული კონტექტებით აიხსნება. ილოკუციური ძალის განმარტება მოხერხდება მხოლოდ სპეციფიკური წანამძღვრების დახმარებით, რომელიც სერლს „არსობრივი წესის“ („essential rule“) სახელწოდებით შემოაქვს. მაგრამ ამასთანავე მას ეტყობა, შესაბამის პერფორმაციულ ზმნათა პარაფრაზირება გამოუდის (მაგალითად გამოწვევათათვის მნიშვნელობს: ჩაითვალოს ძალიხმევად, რომ H-ს A გააკეთებინო; ანდა სხვებისათვის: ჩაითვალოს ძალისხმევად, რომ S-დან ინფორმაცია მიიღო), მაგრამ ეს პერიფრაზები ერთ საინტერესო საერთო განსაზღვრებას შეიცავენ: ძალისხმევისთვის ანგარიშის გაწევინება... ილოკუციური აქტის წარმატებულობის არსობრივი წანამძღვარი მდგომარეობს იმაში, რომ მოლაპარაკე ყოველთვის კისრულობს გარკვეულ *ანგაჟირებას*, ისე რომ მსმენელს შესაძლებლობა ეძლევა, მას მიენდოს. გამოთქმა შეიძლება შეპირებად,

---

[1] Searle, Speech acts, a.a.O., S.63.

[2] ამ განსხვავებას უარყოფს დ.ჰ ოულდკროფთი, „პერფორმატიევები და მტკიცებები“, მაინდი 83, 1974, 1--18 და მიდის ყალბ დასკვნამდე, რომ თითქოსდა მხოლოდ ჩვენს მიერ ინსტიტუციონალურად დაუკავშირებად წოდებულ მეტყველება-მოქმედებებს ედოს საფუძვლად ისეთი მოწესრიგებანი, რომელთაც შემდეგი წინადადების სახე აქვთ: „წინადადება მაშინ და მხოლოდ მაშინ არის პერფორმაციული ტიპის, თუ მისი ზუსტი და სერიოზული გამოთქმა აკონსტიტუირებს აქტის შესრულებას, რომელიც ხდება კონვენციის თანახმად და რომელი კონვენციაც არ არის მხოლოდ და მხოლოდ გრამატიკული ანდა სემანტიკური კონვენცია“.

მტკიცებად, მოთხოვნად ანდა შეკითხვად „ჩაითვალოს" მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მოლაპარაკე იძლევა შეთავაზებას, რომ იგი – იმ შემთხვევაში თუ მას მსმენელი მიიღებს – მზად არის, შენათავაზები „გაანაღდოს", მოლაპარაკემ თავი უნდა დაივალდებულოს, ე.ი. უნდა აგრძნობინოს ის, რომ იგი განსაზღვრულ სიტუაციებში მოქმედების განსაზღვრულ შედეგებს გამოიტანს. ვალდებულებათა გვარი ქმნის ანგაჟირების შინაარსს, მისგან უნდა განვასხვაოთ ანგაჟირების *პირუთვნელობა*. სერლის მიერ „პირუთვნელობის წესად" შემოტანილი ეს პირობა აუცილებლად და *ყოველთვის* უნდა შესრულდეს როცა საქმე გვაქვს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ ქმედებასთან. ამიტომ მე შემდგომში, როცა ლაპარაკი იქნება მოლაპარაკის ანგაჟირებაზე ორივე მათგანს დავიწანამძვრებ: ანგაჟინრების განსაზღვრულ შინაარსს და პირუთვნელობას, რითაც მოლაპარაკე მზად არის თავისი ანგაჟირება, იტვირთოს. რამდენადაც მე ვხედავ, მეტყველების აქტის აქამდელი ანალიზები არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან მათ არ განუმარტავთ მოლაპარაკის ანგაჟირება, რომელზეც სპეციფიკურად არის დამოკიდებული გამოთქმის მისაღებობა.

მოლაპარაკის საცნაურსა და პირუთვნელ მზაობას, მიიღოს ინტერპერსონული ვალდებულების გარკვეული ნაირსახეობა, თავისებური სტატუსი აქვს კონტექსტის საყოველთაო პირობებთან შედარებით. შეზღუდული კონტექსტები, რომლებსაც ყოველთვის წინასწარ გულისხმობენ ხოლმე მეტყველება-მოქმედებათა განსაზღვრული ტიპები, უნდა იყუნენ (ა) მოცემული და (ბ) თანამონაწილეთა მიერ დაშვებული, უნდა იყუნენ როგორც არსებულნი. ამრიგად, ძალაში უნდა იყოს ორივე შემდგომი გამონათქვამი: (ა) შინაარსის გამონათქვამი, რომ არსებობენ განსაზღვრული, კერძოდ კი, ისეთი კონტექტსები, რომელთა არსებობის მოთხოვნა ტიპიურია; და შინაარსის გამონათქვამი, რომ მოლაპარაკე და მსმენელი უშვებენ ამ კონტექსტთა არსებობას. საინტერესოა, რომ აზრს მოკლებული უნდა იყოს ამნაირადვე იქნეს გაანალიზებული მოლაპარაკის ანგაჟირების *სპეციფიკური* წანამძღვარი, ისე რომ ძალაში იყოს კელავ ორი გამონათქვამი: (ა) შინაარსის გამონათქვამები, რომ მოლაპარაკის მხრივ – არსებობს განსაზღვრული ანგაჟირება; და (ბ) შინაარსის გამონათქვამი, რომ მსმენელი უშვებს მოლაპარაკის ანგაჟირების არსებობას. *შეიძლება* ანალიზის ამ სტრატეგიის არჩევა. მაგრამ მე მას არასათანადოდ მივიჩნევ; რადგან იგი მოლაპარაკის ანგაჟირების არსებობაზე იმ აზრით ილაპარაკებდა, რა აზრითაც შეზღუდული კონტექსტების ექსისტენცზე ლაპარაკობს. არსებობენ თუ არა განსაზღვრული კონტექსტები, ამის სათანადო დადგენა შემიძლია დაკვირვების ანდა გამოკითხვის გზით; მაგრამ მოლაპარაკე ანგაჟირებულია თუ არა ამა თუ იმნაირად და იგი მავალებულებს თუ არა მოქმედების განსაზღვრულ შედეგებს, ეს შემიძლია მხოლოდ და მხოლოდ *გამოცა-*

დო უკიდურეს შემთხვევაში მე შემიძლია ეს დავადგინო კიდეც. თუკი მოცემულია იმ ვარაუდის საკმარისი ინდიკატორები, რომ შეთავაზება გამოცდას გაუძლებდა.

ვალდებულება, რომელიც მზად არის მოლაპარაკემ ილოკუციური აქტის განხორციელებით იკისროს, ნიშნავს გარანტიას იმისას, რომ იგი თავისი გამოთქმის შედეგად შეასრულებს განსაზღვრულ პირობებს; მაგალითად, საკითხს ჩათვლის ამოწურულად, თუკი დამაკმაყოფილებელ პასუხს მიიღებს. ხელს აიღებს მტკიცებაზე, თუკი გამოაშკარავდება მისი უჭეშმარიტობა; თვითონვე დაუგდებს ყურს რჩევას, თუკი იგი მსმენელის მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდება; მოთხოვნას მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, თუკი მას შედეგი არ მოსდევს და ა.შ. *ამრიგად, მისაღები მეტყველების აქტის ილოკუციური ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია მსმენელის აღძვრა, რათა იგი მიენდოს მოლაპარაკის იმ ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია მეტყველებამოქმედების ტიპით.* მაგრამ თუკი ილოკუციურ ძალას არა აქვს შთამაგონებელი ძალი, მაშინ რა აძლევს მსმენელს იმის საშუალებას, რომ თავის ქედებას დაუსაფუძვლოს წანამძღვრები, რომ მოლაპარაკეც სერიოზულად ეკიდება იმ ანგაჟირებას, რომელიც მან მსმენელს მიახვედრა? თუკი საქმე ეხება ინსტიტუიონალურად დაკავშირებულ მეტყველებამოქმედებებს, მაშინ პარტნიორი, ალბათ, მიენდობა მნიშვნელადი მოქმედების ნორმის მავალდებულებელ ძალას. მაგრამ ინსტიტუციონალურად დაუკავშირებელი მეტყველების აქტების შემთხვევაში ილოკუციური ძალა არ შეიძლება *უშუალოდ* იქნას ახსნილი ნორმატიული ფონის საავალდებულობით. ამიტომ მინდა წამოვაყენო თეზა, რომ ილოკუციური ძალა, რითაც მოლაპარაკე თავისი მეტყველების აქტის შესრულებით ზემოქმედებას ახდენს მსმენელზე მხოლოდ მაშინ იქნება გასაგები, თუკი ცალკეული მეტყველების აქტის გარდა, გაანალიზებული იქნება მსმენელის ჰო ან არა პოზიცია მოლაპარაკის მიერ, სულ ცოტა, მალულად წამოყენებული მნიშვნელოვნების პრეტენზიათა მიმართ.

თანამონაწილენი თავიანთი ილოკუციური აქტებით წამოაყენებენ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს და მოითხოვენ მათ აღიარებას. მაგრამ ეს აღიარება არ ხდება ირაციონალურად, რადგან მნიშვნელოვნების პრეტენზიებს კოგნიტივური ხასიათი აქვთ და შემოწმებაუნარიანი არიან. ამიტომ მინდა შემდეგი თეზა წამოვაყენო: *საბოლოო ინსტანციით მოლაპარაკეს ძალუძს, ილოკუციური ზემოქმედება იქონიოს მსმენელზე, ხოლო მსმენელს, პირიქით — მოლაპარაკეზე, რადგან მეტყველებამოქმედების ტიპებისთვის დამახასიათებელი ვალდებულებანი დაკავშირებულნი არიან მნიშვნელოვნების ისეთ პრეტენზიებთან, რომელთა კოგნიტივური შემოწმება შეიძლება,* ე.ი. — ასეთი ურთიერთგავლენა შესაძლებელია იმიტომ, რომ ამ ორმხრივ ვალდებულებებს რაციონალური საფუძველი აქვს. ანგაჟირებული მოლაპარაკე იმ სპეციფიკურ საზრისს, რითაც მას

ინტერპერსონული ურთიერთობის მიღება სურს, როგორც წესი, მნიშვნელოვნების თემატურად გამოყოფილ პრეტენზიასთან აკავშირებს ხოლმე; და ამით იგი ირჩევს კომუნიკაციის განსაზღვრულ მოდუსს. ამრიგად, მოლაპარაკის ანგაჟირების შინაარსი ორიენტია განსაზღვრული:

_ **საწარმოებელი ინტერპერსონული ურთიერთობის სპეციფიკური საზრისითა და მნიშვნელოვნების თემატურად ხაზგასმული უნივერსალური პრეტენზიით.**

ამრიგად, მტკიცებები, აღწერები, კლასიფიკაციები, შეფასებები, წინასწართქმანი, შეპასუხებანი და ა.შ. ყოველთვის არიან სპეციფიკური მოდალური საზრისის მქონენი, მაგრამ სხვადასხვა ინტერპერსონულ ურთიერთობებში უფლებაგაცხადებული პრეტენზია ან თვითონ არის შესაბამის პროპოზიციათა ჭეშმარიტება, ანდა მას ემყარება ე.ი. ემყარება სუბიექტის უნარს შემეცნებათა ქონისა; შესაბამისად ამისა თხოვნებს, ბრძანებებს, დარიგებებს, გარიგებებს, მობოდიშებებს, გამოტყდომებს და ა.შ. სპეციფიკური მოდალური საზრისი აქვთ. მაგრამ სხვადასხვა ინტერპერსონულ ურთიერთობებში უფლებაგაცხადებული პრეტენზია ან თვითონ არის ნორმათა სისწორე და ა.შ. ანდა იგი მასთან იმყოფება მიმართებაში; ე.ი. იგი ემყარება სუბიექტის უნარს, პასუხისმგებლობის აღებისა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეტყველების სხვადასხვა აქტებში მოლაპარაკის ანგაჟირების შინაარსი ყოველთვის განსაზღვრულია იმით, რომ *იგი ეყრდნობა მნიშვნელოვნების თემატურად ხაზგასმულ იმავე უნივერსალურ პრეტენზიას* და რადგან მეტყველება-მოქმედებათათვის ტიპიური ვალდებულებანი მნიშვნელოვნების უნივერსალურ პრეტენზიებზე ამგვარი დაყრდნობის გამოისობით დასაბუთებას ანდა შემოწმების ვალდებულებათა ხასიათს იძენენ, მოლაპარაკის მინიშნებული ანგაჟირების გზით შესაძლებელი ხდება მის მისაღებად მსმენელის რაციონალური მოტივირება.

კოგნიტიურ სიტყვათხმარებაში მოლაპარაკე გვთავაზობს დასაბუთების ვალდებულებას, რომელიც იმანენტურია მეტყველების აქტისათვის. მდგენელი მეტყველების აქტები შეიცავენ შეთავაზებას, საჭიროების შემთხვევაში *გამოცდილების იმ წყაროს* მივმართოთ, რომლიდანაც მოლაპარაკე იღებს *უტყუარობას* იმისას, რომ მისი გამონათქვამი ჭეშმარიტია. თუ ამ უშუალო დასაბუთებით არ უქმდება ad hoc გაჩენილი ეჭვი, მაშინ კვლავაც და კვლავაც პრობლემატიზებული ჭეშმარიტების პრეტენზია თეორიული დისკურსის საგნად იქცევა. ინტერაქტიურ სიტყვათხმარებაში მოლაპარაკე გვთავაზობს მეტყველების აქტისთვის იმანენტური *გამართლების ვალდებულებას.* ხოლო რეგულაციური მეტყველების აქტები მოლაპარაკის მხოლოდ და მხოლოდ იმ შეთავაზებას შეიცავენ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მითითებული *იქნეს იმ ნორმატიულ კონტექსტზე,* რომელიც მოლაპარაკეებს ანიჭებენ იმაში *დაჯერებულობას,* რომ მათი გამოთქმა სწორია. თუკი ამგვარი უშუალო

გამართლება არ ფანტავს ad hoc წამოჭრილ ეჭვს, ჩვენ კვლავ შეგვიძლია გადავიდეთ დისკურსის კიდევ ერთ სიბრტყეზე; კერძოდ – პრაქტიკულ დისკურსისაზე. მაგრამ მასში დისკურსული შემოწმების საგანი იქნება არა მეტყველების აქტთან პირდაპირ დაკავშირებული სისწორის პრეტენზია, არამედ – საფუძველმდებლური ნორმის მნიშვნელოვნების პრეტენზია. და ბოლოს, მოლაპარაკე ექსპრესიულ სიტყვათხმარებაშიც კისრულობს მეტყველების აქტისთვის იმანენტურ ვალდებულებას; კერძოდ – საქმეში გამოცდის ვალდებულებას: – თავისი ქმედების შედეგებით აჩვენოს, რომ სწორედ ის ინტენცია გამოხატა, რაც ფაქტობრივად ამოძრავებს. იმ შემთხვევაში, თუ უშუალო დარწმუნება, რომელიც იმას გამოხატავს, რაც მოლაპარაკისთვის სიცხადეს წარმოადგენს, ვერ არღვევს ad hoc გაჩენილ ეჭვს, მაშინ გამოთქმის სიწრფელე შემოწმდება მხოლოდ და მხოლოდ იმით, თუ რამდენად მდგრადია მოქმედების შედეგები. ეს შედეგები წარმოადგენენ მოლაპარაკის მიერ თვით მეტყველების აქტით ნაკისრი ვალდებულების საქმეში გამოცდას და არა მნიშვნელოვნების იმ პრეტენზიის გასინჯვას, რომელსაც როგორც ეს ნორმატიული ფონის შემთხვევაში იყო, გამოთქმის გარეთ აქვს საყრდენი.

მეტყველების აქტისთვის იმანენტურად დამახასიათებელი ყველა ვალდებულება შეიძლება შესრულდეს ორ სიბრტყეზე; კერძოდ, მათი შესრულება შესაძლებელია უშუალოდ გამოთქმის კონტექსტში, იქნება ეს გამოცდილების უტყუარობაზე დაყრდნობით, შესაბამის ნორმატიულ ფონზე მითითებით თუ საკუთარ ევიდენტობაში დარწმუნებით; ანდა მათი შესრულება ასევე შეიძლება მდგრად მოქმედებათა თანმიმდევრობის გზით. მაგრამ ორივე სიბრტყეზე *ერთსადაიმავე* ჭეშმარიტებისა თუ სიწრფელის პრეტენზიასთან ჩვენ მიმართებას ვამყარებთ მხოლოდ და მხოლოდ დასაბუთებისა და საქმეში გამოცდის ვალდებულებათა შემთხვევაში, რომლებსაც ვკისრულობთ მდგენელი და რეპრეზენტაციული მეტყველების აქტებით; გამართლების ვალდებულება, რომელსაც რეგულაციური მეტყველების აქტებით ვკისრულობთ, უშუალოდ ემყარება იმის პრეტენზიას, რომ შესრულებული მეტყველება-მოქმედება შეესაბამება არსებულ ნორმატიულ ფონს, მაშინ როცა პრაქტიკულ დისკურსში შესვლით თვითონ იმ ნორმის მნიშვნელოვნება ირჩევა, რომელიც უბრალოდ მეტყველების აქტის სისწორის პრეტენზიიდან არის გადმოღებული.

ჩვენს განაზრებებს შემდეგ წინასწარ შედეგამდე მივყავართ:

(1) **მეტყველების აქტი წარმატებულია ე.ი. ახორციელებს ინტერპერსონულ ურთიერთობას, რომელიც S-ს ამ აქტით აქვს გამიზნული, თუ იგი**

– გასაგებია და მისაღები და

– მსმენელის მიერ მოწონებული იქნება.

(2) მეტყველების აქტის მისაღებობა, სხვათა შორის, იმაზეა დამოკიდებული, რომ შესრულებულია პრაგმატული წანამძღვარი.
– მეტყველება-მოქმედების ტიპურად შეზღუდული კონტექსტების არსებობა (მოსამზადებელი წესი);
– მოლაპარაკის შემეცნებადი ანგაჟირება, რომ მან მეტყველება-მოქმედებათა ტიპის მიხედვით იკისროს ვალდებულებანი (არსობრივი წესი, პირუთვნელობის წესი).

(3) მეტყველების აქტის ილოკუციური ძალა იმაში მდგომარეობს, რომ შეძლოს მსმენელის იძულება, რათა მან იმ წანამძღვართა პირობებში იმოქმედოს, რომ მოლაპარაკის მინიშნებული ანგაჟირება სერიოზულად არის ჩაფიქრებული; მოლაპარაკეს ძალუძს ეს ძალა

– ინსტიტუციურად დაკავშირებულ მეტყველების აქტთა შემთხვევაში მნიშვნელადი ნორმების მავალდებულებელ ძალას დაესესხოს;

– ინსტიტუციონალურად დაუკავშირებელ მეტყველების აქტთა შემთხვევაში მას ეს აქტები იმგვარად შეიცავენ, რომ ეს ძალა ახდენს მსმენელის მოტივირებას, რათა მან აღიაროს მნიშვნელოვნების პრეტენზიები.

(4) მოლაპარაკე და მსმენელი ერთმანეთს აიძულებენ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ურთიერთაღიარებას, რადგან მოლაპარაკის ანგაჟირების შინაარსი განსაზღვრულია თემატურად გამოყოფილ მნიშვნელოვნების პრეტენზიაზე დამყარებით, ამასთანავე მოლაპარაკე

– ჭეშმარიტების პრეტენზიით დასაბუთების ვალდებულებებს,
– სისწორის პრეტენზიით გამართლების ვალდებულებებს,
– გულწრფელობის პრეტენზიით საქმეში გამოცდის ვალდებულებებს იმგვარად კისრულობს, რომ შეიძლებოდეს მათი შემოწმება.

7. ენობრივი კომუნიკაციის მოდელი

იმის ანალიზი, რასაც ოსტინმა გამოთქმის ილოკუციური ძალა უწოდა, უკან, მეტყველების მნიშვნელოვნების ბაზისზე გვაბრუნებს. ინსტიტუციონურად დაუკავშირებელი მეტყველების აქტები თავიანთ ილოკუციურ ძალას უმადლიან მნიშვნელოვნების იმ პრეტენზიათა მიმართულობას, რომლებსაც ორმხრივად წამოაყენებენ მოლაპარაკე და მსმენელი და რომელთა გამართლებულობა აუცილებელია, მათ აღიარონ თუკი ჯერარს, გრამატიკული (გინა გასაგები) წინადადებები გამოსული კომუნიკაციის წარმატებულობით გამოიყენებოდეს. კომუნიკაციის თანამონაწილე მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით მოქმედებს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულად, რომ იგი გასაგები წინადადებების გამოყენებით თავის მეტყველების აქტებში მისაღები სახით წამოაყენებს მნიშვნელოვ-

ნების სამ პრეტენზიას: იგი მოითხოვს ჭეშმარიტებას გამოთქმულისთვის გინა მოხსენიებული პროპოზიციონური შემცველობის არსებობის წინასწარგულისხმობათათვის; მერე იგი მოითხოვს სისწორეს (გინა მისადაგებულობას) ნორმებისათვის (გინა ღირებულებათათვის), რომლებიც ეწევიან მოცემულ კონტექსტში საწარმოებელი ინტერპერსონული ურთიერთობის გამართლებას; დაბოლოს იგი მოითხოვს გულწრფელობას გამოხატული განცდებისათვის. მართალია, შეიძლება ცალკეულ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა თემატური გამოყოფა, რა დროსაც წინა პლანზეა გამოსული გამონათქვამის შინაარსის ჭეშმარიტება კოგნიტივურ სიტყვათხმარებაში, ინტერპერსონული ურთიერთობის სისწორე (გინა მისადაგებულობა) ინტერაქტიურ სიტყვათხმარებაში და მოლაპარაკის გულწრფელობა — ექსპრესიულ სიტყვათხმარებაში. მაგრამ თითოეულ გამოთქმაში მოქმედებს მნიშვნელოვნების ოთხივე ამ პრეტენზიის სისტემა. ისინი უნივერსალურნი არიან. ე.ი. ისინი ყოველთვის ერთდროულად უნდა იქნან წამოყენებული და აუცილებელია მათი გამართლებულად აღიარება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ყველა ერთდროულად თემატიზებული არ იყოს.

მაგრამ მეტყველების სტრუქტურაში ჩადებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა უნივერსალურობა აიხსნება ენის სისტემატურ ალაგზე მითითებით. ენა არის მედიუმი, რისი საშუალებითაც მოლაპარაკე და მსმენელი გამიჯვნის თავიანთს ღვაწვებს ახორციელებენ. სუბიექტი ემიჯნება (ა) გარე სამყაროს, რომელსაც იგი ასაგნობრივებს დამკვირვებლის განწყობით; (ბ) იგი ემიჯნება გარემოს, რომელსაც თანამონაწილის პერფორმაციულ განწყობაში განიცდის; იგი ემიჯნება (გ) თავის საკუთარ სუბიექტურობას; დაბოლოს (დ) თვით ენის მედიუმსაც კი. რეალობის ამ სფეროებისათვის მე, ასე ვთქვათ, თვითნებურად შერჩეული ტერმინები შემოგთავაზეთ: გარებუნება, საზოგადოება, შინაბუნება და ენა. მნიშვნელოვნების ის პრეტენზიები, რომლებსაც უცილობლად მალულად შეიცავს თითოეული მეტყველება-მოქმედება, გვიჩვენებენ, რომ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ მეტყველებაში აუცილებელია, ოთხივე დასახელებული რეგიონი ყოველთვის ერთდროულად ვლინდებოდეს. მე მინდა ამ რეგიონთა გავმოვლენის ფორმა რამდენიმე ფენომენოლოგიური მითითებით დავახასიათო.

„გარებუნებაში" მე ვგულისხმობ რეალობის ობიექტივირებულ ნაკვეთს, რომელსაც მოზრდილი სუბიექტი (თუნდაც მხოლოდ გაშუალებულად) აღიქვამსა და მანიპულაციურად განიხილავს. რა თქმა უნდა, მაობიექტივირებელი განწყობა მას შეუძლია არა მხოლოდ არაცოცხალი ბუნების მიმართ დაიკავოს, არამედ – ყველა საგნისა და საქმის ვითარების მიმართ, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეძლევა გრძნობად გამოცდილებას. „საზოგადოება" ჯერარს, ეწოდოს სინამდვილის იმ სიმბოლურად წინასწარსტრუქტურირებულ ნაკვეთს, რომლის

გაგება მოზრდილ სუბიექტს შეუძლია არამაობიექტივირებელ განწყობაში. ე.ი. ძალუძს იგი გაიგოს როგორც კომუნიკაციურად მოქმედმა (როგორც კომუნიკაციის სისტემის თანამონაწილემ): საზოგადოებაში შედის წინადადებები და მოქმედებები, ინსტიტუციები, ტრადიციები, კულტურული ღირებულებანი, საზოგადოდ სემანტიკურად შინაარსიანი ობიექტივაციები, ასევე თვითონ ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტები. ჩვენ შეგვიძლია ეს პერფორმაციული განწყობა საზოგადოების მიმართ მაობიექტივირებელი განწყობით შევცვალოთ; და პირიქით პერფორმაციულ განწყობაზე გადავერთოთ იმ სფეროებში, რომლებშიც ჩვენ (დღეს) როგორც წესი მაობიექტივირებლად ვიქცევით; მაგალითად – პერფორმაციულად განვეწყოთ ცხოველებისა და მცენარეებისადმი. „შინაგან ბუნებად" მე მივიჩნევ ყველა ინტენციას, რომლებიც მე ყოველთვის შემიძლია ჩემი განცდების სახით გამოვხატო. სწორედ ამ ექსპრესიულ განწყობაში მე-მ თავისი თავი იცის არა როგორც მხოლოდ სუბიექტურობა, არამედ როგორც ინსტანცია, რომელსაც შიშველი სუბიექტურობის საზღვრები ყოველთვის უკვე გადაულახავს ერთსა და იმავდროულად კოგნიციაში, ენასა და ინტერაქციაში. მაგრამ თავისი თავისადმი მაობიექტივირებელ განწყობაში სუბიექტს დამახინჯებულად წარმოუდგა ის საზრისი, რითაც ინტენციები ყოველთვის გამოიხატება ხოლმე, როგორც ჩემი ინტენციები.[1]

დაბოლოს, ჩვენი გამოთქმების მედიუმი მე შემოვიტანე, როგორც თავისებური რეგიონი; სწორედ იმიტომ, რომ ენა (პროპოზიციონურ სიმბოლურ სისტემათა ჩათვლით) ჩვენი კომუნიკაციური მოქმედებების და ექსპრესიების შესრულებისას თავისებურ ნახევრადტრანსცენდენტურობას იჩემებს, იგი მოლაპარაკეს და მოქმედს (წინარე ცნობიერად) წარმოუდგება, როგორც sui genris რეალობის მონაკვეთი. მაგრამ თავის მხრივ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ჩვენ ენობრივი გამოთქმებისა ანდა სიმბოლოთა სისტემების მიმართ განვეწყოთ. სულ ერთია, თუ რაზე იქნება მიმართული ეს განწყობა, იქნება იგი მატერიალურ სუბსტრატზე მიმართული მაობიექტივირებელი განწყობა თუ ილოკუციური აქტების სემანტიკურ შემცველობაზე მიმართული პერფორმაციული განწყობა.

მოდელი, რომელიც მე ამით ინტუიციურად შემოვიტანე, წარმოადგენს ისეთ კომუნიკაციას, რომელშიც უნივერსალურ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა თაობაზე გრამატიკული წინადადებები რეალობისადმი სამ მიმართებაში იქნება ჩასმული, ისე რომ ისინი თავის თავზე აიღებენ გამოსახვის, ინტერპერსონულ ურთიერთობათა წარმოებისა და თვითგამოსახვის შესაბამის პრაგმატულ ფუნქციებს. გარეგნობა არის ყველაფე-

[1] H.Delius, „ZumWahrheitscharakter egologischer Aussagen", in: Brockman, Hofer (rsg.), Die Wirklichkeit des Unverständlichen, den Haag 1974, S. 38-77.

რი ის, რის შესახებაც შეიძლება აშკარა მტკიცება იმისა, რომ იგი გამონათქვამთა შინაარსს წარმოადგენს. ამასთანავე „ობიექტურობად“ შეიძლება დახასიათდეს ის ხერხი, რითაც გასაგნობრიეებული რეალობა მეტყველებაში ვლინდება. ხოლო „ჭეშმარიტება“ არის პრეტენზია, რომელსაც ჩვენ შესაბამისი პროპოზიციისთვის ვაყენებთ. მოქმედების ნორმათა და ღირებულებათა საზოგადოებრივი რეალობა მეტყველების აქტთა ილოკუციურ კომპონენტების გზით (ასე ვთქვათ, მოლაპარაკისა და მსმენელის პერფორმაციული განწყობის გავლით) მეტყველებაში შედის როგორც არაობიექტივირებული სინამდვილის ნაჭერი. თანამონაწილე სუბიექტის შინაგანი ბუნება მოლაპარაკის ინტენციათა გზით ასევე თვით ააშკარავებს თავის თავს, როგორც მეტყველებაში სინამდვილის მეორე არაობიექტივირებული ნაჭერი. მე მინდა „ნორმატიულობა“ და „სუბიექტურობა“ იმ წესის ტერმინებად შემოგთავაზოთ, რითაც მეტყველებაში ვლინდება არაობიქტივირებული საზოგადოება და შესაბამისად – არაობიექტივირებული შინაგანი ბუნება. „სისწორე“ არის პრეტენზია, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ გამოთქმის ნორმატიულობის თვალსაზრისით, ხოლო „გულწრფელობა“ არის პრეტენზია, რომელსაც ვაყენებთ გამოხატული ინტენციის თვალსაზრისით. ამრიგად, მეტყველების საყოველთაო სტრუქტურები უზრუნველყოფენ არა მხოლოდ ობიექტივირებულ სინამდვილესთან მიმართებას, არამედ ისინი ისევე აძლევენ გასაქანს გამოთქმათა ნორმატიულობას, როგორც -- გამოხატული ინტენციების სუბიექტურობას. დაბოლოს, „ინეტრსუბიექტურობას“ მე ვიყენებ ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტთა შორის ზიარობის აღსანიშნავად, რომელიც წარმოიქმნება იდენტური მნიშვნელობების თაობაზე შეთანხმებისა და უნივერსალურ პრეტენზიათა აღიარების გზით. პრეტენზია, რომლის წამოყენება შესაძლებელია ინტერსუბიექტურობის თვალსაზრისით, არის გასაგებობა; ეს არის მეტყველებისთვის სპეციფიკური მნიშვნელოვნების პრეტენზია.

ჩვენ შეგვიძლია თითოეული გამოთქმა იმის მიხედვით შევამოწმოთ ჭეშმარიტია თუ არაჭეშმარიტი, მართებულია თუ უმართებულო, წრფელია თუ არაწრფელი, ეგ იმიტომ, რომ მეტყველებაში – სულერთია ხაზგასმული იქნება თუ არა -- გრამატიკული წინადადებები ისე თავსდება რეალობისადმი მიმართებაში, რომ მეტყველება-მოქმედებაში, რომელზე დათანხმებაც შეიძლება, ერთსადაიმავდროულად ვლინდება გარებუნება, საზოგადოება და შინგანი ბუნება. მასში თვით ენაც კი ვლინდება, ვინაიდან მეტყველება ის მედიუმია, რომელშიც აისახება ის ენობრივი საშუალება, რომლის ინსტრუმენტული გამოყენება ხდება. მეტყველებაში მაშინვე გამოიყოფა როგორც sui generis სინამდვილე გარებუნების, საზოგადოებისა და შინაგანი ბუნების რეგიონთა შესახებ

მეტყველება როგორც კი ენობრივ გამოთქმაში ნიშნის, სუბსტრატის, მნიშვნელობისა და აღნიშნულის დაცალკევება ხერხდება. ამრიგად

(ა) რეალობის სფეროებისთვის, რომლებსაც თითოეული მეტყველება-მოქმედება მიემართება;

(ბ) ხერხისათვის, რითაც სამყაროსადმი წარმოებულ მიმართებებში რეალობის სფეროები ვლინდებიან;

(გ) მნიშვნელოვნების პრეტენზიებისათვის, რომელთა პირობებშიც იქმნება რეალობისადმი მიმართებანი;

(დ) საყოველთაო ფუნქციებისთვის, რომლებსაც თავისთავზე იღებენ გრამატიკული წინადადებები, რეალობისადმი მიმართებებში შემდეგი სტემატური შეხამებანი მიიღება:

ცხრ. 16. უნივერსალურ-პრაგმატიკული ენის მოდელი

რეალობის სფეროები	რეალობისადმი მიმართებათა გამოელენის ფორმა	მნიშვნელოვნების იმპლიციტური პრეტენზიები	მეტყველება-მოქმედების საყოველთაო ფუნქციები
გარეშენება	ობიექტურობა	ჭეშმარიტება	საქმის ვითარებათა გამოსახვა
საზოგადოება	ნორმატიულობა	სისწორე	ინტერპერსონალურ ურთიერთობათა შექმნა
შინაგანი ბუნება	სუბიექტურობა	გულწრფელობა	სუბიექტურ განცდათა გამოხატვა
;ენა	ინტერსუბიექტურობა	გასაგებობა	.....

9. მოქმედების რაციონალობის ასპექტები (1977)*

მოქმედებათა რაციონალობის თემატიზებას ჩვენ, საზოგადოდ, ვეწევით საშუალებათა ამორჩევის მიზანრაციონალურობის ასპექტით. ამასთანავე ჩვენ ვუშვებთ ტელეოლოგიური მოქმედების მოდელს. ქმედება წარმოდგება როგორც მიზანმოღვაწეობა. მოქმედი სუბიექტი სამყაროში ერევა იმ განზრახვით, რომ სათანადო საშუალების ამორჩევისა და გამოყენების გზით გამიზნული მდგომარეობა გამოიწვიოს; იგი ცდილობს მოცემულ სიტუაციაში შეასრულოს გვერდითი პირობები, რომელთა დროსაც კაუზალურ კავშირ-მიმართებათა მისეული ცოდნის მიხედვით სასურველი მდგომარეობა დადგება. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ მიზანრაციონალობა მხოლოდ და მხოლოდ ერთი თვალსაზრისია, რითაც შესაძლებელია მოქმედებათა რაციონალიზება, ე.ი. მათი ბევრად თუ ცოტად რაციონალური შესრულება (და რაციონალობის ხარისხთა მიხედვით განხილვა). მე დავასახელებ სხვა ასპექტებს, რომელი ასპექტებითაც მოქმედებანი – განსაკუთრებით კი სოციალური მოქმედებანი – რაციონალიზებაშემძლენი არიან.

„მოქმედების რაციონალობის" ასპექტები – მინდა მოკლედ ვთქვა – საინტერესოა არა მარტო მოქმედების ანალიტიკური თეორიისთვის, არამედ – სოციოლოგიისთვისაც, და ეს ასეა ყოველ შემთხვევაში მაშინ, როცა სურთ მაქს ვებერთან ერთად რაციონალიზების პროცესები იკვლიონ. რაციონალიზების პროცესები კი — როგორც ისტორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით – გადიან ჩვეულებრივის ჩარჩოებიდან. თუ თანამედროვე საზოგადოებათა წარმოშობის ახსნა სურთ, მაშინ „დასავლური რაციონალიზმი" საკვანძო ფენომენს წარმოადგენს. მაქს ვებერმა ეს აჩვენა თავის რელიგიის სოციოლოგიურ შრომებში.

თუკი გვინდა იმ დეფორმაციების ახსნა, რომლებიც იმ ზომისად ჩნდებიან, რა ზომისადაც კაპიტალისტური ზრდის დინამიკა ცხოვრების სხვა სფეროებს ეკონომიკური და ადმინისტრაციული რაციონალობის ფორმებში ტენის, მაშინ საკვანძო ფენომენებს წარმოადგენენ კაპიტალისტური მეურნეობრიობისა და თანამედროვე მართვის რაციონალობის ფორმებიც. ამას ემყარება ბიუროკრატიზირების ყოვლისგამჭოლ ტენდენციათა მაქს ვებერისეული ცნობილი და ეპოქისთვის დიაგნოზის დამ-

---

*. შეკვეცილი ინგლისური ვარიანტი: Aspects of the Rationality of Action, in: Th. F.Geraets (Ed.), Rationality To-day, Ottawa 1979, 185-205.

სმელი შეფასება.[1] მეორე მხრივ, მაქს ვებერს რაციონალიზების ცნების მეთოდოლოგიური მნიშვნელობა არცთუ ისე ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც მას მისი ისტორიული ანგრიშგასაწევობა ესმოდა. პრობლემა იქიდან ჩნდება, რომ რაციონალიზების პროცესთა თითოეული აღწერა შეფასებას შეიცავს.

თუ მაგალითად, მიზანრაციონალური ქმედების მოდელს განსაზღვრულ კონტექსტს მივუყენებთ, მარტო აღწერას კი არ ვიძლევით, არამედ მას კრიტიკულად განვიხილავთ იდეალიზირების შუქზე, რომელიც გვეუბნება: „როგორ *წარიმართებოდა* ქმედება იმ შემთხვევაში, როცა ცნობილია ყველა გარემოება და თანამონაწილეთა ყველა ჩანაფიქრი და როცა საშუალება ამორჩეულია მკაცრი მიზანრაციონალურობით და იმ გამოცდილებაზე ორიენტირებულობით, რომელიც ჩვენ ვარგებულად გვესახება".[2] მოქმედ სუბიექტს ჩვენ რაციონალობას ვუდებთ საფუძვლად და მის მოქმედებას (ამ შემთხვევაში საშუალებათა მიზანშეწონილი ორგანიზაციის ასპექტით) რაციონალიზებაშემძლედ განვიხილავთ. ამით აღწერის კატეგორიალურ ჩარჩოებში ის კრიტერიუმები შემოგვაქვს, რომლებსაც როგორც „ვარგებულთ" ერთნაირად იწონებს დაკვირვებაქმნილი მოქმედების სუბიექტიცა და დამკვირვებელიც. ვინაიდან რაციონალობის კრიტერიუმებს საზოგადოდ აქვთ ძალა per definitionem. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოცემულ შემთხვევაში სუბიექტი ირჩევდეს საშუალებას, რომელიც გარემოებათა მისეული ცოდნის მიხედვით სათანადო უნდა იყოს, მაშინ როცა დამკვირვებელი უფრო უტყუარ ემპირულ ცოდნას ფლობს, რომლის დახმარებითაც მას შეუძლია, ახსნას ამ საშუალების ფაქტობრივი არაეფექტურობა და მოქმედების წარუმატებლობა. აუცილებლობის შემთხვევაში დამკვირვებელს ორივე მათგანის განმარტება ძალუძს, როგორც იმისა, რომ მოქმედებას სუბიექტური მიზანრაციონალურობა ახასიათებს, ისე იმისაც, რომ მოქმედება შეიძლება წარუმატებელი იყოს, რადგან იგი უშვებს რომ (ა) შესაბამისი მოქმედება ცოდნის ხარცშესხმაა და (ბ) შესაძლებელია თითოეული ცოდნის ობიექტური კრიტიკული განხილვა.

მე ვიყენებ ბუნდოვან გამოთქმას: „ცოდნა", რადგან ამ ტერმინით იმთავითვე როდი ვადგენ მოქმედების რაციონალობის რომელიმე განსაზღვრულ ასპექტს. ენას და მოქმედებაშემძლე სუბიექტს შეუძლია მათი გამოთქმების საფუძველზე მივაწეროთ ცოდნა. ჩვენ შეგვიძლია, ცოდნა გავაანალიზოთ როგორც ამგვარ გამოთქმათა მნიშვნელობის შემცველობა, რომელიც კრიტიზირებადი მნიშვნელოვნების პრეტენზიით გამოდის. თუკი ჩვენ განვიხილავთ მტკიცებას „Mp", რითაც მოლაპარაკე გა-

---

1 K.Löwith, Max Weber und Karl Marx, in: ders., Ges. Abhandlungen, Stuttgart 1960, 1ff.

2 M.Weber, Wirtschaft und Gesellschaft, Köln 1964, 5.

მოხატული პროპოზიციისთვის ჭეშმარიტების პრეტენზიას აყენებს, მაშინ ჭეშმარიტების პრეტენზია, რომელიც, როგორც წესი, ფარულია ხოლმე, უნდა გაცხადდეს შემდეგ ფორმაში: „ჭეშმარიტია, რომ p". ეს მეტამეტკიცება ვერაფერს მატებს შესაბამისი მტკიცების მნიშვნელობას; მაგრამ იგი ცხადლივ გამოთქვამს მოლაპარაკის მიერ წამოყენებულ პრეტენზიას, რომ „p"-ს ჭეშმარიტების პირობები შესრულებულია. მსმენელს შეუძლია ამ პრეტენზიას „პო"-თი უპასუხოს (ანდა აზრის გამოთქმისაგან თავი შეიკავოს). მნიშვნელოვნების კრიტიზირებადი პრეტენზიებისადმი ჰო/არა დამოკიდებულებას – ემპირული განწყობებისგან განსხვავებით – ჩვენ „რაციონალურს" ვუწოდებთ, როცა და რამდენადაც ამგვარი დამოკიდებულებანი მოტივირებულია მხოლოდ და მხოლოდ *საბუთებით*. პროპონენტებსა და ოპონენტებს შეუძლიათ, დასაბუთებულად იდაონ იმაზე, ჭეშმარიტების წამოყენებული პრეტენზია მართებულია თუ არა; არგუმენტაციის ამგვარ თამაშს ჩვენ თეორიულ დისკურსს ვუწოდებთ.[1]

ჩვენს კონტექსტში სასარგებლოა იმის ცხადყოფა, რომ თეორიული დისკურსის მონაწილეებმა, სხვათა შორის, შემდეგი წანამძღვარიც უნდა გააკეთონ: ისინი უნდა ამოვიდნენ პროპოზიციურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის უნივერსალურობიდან და იმ ურთიერთვარაუდიდან, რომ მათ ერთობლივად იციან, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტების პრეტენზიათა წამოყენება და მათი კრიტიკა. რაგინდ რუდიმენტული და ფარული ფორმა უნდა ჰქონდეს მაინც მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტების ზიარი გაგებაა ის, რაც იძლევა შესაძლებლობას დისკურსის დასაბუთებულად გადაწყვეტისა ე.ი. რაციონალურად მოტივირებული შეთანხმებულობის მიღწევისა. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების ის კრიტერიუმები და შეფასების ის სტანდარტებიც იცვლებიან, რომელთა საფუძველზე დისკურსის თემი *ყოველთვის* კრიტიკულად განსჯის ხოლმე, შესრულებულია თუ არა ჭეშმარიტების პირობები. რეფლექსურ საფუძველზე – როგორც ამას მეცნიერების ისტორია გვიჩვენებს – ხშირად დობენ ხოლმე რაციონალობის სტანდარტის თაობაზე. მაგრამ ასეთი დავაც კი მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით შეიძლება დისკურსულად წარიმართოს, რომ თანამონაწილეებს თავიანთი რაციონალობის შესაბამისი სტანდარტი ესმით როგორც ზიარი და ჭეშმარიტების არაკონტროვერსული სიტუაციის სათანადო ოპერაციონალიზება.

როცა ჩვენ მოქმედების ისეთ ასპექტებზე ვლაპარაკობთ, რომლებსაც შესწევთ უნარი რაციონალიზებული იქნენ და ვლაპარაკობთ, ასევე, საზოგადოებრივი რაციონალიზების პროცესებზე, მაშინვე ვუშვებთ, რომ მოქმედებებში ხორცშესხმული ცოდნა შეიძლება განხილული იქნეს

[1] E.Tugendhat, Vorlesungen zur Einführung in die sprachanalytische Philosophie, Ffm. 1976, 76ff.

კრიტიკულად, ისე, რომ იგი წარიმართოს ობიექტურად. ე.ი. (როგორც ყოველთვის ინტუიტივური) მასშტაბების მიხედვით, რომლებსაც იზიარებენ მოქმედი სუბიექტებიცა და დამკვირვებელიც. და სადაც წინასწარ არის დაშვებული ასეთი ობიექტური კრიტიკული განხილვის შესაძლებლობა, მოქმედების დახასიათება ისე, რომ იგი ბევრად თუ ცოტად რაციონალურიაო, საზოგადოებრივი სისტემის დახასიათება ისე, რომ იგი ბევრად თუ ცოტად რაციონალიზებულიაო, ეს ფენომენები ისე ფასდება, რომ საბოლოო ჯამში ეს შეფასება ემყარება მნიშვნელოვნების კრიტიზირებად პრეტენზიებზე ჰო/არა გადაწყვეტილებათა გამოტანას. (აქედან გამომდინარე „რაციონალიზების" ცნებას საინტერესო შედეგები მოსდევს ვებერის „ღირებულებითი თავისუფლების" პოსტულატისათვის, რომელსაც მე აქ აღარ გამოვუდგები).

ნაცვლად ამისა, მე მინდა გამოვიკვლიო ის, თუ მოქმედების რაციონალობის რა ასპექტებს განსაზღვრავენ ვებერის მიერ ნაკვლევი რაციონალიზების პროცესები. გუმანი მაქვს, რომ ვებერმა კულტურულ და საზოგადოებრივ განვითარებათა აღწერილობისას რაციონალობის უფრო მეტი განზომილება შემოიტანა, ვიდრე ისინი მოქმედების ცნების ანალიზის სიბრტყეზე დაუშვა. მაგრამ მე სულაც არ ვიჩენ მედიდურობას და არ მგონია, რომ რაციონალობის ვებერისეული თეზის ამომწურავი ინტერპრეტაცია მოგეცით. პირიქით, ვებერის ზოგიერთი განაზრება დავისაბაბე, რათა შემდეგი სისტემური შეკითხვა დამეყენებინა: სოციალური ქმედების რომელი ცნებაა ყველაზე უფრო გამოსადეგი, როცა გვინდა თანამედროვე საზოგადოებათა განვითარება განვმარტოთ არა მხოლოდ სისტემ-თეორიულად ე.ი. მართვის მზარდი უნარის ფუნქციონალისტური თვალსაზრისით, არამედ მოქმედების თეორიულად, სახელდობრ, ცხოვრების სფეროთა მზარდი რაციონალობის კოგნიტივისტური თვალსაზრისითაც?

II

თავისი „პროტესტანტული ეთიკის" განთქმულ წინასიტყვაობაში ვებერი ჩამოთვლის უამრავ ფენომენს, რომლებიც აღგვიწერენ „დასავლურ რაციონალიზმს" და გვითვალსაჩინოებენ მთავარ საკითხს – რატომ არის, რომ ევროპის გარეთ: „არც მეცნიერული, არც ხელოვნებისეული, არც სახელმწიფოებრივი და არც სამეურნეო განვითარება არ წარმართულა „რაციონალიზების იმავე გზით, რაც დასავლეთისთვისაა დამახასიათებელი?"[1] დასავლეთის ორიგინალურ მიღწევათა ვებერისეული ჩამონათვალი მრავალ სფეროს მოიცავს თანამედროვე მეცნიერების

[1] M.Weber, Die Protestantische Ethik, Hambg. 1973, 20.

– თავისი მათემატიზირებული თეორიითა და კონტროლირებადი ექსპერიმენტით – რაციონალურ ჰარმონიული მუსიკის – თავისი საორკესტრო ინსტრუმენტებით: ორგანით, კლავირით, ვიოლინოთი; – მხატვრობაში ხაზისა და სიერცული პერსპექტივის, მეცნიერულად სისტემატიზირებული სამართლის და იურიდიულად განსწავლული დარგობრივი მოხელის სასამართლო სჯა–პაექრობის; სახელმწიფო ბიუროკრატიის რაციონალური სტრუქტურის, კერძოსამართლებრივი საქმის წარმოების გაანგარიშებადობის, რაციონალური ბუღალტერიის მქონე მოგებაზე ორიენტირებულად მომუშავე კაპიტალისტური საწარმოს, შრომის რაციონალური ორგანიზაციისა და წარმოების იმ ტექნიკის გავლით, რომელიც გამოყენებითს ბუნებ-მეცნიერებას ემყარება, ვიდრე იმ კომპლექსამდე, რომლის ახსნაც მაქს ვებერს პროტესტანტული ეთიკის რაციონალიზებული მსოფლხატით სურს, სახელდობრ ესაა კომპლექსი: „ადამიანების უნარისა და დისპოზიციისა საზოგადოდ პრაქტიკულ–რაციონალური ცხოვრების წესის განსაზღვრული სახეობებისადმი." (იქვე, გვ. 20) ეს ჩამონათვალი უფრორე თავგზაამბნეველია. ამიტომ მე მინდა ოთხი სააზროვნო ნაბიჯით სიზუსტე შევიტანო იმაში, რაც მაქს ვებერს რაციონალიზებად ესმის.

(1) ტერმინებს „რაციონალური" და „რაციონალიზება" მაქს ვებერი, უპირველეს ყოვლისა, იყენებს იმ გამოთქმათა, შეხედულებათა და მოქმედებათა დასახასიათებლად რომელთა საბუთებით უზრუნველყოფაა შესაძლებელი.[1] ნეოკანტიანობის (რიკერტის და, პირველ ყოვლისა, ლასკის) ფილოსოფიური ფონის მიხედვით შეხედულებათა და მოქმედებათა რაციონალობა შეეზომება იმ კრიტიზირებად მნიშვნელოვნების პრეტენზიებს, რომლებიც საბუთებს ემყარებიან და რომელთა მეთოდური შემოწმებაც შეიძლება. თუ ჩვენ იმ გამოთქმათა მნიშვნელობის შემცველობას, რომლებიც ამგვარადვე ემყარებიან პოტენციურ საბუთებს, „ცოდნას" ვუწოდებთ, მაშინ ყველა ცოდნა თავისი პრეტენზიის მიხედვით რაციონალურია და სწავლების შესაბამისი პროცესებისას მას თვითკორექტურისა და გაფართოების ე.ი. რაციონალიზების უნარი აქვს. რაციონალიზების ორიენტაციის პუნქტებს მაქს ვებერი ჰხედავს ფორმალურ–ლოგიკურ აზროვნებაში, თანამედროვე ცდისეულმეცნიერებასა და პრინციპებით მოხელემძღვანელე მორალში. ეს ნათელი გახდება, თუ შევეცდებით, გამოვიკვლიოთ ის განზომილებანი, რომელთა მიხედვით მაქს ვებერი რაციონალიზების პროცესებს აღწერს:

---

[1] დღეს მე საკვანძო ფენომენად მივიჩნეე მნიშვნელოვნების პრეტენზიათა რაციონალურ, სახელდობრ, საბუთებით მოტივირებულ აღიარებას, რომელსაც ჯერარს, დამყარებოდა „რაციონალობის მომცველი ცნების" რეკონსტრუქციის მცდელობა" (K.Nielsen, Rationality, Needs, and Politics, in: Cultural Hermeneutics, 4, 281-308).

(ა) *საზრისებს შორის კავშირ–მიმართებათა სისტემატიზირება* რაციონალიზებას ვებერი უწოდებს სიმბოლოთა სისტემებისთვის *მთლად* ფორმალური სახის მინიჭებას, განსაკუთრებით ხდება რელიგიოზური განმარტებების, მორალისა და სამართლის შესახებ წარმოდგენების ფორმალიზირება. ამასთანავე საქმე ეხება ცნებათა ახსნა–განმარტებას, წინადადებათა აზრობრივ სიმკაცრეს, მეთოდურ წყობას, ლოგიკურ კომპლექსურობას და ა.შ. ერთი სიტყვით, საქმე ეხება პიაჟეს აზრით გაგებულ ფორმალურ ოპერაციათა თანმიმდევრულ გამოყენებას. მაგალითად, მსოფლხატთა რაციონალობას ვებერი განსჯის სისტემური გაერთმთლიანებისა და არგუმენტაციული ძირფესვიანად სტრუქტურირების ხარისხის მიხედვით; ისინი მით უფრო „რაციონალურნი" არიან, რაც უფრო გაწმენდილნი არიან მითიურ და მაგიურ შემცველობათაგან.

(ბ) *თანამედროვე ცდის მეცნიერება და ტექნიკა* რაციონალიზებას ვებერი ასევე უწოდებს ემპირული ცოდნის, პროგნოზისტული ძალის, ბუნების პროცესთა ინსტრუმენტული და ორგანიზატორული დამორჩილების უნარის ყოველ გაფართოებას. თანამედროვე მეცნიერებასთან ერთად, რომელსაც ახასიათებს ბუნების მეთოდური ობიექტირება და რომელიც ხორციელდება სქოლასტიკურად განსწავლული დისკურსული აზროვნების, მათემატიკის, ბუნებისადმი მაექსპერიმენტირებელი დამოკიდებულების და მისადმი ხელოსნურად გაწაფული ინსტრუმენტული განწყობის დაუჯერებული კომბინაციის გზით, რეფლექსური ხდება სწავლების ამგვარი პროცესები. ამ შემთხვევაში მოცემულ დონეზე შესაძლებელი შეიქნება ტექნიკური ინოვაციის მეცნიერულ განვითარებასთან უკუშეკავშირება.

(გ) *პრინციპებით მოხელემძღვანელე ეთიკა და მეთოდური ცხოვრების წესი.* დაბოლოს, რაციონალიზებას ვებერი უწოდებს მორალის კოგნიტივურ გათვითმყოფადებას, ე.ი. მორალურ–პრაქტიკულ შეგნებათა, ეთიკურ პრინციპთა და დოქტრინათა გამოცალკევებას მითიური, კოსმოლოგიური, რელიგიური მსოფლმხედველობისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ ნათლად არ მიჯნავენ ერთმანეთისგან თეორიულსა და პრაქტიკულ გონებას. მრწამსისა და პასუხისმგებლობის ფორმალისტურ ეთიკებს, რომლებიც კულტურულ ტრადიციათა სიბრტყეზე ხორციელდებიან, პიროვნულობის სისტემის სიბრტყეზე (კოლბერგისებურად გაგებული) შეესატყვისება პოსტკონვენციური მორალური ცნობიერება და პრინციპებით მოხელემძღვანელე მეთოდური, თვითკონტროლირებული, მე – ავტონომიური ცხოვრების წესი. ვებერის გამორჩეულ ინტერესს იმსახურებს ამ პრაქტიკულ–რაციონალური ცხოვრების წესის კულტურელური და მოტივაციური საფუძველი. დამატებითი ფენომენები სხვა კულტურეულურ სფეროებში ამ ინტერესის წინაშე უკანა პლანზე ინაცვლებენ. მაგრამ ვებერი ხელოვნების რაციონალიზებასაც ხედავს, რაც გამოიხატება ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის ქმნილებათა ავტონომიური სფეროს წარმოქმნაში. რაციონალიზება, ერთი მხრივ, იწვევს განყოფას საქმის კაცისა და სახელმწიფო მოქალაქის (bo-

urgeois/citoyen)* პრაქტიკულ–რაციონალურ ორიენტირებულობებსა, და მეორე მხრივ, – ხელოვნების მომხმარებელი კერძო ადამიანის (homme)* კონტემპლაციურ ორიენტირებულობებს შორის.

მე მინდა რაციონალიზების სამი განზომილება რამდენადმე აბსტრაქტულად გავიგო.[1] პირველი განზომილება ახასიათებს კულტურული ტრადიციით გადმოცემულ სიმბოლოთა სისტემის შიგნით ურთიერთობათა ფორმალიზირებას. ამის მაგალითია ფორმალურ–ოპერაციონული აზროვნების პროფესიონალიზირებული მიყენება იურისტთა საწარმოო პრაქტიკული ცოდნისადმი. რაც იწვევს სისტემატიზირებას. ასე გაგებული რაციონალიზება არის ორივე სხვა განზომილებაში წინსელის წანამძღვარი. აქ საქმე არ ეხება ტრადიციით გადმოცემულ ცოდნის *ფორმათა* დაზუსტებასა და სისტემატიზირებას, არამედ — ცოდნის *შინაარსთა* თეორეტიზირებასა და მათს მეთოდურ მოპოვებას. ხდება მსოფლხატთა არა მარტო (ვიწრო აზრით) კოგნიტიური კომპონენტების, არამედ მათი სოციალ-ინტეგრაციული შემადგენელი ნაწილების რაციონალიზება; ამრიგად, ერთი მხრივ, მიმდინარეობს გარებუნების შესახებ ემპირული ცოდნის, მეორე მხრივ კი, იმ *საზოგადოების* შესახებ მორალურ–პრაქტიკული ცოდნის რაციონალიზება, რომელშიც ვცხოვრობთ და ამავე დროს რაციონალიზაციას განიცდის საკუთარი სუბიექტურობის გინა შინაგანი ბუნების შესახებ ესთეტიკურ–პრაქტიკული ცოდნაც.

რამდენადაც ეს ცოდნა სახეს იცვლის ფორმალურ–ოპერაციონული დაფუძნებისა და პოსტკონვენციური გამართლების დონეზე და რამდენადაც იგი იღებს ცდის მეცნიერებისეული თეორიების, მრწამსისა და პასუხისმგებლობის ეთიკათა, ავტონომიური ხელოვნების ქმნილებათა სახეს, ამდენად შესაძლებელი ხდება მისი გამოყენება *სამყაროზე გაბატონების* მიზნისთვის. ტექნიკასა და მეთოდური ცხოვრების წესის ფორმებში რაციონალიზებული ცოდნა პრაქტიკული ხდება. ტექნიკა ემსახურება ობიექტური სამყაროს დამორჩილებას, მეთოდური ცხოვრების წესი კი — სოციალურ სამყაროსა და *შინაგან სამყაროზე* გაბატონებას. სწორედ ამიტომ შეეძლო მაქს ვებერს დასავლური რაციონალიზმი ეგზომ მჭიდროდ დაეკავშირებინა სამყაროზე გაბატონების მოტივთან და ეცადა, ამ ფენომენის წარმოშობა რელიგიის სოციოლოგიური ჰიპოთეზის დახმარებით აეხსნა. (როგორც ცნობილია, სამყაროზე გაბატონების მოტივს იგი ხსნის წუთისოფელზე იუდეურ–ქრისტიანული უარისთქმის ამ შინასოფლურ ასკეზაში გადაფუნქციონირებით, რისთვისაც პროფესიული წარმატება მართალია არ წარმოადგენს ხსნის ინდივიდუალური

---

*ბურჟუა, მოქალაქე (ფრ.) - მთარგმნ. შენიშვნა;

*ადამიანი (ფრ.) - მთარგმნ. შენიშვნა;

[1] J.Weiss, Webers Grundlegung der Soziologie, Mü. 1975, 137ff.

ხეედრის საფუძველს, მაგრამ მისი შემეცნების საფუძველი კი ნამდვილად არის.[1] ეს ჰიპოთეზა აქ ჩვენ არ გვაინტერესებს).

(3) ვებერი რაციონალიზების პრობლემატიკას ცნობიერების სტრუქტურათა სიბრტყეზე ათავსებს; პარსონსთან ერთად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის კულტურისა და პიროვნების სისტემის სიბრტყე. სხვა სიბრტყეზე ძევს *საზოგადოებრივი რაციონალიზების პროცესები.* აქ ვებერი ყურადღებას ამახვილებს კაპიტალისტურ ეკონომიკაზე, თანამედროვე სახელმწიფოსა და ფორმალურ სამართალზე. რა არის მათში რაციონალური?. ეკონომიკისა და ბატონობის სოციოლოგიიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვებერი, პირველ ყოვლისა, „რაციონალურს" უწოდებს ორგანიზაციის იმ მოდელს, რასაც ახორციელებენ კაპიტალისტური საწარმო და თანამედროვე სახელმწიფო ბიუროკრატია; გარდა ამისა, რაციონალურია სამართლის ის სისტემაც, რომელიც კერძო სამართლის სუბიექტს საშუალებას აძლევს, თავისი განსაკუთრებული ინტერესების მიყოლა გაითვალოს ზნეობრივად ნეიტრალიზებულ სფეროში. სამართლის რაციონალობა იმაში შეგვიძლია დავინახოთ, რომ იგი მორგებულია მიზანრაციონალურად მოქმედი სამართლის სუბიექტის სტრატეგიულ რაციონალობაზე. ეს აშკარად უნდა გამოჩნდეს იმ შესატყვისობიდან, რომელიც არსებობს თანამედროვე სამართლის ფორმალურ ნიშნებსა და მიზანრაციონალური ქმედების მოდელს შორის.[2]საწარმოთა და დაწესებულებათა იმ ფორმების რაციონალობა, რომლებზეც ხორციელდება კაპიტალისტი მეწარმის გადაწყვეტილებითი ძალაუფლება და სახელმწიფოს ლეგალური ბატონობა, აგრეთვე, დაიყვანებიან თუ არა ამ ორგანიზაციებში მოღვაწე მეწარმის, ხელმძღვანელის, მოსამსახურის, მუშაკისა და მოხელის მიზანრაციონალობაზე? თუკი საკმარისად განვასხვავებთ ერთმანეთისგან სისტემისა და მოქმედების რაციონალობას, მაშინ ეს თეზა უსაფუძვლოა. საკმაოდ ხშირად ორგანიზაციებსა და მთელ ქვესისტემებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეუძლიათ რაციონალურად გადაწყვიტონ თავიანთი არსებობის შენარჩუნების პრობლემა, როცა სისტემის წევრები მიზანრაციონალურად არ მოქმედებენ. კაპიტალისტური სამეურნეო და თანამედროვე სახელწიფო საწარმოც ვერ დაუშვებენ წევრის მოქმედების რაციონალობასა და ორგანიზაციის რაციონალობას, როგორც ასეთს, შორის ჰარმონიას.[3]

მაგრამ სოციალურ-მეცნიერული ფუნქციონალიზმი არც შემეცნება და მოქმედება-შემძლე სუბიექტთა ცოდნის რაციონალობას ემყარება; საზოგადოებრივი რაციონალიზების პროცესებისთვის ვებერი გამოძებნის

---

[1] C.Seyfart, M. Sprondel (Hg.), Religion und gesellschaftliche Entwicklung, Ffm. 1973; W.Schluchter, die Paradoxie der Rationalisierung, Zs. f. Soz., 5, 1976, 256ff.

[2] J.Habermas, Zur Rekonstruktion des Historischen des Materialismus, Ffm. 1976, 260ff.

[3] N.Luhmann, Zweck-Herrschaft,Grundbegriffe und Prämissen Max Webers, in: R.Mayntz (Hg.), Bürokratische Organisation, Köln 1965, 36ff.

სისტემა-რაციონალობის ორიენტაციის პუნქტს: რაციონალობა-შემძლე „ცოდნა“ გამოიხატება სოციალურ სისტემათა თვითმართვის უნარში, რომლებიც აუცილებელია, ეგუებოდნენ ცვალებად გარემოებებს, რათა თავიანთი თავის კვლავწარმოება მოახდინონ. სისტემ-რაციონალობა მიზანრაციონალობად გაიგება; უმჯობესია კვლავ კანტიანურად; მიზანშეწონილობა იმ მიზანმოღვაწეობის გარეშე, რომელსაც დამკვირვებელი მიაწერს თვითმართულ სისტემებს: არსებობის შენარჩუნება სისტემის უზენაეს მიზნად იქცევა. ამრიგად, სისტემის წევრთა მიზანრაციონალური ქცევა ჰკარგავს თავის ცენტრალურ მნიშვნელობას რაციონალობის პრობლემატიკისათვის; ახლა საინტერესოა მხოლოდ და მხოლოდ ის წვლილი, რომელიც სისტემის პრობლემათა გადაწყვეტაში შეაქვს ნებისმიერ მდგომარეობასა და ელემენტს.[1]

მაგრამ სისტემის სოციოლოგიური თეორიები სისტემასა და მოქმედების რაციონალობას შორის ბუნდოვან კავშირს აწყდებიან, როგორც კი ისინი გამოწვლილვით განიხილავენ ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლისა და ა.შ. საზოგადოებრივი რაციონალიზების პროცესებს. ეს ქვესისტემები (ადაპტაციის ეკონომიკა; მიზნის – მიღწევის – პოლიტიკა; ინტეგრაციის – სამართალი; ნიმუშის – შენარჩუნების – თემი, სოციალიზაციის სფერო) პარსონისებურად თავიანთი ძირითადი ფუნქციების მეშვეობით იქნება შემოტანილი, თუ ლუმანისებურად – ფულის, ძალაუფლების, გავლენის, სიყვარულის, ჭეშმარიტების და ა.შ. მედიუმთა გზით, ერთი სტრუქტურული კომპონენტი ყოველთვის რჩება ხოლმე, რომელიც პირველად განსაზღვრავს *ქვესისტემისათვის დამახასიათებელ* პრობლემათა გვარეობას და მათი რაციონალური დამუშავების *თავის საკუთარ კანონზომიერებას*. პარსონსმაც და ლუმანმაც უნდა მიმართონ მოქმედებისა თუ კომუნიკაციის თეორიას, რათა გაანალიზონ ის, რაც ვებერმა „ღირებულების სფეროთა[2] შინაგანი, „თავისი საკუთარი კანონზომიერების“ ფორმულაში ჩადო. საჭიროა იმის ჩვენება, თუ რაში ხამს, მდგომარეობდეს ეკონომიკური, ადმინისტრაციული, ნორმატიული, სამეურნეო „რაციონალობა“. ამ მომენტში ისევ წამოიჭრება სუბიექტის შესახებ ცოდნის მნიშვნელოვნება, რომელიც სისტემრაციონალობის ცნებით თითქოსდა გაძეებული იყო სოციოლოგიური სისტემთეორიის წრიდან.

(4) ვებერი მნიშვნელოვნების პრობლემატიკის ნეოკანტიანურ გაგებას ემყარებოდა (იხ. ყოვლის უწინ ემილ ლასკი[3]) როგორც ჩანს, გამოთქმიდან: „ღირებულების სფეროები“. იგი რაციონალობის ფორმალურ ნიშნებს, ყოვ-

---

[1] N.Luhmann, Zweckbegrieff und Systemrationalität. Tbg. 1968.

[2] M.Weber, Gasammelte Aufsätze zur Wissenschaftslehre, Tbg., 1968, 507ff. 603ff.

[3] E.Lask, Zum System der Logik, Ges. Schriften III, Tbg. 1924, 57-170.

ლის უწინარეს, კულტურელური ცოდნის სისტემებში კითხულობს და იკვლევს რაციონალიზებას, ერთი მხრივ, ისე, რომ ორიენტაციის პუნქტად იღებს ემპირიულთეორეტიკულ ცოდნას, ხოლო მეორე მხრივ, – მორალურ–პრაქტიკულსა და ესთეტიკურ–პრაქტიკულ ცოდნას. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ თანამედროვე ცდის მეცნიერების, პრინციპებით წარმართული მორალისა და ავტონომიური ხელოვნების დასაფუძვლებული ცნობიერების სტრუქტურები რა გზით გადადიან საზოგადოებრივი რაციონალიზების პროცესში და როგორ ხდება მათი ინსტიტუციონალური ხორცშესხმა. თავდაპირველად ამ შეკითხვაზე ვებერი მოქმედების თეორიულ პასუხს იძლევა. ცნობიერების სტრუქტურები კულტურის სიბრტყიდან პერსონულობის სისტემის სიბრტყეზე ჩამოინაცვლებენ და იდეალის ტიპურად ისხამენ ხორცს ერთსადაიმავდროულად ღირებულება რაციონალურსა და მიზანრაციონალურ ქმედებაში, როგორც იგი გამოიხატება „მეთოდურ ცხოვრების წესში". მოქმედების ეს კომპლექსური ტიპი შესაძლოა, განხილული იქნეს რაციონალობის სამი ასპექტით:

– *ინსტრუმენტული რაციონალობის* ასპექტით (ტექნიკურ ამოცანათა გადაწყვეტის ასპექტი, რომელიც ისეთი კონსტრუქციის ქმედითი საშუალებაა, ემპირიულ ცოდნაზე რომაა დამოკიდებული); შემდეგ

– *სტრატეგიული რაციონალობის* ასპექტით (არჩევანის შესაძლებლობათა შორის ურყევი გადაწყვეტილებით, მოცემულ მჯობინებათა და გადაწყვეტილების მაქსიმათა, აგრეთვე რაციონალური პარტნიორის გადაწყვეტილებათა გათვალისწინების პირობებში); დაბოლოს

– *ნორმატიული რაციონალობის ასპექტით* (პრინციპებით წარმართული მორალის პრაქტიკულ ამოცანათა რაციონალური გადაწყვეტის ასპექტით).

ტექნიკათა და სტრატეგიათა გზით ემპირიულ–თეორეტიკულ ცოდნას შეუძლია მიზანრაციონალურ ქმედებაში გადავიდეს, ხოლო კომპეტენციათა და მოტივთა გზით როგორც მორალურ–პრაქტიკულ, ისე ესთეტიკურ–პრაქტიკულ ცოდნას შეუძლია ღირებულება-რაციონალური ქმედება იკისროს. პიროვნების სისტემის სიბრტყეზე შეიძლება რაციონალობის ეს ურთიერთგანსხვავებული ელემენტები მოქმედების სტრუქტურათა ერთიან კომპლექსად შემკვრივდეს. მაგრამ მეურნეობის, პოლიტიკისა და სამართლის ქცევათა დონეზე საინტერესოა, რომ სტრუქტურამქმნელი ზეგავლენა მხოლოდ და მხოლოდ *მიზანრაციონალური* ქმედების რაციონალობის ასპექტებს ჯერარს, ჰქონდეთ და არა ღირებულება რაციონალური ქმედების ასპექტებს. მაგრამ ვებერს ღირებულების ამ სფეროთა რაციონალიზება ისე წარმოუდგენია, რომ ცნობიერების თანამედროვე სტრუქტურები სოციალურ სისტემაში შესასველელს მიზანრაციონალური ქმედების იმ ინსტიტუციონალიზების გავლით პოულობენ, რომელიც პრობლემათა კლასებად არის დიფერენცირებული. შემადგენელ სისტემათა რაციონალიზებით დასაელური რაციონალიზმი ინსტიტუციათა სიბრტყეზე შეაღწევს. ვებერისეული მეურნეობის, სახე-

ლმწიფოსა და სამართლის სოციოლოგიებიდან გამომდინარე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თანამედროვე საზოგადოებებში რაციონალიზების პროცესები მხოლოდ და მხოლოდ ემპირულ–თეორეტიკულ ცოდნას, მოქმედების რაციონალობის მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტულსა და სტრატეგიულ ასპექტებს მიეყენება, მაშინ როცა პრაქტიკული რაციონალობა შეუძლებელია თვითმყოფადი გახდეს. ე.ი. მოხდეს მისი იმ აზრით ინსტიტუციონალიზება, რომელიც სპეციფიკურია ქვესისტემისათვის და მხოლოდ მის საკუთარ აზრს წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით აიხსნება ფორმალური და მატერიალური რაციონალობის ის დიალექტიკა, რომელმაც უბიძგა ვებერს, ეპოქისათვის პესიმისტური დიაგნოზი დაესვა (შლუხტერი 1970, გვ. 90 და შემდეგ). რაც უფრო სრულად მიიღებს კაპიტალისტური მეურნეობა და თანამედროვე სახელმწიფო მიზანრაციონალური ქმედების ქვესისტემათა სახეს, მით უფრო ღონივრად დაამსხვრევენ რაციონალური ცხოვრების წესის სისტემური პირობები საკუთარ მოტივაციონურ საფუძველს. ვებერი არ ეხება კრიზისებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას როგორც ერთი ცალკე ქვესისტემის შიგნით, ისე ქვესისტემათა შორის. პირიქით, სამყაროზე გაბატონების პარადოქსული განვითარება, რომელიც ვებერის ფიქრით თავს იჩენს:

– **რელიგიისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაში;**

– **თანამედროვე სამართლის ფორმალიზებაში;**

– **სამეურნეო და პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესთა ბიუროკრატიზებაში, მოასწავებს კრიზისს ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობაში;**

ეს კრიზისი, სწორედ როგორც კრიზისი, მ. ჰორკჰაიმერმა და თ. ადორნომ გაიაზრეს[1]: განმითოლოგიზირებული ბუნების რაციონალური გამსჭვალვა და ტექნიკური დამორჩილება იმგვარად ინსტიტუციონალიზირდება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომ ინდივიდები იძულებულნი არიან უგულვებელყონ თავიანთი საკუთარი სუბიექტურობა და ჩაახშონ თავიანთი შინაგანი ბუნების სპონტანურობა; სუბიექტები ჭკნობას განიცდიან. ისინი, რომელთა გულისთვისაც განხორციელდა გარეგანი ბუნების განჯადოება, განივთება და დამორჩილება ისე გაუცხოებიან საკუთარ ბუნებას, რომ სულ უფრო ძნელი გასარჩევი ხდება, სადაა პროგრესი და სად — რეგრესი; სულ უფრო და უფრო ყოლისმომცველი ხდება ინსტრუმენტული გონების იმ საზოგადოებად ინკარაცია, რომელიც მარადჟამს შეღწევით იმართება.[2]

ჩვენ ამოვდივართ შეკითხვიდან იმის თაობაზე, თუ როგორ არის მოქმედების რაციონალობა დაკავშირებული საზოგადოებრივ რაციონა-

---

[1] M.Horkheimer, Th. W. Adorno, Dialektik der Aufklärung, Amsterdam 1947.

[2] A.Wellmer, Kritische Gesellschaftstheorie und Positivismus, Ffm. 1969.

ლიზებასთან. რა შეგვიძლია ვისწავლოთ მაქს ვებერისეული ანალიზებიდან? მე მინდა, ჩვენი შემდგომი განაზრებებისათვის სამი პუნქტი დაეაფიქსირო.

(I) ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავეთ სისტემრაციონალობა და მოქმედების რაციონალობა. ერთ შემთხვევაში რაციონალობა შეეზომება თვითმართული სისტემების შეგუების უნარს, მეორეში კი – მოქმედ სუბიექტთა სწავლის უნარს. როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევაში, რაციონალობაა ის უნარი, რომელსაც ემყარება პრობლემის გადაწყვეტა. მაგრამ არა მეტაფორულად მხოლოდ სუბიექტების შემთხვევაში შეგვიძლია, ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ისინი აღიქვამენ ამოცანებად (თეორიულ, ტექნიკურ, სტრატეგიულ ანდა პრაქტიკულ ამოცანებად) და მათ ამუშავებენ ცოდნის დახმარებით გინა ვარგებულობაზე პრეტენზიით. რაციონალობის მეტაფორათა დასესხების გარეშე ადვილად შეუძლია ფონს გასვლა სოციალურ სისტემათა თვითმართვის უნარების ფუნქციონალისტურ ანალიზს, მაშინ როცა *აუცილებელია*, რომ სოციალურ აქტორთა მოქმედების უნარების სტრუქტურალისტური ანალიზი მნიშვნელოვნების პრეტენზიებსა და რაციონალობის სტანდარტს დაემყარონ. თუმცა სოციოლოგიური ფუნქციონალიზმი მთლად ვერ აუვლის გვერდს მნიშვნელოვნების პრობლემატიკას. იგი აბსტრაქტულად ვერ იჩხირკედელავებს სისტემ-თეორიული ცნებებით, არამედ სისტემა მან სოციალური ქმედების საფუძველცნებებით უნდა განმარტოს. ამასთანავე თამაშში ერთვება ისეთი საზოგადოებრივი უნივერსალიები, როგორიცაა „საზრისი" და „ენობრივი კომუნიკაცია, რომლებიც თავის მხრივ, მიუთითებენ მნიშვნელობის ისეთ პრეტენზიებზე, როგორიცაა ჭეშმარიტება, გულწრფელობა და სისწორე. ისევ და ისევ ცდილობენ ხოლმე, რომ მნიშვნელოვნების პრეტენზიები სუბიექტივისტურად გარდათქვან და მათ უნივერსალისტური ხასიათი ჩამოაშორონ. ამას ისეთ წინააღმდეგობამდე მივყავართ, რომლებიც ადვილი აღმოსაჩენია, სულ ცოტა, მხოლოდ პროპოზიციური ჭეშმარიტების შემთხვევაში; ვინაიდან ჭეშმარიტების პრეტენზიის უნივერსალისტურ ხასიათს ყოველთვის მთლიანად ემთხვევა ხოლმე საკუთარი თეორიის სტატუსი.[1] სისტემასა და მოქმედების რაციონალობას შორის კავშირი კი, ყოვლის უწინარეს, თავს იჩენს იმ სტრუქტურათა ნიშან–თვისებებში, რომელთა მეშვეობითაც ხდება საზოგადოებრივ ქვესისტემათა გათვითმყოფადება.

მაქს ვებერმა მეურნეობაში, მართვაში, მეცნიერებაში და ა.შ. მოქმედების კოორდინირებულობის სხვადასხვა მოდუსები ღირებულებათა სფეროს საკუთარი ლოგიკით ახსნა. სისტემ-თეორიის ენაში სწორედ ფული, ძალაუფლება, ჭეშმარიტება და ა.შ. წარმოადგენენ კომუნიკაციის იმ საყოველთაო მოდუსებს, რომელთა მეშვეობით ხდება სისტემის

---

[1] J. Habermas, N.Luhmann, Theorie der Gesellschaft oder Sotialtechnologie, Ffm. 1971, 222ff.

წევრის მოქმედებათა მხოლოდ ქვესისტემისთვის დამახასიათებელი წესით კოორდინირება. მაგრამ თუ ამ მოდუსთა კელევა ხორციელდება ხოლმე იმ სისტემ-პრობლემათა შუქზე, რომლებშიც დასპეციალიზებულნი არიან შესაბამისი შემადგენელი სისტემები, გადავაწყდებით პრობლემათა საკვანძო სფეროს; ესაა ისეთი პრობლემები, რომლებიც ყოველგვარი მეტაფორის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ მოქმედი სუბიექტისათვის წამოიჭრებიან. და მოქმედების ეს პრობლემები, რომელთა საშუალებით *სოციალური ინტეგრაცია* იქმნება, თვითნებურ კერძო აზრს გამოიმუშავებენ იმ *სისტემ-პრობლემებთან* მიმართებაში, რომლებსაც სისტემის ინტეგრაცია შეეზომება.

ეს თვითნებური კერძო აზრი შესაძლოა ნეგატიურად წარმოჩინდეს და ანომიად მოგვეცეს აკრძალვის იმ მოვლენებში, რომლებითაც სოციალური ინტეგრაციის იმპერატივები საფრთხეს უქმნიან მთელი სისტემის მდგრადობას. სოციალური ინტეგრაცია ხორციელდება მოქმედ სუბიექტთა „ცოდნის" მედიუმში. მაგრამ ცოდნის სტაბილიზირება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა აღიარების გზით; ხოლო ძირეულად კრიტიზირებად მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ფაქტობრივი აღიარება არ იძლევა თვითნებური მანიპულირების საშუალებას. ამიტომ არ არის შესაძლებელი, რომ შეუზღუდავად მოხდეს სოციალ-ინტეგრაციული მექანიზმების ჩანაცვლება სისტემის ინტეგრაციის იმ ქმედითი მექანიზმებით, რომლებიც მოქმედ სუბიექტთა თავებს გარეთ არსებობენ.

მეორე მხრივ, სხვადასხვა კლასის თვითნებური კერძო აზრები პოზიტიურადაც ადასტურებენ მოქმედების პრობლემათა არსებობას; კერძოდ – საზოგადოებრივი რაციონალიზების პროცესებში. ისინი ქმნიან გათვითმყოფებული შემადგენელი სისტემების ე.ი. მათ „ღირებულებათა სფეროების" სტრუქტურელურ ბირთვებს; და განსაზღვრავენ იმ განზომილებებს, რომლებითაც სწავლის პროცესები კუმულაციურ აფექტებს აღწევენ, ე.ი. მოქმედების სფეროთა რაციონალიზებამდე მიეყვანართ. მაქს ვებერი რაციონალობის სტრუქტურებთან სისტემატურ მისადგომს პოულობს როგორც მსოფლხატთა სტრუქტურების, ისე მოქმედების კომპეტენციათა სიბრტყეზე; მაგრამ იგი არ გამოიმუშავებს ღირებულების სფეროთა და შემადგენელ სისტემებზე დამოკიდებული რაციონალიზების პროცესთა სისტემატიკას.

(2) საზოგადოებრივ რაციონალიზებას მაქს ვებერი ზღუდავს მიზანრაციონალურობის ინსტიტუციონალიზების სფეროთი. ამისათვის მნიშვნელობა აქვს კულტურის მხოლოდ და მხოლოდ კოგნიტივურ კომპონენტებს, რომლებსაც აქვთ ჭეშმარიტად ანდა ყალბად ყოფნის უნარი ასევე — ქმედების ინსტრუმენტულ–სტრატეგიულ კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ წარმატებასა და ემპირიულ ეფექტობას.

ეს არის ვებერის საერთო თვალსაზრისი, ერთი მხრივ მარქსთან, ხოლო მეორე მხრივ ჰორკჰაიმერსა და ადორნოსთან. მათთვის პროპოზიციური ჭეშმარიტება და ემპირიული ეფექტურობა, ყოველის უწინარეს, საზოგადოებრივი რაციონალიზების ერთადერთ მასშტაბს წარმოადგენს. ამის იდენტიფიკაციას ისინი, რა თქმა უნდა, არ ახდენენ ერთსა და იმავე საზოგადოებრივ ფენომენებში. *მარქსისთვის* რაციონალიზება უშუალოდ ხორციელდება წარმოების ძალთა გაშლაში ე.ი. ემპირული ცოდნის გაფართოებაში, საწარმოო ტექნიკის გაუმჯობესებასა და საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაო ძალის სულ უფრო ეფექტურ მობილიზირებაში, კვალიფიცირებასა და ორგანიზებაში. საპირისპიროდ ამისა წარმოებითი ურთიერთობების ანუ იმ ინსტიტუციების რეოლუციური შეცვლა, რომლებიც უშუალოდ გამოხატავენ სოციალური ძალაუფლების განაწილებას და წარმოების საშუალებებისადმი დიფერენცირებულ მისადგომობას არეგულირებენ, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო ძალთა რაციონალიზების წნეხის ქვეშ. *მაქს ვებერი* სხვაგვარად განსჯის კაპიტალისტური მეურნეობისა და თანამედროვე სახელმწიფოს ინსტიტუციონურ ჩარჩოებს: – არა როგორც წარმოებითს ურთიერთობებს, რომლებიც ბოჭავენ რაციონალიზების პოტენციალს, არამედ იგი მას განიხილავს როგორც მიზანრაციონალური ქმედების ქვესისტემას, რომელშიც სწორედაც რომ დასავლური რაციონალიზმი გაიშლება. მაგრამ იგი უფრთხის სოციალურ ურთიერთობათა განვითარებას, როგორც ბიუროკრატიზირების იმ შედეგს, რომელიც ახშობს რაციონალური ცხოვრების წესის მოტივაციონურ იმპულსებს. *ჰორკჰაიმერი* და *ადორნო*, მოგვიანებით *ჰ. მარკუზეც* მაქს ვებერისეული პერსპექტივით განმარტავენ. გათვითმყოფებული ინსტრუმენტული გონების სიმბოლოებში ბუნების დამორჩილების რაციონალობა კლასობრივი ბატონობის ირაციონალობას ერწყმის, აშვებული საწარმოო ძალები წარმოების გაუცხოებულ ურთიერთობათა სტაბილიზებას ახდენენ. „განმანათლებლობის დიალექტიკა“ ბოლოს უღებს იმ ამბივალენტობას, რითაც მაქს ვებერი ჯერ ისევ ეპყრობოდა რაციონალიზების პროცესებს და იგი ბევრი განსჯის გარეშე ატრიალებს მარქსისეულ პოზიტივურ შეფასებას. მეცნიერება და ტექნიკა, რომლებსაც მარქსისთვის ჯერ კიდეე ჰქონდა მაემანსიპირებელი პოტენციალი, თვითონ იქცევიან საზოგადოებრივი რეპრესიის მედიუმად.[1]

მე ამ შემთხვევაში არ მაინტერესებს, ამ სამი პოზიციიდან რომელია მართებული; არამედ, პირიქით, ის სუსტი მხარე მაინტერესებს, რომელიც საერთოა სამივე მათგანისათვის. ერთი მხრივ, მარქსი, ვებერი, ჰორკჰაიმერი და ადორნო საზოგადოებრივ რაციონალიზებას მოქმედე-

[1] A.Wellmer, Kommunikation und Emanzipation, in: U.Jaeggi, A.Honneth (Hg.), Theorien des Historischen Materialismus, Ffm. 1977, 465ff.

ბის კავშირ–მიმართებათა ინსტრუმენტული და სტრატეგიული რაციონალობის ზრდასთან აიგივებენ; მაგრამ, მეორე მხრივ, სულ ერთია, თავისუფალ მწარმოებელთა ასოციაციის ცნებაში, პრაქტიკული რაციონალური ცხოვრების წესის ისტორიულ პროტოტიპებსა თუ გარებუნებასთან ძმური ურთიერთობის იდეაში მათ, სულ ცოტა, მალულად მაინც ყოვლისმომცველი საზოგადოებრივი რაციონალობა ეზმანებათ, რომელსაც შეეზომება რაციონალიზების ემპირულად აღწერილი პროცესის ადგილღირებულება. მაგრამ რაციონალობის ეს ყოვლისმომცველი ცნება უნდა დასაბუთდეს იმავე სიბრტყეზე რომელ სიბრტყეზეც საბუთდება საწარმოო ძალები, მიზანრაციონალური ქმედების ქვესისტემები ანუ ინსტრუმენტული გონების ტოტალიტარული მატარებელი. მაგრამ ეს არ ხდება. ამის მიზეზად მე მიმაჩნია მოქმედების თეორიული ვიწრობები; მარქსის, მაქს ვებერის, ჰორკჰაიმერისა და ადორნოს მიერ დასაფუძვლებული მოქმედების ცნებები არ არიან საკმარისად კომპლექსური, რომ მათ მოიცვან *ყველა* ასპექტი, რომლებსაც შესაძლოა საზოგადოებრივი რაციონალიზება შეეხოს.

(3) მე მინდა ეს თეზა მოკლედ გავარჩიო ვებერის მოქმედების თეორიის მაგალითზე. ვებერი საზრისის კატეგორიის მეშვეობით მიჯნავს ქმედებას დაკვირვებადი ქცევიდან: მოქმედი სუბიექტი თავის გამოთქმას საზრისს უკავშირებს. რაკი ვებერი მოქმედების ტელეოლოგიური მოდელიდან ამოდის, ამიტომ მას სუბიექტურად ნაგულისხმები საზრისი მოქმედების მიზნად ესმის. იგი ეწევა მოქმედების მიზანთა კლასიფიკაციას ინტერესების, ღირებულებებისა და აფექტების მიხედვით.[1] მოქმედი სუბიექტი ან ისეთ კერძო ინტერესებს მისდევს, როგორიცაა ძალაუფლების მოპოვება ანდა სიმდიდრის შეძენა; ან მას შეიძლება უნდოდეს ღირებულებათა, ე.ი. ისეთი იდეალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორიცაა ადამიანის ღირსება, ღვთისმოსაობა, ჭეშმარიტების ძიება; ანდა იგი შეიძლება, კმაყოფილებას ეძიებდეს აფექტებისა და სწრაფვების (ძრწოლის, რისხვის, იჭვის და ა.შ.) განცდაში. ეს *უტილიტარული, ღირებულებითი ანდა აფექტური* მიზნები (Ziele), სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა დაკონკრეტდნენ განზრახულობებად (Zwecke). ამ შემთხვევაში მიზანმიმართული ქმედება შესაძლებლობას იძლევა, რომ გაგებული იქნას საშუალების ორგანიზაციად, რომელიც აუცილებელია მიზანთა მიხედვით შერჩეულ განზრახულობათა რეალიზებისათვის.

---

[1] H.Girndt, Das soziale Handeln als Grundkategorie e4rfahrungswissenschaftlicher Soziologie, Tbg. 1968, 24f.

* interessenlage ინტერესთა ურთიერთგანლაგება, -- მდგომარეობა, რომელიც მიიღება განსაზღვრული კონსტელაციით, სიტუაცია, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა გარემოებებში გაჩენილი ინტერესებიდან --- მთარგმნ. შენიშვნა.

მოქმედების ეს ცნება „სოციალური ინტერაქციის“ ცნებად (ჯ.ჰ. მიდის მიერ მინიჭებული მნიშვნელობით) განივრცობა, თუკი მას შემდეგ ორ განსაზღვრებას მივუმატებთ:

(ა) მოქმედების სხვა სუბიექტზე ორიენტირებულობასა და (ბ) მოქმედების ორიენტირებულობათა რეფლექსურ ურთიერთობას: „სოციალური ურთიერთობა ჯერარს, ვუწოდოთ ისეთ სათავისო ქცევას, რომელიც თავისი საზრისშემცველობით თანაზიარობაზეა განწყობილი და მისი მეშვეობითაა ორიენტირებული“ (ვებერი, 1964, 19).

სოციალური მოქმედებანი შესაძლებლობას იძლევიან, რომ მათი კლასიფიკაცია სოციალური ურთიერთობის მიხედვით მოხდეს; მაგალითად – იმის მიხედვით თუ რას ემყარება სოციალური ურთიერთობა, ინტერესთა ურთიერთგანლაგებას* თუ ნორმატიულ შეთანხმებას. ამგვარად ვებერი სამეურნეო წყობის ფაქტობრივ არსებობას განასხვავებს სამართლებრივი წყობის ემპირული მნიშვნელოვნებიდან; ერთგან სოციალური ურთიერთობანი სიმყარეს იძენენ ინტერესთა ურთიერთგანლაგებების ერთმანეთში ფაქტობრივი შეჭრით, მეორეგან – ნორმატიულ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ფაქტობრივი აღიარების მეშვეობით. მოქმედების კოორდინირებულობამ, რომელიც თავიდან უზრუნველყოფილია მხოლოდ და მხოლოდ ინტერესთა შევსებითობის გზით, შეიძლება „შეთანხმების მნიშვნელოვნების“ ე.ი. „განსაზღვრული ქცევის სამართლებრივი ანდა კონვენციური შეთავაზებულობისადმი რწმენის“ (იქვე. გვ.247) წამატების წყალობით ნორმატიული სახეცელილება განიცადოს. ვებერი ამას განმარტავს ზნიდან კონვენციაზე გადასვლისას ტრადიციათა ჩამოყალიბების მაგალითზე: „კონვენციური წესები, საზოგადოდ, წარმოადგენენ გზას, რომელთაც ქმედების მხოლოდღა ფაქტობრივი წესზომიერებანი, ე.ი. მხოლოდღა „ზნენი“, იმოსავენ მავალდებულებელ ფორმას, რომელიც თავიდან ფსიქოლოგიური ზეწოლით გარანტირებულ „ნორმებად“ წარმოგვიდგება“ (იქვე. გვ. 246).

მაგრამ ინტერესთა ურთიერშევსებაზე დაფუძნებული ინტერაქცია არ გვეძლევა მარტო ზნეთა ფორმით. ე.ი. არ გვეძლევა როგორც უსიტყვოდ გაზიარებული ჩვეულება, არამედ იგი გვეძლევა რაციონალური შეჯიბრის ქცევათა სიბრტყეზეც მაგ. – თანამედროვე გაცვლა–გამოცვლითს აღებ–მიცემობაში, რომლის დროსაც თანამონაწილეებს, მართალია, ნათლად აქვთ გაცნობიერებული ურთიერთშევსებადობა, მაგრამ ასევე ჩამოყალიბებული აქვთ ინტერესთა მყარი ურთიერთგანლაგება. მეორე მხრივ, ნორმატიულ კონსენსზე დაფუძნებული ინტერაქციაც არ იმოსავს მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციაზე გამობმული კონვენციური ქმედების ფორმას;

თანამედროვე სამართლის სისტემა დამოკიდებულია ლეგიტიმურობის განათლებულ რწმენაზე; რომელიც, მაგალითად, რაციონალურ ბუნებრივ სამართალს თავისუფალთა და თანასწორთა შორის მთავარი

ხელშეკრულების დადების იდეით გონიერი ნებისქმნის (Willensbildung)* პროცედურებზე დაჰყავს. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა სოციალური ქმედების ტიპთა კონსტრუირება (ა) კოორდინირების გვარისა და (ბ) სოციალური ურთიერთობის რაციონალობის ხარისხის მიხედვით.

რაციონალობის ხარისხი / მოქმედების კოორ-დინირების გვარი	დაბალი	მაღალი
ინტერესთა ურთიერთგან-ლაგების მეშვეობით	ფაქტობრივად შესისხლხორცებული ქმედება	სტრატეგიული ქმედება
ნორმატიული შე-თანხმების გზით	კონვენციური თანხმობის ქმედება	პოსტკონვენციური თანხმობის ქმედება

მართალია, ტიპთა ამგვარი ქმნადობის საფუძველი მოცემულია „მეურნეობასა და საზოგადოება"–ში (გვ. 20–26; 233–240), მაგრამ თვითონ ვებერი, როგორც ცნობილია, უპირატესობას სხვა ტიპოლოგიას ანიჭებდა. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს მიზანრაციონალურ, ღირებულებარაციონალურ, აფექტურსა და ტრადიციულ ქმედებებს. ამ ტიპოლოგიასაც, როგორც ჩანს, წარმართავს ის ინტერესი, რომ ქმედებანი გამიჯნული იქნენ რაციონალობის ხარისხის მიხედვით. მაგრამ ვებერი მაინც არ განსაზღვრავს სოციალურ ურთიერთობას. რაციონალიზების უნარმქონე ასპექტად იგი მიიჩნევს ტელეოლოგიურად წარმოდგენილი მონოლოგური ქმედების მხოლოდ და მხოლოდ განზრახულობა – საშუალება – მიმართებას. ამ თვალსაწიერიდან მოქმედებებში ობიექტური განსჯისათვის ხელმისაწვდომი მხოლოდ და მხოლოდ არსებულ სიტუაციაში ქმედითი კაუზალური ჩარევის დაკვირვებადი შედეგი და ემპირულ გამოთქმათა ის *ჭეშმარიტება* იქნებოდა, რომელიც საშუალებათა მიზანრაციონალური ორგანიზების მეშვეობით, საფუძვლად უდევს მოქმედების გეგმას გინა სუბიექტურ შეხედულებას.

ამრიგად, მაქს ვებერი თავისი ტიპოლოგიის ორიენტაციის პუნქტად იღებს მიზანრაციონალურ მოქმედებას: „ისე როგორც ყოველი ქმედება სოციალური ქმედებაც შეიძლება, განისაზღვროს 1) *მიზანრაციონალურად*: გარემოს საგანთა და სხვა ადამიანების ქცევის მოლოდინთა მეშვეობით; და იმ გზით, რომ ამგვარი მოლოდინები გამოიყენება როგორც „პირობები" და „საშუალებანი" იმ რაციონალურ პირად *განზრახულობათა* მისაღწევად, რომელიც აწონილ–დაწონილია და წარმატების მოპო-

*Willensbildung – ნების ქმნა; იმის ქმნა, რასაც ვინმესგან ადამიანთა თემი მოითხოვს —— მთარგმნ. შენიშვნა

ვებად არის დასახული; – 2) *ღირებულებრაციონალურად:* ეთიკურად, ესთეტიკურად, რელიგიურად, ანდა როგორც გნებავთ განმარტებული, ისეთი განსაზღვრული საქმის ვითარების უპირობო *კერძო ღირებულებადმი* შეგნებული რწმენა, რომელიც განხილულია შეურეველათა და შედეგისგან დამოუკიდებლად; 3) *აფექტურად,* განსაკუთრებით კი ემოციონალურად: მიმდინარე აფექტებისა და გრძნობიერმდგომარეობათა მეშვეობით; 4) ტრადიციონალურად: გათავისებული ჩვეულების მეშვეობით" (ვებერი, 1964, 17). თუკი ვ. შლუხტერის მიერ ზედმიწევნით შესრულებული ინტერპრეტაციის შემოთავაზებას მივყვებით, მაშინ შეიძლება ტიპოლოგია ვაწარმოოთ მიზანრაციონალური ქმედების ფორმალურ ნიშანთა მიხედვით. მიზანრაციონალურად მოქმედი სუბიექტი მაშინ იქცევა, თუ იგი ნათლად არტიკულირებული ღრებულების ჰორიზონტიდან ირჩევს განზრახულობებს და ალტერნატიული გვერდითი შედეგების გათვალისწინებით ორგანიზაციას უწევს სათანადო საშუალებას. მოქმედების ქვემოთ მოცემულ ტიპთა შემთხვევაში მოქმედი სუბიექტის ცნობიერება თანდათან ვიწროვდება: ცნობიერების საწიერიდან იკარგება, და მაშასადამე, კონტროლს უსხლტება: ა) მიზანრაციონალურ ქმედებაში – გვერდითი შედეგები; ბ) მიმდინარე ქმედებაში – გვერდითი შედეგები და ღირებულებანი; გ) ხოლო მხოლოდღა ფაქტობრივად გათავისებულ ქმედებაში თვითონ განზრახულობაც იკარგება და კონტროლს უსხლტება.

IV

მე მინდა ქვემოთ ინტუიტურად შემოვიტანო „კომუნიკაციური ქმედების ცნება", რათა გამოვყოთ ქმედების რაციონალიზების უნარმქონე ასპექტები, რომლებიც აქამდე ათვალწუნებული იყო მოქმედების თეორიაში. მე ვემყარები ქმედების კომუნიკაციური თეორიის მოსამზადებელ სამუშაოებს, მაგრამ, ბუნებრივია, მათ აქ დეტალურად ვერ გავაანალიზებ; მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რომ განვმარტო –

(1) **წარმატებაზე ორიენტირებულობა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულობის საპირისპიროდ.**

მიზანრაციონალური ქმედების მოდელი იქიდან ამოდის, რომ აქტორი ორიენტირებულია მხოლოდ და მხოლოდ განზრახულობათა მიხედვით საკმარისად განსაზღვრულ მიზანზე და რომ იგი მოქმედების ყველა დანარჩენ შედეგს გაითვლის როგორც წარმატების გვერდით პირობებს. წარმატება განისაზღვრება როგორც სამყაროში ისეთი მდგომარეობის დადგომა, რომლის გამოწვევა მოცემულ სიტუაციაში შესაძლებელია მიზანმიმართული ქნისა თუ უქნელობის მეშვეობით. წარმატებაზე ორიენტირებულ მოქმედებას ჩვენ *ინსტრუმენტულს* ვუწოდებთ, როცა მას ტექნიკური მოქმედების წესთა მიყოლის ასპექტით გან-

ვიხილავთ და ფიზიკალურ მდგომარეობაში ჩარევის მარგიქმედების კოეფიციენტს ვაფასებთ; *სტრატეგიულს*, პირიქით, მაშინ ვუწოდებთ წარმატებაზე ორიენტირებულ მოქმედებას, როცა მას რაციონალური არჩევანის წესთა დაცვის ასპექტით განვიხილავთ და რაციონალური პარტნიორის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მარგიქმედების კოეფიციენტს ვაფასებ. ინსტრუმენტული მოქმედებანი შეიძლება მიერთებული იქნენ სოციალურ ინტერაქციებთან, სტრატეგიული მოქმედებანი სოციალური მოქმედებანი *არიან*. მინდა, სტრატეგიულ მოქმედებებს კომუნიკაციური მოქმედებები დავუპირისპირო. კომუნიკაციური მოქმედებების შესახებ მე ვლაპარაკობ იმ შემთხვევაში, თუ თანამონაწილე აქტორთა მოქმედებები კოორდინირებულია არა ეგოცენტრული გათვლის, არამედ ურთიერთგაგების მეშვეობით. კომუნიკაციურ ქმედებაში მონაწილენი უპირველესად კერძო წარმატებაზე კი არ არიან ორიენტირებულნი, არამედ – ურთიერთგაგებაზე.

აქედან გამომდინარეობს *მოქმედების პირველი დანაწევრება:*

ცხრ. 18. მოქმედების ტიპები

	წარმატებაზე ორიენტირებული	ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული
არასოციალური	ინსტრუმენტული ქმედება	— — — — —
სოციალური	სტრატეგიული ქმედება	კომუნიკაციური ქმედება

ახლა იმის შესახებ, თუ რა არის კომუნიკაციური ქმედება. როცა ურთიერთგაგება მიიღწევა, მას თანამონაწილეთა შორის თანხმობა მოაქვს. კომუნიკაციურად მოპოვებული (ანდა მოქმედების კონტექსტში ერთობლივად დაწანამძღვრებული) თანხმობა არა მარტო აკმაყოფილებს ფაქტობრივად ჩამოგდებული შეთანხმების პირობებს; არამედ, უფრო მეტი, თანხმობა მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობების დაცვით ხორციელდება, რომლებიც რაციონალურ საფუძველს ემყარებიან. თანხმობა დავანებულია ურთიერთდაჯერებულობაზე. ერთი მოქმედი სუბიექტის კომუნიკაციური მოქმედება მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როცა მეორე მასზე თავისებურ დასტურს იძლევა, როცა იგი (რაგინდ ფარულად იყოს) ჰო–თი ან „არა"–თი განეწყობა ძირეულად კრიტიზირებადი მნიშვნელოვნების პრეტენზიისადმი. როგორც ეგო, რომელიც თავისი გამოთქმით მნიშვნელოვნების პრეტენზიას აყენებს, ისე სხვა, რომელიც ამ პრეტენზიას აღიარებს ანდა უკუაგდებს, თავიანთს გადაწყვეტილებებს პოტენციურ საბუთებზე აფუძნებს.

მეტყველების მოდელზე დაყრდნობა რომ არ შეგვძლებოდა, საშუალება არ გვექნებოდა გაგვეანალიზებინა ის, თუ რას ნიშნავს ორი სუბიექტის მიერ ურთიერთშორის მოლაპარაკება. ურთიერთგაგება ტელოსივით გასჯდომია ადამიანურ ენას. ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული მოქმედების ფორმალურ–პრაგმატული თვალსაზრისებით გაანალიზება შეიძლება მეტყველება-მოქმედების მოდელის მიხედვით, თუმც კი მას საზოგადოდ არა აქვს ხოლმე აშკარა ენობრივი ფორმა, ხშირად კი საერთოდაც ვერბალური ფორმის უქონელია. მეორე მხრივ, ყოველი სოციალური ურთიერთობა, რომელიც ენობრივი საშუალებებით იწარმოება, როდი წარმოადგენს კომინიკაციური ქმედების მაგალითს. ეგოს ძალუძს სხვას ენობრივი გამოთქმების საშუალებით სასურველი ქცევები *ბაძინოს* და მოახდინოს მათი ინსტრუმენტალიზირება პირადი ინტერესებისათვის. მაგრამ, თავის მხრივ, ეს არ ნიშნავს, რომ კომუნიკაციურად მოქმედ სუბიექტებს უფლება არ ჰქონდეთ ყოველთვის პირად წარმატებაზეც იყვნენ ორიენტირებულნი; მაგრამ კომუნიკაციური ქმედების ჩარჩოებში მათ სასურველი წარმატების მოპოვება მხოლოდ და მხოლოდ წარმატებული ურთიერთგაგების გზით შეუძლიათ; ურთიერთგაგება არის ზომისმდებელი მათი მოქმედებების კოორდინირებისთვის.

დაბოლოს, მინდა კიდევ ორი ვარიანტი მოვიხსენიო. სიტუაციებში, რომლებშიც *ფარული სტრატეგიული ქმედება* ხორციელდება, სულ ცოტა ერთი მონაწილეთაგანი მაინც სტრატეგიულად იქცევა, ე.ი. ატყუებს მეორე მონაწილეს, რომ ის არ ასრულებს კომუნიკაციური ქმედების წანამძღვრებს. ეს არის მანიპულაციის შემთხვევა. სისტემურად გაუკულმართებულ კომუნიკაციაში, სულ ცოტა ერთი მონაწილეთაგანი მაინც, თვითონ ტყუვდება იმაში, რომ სტრატეგიულად იქცევა და კომუნიკაციური ქმედების მხოლოდღა მოჩვენებას ქმნის. აქედან გამომდინარეობს *სოციალურ მოქმედებათა* წინასწარი დანაწევრება (იხ. ცხრ. 19).

ცხრ. 19. სტრატეგიული ქმედების ტიპები



(2) კომუნიკაციის მოდუსები, მნიშვნელოვნების პრეტენზიები და ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების ტიპები

მე მინდა ის ზოგადი ასპექტები, რომელი ასპექტებითაც სოციალური ინტერაქციები აღიწერება და შესაძლებელი ხდება მათი განხილვა რაციონალობის ხარისხთა მიხედვით, სიმარტივის გულისთვის სოციალური ქმედების იდეალიზირებული, გინა წმინდა შემთხვევების მეშვეობით წარმოვადგინო: აქამდე ჩვენ მოვახდინეთ მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევის კონსტანტირება: აშკარა სტრატეგიული ქმედება, ე.ი. ისეთი ინტერაქცია, რომელსაც ცნობიერად წარმართავს წარმატების ორმხრივი კალკულაცია, რომლისთვისაც ამავე დროს შემუშავებულია რაციონალური მოდელები. ამასთან შედარებით კომპლექსურ შემთხვევებად უნდა ჩაითვალონ არა მხოლოდ მანიპულაციური ქმედებისა და სისტემურად გაუკულმართებული კომუნიკაციის მოხსენიებული ვარიანტები, არამედ – კომუნიკაციური ქმედებებიც. მოქმედების ამ ტიპის დასაყვანად „წმინდა შემთხვევებზე" მე ამოვდივარ შეკითხვიდან, თუ რა ასპექტებით შეიძლება სადაო შეიქნას ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული მეტყველება-მოქმედება. სხვადასხვა შესაძლებლობები იმისა, რომ მოლაპარაკის გამოთქმისადმი რაციონალურად მოტივირებული „ჰო" ან „არა" პოზიციები დავიკავოთ, გვაძლევს იმ მოქმედებათა ანალიზის გზამკვლევს, რომელთა კოორდინირება ურთიერთგაგების მეშვეობით ხდება: მეტყველება-მოქმედების სადაოდ გახდა, ე.ი. მისი როგორც „უვარგისის" უკუგდება, არსებითად, სამი ასპექტითაა შესაძლებელი: ჭეშმარიტების ასპექტით, რომელზე პრეტენზიასაც მოლაპარაკე თავისი გამოხატულებით თავისივე გამოთქმისათვის (გინა გამონათქვამის შემცველობის არსებობის წინასწარგულისხმობათათვის) წამოაყენებს; შემდეგ – გულწრფელობის ასპექტით, რომელზე პრეტენზიასაც მოლაპარაკე თავისი ინტენციის გამოხატვისთვის წამოაყენებს; დაბოლოს სისწორის ასპექტით, რომელზე პრეტეზიასაც მოლაპარაკე წამოაყენებს თავისი მოქმედებისთვის მოცემულ ნორმატიულ კონტექსტზე დაყრდნობით (გინა შემოვლითი გზით – თვითონ ამ კონტექსტისათვის). ყოველი კომუნიკაციური ქმედება შეიძლება ძირეულად იქნეს გადავადებული – ე.ი. უკუგდებული როგორც არაჭეშმარიტი, არაგულწრფელი ანდა არასწორი თითოეული ამ სამი ასპექტით; მაგრამ უფრო ხშირად გამოთქმის მოდუსიდან (ცხადლივ მეტყველების აქტებში ილოკუციური კომპონენტის მნიშვნელობიდან) გამომდინარეობს, თუ ყოვლის უწინ რომელი ასპექტით სურს მოლაპარაკეს, გაიგონ მისი გამოთქმა. ამგვარი ძირითადი მოდუსების ანალიზი ეხება მეტყველება-მოქმედებათა მიზანშეწონილად იდეალიზირებულ ანდა წმინდა შემთხვევებს. მე ვგულისხმობ:

– მდგენელ მეტყველება-მოქმედებებს, რომლებშიც გამოიყენება *მარტივი თხრობითი წინადადება;*

– ექსპრესიული მეტყველება-მოქმედებანი, რომლებშიც გვხვდება *განცდის მარტივი* წინადადება (I პირის პრეზენსი); და

– ინსტიტუციონალურად დაკავშირებული მეტყველება-მოქმედებანი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სრულყოფილად განსაზღვრულ ნორმას (ნათლობა, სანაძლეო, ქორწინება და ა.შ.).

თითოეული ამ კომპლექსის შესახებ ანალიტიკურ ფილოსოფიაში ვრცელი ლიტერატურა მოიპოვება, რომლის გარჩევა მე აქ არ შეშიძლია. იმ ლიტერატურაში კი გამომუშავებულია ინსტრუმენტები და ჩატარებულია ანალიზები, რომლებიც ნებას გვაძლევენ, განვმარტოთ მნიშვნელოვნების უნივერსალური პრეტენზიები, რომლებზეც ორიენტირებულია მოლაპარაკე და განვსაზღვროთ ის ძირეული განწყობანი, რომლებსაც მოლაპარაკე ამასთანავე იკავებს. საქმე ეხება: (ა) *მაობიექტივირებელ* განწყობას, რომლითაც ნეიტრალური დამკვირვებელი მიმართებას ამყარებს რაღაცასთან, რასაც ადგილი აქვს ობიექტურ *სამყაროში;* (ბ) *ექსპრესიულ* განწყობას, რომელშიც თავისთავის თვითგამომსახველი სუბიექტი რაღაცას თავის სულიერ სამყაროსეულს – რაზეც მას პრივილეგირებულად მიუწვდება ხელი – ამზეურებს პუბლიკის თვალწინ; და (გ) *ნორმების თანხმიერ* განწყობას, რომლითაც სოციალურ სამყაროში შემავალი თავისი მიმართების ჯგუფების გენერალიზებულ ქცევის მოლოდინებს ასრულებს. თითოეულს ამ ფუნდამენტურ განწყობათაგან ყოველთვის შეესაბამება „სამყაროს" კონცეპტი.

ახლა შემიძლია ერთი ნაბიჯით კიდევ წავიწიო წინ და უარი ვთქვა მეტყველება-მოქმედებით შემოფარგვლაზე, რათა საზოგადოდ მოხდეს კომუნიკაციური ქმედების წმინდა შემთხვევების კონსტრუირება. ამასთანავე გზამკვლევობას სწევს კომუნიკაციის სამი მოდუსი. პირველი ტიპი ემთხვევა *მდგენ მეტყველება-მოქმედებებს;* მრავალ კონტექსტში ფაქტის მდგენელი მეტყველება ძლიერ ელიპტიკურად იკვეთება ხოლმე, მაგრამ შეუძლებელია მათი მთლიანი შეცვლა ექსვერბალური გამოხატულობებით. სხვანაირად არის თავისთავის თვითგამოსახულებათა საქმე. ისინი იმავნაირად არ არიან დაკავშირებულნი ენობრივ მედიუმთან, არამედ ენობრივად ცხადი განცდის გამოხატულობებიდან დაწყებული პოეტური მეტყველების მეშვეობით ხელოვნებისმიერი გამოსახულების ექსტრავერბალურ ფორმებსა და (ლამის არის) გამოსახულების სპონტანურ ჟესტებსაც მოიცავენ. დაბოლოს, ნორმებით რეგულირებულმა მოქმედებებმა შეიძლება შეიმოსონ მეტყველება-მოქმედებათა ფორმა; მაგრამ ასეთი რამ არ არის აუცილებელი. ეს ტიპი ემთხვევა მაქს ვებერისეულ (ნორმატიულად უზრუნველყოფილი) თანხმობის ქმედებას. მოკლედ რომ შევაჯამოთ, *სოციალური ქმედების ოთხი შემთხვევა მიიღება:*

ნიშნები / მოქმედების ტიპები	მოქმედების ორიენტირებულობა	ძირეული განწყობანი	მნიშვნელოვნების პრეტენზიები	სამყაროსადმი მიმართება
სტრატეგიული ქმედება	წარმატებაზე ორიენტირებული	მაობიექტიეირებელი	(ქმედითობა)	ობიექტური სამყარო
მდგენელი მეტყველება-მოქმედება	ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ	მაობიექტიეირებელი	ჭეშმარიტება	ობიექტური სამყარო
ექსპრესიული მეტყველება-მოქმედება	ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული	ექსპრესიული	გულწრფელობა	შინაგანი სამყარო
ნორმებით რეგულირებული ქმედება	ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული	ნორმებთან თანხმიერი	სისწორე	სოციალური სამყარო

2) კომპლექსური შემთხვევა: კომუნიკაციური ქმედება როგორც განმარტების კოოპერაციული პროცესი

სოციალური ქმედების წმინდა შემთხვევებმა პარადიგმათა მნიშვნელობა შეიძინა სოციალურ-მეცნიერული თეორიის ქმნისთვის. ისე რომ სტრატეგიული ქმედების მოდელი საფუძვლად უდევს, მაგალითად, ძალაუფლების დაუნისეულ თეორიასა და ბლაუშის გაცვლის თეორიას; დრამატურგიული მოქმედების მოდელი, რომელიც ჰარემ და სეკორდმა გოფმანის ანალიზიდან ამოიკითხეს, ორიენტირებულია ექსპრესიული თვითგამოხატვის წმინდა შემთხვევაზე; როლთა კონვენციური თეორია, რომელიც პარსონსიანული ვერსიით კვლავაც გაბატონებულია თანამედროვე სოციალურ კვლევაში, ემყარება ნორმებით რეგულირებული ქმედების მოდელს. ჩვენ შეგვიძლია მასში დავინახოთ მოქმედების ასპექტთა შესახებ ჩვენი სემანტიკის მეთოდოლოგიური დადასტურების სახეობა. მაგრამ სიმბოლურ ინტერაქციონიზმში, ეთნომეთოდოლოგიაში, ჰერმენევტიკულად შთაგონებულ სოციოლოგიაში სხვა პარადიგმა განხორციელდა: ინტერაქცია გაიგება, როგორც ინტერპრეტაციის პროცესი, რომლის დროსაც თანამონაწილენი ურთიერთგანმარტებათა გზით სიტუაციის ზიარ განსაზღვრებას შეათანხმებენ ხოლმე. მოქმედების ამ

ცნებით ურთიერთგაგების პროცესი ყურადღების ცენტრში გადმოინაცვლებს. ჩვენ უკუვაგდებთ იმ აბსტრაქციებს, რომელთა საშუალებითაც სოციალური ქმედების წმინდა შემთხვევებს მივაღწიეთ. ნორმალურ შემთხვევაში მოქმედი სუბიექტები *არასგზით არ* განეწყობიან ხოლმე ფუნდამენტურ განწყობათაგან მხოლოდ და მხოლოდ *ერთი* განწყობით: ისინი არ მიემართებიან ხოლმე მხოლოდ რაღაცას ობიექტურ სამყაროში, ან მხოლოდ რაღაცას სოციალურ სამყაროში ან თავიანთი შინაგანი სამყაროს სუბიექტურობის მხოლოდ რაღაც ნაჭერს. ნორმალურ შემთხვევაში ისინი სამივე სამყაროსთან *ერთსადაიმავროულ* ურთიერთობაში შედიან, მაგრამ კომუნიკაციურად მოქმედი სუბიექტი აუცილებლობის შემთხვევაში რეფლექსურად ეკიდება ხოლმე სამივე სამყაროს კოორდინატთა სისტემას.

რაც უფრო ცოტათი კონსენსუალურად მოქმედებენ ხოლმე თანამონაწილენი, სიტუაციის ზიარი გაგების რაც უფრო ცოტა იმედიღა შეიძლება მათ იქონიონ იმისა, რაც წინადაწინ არის ტრადიციით შექმნილი და ღირებულებითი კონსენსით უზრუნველყოფილი, ამგვარი ფონისეული კონსენსის *მიღწევის* მით უფრო მძიმე ტვირთი აწვება თვითონ თანამონაწილის მაინტერპრეტირებელ ღვაწვებს. სიტუაციის დეფინიციათა თაობაზე ურთიერთმორიგებას მიზნად აქვს იმის დადგენა, თუ სიტუაციის რომელი ელემენტები ჩაითვლებიან ობიექტური სამყაროს იმ შემადგენელ ნაწილებად, რომელთა იდენტური აღქმა და ინტერპრეტირება შეიძლება; – რომელი ელემენტები შეიძლება მივიჩნიოთ სოციალური სამყაროს ერთობლივად აღიარებულ ნორმატიულ კომპონენტად; ხოლო რომელი – ცარიელა სუბიექტურ შეხედულებებად, თვალთახედვებად, გულისწადილებათა და გრძნობებად მოქმედების იმ სიტუაციაში, რომელიც ნორმატიულად არასაკმარისად არის ინტეგრირებული, თანამონაწილენი იძულებულნი არიან, სიტუაციის ურთიერთგანსხვავებულ განსაზღვრებათა ერთ მზიდ სახურავ ქვეშ მოყვანა, ინტერპრეტაციის მეშვეობით სცადონ.

ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ *პერფორმაციულ განწყობაში,* რომელშიც ინტერაქციის მონაწილეს ყოველთვის შეუძლია მაობიექტივირებელი, ექსპრესიული ნორმებთან თანხმიერი განწყობიდან განახორციელოს სხვა განწყობებზე მართებული გინა რაციონალურად კონტროლირებული გადასვლა. ამგვარი ტრანსფორმაცია უნდა ემყარებოდეს მნიშვნელოვნების ინტერმოდალურ მუდმივებს. მეტყველებამოქმედებათა ლოგიკის (პრაგმატული ლოგიკის) ეს დარგი თითქმის ჯერაც გამოუკვლეველია.

V

დავუშვათ ის, რომ თუნდაც მითითებული ანალიზების ჩატარება შესაძლებელია კომუნიკაციური ქმედების თეორიის ჩარჩოებში; მაგრამ მაშინ საზოგადოებრივი რაციონალიზების პროცესების გაგებაში რა წვლილის შეტანა ძალუძს მოქმედების თეორიას? ამ თეორიის უპირატესობას მე ვხედავ იმაში, რომ ქმედების წმინდა ტიპებით ის შეძლებდა ზუსტად ის ასპექტები განემარტა, რა ასპექტებითაც შესაძლებელია მოქმედებათა რაციონალიზება ანდა – რამდენადაც ისინი ხორცს ასხამენ „ცოდნას" – მათი გაკრიტიკება და გაუმჯობესება (1); ამ თეორიის მეორე უპირატესობად ის მიმაჩნია, რომ კომუნიკაციური ქმედების ცნებით ჩვენ მოვიპოვებდით არათვითნებურ თვალთახედვას, რომლითაც შეგვეძლო საზოგადოებრივ ინსტიტუციათა სისტემა ბევრად თუ ცოტად „რაციონალურად" განგვესაჯა: მხედველობაში მაქვს რაციონალურად მოტივირებული თვალთახედვა (2).

(1) მე მსურს მოქმედების რაციონალობის ასპექტები ქმედების წმინდა ტიპთა კატალოგის დახმარებით გავარჩიო. აქაც კი საქმე შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მითითებებს ეხებოდეს, რომლებმაც ჯერ არს, გაიცხადყოფოს საკითხის ანალიტიკური დაყენებანი.

(ა) მდგენელი მეტყველება-მოქმედებანი არა მხოლოდ ცოდნას ასხამენ ხორცს; არამედ მოქმედების დანარჩენ ტიპთაგან განსხვავებით გამოიყენებიან იმისთვის, რომ ცხადად *გამოსახონ* ცოდნა. მათი გაკრიტიკება შესაძლებელია ჭეშმარიტების ასპექტით. *ჭეშმარიტების სადაო* პრეტენზია თემად იქცევა და ჰიპოთეტურ განწყობაში არგუმენტაციულად მუშავდება. თუკი კოგნიტივურ სიტყვათხმარებაში მოშლილობებს გადავეყრებით, მაშინ თავის სამსახურს გვთავაზობს *თეორიული დისკურსი*, რომელიც სხვა საშუალებებით განაგრძობს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ ქმედებას. თუ დისკურსული შემოწმება ჰკარგავს თავის ad hoc ხასიათს და სისტემატური შეკითხვები მხოლოდ ემპირული ცოდნის მიმართ დაისმის, თუ თავისთავადი სწავლის პროცესები არგუმენტაციათა რაბების მეშვეობით გატარდება ხოლმე, მაშინ ეს წარმოშობს კომუნიკაციურ ეფექტებს. ამგვარი ცოდნა *თეორიათა* ფორმით გროვდება.

(ბ) *მიზანრაციონალური მოქმედებანი* განიხილებიან ქმედითობის ასპექტით. მოქმედების წესები განასახიერებენ ტექნიკურად და სტრატეგიულად გამოყენებად ცოდნას, რომელიც შეიძლება გაკრიტიკებული იქნეს ჭეშმარიტებაზე პრეტენზიათა კუთხით; ხოლო ემპირულ–თეორიულ ცოდნის მატებასთან უკუკავშირის მეშვეობით შესაძლებელია მისი გაუმჯობესება.

(გ) *ექსპრესიული მოქმედებანი* იმ ცოდნის ხორცშესხმას ეწევიან, რომელიც ყოველთვის მოქმედი სუბიექტის საკუთარი სუბიექტურობის შესახებ ცოდნას წარმოადგენს. ამ ცოდნის გამომზეურება შესაძლებელია ღირებულებითი სტანდარტის ფორმით, რომელიც საფუძვლად უდევს იმ სურვი-

ლებს, განწყობებს და გრძნობებს, რომლებიც წარმოიშობიან სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამგვარი გამოხატულებანი შესაძლოა უკუგდებულ იქნენ როგორც არაგულწრფელნი ე.ი. – როგორც ტყუილები ანდა თავის მოტყუებანი. თავის მოტყუებათა შემთხვევაში ექსპრესიულ მოქმედებებს ორკეცი მნიშვნელობა აქვს: აშკარა მნიშვნელობა, რომელსაც მოქმედი სუბიექტი ინტენციურად გამოთქვამს, და ასევე – ფარული მნიშვნელობა, რომელსაც იგი წინასწარგანუზრახველად ამჟღავნებს. მაგრამ თუ მოიპოვება თავის მოტყუებათა კრიტიკის მეთოდები, მაშინ იმის საშუალებაც არსებობს, რომ გაუმჯობესებული იქნეს ექსპრესიული ცოდნა, რომელიც არსებითად ესთეტიკურ–პრაქტიკული ცოდნა არის. გაბატონებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ქმედების ექსპრესიული ასპექტი, თითქოსდა, რაციონალიზების უუნარო იყოს, მე ემპირისტულ ცრურწმენად მივიჩნევ. თავის მოტყუებანი შეიძლება ჩვენ არგუმენტაციული საშუალებებით დავარღვიოთ; სახელდობრ –, ერთი მხრივ, მეთოდურად გამოწვეული თვითრეფლექსიის გზით; მეორე მხრივ კი იმ ევალუაციურ გამოსახულებათა სფეროში ინოვაციათა გზის საშუალებით, რომელთა საშუალებითაც ჩვენ მოთხოვნილებათა ინტერპრეტირებას ვეწევით.[1] მას მერე რაც ფროიდმა საკუთარი განხილვის ანალიტიკური მეთოდი გამოიმუშავა, შესაძლებელია, უფრო ზუსტად ცხადვყოთ ის, თუ რას წარმოადგენს კრიტიკის პირველი სახეობა, რომელიც ხორციელდება *თერაპიული საუბრის მოდელის მიხედვით.* კრიტიკის მეორე სახეობის გამოკვლევა შესაძლებელია *ესთეტიკური შეფასების ლოგიკის* ფორმით ე.ი. ხელოვნების კრიტიკის მოდელის მიხედვით.[2]

---

[1] H.Peukert, Wissenschaftstheorie, Handlungstheorie, Fundamentale Theologie, Düsseldf. 1979 und Ffm. 1978, 272ff.

[2] თერაპიული დისკურსისთვის შეად. P.Ricoeur, Die Interpretation, Ffm. 1969; A.Lorenzer, Sprachzerstörung und Rekonstruktion Ffm. 1970; zur ästhetischen Kritik: R.Bittner, Ein Abschnitt sprachanalytischer Ästhetik, in: R.Bittner, P.Pfaff (Hg.), Das Ästhetische Urteil, Köln 1977, 251ff. ხელოვნების კრიტიკის ამოცანაა არგუმენტის საშუალებით თვალის ახელა, ე.ი. იმის სწავლება, თუ როგორ უნდა იქნეს აღქმული ხელოვნების ქმნილების აუტენტობა. იგი ცდილობს, მნახველი, მსმენელი თუ მკითხველი დაარწმუნოს იმაში, რომ ქმნილება მოსაწონია როგორც „მშვენიერი" ანდა პირიქით--დასაწუნია როგორც ცარიელი, უფერული და უმნიშვნელო. თუკი კრიტიკას ასეთი რამ გამოუვა, მაშინ თვითონ ქმნილებას შეუძლია შეასრულოს არგუმენტაციის როლი, რომლის მიხედვითაც შეფასების იმ სტანდარტის მიღება ან უკუგდება მოხდება, რაც უფლებას იძლევა „მშვენიერად" მისი მიჩნეესა. ამაევ დროს კრიტიკა პირველად იძლევა შესაძლებლობას იმისას, რომ ენობრივად (ე.ი. პროპოზიციურად გათვითმყოფებული ენისთვის) დაეეუფლოთ იმ ღირებულებას, რომელსაც ხელოვნების ქმნილების ექსპრესიული სიმბოლიზმი გამოხატავს. ესთეტიკური კრიტიკა ხელოვნებას რომ ემყარება ანახლებს იმ ენობრივ გამოსახულებებს, რომელთა მეშვეობით შეგვიძლია ვთქვათ, რითი დაინტერესება *გვმართებს* და რომელია ჩვენი ინტერესები; ის არის მოთხოვნილებათა არტიკულაციის დისკურსული ინსტრუმენტი და ამით, ამაევ დროს, ის წარმოადგენს მოთხოვნილებათა მაცდუნებელი ინტერპრეტაციის კრიტიკასაც.

(დ) *ნორმებით რეგულირებული მოქმედებანი* განასახიერებენ მორალურ–პრაქტიკულ ცოდნას. მისი დავის საგნად ქცევა შეიძლება სისწორის ასპექტით. სისწორის სადაო პრეტენზია ისე როგორც ჭეშმარიტების პრეტენზია შეიძლება თემად იქცეს და დისკურსულად შემოწმდეს. რეგულაციური სიტყვათხმარების მოშლილობებისას გვეძლევა პრაქტიკული დისკურსი, რომელიც წარმოადგენს კონსესუალური ქმედების სხვა საშუალებით განგრძობას. მორალურ–პრაქტიკულ არგუმენტაციებში მონაწილეს შეუძლია მოცემულ ნორმაზე დაყრდნობით, შეამოწმოს როგორც მოქმედების სისწორე, ისე მომდევნო საფეხურზე – თვითონ ამ ნორმის სისწორეც გადაამოწმოს. მოქმედების ნორმა სწორად ითვლება, როცა იგი ითვალისწინებს, რომ მას დასტურს მისცემდა ყველა, ვისაც ეს ეხება, რამდენადაც ისინი პრაქტიკულ დისკურსში მონაწილეობენ. ვარგებული ნორმები გამოხატავენ განზოგადების (გინა კომპრომისის) უნარმქონე ინტერესებს. როგორც თეორიულ დისკურსს აქვს ინტერპრეტირებულ საზრისის აღქმებთან მიმართება, ისევე პრაქტიკული დისკურსიც ინარჩუნებს ინტერპრეტირებულ მოთხოვნილებებთან კავშირს. რაკი თავიანთ მხრივ შეიძლება მოთხოვნილების ინტერპრეტაციათა საკითხად ქცევა, აქედან გამომდინარეობს პრაქტიკული დისკურსის უკუკავშირი თერაპიული და ესთეტიკური კრიტიკის ორივე ფორმასთან.

მოქმედების რაციონალობის ასპექტთა თავმოყრა შემდეგ სქემაშია შესაძლებელი:

ცხრ. 21: მოქმედების რაციონალობის ასპექტები

ქმედების წმინდა ტიპები	ცოდნის ტიპები	არგუმენტაციული შემოწმების ფორმები	ტრადიციის უნარმქონე ცოდნის ნიმუში
მდგენელი მეტყველება-მოქმედებანი	ემპირულ–თეორიული ცოდნა	თეორიული დისკურსი	თეორიები
მიზანრაციონალური ქმედება ინსტრუმენტული სტრატეგიული	ტექნიკურად სტრატეგიულად გამოყენებადი ცოდნა	თეორიული დისკურსი	ტექნოლოგიები სტრატეგიები
ექსპრესიული ქმედება	ესთეტიკურ–პრაქტიკული ცოდნა	თერაპიული და ესთეტიკური კრიტიკა	ხელოვნების ქმნილებანი
ნორმებით რეგულირებული ქმედება	მორალუორ–პრაქტიკული ცოდნა	პრაქტიკული დისკურსი	სამართალწარმოდგენები და მორალწარმოდგენები

(2) რაციონალიზება შეიძლება შეეხოს არა მხოლოდ ცოდნის ცალკეულ ასპექტებსა და მოქმედების ასპექტებს, არამედ თვითონ – სოციალურ ურთიერთობას (ვაისი 1975, 53). რამდენადაც მოხდება ინტერაქციის მონაწილეების სხვადასხვა მოქმედებათა კოორდინირება ურთიერთგაგების მეშვეობით, ამდენად გვეძლევა რაციონალურად მოტივირებული თანხმობის ფორმალური პირობები, რა პირობებშიც შეიძლება ამგვარი სოციალური ურთიერთობის რაციონალიზება. იგი იმდენად შეიძლება ჩაითვალოს რაციონალურ ურთიერთობად, რამდენადაც თავად მონაწილის ინტერპრეტაციის პროცესებიდან გამომდინარეობენ პო–არა – პოზიციები, რომლებიც შესაბამისი კონსენსის მატარებელნი არიან. საზოგადოებრივი რაციონალიზების განზომილება, რომელიც ჩადებულია ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების (ანდა ინტერსუბიექტურობის) საყოველთაო სტრუქტურებში, შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ცნებათაწყვილით: „ნორმატიულად მიწერილი თანხმობა“ „კომუნიკაციურად მიღწეული ურთიერთგაგების“ საპირისპიროდ. კულტურები, რაც უფრო მეტად ღებულობენ *წინასწარ* გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, თუ მნიშვნელოვნების რომელი პრეტენზიები როდის, სად, ვისთვის, ვის საწინააღმდეგოდ უნდა იქნან წამოყენებული, გინა ვის მიერ უნდა იქნან მიღებული, მით უფრო ცოტა შესაძლებლობა ეძლევა თვითონ თანამონაწილეს გაამჟღავნოსა და შეამოწმოს ის პოტენციური საბუთები, რომლებზეც ისინი თავიანთს პო–არა – პოზიციებს აყრდნობენ. მეტყველების მნიშვნელოვნების ბაზისში ჩადებულია რაციონალობის პოტენციალი, რომელიც არ არის ყოველთვის მშვიდ მდგომარეობაში, არამედ მისი გააქტიურება ძალზე ურთიერთგანსხვავებულ დონეზე შეიძლება საზოგადოებრივი განვითარების დონის მიხედვით. მაგრამ ეს აბსტრაქტული თვალსაზრისი არ გამოდგება, თუკი მოვინდომებთ, იგი უშუალოდ მივუყენოთ საზოგადოებრივი რაციონალიზების პროცესებს. საამისოდ აუცილებელია მრავალი ნაბიჯის წარდგმა:

ა) *მსოფლხატთა სტრუქტურებიდან* შესაძლებელია იმის ამოკითხვა, თუ საზოგადოდ რა ზომით *უშვებს* განმარტების კულტურელური სისტემა საზოგადოებაში მოქედების ავტონომიურ ორიენტირებულობებს. ეს ასპარეზი ვიწრო არის იქ, სადაც, ისე როგორც მაგალითად მითიურ მსოფლხატებში, მნიშვნელოვნების ნორმატიული პრეტენზიები არა მხოლოდ ჭეშმარიტებისა და გულწრფელობის პრეტენზიებშია შერეული, არამედ ისინი, ერთი მხრივ, ერწყმიან ენობრივ გამოსახულებათა გასაგებობას, მეორე მხრივ კი – ემპირული ეფექტურობის ისეთ ცნებებს როგორიცაა კაუზალობა და სიჯანსაღე. მნიშვნელოვნების დიფუზური კატეგორია მაგიისა და რიტუალის მეშვეობით ტომის კულტურისა და ბუნების მითიურ განმარტებებს ეკერის.

ჩვენ შეგვიძლია დიურკეიმისა და პიაჟეს კლასიკური ნაშრომებიდან ავიღოთ ანალიტიკური თვალსაზრისები მსოფლხატის რაციონალიზებისათვის! სოციალური სისტემიდან მსოფლხატთა გათავისთავადება, რელიგიური განმარტებებიდან კოგნიტივური, ექსპრესიული და მორალურ–პრაქტიკული კომპონენტების გათვითმყოფადება, მსოფლხედვის შესაბამისი დეცენტრირება და რწმენისმიერ განწყობათა გარეფლექსურება გამოხატავენ იმ ტენდენციებს, რომელთა რეკონსტრუირება შესაძლებელია იმ თვალსაზრისით, რომ თავდაპირველად ერთმანეთისგან გაიმიჯნება, ერთი მხრივ, ემპირული ზემოქმედება, სემანტიკური მნიშვნელობა და მნიშვნელოვნება; მეორე მხრივ კი თვითონ მნიშვნელოვნების კატეგორიაში გაიმიჯნება პროპოზიციური ჭეშმარიტება, აუტენტურობა; შესაბამისად – გულწრფელობა და ნორმატიული სისწორე. მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მნიშვნელოვნების სხვა პრეტენზიებთან ნაერთიდან გამოიყოფა ჯერარსმნიშვნელოვნება, შესაძლებელი გახდება ნორმათა სისწორის გაგება მნიშვნელოვნების პრეტენზიად, რომელსაც თვითონ აქვს დისკურსული დაკმაყოფილების უნარი. ვიდრე არ არის მიღწეული სამართალწარწარმოდგენათა და მორალწარმოდგენათა პოსტკონვენციური საფეხური, მანამ შეუძლებელია დამხობილ იქნას ჯადოქარი, რომელსაც კულტურელური ტრადიციის საფარველით შეუსუდრავს რაციონალურად მოტივირებულ დაჯერებულობაზე დაფუძნებული არაძალადობრივი ურთიერთგაგება.

ბ) მეორე მხრივ, გასაზოგადოებრივებულ ინდივიდთა ცნობიერების სტრუქტურებიდან, ყოვლის უწინარეს, მათი მოქმედების კომპეტენციებიდან შესაძლებელია იმის ამოკითხვა, თუ საზოგადოების წევრს პერსონულობის სისტემები რა ზომით აძლევენ მოქმედებათა ავტონომიური ორიენტირებულობის საშუალებას. მე ვფიქრობ, რომ ფროიდის, მიდისა და მეორე მხრივ პიაჟეს კლასიკურმა გამოკვლევებმა შექმნეს მე – განვითარების თეორიის საფუძვლები, რომელიც ზედგამოჭრილია საზოგადოებრივი რაციონალიზების კომუნიკაციის თეორიულად დასაბუთებულ ცნებაზე.[2]

გ) თუ კულტურისა და პერსონულობის სიბრტყეზე ცნობიერების სტრუქტურები ისე ფართოდ არიან გათვითმყოფებულნი, რომ ყოველ მოცემულ მომენტში შესაძლებელია ცოდნის სპეციფიკური თვალსაზრისებით გაკრიტიკება და გაუმჯობესება, მაშინ შესრულებულია შესაბამისად გამიჯნული *ცოდნის სისტემებისა* და სწავლების პროცესების *ინსტიტუციონალიზების* აუცილებელი პირობა. თანამედროვეობაში მოხდა მეცნიერების

---

[1] R.Döbert, Methodolosche und forschungsstrategische Implikationen von evolutionstheoretischen Studienmodellen, in: Jaeggi, Honneth (1977), 524ff.

[2] R.Döbert, G.Nunner-Winkler, Adoleszenzkrise und Identitätsbildung, Ffm. 1975; R.Döbert, J.Habermas, G.Nunner-Winkler (Hg.), Entwicklung des Ichs, Köln 1977, 9-30.

წარმოების დაწესება, რომელშიც შესაძლებელია ცდის მეცნიერული პრობლემები დამუშავდეს შინაგანი სტანდარტების მიხედვით, თეოლოგიური შეხედულებებიდან დამოუკიდებლად და მორალურ–პრაქტიკული ძირითადი საკითხებიდან მოწყვეტით. დაახლოებით იმავე დროს მოხდა ხელოვნების წარმოების ინსტიტუციონალიზება, რომელშიც ხელოვნების ქმნადობა თავისუფლდება ეკლესიურ–კულტური და სახალხო–მეცენატური შებოჭილობებისაგან და ხელოვნების პროფესიონალიზირებული კრიტიკა ეწევა ქმნილებათა ინტერპრეტირებას მკითხველთა, მსმენელთა, მაყურებელთა ხელოვნების მომხმარებელი პუბლიკისათვის. დაბოლოს, უნივერსიტეტის ფარგლებში როგორც ეთიკური და სახელმწიფოს თეორიული ძირითადი საკითხების, ისე იურიდიული დარგობრივი პრობლემების დამუშავება თვითმყოფად ინსტიტუციონურ სფეროს იძენს. ცდისმეცნიერნულად გაავტონომიურებული ხელოვნების, მორალის და სამართლის თეორიის ინსტიტუციონალიზება უკვე მოასწავებდა ვებერისეულად გაგებულ „დასავლურ რაციონალიზმს.“ მაგრამ ამ სფეროებში დაგროვილი ცოდნა მხოლოდ იმდენად იძენს რევოლუციურ ძალას, რამდენადაც იგი ტექნიკას, სამართალწესრიგსა და სოციალიზაციის პრაქტიკას უერთდება.

დ) რაციონალიზაციის ამ პროცესთა გასაგებად საჭიროა კომუნიკაციური ქმედების თეორიის დახმარებით იმგვარად გარდაიქმნას კომუნიკაციის მოდუსთა თეორია (პარსონსი 1970, ტერნერი 1968), რომელიც სისტემფუნქციონალიზმში იყო შემუშავებული, რომ ცხადი შეიქნას ქვესისტემის ქმნასა და მოქმედების რაციონალობას შორის კავშირი.

10. შესიტყვებათა პასუხად (1980)*

ამდენი კომპეტენტური და სახელგანთქმული კოლეგა რომ ასეთი ინტერესით მოეკიდა ჩემს პუბლიკაციებს, რომლებიც, კარგად ვიცი, საინტერესო აზრებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე დასრულებულ შეხედულებებს, ერთსადაიმავდროულად ჩემს შეცბუნებასაც იწვევენ და გახარებასაც. მაგრამ მიუხედავად გარკვეული ამბივალენტობისა, ჩემში კმაყოფილების გრძნობა მაინც ჭარბობს სხვა გრძნობებს. მართალია, მე არ შემიძლია წუწუნს მოვყვე სამეცნიერო და პოლიტიკური საზოგადოებრიობის ყურადღება მაკლია–მეთქი;[1] მაგრამ ეს რეზონანსი ძალიან ხშირად მტკივნეულად განმანცდევინებს ხოლმე, რომ მე აშკარად არ მქონდა საშუალება ჩემი თეორიული საწყისი გასაგებად წარმომედგინა ანდა მისი მიღებისათვის ჰერმენევტიკული გულმოდგინება გამეღვივებინა. მაგრამ რამდენიმე ხნის უკან ეს ვითარება შეიცვალა. განსაკუთრებით ანგლოსაქსურ ქვეყნებში, ასევე მაგალითად სკანდინავიასა და ჰოლანდიაში მე ვაწყდები კრიტიკას, რომელიც მანებივრებს, მოსვენებას მიკარგავს გულმოდგინე არგუმენტაციით და მაიძულებს, ჩავერიო ყურადსაღებ დისკუსიებში. ამის შთამბეჭდავი საბუთი არის წინამდებარე ტომისადმი მიძღვნილი სტატიები. მე ვფიქრობ, რომ ეს საქმიანი ინტერესი არ წარმოიშობოდა, თომას ა. მაკქართის ჩემი შრომები ეგზომ გამჭრიახედ რომ არ გაენალიზებინა, რაც კრიტიკასთან ერთად თანამოაზრეობასა და აზროვნების განგრძობას წარმოადგენს; მე ვერ ვინატრებდი თანამოსაუბრეს, რომელიც ერთსადაიმავდროულად უფრო სამართლიანიც იქნებოდა და უფრო პროდუქტიულიც.[2]

მაგრამ წინამდებარე სტატიები იმდენად მრავალმხრივია, რომ მე (გამომცემლის მეგობრული თხოვნის გარეშეც, რომ გამოქვეყნებული შესიტყვებანი ჩემი პასუხებიანად სხვა გამოცემაში შემეტანა) იმ საფრთხის წინაშე ვდგავარ, რომ ხეები დავინახო, ტყე კი – ვერა. ამოცანა რომ შევიმსუბუქო, და შესაბამისად, მკითხველიც დავზოგო, გამოწვლილვით არ განვიხილავ ყველა გამოთქმულ შესიტყვებას, არამედ მხოლოდ იმ შესიტყვებებზე შევჩერდები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნევ. ბუნებრივია, იმისა მეიმედება, რომ თემების ჩემეული შერჩევა და შესიტყვებათა ჩემეული შეფასება არ იქნება მეტისმეტად

---

* ინგლისური ვარიანტი: A.Reply to my Critics, in: J.B.Thompson, D. Held (Eds.), Habermas –Critical Debates, London 1982, 219-283.

[1] შეად. R.Görtzen, J.Habermas – Eine Bibliographie, Ffm. 1982, 73-196.

[2] T.A. McCarthy, Kritik der Verständigungsverhältnisse, Ffm. 1980. შესანიშნავი სტატიებია შესული, აგრეთვე, ა.პონეთისა და უ.იეგის მიერ გამოცემულ კრებულში: Theorien des Historischen Materialismus, Ffm. Bd. I 1977, Bd. II 1980.

ეგოცენტრისტული. ამ მიზნით – რამდენადაც ჩემი მხრივ მათ კრიტიკულად არ განვიხილავ – შესიტყვებანი სახელდობრ შემდეგი თვალსაზრისების მიხედვით დავახარისხე. მოიპოვება ისეთი შესიტყვებები, რომლებსაც მე ვიღებ და რომლებიც მაიძულებენ, გადავიაზრო მისი შედეგები. სხვა შესიტყვებები, ჩემი ფიქრით, მართალია, ყურადსაღებნი არიან, მაგრამ მათ მე ჯერჯერობით არ ვეხები, რაკი ბუნდოვანია ის წინამძღვრები, საიდანაც ისინი ამოდიან. ზოგიერთი შესიტყვების ჩანაფიქრი ჩემთვის არ არის მთლად ნათელი; ისინი (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის) საჭიროებენ რეკონსტრუქციას, რომლის განხორციელებაც მოცემულ ფარგლებში მე არ შემიძლია. დაბოლოს, მოიპოვება ისეთი თემებისა და ვარაუდების თაობაზე გამოთქმული შესიტყვებანი, რომლებიც თავად მე მხოლოდღა პროგრამატულად განვიხილე და მიმაჩნია, რომ აუცილებელია მათი გაშუქება ოღონდ ეგაა, რომ დღემდე ვერ გამოვნახე დრო, რომ ისინი საკმარისი ინტენსივობით დამემუშავებინა; ეს ითქმის განვითარების ლოგიკის მნიშვნელოვან კომპლექსზე, რომელსაც ამ ჯერზე არ შევეხები, ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოსდა პასუხს გავურბოდე.[1]

საკითხთა კომპლექსები, რომლებზე შეჩერებაც მე მსურს, ისეა დალაგებული, რომ პირველი ოთხი თემა უფრო ზოგადი ხასიათისაა, მომდევნო ორი კი – რამდენადმე სპეციალური ხასიათისა. ჰელერის, ბუბნერისა, მაკპართს, ოტმანისა და ლუკესის თხზულებანი ხელსაყრელ შემთხვევას მაძლევენ (I-დან ვიდრე IV ნაკვეთამდე) ჩემი ჩანაფიქრები ცხადყო, მაშინ როცა გიდენსის, თომპსონის, ჰესეს, ჰელდისა და არატოს სტატიებზე პასუხები უფრო უშუალოდ ემყარება მათსავ ტექსტებს (ნაკვეთები IV და V).

1. მარქსული მემკვიდრეობა

აგნეს ჰელერი არჩევს მარქსთან დაკავშირებული საზოგადოების კრიტიკული თეორიის სტატუსსა და პრეტენზიას[2]. ჩვენი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ არსებითად შეცვლილ ისტორიულ პირობებში განვავითაროთ მარქსული ტრადიცია. ა. ჰელერის მეგობრული კრიტიკა მით უფრო მაღელვებს, რომ მე ვიცი რა პერსპექტივიდან, რომელი ცხოვრების ისტორიული კონტექსტიდან ლაპარაკობს იგი, როცა აღნიშნავს, რომ მე, მარქსისტული თეორეტიკოსი, არასოდეს ვყოფილ-

[1] მ.შმიტის სტატიასთან ერთად შად. აგრეთვე დისერტაციები: M.Müller, Das Konzept der Entwicklungslogik, Diss. Phil. Frankfurt 1978; Ch.Fleck, Der prominente Überbau, Studien zur Sozialisationstheorie und Evolutionstheorie von Jürgen Habermas, Diss. Phil. Graz, 1979.

[2] A.Heller, Habermas and Marxismus, in: Thompson, Held (1982), 21ff.

ვარ ორგანიზაციულად დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან. ეს რომ სასაყვედუროდ ყოფილიყო თქმული, პასუხიც მარტივი იქნებოდა. მაგრამ აგნეს ჰელერი ფაქტის ამ კონსტანტაციას უკავშირებს შეკითხვას იმის თაობაზე, რომ ცხოვრების აკადემიური წესის პირობებში, რომელიც სწავლებისა და კვლევის გარდა, სხვა არაფრის შესაძლებლობას უშვებს თუ არა პოლიტიკურ-პუბლიცისტური მოღვაწეობისას, როგორ არის შესაძლებელი ისეთი თეორიის შექმნა, რომელიც ამართლებს მარქსისეულ პრეტენზიას, რომ თეორიას შინაგანი კავშირი აქვს პრაქტიკასთან. მან ძალიან კარგად იცის, რომ საზოგადოების კონკურენტუნარიანი თეორიის შემუშავება და შემოწმება სადღეისოდ შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერების სისტემაში; მას ისიც კარგად მოეხსენება, რომ პარტიულ-კომუნისტური შებოჭილობა უფრორე ხელს უშლის თეორიულ მუშაობას, საუკეთესო შემთხვევაში იგი არ მოითხოვს ასეთ რამეს. მაგრამ მაინც რჩება ერთგვარი უნდობლობა, რომ ვაითუ მარქსისტულ თეორიას წაერთვას მისი პრაქტიკული ჩანაფიქრის სიმძაფრე, თუკი ინტელექტუალები — ისტორიულად რაგინდ გარდუვალი მიზეზები ჰქონდეს ამას — გაუუცხოვდებიან გამოცდილებებსა და იმპერატივებს, გნებავთ – სოციალური მოძრაობის მგრძნობიარობას დაკარგავენ. ასეთ შემთხვევაში მეკითხება აგნეს ჰელერი – ხომ არ ნიშნავს ეს სერიოზულობის მომენტის მოკლებულობას, რომლის გარეშეც ყოველი მორალური და თვით ყოველი ინტელექტუალური პასუხისმგებლობაც კი აბსტრაქტული იქნებოდა?

მოიპოვება ერთი სიბრტყე, რომელზეც აბსტრაქცია რომ არსებობს ამის შესახებ დავას არ მოვყვები. მაგრამ ა.ჰელერი ამ აბსტრაქციას კვალში უდგას სხვა სიბრტყეზე. იმ სიბრტყეზე მე ვერ ვხედავ არამსგავსებებს, ერთი მხრივ, მარქსისტულ თეორიასა და მეორე მხრივ, აკადემიური მარქსიზმის თეორიულ მიდგომებს შორის.

იმ ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებით, რომელზედაც მიმანიშნებს ლუმანური ყაიდის სისტემფუნქციონალიზმი, მე ერთხელაც იყო პარადოქსული ფორმულა გამოვიყენე: „გონების პარტიულობა," ამით მე მინდოდა, შემეხსენებინა ის თეორია, რომელიც აღმოაჩენს (და ამით ბრალს დებს) ისეთ ინტერესებს, რომელთაც ჩაგვრის გასაყოველთაებების უნარი შესწევთ. ეს ფორმულა არასგზით არ გულისხმობდა „ადრესატის გასაყოველთაებას", აქაოდა ის ადგილი, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ ლუკაჩთან პროლეტარიატს ეჭირა, ხამს, ტრანსცენდენტალურ სუბიექტს, კაცობრიობას გინა საყოველთაო ადამიანურ გონებას დაუნარჩუნდესო. სინამდვილეში გონება („die") არც კლასია და არც „მიზანჯგუფი" ;მას არა აქვს სხეული, არც განცდა შეუძლია და არც ვნების აღძვრა. მარქსს სურდა შეებოჭა არაგონების ხორცშესხმები. იმავე აზრით არის დღეს ლაპარაკი იმ ძალთა კონსტელაციების ანალიზის შესახებ, რომლებიც თრგუნავენ მიზანმოღვაწეობისა და ენობრივი

ურთიერთგაგების რაციონალობაში ჩადებულ ინტენციას, საზოგადოებრივი კვლავწარმოების ტელეოლოგიურსა და ინტერსუბიექტურ სტრუქტურებში თვითშემატყობინებელ გონების პრეტენზიას და მას მხოლოდ და მხოლოდ შერყვნილი სახით ამნიშვნელოვნებენ. ამ პრეტენზიას კვლავაც და კვლავაც აკმედინებენ ხმას, მაგრამ იგი მაინც ახდენს თავისი დაჟინებულობით მატრანსცენდირებელი ძალის გაშლას ფანტაზიებსა და კეთებებში, რადგან იგი ხელახლა იშობა ხოლმე ძალადაუტანებელი ურთიერთგაგების თითოეულ აქტში, სოლიდარული თანაცხოვრების თითოეულ წამში, წარმატებულ ინდივიდუირებასა და მხსნელ ემანსიპაციაში.

ემპირიზმმა – რა ელფერისაც უნდა იყოს იგი — ვერ უნდა ჩაგვაგონოს, რომ პრედიკატი „გონებრივი" მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტურ უნარს მიეყენება და მისი მხოლოდ და მხოლოდ წარმატებული შეგუების ანდა თვითგანმტკიცების მნიშვნელობით გამოყენება შეიძლებაო. ასევე არ არის სწორი ის, რომ თითქოსდა საზოგადოებრივ ფორმაციათა განხილვა და თეორიული წვდომა მხოლოდ გარედან დაკეირვებით შეიძლებოდეს ისე როგორც მნათობებს სწავლობენ; ე.ი. – იმ თვალსაზრისით, რომელიც უგულვებელყოფს წინარეთეორიულ, ყოველდღიურ პრაქტიკულ ცოდნას, რომელსაც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით დაბადებიდან უკავშირებს ხოლმე სოციალური მეცნიერი საგანთა შინაგან ბუნებას.

ჯერ კიდევ მარქსმა ისე ჩაიფიქრა თავისი თეორია, რომ მას კლასობრივი საზოგადოების დეფორმაციაში გონების კვალთა აღქმა და ათვისება შეძლებოდა. ცხოვრების პროლეტარულ წესებში მას რომ საზოგადოდ კომუნიკაციური ცხოვრების წესის განწყობა, მასში რომ საყოველთაო, ისეთი ინტერესის შელახვა არ აღმოეჩინა, რომელიც პარტიკულარულ ინტერესს სცდება, მის კრიტიკას არ ექნებოდა *მართებული* ანალიზის ძალა; მაშინ მის კრიტიკას დაკარგული ექნებოდა გონებისადმი მოწოდების უნარი, და იგი ჩამოქვეითებული იქნებოდა მოთქმის ანდა ლამის არის აგიტაციის დონემდე. ჩემს თეორიულ საწყისს, ისე როგორც მარქსისეულს, წარმართავს განზრახვა იმისა, რომ გააპროტესტოს თვითონ საზოგადოებრივი კვლავწარმოების ფორმებში მოქცეული გონების პოტენციალი. ფილოსოფიურად თუ შევხედავთ ეს პოტენციალი უნდა გასაჩივრდეს არისტოტელეს ონტოლოგიური მხარდაჭერის, მასზე დაყრდნობის გარეშე, ე.ი. კანტისადმი მიუბრუნებლად.

რაც დღეს მარქსიდან გვაშორებს, არის ისტორიული ევიდენტობანი, მაგალითად — იმის შეგნება, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს იდენტიფიცირებადი კლასი თუ მკაფიოდ გამოხატული სოციალური ჯგუფი, რომელიც უპირობოდ შეგვეძლო დაგვეხასიათებინა როგორც შელახული საყოველთაო ინტერესის წარმომადგენელი. ამის შეგნებამ ფრანკფურტელ თეორეტიკოსთა ჯერ კიდევ

ძველი თაობა – რომელთაც ერთდროულად ჰქონდა თვალწინ ფაშიზმიცა და სტანილიზმიც – დააშორა ლუკაჩს, მის დიდ შთამგონებელს.[1] არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს აგნეს ჰელერსა და ჩემ შორის სადაო პუნქტი არ არის. მე მგონია, საკამათოა შემდეგი პუნქტებიც: თუ არა ისტორიული ადრესატის დაკარგვა, საზოგადოების კრიტიკული თეორიისათვის ამ ფაქტის მნიშვნელობა მაინც (ა); გარდა ამისა, საზოგადოებრივი შრომის გამოხატვის მოდელის უგულვებელყოფა, — საზოგადოდ მარქსის ადრეული შემოქმედების „რომანტიკული შტრიხები" (ბ); დაბოლოს ის საფასური, რომელიც მე ვითომდა აბსტრაქტული რაციონალიზმისთვის უნდა გავიღო (გ).

(ა) იმ ისტორიის ფილოსოფიური უტყუარობის მსხვრევა, რომ სამრეწველო მუშათა კლასი და მუშათა ევროპული მოძრაობა განათლების შესაძლო, თეორიულად მოფიქრებული პროცესების ადრესატები და პოლიტიკურად საწადელ რევოლუციურ გადატრიალებათა მატარებლები არიანო, მე არ მიმაჩნია მაინცადამაინც დიდ დანაკარგად. ზედმეტად ზოგადი თეორიული დებულებების ადგილი, რომელსაც უშუალოდ უნდა დამყარებოდა ორგანიზაციული მუშაობა, დღეს საჭიროა, დაიჭიროს ემპირიულმა, დროის ისტორიულად ღია, სოციალმეცნიერულად ინფორმირებულმა ანალიზმა, რომელიც თავის საგანს არა მხოლოდ განვითარების დონის, წარმოების წესის, კლასთა სტრუქტურისა და პოლიტიკური წესრიგის მიხედვით განსაზღვრავს, არამედ – ნაციონალურ ტრადიციათა, რეგიონთა, სუბკულტურათა, და შემთხვევითს ისტორიულ კონსტელაციათა მიხედვითაც. ამავე დროს შეიმჩნევა იმ თეორიულ პრესპექტივაში ცვლა, რომელიც კრიტიკულმა თეორიამ ჯერ კიდევ 30-იან წლებში განახორციელა. თეორიული ყურადღების საგანი იმდენად მეურნეობის სისტემის ის მექანიზმები კი არ ხდებიან, რომლებიც კონფლიქტებს წარმოშობენ, არამედ კონფლიქტის სახელმწიფოებრივი დამუშავების შეკავების ის მექანიზმები, რომლებიც კრიზისული პერიოდების შემდეგ აღმოცენდებიან ხოლმე. მაგრამ ინსტიტუციონურ სიბრტყეზე შეკავებული კონფლიქტების პერფორმაციაში, გეოგრაფიულ, სოციალურსა და ფსიქიკურ განაპირა ზონებში გადაწევას შედეგად მოსდევს ის, რომ ჯგუფები, რომლებშიც კონფლიქტის პოტენციალი გროვდება, არაფრით აღარ შეიძლება იყვნენ პოლიტიკურად განათლებული და ორგანიზებული ქმედების მატარებელ ჯგუფთა იდენტურნი.

ისტორიული ადრესატი რომც ვერ განსხლტომოდა თეორიის შეტევას, თეორიის კავშირი მის მიერვე შეძლებისდაგვარად წარმართულ პრაქტიკასთან დღეს მაინც სხვაგვარად იქნებოდა განსაზღვრული, ვიდრე ეს კლასიკურ დოქტრინაში იყო წარმოდგენილი. გამქრალია როგორც რევოლუციური *თავისთავში დარწმუნებულობა* ისე *თეორიული თვი-*

[1] H.Dubiel, Wissenschaftsorganisation und Politische Erfahrung, Ffm. 1978.

თუტყუარობა და ეს ასე არ არის მხოლოდ იმის გამო, რომ ამასობაში ბიუროკრატიული სოციალიზმი ყველაზე ცუდი ვარიანტი აღმოჩნდა იმისა, რისი დახმარებაც გვეწადა.

სისტემ-თეორიამ ადრეულ პერიოდებთან შედარებით უკიდურესად გამწვაეებული სოციალური კომპლექსურობის გამახვილებული ხედვა გამოიმუშავა; არსებულ ურთიერთობათა ტოტალურობის ვერსიის შესახებ წარმოდგენები სწორედ ამ რისკების მიხედვით უნდა შეფასდეს. მაღალკომპლექსურ საზოგადოებებში სტრუქტურული ცვლილებები ერთხელ და სამუდამოდ მრავალ ელემენტს ეხება ისე, რომ ამის წინასწარგანჭვრეტა შეუძლებელია; ამიტომაც მთლად უსაფუძვლო როდია, რომ Status quo ყოველდღიურობის ინსტიტუტებში ლამის არის მოარულ არგუმენტად იქცა.[1] მე არ ვლაპარაკობ ამ არგუმენტის იდეოლოგიური გამოყენების შესახებ, რომელიც დასაბუთების ტვირთის განაწილების აბსურდული წესისკენ გვიბიძგებს და Status quo-ს პრინციპულად აშორებს თავიდან გამართლების აუცილებლობას.[2] თუმცა არგუმენტი მაინც შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს, რომელიც თვალშიც კი მუდამ სანუკვარ რამედ წარმოაჩენს* სამართლიან გარემოს.ვისაც არ დაუთმია გრძელვადიანი რევოლუციური გარდაქმნის მოლოდინი, ვინც სიტყვა „რევოლუციურს" არ ხმარობს სრულად მეტაფორული მნიშვნელობით, მან უნდა აღიაროს, რომ მაღალკომპლექსურ საზოგადოებათა სიღრმისეულ სტრუქტურებში ეფექტური ჩარევის კალკულირების შეუძლებლობასთან ერთად მატულობს კატასტროფულ ალტერნატივათა დადგომის რისკი. მაგრამ დეფეტიზმი* მცდარი დანასკვი იქნებოდა. დასაბუთების ტვირთის გადანაწილების კონსერვატორიული წესი ცდილობს, მიაფუჩეჩოს ის *ფილემ*, რომ პედანტური მცდელობა ლამის არის ყველაფრის გაღებისა ოღონდ კი პროვოცირებული კატასტროფა თავიდან იქნეს აცილებული, არათუ არ გვიფარავს იმ ფაშისტური კატასტროფიდან, რომელიც ბუნებრივად იწყება ხოლმე, არამედ პირიქით, მის პირისპირ უმწეოდ გვტოვებს.

მაგრამ თეორიასა და პრაქტიკას შორის მიმართების ახალ ამბივალენტურობებზე პრაქტიკის მხრიდან არა მხოლოდ რევოლუციური მერყეობა ზრუნავს ხოლმე, არამედ ამას თეორიის მხრივ ყალბი ცნობიერების თავგამოდებაც ზედ ერთვის. მარქსიზმის გააკადემიურებასთან ერთად ორგანიზირებული მეცნიერებაც მიმართებათა სისტემად იქცა,

---

[1] N Luhmann, Status quo als Argument, in: H.Baier, Studenten in Opposition, Bielefeld 1968, 73ff.

[2] H.Lübbe, Fortschrittsorientierung als Problem, Freiburg 1975. 32ff.

* Juste milieu – ფრანგულიდან, სამართლიანი გარემო – მთარგმნ. შენიშვნა

* Defaitismus – ჩავარდნა, ჩაბარება, დანებება — მთარგმნ. შენიშვნა.

რომლის შიგნით აუცილებელია, ამგვარი თეორიული საწყისებიც იქნენ დასაბუთებულნი.[1] საზოგადოების კრიტიკული თეორიისთვის ამას, სხვათა შორის, ორი შედეგი მოსდევს. იგი, ერთი მხრივ, ვალდებულია თეორიული საკითხის დაყენებანი რუდუნებით გადაამუშაოს ისეთ პრობლემად, რომელთა მეცნიერული დამუშავება იქნება შესაძლებელი; და მეორე მხრივ, იგი იძულებულია, ხელი აიღოს მეცნიერების იმ ფილოსოფიურ ცნებაზე, რომელიც ბოლოს ჰეგელმა დაიცვა წარმატებით და – აღიაროს მისი დებულებების პრინციპულად ჰიპოთეტური ხასიათი.[2] ამგვარი რეკიზია ზრდის დისტანციას თეორიასა და პრაქტიკას შორის, თუმცა ამავე დროს იგი თეორიას ათავისუფლებს ილუზიური უტყუარობებიდან და გადაწყვეტილებებსა და პასუხისმგებლობებს ერთმნიშვნელოვნად აკისრებს მათ, ვინც ვალდებულია, ზიდოს რისკი თავიანთი ქმედების შედეგების გამო.

ბ) აგნეს ჰელერი ხელახლა მიყენებს იმ შესიტყვებას, რაც ჩემთვის სხვადასხვა მხრიდან წამოუყენებიათ იმის გამო, რომ მე ერთმანეთისგან ვმიჯნავ შრომისა და ინტერაქციის კონცეპტებს.[3] ერთი სიტყვით, ეჭვი მიაქვს იმაზე, თუ რამდენად სწორია „ინსტრუმენტულ ქმედებაზე" „შრომის" ჩემეული დაყვანა; ამით სიღრმისეული განზომილებანი ეცილება შრომას, პროდუქტიულ მოღვაწეობას, პრაქტიკას; იკარგება შრომის „ანთროპოლოგიური მნიშვნელობა. ყოვლის უწინარეს კი ისპობა შემოქმედებითობისა და თვითგანხორციელების ნორმატიული შემცველობა; ხოლო გაუცხოებული შრომის კონცეპტი თავის სიმძაფრეს დაკარგავდა იმ რაციონალობის გარეშე, რომელიც შინაგანად ახასიათებს ადამიანურ არსობრივ ძალათა გასხვისებას, გასაგნობრივებასა და ათვისებას. ამ შესიტყვებას ა. ჰელერი ადვილად დასამახსოვრებელი ფორმულით გამოთქვამს, რომ საზოგადოებრივ პრაქტიკაში ისევე უნდა იდოს არადეფორმირებულ მიზანმოღვაწეობაზე პრეტენზია როგორც იგი არსებობს შეურყვნელ კომუნიკაციაზე.

საქმე არ არის ისე, რომ მე არ მესმოდეს იმ ტრადიციის მნიშვნელობა, რომელსაც ჰუმანისტური მარქსიზმი ემყარება და რომელიც პრაქტიკის ფილოსოფიის სახელწოდებით არის წამოწყებული. ადრეული მარკუზეს ჰაიდეგერიანული მარქსიზმიდან და ადრეული სარტრის ჰუსერლიანური მარქსიზმიდან გამომდინარეობენ იმპულსები, რომლებიც

---

[1] A.Wellmer, Kritische Gesellschaftlischtheorie und Positivismus, Ffm. 1969.

[2] შეად. ჩემი დისკუსია ჰ. მარკუზესთან; in: J.Habermas, S.Bovenschen u.a., Gespräche mit Herbert Marcuse, Ffm. 1979.

[3] J.Keane, On Tools and Language, in: New German Critique, 1975, 82ff; Ben Agger, Work and Autority in Marcuse and Habermas, in: Human Studies, 1979, 191ff.; ყოვლის უწინარეს: J.Arnasson, Zwischen Natur und Gesellschaft, Ffm. 1976, Kap. III; ders., Revow of „Rekonstruktion des Historischen Materialismus", in: Telos, 39/1979, 201ff.

იუგოსლავიის პრაქსისის ჯგუფში მიიღეს კარელ კოზიკმა და ენკო პაკიმ; ეს იმპულსები ასევე ნაყოფიერი გახდნენ ბუდაპეშტურ სკოლაში და როგორც ამერიკული ჟურნალის „ტელოსის" ირგვლივ შემოკრებილი წრის მაგალითზე ჩანს, ფართო საერთაშორისო ზეგავლენა მოიპოვეს. პრაქტიკის ფილოსოფოსები იქითკენ მიისწრაფვიან, რომ კვლავ საცნაური გახადონ მარქსული თეორიის მაემანსიპირებელი შემცველობა, რომელიც ისეა შერყვნილი საბჭოთა მარქსიზმში, რომ შეუძლებელია მისი ამოცნობა, — და სახელდობრ ეს ამოცანა განახორციელონ არაგაუცხოებული შრომის ანთროპოლოგიური ცნების რეაბილიტაციის გზით.

შემთხვევითი არ არის, რომ ა. ჰელერი ამ კონტექსტში ლაპარაკობს მარქსის ადრეული წერილების „რომანტიკული შტრიხების" შესახებ. ჰეგელზე თავისი წიგნის შესავალ თავში ჩ.ტეილორმა ეს მოტივები რომანტიზმის გავლით ჰუმბოლდტსა და შილერს, „ქარიშხალსა და შეტევას", ყოვლის უწინ კი ჰერდერს დაამყარა. პრაქტიკის ფილოსოფოსები ასაჩივრებენ, სწორედ იმ ხედვის მემკვიდრეობას, რაც გერმანულ კლასიკაში აღენთო; ეს არის თვითქმნადობაში განამდვილებული ინდივიდუალობის იდეალი. ტეილორი იკვლევს სწორედ ადამიანურ ექსპრესიულობას, შინაგან მიდრეკილებათა გამოხატვას, საზოგადოდ – არსობრივ ძალთა იმ ობიექტივაციას, რაც საფუძველად უდევს ამ იდეალს. იგი გამოყოფს ორ მომენტს. ჯერ ერთი, ფორმის არისტოტელური ცნების იდეალისტურ-აქტივისტურ სხვაგვარად განმარტებას: ინდივიდს თავისი არსების გაშლა ძალუძს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მწარმოებლურ მოღვაწეობაში.[1] მეორეც — ფორმის არისტოტელესეულსა და ესთეტიკურ ცნებას შორის რეფლექსურთეორიულ შუამავლობას: ქმნილებები, რომლებშიც სუბიექტურობა თვითგამოხატავს თავისთავს წარმოადგენენ როგორც ქმნის პროცესთა სიმბოლურ გამოხატულებას ისე

[1] „ჯერ ერთი, წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანის ფორმა შეიცავს შინაგან ძალას, რომელსაც იგი იყენებს გარეგანი რეალობის მიმართ, ეთქვათ — გარეგან დაბრკოლებათა გადასალახად. ამრიგად, სადაც არისტოტელური ფილოსოფია ზრდასა და განვითარებას და ადამიანური ფორმის რეალიზაციას — რომელიც წესრიგის ანდა წონასწორობისაკენ მიისწრაფვის უწესრიგობისა და დისჰარმონიის საფრთხის წინაშე მდგომად მიიჩნევდა — ექსპრესიული თეალსაზრისი თვლის, რომ ამგვარი განვითარება იმ შინაგანი ძალის გამომზეურებაა, რომელიც ცდილობს ხორცი შეისხას და თავისი სახე შეინარჩუნოს, მიუხედავად იმ ზეგავლენებისა, რაც მასზე შეესაძლოა, გარემომ მოახდინოს. ამრიგად, იდეალის რეალიზაცია მისი არა მარტო ისეთი ხორცშესხმაა, რომელიც თანხმობაშია იდეასთან, არამედ შინაგანად შობს კიდეც ამ იდეას; სინამდვილეში შეუძლებელია ამ ორი მოთხოვნის ერთმანეთისგან მოწყვეტა იმ პროცესში, რომელშიც ადამიანის საკუთრივი ფორმა ხორცს ასხამს თავისუფალი სუბიექტურობის ცნებას" (ch. Taylor, Hegel, London 1975, 15.)

ჩამოყალიბების პროცესთა სიმბოლურ გამოხატვასაც.[1] თვით-ისა და თვითმოღვაწეობის ამ ექსპრესივისტული მოდელიდან მიიღება ესთეტიკური, გენიალური მწარმოებლობის პროტოტიპულობა, რომელიც ნებას გვრთავს როგორც იმისას, რომ თვითგანხორციელების ავტონომია თვითგაშლის სპონტანურობას შევურწყათ, ასევე იმისასაც, რომ არსობრივ ძალათა შემოქმედებითს ობიექტივაციას ავაშოროთ იძულების მომენტი; კერძოდ — გარეგანი ბუნებისა თუ საკუთარი შინაგანი ბუნების ძალმომრეობა.

კლასიკურ პერიოდებში ეფექტურობა შეიძინა ამგვარმა წარმოდგენებმა როგორც განათლების იდეალმა; მაგრამ ამან, უპირველეს ყოვლისა, ტიუბინგენის საეკლესიო თეოლოგიურ-ფილოლოგიური ინსტიტუტის წრეში, ისეთი მოტივები შვა, რომლებიც შევიდნენ კანტის შემდგომ ფილოსოფიაში. ჩვენ არ ვეხებით საკითხს იმის შესახებ, ქმნადობის თვითშემოქმედებითი პროცესის ექსპრეზივისტულ მოდელს მხოლოდ ამდიდრებს თუ — როგორც ჩ. ტეილორი ფიქრობს — განსაზღვრავს კიდეც გონის ჰეგელისეული ცნება. ყოველ შემთხვევაში, ამან ჰეგელი აიძულა „ლოგიკურად" განემარტა და „რეალფილოსოფიურად" დაესაბუთებინა პროცესირებული გონის სტრუქტურა. მარქსს ხელთ არ ჰქონდა დასაბუთების მსგავსი ხელსაწყო. როგორც კი მარქსმა ჰეგელზე დაყრდნობით რომანტიზმიდან აიღო ქმნადობის ექსპრესივისტული იდეალი, როგორც კი მან ესთეტიკური მწარმოებლობა „გარჯითს გვაროვნულ ცხოვრებაზე" გადაიტანა, ხოლო საზოგადოებრივი შრომა მწარმოებელთა კოლექტიურ თვითგანხორციელებად გაიგო და ამ ნორ-

---

[1] „ექსპრესიონიზმის მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ის წარმოდგენაა, რომ ფორმის რეალიზაცია ცხადყოფს ანდა განსაზღვრავს იმას, რაც არის ეს ფორმა. თუ ჩვენს სახელმძღვანელო ანალოგიას მივუბრუნდებით, ისევე შეგვიძლია დაეინახოთ, რომ არსებობს ორი ასპექტი, რომლებიც შესაძლოა ერთიანდებოდნენ ამ იდეაში, როგორც იმას ეხედავთ, რომ პერსონის ქმედება ანდა ეესტი მის დამახასიათებელ თვისებას გამოხატავს. რაღაც, რასაც მე ვაკეთებ ანდა ვამბობ იმ აზრით გამოხატავს, ჩემს გრძნობებსა ან მისწრაფებებს, რომ მათ მე სხვებისთვის ანდა თვითონ ჩემთვის ვაცხადყოფებ. ამ აზრით ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ეინმეთა ქმედებებზე, როგორც მისი გრძნობების ანდა სურვილების ექსპრესიაზე, როცა ისინი ცხოვრებაში ატარებენ ანდა ხორცს ასხამენ მათს მისწრაფებებს. შეიძლება, ერთმანეთს მოვწყვიტოთ ეს ორი ასპექტი: მე შემიძლია ისე გამოვხატო ეერბალურად ჩემი სურვილები, რომ არ ვიმოქმედო; და მე შემიძლია ვიმოქმედო და ჩემთვისაც და სხვებისთვისაც გამოცანად დავრჩე; მაგრამ ხშირად ეს ორი ასპექტი ერთმანეთს ერწყმის და ხშირადვე ვამჟღავნებთ მიდრეკილებას, ვილაპარაკოთ როგორც ჩვენს თავზე, ასევე სხვებზეც; ისე რომ სინამდვილეში არ ვიცოდით რას ვგრძნობდით ანდა რა გვინდოდა მანამ, ვიდრე მოქმედებას არ განვახორციელებდით. ამრიგად, სუბიექტის ექსპრესია მაშინ არის ყველაზე სრული და ყველაზე დამაჯერებელი, როცა იგი ერთდროულად კიდეც ასხამს ხორცს თავის მისწრაფებებს და კიდეც ცხადყოფს მათ. (იქვე, 6).

მატიული ფონის წინაშე თანამედროვე, დაქირავებული მუშის მოღვაწეობა წარმოადგინა როგორც ერთსადაიმავდროულად გაუცხოებული და განმანთავისუფლებელი ძალა, იგი სიძნელეთა მთელი წყების წინაშე აღმოჩნდა. ამ სიძნელეთა დაძლევა შეუძლებელია პრაქტიკის ცნების ანთროპოლოგიზირებული განმარტების გზით, რომელიც ემყარება თავისი გონის ისტორიული მნიშვნელობის ჰორიზონტის სავსეობას. მე აქ შემიძლია მხოლოდ ჩამოვთვალო ეს სიძნელენი, მაგრამ მათ გამოწელილვით ვერ გავარჩევ.

თავდაპირველად საჭიროა, ანალიტიკურად აიხსნას ის, შესაძლებელია თუ არა საზოგადოდ, შრომის ეკონომიკური ცნება ერთსა და იმავდროულად შემოქმედებითი და მქმნელი მწარმოებულურობის კონცეპტად განივრცოს. საამისოდ ძნელად რომ იყოს საკმარისი ხელოსნური მოღვაწეობის მარქსის მიერ დამჯობინებული და რომანტიკულად განმარტებული მოდელი. იგი საკმარისი რომც ყოფილიყო, მაინც დარჩებოდა კითხვა იმის შესახებ, არის თუ არა მოღვაწეობის ეს პარადიგმატული მოდუსი ისევე საყოველთაო როგორც — მიზანმოღვაწეობა და კომუნიკაცია. მეორე მხრივ წარმოების განვრცობილი ცნების ნორმატიული შემცველობისთვის შეუძლებელია საყურადღებოდ ვაქციოთ ის, რომ იგი როგორც გონების მოთხოვნა იმთავითვე არის ჩაშენებული საზოგადოებრივი კვლავწარმოების სტრუქტურებში. დაბოლოს უნდა მივუთითოთ გაუცხოებული შრომის დიალექტიკასა და კრიტიკულ-რევოლუციურ მოღვაწეობაზე – ორივე მათგანი ჯერ არს, წარმოადგენდეს ადამიანურ არსობრივ ძალთა გასხვისების, გასაგნობრივებისა და ათვისების ერთი და იმავე წრიული პროცესის სხვადასხვა მომენტებს.

ეს სიძნელე კარგად აქვს დამუშავებული ა. ჰონეთს: „მარქსი ეელარ გამოვიდა იმ საფუძველცნებითი სიძნელეებიდან, რომლებშიც იგი აშკარად გახლართა შრომის ცნების რევოლუციის თეორიულმა გამოყენებამ. აზროვნების იძულება, რომელსაც იგი შრომა-მოქმედების მაემანსიპირებელ გადაფასებას აკისრებს, იმდენად მძლავრია, რომ იგი ცდილობს თავის თეორიის განვითარების თითოეულ სიბრტყეზე სოციალ-რევოლუციური სწავლის პროცესი, რომელმაც ხამს, კაპიტალიზმიდან გაგვიყვანოს, საზოგადოებრივი შრომის შინაგან მიმართებებზე დაიყვანოს, მაგრამ ისე რომ შემუშავებული არა აქვს ასეთი დაყვანის მოქმედების თეორიულად დამაჯერებელი მოდელი“.[1] სხვათა შორის, რეალისტურად უყურებს ჰონეთი ინდუსტრიული შრომის განვითარებას, რომელიც რაციონალიზების იმპერატივის წნეხქვეშ სულ უფრო და უფრო შორდება ხელოსნური მოღვაწეობის მოდელს. შესაბამისად ამისა, ინდუსტრიის სოციოლოგიაში შრომის კონცეპტი განიწმინდა ყველა ნორმატიული

---

[1] A.Honneth, Arbeit und instrumentales Handeln, in: A.Honneth, U.Jaeggi (Hrsg.), Arbeit, Handlung, Normativität, Theorien des Historischen Materialismus, S.197. H2, Ffm.1980.

შემცველობიდან, ხოლო სოციალურ ფილოსოფიაში მას ჩამოერთვა შრომის მაემანსიპირებელი ძალის როლი. თუ სამუშაო დროის შეკვეცის ტენდენციებსა და შრომის ცხოვრების გარემოული მნიშვნელობის შესაბამის გაუფასურებას მივიღებთ, აღმოჩნდება, რომ ინდუსტრიული შრომის განვითარება ნიადაგს აცლის პრაქსისის ფილოსოფიას. მაგრამ თუ ინდუსტრიული შრომის წარმოების, ესთეტიკური ფასის აწევა უსაგნო შეიქნება, მაშინ მთელი პრობლემატიკა ვიწროვდება და თავს იყრის „შრომის სამყაროს ჰუმანიზირების" გონივრულ სოციალ-პოლიტიკურ საზომზე".[1]

ა. ჰელერი ამ კონტექსტში, ეტყობა, ა. გიდენსივით იქიდან ამოდის, რომ შრომის ფილოსოფიურად დრამატიზირებულ ცნებასთან ერთად; იმ შრომისა, რომელიც გაიგივებულია შემოქმედებითი თვითგანხორციელების აზრით გაგებულ პრაქტიკასთან, არც იმის შესაძლებლობა გამოდის, რომ შენარჩუნებული იქნეს გაუცხოებული და აბსტრაქტული შრომის საზრისი. მაგრამ თვითონ მარქსმა იმთავითვე უკუაგდო შრომის ანთროპოლოგიური გამოხატულებების მოდელი, რომელიც ჯერ კიდევ „პარიზულ ხელნაწერებში" გაუცხოებული შრომის კრიტიკის მასშტაბად გამოდიოდა და ნორმატიულ დასაბუთებათა პრობლემის სიმძიმე

---

[1] სხვა პრობლემას უკავშირდება მოთხოვნა სამუშაო ადგილის აეტონომიის თაობაზე. ისევე როგორც სამეწარმეო გადაწყვეტილებათა დემოკრატიული კონტროლის დამატებითი მოთხოვნა, ისიც ეხება ბატონობის ორგანიზაციას, ე.ი. – საზოგადოებრივი შრომის ინსტიტუციურ ჩარჩოებს გინა წარმოებითს ურთიერთობებს. ჰონეთი ამ მომენტს ებღაუჭება, რათა მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იხსნას პრაქსისის ფილოსოფიის საფუძველი. იგი ცდილობს, წაიფანტაზიოროს და „შრომის კრიტიკული ცნებიდან" გამოიყენოს ის მორალურ-პრაქტიკული ცნობიერება, რომელითაც „შრომის სუბიექტები რეაგირებენ კაპიტალისტურად თავიდან ბოლომდე ინსტრუმენტალიზირებული შრომა-მოღვაწეობის გამოცდილებაზე; მას უნდა, ამ კონცეპტით წვდეს იმ ინდუსტრიული სექტორების ლოგიკას, რომლებსაც წარმოადგენენ „ყოველდღიურ მოვლენად ქცეული ნორმათა დარღვევები და წინააღმდეგობის პრაქტიკები." თუკი ჰონეთთან ერთად დაეუშვებთ, რომ გადატრიალების ეს სახეობა მოტივირებულია მოღვაწეობის სურვილით, რომლის დროსაც „მოქმედების თანმხლები კონტროლი და მოღვაწეობის საგანმართებულო სტრუქტურირება შრომის სუბიექტს ეკისრება, მაშინაც კი რაციონალობას, როგორც ყოველთვის, მხოლოდღა ფარულად გასაჩიერებული უფლებები გამოაქვს არა „ათვისების რაღაც ლოგიკიდან," არამედ – ნორმათა გამართლებადასაჭიროების ლოგიკიდან. ჰონეთი გვაპარებს მცდარ გენეტურ დანასკვნს: სამუშაო ადგილის აეტონომიის მართებული სურვილი შეიძლება მართლაც იყოს წარმოშობილი „წარმოების ტექნიკურად დარღვეული შრომამოქმედებების გამოცდილებიდან, მაგრამ ნორმატიული მოწესრიგების დასაბუთება, რომელიც დათრგუნულ ინტერესს ხელს უწყობს თავისი უფლების განხორციელებაში, პრაქტიკული დისკურსის ლოგიკას მიპყვება და არა–შრომის პრაქტიკისას, რომლის ადგილსამყოფელიც სადღაც ინსტრუმენტულსა და ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ ქმედებას შორის უნდა ყოფილიყო. შრომის ორგანიზაციის ნორმებიც მოქმედების ნორმებია, რომლებიც ამოცანებსა და ინტერაქციებს აწესრიგებენ.

შრომის ღირებულების თეორიაში გადაიტანა. მოგვიანებით საქონლის გაფეტიშების ანალიზს დაეკისრა განვითარების შედეგთა განმარტების ფუნქცია. ეს შედეგები იმის მეშვეობით ხორციელდება, რომ ისეთი სისტემური მექანიზმი, როგორიცაა ბაზარი წარმოების ისეთ სფეროებში კისრულობს მოქმედების კოორდინირების ფუნქციას, რომლებიც წინარეკაპიტალისტურ საზოგადოებებში მოწესრიგებულნი არიან ნორმატიულად; სახელდობრ — ტრადიციული ზნეობრიობის ფორმით. ჩემს „კომუნიკაციური ქმედების თეორიაში" – რომელზეც აქ მხოლოდ მითითება ძალმიძს — მე შევეცადე შემომეთავაზებინა ამგვარ განაზრებათა ეკვივალენტი. მე იმით ვხსნი თანამედროვე საზოგადოებათათვის დამახასიათებელ გაუცხოების ფენომენებს, რომ კომუნიკაციურად სტრუქტურირებული ცხოვრების სამყაროს სფეროები სულ უფრო და უფრო ექვემდებარებიან გათვითმყოფებულ სისტემათა იმპერატივებს, რომლებიც გათავისთავადებულნი არიან ფულისა და ძალაუფლების მოდუსთა გზით და წარმოადგენენ ნორმათაგან თავისუფალი სოციალობის ნაკვეთს. საჭიროა, კომუნიკაციის თეორიულად განიმარტოს ის, რომ ცხოვრების სამყარო სოციალური ინტეგრაციის ფორმებზე დამოკიდებული რჩება და განვითარების ეფექტთა გარეშე არ ხერხდება მისი სისტემის მაინტეგრირებელ მექანიზმთა პოლუსების შეცვლა.

(ბ) შრომის ფილოსოფიური ცნების გამძლეობის თაობაზე დავიდან წარმოიშვა შეკითხვა იმის შესახებ, შეიცავენ თუ არა მიზანმოღვაწეობისა და ენობრივი ურთიერთგაგების სტრუქტურები გონების პოტენციალს, რომლის დამაჯერებელი რეკონსტრუირება აღარ შეიძლება თვითგანხორციელების ექსპრესიული მოდელის მიხედვით.. ამ საკითხს – რომელსაც სხვა სტატიებში განვიხილავ – კიდევ ერთხელ მივუბრუნდები. აპელერი თავდაპირველად იმ თეორიის ფორმალიზმის წინააღმდეგ ექსისტენციალისტური უნდობლობის რაღაც ნაირსახეობას მიმართავს, რომელიც ემანსიპაციის პროცესებს კომუნიკაციური რაციონალობის განხორციელების თვალსაზრისით განიხილავს. ამ თეორიის წინააღმდეგ იგი ლამის არის ვებერული მსოფლხატის ელემენტებს იყენებს: ღირებულებითს ორიენტირებს, რომლებიც გადაწყვეტილებათა საბოლოო საფუძველს წარმოადგენს; იმ ფაქტს, რომ სოციოკულტურელური ცხოვრების წესები მხოლოდ და მხოლოდ მრავლობითში გვეკლინებიან; დაბოლოს — ისტორიის წარუშლელ ტრაგიკულ სუბსტანციას. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ როგორც რწმენის ძალთა პოლითეიზმის ისე პროგრესის დიალექტიკის ე.ი. იმ ელემენტების მართებული ინტერპრეტირება, რომელთა უარყოფის არანაირ ცდუნებას არ განვიცდი, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა უარყოფილია ის დეციზიონიზმი, რომელიც ვებერის მიერ თავიდან ბოლომდე ნეოკანტურადაა გათამაშებული, ხოლო სარტრის მიერ – ექსისტენციალისტურად.

ა. ჰელერს უნდა, კომუნიკაციური რაციონალობა განსაკუთრებულ ღირებულებად წარმოაჩინოს, რომელსაც შეგვიძლია, მივემხროთ ან დავუპირისპირდეთ. შესაძლებელია მისი თეზის ოდნავ სხვაგვარად აქცენტრირებული მნიშვნელობით ინტერპრეტირება: თუ ჩვენ გვინდა საზოგადოდ ემფატურად „ვწყვეტდეთ" ე.ი. ცხოვრებას თავისუფლებით ეწვდებოდეთ და მას ცნობიერად ვუძღვებოდეთ, მაშინ შეუძლებელია *მხარს არ ვუჭერდეთ* კომუნიკაციური რაციონალობის განხორციელებას. საპირისპიროდ ამისა, რაციონალობის იმ პრეტენზიების ფორმალური გინა ტრანსცენდენტალურ-პრაგმატისტული დასაბუთება, რომლებიც მუდამ უკვე არიან გამოყენებულნი კონსენსისმქმნელ პროცესებში, ხამს საიმისოდ გვაცდუნებდეს, რომ გავაბუნდოვანოთ საბოლოო დასაბუთების უქონელი, ექსისტენციალური გადაწყვეტილების მომენტი. ამისაგან განსხვავებით ჩემი თეზა შედარებით კონვენციურად იკითხება. ყოველთვის როცა კი ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტებს უნდათ, ნორმათა ანდა გამონათქვამთა მნიშვნელოვნების სადაო პრეტენზიების თაობაზე გადაწყვეტილებას მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტთა საშუალებით მიაღწიონ, მათ არ შეუძლიათ, ინტუიტურად არ დაემყარონ ისეთ საფუძვლებს, რომელთა განმარტება კომუნიკაციური რაციონალობის ცნების დახმარებითაა შესაძლებელი. არ არის *საჭირო*, რომ დისკურსის თანამონაწილენი პირველად ამ ფუნდამენტზე ერთიანდებოდნენ; რადგან ენობრივი ურთიერთგაგებისთვის შინაგანად დამახასიათებელი რაციონალობის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება *სულაც არ არის შესაძლებელი*. კომუნიკაციურ ქმედებაში ჩვენ მუდამ უკვე ვართ ორიენტირებულნი მნიშვნელოვნების ისეთ პრეტენზიებზე, რომელთა ინტერსუბიექტურ აღიარებაზეც არის დამოკიდებული შესაძლო კონსენსი.

ა. ჰელერი ნაცვლად ამისა, მიუთითებს იმ აბსტრაქტულ ალტერნატივაზე, რომ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული განწყობა გაუქმებული იქნას წარმატებაზე სტრატეგიული ორიენტირებულობის სასარგებლოდ ანდა — „სულაც ნუ მივიღებთ გადაწყვეტილებებს, არამედ უბრალოდ სწრაფვებს, გრძნობებსა და ჩვევებს მივსდიოთ"-ო. არჩევანის ეს შესაძლებლობა აბსტრაქტული რჩება, რადგან იგი მხოლოდ ცალკეული აქტორის პრესპექტივის მიხედვითაა მოცემული; ხოლო ცხოვრების სამყაროს პერსპექტივიდან — რომელსაც მუდამ განეკუთვნება ხოლმე აქტორი — ქმედების მოდუსები უბრალოდ ჩვენ განკარგულებაში როდი არიან. ცხოვრების სამყაროს სიმბოლურ სტრუქტურათა კვლავწარმოება სწორედ რომ კულტურელური ტრადიციის, სოციალური ინტეგრაციის და სოციალიზაციის ფორმებში ხორციელდება; ხოლო ამ პროცესთა შესრულება – და ამის ჩვენება შეიძლება – *შესაძლებელია* მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული მედიუმის გზით. ამიტომ იმ სუბიექტებსაც კი კომუნიკაციურსა და სტრატეგიულ ქმედებას შორის არჩევანის აბსტრაქტული თავისუფლება ენი-

ჭება, რომლებსაც სხვანაირად არ ძალუძთ იდენტობის მოპოვება და განმტკიცება თუ არა ისე, რომ განაგრძონ ტრადიცია, მიინიჭონ ამის უნარი სოციალური ჯგუფებისადმი კუთვნილების მეშვეობითა და მასოციალიზირებელ ინტერაქციებში მონაწილეობის გზით. ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების კონტექსტებიდან და ამის მეშვეობით კომუნიკაციურად სტრუქტურირებული ცხოვრების სფეროდან გრძელვადიანი გამოსვლის არჩევანი, ნიშნავს სტრატეგიული ქმედების მონადურ განმარტოებაში მიბრუნებას; იგი მყარად თვითდესტრუქციულია. კომუნიკაციური რაციონალობა, სწორედ როგორც დათრგუნული რაციონალობა, რომ უკვე ინტერაქციის არსებულ ფორმებშია ხორცშესხმული და რომ არ ხდება თავდაპირველად მისი როგორც ჯერარსულის პოსტულირება, ეს ჩანს ბედისწერის იმ კაუზალობაში, რომელიც ჰეგელმა და მარქსმა თავთავიანთებურად ცხადყვეს დაფხრეწილი ზნეობრიობის ფენომენის მაგალითზე: – იმათ რეაქციათა მაგალითზე, რომლებიც საბედისწერო კონფლიქტებს გაურბიან ანდა უძალიანდებიან; ანდა, რომლებმაც ან ავადმყოფობა, თვითმკვლელობა და დანაშაული დაიტეხეს ანდა აჯანყდნენ და რევოლუციური ბრძოლა გააჩაღეს.

კომუნიკაციური გონება ისტორიაში ოპერირებს როგორც შურისმგებელი ძალაუფლება. მაგრამ თეორია, რომელიც ნაცვლად ამ გონების ბედისწერად მისტიფიცირებისა, სტრუქტურულ ნიშანთა მიხედვით ახდენს მის იდენტიფიცირებას და იგი პროცედურული რაციონალობის ცნებაზე დაჰყავს, სწორედ თავისი ფორმალიზების მეოხებითაა დაცული იმ საფრთხეთაგან, რომ პრეტენზიების დოგმატური უტრირება მოხდეს. ასეთი თეორიის განკარგულებაშია ურთიერთობათა კრიტიკის მასშტაბები, რომლებიც უკუაგდებენ ლეგიტიმურ წესრიგთა და მნიშვნელად ნორმათა ზნეობრიობასთან ერთად მოცემულ შეპირებას, ხორცი შეასხან საყოველთაო ინტერესებს – მაგრამ იგი არასგზით არ შეიძლება მიმართული იყოს ურთიერთკონკურენციაში მყოფ ცხოვრების წესთა ღირებულების მიღმა. მაგრამ, რა თქმა უნდა, კომუნიკაციური რაციონალობის ცნება უტოპიურ პერსპექტივასაც შეიცავს. უვნები ინტერსუბიექტურობის სტრუქტურებში შეიძლება როგორც ინდივიდთა შორის ძალადაუტანებელი ურთიერთგაგების *აუცილებელი* პირობების, ისე იმ პირობათა ამოკითხვა, რომლებიც აუცილებელნი არიან თავისთავთან ძალადაუტანებელი თანხმობის მაძიებელი ინდივიდისთვის. მაგრამ ეს პერსპექტივა არ მოიცავს *მხოლოდ შესაძლო* ცხოვრების წესთა და ცხოვრებისეულ ისტორიათა კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის ფორმალურ განსაზღვრებებს; იგი არ ვრცელდება პროტოტიპული ცხოვრების წესის ანდა ცხოვრების სანიმუშო ისტორიის კონკრეტულ სახეზე. ცხოვრების ფაქტიური წესები და ცხოვრების ფაქტიური ისტორიები განუმეორებელ ტრადიციებში არიან ჩადებულნი. ა. ჰელერი სამართლიანად ირწმუნება იმას, რომ ბატონობისგან თავისუფალი კო-

მუნიკაცია შეიძლება მიჩნეული იქნეს „კარგი ცხოვრების“ აუცილებელ პირობად, მაგრამ იგი არასგზით არ შეიძლება იქნეს მიჩნეული წარმატებული ცხოვრების წესის ისტორიული არტიკულაციის *საკმარის* პირობად.

ამიტომ არ იქნებოდა ლოგიკური საზოგადოების თეორიისთვის თავს მოგვეხვია ამოცანა „მოთხოვნილებათა სისტემის“ ანუ ცხოვრების წესის ტოტალობის რეკონსტრუირებისა. რადგან ა. ჰელერის საზოგადოების თეორია არ არის ფორმალისტურად საკმარისად დაფუძნებული, იგი იძულებულია *თეორიული* პლურალიზმი გამოიყვანოს იმ ფაქტიდან, რომ ცხოვრების წესები მრავლობით რიცხვში გვხვდებიან. მე მგონია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ფორმალიზმია ის – რომლის კრიტიკის აუცილებლობაშიც დარწმუნებულია ა. ჰელერი — რასაც ხელ ეწიფება მისი დაცვა იმიდან, რომ მან თავიდან არ წამოაყენოს ემფატური ჭეშმარიტების ცნების მნიშვნელობით გაგებული თეორიის პრეტენზია ფილოსოფიური ტრადიციის გადალახვისა (ე.ი. დაუშვას თეორია, ცხოვრების უტოპიურ მონახაზთა შემოსათავაზებლად), რათა შემდგომ რელატივიზმით უყოს ლოკალიზირება იმ დოგმატურ საფრთხეებს, რომლებიც ეგზომ სერიოზულად იჩენენ თავს.

იგივე ითქმის ჩემს წინადადებაზე, პროგრესის ისტორიულ-მატერიალურისტური ცნება ევოლუციის თეორიულად გავიგოთ-მეთქი. მე ვცადე, საწარმოო ძალთა დონე და წარმოებითს ურთიერთობათა სიმწიფე ამეხსნა მაობიექტივირებელი თვალსაზრისით და გამეზომა სწავლის იმ დონით, რომელიც დახასიათდება არა შინაარსთა, არამედ კოგნიტივურ სტრუქტურათა დახმარებით. თუ სწორია ჩემი ის ვარაუდი, რომ შესაძლებელია სტრუქტურათა (რომელსაც შემდგომი განმარტება ესაჭიროება) იერარქიზაცია, მაშინ „წინსვლები“* გინა ევოლუციონური სიახლენი ემყარებიან ბუნების პროცესთა კოგნიტივურ–მორალური დამორჩილების უნარებსა და მოქმედების მორალურად მნიშვნელოვანი კონფლიქტების გადაწყვეტას. რადგან პროგრესის ეს კონცეპტი, რომელიც *სულაც არ ეხება კარგი* ცხოვრების გრძნობადს — ოღონდ ჩემი ფიქრით — ისეთ ზონებს, რომლებიც მთლიანად გასხლტომია თეორეტიკულ შეტევებს, სოციალური ევოლუციის თეორიას არ აძლევს ბედნიერების წესრიგთა შესახებ დასკვნების გამოტანის ნებას. თუკი საერთოდ სადმე გადაინაცვლებს ბედნიერების ძნელად ასაწონ-დასაწონი ბალანსი, მაშინ ასეთი გადანაცვლება არ ხდება ცხოვრების სამყაროს რაციონალიზებაზე დამოკიდებულების მიმართებით. ტრაგიკული პროგრესის კონცეპტიდან, რომელიც შეიმუშავა ბენიამინმა (Benjamin) თავის ისტორიის ფილოსოფიურ თეზისებში, იქნება შეიძლებოდეს კიდეც ისტორიული მატერიალიზმის უფრო მოკრძალებული და უფრო ფრთხილი ასპექტის გადარ-

* Fortschritt- წინსვლა, პროგრესი (მთარგმნელის შენიშვნა)

ჩენა. პრობლემის გადაწყვეტის ახალ უნართა ხორცშესხმასთან ერთად წარმოდგება მოთხოვნიელებათა და გადაწყვეტილებათა ახალი კატეგორიები, იცვლება ვითარებათა სტრუქტურა, რომლებიც – თუკი ინტუიცია არ მღალატობს – ტანჯვას ერთსადაიმავდროულად უფრო სუბლიმირებულსა და უფრო ინტენსიურს ხდის. მხოლოდ და მხოლოდ საშინელება რჩება მარად იგივე, რადგან საშინელი უსაზღვნოა.

II კრიტიკა თეორიის წინააღმდეგ თუ კვლავ კრიტიკული თეორია?

რიუდიგერ ბუბნერი თავდაპირველად 1969 წელს გამოქვეყნებულ თხზულებაში: „რა არის კრიტიკული თეორია"?[1] დაჟინებით მოითხოვდა დიფერენცირებას თვითრეფლექსიის ცნებაში, რომელსაც იგი ხელახლა ასაჩვენებს წინამდებარე ტომის შესახებ დაწერილ სტატიაში.[2] მაგრამ სხვათა შორის, სწორედ ბუბნერის არგუმენტებმა საშუალება მომცეს, ამასობაში უფრო ნათლად გამემიჯნა ერთმანეთისგან კრიტიკად გაგებული თვითრეფლექსია და უნივერსალისტურად ორიენტირებული კვალადკონსტრუქციის აზრით გაგებული თვითრეფლექსია. „შემეცნება და ინტერეს"-ის (1973) ბოლოსიტყვაობაში მე ერთმანეთს დავუპირისპირე, ერთი მხრივ, საზოგადოდ შემმეცნებელი, მეტყველი და მოქმედი სუბიექტის კომპეტენციათა შესაძლებლობის პირობებზე რეფლექსია, და მეორე მხრივ, — არაცნობიერად წარმოშობილ ზღვარდებულებებზე რეფლექსია, რომელსაც ყოველთვის ექვემდებარება განსაზღვრული სუბიექტი თავისი ჩამოყალიბების პროცესში. რეფლექსიის პირველმა ტიპმა კანტთან და მის მიმდევრებთან მიიღო შესაძლო თეორიული ცოდნის (და მორალური ქმედების) *ტრანსცენდენტალური დაფუძნების* ფორმა. თეორია, ანდა საზოგადოდ, თეორიული შემეცნება რომ ტრანსცენდენტალურად ფუძნდება, იგი მიენდობა აუცილებელ იმ სუბიექტურ პირობათა წრეს, რომლებიც თეორიას შესაძლებელყოფენ *და* ზღუდავენ კიდეც... ჰეგელმა „ფენომენოლოგიაში" ცნობიერების თვითკრიტიკული ზღვარდებულება, რომელიც თავდაპირველად ნაივურად გაცნობიერებულის განპირობებულობის ტრანსცენდენტალური ანალიზის გზით ხორციელდება, დაუკავშირა სხვა აზრით გაგებულ რეფლექსიას: თვითშობილი ფსევდოსაგნობრიობის კრიტიკულ გაუქმებას — ანდა სხვა სიტყვებით: *ობიექტური მოჩვენებიდან ანალიტიკურ გათავისუფლებას*. შემდგომში ფროიდმა ეს თვითკრიტიკა შემეცნების თეორიულ კონსტექსტებს მოსწყვიტა და იმ სუბიექტის რეფლექსურ გამოცდილებას შეუ-

[1] Wiederabgedr. In: Hermeneutik und Ideologikritik, 1971, 160ff.
[2] R.bubner, Habermas' Concept of Critical Theory. Thompson, Held (1982), 42ff.

ერთა, რომელიც აღქმისა და მოქმედების იძულებით შეკვეცილ ნიმუშთა გამო თავისი თავის თაობაზე ტყუვდება და თავს მხოლოდ ამ ილუზიათა განჭვრეტით ითავისუფლებს".[1] ჰ.ოტმანისგან განსხვავებით, რომელიც რევიზიას ემყარება, ბუბნერი დაჟინებით იმეორებს საყვედურს იმის თაობაზე, რომ მე კანტიანური გაგებით „კრიტიკას" ძველებურად ვურევ ახალგაზრდაჰეგელიანთა მნიშვნელობით გაგებულ „კრიტიკაში" და ამას თითქოსდა განსაკუთრებით ჩავდიოდე ენის თეორიის კონტექსტში. ბუბნერი აქ იმ კონფუზიის კვალს ჰხედავს, რომელიც — როგორც იგი ფიქრობს — მან უკვე მარქსთან, ლუკაჩთან და ფრანკფურტის სკოლის ძველ თაობაში აღმოაჩინა. ამ საყვედურს იმგვარად მინდა ვუპასუხო, რომ ჯერ ერთი (1) ორმნიშვნელოვან სიტყვათხმარებას, რომელსაც ბუბნერი მომაწერს, მე ჩემი მხრივ ვაკრიტიკებ და მეორეც (2) — ისე, რომ სპეციალურად ვაანალიზებ ბუბნერისეულ შესიტყვებებს.

(1) მარქსთან თუნდაც იმის გამო არ შეიძლება მოიპოვებოდეს კრიტიკის კანტიანური და ახალგაზრდაჰეგელიანური გაგებების კონფუზია, რომ იგი თავს იკავებს ყოველი ფილოსოფიური გამოკვლევისგან, რომელიც გამიზნულია გონების უნარის კრიტიკაზე. მაგრამ მარქსი თავისი თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის „კრიტიკაში" სრულიად ორკეც მნიშვნელობას დებს; ჯერ ერთი, რომ იგი კაპიტალიზმის „მოძრაობის კანონთა" მისეულ თეორიას სხვა ეკონომიკურ თეორიებთან კამათის გზით მოიპოვებისა და მეორეც, ამავე დროს, იგი *ფარდას* ხდის ბურჟუაზიული ეკონომიის *იდეოლოგიურ შემცველობას*. მარქსს ორივე რამ ერთდროულად სურს: მოკონკურენტე საწყისები უკუაგდოს კიდეც როგორც თეორიები და ამხილოს კიდეც ისინი როგორც იდეოლოგიები. იდეოლოგიის ეს კრიტიკა კი პრაქტიკულად უშედეგოა, ვიდრე იგი აგიტაციისა და განათლების გზით არ იქნება იმ მასების პოლიტიკურ ცნობიერებაში შეტანილი, რომლებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი ინტერესები და გადაწყვეტილი აქვთ, იბრძოლონ ამ ინტერესებისათვის. თვითონ იდეოლოგიის კრიტიკას, საჭიროების შემთხვევაში, ხელეწიფება იმ წესრიგთა ლეგიტიმურობის დამსხვრევა, რომელთა წინააღმდეგაც იგი ამგვარ „გადამტრიალებელ" პრაქტიკას მიმართავს. ყალბი ცნობიერების კრიტიკა არ არის იგივეობრივი იმ ინსტიტუტთა დამხობისა, რომლებიც ამგვარ ცნობიერებას ემყარებიან, თუმც კი მარქსი ორივე მომენტს აერთიანებს „კრიტიკულ-პრაქტიკული" მოღვაწეობის ცნებაში. ეს კი, თავის მხრივ, სპეციფიკურად ახალგაზრდაჰეგელიანურ მნიშვნელობას პირველად იმის მეშვეობით იძენს, რომ მარქსი კაპიტალისტურ სახელისუფლებო ურთიერთობათა გაუქმებას უკავშირებს *ფილოსოფიის გაუქმების* იდეას. ე.ი. იდეას გონების იმ პოტენციალის *განამდვილების* გაუქმებისა, რომელიც ერთსადაიმავდროულად ფილოსოფიურად გამოითქმება და თავს იკავებს კიდეც ამგვარი გამოხატვიდან.

---

[1] Erkenntnis und Interesse, 1973, 411ff.

ამ საკითხზე შეჩერება არ მინდა, ამიტომ ბუბნერის შეკითხვას მიეუბრუნდები იმის თაობაზე, თუ როგორ ახორციელებს მარქსი კაპიტალისტური მეურნეობრიობის სისტემის კანონზომიერებათა კვლევის ისე მოწყობას, რომ მეცნიერული განმარტება, ამავე დროს, იკითხებოდეს თავის მოტყუების გამოაშკარავებად, კერძოდ – ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკად. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმით, რომ მითითებული იქნება ღირებულების თეორიის განსაკუთრებულ სტატუსსა და, ამასთან ერთად, იმ დასაბუთების ტვირთზე, რაც მთლიანობაში აღებული თეორიისთვის ღირებულების თეორიას ეკისრება. ჯერ ერთი, მარქსს ღირებულების თეორია იმისთვის შემოაქვს, რომ მეურნეობრივი წრებრუნვის ანონიმური, თანამონაწილეთა მოქმედების ორიენტირებულობებით გამსჭვალული კონტექსტების შესახებ *პოლიტიკურ-ეკონომიური გამონათქვამები* აქტორების ინტუიტურად აწინდელი მოქმედების კონტექსტთა შესახებ *სოციოლოგიურ-ისტორიულ* გამონათქვამებად *თარგმნოს;* და მეორეც, მარქსი – რაგინდ შეუმჩნეველადაც იყოს – ღირებულების თეორიას რაციონალური ბუნებრივი სამართლის *ნორმატიულ* ბირთვს უნერგავს; სახელდობრ – იმ იდეას, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველაფერი აწყობილი მხოლოდ მანამდე იქნება, ვიდრე გაცვლილი ეკვივალენტები მხოლოდ მოჩვენებითი ეკვივალენტები კი არ არიან, არამედ გახარჯული სამუშაო ძალისდაკვალად ფაქტობრივ ეკვივალენტებსაც წარმოადგენენ. ამიტომ არის, რომ გაცვლის პროცესთა ის ანალიზი, რომელიც შესრულებულია ღირებულების თეორიულ გამოთქმებში ამავე დროს თანამონაწილე აქტორთა ცნობიერებაში ამ პროცესების ილუზორული არეკვლის შესახებ კრიტიკული მსჯელობის ნებას გვრთავს.

რამდენადაც ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების შეცვლილ ისტორიულ გარემოებებში ფრანკფურტის სკოლის ინტერესმა პოლიტიკური ეკონომიიდან, რომელსაც ხამს, კრიზისები აეხსნა კულტურის თეორიაზე გადაინაცვლა, რომელსაც ხამს, აეხსნა ის, თუ განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებებში მეურნეობისა და სახელმწიფოს კრიზისმა რატომ *არ* გამოიწვია მოსალოდნელი დეზინტეგრაციები, ამდენად გარდაუვალი იყო ის, რომ ღირებულების თეორიასაც – რომელიც სხვა მიზეზთა გამო იქცა პრობლემატურად – დაეკარგა პრივილეგირებული მდგომარეობა. ირონიას იწვევს ის, რომ კვლავ ცენტრალური მნიშვნელობა შეიძინა იმ ფილოსოფიამ, რომელიც ბურჟუაზიულ იდეალებს ელოლიავება და ეს ხდება მას შემდგომ, რაც მარცხით დასრულდა მისი გაუქმების მცდელობა. კრიტიკული თეორია იმ სახით, რა სახეც მან „სოციალური კვლევის ჟურნალში" მიიღო, თავის დადებით დამოკიდებულებასაც კი ანახლებს ბურჟუაზიული ეპოქის ფილოსოფიასთან. საზოგადოების თეორიამ ისე უნდა გადმოიღოს ამ ფილოსოფიიდან გო-

ნების ცნება, რომ მან არ დაკარგოს თავისი ნორმატიული საფუძველი. „გონება“-ო – ამბობს მარკუზე თავის სტატიაში, რომელიც განასრულებს კრიტიკული თეორიის ტრადიციული თეორიიდან ჰორკჰაიმერისეულ პროგრამატისტულ გამიჯვნას – ფილოსოფიური აზროვნების ძირითადი კატეგორია, ის ერთადერთი კატეგორიაა, რითაც ეს აზროვნება კაცობრიობის ბედისწერას უკავშირდება.“[1] და შემდგომ: „გონება, გონი, მორალურობა, შემეცნება, ნეტარება მხოლოდ ბურჟუაზიული ფილოსოფიის კატეგორიები კი არ არიან, არამედ კაცობრიობის საქმეებს წარმოადგენენ. რაკი ასეთ საქმეებს წარმოადგენენ, ამიტომ საჭიროა მათი გაფრთხილება ანდა თავიდან მოპოვება. როცა კრიტიკული თეორია ფილოსოფიურ მოძღვრებებს განიხილავს, რომლებშიც ადამიანზეც უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, პირველ ყოვლისა, იგი იმ შენიღბულობებსა და გამრუდებულ ინტერპრეტაციებს არჩევს, რომელთა საფარველქვეშაც ადამიანის შესახებ ლაპარაკი ბურჟუაზიულ პერიოდში მიმდინარეობდა“.[2]

მაგრამ ტრადიციასთან იდეოლოგის კრიტიკული კამათი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ შეიძლება გამიზნული იყოს „ფილოსოფიურ ცნებათა და პრობლემათა ჭეშმარიტების შემცველობაზე“ (640), რომ *კრიტიკა თეორიული ვარაუდებითაა წარმართული*; ადრე საზოგადოების მარქსისტულ თეორიაზე დაფუძნებული კრიტიკული თეორია, სხვათა შორის, იმაში დაჯერებულობასაც ემყარებოდა, რომ საწარმოო ძალები ობიექტურად გაშლიან დამანგრეველ ძალას. მხოლოდ და მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი, რომ კრიტიკა შემოიფარგლოს „იმ შესაძლებლობათა გაცნობიერებით, რომელი შესაძლებლობებითაც თვითონ ისტორიული სიტუაციაა მომწიფებული“ (7;647). მხოლოდ ამის გამო შეუძლია, მარკუზეს ირწმუნებოდეს, რომ „თეორიისთვის არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული ისტორიული სიტუაციის შესაძლებლობანი: ისინი მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების სახითაა მნიშვნელოვანი, და როგორც ასეთნი, შეეხებიან წარმოების პროცესში ადამიანთა ურთიერთობებს, საზოგადოებრივი შრომის პროდუქტთა გამოყენებას, ადამიანის აქტიურ მონაწილეობას მთელის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მართვაში“ (637).

ისტორიის *თეორიის* გარეშე არ არსებობს იმანენტური კრიტიკა, რომელიც ეხება ობიექტური გონის გეშტალტებს და „ერთმანეთისგან მიჯნავს იმას, რაც ადამიანი და ნივთი შეიძლება იყვნენ – და იმას, რაც ისინი ფაქტობრივად არიან“; მაშინ ასეთი რამ ისტორიულად უნდა დაკისრებოდა ეპოქის *შესაბამის* მასშტაბებს. ბუბნერი ამ პოზიციას ურევს იმაში, რაც გატარებულია „განმანათლებლობის დიალექტიკა“-ში.

---

[1] H.Marcuse, Philosophie und kritische Theorie, in: Z.f. Soz.forschg. Jg. 6, 1937, 632.

[2] Ebd., 640.

იმ პერიოდში, 1941 წელს, ადორნოსა და ჰორკჰაიმერს — ცოტა ხნის მერე მარკუზესაც — დაკარგული ჰქონდათ ისტორიის ფილოსოფიური ნდობა ბურჟუაზიული კულტურის იმ გონებრივი პოტენციალისა, რისი გამოთავისუფლებაც განვითარებულ საწარმოო ძალთა ზეწოლით სოციალურ მოძრაობაში უნდა მომხდარიყო. ამით, ასევე გაქრა „თეორიის მთავარი ბერკეტი". მას მერე საწარმოო ძალთა განვითარება, ისე როგორც კრიტიკული აზროვნება მის საპირისპიროსთან ბუნდოვანი შერევისა და მასთან ასიმილაციის პერსპექტივაში გვევლინება: გატოტალურებული ინსტრუმენტული გონება ტოტალიტარულ საზოგადოებაში ხორციელდება. ამით დაიმსხვრა კრიტიკული თეორიის კლასიკური სახე.

ინსტრუმენტული გონების ამ კრიტიკიდან, რადაც იდეოლოგიის კრიტიკა ფაქტობრივად გათვითმყოფადდა მისსავ თეორიულ კონტექსტთან მიმართებაში, მარკუზემ და ადორნომ ურთიერთსაპირისპირო შედეგები გამოიტანეს. მაშინ, როცა მარკუზე გონების ისტორიულად გაბუნდოვანებულ პრეტენზიას ლტოლვის თეორიულად ტოვებს კულტურის ზღურბლს მიღმა, რათა მოჯანყე სუბიექტურობის არქაული საფუძვლებიდან გონების ეკვივალენტი მოიპოვოს,[1] ადორნო თანამიმდევრულად უკუაგდებს ნორმატიულ საფუძველთა კვლავმოპოვების ყოველგვარ მცდელობას. იგი მთლიანად ეძლევა აზროვნების ნეგატიურობას, რომელიც თავისი თავის უარმყოფელი, თავისივე აპორიების წრეში მბრუნავი ფილოსოფიის განმარტოებულ ვარჯიშობაში ეხედავს ერთადერთ შესაძლებლობას, რომ სულ ცოტა იმ გონებაზე მაინც მიეთითოს – რაგინდ სუსტი იყოს იგი – რომლის შემცველობა ეზოთერული ხელოვნებითაა შესრულებული.

ამრიგად, არც მარქსი და არც კრიტიკული თეორია არ უშვებს იმ შეცდომას, რომელსაც მათ ბუბნერი აღრიცხავს. რა თქმა უნდა, *დღესდღეობით* ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი განვერიდოთ და ბრმად არ მივყვეთ მარქსის ღირებულების თეორიულ განაზრებებს, და ძველი თაობის ფრანკფურტელთა სკოლის ისტორიის ფილოსოფიას, რომელსაც უკვე არაფერი სცხია ორთოდოქსულობისა ან სულაც – ადორნოსა და მარკუზეს სასოწარკვეთილ მცდელობებს, როგორმე გამოვიდნენ ტოტალიტარული კრიტიკის ჩიხიდან. რა თქმა უნდა, ჩემი საკუთარი მცდელობა შეიძლება გაგებული იქნეს იმ მეცადინეობაზე დამყარებად, რომელიც კრიტიკულმა თეორიამ ორმოციანი წლების დასაწყისში წამოიწყო.[2]

---

[1] J.Habermas, Psychic Thermidor and Rebirth of Rebellious Subjectivity, in: Berkeley Journal of Soziology, XXV, 1980, 1ff. (Inzwischen überzetzt in: ders., Philosophisch-Politische Profile, Ffm. 1981, 319ff.)

[2] A.Honneth, Comunication and Reconciliation, in: Telos, Spring 1979, No39,45ff.

განზრახულია საზოგადოების თეორიის განახლება, რომელიც იმით უზრუნველიყოფს თავის ნორმატიულ საფუძვლებს, რომ კანტიდან, ჰეგელის გავლით, მარქსისკენ და მარქსიდან, პირსისა და დილთაის გავლით, მაქს ვებერსა და ჯ. ჰ. მიდამდე გზად მოპოვებულ აზროვნების ყველა გამოცდილებას ღებულობს და მათ *რაციონალობის თეორიად* ამუშავებს. ამასთანავე იგი ცხადყოფს გონების იმ ცნებას, რომელიც არც ისტორიზმს ეძლევა და არც ცოდნის სოციოლოგიას; იგი აბსტრაქტულ დაპირისპირებაში არ შედის არც ისტორიასთან და არც ცხოვრების საზოგადოებრივ კონტექსტთან. მხოლოდ ამ მცდელობაში ფასდება ჯეროვნად „კრიტიკის" კანტისეული მნიშვნელობა, რომელსაც *უშუალოდ* მოუხმო ავსტრიულმა მარქსიზმმა, პირველ ყოვლისა, კი – მაქს ადლერმა, II ინტერნაციონალის კაუცკიანიზმის წინააღმდეგ; ასევე — ჰეგელმარქსისტული ტრადიციის მნიშვნელობაც. პირველად „შემეცნებასა და ინტერეს"-ში დაუკავშირდა ერთმანეთს კანტიანურად და ფროიდიანულად გაგებული თვითრეფლექსიები. ეს მე უკვე მოხსენიებულ 1973 წლის ბოლოსიტყვაობაში განვმარტე.

ბუბნერი არ მოიხსენიებს იმ სიძნელეს, რომელიც ამ განმარტების მიხედვით თავს იჩენს „შემეცნება და ინტერესი"–სთვის. ამ სიძნელის ძალიან ნათელ ფორმულირებას იძლევა თ.ა. მაკქართი თავის წიგნში: „თეორიის თეორეტიკული ხასიათისა (რაციონალურ რეკონსტრუქციებს როგორც წმინდა ცოდნას) და პრაქტიკის პრაქტიკული ხასიათისთვის (კრიტიკას როგორც ქმედებისა და გამოცდილების სისტემად შემკვრელს) სამართლიანობის მიგებას რომ ცდილობს, ჰაბერმასმა ეტყობა ხელახლა გააჩინა ბზარი თეორიასა და პრაქტიკას, გონებასა და ემანსიპაციას შორის, რომლის ამოვსებასაც ლამობდა „შემეცნება და ადამიანური ინტერესი" („Knowledge and Human Interests"). უფრო სპეციფიკურად რომ ვთქვათ, თუკი მხოლოდ კრიტიკის მნიშვნელობით გაგებული რეფლექსიაა, რაც მისდევს სისტემურად გაუკულმართებულ კომუნიკაციაში ჩანერგილი თავის მოტყუებიდან განთავისუფლების ინტერესს; და თუკი გონების (თავის უწმინდეს ფორმაში) იდენტიფიკაციას რეფლექსიასთან აზრი აქვს, მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ რეფლექსია გაგებულია მეტყველებისა და ენის უნივერსალურ წინასწარგულისხმობათა რეკონსტრუქციად, მაშინ აქედან ეტყობა, ის გამომდინარეობს, რომ ემანსიპაციაში დაინტერესებულობა არ არის გონების როგორც ასეთი მახასიათებელი, არამედ იგი მხოლოდ მისი განსაკუთრებული გამოყენების თვისებაა; კერძოდ — კრიტიკული თვითრეფლექსიისა „ტრანსცენდენტალური" რეფლექსია, როგორც ჩანს, გამონაკლისია შემეცნების „ინტერესით დატვირთულობიდან". იგი არ მისდევს არც ტექნიკურ, არც პრაქტიკულ და არც ემანსიპაციის ინეტერესს. ამ აზრით იგი „ინტერესიდან თავისუფალია", და ჩვენ უკუმიებრუნებივართ ისეთ რაღაცას, რაც დაუინტერესებელი გონების ტრადიციულ ცნებას წააგავს. ან-

და, უკიდურეს შემთხვევაში, იგი მისდევს თვითონ ტრანსცენდენტალური რეფლექსიის სრულყოფის ინტერესს, და მაშინ ჩვენ დავბრუნებივართ რაღაცას, რაც წ

და რეციზიებისთვის; ამდენად მე არ ვიზიარებ კანტის აპრიორიზმს. ინტუიტივურსა და არარეკონსტრუირებულ ცოდნას თვითონ კომუნიკაციურად მოქმედი სუბიექტისთვისაც არ შეიძლება ჰქონდეს *თეორიული* უტყუარობა (რა თქმა უნდა, ტექსტის წაკითხვის ასეთ ვარიანტს მოითხოვს ჩემი ძირეული ფორმულირება), არამედ ამგვარ ცოდნას მისთვის აქვს ისეთი ყოველდღიურ-პრაქტიკული უტყუარობა, რომელიც დამახასიათებელია ცხოვრების სამყაროული, და მით უმეტეს, – ცხოვრების სამყაროსთვის კონტიტუციური ფონისეულ ცოდნისთვის.

თუ სწორია ის, რომ ენის ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული გამოყენება კომუნიკაციის თანამონაწილეთაგან მოითხოვს მათს ორიენტირებულობას მნიშვნელოვნების პრინციპულად კრიტიზირებადს პრეტენზიებზე; და თუ გონივრულია გონების ფილოსოფიური ცნების რეკონსტრუირება იმ როლის საფუძველზე, რომელსაც მნიშვნელოვნების ეს პრეტენზიები თამაშობენ ყოველდღიური თუ არგუმენტაციული სახის ურთიერთგაგების პროცესებში; მაშინ შესაძლებელია, რომ ურთიერთგაგების შინაგან ტელოსს — კანტისეული სიტყვათხმარების ანალოგიით – „გონების ფაქტი" ვუწოდოთ. ამგვარ შედარებას, რა თქმა უნდა, შემდგომი დიფერენცირებანი დასჭირდებოდა.

(ბ) მეტყველება, ქმედება, ცოდნა ბუბნერს უნდა, გონებაზე მიმართება – რასაც იგი ცოდნისთვის წინადაწინ ითვალისწინებს – როგორც მეტყველებიდან ისე ქმედებისგან, და ამით თვით (ცხოვრებისეულ სამყაროდ გაგებული) საზოგადოებიდან მოწყვეტილად განიხილოს. მე არა მგონია ჭკვიანური იყოს საზოგადოდ ცოდნის რაციონალობაზე ლაპარაკი; უმჯობესი იქნებოდა, თუ პრედიკატ „გონივრულს" გინა „რაციონალურს" ცოდნის მოპოვებისა და ენობრივი გამოთქმებისა და მოქმედებებში მისი გამოყენებისთვის შემოვინახავდით. *კომუნიკაციასა და მიზანმოლვაწეობას* შინაგანი მიმართება აქვთ იმ საფუძვლებთან, რა საფუძვლებითაც ენა და მოქმედება შემძლე სუბიექტები მეტყველებისა და ქმედების დროს ცოდნას იყენებენ და მას თავიანთ გამოთქმებში, სულ ცოტა, ფარულად მაინც მნიშვნელოვნების (და შესაბამისად, წარმატების) პრეტენზიებს უერთებენ. *კომუნიკაციურ ქმედებას* მე ახლა სოციალური ინტერაქციის იმ ფორმას ვუწოდებ, რომელშიც სხვადასხვა აქტორების მოქმედების გეგმათა კოორდინირება ხდება კომუნიკაციური აქტების გაცვლის გზით; სახელდობრ – ენის (ანდა შესაბამისი ექსტრავერბალური გამოხატულებებით) ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული გამოყენების საშუალებით. რამდენადაც კომუნიკაცია ურთიერთგაგებას (და არა მხოლოდ ურთიერთზემოქმედებას) ემსახურება, მახ ძალუძს, ინტერაქციებისთვის მოქმედების კოორდინირების მექანიზმის როლი იკისროს და ამით შესაძლებელყოს კომუნიკაციური ქმედება. თუ თანამონაწილის პერსპექტივიდან შევხედავთ, მაშინ კომუნიკაცია ინტერპერსონულ ურთიერთობათა წარმოებას ემსახურება; სოციალურ-მეცნიერული თვალსაზრისით იგი არის მედიუმი, რომლის მეშვეობითაც ხდება კომუნიკაციის თანამონაწილეთა მიერ ურთიერთგაზიარებული ცხოვრების სამყაროს

კვლავწარმოება. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი სისტემები არ განზავდებიან ამგვარ ცხოვრების სამყაროულსა და კომუნიკაციური ქმედების საშუალებით კვლავწარმოებულ კონტექსტებში. მხოლოდ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასეთი რამ ხდება, ურთიერთგაგების მექანიზმის შინაგანი რაციონალური სტრუქტურა საზოგადოებასაც უშუალოდ შეეხება.

ეს კონცეპტი არასგზით არ ნიშნავს იმის მცდელობას, რომ პრაქტიკულ გონებას უპირატესობა მიენიჭოს. პროპოზიციური ჭეშმარიტების, ნორმატიული სისწორისა და სუბიექტური გულწრფელობის გინა აუტენტურობის მნიშვნელოვნების პრეტენზიები, რომლებიც ჩაქსოვილია ყოველდღიურ კომუნიკაციურ პრაქტიკაში, თანაბარძირეულ ასპექტებს წარმოადგენენ, რომლებიც მხოლოდ თანამედროეობაში იმ ზომად მოსწყდნენ ერთმანეთს, რომ ყოველთვის არის შესაძლებელი კულტურელური ტრადიციები ამ ასპექტთაგან ერთ-ერთის მიხედვით დამუშავდეს და ტრადიციული პრობლემები ჭეშმარიტების, მართებულებისა და გემოვნების საკითხებად დახარისხდეს; გონების დიფერენცირება რაციონალობის იმ კომპლექსებად, რომლებსაც კანტისეული სამი გონების კრიტიკა ემყარება, მხოლოდ და მხოლოდ თვითონ დასავლური რაციონალიზმის ფასად თუ შეიძლება იქნეს უკუგდებული. ჩემთვის, მაგალითად, არაფერია უფრო უცხო, ვიდრე გონების სუბსტანციურ ერთიანობაზე დაფიცება და ამგვარი ჩამორჩენილობის ადეოკატობაა.

(3) იდეალი და ჭეშმარიტება. არაფერი ისე არ მაღიზიანებს როგორც ის, როცა სხვადასხვა ვერსიებსა და უდამახინჯებულეს კონტექსტებში დაჟინებით მომაწერენ ხოლმე, რომ კომუნიკაციური ქმედების თეორია რაკი ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვნების აღიარებულ პრეტენზიათა სოციალურ ფაქტიციტეტზე, თითქოსდა საზოგადოების რაციონალისტურ უტოპიას სახავდეს ანდა სულ ცოტა – მას ჩაგვაგონებდეს. მე არც ხრულად გაგამჭვირვალებულ საზოგადოებას განვიხილავ იდეალად და არც ის მინდა, რომ საერთოდ *რაიმენაირ* იდეალზე მივანიშნო; უტოპიური სოციალიზმის აჩრდილს მარტოდენ მარქსი როდი უფრთხოდა.[1] ეს ხუთ მცირე შენიშვნებას მოითხოვს.

---

[1] გადამერის მიერ წამოჭენებულ მსგავს საყვედურთან დაკავშირებით ჯ.მენდელენბონი აღნიშნავს: „კრიტიკული თეორია ოდესმე იჩემებდა კი, რომ მან ამგვარ გამჭვირვალეს მიაღწია ანდა–რომ იგი ორიენტირებულია რეგულაციერსა თუ ნორმატიულ იდეალზე? ჰაბერმასის მიხედვით აუცილებელია ერთმანეთისგან განასხვაოთ ის უკიდულელი წინასწარგაგებანი, რომლებიც, უბრალოდ, კულტურაში მავანის მონაწილეობიდან გამოძენილ-ერობენ და ის ყალბი რწმენანი, რომლებსაც ფესვი გაუდგამთ კომუნიკაციის სისტემურად გაუკუღმართებულ ფორმებში. კრიტიკულ თეორიას ეიმედება, გამოაღლოს ისეთი თეორეფლექსია, რომლითაც ადრესატი შეაღწევს კომუნიკაციაში და დაშლის ამ უკანასკნელს. მისი ნორმატიული იდეალია სრული გაუქმება თავისთავად თუ სხვებთან კომუნიკაციის სისტემატური გადალობებისა. მაგრამ მას არა აქვს პრეტენზია, რომ იგი აცნობიერებს ადრესატის ყველა წინარერწმენას. ეს შეუძლებელია. ამ აზრით ჰაბერმასი თანახმაა იმაზე, რომ ჩვენ „უფრორე მყოფნი ვართ, ვიდრე ცნობიერნი“ The Habermas-Gadamer Debate, New German Critique 18, 1979, 62f.)

I. იდეალურ სამეტყველო სიტუაციას თავისი ადგილღირებულება აქვს ჭეშმარიტების თეორიაში; ამ მოდელის საფუძველზე მე საკმაოდ ტლანქად ვცადე ამეხსნა არგუმენტაციული მეტყველების ფორმალურ-პრაგმატული წანამძღვრები. მაგრამ დისკურსები მხოლოდ კუნძულებს წარმოადგენენ პრაქტიკის ზღვაში; ოღონდ ისინი კომუნიკაციის არაჩვეულებრივი ფორმებია, რომელთა შესაძლებლობაზე, რა თქმა უნდა, ფარულად მიანიშნებს მნიშვნელოვნების პრეტენზიაზე ყოველდღიური აპელირება. მხოლოდ და მხოლოდ ამდენად არიან, აგრეთვე, იდეალიზირებანი ჩადებულნი ყოველდღიურობის პრაქტიკაში. მაგრამ მე მინდა მიუხედავად ჰერბერტ შნელბახის მიერ ამის თაობაზე გამოთქმული ეჭვისა, მაინც დავაფიქსირო მკვეთრი განსხვავება ნაიუურად განწყობილ კომუნიკაციურ ქმედებასა და მნიშვნელოვნების ჰიპოთეტურ პრეტენზიათა თაობაზე რეფლექსურ ურთიერთგაგებას შორის.[1]

II. ყოველდღიურ ქმედებაში ცენტრალური ალაგი უპყრია ფაქტსაწინააღმდეგო ელემენტს. მაგრამ ეს ასეა მხოლოდ ქვემორე შეზღუდვათა პირობებში:

– სიტყვათხმარების წმინდა მოდუსები მხოლოდ გამონაკლისებს წარმოადგენენ; საზოგადოდ ჭეშმარიტების, სისწორისა და გულწრფელობის პრეტენზიებზე ორიენტირებულობანი ერთიანდებიან სინდრომად, რომელიც მხოლოდ დროებით შეიძლება გადაწყდეს წამოჭრილი პრობლემის წნეხქვეშ;

– სიტუაციის ის დეფინიციები, რომლებიც ურთიერთდათმობათა გზით არის მიღებული და თანხმობანი, რომლებიც მნიშვნელოვნების კრიტიზირებული პრეტენზიების ინტერსუბიექტურ აღიარებას ემყარებიან, დიფუზიურნი, მსწრაფლწარმავალნი, შემთხვევითნი და მყიფენი არიან;

– ბუნებრივია, რომ კომუნიკაციური აქტები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იმოსავენ აშკარად ენობრივ ფორმას, მაგრამ, რა თქმა უნდა არაპირისპირ გამოხატულებათა, წინასწარგულისხმობათა, არაენობრივ ექსპრესიათა, ჟესტთა და ა.შ. სემანტიკური შემცველობა ენობრივი ბუნებისაა; – ისინი ენაზე მიუთითებენ;

– ყველა ინტერაქცია არ ექცევა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების კატეგორიაში; ერთი მხრივ, მოქმედების სისტემის ფორმალიზებების, მეორე მხრივ კი, გაინსტიტუციონალიზების ხარისხთან ერთად მატულობს სტრატეგიული ინტერაქციის ხვედრითი წილი, რომლის დროსაც თანამონაწილენი ორიენტირებულნი არიან შედეგებსა და წარმატებაზე და არა – თანხმობის ქმნაზე; ამასთანავე, ორივე ტიპის მოქმედებანი სხვადასხვანაირ რთულ ნარევებს წარმოქმნიან.

---

[1] H. Schnädelbach, Reflexion und Diskurs, Ffm. 1977.

III. ფორმალურ-პრაგმატული ანალიზები კომუნიკაციური ქმედების იდეალიზირებული შემთხვევებიდან ამოდიან, რაც *ტიპიურია თანამედროვე საზოგადოებათა* ყოველდღიურობისთვის. ცხოვრების სამყაროს რაციონალიზება, რომელზეც არის დამოკიდებული ურთიერთგაგების ფორმა, გამომდინარეობს დიფერენცირების იმ პროცესებიდან, რომელსაც ფესვები არქაულ ეპოქებში გაუდგამთ; მხოლოდ მის სრბოლაში გამოეყო პროფანულ პრაქტიკას საკრალური –, წარმატებაზე ორიენტირებულ მოქმედებებს – ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულნი, დისკურსებს - კომუნიკაციური მოქმედებანი. თანამედროვე საზოგადოებაში ურთიერთთანამშრომლობენ ურთიერთგაგების „არათანადროული" ფორმები.

IV. მეტყველების რაციონალური თვისებები, რომლებიც მეჟავნდებიან მეტყველების ცალკეული, კონტექსტზე არადამოკიდებული აქტის მოდელის მიხედვით, საბოლოოდ იმის საშუალებით რელატივირდებიან, რომ მხოლოდღა *მოჩვენებითად* არის შესრულებული ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების წინასწარგულისხმობანი. ცრუკონსენსი შეცდომასა და ცდომილებას ემყარება, მაგრამ იგი ასევე ეფუძნება იმას, რომ ინტერაქციის თანამონაწილე თვითონ ტყუვდება მის მიერვე დაკავებული სტრატეგიული განწყობის თაობაზე. ფსევდოკონსენსი, რომელიც იმაზეა დამოკიდებული, რომ კონსენსის მქმნელი პროცესებისთვის აუცილებელი პირობები თანამონაწილეთაგან შეუმჩნეველად არის დარღვეული, სისტემურად დამახინჯებულ კომუნიკაციას მოასწავებს.

V. დაბოლოს, სურათი იმით არის გართულებული, რომ ურთიერთგაგების ფორმათა გათვითმყოფადებისას ჩვენ სტრუქტურისა და განვითარების ლოგიკის შესახებ შეკითხვები რუდუნებით უნდა გამოვარჩიოთ კაუზალობისა და განვითარების დინამიკის შესახებ შეკითხვებიდან. ბუბნერის ვარაუდის საწინააღმდეგოდ მე არასოდეს მქონია სურვილი ცნების დიალექტიკური თვითგანვითარების ენის თეორიული განახლებისა. ცხოვრების სამყაროს სტრუქტურათა და შესაძლო ურთიერთგაგების ინტერსუბიექტურობის ფორმათა შესაბამისი ცვლილების რაციონალიზება, რომელსაც მე სტრუქტურალურად აღვწერ, შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი სისტემის ევოლუციონურ დინამიკაზე დაყრდნობით *აიხსნას*. ამდენად ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული სიტყვათხმარების გონებრივი პოტენციალის ანალიზმა შეიძლება (და ჯერარს) საზოგადოების თეორია არასგზით არ განტვირთოს შრომისა და ინტერაქციის იმ დიალექტიკისგან, რომელსაც ევნის პერიოდის ჰეგელი თავისებურად წარმოადგენდა.

(დ) *კომუნიკაციური ქმედების ცენტრალური ადგილლირებულება.* აქამომდელი შენიშვნები ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების მოდელის ადგილლირებულების გაშეფარდებითებას ეწევიან. მაგრამ მაშინ ისმის კითხვა, მოქმედებათა და ცხოვრების სამყაროთა ანალიზის გასაღებს რატომ მაინცადამაინც, ის მოდელი უნდა გვთავაზობდეს, რომელიც მრავალი ნიშნის მიხედვით არის გადახრილი ყოველდღიურობის კომუნიკაციური

პრაქტიკიდან: „ლინგვისტური კომუნიკაციის ყველა ფორმა როდი შეიცავს ურთიერთაღიარების სოციალური მოდელის რელიზაციის პოტენციალს“; სწორედ ეს გარემოება მიაჩნია ბუბნერს ძირითად განსხვავებად ცდისა და ცდისეული მსჯელობის საყოველთაო და აუცილებელი, და ამ აზრით, ტრანსცენდენტალური პირობის კანტისეული ანალიზიდან. ამავე მომენტზე არის გამიზნული მაკქართის მეორე შესიტყვება წინამდებარე წიგნის შესახებ დაწერილ მის სტატიაში. თუმცა მაკქართი იქ ჩემი დაცვის ხაზსაც შემოწერს. მაგრამ ჯერ მე მინდა რამდენიმე განმმარტებელი განსხვავება გავაკეთო.

(ე) კომუნიკაცია და მიზანმოღვაწეობა სოციალურ ინტერაქციათა ორ ერთნაირად ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. ინტერაქციები, მოქმედის კოორდინირებულობის მექანიზმისდამიხედვით ორ კლასად იყოფიან: კომუნიკაციური და სტრატეგიული ქმედებისა. ერთ შემთხვევაში კოორდინირება მომდინარეობს თანხმობის ქმნის, მეორე შემთხვევაში კი – ინტერესთა განლაგების დამატებითი შევსების გზით. ერთ შემთხვევაში ენობრივი კომუნიკაცია *უნდა* ემსახურებოდეს მოქმედების კოორდინირებას, მეორეში კი იგი *შეიძლება* იყოს მედიუმი მოქმედების კოორდინირებისა. რა თქმა უნდა, რამდენადაც სტრატეგიული ინტერაქციები ენობრივად არიან გაშუალებულნი, ამდენად ისინი ენაზე გავლენის საშუალებადაც გამოიყენებიან. სანქციების მოხმობით ეგო სხვას აიძულებს ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, რომლებიდანაც იგი გამოელის თავისი მიზნის მიღწევისთვის ხელსაყრელ შედეგებს. ამასთანავე ეგოს არ სჭირდება, რომ თავიდანვე მიეცეს ენის კონსენსისმქმნელ ფუნქციას, როგორც ეს საჭირო იყო კომუნიკაციური ქმედებისას. მაგრამ, როცა ეგო და სხვა თავიანთ მოქმედების გეგმებს *ერთმანეთს უთანხმებენ,* ე.ი. თავიანთ შესაბამის მიზნებს მოცემული სიტუაციის თაობაზე კომუნიკაციურად მიღწეული თანხმობის პირობით მისდევენ, ისინი იძულებულნი არიან, თავიანთი სიტყვათხმარება ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულად მოიმარჯვონ. ახლა მრავალი სააზროვნო ნაბიჯით შეგვეძლო გაგვეცხადყოფებინა ის ადგილღირებულება, რაც ქმედების საფუძველცნებას აქვს საზოგადოების თეორიისათვის.

თავდაპირველად გამოწვლილვითი ანალიზით იმის ჩვენება იქნებოდა აუცილებელი, რომ არასტრატეგიული სახის ყველა ინტერაქცია წარმოადგენს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ ქმედებათა დერივატებს. ამის მერე საჭირო იქნებოდა ცნების ანალიტიკურად დაგვესაბუთებინა ის, რომ ენის გონებრივმა პოტენციალმა მნიშვნელოვნება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციურ ქმედებაში შეიძინოს, რადგან ენობრივი კომუნიკაცია, ასე ვთქვათ, შობისთანავე კონსენსის ქმნაზეა გამიზნული და არა — ზეგავლენაზე. დაბოლოს, როგორც ცნებითად, ისე ემპირულად იმის ჩვენებაა აუცილებელი, რომ ცხოვრების სამყაროს სიმბოლური სტრუქტურების კვლავწარმოება მხოლოდ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების მედიუმის მეშვეობითაა შესაძლებელი. (ამ სახის არგუმენტები მე სხვაგან წამოვაყენე).

(ვ) სოფისტური საფრთხე. მარტო ბუბნერი როდი გვესიტყვება იმაში, რომ თითქოსდა გონებას, ენასა და საზოგადოებას შორის შინაგანი ურთიერთობის გაბმის გზით იმ შეცდომათა აღმოფხვრა ხდებოდეს, რომლებიც ეგზომ თვალნათლივად გააკრიტიკა პლატონმა თავის სოფისტ მოწინააღმდეგეებში. შესიტყვება იმის თაობაზე, რომ ჭეშმარიტების დისკურსის თეორია ანგრევს კედელს დასაბუთებულ დაჯერებულობასა და რიტორიკულ ილუზიას შორის (ილტინგი), უკიდურესად გამწვავებულ სახეს იღებს დღესდღეისობით ძალზე გავრცელებულ ნეოკონსერვატიულ პოლემიკაში, რომ თითქოსდა საზოგადოების კომუნიკაციის თეორია ყოველდღიურობის სამყაროს, რომელიც ტრადიციებზეა დამოკიდებული და ისტორიაშია ფესვგადგმული, უტოპიებსა, და ამით, განმანათლებლობით შეპყრობილ ინტელექტუალთა მბრძანებლობის ენებას უტევებდეს (მაუერერი). ეს პოლემიკა ემყარება იმას, რომ თითქოსდა თავისთავადცხადი იყოს წანამძღვარი, რომელიც უშვებს, ფილოსოფიის ისტორიის პლატონური ვარიანტი შემდგომ დასაბუთებას არ საჭიროებსო. ამასთანავე იგი ჩაგვაგონებს, რომ თითქოსდა უპრობლემოდ შესაძლებელი იყოს სუბსტანციური გონებისადმი, მეტაფიზიკური მსოფლხატისადმი მიბრუნება. ამის შესახებ ძალიან ცხადად გვეუბნება მაუერერი, რომელიც ძალიან ტყლარჭავს სოფისტურ საფეხურს – („დისკურსი როგორც განგსტერის ალიბი"): „ფილოსოფია სოფისტიკასთან კამათში იშვა. იგი თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის იმგვარი დაკავშირებაა, რომ თეორიული მოსაზრებით პრაქტიკული ნორმების დაცვა ხდება. თუკი სოფისტიკა ნორმის საკითხს უკუდაამყარებდა, ვითომდა ნორმამდგენ პრაქტიკას („ადამიანია ყველა ნივთის საზომი"), მაშინ ფილოსოფია გააკრიტიკებდა ამგვარ გადაწყვეტას, რადგან არსებითად იგი გადაწყვეტა არ არის; მაგრამ ერთი შეხედვით მხოლოდღა თეორიული საკითხი: რისი ქმნა გვსურს, ანდა რისი ქმნა ეგების ჩვენგნით? სულაც არ წარმოიშობოდა, იგი რომ პრაქტიკისთვის პრობლემას არ წარმოადგენდეს; ამ შეკითხვას პრაქტიკიდან გავყავართ, მაგრამ ამავე დროს, იგი არღვევს მის თვითმყოფადობასა და ავტონომიას. ამიტომ ფილოსოფია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიიჩნევდა გადაჭრადად ნორმის საკითხს, თუკი მოიპოვებოდა წინასწარ მოცემული, თეორიულად შესამეცნებელი და *ტელეოლოგიურად* მიწყივ უკვე გაშლილი ნორმები და ამგვარი გაშლის განგრძობის ტექნიკური დადგენა."[1] დაკმაყოფილდები მხოლოდ დასაბუთების ტვირთის გადანაწილებაზე მითითებით: ვინც „სოფისტს" სალანძღავ სიტყვად მოიხმარს, რათა არგუმენტები დაზოგოს, მან ჯერ ერთი, უნდა განმარტოს, თუ რა აზრით შეიძლებოდა თანამედროვეობაში ჩამოყალიბებული და ახალდროში სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გაგებული რაციონალობა ბედისწერა ყოფილიყო; და მეორეც, მან უნდა აჩვენოს, რომ მეცნიერებასა და ფი-

[1] R.K. Maurer, Jürgen Habermas' Aufhebung der Philosophie, in: Philos. Rundschau, Beiheft 8. Tübingen 1977, 4.

ლოსოფიაში დღესდღეისობით მოიპოვება ჭეშმარიტებანი, რომელთა მნიშვნელოვნება საბოლოო ინსტანციაში სხვა რამეს შეეზომება და არა არგუმენტაციულად გამიზნულ თანხმობას. პოსტემპირისტულმა მეცნიერების თეორიამ დამაჯერებელი საბუთები წარმოადგინა იმისა, რომ არგუმენტაციის თანამონაწილეთა შორის რაციონალურად მოტივირებული თანხმობა ჩვენი ერთადერთი ფუნდამენტია არამარტო მორალის, არამედ არანაკლებ – ფიზიკის საკითხებშიც.

III გონება და ბუნება — შერიგება კვლავმოჯადოების ფასად?

იმ დიფუზიური პოლემიკის ფონზე, რასაც მე ფედერაციულ რესპუბლიკაში განვიცდი, მიზანშეწონილად მიმაჩნია, განვმარტო ის ძირითადი ჩანაფიქრები, რომელთა გამოც ჩემთვის, ისევე როგორც ფრანკფურტელ თეორეტიკოსთა ძველ თაობისათვის, თანაბრად მიუღებელია როგორც მეტაფიზიკური, ისე შემეცნების თეორიული საბოლოო დასაბუთებანი. ამასთან მე დარწმუნებული ვარ, რომ შეგვიძლია ისე დავეყრდნოთ *საკითხის* კანტისეულ *დაყენებას,* რომ არ გადმოვიღოთ მისი მეთოდი და მისი ძირითადი ვარაუდები. ჯოელ ვაითუკმა კარგად დაახასიათა ეს ჩანაფიქრი: „ჰაბერმასი ცდილობს, თავიდან აიცილოს ორი ერთნაირად მიუღებელი ალტერნატივა. მას არ უნდა, ამტკიცოს, რომ ფუნდამენტურ ნორმათა კანონიერება შეიძლება ნაჩვენები იქნეს „ტრადიციული თეორიის" მკაცრი მცდელობით. მაგრამ იგი ასევე წინააღმდეგია სკეპტიკური კონტრმტკიცებისა, რომ ეს პრინციპები, თითქოსდა, თვითნებურნი იყვნენ, სულერთია, ისინი მხოლოდღა კონვენციის თუ უბრალოდ ბიოლოგიური ადაპტაციის ნაყოფები იქნებიან. როცა შეუძლებელია ამ პრინციპთა მართებულობის სრულად მავალდებულებელი ჩვენება; ყოველთვის არსებობს „სრული საფუძველი" მათი არგაზიარებისა".[1]

როგორც „შემეცნება და ინტერეს"-ში, ისე კომუნიკაციის თეორიის გვიანდელ შრომებში — რაგინდ განსხვავებული ყოფილიყო ვარიანტები — მე მაინც ამ სტრატეგიას ვადექი; მე იქ შევეცადე ისე ამეთვისებინა ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის საკითხთა დაყენებანი, რომ ამავე დროს დეტრანსცენდენტალიზირება მეყო აზროვნების ხერხისა და დასაბუთების მიზნებისათვის: „ცოტა არ იყოს ღიმილის მომგვრელია, რომ ჰაბერმასი, რომელსაც ჰერმენევტიკოსები ხშირად დებენ ხოლმე ბრალს ჰიპერრაციონალიზმში, თავისი სქემის შიგ საფუძველში მსჯელობს

[1] J. Whitbook. The Problem of Nature in Habermas, Telos 40, 1979, 41ff., hier 48.

ძალიან ვრცელ ელემენტს უშვებს. ხერხი, რომლითაც „მყარდება ხოლმე თანხმობა“ ტრანსცენდენტალურ თვალსაზრისთან, ბოლოს და ბოლოს, უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ესთეტიკურ გემოვნებასთან თუ არისტოტელურ ფრონეზისთან, ვიდრე ემფატიკურ ფილოსოფიურ დასაბუთებასთან. მაშინ როცა ჰაბერმასის ტრანსცენდენტალური სქემა საიმისოდაა მოფიქრებული, რომ მან შეასრულოს ჩვენი ცოდნის დაფუძნების თეორიული ფუნქცია და იგი წააგავს ტრადიციულ ძირეულობის ფილოსოფიას (Ursprungsphilosophie), თვითონ სქემა იმგვარად ემფატიურად არ არის დაფუძნებული როგორც ეს საზოგადოდ ხდება ხოლმე პირველ ფილოსოფიაში“[1]

ტრადიციულად თუ კრიტიკულად გაგებული საბოლოო დაფუძნებებზე უარის თქმა მოითხოვს საფასურს, რაც მე, სხვათა შორის, ეკლექტიციზმში ჩაკარდნის საყვედურად დამიჯდა; მე ეგულისხმობ იძულებას, სხვადასხვა რეკონსტრუქციულ საწყისებსა და შესაბამისი ემპირიული კვლევის მიმართულებებს იმ მიზნით დავემყარო, რომ დავადგინო, შეესატყვისებიან თუ არა კერძომეცნიერებათა რეზულტატები იმ თეორიულ თვალსაზრისებს, რომელნიც მე მაინტერესებს და რანიც კერძომეცნიერებათა სფეროებიდან გადიან. მე არ ვეთანხმები მეცნიერებათა იერარქიას, რომელიც გულისხმობს აპრიორულ შემეცნებათა ანდა ფორმალურ მეცნიერებათა უპირატესობას; ეს მე ც. ფ. ვაიცზეკერიდან ვისწავლე.[2] ჭეშმარიტების კოპერენტულობის თეორია, მართალია, ძალიან სუსტია საიმისოდ, რომ მან პროპოზიციური ჭეშმარიტების ცნება განგვიმარტოს, მაგრამ იგი თავის უფლებამოსილებას იძენს იმ მეტათეორიულ სიბრტყეზე, რომელზეც როგორც თავსატეხებს თავს ეუყრით ხოლმე თეორიის ცალკეულ ნაწყვეტებს. ამ საკითხში სრულიად ვეთანხმები უილიამ ე. კონოლის, თუმცა ალბათ „სპეკულაცია“ არ არის ამგვარი თეორიის შესაფერისი გამოთქმა: „სპეკულაციური თეორიის მეთოდით ჰაბერმასის პრაქტიკა წარმოშობს დისციპლინის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც მიუწვდომელია ძალიან განკერძოებულ კვლევებში. სპეკულაციურ თეორიაში მოთხოვნები, რომლებიც პრაქტიკულირებულნი არიან ერთ დარგში, მოწმდება თავიანთი მდგრადობის, ანდა უპრიანია ითქვას, სხვა დარგებში მიღებულ შეხედულებებთან შესატყვისობის მხრივ. ერთ სფეროში სარწმუნოებით მიღწეული მსჯელობანი შეიძლება გავავრცელოთ თეორიის უფრო პრობლემატისტურსა თუ იდუმალ სფეროებში დასმულ საკითხებზე. და რადგან თითოეული სპეციალიზირებული თეორია აუცილებლად ემყარება სხვადასხვა შორეულ სფეროებში მიღებულ შეუმოწმებელ შეხედულებებს, შეიძლება იმის მტკიცება, რომ სპეკულაციური თეორია — თუკი იგი

[1] Ebd. 51.
[2] Die Einheit der Natur, München 1971.

სწორადაა შედგენილი — უფრო მეტ სიცხადესა და სიმკაცრეს იძლევა, ვიდრე უფრორე შეზღუდული სახის თეორია. რაც უფრო მომცველია თეორია, მით უფრო ფართოა სხვადასხვაობა იმ შემოწმებებისა, რომლებიც თითოეულმა მისმა კომპონენტმა უნდა გაიაროს."[1]

თუკი ამას ერთი წამით მივიჩნევთ *ძირითადი ფილოსოფიური ინტენციის* დახასიათებად, მაშინ იგი, ასევე პირობითად, შეესატყვისება *თანამედროვეობის* მიერ თავის თავის იდუმალად თანაშესრულებულ თვითგაგებას. რამდენადაც ფილოსოფია თავის თავზე იღებს რაციონალობის თეორიის ამოცანებს, იგი ვალდებულია განმარტოს დასავლური რაციონალიზმის მიერ სამყაროს დეცენტრირებული გაგება, რაც ჩამოყალიბდა ახალი დროის ევროპაში მეცნიერების, მორალისა და ხელოვნების „ღირებულების სფეროთა" გათვითმყოფადებით; ასევე — სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალებით. ეს თვალსაზრისი ნათლად არის გამოთქმული კანტიდან დაწყებული მაქს ვებერით დამთავრებული. მაგრამ სულაც არ არის ისე, რომ ამ თვალსაზრისის გაერთიანება არ შეიძლებოდეს იმ საპირისპირო გათვლასთან, რომელსაც თანამედროვეობა აკეთებს დაწყებული მარქსით, ლუკაჩითა და ჰორკჰაიმერით დამთავრებული; რადგან მოდერნიზირების კაპიტალისტური ნიმუშის კრიტიკამ – თუკი მას არ სურს კანტზე ადრეული პერიოდს დაუბრუნდეს — ორიენტაცია უნდა აიღოს თავის თავშივე დაქუცმაცებული თანამედროვეობის იდეაზე; – თანამედროვეობისა, რომელიც არ არის დასრულებული, რომელსაც გადაუხვევია თავისი მიზნისათვის და ისეთ შერყვნილ *პროექტთა* განხორციელება განუზრახავს, რომელთა გამოცნობა შეუძლებელია და რომელნიც სრულიად საპირისპირონი არიან თავდაპირველი ჩანაფიქრებისა. რა თქმა უნდა, სიმძიმის ცენტრები გადაადგილებულია თვით მარქსისტულ სააზროვნო ტრადიციაშიც. დამაჯერებული სტილიზირების თავისი ტალანტით ვაითბუკი ამ სპექტრში მე მოსაშუალე პოზიციას მიმიჩენს: „რადგან მას შემოაქვს კატეგორიალური განსხვავება ინსტრუმენტულსა და პრაქტიკულ გონებას შორის, ჰაბერმასს შეუძლია, განსაზღვროს კაპიტალიზმსა და თავისუფალ საზოგადოებას შორის წყვეტილობის ზუსტი მოცულობა. მარქსისაგან განსხვავებით, რომელსაც ტექნიკურ დონეზე სოციალიზმი კაპიტალიზმის უშუალო განგრძობად მიაჩნია, რამდენადაც მას სოციალისტური საზოგადოება საწარმოო ძალთა განვითარების ავტომატური შედეგი ეგონა, ჰაბერმასი მტკიცედ ადგას იმ აზრს, რომ აუცილებელია პრაქტიკული განმანათლებლობა და უკეთესი ცხოვრების ახალი კონცეფციის შექმნა. ასევე, ადრეული ფრანკფურტის

[1] W.E. Connoly, Rezension von Th. McCarty, The Critical Theory of Jürgen Habermas. History and Theory 3. 1979, 397 ff, hier 397f.

სკოლიდან განსხვავებით, ჰაბერმასი ბურჟუაზიული საზოგადოების ნორმებს ისე აფასებს, რომ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არსებული ნაპრალი არ უნდა იყოს შეუძლებლამდე რადიკალური. *ერთი სიტყვით, ჰაბერმასი პრაქტიკული გონების განმანათლებლურ მემკვიდრეობას ტექნიკური გონების მისმიერვე სამკვიდრებლიდან იცავს, რათა სრულყოფას მიაღწიოს პრაქტიკული გონების განმანათლებლურმა მემკვიდრეობამ*[1]

როცა ჩემს მთავარ ფილოსოფიურ განზრახვასთან და განმანათლებლობის მთავარ ფილოსოფიურ ჩანაფიქრთან დაკავშირებით თანამედროვეობის მავალდებულებელსა თუ „აწებებულ" გაგებას მოიაზრებენ, სრულიად გასაგებია, რომ ის თემები, რომლებიც 70-იან წლებში იყო გაბატონებული – მადესტაბილიზირებელი ჩარევა ეკოლოგიურ წრებრუნვასა და ბუნებრივ გარემოში, ცხოვრების ტრადიციულ წესთა მსხვრევა, ცხოვრების სამყაროთა შინაგანი კომუნიკაციური სტრუქტურის საფრთხეში ჩაგდება, არაგენერირებად ბუნებრივ და კულტურულურ მარაგთა ამოწურვა, კაპიტალისტური ზრდის, მონეტარიზირების, გასამართლებრივების, ბიუროკრატიზირებისა და ა.შ. ფინანსური ვალდებულებანი – ასევე ადვილად შეიძლება გარდაიქნენ ამგვარი თეორიული ორიენტაციის წინააღმდეგ ეჭვის მოტივებად. თ. მაკქართი ამგვარ იჭვებს ერთ შეკითხვად კრებს, თუ როგორ შევიძლებთ ჩვენ კვლავ *მოვუყაროთ თავი* ჩვენს დანაწევრებულ სამყაროს.[2] ანალიტიკური დიფერენცირების კანტისეული მისწრაფების ნაცვლად, იგი აპროტესტებს ჰეგელისეულ შეპირებას ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტთა „არარეგრესიული შერიგებისა" გარეგან ბუნებასთან, საზოგადოებასა და თავიანთსავე შინაგან ბუნებასთან. თუ გონება ერთხელაცაა და გაიხლიჩა ინსტრუმენტულ და კომუნიკაციურ გონებად, მაშინ ის, რაც ჯერ ისევ კრავს მის მომენტებს, იკუმშება და ხელთ არგუმენტაციული დასაბუთების პროცედურული ცნებაღა გვრჩება. ამგვარი ფორმალისტური კონსტრუქციის წინააღმდეგ, ყოვლის უწინ, თავს იჩენს ორი იჭვი.

ერთს მიაჩნია, რომ გონების პროცედურული ცნება გამორიცხავს ბუნებასთან არაობიექტივისტურ ურთიერთობას. მეორეს კი მიაჩნია, რომ იგი არ იძლევა არავითარი შემაერთებლის დაშვების საშუალებას, ერთი მხრივ, შემეცნებას, მეტყველებასა და ქმედებას, ხოლო მეორე მხრივ, იმ ტრადიციებს შორის, რომლებიც ისტორიულად იქცნენ. ამის საპირისპიროდ მე მინდა ჯერ ვაჩვენო, რომ გონებასა და ბუნებას შორის შემაერთებელთა თვალსაზრისით ჩემი კონცეპტი არ არის მთლად ისე მოუქნელი როგორც მაკქართი, ოტმანი და სხვები ფიქრობენ.

---

[1] J.Whitbook, a.a.O., 68.

[2] Th. McCarthy, Rationality and Relativism, in: Thompson, Held (1982), 57ff.

ჰენინგ ოტმანი[1] წამოაყენებს თეზას, რომ ინსტრუმენტული და კომუნიკაციური რაციონალობის განსაზღვრებანი ძალიან მჭიდროა საიმისოდ, რომ კიდევ ერთი სათანადო განსხვავების დაშვების საშუალება მოგვეცეს გარებუნებას, როგორც ჩვენთვის საშუალებასა და ბუნებას, როგორც თავისთავად მიზანს შორის. მართალია, ადამიანის მოდგმა გაიაზრება ბუნებრივი ევოლუციის რეზულტატად, შელიგის სიტყვებით რომ ვთქვათ nature naturans-ად, მაგრამ გონებრივ უნართა ანალიზი – როგორც გვაუწყებს, საყვედური ისეა ჩატარებული, რომ ამ პერსპექტივაში შემმეცნებელი და მოქმედი სუბიექტი ვერასოდეს შეეყაროს ბუნებას თავისთავად, რომელსაც შეეძლებოდა ზღვარი დაედო თავისი ინტერესისათვის, რაც გამოიხატება საგნად ქცეული ბუნების ფლობაზე ინტერესში – ოტმანთან ურთიერთგადაჭდობილია ორივე იმ ასპექტთან, რომლებსაც მე ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავ: – ეთიკურსა და შემეცნების თეორიულ ასპექტებთან. მას, ერთი მხრივ, შემოაქვს ეკოლოგიური პრობლემატიკა, რაც დამაჯერებელ ეღერადობას ანიჭებს ბუნების მისწრაფებას, განხილული იქნას საბოლოო მიზნად. თუ დღესდღეისობით ბუნების წინააღმდეგ საზოგადეობის „კოლონიალური ომი" თავად აგრესორს თავს უკუატყდება, მაშინ აუცილებელია ეთიკა, რომელიც როგორც ხელახლა აღორძინებული კოსმოლოგიური ეთიკა, შემრყვნელ ინტერპერსონულ ურთიერთობათა პირობების მიღმა თავად ბუნებრივ წესრიგში გამეფებულ ტექნოლოგიას უბრუნდება.[2] მეორე მხრივ, ოტმანი ამ კრიტიკას აგებს საკითხის შემეცნების თეორიული დაყენების მიხედვით. მას ეჭვი ეპარება, რომ საერთოდ შესაძლებელი იყოს იმ ორ მომენტს შორის მიმართების ტრანსცენდენტალურ-პრაგმატული გაგება, რომლებსაც იგი თავისი თავიდან მოისხლეტს (სახელდობრ – ადამიანისა *სუბიექტური ბუნებისადმი* და ასევე შემეცნებასა და ქმედებაში *ობიექტივირებული ბუნებისადმი*). ორივე გართულებული პრობლემა მე მინდა, სულ ცოტა, იმდენად გავარჩიო, რამდენადაც ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია პრობლემის *ნაირსახეობის* გაცხადყოფება, რამდენადაც აპორეტულ შედეგებს უფრო ის ფუნქცია აქვთ, რომ უშუალოდ ნათელყონ ადამიანური გონების საზღვრები, ვიდრე იმ საწყისის ეჭვის ქვეშ დაყენებაა, საიდანაც ისინი გამომდინარეობენ.

(1) მაკქართიმ ძალიან მახვილგონივრულად დაამუშავა *შემეცნების თეორიული ცნების* – „ბუნება თავისთავად" – პარადოქსები.[3] როცა მაობიექტივირებელი მეცნიერებების კვლევის ლოგიკა ისე ესმით როგორც ტრანსცენდენტალურად მომართულ პრაგმატიზმს, გინა იმ განმარტებას, რომელსაც

---

[1] H. Ottmann, Cognitive Interest and Self-Reflection, in: Thompson, Held (1982), 79ff.

[2] H. Jonas, Das Prinzip Verantwortnung, Ffm. 1979.

[3] McCarthy (1978), 113-125

ჩ. პირსის შემოქმედებას აძლევს კარლ-ოტო აპელი;[1] და როცა აქედან მიხედავენ ხოლმე მარქსის ფარული შემეცნების თეორიისკენ, მაშინ ძალაუნებურად ჩნდება „თავისთავადი ბუნების" კონცეპტი, საიდანაც წარმოიშობა შემმეცნებელ და მოქმედ სუბიექტთა სუბიექტური ბუნება, რომელიც მათ მიერ აღმოჩენილი ობიექტური ბუნების თანაბარძირეულია, და ამრიგად, გააზრებულია როგორც წარმოშობილი. მაკქართი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ არ ასცდა ამ კონცეპტს შემეცნების თეორიული *საზღვრითი ცნებისა* და ევოლუციონისტური მატერიალიზმის განმსაზღვრელი *საფუძველცნების* აპორეტული ორკეცი როლი.

„თავისთავადი ბუნების" კონცეპტი, რომელიც შემოტანილია „შემეცნება და ინტერეს"-ში, იმდენად არის ირონიული მისამღერი კანტის „კითხვაზე თავისთავად", რამდენადაც მას მართებს „ჩვენთვის" კონსტიტუირებული ბუნების უზრუნველყოფა ჩვენგან დამოუკიდებელი და შემთხვევით მდგომარე რეალობის შესახებ კონოტაციებით.* წინააღმდეგობა, რომელსაც ყალბ ინტერპრეტაციებს უწევს ხოლმე რეალობა — მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ ობიექტივირებული სახითაა ხელმისაწვდომი – გვაიძულებს, მოვახდინოთ მისი *კონსტიტუირება როგორც თავისთავად არსებულისა* თუ შემეცნების თეორიულად განვიხილავთ, იმავე როლს თამაშობს ეს კონცეპტი სუბიექტურ ბუნებასთან, შესაძლო გამოცდილების აუცილებელ სუბიექტურ პირობასთან მიმართებაში. მართალია, ისინი ხელმისაწვდომნი არიან მხოლოდ და მხოლოდ ტრანსცენდენტალურ განწყობაში ე.ი. – წინარეთეორიული ცოდნის რაციონალური კვალადკონსტრუქციის გზით; მაგრამ აუცილებელია, რომ პრაგმატიზმმა უკუაგდოს, ასე ვთქვათ, უძირფესვო ტრანსცენდენტალური ცნობიერების დაშვება. ბუნების ობიექტირების ხერხსა და შემდეგ კონტროლირებული ქმედების სტრუქტურებს შორის ტრანსცენდენტალურ-პრაგმატულად გამჟღავნებული კავშირი გვაიძულებს სუბიექტური ბუნების *კონსტიტუირებას* ისე, რომ იგი შემთხვევითს პირობებშია *წარმოშობილი* „თავისთავადი" ბუნებიდან.

ორივე შემთხვევაში „ბუნება თავისთავად" არის შემეცნების თეორიულ განაზრებათა გზით მოტივირებული პოსტულატი, რომლის ემპირული კვლევის შედეგებთან უშუალო დაკავშირების უფლებაც არა გვაქვს, რადგან ისინი თავიანთ მხრივ მაობიექტირებელი მეცნიერებების კვლევის ლოგიკას ემორჩილებიან. თითოეული პოსტულატი, უკიდურეს შემთხვევაში, ადგენს პერსპექტივას, რომლიდანაც შესაძლებელი ხდება

---

[1] K.-O.Apel, Der Denkweg von Ch. S. Peirce, Ffm.1973.

* Konnotation –ცნების შინაარსი მისი მოცულობის საპირისპიროდ; ნიშანსა და ნიშნითმოსარგებლეს შორის მიმართება – მთარგმნ. შენიშვნა.

ის, რომ მოხდეს ბუნების ისტორიის როგორც სოციოკულტურელური ცხოვრების წესის *წინარე* ისტორიის რეკონსტრუირება. გვიანდელი ეთოლოგია, რომელიც უექსკიულიდან (Uexküll) და პორტმანიდან მომდინარეობს და რომელიც უკვე კ. ლორენცთან ნეოდარვინულად არის განხრილი, გვარისთვის სპეციფიკურ გარემოთა ანალიზისას როგორც ნიმუშს ანგარიშს უწევს natura naturans-თან პრივატული, ადამიანის საციოცხლო გარემოსათვის სპეციფიკური მისასვლელის წინასწარი გაგების იდეას, რომელიც გამოიმუშავა რომანტიკულმა ნატურფილოსოფიამ, ყოვლის უწინარეს კი – შელინგის პოტენციათა მოძღვრებამ (მაშინ როცა სისტემთეორიულად შემუშავებულ ბიოლოგიას, რომელსაც ზოგიერთი ეკოლოგი ზარზეიმით აცხადებს ახალ მეცნიერებად, არ ევალდებულება, თავი გადაიტვირთოს ონტოლოგიური წარმოდგენებით ობიექტური ტელეოლოგიის შესახებ, რომელიც თვითონ ბუნებაშია ჩადებული).

თუკი ერთხელაც არის და დავუშვებთ, რომ „თავისთავად ბუნებასთან" მისასვლელის ძიების ამგვარი მცდელობა სულაც არ არის იმთავითვე აბსურდული; მაშინ ტრანსცენდენტალურპრაგმატული შემეცნების თეორია დგას სიძნელეთა მთელი წყების წინაშე, რომელსაც მაკქართი ჩამოთვლის:

– რადგან შეუძლებელია ნომოლოგური მეცნიერებების ჩარჩოებში ობიექტირებული ბუნების სფეროთა შესახებ მოპოვებული გამონათქვამები იმ გამონათქვამებად ტრანსფორმირდნენ, რომლებიც, მართალია, ობიექტთა იმავე სფეროს შეეხებიან, მაგრამ მოპოვებული არიან კატეგორიალურად განსხვავებული შინაგანი პერსპექტივიდან, ამიტომ კონფრონტაციაში მოვდივართ ჩვენი შემეცნების ძალისხმევათა უცნაურ ჰიატუსთან; ვერაფრით ვერ ხერხდება მაობიექტივირებელი ბუნების მეცნიერებისა და მაინტერპრეტირებელი ბუნების განმარტების თავის ნებაზე მიშვებულ წეროთა ერთმანეთთან შეკავშირება.

– სოციოკულტურელური ცხოვრების გარემოს ბუნებრივი წინარეისტორიის ჩაწვდომა ბუნების შკალაზე ქვემოთ ჩაანაცვლებდა მაინტერპრეტირებელ მეცნიერებათა საზღვრებს; და ადამიანსა და (დანარჩენ) ბუნებას შორის შემეცნების თეორიაში გავლებული ზღვარი გაბუნდოვანდებოდა. დღემდე არ არის ცხადი ის, თუ რა სიღრმეზე შეგვიძლია ჩვენ, მაინტერპრეტირებელი შინაგანი პერსპექტივით, შევაღწიოთ ბუნებაში – იმ სიღრმით ხომ არა, რა სიღრმეზეც სუბიექტურობისა და ინტერსუბიექტურობის ნიშან-თვისებანი მიგვითითებენ ანდა იმ სიღრმით ხომ არა, რა სიღრმეზეც შესაძლებელია მატერიის ცოცხალ ბუნებად იდენტიფიცირება? თუ ბოლოს

და ბოლოს მინერალებსაც თვალები გამოესხმებათ, რის გამოც მისტიკოსებიც ნატურფილოსოფოსებად შეურაცხიათ?

– დაბოლოს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ბუნების ისტორიისადმი მაინტერპრეტირებელ განმარტების საწყისებს, ფენომენოლოგიურ, მორფოლოგიურ, ანთროპოლოგიზირებულ-ევოლუციონისტურ საწყისებს არ გადაულახავთ ნატურფილოსოფიის სტადია, რომ ისინი ვერ ჩამოყალიბდენენ ალტერნატივებად *მეცნიერებაში*.[1] უფრო მეტი, მე-17 საუკუნეში თანამედროვე მეცნიერებაზე გადასვლიდან მოკიდებული ისინი უკვე ამოკრიფული მემკვიდრეობის კუთვნილებას წარმოადგენენ; და არ უნდა იყოს მთლად დამაჯერებელი ის, რომ თითქოსდა გარეგანი წყაროებით საზრდოობდეს ბუნების მეცნიერების ის შინაგანი ისტორია, რომელსაც საუძველი იმ დროს ჩაეყარა; — რომ *მხოლოდღა* ინსტიტუციონური გადაწყვეტილებებით აღკვეთილიყოს ბუნების შემეცნების ალტერნატიულ ფორმებთან კამათი.[2]

მაგრამ უნდა გვესმოდეს თუ არა ჩვენ ეს სიძნელენი თეორიის პრობლემატური და სუსტად დაგეგმილი პროგრამის შედეგებად, ისე როგორც ისინი მაკქართის ესმის; იქნებ ისინი უბრალოდ იმაზე მეტყველებენ, რომ მართალია, ჩვენ შეგვიძლია გარებუნებასთან პერფორმაციული განწყობა გამოვიმუშაოთ, მასთან კომუნიკაციური ურთიერთობები გაეაბათ, მის შესახებ ესთეტიკური გამოცდილებანი მივიღოთ და მორალურის მსგავსი შეგრძნებები ვიქონიოთ, მაგრამ რეალობის ამ სფეროსთან მიმართებაში მაინც მხოლოდ და მხოლოდ ერთი, კერძოდ, ბუნების მეცნიერულად მოექსპერიმენტე დამკვირვებლის მაობიექტივირებელი განწყობა იყოს თეორიულად ნაყოფიერი? მე მინდა ქვემოთ მოცემულ განაზრებაში სწორედ ეს თეზა დავიცვა.

პიაჟესებურად დეცენტრირებული თანამედროვე მსოფლგაგების ის სტრუქტურები, რომელიც თანამედროვეობას განსაზღვრავენ, შეიძლება იმის საშუალებით დავახასიათოთ, რომ მოქმედსა და შემმეცნებელ სუბიექტებს ერთი და იმავე სამყაროს მიმართ *განსხვავებულ* ძირეულ განწყობათა დაკავება ძალუძთ. ძირეულ განწყობათა ფორმალურ მსოფლკონცეპტთა კომბინაციით მიიღება ცხრა ფუნდამენტური მიმართება როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთმოყვანილ სქემაზე

---

[1] Böme, G., v.d. Daele, W., Krohn, W., Alternativen in der Wissenschaft, ZfS 1, 1972, 302ff.
[2] Böme, v.d. Daele, W., Krohn, Experimentelle Philosophie Ffm. 1977.

ცხრ. 22. ფორმალურ-პრაგმატული მიმართებანი

სფეროები, რეალობის ძირეული განწყობები	1.გარეგნება	2.საზოგადოებანი	3.შინაგანი ბუნება
1. მაობიექტირებელი	კოგნიტივურ-ინსტრუმენტული დამოკიდებულება	კოგნიტივურ-სტრატეგიული მიმართება	ობიექტივისტური თვითდამოკიდებულება
2. ნორმებთან თანხმიერი	არაობიექტირებული გარესამყაროსადმი მორალურ-ესთეტიკური დამოკიდებულება	ობლიგატორული მიმართება	მაცენზირებელი თვითდამოკიდებულება
		თვითინსცენირება	გრძნობად-სპონტანური თვითდამოკიდებულება

აქ სისტემურად არ გამოვიკვლევ ფორმალურ-პრაგმატულ მიმართებებს; მე დავკმაყოფილდები გამოხატვის დამახასიათებელ იმ ფორმებზე მითითებით, რომლებიც თვალსაჩინოებად გამოგვადგებიან. კოგნიტივურ-ინსტრუმენტული დამოკიდებულება (1.1.) შეიძლება აიხსნას მტკიცებათა, ინსტრუმენტელურ მოქმედებათა, დაკვირვებათა და ა.შ. მაგალითზე; კოგნიტივურ-სტრატეგიული მიმართება (1.2.) – მიზანრაციონალური ტიპის ინტერაქციათა მაგალითზე; ობლიგატორული მიმართება (2.2.) განიმარტება ნორმებით რეგულირებულ მოქმედებათა მაგალითზე; თვითინსცენირება (3.2.) — დრამატურგული გინა თვითგამოხატვის ტიპის სოციალურ მოქმედებათა მაგალითზე. თავისი თავისადმი ობიექტივისტური მიმართება (1.3.) შეიძლება გამოიხატოს თეორიებში (მაგ. ემპირისტულ ფსიქოლოგიასა ანდა უტილიტარისტულ ეთიკაში) და აგრეთვე — განვითარებულ, ფსევდოკომუნიკაციურ მიმართებაში; საკუთარი თავისადმი მაცენზირებელი დამოკიდებულება (2.3.) თვალსაჩინოვდება ისეთ ზე-მე ფენომენთა საშუალებით, როგორიცაა ბრალეულობის განცდა თუ თავდაცვითი რეაქციები. საკუთარი თავისადმი გრძნობად-სპონტანური დამოკიდებულება (3.3.) იკითხება აფექტურ გამოხატულებებში, ლიბიდინიოზურ მიდრეკილებებში, შემოქმედებით მიღწევებში და ა.შ. სიტუაციისადმი ე.ი. არაობიექტირებული შემოგარენისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების განმარტებლად გვეძლევა ხოლმე ხელოვნების ქმნილებანი, და საზოგადოდ – სტილის ფენომენები; და ასევე – მაინტერპრეტირებელი მეცნიერებანი, რომლებიც თავისთავად ბუნებასთან

მისასვლელს ეძიებენ. ყველაზე ბუნდოვანი ის ფენომენები არიან, რომლებიც ბუნებასთან მორალურ-პრაქტიკულ „დედმამაშვილურ" ურთიერთობას ათვალსაჩინოებენ, თუკი აქაც არ მიმართავენ მისტიურად შთაგონებულ ნატურფილოსოფიებს გინა ტაბუიზირებებს (მაგ. ვეგეტარიანულ ზიზღის ზღვარს), შინაურ ცხოველებთან ურთიერთობის ანთროპომორფიზებულ ურთიერთობას და ა.შ. წინასწარი დახასიათების ამ მცდელობიდანაც კი უკვე ჩანს, რომ აქტორსა და გარე ან შინა გარემოს შორის იმ პრაგმატული მიმართებებიდან, რომლებიც ფორმალურად შესაძლებელი გახდა „ჯადოახსნილობის" გზით, მხოლოდ რამდენიმეა შერჩეული და გამოხატვის სტანდარტიზირებულ ფორმებად არტიკულირებული. ფორმალურ შესაძლებლობათა ამ დიფერენციულ ამოწურვას შეიძლება ჰქონდეს ან გარეგანი ანდა შინაგანი მიზეზები. იგი შეიძლება ასახავდეს იმ კულტურისა და საზოგადოებისთვის სპეციფიკურ ამოწურვას გონების პოტენციალისას, რომელიც გვეძლევა ცნობიერების თანამედროვე სტრუქტურებთან ერთად ანუ იგი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი რაციონალიზების შერჩევითი ნიმუში. მაგრამ ჩემი ვარაუდი იმაში მდგომარეობს, რომ *ამ ფორმალურ-პრაგმატულ მიმართებათაგან მხოლოდ რამდენიმე გამოდგება ცოდნის აკუმულაციისთვის* ოღონდ ამ შემთხვევაში უაზრობას წარმოადგენს მეცნიერების სისტემის *სიბრტყეზე* და საზოგადოდ, კულტურელური ტრადიციის *სიბრტყეზე* მომენტებად დაქუცმაცებული გონების განზრახულობათათვის გამოვიყენოთ და თეორიულად ნაყოფიერი გავხადოთ გამოცდილების ის პოტენციალი, რომელსაც თავი მოვუყარეთ გარებუნებასთან არა – მაობიექტებელი დამოკიდებულებით. შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელთაც თანამედროვე ბუნების მეცნიერება უწევს *თეორიულში გონების ერთიანობის კვლავაღდგენის* ყველა მცდელობას, თვალნათლივი ხდება სწორედ იმ *შემეცნების თეორიის* პერსპექტივებიდან, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს თეორიის ქმნის *წარმატებულ* მაგალითებზე. ამგვარი მცდელობანი მეტაფიზიკით ანდა დღეს ეგზომ ბობოქარი „ახალი მსოფლხატებით" დაბოლოოდებიან და ამრიგად, თანამედროვეობაში მიღწეული სწავლის დონის ქვეეით ხელახლა მოჯადოებულ სამყარომდე დაეშვებიან.

(2) იგივე ითქმის გონებასა და ბუნებას შორის დამოკიდებულებაზე *ეთიკური ასპექტით.* როგორც ტრანსცედენტალურ-პრაგმატული შემეცნების თეორია უწევს ანგარიშს იმას, რომ მაობიექტივირებელ მეცნიერებათა ლოგიკა შემმეცნებელ სუბიექტს იმ განწყობაზე მიაკრავს ხოლმე, რომლის პერსპექტივებიდან ბუნება საბოლოო მიზნად გამოჩანს, ასევე (კანტიანურ ტრადიციაში მდგომიც), ეთიკური უნივერსალიზმით იქიდან ამოდის, რომ მორალურად მოქმედი სუბიექტების ნორმებთან თანხმიერი განწყობა მათ მზერას ინტერპერსონულ ურთიერთობებზე *აკვეცს* და აქაც შეუძლებელია ბუნება თავისთავად თემად იქცეს. ჰ. ოტმანი ეთანხმება ე. ვაითბუკს იმაში, რომ გარკვეულ ანთროპოცენტრიზმს ცხადყოფს დისკურ-

ხის ეთიკის სწორედ კომუნიკაციის თეორიული დაფუძნება: „როგორც ნატურალისტური ეთიკის (ე.ი. კოსმოლოგიური ბუნებრივ-სამართლებრივი მორალის თეორიების) ყველა ფორმის საპირისპირო ანთროპოცენტრიზმი თვლის, რომ ადამიანი არის ღირებულების ერთადერთი ადგილსამყოფელი და ერთადერთი მყოფი უნივერსუმში, რომელიც პატივისცემას იმსახურებს".[1] ამგვარი დახასიათება უნებურად იწვევს შესიტყვებას, რომ ფორმალისტური ეთიკები უნდა უგულვებელყოფდნენ ბუნებასთან არამაობიექტივირებელი ურთიერთობის იმ გამოცდილებებს, რომლებსაც არაორაზროვანი მორალური თვისებები აქვთ. ვნებამიყენებული და დაკნინებული ნაქმისადმი თანადგომა, მისთვის სოლიდარობის გამოცხადება, მის ტანჯვათა თანალმობა, ზიზღი იმისა, რომ მოხდეს შიშველი ინსტრუმენტალიზირება ბუნებისა იმ განზრახულობათა გულისთვის, რომლებიც სწორედ რომ ჩვენი განზრახულობანია და არა ბუნებისა; ერთი სიტყვით, დაუშვებელია ანთროპოცენტრისტულად დაიჩრდილონ ის ინტუიციები, რომლებსაც ეჭვშეუვალი უფლებით წინა პლანზე სწევენ თანალმობის ეთიკები.

მაგრამ თანალმობა და სოლიდარობა, სულ ცოტა, საფუძველცნებათა სახით ლოგიკურად მოსდევს ხოლმე ბოლომდე გააზრებულ დისკურსის ეთიკას. იგი განაცალკევებს იმ საკითხებს, რომლებიც მოქმედებათა გამართლებისა და მოქმედების ნორმათა დაფუძნების ასპექტით დგება. იგი ეწევა კარგი ცხოვრებისა და თანაცხოვრების საკითხების *სამართლიანობის საკითხებად* აბსტრაპირებას, რათა ამ აბსტრაქციის გზით ხელმისაწვდომი გახადოს, საზოგადოდ, კოგნიტიური დამუშავების პრაქტიკული საკითხები. მაგრამ წამყვანი იდეა, რომ ნორმა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის ვარგებული, თუკი იგი დისკურსული ნების ქმნის პირობთა გათვალისწინებით თანამლმობელთა წრეში ჯეროვნად შეირაცხებოდა, მიუთითებს „კომუნიკაციის უსაზღვრო თემის" (აელი) განზომილებებზე, რომლებსაც აპორიებამდე მივყავართ. ერთი ასეთი შებრკოლებათაგანი გარჩეული იქნა 30-იან წლებში ჰორკჰაიმერსა და ბენიამენის (Benjamen) შორის კამათის დროს.[2] თუკი ეთიკა არ არის გაგებული როგორც მხოლოდ ნორმატიულ გამონათქვამთა დაფუძნების საკითხის ცხადყოფა, არამედ იგი ესმით როგორც თეორია, რომელიც მოიცავს მორალურ-პრაქტიკული რაციონალობის ისტორიული ხორცშესხმის საკითხებს, მაშინ წამოიჭრება პრობლემა, რომელსაც ჩ. ლენჰარდტმა, ვალტერ ბენიამინზე დაყრდნობით, შემდეგი ფორმა მიანიჭა. წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, როცა მომავალი თაობები ინსტიტუციონალიზებული თავისუფლებისა და თუ არა მთლად სამართლიანი წესრიგის სიკეთეებით იმ პროცედურათა სიკეთით მაინც სარგებ-

---

[1] Whitebook, Nature in Habermas, 52.

[2] ჰ.პოიკერტის ბრწყინვალე ანალიზი წიგნში: H. Peukert, Wissenschaftstheorie, Handlungstheorie, Fundamentale Theologie, Düsseldorf 1976, 273ff.

ლობენ, რომლებიც უსამართლობას მინიმუმამდე ამცირებენ და ყველაფერი ეს მათ მიღებული აქვთ მხოლოდ და მხოლოდ წინა თაობათა ტანჯვისა და თაეგანწირვის წყალობით, მაშინ გვაქვს კი უფლება „სამართლიანი" ვუწოდოთ იმ სამყაროს, რომელიც შექმნის ასეთი ისტორიის მქონეა?[1]

პოიკერტს მოჰყავს ადგილი ჰორკჰაიმერის 1936.3.16. წერილიდან ბენიამინისადმი: „კაცს იმის გაფიქრებაც კი გზარავს, რომ უკიდურეს შეჭირვეებაში ჩავარდნილი ლოცვას აღავლენს, – რომ ის, ვისაც ბრალი არაფერში მიუძღვის, ამ ქვეყნიდან ისე მიდის, რომ ნათლად არა აქვს შეგნებული თავისი საქმე, რომ ზეადამიანური ინსტანციისადმი მისი უკანასკნელი სასოება მიზანს ვერ აღწევს, – რომ ღამის წყვდიადი, რომელსაც არ ანათებს ადამიანურობის შუქი, ვერც ღვთაებრივს გაუმსჭვალავს. უღმრთოდ მარადიული ჭეშმარიტებაც ისევეა უსაყრდენო, როგორც უსასრულო სიყვარული; ეს კი არადა, იგი აზრით მიუწვდომელ ცნებადაც კი წარმოგვიდგება. მაგრამ ოდესმე ყოფილა კი სისაზალე (ზარვა) მედეგი არგუმენტი საქმის ვითარების დასასაბუთებლად ან მის უკუსაგდებად, არის კი ლოგიკაში კანონი იმის გამოსახატავად, რომ მსჯელობა ყალბია, თუკი მას შედეგად სასოწარკვეთა მოსდევს?"[2]

დისკურსული ეთიკის ფონზე ჰორკჰაიმერის განაზრება შემდეგნაირად აიხსნება. თუ კომუნიკაციის უსაზღვრო თემის უნივერსალურობა თანამედროვეებით არ შემოიფარგლება, არამედ ფაქტსაწინააღმდეგოდ მის წრეში წარსული თაობებიც შეჰყავთ, რომელთა პოტენციური თანხმობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სამართლიანობის პრეტენზიის დაკმაყოფილება, მაშინ ჯეროვანი მიეგებოდა პრაქტიკული დისკურსის *ლოგიკას.* მაგრამ მსხვერპლის თანხმობა, რომლის ამოგებაც სიკვდილის შემდგომ ხდება აბსტრაქტული რჩება, რადგან ეთიკა, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში გარდასულ ვაებათა ჩახშობა ძალუძს, *შურიგების* ღონეუქონელია. იდეას იმ სამართლიანობისა, რომელიც წინამორბედ თაობათა მიმართ ჩადენილი უსამართლობით გამოუსყიდავთ, ლაქა სცხია; შეუძლებელია ამ ლაქის ჩამორეცხვა, უკიდურეს შემთხვევაში მისი დაეიწყებაღა თუ მოხერხდება; მაგრამ ამგვარ დავიწყებაზეც იძულებითი წარხორცვის კვალი აღიბეჭდება. ვერასოდეს მოხერხდება იმ წინააღმდეგობის გადაჭრა, რომელიც სრულყოფილ სამართლიანობას იმის გამო ახასიათებს, რომ პრინციპულად შეუძლებელია მისი უნივერსალიზმის დაკმაყოფილება. აქ იწყება ბენიამინის განაზრება: მომავალ თაობებს მხოლოდ და მხოლოდ იმით ძალუძთ იმ წინააღმდეგობის კომპენსირება, რომელსაც თვითონ იდეა შეიცავს, რომ ისინი უნივერსალუ-

---

[1] Ch.Lenhardt, The Proletariat and its Manes. An Essay on Anamnestic Solidarity, Vortrag im Max-Planck-Institut für Sozialwissenschaften, Starnberg, 1975.

[2] Peukart, Fundamentale Theologie, Düsseldort 1979, 282.

რობის შესახებ აბსტრაქტულსა და აღსრულებად აზრს ხსოვნის ანამნეტური ძალით შეავსებენ, რომელიც თვითონ მორალის ცნებათა მიღმა გადის. ამ ხსოვნის თვითაქტუალიზირება ხდება, ძლეულთა და წამებულთა იმ გარდასული სასოწარკვეთისადმი თანამლმობ სოლიდარობაში, რომელიც იწვნიეს მათ, ვის ყოფასაც გამომჯობინება არ უწერია. ამ თვალსაზრისით გარდასულ თაობათა მორალური და სხეულებრივი ხელშეუვალობის ხელყოფით გამოწვეული ტკივილისადმი „თანალმობა" დისკურსული ეთიკის ისეთივე საზღვრითი ცნებაა, როგორიც ტრანსცენდენტალურ-პრაგმატული შემეცნების თეორიისთვის არის „ბუნება თავისთავად."

ანამნეტური სოლიდარობა აუცილებელი პოსტულატის სახით გამომდინარეობს დისკურსული ეთიკის უნივერსალისტური საწყისიდან, მაგრამ თვითონ თანალმობაში წარმოებული ურთიერთობა მორალურ-პრაქტიკულ შეხედულებათა მიღმა ძევს. იგი მორალური განხილვისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ მაშინ გახდება, თუ ეთიკას ინტერპერსონულ ურთიერთობათა სფეროს მიღმა განვავრცობთ, თუ მას გავავრცელებთ იმ ნაქმისადმი ჩვენს მიმართებაზე, რომელსაც არ ძალუძს შერაცხადი ქმედების პირობათა შესრულება. იმ ცოცხალ არსებებთან ერთად, რომლებსაც მართალია *ეხება* ადამიანის ნორმატიულად მოწესრიგებული, მორალურად მნიშვნელოვანი ქცევები, მაგრამ რომლებიც ფაქტის საწინააღმდეგოდ ვერასოდეს ტოვებენ თანალმობილთა პოზიციას და ვერასოდეს კისრულობენ პრაქტიკულ დისკურსებში *თანამონაწილეთა* როლს, გარკვეულწილად მზერის არეში ექცევა თავისთავადი ბუნებაც და – არამარტო ჩვენს მიერ ინსტრუმენტალიზებული ბუნება.

ეთიკური პერსპექტივის ამგვარი განვრცობა – როგორც ეს ოტმანმა აჩვენა – ჩვენთვის ახლობელია ეკოლოგიური პრობლემატიკის მეშვეობით. ეს პრობლემატიკა დიაღაც გვიცხადყოფებს იმას, რომ ბუნების პროცესთა ის აშვება, რომელსაც იწვევს მასში ჩვენი შეჭრა, ახალ პასუხისმგებლობებს გვანიჭებს ბუნებაზე ჩვენი მზარდი ტექნიკური ბატონობის მასშტაბის გაფართოების კვალად. მაგრამ ამ პრობლემატიკის უფრო დამაკმაყოფილებელი დამუშავება შესაძლებელია დისკურსის ეთიკის ანთროპოცენტრისტულ ფარგლებში. ეს თვალსაზრისი არგუმენტებით უზრუნველყო ჯოელ ვაითბუკმა, რომელთა გამეორება მე აქ არ მსურს. იგი მიდის დასკვნამდე, „რომ საზოგადოებასა დ ბუნებას შორის მიმართება როგორღაც გამომდინარეობს კარგი ცხოვრების კომუნიკაციურად მიღებული იდეალიდან ბუნებასთან, როგორც თავისთავად მიზანთან ყოველგვარი მიმართების გარეშე"[1]. მაგრამ ამ დებულებას იგი შემდეგ საყურადღებო მოსაზრებას დაურთავს: „თუნდაც მოხერხდეს *თეორიულად* იმის ჩვენება, რომ არ არის აუცილებელი ანთროპოცენტრისტული თვალსაზრისიდან ფორმულირებულ გარემოს კრიზისთან დაკავ-

[1] Whitebook, Nature in Habermas, 61.

შირებულ გადაწყვეტილებებზე გადანაცვლება, საკითხი მაინც საკითხად დარჩებოდა *სოციალური ფსიქოლოგიის* დონეზე. მაგრამ ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ გადაწყდება საზოგადოებასა და ბუნებას შორის კონფლიქტი ბუნებრივი სამყაროს შესახებ ჩვენი სოციალური შეგნების მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის ე.ი. სიცოცხლის განახლებული მოწიწების გარეშე."[1]

ის, რასაც ვაითბუკი „სოციალფსიქოლოგიურ" აუცილებლობას უწოდებს, არის იმ მორალზე გადასვლა, რომელიც მოიცავს ადამიანის თანამლმობელ მიმართებას ბუნებისადმი, როგორც კოსმიურად განვრცობილ სოლიდარობას ყოველივე იმასთან, რაც ტანჯვის უნარმქონეა და იმის გამო, რომ მოწყვლადია, მოწიწებას იმსახურებს. აქედან შეიძლება, მაგალითად, გამოყვანილი იქნას ვეგეტარიანული ცხოვრების წესის მოთხოვნა, ცხოველებზე ექსპერიმენტთა ჩატარების აკრძალვა, ეკოლოგიური მოთხოვნები და ა.შ. კვლავ იგივე მაგალითები რომ დავიმოწმოთ, ცხოველთადამცველის ანდა ვეგეტარიანელის ეთიკა მოყვასის წრეს კიდევ უფრო ავრცობს კომუნიკაციის იმ თემის მიღმა, რომელიც უკვე ფაქტი საწინააღმდეგოდ არის შექმნილი და ახლა იგი მოიცავს ყველა *ენებულ* ცოცხალ არსებას, რომელთა ტანჯვის შთაგრძნობაც ჩვენ ძალგვიძს; ყოველივე ის, რაც ნოეს კიდობანმა შეიფარა, *ჯერ არს*, დაცული იქნას სუბიექტთა მხრივ და ჯერ არს სუბიექტებს მასთან ისეთი ურთიერთობა ჰქონდეთ, როგორც სწორს სწორთან.

ინტუიცია ჩვენ გვკარნახობს, რომ თავისთავად ბუნებასთან *მორალური მისასვლელის* გაღების მცდელობანი სულაც არ არის აბსურდული; მაგრამ ამგვარი ინტუიცია როდი იძლევა იმის საფუძველს, რომ ლაქუცით ავუაროთ გვერდი იმ სიძნელეებს, რომლებსაც აქ ისეთნაირადვე ვაწყდებით როგორც თავისთავად ბუნებასთან თეორიული მისასვლელის მოპოვების ანალოგიური მცდელობისას:

– დისკურსის ეთიკასა და ბუნების ეთიკას შორის ჰიატუსია, რადგან შეუძლებელია ადამიანსა და ბუნებას შორის მიმართებაზე ზუსტად იქნას გადატანილი თანაზიარობის ის ძირეულად თანასწორი ურთიერთობა, რაც კომუნიკაციურ ქმედებაშია ჩადებული და რაზეც დაიყვანება მნიშვნელოვნების ნორმატიულ პრეტენზიათა საზრისი.

– *თავისუფლებისა და თანასწორობის იდეები. როდი არის სრულიად შემთხვევითი რამ ის, რომ სამართლის რესტავრირების ახალ არისტოტელიანურ მცდელობაში გამორჩეული ადგილი უპყრია მზრუნველობის მამობრივ მიმართებას ე.ი. – კატეგორიას, რომელსაც ეთიკურ რანგზე პრეტენზია მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხად არსებათა მიმართ შეიძლება ჰქონდეთ. გინა იმათ მიმართ, რომელთა დახსნაც ერთხელაც არის და შერაცხადობაში გახდება შესაძლებელი.*

---

[1] Ebd. 64.

— ეთიკა, რომელიც „ანთროპოცენტრიზმიდან“ უხვევს, ბუნების შკალაზე ადრესატთა წრეს ქვემოთკენ ავრცობს; მაგრამ სხვისი ტანჯვის შთაგრძნობადობის საზღვრები კვლავაც ბუნდოვანი რჩება. და განა არ არის აუცილებელი, რომ თანამდმობი სოლიდარობის მოთხოვნა მაშინვე შევაჩეროთ; სახელდობრ, იგი მცენარეებისადმი თანალმობით ამოვწუროთ, თუკი არ გვინდა, რომ ეს მოთხოვნა ადამიანური გვარის თვითშენახვის უფრო მკაცრ იმპერატივებთან კონფლიქტში გაეხვეს?

— დაბოლოს, მთავარი ფილოსოფიური საკითხი დგება, თუ როგორ არის შესაძლებელი და როგორ ხამს, რომ ბუნების ეთიკა დაფუძნდეს რელიგიური გინა მეტაფიზიკური მსოფლხატის სუბსტანციურ გონებაზე დაყრდნობის გარეშე, ისე, რომ ამგვარი დაფუძნება სწავლის იმ დონის შესატყვისი იყოს, რომელიც მიღწეულია თანამედროვე მსოფლგაგებაში.

მე არც ის მინდა, რომ ეს სიძნელეები თეორიის პრობლემატური პროგრამის შედეგებად გავიგო, არამედ მინდა, ისინი კვლავაც იმაზე მინიშნებად მესმოდეს, რომ მართალია გარებუნებასთან ურთიერთობაში ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ მორალის ანალოგიური შეგრძნებანი, მაგრამ გარებუნების რეალობის ამ სფეროს მიმართ ნორმების თანხმიერი განწყობა არ იძლევა ისეთ პრობლემებს, რომელთა კოგნიტივური დამუშავება შეიძლებოდეს, ე.ი. არ წამოჭრის ისეთ საკითხებს, რომელთა ნორმატიული მნიშვნელოვნების თვალსაზრისით სამართლიანობის საკითხებად აბსტრაჰირება ხერხდებოდეს. საპირისპიროდ ამისა, დისკუსია, რომელიც ბუნების მშვენიერებისა და ხელოვნების მშვენიერების თაობაზე წარმოებდა მოკიდებული კანტიდან ვიდრე ადორნომდე, მოგვაწვდიდა საბუთებს იმ თეზისთვის, რომ გარებუნების მიმართ *ექსტესიული განწყობა* გამოცდილების ისეთ სფეროს გახსნის, რომლის ამოწურვა შესაძლებელი იქნება *ხელოვნების წარმოებისთვის*

ცხადია, რომ ღირებულების კულტურელურ სფეროთა გათვითმყოფადება იმ განსაკუთრებული *ნათესაური ურთიერთობების* წყალობაა, რომელიც ყოველთვის არსებობენ მეთოდური სარგებლობის მომტან *ფორმალურ-პრაგმატულ ძირეულ განწყობასა* და რეალობის შესაბამის სფეროებს შორის. ამგვარი ნათესაობანი შესაძლებელყოფენ რაციონალობის კომპლექსთა ჩამოყალიბებას, რომელთა გაერთიანება *კულტურელური მემკვიდრეობის სიბრტყეზე* მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებათა წარხოცვისა, და მაშასადამე, სამყაროს კვლავ მოჯადოების ფასადაა შესაძლებელი. თუ ქვემორე სქემაში გადმოცემული ნათესაობანი საზოგადოდ არსებობის მქონენი არიან და არ უნდა წარმოადგენდნენ მხოლოდ განსაზღვრული კულტურის გამოხატულებას, მაშინ გარებუნებასთან ჩვენი ურთიერთობის მორალიზება, ისევე როგორც ბუნების არამაობიექტირებელი შემეცნება, არ შეიძლება განხორციელდეს *იმავე დონეზე*, რომელსაც მიაღწია კანტმა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მორალიზებისათვის, ხოლო ნიუტონმა — ბუნების მაობიექტირებელი შემეცნებისათვის.

ცხრ. 23. რაციონალობის კომპლექსები

სამყაროები / ძირეული განწყობანი	1	2	3	1
3	ხელოვნება			
1	კოგნიტიურ-ინსტურმენტული რაციონალობა			
	მეცნიერება ტექნიკა	*სოციალური ტექნოლოგიები*		
2		მორალურ-პრაქტიკული რაციონალობა		
		სამართალი	*მორალი*	
3			ესთეტიკურ-პრაგმატული რაციონალობა	
			ერო-ტიკა	*ხელოვნება*

გარებუნებისა და საზოგადოებისადმი მაობიექტირებელი განწყობა შემოწერს კოგნიტივურ-ინსტრუმენტული რაციონალობის კომპლექსს, რომელშიც ცოდნის წარმოება ღებულობს მეცნიერული და ტექნოლოგიური წინსვლის (სოციალური ტექნოლოგიების ჩათვლით) ფორმას. 1.3. ველი რომ ცარიელია, ეს იმ ვარაუდის დაშვებას ნიშნავს, რომ მაობიექტირებელი განწყობით ვერაფერს შევისწავლით შინაგანი ბუნებისა, და შესაბამისად, სუბიექტურობის შესახებ. საზოგადოებისა და შინაგანი ბუნების მიმართ ნორმებთან თანხმიერი განწყობა შემოწერს მორალურ-პრაქტიკული რაციონალობის კომპლექსს, რომელშიც ცოდნის წარმოებას შეუძლია მიიღოს სამართლისა და მორალის შესახებ წარმოდგენების სისტემატური დამუშავების ფორმა; 2.1. ველი რომ ცარიელია ეს ნიშნავს, სკეპსისს იმ შესაძლებლობის მიმართ, რომ ოდესმე შესაძლებელი გახდეს არაობიექტირებული ბუნებისადმი დედმამიშვილური ურთიერთობის რაციონალიზება, მაგალითად, მაინტერპრეტირებელ ბუნების მეცნიერებათა ფორმით. დაბოლოს, შინაგანი და გარებუნებისადმი ექსპრესიული განწყობა შემოწერს ესთეტიკურ-პრაქტიკული რაციონა-

ლობის კომპლექსს, რომელშიც ცოდნის წარმოებას შეუძლია მიიღოს მოთხოვნილებათა აუტენტური ე.ი. ცვალებად ისტორიულ პირობებში მიწყივ განახლებადი ინტერპრეტაციის ფორმა. 3.2. ველის შეუსებლად დატოვებას ჯერ არს, მიუთითოს იმაზე, რომ ინტერაქციის ფორმები, რომლებიც განისაზღვრა როგორც ექსპრესიული (მაგ. კულტურის საპირისპირო ცხოვრების წესები), არ ქმნიან რაციონალიზებაშემძლე სტრუქტურებს, არამედ პარაზიტულ ფორმებს წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც დამოკიდებულნი არიან ღირებულებათა სხვა სფეროებში განხორციელებულ ინოვაციებზე. თუკი ძირეული განწყობიდან და სამყაროს შესახებ კონცეპტებიდან ფორმალურ-პრაგმატულად გამოყვანილი რაციონალობის ეს სამი კონცეპტი მიუთითებს ღირებულებათა იმ სამ კულტურელურ სფეროზე, რომლებიც გათავისთავადებულან ევროპულ თანამედროვეობაში, მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ სქემის სისტემატურობის პრეტენზია შესიტყვებას იმსახურებდეს. ვებერის თვალთახედვით ცნობიერების თანამედროვე სტრუქტურები ხომ ჯადოს ახსნის უნივერსალურ-ისტორიული პროცესიდან წარმოიშვნენ.

კულტურელურ ღირებულებათა სფეროების დონეზე მოგვეცემა გონების ის ერთიანობა, რომლის გასაჩივრებაც მაკქართის, ოტმანსა და სხვებს ეწადათ. მაგრამ მეორე მხრივ, ამგვარი ერთიანობა გარკვეულწილად *ყოველთვის უკვე* არის წარმოებული *კომუნიკაციური ყოველდღიურობის პრაქტიკაში*, რომელსაც გამსჭვალავენ კოგნიტივური განმარტებანი, მორალური მოლოდინები, ექსპერსიები და შეფასებანი. ჰეგელის მარქსისეული კრიტიკადან შეგვიძლია დავისწავლოთ, რომ *ყოველდღიურობის* ამგვარი პრაქტიკის *ცალმხრივი* რაციონალიზების შედეგია შერიგების ის მოთხოვნილება, რომელიც ჰეგელმა კანტის საპირისპიროდ გამოაცხადა. ამგვარი მოთხოვნილება მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებათა ნიადაგზე ჩნდება, სადაც ცხოვრების სამყაროსა და კომუნიკაციურ ქმედებას კაპიტალისტური მოდერნიზების ფინანსურ ვალდებულებათა დაწოლვის შედეგად უკანონოდ აქვს აღკვეთილი კოგნიტივურის არაძალადური შეთამაშება მორალურ-პრაქტიკულსა და ესთეტიკურ-ექსპრესიულთან, რომელზეც ისინი თავიანთი სტრუქტურის მიხედვით არიან დამოკიდებულნი.

17. გონება და ისტორია — ეთიკური ფორმალიზმის კრიტიკა

საკითხთა კანტისეულ დაყენებასთან დაკავშირებული რაციონალობის თეორიის აბსტრაქტული უნივერსალიზმის საეჭვო კურთხევის კრიტიკა შეიძლება გონებისა და ისტორიის მიმართებაზეც გავრცელდეს. თუკი იქიდან ამოვალთ, რომ ყოველდღიურ კომუნიკაციურ ქმედებაში კვლავ ინტიმურად ეჯვარედინებიან ერთმანეთს რაციონალობის ის ასპექტები,

რომლებიც ერთმანეთს წყდება და ერთმანეთისგან იზოლირებულად განიხილება მეცნიერებაში, მორალსა და ხელოვნებაში, მაშინ მაინც ერთმანეთისადმი დაპირისპირებული რჩება ორი სფერო, რომლებიც შეკავშირებას საჭიროებენ: ერთი მხრივ, ესაა ექსპერტთა კულტურები, ხოლო მეორე მხრივ ტრადიციებით ნასაზრდოები, ცხოვრების კულტურელური წესების ჩარჩოებში ჩასმული და ცხოვრების ინდივიდუალურ ისტორიებად განტოტვილი ყოველდღიურობის კომუნიკაციური პრაქტიკა; ერთი სიტყვით – ცხოვრების სამყარო. მაშინ, როცა ერთგან ცხოვრების სამყარული ფონის სინდრომებსა და ყოველდღიური კომუნიკაციის ტრადიციაზე დამოკიდებულ ჰერმენევტიკაში, ერთმანეთზე *მიუთითებენ* სხვადასხვა ტიპის გამოხატულებანი; მეორეგან, ექსპერტთა კულტურებში, ყოვლის უწინარეს, ერთხელაც არის და წყდება მნიშვნელოვნების ტრანსფერი დესკრიპტული, ნორმატიული, ექსპრესიული და ეკალუაციური შედგენილობის გამოთქმებს შორის, რათა შესაძლებელი შეიქნეს პრობლემის, შესაბამისად, გონების ასპექტის *მიხედვით* დამუშავება. კულტურელური თანამედროვეობის მონაპოვარი ის არის, რომ გონების ფორმალური სტრუქტურები შესაძლებელია, მოვწყვიტოთ სამყაროს ტრადიციით გადმოცემული განმარტების სემანტიკურ შედგენილობებს და ე.ი. შესაძლებელია ისიც, რომ გონება თავის შემადგენელ მომენტებად დავაქუცმაცოთ. მაგრამ მეცნიერების, მორალისა და ხელოვნების *ავტონომიზირების* უკუღმა პირი არის იმ ტრადიციის ნაკადიდან მოხლეჩა, რომელიც ყოველდღიურობის ურთიერთგაგების პროცესებს ასაზრდოებს. გონება *აბსტრაქტული* ხდება და წამოიჭრება პრობლემა, თუ როგორ არის შესაძლებელი, რომ თვითნებურად მოგროვილი კოგნიტიური პოტენციალი მოსწყდეს მის მაღალ ფორმებს და დაყვანილი იქნეს იმ ცხოვრების სამყაროზე, რომლის ტრადიციის სუბსტანცია სულ უფრო და უფრო *ღატაკდება*. როგორ შეიძლება „მოიხსნას და შენახულ იქნეს" ის აბსტრაქცია, რომლის წყალობაა თანამედროვე მსოფლგაგება და მომენტებად დაქუცმაცებული გონება ისე, რომ ამისთვის არ ეზღოთ განსხვავებათა იმ წარხოცვით რეგრესიულ მოჯადოებას რომ მოსდევს და, რომელსაც ძალადაუტანებლად ვბაძავთ? ასეთი იყო მაკქართის მიერ დაყენებული საკითხი; იგი განსაკუთრებით წამოიჭრება პრაქტიკული გონებისათვის, რომელიც განიმარტება იმ ფორმალისტური ეთიკის სახით, რომელიც თანამედროულად შეიმუშავებს ნორმატიული მნიშვნელოვნების პრეტენზიათა თვითრჯულობას, სამართლიანობის იდეას. რაკი ეთიკას ისეთ პრობლემებთან აქვს საქმე, რომელთა რეზიდენცია კომუნიკაციური ქმედებისა და ნორმებით რეგულირებული ინტერაქციების სფეროა.

პრაქტიკული გონების ისტორიული ჩასმის ზოგადი საკითხის თვალსაზრისით შეიძლება, ერთმანეთისგან განვასხვაოთ ორი პოზიცია. ერთი მყარად ადგას მორალური მსჯელობის უნარის კონტექსტზე დამოკიდებულებას და უარყოფს საზოგადოდ უნივერსალისტური ეთიკის შესაძ-

ლებლობას. მეორე კი ამტკიცებს, რომ მორალურ-პრაქტიკული რაციონალობის თვითრეფლექსია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ეთიკური უნივერსალიზმის დახმარებით ჩამოყალიბდეს; მაგრამ ამ თვალსაზრისს ისიც შეგნებული აქვს, რომ რაგინდ უცილობელი იყოს უნივერსალიზმის აბსტრაქტული საყოველთაობა, გამოხატავს შეკავშირების პრობლემას. არც ერთი და არც მეორე პოზიცია არ მოითხოვს, რომ ისტორიულად კონკრეტულ ცხოვრების წესთა და ცხოვრების ისტორიათა პრულარიზმი სრულყოფილად სამართლიან წესრიგს ემსხვერპლოს: ეთიკურ უნივერსალიზმს, მართალია, უტოპიური შედგენილობა აქვს, მაგრამ იგი უტოპიას *არ მოსახავს*.

აქ არ მსურს მივუბრუნდე გადამერის ჰერმენევტიკულ პოზიციასთან ჩემს პოლემიკას. დებატები საბოლოოდ ბრწყინვალედ გაანალიზა ჯეკ მენდელსონმა; ამასთანავე იგი დასკვნასაც აკეთებს: „ჰაბერმასის არგუმენტები დამაჯერებლად გამოიყურება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ეპისტემოლოგიას ონტოლოგიის წინააღმდეგ, გონების მიმართებას ავტორიტეტისადმი, და *გაგების* გაშუალების საჭიროებას იმგვარი ახსნა-გაგებით, რომელსაც თეორია წარმართავს, მაგრამ გადამერთან ეს დაპირიპირება ჰაბერმასის მიდგომისთვის რამდენიმე ქვეტექსტს შეიცავს, რომლებიც მათს კონფრონტაციაში ცხადად არა ჩანან. განსაკუთრებით ოდნავ სხვაგვარად არის წამოსაწევი კრიტიკული თეორიის ტადიციასთან მიმართების საკითხი"[1]

თვით ასეთი კეთილგანზრახვის მქონე კრიტიკოსიც კი ვერ ამჩნევს იმ გაშუალების აუცილებლობას, რომელიც უნდა აწარმოოს კომუნიკაციის თეორიულად ჩამოყალიბებული დისკურსის ეთიკამ ერთი მხრივ, თავის თავსა და მის ადრესატებს, თავის აბსტრაქტულ – სახელდობრ დეკონტექსტულიზებულ და მხოლოდღა ნორმატიულ დასაბუთებათა საზრისზე კონცეტრირებულ თვალთახედვებს; მეორე მხრივ კი – ისტორიულ სინამდვილეს, სამართლიანობის უკვე *ქმედით იდეალებს*, სოციალურ მოძრაობათა *უკვე არსებულ* ორიენტირებულობებს, თავისუფლების *ექსისტირებულ* ფორმებს შორის.

მელდენსონი მართებულად ფიქრობს, „რომ იდეალური სამეტყველო სიტუაციის ისტორიული პოტენციალი საზოგადოების აქტუალურ მაორგანიზებელ პრინციპად ქცევისა, შეიძლება სინამდვილედ მხოლოდ იმ საზოგადოებაში იქცეს, რომელიც მოახერხებს მის არტიკულირებას ისტორიულად უფრორე სპეციფიკაციაქმნილი და გაცნობიერებული ტრადიციების დონეზე; როგორიც არის, მაგალითად, მეოცე საუკუნის დასავლური დემოკრატიები. მაშინ, როცა გარკვეულწილად რაციონალური კონსენსუსი შესაძლოა იმანენტური იყოს ენისთვის per se და არ იყოს

[1] J.Mendelson, The Habermas-Gadamer Debate. New Germ. Crit. 1979, 68.

მხოლოდ აქტუალური კულტურა. პოლიტიკურად მნიშვნელოვან იდეალად, რომელსაც შეგნებულად უნდა ესწრაფვოდნენ, იგი მხოლოდ ისეთ საზოგადოებებში იქცევა, რომლებიც მასთან ურთიერთობას ეს-ესაა იწყებენ თავიანთი საკუთარი კულტურული ტრადიციების საფეხურზე... ამ თვალსაზრისით კომუნიკაციის თეორია და ისტორიულად სპეციფიკური ტრადიციების იმანენტური გამოკითხვა ალტერნატივებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ერთი პროცესის ურთიერთშემავსებელ ნაბიჯებად წარმოგვიდგებიან".[1]

უფრო მეტ სიმძაფრეს ანიჭებს ამ მოსაზრებას სელა ბენჰაბიბი თავის გამოუქვეყნებელ ხელნაწერში. მას მიაჩნია, რომ ნორმატიულ თეორიას არანაირი ფასი არა აქვს, რაკი იგი არ არის დარწმუნებული წარმოშობისა და გამოყენების თავის საკუთარ ისტორიულ პირობებში, რაკი იგი არ ეძლევა მის ადრესატთა ყოველდღიური ენის თამაშის ისტორიულ კონტექსტს. პრაქტიკულ გონებას უფლება არა აქვს მარტო აბსტრაქტულ საყოველთაობაში განიფინოს, არამედ მან თავისი თავი უნდა „მოათავსოს". ბენჰაებიბი იმ საკითხს განარჩევს, რომელსაც კვლავ წამოჭრის სტიენ ლუკესი. იმისთვის, რათა ადამიანებმა სისხლხორცეულად შეიძლონ პრაქტიკული დისკურსის იდეალიზირებული პირობების დაკმაყოფილება, საჭიროა ჩამოყალიბების პროცესი, რომელისგან მედიდური აბსტრაქციის უფლება თეორიას არა აქვს: „უნივერსალური პრაგმატიკა ხორციელდება აბსტრაქციის იმ საფეხურზე, რომლის თვალსაწიერიდან თითოეული და ყოველი ინდივიდი არის კონსენსუსისა და დისკურსის შემძლე მყოფი. ასეა თუ ისე, ეს არის ყოველი ჩვეულებრივი კომუნიკაციის კონტექსტის აუცილებელი „ტრანსცენდენტალური ილუზია", უნივერსალური პრაგმატიკა ეწევა წესთა სისტემის რეკონსტრუქციას, რომელიც *ალიარებული* იქნება როგორც აუცილებელი მხოლოდ გარკვეული ყაიდის მოქმედი და მოლაპარაკე აგენტების მიერ. მათ უნდა მიაღწიონ ანდა შეიძლება მიაღწიონ მორალური და პრაქტიკული ჩამოყალიბების დონეს, რომელიც შეესატყვისება უნივერსალური პრაგმატიკის აბსტრაქციის საფეხურს. ვალდებულება იმისა, რომ ყოველი ინდივიდი განხილული იქნეს დისკურსის პოტენციურ მონაწილედ წინასწარგულისხმობს ინდივიდთა პოტენციალური თანასწორობის, ავტონომიისა და რაციონალობის ვალდებულებას. ეს ვალდებულება დამაჯერებლობას იძენს ჩამოყალიბების დასრულებული ანდა ჯერ ისევ დასასრულებელი პროცესის მეშვეობით"[2]

---

[1] J.Mendelson, a.a.O.,68.

[2] ამასთანავე: S.Benhabib, The Methodological Illusions of Modern Political Theory, Neue Hefte f. Philos. 21,1982.

პრაქტიკული დისკურსების მონაწილეთა ერთსადაიმავდროულად ჰიპოთეტური და მიუკერძოებელი პერსპექტივიდან ეთიკურ საკითხთა განხილვისთვის მზაობა და არც ამგვარი განხილვის უნარი ზეციდან არ ცვივა; მათ *ინტერესები* შობენ, რომლებიც განსაზღვრულ სოციალურ პირობებში ყალიბდებიან; ასევე წარმოიშობიან ისინი სწავლის *პროცესებიდან* და *გამოცდილებებიდან*, რომლებზეც სოციალურ ჯგუფებს მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრულ სიტუაციებში მიუწვდებათ ხელი. იგივე ითქმის იმ ახალი ინტერპრეტაციებისათვის, რომლებიც *სხვა* შუქზე წარმოაჩენენ ჩვენს მოთხოვნილებებსა და ინტერესებს და ამით ახალი კონსენსუსის შანსებს აღებენ. როგორაც უნდა ჩნდებოდნენ ეს ინოვაციები, ისინი დარწმუნების ძალას იძენენ და ვრცელდებიან არა დისკურსის გზით, არამედ — *სოციალური მოძრაობების* მეშვეობით. მე არ მინდა, უკუვაგდო ეს მტკიცებები, რამდენადაც ისინი მიმართულნი არიან ტრანსცენდენტალურად დასაწყისებული თეორიების შავი ლაქის წინააღმდეგ, ამდენად ისინი გამართლებული კრიტიკული წონადობათა მქონენი არიან; ოღონდ არ შეიძლება, რომ მათ ყალბი არგუმენტაციული ადგილღირებულება მიენიჭოთ. მსგავსი განსაზღვრებებით იცავენ ს.ბენჰაბიბი და სტივენ ლუკესი ურთიერთდაპირისპირებულ პოზიციებს. მაშინ, როცა ლუკესი ძირეულად სკეპტიკურად არის განწყობილი მორალურ მსჯელობათა კოგნიტივური პრეტენზიის მიმართ, ბენჰაბიბი აბსტრაქტულად საყოველთაო მორალის ნაცვლად ისტორიულად სიტუაციურ ზნეობრიობას იცავს. მე ორივე პოზიციას მცდარად მივიჩნევ; ისტორიულ-ფილოსოფიური პოზიცია არა ნაკლებ ყალბია, ვიდრე ღირებულებათა მიმართ სკეპტიკურად განწყობილი პოზიცია.

კრიტიკული თეორიის განვითარების ისტორიიდან შეიძლება იმის დასწავლა, თუ რატომ გახდა მყიფე იდეოლოგიის კრიტიკის ისტორიის ფილოსოფიური დაფუძნება. ვარაუდები საწარმოო ძალთა და წარმოების ურთიერთობათა მიმართების თაობაზე წარმოადგენენ ფსევდონორმატიულ გამონათქვამებს ისტორიის ობიექტური ტელეოლოგიის შესახებ: 30-იანი წლების კრიტიკული თეორია ამას იმ გონების რეალიზების წევის ძალად თვლიდა, რომელიც თავის თავს ბურჟუაზიულ იდეალებში განმარტავდა. დესკრიპტულ და ნორმატიულ შედგენილობათა ეს შერევა გეგმაზომიერად იქნა განხორციელებული ისტორიულ-მატერიალისტურ საფუძველცნებებში. ამ კონფუზიის თავიდან აშორება შესაძლებელია ისე, რომ უარი არ ითქვას თეორიულად წარმმართველ ინტენციებზე, თუკი ანთროპოლოგიურად სიღრმისეული სტრუქტურების გონებრივ შემადგენლობაში გვარწმუნებს ტრანსცენდენტალური, პირველ ყოვლისა, არაისტორიულად დასაწყისებული ანალიზი. ამასთანავე არცთუ ეგზომ მნიშვნელოვანია ის, რომ ამ მიზანთან შემეცნების თეორიულსა თუ ენის თეორიულ მიახლოებას ცდილობენ. მაგრამ მოქმედების ამგვარ წესს მნიშვნელოვანი შედეგი მოსდევს. შემეცნების, ქმედებისა

და ურთიერთგაგების კოგნიტიური სტრუქტურებიდან, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებათა კომპეტენტური წევრის ინტუიტურ ცოდნაში „ამოიკითხება", არ არსებობს ისტორიის იმ თეორიისაკენ უკან მიმავალი გზა, რომელიც a fortiori საგულდაგულოდ არ მიჯნავს ერთმანეთისგან განვითარების ლოგიკისა და განვითარების დინამიკის პრობლემებს. ამ ხერხით მე თვითონ ვცდილობ, ისტორიული მატერიალიზმი ისტორიის ფილოსოფიური ბალასტიდან გავათავისუფლო.[1]

რადგან მოქმედების ეს წესი სოციალურ ევოლუციასა და ისტორიას შორის ცხად ანალიტურ კვეთს მოითხოვს, კრიტიკაც მეტად აღარ იყენებს ისტორიის ფილოსოფიურ გზამკვლევს; აუცილებელია, იგი ორიენტირებული იყოს სწავლის პროცესთა შესაძლებლობაზე, რომელიც უკვე არის გახსნილი სწავლის ისტორიულად უკვე მიღწეული დონით. იდეოლოგიის კრიტიკა აღარ შეიძლება დაიწყოს უშუალოდ კონკრეტული, ცხოვრების წესებისათვის შინაგანად დამახასიათებელი იდეალებით, არამედ იგი ჯერ ისევ მხოლოდ რაციონალობის სტრუქტურათა ფორმალურ მახასიათებლებს ეხება. მართალია, იგი გამოიხატება ცხოვრების კონკრეტულ წესებში, განსაკუთრებულ კულტურელურ გადმოცემებში, ინსტიტუციებში, გამართლების ნიმუშებში, იდენტობათა ფორმაციებში და ა.შ., მაგრამ ისინი ვარირებენ განვითარების ლოგიკურად *საყოველთაო* თვალსაზრისების მიხედვით, ამასთანავე ვარიაციის სარბიელის განვითარების ლოგიკური შემოსაზღვრა წინადაწინ არ წყვეტს ისტორიულ პროცესთა დინამიკის საკითხებს. ორკეცი აბსტრაქცია, ცხოვრების წესთა ისტორიული კონკრეციიდან საზოგადოებრივი ევოლუციის აბსტრაქცია და ხდომილებათა ისტორიული დინამიკიდან კოგნიტიური სტრუქტურების განვითარების აბსტრაქცია, თავიდან გვაცილებს იმ საფუძველცნებითს კონფუზიას, რომელიც ისტორიულ-ფილოსოფიური აზროვნების წყალობაა. მაგრამ იგი როგორც ვნახავთ, ასევე მოითხოვს უარის თქმას ტოტალობათა, მსოფლხატთა, ეპოქათა, ცხოვრების წესთა და კულტურათა, მთლიანად ცხოვრებისეულ კავშირ-მიმართებათა კრიტიკულ განხილვასა და ნორმატიულ განვითარებაზე.

მაგრამ ჯერ მე მინდა განვიხილო სტივენ ლუკესის სამი მთავარი შესიტყვება, რომელსაც დისკურსის ეთიკის აბსტრაქტული საყოველთაობის მიმართ იჭვიდან სკეპტიკური ხასიათის დასკვნები გამოაქვს.

ა) თავდაპირველად სტივენ ლუკესი მოქმედების რეალურ კონტექსტსა და დისკურსს შორის მიმართების ახლახანს გარჩეული პრობლემიდან ბრუნს ძირეულ პრობლემატიკაში აკეთებს.[2] პრაქტიკული დისკურსისათვის წამოყენებული მონაწილეობის პირობები იმზომად არის იდეალიზირებული,

---

[1] Rekonstruktion des Hidtorischen Materialismus, Ffm. 1976.

[2] St.Lukes, Of Gods and Demons: Habermas and Practical Reason, in: Thompson, Held (1982), 134ff.

რომ შეუძლებელია იმის წარმოადგენა, თუ აქტორებმა – რომელთა უშინაგანესი სამყარო საზოგადოებრივ კონტექსტებზეა დამოკიდებული – საერთოდ, როგორ უნდა გაართვან თავი დისკურსის მონაწილეთა როლს. და როცა ვინმე შეეცდება ამის წარმოდგენას, აქტორებს სისხლხორცი უქრებათ, ისინი ზემიწიერ სახეს იმოსავენ. მაგრამ ამით წინასწარ იქნებოდა გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება პრაქტიკულ საკითხებში დისკურსული თანხმობის მიღწევა.

საუბედუროდ ლუკესი ამ შესიტყვებას განზოგადოებაშემძლე ჩახშობილ ინტერესთა მოდელის საფუძველზე ავითარებს. მაგრამ ეს მოდელი არ განმარტავს დისკურსის ეთიკის საფუძველვარაუდებს, არამედ მათ *იწანამძღვრებს* როგორც *სწორ* ვარაუდებს; დისკურსის ეთიკა აქ მხოლოდ *გამოიყენება* და იგი გამოიყენება არა, ვთქვათ, პრაქტიკულ საკითხთა განმარტების მიზნით, არამედ თეორიული განზრახვით, რომ ინტერესთა ემპირიული მიწერისას გატარებული იქნეს განსხვავება საყოველთაო და განსაკურთებულ ინტერესებს შორის. მაგრამ ლუკესს უნდა თვითონ დისკურსის ეთიკის და არა მის გამოყენებათა გაკრიტიკება. ამიტომ მე მსურს მისი შესიტყვებანი პირველი პერსონის – სახელდობრ, იმ პერსონის პერსპექტივაზე გადავაწყო, რომელიც იმთავითვე უტევს ნორმატიულ თეორიას.

დისკურსის ეთიკა ეხება კომუნიკაციის იმ წანამძღვრებს, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა აუცილებლად უნდა დაუშვას, თუკი გვსურს, სერიოზული მონაწილეობა მივიღოთ არგუმენტაციაში. მტკიცება ის არის, რომ ისინი, ვისაც სურთ თავისი თავი არგუმენტაციის თანამონაწილედ გაიგოს, თავიანთი კომუნიკაციური კომპეტენციის წინარეთეორიული ცოდნის საფუძველზე ერთობლივად უშვებენ, რომ მეტყველების აქტუალური სიტუაცია თითქოსდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ, სინამდვილეში პრეტენზიებით დახუნძლულ წანამძღვრებს. მე ერთხელაც იყო ღიად დავტოვე საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა კომუნიკაციის წანამძღვართა სათანადო რეკონსტრუირება „იდეალური სამეტყველო სიტუაციის“ ჩემს მიერ შემოთავაზებული ფორმით. ახლა მე მინდა, ასევე, თავი ავარიდო საკითხს იმის თაობაზე, თუ რამდენად არის აუცილებელი შესაბამისად შესრულდეს ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა წამოვაყენოთ ჩვენ როგორც დისკურსის თანამონაწილეებმა. მაგრამ ჩვენ, ასე ვთქვათ, ტრანსცენდენტალურად *იძულებულნი* ვართ, დავუშვათ, რომ ის მოთხოვნები *საკმარისად* არიან რეალიზებულნი მოცემულ ემპირულ შეზღუდვათა პირობებში; ოღონდ ვიდრე ჩვენ იმზომად ნეიტრალიზირებულად არ მივიჩნევთ გარეგანსა და მეტყველებისთვის იმანენტურ იძულებებს, რომ ჩვენს თვალში გამოირიცხება ცდომილებასა თუ თავის მოტყუებაზე დამყარებული ფსევდოკონსენსი, არც კი შეგვიძლია *ვიფიქროთ*, არგუმენტაციაში მონაწილეობის მიღება.

ლუკესის მიერ გარჩეული ორივე შემთხვევა ამ თეზისის წინაშე ზუსტად გაუმიჯნავი აღმოჩნდება.[1] სახელდობრ, მონაწილის პერსპექტივიდან *ორივე ერთსადამავდროულად* მნიშვნელობს: ბუნებრივია, თვით მონაწილეობის მიმღებნი თავიანთი თავის როგორც რეალური ცხოვრების აქტორთა იდენტიფიცირებას ეწევიან, მაგრამ ამავე დროს მათ „უნდა" დაუშვან, რომ ერთი წამით შეუძლიათ საკმარისად დააკმაყოფილონ იდეალური სამეტყველო სიტუაციის კომუნიკაციის წანამძღვრები. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი რეალური ხასიათები ფაქტიურად ინტელიგიბალური ხასიათებით შეიცვლება. პირიქით აქტორებს რომ თან არ მოჰქონდეთ და მათ რომ არ ახლდეთ *თავიანთი* ინდივიდუალური ცხოვრების ისტორია, *თავიანთი* იდენტობა, *თავიანთი* მოთხოვნილებანი, ტრადიციები, წევრობანი და ა.შ., მაშინ პრაქტიკული დისკურსი იმწამსვე ყოველგვარი შინაარსიდან განძარცული იქნებოდა.

„რეალური ცხოვრებისა" და „რაციონალური აქტორის", რეალურისა და იდეალურად დაწანამძღვრებული კომუნიკაციის თემში მონაწილის როლთა ორივე შემთხვევა ზუსტად გამიჯნული მხოლოდ მესამე პერსონის პერსპექტივიდანაა: მაგალითად — იმ სოციალური მეცნიერის პერსპექტივიდან, რომელიც იყენებს დათრგუნულ გასაყოველთაოებად ინტერესთა მოდელს. ამგვარმა დამკვირვებელმა დაზვერვა იმ ემპირიულ ინდიკატორთა მიხედვით უნდა აწარმოოს, რომლებზეც მას თავისი ჰიპოთეტური ექსტრაპოლაციების დამყარება ძალუძს; დაკვირვებაქმნილი ქცევებიდან დამკვირვებელი დაასკვნის იმ პოზიციათა გვარეობის თაობაზე. თავიანთი მოქმედების კონტექსტებში, რომელთა დასაკვებლადაც დაკვირვებაქმნილ აქტორებს სრული უფლება ექნებოდათ, მათ რომ ფაქტის საწინააღმდეგოდ ამ სიტუაციაში ყველა გარეულთა წრის შიგნით შესაბამის არგუმენტაციაში მონაწილეობის ხელსაყრელი შემთხვევა მისცემოდათ. მაგრამ *ჰიპოთეტურად დაშვებული* გადასვლა „ნამდვილი ცხოვრებიდან" დისკურსზე აქაც კი მხოლოდღა „ყალბი ცნობიერების" მეთოდურ გამორიცხვას მოასწავებს და არა — ცხოვრების წესთა და ცხოვრების ისტორიათა ნეიტრალიზებას.[2]

---

[1] მე უგულებელყოფ ინდივიდუალურ მონაწილეთა რეპრეზენტაციული შენაცვლების მეორე ადგილას დასმულ შემთხვევას; შემოთავაზებულ მოდელში რეპრეზენტაციულად ჩატარებული დისკურსი კომუნიკაციის უფრო მაღალსაფეხუროვან, ყველაზე დისკურსულად ჩამოყალიბებულ თემს მიეწერება, რომლის დროსაც ნებისქმნის ორგანიზაციის გვარეობა (მაგალითად, იმპერატიული ეალდებულების საკითხი დელეგირებულთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ), თავის მხრივ, დამოკიდებულია კომუნიკაციის მაკონსტიტუირებელი თემის ნების ქმნაზე.

[2] მაგრამ წინარემოდერნული საზოგადოებების შემთხვევაზე ამ მოდელის მიყენება მეთოდურ სიძნელეებს წარმოშობს; ასეთსავე სიძნელეებში ეეხვეეთ, როცა ამ მოდელს საზოგადოდ მიეუყენებთ ხოლმე იმ აქტორებს, რომლებსაც უფლება არა გეაქვს თანამედროვე მსოფლგაგება მიეაწეროთ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი არის ამ მოდელს წაეუმატოთ ეარაუდები ცხოერების სამყაროს რაციონალიზების ე.ი. მსოფლხატთა ეეოლუციის, გამართლების ინსტიტუციონალიზებული დონისა და ურთიერთგაგების ფორმათა თაობაზე.

(ბ) ლუკესის მეორე ეჭვი მიმართულია ინტერესთა გასაყოველთაოების იდეის წინააღმდეგ, რა დროსაც ინტერესები ისეთ აღწერილობათა ფორმით გვევლინებიან, რომლებმაც თავიანთ მხრივ აუცილებელია, გაუძლონ დისკურსულ შემოწმებას. აქ კი მე ოდნავ მეჩოთირება ის ამბავი, რომ ლუკესი არ განიხილავს დისკურსის ეთიკის ძირეულ ვარაუდებს, მაგალითად – იმ სახით, როგორაც ისინი გარჩეულია თ. ა. მაკქართისა[1] და რ.ალექსის[2] მიერ. მომდევნო პარაგრაფი მოკლედ აჯამებს თეორიის ფართო პროგრამას: „კომუნიკაცია, რომელიც ორიენტირებულია ურთიერთგაგების მიღწევაზე, შეიცავს ურთიერთმხრივ წამოწყებულსა და აღიარებულ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს. ჭეშმარიტებასა და სისწორეზე პრეტენზიები – თუ მათი მოთხოვნა რადიკალურია – შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ არგუმენტაციული დისკურსის გზით დაკმაყოფილდეს, რომელსაც რაციონალურად მოტივირებულ კონსენსუსამდე მივყავართ. დისკურსის პირობათა და რაციონალური კონსენსუსის უნივერსალურ-პრაგმატული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ემყარებიან „იდეალური სამეტყველო სიტუაციის" წინასწარგულისხმობას, რომელიც ხასიათდებოდა დიალოგში როლთა აღების შანსთა ეფექტური თანაბრობით. ეს უცილობელი (მაგრამ, ჩვეულებრივ, ფაქტების საწინააღმდეგო) ბრალდება – შერაცხვა იმ „ილუზიას" წარმოადგენს, რომელიც კონსტიტუციურია სწორედ რომ რაციონალური არგუმენტაციის მნიშვნელობისთვის... ამრიგად, რაციონალობის შესაძლებლობის უნივერსალურ-პრაგმატული პირობები, რომლებიც ეწევიან მოქმედებისა თუ შეფასების ნორმათა გამართლებას, თვით არიან ნორმატიული ხასიათის მქონენი. მორალის ფუნდამენტურ პრინციპთა ძიება სწორედ რომ რეფლექსური შემობრუნებით იწყება, მაგრამ ეს პრინციპები ჩაშენებულია *პრაქტიკული* დისკურსის შიგ სტრუქტურაში".[3]

მე არ ვამტკიცებ, თითქოსდა ეს პროგრამა განმეხორციელებინოს, მაგრამ ზოგადი მონახაზი საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რა ადგილლირებულება უპყრია უნივერსალიზაციის თეზისს.[4] თავდაპირველად აუცილებელია ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების ფორმალურ-პრაგმატული ანალიზის საფუძველზე აიხსნას, თუ რას ნიშნავს, რომ აქტორები ორიენტირებულნი არიან მნიშვნელოვნების პრეტენზიებზე (მოქმედების თეორია). მერე წამოიჭრება პრობლემა, თუ რას ნიშნავს მნიშვნელოვნების პრეტენზიათა დისკურსული დაკმაყოფილება; ეს პრობლემა მოითხოვს არგუმენტაციული მეტყველების კომუნიკაციურ წანამძღვართა გამოკვლევას (ჭეშმარიტების დისკურსის თეორია)

---

[1] Th. A. McCarty, Critical Theory,, Boston 1978, 310-332.

[2] Theorie der juristischen Argumentation, Ffm. 1978.

[3] McCarty (1978), 325.

[4] ამასთანავე შეადარ. დისკურსის ეთიკის დაფუძნების თაობაზე ჩემს შენიშვნებს in: J.Habermas, Moralbewußtsein und komunikatives Handeln, Ffm. 1983, 53ff.

და დასაბუთებათა (დისკურსის ლოგიკა) ჩატარების საყოველთაო წესების ანალიზს. ეთიკის ძირითად საკითხებს ჩვენ პირველად ვაწყდებით ხოლმე პრაქტიკული დისკურსის ლოგიკის ჩარჩოებში ანუ – იმ არგუმენტაციათა ფარგლებში, რომლებიც სპეციალიზირებულია განხილვის გამართლებულობის საკითხებში (ერთი მხრივ, ჭეშმარიტების საკითხებიდან, მეორე მხრივ კი გემოვნების საკითხებიდან განსხვავებით); და ჩვენ აქ ვაწყდებით არა მხოლოდ ნორმატიულ გამონათქვამთა საზრისის საკითხს, არამედ – *დასაბუთების შესაძლებლობის* საკითხსაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კ.ო. აპელის ნაშრომები, რომლებიც, ყოველის უწინარეს, ორ პრობლემას ეხება: იმ დასაბუთებათა მოდუსს, რომლებიც ემყარებიან შემეცნების, ქმედებისა და ენობრივი ურთიერთგაგების საყოველთაოსა და უცილობელ წინარსწარგულისხმობებს; ასევე — გონებრივი მეტყველების ფორმალური სტრუქტურის ნორმატიულ შედგენილობას.[1] ამასთანავე გვეძლევა მთავარი თეზა, რომლის მიხედვითაც „ტრანსცენდენტალურპრაგმატული" დასაბუთების აზრით გაგებული უნივერსალიზების პრინციპი შეიძლება „გამოყვანილი" იქნეს საზოგადოდ არგუმენტაციათა პრაგმატული წანამძღვრებიდან.

ყოველივე ეს სულაც არ არის უდაო.[2] მაგრამ მხოლოდ ამ გზით ძალმიძს მე იმ *სტატუსის* ახსნა, რაც გასაყოველთაოების პრინციპს ენიჭება დისკურსის ეთიკაში. ამ პრინციპის *საზრისი* ჯერ კიდე ჯორჯ ჰერბერტ მიდის მიერ იქნა განმარტებული კანტის მორალფილოსოფიის მისეულ საინტერესო ინტერპრეტაციაში.[3] კოლბერგთან (Kohlberg) „იდეალური როლის აღების" სახელწოდებით ისევე ჩნდება „უნივერსალური დისკურსის" იდეა, რომელმაც მიდის თეორია თავისი მასწავლებლის ჩ. ვ. მორისის მეშვეობით გაიცნო. ორივე გამოთქმა ერთ პროცედურას გულისხმობს, რომელიც ისევე არის ჰიპოთეტურად წინასწარგანჭვრეტადი როგორც ფაქტობრივად განხორციელებადი; ამ პროცედურამ ჯერარს, უზრუნველყოს მორალური მსჯელობის მიუკერძოებლობა: კომუნიკაციაში ყველა ჩაბმულთა წრის შიგნით არგუმენტების პრინცი-

---

[1] K.-O.Apel, das Apriori der Kommunikationsgemeinschaft und die Grundlagen der Ethik, in: ders., Transformation der Philosophie Bd. II, Ffm. 1973, 358ff. Ders., Sprechakttheorie und transzendentale Sprachpragmatik, zur Frage Ethischer Normen, in: ders. (Hrsg.), Sprachpragmatik und Philosophie, Ffm. 1976, 10ff.; ders., Das Problem der Letzbegründung im Lichte einer Tranzendentalen Sprachpragmatik, in: B.Kanitschneider (Hrsg.), Sprache und Erkentnis, Innsbruk 1976, 55ff., Innsbruck 1976, 55ff. Ferner: W.Kuhlmann, Ethik der Kommunikation, in: K.-O. Apel et al., Praktische Philosophie, Ethik, Bd. 1Ffm. 1980, 292ff.

[2] W. Oelmüller (Hrsg.), Transzendentalpragmatische Normenbegründungen, Paderborn 1977; ders., (Hrsg.), Normenbegründung, Normendurchsetzung, Paderborn 1978.

[3] G.H. Mead, Fragmente über Ethik, in: ders., Geist, Identität und Gesellschaft, Ffm. 1968, 429ff.

პულად უსაზღვრო და არაძალადობრივი გაცვლა-გამოცვლა იმის სასინჯ ქვად ითვლება, შეიძლება თუ არა ნორმას დასაბუთებული აღიარებისა ეიმედებოდეს. მოქმედების ნორმა ანგარიშგასაწევი მხოლოდ მაშინ არის, თუ ყველა (და მისი გამოყენების გვერდითი ზეგავლენანი) ვისაც იგი შეძლებისდაგვარად ეხება როგორც პრაქტიკული დისკურსის (რაციონალურად მოტივირებული) მონაწილენი ურთიერთ შორის თანხმობას მიაღწევენ იმის თაობაზე, რომ ჯერ არს, ნორმა ძალაში შევიდეს (დარჩეს) ანუ ჯერ არს, მას მნიშვნელობა მიენიჭოს (შეინარჩუნოს). უნივერსალიზების პრინციპი[1] არ ამოიწურება ამ სახის მოთხოვნებით:

– რომ ჯერ არს, ნორმადებულებათა საყოველთაო ფორმიდან გამორიცხოს მათი დამყარება გინა ადრესირება განსაზღვრულ ჯგუფთა და ინდივიდუმებზე.

– რომ ჯერ არს, ნორმებს ჰქონდეთ საჯაროდ წარმომადგენლობითი (ჯევირთი) და საყოველთაოდ დასწავლადი (ბეიერი) ხასიათი.

– რომ ჯერ არს, ცალკეულმა მომსჯელემ დასაბუთებულად მიიღოს ყველას მიერ მართებული ნორმის დაცვიდან გამომდინარე შედეგები და გვერდითი ზეგავლენანი (ზინგერი);

– ანდა ცალკეულმა მომსჯელემ ჯერ არს, შეამოწმოს მიიღებდა თუ არა ყოველი სხვა მომსჯელე ამგვარ ნორმას, ისინი რომ მის მდგომარეობაში ჩამდგარიყვნენ (ჰარე);

– დისკურსეთიკური გასაყოველთაოების არსი ისაა, რომ კომუნიკაციის მხოლოდღა ისეთი სტრუქტურა აიძულებს თითოეულს ყველა დანარჩენს *გაუცვალოს როლი,* რომელიც მასში ყველა ჩარეული პირის მომცველი არგუმენტაციის სახითაა წარმოდგენილი. მხოლოდ ფაქტობრივად ხორცშესხმული დისკურსი იძლევა ყოველ ისეთ ნორმასთან შეპასუხების შესაძლებლობის გარანტიას, რომელიც ვერ ასრულებს იმ პირობას:

– რომ ის შედეგები და გვერდითი ზეგავლენანი, რომლებიც საკარაულოდ *თითოეული* ცალკე პირის ინტერესთა დაკმაყოფილების გულისთვის ნორმის *საყოველთაო* დაცვას მოსდევს ხოლმე, სრული უფლებით იქნება მიღებული *ყველა დანარჩენი* მონაწილის მიერ.

ამასთან დაკავშირებით მაკქართი მოკლედ აჯამებს კატეგორიული იმპერატივის შესაბამის დისკურსულ ინტერპრეტაციას: „ხდება აქცენტის გადატანა იმიდან, რაც ყველას უნდა, წინააღმდეგობის გარეშე იყოს საყოველთაო კანონი, იმაზე რაც ყველას ურთიერთანხმობის საფუძველზე შესაძლოა იქცეს უნივერსალურ კანონად".[2] თუკი მე ზუსტად ვამჩნევ, ლუკესის მეორე და მესამე განმარტება ითვალისწინებს გასაყოველთაოების პრინციპის ამ გაგებას.

---

[1] R.Wimmer, Universalisierung in der Ethik, Ffm. 1980.

[2] McCarty (1978), 326.

თუკი ეს ასეა, მაშინ ვერ გამიგია, თუ რად თვლის მას ლუკესი მეტისმეტად მკაცრ მოთხოვნად. როგორც ჩანს, მას მიაჩნია, რომ მოთხოვნილებათა ინდივიდუალურ დიფერენცირებასა და კოლექტიურ ინტერესთა გასაყოველთაოების უნარს შორის ნულოვანი მიმართება არსებობს. მაგრამ მოძრაობის წესებით დაწყებული ძირითადი საკონსტიტუციო ნორმების ჩათვლით საკმაო კონტრმაგალითები არსებობს, რომელთა მიხედვით შეიძლება, ნებისმიერმა ინტუიტურად გაიცხადყოფოს ის, რომ ინდივიდუალურ არჩევანთა მზარდი სარბიელები არ ჰკვეთენ საკარაუდო საზიარო ინტერესთა გაერთიანების შანსებს.

უნივერსალიზების პრინციპის დისკურსეთიკური ვარიანტი არაფრით არ შეიძლება ემყარებოდეს ვარაუდებს საყოველთაო და განსაკუთრებულ ინტერესთა შორის რაოდენობრივი მიმართების შესახებ. განსაკუთრებული ინტერესები არიან ისეთი ინტერესები, რომელთა გასაყოველთაოების უუნარობა და კომპრომის – დაჭირვებულობა დისკურსული ტესტირების საფუძველზე იქნა დამოწმებული. შედარებით ჰომოგენური სიუხვის საზოგადოება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იქნებოდა გასაყოველთაოების პრინციპის ფუნქციონირების აუცილებელი პირობა, თუკი ამოსავალი ის იქნებოდა, რომ განსხვავებული მოთხოვნილებანი (სურვილები, მიდრეკილებანი, ღირებულებები და ა.შ.), რომელთაც ჯერ არს, ანგარიშს უწევდეს ნორმატიული მიწერილობა, გამორიცხავდნენ კონსენსუალურ მიწერილობას, რომელიც შესაბამისად შეიქმნებოდა აბსტრაქციის უფრო მაღალ საფეხურზე.

(ვ) ლუკესის მესამე ეჭვი მიმართულია მორალური ცნობიერების განვითარების კოლბერგისეული თეორიის წინააღმდეგ, რომელიც ბრალეულია ნატურალისტური ყალბი დასკვნის გაკეთებაში. ფაქტობრივად ეს თეორია არის ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას შორის შრომის საინტერესო, მაგრამ ისეთი დანაწილების წყალობა, რომელიც ახსნა-განმარტებას საჭიროებს; ე.ი. ლაპარაკია, ერთი მხრივ, ყოველდღიურ მორალურ ინსტიტუციათა რაციონალურ კვალადკონსტრუქციასა და მეორე მხრივ, მორალის განვითარების ემპირულ გამოკვლევას შორის შრომის დანაწილებაზე. საამისოდ საჭიროა, გავითვალისწინოთ სწავლის კონსტრუქტივისტული კონცეპტი. ამ კონცეპტის მიხედვით მოზარდი, რომელიც აზროვნების ერთი (კოგნიტივური თუ სოციომორალური) საფეხურიდან მომდევნოზე გადადის, შეიძლება მაიევტიკური მეთოდით აიძულო, *თვითონ* ახსნას ის, თუ რატომ არის, რომ მხოლოდ *ამ* საფეხურზე ხელეწიფება უკეთ გადაჭრას პრობლემები, ვიდრე წინა საფეხურზე. მორალური მსჯელობის შემთხვევაში სწორედ ბუნებრივ მრწამსთა ხაზია ის, რომელსაც მორალის ფილოსოფოსი ადგას. ვინაიდან ორივენი, როგორც ფსიქოლოგიის ცდის პერსონა, ისე ფილოსოფოსი ერთი და იმავე *პერფორმაციული განწყობით* არიან განწყობილნი; კერძოდ – მათ უკავიათ პრაქტიკულ დისკურსში *თანამონაწილეთა პერსპექტივა*. ორივე შემთხვევაში მათი მორალური მსჯელობანი

ნორმატიული სისწორის მასშტაბებს ემორჩილება; ისე, რომ მნიშვნელობა არა აქვს, ისინი პროფანის მორალურ მიხვედრილობებს გამოხატავენ თუ მათ ექსპერტთა მიერ პროფანული ცოდნის რეკონსტრუქციის წყალობით თეორიული ფორმა მიეღიათ. ამისგან განსხვავდება ფსიქოლოგი და მნიშვნელოვნების ის პრეტენზია, რომელსაც იგი ემპირულ თეორიას უკავშირებს. ისიც მოზარდის სწავლის პროცესთა ინდენტიფიცირებას იმ გარეგნობების საფუძველზე ახდენს, რომ ცდის პერსონას შეუძლია თავისი ადრეული მსჯელობების კრიტიზირება შესაბამისად უფრო მაღალ საფეხურზე; ოღონდ ცდის პერსონისგან და მისი Alter ego-დან, მორალის ფილოსოფოსიდან განსხვავებით, ფსიქოლოგი ამგვარ სწავლის პროცესთა ახსნა-განმარტებას ეწევა დამკვირვებლის, გინა მესამე პერსონის პერსექტივიდან; ისე რომ მისი ემპირიული ვარაუდები მხოლოდ და მხოლოდ პროპოზიციურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიით კეთდება.

ეს მნიშვნელოვანი განსხვავება შენიღბულადაა გამოთქმული თეოდორ კოლბერგის ზოგიერთ ფორმულირებაში: „მეცნიერული თეორია იმის შესახებ, თუ რატომ მოძრაობს ფაქტობრივად ხალხი ზევით, საფეხურიდან საფეხურზე და ფაქტობრივად *რატომ* ურჩევნიათ მათ დაბალ საფეხურს მაღალი –, ფართო აზრით. იგივე მორალური თეორია იმის შესახებ, თუ რატომ *უნდა* ამჯობინოს ხალხმა მაღალი საფეხური დაბალს –“[1]. მაგრამ სხვა ადგილას კოლბერგი შეუმცდარად აღნიშნავს *ურთიერშემავსებელ* მიმართებას იმ ნორმატიულ თეორიასა, რომელსაც ფსიქოლოგი მორალის ფილოსოფიას უნდა დაესესხოს და იმ ემპირიულ თეორიას შორის, რომლისთვისაც იგი ნორმატიულ თეორიას ნედლეულად იყენებს. ფსიქოლოგი იძულებულია *წინასწარ დაუშვას* ნორმატიული თეორიის ანგარიშგასაწევობა, რომელსაც იგი იყენებს პოსტკონვენციური მსჯელობის ფორმალურ ნიშან-თვისებათა აღსაწერად; რა თქმა უნდა, თუკი იგი თავის თავს ვერ გაამართლებს განვითარების ფსიქოლოგიურ დაშვებათა კონტექსტში, ეჭვის ჩრდილიც მას ადგება: მაშინ როცა მორალური მსჯელობის ადეკვატურობის კრიტერიუმი გვეხმარება ფსიქოლოგიური ადეკვატურობისა თუ პროგრესის განსაზღვრაში. ფსიქოლოგიური პროგრესის შესწავლა, პირიქით, *ასაზრდოებს და აცხადყოფებს ამ კრიტერიუმს*

ჩვენი ფსიქოლოგიური თეორია იმის შესახებ, თუ რატომ გადადის ინდივიდი ერთი საფეხურიდან მომდევნოზე, ეფუძნებოდა მორალფილოსოფიურ თეორიას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს, რომ გვიანდელი საფეხური მორალურად უმჯობესი ანდა დაწინაურებულია, ვიდრე ადრეული —. ჩვენი ფსიქოლოგიური თეორია ამტკიცებს, რომ ინდივიდებს ეუმჯობესებათ განაზრების მათ მიერ წვდომილი უმაღლესი საფეხური;

---

[1] L.Kohlberg, From Is to Ought, in: Th. Michel, (Ed.), Cognitive Development and Epistemology, N.Y. 1971, 255.

ამ მტკიცებას ზურგს უმაგრებს კვლევა; ჩვენი ფსიქოლოგიური მტკიცება გამომდინარეობს ფილოსოფიური მტკიცებიდან იმის შესახებ, რომ უფრო გვიანდელი საფეხური გარკვეული *მორალური* კრიტერიუმის მიხედვით „ობიექტურად" უმჯობესი გინა ადეკვატურია. მაგრამ ეს ფილოსოფიური მტკიცება ჩვენთვის პრობლემატური შეიქნებოდა, თუკი მორალური პროგრესის ფაქტები შეუსაბამობაში იქნებოდნენ მათს ფსიქოლოგიურ იმპლიკატებთან".[1] ემპირული თეორიის წარმატება, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან ყალბი, ფუნქციონირებს, აგრეთვე, როგორც ყოველდღიურობის მორალურ მსჯელობებში გამოხატულ ინტუიციათა ფილოსოფიურად ხორცშესხმული რეკონსტრუქციის სისწორისა და ნორმატიული ანგარიშგასაწევობის კოპერენტობის რაღაცნაირი ტესტი: „მერე მეცნიერება ამოწმებს, ფენომენოლოგიურად შეესატყვისება თუ არა ფაქტებს ფილოსოფოსის მიერ შემუშავებული მორალის კონცეფცია. მეცნიერებას აღარ ძალუძს, განაგრძოს იმის გამართლება, რომ მორალურობის როგორც მორალურობის კონცეფცია ჯერ არს, იყოს..."[2]

მაგრამ ნატურალისტური ყალბი დასკვნის თავიდან აცილების შემთხვევაში მაინც რჩება ერთი უხერხული საკითხი. ნორმატიული ეთიკისა და ცდის მეცნიერების შეთამაშების წყალობით ხომ არ შემოგვეპარა ისეთი ელემენტები, რომელმაც უხიაგად წინასწარ უნდა გადაწყვიტოს მორალის თეორიის ურთიერთმოქმედ საწყისებს შორის ფილოსოფიური კამათი. თუკი საკმარისად ჩაითვლება ემპირული – მაგალითად, მორალური განვითარების კოლბერგისეული თეორიის ეეიდენტობანი, მაშინ აუცილებელია არჩევანის გაკეთება მოკონკურენტე ეთიკებს შორის; სახელდობრ აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება იმ თეორიის სასარგებლოდ, რომელმაც მოცემულ შემთხვევაში არაპირდაპირ „საქმეში დაამტკიცა თავისი თავი." და მერე ასევე არაპირდაპირ კამათში ერთვებიან ემპირიული არგუმენტები, რომელთა შესახებ – მე ვფიქრობ სამართლიანად – ფილოსოფიებს ისეთი შთაბეჭდილება აქვთ, რომ ისინი შემოცურებული უნდა იყვნენ *სხვა სახის* არგუმენტთა მიერ.

რა თქმა უნდა, ეს პრობლემატიკა მხოლოდ მანამ იარსებებს, ვიდრე ფსიქოლოგიური თეორია პოსტკონვენციური მორალისათვის სხვა საფეხურების არსებობას ამტკიცებს. მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ისეთი დისკუსიების გაჩაღება, როგორიცაა დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს მეხუთე საფეხური მეექვსედან ანდა – დისკუსია მეშვიდე საფეხურის შემოტანის შესახებ. ფარულად ესაა დისკუსიები იმის თაობაზე, თუ ვინ არის მართალი უტილიტარისტები თუ კონტრაქტუალისტები, კანტი, როლსი თუ აპე-

---

[1] L.Kohlberg, The Claim to Moral Adequacy, Juorn. Philos. 70, 1973, 633.
[2] L.Kohlberg, From Is to Ought, 223.

ლი; მაგრამ ამასთანავე კაცს არ გშორდება შეგრძნება, რომ ეს დისკუსიები არასათანადო ადგილას მიმდინარეობენ. ხელთ ამგვარი შედეგი გრჩება, როცა მაკქართის მიერ მოტანილ არგუმენტს ბოლომდე გაადევნებ თვალს.

ვინაც მორალურ-პრაქტიკულ საკითხებს ჰიპოთეტური განწყობითა და პრინციპებით დახელმძღვანელებული პასუხობს, მორალის ფსიქოლოგსა და მორალის ფილოსოფოსს, ასე ვთქვათ, თანაბრად უყრის თვალს თვალში; იგი არათუ ოდენ ნაივურად იყენებს მსჯელობის სპეციალურ კომპეტენციას, არამედ თავიდანვე ხელს ჰკიდებს მის რეკონსტრუქციას. ის გვარი, რაგვარადაც საკითხს *პოსტკონვენციურად* გაეცემა პასუხი, ფარულად ამყღავნებს იმ თეორიასაც, რასაც ნორმატიული დებულების დაფუძნება ეწოდება.

მაგრამ ამ შემთხვევაში უფლება არა გვექნებოდა არც ამ სახის მოკონკურენტე თვალთახედვები და არც შესაბამისი მორალფილოსოფიური მაღალი ფორმები იერარქიულად განვითარების ლოგიკური თვალსაზრისებისთვის დაგვექვემდებარებინა. მაკქართის თეზა ჩემთვის მით უფრო ნათელია, რაც უფრო შეესატყვისება იგი ემპირიულ ევიდენტობებს. სტანბერგერის ინსტიტუტშიც ჩვენ ყოველთვის გვიძნელდებოდა ერთმანეთისგან გაგვეშიჯნა სხვადასხვა პოსტკონვენციური საფეხურები; – იქნებოდა ეს სამართლის განვითარებასა თუ ონტოგენეზში. კოლბერგმაც კი თავისი მასალის საბოლოო გადასინჯვისას მეექვსე საფეხურისთვის ვეღარ მოიპოვა ცდის პირები.

(დ) რა თქმა უნდა, კოგნიტივისტური განვითარების ფსიქოლოგიის ხმა მორალის ფილოსოფოსთა დავაში მაშინაც კი სრულად არ მიწყდება, თუ მაკქართის არგუმენტს მივიღებთ. მაგრამ ეთიკური სკეპტიციზმის პოზიცია, რომელსაც ს.ტ.ლუკესი წარმოადგენს, არ არის მართებული, მაშინ როცა პიაჟეს ტიპის მორალის განვითარების თეორიები *დასაწყისშივე* ყალბნი არ არიან. კოლბერგის თეორიაში მსჯელობათა კატეგორია, რომელიც „4½"–დაა დანაწევრებული, ისევ და ისევ ქმნის სიძნელეებს როგორც მონაცემთა კლასიფიკაციის, ისე — თეორიული ახსნა-განმარტებისას. რეგრესიის ჰიპოთეზას, რომელიც უამისოდაც განვითარების დინამიკის ასპექტებს შეეხება, შეუძლია განმარტოს *დროის ის მომენტი, როცა პირველად გამოჩნდა* ეს სკეპტიკური – ნაწილობრივ ღირებულებათა მიმართ სკეპტიკური, ხოლო ნაწილობრივ მარტოოდენ ღირებულებათა მიმართ რელატივისტური – ცნობიერება; მაგრამ მას არ შეუძლია ახსნას *მისი სტაბილიზების შესაძლებლობა*. მე მინდა საამისოდ ინტერპრეტაციის შემდეგი მიმართულება შემოგთავაზოთ.

კონვენციური ცნობიერების განვითარება პოსტკონვენციურ ცნობიერებად შეიძლება განხილული იქნეს ორი აპსექტით. მორალურ-პრაქტიკულ საკითხებში ჰიპოთეტური აზროვნების უნარით ყმაწვილი ასრუ-

ლებს *აზროვნების კონვენციური წესიდან* მოწყვეტის აუცილებელსა და საკმარის პირობას; მაგრამ ეს ნაბიჯი ჯერ კიდევ არ ღებულობს წინასწარ გადაწყვეტილებას განვითარების ორ ალტერნატიულ გეზს შორის, რომლებიც გლობალურად ასეთი დახასიათების შესაძლებლობას იძლევიან. ყმაწვილს შეუძლია სხვადასხვანაირად გამოიყენოს ახლად მოპოვებული დისტანცია იმ კონვენციებისადმი, რომლებსაც შესაძლებლობათა ჰორიზონტებში ჰიპოთეტური განთავსების წყალობით ერთმევა სოციალური მნიშვნელოვნების გულუბრყვილო ძალი და ამით ხდება მათი რეფლექსური გაუფასურება. იგი ან შეეცდება, რომ ფაქტიურად მნიშვნელადი კონვენციების დაქცეული სამყაროდან რეფლექსიის ახალ დონეზე კვლავაც შეინარჩუნოს ნორმათა მნიშვნელოვნებისა და ანდა წინადადებათა (Sollsätze) საზრისი; მაშინ იგი იძულებულია ისე გადააკონსტრუიროს მორალური საფუძველცნებები, რომ არ წაეგვაროს ეთიკური პერსპექტივა. ფაქტიურად შემოღებული ნორმების სოციალური მნიშვნელოვნება მათ იმ ნორმის მნიშვნელოვნებას უნდა შეუფარდონ, რომელიც აკმაყოფილებს რაციონალური დასაბუთების მასშტაბებს. *აზროვნების პოსტკონვენციურ წესზე გადასვლის* აუცილებელი პირობა ნორმატიული მნიშვნელოვნების რეკონსტრუირებულ საზრისზე სწორედ ეს დადგომაა. სხვა შემთხვევაში ყმაწვილი კი მოწყდებოდა აზროვნების კონვენციურ წესს, მაგრამ პოსტკონვენციური აზროვნების წესზე გადასვლას ვერ შეძლებდა. ამ შემთხვევაში კონვენციათა სამყაროს ნგრევა მას ესმის იმ ყალბ კოგნიტივურ პრეტენზიაზე თვალის ახელად, რომელიც აქამომდე ეკრა ნორმებსა და ანდა წინადადებებს. მაშინ მორალური საფუძველცნებები, რომლებსაც ახლა გაუფასურებული კონვენციური სახე აქვთ, რეტროსპექტულ განმარტებას საჭიროებენ. ყმაწვილმა უნდა დაამუშაოს ის დისონანსი, რომელიც კვლავაც განაგრძობს არსებობას: ესაა დისონანსი მორალურ ინტუიციებსა – რომლებითაც ძველებურადვეა განსაზღვრული მისი არარეფლექსური ყოველდღიური ცოდნა – და იმ კონვენციურ-მორალურ ცნობიერებაზე ილუზორულ თვალის ახელას (მოჩვენებითად) შორის, რომელიც მართალია, გაუფასურებული იქნა რეფლექსიაში, მაგრამ ყოველდღიურობაში სულაც არ დაუკარგავს თავისი ფუნქცია. პოსტკონვენციურად განახლებული ეთიკური ცნობიერების ადგილს იჭერს მორალურ ილუზიათა *მეტაეთიკური* განმარტება. განმარტება მით იოლად გადალახავს ზემოთ დასახელებულ დისონანსებს, რაც უფრო უკეთ მოხერხდება თეორიული სკეპსისის მორიგება იმ ინტუიციებთან, რომლებიც პრაქტიკამ ვერ დაარღვია. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, მაქს ვებერის სკეპტიციზმი, რომელიც ღირებულებითს ვალდებულებათა ექსისტენციალურ ხასიათს თეორიულადაც ხელუხლებლად ტოვებს, უფრო მეტის მომტანია, ვიდრე ის [illegible]ური ნატურალიზმი, რომელიც მორალურ ინტუიციებს ყალბად გან-

მარტავს და მას გრძნობად განწყობილებებად მიიჩნევს. კოლბერგისეული თეორიის პერსპექტივიდან ეს მეტაეთიკური ვერსიები განვითარების ლოგიკური თვალსაზრისებით კლასიფიკაციისა და კოგნიტივისტურ ეთიკათა სუბორდინაციაში ხვდებიან.

(1) რა თქმა უნდა, ეს ეთიკები კვლავაც ინარჩუნებენ რაღაცას იმ აბსტრაქტული საყოველთაობიდან, რამაც მათ წინააღმდეგ ჰერმენევტიკოსის კრიტიკა გააქტიურა; სულ ერთია, ისინი ხელშეკრულების თეორიული თუ კანტისეული ვერსიებით გვევლინებიან, – დიდი თუ ცოტა სიძლიერით ახდენენ უტილიტარისტული თვალსაზრისების ინტეგრირებას. მართალია, როცა მაკქართის არგუმენტი სერიოზულად არის აღქმული, აღარ არის შესაძლებელი კოგნიტივისტური ეთიკების განთავსება განვითარების ლოგიკურ თვალსაზრისთა დაქვემდებარებაში, არამედ მათ უნდა აირეკლონ ფილოსოფოსთა დავა, და ამით – ამ დავის ისტორიული კონტექსტი. მაგრამ ამ კონტექსტს ქმნის თანამედროვეობა, რომელშიც მორალისა და სამართლის თეორია გათვითმყოფადდება ღირებულებათა იმ სფეროებად, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან სამართლიანობის საკითხებში და გათვისთავადებულნი — ყოველდღიურობის კომპლექსურ პრაქტიკასთან მიმართებაში. ამ ვითარების წყალობით წარმოიშობა შეკავშირების ის პრობლემა, რომლიდანაც ჩვენ ამოვედით.

ა. ველმერი თავის ნაშრომში გონების, ემანსიპაციისა და უტოპიის[1] შესახებ აკრიტიკებს იმ ყალბ ლოგიკურ დასკვნას, რომელიც მაშინ შემოგვეპარება ხოლმე, როცა უყურადღებოდ არის დატოვებული დისკურსის ეთიკასა და ცხოვრების პრაქტიკას შორის შეკავშირებანი და მიჩნეულია, რომ უშუალოდ დისკურსის ეთიკიდან შეიძლება იქნას გამოტანილი მასშტაბები ისეთი რაღაცისათვის, როგორიც არის იდეალური ცხოვრების წესი. მე თვითონ გამოვიყენე ყალბი ლოგიკური დასკვნის შემცველი ფორმულა იმ ადგილას, რომელსაც აქვე წარმოვადგენ და ვაუქმებ კიდეც: „... არც ერთი ისტორიული საზოგადოება არ ემთხვევა იმ ცხოვრების წესს, რომელსაც ჩვენ წინასწარვჭვრეტთ იდეალური სამეტყველო სიტუაციის ცნებაში".[2] დისკურსის ეთიკის გზამკვლევის საფუძველზე, მართალია, შეგვიძლია შევიმუშაოთ საზოგადოების ფორმალური იდეა, რომელშიც ყველა პოლიტიკურად ნაყოფიერი გადაწყვეტილების პროცესი უკუკავშირში იმყოფება დისკურსული ნების ქმნის ინსტიტუციონალიზებულ ფორმებთან. ეს იდეა განსაზღვრულ ისტორიულ გარემოებებში ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთად აღმოცენდა. მაგ-

---

[1] A.Wellmer, Thesen über Vernuft, Emansipation und Utopie. univerböffentl. MS. 1979.

[2] Habermas, Lumann, Theorie der Gesellschaft oder Sozialtechnologie, Ffm. 1973, 140f.; იხ. აგრეთვე ზემოთ S.125f.

რამ ველმერის მიერ კრიტიზირებული ყალბი ლოგიკური დასკვნის სახეობა იქნებოდა იმის ფიქრი, „რომ ჩვენ ამით ამავე დროს ფორმულაში მოვაქციეთ ცხოვრების სრულად გარაციონალურებული წესის იდეალი — *ამგვარი* იდეალი არ შეიძლება არსებობდეს“.[1]

ველმერი ნათლად აჩვენებს, რომ პროცედურული რაციონალობის მასშტაბებს მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ და მხოლოდ იმ საკითხების დამუშავებისთვის, რომლებიც ყოველთვის დახარისხებულნი არიან უნივერსალური ასპექტით, მაგალითად — სამართლიანობის ანდა ნორმატიული სისწორის ასპექტით; იგი ასევე ცხადად წარმოადგენს, რომ სწავლის შესაბამისი პროცესები ამ მასშტაბთა მიხედვით შეიძლება გაგებული იქნეს როგორც (საუკეთესო შემთხვევაში ასიმპტომური) იდეალურ საზღვრითს ღირებულებებთან მიახლოებანი. მაგრამ უფლება არა გვაქვს ამ მასშტაბთა მიხედვით განვიჭოთ მთლიანად ცხოვრების წესები გინა ცხოვრების ისტორიები. ცხოვრების წესები ხომ მხოლოდ იმ ინსტიტუციებიდან არ შედგება, რომლებიც სამართლიანობის აპსექტში ექცევა, არამედ იგი ასევე შედგება „ენის თამაშებიდან“ — შესისხლხორცებულ პრაქტიკათა, ჯგუფებში შემავალობათა, განმარტების კულტურელურ ნიმუშთა, სოციალიზაციის ფორმათა, კომპეტენციათა, განწყობათა და ა.შ. ისტორიული კონფიგურაციებიდან. უაზრობა იქნებოდა, რომ მოგვენდომებინა ეს სინდრომი განგვეხილა *როგორც მთელის* ე.ი. როგორც ცხოვრების ერთი წესის ტოტალობა, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმოდგენილი არის რაციონალობის სხვადასხვა ასპექტით. თუ ჩვენ არ გვინდა საერთოდ აკიღოთ ხელი იმ სტანდარტებზე, რომლის საფუძველზეც ცხოვრების წესი შეიძლება შეფასდეს როგორც ცოტად თუ ბევრად უიღბლო, დამახინჯებული, უბედური თუ გაუცხოებული, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში მოდელად გვეძლევა დაავადებულობისა და სიჯანსაღის შემთხვევა. ცხოვრების წესებსა და ცხოვრებისეულ ისტორიებს ჩვენ შეფარვით ნორმალურობის იმ მასშტაბთა მიხედვით ვაფასებთ ხოლმე, რომლებსაც დაუშვებლად მიაჩნია იდეალურ საზღვრითს ღირებულებებთან მიახლოება. იქნება უფრო მართებული ყოფილიყო, ნაცვლად ამისა, გველაპარაკა შევსებადაჭირვებულ მომენტთა შორის გაწონასწორებაზე, — კოგნიტივური მომენტების გაწონასწორებულ შეთამაშებულობაზე მორალურსა და ესთეტიკურ-ექსპრესიულ მომენტებთან. მაგრამ როცა ვცდილობთ, მივუთითოთ იმის ეკვივალენტზე, რაც ოდესღაც კარგი ცხოვრების იდეაში იქნა მოაზრებული, დაუშვებელია ავყვეთ ცდუნებას და გონების ფორმა-

[1] A.wellmer, MS, 32.

ლური ცნებიდან, რომლითაც ჩვენ თანამედროვეების დეცენტრირებული მსოფლგაგება გვერგო, კარგი ცხოვრების იდეა *გამოვიყენოთ:* „ამ გონების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ. გონივრული ცხოვრების განსაზღვრულ, ისეთ ფორმალურ *პიროობებზე* მივუთითოთ როგორიცაა *უნივერსალური მორალური ცნობიერება, უნივერსალური სამართალი, რეფლექსიაქმნილი კოლექტიური* იდენტობა და ა.შ. მაგრამ რამდენადაც საქმე ეხება სუბსტანციური აზრით გაგებულ გონებრივი ცხოვრების შესაძლებლობას, — გონებრივ იდენტობას, ამდენად არ მოიპოვება ისეთი იდეალური საზღვრითი ღირებულება, რომლის აღწერა შესაძლებელია ფორმალური სტრუქტურების ტერმინებით; პირიქით, ლაპარაკი მხოლოდ იმაზე შეიძლება, რომ ცხოვრების წესისთვის გაღებულ ძალისხმევას წარმატება მოჰყვა ანდა იგი მარცხით დასრულდა. რა დროსაც ინდივიდის აღუშფოთველი იდენტობა ინდივიდთა შორის ასევე აღუშფოთველ ურთიერთმხრივობასთან ერთად ისეთ რეალობად იქცევა, რომელიც შეიძლება გამოცდილებაში მოგვეცეს."[1] როცა ველმერი ლაპარაკობს სუბსტანციური აზრით გაგებულ გონებრივ ცხოვრებაზე", რაღა თქმა უნდა, იგი არ გულისხმობს სუბსტანციურად გონებრივი მსოფლხატის ცნობიერებისადმი მიბრუნებას. მაგრამ როცა ამას უარი ეთქმის, მაშინ ერთადერთი რაც რჩება, ესაა იმ დამახინჯებათა კრიტიკა, რომელიც კაპიტალისტურად მოდერნიზებული საზოგადოების ცხოვრების წესებს ორკეცი ხერხით წაემატება: მისი ტრადიციის სუბსტანციის გაუფასურების გზითა და ასევე იმის წყალობით, რომ გაცალმხრივებული, კოგნიტივურ-ინსტრუმენტულად შემოფარგულული რაციონალობა იმპერატივის გამგებლობაში მოექცევა.

V მოქმედების, კომუნიკაციისა და მეცნიერების თეორიისათვის

უფრო მკაცრი ანალიტიკური ხასიათისაა გიდენსის, ტომპსონის, მერი ჰესეს, ჰელდისა და არატოს შესიტყვებანი; ისინი უფრო ცოტათი არიან მიმართულნი მთლიანი თეორიის არქიტექტონიკის წინააღმდეგ და აქედან გამომდინარე არ მაიძულებენ საკუთარ საწყისთა იმ ზომის ექსპოზიცია მოვაწყო, რა ზომის ექსპოზიციაც სხვა სტატიების შემთხვევაში გახდა აუცილებელი. ამიტომ ჩემი პასუხებიც უფრო მჭიდრო კავშირში იქნება ტექსტთან.

---

[1] A.wellmer, MS, 53.

(1) *მოქმედების თეორიისთვის* ვიწყებ ენტონი გიდენსის თეზისებით მოქმედების თეორიის შესახებ.[1] არსებითად საქმე ეხება ხუთ შესიტყვებას.[2] (ა) მე მინდა ამოვიდე ინტერაქციის ჩემეული ცნების თაობაზე სამი კრიტიკული შენიშვნიდან. ეტყობა, ჩემს ადრეულ შრომებში მე ისე ბუნდოვნად გამოვხატავდი საკუთარ აზრებს, რომ გიდენსს სრულიად დამახინჯებულად ესმის მოქმედების ჩემეული ცნება. ზრადაც არ მომსვლია ის, რომ ქმედება ინტერაქციასთან გამეიგივებინა: მე ინსტრუმენტულ ქმედებას ვმიჯნავ სტრატეგიულისა და კომუნიკაციურისაგან. მოქმედების შესაბამისი ტიპოლოგიის კონსტრუქციისთვის[3] ზომისმდებელია განსხვავება: წარმატებაზე ორიენტირებულობა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულობის წინააღმდეგ. მიზანრაციონალური ქმედების მოდელის შესაბამისად აქტორი ორიენტირებულია განზრახულობის განამდვილებაზე, რა დროსაც მოქმედების წარმატებულობა იმით განიზომება, თუ რამდენად გამოდის ის, რომ ინტენდირებულმა საქმის ვითარებამ არსებობა შეიმოსოს სამყაროში ინტერვენციის (ანდა უქნელობის) გზით. *ინსტრუმენტული* ჯერ არს, იმ შემთხვევაში ეწოდოს წარმატებაზე ორიენტირებულ მოქმედებებს, როცა ისინი ტექნიკური წესების მიყოლად გვესმის და როცა შეგვიძლია შეფასება ფიზიკურ სამყაროში მიზანმიმართული ჩარევის ქმედითობის თვალსაზრისით; *სტრატეგიულად* ხამს, წარმატებაზე ორიენტირებული ისეთი მოქმედებები იწოდონ, რომლებიც რაციონალური არჩევანის წესთა მიყოლად გვესმის და რომელთა შეფასება შეგვიძლია რაციონალური პარტნიორის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის ეფექტურობის თვალსაზრისებით. ინსტრუმენტული მოქმედებანი (ისე როგორც შესაბამისი ამოცანები) შესაძლოა, როლთა ელემენტის სახით იყოს *მიერთებული* სოციალურ მოქმედებებთან; რაც შეეხება სტრატეგიულ მოქმედებებს, ისინი თვითონ წარმოადგენენ ინტერაქციათა კლასს. ხოლო *კომუნიკაციურ მოქმედებებზე* მე იმ შემთხვევაში ვლაპარაკობ, როცა სოციალური ინტერაქციები თითოეული ცალკე ინდივიდის წარმატებათა ეგოცენტრული კალკულაციებით კი არ არის კოორდინირებული, არამედ მათი კოორდინირება ხდება თანამონაწილეთა იმ შეერთებული ღვაწვების გზით, რომლებიც ურთიერთგაგებაზეა ორიენტირებული. კომუნიკაციურ ქმედებაში აქტორები, უწინარეს ყოვლისა, ორიენტირებულნი არიან არა პირადი წარმატების მოპოვებაზე, არამედ თანხმობის ჩამოგდებაზე, რომელიც იმის წინაპირობაა, რომ ინტერაქციის თითოეული მონაწილე უფლებამოსილია, თავისი გეგმების განხორციელებას შეეცადოს.

კომუნიკაციურად მოპოვებული თანხმობა ეფუძნება მნიშვნელოვნების ინტერსუბიექტურ პრეტენზიებს, რომელთა აღიარება აბსოლუტურად

---

[1] გარდა ამისა შეად.: A. Giddens, Habermas' Critique of Hermeneutics, in: ders., Studies in Social and Political Theory, London 1977, 165ff.

[2] A.Giddens, Labour and Interaction, in: Thompson, Held (1982), 149ff.

[3] Siehe in diesem Band oben S.451f.

შეფარვით ხდება. არ შეიძლება თანხმობის შთაგონება მხოლოდ ერთი მხარის მიერ ხდებოდეს. ისეთი დათანხმება, რომელიც ობიექტურად იძულებით არის მოპოვებული ანდა მხოლოდ და მხოლოდ გარემოებათა მიერ შთაგონებული დათანხმებაა, მხოლოდღა მანამ ითვლება თანხმობად, ვიდრე არ გაცხადყოფებულა მისი ხორცშესხმის შემთხვევითობა. თანხმობა დარწმუნებულობებს ემყარება.

სხვათა შორის, მე ეს ტიპოლოგია (შეად. ზემოთ გვ. 462. ცხრ. 19. სტრატეგიულ ქმედებათა ტიპები) ორ ვარიანტამდე განვავრცე. იმ ინტერაქციებში, რომლებიც შეფარვით სტრატეგიული ხასიათისანი არიან, სულ ცოტა, ერთ-ერთი თანამონაწილეთაგანი ატყუებს მეორეს იმის თაობაზე, რომ იგი არ ასრულებს კომუნიკაციური ქმედების ვითომდა მიღებულ პირობებს; ესაა მანიპულაციის შემთხვევა. *სისტემურად გაკულმართებული კომუნიკაციის* შემთხვევაში, სულ ცოტა, ერთი მონაწილეთაგანი *თავს იტყუებს* იმის თაობაზე, რომ იგი ვითომდა იკავებს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ განწყობას, მაშინ როცა სინამდვილეში სტრატეგიულად იქცევა.

ამასთანავე, მე ქმედებას მეტყველების აქტებთან არ ვაიგივებ; ეს ეხება როგორც საზოგადოდ სოციალურ ქმედებას, ისე სტრატეგიულ ქმედებასაც. უკანასკნელი პუნქტი კომენტარს საჭიროებს, რადგან მე მეტყველებასა და კომუნიკაციურ ქმედებას ყოველთვის საკმარისი სიმკვეთრით როდი ვმიჯნავდი ერთმანეთისგან.[1] სოციალური ქმედების გამოკრისტალება მხოლოდ და მხოლოდ იქ ხდება, სადაც უზრუნველყოფილია საიმისო მექანიზმი, რომ ინტერაქციის მონაწილეთა მოქმედების გეგმები ურთიერთშორის საკმარისად უკონფლიქტოდ იყოს კოორდინირებული, ხოლო Egos შეთავაზებანი მიღებული იქნას Alter-ის მიერ. მოქმედების კოორდინირებულობის მექანიზმი ან მოქმედების გეგმათა ობიექტურ ურთიერთმორიგებას ემსახურება, როგორც ხდება ბაზრის შემთხვევაში, რომელიც სარგებლობს ინტერესთა არსებული განაგების ურთიერთშეესებადობით; ანდა იგი აღებს შესაძლებლობას იმისას, რომ თვითონ სუბიექტები ახორციელებენ თავიანთი გეგმების ურთიერთმორიგებას. ამრიგად, კომუნიკაციურ ქმედებაში აქტორთა ინტერაქციულ ღვაწვებსა და შესაბამის კომუნიკაციურ აქტებს მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ადგილღირებულება აქვთ, რომლის მოქმედების კოორდინირებულობის მექანიზმი აწყობილია კონსენსუსის მოპოვებაზე. მიზანმიმართული მოქმედებანი, რომლებსაც ასრულებენ აქტორები თავიანთი ენობრივად კოორდინირებული გეგმების განხორციელებისას, ისევე როგორც ყველა მოქმედება, მიზანმოღვაწეობის სტრუქტურაზე მიუთითებენ.

---

[1] მაგ. ყალბ შთაბეჭდილებას წარმოშობს ის ცხრილი, რომელშიც მაიდიალიზირებული ხერხით მოქმედი მეტყველების ანალიზი ჩემ მიერ გამოყვანილია არა კომუნიკაციური აქტიდან, არამედ სოციალური მოქმედებებიდან. იხ. ზემოთ გვ. 405, ცხრ. 14.

მეტყველებისა და ქმედების გამიჯვნისას ძნელად თუ წარმოიშობა სიძნელეები მაშინ, როცა მოქმედებათა მწკრივი, რომლის ამ ცნებებით გაანალიზება ხამს, საკმარისად კომპლექსურია; უფრო რთულია მეტყველების მარტივი აქტის შემთხვევა, რომელიც ამავე დროს, კომუნიკაციურ მოქმედებას წარმოადგენს და არა დგას კონტექსტში იმნაირად, რომ შესაძლებელი იყოს მისი გაგება თანხმობის ისეთ აქტად, რომელიც კოორდინაციას უწევს *სხვა მოქმედებებს*.

გიდენსის მოსაზრების საპირისპიროდ კომუნიკაციური ქმედების ცნება მთლიანად გადის მოქმედების ნორმატიული მოდელის სფეროდან. კომუნიკაციურ ქმედებაში ინტერაქცია რეგულირდება არა apriori დადგენილი ნორმატიული კონსენსის, არამედ თვითონ კომუნიკაციაში ჩაბმულთა მიერ ურთიერთგაგების იმ ღვაწვათა გზით, რომლებმაც შესაძლოა, წარუმატებლობაც იწვნიონ. პარსონსთან ნორმების მიხედვით წარმართული ქმედება (ექსპრესიულ თვითგამოხატვასა და მდგენელ მეტყველება-მოქმედებასთან ერთად) კომპლექსური ტიპის ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების სამი წმინდა შემთხვევიდან ერთ-ერთ წმინდა შემთხვევად გვევლინება; რა დროსაც აქტორები *ერთსადაიმავ-დროულად* სამი სამყაროს წინაშე დგანან; და ამასთანავე მათ ურთიერთგაგების პროცესთა რესურსად ზურგს უკან ეგულებათ ცხოვრების ინტერსუბიექტურად გათანაზიარებული სამყარო; ის სამი სამყარო, რომელთა წინაშე აქტორები დგანან, არის არა მხოლოდ ლეგიტიმურად მოწესრიგებულ ინტერპერსონულ ურთიერთობათა სოციალური სამყარო, არამედ აგრეთვე არსებულ საქმის ვითარებათა ობიექტური სამყარო და პრივილეგირებულად ხელმისაწვდომ განცდათა სამყარო, რომელიც მიწყივ სუბიექტურია.

ეს პუნქტი ეხება ქმედების ანალიტიკური ასპექტების მოქმედების ტიპებში ვითომდა აღრევის მომდევნო პრობლემას. ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების მოხსენიებული წმინდა შემთხვევები (ანდა იდეალური ტიპები) იდეალტიპები არიან. მდგენელი მეტყველება მოქმედების, ნორმების მიხედვით რეგულირებული მოქმედებისა და თავისი თავის თვითწარმომადგენლობის წმინდა შემთხვევები ყოველთვის იმ სამი ანალიტური ასპექტიდან ერთ-ერთი ასპექტით გვევლინება, რომელი ასპექტების მიხედვითაც აუცილებელია განხორციელდეს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული უფრო კომპლექსური მოქმედებების ერთდაიმავედროული ანალიზი. რაც სიტყვათხმარების მოდუსის ცნებასთან, კოგნიტივურ ცნებებთან, ინტერაქციებსა თუ ექსპრესიულ სიტყვათხმარებასთან ერთად განიყენება, მისი მოწყვეტა კონტექსტში ჩასმული, ცალკეული კომუნიკაციური ქმედებებისგან მხოლოდ ანალიტურადაა შესაძლებელი. ამავენაირად ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების გარკვეული ელემენტების ანალიზიც კია შესაძლებელი სიმბოლური გამოსახულებებით სტრატეგიული სარგებლობის თვალსაზრისით: რაც

უფრო დიფუზურია მოქმედების სიტუაცია, რაც მეტად საჭიროებს თვით იგი საუბარში სტრუქტურირების, ინტერაქციის მონაწილენი, რომელთაც უკვე აღარ აქვთ შესაძლებლობა მეტაკომუნიკაციის დაძვირებულ საშუალებას მიმართონ, მით მეტად არიან დამოკიდებულნი არაპირდაპირი ურთიერთგაგების საშუალებაზე. როცა ჩახერგილია პირდაპირი ურთიერთგაგების გზა, ისინი იძულებულნი არიან ერთმანეთს „გადაკვრით მიახვედრონ“ — კაცი თუ ქალი „შეაგულიანონ“, რათა მან აზრი შეიმუშაოს ანდა გადაწყვეტილება მიიღოს. მაგრამ ამ შემთხვევებშიც კი კომუნიკაციის სტრატეგიულად განსაზღვრული საშუალება ურთიერთგაგების მიზანს ემსახურება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ლაპარაკი იქნებოდა არა მხოლოდ ურთიერთგაგებაზე გამიზნული ინტერაქციის მწკრივის *სტრატეგიულ ასპექტებზე,* არამედ მოქმედების სხვა ტიპზე.

ამრიგად, სტრატეგიული და კომუნიკაციური ქმედება შემოდის როგორც ნაღდი ინტერაქციის ტიპები. ფაქტიურად მე იქიდან ამოვდივარ, რომ თვითონ აქტორებს ინტერაქციის თითოეულ ფაზაში ძალუძთ იცოდნენ, სხვა მონაწილის მიმართ სტრატეგიულ–მაობიექტირებელი თუ კონსენსზე ორიენტირებული განწყობა უნდა დაიკავონ; ეს სწორედ ასეა რაგინდ ბუნდოვანი და ინტუიტური იყოს ამგვარი ცოდნა. მოტყუებისა და თავის მოტყუების გზით წარმოიშობა ზემოთ ხსენებული შერეული ფორმები; ისე რომ ხშირად დამკვირვებელს ეძნელება კორექტული აღწერილობის შედგენა. მაგრამ სუბიექტურად, აქტორის მზერის კუთხით, წარმატებაზე ორიენტირებულობა და ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულობა არ წარმოგვიდგება როგორც ერთი და იმავე ქცევის სხვადასხვა ანალიტიკური ასპექტი, არამედ ისინი ალტერანტივებს წარმოადგენენ. იგივე ითქმის თვით ორატორზეც, რომელსაც ჩაგონების მეშვეობით ჩვენი დარწმუნება სწადია: მან, სულ ცოტა, რეტროსპექტულად მაინც იცის, თუ როდის და როგორ სურს თავისი პუბლიკით მანიპულირება. რიტორიკის იანუსისებრი სახე, რომელიც არეკლილია სიტყვა „დარწმუნების“ („persuasion“) ორაზროვან მნიშვნელობაში, ადრესატის საწიერიდან წარმოდგება და არა მოლაპარაკის პერსპექტივიდან.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ნიშან-თვისებათა თეორიული ვარიაციების გზით მოხდეს სტრატეგიული ქმედების კონსტიტუირება კომუნიკაციური ქმედების *საზღვრითს შემთხვევად.* ამრიგად, შეიძლება დავიბრუნოთ სტრატეგიული ინტერაქციის მოდელი, თუკი კომუნიკაციური ქმედების შემთხვევიდან ამოვალთ, თუკი სააზროვნო გზიდან ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოვიცილებთ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული სიტყვათხმარების წინასწარგულისხმობებს, ანუ თუკი მოვახდენთ იქიდან აბსტრაჰირებას, რომ მონაწილენი ითვალისწინებენ ნორმატიულ კონტექსტს, რომ ისინი იმასვე ამბობენ, რასაც გულისხმობენ, რომ ისინი პროპოზიციათა ჭეშმარიტებას სხვებთან მიმართებაში მნიშვნელოვნების პრეტენ-

ზიად წარმოადგენენ — ეგოცენტრული წარმატების კალკულაციისთვის საკმარისია, რომ ყოველმა კერძო პირმა თავის შეხედულებებს მიაწეროს ან ჩამოაწეროს ჭეშმარიტების ღირებულებანი. (დაუშვებელია კომუნიკაციური ქმედების *საზღვრითი შემთხვევების* აღრევა კომუნიკაციური ქმედების *წმინდა შემთხვევებში*).[1]

ამ წინასწარგანმარტებათა შემდგომ მე მოკლედ განვიხილავ დანარჩენ შესიტყვებებს

(ბ) გიდენსი ფიქრობს, რომ მე საწარმოო ძალებს ვუთანაბრებ მიზანრაციონალურ ქმედებას, საწარმოო ურთიერთობებს კი კომუნიკაციურ ქმედებაში ვურევ. სინამდვილეში კი ცნების ორივე წყვილი სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარეობს. რა თქმა უნდა, საწარმოო ძალებსა და მიზანრაციონალური ქმედების ტიპს შორის იმდენად არსებობს შინაგანი კავშირი, რამდენადაც საწარმოო ძალებში განსახიერებული, ტექნოლოგიებში, ორგანიზაციებსა და კომპეტენციებში ხორცშესხმული ცოდნა იმაზეა გამიზნული, რომ გააუმჯობესოს[2] შრომის პროდუქტიულობა, და საზოგადოდ, –

---

[1] კომუნიკაციურსა და სტრატეგიულ ქმედებას შორის ტიპობრივი განსხვავება არ გამორიცხავს ლეგიტიმურად წარმართული ინტერეს-მოქმედების შემთხვევას (და ამრიგად, არ გამოირიცხება შესაბამისად საკუთარ ინტერესთა კერძო სამართლებრივად ორგანიზებული მიყოლის მაქს ვებერისეული სტანდარტული შემთხვევა). ამ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოსდა აქტორს ერთსა და იმავ მოქმედებაში ერთდროულად ეკავოს ორივე ალტერნატიული ძირეული განწყობა. წარმატებაზე ორინტირებულად იგი იქცევა ინტერაქციის მონაწილეთა მიმართ, ხოლო ნორმებთან შეუთანხმებლად (და ამრიგად ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულად) – სამართალსისტემის მიმართ, რაც მას სტრატეგიული საქციელის უფლებამოსილებას ანიჭებს. მაგრამ ეს განწყობანი ერთმანეთთან კოლიზიაში არ შედიან, რადგან აქტორი, ერთი მხრივ, იმყოფება Ego-Alter-მიმართებაში და კონკრეტულად მოთანაევ სხვებისადმი განეწყობა, მაშინ როცა, მეორე მხრივ, როგორც სამართალპერსონა მოქმედების ფორმალურად ორგანიზებული სისტემის წევრი მიმართებაშია სამართალამხანაგთა უფრო მაღალ საფეხურზე მყოფ აბსტრაქტულ თემთან. შესაძლებელია ქმედების ამ ვირტუალური სიბრტყის აქტუალიზება, როგორც კი თემად იქცევა თვითონ სამართლებრივი ჩარჩოები; და მაშინ იგივე აქტორები ერთმანეთთან სამართალამხანაგთა სახით ურთიერთობას ინტერაქციის სიბრტყეზეც აბამენ; ოღონდ ახლა მათ აქვთ იმათი ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული განწყობა, რომლებმაც იციან, რომ აუცილებლად უნდა გაერთიანდნენ (თუნდაც ეს გაერთიანება კვლავაც იმ სასამართლო საქმის წარმოების გზით ხდებოდეს, რომელიც ნორმატიულად მოწესრიგებულ სტრატეგიულ ინტერაქციაზეა გამიზნული, მაგრამ გულისგულში კონსენსუალურ სასამართლო საქმის წარმოებას წარმოადგენს). სწორედ ამ აზრით ესმის რ. ალექსის იურიდიული დასაბუთება როგორც „საყოველთაო პრაქტიკული დისკურსის კერძო შემთხვევა".

[2] საწარმოო ძალთა და წარმოებითს ურთიერთობათა დეფინიციის საკითხთან დაკავშირებით შეად. J.Habermas, Comunication and the Evolution of Society, London 1971, 138f.

ბუნებასა და კოოპერირებულ ადამიანებზე კონტროლის განხორციელებისა მიზანრაციონალურად აამოქმედოს საამისო საშუალებანი. წარმოებითი ურთიერთობანი ანუ ინსტიტუციები, რომლებიც აწერსიგებენ წარმოების საშუალებისადმი ლეგიტიმურ მისადგომობას, პირიქით, მოქმედების სხვა ტიპზე მიუთითებენ. ისინი ითვლებიან პოლიტიკური, იმ სამართლებრივი და სოციალური წესრიგის არსებით შემადგენელ ნაწილად, რომელსაც გეთავაზობენ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების კონტექსტები. და მაინც საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი სხვა კონცეპტუალურ სიბრტყეზე მდებარეობენ, ვიდრე მარტივ ინტერაქციებზე დამოკიდებული მოქმედების ცნებები. ეს კონცეპტები ეფუძნებიან მთლიანობაში აღებული საზოგადოების კომპონენტებს, იქნება წარმატების ის პოტენციალი, რომელსაც საზოგადოება წარმოების პროცესებსა, და ამრიგად, გარე ბუნებასთან გაცვლისთვის იყენებს, ანდა იმ ბაზისურ სიტუაციებს ემყარებიან, რომლებიც წარმოების საშუალებათა განაწილებასა და სოციალურ ძალაუფლებასთან ერთად განსაზღვრავენ საზოგადოების ინტერესთა სტრუქტურას ანუ – მოთხოვნილებათა სოციალურად აღიარებულ სხვადასხვა შესაძლებლობათა ნიმუშს.

(ბ) მოქმედებისა და მოქმედების სისტემის სიბრტყეთა გამიჯვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „შრომისა" და „პრაქტიკის" გიდენსისეული განსხვავებისათვის. „შრომად" მარქსს, როგორც წესი, „საზოგადოებრივად ორგანიზებული შრომა" (და არა მარტოდენ ცალკეულ ინსტრუმენტულ ქმედებათა კონიუნქცია) ესმის. შრომის ამ ცნებიდან გიდენსს სურს, განასხვაოს პრაქტიკის ცნება, რომელიც ჯერ არს, ეფუძნებოდეს მოქმედების კონტექსტთა კონსტიტუციასა და მათს რეპროდუქციას. ამგვარი ცნებითი სტრატეგია მე წარუმატებლად მიმაჩნია, რადგან „კონსტიტუციის" შემეცნების თეორიული საფუძველცნება, რომელიც ობიექტთა სფეროების ჩამოყალიბებასთანაა მიმართებაში, საზოგადოების თეორიაში არეულობის შემომტანია. სახელდობრ, იგი ჩაგვაგონებს, რომ ენა და მოქმედებაშემძლე სუბიექტები იმგვარადვე „აწარმოებენ" თავიანთს ცხოვრებისეულ კავშირ-მიმართებებს, როგორაც ისინი ინსტრუმენტული ქმედებით პროდუქტებს ამზადებენ ხოლმე. მე ვამჯობინებ, შემოვიტანოთ *ცხოვრების სამყაროს* ცნება როგორც კომუნიკაციური ქმედების შემავსებელი ცნება და – კომუნიკაციური ქმედება გავიგო იმ *მედიუმად*, რომლის მეშვეობითაც ცხოვრების სამყაროს სიმბოლურ გამოსახულებათა *კვლავწარმოება* მიმდინარეობს. ამავდროულად ინსტრუმენტული მოქმედებანი ანუ ობიექტურ სამყაროში ჩართვები წარმოადგენენ იმ მედიუმს, რომლის მეშვეობითაც კვლავ იწარმოებს თავის თავს ცხოვრების სამყაროს მატერიალური სუბსტრატი, და მაშასადამე, რომლის მეშვეობითაც ცხოვრების სამყარო გარეგუნებასთან პროცესების გაცვლას აგვარებს. მეორე მხრივ, „ნივთიერებათა გაცვლის ეს პროცესები" ცხოვრების სამყაროს მაობიექტირებელი დამკვირვებლის პერსპექტივიდან, რომელსაც ამ სამყაროსთან გარეგნული მიმართება აქვს, შე-

საძლებლობას იძლევიან, გაანალიზებულ იქნან როგორც ფუნქციური კონტექსტები და განმარტებულ იქნან როგორც თვითმართული სისტემა. ამ ცნებითი სტრატეგიის თვალსაზრისით ჯეროვანია ჯერ ერთი ის, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მოქმედებისა და საზოგადოების ცნებები; მეორეც – ერთმანეთისგან განვასხვაოთ საზოგადოება როგორც სიმბოლურად სტრუქტურირებული ცხოვრების სამყარო (კონცეპტი, რომელიც კვლავ მოქმედების თეორიის პერსპექტივიდან არის მოსახული) და საზოგადოება როგორც სისტემა (ცნება, რომლის მოპოვება ხდება ცხოვრების სამყაროს მეთოდური გასაგნების გზაზე), რათა აქედან მესამე გამიჯვნას მივმართოთ *და საზოგადოების ორსაფეხურიანი კონცეპტი და საზოგადოებრივი კვლავწარმოების* შესაბამისი კონცეპტი შევიმუშაოთ. დაუშვებელია ამ კონცეპტის უკუდაყენა „პრაქტიკის" ცნებაზე, როგორც ამას გიდენსი გვთავაზობს, რადგან მოქმედების ცნებათა კონსტიტუციის თეორიული მეტისმეტი გაფართოება ყოველთვის მეტაფორაში ეხვევა ხოლმე. პრაქტიკის ფილოსოფიის საფუძველცნება, უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოების ანთროპომორფისტულ ცნებას იძლევა.

(დ) დაბოლოს, გიდენსი მიიჩნევს, რომ თითქოსდა ჩემი თეორიის ჩარჩოებში ძალას (Macht) შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიური განწყობის მნიშვნელობა ჰქონდეს.[1] გიდენსი ანახლებს იმ საყვედურებს, რომლებიც 50-იანი წლების ბოლოს პარსონსის წინააღმდეგ წამოაყენეს კონფლიქტის ისეთმა თეორეტიკოსებმა, როგორებიცაა კოსერი, ლოკვუდი და დარენდორფი.[2] ამ დავაში მე ფაქტობრივად პარსონსს ვუჭერდი მხარს, რადგან ვფიქრობ, რომ მისი თეორია საკმაოდ კომპლექსურია, რათა ითვალისწინებდეს ყველა იმ ფენომენს, რომელთათვისაც მისი მოწინააღმდეგენი ცალკე საწყისთა გამოსანახად ირჯებოდნენ. მეორე მხრივ, მე არ ვიზიარებ საზოგადოების პარსონსიანული თეორიის ზოგიერთ იდეალისტურ წანამძღვარს და მტკიცედ ვადგავარ აზრს სისტემთეორიასთან შედარებით მოქმედების თეორიის მეთოდური უპირატესობის თაობაზე. ამაზე აქ დაწვრილებით არ შეეჩერდები.

ძალაუფლების კონცეპტს (Gewalt) ცენტრალური ადგილღირებულება უკვე უპყრია მოქმედების თეორიის ზემოთ გადმოცემულ მოკლე მონახაზებში. რამდენადაც ინტერაქციათა კოორდინირება ურთიერთგაგების გზით არ ხდება, ამდენად ძალაუფლება ერთადერთ ალტერნატივად რჩება, რომელსაც ერთი ინდივიდი (ცოტად თუ ბევრად დახვეწილი სახით, ცოტად თუ ბევრად ლატენტურად) მეორის მიმართ ახორციელებს. სხვას არაფერს მოასწავებს კომუნიკაციურსა და სტრატეგიულ ქმედებას შორის ტიპოლოგიური განსხვავება. ძალის კონცეპტი კი მე მინდა შემოვინახო მოქმედების *კონტექსტთა* (გინა საზოგადოების) სიბრტ-

---

[1] შეად. აგრეთვე A.Giddens, Studies in Social and Political Theory, London 1980, 157.

[2] ანალოგიურად A.Gouldner, Die Inteligenz als neue Klasse, Ffm. 1980, 69ff.

ყისათვის. ერთი მხრივ, მე იქითკენ ვიხრები, რომ ჰანაჰ არენდტთან ერთად კომუნიკაციურად გამიზნული დაჯერებულობანი ლეგიტიმური ძალის წყაროდ, ხოლო ცხოვრების სამყაროს ყოველდღიურობის პრაქტიკა იძულებამიუყენებლად აღიარებული ძალის გენერატორად მივიჩნიო.[1] მეორე მხრივ, სასარგებლოა როგორც ბატონობის ვებერისეული ცნება (ინსტიტუციონალიზებული ძალა/ძალაუფლების – ნარევის გაგებით) ისევე – ძალის პარსონსისეული ცნებაც (როგორც ქვესისტემათა მქმნელი მედიუმებისა).[2]

მე ვცდილობ, ამ სამი ცნების ინტეგრაციის გზით მოვიპოვო კლასთა სტრუქტურის კრიტიკული ანალიზის სათანადო საწყისი. ძალის კომუნიკაციური ცნებით შეგვიძლია ძალაუფლებრივ ურთიერთობათა ინსტიტუციონალიზება ავხსნათ როგორც ძალაუფლების ტრანსფორმაცია ისეთ ძალად, რომელიც მოჩვენებითი ლეგიტიმურობის მქონეა.[3] როცა *ძალაუფლებ* შემოაქვთ მოქმედების მაკოორდინირებელი ურთიერთგაგების მექანიზმის ალტერნატივად, ხოლო ძალა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების პროდუქტად, ამიერიდან მოპოვებულია ისეთი უპირატესობა, რომელიც საშუალებას იძლევა – დაიძლიოს ძალაუფლების არაპირდაპირი განხორციელების ფორმები, რომლებიც სადღეისოდ არის გაბატონებული. მე ვგულისხმობ იმ პათოგენურ ძალაუფლებას, რომელიც შეუმჩნევლად აღწევს ყოველდღიურობის კომუნიკაციური პრაქტიკის პორობებში და იმზომად შლის იქ თავის ფარულ ქმედითობას, რა ზომითაც ცხოვრების სამყარო გათავისთავადებული ქვესისტემის იმპერატივის გამგებლობაში გადადის და რა ზომითაც მისი განივთება ხდება გაცალმხრივებული რაციონალიზების გზაზე.

(2) *ვერსალური პრაგმატიკისთვის* კომუნიკაციური ქმედების თეორია ემყარება ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული სიტყვათხმარების კომუნიკაციური ქმედებას ცნებით ცენტრში გადმოინაცვლებს მეტყველების აქტების შეთავაზებათა მოქმედების მაკოორდინირებელი მავალდებლობის ეფექტი; საქმე ეხება მეტყველების აქტებში გამოთქმულ შეთავაზებებს, რომელთა საფუძველზე კომუნიკაციის მონაწილენი ინტერსუბიექტურად აღიარებულ კრიტიზირებად პრეტენზიათა გზით ინტერპერსონულ ურთიერთობებს აწარმოებენ. ურთიერთგაგების ამ მექანიზმის თავისებურება ისაა, რომ Ego-ს ძალუძს თავისი შეთავაზების მისაღებად Alter-ს გარკვეული თვალსაზრისით რაციონალური მოტივირება, სახელდობრ იმით უყოს, რომ იგი ავლენს

---

[1] ჰანაჰ არენდტისეული ძალის ცნება, in: J.Habermas, Politik, kunst, Religion, Stuttgart 1978, 103ff.

[2] J.Habermas, Bemerkungen zur Medientheorie von T.Parsons, in: W.Schluchter (Hrsg.), Handlung und System, Ffm. 1980.

[3] შეად ჩემი კამათი ლუმანთან: Theorie der Gesellschaft oder Sozialtechnologie, Ffm. 1971, 1971, 250-257.

მზაობას, საბუთებით უზრუნველყოს მის მიერ წამოყენებული პრეტენზია. სანქციათა გინა დაჯილდოებათა ნაცვლად, რომლებითაც სტრატეგიულ ქმედებაში მავანს ძალუძს ზეგავლენა იქონიოს სხვის მიერ გადაწყვეტილების მიღების სიტუაციაზე, კომუნიკაციურ ქმედებაში ურთიერთმხრივ წამოყენებული მნიშვნელოვნების პრეტენზიების ზურგს უკან არც იარაღი დგას და არც ღოვლათი, არამედ – პოტენციური საბუთები. მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული საბუთად, რა თქმა უნდა, ეს ასევე დამოკიდებულია კულტურელური ფონისეული ცოდნისაგან, რომელსაც იზიარებს კომუნიკაციის თანამონაწილე, როგორც განსაზღვრულ ცხოვრების სამყაროში შემავალი. მეტყველებამოქმედების ის გაანალიზებანი, რომლებიც მე დღემდე გამომიქვეყნებია, კონცენტრირებულია ერთ საკითხზე, რომელიც საკმაოდ ბუნებრივად გამოიყურება მოქმედების თეორიის პერსპექტივიდან: როგორ აიხსნება მეტყველების აქტებით შეთავაზებათა რაციონალურად მამოტივირებელი ძალა. იგივე ფოკუსი – თუმც არც ისე ნათლად – იკვეთება ჯონ ტომპსონის სტატიიდან.[1] მე ტომპსონის მიერ განხილული თემების კომენტირებას შემდეგი თანამიმდევრობით ვახდენ;

(ა) რადგან აქტორი თავისი გამოთქმით ერთსა და იმავე დროს მიმართებაში შედის რაღაცასთან ობიექტურ სამყაროში – რაღაცასთან სოციალურ სამყაროში და – რაღაცასთან თავის საკუთარ სუბიექტურ სამყაროში, აუცილებელი იქნებოდა ტომპსონის პირველთეზის შევსება მესამე სამყაროსთან მიმართების თვალსაზრისით (და პერფორმაციული გამოთქმების მნიშვნელობის შედგენილობის ლინგვისტური წარმომადგენლების თვალსაზრისით, რომლებშიც ნაწილობრივ ფარულად არის გამოთქმული მოლაპარაკის ინტენციები).

ახლა უფრო დაწვრილებით შესიტყვებათა შესახებ. მეთოდური გადაწყვეტილება, იმის თაობაზე, რომ მეტყველება-მოქმედებათა ანალიზი მისი სტანდარტული ფორმის ანალიზით *დაიწყოს,* მიიღება გრამატიკულ სიღრმისეულ სტრუქტურაში ილოკუციური კომპონენტების ჩანაცვლების თაობაზე, განსაკუთრებული ვარაუდებისაგან დამოუკიდებლად. მე უბრალოდ იქიდან ამოვდივარ, რომ სტანდარტულ ფორმაში სწორედ ის შტრიხებია წინა პლანზე ექსპლიციტურად წამოწეული, რომლებიც *არსებითნი* არიან სიმბოლურ გამოსახულებათა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული გამოყენების რაციონალური სავალდებულობის ეფექტისათვის; სულერთია, როგორი სახე აქვთ ამ გამოსახულებებს; ისეთი ელიფსურად შეკუმშული, გადაკვრითი ანდა პროპოზიციულად გაუთვითმყოფადებელი მეტყველება-მოქმედებებისა, როგორც ეს ყოველდღიურობის კონტექსტზე დამოკიდებულ პრაქტიკაში გვხვდება ხოლმე, თუ ისინი ექსტრავერბალური, მაგალითად, ტანზე მიტმასნილი ექსპრესიული ჟესტების სახეს ღებულობენ. რა თქმა უნდა, მხედველობაში მიიღება მხოლოდ და მხოლოდ ისეთი გამოსახულებანი, რომლებთაც უნარი

[1] J.B. Thompson, Universal Pragmatics, in: Thompson, Held (1982), 116ff.

შესწევთ აშკარა მეტყველება-მოქმედებებად განივრცონ. როცა გამოხატვადობის პრინციპი ამ აზრით არის გაგებული, რა თქმა უნდა, ყურადღების მიღმა რჩება ისეთი სიმბოლური ფორმები, როგორიცაა ცეკვა, მუსიკა, მხატვრობა და ა.შ.[1]

ამგვარი ამორჩევითობა ვერას ავნებს ჩემეული ანალიზის განზრახულობას, რადგან ასეთი გამოხატულებანი, როგორც წესი, არ კისრულობენ მოქმედების კოორდინირებულობის ფუნქციებს. რა თქმა უნდა, არსებობენ ისეთი გამოხატულებანი, რომლებიც ისე, როგორც მაგალითად, საკრალური მოქმედებები უკუაგდებენ მეტყველება-მოქმედებად განვრცობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანნი არიან კოორდინაციის ფუნქციებისათვის. ამ დიფუზურ გამოხატულებათა მავალდებულებელი ძალი შეიძლება აიხსნას მეტყველების მნიშვნელოვნების ბაზისის დიფერენცირების სიტემატური ისტორიის შუქზე ანუ – განვითარების ლოგიკურად. მაგრამ ურთიერთგაგების ფორმათა რეკონსტრუქციის ორიენტაციის წერტილად კვლავაც რჩება მნიშვნელოვნების პრეტენზიათა მიხედვით დიფერენცირებული თანამედროვე ყოველდღიურობის პრაქტიკაში გავრცელებული სიტყვათხმარება.

ახლა მოკლე მითითება იმ კონტრმაგალითების შესახებ, რომლებიც კონტრმაგალითებადვე რჩებიან: „გარიგება" „bargaining" მე არ მესმის კომუნიკაციური ქმედების შემთხვევად; უტყვი მისალმება, როგორც წესი, არის ილოკუციურად შეკვეცილი მეტყველების აქტის არაენობრივი ეკვივალენტი, რომლის მნიშვნელობა შეიძლება განივრცოს მის საფუძვლად მდებარე მოქმედების ნორმაზე დაყრდნობის გზით; არაპირდაპირი მეტყველების აქტები ასევე განივრცობიან მოთხოვნილებისამებრ ან ჩვენს ხელთ არსებული გამოსახულებების მოდიფიკაციის ანდა ახალი გამოსახულებების შემოტანის გზით; მოსწრებული სიტყვა, ფიქციური გამომსახველობანი, ირონია, თამაში და ა.შ. – როგორც სხვაგან გავმარტე – წარმოადგენენ კატეგორიალურ შერევათა ინტენციური გამოყენების წყალობას, რომლებიც მნიშვნელოვნების პრეტენზიათა და შესაბამისი მოდუსების (ყოფნა/მოჩვენება; არს/ჯერარსი; არსება/მოვლენა) დიფერენცირების თანამიმდევრობაში ცნობილ იქნენ კატეგორიალურ შეცდომებად.[2]

რა თქმა უნდა, ტომპსონი ეხება კონტექსტისაგან თავისუფლად გადმოცემული გამოხატულების მაგალითს: „ამ დილით ცა ლურჯია"; ეს არის მეტყველების აქტის ორთოდოქსული ანალიზის ის სიძნელე, რამაც მე ამასობაში შემაგულიანა გამეფართოებინა ჩემი ფორმალურ-პრაგმატული ძირეული ვარაუდები. სტანდარტულის ფორმით მეთოდური შემოზღუდვა ერთი ნაბიჯით წინ მიიწევს კონტექტის ნეიტრალიზების გზაზე.

---

[1] Communication and Evolution of Society. Schema S.40.

[2] შეად. in diesem Band oben S.211ff.

მეტყველება-მოქმედების მოდელი მეტყველების სიტუაციის არა მხოლოდ საყოველთაო შემადგენელ ნაწილებს უნდა ითვალისწინებდეს ანუ იგი მხედველობაში უნდა იღებდეს, არა მხოლოდ თვითონ გამოხატულებას, მოლაპარაკესა და მსმენელს, მათს პო/არა – პოზიციებს და ა.შ., არამედ – მოლაპარაკისა და მსმენელის მიერ გაზიარებული ცხოვრების სამყაროს ფონს; ამით გათვალისწინებული იქნება ის ფონისეული კუთვნილი ის ცოდნები, რომლებიც კულტურელურად გადმოგვეცა და პრერეფლექსურ უტყუარობას ფლობენ, რომლებიც ინტუიტურად არიან ჩვენს განკარგულებაში და რომლიდანაც კომუნიკაციის მონაწილე თავის ინტერპრეტაციებს იღებს.[1] იმით, რომ კომუნიკაციის მონაწილენი რაღაცის შესახებ შეთანხმებას აღწევენ, მეტყველება-მოქმედებათა მეშვეობით, ისინი არა მხოლოდ ფრონტალურ მიმართებაში შედიან სამივე სამყაროსთან; არამედ, ამასთან ერთად, მათ ზურგს უკანაა კონტექსტქმნელი ცხოვრების სამყარო, რომელსაც ისინი ურთიერთგაგების პროცესის რესურსად იყენებენ.

ბ) ტომპსონი კითხულობს საფუძველმდებლური ფორმალურ-პრაგმატული განსხვავებების დასაბუთების თაობაზე. საქმე ეხება *მნიშვნელოვნების იმ პრეტენზიათა* (ჭეშმარიტება, სისწორე, გულწრფელობა) შორის განსხვავებას, რომელთაც მოლაპარაკე თავისი გამოთქმებით წამოაყენებს; – *იმ სამყაროებს* შორის (ობიექტური, სოციალური, სუბიექტური) განსხვავებას, რომლებთანაც ურთიერთობას ამყარებს მოლაპარაკე თავისი გამოთქმების მეშვეობით; ლაპარაკია იმ განსხვავებებზე, რომლებიც არსებობს *ძირეულ განწყობათა* (მაობიექტირებელი, ნორმებთან თანხმიერი, ექსპრესიული) შორის, რომლებსაც იკავებენ მოლაპარაკეები და რომლებს შორის მათ ძალუძთ პერფორმაციული განწყობით უწყვეტი გადასაელელები შექმნან; საქმე ეხება, აგრეთვე, განსხვავებებს *მეტყველების აქტთა კლასებს* (მდგენელი, რეგულაციური, რეპრეზენტაციული) შორის, რომლებიც სიტყვათხმარების (კოგნიტივური, ინტერაქციული, ექსპრესიული) წმინდა მოდუსებს გვიჩვენებენ. მაგრამ აქ მოცემული და მსგავსი განსხვავებების დასაბუთება მე მხოლოდ ჩემს მიერ პუბლიკაციებში დაწყებული ფორმალურ-პრაგმატული ანალიზის განსრულების გზით შემიძლია. რეკონსტრუქციის ასეთი მცდელობის უკუგდება იმ ხერხით შეიძლება, რომ ოპონენტის მტკიცებებს საფუძველი პროპონენტის მიერ შემოთავაზებულ რეკონსტრუქციათა კონტრმაგალითებით გამოეცლება.

ამ ხერხით ტომპსონს, მაგალითად, უნდა ეჩვენებინა, რომ სიყალბეს წარმოადგენს არგუმენტები იმ ვარაუდის თაობაზე, რომ ზუსტად სამი

---

[1] შეად. J.Searle, Literal Meaning, in:ders., Expression and Meaning, Cambridge 1979. ამის სტიმული მომცა ჯ.სერლისა და ჰ.დრეიფუზის მიერ კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლიში ერთობლივად ჩატარებულმა სემინარმა „ფონისეული ცოდნის" შესახებ (ზამთარი, 1980)

მნიშვნელოვნების პრეტენზია არსებობს. თუ ვინმე შეეცდება ჩაეძიოს იმას, თუ როგორაა შესაძლებელი ის, რომ მთლიანობაში იქნას უკუგდებული სტანდარტული გამოხატვის მნიშვნელობა, ვფიქრობ, იგი აუცილებლად წააწყდება ზუსტად სამ ასპექტს, რომელი ასპექტებითაც მსმენელი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში „არა" თქვას. მას შეუძლია „არა" განუცხადოს მტკიცებული ჭეშმარიტების (შესაბამისად – მოხსენიებული პროპოზიციული შემადგენლობის არსებობის წანამძღვრებს), – გამოთქმის სისწორეს ნორმატიულ კონტექსტთან მიმართებაში (შესაბამისად – მოქმედების საფუძველმდებლური ნორმის სისწორეს); დაბოლოს, მას ძალუძს „არა" უთხრას მოლაპარაკის მიერ გამოხატული ინტენციის გულწრფელობას. იმავე შედეგამდე მივყავართ როგორც დესკრიფციული, ნორმატიული და ექსპრესიული შედგენილობის მარტივ გამონათქვამთა ფორმალურ-სემანტიკურ გამოკვლევას ისე – შესაბამისი არგუმენტაციების პრაგმატისტულ ლოგიკას, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ჭეშმარიტების საკითხებად, სამართლიანობის საკითხებად და თავის მოტყუებასთან დაკავშირებულ საკითხებად.[1] სხვათა შორის, ზუსტად სამი სამყაროს ურთიერთგამიჯვნის სასარგებლოდ მეტყველებს დეცენტრირებული მსოფლგაგება, რომლის წარმომავლობის ამოკითხვა შესაძლებელია როგორც ონტოგენეზში, ასევე მსოფლხატთა სტრუქტურების ცვალებაში.

ის ორი განსხვავება, რომელიც ტომპსონს თავის გამამართლებელ მომდევნო კანდიდატებად შემოაქვს, ალბათ, ადამიანური გონის უნივერსალურ ნიშან-თვისებებს ეხება და არანაირ კავშირში არ არის მეტყველების აქტის მახასიათებლებთან. გამოცდილებათა და შემოძლევათა მიმართ *ჰიპოთეტური განწყობა*, რომელიც პირველად შესაძლებელყოფს როგორც შესაძლო და ექსისტირებულ საქმის ვითარებათა შორის, ისე – შემოღებულსა (ე.ი. სოციალურად აღიარებულ) და მნიშვნელად ნორმებს შორის განსხვავებას, გამოხატავს საყოველთაო საფეხურს ინდივიდუმის კოგნიტივურ განვითარებაში. როგორც ვფიქრობ, ასევე უნივერსალური განსხვავება იმათ შორის, რაც *ითქმება* და რაც *არ ითქმება*, ეფუძნება ცხოვრების სამყაროს ფარულ ფონისეულ ცოდნებსა და ენობრივად გაცხადებულ ცოდნათა შორის განსხვავებებს, რაც ვიტგენშტაინისეული ტრაქტატის ენის ტრანსცენდენტალური თეორიიდანაც ჩანს; ერთი არის უშუალოდ უტყუარი, მაგრამ პრერეფლექსური ცოდნა;

---

[1] სირთულეებს გვთავაზობს გემოვნების საკითხები; ამასთანავე, საქმე ეხება, ერთი მხრივ, შეფასებათა მიმართებას ნორმატიული გამონათქვამისადმი; მეორე მხრივ – შეფასებათა დაკიდებულებას ექსპრესიულ გამონათქვამებისადმი. ღირებულებითი სტანდარტის მისადაგებულობას ზოგიერთი რამ საერთო აქვს მოქმედების ნორმათა სისწორესთან; მეორე მხრივ, ხელოვნების ქმნილებათა აუტენტობას, რომლის საფუძველზეც იქმნება და ნდობა ენიჭება ღირებულებითს სტანდარტს, უფრო მეტი აქვს საერთო ექსპრესიათა გულწრფელობასთან.

და ჩვენ არა გვაქვს ცნება ამ ცოდნის *შესახებ;* მეორე ცოდნა დაკავშირებულია მნიშვნელოვნების კრიტიზებად პრეტენზიებთან და აქედან გამომდინარე მცდარ ცოდნას წარმოადგენს; როცა ამ ცოდნას ვფლობთ ანდა როცა მას გამოვხატავთ ეაცნობიერებთ იმას, რომ იგი შეიძლება უმართებულო გამოდგეს. სხვათა შორის, მე ხალისით ვღებულობ იმ საყვედურებს, რომ ფორმალურ-პრაგმატული ანალიზები, რა ზომამდეც იგი მე დღემდე მიმიყვანია, უგულვებელყოფენ დროის განზომილებას და აქედან გამომდინარე ანგარიშს არ უწევენ ენის ქმნადობის ფენომენებს, ენასთან შემოქმედებითს დამოკიდებულებას.[1]

გ) ტომპსონის მესამე შესიტყვება იდეალური სიტუაციის მონაპოვრებს ეხება. მე არ ვამტკიცებ, რომ მართებული კონსენსი მხოლოდ და მხოლოდ იდეალური სამეტყველო სიტუაციის პირობებში შეიძლება *განხორციელდეს* ყოველდღიურობის კომუნიკაციური პრაქტიკა კულტურელურ თავისთავად სიცხადეთა ანუ შეთანხმებულ უტყუარობათა ზღვას მისცემია; აქტუალური ურთიერთგაგების პროცესის ფონს ასევე განეკუთვნება ნორმატიული დაჯერებულობანი და ემფატურად კვალადშესრულებული განცდები. მაგრამ როგორც კი ხდება ამ ნაიკური პრერეფლექსურად გაწინადელებული ფონის ტრანსფორმირება გამოთქმის სემანტიკურ შედგენილობად, უტყუარობანი კრიტიზირებადი ცოდნის პირობებში ექცევიან: ამიერიდან მის შესახებ *შეიძლება* უთანხმოება წარმოიშვას. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ თუ ამგვარი უთანხმოება საკმარისად ურყევია, რათა მოახდინოს სადაო საქმის დისკურსული დამუშავება, ჩნდება ის შემთხვევა, რომლის გამოც მე ვამტკიცებ, რომ შეუძლებელია მიიღწეს *დასაბუთებული* თანხმობა, თუკი დისკურსის თანამონაწილენი არ *დაუშვებენ,* რომ მათ ერთმანეთის დარწმუნება მხოლოდ და მხოლოდ უმჯობესი არგუმენტის მეშვეობით ძალუძთ. მაგრამ თუ ერთი მხარე გამოიყენებს იარაღს, სიმდიდრესა თუ ავტორიტეტს, რომლებზეც მას პრივილეგირებულად მიუწვდება ხელი, რათა მეორე მხარე სანქციებისა თუ დაჯილდოების პერსპექტივის დასახვით *იძულებით* დაითანხმოს, მაშინ ორივე მონაწილისათვის უეჭველი იქნება, რომ დასაბუთების წანამძღვრები მხოლოდ დროებით სრულდება.

დ) მეოთხე შესიტყვება მიმართულია ჭეშმარიტების დისკურსული თეორიის წინააღმდეგ. 1972 წელს გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელშიც ჩემი თეზა შევიმუშავე, ცხოველი რეზონანსი გამოიწვია. შესიტყვებათა წყებამ ჩემზე იმოდენა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მე ძალიან მომცველ შეპასუხებებს ვგეგმავდი. რაკი შემთხვევა მეძლევა ამ საკითხზე ოდნავ ვრცლად უნდა შეეჩერდე. როცა უნდათ ინტერაქციებში მეტყველება-მოქმედებათა მავალდებულებელი აფექტის გამორკვევა, მნიშვნელოვნების პრეტენზიათადმი ჰო/არა პოზიციათა რაციონალური მოტივაცია ცენტრალურ

---

[1] შად. ამის თაობაზე H.Peukart-ის საინტერესო შენიშვნები, Fudamentale Theologie, ,, 269)

ადგილღირებულებას იკავებს. მეორე მხრივ, ოპონენტის ჰოს ანდა არას პროპონენტის მტკიცებასთან მიმართებაზე არგუმენტაციული დავა ოდითგანვე იწვევდა ფილოსოფიის დაინტერესებას.

ოპონენტი უარყოფს იმ პრეტენზიას, რასაც პროპონენტი თავისი გამოთქმისათვის წამოაყენებს; სახელდობრ იმას, რომ „p"-ს მნიშვნელადობის პირობები შესრულებულია. „p"-თვის დამნიშვნელოვნებული ჭეშმარიტების ეს პრეტენზია, რა თქმა უნდა, არ არის იდენტური „p"-ს ჭეშმარიტების ანდა მისი მნიშვნელადობისა; „p" ჭეშმარიტია, როცა შესრულებელია მისი ჭეშმარიტების პირობები. მაგრამ ამგვარი პრეტენზიის წამოყენება ნიშნავს იმას, რომ არგუმენტაციის თამაშში ოპონენტის წინაშე დასაცავად წამოვაყენო მტკიცება „p"-ს ჭეშმარიტების პირობათა შესრულების შესახებ. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ერთის გაიგივება მეორესთან. მაგრამ ჭეშმარიტების დისკურსული თეორიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მას სურს დაასაბუთოს, შეკითხვას იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს „p"-ს ჭეშმარიტების პირობათა შესრულებულობა, რატომ შეიძლება *პასუხი გაეცეს* მხოლოდ და მხოლოდ იმის განმარტების მეშვეობით, თუ რას ნიშნავს ის, რომ „p"-ს ჭეშმარიტების პირობათა პრეტეზიის შეუსრულებლობა არგუმენტირების საშუალებითაა გადაწყვეტილი თუ დასაბუთებული. *ამით* საგრძნობლად გარელატიეებულია *ვითომდა აშკარა განსხვავება* ჭეშმარიტების მნიშვნელობის ექსპლიკაციასა და ჭეშმარიტების დადგენის *კრიტერიუმთა* შესახებ ცნობას შორის. ჭეშმარიტების პრეტენზიათა დისკურსული დაკმაყოფილების პროცედურული საზრისის განმარტება არც ერთს ემთხვევა და არც მეორეს. ამრიგად, დისკურსი იძლევა საკმარისად ოპერაციონალიზებულ *ხერხს*, რომელიც გადაამოწმებდა იმას, დაცული ანდა გამოყენებულია თუ არა *კრიტერიუმი.* ჭეშმარიტების კრიტერიუმები სხვა სიბრტყეზე ძევს ვიდრე ჭეშმარიტების პრეტენზიათა დაკმაყოფილების დისკურსის თეორიულად განმარტებული *იდეა.* ჭეშმარიტების *კრიტერიუმები* იცვლებიან რაციონალობის სტანდარტთა მიხედვით და თავიანთ მხრივ ექვემდებარებიან არგუმენტაციული გამართლების მოთხოვნას; ყოველ ცალკე შემთხვევაში სტანდარტზე ჰკიდია ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სრულ საფუძვლად, რომლის თაობაზეც შესაძლებელი უნდა იყოს არგუმენტირებული კამათი. ასეთი კამათიდან თავი დაღწეული აქვს მხოლოდ და მხოლოდ წინდაწინითს, ყველა კომპეტენტური მოლაპარაკის მიერ გაზიარებულ, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ინტუიტურ ანუ კვალადკონსტრუირება დაჭირვებულ ცოდნას, რომელსაც მივმართავთ ხოლმე როცა იმის თქმა გვმართებს, თუ რას ნიშნავს არგუმენტაციაში ჩაბმა.

თუ გავაცხადყოფებთ ამ ძირეულ იდეას, მაშინ *წინასწარმეტყველებათა* მართებულობის ჭეშმარიტების თეორიული განმარტება წარმოგვიდგება საინტერესო, მაგრამ არა ისეთ პრობლემად, რომლის გადაჭრა არ შეიძლებოდეს. ფუტურისტულ გამონათქვამთა ჭეშმარიტების პირობები შეუძლებელია სრულიად და საესებით იყოს შესრულებული დროის იმ მომენტისათვის, როცა *მათი* მტკიცება ხდება. წინასწარმეტყველებათათვის მხოლოდ და მხოლოდ პროსპექტულად შეიძლება წამოყენებული იქნეს პრეტენზია, რომ ისინი *ახდებიან*. ოღონდ მომავლის დამკვირვებლისათვის რეტროსპექტულად წამოყენებული ის პრეტენზია, რომ ფუტურისტული გამონათქვამები ახდებიანო, ეკვივალენტურია ჭეშმარიტების იმ პრეტენზიისა, რომელიც შესაბამისი გამონათქვამისთვის დროის მაჩვენებლის გარეშეა წამოყენებული.

ამიტომ მე სამართლიანად მივიჩნევ შენიშვნას იმის თაობაზე, რომ დღემდე სათანადოდ არ ვითვალისწინებდი ჭეშმარიტების ცნების „რეფერენციალურ განზომილებას". ეს საყვედური მერი ჰესემაც წამოაყენა.

(3) *ჭეშმარიტებისა და მეცნიერების თეორიისათვის* უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მე მხოლოდ შიგადაშიგ ეუბრუნდებოდი მეცნიერების თეორიულ საკითხებს და დამეკარგა შესაბამისი დისკუსიებისადმი მგრძნობელობა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მე კარგა ხნის წინ გამოვეხმაურებოდი როგორც მ. ჰესეს მიერ 1972 წელს[1] გამოქვეყნებულ შთამბეჭდავ სტატიას, ისე სხვა ნაშრომებსაც.[2]

(4) კუნისა და ფეირაბენდის მიერ გაჩაღებული დებატების შუქზე მე შევნიშნავ, რომ „შემეცნებასა და ინტერესში" ძალზე გადამეტებულად მივენდე მეცნიერების ემპირისტულ თეორიას. იმდროინდელი მცდელობისას, გადაელახა ბუნებისა და გონის მენციერებათა მკვეთრი დუალიზმი, მათი თვალსაზრისით მ. ჰესემ მიზანს ააცდინა, თუმცა მე არ ვიცი იგი კვლავ იმავე პოზიციაზეა თუ არა. მაგრამ ფაქტია, რომ მ. ჰესე სერიოზულობით არ ეკიდება დილთაისა და რიკერტის *მთავარ* მოსაზრებას. მართალია, ბუნების მეცნიერებებს თეორიულ და მით უმეტეს, მეტათეორიულ სიბრტყეზე საქმე აქვთ ჰერმენევტიკულ პრობლემებთან, მაგრამ მათ არ მოეთხოვებათ *თავიანთ სფეროთა ჰერმენევტიკული გაღება*. განსხვავებას, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, მესამე პერსონის თვალსაწიერიდან ობიექტთა ფიზიკალურად გაზომვადს სფეროსთან დაკვირვებად მისასველელსა, და მეორე მხრივ, კომუნიკაციის მონაწილის პერფორმაციული განწყობიდან მოპოვებულ მისასველელს შორის საგანთა იმ სფეროსადმი, რომელიც წინასწარ უკვე არის სიმბოლურად სტრუქტურირებული, ისეთი შედეგები მოსდევს,

---

[1] M.Hesse, In defence of Objektivity, Proceedings of Britisch Academy, Vol. 58, London 1972.

[2] მაგ. ე. ფრანზენის მიერ ჩემეული არგუმენტების ჩემგნით შეუმჩნეველ კრიტიკას. გონისმეცნიერებანი და პრაქტიკა, ადამიანი და სამყარო, ტ.9, 1976, გვ.13.

რომლებიც არ არიან მხოლოდღა კვლევის *ტექნიკური* ბუნებისანი, არამედ ღრმად არიან გამჯდარნი მაობიექტირებელი და საზრისის გამგები მეცნიერებების კვლევის *ლოგიკაში*.[1] მაგრამ ეს არ არის ჩვენი თემა. ამის ნაცვლად მე მინდა გამოწვლილვით განვიხილო მერი ჰესეს მიერ ჩემი იხ კრიტიკა, რომელიც აქ წარმოვადგინე და ამასთანავე თანამიმდევრულად შევჩერდები მის ოთხ ნაკვეთზე.[2]

(ა) მ. ჰესე ტომპსონის მსგავსად წუნს მდებს იმაში, რომ ნათლად არა მაქვს წარმოდგენილი თუ რა კავშირშია (ტრანსცენდენტალური პრაგმატიზმის თვალსაზრისით განმარტებულ) გამოცდილების ობიექტურობასა და (დისკურსის თეორიულად გაგებულ) პროპოზიციათა ჭეშმარიტებას შორის. ჭეშმარიტების დისკურსული თეორია თითქოსდა ძლიერი იყოს იქ, სადაც ტარსკის შესატყვისობის თეორია[3] მოიკოჭლებდეს; სახელდობრ ჭეშმარიტების ინტერსუბიექტური საზრისის განმარტების თვალსაზრისით; ხოლო ჭეშმარიტების დისკურსული თეორია თითქოსდა იქ მოიკოჭლებდეს, სადაც მ. ჰესეს შესატყვისობის თეორიის სიძლიერე უგულვება; კერძოდ – იმ საკითხში თუ როგორ არის დაკვირვების მარტივ წინადადებათა ჭეშმარიტება იმ გამოცდილებებში ფესვგადგმული, რომლებსაც ჩვენ შესაბამის საგნებთან შედეგკონტროლირებული ურთიერთობისას ვიძენთ. მე, რა თქმა უნდა, არ ვაკნინებ ამ საკითხის მნიშვნელობას, მაგრამ იგი *შემეცნების* თეორიის პრობლემად მიმაჩნია, რომელიც შესაძლო გამოცდილებათა ცხოვრების სამყაროულ ფუნდამენტს ტრანსცენდენტალურ-პრაგმატულად განაშუქებს; მაგრამ იგი არასგზით არ არის ჭეშმარიტების თეორიის პრობლემა. ვინაიდან ჭეშმარიტების საკითხები თავიდან სულაც არ წამოიჭრება ცხოვრების სამყაროულ თავისთავადგასაგებობათა თავისებური უპრობლემობის სფეროში, რომლის გულისთვისაც მ. ჰესე ანგარიშს უწევს ჭეშმარიტების შესატყვისობის თეორიას. რა თქმა უნდა, როგორც კი გამოითქმება ამგვარი პრეფლექსური გამოცდილებანი; როგორც კი მოხდება მათი ფორმულირება ისეთი ბაზისური წინადადების სახით, როგორიცაა „ეს ბურთი წითელია", ისინი მაშინვე კარგავენ ეჭვშეუვალობის სტატუსს, რომლითაც სარგებლობს ის ცოდნა, რომელიც კვლავაც ფონისეულ ცოდნად რჩება. მაგრამ სწორედ რომ დაკვირვების ელემენტარულ წინადადებებს კვლავაც სცხიათ რა-

---

[1] ამ თეზისს ფართოდ იზიარებენ: G.H. von Wrigt, Explanation and Understanding, Ithaca 1971; dazu A.Wellmer, G.H. von Wright über Erklären und Verstehen, Philosoph. Rundsch. 26, 1979, 1ff. R.J.Bernstein, The Restructuring of Social and Political Theory, N.Y. 1976; K.-O.Apel, J.Mannien, R.Tuomela, Neue Vesuche über Erklären und Verstehen, Ffm. 1978;ders., Der Erkl• 8ren-Verstehen-Kontroverse in transzendentalpragmatischer Sicht, Ffm. 1979.

[2] M.Hesse, Science and Objectivity, in: Thompson, Held (1982), 98ff.

[3] რამდენადაც იგი არ წამოაყენებს მხოლოდ და მხოლოდ, საზოგადოდ, ფორმალურ პირობებს, რომლის შესრულება საკალდებულოა ჭეშმარიტების თითოეული სუბსტანციური თეორიისთვის.

ღაც ცხოვრების სამყაროული ეჭვშეუვალობისა, ვიდრე ისინი ჩაბმულნი არი ან ენის ყოველდღიურ თამაშებში. ამგვარ გამოცდილებათა ჭეშმარიტების საკითხი პირველად მხოლოდ მაშინ წამოიჭრება, როცა უკვე მეტად აღარ არის შესაძლებელი ის, რომ მათში უბრალო ჩვენებითი ხერხით დავრწმუნდეთ, როცა დგება გარემოებანი, რომლებიც დაეინებით ახდენენ მნიშვნელოვნების იმ პრეტენზიის პრობლემატიზებას, რომლებიც აქამდე გაადათ ჩვეულებულნი იყვნენ. ხოლო როგორც კი თავს იჩენენ ჭეშმარიტების საკითხები, მაშინვე იმსხვრევა გამოცდილების ურღვევი ბაზისის შესახებ პროზიტივისტური რწმენა. იმავე წამს არგუმენტაციული მეტყველების გავლენის სფეროში შევაბიჯებთ ხოლმე, სადაც არსებითად მხოლოდ და მხოლოდ საბუთები ფასობენ.

ამიტომ არის, რომ წინადადებათა ის ტიპი, რომელზეც ორიენტირებულია შესატყვისობის თეორია, არ გამოდგება მოდელად, რომლის მიხედვითაც მოხდება ჭეშმარიტების საზრისის გაცხადყოფება; ჩემთვის ეს, როგორც ამას მ. ჰესეც შენიშნავს, საზღვრით შემთხვევას წარმოადგენს. ჭეშმარიტების დისკურსული თეორია არ ემყარება ბაზისურ წინადადებებს, არამედ იგი პირადიგმატულ შემთხვევებად ირჩევს ისეთ ჰიპოთეტურად საყოველთაოსა და მოდალურ გამოთქმებს, რომელთა დასაბუთება და საჭიროებულობა ერთი შეხედვითვე ცხადია; ასევე ირჩევს იგი ისეთ ფაქტსაწინააღმდეგოსა და ნეგატიურ გამონათქვამებს, რომლებსაც უმადლის ადამიანური გონი თავისი შემეცნების პროგრესს. მაგრამ ეს ჭეშმარიტების დისკურსულ თეორიას არ ათავისუფლებს მ. ჰესეს მიერ შეხსენებული ვალდებულებისაგან, რომ ამ თეორიამ ახსნას ის, „თუ როგორ ოპერირებენ დესკრიფციულ გამონათქვამებზე მიბმული ჭეშმარიტების პრეტენზიათა გამართლების პროცესში ემპირისტული შეზღუდვები". ამასთანავე ჭეშმარიტების დისკურსულ თეორიას, ყოველის უწინარეს, აინტერესებს ექსპერიმენტული ქმედების ის როლი, რითაც იგი გამოცდილებებს მონაცემებად გარდაქმნის. ექსპერიმენტული ქმედება არა დგას იმავე საფეხურზე, რომელზეც იმყოფება ინსტრუმენტული ქმედება; სულ ერთია იგი ნაივური პრაქტიკის კუთვნილებაა თუ მეცნიერულისა. ექსპერიმენტული ქმედება იმთავითვე დისკურსზეა დამყარებული მონაცემთა წარმოების თავისი ფუნქციით; ეს ფუნქცია კი შეძენილია მნიშვნელოვნების ჰიპოთეტურ პრეტენზიათა გადამოწმების თვალსაზრისით.

მე სიამოვნებით ვაღიარებ, რომ ჭეშმარიტების ცნების „რეფერენციალური განზომილება" ბუნდოვანი გამონათქვამია და იგი შემდგომ განმარტებას საჭიროებს.

(ბ) სრულ თანხმობას ვუცხადებთ მ. ჰესეს იმ ხუთ პუნქტში, რომელი პუნქტების მიხედვითაც იგი ახასიათებს საგანთა სფეროს კონსტიტუციის საკითხში ჩემს პოზიციას. ინსტრუმენტული ქმედების ფუნქციობის წრეში ხდება ურთიერთგაგების შესაძლებლობათა ცხოვრების სამყაროული იმ ფუნ-

დამენტის კონსტიტუირება, რომელიც გვიხსნის, თუ რატომ არის, რომ ჩვენ *ერთსადაიმავე* ფენომენების *სხვადასხვა* თეორიათა გამადიდებელი შუშის ქვეშ განვიხილავთ ხოლმე, თუმც კი ისინი ყოველთვის ერთ განსაზღვრულ თეორიასთან დამოკიდებულებაში *უნდა აღვწეროთ.*

ამ პრობლემას მ. ჰესე კიდევ ერთ საინტერესო საკითხს უკავშირებს იმის თაობაზე, თუ რატომ არ გვმართებს, რომ მაობიექტირებელ მეცნიერებათა თეორიული პროგრესი სწავლების ცხოველურ ქცევათა არა-დისკურსულ განგრძობადაც გვესმოდეს, მაშინ როცა გამოცდილების ბაზისსაც კი უკვე პრაგმატისტულად განვმარტავთ. შემეცნების ტექნიკური ინტერესი, რომელიც გვიძღვება საგანთა სფეროს კონსტიტუციისას, რატომ არ უნდა იწვევდეს ჭეშმარიტების ჭვრეტითს ილუზიას (ნიცშესეული გაგებით: ჭეშმარიტება როგორც ცხოვრებაში გამოსადეგი ფინქცია) მ. ჰესეს უნდა ინსტრუმენტალისტურად განმარტოს თეორიის ქმნის ის „უფრო მაღალი საფეხურის თეორეტიკული პოსტულატები", რომლებიც ემპირიულად ყოველთვის ქვედეტერმინირელნი რჩებიან. ამ შემთხვევაში უფლება არა გვაქვს ჭეშმარიტების პრეტენზიათა დისკურსული ახსნა იმგვარად მოვწყვიტოთ შემეცნების ტექნიკურ ინტერესს, როგორც ამას მე გთავაზობთ; პირიქით აუცილებელია იმის დაშვება, რომ ჭეშმარიტების უაღრესად არაბუნებრივი იდეა, თავის მხრივ, იმ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ იმისთვის გამოიყენება, რომ სულ უფრო ეფექტური გახდეს და გაფართოვდეს ჩვენს მიერ ობიექტირებული ბუნების ტექნიკური ფლობა.

ამ თვალსაზრისით მე მაქვს სიძნელენი არა მხოლოდ ჭეშმარიტების ინსტრუმენტალისტურ კონცეპტთა მიმართ წამოყენებული იმ ცნობილი შესიტყვებების გამოისობით, რომელთა საბოლოო ფორმულირება პოპერმა მოახდინა, არამედ ყოვლის უწინარეს — იმის გამო, რომ მე ამგვარ თვალსაზრისს ვერ ვუხამებ ტრანსცენდენტალურად შეტრიალებული პრაგმატიზმის ჯერ კიდევ პირისის მიერ მკვეთრად ხაზგასმულ *ფაქტაწინააღმდეგო ფორმულირებებს* როგორაც უნდა იყოს მ. ჰესე სხვა გზას ადგას. იგი თვითონვე მიუთითებს, რომ ინსტრუმენტალისტური ცნება შეუთავსებელია იმ როლთან, რომელსაც მნიშვნელოვნების პრეტენზიები (როგორიცაა პროპოზიციული ჭეშმარიტება) თამაშობენ კომუნიკაციური ქმედებისათვის, და საზოგადოდ, – ცხოვრების იმ სამყაროს ინტერსუბიექტურობის წარმოებისა და შენარჩუნებისათვის, რომელშიც ერთობლივად ვცხოვრობთ. ამ ვითარებისადმი ანგარიშის გაწევა მხოლოდ და მხოლოდ იმ კონცეპტს ძალუძს, რომელიც პროპოზიციათა ჭეშმარიტებას არ განმარტავს მხოლოდღა საგანზე დამოკიდებულობის თვალსაზრისით.

(ვ) რა თქმა უნდა, მ. ჰესე ამ არგუმენტს თავისებურად ატრიალებს. იგი ლაპარაკობს მსოფლხატთა იმ ფუნქციების „სოციალური აუცილებლობის" შესახებ, რომელთა ეკვივალენტები მას მერე, რაც დაიმსხვრა

რელიგიური და მეტაფიზიკური მსოფლხატები — თანამედროვე მეცნიერებებმა უნდა მოგვცეს. მ. ჰესე, ეტყობა, მიიჩნევს, რომ მეცნიერულ თეორიებს ამავდროულად ძალუძთ ტექნიკურად მოსახმარებელი ცოდნის მოცემა და საზრისის კოლექტიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ოღონდ აუცილებელია ეს თეორიები საკმარისად „ძლიერნი" იყვნენ. ამ შემთხვევაში მეორე ფუნქციის შესრულების მასშტაბად გვეძლევა ჭეშმარიტების კონსენსცნება.

ეს წინადადება ჩემთვის შემდეგი მიზეზის გამო არის მიუღებელი; თუ მაქს ვებერთან ერთად მიგვაჩნია, რომ კულტურელური თანამედროვეობა, როგორც უკვე ითქვა, განსაზღვრულია სამი სპეციალური სფეროს (მეცნიერება, მორალი და ხელოვნება) თვითნებური გათვითმყოფადების მეშვეობით, მაშინ შეუძლებელია, ყოველდღიურობის კომუნიკაციური პრაგმატიკისთვის საზრისის დაწესების ფუნქციას მხოლოდღა მეცნიერება ასრულებდეს; ექსპერტთა სამივე ურთიერთშეწყობილი კულტურა, რომლებიც ცხოვრების სამყაროს კონტექსტებთან მათი შეკავშირების გზაზე კვლავ შეკრავდა სწორედ რომ კულტურის სიბრტყეზე გათითომომენტებულ გონებას. ამ გზით მსოფლხატთა აღორძინება კი არ მოხდებოდა, არამედ პირიქით გაჩნდებოდა პრაქტიკის ახალი ფორმები.

განმარტების კულტურელური სისტემის სიბრტყეზე, მას მერე რაც თანამედროვეობაში იგი მოწყდა ყოველდღიური კომუნიკაციის მნიშვნელოვნების სინდრომს და შესაბამისად, მნიშვნელოვნების აბსტრაქტული ასპექტის მიხედვით მეცნიერებად, მორალად და ხელოვნებად გაიხლიჩა, მიუღწეველი შეიქნა გონების ერთიანობა.

ამასთან დაკავშირებით მ. ჰესე გვთავაზობს მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც მე განსაკუთრებით მიმზიდველად მესახება. ჩვენ არ ძალგვიძს *ვამტკიცებდეთ* დებულებას ანდა ვიცავდეთ თეორიას და ამავე დროს წინასწარ ვჭვრეტდეთ იმას, რომ მომავალში მათი მნიშვნელოვნების პრეტენზიის უარყოფა მოხდება. მტკიცებათა წამოყენება მხოლოდ და მხოლოდ პერფორმაციულ განწყობაშია შესაძლებელი და ეს განწყობა გვაიძულებს (ტრანსცენდენტალური იძულების მშვიდი, მაგრამ დაუძლეველი ძალმოსილებით) წარმოვადგინოთ ისეთი პრეტენზია, რომელიც არღვევს ყველა ლოკალურსა და ტემპორალურ შეზღუდულობას, ტრანსცენდენდირებს ყველა კულტურელურსა და ისტორიულ საზღვარს. მეორე მხრივ, იმ პრეტენზიას რომელმაც შეიძლება, აღიარება მოიპოვოს კომუნიკაციის უსაზღვრო თემის ფორუმის წინაშე, ჩვენ აქ და ამჟამად წარმოვადგენთ. ამიტომ „საბოლოო კონსენსუსს", რომელიც წინასწარ განჭვრიტეთ განსაზღვრული გამონათქვამებისა და გამოთქმათა განსაკუთრებული ჯგუფისთვის, არა აქვს ის მნიშვნელობა, რომ ჩვენ ვალდებულნი ვიყოთ, შემეცნების კულმინაციური პროგრესის საზღვრითი ღირებულება „მომავლის

თეორიათა გააწინდებული მწკრივის“ სახით წარმოგვედგინა. „საბოლოო კონსენსუსი“ მხოლოდ ჭეშმარიტების ცნებით იმპლიციტურად დადგენილ იმ იდეას გამოხატავს, რომელიც მტკიცებათა ასერტორულ საზრისს *თავიანთს ალაგასა და თავიანთს დროზე განსაზღვრავს.* ამ იდეის აქტუალიზირება შესაძლებელია როგორც მხოლოდ იმ პერსპექტივისა, რომელიც ყოველთვის რაღაც სიტუაციაზეა მიბმული, თუმც კი იგი მოითხოვს, რომ მოხდეს მხოლოდ სიტუაციაზე გამობმული და პერსპექტივისტული შეზღუდულობის ნეიტრალიზება.

ოდნავ სხვაგვარად არის საქმე სინამდვილის როგორც ყველა იმ გამოთქმის კორელატის ცნებასთან მიმართებაში, რომელთა პრეტენზიებს გადასატანი აქვთ კომუნიკაციის უსაზღვრო თემის საშინელი სამსჯავრო. რეალობის პირსისმიერი ენის თეორიული ცნება დაკავშირებულია, კონვენციის ისეთი პუნქტის წარმოდგენასთან, რომელშიც საბოლოოდ თავს იყრის თეორიულ აღწერათა ყველა მიმართულება, მაგრამ თვით ეს იდეაც კი ყოველთვის ძალაშია მხოლოდ აქ და ამჟამად; სახელდობრ, იგი ძალაშია მხოლოდ იმ მომენტში, როცა მნიშვნელოვნების პრეტენზიას ვაყენებთ, დარწმუნებულნი იმაში, რომ შესაძლებელია მისი დისკურსული დაკმაყოფილება. ამას შეეძლო ჩვენთვის აეხსნა, თუ რატომ იქნებოდა აზრსმოკლებული თუკი სამერმისო თეორიებს ისე გავუწევდით ანგარიშს, როგორც ხდომილებათა დადგომას ვითვალიწინებთ ხოლმე. ხვალის ჭეშმარიტება ცარიელი ცნებაა. იგი რომ პროგნოზირებას უსხლტება, ეს არა მხოლოდ შემთხვევით შეზღუდულობათა გამოისობით ხდება, არამედ ამას კატეგორიალური მიზეზები აქვს. ყოველი ჩვენგანი, ვინც კი თეორიულ დებულებას წამოაყენებს, „უკანასკნელი“ თეორეტიკოსის როლში იმყოფება.

მაგრამ ამავე დროს მე ვეჭვობ, რომ ჭეშმარიტების დისკურსის თეორიული გაგება ისტორიზმის იმ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებდეს, რომლის წარმოდგენაც, თუკი მე სწორად ვხედავ, მ. ჰესეს ისეთ დეკონსტრუქტივისტთან შეთანხმებულად სურს როგორიც არის რ. რორტი, რათა საზოგადოებრივი სამყაროს საფრთხეში ჩავარდნილი ჰუმანურობა მოარიგოს მაობიექტირებელ მეცნიერებათა დეჰუმანიზებულსა და ადამიანური საზრისისგან განძარცვულ სამყაროსთან.

(დ) ნომოლოგურსა და რეკონსტრუქციულ მეცნიერებებს შორის ჩემეული განსხვავების მ.ჰესესმიერი კრიტიკა, თუკი მე სწორედ ვხედავ, მიმართულია იმ მტკიცებათა წინააღმდეგ, რომელიც მე ამგვარად არ წამომიყენებია. ესენციალიზმი, რომელიც ჩემი თვალსაზრისით, აკრავს კომპეტენტურად შემმეცნებელ მოლაპარაკე და მოქმედ სუბიექტთა წინარეთეორიული ცოდნის რეკონსტრუქციებს, არ უნდა ნიშნავდეს იმას, თითქოსდა აქაც ისე როგორც მაობიექტირებელ მეცნიერებათა შემთხვევაში საქმე არ ეხება მცდარ ჰიპოთეზებს. მაგრამ იმლიციტური შესაძლისობის ექსპლიციტურ ცოდნაში გადატანის მცდელობისას, terminus a quo (როგორ– ცოდნა)

terminus a quem-თან (რის-ცოდნა) ისეა გადაბმული როგორც არსებული საქმის ვითარება – მისსავ თეორიულ აღწერასთან, რამდენადაც მას საფუძვლად უდევს ნომოლოგური თეორია.

VI. თანამედროვე საზოგადოებათა ანალიზისათვის

დევიდ ჰელდმა ეს-ესაა გამოაქვეყნა წიგნი[2] ფრანკფურტის სკოლის შესახებ, რომელიც შესანიშნავად ავსებს მარტინ ჯეის[3] სტანდარტულ გამოკვლევას. ნაცვლად გადმოცემის დესკრიფციული მასისტემატიზირებელი ხასიათს, რომელსაც უმრავლეს შემთხვევებში მიმართავენ ხოლმე, ჰელდის წიგნის იმ ნაკვეთებში, რომლებშიც ჩემი ნაშრომებია გარჩეული, უამრავი კრიტიკული თვალსაზრისია წარმოდგენილი, რომლებიც განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებენ.

მეორე მხრივ, ანდრიუ არატო ახალგაზრდა ამერიკელ საზოგადოების მეცნიერთა და ფილოსოფოსთა იმ ღირშესანიშნავ წრეში შედის, რომლებმაც თავი მოიყარეს ჟურნალ „ტელოსის"[4] ირგვლივ, პოლ პიკონი რომ გამოსცემს და, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ალბერტ ველმართან, ვიდრე იგი სოციალური კვლევის ახალ სკოლაში სწავლობდა. ამ სკოლიდან უკანასკნელ წლებში იმდენი პროდუქტული იმპულსი წამოვიდა, რომ მათზე რეაგირება მოცემულ შემთხვევაში ჩემს ძალებს აღემატება.[5] მე ორიეე აქ დასახელებულ ტომში შესულ სტატიებზე[6] მოკლე რეპლიკით შემოვიფარგლები.

(I) *ლეგიტიმაციის პრობლემები და „მოტივაციის კრიზისი".* არგუმენტაციის ის მონახაზები, რომლებიც მე შევასრულე 1973 წელს გამოცემულ „ლეგიტიმაციის პრობლემებში", კრიზისთა თეორიის საკითხთა იმ დაყენების თაობაზე ურთიერთგაგების მოპოვების მიზანს ემსახურებოდა, რომელთა ემპირული დამუშავებაა შესაძლებელი. 70-იანი წლების შუამდე ამ მიმართულებით მოძრაობდა შტარნბერგის ინსტიტუტის ემპირულ ნაშრომთა წყება.[7] სხვათა შორის, კვლევის პროგრამის კოსპლექსურობა გარკვე-

---

[1] R rorty, The Mirror of Nature, Princeton 1980.

[2] D.Held, Introduction to Critical Theory, London 1980.

[3] M.Jay, Dialectical Imagination, N.Y. 1973.

[4] Held, Introduction, 379ff.

[5] სხვათა შორის ეგულისხმობ სეიდა ბენჰაბიბის, პოლ ბრეინის, ჯეინ კოპენის, კეროლ გოულდის, დიკ ჰოვარდის, ჯერემი შაპიროს შრომებს.

[6] R.Held, Crisis, Tendencies, Legimation and the State; A.Arato, Critical Soliology and Autoritarian State Sotialism; in: Thompson, Held (1982), 181ff. Und 196ff.

[7] R.Döbert, G.Nunner-Winkler, Das Problem der Normalität aus entwicklungslogischer Perspektive. In:M.Cramer u.O. Gottwald (Hrsg.), Verhaltenstherapie i.d.Disskusion,Vorträge

ულ შეფერხებადაც მოგვევლინა. მაგრამ ჰელდის შესიტყვებანი, არსებითად, საკითხის დაყენებათა ანალიტიკურ მდგრადობას ეხება და არა მათი ემპირული დამუშავების მცდელობას. ლეგიტიმაციის და მოტივაციის კრიზისთა ცნებითი გამიჯვნის საქმეში ფაქტობრივად დასადგურებული იყო ბუნდოვანება, ვიდრე მოვახერხებდი პარადიგმათა: – „ცხოვრების სამყაროს" და „სისტემა" – ერთმანეთთან არაორაზროვან დაკავშირებას. ამ თემას მე განვიხილავ მალეევ გამოქვეყნებულ „კომუნიკაციური ქმედების თეორია"-ში. თუ მიჩნეულია, რომ პირველივე ნაბიჯით ხდება სოციალური ქმედების კონტექსტთა ცხოვრების სამყაროდ კონცეპტუალიზება და მისი თავმოყრა კომუნიკაციურ ქმედებაში, მაშინ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების სამი კომპონენტი ცხოვრების სამყაროს სამ კომპონენტს – კულტურას, საზოგადოებასა და პერსონულობას – შეესაბამება. ამ განზომილებებშია შესაძლებელი ცხოვრების სამყაროს სიმბოლურ ფორმათა შენარჩუნების გაანალიზება, როგორც ამას შემდგომი სქემა გვიჩვენებს.

ცხრ. 24: ცხოვრების სამყაროს სტრუქტურელურ კოპონენტთა შენარჩუნებაში კელაეწარმოების პროცესთა წელილები

სტრუქტულერული ელემენტები / წარმოების პროცესები	კულტურა	საზოგადოება	პიროვნება
კულტურელური კელაეწარმოება	განმარტების კონსენსისშემძლე სქემები („მნიშვნელადი ცოდნა")	ლეგიტიმაციები	განათლებისთვის ქმედითი ქცევის ნიმუში, აღზრდის მიზნები
სოციალური ინტეგრაცია	ეალდებულებანი	ლეგიტიმურად დალაგებული ინტერპერსონული ურთიერთობანი	სოციალური კუთვნილობანი
სოციალიზაცია	ინტერაქციის მონაპოვარნი	ნორმების თანახმიერ მოქმედებათა მოტივაცია	ინტერაქციის უნარი („პერსონული იდენტობა")

a.d.5. Kongreß d. Ges. Z. Förderg. D.Verhaltenstherapie, Sonderheft d. Mitteilungen der GVT e. V., 1973, 182-192; G.Müller, U.Rödel, Ch. Sabel, F.Stille, W. Vogt, Abschlußbericht: Ökonomische Krisentendenzen im gegenwärtigen Kapitalismus, MS Starnberg 1976; Offe. C., Structurprobleme des kapitalistischen Staates. Auszätzte zur politischen Soziologie, Ffm. 1972; ders., Berufsbildungsreform. Eine Fallstudie über Reformpolitik, Ffm. 1975; V.Ronge, Foschungspolitik als Strukturpolitik, München 1977; ders., Bankpolitik instaatstheoretischer Perspektive, in: Stranberger Studien 3, Ffm. 1979; V.Ronge, G. Schmieg, Restriktionen politischer Planung, Ffm. 1973; V.Ronge, Am Staat vorbei Politik der Selbstregukierung von Kapital und Arbeit, Ffm., N.Y. 1980.

კულავწარმოების ცალკეული პროცესი შეიძლება შეფასდეს ცოდნის რაციონალობის, ერთსა და იმავე ჯგუფში შემავალთა სოლიდარობის და მოზრდილი პიროვნულობის შერაცხადობის მასშტაბთა მიხედვით. რა თქმა უნდა, რაოდენობრივი მიმართებანი ამ განზომილების შიგნით ცხოვრების სამყაროს სტრუქტურელური დიფერენცირების ხარისხის მიხედვით იცვლებიან. სახელდობრ ამ გარემოებაზე ჰკიდია ის, თუ რაოდენ დიდია ყოველ შემთხვევაში მოთხოვნილება შეთანხმებულ ცოდნაზე, ლეგიტიმურ წესრიგებსა და პერსონულ ავტონომიაზე. კულავწარმოების მოშლილობანი საზრისის გაქრობად, ანომიათა თუ სულიერ სნეულებად (ფსიქოპათოლოგიები) იჩენენ ხოლმე თავს კულტურის, საზოგადოებისა და პიროვნების თითოეულ განსაკუთრებულ სფეროში. სხვა სფეროებში საქმე გვაქვს ხოლმე დაკარგვათა შესაბამის მოვლენებთან.

ცხრ. 25: კრიზისთა გამოვლინებანი კულავწარმოების მოშლილობისას

სტრუქტურელური კომპონენტები / მოშლილობანი	კულტურა	საზოგადოება	პერსონა	შეფასების განზომილება
კულტურელური კულავწარმოების	საზრისის დაკარგვა	ლეგიტიმაციის დაკარგვა	ორიენტაციისა და აღზრდის კრიზისი	ცოდნის რაციონალობა
სოციალური ინტეგრაციის	კოლექტიური იდენტობის გაბუნდოვანება	ანომია	გაუცხოება	ჯგუფში შემავალთა შორის სოლიდარობა
სოციალიზაციის	ტრადიციის გაწყვეტა	მოტივაციის დაკარგვა	ფსიქოპათოლოგიური	პერსონის შერაცხადობა

შემდგომში მე იქიდან ამოვდივარ, რომ თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში ფულისა და ძალაუფლების მედიუმთა გზით ორი ქვესისტემის გათავისთავადება ხდება, სახელდობრ, ესენია მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა და ვებერიანული აზრით გაგებული რაციონალიზებული სახელმწიფო მმართველობა. ერთმანეთისთვის ორივე მათგანი ქმნის ურთიერთშემავსებელ გარემოს, რომლებთანაც თავიანთი მოდუსების მეშვეობით ისინი იმგვარად იმყოფებიან გაცვლა-გამოცვლის მდგომარეობაში, რომ სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის ამ ინტერაქციას შეგვიძლია პარსონსიანული „ურთიერთგაცვლის პარადიგმა" მივუყენოთ. წარმოების კაპიტალისტურ წესსა და სახელმწიფოს თანამედროვე სისტემაზე გადასვლასთან ერთად შესაძლებელია ცხოვრების

სამყაროს მატერიალური სუბსტრატი გაანალიზებული იქნეს სტაბილიზებული მოქმედების სისტემის ფუნქციურ კავშირ-მიმართებათა თვალსაზრისით. რაც მე თავის დროზე „ეკონომიკური კრიზისისა“ და „რაციონალობის კრიზისის“ რუბრიკათა ქვეშ განვიხილე, მას აქ თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და იგი შეიძლება აიხსნას ეკონომიკურ ღირებულებათა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მხრივ მიწვევათა წარმოების დეფიციტით.

რა თქმა უნდა, მოქმედების ეკონომიკური და ადმინისტრაციული სისტემის ინსტიტუციონალიზების გზაზე ფულისა და ძალაუფლების მედიუმი აუცილებელია მტკიცედ იყოს ფეხმოკიდებული ცხოვრების სამყაროში. ეს იმას ნიშნავს, რომ სიმბოლურად სტრუქტურირებული ცხოვრების სამყარო, ერთი მხრივ, ოჯახური კერძო მეურნეობისა და სამართლებრივი სისტემის გზით ეკონომიკისა და მართვის იმპერატივზეა მიერთებული; ამით იგი არსებულ წარმოებით ურთიერთობათა ჩარჩოებში ექვემდებარება მატერიალური კვლავწარმოების შეზღუდულობებს; მეორე მხრივ, მეურნეობა და მმართველობა, განსაკუთრებით კი დასაქმების სისტემა და პოლიტიკური ბატონობის სისტემა დამოკიდებულია ცხოვრების სამყაროს სიმბოლური კვლავწარმოების საქმეში მონაპოვრებზე, სახელდობრ – როგორც ინდივიდუალურ უნარებსა და მოტივაციებზე, ისე მასების ლოიალობაზე.

თუ მოშლილია ცხოვრების სამყაროსა და სისტემას შორის ინტერაქცია და თუ ამგვარი მოშლილობანი ორიენტაციის პუნქტის მიხედვით წარმოდგენილია როგორც გაუწონასწორებელი ანდა როგორც პათოლოგიები, აუცილებელია გატარებული იქნას შემდეგი განსხვავებანი, რომლებიც „ლეგიტიმაციის პრობლემებში“ (1973) ჯერ ისევ არ მქონდა გათვალისწინებული: – იმ დეფიციტებს შორის, რომლებიც შესაძლოა, ერთი მხრივ, ცხოვრების სამყაროს ურღვევმა სტრუქტურებმა ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების უზრუნველყოფისას გააჩინოს; ხოლო მეორე მხრივ, ლაპარაკია დანაკარგთა იმ გამოვლინებებს შორის სხვაობაზე, რომლებიც შესაძლოა თვითონ ცხოვრების წესის კვლავწარმოებისას გაჩნდეს. ემპირიულად ორივე მათგანი ერთიან წრიულ პროცესშია ჩაბმული, მაგრამ უპრიანია, *მოტივაციის დაკარგვა,* რითაც დასაქმების სისტემა იტანჯება, ასევე *ლეგიტიმაციის დაკარგვა,* რასაც ბატონობის სისტემა განიცდის, ანალიტიკურად გამოვყოთ *ცხოვრების - სამყაროს კოლონიზებიდან,* რომელიც, პირველ ყოვლისა, მეღავნდება საზრისის გაქრობის, ანომიისა და *პერსონულობის მოშლილობათა გამოვლინებებში.* თავის დროზე მე შემაცდენელი რუბრიკა, „მოტივაციის კრიზისი“ გამოვიყენე ცხოვრების სამყაროს იმ დეფორმაციათა აღსანიშნავად, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებებში გვეცხადებიან ცხოვრების ტრადიციულ წესთა მსხვრევის, ცხოვრების სამყაროთა კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ შეტევის, ყოველდღიურობის

ცალმხრივად გარაციონალიზებული პრაქტიკის გაქვავებულობის სახით და გასაცოდავებულ კულტურენულ მემკვიდრეობათა და სოციალიზაციის მოშლილ პროცესთა შედეგ გამოვლინებებში გამოიხატება. დღეს მას უფრორე ლეგიტიმაციის კრიზისის პარალელურ შემთხვევად გავიგებდი, თუმც კი ორივე მათგანისაგან მინდოდა განმესხვავებინა კოლონიალიზებული ცხოვრების სამყაროს პათოლოგიური მოვლენები.

მე მადლიერი ვარ დ. ჰელდისა იმისთვის, რომ მან ამგვარი ახსნა-განმარტებების საბაბი მომცა. მაგრამ თუ ეს წინადადება იქნება მიღებული, მაშინ ჰელდის მიერ დასახელებული სხვა იჭვებიც გაიფანტება. სახელდობრ, ამ შემთხვევაში განსაზღვრებით დგინდება, რომ ცხოვრების სამყაროთა ინტეგრირება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციური ქმედების (ასევე ნორმათა და ღირებულებათა) გზით. რა თქმა უნდა, რჩება ემპირული საკითხი იმის თაობაზე, თუ *რა ზომად* არის შესაძლებელი სისტემის ინტეგრაციის ღვაწვათა გზით დაკმაყოფილებული იქნეს თანამედროვე საზოგადოებათა ინტეგრაციის მოთხოვნილება, რომელიც ფართოდ რაციონალიზებულ ცხოვრების სამყაროთა სოციალ-ინტეგრაციულ კაპაციტეტს აღემატება. ლუმანისებური სისტემის თეორიის შეცდომას წარმოადგენს ის, რომ იგი ამ საკითხის ანალიტიკურ წინასწარგადაწყვეტას იძლევა; იგი საზოგადოებრივი ინტეგრაციის განზომილებაში, საზოგადოდ, ერთმანეთისგან აღარ განასხვავებს სოციალურ ინტეგრაციას, რომელიც მოქმედების შედეგებზეა გამობმული და სისტემურ ინტეგრაციას, რომელიც *მოქმედების* შედეგზეა დამოკიდებული

ვფიქრობ, ჩემი მიდგომა საკმაოდ მოქნილია, რათა ითვალისწინებდეს ყველა იმ ფენომენს, რომელზეც ჰელდი სამართლიანად მიუთითებს. თუ ერთმანეთს ეპაექრებიან სოციალური და სისტემური ინტეგრაციის იმპერატივები, მაშინ მკაცრად სტრატიფიცირებულ საზოგადოებებში კონკურენცია იმით განიმუხტება, რომ პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მაღალ კულტურათა მეთხებით ხდება, მაშინ როცა ხალხური კულტურები უალტერნატივოდ მოვლინებული რეპრესიის პასიური მიღებისთვის ირჯებიან. მკაცრად გათანაბრებულ საზოგადოებებში მსგავს ფუნქციებს შეიძლება ასრულებდეს, მაგალითად, შრომის ბაზართა სეგმენტირება და ცნობიერების ფრაგმენტირება. ორივე შემთხვევაში ხდება ნორმატიულად უზრუნველყოფილსა თუ კომუნიკაციურად მოპოვებულს თანხმობაზე მოთხოვნილების დაქვეითება და ფართოვდება ტოლერანტობის სარბიელი ცარიელა ინსტრუმენტული განბჭობების, გულგრილობისა თუ ცინიზმისთვის.

(2) *ბიუროკრატიული სოციალიზმის ევოლუციონური აღგილღირებულება.* არატო სამართლიანად შენიშნავს, რომ ფრანკფურტის სკოლის კვლევის ტრადიციაში ბიუროკრატიული სოციალიზმი ბნელ ლაქას წარმოადგენს. მაგრამ თვითონ პროდუქტიულად იყენებს რამდენიმე შენიშვნას, რომ-

ლებსაც იგი ოფესა და ჩემს წერილებში ამ თემის შესახებ ნახულობს; მე შემიძლია სრულიად გულგრილად მოვეკიდო ამ იმპულსებს; რადგან ამ საკითხზე სპეციალურ გამოკვლევებს არ ვიცნობ (და არა მგონია, ეს განსაკუთრებით მოსაბოდიშებელი იყოს).

არატო ყოყმანობს იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომ კაპიტალისტური და სახელმწიფო სოციალისტური საზოგადოებანი განვითარების ერთი და იმავე დონის ორ ვარიანტად გაიგოს, რადგან ისინი ორგანიზაციის სხვადასხვა პრინციპებს ამყლავნებენ, განსაკუთრებით თვალშისაცემია სამართლებრივი განვითარების არაერთდროულობა. იგი ორივე საზოგადოებრივ სისტემას ფუნქციური პრიმატის საფუძველზე განასხვავებს, რასაც ერთ შემთხვევაში მოწმობს სახელმწიფოსა და კულტურის გზით გაცვლის ეკონომიკა, ხოლო მეორე შემთხვევაში მას ადასტურებს მეურნეობისა და კულტურის მეშვეობით ადმინისტრაციული მოქმედების სისტემა. ამგვარი დალაგებანი ყოველ ცალკე შემთხვევაში სხვაგვარად ფარგლავენ საზოგადოების სწავლისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარებს. უფრო მეტი, „რეალური სოციალიზმის" პოსტსტალინისტურ საზოგადოებებში, რომელთა ლიბერალიზაცია ჯერ ისევ არ მომხდარა, სწავლის უნარები იმით არის მოკვეცილი, რომ ეკონომიკა და კულტურა პოზიტიურად ექვემდებარება სახელმწიფოს, მაშინ როცა კაპიტალისტურ საზოგადოებებში ეკონომიკა ორიეე სხვა სისტემაზე თავის პრიმატს „ნეგატიური სუბორდინაციის" გზით ადასტურებს. არატო შემდეგნაირად აყენებს საკითხს, პოსტსტალინისტურ საზოგადოებებში საზოგადოდ არსებობს თუ არა დაქვემდებარების პოზიტიური მოდუსიდან ნეგატიურზე გადასვლის შესაძლებლობა და აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება თუ არა ალბათობის ემპირიული ინდიკატორების მეშვეობით შეფასდეს ამგვარი განვითარება.

იქნებ შესაძლებელი იყოს ფენომენები — რომლებიც არატოს აქვს მხედველობაში – იმის მეშვეობით იქნეს ნათელყოფილი, რომ *მოდერნიზების ამოსავალი პირობები განვითარების ორივე მიმართულებიდან* გაიმიჯნოს, რომელი მიმართულებითაც სრულდება მოდერნიზება იმისდამიხედვით თუ რისგან არის გამოწვეული, აკუმულაციის *მეურნეობრივი* პროცესების ენდოგენურად წარმოებული პრობლემებიდან თუ რაციონალიზების *სახელმწიფოებრივ* ძალისხმევათაგან.

საზოგადოებრივი მოდერნიზების სასტარტო პირობებში შედის ფართოდ რაციონალიზებული ცხოვრების სამყარო, რომელშიც შესაძლებელია ფეხი მოიკიდოს ფულმა და ძალაუფლებამ ანუ შესაძლებელია მოხდეს მათი პოზიტიურსამართლებრივი ინსტიტუციონალიზება. თუკი შესრულებულია ეს პირობა, მაშინ ხდება მეურნეობისა და მართვის სისტემების გათვითმყოფადება, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთშევსების დამოკიდებულებაში არიან და თავიანთს გარემოსთან გაცვლას ამ-

გვარ მედიუმთა საშუალებით აწარმოებენ. სისტემის დიფერენცირების ამ დონეზე ხდება პირველად შესაძლებელი თანამედროვე საზოგადოებათა აღმოცენება; თავდაპირველად აღმოცენდება კაპიტალისტური საზოგადოება, ხოლო მერე მასთან დაპირისპირებაში აღმოჩნდებიან ბიუროკრატიულ-სოციალისტური საზოგადოებანი. კაპიტალისტური მოდერნიზების გზა იმ პირობით იხსნება, რომ მეურნეობის სისტემა საკუთარ დინამიკას გაშლისა და სათავეში მოექცევა ენდოგენურად წარმოშობილ პრობლემებს. ეს ის შემთხვევაა, როცა მეურნეობა დაქირავებული შრომის ინსტიტუციონალიზებითა და სახელმწიფო საჭეთმპყრობელობის დაწესებით შინაოჯახურ მეურნეობასა და საჯარო ადმინისტრაციასთან მიმართებაში შეფარდებით ავტონომიას მოიპოვებს. მოდერნიზების გზა სხვაგან წავა, თუკი მოქმედების ადმინისტრაციული სისტემა წარმოების გასახელმწიფოებრივებული საშუალებებისა და ინსტიტუციონალიზებული ერთპარტიული ბატონობის საფუძველზე მსგავს ავტონომიას მოიპოვებს თავიანთს გარემოსთან, მეურნეობასა და პოლიტიკურ საზოგადოებრივობასთან მიმართებაში; თუკი ასეთი ავტონომიის მოპოვება მავალდებულ გადაწყვეტილებათა მედიუმის გზით მოხდება.

ბიუროკრატიულ სოციალიზმში *კრიზისული ტენდენციები* იმგვარადვე წარმოიშობა გეგმიური მმართველობიდან როგორც კაპიტალიზმში – საბაზრო ეკონომიკიდან, როგორც კი მოქმედების ორიენტირებულობათა ადმინისტრაციული, და მაშასადამე, ეკონომიკური რაციონალობა სისტემის გაუთვალისწინებელ შედეგთა მეშვეობით თავისთავთან წინააღმდეგობაში მოვა. არატო ისეთნაირადვე ლაპარაკობს დაგეგმვის რაციონალობის თავისთავში წინააღმდეგობრიობაზე როგორც მარქსი ლაპარაკობდა გაცვლის რაციონალობის თავისთავში წინააღმდეგობრიობის შესახებ. კრიზისის ამ ტენდენციათა დამუშავება არა მხოლოდ შემადგენელ სისტემაში მიმდინარეობს, არამედ ყოველთვის – მოქმედების დამატებითს სისტემაშიც. როგორც კაპიტალისტური მეურნეობაა დამოკიდებული სახელმწიფოს ორგანიზაციულ ღვაწვაზე, ისევე არის სოციალისტური დაგეგმვის ბიუროკრატია დამოკიდებული ეკონომიკის თვითმართვის ღვაწვებზე. არატო ყურადღებას ამახვილებს სუბორდინაციის პრობლემაზე. განვითარებული კაპიტალიზმიც კი მერყეობს ბაზრის „თვითგანკურნების უნარებსა“ და სახელმწიფოებრივი ინტერვენციონიზმის პოლიტიკას შორის. მაგრამ უფრო მკვეთრად არის გამოკვეთილი დილემატური სტრუქტურა იქ, სადაც არატო გამკაცრებულ ცენტრალურ დაგეგმარებასა და დეცენტრალიზებას, წარმოებაზე უფრო მკაცრად ორიენტირებულსა და მოხმარებაზე უფრო მკაცრად ორიენტირებულ სამეურნეო პოლიტიკას შორის უიმედო მერყეობას შენიშნავს.

რაკი არატო კულტურელურ სისტემასაც განიხილავს, იგი აწყდება ცხოვრების პათოლოგიურ დეფორმაციებს რომლებიც, ერთი მხრივ,

სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის ინტერაქციიდან, ხოლო მეორე მხრივ, ყოველდღიურობის კომუნიკაციური პრაქტიკიდან წარმოიშობიან. მარქსმა *განვითარების* სიმპტომთა მიხედვით დაადგინა ცოცხალი შრომის დაქვემდებარება მკვდარი შრომისადმი, — მისი დაღვრა კაპიტალად. იგივე ფენომენი შეიძლება გაგებული იქნეს ფულის მედიუმის გადამეტპრეტენზიების შედეგად, რისი მეშვეობითაც ეკონომიკური იმპერატივი ღრმად იჭრება დასაქმებულთა და მომხმარებელთა კომუნიკაციურად სტრუქტურირებულ ცხოვრების სამყაროში. სამართლებრივ-ადმინისტრაციული ძალაუფლების გადამეტგანვრცობასაც შედეგად მოსდევს ცხოვრების სამყაროში სისტემური მექანიზმის მსგავსი შეჭრა. ამ შემთხვევაში იმ კარიბჭეს საიდანაც ასეთი შემოსევები ხორციელდება წარმოადგენს არა კერძო საოჯახო მეურნეობანი, არამედ — პოლიტიკურად მნიშვნელოვანი წევრობანი. ამ დროსაც კი სოციალურ ინტეგრაციაზე დამოკიდებულ სფეროთა — სახელდობრ პოლიტიკური საზოგადოებრიობის – პოლუსი სისტემის მაინტეგრირებელი მექანიზმების პოლუსით იცვლება, მაგრამ ეფექტი სხვადასხვაა; კომუნიკაციურ ურთიერთობათა განვითარების ადგილს იჭერს ფსევდოპოლიტიკური ნების ქმნის ბიუროკრატიულად გამოფიტულსა და ძალდატანებით ჰარმონიზებულ სფეროებში კომუნიკაციური ურთიერთობების *გამოჩვენებითა. პოლიტიზირება* ამგვარსავე სიმეტრიულ დამოკიდებულებაშია *განვითებასთან.* არ ხდება ცხოვრების სამყაროს ასიმილირება სისტემასთან, მოქმედების გასამართლისეულებულ, ფორმალურად ორგანიზებულ სფეროებთან; პირიქით, სახელმწიფოს სისტემურად გათავისთავადებული ორგანიზაციები თვალთმაქცურად გადმოიტანება ცხოვრების სამყაროს ჰორიზონტში; სისტემა იძულებით ინტეგრირებულ ცხოვრების სამყაროდ იმოსება.

თუკი ვარგებულია თავდაპირველად სპეკულაციურად შემოტანილი ეს მოდელი, მაშინ წამოიჭრება საკითხი, რომელსაც არატო თავისი თხზულების ბოლო ნაკვეთში განიხილავს: როგორ წინააღმდეგობას უწევს თვითონ ცხოვრების სამყარო იმპერატივთა მხრივ ინსტრუმენტალიზირებას; სულერთია საქმე ეხება თავისუფალი ეკონომიკის საკუთრივი დინამიკისა თუ გათვითმყოფებული ბიუროკრატიის იმპერატივებს; ძალუძს კი ცხოვრების სამყაროს მიწყივ იდუმალ, მაგრამ საკუთარ საზრისზე მტკიცედ დადგომილ სტრუქტურებს წინ აღუდგეს განვითარებისა თუ პოლიტიზირების პროცესებს? რუსეთის შესახებ არატო მკაფიო პასუხს იძლევა იმით, რომ იგი აანალიზებს სადღეისოდ ქმედითი კულტურელური მემკვიდრეობის სამ კომპონენტსა და იმ კონსტელაციებს, რომლებიც შესაძლოა მათ შორის გაიკვანძოს.

11. განმარტებანი კომუნიკაციური ქმედების ცნებისათვის (1982)

მოქმედების სოციოლოგიური თეორიების ინტერესის საგანია *სოციალური* ქმედების ცნების გაშუქება. რა თქმა უნდა, სოციალური ქმედების სანიმუშო შემთხვევას წარმოადგენს (სულ ცოტა) ორ აქტორს შორის კოოპერაცია, რომლებიც თავიანთი ინსტრუმენტული მოქმედებების კოორდინირებას ახდენენ იმ მიზნით, რომ განახორციელონ ერთობლივ მოქმედებათა გეგმები; მაგალითად, ეს მოდელი საზოგადოებრივი შრომის მარტივი შემთხვევების გაანალიზების საშუალებას იძლევა. მაგრამ თვით პრიმიტიულ საზოგადოებებშიც კი შრომა ინტერაქციის უამრავ შემთხვევათაგან მხოლოდ ერთ-ერთ ტიპურ შემთხვევას წარმოადგენს. ამიტომ მე მინდა, ამოვიდე ზოგადი საკითხიდან იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ქმედება როგორც სოციალური ფენომენი. მაგრამ შეკითხვა: „როგორ არის შესაძლებელი სოციალური ქმედება?", წარმოადგენს მხოლოდ შემდეგი საკითხის უკუღმაპირს: „როგორ არის შესაძლებელი სოციალური წესრიგი?" მოქმედების თეორიას – რომელსაც მართებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა – უნდა შეეძლოს იმ პირობებზე მითითება, რა პირობებშიც Alter-ს ძალუძს თავისი ქმედებანი Egos მოქმედებებს „მიუერთოს".

გამოთქმა „მიერთება" გამოხატავს სოციალური წესრიგის პირობებისადმი ინტერესს, რამდენადაც ეს პირობები მოთავსებულია მარტივ ინტერაქციათა ანალიტიკურ სიბრტყეზე. მოქმედების სოციოლოგიურ თეორიას საქმე აქვს არა ოდენ, საზოგადოდ, სოციალური ქმედების ფორმალურ ნიშან-თვისებებთან, არამედ იგი იკვლევს მოქმედების კოორდინირებულობის იმ მექანიზმებს, რომლებიც შესაძლებელყოფენ ინტერაქციათა რეგულარულსა და სტაბილურ გამოყენებას. ინტერაქციათა *ნიმუში* მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა მოქმედების თანამიმდევრობანი, რომლებშიც სხვადასხვა აქტორებს შეაქვთ წვლილი, ალალბედზე კი არ მოისახება, არამედ წესების მიხედვით მოხდება მათი კოორდინირება. ეს ითქმის როგორც სტრატეგიული, ისე კოოპერატიული ქცევისათვის. „მიერთების" მექანიზმთა ძიება არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება წინასწარ არის გამოტანილი კონფლიქტის თეორიული მიდგომის წინააღმდეგ და კონსენსის თეორიული საწყისის სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, მოქმედების თეორია წინასწარ იმდენად განსაზღვრავს სოციოლოგის მზერის მიმართულებას, რამდენადაც იგი სოციალური ქმედების ცნებებს სოციალური წესრიგის ცნებებთან კავშირში აანალიზებს.

აქედან აიხსნება ის თვალშისაცემი განსხვავება, რომელიც არსებობს მოქმედების *სოციოლოგიურსა და ფილოსოფიურ* თეორიებს შორის; ერთს დაწანამძღვრებული აქვს ის, რაც მეორეში თემადაა ქცეული; ყოველის

უწინარეს, საქმე ეხება მიზანმოლვაწეობის სტრუქტურის (ასევე მოქმედების უნარისა და რაციონალური არჩევანის მასში შემავალი კონცეპტების) გაშუქებას. მაგრამ მოქმედების სოციოლოგიური თეორია ინტერესს არ იჩენს ნების თავისუფლებისა და კაუზალობის, გონისა და სხეულის დამოკიდებულების, ინტენციონალობის და ა.შ. ძირეული პრობლემებისადმი, რომელთა განხილვა ისევე კარგად არის შესაძლებელი ონტოლოგიურ, შემეცნებისა და ენის თეორიულ კონტექსტებში როგორც – მოქმედების ფილოსოფიურ თეორიაში. დაბოლოს, მოქმედების სოციოლოგიური თეორია უხვევს ცნობიერების ფილოსოფიის წანამძღვრებს, რაკი მას ამოცანად აქვს ინტერსუბიექტურად გაზიარებული წესრიგის გაშუქება. ამიტომაა, რომ იგი მოქმედების ანალიტიკური თეორიისაგან განსხვავებით მაგრად არ არის მიბმული იზოლირებული, შემეცნება და მოქმედება შემძლე სუბიექტის მოდელზე; — სუბიექტისა, რომელიც არსებულ საქმის ვითარებათა წინაშე დგას და შეუძლია ობიექტურ სამყაროში რაღაცასთან მიმართება დაამყაროს როგორც აღქმის ისე ჩარევის გზით. თავის მხრივ, ინტერსუბიექტურობის თეორიულად დასაწყისებულ მოქმედების თეორიას კი, პირიქით, ხელეწიფება საკითხის იმ დაყენებათა რეფორმულირებისთვის ხელშეწყობა, რომლებსაც დღემდე ფილოსოფია თავის სფეროებად მიიჩნევდა.

თავდაპირველად მსურს „თანხმობისა“ და „ზეგავლენის“ ტერმინებით დავახასიათო მოქმედების კოორდინირებულობის ის მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალური ქმედების უმნიშვნელოვანეს ცნებებს (1). მოქმედების ეს კონცეპტები იმასაც განსაზღვრავენ, თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რა შეიძლება იქნეს მოაზრებული სოციალურ წესრიგად. მეორე მხრივ, საზოგადოების ეს კონცეპტი იმ საწყისებს აღნიშნავენ, რომლებიც დღეს ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფებიან; სახელდობრ ლაპარაკია სოციალური გაცვლის თეორიასა და სისტემფუნქციონალიზმზე; როლმოქმედების თეორიასა და თვითინსცენირების ფენომენოლოგიაზე; დაბოლოს – სიმბოლურ ინტერაქციონიზმსა და ეთნომეთოდოლოგიაზე (2). ამ საწყისთა სიძნელეებსა და სისუსტეებს საბაბად ვიყენებ, რათა შემოვიტანო კომუნიკაციური ქმედებისა და ცხოვრების სამყაროს ცნებები (3). ეს ინტუიტური მოსაზრებანი ექსპლიკაციას საჭიროებენ, რისი გაკეთებაც აქ არ ძალმიძს. მაგრამ მინდა, რომ სულ ცოტა, ჩამოვთვალო მაინც და პროგრამატულად განვმარტო ექსპლიკაციის ის ნაბიჯები, რომლებიც კომუნიკაციური ქმედების თეორიაში გადადგმულა (4). მე მინდა ორი ექსკურსი ჩავატარო და, ჯერ ერთი, შევეხო როგორც „სტრატეგიული“ და „კომუნიკაციური ქმედების“, ისე „სისტემისა“ და „ცხოვრების სამყაროს“ ძირეულ ცნებებს შორის საზოგადოების თეორიულ კავშირ-მიმართებებს. მერე კი მინდა მოვიტანო ის ფილოსოფიური პრობლემა, რომლის ახსნა-გაშუქებაში შეიძლება წვლილი ქმედების ფორმალურ-პრაგმატულად დასაწყისებულმა თეორიამ შეიტანოს (5).

(I) *მოქმედების კოორდინირების მექანიზმები.* მოქმედების ზემოთ ხსენებული სოციოლოგიური თეორიები თანხვდებიან ზოგიერთ ძირითად გადაწყვეტილებაში. ჯერ ერთი ისინი ისეთს ანალიზს ირჩევენ, რომელიც მოქმედი სუბიექტის შინაგან პერსპექტივას ემყარება. მოქმედება შეიძლება, გავიგოთ როგორც მოქმედების გეგმის განხორციელება, რომელიც სიტუაციის განმარტებას ეყრდნობა. მოქმედების გეგმას რომ ახორციელებს აქტორი, სიტუაციას იმორჩილებს. მოქმედების სიტუაცია წარმოადგენს აქტორის მიერ ინტერპრეტირებული გარემოს ნაკვეთს. ეს ნაკვეთი თვითკონსტიტუირდება მოქმედების იმ შესაძლებლობათა შუქზე, რომლებსაც აქტორი მნიშვნელოვან შესაძლებლობებად აღიქვამს მოქმედების მისეული გეგმის განხორციელების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მოქმედების თეორიები იმით განსხვავდებიან ქცევის თეორიული საწყისებიდან, რომ ისინი აქტორს მიაწერენ პროპოზიციული სტრუქტურის ცოდნას. აუცილებელია, აქტორი foro interno იმეორებდეს და თავის თავზე ღებულობდეს დამკვირვებლის გამოთქმებს (A გულისხმობს ანდა მას სჯერა, სურს ანდა განუზრახავს, სწადია ანდა უფრთხის, რომ „p").

დაბოლოს, მოქმედების სოციოლოგიური თეორიები ინტერაქციის მონაწილეთათვის მოითხოვენ, სულ ცოტა, *ერთსულოვან* ცოდნას: ჯერარს, მათ მიერ სიტუაციის განმარტებანი საკმარისად ჰფარავდნენ ერთმანეთს. ამასთანავე, ისინი უშვებენ ენობრივ კომუნიკაციას, სულ ცოტა — ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლას მაინც. სხვათა შორის, მოქმედების თეორიული საწყისები ერთმანეთისგან იმის მიხედვითაც განსხვავდებიან თუ რას მიიჩნევენ. ისინი აუცილებლად მოქმედების კოორდინაციისათვის, *თანხმობის,* და მაშასადამე, *ერთობლივ* ცოდნას თუ – ერთმანეთზე მხოლოდღა გარეგნულ *ზეგავლენის.*

„ერთობლივი" ცოდნა აუცილებელია, აკმაყოფილებდეს ძალზე პრეტენზიულ პირობებს. ეს პირობები როდია უკვე შესრულებული მაშინ, როცა თანამონაწილეთა ზოგიერთი შეხედულება ერთმანეთს ემთხვევა; არც მაშინაა ისინი დაკმაყოფილებული, როცა აქტორები ამგვარი დამთხვევების შესახებ ცოდნას ფლობენ. *ერთობლივს* მე ისეთ ცოდნას ეუწოდებ, რომელიც *თანხმობის* კონსტიტუირებას ეწევა, რომლის დროსაც თანხმობა ბოლოვდება მნიშვნელოვნების კრიტიზირებად პრეტენზიათა ინტერსუბიექტური აღიარებით. თანხმობა ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეებს მოპოვებული ცოდნა მნიშვნელად ე.ი. ინტერსუბიექტურად მავალდებულებელ ცოდნად მიუჩნევიათ. ერთობლივ ცოდნას მხოლოდ იმიტომ ძალუძს, თავის თავზე აიღოს მოქმედების კოორდინირების ფუნქციები, რამდენადაც იგი შეიცავს ინტერაქციის შედეგებისთვის მნიშვნელოვან კომპონენტებს გინა იმპლიკაციებს. ურთიერთვალდებულებანი მხოლოდ და მხოლოდ ინტერსუბიექტურად გაზიარებული მრწამსებიდან წარმოიშობა. ნაცვლად ამისა, (კაუზალურ ზემოქმედებად

გაგებული) ინტერაქციის ერთ-ერთი მონაწილის მრწამსებზე მეორე მონაწილის მხრივ გარეგანი ზეგავლენა ცალმხრივ ხასიათს იძენს.

ინტერსუბიექტურად გაზიარებული მრწამსები ინტერაქციის მონაწილეებს *ურთიერთვალდებულებით* კრავს; საბუთთა პოტენციალი, რომელიც მრწამსებს აკრავს, წარმოადგენს ჯეროვნად მიჩნეულ საფუძველს, რომლითაც აუცილებლობის შემთხვევაში ერთ მონაწილეს მეორის თვალთახედვაზე აპელირება ძალუძს. მრწამსს არა აქვს ამგვარი ვალდებულებით შემკვრელი ეფექტი, რომელსაც ერთი მონაწილე მეორეში (სხვათა შორის, ტყუილის მეშვეობითაც) იწვევს. მონოლოგური მრწამსები ანუ ისეთი დაჯერებულობები, რომლებსაც თითოეული ინდივიდი foro interno ჭეშმარიტად ანდა ყალბად მიიჩნევს, ყოველთვის მხოლოდ საკუთარ განწყობებზე ვრცელდება ხოლმე. ცალმხრივი ზეგავლენის ანდა (ურთიერთზემოქმედების) მოდელში არ შეიძლება საბუთები, რაგინდ ვარგებულიც იყვნენ, აპელაციის უკანასკნელ ინსტანციას წარმოადგენდნენ. ამგვარ მოდელში ვარგებულ საბუთებს არ უპყრიათ გამორჩეული ადგილღირებულება. მნიშვნელობა აქვს არა საშუალების გვარს, არამედ – მხოლოდღა პარტნიორის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის შედეგს, სულერთია რითი მიიღწევა იგი ფულით, ძალაუფლებით თუ სიტყვით.

თანხმობა და ზეგავლენა წარმოადგენენ მოქმედების კოორდინირების მექანიზმებს, რომლებიც, სულ ცოტა, მონაწილის პერსპექტივიდან მაინც, ერთმანეთს გამორიცხავენ. შეუძლებელია ურთიერთგაგების პროცესი *ერთდროულად* მიმდინარეობდეს იმ განზრახვით, რომ ინტერაქციის თანამონაწილესთან თანხმობაც მოიპოვო და მასზე ზეგავლენაც იქონიო, ანუ მასში რაღაც კაუზალურად გამოიწვიო. მონაწილის პერსპექტივიდან შეუძლებელია თანხმობის გამოწვევა, შეუძლებელია მისი ერთი მხარის მიერ მეორისთვის დაკისრება, როგორიც უნდა იყოს იგი, ინსტრუმენტული ე.ი. მოქმედების სიტუაციაში უშუალო ჩარევის გზით განხორციელებული თუ სტრატეგიული ანუ მოწინააღმდეგის განწყობებზე შედეგგათვლილი ზეგავლენის საშუალებით მიღწეული. მართალია, შეიძლება თანხმობამდე ობიექტურად მაიძულებელი გზით მისვლა გინა მისი გამოწვევა; მაგრამ საქმე ისაა, რომ ის, რაც ხორცს ისხამს გარეგანი ზემოქმედების, დაჯილდოების, დაშინების, ჩაგონებისა თუ გადაცდენის გზით, შეუძლებელია სუბიექტურად თანხმობად იქნეს შერაცხული. თანხმობას ამ შემთხვევაში, ერთმევა მოქმედების მაკოორდინირებელი ქმედითობა. იგი კარგავს ერთობლივ მრწამსთა ხასიათს, როგორც კი ინტერაქციაში ჩაბმული გამოტყდება, რომ თანხმობამდე იგი მეორე აქტორის გარეგნულმა ზემოქმედებამ მიიყვანა.

აქტორს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, წამოიწყოს ამგვარი ინტერვენცია, როცა იგი მოქმედების მისეული გეგმის შესრულებისას გარემოს მიმართ მაობიექტირებელ განწყობას იკავებს და უშუალოდ თავისი ქმედების ნაყოფზე, სახელდობრ შედეგზეა ორიე-

ნტირებული. საპირისპიროდ ამისა, აუცილებელია, ინტერაქციის თანამონაწილენი, რომლებიც მოქმედების შესაბამის გეგმებს შეთანხმებულ კოორდინაციაში ამყოფებენ და მხოლოდ და მხოლოდ გამიზნული თანხმობის პირობით ასრულებენ, მოლაპარაკეთა და მსმენელთა პერფორმაციულ განწყობას, იკავებდნენ და ერთმანეთს უთანხმდებოდნენ მოცემული სიტუაციისა და მისი დაძლევის თაობაზე. შედეგზე ორიენტირებულ განწყობაში მოქმედი სუბიექტი მოწყვეტილია დანარჩენი აქტორებიდან, რომლებსაც იგი თავის გარემოში შეესწრება ხოლმე; რადგან მისთვის როგორც პარტნიორის მოქმედებანი, ისე სიტუაციის დანარჩენი შემადგენელი ნაწილები მოქმედების თავისი საკუთარი გეგმების განხორციელების მხოლოდღა საშუალებასა და შეზღუდვებს წარმოადგენენ; ამ თვალსაზრისით სოციალური ობიექტები არ განსხვავდებიან ფიზიკური ობიექტებისაგან. ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული განწყობა კი, პირიქით, ინტერაქციის თანამონაწილეებს ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის. თანამონაწილეთა განწყობა მათს აღრესატთა პო/არა – პოზიციებზე ჰკიდია, რადგან მათ კონსენსის მიღწევა ძალუძთ მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ინტერსუბიექტური აღიარების საფუძველზე.

(2) ტელეოლოგიური ქმედების გინა მიზანმოღვაწეობის ცნება არისტოტელედან მოკიდებული მოქმედების ფილოსოფიური თეორიის შუაგულში იმყოფება. აქტორი ანამდვილებს თავის მიზანს (Zweck), და მაშასადამე, ხელს უწყობს სანატრელი მდგომარეობის დადგენას იმით, რომ მოცემულ სიტუაციაში ისეთ საშუალებას ირჩევს, რომელიც წარმატებას უქადის და მას ჯეროვნად იყენებს. მთავარი არის მოქმედების ისეთი გეგმა, რომელიც *სიტუაციის განმარტებას* ეყრდნობა და გამიზნულია განზრახულობის (Ziel) ხორცშესხმაზე; და რომელიც, ასევე მოქმედების სუბიექტს მოქმედების *სხვადასხვა ალტერნატივათა შორის გადაწყვეტილების მიღების ნებას რთავს.* ეს ტელეოლოგიური სტრუქტურა მოქმედების ყველა ცნებისთვის კონსტიტუციურია; მაგრამ სოციალური ქმედების ცნებები ერთმანეთისგან იმის მიხედვით განსხვავდებიან, თუ როგორ განსაზღვრავენ ისინი ცალკეულ მოქმედებათა კოორდინირებას. პირველი კლასიფიკაცია იმ თვალსაზრისით მიიღება, თუ რას უწევენ ანგარიშს მოქმედების თეორიული საწყისები *Alter*-ზე Egos ემპირულ ზეგავლენას, თუ *Egos* და *Alter*-ს *შორის* რაციონალურად მოტივირებული თანხმობის დამყარებას. ინტერაქციის თანამონაწილენი ამისდამიხედვით ერთმანეთის მიმართ შედეგსა თუ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულ განწყობას იკავებენ. ამასთანავე დაწანამძღვრებულია ის, რომ სათანადო გარემოებებში ინტუიტური ცოდნის საფუძველზე თვითონ მონაწილენი ეწევიან ხოლმე ამ განწყობათა იდენტიფიცირებას.

მოქმედების სტრატეგიული მოდელი შედეგზე ორიენტირებული ქმედების წესთა ექსპლიკაციით კმაყოფილდება, მაშინ როცა მოქმედების

დანარჩენი მოდელები გამოწვლილვით ამუშავებენ ურთიერთთანხმობის პირობებს, რა პირობებშიც ინტერაქციის თანამონაწილეებს ძალუძთ, შეასრულონ მოქმედების შესაბამისი გეგმები. ნორმებით რეგულირებული ქმედება მონაწილეთა შორის წინასწარგულისხმობს ღირებულებითს კონსენსს; დრამატურგული ქმედება ეყრდნობა სცენაზე თავისი თავის შთამბეჭდავად გამსახიერებელსა და მის პუბლიკას შორის კონსენსუალურ ურთიერთობას; ხოლო ენობრივად გაშუალებული ინტერაქცია მოითხოვს კონსენსის დამყარებას, სულერთია თუ რა გზით მიიღწევა ეს, როლების მაინტერპრეტირებელი აღებისა და როლთა კრეაციული მოსახვისა ანდა განმარტების კოოპერაციულ პროცესთა გზით. გაცვლისა და ძალის თეორიები, რომლებიც შემუშავებულია შედეგზე ორიენტირებული ქმედების მოდელის მიხედვით იქიდან ამოდიან, რომ ინტერაქციის თანამონაწილენი თავიანთს მოქმედებებს კოორდინაციას უწევენ ურთიერთზემოქმედებათა (ა) გზით, მაშინ როცა მოქმედების არაემპირისტული თეორიები ზეგავლენებს ურთიერთგაგების პროცესებით ანაცვლებენ (ბ).

(ა) ტექნოლოგიური მოდელი *მოქმედების სტრატეგიული მოდელით* განივრცობა, მაშინ როცა მოქმედი სუბიექტის წარმატების გათვლა შეიძლება გავრცელდეს, სულ ცოტა, ერთი სხვა მიზანმიმართულად მოქმედი აქტორის გადაწყვეტილებებზე. მოქმედების ეს მოდელი ხშირად უტილიტარისტულად განიმარტება ხოლმე; ამ შემთხვევაში იმის წინასწარ დაშვება ხდება, რომ აქტორი საშუალებებსა და მიზნებს ირჩევს და გამოთვლის ხოლმე სარგებელთა მაქსიმალური გაზრდისა, და მაშასადამე, სარგებელთა მოლოდინების თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, სტრატეგიული ქცევის ამ გეგმის მიხედვით სოციალური წესრიგის ცნება არ მოიპოვება დამატებით დაშვებათა გარეშე. სარგებელთა ეგოცენტრისტულ გათვლებში ურთიერთშეღწევის გზით მიიღება ინტერაქციის ნიმუში ე.ი. — ინტერაქციათა მართებული და სტაბილური შეკავშირებანი მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, რომ ინტერაქციაში ჩაბმულ აქტორთა მჯობინებანი ერთმანეთს ავსებენ და შესაბამისად აწონასწორებენ ინტერესთა ურთიერთგანლაგებას. ორივე გამაგალითებული შემთხვევა, რომელთათვისაც გენერალური შემთხვევა მნიშვნელობს, წარმოადგენს იმ გაცვლით ურთიერთობებს, რომელთა შეთამაშება ხდება თავისუფლად მოკონკურენტე მიმწოდებელსა და დამკვეთს შორის; ისინი ასევე წარმოადგენენ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც მყარდება მბრძანებლებსა და ქვეშევრდომებს შორის. ვიდრე შედეგზე ორიენტირებულ მოქმედ სუბიექტებს შორის, ინტერპერსონული ურთიერთობები რეგულირებულია გაცვლითა და ძალაუფლებით, მანამ საზოგადოება *ინსტრუმენტულ წესრიგს* წარმოადგენს. ამგვარი წესრიგი მოქმედების ორიენტირებულობათა კონცენტრაციას ახდენს ფულისა თუ ძალაუფლების გულისთვის შეჯიბრზე და გადაწყვეტილებათა კოორდინირებას

ეწევა საბაზრო გინა ბატონობის ურთიერთობათა გზით. ამგვარი პირწმინდად ეკონომიკური ისე პირწმინდად ძალაუფლების პოლიტიკური წესრიგები ინტსრუმენტულ წესრიგებად იწოდებიან, ვინაიდან ისინი წარმოიშობიან ინტერპერსონული ურთიერთობებიდან, რომლებშიც ინტერაქციის თანამონაწილენი ეწევიან ერთმანეთის ინსტრუმენტალიზირებას საშუალებად იმ მიზნით, რომ მოპოვებული იქნეს შესაბამისად პირადი წარმატება.

დურკემი, ვებერი და პარსონსი ხომ ისევ და ისევე მიუთითებენ იმაზე, რომ ინსტრუმენტული წესრიგნი არ არიან სტაბილურნი; – რომ სოციალურ წესრიგთა გამდგრადება არ ხერხდება ოდენ ერთმანეთში შეღწეული ინტერესების ურთიერთგანლაგებათა გზით. ფაქტობრივად გაცვლისა და ძალაუფლების სოციოლოგიური თეორიები ფონს ვერ გადიან ისე, თუ არ დაისესხეს ნორმატიული წესრიგის ცნება. ასე მაგალითად, პ. ბლო გაცვლა-გამოცვლის მისეული თეორიის ძირეულ უტილიტარისტულ ცნებებს სამართლიანობის შესახებ იმ წარმოდგენებით ავსებს, რომელთა საფუძველზე აქტორებს ძალუძთ ბევრად თუ ცოტად მიუმხრობლად განსაჯონ თავიანთი გადაწყვეტილებანი;[1] ხოლო რ. დარენდორფს კონფლიქტის მისეულ თეორიაში ბატონობა სრულიად ვებერიანულად ესმის, როგორც ინსტრუმენტალიზებული ძალაუფლება, რომელიც ლეგიტიმაციას საჭიროებს.[2] ორივენი წარმოადგენენ ნორმატიულ კომპონენტებს, რომლებიც ერთ ისეთ წესრიგად მაღლდებიან ყველა დანარჩენი განზომილებით, რომ ინსტრუმენტულად მოსახულ წესრიგს წარმოადგენს; ხოლო სტრატეგიული მოქმედების საფუძველმდებარე მოდელში ისინი უცხო სხეულები არიან.

უფრო თანამიმდევრულ გადაწყვეტას გვთავაზობს სისტემფუნქციონალიზმი, რომელიც სტრატეგიული ქმედების ცნებას *მედიუმებით წარმართული ინტერაქციის* ცნებით ჩაანაცვლებს. სოციალური წესრიგი იმთავითვე არის წარმოდგენილი საზღვარდანარჩენებული სისტემის მოდელის მიხედვით, ე.ი. წარმოდგენილია მოქმედების თეორიის ცნებითი პერსპექტივისგან დამოუკიდებლად. თავის მხრივ, სოციალური ქმედების ცნება კომუნიკაციისა თუ მართვის მედიუმის სისტემთეორიულად შემოტანილი ცნების ქარგაზეა გამოჭრილი.[3]

ამგვარი მედიუმი იმ კოდექსის ნიშან-თვისებათა მქონეა, რომელთა დახმარებით შესაძლოა, ინფორმაციების გამგზავნიდან მიმღებს გადაეცეს. მაგრამ მართვის მედიუმთა სიმბოლურ გამოსახულებებში – მაგალითად, ფულად ჯილდოში – ენის გრამატიკული გამოსახულებებიდან განსხვავებით ჩაშენებულია მჯობინების სტრუქტურა; იგი შეთავაზების

---

[1] P.Blau, Exchange and Power in Social Life, N.Y. 1966.

[2] R.Dahrendorf, Class and Conflict in Industrial Society, Stanford 1959.

[3] J.Habermas, Bemerkungen zu T.Parsons' Medientheorie, in: W.Schluchter (Hrsg.), Verhalten, Handeln und System, Ffm. 1980.

თაობაზე ინფორმაციას აწვდის მიმღებს, და ამავე დროს, აგულიანებს მას, რათა შენათავაზები მიიღოს. მართვის მედიუმი იმგვარ თვისებათა მატარებელია, რომ Alter-ის მოქმედებანი „უშუალოდ მოჰყვნენ Egos მოქმედებებს იმ პროცესების გვერდის ავლის გზით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კონსენსისმქმნელ პროცესებს. ამგვარი ავტომატიკა მაშინვე ირთვება როგორც კი მედიუმთა კოდექსი ძალაში შედის:

– სტანდარტულ სიტუაციათა იმ კლასებისათვის, რომლებიც კარგად იმიჯნებიან ერთმანეთისგან;

– იმ კლასებისათვის, რომლებიც ინტერესთა არაორაზროვანი ურთიერთგანლაგებების გზით იმგვარად არიან განსაზღვრულნი:

– რომ ინტერაქციაში ჩაბმულთა მოქმედების ორიენტირებულობანი დადგენილნი არიან გენერალიზებული ღირებულების მეშვეობით;

– რომ Alter-ს არსობრივად ძალუძს ორ ალტერანტიულ პოზიციას შორის გადაწყვეტილება ერთ-ერთის სასარგებლოდ მიიღოს;

– რომ Egos ძალუძს ამ პოზიციათა მართვა შეძლეულობათა საშუალებით

– რომ აქტორები ორიენტირებულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებათა შედეგებზე ანუ მათ აქვთ თავისუფლება, რათა თავიანთი გადაწყვეტილებანი მარტოდენ საკუთარ ქმედებათა წარმატებულობის გათვლას დაუქვემდებარონ.

ფულის განიმუშებულ შემთხვევაში *სტანდარტული სიტუაცია* განისაზღვრება სასაქონლო გაცვლის პროცესით. საგაცვლა-გამომცვლელო პარტნიორები სამეურნეო *ინტერესებს* მისდევენ იმით, რომ ისინი ცდილობენ, ალტერნატიული მიზნებისათვის მწირ რესურსთა გამოყენებისას ოპტიმიზაცია უყონ გასაელებისა და შემოსავლების ურთიერთმიმართებას. ამასთანავე სარგებელს წარმოადგენს *გენერალიზებული ღირებულება,* რა დროსაც გენერალიზებული ხამს, ეწოდოს ისეთ ღირებულებას, რომელიც ფულის მიმოქცევაში მონაწილე აქტორებს ყველგან და ყოველთვის ერთნაირი ვალდებულებით კრავს. ფულადი კოდექსი იმგვარად ეწევა Alter-ის შესაძლო სქემატიზირებას, რომ იგი იღებს Egos მიერ გაცვლით შეძლეულს ანდა მას უკუაგდებს და ამით შემოსავალს იხვეჭს ანდა ამგვარ მოხვეჭაზე უარს ამბობს. ამ პირობებში გაცვლა-გამოცვლის პარტნიორებს შესაძლებლობა აქვთ მათი შენაძლევების მეშვეობით თავიანთი *პოზიციები* ურთიერთშეაპირობონ ისე, რომ არ დათმონ თანამშრომლობისთვის მზაობა, რომლის დაწანამძღვრებაც ხდება კომუნიკაციურ ქმედებაში. პირიქით, აქტორები მოელიან მოქმედების სიტუაციაზე მაობიექტირებელ განწყობას და მოქმედების შედეგებზე რაციონალურ ორიენტირებას. რენტაბელობა წარმოადგენს მასშტაბს, რომლის მიხედვით შეიძლება გამოთვლილი იქნეს წარმატება.

ფულის მედიუმის მეშვეობით წარმართული ინტერაქციის ცნება გამომდინარეობს ბაზრით გაშუალებული სტრატეგიული ქმედების კონ-

ცეპტიდან და ამავე დროს მას ჩაანაცვლებს. იგი შეესატყვისება საზოგადოების სისტემთეორიულ ცნებას, რომლის გამდიდრება ისევე როგორც ინსტრუმენტული წესრისგისა, შეუძლებელია ნორმატივისტული ძირეული ცნებებით.

სტრატეგიული ინტერაქციებიც, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ენობრივად გაშუალებული ინტერაქციები; მაგრამ ამ მოდელში თვითონ მეტყველება-მოქმედებანი შედეგზე ორიენტირებულ მოქმედებებს შეემსგავსებიან. რადგან სტრატეგიულად მოქმედი სუბიექტებისთვის, რომლებიც *უშუალოდ* მოქმედების თავიანთი გეგმების ხორცშესხმას ეწევიან, ენობრივი კომუნიკაციაც ისეთისავე საშუალებას წარმოადგენს, როგორც ყველა დანარჩენი კომუნიკაცია; ისინი ენას იყენებენ პერლოკუციურ ეფექტთა გულისთვის. უეჭველია, რომ არსებობს არაპირდაპირი ურთიერთგაგების უამრავი შემთხვევა. იქნება ეს შემთხვევა, როცა ერთი აქტორი მეორეს სიგნალთა მეშვეობით რაღაცას ატყობინებს და მას არაპირდაპირ აღძრავს, სიტუაციის აღქმათა თანმიმდევრული დამუშავების გზაზე განსაზღვრული შეხედულება ჩამოაყალიბოს ანდა განსაზღვრული განზრახვები შეადგინოს; თუ იქნება ეს შემთხვევა, როცა კომუნიკაციის უკვე ურთიერთშეწყობილი პრაქტიკის საფუძველზე ერთი აქტორი მეორეს შეუმჩნეველად ჩააბამს მისი კერძო მიზნის მიღწევის საქმეში ანუ ენობრივი საშუალების მანიპულაციური შემოტანის გზით აიძულებს, მისთვის სასურველი საქციელის ჩადენას და ამით ეწევა მის გახელსაწყობას საკუთარი მოქმედების შედეგისთვის. მაგრამ ეს სიტყვათხმარება, რომელიც შედეგზეა ორიენტირებული უგულვებელყოფს თანხმობის ტელოსს თვით ენაში რომ არის ჩადებული და, რომელსაც შეიძლება ურთიერთშორის რაღაცის თაობაზე ესწრაფვოდენ კომუნიკაციის თანამონაწილენი.

(ბ) **არასტრატეგიული ქმედების მოდელები – თუმც კი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ცალმხრივი ასპექტით – მაგრამ მაინც წინასწარ გულისხმობენ მოქმედების კოორდინირების არსობრივ კომპონენტებს. ნორმებით წარმართულ ქმედებაში ურთიერთგაგება უკვე შემოღებული ჯგუფური თანხმობის აქტუალიზირების სამსახურში დგას; ხოლო დრამატურგულ ქმედებაში მაყურებელზე დამოკიდებული თავისთავის იმ განსახიერებას ემსახურება, რითაც განმასახიერებლები ერთმანეთზე ზემოქმედებას ახდენენ. ორივე კონცეპტს მე იმგვარად გამოვიყენებ, რაგვარადაც ისინი შემოტანილი იქნა პარსონსის, და ამრიგად, გოფმანის მიერ.**[1]

ნორმებით რეგულირებული ქმედების ცნება ეხება არა იმ აქტორის ქცევას, რომელიც პრინციპულად მარტოდმარტოა და თავის გარემოში სხვა აქტორებს შეესწრება ხოლმე, არამედ სოციალური ჯგუფის წევრებს, რომლებიც თავიანთს ქმედებებს თანაზიარ ღირებულებებზე მი-

---

[1] T.Parsons, The Structure of Sotial Action, N.Y. 1949: E. Goffman. Wir spielen alle Theater, München 1968; ders., Interaktionsrituale, Ffm. 1971.

მართავენ. ცალკეული აქტორი იცავს ნორმას (ანდა სცოდავს მის წინაშე), როგორც კი მოცემულ სიტუაციაში მათ წინაშეა პირობები, რომელთა მიმართაც გამოიყენება ნორმა. ნორმები გამოხატავენ სოციალურ ჯგუფში ჩამოგდებულ თანხმობას. ჯგუფის ყველა წევრს, რომელთათვისაც განსაზღვრული ნორმა მნიშვნელობს, უფლება აქვს ერთმანეთისგან მოელოდეს იმას, რომ ისინი შეასრულებენ ანდა არ შეასრულებენ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეთავაზებულ მოქმედებებს. *ნორმის მიყოლის* მთავარი ცნება აღნიშნავს ქცევის გენერალიზირებული მოლოდინის შესრულებას. ქცევის მოლოდინს აქვს არა პროგნოზირებული ხდომილების მოლოდინის კოგნიტიური საზრისი, არამედ ის ნორმატიული საზრისი, რომ ჯგუფში შემავალნი *უფლებამოსილნი* არიან ქცევის მოლოდინზე. მოქმედების ეს ნორმატიული მოდელი საფუძვლად უდევს როლთა თეორიას.

დრამატურგული ქმედების ცნება, უწინარეს ყოვლისა, არც განმარტოებულ აქტორს ეხება, არც სოციალური ჯგუფის წევრს, არამედ იგი ეხება ინტერაქციის თანამონაწილეებს, რომლებიც ერთმანეთისთვის პუბლიკას წარმოადგენენ, რომლის წინაშეც ისინი საკუთარ თავს განასხვავებენ. აქტორი თავის პუბლიკაში ქმნის საკუთარი თავის შესახებ გარკვეულ ხატს, მასში იწვევს ისეთ შთაბეჭდილებას, რომელიც ბევრად თუ ცოტად ააშკარავებს მის სუბიექტურობას. მხოლოდ თითოეულ მოქმედ სუბიექტს ხელეწიფება გააკონტროლოს საჯაროდ გახელმისაწვდომებული საკუთარი განზრახვების, ფიქრების, განწყობების, სურვილების, გრძნობების და ა.შ. ის სფეროები, რომლებთანაც პრივილეგირებული მისასვლელი მარტოოდენ მათ აქვთ. ამიტომ *თავისითავის - თვითწარმოდგენის* მთავარი ცნება მოასწავებს არა გამოსახვის სპონტანურ ქცევას, არამედ საკუთარ განცდათა მაყურებელზე დამოკიდებულ სტილიზებას. მოქმედების ეს დრამატურგული მოდელი, პირველ ყოვლისა, ემსახურება ინტერაქციის ფენომენოლოგიურად მიმართულ აღწერებს; მაგრამ იგი ჯერ ისევ არ არის გამომუშავებული თეორიულად გამასაყოველთავებელი საწყისის სახით.[1]

---

[1] ამასთანავე, გოფმანი ორმნიშვნელოვნად იყენებს მოქმედების ამ მოდელს. თვითგამოხატვის შკალა მოიცავს ყველაფერს დაწყებული გამართული კომუნიკაციის საკუთრივი განზრახულობებიდან, სურვილებიდან, განწყობილებებიდან და ა.შ. იმ შთაბეჭდილებათა ცინიკურ მართვამდე, რომლებსაც აქტორი სხვებში იწვევს. ამგვარი იმპრესიაც კი უმთავრესად ისევ დრამატურგულ ქმედების აღწერას ექვემდებარება, მანამ ვიდრე იგი მიმართულია იმ პუბლიკაზე, რომელიც უბოროტოდაა განწყობილი, ჯეროვნად ვერ აფასებს პარტნიორის სტრატეგიულ ჩანაფიქრებს და შეცდომით ჰგონია, რომ რაც მის თვალწინ თამაშდება კონსენსზეა გამიზნული. ჩანაფიქრთა ჯეროვნად ვერშეფასების პირობებში თანაცხოვრება ეოცნებათ. მეორე მხრივ, საქმე ეხება ძალაუფლების სიმბოლურ-ექსპრესიული განხორციელების დახვეწილ ფორმას, ე.ი. ლაპარაკია შედეგზე ორიენტირებული ქმედების განსაკუთრებულ ვერსიაზე, რომლიდანაც გამოიყენება საზოგადოების, შესაბამისად, ძალაუფლების თეორიული კონცეპტი.

ნორმებით რეგულირებულ ქმედებას შეესატყვისება სოციალური წესრიგი, რომელიც გაიგება როგორც აღიარებულ ნორმათა თუ დამკვიდრებულ ინსტიტუტთა სისტემა. ინსტიტუტები კი მით მეტად მყარად მნიშვნელობენ, რაც უფრო უკეთ შეძლებენ ნორმატიულად მოთხოვნილი ღირებულებითი ორიენტაციები ინტერესთა მოცემულ განლაგებებთან ინტეგრირებას. მაგრამ საზოგადოების ეს კონცეპტი ისე მჭიდროდ არის მოფიქრებული, რომ იგი არ ტოვებს სივრცეს აქტორის კონსტრუქციული ღვაწვებისთვის. იგი იმსახურებს საყვედურს, რომ დაწანამძღვრებული აქვს მოქმედების „ზესოციალუიზირებული" სუბიექტი (დ. რონი). საპირისპიროდ ამისა, დრამატურგულ ქმედებაში დაწანამძღვრებული აქტორი „ქვესოციალიზირებული" არის. მოქმედების ამ მოდელს (საზოგადოდ) აკლია ადგილი ინსტიტუციონალური წესრიგებისთვის; ნაცვლად ამისა, იგი ანგარიშს უწევს თავისი თავის დამადასტურებელი იდენტობების პლურალიზმს, რომელი იდენტობებიც ერთმანეთთან კომუნიკაციაში იმყოფებიან თვითგამოხატვის მოდუსში. მართალია, ეს ექსპრესივისტული მოდელი აქტორის შემოქმედებითს ღვაწვათა ალაგს იჭერს, მაგრამ იგი ამეღავნებს სისუსტეებს, რომლებიც სარკისებურად იმეორებენ ნორმატივისტული მოდელის სისუსტეებს. მაშინ, როცა ზეგასაზოგადოვებულ სუბიექტებში ხდება მხოლოდღა იმავე ნორმატიული სტრუქტურების კვლავწარმოება, რომლებიც გახელსაწყოებულები არიან სოციალურ წესრიგში, მრავალწახნაგოვნად გამოვლინებული იდენტობები მოსახული არიან იმ არსებებად, რომლებიც აღემატებიან საზოგადოებას ანდა, ასე ვთქვათ, მასში გარედან შედიან.

ეს დამატებითი სისუსტენი დაძლეულნი იქნებიან სიმბოლურ *ინტერაქციონალიზმში.* როლების აღება წარმოიდგინება როგორც სწავლის პროცესის მექანიზმი, რომლითაც მოზარდი ერთსა და იმავე დროს, აგებს სოციალურ სამყაროს და ქმნის კიდეც საკუთარ იდენტობას. როლთა აღების კონცეპტი ნებას გვრთავს ინდივიდუირება გავიგოთ როგორც გასაზოგადოების პროცესი, ხოლო გასაზოგადოება ამავე დროს გავიგოთ როგორც ინდივიდუირება. სიმბოლური ინტერაქციონიზმი ინსტიტუციათა წესრიგებსა და იდენტობათა მრავალსახეობას შორის აბსტრაქტულ დაპირისპირებას აუქმებს ჩამოყალიბების წრიულ პროცესში, რომელიც კონსტიტუციურია ორივე მხრივ, როგორც სოციალური წესრიგის ისე აქტორთა მხრიდან. იგი ცნებითი ინოვაციებით რეაგირებს საზოგადოებრივი წესრიგის კონცეპტუალიზებაში ზემოხსნებულ სისუსტეებზე. სიმბოლურ ინტერაქციონიზმში ყველა სოციალური მოქმედება მასოციალიზირებელ ინტერაქციათა ნიმუშის მიხედვით წარმოიდგინება; ოღონდ არ არის განმარტებული თუ როგორ შეიძლება ენა ფუნქციონირებდეს როგორც გასაზოგადოების მედიუმი.

ფენომენოლოგიურსა და ჰერმენევტიკულ საწყისებმა განსაკუთრებით კი ჰ.გარფინკელის მიერ დაფუძნებულმა *ეთნომეთოდოლოგიამ* გაისიგრძეგანა ეს პრობლემა. მათ სოციალური მოქმედებანი ესმით როგორც ერთობლივი *განმარტების პროცესი*, რომელშიც ინტერაქციის მონაწილენი სიტუაციათა საზიარო დეფინიციებს ურთიერთშორის გარიგებით აღწევენ, რათა აქტორებმა შეძლონ თავიანთი მოქმედების გეგმათა კოორდინირება. ამასთანავე ისინი, რა თქმა უნდა, კონცენტრაციას ახდენენ აქტორთა მხოლოდ და მხოლოდ ინტერპრეტაციულ ღვაწვებზე, რომ მათი მოქმედებანი მეტყველება-მოქმედებებში გაქნან, ხოლო *სოციალური ინტერაქციები* უჩუმრად *განაზიონ* საუბრებში. ამ პერსპექტივიდან სოციალური წესრიგი ინსტრუმენტულად წარმოებულ ფიქციათა შემთხვევითს თანამიმდევრობად გაქროლებულა; თანამიმდევრობად, რომელიც ინტერპრეტაციათა ნაკადიდან მხოლოდ იმისთვის წამოყოფს ხოლმე თავს, რათა კვლავ დაიშალოს და თვალს მიეფაროს. ინტერაქციის თითოეული მწკრივით ინტერპრეტატორები ხელახლა უდგამენ სულს ნორმატიულად სტრუქტურირებული საზოგადოების მოჩვენებას; სინამდვილეში კი ისინი ხელის ცეცებით მიდიან ერთი მყიფე და წამიერი კონსენსიდან მეორე ეფემერული კონსენსისაკენ. კომუნიკაციური ქმედება კი, რომელიც მარადიული საუბრის წრეში მბრუნავ ჰერმენევტიკას შეემსგავსება, საუკეთესო შემთხვევაში იძლევა სოციალური წესრიგის ცნებას, რომელიც საზოგადოებას აიგივებს კულტურელურ გადმოცემათა რეფლექსურად წყვეტილ მატებასთან.

უწინარეს ყოვლისა, მე იმის ჩვენება მინდა, თუ რატომ არის, რომ ინტერაქციონიზმი და ეთნომეთოდოლოგია მარცხს წვნეულობენ თავიანთი ამოცანის შესრულების საქმეში, გამოიმუშაონ სოციალური ქმედების ისეთი ცნება, რომელშიც კონსენსის ენობრივი ქმნა მოქმედების კოორდინირების ფუნქციას კისრულობს. ეს განმარტება კომუნიკაციური ქმედების საზოგადოების თეორიულად ნაყოფიერი ცნების გასაღებად გამოდგება, ცნებისა, რომელიც მე გამოწვლილვით სხვაგან გავარჩიე.[1]

(3) როგორც სიმბოლური ინტერაქციონიზმი ისე ფენომენოლოგიურად დამოძღვრილი ეთნომეთოდოლოგია ამოცანად ისახავს, განმარტოს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების ენობრივი კოორდინირების მექანიზმი; მაგრამ როლთა აღებისა და ინტერპრეტაციის კონცეპტებით ისინი ისეთ ანალიზთა შემსრუტავ ნაკადში მოჰყვნენ, რომლებიც მიმართულნი არიან *სხვა* მიზნებზე; კომუნიკაციურ ქმედებას ისინი წარმოგვიდგენენ იმ მედიუმებად, რომლის მეშვეობითაც სოციალიზაციის პროცესები მოთავდება ანდა ნორმატიული წესრიგები გაიჩარხება. მოქმედების თეორიის მიერ მიზნიდან ამგვარ გადახვევას მე იმით ვხსნი, რომ კვლევის ის ტრადი-

---

[1] J.Habermas, Theorie des Komunikativen Handelns, Ffm. 1981. Teilweisw wörtliche Entlehnungen werde ich im folgenden nicht als Zitate kenzeichnen.

ციები, რომლებიც ჯ.ჰ. მიდისა და ა.შიუთცეს ემყარებიან, გულმოდგინედ არ მიჯნავენ ერთმანეთისაგან *სამყაროსა და ცხოვრების სამყაროს. რის თაობაზეც* ინტერაქციის თანამონაწილენი ერთმანეთს უთანხმდებიან, უფლება არა გვაქვს იგი შევურიოთ და ამ შერევით შევრყვნათ იმად, *საიდანაც* ისინი ინტერპრეტაციის თავიანთს მონაღვაწებს ურთიერთუარყოფენ. ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედება არის თავის თავში რეფლექსირებული; ამიტომ ინსტიტუციონურ წესრიგებსა და მოქმედების სუბიექტთა იდენტობებს ორ ალაგას ვაწყდებით. როგორც მოქმედების სიტუაციის *თემატიზირებადი შემადგენელი ნაწილი,* ისინი შესაძლოა, ნათლად ჰქონდეთ გაცნობიერებული ინტერაქციაში ჩაბმულებს; ხოლო როგორც კომუნიკაციის პროცესის წარმოების *რესურსები,* ისინი ფონზე რჩებიან და კულტურელურად მომონაგრებული განმარტების ნიმუშის დარად გააწინდებულია ფარულ ცოდნაში. მართალია, ინტერაქციონიზმი და ფენომენოლოგია ისეთ საწყისს ირჩევენ, რომელიც მათ აიძულებს, თემები თავიანთს რესურსებს მოწყვიტონ. ე.ი. ერთმანეთისგან დააშორიშორონ ურთიერთგაგების პროცესთა შინაარსისა და კონსტიტუციის სიბრტყეები. მაგრამ მათში საკმარისი ანალიტიკურობით არ არის გამლილი ამგვარი კავშირ-მიმართებანი, და შესაბამისად, ყოველ ჯერზე გათვითმყოფებულია ხოლმე ამ ორიდან ერთ-ერთი ასპექტი. ერთ შემთხვევაში კონსტიტუციას წარმართავენ თვალსაზრისები. სოციალური როლების სტრუქტურაში ჩაშენებული პერსპექტივის სტრუქტურა იმდენად განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რომ კომუნიკაციური ქმედება იკვეცება და მხოლოდ როლთა აღების იმ განზომილებაზე ვრცელდება, რომელიც არსებითია სოციალიზაციის პროცესებისათვის. მეორე შემთხვევაში თემათა ურთიერთთანამშრომლობითი დამუშავება იმზომად წამოიწევს წინა პლანზე, რომ კულტურელური ცოდნა ერთადერთ რესურსადღა რჩება და სოციალური წესრიგი, ასე ვთქვათ, საუბრებში ინთქმება.

ცხოვრების სამყაროს სიმბოლური კვლავწარმოების მოქცევას სათანადო ცნებაში ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ იდენტიფიცირებას ვუყოფთ (ა) *სამყაროულ მიმართებებს,* რომლებიც გაბმული აქვთ კომუნიკაციურად მოქმედ სუბიექტებს; (ბ) ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული პერსპექტივის მიხედვით მოვახდენთ *სიტუაციის* ცნების გადაფორმულირებას, რათა ცხოვრების სამყაროს *კონტექსტმქმნელი* ღვაწვანი მისი კონსტიტუციური ღვაწვებისაგან განვასხვაოთ; დაბოლოს (გ) თვალი დაეხუჭოთ აქტორის პერსპექტივაზე, რათა დავინახოთ ის, თუ თავის მხრივ კომუნიკაციურ ქმედებას რა წვლილი შეაქვს ცხოვრების სამყაროს შენარჩუნებასა და გენერირებაში.

(ა) სამყაროული მიმართებანი. ფრეგესა და (გვიან) ვიტგენშტაინზე დაყრდნობით დამკვიდრებულ იქნა სემანტიკური ცნება ყოველივე იმის ერთობლიობისა, რაც კი რაღაცნაირად იქცევა და თუკი ამ ცნებას დაეუმატებთ

პირსზე დაყრდნობით შემუშავებულ კანონისა და კაუზალობის ინტერვენციონისტულ ცნებას,[1] მაშინ შესაძლებელი იქნება ობიექტური სამყარო დროის ინდექსით აღვჭურვოთა და განვსაზღვროთ როგორც კანონზომიერად შეკავშირებულ საქმის ვითარებათა ერთობლიობა, რომელიც დროის მოცემულ მომენტში მოიპოვება ანდა დგება, და მაშასადამე, შესაძლებელია მისი გამოწვევა ინტერვენციათა გზით. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ სემანტიკურ სიბრტყეზე თხრობითი წინადადებებისა და მიზნის დამოკიდებული წინადადებების პროპოზიციული შედგენილობანი ამგვარ საქმის ვითარებებს წარმომადგენლობენ. ამ შემთხვევაში სამყაროს ცნების დახმარებით ხერხდება იმ ონტოლოგიურ წანამძღვართა გაცხადყოფება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მიზანმოღვაწეობის ზემოთ შემოტანილ მოდელთან. პროცესის *ტელოლოგიურ მოქმედად* გაგება რომ შევძლოთ, აუცილებელია, აქტორს (სულ ცოტა ფარულად მაინც) მივაწეროთ როგორც შეხედულებათა ჩამოყალიბებისა და შემოწმების, ისე განზრახვათა გამოცნობისა და შესრულების უნარი. ამით ჩვენ ვუშვებთ, რომ აქტორს ობიექტური სამყაროსადმი შეიძლება ძირეულად ორგვარი ურთიერთობა ჰქონდეს: მას ძალუძს არსებული საქმის ვითარებანი შეიმეცნოსა და სასურველ საქმის ვითარების არსებობა მიანიჭოს.

იგივე ონტოლოგიური წანამძღვრები მნიშვნელობენ *სტრატეგიული ქმედებისთვისაც*. სტრატეგიულად მოქმედი სუბიექტები, რომლებიც სამყაროში მხოლოდ ინსტრუმენტული ჩარევებით არ იფარგლებიან და თავიანთ მიზნებს სხვა აქტორთა გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის გზით მისდევენ, იძულებულნი არიან განავრცონ საიმისო კონცეპტუალური აპარატი, რაც სამყაროში ხდება (გადაწყვეტილებების მიღებაშემძლე აქტორები ნივთებისა და ხდომილებების წინააღმდეგ); მაგრამ შინასამყაროულმყოფთა კომპლექსურობით უფრო კომპლექსური როდი ხდება ობიექტური სამყაროს ცნება. სტრატეგიულ ქმედებად გათვითმყოფებული მიზანმოღვაწეობა ერთ სამყაროულ ცნებადვე რჩება. საპირისპიროდ ამისა, ნორმებით რეგულირებული და დრამატურგული ქმედებების ცნებებს დაწანამძღვრებული აქვთ ურთიერთობანი აქტორსა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში *მომდევნო* სამყაროს შორის.

ერთ შემთხვევაში არსებულ საქმის ვითარებათა ობიექტური სამყაროს გვერდით დგას *სოციალური სამყარო,* რომელსაც ისევე შეეხამება აქტორი როგორც როლების მოთამაშე სუბიექტი ვით – ის აქტორები, რომლებთაც ერთმანეთთან ლეგიტიმურად მოწესრიგებული ინტერპერსონული ურთიერთობების გაბმა ხელეწიფებათ. სოციალური სამყარო შედგება ინსტიტუციონური წესრიგებიდან, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი ინტერაქციები განეკუთვნებიან ყოველ ჯერზე გამარ-

[1] G.H.v. Wright, Explanation and Understanding, London 1971.

თლებულ სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობას; და ნორმათა ამგვარი კომპლექსის ყველა ადრესატი შედის ერთსადაიმავე სოციალურ სამყაროში. როგორც ისაა შესაძლებელი, რომ ობიექტური სამყაროს საზრისი არსებულ საქმისვითარებებზე დაყრდნობით განიმარტოს, ასევე შეიძლება სოციალური სამყაროს საზრისს შუქი მოვფინოთ ნორმათა ჯერარსული მნიშვნელოვნების (ანდა აღიარების ღირსობის) საშუალებით. სემანტიკურ სიბრტყეზე ნორმებს იმგვარადვე წარმომადგენლობენ საყოველთაო ნორმატიული წინადადებანი (ანდა მცნებები), რომლებსაც როგორც მართებული აღიარებენ ადრესატები, როგორც ფაქტების წარმომადგენლებად ჭეშმარიტი ასერტორული წინადადებანი გამოდიან.

როცა პროცესს *ნორმებით წარმართულ ინტერაქციად* განვსაზღვრავთ, წინასწარ ვგულისხმობთ, რომ ინტერაქციაში ჩაბმულები მათი მოქმედების სიტუაციის ნორმატიულ შემადგენელ ნაწილებს განასხვავებენ ამგვარივე ფაქტიური ნაწილებისაგან ე.ი. საშუალებებსა და პირობებს უფლებებისა და მოვალეობებისგან მიჯნავენ. მოქმედების ნორმატიული მოდელი იქიდან ამოდის, რომ ინტერაქციაში ჩაბმულებს ძალუძთ როგორც ის, რომ მაობიექტირებელი განწყობით მოეკიდონ რაღაცას, რაც ამგვარად არის ან არ არის ამგვარად; ასევე — ისიც, რომ ნორმების თანხმიერი განწყობით განეწყონ რაღაცისადმი, რასაც მათგან მართებულად ანდა უმართებულოდ მოითხოვენ. მაგრამ როგორც ტელეოლოგიური მოქმედების მოდელში ამ შემთხვევაშიც მოქმედება, უწინარესად, წარმოდგენილია აქტორსა და სამყაროს შორის ურთიერთობის სახით; იგულისხმება სოციალურ სამყაროსთან ურთიერთობა, რომლის პირისპირაც ნორმათა ადრესატის სახით დგას თავისი სოციალური როლის განმასახიერებელი აქტორი და რომელ სამყაროშიც მას ძალუძს ლეგიტიმურად დალაგებული ინტერპერსონული ურთიერთობების გაბმა. რა თქმა უნდა, არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში დაწანამძღვრებული არ არის თვითონ აქტორი როგორც სამყარო, რომელსაც იგი რეფლექსურად მოეკიდებოდა. მხოლოდ დრამატურგული ქმედება მოითხოვს მომდევნო წანამძღვრად სუბიექტურ საყმაროს, რომელთანაც მიმართებაში იმყოფება თავისი თავის თვითგანმასახიერებელი აქტორი.

დრამატურგული ქმედების შემთხვევაში აქტორი პუბლიკის წინაშე თავისი სახით წარმდგომის მეშვეობით, მიმართებაში შედის მისსავ სუბიექტურ სამყაროსთან. ეს შეიძლება განისაზღვროს განცდათა ერთობლიობად, რომელთანაც მოქმედი სუბიექტი პრივილეგირებულ მისასელელს ფლობს. რა თქმა უნდა, სუბიექტურობის ეს სფერო მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იმსახურებს „სამყაროს" სახელს, თუ სუბიექტური სამყაროს მნიშვნელობის გაცხადყოფება იმგვარადვეა შესაძლებელი, როგორც ნორმათა შემოღებულობაზე (საქმის ვითარებათა არსებობის ანალოგიურად) დაყრდნობით მოხდა სოციალური სამყაროს მნიშვნელო-

ბის ცხადყოფა. რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტურს იმ-გვარადვე წარმომადგენლობს განცდის გულწრფელად გამოთქმული წი-ნადადებები, როგორც ჭეშმარიტი გამოთქმები საქმის ვითარებებს, ხო-ლო მნიშვნელადი ნორმები გამართლებულ უნდა წინადადებებს წარმო-მადგენლობენ. უფლება არა გვაქვს სუბიექტური განცდები მენტალურ მდგომარეობებად გინა შინაგან ეპიზოდებად გავიგოთ; ამით ჩვენ მათ მყოფებს გინა ობიექტური სამყაროს შემადგენელ ნაწილებს დავამგვა-ნებდით. შეგვიძლია განცდათა ქონა ისეთ რაღაცად გავიგოთ, რაც წაა-გავს საქმის ვითარებათა არსებობას, მაგრამ უფლება არა გვაქვს, ერთი მეორეს შევუმსგავსოთ. გამოხატვის უნარმქონე სუბიექტს იმავე აზრით როდი „აქვს", იგი იმავე აზრით როდი „ფლობს" სურვილებსა თუ გრძნობებს, რა აზრითაც დაკვირვებად ობიექტს „აქვს" განფენილობა, წონა, შეფერილობა და ამდაგვარი ნიშან-თვისებანი. აქტორს იმ აზრით აქვს სურვილები და გრძნობები, რომ მას შეეძლო პუბლიკის წინაშე თავისი სურვილებისამებრ, სახელდობრ კი, ისე გამოემჟღავნებინა თავი-სი განცდები, რომ ეს პუბლიკა გამოხატულ სურვილებსა თუ გრძნობებს მოქმედ სუბიექტს – რამდენადაც მას მისი სჯერა – მია-წერდა როგორც სუბიექტურ რამეს.

დრამატურგულ ქმედებად პროცესის განსაზღვრებისას ჩვენ წინას-წარ ვგულისხმობთ, რომ აქტორი თავის შინაგან სამყაროს მიჯნავს გა-რე სამყაროდან. მართალია, აქტორს ძალუძს ერთმანეთისგან განასხვა-ოს მოქმედების სიტუაციის ნორმატიული და არანორმატიული შემად-გენელი ნაწილები; მოქმედების გოფმანისეული მოდელი არ ითვალისწი-ნებს იმას, რომ აქტორი სოციალურ სამყაროსთან ურთიერთობას *ნორ-მების თანხმიერი* განწყობით აბამს. იგი ლეგიტიმურად მოწესრიგებულ ინტერპერსონულ ურთიერთობებს ანგარიშს უწევს როგორც ოდენ სო-ციალურ ფაქტებს. ამიტომაც მგონია სწორი უნდა იყოს, რომ დრამა-ტურგული ქმედებაც იმ ცნებად დავახასიათოთ, რომელსაც *ორი* სამყა-რო აქვს დაწანამძღვრებული; სახელდობრ, ესენია შინაგანი და გარეგა-ნი გინა სუბიექტური და ობიექტური სამყაროები.

აქამდე გარჩეული აქტორი–სამყარო–მიმართებანი განეკუთვნება *აღ-წერათა* ონტოლოგიურ წანამძღვრებს, რომლებშიც მოქმედების შე-საბამის კონცეპტებს ვაწყდებით. იმით რომ ჩვენ როგორც სოციალური მეცნიერები ხელს მივყოფთ ამგვარ აღწერებს, წინასწარ ვუშვებთ, აქ-ტორი ურთიერთობას ამყარებსო იმ სამყაროებთან, რომელთა თაობაზეც ვფიქრობთ, რომ მათ წარმომადგენლობს მართებულ ასერტორულ ანდა ნორმატიულ თუ ექსპრესიულ წინადადებათა ერთობლიობა. როგორც კი *ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების* მოდელს მოვიმარჯვებთ, აუცილებელია, აქტორებს იგივე აქტორი–სამყარო–ურთიერთობანი მივა-წეროთ, ოღონდ ისინი რეფლექსურ ურთიერთობებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში ჩვენ სახელდობრ ვუშვებთ, რომ აქტორებს სამყაროსთან მათ მიერვე გაბმული მიმართებანი ამავე დროს ენობრივადაც ათვი-

სებული და მობილიზებული აქვთ ურთიერთგაგების მიზნის მისაღწევად, რომელსაც ისინი კოოპერაციულად მისდევენ. *თეითონ* აღწერილი სუბიექტები იყენებენ იმ წინადადებებს, რომელთა საფუძველზე აქამდე აღმწერ სოციალურ მეცნიერს შეეძლო, ცხადეყო ფაქტების, ნორმებისა და განცდების ე.ი. მიზანმიმართული, ნორმაწარმართული და დრამატურგული ქმედების რეფერენტთა სტატუსი. ინტერაქციის თანამონაწილენი ამგვარ წინადადებებს კომუნიკაციურ აქტებში იყენებენ, რომელთა მეშვეობითაც მათ სურთ იმგვარად მოილაპარაკონ თავიანთი სიტუაციის თაობაზე, რომ მათ თავიანთი მოქმედების შესაბამისი გეგმების შეთანხმებული კოორდინირება შეიძლონ.

კომუნიკაციური ქმედების ცნება გვავალდებულებს, აქტორები მოლაპარაკეებად და მსმენელებადაც განვიხილოთ, რომლებიც ობიექტურ, სოციალურსა თუ სუბიექტურ სამყაროში რაღაცასთან მიმართებას ამყარებენ და, ამასთანავე, ერთმანეთს უყენებენ მნიშვნელოვნების პრეტენზიებს, რომლებიც შეიძლება აღიარებული და უკუგდებული იქნან. აქტორებს აღარ აქვთ რაღაცასთან *პირდაპირი* მიმართება ობიექტურ, სოციალურსა თუ სუბიექტურ სამყაროში, არამედ სამყაროში რაღაცის თაობაზე მათი გამოთქმა გაშეფარდებითებულია იმ შესაძლებლობით, რომ ამგვარ გამოთქმათა მნიშვნელოვნება სხვა აქტორთა მიერ იქნება უკუგდებული. ურთიერთგაგება მოქმედების მაკოორდინირებელ მექანიზმად იმგვარად ფუნქციონირებს, რომ ინტერაქციის თანამონაწილენი ერთიანდებიან მათი გამოთქმების მიერ მოთხოვნილი *მნიშვნელობის* თაობაზე ე.ი. ისინი ინტერსუბიექტურად აღიარებენ ერთმანეთის მიმართ წაყენებულ *მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიებს.* მოლაპარაკე კრიტიზირებად პრეტენზიას აყენებს იმით, რომ იგი თავისი გამოთქმით, სულ ცოტა, ერთ „სამყაროსთან" ამყარებს მიმართებას და ამასთანავე სარგებლობს იმ გარემოებით, რომ აქტორსა და სამყაროს შორის ურთიერთობა არსებითად არის ხელმისაწედომი ობიექტური განხილვისას, რათა თავისი მოწინააღმდეგე რაციონალურად მოტივირებული პოზიციის დასაკავებლად გამოიწვიოს. თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ გამოყენებული სიმბოლური გამოსახულების სრულყოფილებას, მაშინ აუცილებელია, რომ აქტორმა – რომელიც ამ აზრით არის ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული – *თავისი გამოთქმით აშკარად წამოაყენოს მნიშვნელოვნების სწორედ რომ სამი პრეტენზია, სახელდობრ –*

– რომ გაკეთებული გამოთქმა ჭეშმარიტია (და შესაბამისად, რომ ფაქტობრივად არის შესრულებული ოდენ გაკერით მოხსენიებული პროპოზიციური შემცველობის არსებობის წანამძღვრები);

– რომ გამიზნული მოქმედება სწორია მნიშვნელად ნორმატიულ კონტექსტთან მიმართებაში (და შესაბამისად, რომ თეითონ არის ლეგიტიმური ის ნორმატიული კონტექსტი, რომელსაც ხამს ოგი ასრულებდეს) და

– რომ მოლაპარაკის გამომჟღავნებული ინტენცია იმგვარადაა ჩაფიქრებული, რაგვარადაც გამოიხატება.

ამრიგად, მოლაპარაკე მოითხოვს ჭეშმარიტებას გამოთქმებისთვის ანდა არსებობის წინასწარგულისხმობათათვის, – სისწორეს ლეგიტიმურად მოწესრიგებული მოქმედებებისთვის და მათი ნორმატიული კონტექსტისთვის, და — გულწრფელობას სუბიექტურ განცდათა შეტყობინებისთვის.

(ბ) სამყარო და ცხოვრების სამყარო თუ ჩვენ ქმედება სიტუაციათა დაძლევად გვესმის, მაშინ კომუნიკაციური ქმედების ცნება, ყოვლის უწინარეს, ორ ასპექტს ამოჭრის სიტუაციის დამძლეველიდან: ტელეოლოგიურ ასპექტს მოქმედების გეგმის ხორცშესხმისა და სიტუაციის განმარტებისა და თანხმობის მიღწევის კომუნიკაციურ ასპექტს. ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედებისთვის კონსტიტუციურია ის პირობა, რომ ინტერაქციაში ჩაბმულები თავიანთს გეგმებს შეთანხმებულად ახორციელებენ მოქმედების ერთობლივად განსაზღვრულ სიტუაციაში. ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ ორი რისკი: *ჩაფუშული ურთიერთგაგების* გინა უთანხმოებისა თუ გაუგებრობის რისკი და *მოქმედების ჩაშლილი გეგმის* გინა ხელისმოცარვის რისკი. ერთი რისკის თავიდან აცილება აუცილებელი პირობაა მეორე მათგანის დაძლევისა. ინტერაქციაში ჩაბმულები ვერ მიაღწევენ თავიანთს მიზნებს თუკი ვერ მოახერხებენ ურთიერთგაგების იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რომელიც აუცილებელია სიტუაციაში მოქმედების შესაძლებლობათათვის; ყოველ შემთხვევაში ისინი თავიანთი მიზნის მიღწევას ვეღარ შეძლებენ კომუნიკაციური ქმედების *გზით.*

სიტუაცია წარმოადგენს ცხოვრების სამყაროს ისეთ ნაჭერს, რომელიც გამოცალკევებულია თემასთან მიმართებაში. *თემა* ჩნდება, სულ ცოტა, ერთი მონაწილის ინტერესებთან და მოქმედების მიზნებთან დაკავშირებით; იგი შემოწერს სიტუაციის თემატიზებაშემძლე შემადგენელ ნაწილთა *არსებითს სფეროს* და ხდება აქცენტის მასზე გადატანა იმ გეგმათა მეშვეობით, რომლებსაც ინტერაქციაში ჩაბმულები სიტუაციის მათეული განმარტების საფუძველზე ადგენენ, რათა მათ შესაბამისი განზრახულობანი განახორციელონ. მოქმედების ინტერპრეტირებული სიტუაცია შემოწერს *მოქმედების ალტერნატივათა* ხსნილ სარბიელს ე.ი. გეგმათა ხორცშესხმის პირობებსა და საშუალებებს. სიტუაციაში შედის ყველაფერი, რაც თავს იჩენს როგორც შესაბამისი მოქმედების ინიციატივათა *შეზღუდვა.* მაშინ, როცა აქტორს ზურგს უკან ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების წყაროდ ცხოვრების სამყარო აქვს, შეზღუდვები, რომლებსაც მას თავს ახვევენ მისეულ გაგებათა ხორცშესხმის გარემოებანი, მას სიტუაციის შემადგენელ ნაწილებად უპირისპირდებიან. და სამყაროს სამი ფორმალური ცნების მიმართების სისტემაში შესაძლებელია სიტუაციის დახარისხება ფაქტების, ნორმებისა და განცდების მიხედვით.

როცა სიტუაციის ცნება ამგვარად შემოაქვთ, შესაძლებელი ხდება „სამყაროსა“ და „ცხოვრების სამყაროს“ გამიჯვნა როგორც საგანთა *თემატიზების,* ისე *ინიციატივის სარბიელთა შეზღუდვის* თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა, კონცეპტი „სამყარო“ და „ცხოვრების სამყარო“ გამოიყენება იმ სფეროთა გასამიჯნად, რომლებზეც მოცემულ სიტუაციაში ან მიუწვდებათ ხელი თემატიზების მონაწილეებს ანდა მათგან გასხლტილი რჩებიან. თანამონაწილეთა სიტუაციაზე მიპყრობილი პერსპექტივიდან ცხოვრების სამყარო *ურთიერთგაგების პროცესთა საწიერთმსაჯველ კონტექსტად* გამოიყურება, რომელიც საზღვრავს მოქმედების სიტუაციას და ამიტომ თემატიზებისათვის მიუწვდომელი რჩება. თემებთან ერთად ადგილმდებარეობას იცვლიან ცხოვრების სამყაროს ის ნაჭრები, რომლებიც არსებითია სიტუაციისთვის, რომლებზეც ურთიერთგაგების მოთხოვნილება არსებობს. მოქმედების აქტუალიზებათა სურვილისამებრ თემატიზებად წანამძღვრებს, რომელთა მეშვეობითაც ინტერაქციის თანამონაწილენი სამყაროში რაღაცის თაობაზე თანხმდებიან, *მხოლოდ და მხოლოდ* ის განეკუთვნება, რაც სწორედ ამგვარად შეიძლება იქცეს სიტუაციის შემადგენელ ნაწილად. მართალია, სიტუაციაზე დამოკიდებული ეს წინასწარგულისხმობანი აუცილებელ კონტექსტს ქმნიან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი კონტექსტი; ისინი არა კმარან, რათა ენობრივად სტანდარტიზებულ გამოსახულებათა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ტექსტის სრულად განსაზღვრულ მნიშვნელობად განასრულოს; ამიტომ არის მართებული *სიტუაციის კონტექსტისა და ცხოვრების სამყაროს კონტექსტის* ერთმანეთისგან გამიჯვნა.

როგორც სერლმა გვიანდელ ვიტგენშტაინზე დაყრდნობით აჩვენა, ტექსტის მნიშვნელობის წვდომა შესაძლებელია მხოლოდ კულტურულად ურთიერთშეწყობილ წინარეგაგებათა იმ ფონის წინაშე, რომელსაც ცხოვრების სამყარული ფონისმიერი დაშვების სტატუსი აქვს. უცნაური თვისებების მქონეა ეს ფუნდამენტური ფონისმიერი ცოდნა, რომელიც მოწოდებულია, რათა უჩუმრად განასრულოს ენობრივად სტანდარტიზებულ გამოხატულებათა მისაღებობის პირობების შეცნევა იმისათვის, რომ მსმენელმა შეიძლოს მისი სიტყვათსიტყვითი მნიშვნელობის გაგება. ეს არის *ფარული* ცოდნა, რომლის გადმოცემა ბევრი, მაგრამ სასრული რაოდენობის პროპოზიციებით შეუძლებელია; იგი წარმოადგენს *ჰოლისტურად სტრუქტურირებულ* ცოდნას, რომლის ელემენტები ერთმანეთზე მიუთითებენ; და ეს არის ცოდნა, რომელიც იმდენად *არ არის ჩვენს განკარგულებაში,* რამდენადაც ჩვენ არ ძალგვიძს სურვილისამებრ გავაცნობიეროთ იგი და სურვილისამებრვე ეჭვი შევიტანოთ მასში. ცხოვრების სამყარო გააწინდებულია იმ თაეისთავადგასაგებობათა მოდუსში, რომლებიც ინტუიტურად ისე აქვს გაშიგნებული კომუნიკაციურად მოქმედ სუბიექტს, რომ იგი არც კი ითვალისწინებს მი-

სი პრობლემატიზების შესაძლებლობას. ცხოვრების სამყარო არ არის „გაცოდნებული“ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, რადგან ცოდნას ის ახასიათებს, რომ შესაძლებელია მისი გადავება და დასაბუთება. იმ გამოხატულებათათვის, რომლებითაც ინტერაქციის თანამონაწილენი სამყაროში რაღაცას როგორც რაღაცას თემად იხდიან – *სურვილისამებრ თემატიზებაშემძლე* კონტექსტს ქმნის ცხოვრების სამყაროს მხოლოდ და მხოლოდ ის ნაჭერი, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სიტუაციურად მნიშვნელოვანია.[1]

მაგრამ ცხოვრების სამყაროს არა აქვს მხოლოდ *კონტექსტისმქმნელი* ფუნქცია. ამავე დროს იგი დაჯერებულობათა რეზერვუარიცაა, რომელსაც ეწაფებიან ხოლმე კომუნიკაციის თანამონაწილენი, რათა კონსენსშემძლე ინტერპრეტაციებით დაიკმაყოფილონ ურთიერთგაგების ის მოთხოვნილება, რომელიც სიტუაციაში გაჩნდა. ცხოვრების სამყარო, როგორც *რესურსი, კონსტიტუციურია* ურთიერთგაგების პროცესებისთვის. ამრიგად, „სამყარო“ და „ცხოვრების სამყარო“ ერთმანეთისგან იმიჯნებიან არა მხოლოდ საგანთა თემატიზების თვალსაზრისით, არამედ მოქმედების სარბიელთა შეზღუდვის თვალსაზრისითაც. ცხოვრების სამყარო – რამდენადაც იგი გათვალისწინებულია როგორც *ინტერპრეტაციის რესურსი* – შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ფონისეულდაშვებათა ორგანიზებულ მარაგად, რომელიც თავისთავის კვლავწარმოებას კულტურელური მემკვიდრეობის ფორმით ეწევა. კულტურელურად გადმოცემული ფონისეული ცოდნა გარკვეულწილად ტრანსცენდენტალურ მდებარეობას იკავებს იმ კომუნიკაციურ გამოსახულებებთან მიმართებაში, რომლებიც ფონისეულცოდნათა შემწეობითვეა შექმნილი. იგი წინდაწინვე ზრუნავს იმაზე, რომ კომუნიკაციის თანამონაწილეს შინაარსობრივად ინტერპრეტირებული დახვდეს ობიექტურ, სოციალურსა და სუბიექტურ სამყაროებს შორის კავშირ-მიმართება. თუკი კომუნიკაციის მონაწილე გასცდება მოცემული სიტუაციის ჰორიზონტს, იგი სიცარიელეში როდი შეაბიჯებს; იგი მაშინვე კვლავ კულტურელურ თავისთავადგასაგებობათა სხვა, მაგრამ აქტუალიზებულ თუმც კი წინასწარინტერპრეტირებულ სფეროში აღმოჩნდება. ყოველდღიურობის კომუნიკაციურ პრაქტიკაში არ მოიპოვება სრულიად უცნობი სიტუაციები. ახალი სიტუაციებიც კი იმავე ცხოვრების სამყაროდან ამოტივტივდებიან, რომელიც ყოველთვის უკვე დაშენებულია კულტურელური ცოდნის მარაგზე. კომუნიკაციურად მოქმედებს ისევე არ ძალუძთ მის მიმართ გარესამყარული მდგომარეობა დაიკავონ, როგორც მათ ამის გაკეთება არ შეუძლიათ ენასთან როგორც ურთიერთგაგების პროცესთა მედიუმთან მიმართებაში.

---

[1] J. Searle, Literal Meaning, in: ders., Expression and Meaning, Cambr., 1979, 117ff.

კომუნიკაციის თანამონაწილე — მეტყველება-მოქმედებას ასრულებს თუ მას გებულობს – ისე სწრაფად მოძრაობს თავისი ენის შიგნით, რომ მას არ ძალუძს აქტუალური გამოთქმა „ინტერსუბიექტურ რაღაცად" ზუსტად ისევე *გაითვალისწინოს*, როგორც იგი ხდომილებას შეიცნობს, ვით რაღაც ობიექტურს, ქცევისმოლოდინს ვით რაღაც ნორმატიულს აწყდება ანდა სურვილსა და გრძნობას, ვით რაღაც სუბიექტურს განიცდის გინა სხვებს მიაწერს. ურთიერთგაგების მედიუმი *ნახევრული ტრანსცენდენტობის* უცნაურ მდგომაროებაში იმყოფება. ვიდრე კომუნიკაციის თანამონაწილენი პერფორმაციულ განწყობას ინარჩუნებენ, აქტუალურად გამოყენებული მათ *ზურგს უკან* რჩება. ამიტომ არის, რომ კულტურა და ენა, როგორც წესი, არ შედიან სიტუაციის შემადგენელ ნაწილებში. ისინი არასგზით არ ზღუდავენ მოქმედების სარბიელს და სამყაროს ვერც ერთ რომელიმე იმ კონცეპტში ეტევიან, რომელთა დახმარებითაც კომუნიკაციაში ჩაბმულნი ერთმანეთს უთანხმდებიან სიტუაციის თაობაზე. მათ არ *ესაჭიროებათ* კონცეპტები, რომლებშიც შესაძლებელი შეიქნებოდა მათი გაგება მოქმედების სიტუაციის ელემენტებად.[1]

ამასთანავე კულტურელურ მემკვიდრეობათაგან განსხვავებულად არის ინსტიტუციებსა და პერსონულობის სტრუქტურათა საქმე. მათ შეუძლიათ სრულიად შეზღუდონ აქტორთა ინიციატივის სარბიელი და მათ სიტუაციის შემადგენელ ნაწილებად *შემოიყარონ.* ამიტომ ისინი როგორც ნორმატიულნი და სუბიექტურნი, ასე ვთქვათ ძირეულად, მოქცეულნი არიან სამყაროს ერთ–ერთ ფორმალურ ცნებათაგანში. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ არ უნდა გვაცდუნოს იმ ვარაუდისთვის, რომ ნორმები და განცდები (ფაქტების, და ამრიგად, ნიეთებისა და ხდომილებების მსგავსად) მხოლოდ და მხოლოდ ისეთ რაღაცად გვევლინებოდნენ, რომელთა თაობაზეც ინტერაქციის მონაწილენი ერთმანეთს უთანხმდებიან. მათ ძალუძთ ორკეცი სტატუსის შეძენა; ერთი მხრივ — სოციალური გინა სუბიექტური სამყაროს შემადგენელი ნაწილებისა; ხოლო მეორე მხრივ – ცხოვრების სამყაროს კულტურელური კომპონენტებისა. ცხოვრების სამყაროსეული ფონი შედგება ინდივიდუალური

---

[1] კულტურა და ენა მხოლოდ იშვიათ წამებში – *როცა* რესურსად ყოფნაზე *გაწბილებენ* — გვიწევენ თავისებურ წინააღმდეგობას, რასაც ვწვნეულობთ ხოლმე მოშლილი ურთიერთგაგების სიტუაციებში. ასეთ შემთხვევებში მას ესაჭიროება მთარგმანებელთა, ინტერპრეტატორთა ანდა თერაპევტთა მხრივ შეკეთება. მათ განკარგულებაშიც კი სამყაროს ჩვენთვის უკვე ცნობილი სამი ცნებაა, როცა სურთ სიტუაციის ერთობლივ განმარტებაში ჩართონ ცხოვრების სამყაროს ისეთი ქმედითი, მაგრამ ფუნქციამოშლილი ელემენტები, როგორიცაა გაუგებარი გამოხატულებანი, გაუმჭვირვალე ტრადიციები, და უკიდურეს შემთხვევაში – გაუშიფრავი ენა. აუცილებელია, რომ მათ ცხოვრების სამყაროს ელემენტებს – რომლებიც რესურსად გამოყენებაზე უარს ამბობენ – იდენტიფიკაცია უყონ იმ კულტურელურ ფაქტებად, სარბიელს რომ ზღუდავენ.

გაწაფულობებისაგან, ინტუიტური ცოდნისაგან იმის შესახებ, თუ *როგორ* უნდა მოხდეს სიტუაციის დაძლევა; მასში როდი შედის უფრო ცოტა შესისხლხორცებული პრაქტიკები და ინტუიციური ცოდნა – *რომელსაც* სიტუაციაში სუბიექტი დაენდობა ხოლმე – ვიდრე ტრივიალურად გაცნობიერებული ფონისეული დაჯერებულობანი. საზოგადოება და პერსონულობა მარტოდენ შეზღუდვებად როდი ქმედითობენ, არამედ რესურსებადაც გვადგებიან. ცხოვრების სამყაროს კითხვაშეუვალობა, რომლის საფუძველზეც კომუნიკაციური მოქმედება სრულდება, აიხსნება იმ საიმედობით, რომელსაც აქტორი ნაწრთობ სოლიდარობებსა და შემოწმებულ კომპეტენციებს უმადლის. ამრიგად, პარადოქსული ხასიათი ცხოვრების სამყაროსეული ცოდნისა — რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აღძრავს აბსოლუტური უტყუარობის გრძნობას, რომ მის *შესახებ* ცოდნას არა ვფლობთ – იმ გარემოების წყალობაა, რომ ცოდნა, *რომელსაც* ვეძლევით და ვიცით რაღაც როგორ ვაკეთოთ ჯერ ისევ გაუმიჯნავად არის დაკავშირებული იმასთან, *რაც* წინარერეფლექსურად არის ცნობილი. მაგრამ თუ ღირებულებათა და ნორმათა მეშვეობით შეკრულ ჯგუფთა სოლიდარობანი და გასაზოგადოებისეულ ინდივიდთა კომპეტენციები კულტურელურ გადმოცემათა გვარად a tergo შეერთვიან კომუნიკაციურ ქმედებას, მაშინ მართებულია შესწორებული იქნეს *ცხოვრების სამყაროს კონცეპტის კულტურალისტური შეკვეცა.*

(გ) მე შემოვიტანე ცხოვრების სამყაროს კონცეპტი როგორც კომუნიკაციური ქმედების ფონი. მაშინ როცა მოქმედ სუბიექტს ცხოვრების სამყაროს სიტუაციურად მნიშვნელოვანი ნაჭერი იმთავითვე თავს ეხვევა პრობლემად, რომელიც მან პირადი პასუხისმგებლობით უნდა გადაჭრას, მას a tergo განსაზღვრავს მისივე ცხოვრების სამყაროს ფონი. სიტუაციათა დაძლევა წრიულ პროცესად წარმოგვიდგება, რომელშიც აქტორი ერთსადაიმავდროულად ანგარიშგასაწევ მოქმედებათა *ინიციატორიც* არის და *პროდუქტიც* იმ მემკვიდრეობებისა, რომელშიც იგი იმყოფება; – იმ სოლიდარული ჯგუფებისა, რომლებშიც იგი შედის; — სოციალიზაციისა და სწავლის პროცესებისა, რომელთა გავლენის ქვეშ იგი არის. თუ ჩვენ მოქმედი სუბიექტის პერსპექტივის ნაცვლად ცხოვრების სამყაროს პერსპექტივას დავიკავებთ, მაშინ ძალგვიძს საკითხის მოქმედების თეორიული დაყენება საკითხის საკუთრივ სოციოლოგიურ დაყენებაში გადავიტანოთ: ცხოვრების - სამყაროს კვლავწარმოების რა ფუნქციებს იღებს თავის თავზე ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედება. ინტერაქციის თანამონაწილენი სიტუაციის თაობაზე ერთმანეთს რომ უთანხმდებიან, იმ კულტურელურ მემკვიდრეობაში იმყოფებიან, რომელსაც ისინი ერთსადაიმავდროულად იყენებენ და *ანახლებენ* კიდეც; ინტერაქციის თანამონაწილენი მათი მოქმედებების კოორდინირებას რომ მნიშვნელოვნების ინტერსუბიექტურად აღიარებული და კრიტიზირებადი პრეტენზიების მეშვეობით ეწევიან, სოციალურ ჯგუფებში შემავლობას ემყარებიან და ამავე დროს მათს ინსტენციას განამტკიცებენ;

იმით რომ მოზარდები ინტერაქციებში მონაწილეობენ *კომპეტენტურად* მოქმედ მიმართების პერსონებთან ერთად, ისინი იშიგაგნებენ თავისი სოციალური ჯგუფის ღირებულებითს ორიენტირებულობებს და იძენენ მოქმედების გენერალიზებულ უნარებს.

ურთიერთგაგების ფუნქციური ასპექტით კომუნიკაციური ქმედება კულტურელური ცოდნის თაობიდან თაობისთვის გადაცემისა და განახლების სამსახურში დგას; *მოქმედების კოორდინირებულობის* ასპექტით იგი სოციალურ ინტეგრაციასა და სოლიდარობის აღმოცენებას ემსახურება; დაბოლოს, *სოციალიზაციის ასპექტით* კომუნიკაციური ქმედება ხელს უწყობს პერსონულ იდენტობათა ჩამოყალიბებას. ცხოვრების - სამყაროს სიმბოლური სტრუქტურები თავიანთს თავს კვლავ იწარმოებენ მნიშვნელადი ცოდნის, ჯგუფური სოლიდარობის სტაბილიზებისა და შერაცხად აქტორთა მომზადების უწყვეტად განგრძობის გზაზე. კვლავწარმოების პროცესი ახალ-ახალ სიტუაციებს რთავს ხოლმე ცხოვრების სამყაროს უკვე არსებულ მდგომარეობებში; – ამგვარი ჩართვა სახელდობრ ისევე ხდება მნიშვნელობათა გინა შინაარსთა (კულტურელური გადმოცემების) *სემანტიკურ* განზომილებაში, როგორც *სოციალური სივრცისა* (სოციალურად ინტეგრირებულ ჯგუფების) და *ისტორიული დროის* (ერთმანეთს მოყოლებული თაობების) განზომილებებში. *კულტურელური კვლავწარმოების, სოციალური ინტეგრაციისა და სოციალიზაციის* ამ პროცესებს ცხოვრების სამყაროს *სტრუქტურელურ კომპონენტებად* შეესატყვისებიან კულტურა, საზოგადოება და პერსონა.

კულტურას მე ვუწოდებ ცოდნის მარაგს, საიდანაც თავიანთს ინტერპრეტაციებს უზრუნველყოფენ კომუნიკაციის თანამონაწილენი *საზოგადოებას* მე ვუწოდებ ლეგიტიმურ წესრიგებს, რომელთა მეშვეობით კომუნიკაციის თანამონაწილენი აწესრიგებენ სოციალური ჯგუფებისადმი კუთვნილებას და ამით სოლიდარობას განიმტკიცებენ. *პერსონულობად* მე მესმის ის კომპეტენციები, რომლებიც სუბიექტს მეტყველება და მოქმედებაშემძლედ ხდიან, და ამრიგად საშუალებას აძლევენ ურთიერთგაგების პროცესში მონაწილეობისა, და ამასთანავე, – საკუთარი იდენტობის დადასტურებისა. სიმბოლურ შედგენილობათა სემანტიკური ველი, სოციალური სივრცე და ისტორიული დრო ქმნიან *განზომილებებს,* რომლებშიც კომუნიკაციური მოქმედებანი განიფინებიან. ყოველდღიურობის კომუნიკაციურ პრაქტიკად ნაქსოვი ბადე ქმნის იმ მედიუმს, რომელშიც თავიანთი თავის კვლავწარმოებას ეწევა კულტურა, საზოგადოება და პერსონა. კვლავწარმოების ეს პროცესები ვრცელდებიან ცხოვრების სამყაროს *სიმბოლურ* სტრუქტურებზე; აუცილებელია, მისგან განვასხვაოთ ცხოვრების სამყაროს *მატერიალური სუბსტრატის* შენარჩუნება.

მატერიალური კვლავწარმოება სრულდება მიზანთმოლვაწეობის მედიუმში, რითაც გასაზოგადოებისეული სუბიექტები სამყაროში იჭრებ-

იან, რათა ხორცი შეასხან თავიანთს მიზან-დასახულობებს. როგორც მაქს ვებერმა შეამჩნია, პრობლემა, რომელიც მოქმედ სუბიექტს დასაძლევი აქვს შესაბამის სიტუაციაში, „შინაგანი“ და „გარეგნული უცილობლობის“ მქონე პრობლემად განიყოფება. ამოცანათა ამ კატეგორიებს, რომლებიც მოქმედების პერსპექტივიდან წარმოიშობიან, ცხოვრების სამყაროს შენარჩუნების პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, სიმბოლური და მატერიალური კულაეწარმოების პროცესები შეესატყვისებიან.

(4) *კომუნიკაციური ქმედებისა და ცხოვრების სამყაროს ცნებები* მე ინტუიტურად შევიმუშავე სოციოლოგიური დისკუსიის კონტექსტში. გარკვეული წინარეგაგების გაცხადყოფებას, ყოველ შემთხვევაში, ხელეწიფება იმ ფორმალურ-პრაგმატული ცნებითი ანალიზის შემზადება, რომლის შესრულებაც მე მოცემულ შემთხვევაში არ შემიძლია. ქვემოთ ჩამოვთვლი რეკონსტრუქციის მცდელობას, რომლებიც მე სხვა შრომებში შევასრულე.

(ა) *შედეგზე ორიენტირებულობა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულობის წინააღმდეგ.* კომუნიკაციური ქმედების სტრატეგიულისგან გასამიჯნად აუცილებელია იმის განმარტება, თუ რას ნიშნავს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული განწყობით ქმედება. ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულს მე კომუნიკაციის თანამონაწილეთა იმ განწყობას ვუწოდებ, რომლითაც ერთი თანამონაწილე მარტივ შემთხვევებში მეტყველების აქტს ასრულებს ხოლმე, ხოლო მეორე მის მიმართ „ჰო“ ან „არა“ პოზიციას იჭერს. ცხადია, რომ ენობრივად გაშუალებული თითოეული ინტერაქცია როდი წარმოადგენს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების მაგალითს. მარტივი მეტყველება-მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოდგეს ისეთი კონსენსის ქმნის მოდელად, რომელიც თავის მხრივ არ დაიყვანება შედეგზე ორიენტირებულ ქმედებაზე, თუ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული სიტყვათხმარება, საზოგადოდ, სიტყვათსარგებლობის ძირეულ მოდუსად დახასიათების საშუალებას იძლევა, რომლის ხარჯზეც არსებობს შედეგზე ორიენტირებული სიტყვათხმარება და ნართაული გაგებინება (მიხვედრინება). ამრიგად, ამოცანას წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ ჩვენ არ ძალგვიძს გავიგოთ, თუ რას ნიშნავს *მსმენელის ეფექტთა* ენობრივი *ამოქმედება,* თუკი წინადაწინ არ ვუწყით, რას მოასწავებს ის, რომ მოლაპარაკე და მსმენელი კომუნიკაციური აქტის მეოხებით რაღაცის თაობაზე *თანხმობას* აღწევენ. ამის ზუსტად დასაბუთებას ეწევა მეტყველება-მოქმედებათა ილოკუციური ძალებისა და პერლოკუციური ზემოქმედებების გამოწვლილვითი გამოკვლევა. მეტყველება-მოქმედებანი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იდგნენ მსმენელზე ზემოქმედების პერლოკუციონური განზრახულობის სამსახურში, როცა ისინი ზედგამოჭრილნი არიან ილოკუციონურ მიზანთა მისაღწევად. თუკი მსმენელი ვერ გაიგებდა იმას, რასაც მოლაპარაკე ამბობს, ტელეოლოგიურად მოქმედი მოლაპარაკეც კი ვერ შეძლებდა კომუნიკაციური აქტების დახმარებით მსმენელი შეეგულიანებინა ისე მოქცეულიყო, როგორც მოლაპარაკისთვის იქ-

ნებოდა სასურველი. ამდენად შედეგზე ორიენტირებული სიტყვათხმარება არ არის ძირეული სიტყვათხმარება, არამედ იგი მეტყველება-მოქმედებებს, რომლებიც ილოკუციურ მიზნებს ემსახურებიან, წარმატებაზე ორიენტირებული ქმედების პირობებს უქვემდებარებს.[1]

(ბ) *რაციონალურად მოტივირებული თანხმობა.* კომუნიკაციური ქმედების ცნება იმ მტკიცების ალიკვალია, რომ კომუნიკაციურ თანხმობას მოლაპარაკის მიერ მეტყველების აქტით შენაძლევზე მსმენელის მხრივ აფირმაციული პოზიციის უმარტივეს შემთხვევაში, მოქმედების კოორდინირების ფუნქციათა შესრულება ძალუძს. თავისი „ჰო"-თი მსმენელი აფუძნებს თანხმობას, რომელიც ერთი მხრივ *გამოთქმის შინაარსს* ემყარება, მეორე მხრივ კი – მეტყველების აქტისთვის იმანენტურად *დამახასიათებელ დასაწინდრებებსა და ინტერაქციის შედეგებისთვის მნიშვნელოვან ვალდებულებებს.* მოქმედების პოტენციალი, რომელიც მეტყველების აქტთა ტიპური მახასიათებელია, გამოიხატება იმ პრეტენზიაში, რომელსაც მოლაპარაკე ცხადქმნილი მეტყველება-მოქმედებების შემთხვევაში პერფორმაციული ზმნის დახმარებით წამოაყენებს იმისთვის, რასაც ამბობს. ამ პრეტენზიას რომ სცნობს, მსმენელი ღებულობს მეტყველების აქტით გაკეთებულ შენაძლევს. ეს ილოკუციონური შედეგი იმდენად არის მოქმედებისეულად მნიშვნელოვანი, რამდენადაც მისი მეშვეობით იწარმოება მოლაპარაკესა და მსმენელს შორის ინტერპერსონული ურთიერთობა, რომელიც ალაგებს მოქმედების სარბიელსა და ინტერაქციის შედეგებს და მოქმედების ძირითადი ალტერნატივების გზით მსმენელისათვის შემოერთების შესაძლებლობებს ხსნის. მაგრამ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან იღებენ მეტყველება-მოქმედებანი თავიანთს მოქმედების მაკოორდინირებელ ძალას, თუკი ისინი ამგვარ ავტორიტეტს – როგორც ინსტიტუციონალურად დაკავშირებულ მეტყველება-მოქმედებათა შემთხვევაში – უშუალოდ ნორმათა სოციალური მნიშვნელოვნებიდან არ გადმოიღებენ ხოლმე, ანდა — როგორც ნების იმპერატივულ გამოვლინებათა შემთხვევაში — ზემოთხსენებულ ავტორიტეტს სანქციის იმ პოტენციალის წყალობად არ მიიჩნევენ, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდება ხოლმე მათს განკარგულებაში.

უფრო გამოწვლილვითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეტყველების აქტით შეძლეულის რაციონალურად მამოტივირებელი ძალა არ გამომდინარეობს, ასე ვთქვათ, თქმულის მნიშვნელობიდან, არამედ იგი წარმოიშობა იმ *თავდებობიდან,* რომელსაც მოლაპარაკე კისრულობს და რომელიც იმაში გამოიხატება, რომ იგი აუცილებლობის შემთხვევაში იზრუნებს წამოყენებული პრეტენზიის შესრულებაზე. ჭეშმარიტებისა და სისწორის ე.ი. საბუთების მოტანის, ხოლო გულწრფელობის პრეტენზიათა შემთხვევაში – მყარი ქცევების გზით ანაღდებს. (პარტნიორის დარწმუნება იმაში, რომ შენ იმასვე ფიქრობ, რასაც ამბობ, შესაძლებელია მხოლოდ შენი საქმის ნაყოფით და არა საბუთების მოტანით). რო-

[1] Habermas (1981) Bd. 1, 387-397.

გორც კი მსმენელი მთლიანად მიეცემა მოლაპარაკის მიერ შემოთავაზებულ თავდებობას, ძალაში შედის *ინტერაქციის შედეგთათვის მნიშვნელოვანი ის ვალდებულებები,* რომლებსაც შეიცავს თქმულის მნიშვნელობა. მოქმედებისთვის ვალდებულების დაკისრებანი, მაგალითად ბრძანებისა და მითითებათა შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ადრესატისთვის მნიშვნელობენ; შეპირებებისა და ხელშეკრულებების შემთხვევაში ისინი ორივე მხარისთვის სიმეტრიულად არიან მნიშვნელობის მქონენი; ხოლო ნორმატიულად გაშინაარსიანებული თათბირებისა და გაფრთხილებათათვის ისინი ორივე მხარისთვის ასიმეტრიულად მნიშვნელობენ.

მდგენელ მეტყველების აქტთა მნიშვნელობიდან რეგულაციური მეტყველება-მოქმედებებისგან განსხვავებით ვალდებულებანი მხოლოდ იმდენად გამომდინარეობენ, რამდენადაც მოლაპარაკე და მსმენელი ერთიანობას აღწევენ იმის თაობაზე, რომ ისინი თავიანთს ქმედებებს სიტუაციის იმ განმარტებებს დაამყარებენ, რომლებიც არც ერთ ცალკეულ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგებიან გამონათქვამებს, რომელთა ჭეშმარიტება ცნობილ იქნა. ექსპრესიული მეტყველების აქტების მნიშვნელობიდან უშუალოდ იმგვარად გამომდინარეობენ მოქმედების ვალდებულებანი, რომ მოლაპარაკე გულმოდგინედ შეარჩევს ხოლმე ისეთ რამეს, რასთანაც მისი ქცევა არ არის წინააღმდეგობაში ანდა ასეთ წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდება. ამრიგად, ურთიერთგაგებაზე დამყარებული კომუნიკაციის მნიშვნელოვნების ბაზისის წყალობით მოლაპარაკეს – იმით, რომ მნიშვნელოვნების კრიტიზირებადი პრეტენზიის შესრულებაზე თავდებობას კისრულობს – ძალუძს, მსმენელი მეტყველების აქტით შენაძლევის მისაღებად შეაგულიანოს და ამით გამოიწვიოს მიერთების უზრუნველმყოფელი დაკავშირების ეფექტი, რითაც განგრძობილ იქნება ინტერაქცია.

რა თქმა უნდა, ვალდებულებების ილოკუციონურ ეფექტებს მხოლოდ იმის გამო ძალუძთ, ემპირიული ქმედითობა მოიპოვონ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი დოზით, რომ კომუნიკაციური მოქმედებანი მოთავსებულნი არიან ცხოვრების სამყარულ კონტექსტებში, რომლებიც კონსენსის ერცელი ფონის საწინადარს წარმოადგენენ. (კომუნიკაციურ ქმედებაში ჩადებული უთანხმოების რისკის წონადობა არ ჰკიდია მარტოოდენ შემთხვევით გაჩაღებულ ინტერესთა კონფლიქტების პრობლემათა მხრივ დაწოლვაზე. მისი წონადობა სტრუქტურელურად მატულობს ცხოვრების სამყაროს მზარდ რაციონალიზებასთან ერთად, განსაკუთრებით – კულტურელურ მემკვიდრეობათა გარეფლექსურებითა და იმით, რომ ხდება ნორმატიული კონტექსტიდან კომუნიკაციური ქმედების გამოხსნა).

(3) *მნიშვნელოვნების პრეტენზიები და კომუნიკაციის მოდუსები.* მეტყველება-მოქმედებათა საყოველთაო პრაგმატული წანამძღვრების ანალიზის ბირთვს ქმნის ფორმალურ–პრაგმატული გამოკვლევა. ამასთანავე, *ჯერ ერთი* საქმე ეხება მნიშვნელოვნების კრიტიზირებადი პრეტენზიების პრაგმა-

ტულ როლს, რომელიც ინტერსუბიექტურ აღიარებას ეყრდნობა და საბუთთა პოტენციალს ემყარება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული თითოეული მეტყველება-მოქმედება, როგორც მთელი, შესაძლებელია უკუგდებულ ე.ი. უარყოფილ იქნეს სწორედ რომ სამი ასპექტით: სისწორის ასპექტით, რომელსაც მოლაპარაკე ნორმატიულ კონტექსტზე დაყრდნობით განზრახული მოქმედებისთვის (ანდა გაშუალებულად თვითონ ნორმებისთვის) წამოაყენებს; – ჭეშმარიტების ასპექტით, რომელსაც მსმენელი თავისი გამოხატულებით გამოთქმულისთვის (ანდა განორმებული გამონათქვამის შინაარსის არსებობის წინასწარგულისხმობათათვის) აყენებს; – დაბოლოს, გულწრფელობის ასპექტით, რომელსაც მოლაპარაკე წამოაყენებს თავისი პრივილეგირებულად ხელმისაწვდომი სუბიექტური განცდების გამოხატვისთვის. მსმენელის კომუნიკაციურ განზრახვას წარმოადგენს: (ა) ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც *სწორია* მოცემული ნორმატიული კონტექსტის გათვალისწინებით და მასსა და მსმენელს შორის ლეგიტიმურად ცნობილი ინტერპერსონულ ურთიერთობას აბამს; (ბ) *ჭეშმარიტი* გამოთქმის (ანდა არსებობის *მართებული* წანამძღვრების) შედგენა, რითაც მსმენელი გადმოიღებს და იზიარებს მოლაპარაკის ცოდნას; და – შეხედულებათა, განზრახვათა, გრძნობათა, სურვილთა და ა.შ. გულწრფელად გამოხატვა, რათა მსმენელმა ნათქვამი ირწმუნოს.

მეორეც, მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ანალიზი, რომელიც გამიზნულია ნორმატიულ დაჯერებულობათა, პროპოზიციური ცოდნისა და ურთიერთნდობის თანაზიარობაზე, იძლევა ენობრივი ურთიერთგაგების ძირეულ ფუნქციათა გასაღებს. ენა ემსახურება (ა) ინტერპერსონულ ურთიერთობათა წარმოებასა და განახლებას, რა დროსაც მოლაპარაკე რაღაცასთან არის მიმართებაში ლეგიტიმურ წესრიგთა *სამყაროს* შიგნით; (ბ) ენა ეწევა მდგომარეობათა და ხდომილებათა გამოსახვას გინა დაწანამძღვრებას, რა დროსაც მოლაპარაკე მიმართებაშია რაღაცასთან არსებულ საქმის ვითარებათა *სამყაროს* შიგნით; და (გ) ენა ამზეურებს განცდებს, გინა იგი ემსახურება თვითრეპრეზენტაციას, რა დროსაც მოლაპარაკე მიმართებას ამყარებს რაღაცასთან პრივილეგირებულად ხელმისაწვდომ სუბიექტურ სამყაროში.

მესამე, ამ ფუნქციებს შეესატყვისებიან სიტყვათხმარების ძირეული მოდუსები; აუცილებელია მასზე იქნეს დაყვანილი კერძოენობრივად ჩამოსხმულ ილოკუციონურ ძალთა ფართო სპექტრი. მხოლოდ და მხოლოდ ცოტაოდენ ილოკუციონურ ტიპს თუ აქვს ისეთი საყოველთაო ხასიათი, რომ ისინი უშუალოდ გამოდგნენ ძირეული მოდუსის უშუალო დახასიათებისთვის. შეპირებანი და ბრძანებები წარმოადგენენ რეგულაციური სიტყვათხმარების მაგალითებს, დადგენები და მტკიცებანი – მდგენელი სიტყვათხმარებისა; ხოლო გამხელები ექსპრესიული სიტყვათხმარების ნიმუშები არიან.

მეოთხე, ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული სიტყვათხმარების წმინდა ტიპები – ყოველის უწინარეს, მარტივ ნორმატიულ, ასერტორულ და ექსპრესიულ წინადადებათა გამოყენების ტიპური შემთხვევები – გვთავაზობენ კარგ მოდელებს სამყაროულ მიმართებათა და იმ ძირეულ განწყობათა ანალიზისთვის, რომლებითაც უნდა განეწყოს მოლაპარაკე, თუ მას სამყაროში რაღაცასთან მიმართების დამყარება სურს. ობიექტური, სუბიექტური და სოციალური სამყაროს ცნებებს შეესატყვისება *მაობიექტირებელი განწყობა,* რომლითაც ნეიტრალური დამკვირვებელი მიემართება რაღაცას, რასაც ადგილი აქვს სამყაროში; შემდეგ, *ექსპრესიული* განწყობა, რომლითაც თავისი თავის თვითგამომსახველი სუბიექტი პუბლიკის წინაშე აშიშვლებს თავისი შინაგანობის რაღაც ნაწილს, რასთანაც მას პრივილიგირებელი მისასვლელი აქვს; დაბოლოს, *ნორმების თანხმიერი განწყობა,* რომლითაც სოციალურ ჯგუფთა წევრი ასრულებს ანდა არ ასრულებს ქცევის ლეგიტიმურ მოლოდინებს.[1]

(დ) *ყოველდღიურობის კომუნიკაციური პრაქტიკა და ცხოვრების სამყარო.* დაბოლოს, ფორმალურ-პრაგმატული ანალიზი, რომელიც მაღალიდეალიზებულ, განკერძოებულსა და ელემენტარულ მეტყველება-მოქმედებებს ეხება, იქამდე უნდა ვაწარმოოთ ვიდრემდე შესაძლებელი არის მოქმედების კომპლექსურ კონტექსტთა და კომუნიკაციურად სტრუქტურირებულ ცხოვრების ფორმათა გამოკვლევის საყრდენი წერტილების შეცნობა. ამასთანავე, *ჯერ ერთი* საქმე ეხება ძირეულ პრობლემას, თუ როგორ მიმართებაშია მეტყველების აქტის სიტუაციური მნიშვნელობა წინადადების კომპონენტთა სიტყვასიტყვითს მნიშვნელობასთან. ნაჩვენები უნდა იქნეს, რომ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა დამოკიდებულია მის შევსებებზე სიტუაციის კონტექსტისა და ცხოვრების სამყაროსეული ფონის მეშვეობით. რა თქმა უნდა, ენობრივად სტანდარტიზებულ გამოსახულებათა ამგვარი გაშეფარდებითება არ იწვევს სემანტიკურ ინვარიანტობათა სემანტიკურ განზავებას და მას არ მივყავართ მნიშვნელოვნების თანამიმდევრულ რელატივიზმამდე; ვინაიდან ცხოვრების ცალკეული წესები არ მიანიშნებენ მხოლოდ მათს ოჯახისმიერ მსგავსებებეზე, არამედ, პირიქით, საზოგადოდ მათში ისევ და ისევ მეორდება ხოლმე საყოველთაო ინფრასტრუქტურები.[2] ასეთი მკაცრი თეზის დასასაბუთებლად არა კმარან მნიშვნელობის თეორიული განაზრებანი. მეორეც, აუცილებელია იმის დადასტურება, რომ შინაგანი კავშირი, ერთი მხრივ, მარტივ მეტყველება-მოქმედებათა სტრუქტურელურ შემადგენელ ნა-

---

[1] Habermas (1981) Bd. 1, 410-439. ჯერ ისევ არ დამისრულებია გამოკვლევები პრაგმატულ ლოგიკაში, რომელიც გაგვარკვევდა მნიშვნელოვნების იმ ინვარიანტობებში, რომლებიც წარმოიშობა კომუნიკაციის ერთი მოდუსიდან მეორეზე *მოწესრიგებული* გადასვლისას. მნიშვნელოვნების ინტერმოდალური ტრანსფერის საკითხისათვის შეად. ჰაბერმასი (1981), ტ.^, გვ. 442, შენიშვნა 84.

[2] Habermas (1981) Bd. 1, 449ff.; Bd. 2, 205ff.

წილებსა, და მეორე მხრივ, იმ ფუნქციებს შორის, რომელთა შესრულება ცხოვრების სამყაროს კვლავწარმოებისთვის ძალუძთ მეტყველება-მოქმედებებს.

პროპოზიციური, ილოკუციონური და ექსპრესიული შემადგენელი ნაწილები, რომლებიც მარტივ მეტყველება-მოქმედებათა ნორმალურ ფორმაში ამოიკითხება, თავდაპირველად მე მოლაპარაკის შემეცნებებს, ვალდებულებებსა და გამოხატულებებს შევუხამე. თუ განვითარების თეორიულ პერსპექტივაში შესადარებლად შემოვიტანთ ქცევათა კვლევიდან ცნობილ წინარე ენობრივ კორელატებს, დავინახავთ თუ როგორ შეიცვლებიან ისინი ენობრივ დონეზე. აღქმები და წარმოდგენები, ისევე როგორც ადაპტაციური ქცევები პროპოზიციურ სტრუქტურას იძენენ. რიტუალურად წარმოებული სოლიდარობანი და კოლექტივის წინაშე ვალდებულებანი ნორმებით რეგულირებული ქმედების სიბრტყეზე იხლიჩება, ერთი მხრივ, შემოღებულ ნორმათა ინტერსუბიექტურ აღიარებად; ხოლო მეორე მხრივ, მოქმედების ნორმების თანხმიერ მოტივად. სპონტანურად მოვლინებული ტანსმიტმასნილი ექსპრესიები ჰკარგავენ თავიანთს არათვითნებურობას, როცა ხდება მათი ჩანაცვლება ანდა განმარტება ენობრივი გამოხატვებით. ექსპრესიული გამოხატვები კომუნიკაციურ განზრახულობათა სამსახურში არიან; შესაძლებელია მათი ინტენციურად ამოქმედება.

შემეცნებათა, ვალდებულებათა და გამოხატულებათა ენობრივ ბაზისზე გადატანით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ კისრულობს ენობრივი კომუნიკაციის საშუალება განსაზღვრულ ფუნქციებს; გარდა *ურთიერთგაგების* ფუნქციისა, იგი თავისთავზე იღებს *მოქმედების კოორდინირებისა* და აქტორთა *გასაზოგადოებისმიერების* ფუნქციებს. ურთიერთგაგების ასპექტით კომუნიკაციური აქტები გამოიყენებიან *კულტურულად დაგროვილი ცოდნის* გადმოსაცემად: როგორც ვაჩვენეთ, კულტურული მემკვიდრეობა თავისი თავის კვლავწარმოებას ეწევა ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების მედიუმის გზით. იგივე კომუნიკაციური აქტები, მოქმედების კოორდინირების ასპექტით, შესაბამისი კონტექსტის მიხედვით ნორმათა *ჯეროვანი შესრულების* სამსახურში დგანან: სოციალური ინტეგრაციაც კი ამ მედიუმის მეშვეობით ხორციელდება. დაბოლოს, გასაზოგადოებისმიერების ასპექტით კომუნიკაციური აქტები მოიხმარებიან ქცევის შინაგან კონტროლთა მოსაწყობად და – საზოგადოდ, *პერსონულობის სტრუქტურათა* ჩამოსაყალიბებლად; მიდის ერთ-ერთი ძირეული თვალსაზრისთაგანია ის, რომ სოციალიზაციის პროცესები ენობრივად გაშუალებულ ინტერაქციათა გზით ხორციელდება.[1]

მესამე ამოცანად ფორმალურ-პრაგმატულ გამოკვლევათა ემპირისტულ საწყისებთან იმგვარი დაკავშირება რჩება, რომ ყოველდღიურობის

[1] Habermas (1981) Bd. 2, 97-117.

კომპლექსურ პრაქტიკაში შეღწევის ანალიტიკურმა ხელსაწყოებმა საკმარისი მოქნილობა შეიძინონ. სხვათა შორის, შესაძლებელია ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების ნორმატიულად შედგენილობაგასავსებული კონცეპტი, ნაყოფიერად იქნას გამოყენებული რეალობის ენობრივ სიბრტყეთა (როგორიცაა თამაში, ფიქცია, ხუმრობა, ირონია და ა.შ.) და ენობრივ პათოლოგიათა სისტემატურ კვლევაში.[1]

(4) ექსკურსები

(ა) *სოციალური ქმედების სიბრტყეები და საზოგადოებრივი ინტეგრაცია*

კომუნიკაციურსა და სტრატეგიულ ქმედებას სოციალური ქმედების ორ ტიპად განვიხილავ, რომლებიც ალტერნატივებს წარმოადგენენ თვითონ მოქმედი სუბიექტის პერსპექტივიდან; ინტერაქციის თანამონაწილეებმა აუცილებლად უნდა გააკეთონ არჩევანი ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულსა და შედეგზე ორიენტირებულ განწყობებს შორის, რაგინდ ინტუიტური იყოს ამგვარი არჩევანი. მიზანმოღვაწეობათა და კომუნიკაციათა სტრუქტურები, პირიქით, ერთმანეთისგან მხოლოდ ანალიტიკური ასპექტებით გამიჯვნის შესაძლებლობას იძლევიან. რა თქმა უნდა, ეს სტრუქტურები სხვადასხვანაირად არის აწყობილი იმისდამიხედვით, თუ რა ტიპისაა მოქმედება. სტრატეგიულ ინტერაქციებში შედეგზე ორიენტირებული სიტყვათხმარების აზრით გაგებული კომუნიკაციური საშუალებაც ჩაერთვება; კომუნიკაციური ქმედებისგან განსხვავებით აქ მოქმედების კოორდინირების მექანიზმად არ ფუნქციონირებს კონსენსის ენობრივი ქმნა. კომუნიკაციურ ქმედებაში ინტერაქციის თანამონაწილენი მოქმედების მათეულ გეგმებს ხორცს ასხამენ კომუნიკაციურად მიღწეული თანხმობის პირობით, მაშინ როცა თვითონ კოორდინირებული მოქმედებანი მიზანმოღვაწეობათა ხასიათს ინარჩუნებენ. მიზანმოღვაწეობა ისევე წარმოადგენს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული ქმედების კომპონენტს, როგორც – შედეგზე ორიენტირებულისა; ორივე შემთხვევაში მოქმედებანი ფარულად გულისხმობენ ობიექტურ სამყაროში ენერგიულ ჩარევას; მოქმედების განზრახულობასთან ერთად ისინი შესაძლოა, ინსტრუმენტულ მოქმედებებსაც ე.ი. ფიზიკურ საგანთა მანიპულაციურ სახეცვლილებებსაც მოიცავდნენ. ამრიგად, ინსტრუმენტული ქმედებანი შესაძლოა, ორივე ტიპის სოციალური ქმედების შემადგენელ ნაწილად მოგვეელინონ.

ცხოვრების სამყაროს მიზანმოღვაწეობის მედიუმში შესრულებულ მატერიალურ კვლავწარმოებასთან არის წილნაყარი როგორც სტრატეგიული, ისე კომუნიკაციური მოქმედებანი. მაშინ როცა ცხოვრების სამყაროს სიმბოლური კვლავწარმოება მარტოოდენ ურთიერთგაგებაზე ორინეტირებულ ქმედებაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ცხოვრების სამყაროს მატერიალური სუბსტრატის შენარჩუნება მისივე სიმბოლური

---

[1] Habermas (1981) Bd. 1, 440-447.

სტრუქტურების შენარჩუნების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მაგრამ ტრადიციათა ათვისება, სოლიდარობათა აღორძინება, ინდივიდთა გასაზოგადოებისმიერება საჭიროებს ყოველდღიური კომუნიკაციის ბუნებრივსა და ჰერმენევტიკასა, და ამრიგად, კონსენსის ენობრივი ქმნის მედიუმს. ინტერაქცია, რომელშიც ერთი მეორეს ზეგავლენის ობიექტად განიხილავს, გვერდს უვლის ენობრივად წარმოებული ინტერსუბიექტურობის ამ განზომილებას; ურთიერთზემოქმედების ჩარჩოებში შეუძლებელია მემკვიდრეობით იქნეს გადმოცემული კულტურელური შედგენილობანი; შეუძლებელია განხორციელდეს სოციალურ ჯგუფთა ინტეგრაცია და მოზარდთა სოციალიზაცია. მაშინ როცა ცხოვრების სამყაროს მატერიალური კვლავწარმოებისთვის სოციალურ ქმედებაში არსებითს ასპექტს მიზანმოღვაწეობა წარმოადგენს, ურთიერთგაგების ასპექტი ანგარიშგასაწევია ცხოვრების სამყაროს სიმბოლური კვლავწარმოებისათვის. შექცევადი ცალსახა კავშირი მარტოოდენ სიმბოლურად კვლავწარმოებელ ცხოვრების სამყაროსა და კომუნიკაციურ ქმედებას შორის არსებობს. ამგვარი სურათი ოდნავ რთულდება, თუ ჩვენ მატერიალური კვლავწარმოების ურთიერთობებს აღარ განვიხილავთ იმ მოქმედ სუბიექტთა შინაგანი პერსპექტივიდან, რომლებიც მიზანმიმართულად სძლევენ თავიანთს სიტუაციას, არამედ მათ სისტემად *ვასაგნობრივებთ*. ცხოვრების სამყაროს მატერიალური კვლავწარმოება არასოდეს არის მოკუმშული ისე მოხილვად განზომილებათა საზღვრით შემთხვევებს შორის, რომ ნებადართული იყოს მისი წარმოდგენა კოლექტიური თანამშრომლობის წინასწარგანზრახულ შედეგად. როგორც წესი, იგი ხორციელდება ხოლმე იმ ფუნქციათა ფარული შესრულების სახით, რომლებიც კომუნიკაციაში ჩაბმულთა მოქმედების ორიენტირებულობათა *ფარგლებს სცდებიან*. მაგრამ რამდენადაც კოოპერაციულ ქმედებათა შეერთებული მოღვაწეობანი მატერიალური სუბსტრატის შენარჩუნების იმპერატივებს ასრულებენ, ამდენად შესაძლებელია მოქმედების ამ კონტექსტთა ფუნქციური ე.ი. მათი ფუნქციური გვერდითი შედეგების სტაბილიზება უკუკონტროლის საშუალებით. მოქმედებათა ეს ფარული ფუნქციები მოითხოვენ მოქმედების *რეზულტატთა* და მოქმედების *შედეგთა* ისეთი სისტემატური კავშირის ცნებას, რომელიც სცდება მოქმედების *ორიენტირებულობათა* კომუნიკაციური გადაბმულობის ფარგლებს.

შეგვიძლია, საზოგადოებანი განვიხილოთ ცხოვრების სამყაროსა და სისტემის ასპექტთა მიხედვით; ამ ასპექტებით ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ საზოგადოებრივი ინტეგრაციის სხვადასხვა მექანიზმს. მეორე მხრივ კი, ერთმნიშვნელოვანი შეხამება მხოლოდ კომუნიკაციურ ქმედებასა და სოციალურ ინტეგრაციას შორის არსებობს. საპირისპიროდ ამისა, სისტემური ინტეგრაციის მექანიზმები განსაზღვრავენ მიზანმოღვაწეობის შედეგებსა და ნაყოფს, ე.ი. — ეფექტებს, რომელთა ობიექტურ სამყაროში გამოღება ძალუძთ როგორც კომუნიკაციურ, ისე სტრატეგიულ ქმედებებს.

რა თქმა უნდა, არსებობს სისტემატურ მექანიზმთა ისეთი კლასი, რომლებიც არ არიან ქმედების ზემოთ ხსენებული *ორი* ტიპისებრ ურთიერთშეთანხმებული; ესენი არიან მართვის ისეთი მედიუმები, როგორიცაა ფული და ძალაუფლება. კომუნიკაციის ეს ენაგამოცლილი მედიუმები, საზოგადოდ, წარმართავენ ისეთ სოციალურ ურთიერთობებს, რომელთაც არაფერი ესაქმებათ ნორმასა და ღირებულებებთან, ასევე — კონსენსის ენობრივ ქმნასთან; სახელდობრ, ისინი, ყოვლის უწინარეს, მართავენ მიზანრაციონალური სამეურნეო და მმართველობის ურთიერთობათა ქვესისტემებს, რომლებმაც თავიანთი თავი გაითვითმყოფადეს ცხოვრების სამყაროს კონტექსტებთან მიმართებაში. რადგან მართვის მედიუმები გვაიძულებენ კომუნიკაციური ქმედებიდან მედიუმებით მართულ ინტერაქციაზე გადაწყობას, აქ კვლავ იჩენს თავს ერთმნიშვნელოვანი შეხამება, ერთი მხრივ, სტრატეგიულ ქმედებასა და მეორე მხრივ, მოქმედების სისტემათა გათავისთავადებულ მედიუმებს შორის.

(დ) *ფილოსოფიური პრობლემა — შედეგი*

კომუნიკაციური ქმედების თეორია საზოგადოების თეორიის მოთხოვნილებებს მიესადაგება; მაგრამ როცა შეეძელი, განმეხორციელებინა პროგრამა, რომელიც პირველ განხილვათშორისში[1] მოესახე, აღმოჩნდა, რომ ამ თეორიამ შედეგები ფილოსოფიური პრობლემების გადაჭრისათვის გამოიღო. პირველ ყოელისა, მას წელილი შეაქვს *მნიშვნელობის თეორიაში.*

ჭეშმარიტების სემანტიკური საწყისის განგრძობისას ფორმალურ პრაგმატიკას ენობრივად სტანდარტიზებული გამოთქმის გაგება იმ საყოველთაო პირობათა შემეცნებაზე დაჰყავს, რომელ პირობებშიც *მსმენელს ამ გამოთქმის მიღება ძალუძს. ჩვენ ვგებულობთ მეტყველების აქტს, როცა ვიცით ის, თუ რა აქცევს* მას მისაღებად. მოლაპარაკის პერსპექტივიდან მისაღებობის პირობები იდენტურნი არიან ილოკუციონური შედეგის მიღების პირობებისა. მისაღებობა განისაზღვრება არა ობიექტივისტური აზრით, დამკვირველის პერსპექტივიდან, არამედ იგი დგინდება კომუნიკაციის თანამონაწილის პერფორმაციული განწყობიდან გამომდინარე. მეტყველების აქტი უფლებამოსილია „მისაღებად" იწოდებოდეს, თუკი იგი აკმაყოფილებს პირობებს, რომლებიც აუცილებელნი არიან, რათა მსმენელმა შეიძლოს მოლაპარაკის მიერ წამოყენებული პრეტენზიის მიმართ „ჰო" პოზიცია დაიკავოს. დაუშვებელია ამ პირობათა ცალმხრივი შესრულება; იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული არც მოლაპარაკეზე და არც მსმენელზე; პირიქით, არსებობენ პირობები იმ ენობრივი პრეტენზიის ინტერსუბიექტური აღიარებისა, რომელიც ასაბუთებს ინტერაქციის შედეგთათვის მნიშვნელოვან ვალდებულებათა თაობაზე შინაარსობრივად ისე გამოწვლილვით განხილულ თანხმობას, რომელიც ტიპურია ენისათვის.

---

[1] Habermas (1981) Bd. 1, 367ff.

გარდა ამისა, კომუნიკაციური ქმედების თეორია ამოცანად ისახავს, მოიძიოს ყოველდღიურობის კომუნიკაციურ პრაქტიკაში მიშვებული გონება და მეტყველების მნიშვნელოვნების ბაზისზე რეკონსტრუირება უყოს *გონების შეუკვეცავ ცნებას* თუ არ ამოვალთ მიზანმიმართულ ქმედებებში პროპოზიციური ცოდნის არაკომუნიკაციური გამოყენებიდან, მაშინ გამოგვაქვს წინასწარგადაწყვეტილება *კოგნიტივურ-ინსტრუმენტული რაციონალობის* იმ ცნების სასარგებლოდ, *რომელმაც* ემპირიზმის გზით ძლიერი ზეგავლენა იქონია თანამედროვეობის მიერ თავისი თავის თვითგაგებაზე. მას თან ახლავს წარმატებული თვითდამტკიცების გულისხმობანი, რაც შესაძლებელიყოფა შემთხვევითი გარემოს პირობათა ინფორმაციული ფლობისა და მათზე გონივრული მისწორების გზით.

თუკი პირიქით მეტყველება-მოქმედებებში პროპოზიციური ცოდნის კომუნიკაციური გამოყენებიდან ამოვალთ, მაშინ წინასწარ გამოგვაქვს გადაწყვეტილება რაციონალობის მომდევნო ცნების სასარგებლოდ, რომელიც ემყარება ლოგოსის შესახებ ძველ წარმოდგენებს. *კომუნიკაციური რაციონალობის* ამ ცნებას თან ახლავს გულისხმობანი, რომლებიც საბოლოოდ დაიყვანებიან არგუმენტაციული მეტყველების ძალადაუტანებლად შემაკავშირებელი და კონსენსის დამამკვიდრებელი ძალის ძირითად გამოცდილებაზე, რომელშიც სხვადასხვა თანამონაწილენი სძლევენ თავიანთ შეხედულებებს, რომლებიც თავიდან მხოლოდღა სუბიექტურნი იყვნენ და გაიუტყუარებენ თავიათნი ცხოვრებისეული კონტექსტების ინტერსუბიექტურობას. რა თქმა უნდა, ეს დაპირისპირება შედეგია იმ დამაბნეველი მცდელობისა, რომ გონების კოგნიტივურ-ინსტრუმენტული მომენტი მოწყვეტილი იქნას გონების უფრო მომცველი ცნებიდან.

ექსპერტთა კულტურების სიბრტყეზე, მართალია, საღღეისოდ ისე არიან ერთმანეთისაგან დაშორიშორებულნი გონებრივი ორიენტირებულობანი, რომ ჭეშმარიტების, სამართლიანობისა და გემოვნების საკითხთა დამუშავება ყოველთვის თავის საკუთარ ლოგიკას მიჰყვება; მაგრამ ამ სიბრტყეზეც კი პროცედურულია გონების ერთიანობა; სახელდობრ, იგი უზრუნველყოფილია მნიშვნელოვნების პრეტენზიათა არგუმენტაციული დაკმაყოფილების გზით. *დასაბუთების* ფორმალურ-პრაგმატულად დასაწყისებულ *თეორიას*, კომუნიკაციურ ქმედებაზე მნიშვნელოვნების პრეტენზიათა სხვადასხვა როლებზე დაყრდნობით, ძალუძს ერთმანეთისგან განასხვაოს დისკურსის სხვადასხვა ფორმები და განმარტოს დისკურსის ამ ტიპებს შორის შინაგანი მიმართებანი.

დაბოლოს, კომუნიკაციური ქმედების თეორია ითვისებს განსაზღერულ კრიტიკულ იმპულსებს, რომლებიც ჰუმბოლდტით დაწყებული (ვიდრე ოსტინამდე და რორტამდე) ენის ფილოსოფიიდან მომდინარეობენ. იგი აკრიტიკებს იმას, რომ დასავლური ფილოსოფია ცალმხრივა-

დაა მიმართული მყოფთა სამყაროზე. *ონტოლოგიური* აზროვნების *უპირატესობას* შეესატყვისება შემეცნების პრივილეგირებულობა ეპისტემოლოგიასა და მეცნიერების თეორიაში; ასევე – ასერტორული წინადადების მეთოდური გამორჩეულობა სემანტიკაში. ფორმალურ-პრაგმატულ გამოკვლევას საზოგადოდ ძალუძს, გააუქმოს ამგვარი დადგენილებანი. მას შეუძლია, ნაცვლად ონტოლოგიური და კოგნიტივისტური გაცალმხრივებულობებისა, გაამნიშვნელოვნებოს სამყაროს ის დეცენტრირებული გაგება, რომელიც ობიექტურ სამყაროს a limine ზღუდავს სოციალური და სუბიექტური სამყაროთი და მოითხოვს პროპოზიციულ ჭეშმარიტებაზე, ნორმატიულ სისწორეზე, გულწრფელობაზე გინა აუტენტურობაზე მნიშვნელოვნების შესაბამისი პრეტენზიების ინტერსუბიექტურ ორიენტირებულობას.

სარჩევი

წინათქმა 3

I. ლექციები სოციოლოგიის ენის თეორიულ დაშუძნებაში (1970/71) 5

ლექცია I. სოციალურ-მეცნიერული თეორიების ობიექტივისტური და სუბიექტივისტური საწყისები 5

ლექცია II. საზოგადოების ფენომენოლოგიური კონსტიტუციის თეორია: მნიშვნელოვნებაზე პრეტენზიების ფუნდამენტური როლი და ინტერსუბიექტურობის მონადოლოგიური საფუძველები 27

ლექცია III. საზოგადოების კონსტიტუციის თეორიიდან კომუნიკაციის თეორიისკენ (სელარსი და ვიტგენშტაინი) ენის კომუნიკაციური და კოგნიტიური სიტყვათხმარება 49

ლექცია IV. უნივერსალური პრაგმატიკა—განაზრებანი კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიაზე 71

ლექცია V. ჭეშმარიტება და საზოგადოება. მნიშვნელოვნებაზე ფაქტიურ პრეტენზიათა შესრულება 91

2. ჭეშმარიტების თეორიები (1972) 112

I. სამი წინასწარი შეკითხვა 112

II. მნიშვნელოვნების პრეტენზიები და უტყუარობის განცდები 121

III. შეცდომაში შემყვანი ჭეშმარიტების მოდელები 133

ობიექტურობისა და ჭეშმარიტების აღრეკა 134

მნიშვნელოვნების პრეტენზიების აღრეკა უტყუარობის განცდებში 137

მნიშვნელოვნების პრეტენზიათა ურთიერთშერეკები 139

IV. დისკურსის ლოგიკისათვის 142

V. იდეალური სამეტყველო სიტუაცია 155

3. შენიშვნები ინტერაქციის კომპეტენციის შემუშაკებისათვის (1974) 164

I. საკითხის დაყენებისთვის 164

II. მე–გამოჯვნათა სისტემაზე უნივერსალურ-პრაგმატისტული მინიშნება 175

III. განვითარების თეორიათა სტრუქტურისათვის (დამუშაკების პროცესში მყოფი) 188

IV კოგნიციური და ინტერაქციური განვითარების მიმოხილვა 189

V. მორალური ცნობიერების საფეხურები 197

4. განაზრებანი კომუნიკაციის პათოლოგიაზე (1974) 198

5. მოქმედებანი, ოპერაციები, სხეულებრივი მოძრაობანი (1975) 237

I. მოქმედების წესთა სამი ტიპი 238

2. მოქმედებით კოორდინირებული მოძრაობანი 246

3. ოპერაციები 258

6. ინტენცია, კონვენცია და ენობრივი ინტერაქცია (1976) 268

I. მნიშვნელობის კონვენციები და საზოგადოებრივი კონვენციები 268

2. ინტენციური ქმედება 271

3. ნორმების შესრულება 279

4. ენა 288

7. ინტენციონალისტური სემანტიკა (1975/76) 291

8. რას ეწოდება უნივერსალური პრაგმატიკა (1976) 309

1. მეტყველების მნიშვნელოვნებითი ბაზისი 309
2. საგანთა სფეროს წინასწარი გამიჯვნა 313
3. შენიშვნები რაციონალური კვალადკონსტრუქციის ხერხისთვის 318
4. რეკონსტრუქციულ ენათმეცნიერება ემპირისტული ენათმეცნიერების საპირისპირო 325
5. უნივერსალური პრაგმატიკა ტრანსცენდენტალური პერმენევტიკის საპირისპიროდ 333
1. უნივერსალური პრაგმატიკის სამი ასპექტი 340
2. მეტყველების აქტის სტანდარტული ფორმა–გამოხატვადობის სერლისეული პრინციპი 349
3. მეტყველების ორკეცი სტრუქტურისათვის 358
4. მნიშვნელობის უნივერსალურ-პრაგმატული კატეგორიები 362
5. მნიშვნელოვნების პრეტენზიათა და კომუნიკაციის მოდუსთა თემატიზირება 369
6. ილოკაციურ ძალთა რაციონალური საფუძველი 380
7. ენობრივი კომუნიკაციის მოდელი 387
9. მოქმედების რაციონალობის ასპექტები (1977) 392
10. შესიტყვებათა პასუხად (1980) 422
I. შარქსული მემკვიდრეობა 423
II. კრიტიკა თეორიის წინააღმდეგ თუ კელაე კრიტიკული თეორია? 437
III. გონება და ბუნება—შერიგება კელაემოკვადრების ფასად? 450
IV. გონება და ისტორია–ეთიკური ფორმალიზმის კრიტიკა 466
V. მოქმედების, კომუნიკაციისა და მეცნიერების თეორიისათვის 484
VI. თანამედროვე საზოგადოებათა ანალიზისათვის 505
11. განმარტებანი კომუნიკაციური ქმედების ცნებისათვის (1982) 513

გამომცემლობის რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე
მხატვრული რედაქტორი ლევან ჩიხლაძე
ტექნიკური რედაქტორი თეა კაკაბაძე
კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 11.03.2003, ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.04.2003,
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 34,25, ზომა 60X84/16,
ტირაჟი 1000, შეკვეთის №398

ფასი – სახელშეკრულებო

ქ. ქუთაისის სს „მანდარიას სტამბა"
ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.